



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

პედაგოგიური ფაკულტეტი
FACULTY OF PEDAGOGICAL

VIII საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური

კონფერენცია

VIII INTERNATIONAL SCIENTIFIC-METHODOLOGICAL
CONFERENCE

სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები
URGENT PROBLEMS OF TEACHING AND UPBRINGING

შ რ ო მ ე ბ ი

CONFERENCE PROCEEDING

ISSN:2298-0539

ქუთაისი

KUTAISI

2017

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი CONFERENCE ORGANIZING COMMITTEE

1. **გიორგი ღავთაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე / **George Gvartadze** - Akaki Tsereteli State University, Rector, Professor, Head of conference organizing committee
2. **ვლადიმერ ადეიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე / **Vladimer Adeishvili** - Akaki Tsereteli State University, Dean of the Faculty of Pedagogics, Associate Professor, Co-Head of conference organizing committee
3. **იმერი ბასილაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე / **Imeri Basiladze** - Akaki Tsereteli State University, Head of the University Educational Process Management Service, Professor, Co-Head of conference organizing committee
4. **შალვა კირთაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი / **Shalva Kirtadze** - Akaki Tsereteli State University Deputy Rector, Associate Professor
5. **მანანა დეისაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, / **Manana Deisadze** - Akaki Tsereteli State University, Deputy Dean of the Faculty of Pedagogics, Associate Professor
6. **მამული ბუჭუხიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი / **Mamuli Buchukhishvili** - Akaki Tsereteli State University, Head of the Faculty of Pedagogics Quality Assurance Office, Associate Professor
7. **მაია ახვლედიანი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი / **Maia Akhvlediani** - Akaki Tsereteli State University, Coordinator of the Department of Pedagogics, Associate Professor
8. **თამარ მამარდაშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი / **Tamar Mamardashvili** - Akaki Tsereteli State University, Department of Methods of Teaching, Associate Professor
9. **ნოდარ ცაგარეიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტის მასწავლებელი / **Nodar Tsagareishvili** - Akaki Tsereteli State University, Department of Methods of Teaching, Teacher

რედაქტორი: ასოცირებული პროფესორი ვლადიმერ ადეიშვილი

სარედაქციო კოლეგია

პროფესორი გიორგი ღავთაძე, პროფესორი იმერი ბასილაძე, პროფესორი ლეილა აბზიანიძე, პროფესორი თეიმურაზ ვეფხვაძე, პროფესორი ინგა კიკვიძე, ასოცირებული პროფესორი შალვა კირთაძე, ასოცირებული პროფესორი მამული ბუჭუხიშვილი, ასოცირებული პროფესორი მანანა დეისაძე, ასოცირებული პროფესორი მაია ახვლედიანი, ასოცირებული პროფესორი თამარ მამარდაშვილი, ასოცირებული პროფესორი ბაკურ ონიანი, ასოცირებული პროფესორი სოფიო მორალიშვილი, ასოცირებული პროფესორი მერაბ მაღრაძე, ასოცირებული პროფესორი დავით მახაშვილი, ასისტენტ პროფესორი ნელი სიტჩინავა.

Editor: Associate Professor Vladimer Adeishvili

EDITORIAL BOARD

Professor **George Gvartadze**, Professor **Imeri Basiladze**, Professor **Leila Abzianidze**, Professor **Teimuraz Vepkhvadze**, Professor **Inga Kikvidze**, Associate Professor **Shalva Kirtadze**, Associate Professor **Mamuli Buchukhishvili**, Associate Professor **Manana Deisadze**, Associate Professor **Maia Akhvlediani**, Associate Professor **Tamar Mamardashvili**, Associate Professor **Bakur Oniani**, Associate Professor **Sophio Moralishvili**, Associate Professor **Merab Maghradze**, Associate Professor **Davit Makhashvili**, Assistant Professor **Nelly Sitchinava**.

ს ა მ ი ე ბ ე ლ ი CONTENTS

პედაგოგიკა PEDAGOGICS	
იმერი ბასილაძე, მანონი ბერუჩაშვილი - ადრეული განათლების კურიკულუმის არსის საკითხისათვის თანამედროვე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში	9
ნოდარ ბასილაძე - „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და პირველი ქართული სკოლა აჭარაში	15
ლალი აბდალაძე, მაია ახვლედიანი - ჯონ დიუი – ფილოსოფოსი, პედაგოგი და რეფორმატორი	19
იაგორ ბალანჩივაძე, სალომე ბზიკაძე - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის გერმანული ენის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა	23
იაგორ ბალანჩივაძე, დალი ფუტყარაძე - ბავშვების მონაცემების შეგროვება სკოლამდელ დაწესებულებებში	27
ნათია ბლიაძე - ვატიკანის ფოლიანტებში გაცხადებული საიდუმლო	31
გული შერვაშიძე, ნანი მამულაძე - სწავლება, როგორც პროფესია	35
ლელა თავდგირიძე, ნატო შეროზია - შრომა - საზოგადოების წარმატების პირობა	39
მარინე გურგენიძე - ასპერგერის სინდრომი, განვითარების საშუალებები	44
მარეხ ნათენაძე - მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზაცია	49
ლელა რეხვიაშვილი - უმცროსკლასელთა ზნეობრივი აღზრდა სწავლა-სწავლების პროცესში	52
დავით მახაშვილი - პედაგოგიური ურთიერთობების ანალიზი	55
გივი ეჟიშვილი - თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის ანალიზი	59
ჰამლეტ რაზმაძე - ფეხბურთის სპორტული სკოლის 10-12 წლის ასაკთან დაკავშირებული ფუნქციური ცვლილებების ზოგიერთი მონაცემები	64
ნუგზარი ძამუკაშვილი - მატყლის და თეჯის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები	68
ნინო ორჯონიკიძე - თვითაღზრდის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური სრულყოფის პირობები	72
ქეთევან ძოწენიძე - გამოცდილება და სოციალური ინტერაქცია ჯონ დიუის მიხედვით	75
ქეთევან ძოწენიძე - გაუცხოების პრობლემა თანამედროვე საზოგადოებაში და სოციალურ გარემოში	77
ნატო ქობულაძე - პროფესიული მოდულური პროგრამების მხარდაჭერა	80
ნატო დვალი - საგანმანათლებლო ფასეულობები	85
ნინო სოხაძე - პიროვნების აღზრდა აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ მიხედვით	89
ნინო სოხაძე - საოჯახო აღზრდის პრობლემები ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიალი დედაკაცის“ მიხედვით	91
ლელა ებგვერაძე - აქტივობა, როგორც სტუდენტთა შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი	93
სოფიო ფანჩულიძე - აღზრდის მიზნები და ამოცანები დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში	97

თამარ დოგრაშვილი - თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი	101
ირინე გოგიბერიძე - თავისუფალი და კრიტიკული აზროვნების განვითარება დაწყებითი კლასების მოსწავლეებში	105
ნინო ჭოხონელიძე - მ. მონტესორის პედაგოგიური კონცეფცია და საქართველო	110
შორენა ტყემალაძე - ფიზიკური გარემო როგორც აღმზრდელობით-საგანმანათლებლო რესურსი	114
მაგდა თხილავა - მოსწავლის მუსიკალური მონაცემების შემოწმება და განვითარება	118
მაგდა თხილავა - მუსიკის მასწავლებლის ფუნქციები	121
ლალი მიქაძე - კლასგარეშე აქტივობების როლი მოსწავლეთა სასწავლო უნარების განვითარებაში (სასწავლო მოტივაციის ამაღლება)	124
თამარ შანიძე - მოსწავლეთა შეფასების ეფექტურობა სასწავლო პროცესში	128
ფრიდონ გოგიაშვილი, გოჩა ლეკვიშვილი, დავით მესხი - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენება სატრანსპორტო საშუალებების მოწყობილობების დაზიანებათა დიაგნოსტიკის პროცესში	131
მაკა აბულაძე - სკოლამდელი აღზრდა, როგორც განათლების სისტემის პირველი რგოლი და პიროვნების განვითარების მთავარი საფუძველი	135
ნათია კალანდაძე - „დოკუმენტური ფილმებით სწავლება, როგორც მოტივატორი ისტორიის გაკვეთილზე“	141
ნინო კოსტავა - პრეზენტაცია, როგორც სწავლების მეთოდი	146
ნინო გამყრელიძე - თამაშის სწავლების ტექნოლოგია	150
თინათინ კაპანაძე-ნიკოლეიშვილი - გიორგი თავზიშვილი - ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიის მკვლევარი	154
ქეთო მიქენაია - „თუ გული გულობს“, ანუ შეიძლება თუ არა მოსწავლეთა მოტივაციის შენარჩუნება?“	159
ციალა ტარიელაძე, ირმა ხინიკაძე - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ქცევის მართვის სტრატეგიები	162
მზია ჩეგანი, ნანა ყანთელაძე, თეა დარახველიძე - ინტეგრირებული სასწავლო პროექტი - „გარემოზე ზრუნვას საკლასო ოთახიდან ვიწყებთ“	166
თეონა მურღულია - აღზრდის იდეები და შეხედულებები 1918-1921 წლების საქართველოში	170
ლელა ტყემელაშვილი - აუტიზმი - ერთად ვებრძოლოთ სტიგმასა და უიმედობას. აუტიზმის მქონე ბავშვთა სწავლების სტრატეგიები	173
ეკა სისაური - აღზრდისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები პედაგოგიკაში	177
სწავლების მეთოდიკა METHODOLOGY OF TEACHING	
ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა METHODOLOGY OF TEACHING GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE	
ლეილა აბზიანიძე - ქართული ენა და მართლწერის საკითხები	180
ჯამბუ ავალიანი - ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები	186
მანანა მიქაძე - ვალერიან რამიშვილი - დედაენის ამაგდარი (დაბადებიდან 110-ე წლისთავის გამო)	190
თამარ ღვინიაძე - წერითი მუშაობის სისტემა IV-VI კლასებში გასწორების ხერხები	193

თამარ ღვინიაძე - ნაწარმოების ანალიზის მეთოდები, ხერხები და ელემენტები IV-VI კლასებში	197
ლევან ჯინჯიბაძე - მხატვრული ნაწარმოების სწავლება დაწყებით კლასებში	199
მალვინა შანიძე - კითხვის სამფაზიანი გაკვეთილის მოდელი	203
ლელა ებგვერაძე - არსებითი სახელის რაობისა და შინაარსობრივი ჯგუფების სწავლების შესახებ	210
დავით შავინიძე, ინეზა გაბელაია - აღზრდის ხალხური საშუალებები (ლექსბუმური ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)	214
რუსუდან ფიფია - გამჭოლი კომპეტენცია წიგნიერება და მისი დანერგვა საუნივერსიტეტო პროგრამებში	218
ნინო ხანთაძე - სწორად შერჩეული კლასგარეშე ლიტერატურის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში	222
ესმა ღვინიაძე - მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების მნიშვნელობა და მისი სწავლება დაწყებით საფეხურზე	225
ელისო მაწკვპლაძე - ციფრული და მედიაწიგნიერება ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე	229
ეკატერინე ძიგრაშვილი, თამარ რეხვიაშვილი, მაკა მარგველაშვილი - „პატარა კლამი სამშობლოს სიყვარულში“ (გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროექტი)	231
ლენა კაპატაძე - კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპების გამოყენება დაწყებით კლასებში - ქართულ ენასა და ლიტერატურაში	236
ნინო პატარიძე - გრაფიკული სქემებისა და აქტივობის ბარათების როლი საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვაში	239
ინგა დარსაველიძე - ბარბარიზმები რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში	244
ია ჩინჩალაძე - ოთარ ჭილაძის პოემის „ადამიანი გაზეთის სვეტში“ კრიტიკული ანალიზი „აზროვნების ექვსი ქუდის“ მეთოდის გამოყენებით	246
ციური ფხაკაძე - ტექსტის გააზრება-განალიზების კომპონენტები	249
ცირა მელაძე - სიბრძნის სიმფონია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“	254
თამარ მამარდაშვილი - სპეციალურ ტერმინთა შედგენის პრინციპები და ტერმინთწარმოების თავისებურებანი ქართულში	257
მათემატიკისა და ტექნიკურ დისციპლინათა სწავლების მეთოდთა METHODOLOGY OF TEACHING MATHEMATICS AND TECHNICAL SCIENCES	
თეიმურაზ ვეფხვაძე - საშუალო სკოლაში რიცხვთა თეორიის ელემენტების სწავლების შესახებ	262
გურამ გოგიშვილი - უმაღლეს სკოლაში მათემატიკის ზოგიერთი ფუნდამენტური ცნების სწავლების შესახებ	265
ლამარა ქურჩიშვილი, მარიამ ზესიაშვილი - ვექტორული ანალიზის ელემენტები სასკოლო კურსში	268
თეიმურაზ სურგულაძე - უზუსტობები ელემენტარული მათემატიკის ამოცანათა პირობებში	272
ია მებონია - კვლევითი მუშაობა საშუალო სკოლაში	275
გიორგი თეთვაძე - კომპლექსური რიცხვების სწავლების შესახებ	279
გიორგი ჯინჯიბაძე - სახალისო დავალებათა შედგენის საკითხისათვის მათემატიკის სწავლებაში	282
მანანა დეისაძე, შალვა კირთაძე - ზოგიერთი საკითხი მათემატიკური ვიქტორინის ორგანიზების შესახებ დაწყებით კლასებში	285
მამული ბუჭუხიშვილი - კონუსი და მისი ელემენტები სწავლებაში	289
თეიმურაზ გიორგაძე - სიმულაციის, ანუ მონტე-კარლოს მეთოდის შესახებ	292

თეიმურაზ გიორგაძე, ვლადიმერ ადიშვილი - ალბათური და სტატისტიკური წარმოდგენების შესახებ	297
მანანა ზივზივაძე-ნიკოლეიშვილი - სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალ შესაძლებლობათა დანერგვის შესახებ	305
მანანა ზივზივაძე-ნიკოლეიშვილი - პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის გამოყენება მათემატიკის გაკვეთილზე	308
გიორგი ლომინაშვილი, ბაკურ ბაკურაძე - პარამეტრული განტოლებების სწავლების ზოგიერთი საკითხი	312
ნინო გელოვანი, ირინე გიგილაშვილი - განმავითარებელი შეფასების აქტივობები, როგორც მათემატიკის სწავლების ხელშემწყობი აქტივობები	315
ნინო გელოვანი - დიფერენცირებული სწავლება, როგორც მათემატიკის სწავლების ხელშემწყობი ფაქტორი	319
ირმა ჩხიკვაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების ასპექტები, როგორც განმავითარებელი სწავლების საშუალება	323
ირმა ჩხიკვაძე - ამოცანების შედგენისა და მასზე მუშაობის პედაგოგიური ტექნოლოგიები	327
ქეთევან შვანგირაძე - მკაცრად კლებადი ფუნქციის შესახებ	331
ქეთევან შვანგირაძე - უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის მათემატიკის კურსში საქმიანი თამაშების გამოყენება	333
ნათია ბრეგაძე - დიფერენცირებული ელემენტებით მრავალკუთხედის პერიმეტრის გამოთვლა დაწყებით კლასებში	336
ნანა ონიანი-სალინაძე - ეფექტური სწავლება მარტივი ტექნოლოგიებით	340
მზია მამასახლისი - სხეულის მოცულობის გაზომვის ისტორიიდან	343
ლალი ქობულაძე, ნოდარ ცაგარეიშვილი - საგანმანათლებლო ბლოგების როლი ციფრული წიგნიერების განვითარებაში	346
ანა ძიმისტარიშვილი - ახალი ტექნოლოგიები თანამედროვე განათლების სისტემაში	349
ნოდარ მარდალეიშვილი - თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება უწყვეტი გარემოს მექანიკის სწავლების პროცესში	353
მერი ობოლაძე - მათემატიკის გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლების ხერხები და მეთოდები	357
ირინე ყურაშვილი - ინტეგრირებული გაკვეთილი მათემატიკასა და ისტორიაში - „დავით აღმაშენებელი“	360
ქეთევან რუხაძე - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება	363
ინგა ხუჯაძე - მოტივაციის ამაღლების შესაძლებლობა მათემატიკის გაკვეთილებზე	367
თინათინი სვანაძე - ისტ-ის გამოყენება მათემატიკის სწავლების დროს - „ორწახნაგა კუთხე“ (გეომეტრია 11 კლასი)	369
საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების მეთოდოლოგია METHODOLOGY OF TEACHING NATURAL SCIENCES	
მაგდანა ჯიქია - ცილის ქიმია - უმაღლეს სასწავლებელში	372
ბაკურ ონიანი - მეხსიერება და ტვინის განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება	376
ბაკურ ონიანი - ბიოლოგიურ ცნებათა განვითარება ბუნებისმცოდნეობის სწავლების დროს	379
ბროლისა წულაია - ბუნებისმეტყველების გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები	382
დემურ თედორაძე, მეგლუდ ვერულაშვილი, ნინო გვენეტაძე - ქეის-მეთოდის გამოყენება ფიზიკის გაკვეთილებზე	385

ნანა კილაძე - სინათლის, როგორც ეკოლოგიური ფაქტორის შესწავლის მეთოდები	390
ნინო მანგალაძე - მცენარეთა მინერალური კვების სწავლება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით (წყლის კულტურები)	393
ნატო ჩხარტიშვილი - როგორ ვასწავლოთ ფოტოსინთეზი საჯარო სკოლის ბიოლოგიის კურსში	396
ხათუნა კაპანაძე - არაფორმალურ განათლება და მოსწავლეთა თვითშეფასება	399
ნინო ბენდელიანი - სასწავლო პროექტი - ოცდამეერთე საუკუნის ეკოლოგიური პრობლემის მოგვარების პროდუქტიული მეთოდი	402
ნათია ჯანჯღავა, თამარ ჭიჭიშვილი - სასწავლო პროექტზე მუშაობის სტრატეგიები „ჯანსაღი კვება“	404
ეკატერინე ჯოხაძე - ინტეგრირებული გაკვეთილის მნიშვნელობა ადამიანის ანატომიის სწავლების საკითხში	409
უცხო ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია METHODOLOGY OF TEACHING FOREIGN LANGUAGE AND LITERATURE	
Sophio Moralishvili - <i>Modern Technologies in Teaching Analytical Reading</i>	412
Ekaterine Topuria - <i>Estimating the Effectiveness of Self Assessment of a teacher</i>	416
ინგა კიკვიძე - მოტივაციის ამაღლება რუსულის როგორც უცხო ენის გრამატიკის სწავლების პროცესში	419
Нелли Сичинава – <i>ПРОБЛЕМА ВЫБОРА СПОСОБА СЕМАНТИЗАЦИИ ЛЕКСИКИ ПРИ ОБУЧЕНИИ РКИ</i>	422
მარიამ ბაბუხაძია, სოფიო ყიფიანი - კრიტიკული აზროვნება და მოდალურ ზმნათა სწავლება	427
ანა ფიფია, ინგა გორგაძე - თარგმანის სწავლების საკითხები და დამხმარე საშუალებები მთარგმნელის მუშაობის პროცესში	431
Надежда Каджая – <i>Лингвостилистический анализ художественного текста в национальной аудитории вуза</i>	433
Мзия Костава- <i>ИЗУЧЕНИЕ РУССКОГО ЯЗЫКА НА МАТЕРИАЛЕ СОВРЕМЕННЫХ РЕКЛАМНЫХ ТЕКСТОВ</i>	438
Lela Oniani – <i>Some ways of motivation in teaching and learning EFL/ESL class</i>	441
Irma Rusadze - <i>Vocabulary Achievement Factors</i>	445
Izolda Chkhobadze - <i>The Effect of Teaching Phrasal Verbs</i>	448
Мзия Паркосадзе - <i>Проблема структурной организации текста при обучении русскому языку как иностранному</i>	453
ვერა კვანტრე, მაია კვანტრე - მხატვრული ტექსტი რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში	456
Нанули Мелкадзе – <i>К проблеме обучения русской фонетике в грузинской аудитории</i>	458
ასმათი დათიაშვილი - წიგნიერების განვითარება (მულტიმედიური ტექსტები) უცხო ენის სწავლების პროცესში	462
ეკატერინე გაჩეჩილაძე - ფრანგულენოვანი რეალიების გადმოცემის რამდენიმე საშუალება	464
ნათელა გაბუნია - მულტიმედია რუსულის გაკვეთილზე	468
Медяя Дарсавелидзе - <i>Организация урока-исследования в современной школе</i>	470
ია ხასაია - კითხვის უნარის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები	474

განათლების ფილოსოფია და ფსიქოლოგია PHILOSOPHY AND PSYCHOLOGY OF EDUCATION	
მერაბ მაღრაძე - ფუნქციონალურ მოთხოვნილებათა ცნების ადგილი სწავლის ფსიქოლოგიურ დახასიათებაში	478
მარინე სირბილაძე - სამეტყველო ქმედება და ენობრივი კომუნიკაციის მოთხოვნილება განწყობის სტრუქტურის დინამიკური მოდელის კრილში	482
მანანა ჩიტეიშვილი - სუზანა ლანგერის მეტაფორული სიმბოლიზმი	485
ლილი ქორიძე - სასკოლო კურიკულუმის სოციალური და ლიბერალური ბუნება	488
იზოლდა ბუხუღეიშვილი - მიჯაჭვულობის თეორიის ზოგიერთი ასპექტი	492
რამაზ ხაჭაპურიძე - ეთნოლოგიური, ათროპოლოგიური და ზეპირსიტყვიერების საკითხების ასახვა ქართულ პედაგოგიკურსა და მეთოდიკურ აზროვნებაში (XIX საუკუნის 60-იანი წლები)	496
ინეზა გაბელაია, დავით შავიანიძე - იდეოლოგიები, ნოვაციები და ქართული ეთნოკულტურა (ლეჩხუმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)	503
ელისო კეთილაძე - თამაშის როლი ბავშვის ფსიქოსოციალურ განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესში	507
ირინა მჟავანაძე - თავისუფალი გაკვეთილების შესახებ	511
ხათუნა ბენდელიანი - სწავლების ინდივიდუალური მიდგომები	514
რობერტ გოლეტიანი - ფილოსოფიური პრობლემატიკა არჩილ ჯორჯაძის შემოქმედებაში (ზოგიერთი ასპექტი)	517

იმერი ბასილაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
მანონი ბერუჩაშვილი - ქუთაისის № 31 ბაგა-ბაღის აღმზრდელი

ადრეული განათლების კურიკულუმის არსის საკითხისათვის თანამედროვე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში

ტერმინს “კურიკულუმი” ხშირად იყენებენ ფსიქოლოგები, პედაგოგები და მეთოდისტები, მაგრამ, როგორც უცხოურ, ისე ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებაში ამ ტერმინის მნიშვნელობის შესახებ საერთო აზრი ჩამოყალიბებული არ არის.

საგანმანათლებლო ლექსიკონში კურიკულუმი ლათინური სიტყვაა და გზას, ბილიკს, მარათონს ნიშნავს. იგი გამოიყენება სასწავლო პროგრამის აღსანიშნავად, რომელშიც დასახულია სწავლების მიზნები, გზები. მთლიანობაში კურიკულუმი არის განათლების შინაარსი, რომელიც მოიცავს სასწავლო გეგმის, პროგრამის, შინაარსის, სტრუქტურის, მეთოდის, დამხმარე აუდიო-ვიზუალური საშუალებების ერთობლიობას(1. გვ. 5).

პირველი მეცნიერი, რომელმაც დასვა საკითხი, თუ რა არის კურიკულუმი და როგორია მისი წარმოშობის ეტიმოლოგია, არის ჯოზეფ დოლჩი. XVII საუკუნეში ტერმინმა “კურიკულუმი” შეცვალა გეგმა, ხოლო შემდეგ - სასწავლო გეგმა.

ადრეული განათლების სფეროში მომუშავე პირებისათვის კურიკულუმი(2. გვ.12) არის: 1. მოდელი; 2. დოკუმენტი; 3. გარემოს მოწყობის ფორმა; 4. ბავშვის სწავლის დაგეგმვის მეთოდი; 5. მასწავლებლის მიერ ყოველდღე მიღებული გადაწყვეტილება ბავშვებისა და სწავლის შესახებ; 6. საკითხი, რომელიც თანხმდება მშობლებთან, თემთან და გარე უწყებებთან; 7. ის, რისი ნახვაც სურთ გარე შეფასების უწყებებს? ადრეულ განათლებაში განსახვავებენ ემერჯენტულ კურიკულუმს და ჰოლისტურ კურიკულუმს. „ემერჯენტული“ კურიკულუმი ეს არის კურიკულუმი რომელიც ემყარება ადრეული ბავშვობის პერიოდის საგანმანათლებლო გარემოში ბავშვის ემერჯენტულ (ჩანასახოვან) ინტერესებს“ (2.გვ.14). „ჰოლისტური ჰქვია ისეთ კურიკულუმს, რომელიც შემუშავებულია ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, სოციალურ-ემოციური საჭიროებების, ძლიერი მხარეებისა და ინტერესების, ისევე როგორც მათი სოციალური და კულტურული ფონის გათვალისწინებით“ (2.გვ. 16)

„სკოტი კურიკულუმს შემდეგნაირად განსაზღვრავს: კურიკულუმი შეიძლება ემსახუროდეს სისტემას, ეროვნული კურიკულუმის შემთხვევაში; ასევე - ინსტიტუციას, სკოლის/სკოლამდელი დაწესებულების კურიკულუმის შემთხვევაში; შესაძლოა, - კონკრეტულ დაწესებულებასაც - როგორც მაგალითად სკოლის გეოგრაფიის კურიკულუმის შემთხვევაში (2. გვ.21)

სკოტის მიხედვით, კურიკულუმი შეიძლება აგებული იყოს კონკრეტულ სახეზე და მოიცავდეს ოთხ საზომს): 1.მიზნები ან ამოცანები (კურიკულუმში აისახება კონკრეტული საკითხები); 2. შინაარსი ან საგნები (შინაარსი, საგნები, მიდგომები, საკითხების არჩევა და მათი ორგანიზების ფორმა); 3. მეთოდები ან პროცედურები; 4. ევალუაცია და შეფასება (გულისხმობს იმ საშუალებებს, რომლებიც განსაზღვრავს, რამდენად წარმატებულად შესრულდა კურიკულუმი“(2.გვ.22).

მსოფლიოში არსებული კურიკულუმების შესწავლა ცხადყოფს, რომ მათშორის ძალზედ დიდი განსხვავებაა. ზოგი უფრო უფრო კონკრეტულია, ზოგიც კი ძალზედ ზოგადი. თუ სკოტის შეხედულებებს გავიზიარებთ კურიკულუმთან დაკავშირებით კურსკულუმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეროვნული დოკუმენტი, ან დაწესებულების დონეზე არსებული დოკუმენტი, ან განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიულ დონეზე არსებული დოკუმენტი (უფრო მასშტაბური ვიდრე დაწესებულება, მაგრამ ეროვნულ დონეზე უფრო პატარა.

სასწავლო გეგმა ანუ კურიკულუმი თავისი შინაარსით უფრო ფართოა, ვიდრე დღემდე არსებული სასწავლო გეგმა. ტერმინ კურიკულუმის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ცნობილი ამერიკელი პედაგოგის, ჯონ დიუის რეფორმისტული პედაგოგიკა. ჯონ დიუი ყურადღებას ამახვილებდა ყოველი ბავშვის სწავლის ინდივიდუალურ პროცესზე. სასწავლო გეგმა მხოლოდ მასწავლებლისათვის არ უნდა იყოს შექმნილი, მან უნდა მოახდინოს ყურადღების კონცენტრირება ყოველ ინდივიდუალურ მოსწავლეზე და მის სწავლაზე. ამდენად, კურიკულუმი არის სასწავლო დროის განმავლობაში მიმდინარე სასწავლო პროცესი, რომლის ყურადღების ცენტრშია მოსწავლე და ბავშვი (1.გვ.6). ჩვენ მიერ შესწავლილი ლიტერატურიდან გამომდინარე კურიკულუმის ძირითადი კომპონენტებია: 1. საგნის მიზნები და ამოცანები; 2. შინაარსის

პედაგოგია/Pedagogics

მოკლე განხილვა; 3. მეთოდები; 4. რეკომენდირებული ლიტერატურის სია; 5. ინფორმაცია შეფასების შესახებ; 6. სწავლის შედეგები; 7. სასწავლო კურსების სილაბუსები; 8. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ

ჩვენი აზრით, ეს რვა ძირითადი შემადგენელი ნაწილი განსაზღვრავს ეფექტური კურიკულუმის მოდელს.

განასხვავებენ კურიკულუმის მოდელებს. „ბერნშტეინის აზრით კურიკულუმის ორი ძირითადი მოდელი არსებობს. ესენია დემონსტრირებაზე და კომპეტენციაზე ორიენტირებული კურიკულუმები“ (2.გვ.24). **დემონსტრირებაზე** ორიენტირებული მოდელი ეფუძნება ქცევით მისწრაფებებს: 1. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ მკაცრად დადგენილი საგნობრივი საზღვრების ფარგლებში; 2. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ცოდნის ტრადიციული ფორმებით, სწავლების გამოცდილი წესებით და და მკაფიოდ გაწერილი შეფასების კრიტერიუმებით; **კომპეტენციაზე ორიენტირებული მოდელი ეფუძნება:** 1. მოსწავლეებს აქვთ გარკვეული კონტროლი კურიკულუმის არჩევანზე, ტემპსა და თანმიმდევრობაზე.

ჩვენი შეხედულებით, როდესაც არჩევანს ვაკეთებთ, თუ რომელი კურიკულუმის მოდელით ვასწავლოთ ან თუნდაც ვმუშაობთ მოცემულ კურიკულუმის საზღვრებში, ყოველთვის მნიშვნელოვანია ვაცნობიერებდეთ, რა ნაწილებისგან შედგება ის და ზოგიერთ შემთხვევაში რა აკლია, რის შევსებას მოითხოვს ჩვენს მიერ ან განათლების სისტემაში მოცემულ სხვა დოკუმენტებისგან.

აქედან გამომდინარე ყველა პროფესორ-მასწავლებელს უნდა ჰქონდეს თავისი სამუშაო კურიკულუმი, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს განვითარებას. კურიკულუმი აგებული უნდა იქნეს საგნის სპეციფიკაზე და დაეყრდნოს იმ მოთხოვნებს, რომელიც ზოგადად კურიკულუმს მოეთხოვება.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში, ცალკეული სასწავლო კურსის, მოდულის თუ პროგრამის წარმოდგენილი კურიკულუმი უნდა დაეფუძნოს შემდეგ მოთხოვნებს:

- სურვილი, გარდავექმნათ განათლების სისტემა;
- გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს საგანმანათლებლო ტრადიციები (მემკვიდრეობითობის პრინციპები);
- უნდა გავითვალისწინოთ ევროპული გამოცდილება და დავუახლოვოთ სორბონა-ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს;
- საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტურობის გაუმჯობესება;
- კურიკულუმი ღია და გამჭვირვალეა ყველა დაინტერესებულ პირთათვის;
- მეცნიერულობა;
- ინოვაციური პედაგოგიური ექსპერიმენტი.

ხოლო კურიკულუმი, როგორც მართონი, რეისი, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ასეთი შინაარსის და მიმართულების მატარებელია:

- კურიკულუმი, როგორც შინაარსი;
- კურიკულუმი, როგორც პროცესი;
- კურიკულუმი, როგორც პროდუქტი;
- დაგეგმვა, გაძლიერება შეფასება;
- ეს არის შემოქმედებითი წინსვლა, სადაც იგეგმება მიზან-მიმართულება;
- არის შედეგი ცოდნის, უნარების სახით, რომელიც უნდა მივიღოთ ასეთი რეისის დროს;
- მეთოდები და პროცედურები;
- ტესტი;
- პორტფოლიო, რუბრიკა.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი სქემები მთლიანობაში წარმოადგენს კურიკულუმს, როგორც შინაარსს, პროცესს და პროდუქტს, რომელიც ხელს უწყობს სწავლების პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას, ორგანიზებას, აქტივობებისა და ქმედების განსაზღვრას, კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

2015 წელს გამოცემულ ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის მოდელის დამუშავებისას, მის ნაწილებთან ერთად, აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ მის რამდენიმე მახასიათებელს, რომელიც შეიძლება გვაძლევდეს წინასწარ დასკვნის საშუალებას თუ რამდენად ეფექტური იქნება ეს მოდელი მოცემულ სოციო-კულტურულ რეალობაში.

პედაგოგია/Pedagogics

ელენ ფრიდი და დებრა აკერმანი გამოყოფენ რვა მახასიათებელს: 1. მასწავლებლისა და მოსწავლის როლი სასწავლო პროცესში; 2. სწავლების სფეროები; 3. ბავშვზე მორგებადობა; 4. შეფასების სისტემა; 5. კვლევითი საფუძველი; 6. მასწავლებელზე მორგებადობა; 7. მასალა და 8. მშობლების ჩართულობა.

განვიხილოთ თითოეული მახასიათებელი ცალ-ცალკე:

მასწავლებლისა და მოსწავლის როლი სასწავლო პროცესში. კურიკულუმის მოდელები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმით, თუ როგორ ანაწილებენ სასწავლო პროცესის წამყვანის როლს აღმზრდელსა და ბავშვს შორის, ამის მიხედვით შეგვიძლია სამ ტიპად დავყოთ კურიკულუმები - პირდაპირი-ინსტრუქციული, სოციალიზაციის და კონსტრუქტივისტული კურიკულუმი, **პირდაპირ-ინსტრუქციული კურიკულუმი** ეყრდნობა ბიჰევიორისტულ და სოციალური სწავლების თეორიებს. ამ მოდელში, მასწავლებელი ინფორმაციას აცნობს მთელ ჯგუფს ერთად, იყენებს სტრუქტურირებულ და გამეორებაზე აგებულ გაკვეთილებს და ასწავლის ნაბიჯ-ნაბიჯ კონკრეტულ უნარებს ან იზოლირებულ ფაქტებს.

სოციალიზაციის კურიკულუმი ეყრდნობა რწმენას, რომ ბავშვები უნდა აძლევდნენ მიმართულებას სწავლებას. ბავშვი სწავლობს, თუ ის შესაბამის განვითარების დონეზეა და მასწავლებელი ხელს უწყობს, ამარაგებს მასტიმულირებელი მასალით და მხარს უჭერენ ბავშვის არჩევანს. ამ მიდგომის უმთავრესი აქტივობა არასტრუქტურირებული თამაშია და პირველი მიზანი სოციალიზაციაა. მასწავლებელს აქვს თავისუფლება აქტივობები თავის კრეატიულობაზე, გამოცდილებაზე და მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით ააგოს. შესაბამისად შესაძლებელია აქტივობა მოერგოს ინდივიდუალური ბავშვის უნარებსა და საჭიროებებს.

კონსტრუქტივისტული კურიკულუმი ეყრდნობა პიაჟესა და ვიგოცკის კონსტრუქტივისტულ თეორიებს. ხედავს სწავლებას როგორც ბავშვსა და მის გარემოს ურთიერთქმედებას. ამ მოდელში მასწავლებელი ინიცირებას უკეთებს აქტივობას, რომელიც მიმართულია ბავშვის აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებაზე, ისინი ასევე ერთვებიან ბავშვის მიერ წამოწყებულ თამაშში, რათა დაამატონ ახალი იდეები ან ხელი შეუწყონ სწავლებას. თანატოლებთან ურთიერთობაც მიჩნეულია სწავლის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილად.

ეს დაყოფა ხისტად არ უნდა წარმოვიდგინოთ. კურიკულუმების მოდელები ხშირად მკაფიოდ გამოხატული ერთი ტიპის არ არის. ჯობია ისინი დავინახოთ კონტინიუმზე პირდაპირ ინსტრუქციულსა და სოციალიზაციას შორის. კვლევები გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ტიპის კურიკულუმმა შეიძლება მიაღწიოს თავის მიზანს, თუმცა სხვაობა მიღწევის ეფექტურობაშია. მეტად ეფექტური კი არის ის კურიკულუმი, რომელიც ამ კონტინიუმის შუაში ხვდება, რადგან ის ეყრდნობა ღია ჩარჩოს პრინციპს (ბაგა-ბადის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო -2015). ღია ჩარჩოს პრინციპი დაცულია, როდესაც სასწავლო-სააღმზრდელი პროცესში აღმზრდელის და ბავშვის ინიციატივა მაღალია და თანაბარი.

სწავლების სფეროები. მნიშვნელოვანია გავარკვიოთ როგორ არის ორგანიზებული სწავლება. რა სფეროების სწავლებას ისახავს მიზნად კურიკულუმი? როგორ არის ის დაყოფილი: ცალკეულ საგნებად, უნარ-ჩვევებად, აქტივობის ტიპებად თუ ეს ყველაფერი ინტეგრირებულია ერთმანეთში?

დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა მიგვანიშნებს, რომ განსაკუთრებით ადრეულ ასაკში უფრო ეფექტურია ინტეგრირებული სწავლება, სადაც ცალკეულ საგნებს არ ასწავლიან, რომელიც ფოკუსირებულია „მთლიანი ბავშვის“ სწავლებაზე, ანუ ყველა სფეროს განვითარებაზე. ამ ტიპის კურიკულუმებს მრავალმხრივი, კომპლექსური კურიკულუმი ეწოდებათ. უკეთესად რომ წარმოვიდგინოთ, მრავალმხრივი კურიკულუმი, არ ყოფს სასწავლო პროცესს საგნებად, მაგალითად მათემატიკის გაკვეთილი, ხატვის გაკვეთილი და სხვა. ეს კურიკულუმი სასწავლო პროცესის თითოეულ აქტივობაში აერთიანებს საგნებს, უნარ-ჩვევებს და ცოდნას, დასახული მიზნის შესაბამისად; ბავშვი განსაზღვრულ დროსა და სივრცეში კი არ სწავლობს, და ივითარებს რომელიმე უნარს, არამედ ნებისმიერ დროს ნებისმიერი აქტივობისას სწავლობს და ვითარდება. ასევე მთლიანობითი მიდგომა გულისხმობს იმას, რომ კურიკულუმი თანაბარ ყურადღებას უთმობს როგორც აკადემიურ საგნებს, შესაბამის უნარ-ჩვევებს და ცოდნას, ასევე სხვა სფეროებს, როგორც არის მაგალითად სოციალურ-ემოციური სფერო (ბაგა-ბადის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო -2015).

ბავშვებზე მორგებადობა. იმის მიუხედავად, რომ თითოეული კურიკულუმი ცდილობს იყოს მორგებული ბავშვზე, მნიშვნელოვანია ამ კომპონენტზე კარგად ვიფიქროთ. კურიკულუმის მოდელი შეიძლება ცდილობდეს „საშუალო“ ბავშვზე იყოს მორგებული, ასეთ მოდელებს „კონტექსტისგან

თავისუფალ“ კურიკულუმებს უწოდებენ, რადგან ამ მოდელებში მოცემულია კონკრეტულად თუ რა და როგორ უნდა ისწავლებოდეს და ეს მოცემულობები ეყრდნობა „საშუალო“ ბავშვის ტიპურ განვითარების ეტაპებს. ამის საპირისპიროდ არსებობს „კონტექსტ-სენსიტიური“ კურიკულუმი, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ კონტექსტიდან გამომდინარე, ანუ ბავშვის შესაძლებლობებიდან, უნარებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმოს აღმზრდელმა რა და როგორ ასწავლოს. ამ შემთხვევაში, კურიკულუმის ინდივიდუალიზაციაა შესაძლებელი და ის ხდება მორგებული თითოეულ ბავშვზე, რომელიც ჩართულია მოცემულ პროგრამაში.

შეფასების სისტემა. კურიკულუმის მოდელები გვთავაზობენ სხვადასხვა ტიპის შეფასების სისტემას, მაგალითად ხშირად პირდაპირ ინსტრუქციული კურიკულუმები იყენებენ სტანდარტიზებულ ტესტებს, ხოლო სოციალიზაციის კურიკულუმები დაკვირვებას. შეფასების სისტემაში შეიძლება შეგვხვდეს პორტფოლიო, რეფლექსია, ჩეკლისტი (ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო - 2015) და სხვა.

გარდა შეფასების სისტემის ფორმისა, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ ესა თუ ის კურიკულუმის მოდელი, რა მიზნით იყენებს შეფასებას. მიზანი შეიძლება ოთხნაირი იყოს: 1. სასწავლო-სააღმზრდელი მიზნების მიღწევის დადგენა; 2. ინფორმაციის შეგროვება სწავლების პროცესის შესახებ; 3. ბავშვების შეფასება მნიშვნელოვან უნარებში და რეალისტურ კონტექსტში; 4. ინდივიდუალური ბავშვის განვითარების აღწერა;

კვლევითი საფუძველი. ცხადია, რომ იმ კურიკულუმის მოდელი უფრო შედეგიანია დასახული მიზნების მისაღწევად, რომელიც ეყრდნობა შესწავლილ თეორიულ მოდელს, და რომლის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ის ეფექტურია. შესაბამისად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თითოეული კურიკულუმის მოდელი, რა თეორიული საფუძველი აქვს და ეყრდნობა თუ არა თანამედროვე კვლევებს; ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თავად ეს მოდელი გამხდარა თუ არა კვლევითი ინტერესის სფერო და თუ რას გვეუბნებიან კვლევები ამ მოდელის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, მის ეფექტურობაზე (ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო - 2015).

მასწავლებელზე მორგებადობა. კურიკულუმი მხოლოდ ბავშვზე არ უნდა იყოს მორგებული, არამედ აღმზრდელზეც. მასწავლებლის კომპეტენციის დონეები (Tanner and Tanner, 2000) სამად შეიძლება დავყოთ: I დონე - მასწავლებელი იყენებს მზა რუტინულ მასალას, როგორცაა სამუშაო ფურცლები. არ ხდება მასალის კრიტიკული შეფასება და გამოყენებულია იზოლირებულ აქტივობებში; II დონე - მასწავლებელი ცდილობს ინტეგრირება გაუკეთოს დაუფეგმავად წამოჭრილ საკითხებს და ყველა სწავლების სფეროს, მაგრამ ის შეიძლება ყოველთვის წარმატებულად ვერ ართმევდეს თავს; III დონე - მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ფართო თემებზე, რომელიც დაკავშირებულია თითოეულ სწავლების სფეროსთან და ასევე იღებს საკმაოდ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს კურიკულუმის ბავშვების საჭიროებებზე ადაპტაციისთვის.

სხვადასხვა კურიკულუმის მოდელი სხვადასხვა კომპეტენციის დონის მქონე მასწავლებელზეა მორგებული. რადგან ეს კომპეტენციის დონეები არ არის საფუძვრეობრივი, მესამე კომპეტენციის დონის მასწავლებელსაც გაუჭირდება იმ კურიკულუმის მოდელში მუშაობა, რომელიც შექმნილია კომპეტენციის პირველი დონის მასწავლებლისთვის. შესაბამისად თუ მიღებული კურიკულუმის მოდელი არ შეესაბამება ქვეყანაში ან ბაღში მომუშავე აღმზრდელების კომპეტენციის დონეს, აუცილებელია მათი გადამზადება, რათა ეფექტური მოდელი გამოდგეს (ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო -2015).

მასალა. ადრეულ ასაკში ბავშვების კოგნიტური და სოციალურ-ემოციური განვითარება ხდება ფიზიკურ საგნებთან ურთიერთქმედების საშუალებით. შესაბამისად იმის განსაზღვრა თუ რა მასალის გამოყენებას გვთავაზობს სასწავლო-სააღმზრდელი პროცესში კურიკულუმის მოდელი, შეიძლება გადამწყვეტი იყოს მიზნების მიღწევისთვის. მასალის კატეგორიზაცია ბევრნაირად შეიძლება გავაკეთოთ, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ დახურული- და ღია- მასალა, როგორც მნიშვნელოვანი განმასხვავებლის მქონენი. დახურული- მასალა არის ისეთი მასალა, რომელსაც კონკრეტული გამოყენების წესი აქვს, მაგალითად ფაზლი (ასაწყობი მასალები), სათამაშო ტელეფონი, წიგნი და სხვა; ხოლო ღია- მასალა იძლევა შემოქმედებითი მიდგომის საშუალებას, რადგან ის შეიძლება მრავალმხრივ იყოს გამოყენებული, ასეთია მაგალითად ქსოვილი, ქაღალდი, მუყაოს ყუთები, პლასტმასი, კენჭები, კუბები და სხვა.

პედაგოგია/Pedagogics

მშობლების ჩართულობა. კურიკულუმის მოდელი შეიძლება არ მოიაზრებოდეს, გულისხმობდეს ან ექსპლიციტურად ხაზს უსვამდეს მშობლის ჩართულობას სასწავლო სააღმზრდელო პროცესში. თანამედროვე კვლევები გვიჩვენებენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მშობლისა და თემის ჩართულობა პროცესში, და რომ ასევე მნიშვნელოვანია ამის ხაზგასმა კურიკულუმში. მშობელი შეიძლება ჩართული იყოს სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა მიზნით. ის შეიძლება იყოს როგორც დამკვეთი ანუ ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს. ამ შემთხვევაში ის ჩართულია, როგორც ადმინისტრაციულ საკითხებში ისე სასწავლო პროცესში. მშობელი შეიძლება იყოს ინფორმაციის წყარო, რომელიც უმნიშვნელოვანესია აღმზრდელისთვის, რომ სწორად დაგეგმოს სასწავლო პროცესი. მშობელი ასევე შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ბავშვის პირველი აღმზრდელი, რომელთან თანამშრომლობაც გადამწყვეტია, რათა ბაღში შეძენილი უნარ-ჩვევების გენერალიზაცია მოხდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მშობლის ჩართულობის მიზანი შეიძლება იყოს კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა ბავშვებისთვის. რომ შევაჯამოთ, კურიკულუმის მოდელი - არის „თეორიული მოცემულობების, ადმინისტრაციული წესებისა და პედაგოგიური კომპონენტების იდეალური წარმოდგენა პროგრამაში, რომელიც მიზანმიმართულია კონკრეტული საგანმანათლებლო შედეგისკენ“ (ბაგა - ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო -2015).

ფრიდისა და აკერმანის აზრით, დღემდე არსებული კვლევები არ ძლევა საშუალებას გამოვკვეთოთ ერთი რომელიმე კურიკულუმი, როგორც საუკეთესო და გამორჩეული. მათ მიაჩნიათ, რომ საჭიროა ნებისმიერმა პიროვნებამ რომელიც სკოლამდელი განათლების სასწავლო-სააღმზრდელო პროცესშია ჩართული, გააცნობიეროს, გაითავისოს ეფექტური კურიკულუმებისა და მათი მახასიათებლების ცოდნის აუცილებლობა, რათა უზრუნველყონ ბავშვების სკოლისა და მომავალი ცხოვრებისათვის მომზადება.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე ადრეული განათლების კურიკულუმი წარმოგვიდგება, როგორც დოკუმენტი, მოდელი, კულტურის შუამავალი, დინამიური კონცეფცია, დაკვირვება, შინაარსი, პროცესი, პროდუქტი, რომელიც ხელს უწყობს ადრეულ ასაკში სწავლა/სწავლების ბავშვზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვას, გარემოს მოწყობას და ორგანიზებას, პრაქტიკისა და თეორიის ერთიანობას, მეთოდებისა და აქტივობების განსაზღვრას, შეფასებას და ევალუაციას (რისამე ღირებულებების, ფასეულობების და ხარისხის დადგენის პროცესი), ბავშვის ემერჯენტული (ჩანასახოვან) და ჰოლისტური (ფიზიკურ, კოგნიტურ, სოციალურ-ემოციურ საჭიროებებს) ინტერესებს, შემოქმედებით წინსვლას, კრიტიკული, დამოუკიდებელი აზროვნების და ჰუმანისტური ღირებულებების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იმერი ბასილაძე, ნინო ჭოხონელიძე, ნინო კოსტავა, სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, აქტივობის ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ISBN 978-9941-432-27-9 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
2. კლერ მაკლაქლანი, მერილინ ფლიერი, სუზან ედვარდსი, ადრეული ბავშვობის კურიკულუმი მეორე გამოცემა, კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამომცემა, 2016 წ.
3. ელენ ფრიდი და დებრა ჯ. აკერმანი (2007): ბაგა ბაღის კურიკულუმი: განზომილებების გააზრება, ადრეული განათლების კვლევების ნაციონალური ინსტიტუტი [Ellen Frede and Debra J. Ackerman (2007): Preschool Curriculum Decision-Making: Dimensions to Consider, National Institute for Early Education Research] ,www.nieer.org
4. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო (2015).
5. Te Whàriki, He Whàriki Màtauranga mò ngà Mokopuna o Aotearoa Early Childhood Curriculum Ministry of Education, Learning Media (1996).
6. იმერი ბასილაძე, მაია ახვლედიანი, ნინო სოხაძე, ნატო დვალი, მოკლე საგანმანათლებლო დიდაქტიკური ლექსიკონი, ISBN 978-9941-408-89-2, აწსუ 2009 წ.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საკითხი ადრეული განათლების კურიკულუმის არსის შესახებ. პირველი მეცნიერი, რომელმაც დასვა საკითხი, თუ რა არის კურიკულუმი და როგორია მისი წარმოშობის ეტიმოლოგია, არის ჯოზეფ დოლჩი. XVII საუკუნეში ტერმინმა "კურიკულუმი" შეცვალა გეგმა, ხოლო შემდეგ - სასწავლო გეგმა.

ადრეული განათლების სფეროში მომუშავე პირებისათვის კურიკულუმი არის: 1. მოდელი; 2. დოკუმენტი; 3. გარემოს მოწყობის ფორმა; 4. ბავშვის სწავლის დაგეგმვის მეთოდი; 5. მასწავლებლის მიერ ყოველდღე მიღებული გადაწყვეტილება ბავშვებისა და სწავლის შესახებ; 6. საკითხი, რომელიც თანხმდება მშობლებთან, თემთან და გარე უწყებებთან; 7. ის, რისი ნახვაც სურთ გარე შეფასების უწყებებს?

ჩვენ მიერ შესწავლილი და განხილული მასალებიდან გამომდინარე ადრეული განათლების კურიკულუმი წარმოგვიდგება, როგორც დოკუმენტი, მოდელი, კულტურის შუამავალი, დინამიური კონცეფცია, დაკვირვება, შინაარსი, პროცესი, პროდუქტი, რომელიც ხელს უწყობს ადრეულ ასაკში სწავლა/სწავლების ბავშვზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვას, გარემოს მოწყობას და ორგანიზებას, პრაქტიკისა და თეორიის ერთიანობას, მეთოდებისა და აქტივობების განსაზღვრას, შეფასებას და ევალუაციას (რისამე ღირებულებების, ფასეულობების და ხარისხის დადგენის პროცესი), ბავშვის ემერჯენტულ (ჩანასახოვან) და ჰოლისტურ (ფიზიკურ, კოგნიტურ, სოციალურ-ემოციურ საჭიროებებს) ინტერესებს, შემოქმედებით წინსვლას, კრიტიკული, დამოუკიდებელი აზროვნების და ჰუმანისტური ღირებულებების განვითარებას.

Imeri Basiladze - Akaki Tsereteli State University

Manoni Beruchashvili - Tutor at the kindergarten № 31, Kutaisi

For the essence of the Early Education Curriculum issues in the Modern Georgian Pedagogical Thinking

Resume

The article deals with the issue of early education curriculum essence. The first scientist who raised the issue of what is curriculum and what kind of origin etymology it has, is Josef Dolch. In the XVII century, the term "curriculum" changed the term – "plan" and then "study plan".

For the people working in an early education, curriculum is: 1. Model; 2. Document; 3. Environmental arrangement; 4. Method of planning child's learning method; 5. Teacher's daily solution about children and teaching; 6. The issue, which is agreed with parents, community and external agencies; 7. What external agencies want to see.

We studied and reviewed materials about the early education curriculum and we consider it as a document, model, mediator in the culture, dynamic concept, observation, content and process. We also consider it as a product which promotes planning early childhood teaching / learning process, arranging environment and organizing it, unifying practice and theory, determining methods and activities, assessment and evaluation (process of determining values and quality). It also means developing the child's emergent (embryonic) and holistic (physical, cognitive, social and emotional needs) interests, creative development, critical, independent thinking and humanist values.

ნოდარ ბასილაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

**„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“
და პირველი ქართული სკოლა აჭარაში**

1879 წლის 15 მაისს თბილისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

საზოგადოება იწოდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებლად, მაგრამ მისი მიზანი ძალზე ფართო იყო, კერძოდ, იგი ითვალისწინებდა ხალხში განათლების შეტანას, ეროვნული და სოციალური თვითშეგნების ამაღლებას, ცრუმორწმუნეობისა და მავნე ადათ-წესების აღმოფხვრას, ენისა და ლიტერატურის აღორძინებას, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების დამკვიდრებას და დაშლილ-დაქსაქსული ერის გაერთიანებას.

იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, საზოგადოების შექმნის იდეა დაიბადა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ **იოსებ მამაცაშვილის** ლიტერა-ტურულ სალონში, რომელშიც, სხვებთან ერთად, თავადაც აქტიურად მონაწილეობდა.

საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ბესარიონ ლოლობერიძე, ვახტანგ თულაშვილი და სხვები.

ილია ჭავჭავაძე 1879 წლის აპრილის “შინაურ მიმოხილვაში” მიესალმა ამ საზოგადოების დაარსებას და იმთავითვე განსაზღვრა მისი მიზანდასახულობა და დანიშნულება: “...საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელება საქართველოში..., ღირსია ყურადღებისა. ეს საზოგადოება თავის დანიშნულობის აღსასრულებლად მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო შკოლების გამართვას, არამედ დაარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს, მასწავლებლებს გამოზრდის ან თავისგანვე დაფუძნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან თავისი ხარჯით; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვადასხვა ადგილას და სხვ.”

პირველ ხანებში საზოგადოებას კერძო წრის სახე ჰქონდა, რომლის წევრები აგროვებდნენ ფულს საქველმოქმედო საქმისათვის, უწინარეს ყოვლისა, დაწყებითი სკოლების გახსნისათვის. პირველი ასეთი სკოლა წრემ მთავრობის ნებართვით გახსნა სოფელ ხოვლეში. მეოთხე კლასამდე სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მეოთხე კლასში განათლების ორგანოების დაჟინებული მოთხოვნით ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლებინათ.

“საქმის მდგომარეობამ დაგვარწმუნა, – წერს ი. გოგებაშვილი, – რომ ჩვენის მიზნის და წადილის მისაღწევად კერძო წრე უძლურია, და საჭიროა ფართო საზოგადოება, ჯეროვანი წესდებულებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა იქნას დამტკიცებული და დაკანონებული”.

ამიტომ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე 1876 წლიდან შეუდგნენ “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” დაარსებისათვის ზრუნვას. მათ ხარკოვში მცხოვრებ ვახტანგ თულაშვილის სიმამრისაგან მიუღიათ “წერა-კითხვის გამავრცელებელი უკრაინის საზოგადოების” წესდება და მის საფუძველზე დაუწყიათ ჩვენი საზოგადოების წესდების შემუშავება. ი. გოგებაშვილის ავადმყოფობის გამო, წესდება ძირითადად დ. ყიფიანმა და ნ. ცხვედაძემ შეიმუშავეს, მაგრამ ი. გოგებაშვილმა იგი სრულყოფილად არ მიიჩნია, რადგან მასში არ იყო გარკვევით ნათქვამი, რომ სწავლება საზოგადოების მიერ დაარსებულ სკოლებში მხოლოდ მშობლიურ, ქართულ ენაზე იწარმოებდა. “წესდებულების დამთავრების შემდეგ იგი გამოვართვი ცხვედაძეს და გულდადებით გადავიკითხე, – წერს იაკობ გოგებაშვილი. – აღმოჩნდა, რომ მუხლი დედა-ენაზედ საგნების სწავლების შესახებ არ შეეტანათ შიგა. როცა მიზეზი ვიკითხე, ცხვედაძემ მითხრა, რომ დიმიტრი ივანეს-ძეს (დ. ყიფიანი – ნ. ბ.) აზრით მაგ მუხლს მთავრობა არ შეიწყნარებს, წესდებულებას არ დაგვიმტკიცებს და საზოგადოებას ვერ დავაარსებთო. მე ვუპასუხე: “თუ ეგ მუხლი არ იქნება მოქცეული წესდებაში, საზოგადოების დაარსება ამაო იქნება, რადგანაც ბიუროკრატია უფლება მიეცემა სწავლება საზოგადოების სკოლაში რუსულ ენაზე მოითხოვოს და მაშინ ჩვენი საზოგადოება ქართველის ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გადაგვარებას და მის გონების დაბნელებას დაეხმარება მეთქი”. და მაშინვე ჩემი ხელით წესდებულებაში, რომელიც დაწერილი იყო ცხვედაძის მიერ რუსულ ენაზე შავად, ჩავურთე შემდეგი პარაგრაფი:

პედაგოგია/Pedagogics

“საზოგადოება თავის საგანმანათლებლო მიზანს განახორციელებს დაწყებით კლასებში სწავლების ბავშვებისათვის გასაგებ მშობლიურ ენაზე შემოღებით, რაც ხელს შეუწყობს რუსული ენის შესწავლას”.

საზოგადოების წევრთა უმრავლესობა (დიმიტრი ყიფიანი, ბესარიონ ლოღობერიძე, ნიკო ცხვედაძე და სხვები) ეჭვქვეშ აყენებდა აღნიშნული პარაგრაფის შენარჩუნებას. ეგონათ, რომ ცარიზმის მოხელეები არ დაუშვებდნენ წესდების ასეთ მოთხოვნას, მაგრამ ი. გოგებაშვილი ეყრდნობოდა მეფე ალექსანდრე მეორის 1864 წლის 30 აგვისტოს რესკრიპტს, რომელიც ეხებოდა პოლონელი ახალგაზრდების სწავლების საქმეს. ამ რესკრიპტის 49-ე პარაგრაფში ეწერა: “ყოველს პირველ-დაწყებითს სასწავლებელში სწავლა უნდა იყოს იმ ენაზე, რა ენაზედაც ლაპარაკობენ იმ ქალაქისა და სოფლების მცხოვრებნი, სადაც სკოლაა გამართული”.

ამრიგად, რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ხალხს უფლება ჰქონდა, სწავლება წარემართა მშობლიურ ენაზე. ამიტომ ეს პუნქტი უცვლელად დაუტოვებიათ.

წესდება, რომელსაც ხელს აწერდა 126 დამფუძნებელი, 1878 წლის 20 ივნისს დასამტკიცებლად წარედგინა კავკასიის მეფისნაცვალს და დიდი ბრძოლის შემდეგ დამტკიცდა მხოლოდ 1879 წლის 31 მარტს. ამ საქმეში ქართველი მოღვაწეებისათვის ქმედითი დახმარება გაუწევია ილია ჭავჭავაძის ქვისლს – გენერალ **დიმიტრი სტაროსელსკის**, რომელიც მაშინ კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე იყო.

დამფუძნებელთა პირველი ყრილობა შედგა 1879 წლის 15 მაისს თბილისის საადგილმამულო ბანკის შენობაში დ. ყიფიანის თავმჯდომარეობით. ყრილობაზე საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩეულ იქნა 60 კაცი. დაისვა საკითხი საზოგადოების გამგეობის არჩევის შესახებ. დასახელებულ 35 კანდიდატიდან კენჭი უყარეს 19-ს, რომელთაგან ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და რაფიელ ერისთავი, საზოგადოების კანდიდატებად კი არჩეულ იქნენ – ნ. ქანანოვი (ქანანაშვილი), დ. ავალიშვილი და გ. უთურგაული.

საქმე მიდგა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის არჩევაზე. ამ საპატიო მოვალეობის შესრულება პირველად გრიგოლ ორბელიანს შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა და მისივე წინადადებით ერთხმად იქნა არჩეული დიმიტრი ყიფიანი, გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) – ილია ჭავჭავაძე, მდივნად – ალ. სარაჯიშვილი (მალე იგი ამ თანამდებობაზე იონა მეუნარგიამ შეცვალა) და მოლარედ – რ. ერისთავი.

დიმიტრი ყიფიანის შემდეგ საზოგადოებას სხვადასხვა დროს თავმჯდომარეობდნენ: ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი (1882-1885 წწ.), ილია ჭავჭავაძე (1885-1907 წწ.), გიორგი ყაზბეგი (1907-1921 წწ.) და ალ. ჭყონია (1921-1927 წწ.).

დამფუძნებელ წევრებს საზოგადოების სასარგებლოდ წელიწადში უნდა შეეტანათ 20 მანეთი, ხოლო ნამდვილ წევრებს – 6 მანეთი, დამხმარე წევრებს ფულის შეტანა არ ევალებოდათ. ისინი მხოლოდ გარკვეულ დახმარებას უწევდნენ საზოგადოებას.

საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული სკოლის გახსნას ისეთ ადგილებში, სადაც მოსახლეობა, სკოლების უქონლობის გამო, მოკლებული იყო მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებას. იმ პერიოდში ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო აჭარა, რომელიც სამასი წლის განმავლობაში თურქთა უღლის ქვეშ ყოფნის შემდეგ 1878 წელს სამუდამოდ დაუბრუნდა დედასამშობლოს – საქართველოს და ჩაერთო მისი საერთო ცხოვრების ფერხულში, მაგრამ იგი განათლებით, კულტურითა და ეროვნული თვითშეგნებით დიდად ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა კუთხეებს.

ამიტომ აჭარაში ქართული სკოლის გახსნა ფრიად მნიშვნელოვანი საქმე იყო. იგი ხელს შეუწყობდა ქართველი მუსლიმანების მიერ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას და მათი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, მაშინ როცა, ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის **მემედ აბაშიძის** გადმოცემით, მეფის ჩინოვნიკებმა ბათუმის ოლქის ყველა მუსლიმანი ქართველი თურქებად მონათლეს იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ ქრისტიან ქართველებთან მათი შეკავშირებისათვის.

და აი, ქართველი განმანათლებლების თაოსნობით, 1881 წლის მარტში “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ” ბათუმში სახეიმო ვითარებაში გახსნა პირველი ქართული სკოლა. აქამდე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, აღნიშნული სკოლის გახსნის თარიღად მიჩნეული იყო 1881 წლის 23 მარტი. ამ აზრს არ იზიარებს მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი რამაზ სურმანიძე. 1987 წლის 1 იანვრის გაზეთ “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნებულ წერილში “ილიას მადლი” იგი აღნიშნავს, რომ ბათუმში პირველი ქართული სკოლა გაიხსნა არა 1881 წლის 23

პედაგოგია/Pedagogics

მარტს, არამედ 12 მარტს. იგივე გაიმეორა აკად. გურამ შარაძემ (იხ. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე, წიგნი I, თბ., 1987, გვ. 293). ორივე მათგანი თავიანთი მოსაზრების დასასაბუთებლად იშველიებს 1881 წლის 20 მარტს გაზეთ "დროებაში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომლსაც ხელს აწერს ვინმე "კრაზანა", რომელიც, მათი აზრით, იყო ლევან მჭედლიშვილი. ინფორმაციაში ვკითხულობთ: "როგორც იყო ძლივს გვადირსა "საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" პირველი სასწავლებლის გახსნა ბათუმში, რომლისთვისაც იყო გამოგზავნილი თ. ი. გ. ჭავჭავაძე". სკოლის გახსნის თარიღზე კი წერილში არაფერია ნათქვამი. მხოლოდ დასასრულს მიწერილია: "კრაზანა, ბათუმი, 12 მარტს". ჩვენ ამით არ დაგვაკმაყოფილდით, რადგან 12 მარტი შეიძლება ყოფილიყო ინფორმაციის დაწერის და არა სკოლის გახსნის თარიღი. ამიტომ განვაგრძეთ სკოლის გახსნის ზუსტი თარიღის დამადასტურებელი საბუთის ძიება და ამავე გაზეთის 1881 წლის 19 აპრილის ნომერში (№80) მივაკვლიეთ მეორე ხელმოწერილ ინფორმაციას, რომელშიც ნათქვამია: "დროების" მკითხველებმა იციან, რომ წელს 12 მარტს ბათუმში ჩვენმა "წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" გახსნა საერო სკოლა ქართველ მაჰმადიანთათვის. რასაკვირველია, ბათუმში სკოლის დაარსება ყველასათვის სასიამოვნოა, რადგანაც ეს პირველი და ერთადერთი სკოლაა ადგილობრივი ქართველებისათვის".

ამრიგად, ბათუმის პირველი ქართული სკოლა გაიხსნა არა 1881 წლის 23 მარტს, არამედ 12 მარტს, რამაც ამიერიდან სწორი ასახვა უნდა პოვოს შესაბამის პედაგოგიკურ ლიტერატურაში, ასევე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საჯარო სკოლის შესასვლელ კარებზე მიწერილ ინფორმაციაშიც, სადაც ნათქვამია, რომ აღნიშნული სკოლა გაიხსნა 1881 წლის 23 მარტსო.

პირველ წელს სკოლაში სიით ირიცხებოდა 28 მოსწავლე, აქედან 11 მაჰმადიანი ქართველის შვილი, რომელთა შორის იყო ერთი გოგონა – ხუსეინ აბაშიძის ქალიშვილი ულვიე (მემედ აბაშიძის ბიძაშვილი), რომლის ჩარიცხვამ "გიაურების" სკოლაში უარყოფითი გამოხმაურება პოვა მუსლიმანურ საზოგადოებაში.

აღნიშნულ რეგიონში ქართული სკოლის დაარსების საკითხი პირველად ნიკო ცხვედაძეს წამოუყენებია საზოგადოების გამგეობის 1879 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე. მისი გახსნის საკითხის მოგვარება ამავე სხდომაზე დაუვალებიათ ი. ჭავჭავაძისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელის მოუცლელობის გამო, ეს ვალდებულება ნ. ცხვედაძეს უკისრია და წარმატებითაც შეუსრულებია. მას მხარში ედგნენ პროგრესულად მოაზროვნე ადგილობრივი მკვიდრნი: იბრაიმ და ხუსეინ აბაშიძეები, ექვთიმე ბერძენიშვილი, ნიკო საბაშვილი (საბავეი), პლატონ გიგინეიშვილი, ქეთევან ჟურული, მაკრინე ღლონტი, გრიგოლ ელიავა, სეფე მხეიძე, ილია ფერაძე, ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, წ. კ. გ. საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე, ქალაქის გამგეობის წევრი გრ. ვოლსკი, გამგეობის მდივანი ივანე მესხი და აჭარის მოწინავე საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. მათგან ზოგი სკოლის მშენებლობაში ღებულობდა მონაწილეობას, ზოგი მოსწავლეთა მოზიდვაში, ზოგი კი ცდილობდა ხალხის სიბნელიდან გამოყვანასა და მათში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მატერიალურადაც ეხმარებოდნენ სკოლას. მათგან, უწინარეს ყოვლისა, გამირჩეოდა დურმიშხან და ქეთევან ჟურულების ოჯახი. ეს უკანასკნელი სკოლის სასარგებლოდ მართავდა წარმოდგენებს, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე თბილისიდან ჩამოსული მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, მაგრამ ეს წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა. მაშინ გრიგოლ ვოლსკიმ და ივანე მესხმა, გადმოგვეცემს **დავით კლდიაშვილი**, გადაწყვიტეს, ყოველი წლის 14 იანვარს განსხვავებული საღამოს "წინობის" გამართვა. პირველ საღამოზე შეგროვებულა სამი ათას მანეთზე მეტი, რაც მაცოცხლებელ წყაროდ ქვეულა სასწავლებლისათვის. მაგრამ ვოლსკი და მესხი ამითაც არ დაკმაყოფილებულან და სკოლისათვის საკუთარი შენობის აგება განუზრახავთ, რისთვისაც საჭირო იყო მიწის ნაკვეთი, რაც ძალზე გამძნელებულა. მაშინ **ხუსეინ აბაშიძეს** (მემედ აბაშიძის ბიძა) სპეციალური წერილი გაუგზავნია ილია ჭავჭავაძისათვის და უცნობებია: "ჩემი მამულიდან ას საჟენ მიწას შევწირავ სკოლის შენობის ასაგებად".

მას მალე სიტყვა საქმედ უქცევია და იმ ადგილას, სადაც ახლა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის № 1 საჯარო სკოლაა, გამოუყია მიწის ნაკვეთი. სულ მოკლე ხანში ბათუმის პირველი ქართული სკოლისათვის აუშენებიათ ერთსართულიანი შენობა, რომელიც შედგებოდა ორი საკლასო ოთახისაგან, ერთი დარბაზისაგან, საბიბლიოთეკო და ერთი საშუალო ზომის ოთახისაგან. მოგვიანებით სკოლაზე დაშენდა მეორე სართული. აღნიშნული სკოლის შენობა დაანგრის 1970 წელს და მის ადგილას აშენდა ქ. ბათუმის ამჟამინდელი № 1 საჯარო სკოლის ოთხსართულიანი შენობა.

პედაგოგია/Pedagogics

“ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” სხდომაზე ქ. ბათუმის სკოლის პირველ მასწავლებლად ფარული კენჭისყრით აურჩევიათ **ალექსანდრე ნანეიშვილი**, პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ყოფილი სტუდენტი, რომელიც მესამე კურსიდან ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გაურიცხავთ. სკოლის გახსნას დასწრებია და შთამაგონებელი სიტყვა წარმოუთქვამს ილია ჭავჭავაძეს.

ილია, იაკობ გოგებაშვილთან ერთად, დიდად ზრუნავდა ბათუმის პირველ ქართულ სკოლაზე. ამაზე მეტყველებს თუნდაც **მიხაკო შარაშიძის** მოგონება აღნიშნულ სკოლაში 1891 წელს მისი სკოლის გამგედ გამოგზავნასთან დაკავშირებით. ბათუმში გამგზავრებამდე, იგონებს მ. შარაშიძე, ილია ჭავჭავაძემ მიმიხმო ბინაზე და ასე დამარიგა: “ჩემი პირადი სურვილი და განკარგულება იყო, რომ შენ ასეთ პასუხსაგებ ადგილზე გამეგზავნე. იმედია გაამართლებ ჩემს ნდობას... დიდი სიფრთხილით არის მუშაობა საჭირო ქართველ მუსლიმანებს შორის. გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები – ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარე ყოველი ღონე, რათა მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. იარე საყავებში, ნუ დაერიდები სარდაფებში, მეჩეთში, და ერთი სიტყვით, იქ სადაც ქართველ მუსლიმანებს ჩვევიათ თავის შეყრა. დიდი მიღწევა იქნება ჩვენი მხრივ თუ წერა-კითხვასთან ერთად მათ შეაგნებინებ, რომ ისინი ქართველებია, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით”.

ბათუმის პირველმა ქართულმა სკოლამ დიდი როლი შეასრულა ადგილობრივ მაჰმადიან ქართველთა შვილებში ეროვნული თვითმეგნების ამალეებასა და “გონებითა და გულით გაღვიძებული” (ი. ჭავჭავაძე) მომავალი თაობის აღზრდაში.

ასე დაიწყო აჭარაში ქართული წერა-კითხვისა და ეროვნული კულტურის აღორძინება, რაშიც უდიდესი დამსახურება ქართველ სამოციანელებს, უწინარეს ყოვლისა კი, ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილს მიუძღოდან.

აჭარა არასოდეს დაივიწყებს ალექსანდრე ნანეიშვილის, მოსე ნათაძის, მიხეილ და ერმილე შარაშიძეების, ივლიანე გოგოლიშვილის, ალექსანდრე მეგლაძის, ისიდორე რამიშვილის, ნიკო ჯაყელისა და სხვათა სახელებს, რომლებიც აჭარაში იმ მნელბედობის წლებში მოღვაწეობდნენ და, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, თავიანთი უანგარო შრომით ასობით ახალგაზრდას აუხილეს თვალი, ასწავლეს ქართული წერა-კითხვა, შთაუწერეს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და თავდადება, განუმტკიცეს ეროვნული გრძნობები.

“ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ” იარსება 1927 წლამდე, შემდეგ მისი ფუნქცია იკისრა საქართველოს განათლების სამინისტრომ და წერა-კითხვის საზოგადოების არსებობას საფუძველი გამოეცალა.

Nodar Basiladze

„The Literacy Society among Georgians“and the First Georgian School in Adjara Summary

On may 15, 1879 „The Literacy Society among Georgians“ opened in Tbilisi in the native bank building. The aim of which was to open schools in areas where was the illiterate population. At that time Adjara was one of that area, which was under Turkish yoke for 300 years and in 1978 it returned to its motherland, Georgia.

So, on May 12, 1881 this society opened the first Georgian school in Batumi, whose manager was Aleksandre Naneishvili, St. Petersburg Medical-Surgical academy’s ex-student, who was excluded from the third year for being the member of people’s movement.

The first Georgian school in Batumi had an important role for the local inhabitants- muslim Georgians, their education and self-consciousness.

ლალი აბდლაძე – გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია, ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, განათლების აკადემიური დოქტორი, პროფესორი
მაია ახვლედიანი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ჯონ დიუი – ფილოსოფოსი, პედაგოგი და რეფორმატორი

XIX საუკუნის ბოლოს ინდუსტრიალიზაციამ, უდიდესმა ტექნიკურმა აღმოჩენებმა შეცვალა ამერიკის ჩვეული გარემო, ყოფა, ცხოვრების წესი. ამერიკის საზოგადოება დადგა ახალი ღირებულებებისა და იდეალების არჩევის წინაშე. მწვავედ იგრძნობოდა ახალი თეორეტიკოსის გამოჩენის აუცილებლობა. პასუხს მოითხოვდა კითხვები: როგორ უნდა ვიცხოვროთ მომავალში? რა უნდა ედოს საფუძვლად ადამიანთა ცხოვრებასა და ქცევას? როგორ უნდა აღვზარდოთ ახალგაზრდა თაობები ახალ, რადიკალურად შეცვლილ პირობებში? პასუხის გამცემად ამერიკის საზოგადოებას მოველინა ჯონ დიუი, რომელმაც შეიმუშავა იდეებისა და თეორიების წმინდა ამერიკული სისტემა. მისმა იდეებმა გაამდიდრა ქვეყნის თეორიული აზროვნება მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა სფეროში: ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, პედაგოგიკასა და სოციოლოგიაში, უდიდესი გავლენა იქონია მსოფლიოს ცნობიერებაზე.

ჯონ დიუი – ჰუმანისტური მიმართულების წარმომადგენელია. იგი მხარს უჭერდა ახალ პედაგოგიურ სისტემას, რომლის ცენტრი იქნებოდა ბავშვი, რომელიც გაითვალისწინებდა ბავშვის ბუნებრივ მონაცემებს, მისი პიროვნული თვისებების, ტემპერამენტის, აზროვნების სტილის მრავალფეროვნებას. დიუიმ ხანგრძლივი ცხოვრების გზა განვლო (1859-1952). 40 წიგნისა და 700 სტატიის ავტორია. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ცხოვრების, სოციალური საკითხების მიმართ. ბევრს მოგზაურობდა, ცდილობდა საკუთარი იდეების პრაქტიკაში განხორციელებას. ქმნიდა და ხელმძღვანელობდა ექსპერიმენტულ სასწავლო დაწესებულებებს.

მასზე დიდი გავლენა იქონია იდეებმა, რომლებსაც იკვლევდა ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული მეტაფიზიკური კლუბი. ამ კლუბში წარმოიშვა პირველი იდეები, რომლებმაც შემდგომში შექმნეს ფილოსოფიური მიმართულება „პრაგმატიზმი“, რომელიც ამერიკული თეორიული აზროვნების სავიზიტო ბარათად იქცა.

თავისი იდეები დიუიმ ასახა შრომებში: „ადამიანის ბუნება და ქცევა“ (1922), „როგორ ვფიქრობთ“ (1910), „დემოკრატია და განათლება“ (1916), „ინდივიდუალიზმი – ძველი და ახალი“ (1930) და სხვ.

დიუი აყალიბებს პრობლემის გადაჭრის ოთხ ლოგიკურ საფეხურს ესენია: პრობლემის განსაზღვრა; 2. შესაძლო გადაწყვეტის დასაბუთება; 3. მსჯელობის გზით გადაწყვეტილების შედგენის დადგენა; 4. შემდგომი დაკვირვება და ექსპერიმენტი.

დიუიმ მრავალი ნაშრომი მიუძღვნა სკოლის რეორგანიზაციის საკითხებს. ის მკაცრად აკრიტიკებდა ტრადიციულ სკოლას. სადაც ბევრი რამ ისეთი ისწავლება, თანაც იმ ფორმით, რაც გაუგებარია ბავშვისთვის, აძულებს მას სწავლას.

საკუთარი პედაგოგიური სისტემის შემუშავებისას დიუი ეყრდნობა უდიდეს წინამორბედთა – რუსოს, პესტალოცის, ფრებელის მემკვიდრეობას. დიუისთვის ამოსავალ იდეად იქცა რუსოს იდეა - განათლების, როგორც ბუნებრივი ზრდის პროცესის შესახებ. დემოკრატიული საზოგადოების სკოლაში „ბავშვი – ყველაფრის ამოსავალი წერტილი, ცენტრი და დასასრულია.“ (1:7).

განათლების მთავარი მიზანი, დიუის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ „ ხელი შეუწყოს ბავშვის სხეულისა და ჭკუის სრულ და თავისუფალ განვითარებას“ (2: 16).

დიუის ოპონენტები მის იდეებში ხშირად ხედავდნენ ორგანიზებულ სწავლებაზე უარის თქმას. სინამდვილეში კი მეცნიერი სწავლებას წარმოაჩენდა, როგორც „მუდმივ გარდაქმნას, რომელიც მოძრაობს ბავშვის უშუალო გამოცდილებიდან ჭეშმარიტების ორგანიზებული მასისაკენ, რომელსაც ჩვენ მეცნიერებას ვუწოდებთ“. (1:17).

დიუის იდეის თანახმად, დაწყებით კლასებში სწავლება უნდა იყოს აგებული ბავშვის ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. იგი ორიენტირებულია შემეცნებითი აქტივობის განვითარებაზე და ბავშვების შეიარაღებაზე დამოუკიდებელი აღმოჩენების მეთოდებით. „ცოდნის შექმნის საერთო მიზანია იმ გზის პოვნა, თუ როგორ მოვიპოვოთ ცოდნა, როცა ის საჭიროა, და არა უბრალოდ, თავისთავად ცოდნა“ (2:18).

პედაგოგია/Pedagogics

დიუი – ჰუმანისტური მიმართულების წარმომადგენელია. მისთვის დამახასიათებელია ბავშვის მიმართ სიყვარული და პატივისცემა. „ბავშვი უნდა იქცეს მზედ, რომლის გარშემოც ბრუნავს ყველა საგანმანათლებლო საშუალება“ (1:12). დიუი მოითხოვს, რომ სკოლაში იყოს თავისუფალი ატმოსფერო თითოეული ბავშვის მრავალფეროვანი საქმიანობისათვის და თვითრეალიზებისათვის. ამავდროულად მეცნიერი უარყოფს შეუზღუდავ, თავაშვებულ თავისუფლებას.

დიუი მხარს უჭერდა ახალ პედაგოგიურ სისტემას, რომლის ცენტრი იქნებოდა ბავშვი და რომელიც გაითვალისწინებდა ბავშვის ბუნებრივ მონაცემებს, მათი პიროვნული თვისებების, ტემპერამენტის, აზროვნების სტილის მრავალფეროვნებას. მისი სისტემის საკვანძო სიტყვებს წარმოადგენს: *ზრდა და განვითარება*.

განათლება მისთვის წარმოადგენს ბავშვის გამოცდილების რეორგანიზაციის უწყვეტ პროცესს, რომელიც ხელს უწყობს მის წინსვლას გამოცდილების უფრო მაღალი საფეხურისაკენ.

დიუისათვის გარემო – ადამიანის ზრდა-განვითარების აუცილებელი პირობაა. იგი ავითარებს ბავშვს როგორც მთლიან ორგანიზმს, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ ძალთა ერთობლიობაში. მეცნიერი არასდროს ყოფდა ბავშვებს ნიჭიერებად და უნიჭობად, არასდროს მოუწოდებდა ინტელექტუალური ტესტების გამოყენებისაკენ. ეს უცხო იყო მისი დემოკრატიული იდეალებისათვის. ამიტომ იგი ტესტებს არ წყალობდა, უფრო პროექტების მომხრე იყო.

ჯონ დიუიმ 1896 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტთან ჩამოაყალიბა დაწყებითი სკოლა (მოგვიანებით სრული), რომელიც სამეცნიერო ლაბორატორიას უფრო გავდა. დიუიმ ჩიკაგოს უნივერსიტეტში 23 სასწავლო პროგრამა შეადგინა, რომელიც ინდივიდუალურ მიდგომას, ბავშვის საჭიროებებს ითვალისწინებდა. სასწავლო პროცესი თანამედროვე დაწყებით სკოლაში, დიუის აზრით, ეწინააღმდეგება ბავშვის ბუნებას, მის სწრაფვას ცოდნის მიღებისა და მოღვაწეობისაკენ. „მოსაწყენი სასკოლო პროცესის შედეგია ის, რომ ბავშვებს არ უყვართ სკოლა“ (2:19).

დიუიმ შეიმუშავა სასკოლო სასწავლო პროცესის მისეული მოდელი, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის განვითარებაზე. მოდელის დამახასიათებელი ნიშნებია: სასწავლო მასალის რეალურობა. ბავშვი სკოლაში გარემოცული უნდა იყოს რეალური საგნების სამყაროთი, რომელიც სულ უფრო ფართოვდება, რეალური მნიშვნელობა აქვს მისთვის და რომელთა შესწავლა და რეკონსტრუირება თავად ბავშვს ძალუძს; მთლიანობა, რომელშიც იგულისხმება ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ ძალთა გაერთიანება შემეცნებით პროცესში;

სწავლება კეთებით ყველაზე ეფექტურია ბავშვის განვითარების პროცესში. „კეთების ინსტიქტი ძალიან ძლიერია ბავშვში. სასწავლო პროცესი, სადაც იგნორირებულია ეს ინსტიქტი და სასწავლო მასალების სახით მხოლოდ სახელმძღვანელოებია დაშვებული, ახშობს ბავშვების განვითარებას და განწირულია აბსტრაქტულობისათვის, ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით“ (2:47).

სკოლის სასწავლო პროგრამებში უნდა იქნას შეტანილი პროექტები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევენ სტიმულს დამოუკიდებელი მუშაობისათვის. პრობლემურობა სწავლებაში დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების განვითარების აუცილებელი პირობაა.

დიუი სწავლების ტრადიციული მეთოდების ნაცვლად, იყენებდა ფართომასშტაბიან ჯგუფურ პროექტებს: ექსკურსიები, ბუნებაში მოგზაურობა, კულინარია, კერვა, ქსოვა, დურგლობა, მეტალების გადადნობა.

დიუი გვთავაზობს კონსტრუქტივიზმის ადრეულ ვერსიას, როგორც ბიჰევიორიზმის ალტერნატივას. დიუის შეხედულება განვითარებაზე ახლოსაა ლევ ვიგოტსკის შეხედულებასთან, ვის შესახებაც, ალბათ, დიუიმ არაფერი იცოდა.

ჯონ დიუი განათლების პრინციპების აქტიური იდეოლოგია. დიუის განათლების კონცეფცია ეფუძნება ორ ძირითად ამოსავალს: **1.** განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას, რადგან გამოცდილება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს. **2.** განათლება სოციალური ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს, რადგან სწორედ იდეებისა და გამოცდილების გაზიარებით მიიღწევა სოციალური პროგრესი. მასწავლებელმა სწორად უნდა განსაზღვროს გარემო, რომელიც ეფექტურ ურთიერთქმედებაში მოვა მოსწავლეთა კომპეტენციასა და მოთხოვნილებებთან, რაც ხელს შეუწყობს ღირებული გამოცდილების დაგროვებას. მასწავლებელს ეკისრება პასუხისმგებლობა ისე წარმართოს მოსწავლეთა ურთიერთობები, რომ შესაძლებელი გახდეს ჯგუფის, როგორც ერთი ორგანიზმის, მუშაობა.

მასწავლებელი ჯგუფური საქმიანობის ლიდერის ფუნქციას იძენს. მასწავლებელი მრჩეველი და ფასილიტატორი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს აღმოჩენით /გამოკვლევით სწავლაში.

გამოცდილებითი განათლების ერთ-ერთი მთავარი იდეაა სასწავლო საქმიანობაში მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ე.წ. „კეთებით სწავლების“ და „სოციალური სწავლების“ დროს. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილება განათლების მთავარი წყაროა, დიუი ყველა სახის გამოცდილებას სასარგებლოდ არ მიიჩნევს.

განათლებაში დიუის გავლენამ გამოხატულება პოვა გამოცდილებითი განათლების კონცეფციაში. კონცეფციის მიხედვით, განათლება გამოცდილების განვითარებაა. ტრადიციულ სკოლაში მოსწავლეები იღებენ გამოცდილებას, მაგრამ არ შეუძლიათ მისი დაკავშირება მომავალთან, მისი ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენება. სწავლების ტრადიციული შინაარსისგან განსხვავებით სასწავლო გეგმები იყო ინდივიდუალური, მოსწავლეებს ეკითხებოდნენ რისი სწავლა სურდათ. განათლების შინაარსი გულისხმობდა ბავშვის მთლიან პიროვნულ განვითარებას: ინტელექტუალურს, მორალურს, სოციალურს, პროფესიულს. დაწყებითი კლასები უნდა იქცეს ზრდისა და განვითარების ბუნებრივ გარემოდ, იმ ცხოვრების გაგრძელებად, რომლითაც ბავშვი სახლში, ეზოში, ქუჩაში ცხოვრობს.

დიუის შემოქმედება გამსჭვალულია საზოგადოებაში დემოკრატიის განვითარებისა და განმტკიცების იდეით. მისი აზრით, „ჭეშმარიტად დემოკრატიული, გაწონასწორებული, ბედნიერი და აყვავებული საზოგადოება წარმოიშვება იქ, სადაც ადამიანებს თანაცხოვრება და ერთად მუშაობა შეუძლიათ“. (2:96).

დიუის აზრით, სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართულები თანამშრომლობის გზით ერთობლივი მიზნებისა, და როგორც საკუთარი, ასევე სხვების ინტერესების განხორციელებაში.

დიუის სწამდა, რომ პედაგოგიური აქტივობა, რომელიც ამგვარად არის ორგანიზებული, შეგნებული, პასუხისმგებელი, დემოკრატი მოქალაქეების საუკეთესო მომზადების საწინდარს წარმოადგენს.

დიუის ბევრი კრიტიკოსი და მომხრე ჰყავდა და ჰყავს. მაგრამ სკოლებმა ვერ შეინარჩუნა მისი მიდგომის მთავარი მომენტი - ექსპერიმენტალურობა. ამ ტიპის სკოლები ძალიან ძვირია. სწავლებაც ფასიანი იყო და ყველა ფენისთვის არ იყო მისაწვდომი. მისი იდეებით ყველა აღფრთოვანებული იყო, მაგრამ ნაკლებად ინერგებოდა პრაქტიკაში. დიუის იდეები განათლების სფეროში დღესაც აქტუალურია, კერძოდ: სწავლა გამოცდილებით;

ჯონ დიუის სახელს უკავშირდება პროგრესული განათლების მოძრაობა, რომლის მთავარ პრინციპს წარმოადგენს გამოცდილებით სწავლა, ანუ „სწავლა კეთებით“. დიუის კონცეფციით, სწავლა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენების უნარი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. ცოდნა სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში ყალიბდება.

დიუი თვლის, რომ განათლებაზე კამათისას აზრი აუცილებლად ორად გაიხლიჩება. ერთი მხარე იცავს კულტურული მემკვიდრეობის არსებობისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის აუცილებლობას, მეორენი სრულად გამორიცხავენ მის საჭიროებას და მთლიანად ახალი განათლების აღმოცენებას მიაჩნებენ უპირატესობას.

დიუი თავისუფლებას განმარტავს, როგორც მიზნების დასახვისა და მათი სისრულეში მოყვანის უნარს. ჭეშმარიტი მიზანი იმპულსით იწყება, ნებისმიერი დაბრკოლების შემთხვევაში კი ის უკვე სურვილად გადაიქცევა. იმპულსები და სურვილები გარემო პირობებთან ურთიერთქმედების დროს წარმოიქმნება, მიზანი კი სრულად განსხვავდება მათგან, რადგან ის მოითხოვს წინასწარ დაფიქრებას და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას. ამის შედეგად წარმოიქმნება იდეა, რასაც მოყვება მოქმედების გეგმა, ამას კი ტრადიციული განათლება მთლიანად აიგნორებს.

პედაგოგია/Pedagogics

ლიტერატურა

1. Дьюи Дж. Школа и ребенок. М., 1923. С. 7 (ჯ. დიუი. სკოლა და ბავშვი. მოსკ., 1923. გვ.7.
2. Дьюи Дж., Дьюи Э. Школы будущего. Берлин, 1922. С. 16. (ჯ. დიუი, ე. დიუი. მომავლის სკოლები. ბერლინი. გვ. 16.
3. ჯონ დიუი. "დემოკრატია და განათლება". "შესავალი თანამედროვე აზროვნებაში" <http://library.iliauni.edu.ge/ilib/node/68>
4. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php=index&d=6> განმარტებითი განმარტებითი ლექსიკონი /ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. - [თბ., 2008]. - 20სმ.[MFN: 76027] ნაწ. 2: განათლების სპეციალისტებისათვის / [წიგნზე მუშაობდნენ: სიმონ ჯანაშია და სხვ.]. - [2008]. - 56გვ.. - ბიბლიოგრ.:გვ. 54-56. - ISBN: 978-9941-0-0541-1 (ყველა ნაწ.), ISBN: 978-9941-0-0542-8 (ნაწ. 2) : [ფ.ა.][MFN: 95118]
5. მარიამი ნარიმანაშვილი [ჯონ დიუი - გამოცდილებით სწავლა და სოციალური ინტერაქცია](#)

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ჯონ დიუის ფილოსოფიური და პედაგოგიური იდეები და შეხედულებები, რომელთაც აერთიანებს „პრაგმატიზმის“ საერთო ცნება. ჯონ დიუის იდეების სისტემამ არა მარტო გაამდიდრა მისი ქვეყნის თეორიული აზროვნება მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა სფეროში (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პედაგოგია, სოციოლოგია), არამედ უდიდესი გავლენა იქონია მსოფლიოს ცნობიერებაზე. სოციალურმა დამაბულობამ და არასტაბილურობამ უზიძგა დიუის ისეთი იდეების ძიებისაკენ, რომლებიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მოახდენდნენ ფილოსოფიის „რეკონსტრუირებას“ და დაეხმარებოდნენ ადამიანებს გადარჩენაში ცვალებად სამყაროში. დიუი ბევრს მუშაობდა ადამიანისა და საზოგადოების, ადამიანისა და დემოკრატიის, დემოკრატიისა და განათლების მიმართების პრობლემებზე. ადამიანს იგი განიხილავდა, როგორც ბიოლოგიურ და ფსიქიკურ თვისებათა ერთობლიობას და ხაზს უსვამდა სოციალური ელემენტის მნიშვნელობას ინდივიდის განვითარებაში.

დიუი – ჰუმანისტური მიმართულების წარმომადგენელია. მისთვის დამახასიათებელია ბავშვის მიმართ სიყვარული და პატივისცემა. იგი მხარს უჭერდა ახალ პედაგოგიურ სისტემას, რომლის ცენტრი იქნებოდა ბავშვი და რომელიც გაითვალისწინებდა ბავშვის ბუნებრივ მონაცემებს, მისი პიროვნული თვისებების, ტემპერამენტის, აზროვნების სტილის მრავალფეროვნებას. ნაშრომში განხილულია დიუის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო პროცესის მოდელი, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის განვითარებაზე

Lali Abdaladze – Gelati Theological Academy and Seminary, Dean of the Faculty, of the History of Christian ArtAcademic Doctor of Education

Maia Akhvlediani – Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Johm Dewey – a Philosopher and Educational Reformer

The paper dwells on Jon Dewey’s philosophical and pedagogical ideas and views, which have in common the general notion of “pragmatism”. Jon Dewey’s ideological system not only enriched theoretical thinking in various fields of scientific knowledge in his country (philosophy, psychology, pedagogy, sociology), but it had a huge impact on the perceptions in the entire world. Social tension and instability drove Dewey to look for such ideas, which, in his words, would provide “reconstruction” of philosophy and would the people to be saved in this changeable universe. Dewey has been working a lot on the problems of the individual and society, the individual and democracy, and democracy and education. He has considered human beings as a unity of biological and psychological attributes, and has emphasized the importance of social elements in the development of the individual.

Dewey is the representative of the humanistic field. He is distinguished by love and respect for children. He has supported a new pedagogical system, which would be focused on children, and which would take into account their natural abilities, as well as diversity of their personal qualities, temperament and thinking style. The paper describes a model of training process at school, which was developed by Dewey and is oriented towards the child’s development.

პედაგოგია/Pedagogics

იაგორ ბალანჩივაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
სალომე ბზიკაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების მაგისტრი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის გერმანული ენის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა

კლასში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის შემთხვევაში, მასწავლებლის უმთავრეს ამოცანას საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა და თითოეული მოსწავლისთვის დასახული მიზნის შესაბამისი ცოდნის გადაცემა წარმოადგენს. პედაგოგმა ეს უნდა შესძლოს, მიუხედავად იმისა, რომ ის, განსხვავებულ მოსწავლეებთან განსხვავებული სტრატეგიებით და გეგმით მუშაობს. მაგალითად, ზედსართავი სახელების ხარისხების შესწავლისას შეგვიძლია გამოვიყენოთ ტექსტი, რომელიც უნდა წაიკითხოთ და შესარულონ 2 დავალება:

Keine Angst vor kleinen Hunden!

Der Chihuahua ist ein gutes Beispiel für eine niedliche Hunderasse. Mit ihrer kurzen Schnauze, den großen Augen und dem weichen Fell wurden „Chis“ schon vor über 1200 Jahren in Mexiko von hübschen Prinzessinnen der aztekischen Ureinwohner verwöhnt. Chihuahuas gelten als schlau, sie sind frech und mutig zugleich. Vor starken Gegnern und noch so schweren Aufgaben schrecken sie nicht zurück. Sie gehen stets flink und lebhaft voran. Selbst wenn sie dabei wegen ihrer geringen Größe nur wenig Eindruck schinden, so können sie doch durch ihr lautes Bellen für viele lustige Überraschungen sorgen. Chihuahuas sind treue und lernwillige Hunde, egal ob sie zur langhaarigen oder zur kurzhaarigen Art gehören.

Aufgaben (დავალებები):

1. Unterstreiche im Text über die Chihuahuas Adjektive mit roter Farbe (წაიკითხეთ ტექსტი და წითლად გახაზეთ მოცემული ზედსართავი სახელები).
2. Schreibe die Adjektive unten in die Tabelle. Schreibe die Steigerungsformen in die richtigen Spalten dazu (წარმოადგინეთ ზეთსართავი სახელების ხარისხები).

Nº	Grundstufe (Positiv)	Vergleichsstufe (Komparativ)	Vergleichsstufe (Superlativ)
1.	Klein	kleiner	am kleinsten
2.	gut		

ენის შესწავლისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის არსებითი სახელების რიცხვის შესწავლა. არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის შესწავლისას შეიძლება შემდეგი გამარტივებული სავარჯიშოების გამოყენება:

Bilde die Mehrzahl bei Wörtern mit „a“ (დაწერეთ ნახატზე მოცემული არსებული სახელები და გადაიყვანეთ მრავლობით რიცხვში)



1. Schreibe die Wörter in der Einzahl und in der Mehrzahl auf:

პედაგოგია/Pedagogics

Einzahl (მხოლოდითი რიცხვი)	Mehrzahl (მრავლობითი რიცხვი)
Das Glas	Die Glaser
Der Zahn	

საგაკვეთილო პროცესში ჩართვასთან ერთად, მასწავლებელი უნდა ეცადოს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შერჩეული აქტივობები, არ იყოს გაკვეთილის კონტექსტიდან და საგაკვეთილო თემიდან ამოვარდნილი, მაგალითად, როდესაც თემაა „რიცხვები“, შეიძლება შემდეგი სავარჯიშოს გამოყენება, სადაც მოსწავლეს შეუძლია დავალებში მოცემული ნივთების დათვლა და მათი წერილობით დასახელება.

Zähle dann nach, wie viele Bonbons jedes Kind hat (დათვალე რამდენი კანფეტი აქვს თითოეულ ბავშვს)!



Ulla hat _____ Bonbons.



Ulli hat _____ Bonbons.

Zähle nach, wie viele Erdbeeren jedes Kind hat (დათვალე რამდენი მარწყვი აქვს თითოეულ ბავშვს)!



Susi hat _____ Erdbeeren




Moni hat _____ Erdbeeren

ამ მიდგომის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყოველი აქტივობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების და დასახული მიზნების გათვალისწინებით განსაზღვროს და არ დაივიწყოს მთავარი პრინციპი – მიუხედავად განსხვავებული მიზნებისა, მან უნდა უზრუნველყოს ყველა თავისი მოსწავლის თანაბარი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და აქტივობებში.

უცხო სიტყვების დამახსოვრება მოწსავლეებს უადვილდებათ სურათზე გამოსახული თვალსაჩინოებების დახმარებით, უკეთ იმახსოვრებენ და ასახელებენ მათ თავიანთ არტიკლებთან ერთად. მაგ.

Was siehst du auf dem Bild (რას ხედავთ სურათზე)?



იდეალური იქნება, თუკი მასწავლებელი მოახერხებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების და მიზნების გათვალისწინებას და თავისი საგაკვეთილო პროცესის იმგვარად დაგეგმვას, რომ ზუსტად იმავე საგაკვეთილო აქტივობებში იყოს ჩართული და იმ ხანგრძლივობით, როგორც სხვა მისი თანაკლასელები. მაგალითად, თუკი მასწავლებლის ერთი კონკრეტული დღის საგაკვეთილო განრიგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ზეპირ გამოკითხვას, მასწავლებელმა ზეპირი გამოკითხვის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უნდა ჩართოს (ოღონდ შესაბამისად შერჩეული მეთოდით); თუკი დარჩენილი საგაკვეთილო პროცესი საკლასო წერით აქტივობას ეთმობა, სსმ მოსწავლემაც უნდა განახორციელოს შესაბამისი აქტივობა.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესის ამგვარად დაგეგმა ყოველთვის არ ხერხდება და ხშირად გამართლებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზეპირი გამოკითხვა სწორედ მაშინ განხორციელდეს, როდესაც მისი თანაკლასელები წერენ. ასე მასწავლებელი უფრო კონცენტრირდება ამ მოსწავლეზე; ან პირიქით, გამართლებულია მოსწავლემ ხატოს მაშინ, როდესაც სხვების ზეპირი გამოკითხვა ხორციელდება. ამ შემთხვევაში, მთავარია, რომ მასწავლებლის მიერ შერჩეული სტრატეგია წინასწარ კარგად იყოს მოფიქრებული და ითვალისწინებდეს მოსწავლის შესაძლებლობებს, კლასის სტრუქტურას და საგაკვეთილო პროცესს.

მთავარია, რომ მასწავლებელმა არ დაუშვას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უქმად ჯდომა გაკვეთილზე, მაშინ როდესაც მისი თანაკლასელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ცალკეულ შემთხვევებში, აუცილებელი ხდება, მოსწავლისთვის გაკვეთილზე კლასის აქტივობებისგან სრულიად განსხვავებული აქტივობების შეთავაზებაც. მაგ. დასაშვებია, მოსწავლეს მასწავლებელმა დაფის გაწმენდა დაავალოს მაშინ, როდესაც კლასის სხვა მოსწავლეები საკონტროლოს წერენ ან მოსწავლემ ქართულის გაკვეთილზე ხატოს და აფერადოს, მაშინ როცა მისი თანაკლასელები სხვადასხვა ზეპირ და წერით აქტივობებს ახორციელებენ.

ამგვარი აქტივობები ხშირ შემთხვევაში საშუალებად გამოიყენება მოსწავლის საგაკვეთილო პროცესის მიჩვევის და ქცევის წესების გამომუშავების უზრუნველსაყოფად. მთავარია, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მოსწავლისთვის საინტერესო აქტივობები შეირჩეს და სხვა მოსწავლეების მხრიდან ზედმეტი ინტერესის გამო, საგაკვეთილო პროცესის ჩაშლა არ გამოიწვიოს. ამგვარი აქტივობების გამოყენებისას, გადამწყვეტია, რომ მოსწავლეს ეს აქტივობები, დავალების სახით მასწავლებლისგან მიეცეს (ანუ ხატვა წამოიწყოს, იმიტომ რომ მასწავლებელმა დაავალა, და არა იმიტომ, რომ მას ასე მოუნდა) და გაკონტროლდეს გაკვეთილის მსვლელობისას.

ლიტერატურა

1. ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება-თბილისი 2008 წ.
2. თ.გაგოშიძე, თ.ჭინჭარაული, ქ.ფილაური, მ.ბაგრატიონი-ინკლუზიური განათლების პრინციპები, თბილისი, 2008 წ.
3. Aktionsplan zur Inklusion von Menschen mit Behinderungen. (Laufzeit 2013-2015) BMZ-Strategiepapier1/2013

რეზიუმე

კლასში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის შემთხვევაში, მასწავლებლის უმთავრეს ამოცანას საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა და თითოეული მოსწავლისთვის დასახული მიზნის შესაბამისი ცოდნის გადაცემა წარმოადგენს.

საგაკვეთილო პროცესში ჩართვასთან ერთად, მასწავლებელი უნდა ეცადოს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შერჩეული აქტივობები, არ იყოს გაკვეთილის კონტექსტიდან და საგაკვეთილო თემიდან ამოვარდნილი, მაგალითად, როდესაც თემაა „რიცხვები“, შეიძლება შემდეგი სავარჯიშოს გამოყენება, სადაც მოსწავლეს შეუძლია დავალებაში მოცემული ნივთების დათვლა და მათი წერილობით დასახელება.

იდეალური იქნება, თუკი მასწავლებელი მოახერხებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების და მიზნების გათვალისწინებას და თავისი საგაკვეთილო პროცესის იმგვარად დაგეგმვას, რომ ზუსტად იმავე საგაკვეთილო აქტივობებში იყოს ჩართული და იმ ხანგრძლივობით, როგორც სხვა მისი თანაკლასელები.

Iagor Balanchivadze – Akaki tsereteli State University, Associated Professor

Salome Bzikadze - Akaki tsereteli State University Master of Education

Involvement of the student with special educational needs in the process of the lesson of German language

Summary

In case of having the student with special educational needs in the class, the main task of the teacher is to provide equal involvement of all students in the process of the lesson and to give proper knowledge to all of them.

With the involvement during the lesson, the teacher should try the activities selected for student with special educational needs not to be out of context and topic of the lesson. For example in case of the topic “number” it’s possible to use the following exercises ,where the student can count the things and write them specified in the work.

step, use, where students can order the items are counted and their writing By name.

It would be ideal if the teacher is able to take into consideration opportunities and goals of the pupil with special educational needs and to manage the educational process in the way so that the student to be involved exactly in the same activities and with the same duration like other his classmates.

იაგორ ბალანჩივაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
დალი ფუტყარაძე - შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ბავშვების მონაცემების შეგროვება სკოლამდელ დაწესებულებებში

ადრეული განათლების ხარისხიანი პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ბავშვების შესახებ მონაცემთა შეგროვება და ამ მონაცემებზე დაყრდნობით მათ საჭიროებებზე ორიენტირებული აქტივობების და პროგრამის დაგეგმვა, განხორციელებაა. ადრეული განათლების სფეროში დაკვირვებას სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა და შესაბამისად, მონაცემების შეგროვების, დაკვირვებისა და მონაცემთა შეფასების უნარი აღმზრდელის ერთ-ერთ წამყვან პროფესიულ უნარად მოიაზრება. მონაცემთა შეგროვება, დაკვირვება, დოკუმენტაცია და მონაცემთა შეფასება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბავშვების საჭიროებების გასაცნობად და ამ საჭიროებების გათვალისწინებით განვითარების მხარდასაჭერად, არამედ პროგრამის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესაფასებლადაც.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე უწყვეტი დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება ადრეული განათლების პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება აღმზრდელს მდიდარ მასალას აძლევს თითოეული ბავშვის, ბავშვების ჯგუფის, მათი პროგრესის, აღმზრდელის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების, სტრატეგიების და ზოგადად, პროგრამის შესახებ. ეს ინფორმაცია ასევე ღირებულია მშობლებთან კომუნიკაციისას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის აღმზრდელს მუდმივად ესაჭიროება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომ მისი პრაქტიკა თითოეული ბავშვის საჭიროებებზე იყოს მორგებული. მხოლოდ ამ მონაცემებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი განვითარების შესაბამისი პროგრამის განხორციელება. მონაცემები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების, ძლიერი მხარეების და ინტერესების შესახებ. აღმზრდელი ასევე უნდა სწავლობდეს ჯგუფის საჭიროებებს, მიდრეკილებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს. აღმზრდელის სწორი და საუკეთესო გადაწყვეტილებები სასწავლო-სააღმზრდელო პროცესთან მიმართებაში დიდწილად მისი დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების უნარებზეა დამოკიდებული. რომელიმე სპეციფიურ ქცევაზე დაკვირვება, მონაცემთა შეგროვება და ამ მონაცემების ჩაწერა უფრო ნათელს ხდის ქცევის მახასიათებლებს. შესაბამისად უადვილებს აღმზრდელს პასუხს კითხვაზე - რატომ აღინიშნება ესა თუ ის ქცევა. იგივეა ჯგუფურ პრობლემებზეც, როდესაც ობიექტური დაკვირვების საფუძველზე ხდება პრობლემის აღმოჩენა, აღმზრდელს უფრო მეტად ხელეწიფება ამ პრობლემის პრევენციისათვის შესაბამისი სტრატეგიების დაგეგმვა და განხორციელება. მაგალითად, თუ თქვენ აკვირდებით დრამატულ ცენტრში ხელის კვრის ხშირ ინციდენტს, ამით შეიძლება დაასკვნათ რომ არასაკმარისი სივრცეა დრამატული ცენტრისთვის და არასასურველი ქცევის და კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად შესაძლებელია ან სივრცე გაზარდოთ ან ბავშვების რაოდენობა შეამციროთ.

მონაცემების შეგროვება და დაკვირვება აღმზრდელს სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებაშიც ეხმარება. მაგალითად, აქვს თუ არა ბავშვს სმენის ან მხედველობის დეფიციტი, ქცევისან ემოციური სირთულეები, რაც თავის მხრივ პროფესიონალის კონსულტაციას საჭიროებს. მხოლოდ ამ საჭიროებების აღმოჩენის შემდეგ არის შესაძლებელი სათანადო მომსახურებისათვის მიმართვა. მონაცემების შეგროვება, დაკვირვება და რეგულარული ინტერვალებით ჩანაწერების წარმოება საშუალებას მოგვცემს შეაფასოთ თითოეული ბავშვის განვითარება და პროგრესი. ამ ინფორმაციის საფუძველზე დაგეგმოთ და შეადგინოთ განვითარების ინდივიდუალური გეგმა, გადაწყვიტოთ როგორ მოაწყოთ გარემო და უზრუნველყოთ პირობები თითოეული ბავშვის განვითარებისთვის.

ობიექტური დაკვირვებით შეგროვებული მონაცემები და პერიოდული ჩანაწერები მშობლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებაშიც დაგეხმარებათ. მშობლებს სურთ იცოდნენ, როგორ პროგრესირებენ მათი შვილები. აღმზრდელები ყოველდღიურად, არაფორმალური გზით ცვლიან მშობლებთან ინფორმაციას. ობიექტური დაკვირვებით შეგროვებული მონაცემები და სისტემური ჩანაწერები დაგეხმარებათ კონკრეტული ფაქტებით და მტკიცებულებებით აჩვენოთ თითოეული ბავშვის განვითარების მიმდინარეობა. ამით იმაშიც დაარწმუნებთ მშობლებს, რომ იცნობთ მათ შვილებს და გესმით მათი.

დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის შეფასებასაც უნდა ემსახურებოდეს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროთ თანამშრომლებმა, არის თუ არა შეთავაზებული პროგრამა ეფექტური და ემსახურება თუ არა დასახულ მიზნებს.

როდესაც ვსაუბრობთ სააღმზრდელო პრაქტიკაში დაკვირვებასა და მონაცემთა შეგროვებაზე, მნიშვნელოვანია განვასხვაოთ ორი პროცესი: ა) **მონაცემთა შეგროვება** და ბ) **მონაცემთა შეფასება**. მონაცემთა შეგროვება ეს არის ობიექტური დაკვირვების გზით შეგროვებული და დოკუმენტირებული ინფორმაცია ბავშვზე, ბავშვებზე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე, რომელიც არის ფაქტობრივი, აღწერითი და არ შეიცავს ვარაუდს, დასკვნებს, სუბიექტურ შთაბეჭდილებებს. მონაცემთა შეფასების პროცესი მოიცავს შეგროვებული მონაცემების სინთეზს, ინტერპრეტაციას, ანალიზს და შესაბამის დასკვნებს, რომელიც გამოიყენება ან შემდგომი დაკვირვების ან პრაქტიკული საქმიანობის დასაგეგმად. ამ პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია - დაკვირვების და მონაცემთა შეგროვების **დაგეგმვა**, რომლის დროსაც აღმზრდელი განსაზღვრავს დასაკვირვებელ საკითხს და შესაბამის მეთოდებს არჩევს. თუმცა, ყოველდღიურ პრაქტიკაში დაუგეგმავადაც აწყდება აღმზრდელი მრავალ ფაქტს, რომელთა ჩაწერა და დაფიქსირება მნიშვნელოვანია.

ინფორმაციის შეგროვების და დაკვირვების ორი, *ფორმალური* და *არაფორმალური* მეთოდი არსებობს. ეს ორი მეთოდი ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, თუ რამდენად ხდება პირობების კონტროლი მათი გამოყენებისას. ფორმალური მეთოდებია სტანდარტიზებული ტესტები და კვლევის ინსტრუმენტები. ფორმალური მეთოდები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს, მაგრამ ამ მეთოდების გამოყენება საჭიროებს სპეციალიზებულ ტრენინგს და გაწვავას, რათა მონაცემთა აღება წინასწარ შემუშავებული ფორმით ხდებოდეს. ასეთივე სპეციალიზება საჭიროდება ფორმალური მეთოდებით შეგროვებული მონაცემების ანალიზს და ინტერპრეტაციას.

ადრეული განათლების სპეციალისტები **არაფორმალური** დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების მეთოდებს იყენებენ. ასეთი მეთოდები შედარებით მარტივი გამოსაყენებელია და უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის დაგეგმვას. არაფორმალური მეთოდებია კითხვარები, ცხრილები, ჯგუფში ბავშვებზე დაკვირვება, ჩანაწერების წარმოება, ბავშვების ნამუშევრების ნიმუშების შეგროვება, მშობლებთან ინტერვიუ, ბავშვებთან საუბარი, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფოტოები.

დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდის შერჩევა. არსებობს მეთოდის შერჩევის სამი მოსაზრება. პირველი, მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ქცევის, საკითხის ტიპზე, რა გაინტერესებს, რისი დაკვირვება გსურს და რამდენად დეტალური ინფორმაცია გჭირდება. მეორე, ერთ ბავშვზე იღებ მონაცემებს თუ მთელ ჯგუფზე. მესამე, რა ოდენობის ყურადღებას საჭიროებს დასაკვირვებელი საკითხი. მაგალითად, თუ გაინტერესებს განვითარების ერთ-ერთ სფეროზე დაკვირვება, მაშინ შესაძლებელია კითხვარი უფრო მისაღები იყოს, სადაც დეტალურად იქნება ამ სფეროს განვითარების ინდიკატორები და მისი შემადგენელი ქცევები მოცემული. თუ ერთ კონკრეტულ ქცევაზე ან უნარზე გეგმავ დაკვირვებას, მაშინ უფრო ფოკუსირებული დაკვირვება გამოგადგება და მეტი თვისობრივი ინფორმაციის ჩაწერა იქნება პროდუქტიული. თუ ბავშვების ჯგუფზე გეგმავ ინფორმაციის შეგროვებას, ჟურნალი ან კითხვარი უფრო მოსახერხებელია. ყურადღების და რესურსების საჭიროების თვალსაზრისით ზოგიერთი მეთოდი დამკვირვებლისაგან უფრო მეტ ძალისხმევას საჭიროებს. მაგალითად, ბავშვებთან ურთიერთობა ძნელდება, როდესაც ჩანაწერებს აკეთებ, რადგან დეტალურად ხდება ქცევის აღწერა. კითხვარები, ვიდეო ჩანაწერები და ცხრილები უფრო ადვილი გამოსაყენებელია ბავშვებთან მუშაობის დროს.

აღმზრდელმა ბავშვების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად სხვადასხვა მეთოდი უნდა გამოიყენოს, რადგან ყველას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. სხვადასხვა მეთოდის გამოყენება უფრო ობიექტური და მრავალფეროვანი ინფორმაციის შეგროვებაში დაგეხმარებათ. ასევე, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გამოყენება ამცირებს შეცდომის ალბათობას მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის და შეფასების დროს.

წლის დასაწყისში მნიშვნელოვანია *პირველადი* მონაცემების შეგროვება. ამ საბაზისო მონაცემებს თითოეულ ბავშვთან გამოიყენებთ. ამ დროს მნიშვნელოვანია იმის გააზრება და დაშვება, რომ ყველა ერთი ასაკის ბავშვი არ არის ერთნაირი, რომ არსებობს განსხვავებები განვითარებაში და განვითარების დინამიკაში. განსხვავებას განაპირობებს ასევე კულტრა, ეკონომიური სტატუსი, ოჯახური მდგომარეობა, რომელიც აისახება ბავშვის განვითარებაზე. ამრიგად, პირველადი, საბაზისო მონაცემების შეგროვებისა და დაკვირვების მიზანია ჯგუფის თითოეული ბავშვის შესახებ ზოგადი სურათის შექმნა. ბავშვებზე

დაკვირვება და ოჯახთან ინტერვიუ ამ ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი გავრცელებული გზაა. უნდა გაიგოთ რაც შეიძლება მეტი ბავშვების შესახებ საბაზისო მონაცემების შეგროვებისას. ზედმიწევნით შეისწავლეთ თითოეული ბავშვის პირადი მონაცემები. განიხილეთ ოჯახური მდგომარეობის დოკუმენტი. წაიკითხეთ წინა აღმზრდელის ჩანაწერები მშობლებთან შეხვედრების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ შესაძლებელია ესტუმრეთ სახლში. მშობლებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ინფორმაციის ღირებულ წყაროს წარმოადგენენ. მშობლებს შეუძლიათ სასარგებლო ინფორმაცია მოგაწოდოთ თავიანთი შვილის საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ.

საბაზისო მონაცემების შეგროვების შემდეგ უნდა აწარმოოთ *მიმდინარე* დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება როგორც ინდივიდუალურ ბავშვზე, ისე მთელ ჯგუფზე. ერთი დაკვირვება და ინფორმაციის ერთჯერადად შეგროვება არ მოგცემთ საკმარის და ზუსტ მონაცემებს თავისებურებების, უნარებისა თუ შესაძლებლობების შესახებ. ეს მხოლოდ ინდიკატორია. მიმდინარე დაკვირვებას და მონაცემების შეგროვებას უფრო მეტი დრო სჭირდება, მაგრამ უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას იძლევა. შესაბამისად დოკუმენტირებული მიმდინარე მონაცემები თითოეული ბავშვის დროში ცვლილებასა და პროგრესს უნდა ასახავდეს. ეს მონაცემები წარმოადგენს მტკიცებულებას ბავშვის სწავლისა და მომწიფების შესახებ. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ მიიღოთ სწორი გადაწყვეტილებები როგორ გაამდიდროთ ან მოდიფიცირება გაუკეთოთ პროგრამას და გარემოს მაშინ, როდესაც ეს საჭიროა.

მონაცემების შეგროვება შეგიძლიათ სააღმზრდელო პროცესის ნებისმიერ დროს. დააკვირდით ბავშვებს, როდესაც მუშაობენ სხვადასხვა პროექტებზე, თამაშობენ, მოუსმინეთ, როდესაც ყვებიან ამბებს. დააკვირდით, როდესაც აწყობენ ფაზილს, ან აშენებენ კუბებით. უსმინეთ ბავშვების საუბარს. ყურადღებით იყავით თავისუფალი თამაშის დროს. გააკეთეთ ჩანაწერები ინდივიდუალურ ბავშვებზე. ბავშვები თავიანთ პიროვნულ და განვითარების თავისებურებებს განსაკუთრებით თავისუფალი თამაშის დროს ავლენენ.

ვგიქრობთ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვებზე დაკვირვება და მათ შესახებ შესახებ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი დაეხმარება აღმზრდელებს უკეთესად დაგეგმონ სააღმზრდელო პროცესი, გაითვალისწინონ აღსაზრდელთა საჭიროებები და იტერესები. გაცილებით ეფექტური იქნება ბავშვების გავითარება და მათი სკოლისათვის მზაობა.

ლიტერატურა

1. დოლიძე ხ., ცინცაძე ნ., ბალანჩივაძე ი. და სხვა (2015). ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი
2. საიფერი ს., ბალანჩივაძე ი., ბაქრაძე თ. და სხვა (2015). სასკოლო მზაობის პროგრამა **თამაში** სწავლისა და განვითარებისათვის. თბილისი
3. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა (2011). ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასებების ცენტრი
4. A. S. Epstein, L. J. Schweinhart, A. DeBruin-Parecki and K. B. Robin (2004). *Preschool Assessment: A Guide to Developing a Balanced Approach*
5. B.A. Nilsen (2004). *Week by Week: Documenting the Development of Young Children.*
6. J. Beaty (2006). *Observing Development of the Young Child*

პედაგოგია/Pedagogics

რეზიუმე

ადრეული განათლების ხარისხიანი პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ბავშვების შესახებ მონაცემთა შეგროვება და ამ მონაცემებზე დაყრდნობით მათ საჭიროებებზე ორიენტირებული აქტივობების და პროგრამის დაგეგმვა, განხორციელებაა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის აღმზრდელს მუდმივად ესაჭიროება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომ მისი პრაქტიკა თითოეული ბავშვის საჭიროებებზე იყოს მორგებული. მხოლოდ ამ მონაცემებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი განვითარების შესაბამისი პროგრამის განხორციელება. მონაცემები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების, ძლიერი მხარეების და ინტერესების შესახებ.

მონაცემების შეგროვება და დაკვირვება აღმზრდელს სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებაშიც ეხმარება. მაგალითად, აქვს თუ არა ბავშვს სმენის ან მხედველობის დეფიციტი, ქცევისან ემოციური სირთულეები, რაც თავის მხრივ პროფესიონალის კონსულტაციას საჭიროებს. მონაცემების შეგროვება, დაკვირვება და რეგულარული ინტერვალებით ჩანაწერების წარმოება საშუალებას მოგვცემთ შეაფასოთ თითოეული ბავშვის განვითარება და პროგრესი. ამ ინფორმაციის საფუძველზე დაგეგმეთ და შეადგინოთ განვითარების ინდივიდუალური გეგმა, გადაწყვიტოთ როგორ მოაწყოთ გარემო და უზრუნველყოთ პირობები თითოეული ბავშვის განვითარებისთვის. ინფორმაციის შეგროვების და დაკვირვების ორი, *ფორმალური* და *არაფორმალური* მეთოდი არსებობს.

ვფიქრობთ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვებზე დაკვირვება და მათ შესახებ შესახებ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი დაეხმარება აღმზრდელებს უკეთესად დაგეგმონ სააღმზრდელო პროცესი, გაითვალისწინონ აღსაზრდელთა საჭიროებები და ინტერესები. გაცილებით ეფექტური იქნება ბავშვების გავითარება და მათი სკოლისათვის მზაობა.

Igor Balanchivadze - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

Dali Phutkaradze – Batumi Shota Rustaveli State University, PhD Student

Children's Data Collection at Pre-School Institutions

RESUME

One of the most important component of early education quality practice is children data collection and on the basis of the data their need oriented activities and program planning, implementation. Tutor for children with disabilities permanently needs different kinds of information, so that the practice to be adjusted on each child's need. Only on the basis of the data is not possible implementation of development relevant program. The data should include information on each child's individual needs, strong sides and interests.

Data collection and monitoring helps caregiver to identify special needs. For example, if a child has a hearing or visual deficits, behaviour or emotional difficulties, which in turn requires professional advice. Data collection, observation and recording at regular intervals will give you possibility to evaluate child's development and progress. Based on this information to plan and create development individual plan, decide how to organize the environment and ensure that the conditions for each child development. There are data collection and observations two methods: formal and informal.

We believe that children observation at preschool institutions and their data collection and analysis will help caregiver to plan better educational process, take into account children's needs and interests. It will be more effective for children's development and readiness for school.

ნათია ბლიაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

ვატიკანის ფოლიანტებში გაცხადებული საიდუმლო

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი, ვატიკანის ბიბლიოთეკის გახსნის პერიოდად მიჩნეულია 1775 წელი, თუმცა მემატრიანეთა გადმოცემით, შესაძლებელია ის ბევრად უფრო ადრეული პერიოდიტაც დათარიღდეს. ბიბლიოთეკის უზარმაზარ წიგნთა საცავში საიმედოდაა დამალული კაცობრიობის საკრალური ცოდნა. აქ შეიძლება იპოვო პასუხი: ნებისმიერ შეკითხვაზე, მათ შორის თვით სიცოცხლის წარმოშობის იდუმალებით მოსილი ისტორიაც. ბიბლიოთეკაში დაცული ლიტერატურის უდიდეს ნაწილს შეადგენს მასონთა თხზულებები, რომლებიც მკაცრადაა გასაიდუმლოებული. საინტერესოა, მაინც რატომ დუმს ჯიუტად წმინდა ეკლესია, რომ კაცობრიობა აზიაროს უძველეს ცოდნას, იქნებ იმის შიშით, რომ ამ ცოდნის გამჟღავნებით შეუძლია სრულიად საექვო გამხდარიყო მთელი ჩვენი ქრისტიანული განათლება.

ასეა თუ ისე, ჩვენ ეს არ ვიცით, თუმც ცნობილია ის ფაქტი, რომ ამ თხზულებათაგან მხოლოდ ზოგიერთზე მიუწვდება ხელი რომის პაპს. სხვებისთვის ამ თხზულებებზე მიახლოება კი აკრძალულია. ის კი არადა ვატიკანის ბიბლიოთეკაში ისეთი საიდუმლო ოთახებიც აღმოაჩინეს, რომელთა შესახებ თვით მღვდელმსახურებსაც არაფერი სცოდნიათ.

პაპები უძველესი დროიდან ხარჯავდნენ დიდძალ თანხებს, უიშვიათეს მანუსკრიპტთა შესაძენად. მათ შესანიშნავად ესმოდათ, რომ მთელი ძალაუფლება ცოდნაშია მხოლოდ. ასე შეაგროვეს უზარმაზარი კოლექცია. ოფიციალური მონაცემებით, დღეს ვატიკანის წიგნსაცავებში ინახება 70000 ხელნაწერი, 8000 პირველნაბეჭდი წიგნი, მილიონზე მეტი გვიანი პერიოდის ნაბეჭდი გამოცემა, 100000 გრავიურა, 200000 რუკა, დოკუმენტი და უამრავი ხელოვნების სხვადასხვა ნიმუში.

საეკლესიო მოღვაწეებმა არაერთხელ ამცნეს საზოგადოებას, რომ ისინი გახსნიდნენ ამ საგანძურს და რომ იგი ხელმისაწვდომი გახდებოდა ყველასათვის, მაგრამ „ხმა მღალადებლისა ხმადვე რჩებოდა უდაბნოსა შინა“. უმკაცრესი ტიბიკონის მიუხედავად ბიბლიოთეკას ყოველდღიურად სტუმრობს 150-ზე მეტი მკვლევარი, რომელთაც გავლილი აქვთ შემოწმების განსაკუთრებული ფორმა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვატიკანის ბიბლიოთეკა ბევრად უფრო ძლიერადაა დაცული, ვიდრე ნებისმიერი ატომური ელექტროსადგური, მრავალრიცხოვან შვეიცარიელ გვარდიელთან ერთად ბიბლიოთეკის დაცვის სადარაჯოზე დგანან ულტრათანამედროვე ავტომატური სისტემები დაცვის რამდენიმე ფენით.

როგორც ისტორია ღალადებს, ეს ბიბლიოთეკა დაარსებულ იქნა ფარაონ პტოლემეი სოტერის მიერ, ცოტა ხნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ეგვიპტელმა ჩინოვნიკებმა ბიბლიოთეკაში მოზიდეს მთელი ბერძნული პერგამენტი, ალექსანდრიაში შემოსული ლიტერატურული თხზულებებით დატვირთული გემები ბიბლიოთეკას ხან თხზულებებს და ხან მის ასლებს უტოვებდნენ. ყოველდღიურად ასეულობით მონა შრომობდა ამ თხზულებათა კოპირებასა და დახარისხებაზე, სწორედ ამიტომ მიეგება ალექსანდრიის ბიბლიოთეკა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისს 700000 ხელნაწერით და სწორედ ამიტომაც ითვლებოდა იგი ანტიკური ეპოქის ერთ-ერთ უმსხვილეს წიგნსაცავად. მასში შენახული და დაცული იყო მსოფლიოს არაერთი უიშვიათესი და ფასდაუდებელი მარგალიტი.

და მაინც, რას მალავენ მღვდელმსახურები? რატომ არის შეცვლილი ბიბლიის ჭეშმარიტი ტექსტები ხელნაწერით. ის ბიბლია, რომელიც ამაყად თავს იწონებს ჩვენი წიგნის თაროებზე, სხვა არაფერია თუ არა, ჭეშმარიტის გადამღერებული ვარიანტი. რომი იძლევა მხოლოდ იმ სულიერ ცოდნას, რომელსაც თვითონ თვლის საჭიროდ. ბიბლიის დახმარებით წმინდა ეკლესია მართავს კაცობრიობას, ბიბლიური სიუჟეტების ძალიან დიდი ნაწილი თავხედურადაა ამოღებული „საერთო ხმარებიდან“, ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბიბლია შეიქმნა ვატიკანის კარნახით. მასონთა ლოჟა, რომელიც თავის მხრივ, შეიქმნა რომის მიერ, უსაზღვრო ძალაუფლების მპყრობელია, იყო სახელმწიფო მმართველი და არ იყო მასონი, ამგვარი რამ პრაქტიკულად წარმოუდგენელია, მასონები მართავენ კაცობრიობას და წვეტენ მის ბედს.

ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ვატიკანის ბიბლიოთეკის მრავალრიცხოვან სტუმართაგან გავცნობოდით ერთი მათგანის, კერძოდ, გერმანელი მოგზაურის ჰანს ნილზერის ჩანაწერებს, რომელსაც ის აწარმოებდა დღიურების სახით. ეს დღიურები ავტორმა ოფიციალურად გამოაქვეყნა 1899 წელს. აქ იგი ერთგვარად ცდილობს ფარდა ახადოს ვატიკანის იმ საიდუმლოებებს, რომლებიც უძველეს მანუსკრიპტებშია

გაბნეული, აქვეა სახარების აქამდე უცნობი ხელნაწერები და იესო ქრისტეს ცხოვრების აღწერა მოკლედ, ყოველივე ის, რაზედაც ასე ჯოუტად დუმდნენ ღვთისმსახურები.

მცირედი რამ ჰანს ნილზერის შესახებ: ის დაიბადა 1849 წელს მრავალშვილიან ბიურგერულ ოჯახში, იყო მორწმუნე კათოლიკე, მშობლები ჰანსს ბავშვობიდანვე ამზადებდნენ სასულიერო ცხოვრებისათვის და შესაბამისად, რაიმე სასულიერო წოდების მისაღებად. შეიძლება ითქვას, რომ ჰანსს ბედმა გაუღიმა, ფორტუნა სწორედ მის მხარეს გადაიხარა, ვინაიდან ეპისკოპოსს შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი ნიჭი და მონაცემები, სწორედ ამიტომ იყო, რომ გალანტური და დახვეჭილი მანერების მქონე ახალგაზრდა წარგზავნილ იქნა პაპის კარზე, სწორედ აქ ეკლესიის ისტორიით ძალზედ დაინტერესებულ ჰანსს, ნება დართეს ვატიკანის ფოლიანტების დალაშქრისა.

და აი, ნანატრი დღევ დადგა: 1899 წლის 12 აპრილს, მან შეადო მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკის კარი. პირველი შთაბეჭდოლება მართლაც გამაოგნებელი იყო: მარტო გაფიქრებაც იმისა რად ღირდა, რომ ყველა დოკუმენტი მრავლისმეტყველი დუმილით ღაღადებდა უფლისა და მისი თორმეტივე მოციქულის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მიწისქვეშეთში დაუღალავმა, დღე-ღამეში 16-17 საათიანმა შრომამ თავისი გაიტანა: ტემპერატურული რეჟიმი, რომელიც აუცილებელი და საჭირო იყო იქ დაცული უიშვიათესი წიგნებისათვის, ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მათზე მომუშავეს, მაგრამ უზენაესის სიყვარულითა და ღვთის სათნო ყოფისათვის ჩვენმა გმირმა ესეც დაითმინა.

და მაინც, რამხელა განძი, რამდენი უცნობი ფაქტი და მოვლენა მიმოფანტული ამ „ოქროს ფონდებში“, ან რა გააიდუმალეს ადრექრისტიანული ეკლესიის მამებმა ისეთი, როს გამჟღავნებასაც ასე ძალუმად სთხოვდნენ? ან განა რაიმეს დამალვა იყო გამოსავალი სიმართლისგან თავის დაღწევისა?

არანაკლებ განსაცვიფრებელი აღმოჩნდა ის ფაქტიც, რომ კატალოგებში ერეტიკოსთა თხზულებები ამაყად და თავმომწონედ ჩამწკრივებულიყო საეკლესიო მოღვაწეთა ჭეშმარიტ ნააზრევთა გვერდით.

წმინდა „სახარება“ ღვთიკვურთხეული და მაღლით მოსილი წიგნია, რომლის ზოგიერთი ფაქტი თვით თავისივე ნებით უფალმა დაფარული გახადა საზოგადოებისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ წაეზილწა მორწმუნეთა სული და გონება. ადამიანები ხომ სრულიად მარტივი და ჭეშმარიტი სწავლებით უნდა აღვზარდოთ, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ზედმეტი წვრილმანისაგან.

ქრისტეს მოციქულები ჩვეულებრივი, ხორცმცხმული ადამიანები იყვნენ და რა გასაკვირია, რომ თითოეთულ მათგანს მათი მოძღვრის ცხოვრების აღწერისას თავის მხრივ, რაღაც დამატებინა წმინდა წერილისათვის, ამიტომაც მრავალი ისტორია თუ ფაქტი კანონიკურთან შეუსაბამობის გამო არც შესულა ახალ აღთქმაში. ისინი დარჩნენ სახარების მიღმა.

1899 წლის 23 ოქტომბერმა კი ნამდვილი გადატრიალება მოახდინა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. სწორედ იმ დღით, ჰანს ნილზერი გადააწყდა იმ უიშვიათეს დოკუმენტებს, რომლებიც აშკარად მოწმობდნენ იმ ფაქტს, რომ უფლის ცხოვრება და ისტორია თავიდან ბოლომდე მითია და ზღაპარი, რომ აქ დაფარულია მთავარი საიდუმლო: ადამიანებმა ვერ შეიცნეს ცით მოვლენილი, განსხეულებული ქრისტე, და არ აღიარეს იგი. და სწორედ მაშინ პავლე მოციქულის მეოხებით, უფალმა იწინა რწმენა მოეფინა დედამიწისათვის. ცხადია, ამისათვის, თვით ღვთის ჩარევით შეიქმნა მითი, ლეგენდა, რომელმაც მიიპყრო ხალხის ყურადღება. ყოველივე ეს სავსებით ლოგიკურია, მაგრამ განა იმდენად არამყარია ჩვენი რწმენა, რომ ამ მითების და ლეგენდების არსებობა ჩვენთვის ასე აუცილებელია?

ერთ დღესაც, როდესაც უფროსი ბიბლიოთეკარი შეუძლოდ გახდა, ჰანს ნილზერს შესაძლებლობა მიეცა, რათა შეეღწია ბიბლიოთეკის ისეთ სიღრმეებში, სადაც პრაქტიკულად არავის უშვებდნენ. იმან, რაც აქ იხილა, დღიურების ავტორმა, იგი ძალიან გააოცა: აქ იყო ქვის პლეტები, თიხის 5 ცხრილი, მრავალფეროვანი ძაფები, აკინძული რაღაც ჯადოსნურ კვანძებად. ნახა ჩინური იეროგლიფები და არაბული წერილები, ეს ენები მისთვის უცხო იყო, სამაგიეროდ ის სრულყოფილად ფლობდა ბერძნულს, ძველ ებრაულს, ლათინურსა და არამეულს.

1900 წლის 1 ნოემბრისათვის ჰანს ნილზერმა გვერდზე გადადო ის დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა შუა საუკუნეობრივ მოვლენებს. მისი სამუშაო თითქმის დასრულებული იყო, თუმცა იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ჰანსს არ უშვებდნენ ზესაიდუმლო ქაღალდებთან, მხოლოდ იმიტომ, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ რაღაც იეჭვა, არადა მთელი ეს პერიოდი მან ისე იმუშავა, რომ თითქმის არ მიუპყრია ზედმეტად არავის ყურადღება.

1900 წლის 28 დეკემბერს ჰანსმა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა საკმაოდ საინტერესო ფონდი, რომლის გაცნობამაც მას ძალზედ დიდი სიამოვნება მოჰგვარა. ფონდში დაცული ლიტერატურა ნათარგმნი იყო ეგვიპტურიდან; აქ საქმე ეხებოდა რაღაც საიდუმლო ორგანიზაციას, მისი სიძლიერე ეყრდნობოდა თვით ღვთის ავტორიტეტს და იგი მართავდა მთელ სამყაროს.

1901 წლის 17 იანვარს კი სრულიად დაუჯერებელი რამ მოხდა: ბერძნულ ტექსტებში იყო საკმაოდ თამამი განაცხადი იმის შესახებ, რომ ეგვიპტური ღმერთ ამონის ქურუმები და ჩვენი დედა ეკლესიის პირველი იერარქები თურმე ეკუთვნოდნენ ერთსა და იმავე საიდუმლო ორგანიზაციას. ნუთუ ასეთი ადამიანები ღმერთმა იმისათვის გამოარჩია, რომ მათი მეშვეობით მისი ჭეშმარიტების ნათელი მოეფინა ხალხში? არა, არა, ამის გააზრებაც კი წარმოუდგენელია.

1901 წლის 22 თებერვალს ჰანს ნილზერმა გადაწყვიტა, საბოლოოდ დაენებებინა თავი საიდუმლო ფონდებისათვის, ვინაიდან უფროსმა ბიბლიოთეკარმა მას ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა, მაგრამ რაც ნახა, ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმაზე წარმოდგენის შესაქმნელად, რომ წმინდა სახარება, გზავნილი ღვთისა, უკანონოდ ხელში ჩაიგდეს და მიითვისეს წარმართებმა ის გამოიყენეს იმისათვის, რათა ემართათ სამყარო. კი მაგრამ, როგორ ითმენდა ამას უფალი? ან იქნებ ტყუილია ყოველივე და თუ ეს ასეა, მაშ რაღა ვიფიქროთ ამის მერე? იქნებ ამიტომაც უთხრა უფროსმა ბიბლიოთეკარმა ჰანსს, რომ იგი არამტკიცე იყო სულით, ურჩია, რომ გაემყარებინა რწმენა და მაშინ მის წინაშე ახალი ძალებით გადაიშლებოდა მათი ბიბლიოთეკის მთელი საგანძური. ყოველივეს, რაც მან აქ იხილა, ის უნდა მიდგომოდა მხოლოდ წმინდა, ღრმა და შეურყვნილი რწმენით.

არა! ეს არ არის სიყალბე და ტყუილი, ჰანს ნილზერმა უამრავი ამონაწერი გააკეთა დოკუმენტებიდან, ყველა მათგანი შეამოწმა დიდი გულისყურით და ვერ აღმოაჩინა ვერც ერთი უზუსტობა, რაც ოდნავ ეჭვს გამოიწვევდა. გულსატკენი კი მხოლოდ ის იყო, რომ ჰანსი ვედარასოდეს დაიბრუნებდა ძველ რწმენას და ვედარც გახდებოდა ის პიროვნება, რომელიც მანამდე იყო.

უფროსმა ბიბლიოთეკარმა მას სიტყვა ჩამოართვა, რომ არასოდეს, არავის მოუყვებოდა იმ საიდუმლოთა შესახებ, რაც მან იხილა ბიბლიოთეკაში. ჰანსმაც საზეიმოდ ფიცი დადო, რომ ეს ყველაფერი სამუდამოდ მასთან დარჩებოდა, თუმცა სამშობლოში დაბრუნებისთანავე ამ დოკუმენტების ასლები გააგზავნა აუგსბურგში, რათა მათ საბოლოოდ ეხილა დღის სინათლე.

ასე დასრულდა ჰანს ნილზერის რომაული ვოიაჟი. გამომშვიდობებისას, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ მას წარმატებები და კვლავ მათთან ერთად მალე საქმიანობის ერთად გაგრძელება უსურვა. თუმცა საკითხავია, ნამდვილად მართლაც გულით მიიპატიჟეს კი იგი? დიდად საეჭვოა, ეს ასე ყოფილიყო.

ლიტერატურა

1. კორადო აუჯიასი, „ვატიკანის საიდუმლოებები“. 2013 წ.
2. ბერნარ ლარონტი, „რას გვიმაღავს ვატიკანი?“. 2016 წ.

რეზიუმე

სტატიაში საუბარია გერმანელი მოგზაურის ჰანს ნილზერის დღიურებზე, რომელიც მან შეადგინა რომში, კერძოდ კი, ვატიკანში მოგზაურობის ჟამს. საზოგადოების ფართო წრეებში დღემდე საკამათოა ის ფაქტი, დღიურებში გადმოცემული ამბავი მითია თუ რეალობა, თუმცა აშკარაა ისიც, რომ ვატიკანი საგულდაგულოდ მალავს იმას, რის გაცხადებასაც ასეთივე სიმკაცრით უფრთხის, ძალზედ მკაცრად ასაიდუმლოებს, ვინაიდან სიმართლემ სხვა თუ არაფერი, შესაძლოა საერთოდ ეჭვქვეშ დააყენოს თავად ეკლესიის არსებობა. ამ ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ ბიბლია, რომელიც დღეს თავს იწონებს და ამშვენებს ჩვენს წიგნის თაროებს, თურმე წარმოადგენს იმ პირვანდელი, ოდესღაც არსებულის ათასჯერ გადაკეთებული და გადამღერებულ ვარიანტს. მოციქულებმა იესოს ცხოვრებისა და მიწიერი მოღვაწეობის არაერთი სიუჟეტი თუ ეპიზოდი დატოვეს ე. წ. კადრს მიღმა და აღწერეს მხოლოდ ის, რომელიც მათ აწყობდათ.

თავის მხრივ ბიბლიის ყოველი გადაწერისას ეს ფაქტები და მოვლენები კიდევ უფრო დაკარგული და სახეცვლილი ფორმით აღწევდა მის მომდევნო გადამწერამდე. მომქანცველი და დაუდალავი შრომის, საკუთარ ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების ფასად, ჰანს ნილზერმა შეძლო სააშკარაოზე გამოეტანა არა ერთი დოკუმენტი, ფაქტი თუ ისტორია, რითაც ნათელი მოჰფინა ვატიკანის ფოლიანტებში დამალულ საიდუმლოს. რწმენა საოცრად პირადული ფენომენია. ჩვენ არავის არაფერს ვახვევთ თავს, მთავარია ცხოვრებაში ერთხელ მაინც გავცეთ პასუხი ამ უმთავრეს კითხვას: „რას ვირწმუნებთ და რისთვის?!“

Natia Bliadze - Akaki Tsereteli State University

Unfolded secret in Vatican Folios

In the article there is talked about diaries of German traveler Hans Nilser which was written in Rome, namely to Vatican, during his travelling. Till today the facts of the diary is debatable forw wide mass of the society whether they are myth or reality, though its' obvious that Vatican carefully keeps and strictly conceals as the truth can raise suspect on existence of the church. The doubt is aggravated by the fact that the Bible, which decorates our bookshelves, turned out is the original, formerly existed many times reworked and reiterated, version. The servants recited some episodes of living and activity of Jesus the so called "off-screen" and they described only the things which were profitable for them.

From one side, during every rewriting of the Bible, these facts and events reached to the next rewriter with more lost and changed shape. At cost of tiring and indefatigable working and trespass to his health Hans Nilser could disclose many documents, facts and history, by which he could unfold hidden secret in Vatican Folios. The belief is a personal phenomenon. We don't dictate anything. The main thing in life is to answer the foremost question "What we'll trust and why?!"

პედაგოგია/Pedagogics

გული შერვაშიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნანი მამულაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

სწავლება, როგორც პროფესია

ოცდამეერთე საუკუნეში მთელი მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში მკვეთრად გაიზარდა კრიტიკული მეცნიერების და სწავლების ეფექტურობის მნიშვნელობა, რამაც ცოდნის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად პროფესიების განსხვავებული სახეები და კრიტიკული დამოკიდებულებები გამოიწვია. მაქს ვებერის თანახმად პროფესია არის ცხოვრების ხანგრძლივად უზრუნველყოფის, ნივთებისა და საარსებო საშუალებების შექმნის შანსების საფუძველი. თავად სიტყვის შინაარსი უკავშირდება პიროვნულ პასუხისმგებლობას.

პროფესია განსაზღვრავს ადამიანის აზროვნებასა და მოქმედებას, და იმ წვლილს, რაც შეაქვს პროფესიას სოციალური უთანასწორობის თაობიდან თაობაზე გადაცემასა და გამყარებაში - ვკითხულობთ სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონში.

გაეროს განვითარების პროგრამის მოხელის სამაგიდო ლექსიკონის თანახმად, პროფესია ის ძირითადი საქმე, შრომითი საქმიანობაა, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ მომზადებას და წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად პროფესია ცოდნის, უნარ-ჩვევათა და კომპეტენციათა ერთობლიობაა, რომელთა ფლობა აუცილებელია გარკვეულ სფეროში შრომითი საქმიანობისათვის და რომელთა შექმნა შესაძლებელია სწავლის ან შესაბამის სფეროში საქმიანობისათვის.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროფესია ყველა შემთხვევაში უკავშირდება შრომით საქმიანობას - „ჩემ საქმედ ვაცხადებ“, ხოლო პროფესიონალი იმ ადამიანს, რომელმაც აირჩია რაიმე საქმიანობა თავისი ცხოვრების საქმედ და რაიმე დარგში დასპეციალდა.

დღეს პრობლემაა ის, რომ თვითონ სიტყვა `პროფესიონალის` მნიშვნელობა დაუზუსტებელია. დროის ცვალებადობასთან ერთად, სიტყვებიც მნიშვნელობას იცვლიან. ამჯერადაც, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. წლების წინ, პროფესიონალი ნიშნავდა საზოგადოებაში სტატუსის ქონას არამარტო ცოდნის, არამედ მორალური ავტორიტეტის გამო. დღეისთვის, როდესაც უძრავი ქონების აგენტები თავიანთ თავს პროფესიონალებს უწოდებენ, როდესაც ფანჯრის მშენებელი პროფესიულ მომსახურებას გვპირდება და როდესაც მეორადი მანქანების გამყიდველებს პროფესიული საქმიანობის კოდექსი გააჩნიათ, გასაკვირი აღარ არის, რომ ამ სიტყვას ტრადიციული მნიშვნელობით ვეღარ განვიხილავთ. რასაკვირველია, ძველი კრიტერიუმები, რომლებიც პროფესიებს განსაზღვრავდა, დღევანდელიობასთან შეუსაბამოა, ვინაიდან დღეს განსხვავებულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ.

საუკუნის დასაწყისში უელსის ზოგადი საბჭოს სხდომაზე ჩაისახა **აზრი სწავლების პროფესიად გამოცხადების შესახებ**. შეიძლება ითქვას, რომ ერთი შეხედვით, თითქოს არანაირ სიახლესთან არ გვაქვს საქმე, მაგრამ საგულისხმოა არა მხოლოდ პროფესიით მასწავლებლის პროფესიონალიზმი, არამედ სხვადასხვა პროფესიის ადამიანების პროფესიული საქმიანობა, რომელსაც ახლავს არა მხოლოდ საკუთარი პროფესიის ცოდნა, არამედ პროფესიის სწავლება საგანმანათლებლო სივრცეში.

უდავოა, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სწავლება დიდი კრიტიკის და დაკვირვების საგანი გახდა. **ევროპის წამყვან ქვეყნებშიც კი სწავლება არ არის პროფესია, რომელიც მუდმივად საზოგადო ინტერესსა და ყურადღებას იწვევს.** სწავლება, როგორც პროფესიული საქმიანობა, უფრო ნაკლებწონიანი და ნაკლებ გავლენიანია ისეთ პროფესიებთან შედარებით, როგორებიცაა სამართალმცოდნეობა და მედიცინა. სწავლება `ნახევარ` პროფესიად გადაიქცა და დღეს სწავლებით დაკავებული პირები არ ასოცირდებიან განსაკუთრებული ინტელექტუალური და სამეცნიერო ცოდნის მფლობელებთან, რომელთაც საზოგადოებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

სხვადასხვა პროფესიის ადამიანის პროფესიულ განვითარებისა და ამ პროფესიის სწავლების პროცესის კავშირის წარმოდგენა პროფესიონალიზმის ახლებურად გაგებამდე მიგვიყვანს და დღის წესრიგში დადგება პროფესიაში სწავლების პროფესიის გააზრების აუცილებლობა.

პედაგოგია/Pedagogics

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ყველა პროფესია საზოგადოებრივი დაკვირვებისა და კრიტიკული შეფასების საგანი გახდა. საინფორმაციო რევოლუციამ, შრომის ინტენსიურობის ზრდამ, შესაბამისად გაზარდა მოლოდინი საჯარო სამსახურისა და აქ დასაქმებული პირების მიმართ („პროფესიონალიზმის“ სახეცვლილი მნიშვნელობა), რამაც უფრო მეტად დაგვაავალდებულა კარგად ვიცნობდეთ თანამედროვე მიღწევებს პროფესიული ცოდნის გადაცემის სფეროში და უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ ის სასწავლო პროცესში.

ამ გადასახედიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფესიის ადამიანმა შეძლოს პროფესიული სტანდარტების გამოყენებით ღირსეულად ჩაერთოს განათლების სისტემის გადახალისების პროცესში, რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალი სტრატეგიებისა და შეფასების ახალი ხერხების სწორად დაგეგმვა, გააცნობიეროს როგორ ასწავლოს, როგორ განავითაროს მომავალ თაობაში აზროვნებისა და ქცევის ისეთი მახასიათებლები, რომლებიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ცალკეულ პროფესიათა ათვისებას, არამედ უზრუნველყოფს ამ პროფესიის ადამიანთა ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას, რათა მათ შეძლონ საკუთარი პიროვნების რეალიზება და სოციალურად პროდუქტული ცხოვრება, რომელიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ ცოდნაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე. ერთი სიტყვით, უმთავრეს პრობლემად იქცა აქტიური მასწავლებლის პროფესიული სახის შექმნა „კათედრაზე ასვლა მასწავლებლად გახდომას ჯერ არ ნიშნავს. ადამიანი მასწავლებელი ხდება სულიერი დიდების წყალობით, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მთელი კაცობრიობის პატივისცემა და თაყვანისცემა“ (ჯ. ალენი, 2014:34).

ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების პრიორიტეტი აზროვნებაზე ორიენტირებული სწავლება გახდება. ინგლისელი ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის ჯეიმს ალენის აზრით ეფექტური სწავლა და სწავლება ცოდნის დაგროვებასთან ერთად აზროვნების განვითარებასაც გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე მეხსიერებისა და კეთების საშუალებით გაგებამდე მივიდეს, რადგანაც თანამედროვე ყოფა გვაიძულებს დავტოვოთ ორგანიზებული ორგანიზაციების ერა და ძირითად კომპეტენციებად გაგების, ფასილიტაციის და თვითორგანიზების უნარი ვაქციოთ და ისიც გავითვალისწინოთ რომ, „კარგად ინფორმირებული ადამიანი ყველაზე დიდი სიცარიელა დედამიწაზე“ (გ. ვაითედი). თავის დროზე ილიამ გვიანდერმა: ცოდნა, სწავლა და განათლება დღევანდელი კაცისთვის არსებითი პურია. მთავარ ღირებულებად ცოდნაზე ორიენტაცია გამოაცხადა და შემდეგი პრინციპები შემოგვთავაზა:

სიახლის, განვითარების და პროგრესისაკენ სვლა;

პიროვნება თავისუფალი, თვითგანვითარებაზე ორიენტირებული გუნდური მუშაობის უნარით;

ყოველდღიური ანგარიშვალდებულება“ დღეს მე ვის რა ვარგე” - ს გააზრებით. ილიას დამსახურებაა ისიც, რომ დაინახა მეცნიერებისა და საზოგადოების პროგრესის ჰარმონიზების შესაძლებლობა და ცოდნა გამოაცხადა თავისთავად სიმდიდრედ, რომელსაც ფულზედ უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალიზედ უფრო მეტად ჭრის და ზარბაზანზედ უფრო ძლიერია.

ცოდნის საუკუნისთვის დამახასიათებელმა ცხოვრების კომპლექსურობამ და მიმდინარე სოციალურმა ცვლილებებმა უდავოდ დიდი გავლენა იქონია მასწავლებლის პროფესიულ როლზე. განსაკუთრებით კი საყურადღებოა გავლენის სფეროებისა და ფაქტორების მრავალფეროვნება, როგორცაა: მუშაობისა და ცოდნის ცვალებადი სახე `ინფორმაციულ საზოგადოებაში`, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენა, დასაქმების სტრუქტურის შეცვლა, პრაქტიკული სწავლების მნიშვნელობის აღიარება და სტანდარტების ამალღება. გავლენის ამ ფაქტორების განხილვისას, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ყველა ეს ფაქტორი დამატებით სირთულეს სძენს მასწავლებლის პროფესიას.

ამას ისიც ემატება, რომ მასწავლებლის პროფესიის ახლებურად გააზრებაში მნიშვნელოვან პრობლემად იქცა სწავლების პროცესში ჩართული იმ ადამიანების პროფესიონალიზმი, რომლებსაც ათვისებული აქვთ სახვადასხვა პროფესია, მაგრამ მათთვის სწავლება არასოდეს ყოფილა, როგორც პროფესია. ბუნებრივია მასწავლებლის პროფესიის გააზრება დაისვა ორმაგი მნიშვნელობით. ერთი იმ შემთხვევისათვის, როდესაც მასწავლებელს მიღებული აქვს მასწავლებლის პროფესიისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება და მეორე იმ შემთხვევისათვის, როდესაც არა აქვს სპეციალური მასწავლებლობის განათლება, მაგრამ ფლობს პროფესიას, რომელიც უნდა გადასცეს მომავალ თაობას. ჩვენი ნაშრომის პრობლემაც სწორედ ამ კონტექსტში იკვეთება და პირველი ცდაა სწავლების, როგორც პროფესიის გააზრების გზაზე, რაც დაგვეხმარება, როგორც ავსტრალიელი ფსიქოლოგი ალფრედ ადლერი

პედაგოგია/Pedagogics

ამბობს, უპირატესობა მიენიჭოს სწავლებაში ინტერესებისა და პრაქტიკული მნიშვნელობის თანხვედრას, რომელიც დაგვიხმარება ახლებურად გავიზაროთ „პროფესიონალიზმი“ და მისი მთავარი მაჩვენებლები. ჯეკი თერნზული პროფესიული წარმატების პრაქტიკულ გზამკვლევაში გვთავაზობს „პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელს“: **ინტუიციით განსჯის უნარის განვითარება, თავისი პიროვნების გააზრება მასწავლებლის როლში; თავდაჯერებული მუშაობა; სტრესის დაძლევის უნარი; დროის მართვის უნარი; ნდობის ჩამოყალიბება; ყურადღებით მოსმენის უნარი; გავლენის სფეროს გაფართოება.**

ჩვენი აზრით, სწორედ აღნიშნული მახასიათებლიდან უნდა დაიწყოთ `ახალი` პროფესიონალიზმის შენება, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნებს უპასუხებს. ისინი პიროვნული განვითარების ასპექტებია და პროფესიული განვითარების მყარ საფუძველს ქმნიან. თუ ჩვენ, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს გვიწევს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სირთულეებთან თავის გართმევა, `ეფექტურად, ღიად და ავტორიტეტულად` მუშაობაც უნდა შევძლოთ. ამისათვის კი, უნდა შევიძინოთ გარკვეული უნარ-ჩვევები და ჩვენ, თავად გავხედოთ `მოწინავე მოსწავლეები` ჩვენს საზოგადოებაში. სასწავლო კარიერის ნებისმიერ ეტაპზე, ყველა პროფესიის წარმომადგენელს აქვს ქცევის კოდექსი და პროფესიული სტანდარტები, სადაც წარმოდგენილია მითითებები პროფესიული პრაქტიკისთვის, მაგრამ ვფიქრობთ აუცილებელია მათ პროფესიულ სტანდარტს დაემატოს მასწავლებლობის უნარ-ჩვევების გაძლიერებისათვის საჭირო პროფესიული სტანდარტის ელემენტები.

აღნიშნულის აუცილებლობაში დაგვარწმუნა ჩვენს მიერ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიულ და ტურიზმის ფაკულტეტზე ჩატარებული კვლევის შედეგებმა. კვლევის კითხვარი მოვამზადეთ სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის. სტუდენტების მიმართ დასმული კითხვარის შინაარსი ერთიანდებოდა აზრში - ახერხებს თუ არა ლექტორი სასწავლო დისციპლინის მიწოდებას სწავლების თანამედროვე მიდგომების შესაბამისად. გამოკითხულ სტუდენტთა 60 პროცენტის მოსაზრებით ლექტორთა უმეტესობა ფლობს საგნის ცოდნის კომპეტენციებს, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ცოდნის გადაცემის, სტუდენტთა ჩართულობით ახალი ცოდნის შექმნის საფუძველზე ცოდნის გამთლიანების პროცესი. **აღნიშნული მაჩვენებელი გვაფიქრებინებს, რომ პროფესიონალი სპეციალისტის გადამზადება საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწეობისთვის შექმნის სწავლების პროფესიულ ქცევის საფუძველს, რომელიც წინამდებარე სტატიის მთავარი პრობლემაა.**

იმავე კონტექსტში პროფესორ-მასწავლებლებისთვის დასმული კითხვარის შინაარსი შეეხებოდა საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული საქმიანობისთვის პედაგოგიური განათლების არ ქონის გამო გამოწვეულ პრობლემებს და სურვილებს. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პროფესორ-მასწავლებელთა 55 პროცენტის მხრიდან მზაობა, რომ პროფესიის სიღრმისეული გადაცემის კოეფიციენტის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია სწავლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინება საკუთარი პროფესიის ღრმად და საფუძვლიანად გადაცემაში. ხოლო დარჩენილი ნაწილი სპეციალური გადამზადების აუცილებლობას ვერ ხედავს. ეს იმას გვაფიქრებინებს, რომ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართული პროფესორების ნაწილს არა აქვს გაცნობიერებული ის უდიდესი მნიშვნელობა სწავლების პროცესის დაგეგმვისადმი წაყენებული თანამედროვე მოთხოვნებისა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი პროფესიის ადამიანის პროფესიონალიზმს - უფრო დაზუსტებისთვის კი - საგნის ცოდნა პროფესიონალიზმის განმსაზღვრელია, მაგრამ არ არის საკმარისი თანამშრომლობითი გარემოს შექმნის, ჯანსაღი კონკურენციის, „სწავლების, სწავლების გარეშე“ განხორციელებისა და ახალგაზრდობის დამოუკიდებლობის, წარმატებულობის, უნივერსალიზმისა და განსხვავებულობის გაგებისათვის, რის გარეშეც საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება შეუძლებელია.

ლიტერატურა

1. ჯეიმს ალენი - როგორ აზროვნებს ადამიანი, თბილისი, 2014 წელი;
2. ჯეკი თერნზული, პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, 2009 წელი;
3. გურამ თევზაძე - „ილია ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება“ ბურუსი, 2010 წელი.

პედაგოგია/Pedagogics

რ ე ზ ი უ მ ე

მასწავლებლის პროფესიის ახლებურად გააზრებაში მნიშვნელოვან პრობლემად იქცა სწავლების პროცესში ჩართული იმ ადამიანების პროფესიონალიზმი, რომლებსაც ათვისებული აქვთ სახვადასხვა პროფესია, მაგრამ მათთვის სწავლება არასოდეს ყოფილა, როგორც პროფესია. ბუნებრივია მასწავლებლის პროფესიის გააზრება დაისვა ორმაგი მნიშვნელობით. ერთი იმ შემთხვევისათვის, როდესაც მასწავლებელს მიღებული აქვს მასწავლებლის პროფესიისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება და მეორე იმ შემთხვევისათვის, როდესაც არა აქვს სპეციალური მასწავლებლობის განათლება, მაგრამ ფლობს პროფესიას, რომელიც უნდა გადასცეს მომავალ თაობას. ჩვენი ნაშრომის პრობლემაც სწორედ ამ კონტექსტში იკვეთება და პირველი ცდაა სწავლების, როგორც პროფესიის გააზრების გზაზე.

Guli Shervashidze -Batumi Shota Rustaveli State University, Doctor of Philosophy, Professor

Nani Mamuladze - Shota Rustaveli State University, Doctor of Education, Assistant Professor

Teaching as a Profession

Resume

It has become professionalism to reframe the teaching profession problem of people involved in this process. They are people who have been mastered in different professions, but have never been taught as a profession. Naturally, the teaching profession has been raised to understand the double meaning. One of the occasion is when the teacher has taken the necessary knowledge and experience and the other case is when he/she does not have a special education as a teacher, but holds a profession, which should be handed over the next generation. Our work problem is clear in this context and it is the first attempt to understand teaching as a profession.

ლელა თავდგირიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ნატო შეროზია - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

შრომა - საზოგადოების წარმატების პირობა

“ქვეყანა ტადარი კი არ არის საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს” (ილია). მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობის შექმნა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უპირველესი ამოცანა და ეროვნული ზრუნვის საგანი უნდა იყოს. დღეს, როცა საქართველოს სოფლები დაცარიელდა და სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას, დღეს, როცა სასოფლო-სამეურნეო სპეციალობები ნაკლებად მოთხოვნადი და პრესტიჟულია, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სფეროში შექმნილი კრიზისის დაძლევის აუცილებლობა მოითხოვს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას. მნიშვნელოვანია სოფლის, როგორც ყოფის, სოფლად მოსახლეობის შენარჩუნება, მიწათმოქმედების აღორძინება, რადგან ქართველი უმველესი დამოუკიდებელი მიწათმოქმედი კულტურისა და ტრადიციების მქონე ერია. შრომა მატერიალურ ღირებულებებთან არის დაკავშირებული. შრომის გარეშე, ბუნებაზე აქტიური ზემოქმედების გარეშე, შეუძლებელია კაცობრიობის არსებობა. შრომა განაპირობებს ქვეყნის ძლიერებას, ხალხის კეთილდღეობას, კმაყოფილ, ბედნიერ ცხოვრებას. ამიტომ მოზარდში შრომის მოთხოვნილების აღზრდა მიჩნეულია მაღალმორალური თვისებების ჩამოყალიბების საშუალებად.

შრომითი საქმიანობის პროცესში ხდება პიროვნების შინაგანი ძალებისა და პოტენციალის განვითარება. ადამიანი, რომელიც არ შრომობს, კარგავს საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. კაცობრიობის ისტორია არის ადამიანის ფორმირება შრომის პროცესში. შრომა არა მარტო ფიზიკურად აწრთობს ადამიანს, არამედ გარდაქმნის მას სულიერად. საზოგადოების წარმატების აუცილებელი პირობაა თანამედროვე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა. ცხოვრებისათვის, შრომისათვის, ახალგაზრდების მომზადებისათვის მნიშვნელოვანია: მომზადდეს მოსწავლე-ახალგაზრდობა შრომისათვის ფსიქოლოგიურად, ე.ი იმ რწმენითა და შეგნებით, რომ მან უნდა იმუშაოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში; მოსწავლეებს მივცეთ შრომის თეორიული საფუძვლების ცოდნა, ვასწავლოთ, როგორ უნდა ვიმუშაოთ მაღალკვალიფიციურად; შევაიარალოთ ახალგაზრდობა შრომის უნარ-ჩვევებით (1. გვ.213). პროფესორი ვლადიმერ გაგუა, როცა შრომითი აღზრდის მნიშვნელობაზე და მოზარდებისადმი შრომისადმი მომზადებაზე საუბრობს, აღნიშნავს, რომ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში „ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით, სტუდენტები და მაღალი კლასების მოსწავლეები ზაფხულის პერიოდში ნაყოფიერად მუშაობენ. ჩვენი ახალგაზრდობა აქტიურად ებმება ნაყოფიერ შრომაში სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მშენებლობის ბევრ დარგში. ახალგაზრდა თაობა მხარში უდგას მუშებს, კოლმეურნეებს, კულტურის მუშაკებს; მათთან ერთად ქმნის მატერიალურ დოვლათს, ბედნიერ ხვალისდელ დღეს“(1.გვ. 210).

შრომის სიკეთესა და აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას ყველა დროის გამოჩენილი ადამიანი-პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი თუ პედაგოგი. რას ნიშნავს მიწა, მიწათმოქმედება და მათთან კულტურული მიმართება ქართველი კაცისთვის? როგორ უკავშირდება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი იმ სფეროს, რომლის სახელსაც „გეორგია“ ატარებს, ჩვენი ქვეყანა? რა ეკონომიკური და სულიერი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობას ჩვენთვის? როგორ უკავშირდება ერთმანეთს ქვეყნის ცხოვრების ეკონომიკური და ზნეობრივი ასპექტები? ეს კითხვები იყო ქართველ განმანათლებელთა მსჯელობის საგანი. „ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედი ქვეყანაა. ერთადერთი მრეწველობა, რომელზედაც დღეს დამყარებულია ჩვენი კეთილდღეობა. ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი ერის გამორჩობა და კვება, მიწასა და მიწის კეთებაზედ არის მიქცეული“ წერდა ილია ჭავჭავაძე. იგივე პრობლემა დღეს კიდევ უფრო აქტუალურია. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება, სასოფლო-სამეურნეო სკოლების შექმნა საქართველოში იყო ქართველ განმანათლებელთა: იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის, ილია ჭავჭავაძის საფიქრალი. „ჩვენი ხალხი, უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს. წლითი-წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრილებს, ჰხნავს, სთესავს, ვახს უვლის, ბოსტნეული მოჰყავს, წელებზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნაღვაწი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზე დასდო, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-ნადაგი ხელიდან გამოეცალა. რა ქნას?

პედაგოგია/Pedagogics

ცოდნა მას არა აქვს, ვერც თვის საკუთარ ძალ-ღონეს დანდობია. ვერც სხვას მინდობია, ვინც ცალკე ღონით გასძლიოდა... სად არის განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შესტკიოდეს და წარმატების გზა უჩვენოს (7. გვ. 247). ილია ჭავჭავაძეს სურდა, ქართულ სოფელს, სასოფლო-მეურნეობას გასძლიოდა მეცნიერული ცოდნით შეიარაღებული ადამიანები, რომლებიც თეორიულ ცოდნას სრულყოფილად გამოიყენებენ პრაქტიკაში. ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მხოლოდ მცოდნე და განათლებული ადამიანები ყოფილიყვნენ დასაქმებული. მასწავლებელი, ექიმი, ტექნიკის, მიწის შემუშავების მცოდნე- ყველა, ვინც მეცნიერებითა და ცოდნით არის შეიარაღებული. ყველა საჭიროა ახლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ (7.გვ.249). „უცხოელებზე იმედის დამყარება, მათი მოპატიჟება „გადასარჩენად“ შეურაცხმყოფელი და ფუჭი მცდელობა იქნება. დინამიკური სოფლის მეურნეობა უცხოელთა ჩამოსახლებით კი არა, მოქნილი სამოქმედო გეგმით იქნება შესაძლებელი. სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, გლეხკაცს-ქართული მიწის მთავარ მეურვეს შეუძლია არა მარტო ქვეყნის გამოკვება საკუთარი წარმოების პროდუქციით, არამედ სახელმწიფოს ძლიერების საძირკველს ჩაუყარა“ (5. გვ. 75).

ილია ჭავჭავაძე თავის გულისტკივილს სხვადასხვა ხასიათის თავყრილობებზე და პერიოდულ პრესაში ხშირად აღნიშნავდა, რომ საქართველო ღმერთის წილხვედრი მიწაა და ღმერთისგანვე ნაბოძები. იგი მდიდარია წიაღისეულით, ბუნებრივი საკვებით, მრავალფეროვანია მისი ფლორა და ფაუნა. სამწუხაროდ, ასეთი ქვეყნის პატრონი, ქართველი გლეხი, უკიდურეს გაჭირვებასა და ხელმოკლეობს განიცდიდა, საოცრად უჭირდა, ხშირად, ოჯახისათვის საჭირო-საბადებლის მოყვანა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნამდვილად შრომისმოყვარე და გამრჯე იყო. მიზეზი ასეთი მდგომარეობისა, ილია ჭავჭავაძის თვალთახედვით, იყო მშრომელი გლეხობის აბსოლუტური გაუნათლებლობა. ქართველი გლეხი მოუმზადებელი, უცოდინარი იყო რათა სოფლის მეურნეობას რაციონალურად გასძლიოდა. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის მისაღებად და გასავრცელებლად ჩვენში იყო შესაბამისი პროფილის სკოლები. ქართველ გლეხს უცოდინარობისა და გაუნათლებლობის გამო არ შეეძლო გამოეყენებინა თავისი სამშობლოს მდიდარი და უნიკალური ხასიათის ბუნება, მისი ჩაყენება ერისათვის, მისი ბედნიერების სამსახურში. ამიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძე წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-მარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. „მაშ რაღად ვართ ღარიბნი? მკითხავთ თქვენ. იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით-საიდან რა ამოვიღოთ, რა ხერხით და რა ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ-ისა, რაც თქვენსავე სიტყვით, თვითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერ მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება-ხოლომე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებული, ამას იმ ხერხით, ამ ოსტატობით-უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო. მაგისტანა ღვთისმიერ წინამძღვრს ცოდნა ჰქვია... .. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზეც უფრო ძლიერია“ (7. გვ.252).

1883 წელს სოფელ **წინამძღვრიანთკარში** გახსნილი სასოფლო-სამეურნეო სკოლა პირველი იყო საქართველოში და მის დანიშნულებას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობის მომზადება. ამ ტიპის სკოლის დაარსებას დიდხანს ნატრულობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები, რადგან ამ ტიპის სასწავლებლის აუცილებლობა თვით ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში და იგი ჰაერით სჭირდებოდა ჩვენს ერს, რამდენადაც ჩვენი სამშობლო აგრარული ქვეყანა იყო და სოფლის მეურნეობის მცოდნე სპეციალისტების მწვავე დეფიციტს განიცდიდა.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნით აღფრთოვანებული ილია ჭავჭავაძე წერდა: `როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვია და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? ამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გიჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაულაღავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელ საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის

პედაგოგია/Pedagogics

კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი-აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან.

აი, სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლემ მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვია. აი, ამ პატარა სახლიდან გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყველგან გამარჯვებული ფარ-ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვია. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰყვნიენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ(7.გვ. 254)

იაკობ გოგებაშვილიც დიდი სიხარულით შეხვდა წინამძღვარიანთკარში, სამეურნეო სასწავლებლის გახსნასა და მისი ფუნქციონირების დაწყებას. იგი საჭიროდ თვლიდა ამ შესანიშნავი წამოწყებისათვის ყოველმხრივ დაეჭირათ მხარი ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს და დღენიდაგ ეზრუნათ იმისათვის, რომ საქართველოში გახსნილიყო საჭირო რაოდენობის სამეურნეო სასწავლებლები. ნიკო ცხვედაძე, როგორც ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის თანამოაზრე, მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში იღვწოდა იმისათვის, რომ ჩვენში შექმნილიყო სამეურნეო განათლების ფართო ქსელი. მან ამ მიზნით, ჯერ კიდევ ევროპაში მოგზაურობის დროს, საფუძვლიანად შეისწავლა იქაური სამეურნეო და სხვა სახის სპეციალური სასწავლებლების მუშაობის ორგანიზაცია, სასწავლო გეგმები და პროგრამები. ნიკო ცხვედაძემ კრიტიკულად გააანალიზა ევროპის სამეურნეო სკოლების გამოცდილება და შექმნა სამეურნეო სკოლის, მისი მუშაობისა და ორგანიზაციის ორიგინალური გეგმა-პროექტი, რომელიც მან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წარუდგინა განსახილველად 1877 წელს. ძირითადი პრინციპი სამეურნეო სკოლის მუშაობის ორგანიზაციისა, ნიკო ცხვედაძის აზრით, უნდა ყოფილიყო სასწავლო მუშაობის განხორციელება ქართველი ხალხის, კერძოდ, გლეხობის, კონკრეტული ძირითადი სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად. ნიკო ცხვედაძის უაღრესად მნიშვნელოვანი, მეცნიერული თვალსაზრისით დახვეწილი პედაგოგიური ნაშრომი "ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა" ცალკე წიგნად გამოვიდა 1903 წელს, რაც მიუთითებს იმის შესახებ, რომ აღნიშნული ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემა საჭიროდ ჩათვალა ქართველმა საზოგადოებრიობამ. ამ ნაშრომში ნიკო ცხვედაძე საფუძვლიანად აანალიზებდა საქართველოს გლეხობის მდგომარეობას, სოფლის მეურნეობის სავალალო დონეს და იძლევა დასაბუთებულ, მწყობრ თვალსაზრისს სასოფლო-სამეურნეო ტიპის სკოლების მუშაობის შინაარსის, მისი მიზნისა და ამოცანების შესახებ. რომელსაც ხელი უნდა შეეწყო საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის. ნიკო ცხვედაძე მოითხოვდა, რომ სასოფლო-სამეურნეო განათლება ჩვენში გაეცვლებინა არა სოფლის დაწყებით სახალხო სკოლებს, არამედ სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს, რომელთა ქსელის გაფართოებისთვის უნდა ეზრუნათ ქართველ განმანათლებლებსა და ერის თავკაცებს, ფართო საზოგადოებრიობას.

1894 წლის 11 იანვარს (2.გვ.123) ქუთაიში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, მიეცა ახალგაზრდებისათვის დაბალი სასოფლო-სამეურნეო განათლება მევენახეობაში, მებოსტნეობაში, მეხერხემლოებაში, მეფუტკრეობასა და სხვა დარგებში. სასწავლებელი ოთხწლიანი იყო, ერთი მოსამზადებელი და სამი ძირითადი კლასით. სასწავლებელს ჰქონდა ფერმა, ღვინის სარდაფი, ორი საფუტკრე. სკოლასთან არსებობდა კარგად მოწყობილი მეტეოროლოგიური სადგური, სადაც მოწაფეები აწარმოებდნენ საერთო და ფენოლოგიურ დაკვირვებებს: სიმინდზე, ხეხილის ნერგებზე, ვენახზე. ამ დაკვირვებათა შედეგები ეგზავნებოდა სათანადო ორგანიზაციებს. სასოფლო-სამეურნეო სკოლაში ძირითადად პრაქტიკული მეცადინეოები იყო. საკლასო მეცადინეობა ტარდებოდა ზამთრის პერიოდში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობა და მუშაობა წლის დანარჩენ დროს. ნიშნები იწერებოდა შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით. გამოსაშვები გამოცდების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, კურსდამთავრებულებს პრაქტიკა უნდა გაეცლოთ რომელიმე მამულში. მხოლოდ ამის შემდეგ იღებდნენ ისინი ატესტატს (4. გვ. 27).

დიდია გამოჩენილი შოტლანდიელი აგრონომის, მეხაღის და მრეწველის იაკობ მარის (ისტორიკოსი ნიკო მარის მამა) ღვაწლი სასოფლო-სამეურნეო სკოლის განვითარების საქმეში (4. გვ. 28). იაკობ მარის ინიციატივით, ქუთაისის ახლოს სოფელ ჭომაში კარგი მეურნეობა მოეწყო, სადაც ძვირფასი მცენარეების მოვლის გარდა, მესაქონლეობას, ჯიშიანი საქონლისა და ფრინველის მოვლა-მოშენებას ეწეოდნენ. მისივე ინიციატივით მოეწყო სასოფლო-სამეურნეო სკოლა საცდელი ნაკვეთითა და სანერგეებით. მართან ჩამოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლები სოფლის მეურნეობის შესასწავლად.

პედაგოგია/Pedagogics

მარს ხშირად იწვევდნენ საკონსულტაციოდ საუფლისწულო მამულებსა და სხვადასხვა მეურნეობებში. იაკობ მარს მჭიდრო კავშირი ჰქონდა გლეხობასთან: ასწავლიდა მათ მიწის კულტურულად დამუშავებას; ზრუნავდა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და წერდა მოხსენებით ბარათებს მაშინდელ ხელისუფალთა მისამართით. ამ მოხსენებებში მარი ასაბუთებდა, რომ გურული გლეხი განიცდის მიწის ნაკლებობას, არ იცის მიწის გაპოხიერება და ამიტომ იძულებულია მიატოვოს გამოფიტული მიწა და სამუშაო სხვაგან ეძიოს. მარი მოითხოვდა, რომ მთავრობას გამოენახა რაიმე ღონისძიება გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, იაკობ მარი საზღვარგარეთიდან მიღებულ სამეურნეო მანქანა-იარაღებს, სუბტროპიკულ და სხვა მცენარეთა თესლეულს აწვდიდა მოსახლეობას, აწყობდა სანერგებს, გამოყვანილ ჯიშებს ავრცელებდა გლეხობაში. თვითონვე ასწავლიდა და კონსულტაციას უწევდა გლეხობას. იაკობმა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიაღებინა იმერელ და გურულ გლეხთა შვილები, რომლებიც შემდეგში ცნობილი მეურნენი გახდნენ. ამავე პერიოდში დაარსდა ყოველკვირეული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი, რომელსაც ეწოდა „სასოფლო გაზეთი“, ჟურნალში იბეჭდებოდა, როგორც თეორიული ხასიათის შრომები, ისე პრაქტიკული აგრონომიული რჩევა-დარიგებანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგიდან.

ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვიდან ჩანს, რომ ჩვენი სახელოვანი წინაპრების და თანამედროვე ინტელიგენციის შეხედულებები და სურვილები მჭიდროდ უკავშირდება ერის გენეტიკურ და ცნობიერ რაობას. შრომისადმი სიყვარულის გაღვივება, მიწის დამუშავება, მცენარეთა ჯიშების გამოყვანა, ცხოველთა მოშენება, მოვლა-პატრონობა წარმოადგენს ქართველთა კულტურის ერთ-ერთ არსებით ელემენტს. ამის განხორციელება სწორად დაგეგმილ და წარმართულ შრომით აღზრდას შეუძლია.

ლიტერატურა:

1. გაგუა ვლ., პედაგოგია. თბილისი, 1996წ
2. მჭედლიძე გ., ქუთაისი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში (1875-1904). საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2011 წ
3. მენტეშაშვილი ლ., შეროზია ნ., „მე-19 საუკუნის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური შეხედულებები“. თბილისი, 2013წ. ISBN 978-9941-424-98-4
4. კაპანაძე მ., განათლება და პედაგოგიური აზროვნება დასავლეთ საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში (190-1917 წლები). დისერტაცია. ქუთაისი, 2017წ
5. კოლუაშვილი პ., ილია ჭავჭავაძე მეურნეს თვალთ. თბილისი, 2013წ
6. შეროზია ნ., ნიკო ცხვედაძე და სასოფლო-სამეურნეო განათლება. თბილისი, 2013 წ.
7. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ., IV. თბილისი, 1987წ

რეზიუმე

საზოგადოების წარმატების აუცილებელი პირობაა თანამედროვე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა. შრომითი საქმიანობის პროცესში ხდება პიროვნების შინაგანი ძალებისა და პოტენციალის განვითარება. ადამიანი, რომელიც არ შრომობს, კარგავს საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება, სასოფლო-სამეურნეო სკოლების შექმნა საქართველოში იყო ქართველ განმანათლებელთა: იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის, ილია ჭავჭავაძის საფიქრალი. მოსწავლეებს ჯერ კიდევ სკოლაში მივცეთ შრომის თეორიული საფუძვლების ცოდნა, ვასწავლოთ, როგორ უნდა იმუშაონ, როგორ შექმნან მატერიალური დოვლათი; შევაიარაღოთ ახალგაზრდობა შრომის უნარ-ჩვევებით. ქართველი ერი უძველესი დამოუკიდებელი მიწათმოქმედი კულტურისა და ტრადიციების მქონე ერია.

Lela Tavdgiridze-Batumi Shota Rustaveli state university, professor

Nato Sherozia- Batumi Shota Rustaveli state university, assistant professor

Hard working - condition for success

REZUME

Modern youth employment education is condition for success in society. A person's inner strength and potential is supported by labor activities. People, who do not work, lose their best human qualities. Agricultural knowledge and agricultural school creation in Georgia was the concern of Georgian Enlightenments such as Iakob Gogebashvili, Niko Tskhvedadze, Iliia Chavchavadze. The students should be given theoretical basis of knowledge. We should teach them how to work by providing with labor skills. The Georgians are nation of the oldest independent agricultural traditions.

მარინე გურგენიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, განათლების დოქტორი

ასპერგერის სინდრომი, განვითარების საშუალებები

ასპერგერის სინდრომი მიეკუთვნება განვითარების პერვესიულ აშლილობათა ტიპს და განვითარების ისეთი დარღვევაა, რომლის დროსაც ინდივიდში ნორმალური ინტელექტისა და განვითარებული მეტყველების ფონზე აღინიშნება სო-ციალური ურთიერთობების დეფიციტი, კომუნიკაციის სირთულე და ექსცენტრული ქცევები. ასპერგერის სინდრომი პირველმა ავსტრიელმა ფსიქიატრმა ჰ. ასპერგერმა აღწერა 1944 წელს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადახედვის (ICD-10) (WHO, 1992) მიხედვით, ასპერგერის სინდრომი აუტისტური სპექტრის ყველაზე უკეთ მოფუნქციონირე კატეგორიაა. DSM-5 ასპერგერის სინდრომს ცალკე დიაგნოზად არ გამოყოფს. კვლევებით, ამ ეტაპზე სინდრომის გამომწვევი მიზეზები არ არის დაზუსტებული. თუმცა მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი კვლევებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ გენეტიკური და გარემო ფაქტორების ერთობლივი მოქმედება შესაძლოა იწვევდეს ტვინის ისეთ ცვლილებას, რომელსაც ასპერგერის სინდრომამდე მივყავართ. მკვლევარები თვლიან, რომ ამ პათოლოგიის მიზეზი არ არის აღზრდა, ემოციური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა, არ გამომდინარეობს საზოგადოებრივი ვითარებიდან, თავად პიროვნება ვერ იწვევს მას (1;2; 4).

ასპერგერის სინდრომის დიაგნოსტიკის კრიტერიუმები მოწოდებულია გილბერგის მიერ, აგრეთვე DSM-IV-TR - სა და ICD 10 - ში. **გილბერგის მიერ (1991) შემუშავებული დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია:** 1. სოციალური ურთიერთქმედების გართულება 2. ვიწრო ინტერესები; 3. შეუცვლელი რუტინა; 4. მეტყველების თავისებურება; 5. არავერბალური კომუნიკაციის პრობლემები; 6. ტლანქი მოტორიკა. **DSM-IV-TR-ის მიხედვით ასპერგერის სინდრომის დიაგნოსტიკისათვის აუცილებელია ავადმყოფს აღინიშნებოდეს:** **A.** სოციალურ ურთიერთობათა თვისობრივი დარღვევის ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ორი მათგანი მაინც: **A.1.** არავერბალური ქცევის გამოხატული დარღვევა; **A.2.** თანატოლებთან ასაკის შესაბამისი ურთიერთობის დამყარების შეუძლებლობა; **A.3.** სხვა ადამიანებთან გართობის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის სურვილის დეფიციტი; **A.4.** სოციალური თუ ემოციური რეციპროკულობის ნაკლოვანება; **B.** განმეორებადი, სტერეოტიპული ქცევების, ინტერესების, მოქმედებების ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ერთ-ერთი მაინც: **B.1.** სტერეოტიპული, შეზღუდული ინტერესებით შემოფარგვლა; **B.2.** ყოველდღიურ ცხოვრებაში სპეციფიკური რიტუალების დაცვა; **B.3.** სტერეოტიპული მოტორული მანერულობა; **C.** სოციალური, შრომითი და სხვა საზოგადოებრივი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი დარღვევები; **D.** კლინიკურად გამოხატული შეუზღუდაობა მეტყველებაში; **E.** კლინიკურად გამოხატული შეუზღუდაობა კოგნიტურ განვითარებაში, ასაკის შესაბამის თვითმომსახურების ჩვევებში, ადაპტაციურ ქცევაში და გარემოსადმი ცნობისმოყვარეობაში. **F.** სხვა სპეციფიკური პერვესიული დარღვევებისა და შიზოფრენიისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმების არ არსებობა. **ICD 10-ის მიხედვით ასპერგერის სინდრომის დიაგნოზი ისმება, თუ:** **A.** ინდივიდის მეტყველება, კოგნიტური განვითარება, თვითდახმარება, ადაპტაციური ქცევა და გარემოსადმი ცნობისმოყვარეობა ნორმალური ინტელექტუალური განვითარების შესაფერისია. აღინიშნება მოტორული განვითარების ჩამორჩენა, მოტორული მოუქნელობა; ზოგჯერ ანომალურ ვიწრო ინტერესთან დაკავშირებული იზოლირებული სპეციფიკური ჩვევები. **B.** რეციპროკული სოციალური ურთიერთობის თვისობრივი დარღვევის ჩამოთვლილი სფეროებიდან სამში მაინც ფიქსირდება დარღვევა: **B.1.** თვალებით კონტაქტის, სახის გამომეტყველების, სხეულის პოზისა და ქესტების ადეკვატური გამოყენების შეუძლებლობა; **B.2.** თანატოლებთან ინტერესების, ემოციების გაზიარებისა და ურთიერთობის დამყარების შეუძლებლობა; **B.3.** სტრესის დროს სხვებისათვის კომფორტის შეთავაზებისა და თანაგრძნობის შეუძლებლობა; **B.4.** სხვა ადამიანებისათვის სიამოვნებისა და სიხარულის გაზიარების შეუძლებლობა; **B.5.** სხვა ადამიანების ემოციებზე რეაგირების უუნარობა; სოციალურ კონტექსტში ქცევის რეგულაციის შეუძლებლობა, სოციალური, ემოციური და კომუნიკაციური ქცევების სუსტი ინტეგრაცია; **C.** ინდივიდისთვის დამახასიათებელია შეზღუდული ქცევების, მოქმედებების, ინტერესების სტერეოტიპული ხასიათი: **C.1.** ყოვლისმომცველი სტერეოტიპული და შეზღუდული ინტერესი; **C.2.** სპეციფიკური მიჯაჭვულობა

უჩვეულო ობიექტებზე; **C.3.** აკვიატებული მიწებება არა ფუნქციონალურ წესებსა და რიტუალებზე; **C.4.** სტერეოტიპული და მოტორული მანერულობა, რაც მოიცავს ხელების/თითების ტრიალს, ქნევას, ან სხეულის რთულ მოძრაობებს; **C.5.** შეზღუდული ინტერესი ობიექტების ნაწილების ან სათამაშო მასალების არა ფუნქციონალური ელემენტების მიმართ; **C.6.** დისტრესი გარემოს უმნიშვნელო ცვლილებების გამო. დიაგნოზის დასასმელად საკმარისია პაციენტს ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ორი მაინც ახასიათებდეს. (1;2;3;4).

ლიტერატურული წყაროების ანალიზით დიაგნოზის დასმა უმეტესად ხორციელდება 4-11 წლის ასაკში. ასპერგერის სინდრომის მქონე ბავშვებისათვის დამახასიათებელია: სოციალურ სიტუაციებში კომუნიკაციის წამოწყება/წარმართვის, სხვისი აზრების და ემოციების გაზიარების სირთულეები; ექსცენტრული ან განმეორებადი მოძრაობები; საზოგადოების კანონების უგულვებელყოფა; ამა თუ იმ საქმიანობის მუდმივად გარკვეული თანმიმდევრობით შესრულება; კომუნიკაციის დროს თვალებით კონტაქტის დამყარების, მიმიკების, ქსტების გამოყენების, საუბრის (ხუმრობის, სარკაზმის, მეტაფორას) კონტექსტის აღქმის შეუძლებლობა; ინტერესთა სფეროს შეზღუდულობა; აკვიატებული ინტერესის სფერო; კოგნიტური რიგიდულობა; წაკითხულის გააზრების პრობლემა; მსჯელობის და დასკვნის გამოტანის პრობლემა; ინსტრუქციების გაგების, ერთი აქტივობიდან მეორეზე გადართვის, პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის შეუძლებლობა; პრობლემები მსხვილ და ნატიფ მოტორიკაში (1;3). ასპერგერის სინდრომით დაავადებულთათვის ნიშანდობლივია ერთი ან ხუთივე გრძნობის (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეხება და გემოვნება) ჰიპერ ან ჰიპომგრძნობელობა. ჰიპომგრძნობელობაში სინათლე, ხმაური, სუნი, ცალკეული საკვები შესაძლებელია შფოთვისა და ტკივილის მიზეზი გახდეს. ჰიპომგრძნობელებს კი შესაძლოა გაუჭირდეთ დანიშნულების ადგილის მიგნება, სხვებთან ნორმალური მანძილის მოშორებით დადგომა, ფეხსაცმლის თასმის შეკვრა. წონასწორობის შენარჩუნება. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ასპერგერის სინდრომის სიმპტომები ყველა ადამიანში სხვადასხვაგვარად ვლინდება, თუმცა ყველა მათგანს აუცილებლად ექნება რუტინის სიყვარული, განსაკუთრებული ინტერესები, მგრძნობელობის პრობლემები. ყურადსაღებია, რომ ასპერგერის სინდრომის მქონე ბავშვებიდან ნაწილს შეიძლება აღმოაჩნდეს ნიჭი მუსიკაში, მათემატიკაში, ზეპირ მეხსიერებაში.

ასპერგერის სინდრომის რეაბილიტაციისათვის გამოიყენება სხვადასხვა თერაპია, კერძოდ, პერსონალთა შორისი ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით სოციალური უნარების ტრენინგი; კოგნიტურ-ქცევითი თერაპია; კოგნიტურ-ქცევითი ფსიქოთერაპია (აკვიატებულ ინტერესებისა და რუტინის, შიშებთან, ფეთქებად ემოციებთან დაკავშირებული სტრესების დამღვევის მიზნით); თანმხლები კლინიკური დეპრესიისა და შფოთითი ნევროზების მკურნალობა; ერგოთერაპია (Occupational Therapy) და სამკურნალო ფიზიკულტურა (მოძრაობის კოორდინაციისა და სენსორული ინტეგრაციის გაუმჯობესების მიზნით); დიალოგის წარმართვაზე ფოკუსირებული ენისა და მეტყველების თერაპია სოციალური კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით (4); მშობელთა ტრენინგი სახლში გამოსაყენებელი ქცევითი ტექნიკების თავისებურებების გაცნობიერებისათვის.

ტონი ედვუდის მიხედვით ბავშვმა და ირგვლივ მყოფებმა აუცილებელია იცოდნენ დიაგნოზის შესახებ და უნდა დაკონკრეტდეს სირთულეების დამღვევის სტრატეგიები. **აუცილებელია მეგობრების შეძენისათვის დახმარების გაწევა. 3-6 წლამდე** ბავშვებთან მეგობრის როლს ირგებს უფროსი თაობის წარმომადგენელი. გამოიყენება **კეროლ გეის მიერ შემუშავებული „სოციალური ისტორიის“ სტრატეგია** კონკრეტულ სოციალურ სიტუაციებში საჭირო რეაქციისა და ქცევის აღსაქმელად. **6-9 წლიანებთან** აუცილებელია ემპათიის გრძნობის ჩამოყალიბებაზე მუშაობა. **9-13 წლის** ასაკის ბავშვების შემთხვევაში აუცილებელია მუშაობის ჩატარება მეგობრებთან, რათა მათ გააცნობიერონ ის, რომ მეგობარს ასპერგერის სინდრომით ესაჭიროება დახმარება (განსაკუთრებით ემოციების მართვაში). თავად ასპერგერის სინდრომის მქონე ბავშვსაც აუცილებელია ვასწავლოთ მეგობართა განცდების აღქმარეაგირება (ვიყენებთ როლურ თამაშებს). **13-18 წლის** ბავშვებს ვუვითარებთ თვითდახმარების უნარებს. მნიშვნელოვანია შეხვედრების მოწყობა უფროსებთან ერთად და ცალკეულ თემებზე საუბრები; ინტერნეტით მეგობრების გაჩენის ხელშეწყობა და კონტროლი; მეგობრობაზე წიგნების კითხვა და მათი განხილვა (5). მეგობრობის ყველა სტადიაზე აუცილებელია პრაგმატული მეტყველების ხელშეწყობა - მოსწავლეში დიალოგის უნარების განვითარება.

უმნიშვნელოვანესია ემოციების მართვის უნარების განვითარებაში ხელშეწყობა. წყაროების ანალიზით, ბავშვს აუცილებელია გავაგებინოთ, რომ არსებობს ინსტრუმენტები, რომლებიც დაეხმარება მას ემოციების სწრაფად გათავისუფლებას, ნელა გათავისუფლებასა და აზროვნების პროცესების გაუმჯობესებაში. ემოციური ენერჯის გასათავისუფლებლად პატარებში გამოიყენება ბატუტზე ხტომა, საქანელაზე რწევა, უფრო მოზრდილ ასაკში - ცეკვა, სპორტი. განტვირთვის ინსტრუმენტებად გამოიყენება ხატვა, კითხვა, მუსიკის მოსმენა. ასპერგერის სინდრომის მქონე ბავშვები სრულად განიტვირთებიან სიმარტოვეში. პატარა ბავშვები განტვირთვას ახორციელებენ განმეორებადი მოძრაობებით. კარგია პატარა რეზინის ბურთით მანიპულირება. სოციალურ ინსტრუმენტებად გამოიყენება ადამიანები (ან ცხოველები), რომლებიც დაეხმარებიან ბავშვს ხასიათის გაუმჯობესებაში (5). დასამშვიდებლად გამოიყენება საბანში მჭიდრო გახვევა, მძიმე ყილეტის ხმარება, მასაჟი, ბურთებიან აუზში თამაში, ღეჭვა და ა. შ.. ვესტიბულარული აპარატის რიტმული სტიმულაცია - ცურვა, ველოსიპედით სეირნობა, ხტომა, ვიბრაცია და სხვა. სასარგებლოა პროპრიოცეპტორული სტიმულაცია - T სკამზე ჯდომა (სკამი ერთი ფეხით), Dyna-Disk (გაბერილი დისკი - ტრენაჟორი) ან ბურთზე ჯდომა. არანაკლებ მნიშვნელოვანია შრომითი თერაპია - დაასუფთავოს დაფა, წიგნები აიტანოს ბიბლიოთეკაში; დასვენებისათვის გამოიყენოს თავისუფალი სივრცე, რომელიც აუცილებელია იყოს კლასში, დერეფანში. სასწავლო სივრცეში კარგია იყოს „სათამაშოების კალათა“ პატარა ზომის სათამაშოებით (7). სტრესის დროს ბავშვს უნდა ვასწავლოთ საკუთარ თავთან საუბარი (გამოიყენოს ფრაზები: მე შემძლია ჩემი გრძნობების კონტროლი, მე შემძლია შევინარჩუნო სიმშვიდე) ან რელაქსაციის ტექნიკების გამოყენება (მაგალითად, ღრმა ჩასუნთქვა და ათამდე დათვლა და სხვა). ტექნიკები ნაბიჯების სახით უნდა დაიწეროს ბარათებზე და საჭიროების დროს უნდა იქნეს გამოყენებული (5,7). ბავშვის დამშვიდების საუკეთესო საშუალებად მიჩნეულია საკუთარი ინტერესების (მათთვის საინტერესო სფერო) ინსტრუმენტების გამოყენება - სრულ სიმარტოვეში საკუთარ ინტერესებში სრულად ჩაფლვა. მნიშვნელოვანია მისი გამოყენების დროის შემცირება. საყურადღებოა, აღმზრდელმა ინტერესი გამოხატოს ბავშვის დაინტერესებული სფეროსადმი და გარკვეულ დროში ჩაერთოს ბავშვთან საუბარში. აუცილებელია ბავშვის ინტერესთა სფერო ჩართული იქნეს სასწავლო მასალაში დაგამოყენებული იქნეს ჯილდოს სახით (5).

სწავლების დროს გასათვალისწინებელია, რომ ასპერგერის სინდრომის მქონე ბავშვებში გვხვდებიან ვერბალიზატორები და ვიზუალიზატორები. ვერბალიზატორები უკეთესად სწავლობენ საუბრით და კითხვით. ვიზუალიზატორებს სჭირდებათ თვალსაჩინოებები, დიაგრამები, ფილმები და ა. შ.. ორთავე ტიპის ბავშვებს უკეთ განვითარებისათვის დამატებითი სამუშაოები კომპიუტერით უნდა ჩაუტარდეთ. ასპერგერის სინდრომის მქონე ბავშვებს აქვთ შეცდომის დაშვებისა და წარუმატებლობის შიში. აღნიშნულის დასაძლევად გამოსაყენებელია სოციალური ისტორიები (5). ემოციური გაძლიერებისათვის აუცილებელია მოსწავლე კლასს გავაცნოთ ძლიერი მხარეებით. მოტივაციის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია კომენტარების გაკეთება ბავშვის ნამუშევრებზე და არა ქცევაზე.

ცვლილებებისადმი რიგიდობის პრევენციისათვის აუცილებელია ვიზუალური განრიგის არსებობა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსალოდნელი ცვლილებები. მნიშვნელოვანია საქაღალდეების (ყუთების) არსებობა სათაურით „დაასრულე მოგვიანებით“ (გამოიყენება, როცა გაკვეთილის შემდეგ უწევს მოსწავლეს რაიმე დავალების დასრულება) (7). მკვლევარები ირწმუნებიან, რომ გასათვალისწინებელია, ბავშვების ასპერგერის სინდრომით ვერ ეგუებიან სწავლების მეთოდების ცვლილებას, უარყოფითად რეაგირებენ აზრის გაწყვეტაზე. გამოცდებსა და ტესტებზე დროის დამატება, საკონტროლო ნამუშევრების დაბეჭდვის ნების დართვა, მშობლის ან მასწავლებლის ჩართვა მიმთითებლად ორგანიზაციულ საკითხებში ხსნის გამოცდებთან დაკავშირებულ სტრესებს და მასთან დაკავშირებულ დაბნეულობას (5).

ბარბარა ბისონეტი თვლის, რომ ბავშვებს ასპერგერის სინდრომით ესაჭიროებათ ხანმოკლე მეხსიერების განვითარება. სამეცადინო პირობებში მაქსიმალური სიჩუმის დაცვა, სამუშაო გეგმის წინდაწინ მომზადება, დასამახსოვრებელი მასალის მოცულობის შემცირება, მინიშნებებით დაყოფა, ხშირი გამეორება და სიმშვიდე მკვლევარს პრობლემის მოგვარების კარგ საშუალებებად მიაჩნია (6). ლიტერატურული წყაროების ანალიზით კომუნიკაციის დროს მნიშვნელოვანია სხვისი მოსმენის, რიგიტობის დაცვის, შეკითხვაზე პასუხისას გარკვეული წესებისადმი დამორჩილების, შინაგანი მეტყველების დასწავლა, ბავშვის გაცნობიერება იმაში, რომ ცუდი ფრაზები ტკივილის შეგრძნებას იწვევს

ადამიანში. კომიქსური ტექსტების გააზრებისათვის კარგად გამოიყენება ფერადი ხაზები და მათი დაკავშირება მხიარულ გუნებ-განწყობასთან. მოსწავლეს სტრუქტურულობაში ეხმარება: ტაიმერის გამოყენება; დღის განრიგი ვიზუალური გაფორმებით, ცვლილებების გათვალისწინებით (ოჯახისათვის, სკოლისათვის); შენიშვნების მიცემა წერილობით ფორმაშიც; წიგნებთან ერთად ფერადი წიგნაკები, სადაც მოცემული იქნება დავალებები, შეკითხვები, სივრცე პასუხისათვის. მნიშვნელოვანია საქაღალდეები „შესასრულებელი სამუშაო“, „შესრულებული სამუშაო“ (7).

თანმიმდევრული დახმარებით, მარტივი ფრაზებითა და საუბრის ნელი ტემპით მიწოდებული მითითებებით, სტიმულირებისა და აფექტური ქცევის გამომწვევი ფაქტორებისაგან (ჭარბი სინათლე, ხმაური, სუნი და სხვა) მაქსიმალურად მორიდებით, სწავლის პროცესში და საყოფაცხოვრებო პირობებში სწორი დახმარების გაწევა-სტიმულირებით ასპერგერის სინდრომის მქონე ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა მიაღწიონ კარგ განვითარებას.

ლიტერატურა

1. ასპერგერის სინდრომი; 2013, 16 ივლისი; <http://intermedia.ge/სტატია/37011-ასპერგერის-სინდრომი/93/>
2. ასპერგერის სინდრომი; 29.12.2016.
3. https://ka.wikipedia.org/wiki/ასპერგერის_სინდრომი
4. დავითაშვილი მარიამ; ასპერგერის სინდრომი; 2013, 21 თებერვალი; <http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1841>
5. Синдром Аспергера, 12 марта 2017;
6. https://ru.wikipedia.org/wiki/Синдром_Аспергера
7. Тони Эттвуд, Синдром Аспергера и его лечение у детей, <http://www.aspergers.ru/node/105>
8. Барбара Биссонет: "Как улучшить краткосрочную память при наличии у вас синдрома Аспергера" 12.02.2016; <http://www.aspergers.ru/node/179>
9. Дети с синдромом Аспергера: характеристика, стили обучения и стратегии помощи; *перевод текста "Children with Asperger's Syndrome: Characteristics/Learning Styles and Intervention Strategies"*; <http://www.aspergers.ru/node/173>

რეზიუმე

ასპერგერის სინდრომი დროს ინდივიდში ნორმალური ინტელექტისა და განვითარებული მეტყველების ფონზე აღინიშნება სოციალური ურთიერთობების დეფიციტი, კომუნიკაციის სირთულე, ექსცენტრული ქცევები. მისი რეაბილიტაციისათვის გამოიყენება: სოციალური უნარების ტრენინგი; კოგნიტურ-ქცევითი ფსიქოთერაპია; თანმხლები კლინიკური დეპრესიის, შფოთითი ნევროზების მკურნალობა; ერგოთერაპია; სამკურნალო ფიზკულტურა; დიალოგის წარმართვაზე ფოკუსირებული ენისა და მეტყველების თერაპია; მშობელთა ტრენინგი. თანმიმდევრული დახმარებით, მარტივი ფრაზებით, საუბრის ნელი ტემპით მიწოდებული მითითებებით, დღის წესრიგის მოსალოდნელი ცვლილებისათვის წინასწარი მომზადებით, აფექტური ქცევის გამომწვევი ფაქტორებისაგან (ჭარბი სინათლე, ხმაური, სუნი და ა.შ.) მაქსიმალურად მორიდებით, სწავლისადა საყოფაცხოვრებო პირობებში სწორი დახმარების გაწევა/სტიმულირებით ბავშვებს ასპერგერის სინდრომით ეძლევათ შესაძლებლობა მიაღწიონ კარგ განვითარებას.

Marine Gurgenidze – Batumi Shota Rustaveli State University. Assistant professor of the faculty of Education; Doctor of Education

Asperger Syndrome, measures for development

Resume

Asperger Syndrome represents one of the Autism's forms which are expressed by deficiency of social relations, troubles in communications and eccentric actions in individuals with sufficient levels of intellect and speech development. Rehabilitation of Asperger Syndrome is implemented by the following actions: training of social skills; cognitive-behavioral therapy; cognitive-behavioral psychotherapy; treatment of clinical depression and neurosis; ergo therapy and medical fitness; dialog-focused language and speech therapy; training for parents. Step-wise aid in friendly environment, provision of instruction with simple phrases and low speed speech, preparation in advance for the possible changes in a daily agenda, avoiding factors that cause stimulation and affective behavior (for example: sharp light, noise, smell and etc.), provision of proper aid in learning process and everyday situations, motivation and stimulation are measures that contribute towards the good development of a children with Asperger Syndrome.

მარეხ ნათენაძე - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაცია. სასწავლო პროცესის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების პროცესი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლის თანახმად, ხორციელდება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ძირითადი აქცენტები კეთდება მოსწავლეების საჭიროებებზე, მათ შესაძლებლობებზე, ინტერესებზე, სწავლის სტილზე.

სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად ფორმას გაკვეთილი წარმოადგენს. გარდა გაკვეთილისა, სასწავლო პროცესში ხორციელდება თემატური ერთეული და სასწავლო პროექტი. გაკვეთილი - ეს არის სწავლა-სწავლებისათვის განკუთვნილი დროის სტრუქტურირებული პერიოდი, თემატური ერთეული გაკვეთილების სერიაა, რომლის მიზანია საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვა და შესწავლა, ხოლო სასწავლო პროექტი, რაც თანამედროვე პედაგოგიაში განსაკუთრებით აქტუალურია, როგორც პროექტზე დაფუძნებული სწავლა, არის მიდგომა და საშუალებას იძლევა, გავცდეთ გაკვეთილის ჩარჩოში განსაზღვრულ აქტივობებს და მოსწავლეებს შევთავაზოთ უფრო გრძელვადიანი სასწავლო საქმიანობა, რომელიც რეალურ, ცხოვრებისეულ საკითხებს ეხება და ითვალისწინებს პრობლემების გადაწყვეტას, გადაჭრას.

ამდენად, მნიშვნელოვანი და აქტუალურია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზაციის საკითხი. თუ გავითვალისწინებთ სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითად საფეხურებს - დაგეგმვას, მომზადებას, წარმართვას, შეფასებას, ცხადი ხდება, თუ როგორი მნიშვნელოვანია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის ორგანიზაციისათვის.

ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია ყველა მოსწავლეზე. სტანდარტში მოცემულია მისაღწევი შედეგები და თითოეული მოსწავლე, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, განსხვავებული ხარისხით და დონით აღწევს ამ შედეგებს. შესაბამისად, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისაგან განსხვავებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია მასალაზე, თემაზე, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, სადაც განიხილება არა ის, თუ მოსწავლე როგორ სწავლობს და რა მიღწევები აქვს, არამედ ის, თუ რას სწავლობს.

ორივე შემთხვევაში განუზომელი ადგილი უკავია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამისი რესურსების გამოყენებას. მასწავლებელი გაკვეთილის დაგეგმვის შემდეგ აუცილებლად უნდა გადავიდეს მის მომდევნო ეტაპზე - მომზადებაზე. სწორედ, მომზადების საფეხურზე ხორციელდება იმ თვალსაჩინოებების, დიდაქტიკური სასწავლო მასალის მომზადება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და სასურველი შედეგების მიღწევას. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი აქტივობა ითვალისწინებს სასწავლო რესურსის მომზადებას, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის აღნიშნულ საკითხს.

ბუნებრივად ისმება კითხვები: როგორ დავადგინოთ მოსწავლეთა საჭიროებები? როგორ გამოვავლინოთ პრობლემები და მათი გადაჭრის გზები?

პასუხი ცხადია: საჭიროა მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების შესწავლა/კვლევა.

მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით განვიხილოთ მომზადება, როგორც სწავლების პროცესის ორგანიზების ერთ-ერთი ძირითადი საფეხური. წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ საკითხებს ჩვენი პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე. ვისაუბრობთ მომავალი ან/და მოქმედი მასწავლებლებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასკოლო პრაქტიკის კომპონენტზე, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ცალკეულ სასწავლო კურსში ჩაშენებული პრაქტიკის სახით, ასევე - დამოუკიდებელი კურსის ფორმატით.

სტუდენტთა მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზი განამტკიცებს აზრს, რომ მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად საჭიროა მოსწავლეთა შეფასება, მათი დიაგნოსტიკა. დიაგნოსტიკური ტესტირება მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების ადრეულ გამოვლენაში და

მისი შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების სწორად განსაზღვრა, სასწავლო რესურსების მომზადება.

სამუშაოს ანალიზი ცხადყოფს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით სასწავლო აქტივობების განსაზღვრა. ასევე, შეუძლიათ მოსწავლეთა დიაგნოსტიკა და შესაბამისად, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო რესურსების მომზადება.

მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა განსხვავებული გამოცდილების, შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სასწავლო მასალის მომზადება. შეიძლება მომზადდეს ელექტრონული რესურსი - შეიქმნას სხვადასხვა ტიპის ფაილი, მაგალითად, საპრეზენტაციო (ტექსტებით და სურათებით), აუდიო ან ვიდეოფაილი, ასევე შეიძლება პლაკატების, სქემების, ტაბულების, პოსტერების და სხვა საილუსტრაციო საშუალებების მომზადება. მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად სუფთა მასალით შექმნილი რესურსების (მაგალითად, მაკეტები, ფაზლები და სხვ.) მომზადება.

სასწავლო მასალის შექმნის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა საჭიროებები. მნიშვნელოვანია, რომ შექმნილმა რესურსმა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში აკადემიური, შემეცნებითი, მოტორული, ფუნქციური უნარების განვითარებას; საკითხის უკეთ აღქმა-გააზრებას, თანამშრომლობისა და ინტერაქციის უნარის განვითარებას, რაც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში, ხელს შეუწყობს მოსწავლის ინიციატივის განვითარებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მოამზადოს შექმნილი საგანმანათლებლო რესურსის შეფასების სქემა და სწორად განსაზღვროს შეფასების კრიტერიუმები.

გათვალისწინოს, რომ რესურსი იყოს თანმიმდევრული, მისდევდეს გარკვეულ სქემას, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესასწავლი მასალის აღქმასა და გააზრებაში, იძლეოდეს ინტერაქციის სტიმულირებას, დაეხმაროს მოსწავლეებს სწავლის უნარების გაუმჯობესებასა და განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რესურსს დაერთოს მარტივი და გასაგები ენით შედგენილი ინსტრუქცია. ერთი და იგივე რესურსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა აქტივობისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლის პორტფოლიოს მომზადება, ისე სტუდენტის და მასწავლებლის პორტფოლიოს შექმნა. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსწავლეების მიერ სასწავლო რესურსების მომზადება და შექმნა, მასწავლებლისა და მოსწავლეების თანამშრომლობა, რაც შესაძლებელია მასწავლებელმა სასწავლო პროცესის წარმართვამდეც უზრუნველყოს და ასევე მისი (წარმართვის) მიმდინარეობის პროცესშიც.

სასწავლო პროცესზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ რეალურად ბევრი მასწავლებელი ქმნის სასწავლო რესურსს და მათი გამოყენებით მოსწავლეებში ზრდის სწავლისადმი დადებით დამოკიდებულებას, განაწყოფს მათ სწავლისადმი.

მომავალ მასწავლებლებთან მუშაობის პროცესში, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით რესურსების შესაქმნელად ჩავატარეთ ლოკალური ხასიათის ემპირიული კვლევა. გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები:

– სხვადასხვა დროს სასწავლო პროცესში განხორციელებული სასწავლო აქტივობების, გამოყენებული ეფექტური სასწავლო მასალის და რესურსების შესწავლა;

– რაოდენობრივი გამოკითხვა. სპეციალურად შედგენილი კითხვარების საშუალებით აღნიშნული თემის ირგვლივ გამოკითხულ იქნენ სკოლის სამივე საფეხურის მასწავლებლები, მოსწავლეები, მათი მშობლები;

– მიღებული მონაცემების ანალიზი.

გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია სასწავლო რესურსები შემეცნებითი თამაშებისთვის, კერძოდ, საგანთა თვისებების და ნიშნების (ფერი, ფორმა, ზომა) შესასწავლად, მოზარდთა შემეცნებითი განვითარებისთვის, ლოგიკური თამაშებისთვის მნიშვნელოვანია ფაზლები (წარმოდგენილი როგორც სიბრტყეზე, ასევე სივრცეში), რომლის აწყობის პროცესში ვითარდება ნატიფი მოტორული უნარები, მიმდინარეობს დაკვირვება და ყურადღების კონცენტრირება, ფერთა აღქმა, ნებისყოფის განვითარება.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა დახმარებას გაუწევს მოქმედ და მომავალ მასწავლებლებს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზაციის საკითხში.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016 (მოქმედი რედაქცია), 2017-2023 (ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა).
2. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილება; საქართველოს მთავრობის დადგენილება 2017 წლის 24 იანვრის სქემაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
3. მილსი ჯ., სამოქმედო კვლევა. სახელმძღვანელო მკვლევარ პედაგოგთათვის, მესამე გამოცემა, სამხრეთ ორეგონის უნივერსიტეტი, 2007.

რეზიუმე

ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია ყველა მოსწავლეზე. სტანდარტში მოცემულია მისაღწევი შედეგები და თითოეული მოსწავლე, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, განსხვავებული ხარისხით და დონით აღწევს ამ შედეგებს. შესაბამისად, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისაგან განსხვავებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია მასალაზე, თემაზე, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, სადაც განიხილება არა ის, თუ მოსწავლე როგორ სწავლობს და რა მიღწევები აქვს, არამედ ის, თუ რას სწავლობს.

ორივე შემთხვევაში განუზომელი ადგილი უკავია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამისი რესურსების გამოყენებას. მასწავლებელი გაკვეთილის დაგეგმვის შემდეგ აუცილებლად უნდა გადავიდეს მის მომდევნო ეტაპზე - მომზადებაზე.

მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით განვიხილოთ მომზადება, როგორც სწავლების პროცესის ორგანიზების ერთ-ერთი ძირითადი საფეხური. სწორედ, წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ საკითხებს ჩვენი პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე.

ვისაუბრებთ მომავალი ან მოქმედი მასწავლებლებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასკოლო პრაქტიკის კომპონენტზე, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ცალკეულ სასწავლო კურსში ჩაშენებული პრაქტიკის სახით, ასევე - დამოუკიდებელი კურსის ფორმატით.

სტუდენტთა მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა განსხვავებული გამოცდილების, შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სასწავლო მასალის მომზადება. სასწავლო მასალის შექმნის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა საჭიროებები.

Marekh Natenadze – LEPL Samtskhe-Javakheti State University, Doctor of Pedagogy, Associate Professor

ORGANIZATION OF A LEARNING PROCESS BY ENVISAGING STUDENTS' NEEDS

Summary

National Curriculum is focused on every student. Standard includes achievable results and each student achieves these results with different quality and level according to his possibilities. Therefore, on the contrary to student-oriented teaching it is also very important to implement material, topic and problem-oriented teaching approaches which focuses not on how a student learns and what achievements he has but what he learns.

In both cases using resources relevant to the students' needs in the learning process has immeasurable role. After planning the lesson a teacher should move to the next step – lesson preparation.

The lesson preparation stage which envisages students' needs can be considered as one of the main stages of teaching process organization. The article discusses the above-mentioned issues from our practical activities.

We will speak about the component of school practice in the educational programmes of the future or active teachers which is represented either as the component of the main course or as independent course itself.

Analyses of their work show that it is very important to prepare diverse learning materials envisaging students' experience, capabilities and interests. Students' individual needs should be considered while creating educational learning resources for them.

ლელა რეხვიაშვილი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

უმცროსკლასელთა ზნეობრივი აღზრდა სწავლა-სწავლების პროცესში

ადამიანის სრულყოფის საკითხები საზოგადოებას ყოველთვის და ყველა დროში აღელვებდა. ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი, იაკობ გოგებაშვილი, პიროვნების ღირსებას გონებრივი და ზნეობრივი ღირსებით განსაზღვრავდა, მაგრამ აღზრდის მთავარ ამოცანად მაინც - ზნეობრივ აღზრდას აცხადებდა. „პატიოსანის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში უფრო მეტად საჭიროა და ძვირფასი, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნით“. (1: 294)

ილია ჭავჭავაძის აზრითაც „ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათით გაწვრთნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათით გაუწვრთნელი“. (2: 209)

ეხლა, როდესაც უფრო ხშირად ვხვდებით სისასტიკეს და ძალადობას, როდესაც მოსწავლეთა ნაწილი დაავადებულია სოციალური ინფანტილიზმით, სკეპტიციზმით, საზოგადოებრივ საქმეებში აქტიურად მონაწილეობის სურვილის არარსებობით, სხვის კმაყოფაზე ყოფნის ამკარა განწყობებით, როდესაც პირველ პლანზე გამოვიდა არა ზნეობრივი, არა სულიერი, არამედ მატერიალური, უსულო - ზნეობრივი აღზრდის პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებას სჭირდება ახალგაზრდობა, რომელსაც ექნება არა მხოლოდ თეორიული და პრაქტიკულ - მეცნიერული ცოდნა, არამედ ზნეობრივი კულტურაც; სჭირდება მასწავლებელი, რომელიც შეიარაღებულია არა მხოლოდ საგნებისა და მათი სწავლების მეთოდების ცოდნით, არამედ უნარით, მიმართოს თავისი საქმიანობა მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდაზე, დაეხმაროს თითოეულ აღსაზრდელს საკუთარი ქმედების ღირებულებითი საფუძვლების განსაზღვრაში.

ზნეობრივი აღზრდა დაწყებით კლასებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მასზე, თუ რა ჩადო პედაგოგმა ამ ასაკში ბავშვის სულში, დამოკიდებული იქნება ის, რა აღმოცენდება მომავალში, როგორ ააგებს მოსწავლე ურთიერთობებს გარშემომყოფებთან.

სასწავლო პროცესში ჩართვისას, უმცროსკლასელები სწავლობენ მიზანმიმართულად იმოქმედონ როგორც სასწავლო დავალებების შესრულების დროს, ასევე თავისი ქცევის წესების განსაზღვრისას. მათი ქმედებები გაცნობიერებულ ხასიათს იძენენ. (4:99)

დაწყებითი კლასების მოსწავლეების სუბიექტად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია სასწავლო პროცესის სამი კომპონენტის (სამოტივაცო, შინაარსობრივი, ოპერაციული) ერთიანობა, რომლის მნიშვნელობის არსი შეიძლება განიხილულ იქნეს ორ ასპექტში.

- **პირველი ასპექტი** - არის თითოეული მათგანის განვითარების შესაძლებლობა დანარჩენი ორის საფუძველზე. ამრიგად, მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილე ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ფლობს გარკვეულ შინაარსს, ანუ იცის, რა გააკეთოს და რისთვის. არჩევა იმისა, თუ როგორ გააკეთოს, განისაზღვრება მისი ცოდნით, ოპერაციული სტრუქტურების დაუფლების დონით და მოცემული საქმიანობის მოტივებით.

- **მეორე ასპექტი**, რომელიც მოცემული კომპონენტების ერთიანობის მნიშვნელობის არსს ხსნის, შემდეგია: დღეს სწავლების პროცესი დაწყებით სკოლაში მნიშვნელოვან წილად მიმართულია ცოდნისა და უნარების, სასწავლო საქმიანობის ხერხების ათვისებაზე, ანუ ეყრდნობა შინაარსობრივ და ნაწილობრივ ოპერაციულ კომპონენტებს. ამასთან ივარაუდება, რომ ამ პროცესის მსვლელობისას მიმდინარეობს გონებრივი და ზნეობრივი განვითარებაც. (5: 51)

სასწავლო პროცესში უმცროსკლასელთა ზნეობრივი განვითარების პრობლემა ურთიერთდაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან:

- სკოლაში მოსვლისას, ბავშვი გადადის გარემო სინამდვილის (მათ შორის საზოგადოებაში არსებული მორალურ-ზნეობრივი ნორმების) „ცხოვრებისეული“ ათვისებიდან, მის მეცნიერულ და მიზანმიმართულ შესწავლაზე მშობლიური ენის, ბუნებისმეტყველების და სხვა გაკვეთილებზე. საგაკვეთილო პროცესში უდიდესი ნიშნელობა ენიჭება აგრეთვე მასწავლებლის შეფასებით საქმიანობას, მის საუბრებს, კლასგარეშე მუშაობას და სხვ.

პედაგოგია/Pedagogics

• სწავლის პროცესში მოსწავლეები ჩართულნი არიან რეალურ ჯგუფურ მუშაობაში, სადაც ასევე მიმდინარეობს ზნეობრივი ნორმების შეთვისება, რომლებიც არეგულირებენ, როგორც მოსწავლეთა შორის, ასევე მოსწავლეებისა და მასწავლებლის ურთიერთობებს. (5:109)

უმცროსკლასელებთან ზნეობრივი აღზრდის პრობლემებზე მუშაობისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებები.

ბავშვების ასაკის გათვალისწინებით, ზნეობრივი ქცევის ნორმები შეიძლება დავეყთ 3 დონედ:

• 5 წლამდე ბავშვი ითვისებს ქცევის წესების პრიმიტიულ დონეს, რომელიც ეფუძნება რაიმის აკრძალვას ან უარყოფას. თუ ბავშვი მიაჩვიეს მოცემული ელემენტარული ნორმების შესრულებას, მაშინ ბავშვის გარემოცვა მას ზრდილობიან ბავშვად თვლის.

• 10-11 წლისათვის აუცილებელია, რომ მოზარდს შეეძლოს ირგვლივ მყოფი ადამიანების მდგომარეობის გათვალისწინება, მისი ყოფნა მათთვის არამც თუ ხელისშემშლელი - სასიამოვნოც კი იყოს. აზრი არა აქვს ზნეობრივი აღზრდის მეორე დონეზე საუბარს, თუ პირველი არ არის ათვისებული.

• მე-3 დონეზე (12-15 წლისათვის) ხდება შემდეგი პრინციპის ათვისება: „დაეხმარე გარშემომყოფ ადამიანებს!“ (6)

უმცროსკლასელებს შეიძლება ჰქონდეთ შეუსაბამო ცოდნასა (როგორაა საჭირო) და პრაქტიკულ გამოყენებას შორის (ეს ეხება ეტიკეტს, ურთიერთობას). ქცევის მორალური ნორმებისა და წესების ცოდნა ყოველთვის არ შეესაბამება ბავშვის რეალურ ქმედებებს. განსაკუთრებით ხშირად ეს ხდება იმ სიტუაციებში, სადაც ეთიკური ნორმები და ბავშვის პირადი სურვილები ერთმანეთს არ ემთხვევა.

საინტერესოა პიროვნებაში პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ფარდობითობის განსაზღვრა. იური ბიბლიეიშვილის აზრით ზნეობრივი აღზრდის პროცესი სამ დონეს გაივლის:

1. ეგოისტური დონე - პიროვნებაში პირადი ინტერესები საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა დგას და პიროვნება პიროვნება ხელმძღვანელობს პრინციპით მინდა, მსურს.

2. გმირული დონე - პიროვნებაში საზოგადოებრივი ინტერესები პირად ინტერესებზე მაღლა დგას. პიროვნება ხელმძღვანელობს პრინციპით: საჭიროა, აუცილებელია.

3. ნორმალური დონე - პიროვნებაში ჰარმონიულად არის შერწყმული პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. საზოგადოებრივი ინტერესები არ უგულველყოფს პიროვნების პირად ინტერესებს. აღზრდამ ორიენტაცია მესამე - ნორმალურ დონეზე უნდა აიღოს, რადგან ყველა აღსაზრდელისაგან გმირების ჩამოყალიბება აღზრდით შეუძლებელია. გმირობა პიროვნების თანდაყოლილი თვისებაა. (3: 105-106)

თანამედროვე სკოლის რომელ გაკვეთილზე უნდა განხორციელდეს ზნეობრივი აღზრდა?

ბევრი მკვლევარი და პედაგოგ-პრაქტიკოსი თვლის, რომ ზნეობრივი აღზრდა ხორციელდება ჰუმანიტარული ციკლის გაკვეთილებზე. არსებობს აგრეთვე თვალსაზრისი, რომ ზნეობრივი აღზრდით უნდა დაკავდეს მხოლოდ ოჯახი.

ზოგიერთი პედაგოგი გვთავაზობს ზნეობრივი აღზრდის განხორციელებას მართლმადიდებლური ეკლესიის ღირებულებების საფუძველზე. ერთის მხრივ, ქრისტიანული ღირებულებები საქართველოში ტრადიციულია და ის უპირობოდ, მხოლოდ დადებითის მატარებელია; მაგრამ მეორეს მხრივ - თანამედროვე საქართველოს სკოლებში სწავლობენ სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლები, და მართლმადიდებლური ეკლესიის ზეწოლა არაკორექტულია. შესაბამისად, მართლმადიდებლური პედაგოგია თანამედროვე სკოლაში შეიძლება იყოს მხოლოდ როგორც დამატებითი.

ჩვენ კი იმ აზრს ვუჭერთ მხარს, რომ ზნეობრივი აღზრდა ხორციელდება თითოეულ გაკვეთილზე, თითოეულ შესვენებაზე, თითოეულ კლასგარეშე ღონისძიებაზე. ნებისმიერი მოვლენა, ნებისმიერი შემთხვევა შეიძლება გახდეს ბავშვებისათვის ზნეობის გაკვეთილის ჩატარების საბაზი.

აღზრდას ემსახურება არა მხოლოდ შინაარსი, მეთოდები, სწავლების ორგანიზაცია, მასწავლებელი, მისი პიროვნება, ცოდნა, არამედ ის ატმოსფეროც, რომელიც გაკვეთილზე იქმნება, პედაგოგის ბავშვებთან და მოსწავლეთა ერთმანეთთან ურთიერთობის სტილიც. მოსწავლე თავის თავსაც აღზრდის, გარდაიქმნება რა აღზრდის ობიექტიდან-სუბიექტად. სწავლების პროცესში მოსწავლის განმავითარებელი აქტივობა, შეგნებულობა, ინიციატივის გამოვლენა წარმოადგენს საკუთარი ქცევის დაუფლებას.

ზნეობრივი აღზრდისათვის მნიშვნელოვანია ჯგუფური სწავლების ორგანიზება, რომელიც მაღალზნეობრივი ურთიერთობებით იქნება გამსჭვალული. ჯგუფის გავლენა პიროვნებაზე ოპტიმალურია მაშინ, როდესაც თითოეული ბავშვი ხდება შეუცვლელი პიროვნება და მასში იკავებს თავისი შესაძლებლობების ადექვატურ ადგილს. ეს იწვევს საკუთარი ღირსების გრძნობის განვითარებას,

პედაგოგია/Pedagogics

რომელიც ბავშვს აიძულებს გარეგანი ზემოქმედების გარეშე იმოქმედოს დადგენილი ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად. კოლექტივში აღზრდა, უმცროს კლასელებსაც კი აყენებს ელემენტარული თვითაღზრდისა და თვითგანათლების აუცილებლობის წინაშე, რომელთა გარეშეც განვითარება, მათ შორის ზნეობრივიც, სრულიად შეუძლებელია. (7:43-44)

დაწყებითი განათლების ახალმა შინაარსმა ბავშვების აღზრდის ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა, რომელშიც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს განათლების შინაარსს, სწავლების მეთოდიკას, ცოდნით შეიარაღებულ მასწავლებლის პიროვნებას, რომელიც მომავალ თაობას გადასცემს თავის მსოფლმხედველობას, კულტურას და ზნეობრივ გამოცდილებას. ეს ყველაფერი კი ზემოქმედების სისტემას შეადგენს, რომელიც ბავშვების განვითარებას აძლევს მიმართულებას და განსაზღვრავს მათი ფორმირების თავისებურებებს.

ლიტერატურა

1. გოგებაშვილი ი., თხზ., ტ II. თბ., 1954.
2. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწარმოებები, ტ. IV., თბ, 1987.
3. ბიბილეიშვილი ი., პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები., თბ, 2011.
4. Рожков М.И., Байбородова Л.В. Организация воспитательного процесса в школе: Учебное пособие для студ. высш. учеб. заведений. - М.: Гуманит. изд. центр ВЛАДОС, 2000.
5. Артюхова И.С. Ценности и воспитание // Педагогика, 1999, №4.
6. Наталич С. Н.,Ткаченко Н.А. Нравственное воспитание школьников как психолого-педагогическая проблема. <http://festival.1september.ru/articles/598049/>
7. Архангельский Н.В. Нравственное воспитание. - М.: Просвещение, 2000.

რეზიუმე

ზნეობრივი აღზრდის პრობლემა თანამედროვე პირობებში დიდ აქტუალობას იძენს და მის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სკოლას.

სტატიის ავტორი განიხილავს სასწავლო პროცესში უმცროსკლესელთა ზნეობრივი განვითარების ასპექტებს და ფაქტორებს. ასაბუთებს აზრს იმის შესახებ, რომ სკოლაში ზნეობის ფორმირება ყველა გაკვეთილზე ხდება და აღზრდას ემსახურება არა მხოლოდ სწავლების შინაარსი, მეთოდები და მასწავლებელი, არამედ გაკვეთილზე შექმნილი ატმოსფეროც, პედაგოგის ბავშვებთან და მოსწავლეთა ერთმანეთთან ურთიერთობის სტილიც. მნიშვნელოვანია ჯგუფური მუშაობის როლი, რომელიც იწვევს საკუთარი ღირსების გრძნობის განვითარებას და ასწავლის ბავშვს გარეგანი ზემოქმედების გარეშე იმოქმედოს დადგენილი ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

Lela Rekhviashvili - The assistant Professor of Sokhumi State University

Moral upbringing in young students' learning activities

Problem of moral upbringing is getting more and more actual nowadays and the school plays the most important part in it.

The author of the article considers the aspects and the factors of upbringing young learners in teaching process. He states and supports the idea of students' forming while attending any lesson; not only the content, methods and the teacher but the atmosphere itself, relationships between the teacher and students and even among students, serve ethical education. We should consider the role of group-work as an important way of development of self-confidence and teaches a student to act according to the stated moral principles without any external influence.

დავით მახაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

პედაგოგიური ურთიერთობების ანალიზი

პედაგოგიური ურთიერთობა წარმოადგენს ურთიერთობის სპეციფიურ ფორმას თავისი დამახასიათებელი თვისებებით. ამავე დროს, იგი ექვემდებარება იმ ზოგად ფსოქოლოგიურ კანონზომიერებას, რაც დამახასიათებელია ადამიანებს შორის ურთიერთობისათვის, საკომუნიკაციო და ინტერაქტიული კომპონენტებით. პედაგოგიური ურთიერთობა ეს არის იმ საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ აღზრდისა და სწავლების მიზნებსა და ამოცანებს და განსაზღვრავენ პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობას. კვლევები პედაგოგიური ფსოქოლოგიის დარგში გვიჩვენებს, რომ პედაგოგიური სირთულეების მნიშვნელოვანი ნაწილი განპირობებულია არა პედაგოგის არასათანადო სამეცნიერო და მეთოდური მომზადებით, არამედ პროფესიული და პედაგოგიური ურთიერთობის სფეროს დეფორმაციით.

ადამიანებს შორის ურთიერთობა, საგნობრივ-პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად ადამიანის განვითარების მთავარი ფაქტორებია. ადამიანური ურთიერთობების საფუძველს სასწავლო პროცესში უნდა წარმოადგენდეს ორივე მხარის თანაბარუფლებიანი მონაწილეობა. ამ პირობის დაცვის შემთხვევაში დგინდება პიროვნული კონტაქტი. შედეგად წარმოიქმნება დიალოგი, როდესაც ურთიერთობის დროს ერთი პიროვნება გავლენას ახდენს მეორეზე.

ურთიერთობაში თითოეული მონაწილის შემეცნებით, ემოციურ და ქცევის სფეროში იქმნება პოზიტიური ცვლილებების ოპტიმალური ბაზა. ამრიგად, როგორც შორის ურთიერთობების პიროვნული ურთიერთობებით ჩანაცვლება ხელს უწყობს ფორმალობის და დოგმატიზმის დასრულებას სწავლების პროცესში. ვერასოდეს ვერ შეცვლის დემოკრატიული ურთიერთობა დირექტიულ-იმპერატიულს, ხოლო დიალოგური - მონოლოგურს, თუ ამისათვის ორივე მხარე არ იქნება მზად. აუცილებელია, რომ ორივე მხარემ განავითაროს ურთიერთობის კულტურა და ჩამოაყალიბოს დადებითი გამოცდილება, გამოიმუშაოს ის თვისება, რომ დაინახოს ადამიანში უმაღლესი ფასეულობა, ხოლო თანამოსაუბრეში - ისეთივე მნიშვნელოვანი პიროვნება, როგორც თავად არის.

პედაგოგიური ურთიერთობის ეფექტურობა დამოკიდებულია პედაგოგზე, მის პედაგოგიურ ოსტატობასა და კომუნიკაციის კულტურაზე. სტუდენტებთან დადებითი ურთიერთობების დასამყარებლად მასწავლებელმა სწავლების პროცესში თითოეული სტუდენტის მიმართ უნდა გამოიჩინოს კეთილგანწყობა და პატივისცემა, როგორც მათი გამარჯვებისა და დამარცხების, წარმატებისა და შეცდომების თანამონაწილემ. ფსოქოლოგები გამოყოფენ პედაგოგიური ურთიერთობის შემდეგ სტილს:

1. მასწავლებლის დამოკიდებულება პედაგოგიურ საქმიანობასთან. ასეთ პედაგოგებზე ამბობენ: „ბავშვები (სტუდენტები) მას კვალდაკვალ დასდევენ!“ ამასთან, უმაღლეს სასწავლებელში ურთიერთობის დროს ინტერესის სტიმულირება კიდევ ხდება ზოგადი პროფესიული ინტერესებით.

2. ურთიერთობა მეგობრული დამოკიდებულების საფუძველზე. იგი გულისხმობს საერთო საქმით დაკავებას. პედაგოგი ასრულებს მენტორის როლს, უფროსი მეგობრის, ერთობლივი საგანმანათლებლო საქმიანობის მონაწილის როლს. თუმცა უნდა გამოირიცხოს ფამილარული ურთიერთობები. განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა პედაგოგებს, რომელთაც არ სურთ აღმოჩნდნენ კონფლიქტურ სიტუაციებში.

3. ურთიერთობა-დისტანცია წარმოადგენს პედაგოგიური ურთიერთობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას. ამ შემთხვევაში ურთიერთობის ნებისმიერ სფეროში: სწავლებაში, რომელიც ეფუძნება ავტორიტეტსა და პროფესიონალიზმს, აღზრდაში, რომელიც ეფუძნება ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ასაკს, მუდმივად დომინირებს დისტანცია. აღნიშნული სტილი ქმნის შემდეგ ურთიერთობებს - მასწავლებელი-მოსწავლეები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლეებმა მასწავლებელი თანატოლად უნდა ჩათვალონ.

4. ურთიერთობა-დაშინება, ეს არის ურთიერთობის ნეგატიური ანტიჰუმანური ფორმა, რომელსაც მიმართავს არშემდგარი პედაგოგი.

პედაგოგია/Pedagogics

5. ურთიერთობა-თამაში, ძირითადად დამახასიათებელია ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის, რომლებსაც სურთ პოპულარობა. ასეთი ურთიერთობა ქმნის ცრუ და იაფ ავტორიტეტს.

პედაგოგიური საქმიანობა ძირითადად ურთიერთობის პირობებში მიმდინარეობს. მასწავლებელი მუდმივ ურთიერთობაშია ჯგუფთან, ქვეჯგუფთან, პიროვნებასთან, იქნება ეს ლექცია, სემინარი თუ გამოცდა. ურთიერთობის შინაარსს წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლა. მაგრამ ამით ურთიერთობა არ მთავრდება. ურთიერთობის მთავარ მხარეს წარმოადგენს იმის სურვილი, რომ ერთმა ადამიანმა შთაბეჭდილება მოახდინოს სხვა ადამიანზე. ეს უკვე პიროვნული ურთიერთობაა. ადამიანები ცდილობენ გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი ყოფა, განიხილონ ორივე მხარისათვის საინტერესო სხვადასხვა მოვლენები. ეს არის პიროვნული ურთიერთობა მასწავლებლისა და სტუდენტის ერთობლივ საქმიანობაში. ამ თვალსაზრისით კომუნიკაცია უკვე სასწავლო ამოცანის გადაჭრის უმთავრესი ინსტრუმენტია. მასწავლებლისა და სტუდენტთა ურთიერთობის პროდუქტიული ურთიერთობის ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის დიდაქტიკური ამოცანების ნაყოფიერად გადაჭრა.

ურთიერთობა განიხილება სამ ასპექტში: როგორც სასწავლო ამოცანების გადაჭრის საშუალება, როგორც აღმზრდელობითი პროცესის სოციალურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის სისტემა, როგორც მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობის საშუალება, სადაც გაერთიანებულია სწავლება და აღზრდა, როგორც პიროვნებისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირების პროცესი.

ამრიგად უმაღლეს სასწავლებელში მასწავლებელი იმ ურთიერთობის პროცესის ინიციატორი და ხელმძღვანელია, რომლის არსიც არის პედაგოგისა და სტუდენტებს შორის ურთიერთობის სისტემა, ხერხი და უნარ-ჩვევები. შინაარსს კი წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლა, სასწავლო-აღმზრდელობითი შემოქმედება და ურთიერთობების ორგანიზება.

მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კვლევები და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ის ახალგაზრდა პედაგოგები, რომლებიც ახლა იწყებენ პედაგოგიურ მოღვაწეობას, განიცდიან ბევრ სირთულეს პედაგოგიურ ურთიერთობაში სტუდენტებთან, პიროვნული კონტაქტების სფეროში. იმისათვის, რომ მასწავლებელი დაეუფლოს სტუდენტებთან ურთიერთობის პროფესიულ-პედაგოგიურ საფუძვლებს, აუცილებელია იცოდეს მისი შინაარსობრივი და პროცედურული მახასიათებლები. პედაგოგიური ურთიერთქმედება წარმოადგენს შემოქმედებით პროცესს, რომელიც დამოკიდებულია ურთიერთობის ასპექტზე: სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ამოცანის გადაჭრა თუ ურთიერთობების ორგანიზაცია. შემოქმედებით ხასიათს ატარებს როგორც პედაგოგიური ამოცანების გადაჭრა, ისე აღნიშნული ამოცანის სტუდენტებთან ურთიერთობაში განსახიერების პროცესი. ლექციის წარმატება, ცოდნის დონე, ურთიერთკონტაქტი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ინფორმაციაა შერჩეული, რა სახით არის ის აგებული, როგორ შეესაბამება ზოგადი კერძოს და რა სახით მიეწოდება აუდიტორიას, როგორ განიხილება, აღიქმება და შეფასდება სტუდენტების მიერ. თუ შევარჩევთ უმაღლესი სასწავლებლის მოღვაწეობის ფორმებს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაოები), მაშინ მათი მომზადების პროცესი და ჩართულობა მოიცავთ განსაზღვრულ საკომუნიკაციო სტრუქტურას, რომელსაც აუცილებელია შემოქმედებითად დაეუფლონ. სასწავლო პროცესში კომუნიკაციის პრობლემების კვლევების საშუალებით შესაძლებელი ხდება იმ პედაგოგიური ურთიერთობის სტრუქტურის შერჩევა, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული მასწავლებლის შემოქმედებით მოღვაწეობასთან. პედაგოგიური ურთიერთობის ეტაპები მოიცავს:

1. პროგნოზირების ეტაპი: პედაგოგიური საქმიანობისათვის მომზადების პროცესში პედაგოგის მიერ ჯგუფთან ურთიერთობის მოდელირება.
2. კომუნიკაციის საწყისი პერიოდი: აუდიტორიასთან, ჯგუფთან უშუალო კომუნიკაციის დამყარება.
3. ურთიერთობის მართვა განვითარებად პედაგოგიურ პროცესში.
4. კომუნიკაციის სისტემის ანალიზი და კომუნიკაციის მოდელირება დაგეგმილ საქმიანობაში.
5. განვიხილოთ ურთიერთობის შემოქმედებითი ეტაპების შინაარსობრივი და პროცედურული თვისებები.

პირველი ეტაპი: ურთიერთობის მოდელირების პროცესში ხდება მომავალი საქმიანობის საკომუნიკაციო სტრუქტურის დაგეგმვა, პედაგოგიური მიზნებისა და ამოცანების, აუდიტორიაში ზოგადი პედაგოგიური და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური სიტუაციების, თავად პედაგოგის

პედაგოგიკა/Pedagogics

შემოქმედებითი ინდივიდუალობის, სტუდენტთა პიროვნული თვისებების, სწავლებისა მეთოდების შემოთავაზებული სისტემის

შესაბამისად.

ეს ყველაფერი ერთად წარმოადგენს პედაგოგიური ურთიერთობის წინმსწრებ სტადიას. ეს სტადია წინასწარ უნდა იქნას მოფიქრებული. მეცადინეობების მეთოდურმა და შინაარსობრივმა სტრუქტურამ გავლენა უნდა მოახდინოს ემოციური ერთიანობისა და ურთიერთობის ატმოსფეროს შექმნაზე.

მეორე ეტაპი: ეს არის ურთიერთობის საწყისი ეტაპი, აუდიტორიასთან უშუალო ურთიერთობა, კონტაქტის დასაწყისი, რაზეც დამოკიდებულია პედაგოგიური მოღვაწეობის შინაარსობრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტის შემდგომი განვითარების წარმატებულობა.

აღნიშნული ეტაპის მთავარი ელემენტებია:

- 1) ურთიერთობის დაგეგმილი მოდელის კონკრეტული განმარტება;
- 2) შემდგომი ურთიერთობის პირობებისა და სტრუქტურის დაზუსტება;
- 3) უშუალო ურთიერთობის საწყისი სტადიის განხორციელება.

მასწავლებელმა წინა ეტაპზე შერჩეული მეთოდების საშუალებით, პირველ რიგში, უნდა დააზუსტოს აუდიტორიის ზოგადი ხასიათი და შესაძლო ჩასატარებელი სამუშაოები.

პედაგოგი მოქმედებს, როგორც ურთიერთობის ინიციატორი: მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოახერხებს იგი წინა საკომუნიკაციო სიტუაციიდან უშუალო პედაგოგიურ სიტუაციაზე გადასვლას. მოახერხებს თუ არა მომართოს აუდიტორია, შექმნას მიმზიდველობის აურა, შეიგრძნოს ემოციური ერთიანობის უხილავი კავშირები. მეცადინეობაზე შემეცნებითი ძიების მართვა ხდება სწორად დაგეგმილი და ორგანიზებული ურთიერთობათა სისტემით.

მესამე ეტაპი: განვითარებადი პედაგოგიური პროცესის მართვა. სწავლების მეთოდი და ურთიერთობის სისტემა ადეკვატური უნდა იყოს. მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური მასწავლებლისა და სტუდენტის ერთობლივი საქმიანობა. შესაბამისად, ლექციაზე დიდაქტიკური და მეთოდური მოთხოვნების გარდა არსებობს რიგი სოციალურ-ფსიქოლოგიური მოთხოვნებისა:

1. ჯგუფთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება ინფორმაციის გადასაცემად და სტუდენტების მიერ მისი პიროვნული აღქმა.
2. ლექციის ფსიქოლოგიურად დასაბუთებული პარტიტურის შემუშავება. კერძოდ, საუბრის ელემენტების გამოყენება, რიტორიკული შეკითხვები, გააზრების სიტუაციები და ა.შ. ლოგიკური აზროვნება, ნათელი მაგალითები და თეორიული მასალა. ასეთი მეთოდების ოპტიმალური შეთავსება უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ კონტაქტს, შესაბამისად სტუდენტთა ჩართულობას შემეცნებით პროცესში.
3. ფსიქოლოგიურ საშუალებათა სისტემით კოლექტიური ძიებისა და ერთობლივი მოსაზრების შექმნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრობლემურ სწავლებაში და, სადაც ძალზედ მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო კომპონენტები.
4. სტუდენტთა შემეცნებითი საქმიანობის მართვა. ურთიერთობის სტილი ხსნის ასაკისა და გამოცდილების ფსიქოლოგიურ ბარიერს, ხელს უწყობს ურთიერთობებს ერთობლივი შემეცნებითი საქმიანობის საფუძველზე.
5. საქმიანი და პიროვნული ასპექტების ერთიანობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ლექციის საინფორმაციო სისტემას, არამედ პედაგოგის პიროვნების თვითგამოხატვას. იგი ანიჭებს ლექციას მსოფლმხედველობის მიმართულებას, ზრდის ნებიმიერი სახის სასწავლო სამუშაოს ეფექტიანობას.
6. პედაგოგისა და სტუდენტთა ურთიერთობის პედაგოგიური მიზანმიმართული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის განწყობას პედაგოგთან ურთიერთობისათვის და იწვევს საგნისადმი ინტერესს, ზრდის სწავლების მოტივაციას სოციალურ-ფსიქოლოგიური რეზერვების ხარჯზე. ამიტომ მიზანმიმართული პედაგოგიური ურთიერთობა ასრულებს არა მხოლოდ მყარი კომუნიკაციის ფუნქციას, არამედ ხელს უწყობს პროგრესული მიმართულებისა და მსოფლმხედველობის პოზიციების ფორმირებას.

მეოთხე ეტაპი: მასწავლებელი აანალიზებს მის მიერ გამოყენებულ ურთიერთობათა სისტემას, აზუსტებს ურთიერთობის შესაძლო ვარიანტებს, აანალიზებს მეცადინეობის შინაარსს და ამით აპროგნოზებს აუდიტორიასთან ურთიერთობას. მეოთხე ეტაპზე სრულდება ურთიერთობის ციკლი და ხდება პირველ ეტაპზე გადასვლა.

პედაგოგიკა/Pedagogics

სოციალურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა ჩვენს საზოგადოებაში გააღვიძა თვითგამოხატვის სურვილი, განაპირობა პიროვნების ადრეული სოციალიზაცია. ამ ყველაფერმა გავლენა მოახდინა უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებაზე. გაიზარდა სტუდენტთა სამართლებრივი კულტურის დონე, მათ საკმაოდ კარგად იციან საკუთარი უფლებები, სემესტრული და კვირის სასწავლო დატვირთვა, დამოუკიდებელი სამუშაოებისა და კონტროლის ნორმები. ეს ყველაფერი პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგიური მოღვაწეობის საკომუნიკაციო ასპექტის შემუშავებისას, სადაც მკაფიოდ ჩანს დემოკრატიული ურთიერთობების ტენდენცია უმაღლეს სასწავლებელში. ასეთ სიტუაციაში პედაგოგმა თავი უნდა აარიდოს ორ უკიდურესობას - მენტორობასა და მეგობრობას.

უნდა განვითარდეს არა მხოლოდ საკუთარი საკომუნიკაციო ოსტატობა, არამედ სტუდენტს უნდა ჩაენერგოს ურთიერთობის კულტურა. პედაგოგისთვის აუცილებელია, როგორც მათი ფსიქოლოგიის ცოდნა, ისე იმ სოციოლოგიური მონაცემების მუდმივი აღრიცხვა, რომლებიც მოიცავენ თანამედროვე ახალგაზრდების სოციალიზაციისა და ფასეულობათა ორიენტაციის თავისებურებებს. სოციოლოგები ასევე აღნიშნავენ თაობათა ცვლის სწრაფ ტემპებს. დღეს უკვე თაობების ცვლა ყოველ 5 წელიწადში ხდება (სოციალიზაცია, ფასეულობათა ორიენტაციები). ამ თვალსაზრისით პირველკურსელი სტუდენტები და დამამთავრებელი კურსის სტუდენტები სხვადასხვა თაობას წარმოადგენენ, მათი შეხედულებები კარდინალურად განსხვავდება, რაც გამოწვეულია ჩვენს ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების დინამიკითა და მთლიანად მსოფლიო საზოგადოების განვითარების ტემპებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ადგილი პედაგოგიურ ურთიერთობაში, იქნება ეს წარმატებული თუ წარუმატებელი, პედაგოგის პიროვნებას უკავია.

ლიტერატურა

1. მასწავლებლის პროფესიული საქმიანობა, პედაგოგიკის საკითხები, თბ., 2013;
2. ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბ., 2014;
3. [www.bookap.info/rezepov-psichologia i pedagogika](http://www.bookap.info/rezepov-psichologia-i-pedagogika);
4. www.psyoffice.ru/8/psichologi/book;
5. გავიტარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებლის პროფესიული მომზადების ცენტრი, ტბ., 2008.

რეზიუმე

პედაგოგიური ურთიერთობა წარმოადგენს ურთიერთობის სპეციფიურ ფორმას თავისი დამახასიათებელი თვისებებით. პედაგოგიური ურთიერთობა ეს არის იმ საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ აღზრდისა და სწავლების მიზნებსა და ამოცანებს და განსაზღვრავენ პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობას. კვლევები პედაგოგიური ფსიქოლოგიის დარგში გვიჩვენებს, რომ პედაგოგიური სირთულეების მნიშვნელოვანი ნაწილი განპირობებულია არა პედაგოგის არასათანადო სამეცნიერო და მეთოდური მომზადებით, არამედ პროფესიული და პედაგოგიური ურთიერთობის სფეროს დეფორმაციით. სტატიაში საუბარია პედაგოგიური ურთიერთობების სტილზე, განხილულია ურთიერთობის შემოქმედებითი ეტაპების შინაასრობრივი და პროცედურული თვისებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე დასაბუთებულია რომ, განსაკუთრებული ადგილი პედაგოგიურ ურთიერთობაში, იქნება ეს წარმატებული თუ წარუმატებელი, პედაგოგის პიროვნებას უკავია.

Davit Makhashvili-Iakob Gogebashvili Telavi State University, Associate Professor

Analysis of Pedagogical Relationship

Abstract

Pedagogical relationship is a specific form of relationship with its characteristic properties. Pedagogical relationship is the unity of those means and methods which secure upbringing and learning goals and objectives and define relationship between a teacher and a student. Researches in pedagogical psychology show that an important part of pedagogical difficulties are due to deformation of professional and pedagogical relationship sphere and not by inappropriate scientific and methodological preparation of a teacher. The article deals with the style of pedagogical relations; Content and procedural characteristics of creative stages in relationship are discussed.

According to the above mentioned, it is substantiated that teacher's personality occupies special place in pedagogical relationship despite of success or failure.

გივი ეყიშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის ანალიზი

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე აერთიანებს სხვადასხვა სახისა და დონის ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისაგან ფილოსოფიური და კულტურული ტრადიციებით, მიზნებისა და ამოცანების დონით განსხვავდება. ამიტომ თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეზე უნდა ვისაუბროთ, როგორც ერთიან ფორმირებად ორგანიზმზე. XX საუკუნის მიწურულს განათლების მსოფლიო სისტემაში აღნიშნებოდა შემდეგი გლობალური ტენდენციები:

- განათლების დემოკრატიული სისტემისადმი სწრაფვა, სასწავლო დაწესებულებისათვის ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის მინიჭება;
- ყველა მსურველისათვის განათლების უფლების უზრუნველყოფა მისი ეროვნებისა და რასის მიუხედავად;
- სოციალურ-ეკონომიური ფაქტორების მნიშვნელოვანი გავლენა;
- იმ სასწავლო-საორგანიზაციო ღონისძიებათა სპექტრის გაზრდა, რომლებიც მიმართულია, როგორც მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილებაზე, ისე მოსწავლეთა უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
- საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის გაფართოება;
- უმაღლესი განათლების ქსელის გაფართოება და სტუდენტთა სოციალურ შემადგენლობაში ცვლილება (ხდება უფრო დემოკრატიული);
- განათლების მართვის სფეროში მყარ ცენტრალიზაციასა და სრულ ავტონომიას შორის კომპრომისის ძიება.
- მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში განათლება ხდება დაფინანსების პრიორიტეტული ობიექტი;
- სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების მუდმივი განახლება და კორექტირება;
- „საშუალო მოსწავლეზე“ ორიენტაციიდან გადახრა, დიდი ინტერესი ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ;
- ჩამორჩენილი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლებისათვის დამატებითი რესურსების მოძიება.

მსოფლიო განათლების პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ მსხვილი საერთაშორისო პროექტები და პროგრამები, ესენია:

- ერასმუსი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ევროკავშირის სტუდენტთა მობილობა;
- ლინგვა - ეს არის უცხო ენების შესწავლის ეფექტურობის ზრდის პროგრამა, დაწყებული დაბალი კლასებიდან;
- ევრიკა, მისი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განხორციელდეს აღმოსავლური ევროპის ქვეყნებთან კვლევების კოორდინაცია;
- ესპრიტი - პროექტი, რომელიც გულისხმობს ევროპული უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი უნივერსიტეტების, კომპიუტერული ფორმების გაერთიანების მცდელობას ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნაში;
- ეიპდასი - არაბულ ქვეყნებში განათლების დაგეგმვისა და მართვის პროგრამა;
- ტემპუსი წარმოადგენს ევროპულ პროგრამას, რომელიც ორიენტირებულია საუნივერსიტეტო განათლების მობილობის განვითარებაზე.
- ირისი, ეს არის პროექტების სისტემა, მიმართული ქალბატონების პროფესიული განათლების საშუალებების გაფართოებაზე.

„ევროპული იდენტურობისა“ და „მოქალაქეობრიობის“ დამტკიცების სურვილი გამყარებულია რიგი ევროპული პროექტებით ისეთ საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში, როგორცაა ეროვნული ლიტერატურის პოპულარიზაცია, უცხო ენების სწავლება, ბიბლიოთეკების ქსელების გაფართოება, პროექტი „კულტურის ევროპული ქვეყანა“.

ევროპული ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ დასავლეთ ევროპის ტერიტორიით. ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება და იმპულსები პოზიტიურად აისახება

პედაგოგია/Pedagogics

ნაციონალური საგანმანათლებლო სისტემების ურთიერთობაზე მსოფლიოს სხვა კუთხეებში, მათ შორის საქართველოშიც.

რეგიონების პირველ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ აშშ და კანადა, მაგრამ მათი ინტეგრაციული ძალისხმევა განათლების სფეროში სხვა სიტუაციაში ვლინდება.

მსოფლიოში შეიქმნა ახალი აზიურ-წყნაროკეანური რეგიონი - ინტეგრაციული პროცესების გენერატორი. მასში შედის შემდეგი ქვეყნები: სამხრეთ კორეის რესპუბლიკა, ტაივანი, სინგაპური, ჩინეთი და ჰონგ-კონგი, აგრეთვე მალაიზია, ტაილანდი, ფილიპინები და ინდონეზია. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სწავლების ხარისხის და კადრების მომზადების მიმართ მაღალი მოთხოვნების სტრატეგია. აზიურ-წყნაროკეანური რეგიონის ქვეყნების „აზიის ეკონომიკური სასწაულის“ საფუძველს წარმოადგენს რიგი ფაქტორები. ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს განათლების ფინანსური პრიორიტეტი.

აზიურ-წყნაროკეანური რეგიონის უმრავლეს ქვეყნებში ჩამოყალიბდა განვითარებული უმაღლესი განათლების სისტემა. მაგალითად, კორეის რესპუბლიკაში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დაახლოებით 1/3 აბარებს უნივერსიტეტებში. ტაივანის მოსწავლეთა 30%-ზე მეტი მიდის სასწავლებლად უნივერსიტეტში (შედარებისათვის: გერმანიაში - 18%, იტალიაში - 26%, დიდ ბრიტანეთში - 7%). დღეს უკვე უცხო ქვეყნის სტუდენტთა ყოველი მესამე აზიურ-წყნაროკეანური რეგიონიდანაა. მსოფლიო ქვეყნებს შორის იაპონიაზე მოდის სამეცნიერო ხარისხების ყველაზე მაღალი წილი - 68%, შედარებისათვის - 15% აშშ-ში. სამხრეთ კორეის რესპუბლიკა მსოფლიოში პირველ ადგილზეა მეცნიერებათა დოქტორების ხარისხის მქონე პირთა რაოდენობით.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ განათლებისათვის გამყოფი ხარჯები შეადგენს დაახლოებით 950 მილიარდ აშშ დოლარს წელიწადში, ხოლო ერთი მოსწავლის განათლებისათვის საშუალოდ 1620 დოლარს.

მეორე ტიპს მიეკუთვნებიან რეგიონები, რომლებიც პოზიტიურად რეაგირებენ ინტეგრაციულ პროცესებზე. პირველ რიგში ეს არის ლათინური ამერიკის ქვეყნები.

როგორც ისტორიის პროცესში, ისე ახლა, ლათინური ამერიკა მოხვდა აშშ და დასავლეთ ევროპის მხრიდან ინტეგრაციული იმპულსების მოქმედების ზონაში. გეოგრაფიულად ეს აისახა იმაში, რომ აღნიშნული რეგიონი მონაწილეობს დასავლეთ ნახევარსფეროს ინტეგრაციულ პროცესებში ზოგადამერიკულ, რეგიონალურ და სუპერრეგიონალურ დონეზე. ლათინური ამერიკის ქვეყნები ჩართულნი არიან ევროპის ქვეყნების რიგ საერთაშორისო პროექტებში.

ლათინური ამერიკის ქვეყნების რომლის მთავარ პრიორიტეტად რჩება ევროპული კულტურული ტრადიციები და მკვიდრი ინდური კულტურის ნარჩენი ელემენტები. სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით აღნიშნული რეგიონისათვის დამახასიათებელია განათლების ინფრასტრუქტურის ელემენტების უფრო მაღალი დონე. გვხვდება გაუნათლებლობის თანდათანობითი შემცირება, დაწყებითი განათლების გავრცელება, უმაღლესი განათლების სისტემის განვითარება.

ლათინური ამერიკამ განახორციელა პროგრამა სახელწოდებით „იუნესკოს ძირითადი პროექტი ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების განათლებისათვის“. პროგრამის ფარგლებში მოხდა გაუნათლებლობის მინიმუმამდე დაყვანა, სკოლის ასაკის ბავშვებმა მიიღეს რვა ან ათწლიანი განათლება, რითაც მოახერხეს გამხდარიყვნენ კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე. სუბრეგიონალურ დონეზე ინტეგრაციული პროცესები მოიცავს იმ ქვეყნების ჯგუფს, რომელთათვისაც დამახასიათებელია ტერიტორიული, ისტორიული და კულტურული საზოგადოება: „ანდების ჯგუფი“, „კონტადორის ჯგუფი“, „რიოს ჯგუფი“, „სამი ქვეყნის ჯგუფი“ - მექსიკა, კოლუმბია, ვენესუელა. აღნიშნული პროცესები შინაარსობრივად მიმართული იყო კოორდინაციის ძალისხმევაზე, რომ შემუშავებულიყო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის განათლების, სპეციალისტთა ხარისხის მომზადების, „ტვინის გადინების“ თავიდან აცილების ზოგადი სტანდარტები. რეგიონალურ დონეზე ხორციელდება ლათინური ამერიკის სახელმწიფოების პროექტი „ცოდნის საერთო ბაზარი.“ ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის ბრაზილია და არგენტინა დიდი ხანია ორიენტირებულია განათლების ამერიკულ მოდელზე. მექსიკა და კოსტა-რიკა მჭიდროდ კონტაქტობენ ევროპასთან. ჩილი და მექსიკა განათლებისა და კულტურის საკითხებში თანამშრომლობენ იაპონიასთან და აზიურ-წყნაროკეანური რეგიონის ქვეყნებთან.

ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში განათლების სფეროში გაწეული

სახელმწიფო ხარჯები საშუალოდ შეადგენენ დაახლოვებით 50 მილიარდ დოლარს წელიწადში, ხოლო შესაბამისად ერთი მოსწავლის განათლებაზე - 500 დოლარს.

მესამე ტიპს მიეკუთვნებიან ის რეგიონები, რომლებიც ინერტულნი არიან საგანმანათლებლო პროცესების ინტეგრაციის მიმართ. ამ ჯგუფში შედიან აფრიკის ქვეყნების დიდი ნაწილი სახარისიდან სამხრეთით (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გარდა), სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიის ქვეყნები, წყნარი და ატლანტის ოკეანეების აუზის მცირე კუნძულოვანი სახელმწიფოები. აფრიკის ქვეყნებში განათლების ხანგრძლივობა მინიმალურზე მცირეა - 4 წელი. აღნიშნულ რეგიონებში ძირითადად გაუნათლებელი მოსახლეობაა. მაგალითად, 140 მლნ. აფრიკელი, რომელიც ცხოვრობს სახარის სამხრეთით განათლების გარეშე რჩება. განათლების მიღების ყველაზე დაბალი ხანგრძლივობაა ნიგერიაში - 2.1 წელი, შემდეგ მოდის ბურკინა-ფასო - 2.4 წელი, გვინეა - 2.7 წელი, ჯიბუტი - 3.4 წელი. იუნესკოს მონაცემებით, აღნიშნული ქვეყნების დაწყებით სკოლებში სახელმძღვანელოები აქვთ მხოლოდ მოსწავლეთა 30%. განათლების მატერიალური ბაზა უკიდურესად დაბალია. აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში თანაფარდობა „მოსწავლე-მასწავლებელი“ (1 მასწავლებელზე მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა) ყველაზე მაღალია მსოფლიოში.

აღნიშნულ რეგიონებში არ არსებობს უმაღლესი განათლების ნაციონალური სისტემის ფორმირების წინაპირობა. აღნიშნული რეგიონის მსოფლიო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან ურთიერთობების რეალური საშუალებაა სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ სასწავლებლად. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბურკინა-ფასო, მოზამბიკა, რუანდა, სტუდენტთა რაოდენობა 100 000 მოსახლეზე მერყეობს 16-დან 60-მდე. შედარებისათვის, კორეის რესპუბლიკაში - 4000-მდე, ლივანში - 3000-ზე მეტი, არგენტინაში - 3300, ვენესუელაში - 3000-მდე, აშშ - 6000-მდე. განათლების დონე ძალიან განსხვავებულია აფრიკის სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. სახარის სამხრეთით აფრიკის ქვეყნებში განათლებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯები შეადგენს დაახლოვებით 9 მილიარდ აშშ დოლარს წელიწადში, ერთ მოსწავლეზე ეს შეადგენს 70 დოლარს.

აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ძლიერდება აშშ და განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოების საგანმანათლებლო სისტემებთან საერთაშორისო კონტაქტები, რათა ისინი შევიდნენ მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში.

ფაქტობრივად, მსოფლიოში უმაღლესი განათლების მქონე 100 ადამიანიდან ყოველი ორი უცხოელი სტუდენტია. საერთაშორისო სტუდენტთა გაცვლის მნიშვნელოვანი წილი მოდის ევროპაზე.

ტექნოპოლისები შტამბეჭდავია საკუთარი მასშტაბებით, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ტექნიკური პოტენციალით. ასეთი ტექნოპარკების ფორმირებაში წამყვანი ადგილი უკავია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს. მაგალითად, იაპონიაში ქვეყნის მთელი სამეცნიერო კადრის 2/3 (დაახლოვებით 80 კვლევითი და სასწავლო დაწესებულება, სადაც მსოფლიოს 50 ქვეყნიდან ასი ათასობით სტუდენტი სწავლობს) ისეთ ცენტრშია თავმოყრილი, სადაც გაერთიანებულია როგორც ფირმები, ისე უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, სადაც ტარდება ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევები. საფრანგეთის სამხრეთით რიგი უნივერსიტეტების ბაზაზე შექმნილია მსხვილი სამეცნიერო პოტენციალი „მაღალი ტექნოლოგიების გზა“.

ერთიანი მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებას ხელს უწყობს სწავლების დისტანციური ფორმების განვითარება. დისტანციური სწავლების სისტემები ეფუძნება კომპიუტერული ქსელისა და სატელეკომუნიკაციო კავშირის გამოყენებას. მისი დახმარებით შესაძლებელი ხდება საგანმანათლებლო ამოცანების გადაჭრა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასე ხდება ერთიანი ევროპული სასწავლო გარემოს პროექტის რეალიზება. შვედეთის ბალტიის უნივერსიტეტი, რომელიც აერთიანებს ბალტიისპირეთის 10 ქვეყნის 50-ზე მეტ უნივერსიტეტს, წარმოადგენს დისტანციური სწავლების მეთოდების მაგალითს. მსოფლიოში ფუნქციონირებს დისტანციური სწავლების გლობალური სისტემები „გლობალური სალექციო დარბაზი“, „მსოფლიოს უნივერსიტეტი“, „საერთაშორისო ელექტრონული უნივერსიტეტი“ და უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაცვლას ოპერატიულ რეჟიმში.

მსოფლიო განათლებისათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ტენდენციები, რომლებიც მკვეთრად გამოისახა ოცდამეერთე საუკუნის ბოლოს.

პირველი ტენდენცია - უმრავლესობა ქვეყნების გავრცელებული ორიენტაცია, ელიტური განათლებიდან თოთოეული მოქალაქისათვის მაღალხარისხოვან განათლებაზე გადასვლა.

მეორე ტენდენცია - მდგომარეობს განათლების სფეროში სახელმწიფოებრივი ურთიერთობების

გაღრმავებაში.

მესამე ტენდენცია - გულისხმობს მსოფლიო განათლებაში ჰუმანიტარული ნაწილის გაფართოვებას, ახალ ადამიანზე ორიენტირებულ სამეცნიერო და სასწავლო საგნების შემოტანას, როგორცაა: პოლიტოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია, ეკოლოგია, ერგონომიკა, ეკონომიკა.

მსოფლიო განათლების განვითარების კიდეც ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს სიახლის დანერგვა ქვეყნებისა და რეგიონების ნაციონალური ტრადიციებისა და ნაციონალური იდენტურობის შენარჩუნებით. ამიტომ სივრცე ხდება უფრო გახსნილი საერთაშორისო საგანმანათლებლო გარემოს ფორმირებისათვის, რომ ადამიანმა გაიზიაროს მსოფლიო ფასეულობები.

ზემოთაღნიშნულ მომენტებთან ერთად მსოფლიო განათლებაში ადგილს იმკვიდრებს „საბაზრო“ და „საქმიანი“ მიდგომა.

იუნესკო ახორციელებს მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის განვითარების პროცესის საორგანიზაციო რეგულირებას. აღნიშნული ორგანიზაცია შეიმუშავებს ყველა ქვეყნისათვის, როგორც გლობალური, ისე რეგიონალური ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. იგი აქტიურად უწყობს ხელს ინტეგრაციული პროცესების განვითარებას განათლების სფეროში, იუნესკოს ნორმატიული მოღვაწეობა ორიენტირებულია შემდეგზე: -პირობების შექმნა ხალხთა შორის თანამშრომლობის გაფართოებისათვის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში; -კანონისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფა; -ქვეყნების ჩართულობა განათლების სფეროში საერთაშორისო ინტეგრაციისათვის სამართლებრივი საფუძვლების მომზადების პროცესში; -მსოფლიოში განათლების მდგომარეობის კვლევა ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების ჩათვლით, განვითარებისა და ინტეგრაციის ყველაზე ეფექტური გზების პროგნოზირება; მიღებული კონვენციებისა და რეკომენდაციების პროპაგანდა; -განათლების შესახებ ყოველწლიური ანგარიშის სისტემატიზაცია.

იუნესკოს ანგარიშები ქვეყნდება სპეციალური გამოცემების სახით. მაგალითად, „კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ“ (1960 წელი), „რეკომენდაციები მასწავლებელთა დებულების შესახებ“ (1966 წელი), „კონვენცია სასწავლო კურსების, დიპლომების, მოწმობების, სამეცნიერო ხარისხების აღიარების შესახებ ხმელთაშუაზღვისპირეთის, არაბული სახელმწიფოების, აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიურ-წყნაროკეანური რეგიონის რაიონებისათვის“ (1970 წელი), „რეკომენდაციები მოზრდილების განათლების განვითარების შესახებ“ (1976 წელი), „კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ“ (1989 წელი), „კონვენცია ტექნიკური და პროფესიული განათლების შესახებ“ (1989 წელი). იუნესკო ადასტურებს განათლების საერთაშორისო მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. იუნესკოს საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ახდენენ თანამედროვე განათლების გლობალიზაციას, და პირველ რიგად გამოაქვს შემდეგი ამოცანები: ხალხის აღზრდა მშვიდობიან, დემოკრატიულ და ჰუმანურ გარემოში, ადამიანის უფლებების, სხვა ხალხის კულტურული ფასეულობებისა და ტრადიციების პატივისცემა, გარემოს დაცვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის განვითარებისათვის მიმდინარე პროცესები ატარებს შეუქცევად ხასიათს. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ხდება შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიება, რათა მსოფლიოს რეგიონების მოსახლეობისათვის საგანმანათლებლო სისტემები უფრო მისაწვდომი იყოს, დაიხვეწოს და უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს. ამ პროცესებს გვერდს ვერ აუვლის ვერც საქართველო. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობს მუდმივი რეფორმები განათლების ყველა საფეხურზე, ეს აუცილებელიც არის რათა არ ჩამორჩეს საქართველო განათლების მსოფლიო სისტემაში მიმდინარე პროცესებს, თუმცა დიდი დაფიქრება და ყურადღებაა საჭირო, რომ ეს არ მოხდეს ეროვნული თვითმყოფადობისა და ქვეყნის ინტერესების შესუსტების ხარჯზე.

ლიტერატურა

1. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა“ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ირინე დარჩია, ტემპუსის ეროვნული ოფისი საქართველოში, www.tempus.ge, 2009.
2. „განათლების სისტემის მიმოხილვა“, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია, www.aeag.org.ge
3. უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები, აღწერითი ანგარიში ბოლონის პროცესის ინდიკატორების მიხედვით, განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM), თბ. 2008.
4. <https://zrda.wordpress.com>
5. განათლების სისტემა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში., matsavlebeli.ge
6. ნაკვიძვე მზია., განათლების სისტემები საზღვარგარეთ-მოკლე მიმოხილვა, education.ge

რეზიუმე

განათლების მსოფლიო სისტემაში აღინიშნება სერიოზული გლობალური ტენდენციები. მსოფლიო განათლების პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ მსოფლიოს რეგიონებზე მორგებული მსხვილი საერთაშორისო პროექტები და პროგრამები, იქმნება ინტერნაციონალური თვისების ახალი საორგანიზაციო სტრუქტურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის განვითარებისათვის მიმდინარე პროცესები ატარებს შეუქცევად ხასიათს. ამ პროცესებს გვერდს ვერ აუვლის ვერც საქართველო. XXI საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობს მუდმივი რეფორმები განათლების ყველა საფეხურზე, ეს აუცილებელიც არის რათა არ ჩამორჩეს საქართველო განათლების მსოფლიო სისტემაში მიმდინარე პროცესებს, თუმცა დიდი დაფიქრება და ყურადღებაა საჭირო, რომ ეს არ მოხდეს ეროვნული თვითმყოფადობისა და ქვეყნის ინტერესების შესუსტების ხარჯზე.

Givi Ejishvili - Iakob Gogebashvili Telavi State University Assistant Professor

]Analysis of Modern World Educational Space

Abstract


There are serious global tendencies in the world system of education. In solving world educational problems big international projects and programs adapted on the world regions occupy a very important place. New organizational structures having international properties are created.

According to the above mentioned we can conclude that, current processes carry nonreversible character for world educational space. Even Georgia can't avoid these processes. Since XXI constant reforms have been going on in every step of education. This is necessary for Georgia as not to stay back from the processes which are taking place in the world system of education. Though, a great attention is required not to happen all these on the charge of national distinctiveness and weakening country's interests.

ჰამლეტ რაზმაძე - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ფეხბურთის სპორტული სკოლის 10-12წლის ასაკთან დაკავშირებული ფუნქციური ცვლილებების ზოგიერთი მონაცემები

პრობლემის აქტუალობა. ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მეცადინეობის ეფექტური წარმართვა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენადაა შესწავლილი სხვადასხვა სახით ფი-ზიკური დატვირთვების გავლენა ორგანიზმის ძირითად სისტემებზე და ფუნქციებზე, როგორი სახის ინფორმაცია გაგვაჩნია იმ ადაპტაციურ პროცესებზე, რომლებიც სხვადასხვა სახის სისტემატური ვარჯიშის შედეგად ვითარდება სპორტსმენის ორგანიზმში. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხდება თუ არა პედაგოგიური ხერხების შეცვლით დასახული მიზნის უკეთ წარმართვა. ვარჯიშების დაწყების პირველ ეტაპზე ხდება ფიზიკური მაჩვენებლების და ფუნქციური შესაძლებლობების პროგრესული გაუმჯობესება, მაშინ როდესაც უფროსი ასაკის სპორტსმენებში იგივე სახით დატვირთვა ორგანიზმის ფიზიკური მაჩვენებლების და ფუნქციური ძვრების, ერთ დონეზე შენარჩუნებას უწყობს ხელს (დ. ჩიტაშვილი 1996) აქედან გამომდინარე საკითხის ზოგადი განხილვისას აუცილებელია სპორტსმენის ასაკის, სქესისა და კვალიფიკაციის გათვალისწინება. ამ პრობლემების გასარკვევად ჩვენს მიერ ჩატარდა დაკვირვება სპორტული სკოლის ბავშთა ფეხბურთის 10-12წლის ახალბედა სპორტსმენებზე. რომლებიც ვარჯიშობდნენ სასწავლო-საწვრთნო გრაფიკის მიხედვით. პირველ სურათზე მოცემული გვაქვს გულის ცემის სიხშირე მოსვენებულ მდგომარეობაში და ფიზიკური ვარჯიშის (ჩვეულებრივი საწვრთნო თამაში) შემდეგ.



სურ. 1. ფეხბურთელთა გულის ცემის სიხშირის ცვლილება მოსვენებულ (I) მდგომარეობაში და ფეხბურთის თამაშის (II) დროს.

როგორც სურათიდან (I) ჩანს მოსვენებულ მდგომარეობაში გულისცემის სიხშირე ცდის პირთა შორის უმნიშვნელოდ განსხვავდება. 11 ცდის პირიდან მხოლოდ ერთ სპორტსმენში იქნა შედარებით გაიშვიათებული პულსი. დანარჩენ შემთხვევაში ცვალებადობდა 68-78 შორის. მოსვენებულ მდგომარეობაში შედარებით იდენტურობა უნდა ვეძიოთ დატვირთვის ერთგვაროვნობაში, რომლის ზემოქმედების შედეგად გამოქვამდა შესატყვისი ფუნქციური ძვრები.

რაც შეეხება ფიზიკური დატვირთვის შედეგად მიღებულ მონაცემებს (II) ამ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული სურათი მიიღება, რადგან ფეხბურთში ვარჯიშში ეს სტანდარტული მოქმედება არ არის და თითოეულ მოთამაშეს ერთიმეორისაგან განსხვავებული დატვირთვის შესრულება უხდება და, რა თქმა უნდა, ფუნქციური ძვრებიც ერთიმეორისაგან შესამჩნევად განსხვავებული იქნება.


როგორც სურათიდან (II) ჩანს ცდის პირთა შორის ფეხბურთის თამაშის მიმდინარეობისას გულის ცემის სიხშირის მინიმალური სიდიდე იყო 124 წუთში, ხოლო მაქსიმალური 174. რაც შეესაბამება ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ მონაცემებს. უმრალესობაში (68%) გულის ცემის სიხშირე ცვალებადობს 150-დან 162 ფარგლებში.

პედაგოგიკა/Pedagogics

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ცდის პირთა შორის მიღებული მონაცემების მრუდი ტალღისებურ სურათს იძლევა, რაც პირდაპირ სპორტსმენთა ინდივიდუალური მონაცემების სურათს გამოხატავს.

მეორე სურ. (2) სურათზე მოცემულია იგივე ცდის პირებზე (ფეხბურთელები) მიღებული სუნთქვის სიხშირის ცვლილებები მოსვენებულ (I) მდგომარეობაში და კუნთოვანი (II) მუშაობისას.


განსხვავებით გულის ცემის სიხშირის მონაცემებისაგან ამ შემთხვევაში მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნისას სუნთქვის სიხშირე ცდის პირებს შორის მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან და მათ შორის ცვალებადობა წუთში 12-ის ფარგლებშია.



სურ. 2. ფეხბურთელთა სუნთქვის სიხშირე მოსვენებულ (I) მდგომარეობაში და ფიზიკური (II) მუშაობის შემდეგ.

განსხვავებული სურათია ფიზიკური ვარჯიშის პირობებშიც, რომლის დროსაც ცდის პირთა შორის სხვაობა ცხრას არ აღემატება ე. ი. ფიზიკური ვარჯიშის შედარებით ცვალებადობის მიუხედავად სუნთქვის სიხშირეც, ისე როგორც გულის ცემის სიხშირე, ნაკლები მერყეობით გამოიხატება.

ცდის პირთა შორის შედარებით ნაკლები სხვაობა აღინიშნება სისხლის მაქსიმალური და მინიმალური წნევის მიხედვით. როგორც სურათებიდან ჩანს (3-4) მოსვენებულ მდგომარეობაში და კუნთოვანი მუშაობის დროსაც სისხლის წნევის მონაცემები სპორტსმენებს შორის არ აღემატება მოსვენებულ მდგომარეობაში 20 მმ-ს და ფიზიკური ვარჯიშისას 25 მმ-ს.




სურ. 3. სისხლის წნევის მონაცემები მოსვენებულ მდგომარეობაში მინიმალური (I) და მაქსიმალური (II).

მე-4 სურათზე მოცემულია სისხლის წნევის მაჩვენებლები ფიზიკური დატვირთვის შემდეგ (I) მინიმალური და მაქსიმალური (II) ცდის პირთა შორის სისხლის წნევის მინიმალური მონაცემები

პედაგოგიკა/Pedagogics

ძირითადად მერყეობს 60-70 მილიმეტრის ფარგლებში, რაც შეეხება ცდის პირთა შორის 27%-ს სისხლის მინიმალური მონაცემები ტოლია 75 მილიმეტრის.




სურ. 4 სისხლის წნევის მონაცემები ფიზიკური დატვირთვის შემდეგ მინიმალური (I) მაქსიმალური (II).

ფიზიკური დატვირთვის შედეგად სისხლის მაქსიმალური წნევა უფრო შემჭიდროვებულ სურათს იძლევა და ძირითადად მერყეობს 125-დან 150 მმ-ის ფარგლებში.

როგორც სურათიდან ჩანს ფიზიკური დატვირთვის მოქმედება ფუნქციურ მონაცემებზე ამ შემთხვევაში სისხლის წნევის მაჩვენებლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ იდენტურ ხასიათს იძლევა. რაც შეეხება ცდის პირთა შორის არსებულ სხვაობებს, ჩვენი აზრით, ეს უკვე მაჩვენებელია სპორტსმენთა სხვადასხვა დონით გაწვრთნილობისა.

მეხუთე სურათზე მოცემულია ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის მონაცემები მოსვენებულ მდგომარეობაში და კუნთოვანი მუშაობის შემდეგ. სურათზე ნათლად ჩანს, რომ სასიცოცხლო ტევადობის მიხედვით ცდის პირები ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. ეს ფაქტი გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტორებით, როგორცაა გულის ყაფაზის გარშემოწერილობა, სპორტსმენის კვალიფიკაცია და დაღლილობის ხარისხი.



სურ.5. სურათზე მოცემული არის ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა ლიტრებში მოსვენებულ მდგომარეობაში (უწყვეტი ხაზით შეერთება I) და ფიზიკური დატვირთვის (წყვეტილი ხაზით შეერთება II)

პედაგოგია/Pedagogics

რაც შეეხება სუნთქვის სიხშირის ცვლილებას ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ ნათლად ჩანს, რომ უმრავლესობაში სუნთქვის სიხშირე მერყეობს 38-40 ფარგლებში.

ჩვენი დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ დამწყებ სპორტსმენთა ფუნქციური მონაცემები ფიზიკური ვარჯიშის შედეგად, განიცდის ცვალებადობას, როგორც სისხლის წნევა, ასევე ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა, ანალოგიურ ცვლილებებით ხასიათდება სუნთქვის სიხშირე.

ლიტერატურა

1. ჩიტაშვილი დ. (2011) დამწყებ სპორტსმენთა ოპტიმიზაციის საკითხები. *ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა*, 3, 57-60.
2. Hager-Ross, C., Rosblad, B. (2002). Norms for grip strength in children aged 4-16 years. *Acta paediatrica*, 91 (6), 617-625.
3. Hansen, H., Jorgensen, O., Hyldebrandt, N. (1985). Blood pressure in children, measured at rest and during exertion. *Acta medica Scandinavica Supplementum*, 693, 47-50.
4. 4. Абзалов Р.А. „Адаптация детского организма физическим нагрузкам. Теория и практика физической культуры. 1976 № 3.
5. Крапивничева С.И. „Влияние пассивного и активного отдыха на состояние сердечно-сосудистой системы. При последующей работе и восстановление после нее. Теория и практика физической культуры. № 3. 1982.
6. Коринтели Е.Н. „Вопросы Функциональных данных тренировочными процессому спортсенов детскоговозраста. Сборник научных трудов. Том 1 Тбилиси 1969.
7. Читашвили Д. М. 1964. Изменение частоты сердечных сокращений у боксёров во время тренировочных занятий и соревнований. Материалы VIII научной конференции по вопросам морфологии и биохимии мышечной деятельности. Волгоград

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია 8-10 წლის ბავშვებში ფიზიკური დატვირთვის შედეგად კარდიო რესპირატორული და სუნთქვითი სისტემების ფუნქციის ურთიერთკავშირი და ანალიზი.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ფიზიკური მომზადების საწყის ეტაპზე მიმდინარეობს ახალგაზრდა სპორტსმენების გულსისხლძარღვთა და სუნთქვითი სისტემების ფუნქციონირების გაუმჯობესება. ახალგაზრდა სპორტსმენების გაწვრთნილობის დონის ინფორმაციულ მაჩვენებელს წარმოადგენს გულისცემისა და სუნთქვის სიხშირე. ჩატარებული კვლევების საფუძველზე, სპორტის მუშაკებისათვის შემუშავებულია წვრთნის კომპლექსური მეთოდები და ფიზიკური ვარჯიშები.

Resume

The article discussed the interconnection and analysis of cardio-respiratory and breathing system functions as a result of physical overwork in Children of 8-10 age.

According to the given datas, the article discussed the influence on the physical exercise upon blood-vessels and breathing systems. The observation has been carrying out on publicphysical and specialized sport school students (wrestling, box, football) from several years at Telavi public school 3. The students were in different conditions: relaxed condition, while physical training, control exercises, competition, in laboratory and standard conditions and in rehabilitation period after the exercises.

ნუგზარი ძამუკაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

მატყლის და თექის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები

მატყლის დამუშავების ტექნოლოგია ძველ ტრადიციებს უკავშირდება და მთის ხალხის კულტურულ მემკვიდრეობასთან ასოცირდება. მატყლის თელვა - თექის (ნაბადი) დამუშავება ერთ-ერთი უძველესი საქმიანობაა მატყლის დამუშავებაში. მრავალმხრივი გამოყენება აქვს მატყლის თელვით მიღებულ ნაწარმს - თექას. ისტორიულად თექას ამზადებდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და მას მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა. ამზადებდნენ თავსაბურავებს, სამოსელს. კედლის დეკორებს იყენებდნენ სახლის ინტერიერის გასალამაზებლად. გამოყენება ჰქონდა ტვირთმზიდი პირუტყვის აღკაზმულობაში. მწყემსები და მეცხვარეები მემთაბარობისას თექას იყენებდნენ კარვების გადასახურად. განსაკუთრებით აღსანიშნავია თუშური თექა, რომელიც გამოირჩევა მარტივი და დახვეწილი ორნამენტებით. თექის წარმოების ძირითად ნედლეულს, ცხვრის მატყლის ბოჭკო წარმოადგენს. თუმცა მატყლის ბოჭკო შეიძლება იყოს სხვა ძუძუმწოვრებისაც. მაგ. აქლემის, კურდღლისა და სხვა ცხოველების ბეწვის საფარი, რომელსაც აქვს მოთელვის და ძაფად დაგრეხვის თვისებები.

ნატურალური მატყლის ძირითადი მასა, დაახლოებით - 96-97% მიიღება ცხვრისგან, 2% - თხის, 1% - აქლემის, ასევე კურდღლისა და სხვა ცხოველებისგან.

დღეისათვის მატყლის უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყნებია: [ავსტრალია](#) 25%, [ჩინეთი](#) 18%, [აშშ](#) 17%, [ახალი ზელანდია](#) 11%, [არგენტინა](#) 3%, [თურქეთი](#) 2%, [ირანი](#) 2%, [გაერთიანებული სამეფო](#) 2%, [ინდოეთი](#) 2%, [სუდანი](#) 2%, [სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა](#) 1%, სხვა ქვეყნები 15%.

მატყლის მსოფლიო წარმოების დაახლოებით 1/4-ს იძლევა ავსტრალია, შემდეგ მოდიან ძირითადი მწარმოებლები: ჩინეთი, აშშ და ახალი ზელანდია. მეცხვარეობის განვითარების ძირითადი რაიონებია აგრეთვე: ჩრდილო კავკასია, დასავლეთ ციმბირი, 1976 წელს მატყლის მსოფლიო წარმოება 2,6 მლნ. ტონას შეადგენდა, [საქართველოში](#) კი აწარმოეს 5,2 ათ. ტონა მატყლი. ამჟამად მატყლის მსოფლიო წარმოება მხოლოდ 1,3 მლნ. ტონაა.

მატყლის თელვა სიბრტყეზე ტრადიციული მეთოდით:

თექის (ნაბდის) მისაღებად აუცილებელია მატყლის ბოჭკოს ნაფენის მომზადება, რომელიც ლაგდება ფთილებს სახით უწყვეტად, ჯვარედინად ერთმანეთის საპირისპიროდ, მრავალჯერადად. სველი თელვის დროს საჭიროა სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე მასალები და ინსტრუმენტები: სპეციალური მაგიდა თელვისთვის, მატყლი, გასწყობად სხვადასხვა მასალა, ბურთულებიანი პოლიეთილენი, ქსოვილის ბადე, 72% სარეცხის საპონი, დასანამი მოწყობილობა ან ღრუბელი დასანამად, თასი, მრგალი ხის ძელაკი ან პლასტმასის მილი გადასახვევად, შესაკრავი თასები, საუთოვებელი მაგიდა, უთო, თბოდატენიანებისთვის ქსოვილი.

მოთელვის პროცესის დასაწყებად ბუმტუკებიან პოლიეთილენზე დაფენილ მატყლს მთლიან პერიმეტრზე ზემოდან ეფინება ბადე ქსოვილი, შემდეგ ცალკე ჭურჭელში დამზადებული საპნიანი ცხელი წყლით ხდება ერთ-ერთი კუთხიდან გარკვეულ მონაკვეთზე დასველება ღრუბელის ან სასანის საშუალებით, რის შემდეგაც ხელის მსუბუქი წრიული მოძრაობით ხდება ესკიზის დაფიქსირება. ხელის მოძრაობით ფიქსაცია საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს თანაბარი, ერთგვაროვანი მასა ისე, რომ მატყლის ბოჭკო ხელებზე, აღარ მოედოს. შემდეგ აღნიშნული მოქმედება სრულდება მთლიან ზედაპირზე იგივე თანმიმდევრობით. ეს არის პირველი ეტაპი, რომლის დროსაც ხდება ქაფის შესვლა მატყლში-დაფიქსირება. ამის შემდეგ ხდება გადახვევა მჭიდროდ რულეტისებურად, იკვრება თასით დაახლოებით 20- 25 სმ დაშორებით რამოდენიმე ადგილზე და სათელავ მაგიდაზე ხელის მსუბუქი მოძრაობით გორვის პრინციპით თავდაპირველად ერთი მიმართულებით ითელება ხელების თანაბარი მოძრაობით. თელვა შეიძლება ჩატარდეს ინტენსიურად, ძლიერ, ზომიერად და სუსტად. ეს დამოკიდებულია თუ როგორი ნიმუში უნდა მოითელოს. გადახვევა შესაძლებელია მოხდეს ხის ან პლასმასის მილზე, რაც აადვილებს გორვის პროცესს. თელვის პირველ ეტაპზე მუშაობა ხდება მსუბუქად და დაუძაბავად. შემდგომში ნახსენები წუთები რა თქმა უნდა პირობითია და თელვის დრო დამოკიდებულია მოსათელ მასალასა და დასამზადებელ ნიმუშზე. პირველი ეტაპი სასურველია გაგრძელდეს 2-3 წუთი, რადგან საშუალება იყოს ჯერ კიდევ შეუთელავი ნიმუში გაიხსნას და

პედაგოგია/Pedagogics

საჭიროების შემთხვევაში შესწორდეს. როგორც აღინიშნა 2-3 წუთის შემდეგ იხსნება, თუ საჭიროა სწორდება და გადახვევა ხდება მეორე მხრიდან, შეიკვრება და გორვის პრინციპით შემდეგი მხრიდან გრძელდება თელვა. თელვას ხელს უწყობს მატყლის ბოჭკოს ცხიმოვანი, ქერცლოვანი ფენა. თელვისას ქსოვილი მკვრივდება, მისი ზომები სიგრძესა და სიგანეში იკლებს და ქსოვილი იმატებს სისქეში. თელვის პროცესი სრულდება ოთხივე გვერდიდან მონაცვლეობით, იმ განსხვავებით, რომ თელვის პროცესის დრო იზრდება 7-10 წუთამდე. მნიშვნელოვანი ეტაპია - დიაგნოზაზე თელვა, რომელის დროსაც გადახვევა ხდება შედარებით მჭიდროდ და ვახდენთ თელვას ოთხივე დიაგონალის მიმართულებით. თელვის პროცესის დრო დამოკიდებულია შესაქმნელ ნიმუშზე. უმჯობესია თელვის პროცესი ყოველგვარი ხის და პლასტმასის ჯოხის გარეშე. დამუშავების ცალკე პროცესია გვერდითი ნაწილების კიდების და კუთხეების დამუშავება-მოთელვა, რომლის დროსაც ყველა გვერდი ცალც-ცალკე მუშავდება. კიდების დამუშავება ხდება ასევე ხელის წრიული მოძრაობით. ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების დროს ხდება დაუმუშავებელი თექიდან საპნიანი წყლის გამოდევნა და მატყლის თექად ჩამოყალიბება. სწორედ ეს პროცესი, - მატყლში ქაფიანი წყლის შესვლა და შემდეგ მისი გამოდევნა წარმოადგენს თექის დამუშავების ტექნოლოგიურ პროცესს. ბოლო ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს თექის ცივად გაუთოვება - გასწორება. რომლის დროსაც ხდება ბოჭკოების უფრო სრულყოფილად ჩაჯდომა ერთმანეთში.

სიბრტყეზე სველი თელვის წარმოება შეიძლება მანქანა -დანადგრის საშუალებით.

გარდა ტრადიციული თელვის მეთოდებისა, უკანასკნელ პერიოდში წარმატებით გამოიყენება თელვის მექანიზირებული მეთოდები.

მანქანით სველი თელვისას ხელსაწყო მუშაობის პრინციპი შეიძლება იყოს სხვადასხვა: დაპრესვით, გორვით, დაზიგზავებით.

მატყლის თელვა მშრალი მეთოდით:

უკანასკნელ პერიოდში სველ თელვასთან ერთად უფრო და უფრო მეტი მიმდევარი გამოუჩნდა და აქტიური გახდა მშრალი თელვა. მშრალი თელვა ხდება სპეციალური თექის ჩასათელი ნემსის გამოყენებით. მშრალი თელვის ტექნოლოგია განსაკუთრებით საინტერესოა მათთვის, ვისაც იზიდავს სამგანზომილებიანი ფიგურები. თუმცა მშრალი თელვის მეთოდს ხშირად იყენებენ სამკაულების დასამზადებლად. სამკაულები მზადდება, როგორც მშრალი ასევე სველი მეთოდით, დეკორატიული ელემენტების შესაქმნელად, ტრიკოტაჟული და იმ სხვა ქსოვილების გასაფორმებლად, რომელიც თელვის პროცესს ექვემდებარება. ძირითადი ხელსაწყო ამ პროცესში არის სხვადასხვა ზომის სპეციალური დანიშნულების ნემსები, რომელიც ამარტივებს კონტურების ფორმირებას და სასურველი რელიეფის შექმნას. ნემსები სხვადასხვა ზომის და ფორმის არსებობს: სამკუთხა, ოთხკუთხა, ერთმაგი, სამმაგი და დაჯგუფებული. ნუმერაციის მიხედვით ნემსები არსებობს წმინდა და შედარებით მსხვილი. რაც უფრო მაღალია ნემსის მაჩვენებელი რიცხვი, მით უფრო წმინდაა იგი და - პირიქით. მაგალითად: ნემსები №32-36 თავისი დიამეტრით მეტია, ე.ი. უფრო მსხილია, ვიდრე №38-40. პირველი, ანუ #32-36 გამოიყენება თელვის პირველ ეტაპზე, ხოლო მეორე - №38-40 -მეტი სიზუსტისა და მოყვანილობის დასახვეწად. სათელავი ნემსი არის ორი სახის: 1. ზევიდან ქვემოთ ჩასათელი და 2. ქვევიდან ზემოთ ამოსათელავი. თელვის წარმადობის დასაჩქარებლად არსებობს მოწყობილობა რამდენიმე ნემსით. ნემსდამჭერი — როგორც წესი არის ხის ან პლასტმასის, რომელშიც ჩარჭობილია რამოდენიმე ნემსი.



პედაგოგიკა/Pedagogics

სამუშაოს გამარტივების მიზნით და სრულყოფილი კონტურების მისაღებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მზა შაბლონები, ყველანაირი ფორმები და ტრაფარეტები. ან სულაც მუყაოსგან დაამზადოთ იგი.

ნემსზე არსებული ნაჭდევეები მატყლის ბოჭკოებს უზიმავენ ქვევით, რაც იწვევს ამ ბოჭკოების ერთმანეთში მჭიდროდ შეზრდას და მშრალი თელვის არსიც სწორედ ამაში გამოიხატება. თექის ნემსებთან ერთად, რა თქმა უნდა, საჭიროა მატყლი. პროცესი სრულდება შემდეგნაირად: თექის ქსოვილი თავსდება ჯაგრისზე ან ღრუბელზე ზევიდან. მოთელილ თექაზე ეფინება მატყლის ბოჭკოს თხელი ფენა და სათელავი ნემსის მრავალჯერადი ჩარტყმის შედეგად ფიქსირდება (ითელება) სანამ სასურველი შედეგი არ იქნება მიღებული. სათელავი ნემსის საშუალებით ასევე შეიძლება შესრულდეს სრული თელვის პროცესი სიბრტყეზე. მატყლის ბოჭკოს სრულ ნაფენი თავსდება ღრუბელზე და ზევიდან ნემსის მრავალჯერადი ჩარტყმით ხდება თელვა, ითელება მანამ სასურველი შედეგი არ მიიღება. მოცულობითი ნაკეთის მისაღებად უნდა გადაიხვეს მატყლის ბოჭკოს ნაფენი მრგვალად და ითელება მშრალად სათელავი ნემსის საშუალებით და ეძლევა სასურველ ფორმა. სათელავი ნემსის გამოყენებით შესაძლებელია მოითელოს სხვადასხვა აქსესუარები, სათამაშოები და სუვენირები. ნამზადის დასამუშავებლად ხშირად საჭიროა ბოჭკოს ზემოთ ამოყვანა, რაც სრულდება ამოსათელი ნემსის საშუალებით. ამოსათელ ნემსს ჩაკბილული ნაწილი ზემოთ აქვს მიმართული, რაც საშუალებას იძლევა ბოჭკო ზემოთ ამოვიდეს.

რაც შეეხება მატყლს, თელვაში ყველაზე სწრაფ და ხარისხიან შედეგს იძლევა მერინოსის მატყლი. თუმცა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სხვა, მოკლე ბეწვის მქონე და შესაბამისად დამუშავებული მატყლი, როგორც ბუნებრივი შეფერილობის მქონე, ისე შეღებილი.

არსებობს სპეციალურ მანქანა-დანადგრები მშრალი თელვისთვის, რომელიც უშვებს უქსოვად ქსოვილს, რომელსაც აქვს რამოდენიმე ათასი ნემსი. აღნიშნული მანქანით მშრალი თელვის დროს თანაბრად და სწორედ უნდა მოხდეს მატყლის მიწოდება ჩასათელ დაფაზე, რომ თანაბარი სისქის ნაფენი გამოვიდეს, რათა ერთდროულად მოხდეს ყველა ჩასათელი ნემსის მოძრაობა. აღნიშნული მანქანები საქართველოში თითქმის აღარ არის შემორჩენილი, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ალვანში არის საწარმო „თუშეთი მატყლი“, სადაც ხდება უქსოვადი ქსოვილის წარმოება.

ზემოთ წარმოდგენილი მატყლის და თექის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს აღნიშნული საქმიანობით დაინტერესებულ საზოგადოებას, რომლებშიც განსაკუთრებულად არის გამოკვეთილი ინტერესი ამ უძველესი საქმიანობის მიმართ.

ლიტერატურა

1. მასალები შინამრეწველობის ისტორიისათვის ივ. ჯავახიშვილი ტ.2.1976წ. თბილისი.
2. ქართული თექა. ნ. ცაგარელი 1982 წ. ხელოვნება.
3. თუშური ნაბადი. ნ. აზიკური. 1999 წ. თბილისი.
4. მატყლის ღებვის ტრადიცია თუშეთში. ნ. აზიკური. 1999 წ. თბილისი.
5. მატყლისა და თექის დამუშავების ტექნოლოგია. ნ. დამუკაშვილი. 2015 წ. თბილისი.
6. დეკორატიული ქეჩა და მისი საწარმოო დამზადება. ნ. ცაგარელი. 1971წ. თბილისი.

რეზიუმე

მატყლის დამუშავების ტექნოლოგია ძველ ტრადიციებს უკავშირდება და მთის ხალხის კულტურულ მემკვიდრეობასთან ასოცირდება. მატყლის თელვა - თექის (ნაზადი) დამუშავება ერთ-ერთი უძველესი საქმიანობაა მატყლის დამუშავებაში.

თექის წარმოების ძირითად ნედლეულს, ცხვრის მატყლის ბოჭკო წარმოადგენს. თუმცა მატყლის ბოჭკო შეიძლება იყოს სხვა ძუძუმწოვრებისაც რომელთა ბეწვის საფარს აქვს მოთელვის და ძაფად დაგრეხვის თვისებები.

დღეისათვის აქტიურად გამოიყენება მატყლის სიბრტყეზე თელვის ტრადიციული მეთოდი და მატყლის თელვის მშრალი მეთოდი. სტატიაში წარმოდგენილია ორივე მეთოდის პრაქტიკული საქმიანობის ფორმები, რაც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს აღნიშნული საქმიანობით დაინტერესებულ ადამიანებს.

Abstract

Nugzar Dzamukashvili - Doctorate student at Iakob Gogebashvili Telavi State University

Traditional and Modern Methods of Wool and Felt Processing

Technology of processing wool and felt are connected with the old traditions and are associated with the cultural legacy of mountainous people. Wool felting-(felt cloak) is one of the oldest activities in wool processing.

The main material of felt processing is sheep wool fiber. Though, wool fiber may belong to other mammals whose fur have the qualities of felting and thread twisting.

Nowadays felting wool on flatness and in dry conditions is actively used. The article deals with the practical work forms of both methods that will greatly help the people who are interested in this type of work.

წინა ორჯონიკიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

თვითაღზრდის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური სრულყოფის პირობები

აღზრდა რთული და ხანგრძლივი პროცესია. აღზრდა ფართო გაგებით წარმოადგენს ისტორიულად განპირობებულ მოვლენას, რომლის არსი მდგომარეობს ახალგაზრდა თაობისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი გამოცდილების გადაცემაში; ვიწრო გაგებით – ეს არის აღმზრდელთა და აღსაზრდელთა ორგანიზებული ურთიერთქმედება, რომელიც ხორციელდება სოციალურ ინსტიტუტებში და მიმართულია კონკრეტული მიზნისაკენ.

აღზრდა შემდეგი მომენტებით ხასიათდება: იგი ორიენტირებულია პიროვნების პოზიტიურ შეცვლაზე; მოიცავს მრავალ ფაქტორს, რომლებიც მაფორმირებელ გავლენას ახდენენ პიროვნებაზე; გულისხმობს აღმზრდელისა და აღსაზრდელის, პიროვნებისა და ჯგუფის, პიროვნებისა და სოციუმის სუბიექტ-სუბიექტურ ურთიერთქმედებას; მჭიდროდაა დაკავშირებული სწავლებასთან, რადგან ცხოვრებისეული გამოცდილების გადაცემა მოიცავს ახალგაზრდა თაობის მიერ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებას; ხორციელდება უწყვეტად და თან ახლავს პიროვნებას მთელი მისი ცხოვრების მანძილზე; ეყრდნობა პიროვნების პოზიტიურ აქტიურობას, მის უნარს და მისწრაფებას საკუთარი თავის სრულყოფისაკენ. აღზრდის შედეგი დროში განგრძობილია და ნაყოფს გარკვეული პერიოდის შემდეგ იძლევა.

აღზრდის პროცესი ეფექტური იქნება, თუ გამოიწვევს საკუთარი თავის სრულყოფის მოთხოვნულებას. განვიხილოთ თვითაღზრდის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური სრულყოფის პირობები.

თვითაღზრდა წარმოადგენს პიროვნების თვითსრულყოფის პროცესს, რომელიც ეფუძნება სწრაფვას თვითრეალიზაციისაკენ, რაც გულისხმობს საკუთარი განვითარების მიზანმიმართულ მართვას. თვითსრულყოფის ფსიქოლოგიურ პირობას წარმოადგენს საკუთარი თავით უკმაყოფილება. როგორც წესი, ადამიანი მძიმედ განიცდის ამ დისკომფორტულ მდგომარეობას და ცდილობს ადადგინოს დაკარგული წონასწორობა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საკუთარი თავით უკმაყოფილება წარმოადგენს „რეალური მეს“ დაცელებას „იდეალურ მესთან“.

„მეს ხატი (სახე)“ - ეს არის ინდივიდის წარმოდგენა საკუთარ თავზე. იდეალური „მეს ხატის“ ფორმირებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალური კონტაქტები: მშობლების განწყობა, წიგნები, ფილმები, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენები და სხვ. იდეალური სახე ყალიბდება როგორც ცნობიერების, ისე ქვეცნობიერის დონეზე. „რეალური მეს“ „იდეალურ მესთან“ შედარებას ადამიანს აიძულებს: ცხოვრებისეული მოვლენები (ახალი სამსახური, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემები და სხვ.), შეფასებითი სიტუაციები (გამოცდა, ატესტაცია, კონკურსში მონაწილეობა და სხვ.), დროის ფაქტორი (ცხოვრებისეული გეგმებისა და დროის რესურსების შესაბამისობა).

„რეალური მეს“ და „იდეალური მეს“ შედარების შედეგად შესაძლებელია ორი ურთიერთსაპირისპირო გამოსავალი: კმაყოფილება და უკმაყოფილება.

დაუკმაყოფილებლობის სიტუაციაში მოვლენათა განვითარება შეიძლება სხვადასხვა გზით წარიმართოს:

- ნაკლოვანების აღმოფხვრა ძალისხმევით და ძაბვის გზით;
- არასასიამოვნო თვისების გაცნობიერებისაგან თავის არიდება;
- პესიმიზმი, გაბოროტება, ადამიანი ყველაფერს საკუთარი უბედურების ჭრილობაში უყურებს;
- გარშემო მყოფთა შეხედულებებთან შეგუება;
- ერთ სფეროში არსებული ნაკლოვანების კომპენსირება სხვა სფეროში მიღწეული წარმატებებით.

უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ადამიანი გრძნობს დაუკმაყოფილებლობას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად წარმართავს საკუთარ ძალისხმევას იმისკენ, რომ მოახდინოს „რეალური მეს“ მოყვანას იდეალურ ხატთან შესაბამისობაში. ზოგჯერ სასარგებლოა დაცვის აგება ან იდეალური სახის კორექტირება. მაგალითად, თუ ქალიშვილი არ გამოიყურება, როგორც ტოპ-მოდელი, სრულიად მისაღები შეიძლება იყოს სასიამოვნო გარეგნობის მსუქანას სახეც.

თუ ადამიანი კმაყოფილებას განიცდის „რეალური მეს“ „იდეალურ მესთან“ შედარების შედეგად, იგი არ უნდა დაჯერდეს ამას და არ უნდა იყოს მშვიდად. საკუთარ თავზე მუშაობის შეწყვეტა პიროვნების

პედაგოგია/Pedagogics

დეგრადაციას იწვევს. ადამიანმა ყოველთვის უნდა დაისახოს ზემოცანები. უნდა გვახსოვდეს, რომ თვითაღზრდა ყოველთვის არის დაკავშირებული საკუთარი თავის შეზღუდვასთან. საკუთარი თავის შეზღუდვას არსებითად აადვილებს მაღალი მიზნის არსებობა, – ისეთი მიზნისა, რომელიც მნიშვნელოვანია პიროვნებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, იგი მოიცავს პიროვნების ცნობიერებას და საქმიანობას.

ჩამოვთვალოთ თვითაღზრდის ძირითადი ეტაპები.

1. საკუთარ თავზე დაკვირვება. ეს არის „რეალური მეს“ აღქმა. ამ ეტაპზე ადამიანი პასუხობს კითხვაზე „როგორი ვარ მე?“. მოცემული ეტაპის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად ადამიანი რთულად ახერხებს საკუთარი „რეალური მეს“ დანახვას. დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარ თავზე დაკვირვებას, ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტებისა და სხვადასხვა გარემოებებში საკუთარი ქცევის დაფიქსირებას.
2. თვითანალიზი. „რეალური მეს“ შედარება „იდეალურ მესთან“. თვითანალიზის შედეგად მყარდება განხეთქილება „იდეალურ მესა“ და „რეალურ მეს“ შორის. ამ ეტაპის პრობლემა მდგომარეობს ცხოვრებისეული პრიორიტეტების გამოყოფაში. ყველამ უნდა განსაზღვროს, თუ რა არის მისთვის მართლაც მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ზნეობის კუთხით.
3. თვითშეფასება. ეს არის ადამიანის დამოკიდებულება შედარების შედეგისადმი: კმაყოფილება ან უკმაყოფილება. ამ ეტაპის პრობლემა მდგომარეობს ამ თვითშეფასების ადეკვატურობაში. პიროვნებას შეუძლია ჩართოს ფსიქოლოგიური თავდაცვის მექანიზმები, მაგალითად: „მე სხვაზე ნაკლები არ ვარ“, „გარემოებათა მსხვერპლი ვარ“, „მე ეს არც მჭირდება“ და ა.შ. შეიძლება წარმოიშვას ფრუსტრაციის მდგომარეობა, მაგალითად: „ვერასდროს გავხდები უფრო ჰკვიანი (ლამაზი, წარმატებული და ა.შ.). ეს ყველაფერი იწვევს მუშაობაზე უარის თქმას საკუთარ თავზე.
4. მიზნის დასახვა და პროგრამის შემუშავება. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია თვითსრულყოფისათვის კონკრეტული ნაბიჯების შემუშავება. ამ ეტაპის პრობლემა მდგომარეობს ცხოვრების მიზნების დაწყობის, დაგეგმვის უნარის არქონაში. მიზნები შეიძლება იყოს არარეალური, არაკონკრეტული, მეორეხარისხოვანი (ცხოვრებისეული პრიორიტეტების თვალსაზრისით), მრავლობითი, უაზრო და სხვ.
5. თვითაღზრდის პროგრამის განხორციელება. ამ ეტაპზე სასარგებლოა დღიურის წარმოება, სადაც დაფიქსირდება წარმატებები და წარუმატებლობები. შეიძლება დასახული მიზნის რეალიზაციის გრაფიკის შედგენაც. ადამიანი უნდა დაეუფლოს პედაგოგიური მეთოდების მთელს არსენალს: თვითანგარიში, თვითშთაგონება, თვითკონტროლი, თვითდარწმუნება, თვითწახალისება, თვითკრიტიკა და სხვ. მოცემული ეტაპის პრობლემა მდგომარეობს შედგენილი პროგრამის ხარისხსა და პიროვნების მზადყოფნაში, იყოს თანმიმდევრული მის განხორციელებაში.

თვითაღზრდის უნარი ასაკზეა დამოკიდებული. იგი ადამიანს თვითშეგნების განვითარებასთან ერთად უყალიბდება. ადამიანს შეუძლია განახორციელოს თვითსრულყოფა, როდესაც დაუსვამს საკუთარ თავს კითხვებს: „როგორი ვარ მე?“, „რატომ ვარ ასეთი?“.

ჩვილი ბავშვი ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს საკუთარ თავს. იგი გარკვეულ მომენტამდე ვერ ახერხებს საკუთარი შეგრძნებების გამიჯვნას გარესამყაროსაგან. მაგრამ იმისათვის, რომ მომავალში მას ჩამოყალიბებული ჰქონდეს თვითაღზრდის უნარი, მნიშვნელოვანია, რომ მას ჩამოუყალიბდეს სამყაროსადმი საბაზო ნდობის გრძნობა.

ადრეულ ბავშვობასა და სკოლამდელ ასაკში ბავშვს უჩნდება მიზანმიმართული ქცევის უნარი. თანდათან მას უყალიბდება ქცევის შეფასების უნარი. მაგრამ ეს შეფასებები მერყევა, ისინი ბევრადაა დამოკიდებული გარემო მყოფთა შეფასებებზე. თვითაღზრდის ჩანასახი შეგვიძლია აღმოვაჩინოთ გარე მოთხოვნებისადმი ბავშვის უშუალო შეგუების პროცესში, რომელსაც ახასიათებს ბავშვის მცდელობა, შეცვალოს ქცევის გარე ფორმები. ამ პერიოდში გაცილებით მნიშვნელოვანია არა კრიტიკა ბავშვის მისამართით, არამედ მისი მხარდაჭერა იმ სურვილში, რომ იყოს კარგი.

ადრეულ სასკოლო ასაკში ბავშვს აქვს ცალკეული საქციელის თვითგამოსწორება, ქცევის გარკვეული ფორმის გამომუშავება (დროულად დაჯდეს გაკვეთილების სამეცადინოდ). მაგრამ უმცროსკლასელებს არ შეუძლიათ პირადი თვისებების თვითსრულყოფა, მათ ჯერ სუსტადაა აქვთ განვითარებული ქცევის რეფლექსია.

პედაგოგია/Pedagogics

მოზარდს შეუძლია იმუშაოს საკუთარ თავზე, მაგრამ ეს მუშაობა სიტუაციურად, იმპულსურად მიმდინარეობს. მოზარდისათვის მნიშვნელობას იძენს მომავალი, მაგრამ წარმოდგენები მომავლის შესახებ ჯერ არ არის მკაფიო, ისინი ოცნებაში ირევა. პიროვნული თვისებების თვითრულყოფა მოზარდისათვის წარმოადგენს ცხოვრებისეული ოცნების განხორციელების პირობას, მაგრამ თვითრულყოფის ხერხების არჩევა ყოველთვის ადეკვატური არ არის. მოზარდი აქტიურად ცდის საკუთარი სხეულის შესაძლებლობებს (არ დაიძინოს ზედიზედ რამდენიმე ღამე, მოითმინოს აუტანელი ტკივილი და ა.შ.).

სიყმაწვილის ასაკში მიმდინარეობს ცხოვრების მიზნისა და აზრის აქტიური ძიება, პიროვნება იძენს თვითაღზრდის გაშლილი პროგრამის შექმნის უნარს. უფროსების დახმარება მდგომარეობს არა პირდაპირ მითითებებში, არამედ იმაში, რომ მივიყვანოთ ყმაწვილი ცხოვრების მიზნისა და აზრის დამოუკიდებელ ძიებამდე. თვითრულყოფის გზები და ხერხები ყმაწვილმა თვითონ უნდა იპოვოს. ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ თვითაღზრდის პროცესი უშუალო გავლენას ახდენს პიროვნების განვითარებასა და ფორმირებაზე.

ლიტერატურა:

1. ზაგვიანიძე ვ. ი., სწავლების თეორია მე-3 გამოცემა, მოსკ., 2006 წ.
2. ზაგვიანიძე ვ. ი. ემელიანოვა ი. ნ., პედაგოგია, მე-2 გამოცემა, მოსკ. 2012 წ.
3. ბალანჩივაძე რ. ასათიანი ვ., პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, თბ., 1997 წ.

რეზიუმე

როგორც ცნობილია, თვითაღზრდა გულისხმობს საკუთარი განვითარების მიზანმიმართულ მართვას. იგი თვითრულყოფის პროცესია, რომელიც ეფუძნება სწრაფვას თვითრეალიზაციისაკენ.

თვითაღზრდის ძირითადი ეტაპებია: საკუთარ თავზე დაკვირვება, თვითანალიზი, თვითმეფასება, მიზნის დასახვა და პროგრამის შემუშავება, თვითაღზრდის პროგრამის განხორციელება.

თვითაღზრდის უნარი ასაკზეა დამოკიდებული. იგი ადამიანს შეგნებასთან ერთად უყალიბდება. ამ პერიოდში მისთვის მთავარია არა კრიტიკა, არამედ მხარდაჭერა. უფროსების დახმარება მდგომარეობს არა პირდაპირ მითითებებში, არამედ იმაში, რომ მივიყვანოთ მოზარდი ცხოვრების მიზნისა და აზრის დამოუკიდებელ ძიებამდე. გზები და ხერხები კი მან თავად უნდა იპოვოს.

ამიტომაც არის თვითაღზრდა პიროვნების თვითრულყოფის პროცესი.

Nino Orjonikidze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Conditions of Pedagogical and Psychological Development of Self-Education

Summary

As is known, self-education implies the results-based management of one's own development. It is a self-improvement process, which is based on a desire for self-realization.

The stages of self-education are as follows: self-observation, self-examination, self-assessment, goal setting and program development, and implementation of self-education program.

Capacity for self-education depends on the age. Individual's sense of self-education is formed together with consciousness. During this period, the basic requirement for individual is not a criticism, but support. Assistance from the elders consists not in direct instructions, but it is to enable young people to search independently for the aim and the meaning of life. But the ways and means should be found by them themselves.

That is why self-education is a personality self-improvement process.

ქეთევან ბოჭენიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

გამოცდილება და სოციალური ინტერაქცია ჯონ დიუის მიხედვით

ამერიკული განათლების ფილოსოფოსის ჯონ დიუის (XIX ს. ბოლო XXს. პირველი ნახევარი) სახელს უკავშირდება პროგრესული განათლების მოძრაობა, რომლის მთავარ პრინციპებს წარმოადგენდა გამოცდილებით სწავლა და სოციალური ინტერაქცია. ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, სადაც მთავარი პრინციპია სწავლა კვლევით, საკუთარი გამოცდილებით. ცოდნა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენების უნარი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. ეს არის ორიენტაცია ცოდნის პრაქტიკულობაზე.

მან 1896 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტთან ჩამოაყალიბა დაწესებითი სკოლა (მოგვიანებით სრული), რომელიც სამეცნიერო ლაბორატორიას უფრო გავდა. იგი, სწავლების ტრადიციული მეთოდების ნაცვლად, იყენებდა ფართო მასშტაბიან ჯგუფურ პროექტებს: ექსკურსიები, ბუნებაში მოგზაურობა, კულინარია, კერვა, ქსოვა, დურგლობა, მეტალების გადადნობა. ასე სწავლობდნენ ქიმიას, ფიზიკას და სხვა.

მასწავლებელი იყო გიდი, მოსწავლეებს უზრუნველყოფდა მასალით და აძლევდა ზოგად მითითებებს. სასწავლო გეგმები იყო ინდივიდუალური, ეკითხებოდა მოსწავლეებს რისი სწავლა სურდათ და გულისხმობდა ბავშვის მთლიან პიროვნულ განვითარებას: ინტელექტუალურს, მორალურს, სოციალურს, პროფესიულს. ასეთი მიდგომით დიუი გამოდიოდა ბიჰევიორიზმის წინააღმდეგ ფსიქოლოგიასა და სწავლაში ამის მიხედვით ორგანიზმი ინტერაქციაშია, ურთიერთობაშია გარემოსთან, დიუის მიხედვითაც, ცნობიერება ყალიბდება და ცოდნა იქმნება სამყაროში სოციალური ურთიერთობის გზით და მეტყველების საშუალებით.

ჯონ დიუის აზრით, ყველა გამოცდილება არ უნდა განვიხილოთ, როგორც სასარგებლო. გამოცდილებაში ორი ასპექტია წარმოდგენილი: ერთი - განცდა (სასიამოვნოა თუ უსიამოვნო ესა თუ ის გამოცდილება) და მეორე ასპექტი - ახალი გამოცდილების გავლენა მომავალზე, თუ რისთვის დამჭირდება მე ეს ყველაფერი. ეს უკანასკნელი უმნიშვნელოვანესია სწავლის პროცესში და მნიშვნელოვანია პედაგოგის როლი. დიუიმ ჩიკაგოს უნივერსიტეტში 23 სასწავლო პროგრამა შეადგინა, რომელიც ინდივიდუალურ მიდგომას, ბავშვის საჭიროებებს ითვალისწინებდა. იგი ტესტებსაც არ წყალობდა, უფრო პროექტების მომხრე იყო. სწავლების მთავარი მეთოდი მის სკოლებში იყო უშუალო გამოცდილება. დიუის აზრით, სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართულები თანამშრომლობის გზით ერთობლივი მიზნების, და როგორც საკუთარი, ასევე სხვების ინტერესების განხორციელებაში. დიუის სწამდა, რომ პედაგოგიური აქტივობა, რომელიც ამგვარად არის ორგანიზებული, შეგნებული, პასუხისმგებელი, დემოკრატი მოქალაქეების საუკეთესო მომზადების საწინდარს წარმოადგენს.

მას ბევრი კრიტიკოსი და მომხრე ჰყავდა და ჰყავს. სასურველია, სკოლებს შეენარჩუნებინა მისი მიდგომის მთავარი მომენტი - ექსპერიმენტულობა. ამ ტიპის სკოლები ძალიან ძვირია. სწავლებაც ფასიანი იყო და ყველა ფენისთვის არ იყო მისაწვდომი. მისი იდეებით ყველა აღფრთოვანებული იყო, მაგრამ ნაკლებად ინერგებოდა პრაქტიკაში.

დიუის იდეები განათლების სფეროში დღესაც აქტუალურია, კერძოდ:

- სწავლა გამოცდილებით;
- ინტეგრირებული სასწავლო გეგმა - ფოკუსირებული კონკრეტულ თემებზე;
- ჯგუფური მუშაობა და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვა;
- სწავლა გაგებისათვის და არა ზეპირობა;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- ინდივიდუალიზაცია;
- დემოკრატიზაცია;
- რესურსებისთვის და არა სახელმძღვანელოებისთვის უპირატესობის მინიჭება;
- მოქნილი, დინამიური სასწავლო გეგმები/კურიკულუმი;

პედაგოგია/Pedagogics

- მასწავლებელი - მრჩეველი და ფასილიტატორი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს აღმოჩენით/გამოკვლევით სწავლაში;

ნებისმიერი სახის განათლება სათავეს ადამიანთა მოდგმის საზოგადოებრივ ცნობიერებაში ინდივიდის ჩართულობიდან იღებს. ეს პროცესი, გაუცნობიერებლად, თითქმის ჩასახვის მომენტიდან იწყება და თანდათანობით გამოკვეთს ინდივიდის ძალებს, ავსებს მის ცნობიერებას, აყალიბებს ჩვევებს, ავარჯიშებს იდეებს და აღძრავს მასში გრძნობებსა და ემოციებს. ამ არაცნობიერი განათლების მეშვეობით ადამიანი,

თანდათანობით, კაცობრიობის მიერ თანაცხოვრების განმავლობაში დაგროვებული ინტელექტუალური და მორალური რესურსის თანამოზიარე ხდება.

ჭეშმარიტი განათლება ბავშვის ძალების იმ სოციალურ ვითარებათა მოთხოვნების

მიერ სტიმულირებისგან მოდის, რომლებშიც იგი არსებობს. ეს მოთხოვნები წარმართავენ ბავშვს მოქმედებდეს, როგორც საზოგადოების წევრი.

საგანმანათლებლო პროცესს ორი მხარე აქვს - ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური; და არცერთი არ შეიძლება დაექვემდებაროს მეორეს ან უგულვებყოფილ იქნას თანამდევ. თანამედროვე ცივილიზაციის მდგომარეობის, სოციალური გარემოებების ცოდნა აუცილებელია ბავშვის შესაძლებლობათა სათანადოდ გაგებისთვის თვალსაჩინო გავხადოთ მისი შედეგი და მიზანი. ფსიქოლოგიური და სოციალური მხარეები ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია და განათლება არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მათ შორის კომპრომისი ანდა ერთის მეორეზე უპირატესობა. აუცილებელია მისი მიზანი, გამოყენება თუ ფუნქცია ვიცოდეთ; გარემოებებისთვის მოამზადო. მოამზადო მომავალი ცხოვრებისთვის, მოამზადო იგი ისე, რომ სრულად და აქტიურად ფლობდეს საკუთარ უნარებს; ადამიანი, რომელმაც განათლება უნდა მიიღოს, არის სოციალური ინდივიდი და საზოგადოება ინდივიდთა ორგანულ ერთობას წარმოადგენს.

რეზიუმე

ნებისმიერი სახის განათლება სათავეს ადამიანთა მოდგმის საზოგადოებრივ ცნობიერებაში ინდივიდის ჩართულობიდან იღებს. ეს პროცესი, გაუცნობიერებლად, თითქმის ჩასახვის მომენტიდან იწყება და თანდათანობით გამოკვეთს ინდივიდის ძალებს, ავსებს მის ცნობიერებას, აყალიბებს ჩვევებს, ავარჯიშებს იდეებს და აღძრავს მასში გრძნობებსა და ემოციებს. ამ არაცნობიერი განათლების მეშვეობით ადამიანი, თანდათანობით, კაცობრიობის მიერ თანაცხოვრების განმავლობაში დაგროვებული ინტელექტუალური და მორალური რესურსის თანამოზიარე ხდება.

Ketevan Dzotsenidze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Resume

Any kind of public education comes from the individual's involvement in the human race consciousness. This process, unconsciously, almost begins from the moment of conception and progressively highlights the strength of the individual, fills his/her awareness, forming habits, trained ideas and evokes feelings and emotions. Because of the unconscious education, human gradually, shares the intellectual and moral resources, accumulated over the coexistence of mankind.

ქეთევან ბოჭენიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

გაუცხოების პრობლემა თანამედროვე საზოგადოებაში და სოციალურ გარემოში

ბავშვი ოჯახში ვითარდება, იზრდება და საზოგადოების წევრად ყალიბდება. აქ იძენს ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორცაა ზნეობა, ეთიკა და კარგი ქცევა.

მშობელისა და შვილის ურთიერთობა მარადიული საკითხია, რომელზეც უამრავი რამ დაწერილა და თქმულა წარსულში, ეს თემა მუდამ აქტუალური იქნება მომავალშიც. ბავშვის აღზრდა ხელოვნებაა, რაც ნიშნავს ბავშვს ასწავლო სწორად აღიქვას და შეაფასოს ესა თუ ის მოვლენა, რომელიც განსაზღვრავს მისი ცხოვრების გზას.

ყველზე მნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრებაში არის სამი რამ: რწმენა, იმედი და სიყვარული, რომელსაც მშობლები უნერგავენ ბავშვს აღზრდის პროცესში.

ოჯახში, შვილის აღზრდაზე ორივე მშობელი, დედაც და მამაც ერთნაირად არიან პასუხისმგებელი. დღეს სადაო არ არის, რომ შვილზე ზრუნვა თითოეულმა მშობელმა მუცლადყოფნისთანავე უნდა დაიწყოს. ჩვენდა სამწუხაროდ დღევანდელი დედების უმეტესობა ბავშვზე ზრუნვას მაშინდა იწყებენ, როცა ბავშვი ენას ამოიდგამს და სიარულს დაიწყებს. არის მშობელთა კატეგორიაც ვისთვისაც შვილზე ზრუნვა პრესტიჟულ საბავშვო ბაღში და სკოლაში შეყვანით, მდიდრულად ჩაცმა-დახურვით, მათი ახირებული სურვილების დაკმაყოფილებაში გამოიხატება.

ყველა მშობელსა და შვილს შორის არსებული ურთიერთობა განსხვავებული და ინდივიდუალურია. ხშირია კონფლიქტები, რომელსაც ზოგჯერ სავალალო შედეგამდე მივყავართ. მაგ. სუიციდის შემთხვევები და მოზარდის სახლიდან გაქცევა.

ქართულ ლიტერატურაში უამრავი ნაწარმოებია, სადაც ყველაზე მეტყველი მაგალი-თებია შვილებისა და მშობლების ურთიერთობაზე.

გავიხსენოთ ასევე XX საუკუნის გერმანულენოვანი მწერლის ფრანც კაფკას ცხოვრება და შემოქმედება, პირადი დამოკიდებულება მამასთან. მის ერთ-ერთ მოთხრობაში "წერილი მამას" კარგად ჩანს მამა შვილს შორის თუ როგორი გაუცხოებულია ურთიერთობები. წერილში ის მამას მიმართავს: ამას წინათ მკითხე, თუ რატომ ვამბობ, რომ შენი მეშინია, როგორც ყოველთვის არ ვიცოდი, რა მეპასუხა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ შენი ისევ მეშინია და ამ შიშს საფუძვლედ იმდენი წვრილმანი უდევს, მეგონა მათ გააზრებას ვერასოდეს შეეძლებოდა".

დღეს საქართველოში განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას მშობლებისა და შვილების ურთიერთობა. სოციალურ-ეკონომიკური თუ ოჯახური მდგომარეობის გამო (დანგრეული ოჯახები) შვილები მშობლებისგან დამოუკიდებლად იზრდებიან.

უთანხმოების მიზეზი შესაძლოა გახეს ისიც, რომ მშობლები ცდილობენ სრულიად აკონტროლონ შვილების ყოველი ნაბიჯი და მოქმედება, სურთ მათი ცხოვრების გზა თავად გაიარონ, ვერც კი აცნობიერებენ, რომ ამით ბავშვი შეიძლება სულ სხვა პიროვნებად აქციონ, სულ სხვა მიზნები და ფასეულობები ჩამოუყალიბონ.

თავის მხრივ შვილებს არ მოსწონთ (ჩუმად) საკუთარი მშობლები პირედ ცხოვრებაში ჩარევის, კონტროლისა და მანიპულირების გამო. ბავშვი რაც უფრო შებოჭილია, მით უფრო უჩნდება სურვილი თავისუფლებისა, მისთვის რაც აკრძალულია, ის უფრო საინტერესოა. "აკრძალული ხილი უფრო გემრიელიაო", ამბობენ და მართალიცაა. მშობლების ზედმეტმა კონტროლმა შეიძლება ბავშვს უბიძგოს ცუდი საქციელისკენ და გააკეთები-ნოს ის რისი გაკეთების სურვილი არც კი გაუჩნდებოდა.

რა თქმა უნდა არსებობენ ბედნიერი ოჯახები, სადაც მშობლებს და შვილებს შორის სრული ჰარმონია და ურთიერთგაგება სუფევს თუმცა სამწუხაროდ, უამრავია დესტრუქციული ოჯახებიც, რომელშიც ფერხდება და არ ხერხდება ადამიანის, როგორც პიროვნების ნორმალური განვითარება.

ძალიან ბევრი ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იტანჯება მშობლებთან კონფლიქტის გამოგამო. ამ დროს ყველა ინდივიდუალურად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას: ზოგიერთი თავს არიდებს და გაურბის მშობლებთან ყოველგვარ ურთიერთობას, ზოგი კამათობს, ჩხუბობს, სკანდალებს აწყობს და რეგულარულად არკვევს მათთან ურთიერთობას.

პედაგოგია/Pedagogics

არიან ისეთებიც, რომლებიც თამაშობენ წყნარი და მორჩილი შვილის როლს და ახდენენ მშვიდი ოჯახური ურთიერთობის იმიტაციას, სინამდვილეში ვერ იტანენ მშობელს საკუთარი წარუმატებლობის გამო.

ბევრ მოზარდს თბილი და გულახდილი ურთიერთობა აქვს მშობლებთან, მაგრამ შესაძლოა ისინი ვერ აცნობიერებდნენ მშობლების გავლენას და ფარულ მანიპულაციებს საკუთარ, თითქოსდა თავისუფალ არჩევანსა და გადაწყვეტილებებზე.

ბავშვის აღზრდის საკითხში დედის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დედობა დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული, მშობელს ხშირად უწევს პრობლემების გა-დაჭრა. აქ კი მთავარია როგორ გადავჭრით მათ.

გაუცხოება ხშირად ხდება იმის გამო, რომ დედების უმრავლესობას შვილებთან ურთი-ერთობა არ აქვთ, ხშირად შვილებიც მათთან ყოფნას კომპიუტერს ამჯობინებენ. ყოველი ადამიანი პირველ აზრებს, მიდრეკილებებს, პირველ ლოცვას დედისგან სწავლობს, პირველ ღირსებებს დედა განაპირობებს. როგორც მცენარეს სჭირდება სითბო და მზის სხივები, ასევე ბავშვსაც სჭირდება მშობლის სიყვარული. აღზრდის პოცესი სათუთი, გააზრებული და თანმიმდევრული უნდა იყოს, ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ის შეიძლება შევადაროთ გლეხისა და ვაზის ურთიერთობას, რამდენი ენერჯია, შრომა ცოდნა და სიყვარულია საჭირო, რომ მევენახემ ვაზის მოსავალი მიიღოს და მოწეულით გაიხაროს. დაუშვებელია ძალადობრივად ჩანერგო ბავშვში ის რაც მის-თვის შეუთავსებელია. სწორედ ამ და სხვა ფაქტორების გაუთვალისწინებლობა განაპირობებს დღეს მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ გაუცხოებას. აღზრდის შესახებ ბერი პაისი ამბობდა: "პირველად სულიერად ბავშვები ცივდებიან მაშინ, თუ მშობლებს ღია რჩებათ გრძნობათა კარები, ყველაზე მეტად მათ აციებთ დედა, თუ იგი თავმდაბლობის სამოსით არ არის შემოსილი, იგი თავისი საქციელით აცარიელებს ბავშვებს."

დღეს ბავშვის ემოციურ სფეროს და დროის მნიშვნელოვან ნაწილს ტელევიზორი, კომპიუტერული თამაშები და სხვა სახის ვნებითი გართობები განაგებს, რომელიც გარ-კვეულწილად ძალადობრივი ხასიათისაა და იმდენად მიმზიდველია, რომ მთლიანად გადაფარავს ბავშვის მოთხოვნილებებს.

ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია მშობელი იყოს განსწავ-ლული და შეიარღვეული ქრისტიანული სწავლებით. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ბავშვის აღზრდა და გაზრდა. ხშირ შემთხვევაში, მშობელი ძირითადად "გაზრდის" მეთოდით ხელმძღვანელობს და მხოლოდ კვებითა და ჩაცმა-დახურვით შემოიფარ-გლება. თანამედროვე დედა განსხვავდება ძირძველი ქართველი დედისაგან, რომელიც სამშობლოს მეომრებსა და გმირებს უზრდიდა. დღეს დედების უმრავლესობა მსახურობს და სახლიდან არის გასული, შვილები ძირითადად "ძიძების", ბებიების ანაბარად ან ყურადღების გარეშე არიან დარჩენილები. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ბავშვის აღზრდაში მონაწილეობა არა მარტო მშობელმა, არამედ სკოლამ და ეკლესიამაც ერთობლივად უნდა მიიღოს.

საქართველოში ახალი ფენა გამოიკვეთა --უცხოეთში ლუკმა-პურის საძებნელად წა-სული მშობლების შვილები. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ისინი განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან. მათ დედასთან ან მამასთან ფიზიკური შეხების შესაძლებლობა არ აქვთ. ამ ბავშვებს საოცარი დარდი და ბოღმა აწუხებთ, რადგან მათთვის მშობლის ხატი მთავარ მისიას-დაცვით ფუნქციას კარგავს. მეორე მხრივ, მოზრდილ ბავშვს ესმის, რომ ეს აუცილებელია და დედა თუ მამა მას შორიდან არჩენს, მაგრამ ამის ცოდნე პრობლემას ვერ აგვარებს. არის შემთხვევები, რომ ეს ბავშვები ხდებიან ნევროზულები, აგრესიულები, უქვეითდებათ კომუნიკაბელურობა. სწორედ ასეთი ბავშვებისგან არაერთ-თხელ გავვიგონია - არასოდეს ვიქნები მამაჩემისნაირი მამა, ან დედაჩემისნაირი დედა.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვიყოთ კარგი მშობელი და გაუცხოების პრობლემა აღარ არსებობდებ მშობელსა და შვილს შორის:

1. უნდა გვჯეროდეს, რომ ჩვენს შვილებს ჩვენთან კომუნიკაცია სურს. არის შემ-თხვევები, როდესაც მშობელი ამბობს: არ უნდა, არ მელაპარაკება, თავისთვის თამაშობს, რა გავაკეთო? ბავშვს ყოვლთვის უნდა მშობელთან კომუნიკაცია, გააჩნია რას გააკეთებს მშობელი იმისათვის, რომ ბავშვი კონტაქტში შემოვიდეს.

2. აუცილებლად უნდა მოვუსმინოთ საკუთარ შვილებს. არ უნდა გვქონდეს იმის განცდა, რომ ის პატრია, ვერ გვეტყვის, ვერ გავგაგებინებს, მას რა ესმის, რაც ძალიან ხშირი და პოპულარული ფრაზაა დღევანდელ საზოგადოებაში.

პედაგოგია/Pedagogics

3. აუცილებლად უნდა განვიხილოთ შვილებთან ის საკითხები რაც გვსურს, რომ მათ გააკეთონ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, პირდაპირ უნდა ვუთხრათ რას ველით მისგან, უნდა ვიყოთ ძალიან ნათელი, გამოკვეთილი, გასაგები იმასთან დაკავშირებით თუ რა გვინდა მათგან. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია განსაკუთრებით პატარა ასაკში მათ ვესაუბროთ გარკვეული, გასაგები ფრაზებით, წინადადებები არ იყოს რთული და შეესა-ბამებოდეს მათ განვითარებას.

4. აუცილებლად უნდა ვიყოთ თანმიმდევრულნი. რადგან მნიშვნელოვანია ბავშვმა იცოდეს რას ელოდება ჩვენგან. შესაბამისად მისი შფოთვის დონე არის დაბალი.

5. გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკი და მოთხოვნილებები იმისათვის, რომ რეალისტური მოთხოვნები წავუყენოთ. ვთხოვოთ თავაზიანად, შეგიძლია სათამაშოები დაალაგო? და არა ახლავე დაალაგე! ეს ორი ფრაზა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან დირექტიულობის თვალსაზრისით. ვაჩვენოთ მაგალითი თუ როგორ უნდა მოიქცეს სათამაშოების დალაგებისას.

რეზიუმე

ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია მშობელი იყოს განსწავ-ლული და შეიარღვეული ქრისტიანული სწავლებით. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთი-საგან ბავშვის აღზრდა და გაზრდა. ხშირ შემთხვევაში, მშობელი ძირითადად "გაზრდის" მეთოდით ხელმძღვანელობს და მხოლოდ კვებითა და ჩაცმა-დახურვით შემოიფარ-გლება. თანამედროვე დედა განსხვავდება ძირძველი ქართველი დედისაგან, რომელიც სამშობლოს მეომრებსა და გამირებს უზრდიდა. დღეს დედების უმრავლესობა მსახურობს და სახლიდან არის გასული, შვილები ძირითადად "ძიძების", ბებიების ანაბარად ან ყურადღების გარეშე არიან დარჩენილები. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ბავშვის აღზრდაში მონაწილეობა არა მარტო მშობელმა, არამედ სკოლამ და ეკლესიამაც ერთობლივად უნდა მიიღოს.

Ketevan Dzotsenidze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Summary

In the development of child's personality, it should be required that the parents must have basic knowledge of the Christianity. We have to distinguish from each other the child's upbringing and augment. In many cases, the parent "augment" method leads only food and style of clothing. Modern mother is different from indigenous mother, who reared heroes and warriors to the homeland. Today, the majority of mothers are serving, and are out of houses and mostly, children are left under or without attention of "baby-sitter's" and grandmothers. Because of reality, today, not only parents but schools and the Church should get together in the case of children's upbringing.

ნატო ქობულაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

პროფესიული მოდულური პროგრამების მხარდაჭერა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“ 2013 წლიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს საქართველოში „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიით“ გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის განხორციელებას. რეფორმის მიზანია ეკონომიკური განვითარებისა და პიროვნული კარიერული ზრდის ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებითა და მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის გზით.

2015 წელს განხორციელდა 52 მოდულური პროგრამისა და მათში შემავალი 748 სავალდებულო პროფესიული მოდულის დანერგვის ღონისძიებები. 2015 წლის საშემოდგომო მიღებაზე 32-მა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებამ (მათ შორის 10 უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ) შემოიტანა განაცხადი 52 დასახელების 122 პროგრამაზე. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირდა და ტესტირება გაიარა 2873 აპლიკანტმა, საშემოდგომო მიღებისას სახელმწიფო დაწესებულებებში ჩაირიცხა 1154 სტუდენტი, ხოლო კერძოში - 109 სტუდენტი.

2015 წლის განმავლობაში პროფესიებზე არსებული მოთხოვნის იდენტიფიცირების მიზნით იმართებოდა შეხვედრები და ჯამში შემუშავდა 99 პროფესიული სტანდარტის პროექტი ყველაზე მოთხოვნად პროფესიაზე. პროგრამა თანამშრომლობდა განათლებისა და დარგის 120 ექსპერტთან საქართველოს წამყვანი კომპანიებიდან და პროფესიული ასოციაციებიდან. შეიქმნა დარგობრივი საბჭოები თერთმეტი მიმართულებით (97 წევრი).

ყველა დამტკიცებული სტანდარტი, პროგრამის ჩარჩო და მოდული განთავსდა ერთიან ელექტრონულ რეესტრში, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.vet.ge.

2017 წლისათვის მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე „ბაგა ბალის აღმზრდელი პედაგოგი“ განაცხადი შემოიტანა 17-მა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რაც იმას ადასტურებს, რომ დიდი მოთხოვნაა აღნიშნულ სპეციალობაზე. ზოგადად რა პრიორიტეტი ენიჭება მოდულურ სწავლებას. რიგი საკითხების კარგად გასაანალიზებლად ეროვნული ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ მომზადდა ჩარჩო დოკუმენტი და სარეკომენდაციო წერილები. მნიშვნელოვანია მოდულის კომპონენტის შემოტანა. მოდული წარმოადგენს პროგრამის კომპონენტს, რომელშიც მოცემულია ყველა ის ინფორმაცია, რაც საგნობრივი პროგრამების ფარგლებში სილაბუსით იყო განსაზღვრული. მოდულის განხორციელების სწორად დაგეგმვის მიზნით რეკომენდირებულია შედგეს კალენდარული გეგმა კონკრეტული ჯგუფისათვის/სასწავლო წლისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის გარე და შიდა მექანიზმების განხორციელებისას კალენდარული გეგმების არსებობა კარგი მტკიცებულებაა სწორად მოდულის განხორციელების მიდგომების დასადასტურებლად. მოდული, როგორც წესი, წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს და, შესაბამისად, ის პროგრამის დანართია და დამტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით. თუ მოდულში შევა ცვლილება, გამოიცემა აქტი, რომ შეიცვალა პროგრამის შესაბამისი დანართი. თუ მოდული პროგრამის ნაწილი არაა და დაწესებულება მას ცალკე ახორციელებს, როგორც სასერტიფიკატო პროგრამას, ის ცალკე აქტით დამტკიცდება.

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სამი ტიპის მოდულებს: ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები და არჩევითი მოდულები. ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია. არჩევითი მოდულების ნაწილში მოცემულია იმ მოდულების ჩამონათვალი, რომლებიც სპეციალურად ამ პროგრამისათვის შეიქმნა, აღნიშნული ნაწილი შეიძლება არ შეიცავდეს ასეთ ჩამონათვალს. დაწესებულება უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს შეთავაზებული არჩევითი მოდულები და შეარჩიოს ან განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმავი პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.

პედაგოგია/Pedagogics

პროგრამების სტრუქტურაში რეფორმის ერთ-ერთი სიახლე არჩევითი მოდულებია. არჩევითი მოდულების დანიშნულებაა: მაგალითად, განავრცოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატები ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა. მაგ: საბავშვო ბაღის აღმზრდელისთვის: მუსიკა, ფერწერა, მერწვა... ასევე, მნიშვნელოვანია მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც შემდგომი პროფესიული განვითარებისა და დასაქმებისთვის (პერსპექტივების გაზრდისთვის), ასევე ადაპტირებისთვის იმ პრობლემაში, როცა შრომის ბაზარი მუდმივად ცვალებადია (კომპანიებისათვისაც და, შესაბამისად, პროფესიებისთვისაც). ასეთი შესაძლოა იყოს დამატებით ენები, ინტერკულტურული ურთიერთობები, დროის მენეჯმენტი, IT უნარები (დამატებით) და სხვ.

მოდულში აღწერილი სწავლის შედეგების მისაღწევად და ტექნიკური უნარების განსავითარებლად მსმენელს ეძლევა ინდივიდუალური პრაქტიკული დავალებები. ასევე დამოუკიდებელი სამუშაოს სახით ეძლევა სწავლის შედეგის შესაბამისი პრაქტიკული დავალებები სახლში შესასრულებლად. თუ შემოთავაზებული მიდგომები გაზიარებული არაა, სასწავლებელი თვითონ აყალიბებს საკუთარ მიდგომებს.

სასწავლებელს შეუძლია თემატიკა შეცვალოს მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, ასევე შეცვალოს სწავლების მეთოდები, საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლების შერჩეული მეთოდები უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგის მიღწევის საშუალებას. მისაღწევი სწავლის შედეგების რიგითობის შეცვლა ან მათი შერწყმა ან დაყოფა კატეგორიულად დაუშვებელია, თუმცა შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მ.შ. ერთი ინსტრუმენტით);

ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. მტკიცებულებებთან და, ზოგადად, შეფასებასთან დაკავშირებით იხილეთ პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული „შეფასების სახელმძღვანელო“. მტკიცებულებები უნდა იქნას დაცული და ინახებოდეს 5 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს სასწავლებელი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა. აუცილებელი არაა ყველა სწავლის შედეგი ცალ-ცალკე შეფასდეს. შესაძლოა რამდენიმე ერთდროულადაც შეფასდეს ან ყველა ერთად-მოდულის ბოლოს. ეს მტკიცებულებების შეგროვების მიდგომებში უნდა აღიწეროს.

ნაწილით განისაზღვრება შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები. თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა, ეს დადგენილია შეფასების სტანდარტით და მისი შეცვლა დაუშვებელია. დაწესებულებას შეუძლია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი.

მაგალითისათვის, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი წარმოვადგენ აწუს-ს აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებულ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“.

I. სახელწოდება: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი

II. სარეგისტრაციო ნომერი: 01101-3

III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეხუთე

IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული სტანდარტი

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრებში და ა.შ.

პედაგოგია/Pedagogics

VII. პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრისმომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ საადმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია დასაკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

VIII. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ბავშვის განვითარების ხელშეწყობი სტრატეგიების გამოყენება
- სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით
- საადმზრდელო პროცესის მართვა პოზიტიური გამძოლის პრინციპების გამოყენებით
- წარმატებული, უსაფრთხო მხარდაჭერი საადმზრდელო გარემოს შექმნა

IX. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 162 კრედიტი
- ხანგრძლივობა: 26 სასწავლო თვე

X. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადიმოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები ¹	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	2	ხატვა	5
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	12	ძერწვა	2
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	პრაქტიკული პროექტი-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	6	ორიგამი, კირიგამი დააპლიკაცია	3
მეწარმეობა	5	ადრეული განვითარების თავისებურებები	6	საბიბლიოთეკო მარკეტინგი	2
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	ადრეული განათლების კურიკულუმი	6	ტანსაცმლის დეკორატიული გაფორმება	5
უცხოური ენა	5	ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა	6	ივენთ მარკეტინგი	3
ქართული ენა A2	15	საადმზრდელო გარემო	6		
სამოქალაქო განათლება	2	საადმზრდელო პროცესი	6		

პედაგოგია/Pedagogics

ქართული ენა B1	15	სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება	6		
		სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა	5		
		სწავლების შინაარსი:სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები	5		
		დაკვირვება და შეფასება	5		
		განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თვისებურებები	6		
		ოჯახი,თემი და საადმზრდელო დაწესებულება	4		
		ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	6		
		პროფესიულიეთიკა	3		
სულ:	52	სულ:	90	სულ:	20

XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული)სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაშიპროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების პერეოგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველაზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული

კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20კრედიტი. აღნიშნულ პროგრამას დანართის სახით ახლავს : 1. მოდულები; 2. სასწავლო გეგმა; 3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

ლიტერატურა

1. www.vet.ge.
2. <http://eqe.gov.ge/geo/static/267/education-system/vocational-education>
3. <http://eqe.gov.ge/geo/static/267/vocational-education/>

Nato Kobuladze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

The Challenges of Vocational Education

Abstract

A quality preschool education is a priority in the world’s educational system, which is based on the standard of preschool education, a number of legislative regulations and educational programs. Investment in preschool education is what may become the key to the great success in the future.

The State has realized the importance of education for the development of society, and has declared that concern for education begins from an early preschool age. It could be said that preschool education in Georgia goes beyond the preparation of the child for school, and it is aimed at exerting such influence on his personality, which would develop the child’s skills required for making him a full-fledged member of society.

Since 2015, in cooperation with the United Nations Children’s Fund, Law of Georgia on Early and Preschool Education has been prepared, which provides accessibility to the early education system based on the principle of high-quality, transparent and inclusive accountabilities consistent with international standards, for all children.

To date, there have been no a single legislative act, which would regulate the early and preschool education sphere. There has been only the record in the Local Self-Government Code, according to which “the creation of the establishment of institution of preschool and out-of-school education existing in administration of municipalities, and ensuring their functioning”, are a function of municipality. Accordingly, preschool education was not able to provide standard rules in this regard. It is also important that over the last decade, because of the absence of educational programs, it was not possible to train professional personnel.

ნატო დვალი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

საგანმანათლებლო ფასეულობები

საგანმანათლებლო ფასეულობების ექსპლიციტური განხილვა საშუალებას იძლევა ერთი მხრივ გადავხედოთ მიზნებისა და ინტერესების ადრინდელ ანალიზს, ხოლო მეორე მხრივ კურიკულუმს, მათი ერთმანეთთან დაკავშირების გზით.

განათლების ფასეულობების შესახებ თეორია მოიცავს არა მარტო არსის დადებით განცდას, როგორც შეფასების საზომს, არამედ ითვალისწინებს სპეციფიურ მიმართულებებს, რომელშიც ამ შეფასებებს აქვთ ადგილი. დაფასება ნიშნავს შექებას, პატივისცემას; მაგრამ ასევე იგი ნიშნავს გათვლას, მისი ფასეულობის განსაზღვრას. ეს ნიშნავს რაღაცაზე ზრუნვას, გაფრთხილებას, მაგრამ ასევე მისი თვისებების შეფასებას და მის შედარებას სხვა რამესთან. ასე რომ, ბოლო განსაზღვრების მიხედვით დაფასება ნიშნავს შეფასებას. ეს განსხვავება გავს განსხვავებას შინაგანსა და ინსტრუმენტალ ფასეულობებს შორის. შინაგანი ფასეულობები არ წარმოადგენენ განსჯის ობიექტებს, ისინი არ შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ და ვთქვათ რომელი უფრო მნიშვნელოვანია და რომელი ნაკლებად, ან რომელი უფრო უკეთესია და რომელი უარესი. ისინი შეუფასებელია, და თუ რაიმე შეუფასებელია, იგი არ შეიძლება უფრო დიდი იყოს ან მცირე მეორე შეუფასებელი საგნის მიმართ. მაგრამ ზოგჯერ აუცილებლად უნდა ავირჩიოთ ორს შორის და მაშინ მხოლოდ ერთს ვირჩევთ, მეორეს კი ვკარგავთ. ეს აყალიბებს უპირატესობის რიგს, დიდსა და მცირეს, უკეთესსა და უარესს. საგნები ან მოვლენები ამ შემთხვევაში ფასდება მესამე საგანთან ან მოვლენასთან მიმართებაში, რომელიც არის რომელიმე მომავლის მიზანი. ამის მიხედვით ისინი წარმოადგენენ საშუალებებს, ანუ ინსტრუმენტულ ფასეულობებს. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომლისთვისაც ერთ დღეს საინტერესოა მეგობრებთან დროის გატარება, სხვა დროს სიმფონიის მოსმენა, სხვა დროს სადილობა, სხვა დროს წიგნის წაკითხვა, სხვა დროს ფულის გამომუშავება და ა.შ. როგორც განცდა, ყველა ჩამოთვლილი გამოხატავს შინაგან ღირებულებას. მათ ყველას გააჩნიათ თავისი ადგილი ცხოვრებაში. თითოეული მათგანი გარკვეულ მიზანს ემსახურება და მათი შემცვლელის პოვნა შეუძლებელია. აქ ზედმეტია ლაპარაკი შედარებით ღირებულებებზე. თითოეული მათგანი ის არის რაც არის და წარმოადგენს სპეციფიურ რამეს. თავის თავში ადებული, არცერთი არ არის რაიმეს საშუალება საკუთარი ფარგლების გარეთ. მაგრამ შესაძლოა წარმოიქმნას ისეთი სიტუაცია, სადაც აუცილებელი იქნება მათ შორის არჩევანის გაკეთება. ამ შემთხვევაში ჩნდება შედარება. რადგანაც არჩევანი ერთზე უნდა გაკეთდეს, საინტერესოა თითოეული მეტოქის არგუმენტის ცოდნა. რისი შეთავაზება შეუძლია თითოეულს? ამ კითხვის დასმა ნიშნავს რომ თითოეული ამ სიკეთეთაგანი აღარ წარმოადგენს თავისივე ფარგლებში არსებულ მიზანს, შინაგან სიკეთეს. ასე რომ ყოფილიყო, მისი არგუმენტები იქნებოდა არაშედარებადი და სავალდებულო. ამ შემთხვევაში კითხვა ასე უნდა დაისვას – რომელია ამ მოვლენათაგან მნიშვნელოვანი კონკრეტულ სიტუაციაში? თუ ადამიანი დანაყრებულია და მას მუსიკის მოსმენის საშუალება ხშირად არ ეძლევა, იგი ჭამას მუსიკის მოსმენას არჩევს. თუ იგი მშვიდია და მუსიკას კი ძალზე ხშირად უსმენს, მაშინ იგი არჩევს ჭამას. თეორიულად, ან კონკრეტულ სიტუაციებში არსებული მოთხოვნებისაგან დამოუკიდებლად, სადაც არჩევანი უნდა მოხდეს, არ არსებობს ფასეულობების არანაირი ხარისხი და რიგი. სასწავლო ღირებულებებზე შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გაკეთება. ჩვენ არ შეგვიძლია დავადგინოთ ღირებულებათა იერარქია სასწავლო ერთეულებთან მიმართებაში. შეუძლებელია მათი მნიშვნელოვნების მიხედვით დალაგება, ისე რომ დავიწყოთ ყველაზე უმნიშვნელოთი და დავამთავროთ ყველაზე მნიშვნელოვანით. რადგანაც ნებისმიერ სასწავლო ერთეულს აქვს უნიკალური და შეუცვლელი მნიშვნელობა ცხოვრებაში, რადგანაც ისინი ამდიდრებენ ადამიანის თვალთახედვას, თითოეული მათგანი შინაგანი და არაშედარებადია. რადგანაც განათლება არ არის ცხოვრების საშუალება, არამედ იმგვარი ცხოვრების პროცესის იდენტურია, რომელიც პროდუქტიული და შინაგანად მნიშვნელოვანია, ერთადერთი საბოლოო გათვლით მნიშვნელოვანი ფასეულობა, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, არის თვითონ ცხოვრების პროცესი. და ეს არ არის მიზანი, რომლის დაქვემდებარებულ საშუალებებსაც სხვადასხვა სწავლების ერთეულები და აქტივობები წარმოადგენენ. და რაც უკვე ითქვა დადებითი განცდის შესახებ ნიშნავს, ნებისმიერ შესწავლა ერთერთ თავის ასპექტად ამგვარი საბოლოო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ეს ეხება, როგორც არითმეტიკას, ასევე პოეზიას, რომ გარკვეულ დროს და გარკვეულ ადგილზე თითოეული მათგანი უნდა წარმოადგენდეს სიკეთეს, რომლის

პედაგოგია/Pedagogics

დადებითი განცდა მოხდება საკუთარი თავის ფარგლებშივე, მოკლედ რომ ვთქვათ – როგორც სასიამოვნო გამოცდილების. თუ ასე არ მოხდა, როცა მოვა დრო, როცა გარკვეულ ადგილზე მათი გამოყენება უნდა მოხდეს, როგორც საშუალებებისა, ანუ ინსტრუმენტალურად, ამის შესაძლებლობები შეზღუდული ამდენადვე შეზღუდული იქნება, თუ ადამიანს რაღაცის არსი თავისივე თავში არსებული მიზნით არ განუცდია, მას აუცილებლად გამორჩება მისი რაიმე მახასიათებელი, რაც მნიშვნელოვანია ამ რაღაცის სხვა მიზნებისთვის როგორც რესურსის გამოსაყენებლად. ამის მსგავსად გამომდინარეობს, რომ, თუ ჩვენ სასწავლო საგნების მნიშვნელოვნებას და ღირებულებებს ერთმანეთს შევადარებთ, ან გამოვიყენებთ მათ საშუალებებად რაღაცის მისაღწევად რაც მათ მიღმა იქნება, მათ ღირებულება უნდა განისაზღვროს იმ სპეციფიური სიტუაციის მიხედვით, რომელშიც მათი გამოყენება უნდა მოხდეს. იმისთვის, რომ სტუდენტს შევასწავლოთ მათემატიკის ინსტრუმენტული ღირებულება, არის არა ის, რომ მას ვუთხრათ რა სარგებლობას მოუტანს ეს ცოდნა შორეულ და გაურკვეველ მომავალში, არამედ უნდა ვაცალოთ მას აღმოაჩინოს, რომ მისთვის საინტერესო საქმიანობაში წარმატება დამოკიდებულია რიცხვების გამოყენების შესაძლებლობაზე. ასევე, განსხვავებული ტიპის ღირებულებების განაწილების მცდელობა სხვადასხვა დისციპლინებს შორის არ არის სწორი, იმის დროის მიუხედავად რაც ამის გაკეთებისთვის დაიხარჯულა. მეცნიერებას შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი სახის ღირებულება იმ სიტუაციის მიხედვით, რომელშიც ის როგორც საშუალებად გამოიყენება. ზოგიერთისთვის მეცნიერებას შეიძლება ჰქონდეს სამხედრო მნიშვნელობა. იგი შეიძლება შეტევის ან თავდაცვის საშუალება იყოს. იგი შეიძლება იყოს ტექნოლოგიური, ინჟინერიის საშუალება. იგი შეიძლება იყოს კომერციული – წარმატებული ბიზნესის წარმართვის საშუალება. სხვა შემთხვევაში მისი მნიშვნელობა შეიძლება იყოს ფილანტროპული – საშუალება დაეხმაროს ადამიანებს ტანჯვის დამლევაში. ან კიდევ ერთხელ, იგი შეიძლება იყოს ძალიან კონვენციური – საშუალება მიანიჭოს ადამიანს „განათლებული“ ადამიანის სოციალური სტატუსი. მეცნიერება შეიძლება ემსახურებოდეს ყველა ამ მიზანს, და ძალიან პირობითი იქნებოდა ისეთი ამოცანის დასახვა, რომ მოგვედომებინა ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთისთვის მიგვენიჭებინა მეცნიერების „რეალური“ მიზნის სტატუსი. ერთადერთი, რაშიც ჩვენ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ გა- ნათლების სისტემასთან დაკავშირებით, არის რომ მეცნიერება უნდა ისწავლებოდეს როგორც მოსწავლეების ცხოვრების შინაგანი მიზანი და რაღაც რასაც აზრი აქვს, საკუთარი შინაგანი წვლილის თვალსაზრისით ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებში. ძირითადად მას უნდა ჰქონდეს „არსის დადებითი განცდის ღირებულება“. თუ ჩვენ ავიღებთ რაღაცას, რაც საპი- რისპირო პოლუსზე გვეჩვენება, მაგალითად პოეზია, იგივე დებულება შეგ- ვიძლია მას მივუსადაგოდ. შესაძლოა აწმყოში, მისი მთავარი ღირებულება იყოს ის წვლილი რაც მას შეუძლია შეიტანოს თავისუფალი დროის საინ- ტერესოდ გატარებაში. მაგრამ ეს შესაძლოა გაუკუღმართებულ ვითარებას გამოხატავდეს და არა რაიმე საჭიროს. პოეზია ისტორიულად დაკავშირებული იყო რელიგიასა და მორალთან. იგი ემსახურებოდა საგნებისა და მოვლენების საიდუმლო სიღრმეების ჩაწვდომას. მას უდიდესი პატრიოტული ღირებულება ჰქონდა. ჰომეროსი ბერძენებისთვის იყო ბიბლია, მორალის სახელმძღვანელო, ისტორია და ეროვნული შთაგონების ძალა. ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ განათლება, რომელიც ვერ მიაღწევს იმას, რომ პოეზია ისევე გამოიყენებოდეს ცხოვრების ჩვეულ საქმიანობისას, როგორც გართობისას, რაღაც ნაკლი აქვს მასთან მიმართებაში, ან წინააღმდეგ შემთხვევაში პოეზია მხოლოდ ხელოვნური რამ არის. იგივე რამ უნდა გავითვალისწინოთ სწავლების ღირებულებასთან და სწავლების თემასთან დაკავშირებით, მის მამოტივირებელ ძალასთან მი- მართებაში. მას, ვინც პასუხისმგებელია სასწავლო კურსის დაგეგმვასა და სწავლებაზე, უნდა იმის ფიქრის საფუძველი უნდა ჰქონდეს, რომ სასწავ- ლო კურსებს და თემებს შეუძლიათ პირდაპირ გაამდიდრონ მოსწავლე- თა ცხოვრება და წარმოადგენდეს მასალას, რაც მოსწავლეებმა მომავალში შესაძლოა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ვითარებაში გამოიყენონ. რადგანაც კურიკულუმი ყოველთვის დატვირთულია ტრადიციული საკითხებით, რომელიც ძირითადად გამოხატავს რომელიმე გავლენიანი პი- როვნების ან პიროვნებათა ჯგუფის აზრს, მათთვის მნიშვნელოვანის შესახებ, საჭიროა მისი გამუდმებული შემოწმება, კრიტიკა და მასში ცვლილებების შეტანა, ისე რომ იგი პასუხობდეს თავის მიზნებს. ძალზე დიდია ალბათობა, რომ კურიკულუმი შეესაბამებოდეს ზრდასრულთა ფასეულობებს, და არა ახალგაზრდობისას; ან იგი შეესაბამება არა თანამედროვე არამედ წინა ახალგაზრდა თაობების ინტერესებს. ამიტომაც მას სჭირდება კრიტიკული განხილვა და გამოკვლევა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საგანს მოსწავლისთვის მამოტივირებელი ღირებულება რომ აქვს იგივეა, რაც ის, რომ მოსწავლემ იცის რა ღირებულება აქვს მას, ან შეუძლია თქვას

პედაგოგია/Pedagogics

თუ რისთვის იქნება კარგი ამ საგნის შესწავლა. უპირველესად, სანამ რაიმე თემა თავისთავად მიმზიდველია, არ არის აუცილებელი დაისვას კითხვა იმის შესახებ, როგორ შეიძლება მისი გამოყენება. ეს კითხვა მხოლოდ რაიმეს ინსტრუმენტული ფასეულობების შესახებ შეიძლება დაისვას. ზოგიერთი სიქველის გამოყენება არაფერში არ შეიძლება, იგი მხოლოდ სიქველეა და ესაა და ეს. ზოგიერთი რამის შეფასების მცდელობას მივყავართ აბსურდამდე. ინსტრუმენტული სიქველის შესახებ კითხვებს თავს ვერ ვარიდებთ, ანუ იმის შესახებ, რისი ფასეულობა რაიმესთან მიმართებაში დგინდება, თუ ეს არ არის ისეთი რამ, რაც შინაგანად სიქველეს, სიკეთეს არ წამოადგენს. მშვიერი, ჯანმრთელი ბავშვისათვის საჭმელი სიკეთეა ამ სიტუაციისათვის. ჩვენ არ გვჭირდება რომ მასში იმის გაცნობიერება განვავითაროთ თუ რა მიზნებისთვის არის კარგი ჩაჭამა, იმისთვის, რომ მასში კვების მოტივაცია გავაჩინოთ. საკვები მის მადასთან კავშირში წარმოადგენს მოტივაციას. იგივე მოქმედებს მენტალურად მოწადინებულ მოსწავლეს შემთხვევაში მრავალ თემასთან მიმართებაში. არც მოსწავლეს და არც მასწავლებელს არ შეუძლიათ განსაზღვროს ზუსტად ის მნიშვნელობა, რაც სწავლას ექნება მის მომავალში. როდესაც მოსწავლე მოწადინებულია არც რაიმე სწავლისგან გამომდინარე სპეციფიკური სიკეთეების დადგენის მცდელობა არის რეკომენდებული. სიკეთის მტკიცებულება იმაშია, რომ მოსწავლეს მასზე დადებითი რეაქცია აქვს. რეაქცია მის სარგებელს წარმოადგენს. ეს იმას ადასტურებს, რომ სასწავლო დიციპლინას გარკვეული ადგილი აქვს მის ცხოვრებაში. უაზროა იმის მტკიცება, რომ ლათინურს შინაგანი, აბსტრაქტული ღირებულება აქვს, როგორც სასწავლო დისციპლინას, რაც საკმარისი იქნებოდა მისი სწავლების პროცესში გამოყენების დასასაბუთებლად. თუმცა ასევე აბსურდულია იმის მტკიცება, რომ თუ მასწავლებელი და მოსწავლე არ განსაზღვრავენ რაში შეიძლება მისი გამოყენება მომავალში, არ არსებობს იმის საკმარისი საფუძველი, რომ ეს საგანი სკოლაში ისწავ-ლებოდეს. როცა მოსწავლეებს ნამდვილად აქვთ ლათინურის შესწავლის სურვილი, ეს უკვე ადასტურებს იმას, რომ ამ დისციპლინას გააჩნია ღირებულება. ერთადერთი კითხვა, რაც ასეთ დროს შეიძლება დავსვათ ის არის, რომ შეზღუდული დროის გათვალისწინებით, ხომ არ არის სხვა შინაგანი ღირებულების მქონე რამ, რასაც დამატებით უფრო მეტი ინსტრუმენტული ღირებულებაც გააჩნია. ამას მივყავართ ინსტრუმენტული ღირებულებების საკითხთან – თე- მები, რომელიც ისწავლება რაღაც მის ფარგლებს გარეთ არსებული მიზნების გამო. თუ ბავშვი ავადაა და მას არ აქვს მადა მაშინ, როცა მას საჭმელს სთავაზობენ, ან ამ დროს მას ურჩევენა ჭამოს კანფეტები, ვიდრე ხორცი და ბოსტნეული, ამ დროს გაცნობიერებული მითითება კეთდება ხოლმე მოსალოდნელ შედეგზე. საჭიროა მან შეიმეცნოს შედეგები, იმისათვის, რომ გან-საზღვროს გარკვეული საგნების დადებითი ან უარყოფითი ღირებულება. ან საგნების მდგომარეობა შეიძლება იყოს საკმაოდ ნორმალური, მაგრამ მათ ვერ გამოიწვიონ ამ ადამიანის დადებითი განწყობა მათ მიმართ, რადგან ამ ადამიანმა არ იცის თუ რამდენად განაპირობებს ამ საგანთან აქტიური და- მოკიდებულება იმ შინაგანი ღირებულების მოპოვებას, რაც მას გააჩნია. ასეთ შემთხვევაში გონივრულია, რომ კავშირების გაცნობიერება მოხდეს. ზოგადად, სასურველია, რომ თემა ისეთი სახით იყოს წარმოდგენილი, რომ მას მყისიერი ღირებულება ჰქონდეს და არ ჭირდებოდეს დასაბუთება, ან აღქმული იყოს რაიმე შინაგანი ღირებულების მქონეს მიღწევის საშუალებად. ინსტრუმენტალურ ღირებულებას ამ შემთხვევაში აქვს შინაგანი ღირებულება, რამდენადაც იგი არის მიზნის მიღწევის საშუალება. შეიძლება განვიხილოთ, ხომ არ არის სწავლების დისციპლინების ღირებულებებთან დაკავშირებული თანამედროვე პედაგოგიური ინტერესი ან გადაჭარბებული ან ზედმეტად ვიწრო. ზოგჯერ ცხადია, რომ დიდი ძალისხმევა იხარჯება იმ საკითხების განდიდებაზე, რომელთაც არანაირი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელოვანი სამსახური მოსწავლეებისთვის აღარ შეუძლიათ. სხვა დროს, უსარგებლო მასალის მიმართ გამოთქმული კრიტიკა იმდენად შორს მიდის, რომ არცერთი საგანი ან თემა არ უნდა ისწავლებოდეს სანამ რაიმე პირდაპირი სამომავლო გამოყენების დადგენა არ იქნება შესაძლებელი კურსის შემქნელების ან თავად მოსწავლის მიერ. ასე იგნორირებას გავუკეთებთ იმ ფაქტს, რომ ცხოვრება თვითონ არის თავის არსებობის გა მართლება და რომ ის პირდაპირი სარგებელი, რომლის იდენტიფიცირებაც შეიძლება თავისთავად დასაბუთებდია მხოლოდ იმით, რომ ცხოვრებისეული გამოცდილების შინაარსის გაზრდას ემსახურება.

რადგანაც საგანმანათლებლო ღირებულებები ძირითადად განხილულია იმ პრეტენზიებთან კავშირში, რომელიც არსებობს კურსკულუმის სხვადასხვა საგნების მიმართ, მიზნებისა და ინტერესების განხილვა აქ იწყება სპეციალური სასწავლო საგნების თვალსაზრისიდან. სიტყვას „ღირებულება“ აქვს ორი, საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობა. ერთი მხრივ, იგი აღნიშნავს, შინაგან დამოკიდებულებას რაიმესთვის ღირსებების გამო ხოტბის შესხმის თვალსაზრისით. ეს არის სრული და სრულყოფილი გამოცდილების

პედაგოგია/Pedagogics

სახელი. ღირებულების დადგენა ამ კონტექსტში ნიშნავს დადებით განცდას. მაგრამ ღირებულების დადგენა ასევე ნიშნავს გამორჩეულად ინტელექტუალურ აქტს, რომლის დროსაც ხდება შედარება და განსჯა ნიშნავს შეფასებას. ეს ხდება, როცა პირდაპირი სრული გამოცდილების ნაკლებობაა, და დგება საკითხი, სხვადასხვა ვარიანტებს შორის რომელია უკეთესი სრული, ანუ სასიცოცხლო გამოცდილების მისაღებად. ამის მიუხედავად, ჩვენ არ უნდა დავყოთ კურიკულუმის სასწავლო საგნები დადებითად განცდად და ინსტრუმენტულ საგნებად, რომელიც ეხება ჭეშმარიტ ფასეულობებსა და მიზნებს თავის არეალის მიღმა. ნებისმიერ საგანში შესაბამისი სტანდარტების ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმ წვლილის გაცნობიერებაზე, რომელიც მან უნდა შეიტანოს უშუალო გა- მოცდილების, დადებითი განცდის შექმნაში. ლიტერატურა და სახვითი ხელოვნება წარმოადგენენ სპეციფიურ ღირებულებებს, რადგანაც ისინი საუკეთესოდ წარმოადგენენ დადებითად განცდილს – არსის გამლიერებულ წვდომას შერჩევისა და კონცენტრირების გზით. მაგრამ ნებისმიერ საგანს განვითარების რომელიმე ფაზაში უნდა გააჩნდეს ის, რაც ამ საგნით დაკავებული ადამიანისთვის ესთეტიკურ თვისებას წარმოადგენს. სწავლების ინსტრუმენტული და გამომდინარე ღირებულებების დასადგენად ერთადერთი კრიტერიუმი არის ის, თუ რამდენად არის გაღებული წვლილი გამოცდილების ფარგლებში მრავალფეროვანი შინაგანი ღირებულებებისთვის. ცალკეული სასწავლო საგნისთვის ცალკეული ღირებულების გამოყოფა და კურიკულუმის განხილვა, როგორც ცალკეული ღირებულებების აგრეგაციით მიღებული კომპოზიტისა, არის სოციალური ჯგუფებისა და კლასების იზოლაციის შედეგი. აქედან გამომდინარე, დემოკრატიულ სოციალურ ჯგუფში განათლების როლია ამ იზოლაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რათა სხვადასხვა ინტერესებმა ერთმანეთი გაამლიერონ და ერთმანეთის სასარგებლო როლი შეასრულონ.

Nato dvali - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Educational values

Summary

The theory about educational values does not include only positive feeling, as the measurement of assessment, but it takes into account the specific directions in which these assessments are made.

Internal values are not a subject of judgement, they can not be compared to each other and to say which is more or less important, and which is better or worse.

The education is not the opportunity of life, but identical of the kind of life-style which is productive and internally important.

Thus, the educational values are reviewed in the connection of claims, which exists in the different subjects of the curriculum.

ნინო სოხაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

პიროვნების აღზრდა აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ მიხედვით

„გამზრდელის“ მოკლე შინაარსი ასეთია: დანაშაული მოხდა, საფარ-ბეგმა გამზრდელი ძიძიშვილის ცოლი გააუპატიურა.

როცა ნაწარმოებს პირველად ეცნობი, ზიზღის გრძნობით ხარ აღშფოთებული საფარ-ბეგის მიმართ. მაგრამ, მდგომარეობა უფრო რთულია და საინტერესო.

საფარ-ბეგი, როგორც კი გონს მოეგო, მაშინვე მიხვდა დანაშაულის მთელ სისაძაგლეს. როცა დილით მძინარე საფარ-ბეგი ბათუმ გააღვიძა, ის შემინდა, მაგრამ, როგორც კი შეხვდა ბათუს, თავი დაიმშვიდა. მან დაიჯერა, რომ ბათუმ არაფერი იცოდა, მაგრამ ნაადრევი გამოდგა ეს სიხარული.

დიდი ზნეობის მატარებელმა ბათუმ მორალურად გაანადგურა საფარ-ბეგი. აკაკი წერეთელი „გამზრდელში“ გვიამბობს სინდისიანის და უსინდისოების ბრძოლაზე, არამედ დანაშაულის მქონე ადამიანების ზნეობრივ ტრაგედიაზე.

ნაწარმოების დასაწყისში, როცა შეძრული ხარ საფარ-ბეგის პიროვნებით, შემდეგ ყველაფერი იცვლება. აქ ერთმანეთის პირისპირ ორი თანაბარი ღირსების კაცი დგას. ერთი დიდი დანაშაულის მატარებელი, მეორე კი – არა.

ბათუმ შეძლო თავისი ღირსეული ქმედებით საფარ-ბეგში ადამიანის გაღვიძება. ბათუს ღირსება არ არის მოჩვენებითი, ხელოვნური. ის, უპირველეს ყოვლისა, პატიოსანია საკუთარ თავთან. საფარ-ბეგმა ასეთი ქცევის შემდეგ მთელი ძალით იგრძნო მის მიერ ჩადენილი დანაშაული. მან არა მარტო ბათუს წინაშე დახარა თავი მარტივად, არამედ საკუთარი გამზრდელის წინაშე.

აკაკი წერეთელი მაშინვე აღნიშნავს და მიუთითებს საფარ-ბეგის სუსტ მხარეს სახიათისას. საფარ-ბეგი მოსვლისთანავე ატყობინებს ბათუს, რა მიზნით ეწვია ბიძაშვილს სტუმრად და რატომ გადაწყვიტა მოეპარა ალმასხანიც, ინალიფას ცხენი. მას ცხენი უნდა იმისთვის, რომ ულამაზეს ზია-ხანუმს მიჰგვაროს ის. თუმცა იცის მისი საშინელი ხასიათი, მაგრამ სიყვარულს ვერ შეეებრძოლა.

თუმცა ნაწარმოებიდან გრჩება განცდა, რომ საფარ-ბეგმა თავად არ იცის, მართლა უყვარს ქალი თუ არა. უფრო სწორი ალბათ ის არის, რომ ზოგადად საფარ-ბეგი არ არის გულგრილი ქალის მშვენიერების მიმართ. ის მარტოდ დარჩა ნაზიბროლასთან და სიყვარულიც დაივიწყა და მორდულობის ადათიც.

საფარ-ბეგის საქციელს წარმართავს დაუოკებელი ვნება და არა სიყვარული. გრჩება განცდა, რომ საფარ-ბეგს საერთოდ არ შეუძლია სიყვარული.

ყველა ადამიანში ებრძვის ერთმანეთს სიხარბე და აუცილებელი. ადამიანმა უნდა სძლიოს სიხარბეს.

აკაკის „გამზრდელის“ პერსონაჟს ბათუს იმიტომ აქვს შენდობის დიდი უნარი, რომ თავისუფალია სიხარბისა და ამოუბის გრძნობებისაგან.

შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რატომ დატოვა მარტო ბათუმ ნაზიბროლა და საფარ-ბეგი. მაგრამ, ასეთი ადამიანი შეურაცყოფას მიაყენებს ბათუს. ბათუმ ადამიანის უკეთილშობილესი თვისება გამოავლინა – ნდობა. თუ ადამიანი ძუძუმტესაც არ ენდო, როგორ უნდა იცხოვროს მან.

ბათუს ღრმა ადამიანური ბუნება აქვს. ეს სიღრმე ღრმაა და მართალი. ბათუმ გამოძებნა სულიერი ძალა. მან არც საფარ-ბეგი დასაჯა იმიტომ, რომ საფარ-ბეგს უფრო ეგრძნო თავისი დანაშაულის სიმძიმე. იგი საფარ-ბეგს გამზრდელთან უშვებს.

როცა ჰაჯი-უსუბმა ნაამბობი მოისმინა შეწუხებული ფიქრობს სასჯელზე, რომელიც დაუვიწყარი გაკვეთილი იქნება. ასეთი სასჯელი სამაგიეროს მიზლვა კი არ უნდა იყოს, არამედ ზნეობის სიმაღლე.

ცხადია, ჰაჯი-უსუბს შეეძლო დაესაჯა საფარ-ბეგი, მოეკლა იგი, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ სამაგიეროს გადახდა. ანუ ბოროტება ბოროტების წინააღმდეგ. სასჯელი უნდა ყოფილიყო ზნეობრივი აქტი.

ჩვეულებრივ, როცა ერთი ადამიანი სჩადის სიკეთეს მას სხვებიც ეტმასნებიან, ბოროტებას კი არავინ. ბოროტება ინდივიდუალურია. საზოგადოება ყოველთვის ზურგს აქცევს ბოროტებას.

ეს ვერ შეძლეს მოსემ, ბუდამ, ქრისტემ. ძნელია იყო ქრისტე, მაგრამ სურვილი მაინც უნდა გაგაჩნდეს. სხვაგვარად პიროვნება ვერ იქნები, ვერ ზიდავ ზნეობრივი პასუხისმგებლობის ტვირთს.

პედაგოგია/Pedagogics

საფარ-ბეგის მონანიების დროს ჰაჯი-უსუბმა თავის თავი თავისი გაზრდილის დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნია და თავი მოიკლა.

მან გამოიტანა არა იურიდიული, არამედ ზნეობრივი განაჩენი. საფარ-ბეგის დანაშაულის საფუძველი ჰაჯი-უსუბმა თავის თავში მოძებნა. ეს განაპირობა იმან, რომ ადამიანი არ არის მარტო არც მაშინ, როცა სიკეთეს აკეთებს და არც მაშინ, როცა ბოროტებას სჩადის.

ამრიგად, ჰაჯი-უსუბის პატიოსნება არის პატიოსნება, რომელსაც უნარი აქვს სხვისი დანაშაულის საფუძველი თავის თავში იპოვოს და თავად აგოს პასუხი.

გამზრდელმა ამჯობინა თვითმკვლელობა. აკაკი წერეთელი აქ ქრისტიანულ მორალს იყენებს.

ადამიანს, რომელსაც დანაშაულის გაცნობიერება შეუძლია ვერ დარჩება გულგრილი ჰაჯი-უსუბის საქციელის მიმართ. ჰაჯი-უსუბი მარტო სიცოცხლეში კი არ იყო საფარ-ბეგის მოძღვარი, არამედ სიკვდილშიც. მან სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა საფარ-ბეგს ვიდრე ცხოვრებით.

ასეთი საინტერესო ნაწარმოები შექმნა და დაუტოვა აკაკი წერეთელმა ქართველ ხალხს. „გამზრდელი“, რომელიც კლასიკაა და რომელიც ხშირად უნდა წაიკითხოს და გაიაზროს ყველა ქართველმა.

ლიტერატურა

1. აკაკი ბაქრაძე „ილია და აკაკი“, თბილისი, 1992 წელი.
2. ვ.ასათიანი, რ.ბალანჩივაძე „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“, თბილისი, 1988 წელი.

რეზიუმე

„გამზრდელის“ პერსონაჟებისათვის პრინციპია შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვა. აკაკის აზრით, დანაშაულის ზნეობრივი გამოსყიდვა ადამიანს შეუძლია მონანიებითაც (საფარ-ბეგი), პატიებითა (ბათუ) და თვითდასჯითაც (ჰაჯი-უსუბი).

შურისძიებით კი დანაშაული არ გამოისყიდება, როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდ დანაშაულის ერთი სახეობა შეიცვლება მეორეთი. ამიტომ ჰაჯი-უსუბის ზნეობრივი პრინციპი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი დასჯა, თუ გინდ იურიდიულად, თუ გინდ ფიზიკურად.

Nino Sokhadze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

A person's upbringing according Akaki Tsereteli's "Master"

Summary

For characters of "Master" the main principle is forgiveness and expiation. In Akaki Tsereteli's opinion morally expiation can be achieved by forgiveness. Expiation Safar-beg, forgiveness – Batu, self-punishment – Haji-usuf.

Crime can not be forgiven by revenge. One type of crime will be replaced by another. A person who can confess crime can't be indifferent towards Haji-usuf's crime. Haji-usuf wasn't Safar-beg's confession only in life, but in death too. He thought him much more by death.

Akaki Tsereteli left us such an interesting writing. "Master" which is classic and which should often read and shared by Georgian people.

ნინო სოხაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**საოჯახო აღზრდის პრობლემები ნიკო ლორთქიფანიძის
„თავსაფრიანი დედაკაცის“ მიხედვით**

საოჯახო აღზრდა საუკუნეების მანძილზე აღზრდის უმთავრესი ფორმა იყო, მაშინაც კი, როდესაც განათლების კერების აღმოცენება დაიწყო. საოჯახო აღზრდას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რადგან სკოლები მხოლოდ შეძლებულთა შვილებისათვის იყო ხელმისაწვდომი. პირველი პედაგოგიური თეორიები საოჯახო აღზრდის საფუძველზე ვითარდებოდა. ძველი რომის იმპერიის თეორეტიკოსმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ თავის ტრაქტატში „ორატორის აღზრდა“, ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა მთელი რიგი პედაგოგიური მოთხოვნები საოჯახო აღზრდის მიმართ, მაგრამ უპირატესობა იან ამოს კომენსკიმ ბავშვთა აღზრდისა და სწავლებაში ოჯახის როლს მიაკუთვნა განსაკუთრებული ადგილი და ეს აზრი თავისი პედაგოგიური შემოქმედების ქვაკუთხედად მიიჩნია. კომენსკის კლასიკური შრომა „დედობრივი სკოლის წესდება“ და „დიდი დიდაქტიკის“ დედობრივი სკოლის იდეა საოჯახო პედაგოგიკის მეცნიერული საფუძველია. საოჯახო აღზრდასთან დაკავშირებით სხვადასვა მოსაზრებებია გამოთქმული. ბავშვის პირველ აღმზრდელად ილია ჭავჭავაძეს მშობლები მიაჩნდა. ხოლო აღმზრდელობითი ზეგავლენის ყველაზე მთავარ ფაქტორად ოჯახი. ილია წერდა: „შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. ამიტომ, ამას უნდა შევალეთ, შევწიროთ ყველაფერი, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ამაგი და უფრო მეტი დრო ამას უნდა მოვახმაროთ“.

ოჯახი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და ამავე დროს ადამიანთა სოციალურ-პედაგოგიური ჯგუფია, რომელიც მოწოდებულია ოჯახის თითოეულ წევრს შეუქმნას სიტბოს, სიმყუდროვის, სიყვარულის გარემოცვა, ხელი შეუწყოს მათ ყველა პიროვნული თვისების ფორმირებაში. ეს და მრავალი სხვა ფუნქცია უფრო აქტუალურს ხდის საოჯახო აღზრდას და საზოგადოების მუდმივი ზრუნვის საგნად აქცევს. საოჯახო აღზრდას თავისი მოქმედების სფერო გააჩნია, რომლის მეშვეობით ხორციელდება აღმზრდელობითი ზეგავლენა. ეს არის მოვალეობა, სიყვარული და ყურადღება, რომლებიც ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. საოჯახო აღზრდაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მეგვიდრეობა და მშობელთა ჯანმრთელობა, მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ცხოვრების წესი, ეროვნული ტრადიციები, ოჯახის წევრთა რაოდენობა, მათი ურთიერთობა და გარემო.

შვილთა აღზრდის საქმეში ყოველი ოჯახის წინაშე უამრავი ამოცანა დგას:

იტვირთოს ბავშვის სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური დაცვის ფუნქცია;

აუხსნას მათ შვილებისა და მშობელთა ურთიერთობის ტრადიციების მნიშვნელობა;

გამოუმუშაოს უნარ-ჩვევები, რომლებიც მიაჩვევს მათ თვითმომსახურებას და ახლობლის დახმარებას;

უზრუნველყოს ბავშვის ზნეობრივი განვითარება.

ესოდენ რთული ამოცანების შესასრულებლად საოჯახო აღზრდას გააჩნია შესატყვისი პრინციპები. კერძოდ:

მოზარდი ადამიანისადმი ჰუმანური დამოკიდებულება და კეთილი განწყობა;

შვილების მიმართ გულდია დამოკიდებულება და ნდობის გამოხატვა, რწმენის ჩასახვა;

შვილებისათვის საჭიროების მიხედვით დახმარების აღმოჩენა და სხვ.

საოჯახო აღზრდის შინაარსში აუცილებელია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება. უფროს-უმცროსობის პრობლემა გულისხმობს არა მარტო შვილებსა და მშობლებს, არამედ თავად შვილებს შორის ურთიერთობის სწორ წარმართვასაც.

დასახელებულ პრობლემათა გვერდით უნდა გამოვეყთ „რთული ოჯახის პრობლემაც“. ეს ისეთი ოჯახია, რომელშიც ერთად ცხოვრობს სამი თაობა და ხშირია შემთხვევა, როდესაც ბებიები და ბაბუები ბავშვებს მეტ დროს ახმარენ ვიდრე მშობლები. რაც არ არის გამართლებული. თუმც დემოგრაფიის მტკიცებით, ასეთი ოჯახების რიცხვი სწრაფი ტემპით კლებულობს.

დღევანდელობამ მრავალი ოჯახის წინაშე ახალი პრობლემები დააყენა, რომელთა შორის განსაკუთრებით საგულისხმოა რელიგიის და ოჯახის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. პედაგოგიკას უდიდესი მოვალეობა აკისრია აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისათვის სათანადო რეკომენდაციების შემუშავების და მათი საზოგადოების ფართო ფენებისათვის მიწოდების საქმეში. ამის

პედაგოგიკა/Pedagogics

ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ზოგიერთმა მშობელმა არც კი იცის, რა გზით და როგორ გაათავიტიცნობიეროს ბავშვი რელიგიის საკითხებში. ასევე მნიშვნელოვანია მშობლებსა და შვილებს შორის სწორი ურთიერთობის პრობლემაც. რასაც ნათლად გვიხატავს ნიკო ლორთქიფანიძე თავის ნაწარმოებში „თავსაფრიანი დედაკაცი“. აღნიშნული ნაწარმოების ძირითადი იდეა ეყრდნობა შემდეგ სიტყვებს, ქმედებას და ფრაზებს: „შეგნანა“, „მოიმადლიერო“, „სალირალი პატივი“, „მოგვეჭრება თავი სოფელ-ქვეყანაშიო ... რას იტყვიან, მოხუც დედას ვერ მოუარაო“, „უნდოდათ სამებრად წასვლა, მაგრამ ეძვირათ“, „უნდოდათ გაზეთებში გამოცხადება, მაგრამ უფრო მოგვეჭრება თავიო“. „მილიციამ იპოვა მოხუცებული ქალის გვამი, შვილებს ქრონიკიერის შენიშვნა, მგონი არ წაუკითხავთ და არც არავის უამბნია მათთვის“.

ეს ყველაფერი გვიჩვენებს, რომ შვილებს საერთოდ არ აინტერესებთ მშობლის განცდები, ფიქრები, ტკივილი, მათ ის უფრო აინტერესებთ, თუ რა პასუხი გასცენ ხალხს, რას იტყვის ხალხი მათზე.

სამწუხაროდ ეს პრობლემა დღესაც არსებობს.

ყველა ამ პრობლემას თავად ნიკო ლორთქიფანიძე სცემს პასუხს. „განათლებული და თან ყველაზე უფრო ტუტუცი შვილი ზოგჯერ ბრძნულად შენიშნავს: „მოხუცებისაგან ზოგიერთს გამოეღევა მოსაზრების უნარი და მოქმედებს შეუგნებლად, მაგალითად, გაჰყვება გზას და მიდის და მიდის. ამას ჩვენში „მხარის შეცვლას“ ეძახიან. მეცნიერებმა კი „მანიაკალური მდგომარეობა“ უწოდეს“.

დედა-შვილის ურთიერთობას, ვფიქრობ, მეცნიერული ახსნა არ სჭირდება.

ლიტერატურა

1. ზურაბ კაკაბაძე „ფილოსოფიური საუბრები“, თბილისი, 1988 წ.
2. ნ. ლორთქიფანიძე „თავსაფრიანი დედაკაცი“.

რეზიუმე

ოჯახი ეს არის პიროვნების გამსაზღვრელი. ოჯახში სწავლობს მოზარდი ურთიერთობებს, პასუხისმგებლობას, პატივისცემას, ცხოვრების იმ წესს, რისი მიმდევარიც თავად ხდება შემდგომ.

სამწუხაროდ, ოჯახი ხშირ შემთხვევაში ბევრ შეცდომას უშვებს. არსებობს ეგრედწოდებული „მოწესრიგებული ოჯახები“ მაგრამ ისინი გაცილებით საშიშელია, ვიდრე ის ოჯახი, სადაც ნათელია ამ ოჯახის მდგომარეობა.

ნიკო ლორთქიფანიძე „თავსაფრიანი დედაკაცში“ ამ პრობლემებზე გვესაუბრება და მას ყოველთვის ვადარებ ალბერ კამიუს „უცხოს“. მერსო გულგრილია საკუთარი დედის მიმართ, მაგრამ ის არაფერს არ მალავს, ის ამ ურთიერთობაშიც არის ის რაც არის, განსხვავებით შვილებისაგან თავსაფრიანი დედაკაცისა, რომელთაც ყველაფრის ეშინიათ, საკუთარი თავისაც კი და დედის საფლავისთვისაც არაფერს აკეთებენ.

გაუნათლებელი განათლებული თაობა, რომელმაც დაკარგა ყველა გრძნობა, უპირველეს ყოვლისა სიყვარულის და საკუთარი თავის პატივისცემის.

Nino Sokhadze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

amily upbringing problems according Niko Lortkipanidze's "Kerchief woman"

Summary

Family this is person's real reality.

In family person learns relationships, responsibilities, respect and freedom. In family child learns the rule of life which take part in childhood.

Unfortunately family make many mistakes. Exist normal families but they are more harmful than this families where everything is undoubt in their conditions.

In "Kerchief woman" the writer speaks about this problem and he always look like Albert Camus' "Stranger". Merso is indifferent about his mother but he didn't hide anything. He is it which real is difference their daughters. They afraid everything and also themselves.

Educational but uneducational generation which lost every feels and first of all love and their mind respect.

ლელა ებგვერაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

აქტივობა, როგორც სტუდენტთა შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი

შეფასების, როგორც სწავლა-სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა თანამედროვე განათლების სისტემაში. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში იგი გვევლინება სწავლების პროცესის აქტიურ კომპონენტად, რომელიც არა მხოლოდ განსაზღვრავს სტუდენტის მიღწევებს, მისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობას პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციასთან, არამედ წარმოადგენს სწავლების პროცესის დახვეწისა და სტუდენტთა სასწავლო უნარების განვითარების ინსტრუმენტს. შეფასების მიზნები მრავალფეროვან სასწავლო ამოცანათა გადაჭრაზეა ორიენტირებული, რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას განსხვავებული ფორმები და მეთოდები.

გამოყოფენ შეფასების ორ ძირითად სახეს: განმავითარებელი შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე და განმსაზღვრელი შეფასება, რომლის მიზანიც სწავლის შედეგების მიღწევის გაკონტროლებაა. სხვა სიტყვებით განმავითარებელი შეფასება შედეგის მიღწევის ინსტრუმენტია, განმსაზღვრელი კი - აფიქსირებს შედეგს. განმავითარებელი შეფასება ძირითადად კომენტარით ფასდება, განმსაზღვრელი - ქულებით. ცალკე სახედ გამოყოფენ წინარე შეფასებას, რომელიც სწავლების პროცესის დაწყებამდე ტარდება და მიზნად ისახავს დაადგინოს ცალკეულ ინდივიდთა თუ მთლიანად შემსწავლელთა ჯგუფის ცოდნის დონე და უნარ-ჩვევების ფლობა, რათა სასწავლო პროცესი შედეგების მიხედვით დაგეგმოს. მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ეს სახე განმავითარებელი შეფასების კომპონენტად შეიძლება მივიჩნიოთ.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება თეორიულად ერთმანეთისგან გამიჯნულია: განსხვავდება, როგორც მათი მიზანი, ისე მეთოდები და ფორმები. თუმცა პრაქტიკაში მათ შორის ყოველთვის არ შეიძლება მკვეთრი საზღვრის გავლება. მიზანშეწონილია განმსაზღვრელი შეფასება გამოვიყენოთ სტუდენტთა საჭიროებების დადგენისათვის და მისი შედეგები გავითვალისწინოთ სწავლა-სწავლების შემდგომ პროცესში. თავის მხრივ, განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს სწავლების შედეგების მიღწევის საშუალებას, რასაც განმსაზღვრელი შეფასების მეშვეობით ვადგენთ. შეფასების ეს ორი ფორმა მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან და საბოლოო შედეგის მიღწევას ემსახურება.

თანამედროვე შეფასების სისტემის ერთ-ერთი აქტუალური მოთხოვნა შეფასების უწყვეტობაა. სტუდენტთა განმსაზღვრელი შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან და საგნის შესწავლის განმავლობაში რამდენჯერმე ხდება. საბოლოო შედეგი წარმოადგენს ცალკეულ შეფასებებში მიღებული ქულების ჯამს. მრავალფეროვანია შეფასების მეთოდები და ფორმებიც: ფასდება წერიითი ნაშრომი, ზეპირი პასუხი, ესე, პრეზენტაცია, პრაქტიკული დავალების შესრულება...

მოცემულ სტატიაში გვინდა შევეხოთ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განმსაზღვრელი შეფასების ერთ-ერთ კომპონენტს - აქტივობას, რომელიც საგნის სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს. აქტივობა, როგორც განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტი, ფასდება ქულებით და მისი შედეგები აისახება შემაჯამებელ შეფასებაში.

შეფასების ამ ფორმის შინაარსი მკვეთრად არ არის განსაზღვრული. იგი დამოკიდებულია ლექტორის არჩევანზე, თუ რას მიიჩნევს მნიშვნელოვნად საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. მასზეა დამოკიდებული ამ კომპონენტის ხვედრითი წილიც საბოლოო შეფასებაში.

ფაქტობრივად, აქტივობის კონკრეტული შინაარსის განმსაზღვრელია საგნის სპეციფიკა, თუმცა ამ კომპონენტის ეფექტიანად გამოყენებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ აქტივობის, როგორც განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტის, ზოგადი დანიშნულება. ჩვენი აზრით, ამ კომპონენტის განმსაზღვრელ შეფასებაში შეტანის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს სტუდენტის მუდმივი ჩართულობა სასწავლო პროცესში, გააძლიეროს მათი მოტივაცია დაესწრონ ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობს და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობაში. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეფასების ამ კომპონენტის შინაარსის იმგვარად განსაზღვრა, რომ უზრუნველყოფილ იქნას მისი ამ დანიშნულების განხორციელება.

აქტივობის კომპონენტის კონკრეტული შინაარსის განსაზღვრის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ თუმცა აქტივობა კურიკულუმებში შემოტანილია, როგორც განმსაზღვრელი

პედაგოგია/Pedagogics

შეფასება, არსებითად იგი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. ამ კომპონენტით ფაქტობრივად ვასდება, თუ რამდენად არის სტუდენტი ორიენტირებული განვითარებაზე.

განმსაზღვრელი შეფასების ამ ნაწილში სტუდენტთა აქტივობის სხვადასხვა ფორმა ვასდება. მასში შეიძლება შედიოდეს ზეპირი პასუხი პრაქტიკულ მეცადინეობაზე, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარი, სტუდენტის აქტიურობა ლექციაზე, პრეზენტაცია... ფაქტობრივად შესაფასებელი აქტივობების ნუსხა შეუზღუდავია და დამოკიდებულია სასწავლო პროცესის წარმართვის ტექნოლოგიაზე, იმაზე, სწავლების რომელ მეთოდებს იყენებს ლექტორი.

ზოგჯერ აქტივობაში შეტანილია დასწრების კომპონენტი, რაც დავას იწვევს. მოწინააღმდეგეები გაუმართლებლად მიიჩნევენ სტუდენტმა გარკვეული ქულა მიიღოს ისეთ კომპონენტში, რომელიც არ ადასტურებს არც ცოდნისა და არც უნარ-ჩვევების ფლობას. ასევე, მათთვის მიუღებელია სტუდენტის მიერ შეფასების სხვა კომპონენტებში დამსახურებულ შედეგს საბოლოო შეფასებაში დააკლდეს გაცდენის ქულა.

რა თქმა უნდა, ამ მსჯელობას აქვს თავისი საფუძველი და არსებითად იგი მართებულია. მაგრამ განმსაზღვრელ შეფასებაში დასწრების კომპონენტის არსებობასაც აქვს თავისი გამართლება. ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე თუნდაც პასიური დასწრება მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების მიღწევისათვის. მით უმეტეს მიზანშეწონილია ამ კომპონენტის შეტანა განმსაზღვრელ შეფასებაში საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, როცა სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ავლენს სწავლის შინაგან მოტივაციას. ასეთი სტუდენტებისთვის დასწრებაში ქულების დამსახურება სასწავლო პროცესში მონაწილეობის გარეგან მოტივატორად გვევლინება. რაც შეეხება საბოლოო შეფასებაში ქულების დაკლების გაუმართლებლობას, ეს ნაკლი მარტივად შეიძლება აღმოიფხვრას აქტივობის კომპონენტის ლაბილური დაგეგმვის ხარჯზე. სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დასწრების კომპონენტში დაკარგული ქულები სხვა აქტივობის ხარჯზე დაიმსახუროს.

პირადი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ იმ შემთხვევაში, როცა დასწრება განმსაზღვრელი შეფასების ნაწილია, ჯგუფებში უფრო მაღალია არამართო დასწრების მაჩვენებელი, არამედ სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონეც; სტუდენტი, რომელიც რეგულარულად ესწრება მეცადინეობებს, როგორც წესი, აუმჯობესებს მაჩვენებლებს შეფასების სხვა კომპონენტებშიც. ეს ეხება როგორც აქტივობის სხვა კომპონენტებში ნაჩვენებ შედეგებს, ისე რეიტინგულ გამოცდებზე მიღებულ შეფასებას.

აქტივობის ზოგადი მიზანი - ხელი შეუწყოს სტუდენტის სწავლის მოტივაციასა და განვითარებას - უნდა იყოს გათვალისწინებული აქტივობის ნებისმიერი ფორმის შეფასების დროს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მაქსიმალურად მოვუხსნათ სტუდენტს შეფასებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური დამბულობა, გავუმარტივოთ შესაფასებელ აქტივობაში მონაწილეობა.

მაგალითად, პრაქტიკულ მეცადინეობაზე ზეპირი პასუხის შეფასებისას შეიძლება გამოვიყენოთ ორი განსხვავებული მიდგომა: პასუხისათვის დამსახურებული ქულა განვსაზღვროთ იმის მიხედვით, რამდენად სრული და გამართულია იგი ან შევაფასოთ თავად აქტივობის ფაქტი და არა პასუხის ხარისხი. პირველ შემთხვევაში პასუხები შეფასდება სხვადასხვა ქულით, მეორე შემთხვევაში შეფასების ქულა უნიფიცირებულია, ერთნაირია პასუხის ხარისხის მიუხედავად.

ერთი შეხედვით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მეორე შემთხვევაში იჩაგრება სტუდენტი, რომელიც კარგად მოემზადა პასუხისათვის, რაც გამოიწვევს მის დემოტივაციას. თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასე არ ხდება, თუ ქულასთან ერთად პასუხი შეფასდება კომენტარის მეშვეობით, რომელშიც გამოიკვეთება ყოველი პასუხის დადებითი მხარეებიცა და ხარვეზებიც.

ამასთან, პასუხის უნიფიცირებული ქულით შეფასებას ახლავს უდავო უპირატესობა. ამ შემთხვევაში აქტიურობას იჩენენ ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც ვერ ახერხებენ საკითხის გამართულად ჩამოყალიბებას ან აკლიათ საკუთარი თავის რწმენა. პასუხის შედეგად მიღებული კომენტარი კი ეხმარება მათ შეცდომების იდენტიფიკაციასა და მათ ცოდნაში არსებული თეთრი ლაქების ამოვსებაში.

სწავლების შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ პასუხის დროს სტუდენტის მიერ დაშვებული შეცდომა უფრო ღირებულია, ვიდრე სრულყოფილი პასუხი. იგი იძლევა საშუალებას კიდევ ერთხელ გავამახვილოთ ყურადღება, საკითხის იმ ასპექტებზე, რომლებიც ნაკლებად გასაგებია. სტუდენტთა შეცდომები ხშირად მიუთითებს პედაგოგს, სუსტ წერტილებზე, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია, მოცემული საკითხების სწავლებისას.

პედაგოგია/Pedagogy

ეს ასპექტი შეიძლება ეფექტიანად გამოვიყენოთ სტუდენტთა აქტიურობის გასაზრდელად. ლოზუნგი - პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში დაშვებული შეცდომები უფრო ღირებულია, ვიდრე სრულყოფილი პასუხი - შეიძლება მრავალი პასიური სტუდენტის აქტივიზაციის ინსტრუმენტად ვაქციოთ. ხშირად მათი ინერტულობის მიზეზი სწორედ შეცდომის დაშვების შიშია.

რა თქმა უნდა, ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შემფასებლის დამოკიდებულებას. რამდენად შეძლებს იგი პოზიტიურად წარმართოს კომენტარი. დაანახოს სტუდენტს შეცდომისა თუ უზუსტობის გააზრების მნიშვნელობა. შესაძლოა, ზოგჯერ მაღლობაც კი გადავუხადოთ შეცდომისათვის, რომელიც შემდგომში მსგავს ხარვეზებს ააცილებს არა მარტო მას, არამედ მის თანაჯგუფელებსაც.

გამართლებულად მიგვაჩნია, ამავე პრინციპით შეფასდეს პრეზენტაციაც, როცა იგი აქტივობის კომპონენტია

აქტივობის ერთ-ერთ კომპონენტად შეიძლება ვაქციოთ ურთიერთშეფასებაც. სასურველია, პრაქტიკულ მეცადინეობაზე პასუხი თუ სხვადასხვა თემაზე წარმოდგენილი პრეზენტაცია თავდაპირველად ჯგუფის სხვა წევრებმა შეაფასონ კომენტარით. ამ დროს მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების ზუსტი განსაზღვრა. თუმცა არ არის სავალდებულო მათი ქულებში კონვერტირება. მაგალითად, თანაჯგუფელებმა შეიძლება გამოთქვან აზრი, რამდენად სრულყოფილი იყო პასუხი, დაშვებულ იქნა თუ არა არსებითი შეცდომები და უზუსტობანი, რამდენად გამართული და გასაგები იყო მეტყველება.

უნდა ვთქვათ, რომ სტუდენტთა ამ აქტივობაში ჩართვა საკმაოდ რთული პროცესია. თავდაპირველად ისინი ხშირად ცდილობენ ფონს გავიდნენ ზოგადი ფორმულირებებით (ყველაფერი სწორად თქვა; პასუხი კარგი იყო...), ზოგჯერ ერიდებიან კიდევ „მეგობრის დასმენას“. მაგრამ სწორად წარმართული მუშაობის შემთხვევაში, ისინი თანდათან აცნობიერებენ ამგვარი კომენტარის მნიშვნელობას და ეჩვევიან კონკრეტული აზრის გამოთქმას.

ამგვარი აქტივობა სტუდენტებს უვითარებს მოსმენის, დაკვირვების, შეცდომის იდენტიფიკაციისა და აზრის ფორმულირების უნარებს, აჩვენებს ყურადღების კონცენტრაციას, ეხმარება საკითხის გარშემო არსებული ცოდნის მობილიზებაში. რაც საბოლოო ჯამში აუცილებლად პოზიტიურად აისახება მათ შედეგებში. ურთიერთშეფასების კომპონენტში მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ აქტივობაში ჩართული ყოველი სტუდენტი შეფასდეს განსაზღვრული (უნიფიცირებული) ქულით.

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე აქტივობა, როგორც განმსაზღვრელი შეფასების ნაწილი, შეიძლება მრავალი სხვა კომპონენტით შეფასდეს, თუმცა მივიჩნევთ, რომ, შეფასების ნებისმიერი ფორმის გამოყენების შემთხვევაში არ უნდა დაიჩრდილოს აქტივობის კომპონენტის განმავითარებელი პოტენციალი. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უპირატესად შევავსოთ თავად აქტივობის ფორმებში ჩართულობის ფაქტი და ქულებში ნაკლებად ავსახოთ, რამდენად წარმატებით გაართვა თავი სტუდენტმა მის წინაშე დასახულ ამოცანას. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება, რომ ქულით შეფასდეს სრულიად არაადეკვატური პასუხი, კომენტარი, რეპლიკა ან სხვა ისეთი ქმედება, რომელიც არ აკმაყოფილებს შეფასების არცერთ კრიტერიუმს.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ სტატიაში გამოთქმული მოსაზრება არ არის უნივერსალური. აქტივობის ფორმებში მონაწილეობის დიფერენცირებული შეფასება წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სწავლების პროცესში. თუმცა პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ შეფასების ქულების უნიფიცირების შემთხვევაში ამკარად იმატებს პასიური სტუდენტების ჩართულობა, რაც სწავლების ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ.

ლიტერატურა

1. სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008
2. <http://www.pearsoned.com>
3. <tps://www.edutopia.org/assessment-guide-description>

რეზიუმე

შეფასების, როგორც სწავლა-სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა თანამედროვე განათლების სისტემაში. დღეს იგი გვევლინება სწავლების პროცესის აქტიურ კომპონენტად, რომელიც არა მხოლოდ განსაზღვრავს სტუდენტის მიღწევებს, მისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობას პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციასთან, არამედ წარმოადგენს სწავლების პროცესის დახვეწისა და სტუდენტთა სასწავლო უნარების განვითარების ინსტრუმენტს.

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განმსაზღვრელი შეფასების ერთ-ერთ კომპონენტს - აქტივობას. აქტივობა ფასდება ქულებით და მისი შედეგები აისახება შემაჯამებელ შეფასებაში.

შეფასების ამ ფორმის შინაარსი მკვეთრად არ არის განსაზღვრული. ფაქტობრივად, აქტივობის კონკრეტული შინაარსის განმსაზღვრელია საგნის სპეციფიკა, მაგრამ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ თუმცა აქტივობა კურიკულუმებში შემოტანილია, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, არსებითად იგი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. ამ კომპონენტით ფაქტობრივად ფასდება, თუ რამდენად არის სტუდენტი ორიენტირებული განვითარებაზე. ამ მიზნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უპირატესად შევაფასოთ თავად აქტივობის ფორმებში ჩართულობის ფაქტი და ქულებში ნაკლებად ავსახოთ, რამდენად წარმატებით გაართვა თავი სტუდენტმა მის წინაშე დასახულ ამოცანას.

Lela Edzgeradze - Akaki Tsereteli State University, Associate professor

Activity as a component of summative assessment

Abstract

Assessment is most important and active component of teaching-learning process. There are distinguished two main types of assessment: summative assessment and formative assessment. They have different goals. The goal of summative assessment is to evaluate student learning by comparing it against some standard or benchmark, whilst formative assessment helps students identify their strengths and weaknesses. It helps teachers to improve their teaching and students to improve their learning. These two types of assessment are divided in theory, but in practice the same activity may be used for both goals.

The article deals with one of the forms of summative assessment – activity - used in Georgian universities to evaluate the students. We consider that this form of summative assessment in fact has great formative potential and suggest some ways how take advantage of its opportunities.

სოფიო ფანჩულიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების აკადემიური დოქტორი

აღზრდის მიზნები და ამოცანები დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში

აღზრდა მიზანმიმართული და საგანგებოდ ორგანიზებული პროცესია, რომელიც მოითხოვს ისეთ წარმართვას, რომ შესაძლებელი გახდეს მიღებული შედეგების წინასწარ დაგეგმვა ან განჭვრეტა. ამიტომ ისეთ რთულ პროცესში, როგორც არის აღზრდა, საჭიროა მიზნისა და ამოცანების სწორი გააზრება რეალურ საფუძველზე.

აღზრდის მიზანი პედაგოგიკური მეცნიერებისათვის ყოველთვის თანმხლები პრობლემა იყო, რადგან იგი საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა.

პიროვნების ჰარმონიული აღზრდის საჭიროებაზე ყოველთვის საუბრობდნენ პედაგოგიკის კლასიკოსები. მათ მიაჩნდათ, რომ საჭიროა სრულყოფილი იდეალებით აღჭურვილი ახალგაზრდის აღზრდა. არისტოტელე ყოველმხრივ განვითარებაში, გულისხმობდა ფიზიკურ, ზნეობრივ, გონებრივ და ესთეტიკურ განვითარებას. შემდგომში, ადრეული ხანის სოციალ-უტოპისტებმა საჭიროდ ცნეს მას დამატებოდა შრომითი აღზრდა.

მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, ავტორიტარული აღზრდა იქცა მწვავე და თითქმის საყოველთაო პრაქტიკად. ამიტომაც წამოაყენეს ამ ტიპის სკოლის გარდაქმნის მოთხოვნა პრინციპით - „სკოლა ცხოვრებისათვის და ცხოვრების მეშვეობით“ (დეკროლი), „აქტიური სკოლა“ (პეტერსონი), „საუკუნის ღირსეული ბავშვის სკოლა“ (ელენ კეი). ისინი მოითხოვდნენ ისეთი სკოლისა და ისეთი აღზრდის სისტემის შექმნას, რომლის ცენტრში იქნებოდა ბავშვი, მისი მოთხოვნილებანი და შესაძლებლობანი. ამ ახალმა პედაგოგიკურმა კონცეფციებმა მიიღეს საერთო სახელწოდება - „რეფორმატორული პედაგოგიკა“ ანუ „ახალი აღზრდა“.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდა „თავისუფალი აღზრდის თეორია (მისი მთავარი არის იყო ბავშვობიდან გამოსვლა). ამავე პერიოდში წინა პლანზე წამოვიდა ექსპერიმენტული პედაგოგიკის სკოლების ჩასახვა. ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ ფეხი მოიკიდა საქართველოშიც. მისი ფუძემდებელი გახდა დიმიტრი უზნაძე.

მეოცე საუკუნის გამოჩენილმა ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ არ გაიზიარა მარქსისტული იდეა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შესახებ და წამოაყენა ჰიპოთეზა აღზრდის მიზნისა: „ჰარმონიულად განვითარებული იდეალური ინდივიდის შემუშავება“.

ახალი თაობის გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური ძალების სასურველი მიმართულებით წარმართვა და მის სრულყოფილ განვითარებას დ. უზნაძე ახალი სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სახავდა. აქედან გამომდინარე იგი აკეთებს ასეთ დასკვნას: „აუცილებელია აღზრდის მიზანი მარტო მეხსიერებისა და ცოდნის ფარგლებში კი არ დარჩეს მომწყვდეული, არამედ იგი ადამიანის მთლიანი ბუნებისაკენ იყოს მიმართული“ (1, გვ.51). „აღზრდას არასდროს არ უნდა ჰქონდეს დასახული მიზნად ცალმხრივობა. იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის მთლიანი (ყოველმხრივი) სრულყოფისათვის“ (2, №3).

დიმიტრი უზნაძე აღზრდის მიზნის შინაარსის განსაზღვრის დროს პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდის მომზადებას ცხოვრებისათვის. „აღზრდა რთულ საზოგადოებრივ ერთეულს გულისხმობს, - წერს დიმიტრი უზნაძე - სადაც არ არსებობს საზოგადოება, იქ არც აღზრდა იქნება და, სადაც სუსტია საზოგადოებრიობა, იქ აღზრდის პრაქტიკაც ძნელად თუ გასცილდება ოჯახის ვიწრო ფარგლებს“ (3, გვ.46). დიმიტრი უზნაძე გმობს პასიურობას და ავითარებს მოსაზრებას აქტიური პიროვნების აღზრდის შესახებ. დიმიტრი უზნაძე ადამიანის პასიურობას უპირისპირებს „პასიურობის განსულიერებასა და გააქტივებას“ და წერს: „თუ მართლა ჩვენი დანიშნულება პასიურობის განსულიერებასა და გააქტივებაში მარხია, ცხადია, რომ ჩვენი უდიდესი მოვალეობა, მუდმივი სამსახური ყოფილა ამ დანიშნულებისა, მუდმივი წინსვლა და განვითარების შეტანა ცხოვრების პროცესში. აქედან აღზრდის მიზანი ცხადად სახიერდება; იგი ყველა ღონესა და საშუალებას სწორედ იმ მხრით უნდა მიმართავდეს, რომ არ დარჩეს არცერთი ეგზემპლარი ადამიანისა, რომელიც თავისი უზენაესი დანიშნულების განსახორციელებლად გამოუსადეგარი აღმოჩნდება; მან უნდა გაბედულად და მოურიდებლად გადალახოს ყველა დაბრკოლება, რომელიც ცხოვრების პროცესით შემუშავებულ ღონეს ადამიანის ძალის განვითარებისას დაბლა სწევს და იმავე საფეხურზე სტოვებს, რომელზეც იგი ადრე მდგარა. სკოლა, როგორც ორგანიზაცია, აღზრდის მიზანს იმაშივე უნდა სჭვრეტდეს: იგი უნდა სჭედდეს

და ლესავდეს ისეთ სულიერ ძალებს ადამიანის არსებაში, რომელთა მჭრელობაც ცხოვრების არსებული დონის ზევით აწევს პირობებს საუკეთესოდ უნდა შეეფერებოდეს“(4,გვ.147).

დიმიტრი უზნაძის აზრით, არ შეიძლება სკოლა მოზარდის, როგორც სოციალური არსის, ერთი რომელიმე ნიჭის ან უნარის ცალმხრივი განვითარებით დაკმაყოფილდეს. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით განვიხილოთ შემდეგი თანმიმდევრობით: გონებრივი აღზრდა, ზნეობრივი აღზრდა, ესთეტიკური აღზრდა, და ფიზიკური აღზრდა.

გონებრივ აღზრდას უზნაძის პედაგოგიკურ სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი, დიმიტრი უზნაძის აზრით, გონებრივი განათლება, ცოდნა ადამიანისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის ობიექტური შემეცნებისა და თვით ბუნების დამორჩილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

დიმიტრი უზნაძე გონებრივი განვითარების ორ მხარეს არჩევს: 1. არის გონების გზით მიღებული ცოდნის მარაგი და 2. მსჯელობის უნარი. პირველი შეადგენს შინაარსობრივ მხარეს, ხოლო მეორე-ფორმალურს, გონების მუშაობის უნარს. „სინათლის“ სკოლაში გონებრივი განათლება ორივე ამ მხარეს ითვალისწინებდა რამეთუ ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში გონებრივ აღზრდას, მეხსიერების განვითარებას, ცნობიერების გამდიდრებას და დაგროვილი ცოდნის შეთვისებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს.

რამოდენიმე სიტყვა **ზნეობრივი აღზრდის** შესახებ. ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა დიმიტრი უზნაძის შეხედულებების შესწავლა-გაცნობა „ახალი ტიპის“ ქართველის ზნეობრივ აღზრდასთან დაკავშირებით.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ცხოვრების შინაარსი ზნეობრივი მოთხოვნილებების გარეშე შეუძლებელია და მოზარდი თაობის ზნეობრივი სრულყოფა და განათლება აღზრდის ერთ-ერთ მიზნად უნდა იქნეს აღიარებული.

იგი ადამიანის არსებაში ნებისყოფის პრიორიტეტს იცავდა. მისი აზრით, ძლიერი ნებისყოფა შესაძლებელია არა მარტო კულტურული წინსვლისათვის, არამედ მისი რღვევის იარაღად შეიძლება იქნეს გამოყენებული. ამიტომ „ახალი სკოლა ახალგაზრდობაში ზნეობრივად და სოციალურად განწყობილი ნების შექმნაზე უნდა ზრუნავდეს“(5,გვ.268). დიმიტრი უზნაძის შეხედულებით, ზნეობრივი აღზრდა მხოლოდ გონების განვითარებას არ უნდა მოიცავდეს, არამედ ის გონების საზღვრებს სცილდება და უმთავრესად ნებისყოფის სფეროში იჭრება და გრძნობათა ძლიერი ზაგავლენით მოქმედებს. აქედან გამომდინარე, უზნაძეს „ზნეობრივი აღზრდის პრობლემა... ბოლოს და ბოლოს გრძნობათა სფეროში ზეგავლენის მოხდენის პრობლემად გამოდის“(1,გვ.267).

იმის გათვალისწინებით რომ, ზნეობრივი აღზრდის ფუძემდებლურ კატეგორიად ითვლება ზნეობრივი გრძნობა დიმიტრი უზნაძე სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ სკოლის ცხოვრება ისე უნდა გაფართოვდეს, რომ ბავშვებს ჰქონდეთ მეტი საშუალება თავისი ზნეობრივი პრინციპები პრაქტიკაში გადმოიტანონ და განახორციელონ, რაც ზნეობრივი აღზრდის გონივრული ფორმების შემოღებას გულისხმობს სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში.

ამ გზით შეთვისებულ ზნეობრივ პრინციპებს უზნაძის აზრით, სისტემატიზაცია და პრაქტიკულ-თეორიული შესწავლა სჭირდება სკოლის უკანასკნელ საფეხურზე. ზნეობრივი ხასიათის განმტკიცება ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასწავლებლის ზნეობრივ მაგალითს.

ზნეობრივი აღზრდა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ერთიან მთლიან პედაგოგიურ პროცესში, რომლის მიზანია ზნეობრივი პიროვნების ფორმირება- მისი შეგნებით, ზნეობრივი ნებისყოფით, ხასიათითა და საზოგადოებრივად ფასეული ქცევით.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძეს ზნეობრივი აღზრდის ყველაზე ეფექტიან გზად რამდენიმე პირობა მიაჩნდა: 1. ზნეობრივი ნებისყოფის განვითარება შეუძლებელია სწავლების პროცესის მაღალი დონის გარეშე; 2. ზნეობრივი აღზრდის პრინციპების თანმიმდევრობა, სისტემატიზაცია და აღზრდის სხვადასხვა რგოლის შეთანხმებული საქმიანობა.

იდეალურად აღზრდილი ადამიანის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **ესთეტიკურ გრძნობათა განვითარებას**.

ადამიანის ფსიქიკაზე გრძნობების მოქმედება წარმოშობს ესთეტიკურ გრძნობებს, რაც ჩვენ წინაშე აყენებს საკითხს ადამიანის ესთეტიკური აღზრდის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. აღზრდის მიზანი, დიმიტრი უზნაძის აზრით, იდეალური ინდივიდის შემუშავებაა, რაც ნათლად ცხადყოფს იმას,

პედაგოგია/Pedagogics

რომ „აღზრდელის მოქმედება ესთეტიკურ გრძნობათა განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართული“ (2, გვ. 4).

დიმიტრი უზნაძე აკრიტიკებდა რა „სულიერ ძალთა თამაშზე დამყარებულ კანტის „ესთეტიკური ტკბობისა“ და თამაშის პრინციპზე“ დაფუძნებულ შილერის „ესთეტიური აღზრდის“ თეორიას, იგი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა ადამიანში ესთეტიკურ გრძნობათა წარმოშობ გარე და შინაგან გრძნობათა განვითარებას. მას „გრძნობა ესთეტიკური ტკბობის საფუძვლად მიაჩნდა, ხოლო ფანტაზია კი ისეთ ძალად, რომელიც ამთავრებს ესთეტიკური ტკბობის შესაძლებლობას“ (2, გვ. 5).

დიმიტრი უზნაძე აღსაზრდელში მტკიცე ნებისყოფისა და აქტიური ხასიათის ჩამოყალიბებაში ხედავს, რომლის საფუძვლად მას აღსაზრდელის ფიზიკური განვითარება და წრთობა მიაჩნია. ახალი თაობის ფიზიკური განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა, უზნაძის შეხედულებით, ახალ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული. „ავადმყოფი და სუსტი, – წერს დ. უზნაძე, – ადამიანი ხანგრძლივს, ენერგიულ მუშაობას ვერ იტანს. გადწყვეტილების გამოტანა და, განსაკუთრებით, მისი ასრულება უკვე ცხადად უკავშირდება ორგანიზმის სიმრთელეს და მისი ძლიერების მდგომარეობას. აქედან ნათელი ეფინება იმ პირველ ამოცანას, რომლის ახსნაც აუცილებლად თავს უნდა იდვას საღმა პედაგოგიურმა დაწესებულებამ. სკოლაში ფიზიკურ აღზრდას უთუოდ განსაკუთრებული ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი“ (6, გვ. 47).

ფიზიკური აღზრდის ამოცანის გადაწყვეტის უმთავრეს საშუალებად დიმიტრი უზნაძეს მიაჩნდა სკოლებში „საგიმნასტიკო“ დარბაზების მოწყობა, ფიზიკური ვარჯიშების შემოღება და გაკვეთილის შუალედებს შორის ბავშვთა ასაკთან შეფარდებულ თამაშობათა ორგანიზაცია.

დიდი ფსიქოლოგის აზრით, ფიზიკური ვარჯიშობა, რომელიც ადამიანის ორგანიზმის ძალებს წვრთნის, ორგანიზმის კეთილდღეობაზე ზრუნვის მარტო ერთი მხარეა. იგი უსათუოდ უნდა შევავსოთ შეგნებული და მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნით ადამიანის ჯანმრთელობის ელემენტარული პირობების შესახებ.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძემ გაილაშქრა ძველი სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლის ინტელექტუალიზმით გატაცების წინააღმდეგ. მისი შეხედულებით აღზრდის მთავარი ამოცანა ისაა, რომ თითოეულმა ადამიანმა განახორციელოს თავისი დანიშნულება. სკოლა კი ის ორგანიზაციაა, რომელიც ამ ფუნქციის შესასრულებლად არსებობს. მისი აზრით, სწორედ სკოლამ უნდა გამოძერწოს ის სულიერი ძალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანის შესაძლებლობების ზრდას. ამით იგი საქართველოში იქცა „ახალი პედაგოგიური სკოლის“ ფუძემდებლად, რომლის ძირითად ამოცანად მას მოზარდი თაობის მთლიანი ბუნების, მისი გონებრივი ძალების აღზრდის, ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის აღზრდა – გამომუშავება

ამდენად, დიმიტრი უზნაძე პედაგოგიური პროცესის ძირითად დანიშნულებას მტკიცე ნებისყოფისა და აქტიური ხასიათის აღზრდაში ხედავს. ამის ფონზე განიხილავს ის სწავლებისა და აღზრდის შინაარსს. აყენებს ახალ დებულებებს. ახლებურად განიხილავს გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური და ესთეტიკური განვითარების ამოცანას, გვთავაზობს ნებისყოფის ვარჯიშის ორ საშუალებას: 1. სააღზრდელი მასალის ბავშვის ინტერესებისა და ფსიქოლოგიის შესაბამისად მიწოდება; 2. სხვადასხვაგვარი ხელსაქმე; რითაც ჩვენი ღრმა რწმენით საქართველოში საფუძველი ჩაუყარა „ახალი ტიპის“ ქართველის აღზრდას, ჰუმანური პედაგოგიური პროცესის აგების ტენდენციას, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას აღზრდისა და სწავლების პროცესში, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, აღზრდის მიზნების განსაზღვრისას, უზნაძე იმ თეზისს იზიარებდა, რომელიც წამყვანი გახდა თანამედროვე პედაგოგიკასა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ყველა პროგრესულ კონცეფციაში.

დიმიტრი უზნაძის პრაქტიკულმა ძიებამ ფაქტობრივად განსაზღვრა სასკოლო საქმის და აღზრდის დემოკრატიული ხასიათის განვითარება, რომელიც დღესაც ფართოდ იწერება და ვრცელდება საქართველოში.

პედაგოგიკა/Pedagogics

ლიტერატურა:

1. სარიშვილი ტ. სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდე საქართველოში, თბილისი, 1956წ.
2. უზნაძე დ. აღზრდის მიზნები, გაზეთი „დროება“ №2,3,6,8,1910 წ.
3. ბიბლიოეიშვილი ი., პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ბათუმი, 2011წ.
4. ბოცვაძე ლ. : თავისუფალი აღზრდა ბავშვისა“, ჟურნალი „ განათლება“, №6, 1908 წ.
5. ბასილაძე ი. კობრეიძე ქ., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ქუთაისი, 2004 წ.
6. უზნაძე დ. მოხსენება სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ №2, 1980 წ.
7. უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 2005 წ.
8. უზნაძე დ., „სინათლის“ სასწავლებლის ანგარიში, 1916.
9. უზნაძე დ., სკოლის რეფორმის შესახებ, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №5, 1990.

რეზიუმე

აღზრდა მიზნამიმართული და საგანგებოდ ორგანიზაციული პროცესია, რომელიც მოითხოვს ისეთ წარმართვას, რომ შესაძლებელი გახდეს მიღებული შედეგების წინასწარ დაგეგმვა და განჭვრეტა. ამიტომ ისეთ რთულ პროცესში, როგორც არის აღზრდა, საჭიროა მიზნისა და ამოცანების სწორი გააზრება რეალურ საფუძველზე.

პიროვნების ჰარმონიული აღზრდის საჭიროებაზე ყოველთვის საუბრობდნენ პედაგოგიკის კლასიკოსები.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი პოპულარული გახდა „თავისუფალი აღზრდის თეორია (მისი მთავარი არსი იყო ბავშვობიდან გამოსვლა).

ახალი თაობის გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური ძალების სასურველი მიმართულებით წარმართვას და მის სრულყოფილ განვითარებას დ. უზნაძე ახალი სკოლის ერთერთ უმთავრეს ამოცანად სახავდა. აქედან გამომდინარე იგი აკეთებს ასეთ დასკვნას: „აუცილებელია აღზრდის მიზანი მარტო მეხსიერებისა და ცოდნის ფარგლებში კი არ დარჩეს მომწყვდეული, არამედ იგი ადამიანის მთლიანი ბუნებისაკენ იყოს მიმართული“.

დიმიტრი უზნაძე აღზრდის მიზნის შინაარსის განსაზღვრის დროს პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდის მომზადებას ცხოვრებისათვის. „აღზრდა რთულ საზოგადოებრივ ერთეულს გულისხმობს, -წერს დიმიტრი უზნაძე - სადაც არ არსებობს საზოგადოება, იქ არც აღზრდა იქნება და სადაც სუსტია საზოგადოებრიობა, იქ აღზრდის პრაქტიკაც ძნელად თუ გასცილდება ოჯახის ვიწრო ფარგლებს“.

მომავალი თაობის გონებრივი, სულიერი და ფიზიკური ძალების სასურველი მიმართულებით წარმართვას, მის სრულყოფილ განვითარებას დიმიტრი უზნაძე ახალი სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიიჩნევდა.

Sophio Panchulidze-Academic Doctor

Educational Goals and Objectives in Dimitri Uznadze's Pedagogical Thinking

Abstract

Upbringing is an effectual and specifically organized process, which requires such manner to make possible pre-planning and foresight of the results. Therefore, in such a complex process as upbringing, it is necessary to analyze the goals and objectives on the real basis.

Pedagogical Classics always talked about the necessity of human's harmonious upbringing.

At the beginning of the 20th century one of the most popular theories became "The Theory of Free Upbringing" (Its main essence was moving from childhood to adolescence).

Dimitri Uznadze named one of the key areas of the new school thorough development and the desired direction of new generation's mental, physical and moral strength. Consequently, he concludes the following: " it is necessary that the aim of the upbringing did not stay inside the knowledge and the memory but it should be directed to human nature ".

Dimitri Uznadze, while determining the aim of upbringing, gives principal importance to adult's preparation for the life. According to his thinking "Upbringing is a complex public entity, where there is no society, there will be no education and where the community is weak, there the practice of upbringing can hardly come out of the family's narrow scope ".

Dimitri Uznadze named one of the key areas of the new school the thorough development and the desired direction of new generation's mental, physical and moral strength.

თამარ დოგრაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი

რუსეთის იმპერიის მისე ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, იგი ქართული ეკლესიის გარდაქმნას შეუდგა. გააუქმა ეკლესიის ავტოკეფალია და შემოიღო ეგზარქოსობა. საქართველოს ეკლესიის რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა სასულიერო-სამისიონერო საქმიანობის გაძლიერებას საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მთიანეთის არაქრისტიან მოსახლეობასა და აგრეთვე იმ რაიონებში, სადაც მთავრობის აზრით, სუსტი იყო მისი გავლენა. საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მთელი მოსახლეობის გაქრისტიანების მიზნით თავდაპირველად შეიქმნა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელიც ქართველი სასულიერო პირებით იყო დაკომპლექტებული, ხოლო შემდეგ მისი შემადგენლობა თანდათან შეიცვალა. უპირატესობა რუსი სამღვდელოების წარმომადგენლებს მიენიჭა. თუმცა ქართველთა მონაწილეობის გარეშე „კომისიის“ წარმატება გამორიცხული იყო, ეს კარგად ესმოდა, უწმინდეს სინოდსაც კი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსეთმა დაამთავრა კავკასიის იარაღით დაპყრობა და შეუდგა ამ მხარის ასიმილაციას, მის წინაშე უფრო ფართო მნიშვნელობის ორგანიზაციის შექმნის საკითხი დაისვა. ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის ინიციატივით. მას ეწოდა „კავკასიაში მართლმადიდებლური-ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება“. „ოსეთის კომისიის“ ბაზაზე შექმნილი ეს ორგანიზაცია ყოვლის-მომცველი იყო და თავისი საქმიანობით ცდილობდა კავკასიის გადაქცევას რუსეთის იარაღად მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ორგანიზაციაში, ისევე, როგორც „ოსეთის სასულიერო კომისიაში“, მონაწილეობას იღებდნენ ქართველი სასულიერო და საერო პირები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ოსეთში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. მეფის რუსეთის მთავრობამ დაპყრობილ მხარეებში, მათ შორის საქართველოშიც მრავლად გახსნა სასულიერო სასწავლებლები. ამ სასწავლებლების მეშვეობით თვითმპყრობელობისათვის ერთგული სასულიერო კადრების მომზადებით მთავრობა ცდილობდა პირველ რიგში შეეცვალა ეკლესიის მსახურთა-მგელი თაობა, რომლის ნაწილი მისი პოლიტიკის წინააღმდეგი იყო.

XIX ს. 60-იან წლებში თბილისში დაარსდა ვაჟთა სპეციალური სასწავლებელი. ეს იყო შემდგომში თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი. სასწავლებელი დაარსდა 1866 წელს „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ-საზოგადოების“ მიერ. „საზოგადოების“ მიზანს შეადგენდა მასწავლებელთა კადრების მომზადება მთიანი რაიონების სკოლებისათვის. ეს სკოლები განზრახული იყო ორივე სქესის ბავშვებისათვის და შეიცავდნენ ორ, ზოგან სამ კლასს და ამის მიხედვით 2-3 წლიანი სწავლების კურსს შეიცავდა. აქ სწავლობდნენ საღვთო სჯულს, რუსულ და ქართულ (მშობლიურ) ენებს, ანგარიშს, გალობას, „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების“ სკოლების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. 1865 წლისათვის მას კავკასიაში ჰქონდა 58 დაწყებითი სკოლა, აქედან 32 საქართველოს განაპირა კუთხეებსა და „სამხრეთ ოსეთში“ (შიდა ქართლი). სწავლება უმთავრესად რუსულ ენაზე წარმოებდა. მოწაფეთა რიცხვი აღნიშნულ სკოლებში ამ დროისათვის 1007 აღწევდა. „საზოგადოებისათვის“ უკვე ნათელი იყო, რომ სკოლების რიცხვის შემდგომი ზრდა ძალიან ფერხდებოდა მასწავლებელთა სიმცირის გამო. იშვიათობას წარმოადგენდა რუსულ ენის მცოდნე პედაგოგიური კადრები. ამ გარემოებამ გამოიწვია თბილისში სამასწავლებლო სკოლის დაარსება. სკოლა გაიხსნა 1866 წლის დეკემბერში, თბილისის განაპირა უბანში ნავთლულში. მას ეწოდა მეფე ალექსანდრე მეორის სახელი. [1, გვ. 451]. ნავთლულში სკოლა გაიხსნა იმ მიზნით, რათა მომავალი მასწავლებლები შორს მდგარიყვნენ საქალაქო მცხოვრებისაგან და თავიდანვე შეჩვეოდნენ იმ პირობებს, რომლებშიც მათ შემდგომ მოუხდებოდათ მოღვაწეობა. [2]. თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა საფინანსო-სამეურნეო დარგში ექვემდებარებოდა „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“, ხოლო სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის დარგში-კავკასიის სასწავლებელთა სამმართველოს მთავარ ინსპექტორს (1867 წლიდან კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს). მისი მიზანი იყო მასწავლებელთა მომზადება დაწყებითი სკოლებისათვის. თავდაპირველად თბილისის სამასწავლებლო სკოლა შეიცავდა სამ კლასს, სწავლების სამ წლიანი კურსით. მოწაფეებს ღებულობდნენ არა უმცირეს 16 წლის ასაკისას, რომლებსაც უნდა ჰქონოდათ დამთავრებული დაწყებითი სკოლა. ანდა ამავე სკოლის პროგრამით უნდა ჩაებარებინათ გამოცდები: 1) საღვთო სჯულში (მოკლე კატეხიზმის და საღვთო ისტორია); 2) რუსული ენაში (რუსული წერა-კითხვა ადგილობრივ მკვიდრთა ბავშვებს); 3) არითმეტიკაში (ოთხი მოქმედება მთელ რიცხვებზე.)

სამასწავლებლო სკოლის გახსნას დიდი ინტერესით შეხვდა თბილისის ახალგაზრდობა. გახსნის მომენტშივე იქნა შევსებული პირველი კლასის წინასწარ განზრახული კონტიგენტი 23 კაცის რაოდენობით (მათ შორის 16 ქართველი), მაგრამ ამ სკოლაში შესვლის მსურველთა დიდი რიცხვის გამო,

პედაგოგია/Pedagogics

ადმინისტრაცია იძულებული იყო კონტიგენტი გაედიდებინა 40 კაცამდე. მოსწავლეები მოდიოდნენ თბილისის სხვადასხვა სასწავლებლებიდან, ხშირად საშუალო სასწავლებელთა ზედა კლასებიდანაც კი. სკოლასთან არსებობდა პანსიონი სახელმწიფო ხარჯზე, მოწაფეთა უმრავლესობა პანსიონში ცხოვრობდა. ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო სკოლა იზიდავდა ახალგაზრდობას იმით, რომ იგი უმზადებდა კადრებს არა მარტო „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“, არამედ, საერთოდ მასწავლებლებს საქართველოს ყველა დაწყებითი სკოლისთვის, წარმოადგენდა საერო ტიპის სასწავლებელს, რომელიც თავისუფალი უნდა ყოფილიყო სასულიერო სასწავლებელთა და გიმნაზიებში გამეფებული სქოლასტიკურ-დოგმატიკური მეთოდებისა და ადამიანის ღირსების დამამცირებელი რეჟიმისაგან. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის სამასწავლებლო სკოლა იყო სრულიად ახალი ტიპის პედაგოგიური სასწავლებელი (მეორე მთელს რუსეთის იმპერიაში ეს იყო პროტოტიპი რუსეთში ახალი სამასწავლებლო სემინარიებისა, რომლებიც 1870 წლის დებულების მიხედვით იქმნენ დაარსებული). [2, გვ.35]. მართლაც, თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა მისი გახსნის პირველი წლიდანვე პერიოდულ პრესაში და ფართო საზოგადოებაში ყოველთვის სემინარიად იწოდებოდა. კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი თავის ანგარიშებში 1867-1868 წლისათვის წერდა, რომ თბილისის სამასწავლებლო სკოლას მისი ადმინისტრაცია, მხოლოდ თავმდაბლობით უწოდებს სკოლას, არსებითად იგი არის სამასწავლებლო სემინარია. [2, გვ. 452-453].

თბილისის სამასწავლებლო სკოლის დაარსებიდან, ერთი წლის შემდეგ, წესდების თანახმად, მასთან გაიხსნა პირველდაწყებითი სასწავლებელი. „სამასწავლებლო სკოლის“ მოსწავლეთა პრაქტიკული ვარჯიშისათვის (წესდება მე-3 მუხლი) ეს სასწავლებელი იყო ორწლიანი. აქ ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, რუსულ ენას, არითმეტიკას, სუფთა წერას, გალობას. ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო სკოლაში პედაგოგიკას, როგორც მეცნიერების სწავლება არ იყო დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ, სამაგიეროდ, კარგად იყო მოგვარებული მოსწავლეთა პრაქტიკულ-მეთოდოლოგიური მომზადება. მოსწავლეები მესამე კლასში იწყებდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას, საცდელ გაკვეთილებს აძლევდნენ სამასწავლებლო სკოლასთან არსებულ პირველდაწყებით სასწავლებელში. ამ გაკვეთილებს ესწრებოდნენ საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები და თავისუფალი პრაქტიკანტები. გადაცემული გაკვეთილის შემდეგ წარმოებდა მისი გარჩევა აღნიშნულ პირთა შემადგენლობაში. ქართული ენა თბილისის სამასწავლებლო სკოლაში (სემინარიაში) არ ითვლებოდა სავალდებულო საგნად და ამის გამო არც ცხრილში შედიოდა. სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს, უმთავრესად საქართველოს სკოლებისათვის, ქართველი ტომის მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობით, არ თვლიდა საჭიროდ ქართული ენის შემოღებას. სკოლის დირექტორი ზახაროვი, როგორც მეფის კოლონიური პოლიტიკის ერთგული მიმდევარი და რუსიფიკატორი, სასტიკად სდევნიდა ქართულ ენას, თუმცა ამას ფორმალურად არ ამჟღავნებდა. ის არ უწყევდა ანგარიშს „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“, რადგან დაწყებით სკოლებში, რომელთათვისაც ამზადებდა იგი მასწავლებლებს ქართული ენა სავალდებულო საგანი იყო და მამასადაამე, საჭირო იყო ამ საგნის მასწავლებელთა მომზადებაც. ეს გარემოება არ გამოპარვია მხედველობიდან სამოციანელი ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს, მაგალითად, გიორგი წერეთელს. იგი 1887 წელს თბილისის სამასწავლებლო სკოლის (სემინარიის) გამო კირილე ლორთქიფანიძეს წერდა. „ზემოხსენებული მასწავლებლების სემინარიას უნდა ეწოდოს „учительская семинария“, როდესაც ამ სასწავლებელში შეასრულებენ სწავლას ყმაწვილები, შემდეგ იმათ გზავნიან მასწავლებლებად „სასოფლო სკოლებში“, სადაც იმათ გლეხების ყმაწვილებს უნდა ასწავლონ რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი. ქართული კი არასგზით არ უნდა ასწავლონ. ასე ამრიგად, მთელი ხალხობა უნდა გაარუსონ... ვერიდოთ მმა, რომ მყობადმი დედ-მამის მკვლეელი არ დაგვიძახონ“. [2, გვ. 453].

1869 წელს თბილისის სამასწავლო სკოლაში ზემოთ აღნიშნა თავის მოსწავლეთა პირველი გამოშვება. სასწავლებელი დაამთავრა ცამეტმა კვალიფიციურმა პედაგოგმა. 1870 წელს დაისვა საკითხი ალექსანდრეს სამასწავლებლო სემინარიის კავკასიის სასწავლო ოლქის განკარგულებაში გადაცემის და მისი სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ. 1870 წლის 19 ივლისს „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების“ საბჭომ გაუგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს მოხსენება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ის ხარჯი, რომელიც სჭირდება სამასწავლებლო ინსტიტუტის შენახვას, აღემატება „საზოგადოების“ შესაძლებლობებს. გარდა ამისა სამასწავლებლო სკოლა თავისი მოცულობით და ხასიათით გასცდა იმ დანიშნულებას, რომელსაც მას „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ ანიჭებდა. აღნიშნულ „საზოგადოებას“ შეეძლო მხოლოდ 50-60 სკოლის გამართვა, კავკასიის მთიან რაიონებში, სკოლამ კი ამ დროისათვის უკვე გამოუშვა 29 მასწავლებელი და 3-4 წლის შემდეგ მთლიანად დააკმაყოფილებდა საზოგადოების სკოლების საჭიროებას. ამის შემდეგ კი სკოლა საზოგადოების ინტერესებისათვის უსარგებლო ხდება. [2, გვ. 456]. „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ამ თხოვნას დაემთხვა ის ფაქტი, რომ 1870 წ. იმპერიის სახალხო განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა თითო სამასწავლებლო-ინსტიტუტის დაარსება ყოველ სასწავლო ოლქში. კავკასიის სასწავლო ოლქს

პედაგოგია/Pedagogics

ემლეოდა შანსი, რომ ახალი ინსტიტუტის დაარსების ნაცვლად თავის სრულ განკარგულებაში უსასყიდლოდ მიეღო არსებული სამასწავლებლო სკოლა, როგორც მას სთავა-ზობდა „საზოგადოების“ საბჭო, მისი შესანახი ხარჯები დაკისრებოდა ხაზინას იმ პირობით, რომ „საზოგა-დოება“ შეინარჩუნებდა სამასწავლებლო ინსტიტუტში 18 პანსიონერის შენახვის უფლებას. [3]. სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა გადაკეთდა სამასწავლებლო ინსტიტუტად. ხოლო არსებული პირველდაწყებითი სასწავლებელი-ორკლასიანი საქალაქო სასწავლებლად. 1872 წლის 12 მაისს იმპერატორმა დაამტკიცა ალექსანდრე სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის წესდება. ახალი წესდებით სამასწავლებლო ინსტიტუტის ფუნქციები ფართოვდება. მის მიზანს ახლა შეად-გენდა პედაგოგთა მომზადება სამოქალაქო ორკლასიანი სასოფლო დაწყებითი სკოლებისათვის. ინსტიტუტი შედგებოდა 4 კლასისაგან, სწავლების ოთხწლიანი კურსით, ინსტიტუტი და მასთან არსებული საქალაქო სასწავლებელი გადადიოდა კავკასიის სასწავლო ოლქის განკარგულებაში. გაფართოებული იყო ინსტიტუტის სასწავლო კურსიც. პანსიონერები, რომლებიც სწავლობდნენ ინსტიტუტში სახელმწიფო ხარჯზე, ვალდებულნი იყვნენ ემსახურათ 6 წლის განმავლობაში მასწავლებლის თანამდებობაზე. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის დანიშვნის მიხედვით, ვინც არ ისურვებდა სასწავლო უწყებაში სამსახურს, ვალდებული იყო დაებრუნებინა ის ხარჯები, რომლებიც მასზე იყო გაწეული ინსტიტუტში სწავლების პერიოდში. [4]. 1872 წელს ინსტიტუტში სწავლობდა 48 მოსწავლე, მასთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში 36. 1873 წლის ივლისში მეფისნაცვლის ნებართვით ინსტიტუტი ნავთლულიდან გადმოიტანეს ქალაქის ცენტრში. 1879 წელი იყო სამოსწავლო ინსტიტუტის მე-7 გამოშვება. ინსტიტუტი დაასრულა 31 ახალგაზრდამ. მათ შორის 17 კურსდამთავრებულმა მიიღო ქალაქის და 14-მა სოფლის მასწავლებლის წოდება. მთლიანად არსებობის დღიდან ინსტიტუტი დაამთავრა 112 ახალგაზრდამ. 1884 წელს მოსწავლეთა რაოდენობამ ინსტიტუტში მიაღწია 105. [5]. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი უძველესი პედაგოგიური დაწესებულება იყო მთელს იმპერიაში. იგი იყო აგრეთვე პირველი პედაგოგიური სასწავლებელი მე-19 საუკუნის საქართველოში. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტს ახასიათებდა ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც გააჩნდა ცარიზმის მიერ საქართველოში დაარსებულ ყველა სასწავლებელს, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მოსახლეობის ფართო მასების განათლების საქმეში.

აარსებდა რა სასულიერო თუ საერო ტიპის სასწავლებლებს საქართველოში, მეფის რუსეთის მთავრობა თვითმიზნად არ ისახავდა ხალხის განათლებას. რუსეთის ცარიზმის მიერ საქართველოში დაარსებული ყველა ტიპის სასწავლებელი და მათ შორისაც თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა-ინსტიტუტი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურებოდა ქართველთა გარუსების და თვითმპყრობელური ჩინოვნიკური აპარატისათვის ადგილობრივი კადრების მომზადების პოლიტიკას. როგორც რუსეთის იმპერ-რიის სხვა განაპირა რაიონებში, აქაც განათლების ორგანიზაციის საქმეში კარგად მქლავნდებოდა „მთავრობის გონებამახვილური პოლიტიკა ინოვაციების რუსეთთან ერთ ეროვნებად შერწყმისა“. [6, გვ. 406].

ლიტერატურა

1. გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნები სისტორია საქართველოში 1801-1870 წწ. თბ. 1948.
2. ნ. პაპავა, სახალხო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (1864-1900წწ.) თბ. 1963.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 422, აღწ. 3. საქ. 356 ფ 2-13.
4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 422, აღწ. 3. საქ. 356 ფ 128-136
5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 422, აღწ. 3. საქ. 2018 ფურც. 53
6. ა. კვიციანი, თბილისის სასულიერო სემინარია და ნაციონალურ-განმანათლებლის უფლებელი მოძრაობა საქართველოში, თ.ს.უ. შრ. ტ. 34-ა, 1948.

რეზიუმე

ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმების შემდეგ რუსეთის ცარიზმმა საქართველოში დაიწყო რუსული პოლიტიკის გატარება. მან გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და შემოიღო ეგზარქოსობა. მეფის რუსეთის მთავრობამ დიდი ყურადღება დაუთმო სასულიერო-სამისიონერო საქმიანობის გაძლიერებას საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიანეთში. XIX საუკუნის 60-იან წლებში მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის უშუალო ინიციატივით შეიქმნა „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნო-ების აღმდგენელი საზოგადოება“, რომელიც სამისიონერო საქმიანობასთან ერთად აარსებდა „საზოგადოების“ სკოლებს. ამ სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა მომზადებისათვის მთავრობამ შექმნა თბილისში, კერძოდ ნავთლულში ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა, რომელიც შემდგომში გადაკეთდა ინსტიტუტად. თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა, რომელიც გაიხსნა 1866 წლის დეკემბერში საფინანსო-სამეურნეო დარგში ექვემდებარებოდა „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“, ხოლო სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის დარგში-კავკასიის სასწავლებელთა სამმართველოს მთავარ ინსპექტორს. სკოლის მიზანი იყო მასწავლებელთა მომზადება დაწყებითი სკოლებისათვის. სკოლას ჰქონდა პანსიონი მოსწავლეთათვის. 1872 წლიდან სკოლა გადაკეთდა სამასწავლებლო ინსტიტუტად. ამ ინსტიტუტის შენახვა „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ძალებს აღემატებოდა და მან შენობა გადასცა კავკასიის სასწავლო ოლქს იმ პირობით, რომ იგი მას წელიწადში 18 პანსიონერს მოუმზადებდა. ინსტიტუტი მეორე იყო რუსეთის იმპერიაში და პირველი კავკასიაში, როგორც პედაგოგიური სამასწავლებლო ინსტიტუტი.

თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტს ახასიათებდა ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც გააჩნდა ცარიზმის მიერ საქართველოში დაარსებულ ყველა სასწავლებელს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მოსახლეობის ფართო მასების განათლების საქმეში.

Tamar Dograsvili - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Tbilisi Teacher's Institute

Resume

Since the Russian Tsarism abolished Georgian county and in Georgian church began the church reforms, he paid a great attention to intensify the missionary activity in Georgian and the whole Caucasus to make nonechristian population christian ones. On this purpose in the 40-th XVII century instead of Osetian seminary commission, the Russian Tsarism and its clerks began to form more powerful organization. By the viceroy A. Bariatinskis initiative was created the "Society of restoring the orthodox christian religion in Caucases", with together with the missionary activity was founding the "Society" schools. To prepare the staff working at schools the government created Alexandre teachers school in Tbilisi, namely in Navtluli, which later was remade as the Institute.

Tbilisi Alexandre teachers school, which was opened in December in 1866 subordinated the "Christianity restoring society" in financial economical branch and in educational pedagogic branch it subordinated the Caucasian school administration chief inspector. The purpose of the school was preparations for the primary school. The School had the pansionate for the pupils as well.

In 1872 the school was remade as the teacher's Institute. To keep it was beyond the christian restoring society. Because of it he asked the government to hand the Institute to the educational region and to keep 18 pansioners there. it should be noted that this institute was second in the whole Russian empire and the first in Caucasus as the pedagogical Institute.

We mustn't forget that all the defects were characteristic for Tbilisi teachers Institute which were characteristic for all the Schools founded by tsarism in Georgia. Though it should be noted that Tbilisi teachers institute played a great role in education of large number of Georgian population.

ირინე გოგიბერიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

თავისუფალი და კრიტიკული აზროვნების განვითარება დაწყებითი კლასების მოსწავლეებში

მასწავლებელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია დაწყებითი კლასების მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში. პედაგოგისთვის გამოწვევას წარმოადგენს ამ მნიშვნელოვანი მიზნის მოსწავლის განვითარებისთვის შესაფერის აქტივობებად „გადაქცევა“. ამ მიზნის მიღწევა შესაძლოა ზედმეტად რთული მოგვეჩვენოს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ის მხოლოდ მცირე ცვლილებას მოითხოვს არსებულ მიდგომაში. მასწავლებლებს შეუძლიათ ყოველდღიურად შექმნან ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, მოახდინონ სამუშაო მასალის იდენტიფიცირება, სხვადასხვა მახასიათებლის ანალიზი, მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენა. აგრეთვე, მასწავლებლებს შეუძლიათ დროისა და სივრცის გამოყოფა გონებრივი იერიშისა თუ გეგმების დაწყობისა და შემოწმებისთვის. გთავაზობთ იმ გზებს, რომელთა საშუალებით მასწავლებელი დაეხმარება მცირეწლოვან მოსწავლეებს, იმუშაონ ამოცანებზე და ისწავლონ საკუთარ აღმოჩენებზე დაყრდნობით.

იმის ნაცვლად რომ მზა პასუხები შესთავაზოთ მოსწავლეებს, ყველაზე მარტივი საკითხებიც კი წარუდგინეთ როგორც ამოცანა, რომელიც თავად უნდა გადაჭრან. გაკვეთილის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით გაკვეთილის გეგმაში ყურადღება მიაქციეთ, თვალშისაცემია თუ არა აქცენტი:

- ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტაზე;
- ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობა - დასაბუთების უნარების განვითარებაზე;
- საგნისთვის სპეციფიკური ენისა და კომუნიკაციის სწავლებაზე;
- საგნის, როგორც კულტურის ნაწილის, წარმოჩენაზე;
- მოდელირებასა და გამოყენებებზე;
- ამოცანების ჩამოყალიბებასა და გადაჭრაზე;
- საგნის ფარგლებში მიმართულებათა ინტეგრაციაზე;
- საგანთაშორის კავშირებზე;
- შედეგებისა და ინდიკატორებისკენ მიმართულ სავარჯიშოთა სისტემაზე;
- მასალის ხელსაყრელ დასტრუქტურებაზე;
- პროექტებსა და ჯგუფურ სამუშაოებზე;
- ცნებების დამუშავებაზე;
- მოსწავლეთა თვითშეფასების მექანიზმებზე;
- დამხმარე დამატებითი მასალის გამოყენებაზე;
- მოსწავლეებისთვის საინტერესო – სახალისო მასალებზე (მოტივაციის მიზნით);
- დავალებების შესრულების გზებზე, მოსწავლეთა მოქმედების ხერხებსა და სააზროვნო ოპერაციებზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ სასწავლო აქტივობებს და გადაამოწმეთ:

- დაეხმარება თუ არა ის მოსწავლეებს აქტიურ სწავლაში, კვლევა-ძიებასა და პრობლემების გადაჭრაში.
- მოიცავს თუ არა მანიპულაციების გამოყენებას დაკვირვების/ძიების, მოდელირებისა და ანალიზისათვის.
- ნათელს ჰყენს თუ არა ტექნოლოგიების (კომპიუტერი, კალკულატორი) საჭიროებისამებრ გამოყენებას.

პედაგოგია/Pedagogics

- წარმოაჩენს თუ არა, როგორ დაეხმარება ტექნოლოგიები მოსწავლეებს რთული ცნებების ვიზუალიზაციაში, ინფორმაციის ანალიზსა და სრულყოფაში, ამონახსნების წარმოჩენაში.
- მოიცავს თუ არა მოსწავლეთა მიერ ცნებათა შესწავლის, იდეებისა და ამონახსნების გაზიარების სხვადასხვა გზებს.
- შესაფერისია თუ არა მოსწავლეთა განვითარებისთვის და განსხვავებული მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის მქონე მოსწავლეთათვის.
- წახალისებს თუ არა დისკუსიასა და რეფლექსიას.
- ჰყენს თუ არა ნათელს მოსწავლეთათვის სტანდარტული პროცედურების/ალგორითმების (მაგალითად, აგების, გაზომვის, გამოთვლის და სხვა) გამოყენების მიზანშეწონილობას?

1. გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს გაკვეთილზე განსახილველი საკითხი. იგი წინასწარ გულდაგულ გადახედავს მთელ მასალას.

მოტივაცია 1) რით არის ღირებული ეს გაკვეთილი.

- როგორ უკავშირდება იმ თემებს, რაც აქამდე ისწავლეს.
- როგორ გამოიყენება იგი მოსწავლეთა მიერ ადრე შეძენილ უნარ-ჩვევებთან?
- როგორ დაეხმარება იგი მოსწავლეს საგანში ცოდნის გასაღრმავებლად.
- როგორ ეხმარება იგი მოსწავლის პირად ინტერესებს?
- მომავალში რის გაგებაში დაეხმარება იგი მოსწავლეს?

2. როგორ უწყობს ეს გაკვეთილი ხელს კრიტიკული აზროვნების განვითარებას?

- რა ინფორმაციის მიღების საშუალება აქვთ ამ გაკვეთილიდან?
- როგორ დავეგემოთ, რომ გამოვიწვიოთ მოსწავლის პასუხები?
- რომელი საკითხი იძლევა კამათის საშუალებას?
- როგორ შეიძლება ამ საკითხის განხილვა სხვადასხვა საგნის ინტერესებიდან გამომდინარე?
- როგორ შეიძლება გაკვეთილის გამოყენება შეკითხვების დასმის, ანალიზის, კამათის უნარ-ჩვევების განსავითარებლად?
- შემდგომში რომელი თემის განხილვის საშუალებას იძლევა?

მიზნები: გაკვეთილის დაგეგმვისას შეიძლება რამდენიმე მიზანი იყოს განსაზღვრული. ეს მიზნები უნდა იყოს კონკრეტული და იოლად სადემონსტრაციო და უფრო მაღალი დონის აზროვნების განვითარებისათვის. კრიტიკული აზროვნებისათვის აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა წარმოადგინონ.

- **ცოდნა.** უნდა შეძლონ გაგონილის გამეორება იმ ფორმით, რა ფორმითაც უნდა მივაწოდოთ.
- **გაგება.** უნდა შეძლონ მიწოდებული აზრი გადმოგვცენ თავიანთი სიტყვებით.
- **გამოყენება.** უნდა შეძლონ ახალი პრობლემების გადაჭრა იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც ისწავლეს.
- **ანალიზი.** უნდა დაანაწევრონ რთული აზრი ნაწილებად, დაადგინონ მისი გამომწვევი მიზეზები.
- **სინთეზი.** სხვადასხვა აზრის შეჯამება და ახალი აზრის გამოტანა.
- **შეფასება.** რაიმე აზრის განმარტებისას, ამა თუ იმ აზრის შესაბამისობის დადგენა.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა იაზროვნონ ისე, როგორც მასწავლებელს სურს, საჭიროა:

- მასალაში საინტერესო მნიშვნელობის დეტალის მოძებნა;
- პირადი ცხოვრებიდან მაგალითების მოგონება და სხვისთვის გაზიარება;
- ორი ან მეტი აზრის შედარება;
- იმ მიზეზთა გააზრება, რომლებიც საფუძვლად უდევს მოსწავლეთა აზროვნებას;
- საპირისპირო პოზიციის გამოხატვა და დაცვა;
- აზრის სხვაგვარად წარმოდგენა, ან მის ნაწილობრივ შეცვლა შედეგების განხილვის მიზნით;
- იმის გადაწყვეტა, თუ რა ცოდნაა საჭირო ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით;
- გაკვეთილზე განხილულ საკითხებზე მოქმედების საუკეთესო გზის გამოძებნა.

წინაპირობები

ცოდნის რა საფუძველი უნდა ჰქონდეს მოსწავლეს იმისათვის, რომ წარმატებით შეძლოს ცოდნის მიღება ასეთი ტიპის გაკვეთილიდან.

- წინასწარი ცოდნა გაკვეთილის შინაარსის შესახებ.
- გაკვეთილზე ჩართული აზროვნების და სწავლის პროცესის გამოყენების უნარი.

შეფასება

რა საბუთი უნდა ვეძიოთ იმაში დასარწმუნებლად, რომ მოსწავლეები წარმატებით იძენენ ცოდნას?

- რა გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები გაკვეთილის შინაარსს კარგად ითვისებენ?
- რა გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები კარგად გაიწაფნენ აზროვნებასა და სწავლაში?

როგორ შევამოწმოთ, რამდენად ადეკვატურად ასრულებენ ისინი ამოცანას:

ცოდნის შეძენის საშუალებები და დრო: როგორ უნდა განაწილდეს მასალა და დრო? დროის მართვა რთულია. გამოცდილ მასწავლებელსაც კი უჭირს, წინასწარ განსაზღვროს, რამდენი დრო დასჭირდება ჯგუფური მუშაობის ჩატარებას, რათა დასახული მიზანი მიღწეული იქნას. მაგალითად, თუ ღონისძიება: „იფიქრე, გაუზიარე პარტნიორს“ 5 წუთზეა გათვლილი, მან იცის, რომ უნდა შეზღუდოს საუბარი იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოსწავლეები სიამოვნებით საუბრობენ ამ თემაზე. მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს „გავრცობის“ ღონისძიება, რომელიც კლასის შემდეგ შეიძლება გაგრძელდეს, თუ კი დრო არ იქნება კლასში საკმარისი.

შეიძლება გაკვეთილი დაგეგმოს რამდეჯერმე. შესაძლებელია მეხსიერების პროვოცირება ჩატარდეს ერთ გაკვეთილზე და დამოუკიდებლად მივცეთ საშუალება მნიშვნელობის რეალიზებისა (კითხვის, წერის ღონისძიებები), შემდეგი გაკვეთილი შეიძლება დაეთმოს გააზრების ღონისძიებას, რომელსაც მოსდევს ინდივიდუალური ან ჯგუფებში განსახორციელებელი გავრცობის ღონისძიებები. შეიძლება მეხსიერების პროვოცირების ახალი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც იგივე თემას სხვა კუთხიდან გააშუქებს, ან სხვა თემის განხილვას შეუწყობს ხელს.

დაჯგუფება.

წინასწარ უნდა მოვიფიქროთ, როგორ დავაჯგუფოთ მოსწავლეები.

საკუთრივ გაკვეთილი

გაკვეთილის შემადგენელი ნაწილებია: მეხსიერების პროვოცირების, მნიშვნელობის რეალიზების და გააზრების სამნაწილიანი მოდელი.

1. **მეხსიერების პროვოცირება:** როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ჩამოაყალიბონ ის კითხვები და მიზნები, რომელიც თემასთან არის დაკავშირებული.

- როგორ მოვახდინოთ მათი აზროვნების კონცენტრირება ამ თემაზე?
- როგორ გამოვიწვიოთ მათი ინტერესი?
- როგორ შევახსენოთ უკვე ნასწავლი?

როგორ დავეხმაროთ კითხვების ფორმულირებაზე?

აქ გამოიყენება შემდეგი სტრატეგიები:

წინასწარი ორგანიზება: ამდროს ხდება არსებული ცოდნის გახსენება და საკითხის შესახებ ცნობისმოყვარეობის გაღვივება.

ყურადღების გამახვილება მიმართულ კითხვებზე: მასწავლებელი უსვამს კითხვებს, რომლებზეც პასუხი პრეზენტაციის ან წაკითხვის შემდეგ გაეცემა (წინასწარ თქვან რა მოხდება შემდეგ)

აზროვნება წყვილებად: წყვილებად დაჯგუფებულმა ჩამოუთვალონ ერთმანეთს რა იციან ამ საკითხზე.

ასოციაციური დაკავშირება. ერთად იმსჯელონ ამ თემაზე და გამოიყენონ ასოციაციური დაკავშირების გრაფიკული ხერხი აზრების ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

კითხვის და აზროვნების წარმართვა. მასწავლებელი დაყოფს ტექსტს მონაკვეთებად და სთხოვს მოსწავლეებს ივარაუდონ, რა მოხდება შემდეგ მონაკვეთში.

2. **მნიშვნელობის რეალიზება.** როგორ ჩაუღრმავდნენ შინაარსს.

ა) დემონსტრირება თუ პრეზენტაცია:

- რა სახის შინაარსი იქნება წარმოდგენილი?

პედაგოგია/Pedagogics

ბ) მოსწავლეთა გამოკითხვა: რა უნდა გააკეთონ რომ ჩაულრმავდნენ შინაარს და მოახდინონ მნიშვნელობის რეალიზაცია.

ამ ეტაპზე ორი რამ არის გასათვალისწინებელი: პირველი, მასალის მოსწავლეებამდე დაყვანა და მეორე, მოსწავლეთა აქტიური ჩაბმა მასალის მოპოვებასა და მასში მნიშვნელობის ძიებაში.

ამ ეტაპზე შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდები:

ჩასმის მეთოდი: იმის შემდეგ, რაც მოსწავლეები თავს მოუყრიან თავიანთ ცოდნას ამ თემის ირგვლივ, მასწავლებელი სთხოვს მათ ტექსტში მონიშნონ ის მონაკვეთები, სადაც დასტურდება ან პირიქით, არ დასტურდება ის, რაც მათ იციან. კარგი იქნება, თუ იმ მონაკვეთებსაც აღვნიშნავთ, სადაც ის აზრია გამოთქმული. რაც მათთვის მოუღელდნელი იყო, ან ის მონაკვეთი, რომელიც მათ შეკითხვებს იწვევს.

კითხვისა და აზროვნების სავარჯიშო: ტექსტის ნაწილებად დაყოფა და ვარაუდების გამოთქმა, რა იქნება შემდეგ.

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური: რვეულის გვერდის შუაში უნდა გაივლოს ხაზი. მარცხენა მხარეს ჩაწერონ მათთვის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ტექსტიდან, მარჯვნივ კი თავიანთ კომენტარს ამ მონაკვეთის შესახებ.

კითხვის დასმის პროცედურა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაუსვან ერთმანეთს კითხვები იმ მონაკვეთის შესახებ, რომლებსაც კითხულობენ და უპასუხონ ამ კითხვებს.

ურთიერთსწავლება: იმის შემდეგ, რაც ტექსტის მონაკვეთს წაიკითხავს მოსწავლეთა პატარა ჯგუფი, ამ ჯგუფის თითოეული წევრი რიგრიგობით თამაშობს მასწავლებლის როლს, აჯამებს წაკითხულს, უსვამს კითხვებს, დანარჩენებს წაკითხულის შესახებ. განმარტავს გაუგებარ მონაკვეთებს და ივარაუდებს რა არის მოსალოდნელი ტექსტში.

ერთობლივად სწავლების ჯგუფები: ასეთ ჯგუფებში შეიძლება დაისვას კითხვები და წამოიჭრას პრობლემები, რომლებიც ჯგუფურად გადაწყდება. შეიძლება მოსწავლეებს მივანიჭოთ როლები (მოდერატორი, მომხსენებელი, მდივანი და ა.შ.) ერთობლივი სწავლების საშუალებით. შეიძლება მასალა სხვადასხვა კუთხით მივაწოდოთ.

3. **გააზრება:** როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები გაკვეთილის შინაარს.

ა) საუბარი, რომელსაც გულისხმობს გააზრებასთან წერიტი დავალება.

ბ) წარმოდგენილი უნარის ან კონცეფციის გამოყენება, ეს არის ბოლო ეტაპი სწავლების პროცესში. როცა მოსწავლეები ნასწავლს პრაქტიკაში იყენებენ. ამდენად გააზრების ცნება გამოყენებასაც გულისხმობს. ამიტომ საჭიროა ნასწავლის გამოყენებაზე ვარჯიში მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ, ახალ სიტუაციებში ახალი ამოცანების გადასჭრელად.

გააზრების ეტაპზე გამოსაყენებელი მეთოდები:

კითხვები, რომელსაც მკითხველებმა უნდა გასცეს: მასწავლებელი სვამს ზოგად კითხვებს.

- რა შეამჩნიეთ ტექსტში?
- რაზე დაგაფიქრათ მან?
- რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?
- რომელი წინადადება იყო მნიშვნელოვანი?

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური. ამ დღიურში რაც ჩაწერეს, იმას უზიარებენ ერთმანეთს.

საუბარი და კითხვების განხილვა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს განიხილონ ინტერპრეტაციაზე მიმართული კითხვები, რომლებიც წინასწარ აქვთ მომზადებული. ეს ისეთი კითხვებია, რომლებიც ტექსტთან არიან დაკავშირებული და სულ ცოტა ორნაირი პასუხი მაინც შეიძლება გაეცეს.

დამიტოვებთ სათქმელი: მოსწავლეებმა ბარათის ერთმხარეს უნდა დაწერონ ციტატა ქესტიდან, მეორე მხარეს კომენტარი ამ ციტატაზე. კომენტარი შეუძლია ყველამ გააკეთოს. ბოლო სიტყვას იტყვის ის, ვინც ციტატა დაწერა.

სასაუბრო სქემა: დაწყვილებული მოსწავლეები ჩამოთვლიან არგუმენტებს იმის შესახებ, უჭერენ თუ არა მხარს ტექსტში მოცემულ საკითხს, რომელზეც ორგანიზირებული პასუხი მაინც შეიძლება გაეცეს და წყვილებში განიხილავენ ამ საკითხს

დებატები: ერთმანეთში საუბარი შეიძლება გადაიზარდოს დებატებში. საკლასო ოთახში გადადიან ერთი კუთხიდან მეორეში იმის მიხედვით, თუ ვის ემხრობიან.

პედაგოგია/Pedagogics

ათწუთიანი ესსე. მოსწავლეებს შეუძლიათ მოკლედ დაწერონ იმის შესახებ, რაც ისწავლეს, რათა გაიაზრონ მასალა.

ბარათები: როცა დრო შეზღუდულია, მოსწავლეებს შეუძლიათ ბარათებზე დაწერონ.

- ა) გაკვეთილზე განხილული ძირითადი აზრი,
- ბ) ერთი კითხვა, რომელიც მათ გაუჩნდათ კონკრეტულ მასალასთან.
- გ) ზოგადი კითხვა მასალის შესახებ.

დასასრული

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ გაკვეთილიდან? რამდენად სასარგებლოა საკითხების ბოლომდე მიყვანა?

მასწავლებელმა წინასწარ უნდა გადაწყვიტოს როგორი დასასრული ექნება გაკვეთილს, არის თუ არა ისეთი პრინციპები თუ ცნებები, რომელთა შესწავლამაც სარგებლობა მოუტანა მათ თუ ამ საკითხებს კიდევ განმეორება სჭირდება? დარჩა თუ არა საკითხები, რომელთა შესწავლაც ვერ მოვასწარიტ? ასეთ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხები გადაუჭრელად დარჩა, ვთხოვით მოსწავლეებს კიდევ ერთხელ გამოთქვან საკამათო საკითხები.

რეზიუმე

მასწავლებელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია დაწყებითი კლასების მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში. პედაგოგისთვის გამოწვევას წარმოადგენს ამ მნიშვნელოვანი მიზნის მოსწავლის განვითარებისთვის შესაფერის აქტივობებზე „გადაქცევა“. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ის მხოლოდ მცირე ცვლილებას მოითხოვს არსებულ მიდგომაში. მასწავლებლებს შეუძლიათ ყოველდღიურად შექმნან ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, მოახდინონ სამუშაო მასალის იდენტიფიცირება, სხვადასხვა მახასიათებლის ანალიზი, მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენა.

Irine Gogiberidze - Akaki Tsereteli State University

The development of free and critical thinking in primary school pupils Summary

Teachers have a particularly important role in the process of developing critical thinking and problem solving skills in the primary grade students. The challenge for the teacher is to convert this important goal into the right activities for the student's development. However, in most cases, it requires only a small change in the current occasion. Every days, teachers are able to create an environment in which students will have the opportunity to identify the materials, to analyze different features, to reveal similarities and differences.

ნინო ჭოხონელიძე -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

მ. მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია და საქართველო

ქართული პედაგოგიური საზოგადოებისათვის იტალიელი ჰუმანისტის და პედაგოგის მ. მონტესორის სახელი ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჟურნალმა „განათლებამ“ 1912 წლის მე-6 ნომერში გამოაქვეყნა საინტერესო წერილი ნ. ბ.-მის (ბოცვაძე ნინო იოსების ასული) ხელმოწერით. წერილში გადმოცემული იყო მონტესორის წიგნის შინაარსი კომენტარებით და დიდაქტიკური მასალის ფოტოთი. ამ პერიოდში ყალიბდებოდა საქართველოში ფრეზელი კავკასიის საზოგადოება და ფრეზელი ქალთა უმაღლესი კურსები.

მონტესორის იდეებით დაინტერესებას საქართველოში ხელი შეუწყო ცნობილმა სკოლამდელი აღზრდის წარმომადგენელმა თ. ერისთავმა. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, 1921 წელს მისი და რ. ნიკოლაძე - პოლიექტოვას ინიციატივით საქართველოში მოწვეულ იქნა მ. მონტესორის სისტემის ცნობილი სპეციალისტი ლოლა კონდულმარი. მან სპეციალურ კურსებზე წაიკითხა ლექციები და იტალიიდან ჩამოტანილი მ. მონტესორის „დიდაქტიკური მასალებით“ ჩაატარა პრაქტიკული სამუშაოები. მ. მონტესორის სისტემის მიმართ ინტერესი შემდგომშიც დიდი იყო. იგი სოციალისტური სამყაროს სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებისათვის შესწავლისა და ანალიზის ობიექტი გახდა. განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია მონტესორის სენსორულმა განვითარებამ. მონტესორის მემკვიდრეობით დაინტერესდნენ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლები. უნდა გამოვყოთ პროფესორ ბ. ხაჭაპურიძის გამოკვლევა „დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ამოცანებთან დაკავშირებით“ (1939წ.). ამ ნაშრომში სპეციალური თავი მიეძღვნა მ. მონტესორის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას. მონტესორი ავტორის მიერ შეფასებული და გაკრიტიკებულია მარქსისტული ფსიქოლოგიის პოზიციებიდან. პროფ. ბ. ხაჭაპურიძე წერს: „მონტესორის მასალა იმიტომ კი არ არაა ხელოვნური, რომ საგანგებოდ მზადდება განსაზღვრულ მოთხოვნილებათა მიხედვით, არამედ იმიტომ არის ხელოვნური, რომ ბავშვს ისეთივე ამოცანის წინაშე აყენებს, როგორშიც იგი ჩვეულებრივ სიტუაციაში ორიენტაციის დროს დგება.“²

მეოცე საუკუნის ოციან წლებს ეკუთვნის დიმიტრი უზნაძის შეხედულებები სხვადასხვა სახელმძღვანელოს შესახებ. არქივში დაცულია მისი რეცენზიების ხელნაწერები. მათ შორის საინტერესოა უზნაძის შეხედულებები არითმეტიკის სახელმძღვანელოზე, რომელიც განსახილველად წარმოდგენილი იყო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1923 წლის 22 თებერვალს. წიგნის სახელწოდებაა „მათემატიკა პაწიებისთვის,“ რომელიც შეადგინა ცნობილმა პედაგოგმა და სახალხო განათლების მოღვაწემ პროფესორმა რუსუდან ნიკოლაძემ. მან უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლება რუსეთში მიიღო. რუსუდანმა 1913 წელს ბრწყინვალედ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, მიიღო დიპლომი და უფლება ეტარებინა საუნივერსიტეტო სამკერდე ნიშანი. რუსუდან ნიკოლაძე, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა, დადიოდა პეტროგრადის სკოლამდელი აღზრდის კურსებზე, რომლის მიზანი იყო, რომ იტალიაში პირველად შემოდებული მონტესორის სწავლების ახალი სისტემა დაწერგლიყო რუსეთის საბავშვო ბაღებში. რ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ საქართველოში დაბრუნებულს უწევდა ლექცია - მოხსენებების წაკითხვა მონტესორის სისტემის შესახებ. მას ბევრი მიმდევარი და მომხრე გამოუჩნდა და დაევალა ფართოდ გაეშალა მუშაობა სოფლად მონტესორის მეთოდის დასანერგად დაწყებით სკოლებში. მისი წიგნი „მათემატიკა პაწიებისთვის“ მთლიანად ეყრდნობა მონტესორის სისტემას. იგი ეხება ორ საკითხს: ერთი არის ფორმების გაცნობა და მეორე - თვლა-ანგარიშის სწავლება. დ. უზნაძე შემდეგნაირად ახასიათებს მონტესორის სისტემას: „მონტესორის სისტემის ერთ-ერთ ნიშანდობლივი თავისებურება (წინამდებარე საკითხში), როგორც ცნობილია მისი კონცეფცია შეადგენს ფორმის ან უკეთ მოყვანილობის პრობლემის ფსიქოლოგიის, რომლის მიხედვითაც, 1. ფორმა, მოყვანილობა უშუალოდ გვეძლევა და 2. ორგანზომილებიანი უფრო ადრე, ვიდრე სამგანზომილებიანი. ფორმის მოყვანილობის პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემათაგანია უკანასკნელი ათეული წლების ფსიქოლოგიაში. ვერტმაიერის, კაფკას და მეორეს მხრივ, ბიულერის გამოკვლევების შემდეგ მონტესორის აღნიშნული ძირითადი დებულება ფორმის უშუალოდ შესახებ თითქმის უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს. ... რა თქმა უნდა,

² ბ. ხაჭაპურიძე, დიდაქტიკური მასალები, სახელგამი, 1939, გვ. 56

პედაგოგია/Pedagogics

ძნელია იგივე ითქვას მონტესორის შეხედულებათა შესახებ რიცხვთათვის. რაოდენობის ცნების განვითარება ბავშვის ცნობიერებაში ყველაზე უკეთ დღემდე დეკროლისა და დეგანდის გამოკვლევებშია გათვალისწინებული...და უნდა ითქვას, რომ მონტესორის კონცეფციით რიცხვი საგრძობლად განსხვავდება ამ ავტორთა შეხედულებებისაგან. ყოველ შემთხვევაში მონტესორის ფორმისა და რიცხვის პედაგოგია შედარებით უფრო ახლოს დგას ბავშვის ცნობიერების თავისებურებებთან, ვიდრე სხვა ცნობილი ე. წ. ანგარიშის მეთოდიკები. ყოველ შემთხვევაში ის მეთოდიკები ან მეთოდები, რომელთაც ქ-ნი პოლიევქტოვისა უპირისპირებს მონტესორისას, ამიტომ ნიკოლაძე - პოლიევქტოვისას წიგნაკი უთუოდ სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც იგი მონტესორის შეხედულებათა სწორ გადმოცემას იძლევა.³

დ. უზნაძე თავის რეცენზიაში აკრიტიკებს წიგნის ავტორს, ეს ეხება უპირველესად პრინციპებს ახალი სკოლის შესახებ. ავტორის აზრით, „ახალი სკოლისათვის განსაკუთრებით დამახასიათებლად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ „სწავლების მთელი დასაყრდენი ღერძი სწავლის ობიექტიდან სუბიექტზე გადმოდის, რაც სრულ გადატრიალებას ახდენს სკოლის საქმეში.“ ე.ი. აღზრდა ბავშვის ფსიქოლოგიის მიხედვით უნდა მომდინარეობდეს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშ როგორ შეიძლება ჩვენი ბავშვისათვის წინასწარ შეუმოწმებლად მონტესორის არა მარტო პრინციპები, არამედ ასე ვთქვათ ასობიგ უებარ პედაგოგიურ მალამოდ ჩაითვალოს. ავტორი ისეთი გატაცებით მოგვითხრობს მონტესორის მათემატიკის შესახებ, რომ შთაბეჭდილება ისეთი რჩება, ერთადერთი გზა ეს ყოფილა და მისი გადახვევა ან შემოწმება დანაშაულია მოზარდი თაობის ბედის წინაშე.“⁴

დ. უზნაძეს მიაჩნია, რომ რომელიმე ავტორის მოწინააღმდეგე გამოცხადების მონებას ჰგავს. თვლის, რომ ამ კონკრეტულ სახელმძღვანელოში ბევრი ისეთი რამაა გამოთქმული, რომ მისი აზრით შეცდომაა და საეჭვო. მაგალითად, უზნაძის აზრით, საეჭვოა ბავშვის აზროვნების „ტრანსტრუქტიულობა“ და ელემენტებიდან მთლიანობის გზით მოძრაობა. მისი აზრით, ბავშვის ცნობიერება სულ სხვა გზით მიემართება. ეს იქედან ჩანს, რომ ფორმაა უშუალო და არა ელემენტები.

„მ. მონტესორის პედაგოგიური სისტემა აგებულია სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საფუძველზე. ის მეტაფიზიკურად უპირისპირებდა ერთმანეთს სხეულსა და სულს ... ადამიანის განვითარებაში აღიარებდა მისტიური „სასიცოცხლო ძალების“ მოქმედებას. აქედან გამომდინარე იგი ილაშქრებდა ადამიანის ბუნებისა და აღზრდის პროცესის მატერიალისტური გაგების წინააღმდეგ.“⁵ - წერდა გ. ჭანიშვილი.

ნ. სამხარაძის წიგნში „სკოლამდელთა სენსორული აღზრდა და მისი ორგანიზაცია“, მოცემულია სენსორული აღზრდის პრობლემის მონტესორისეული გაგების კრიტიკა და ამასთანავე მისი მეთოდის დადებითი შეფასებაც.⁶

თანამედროვე საქართველოში გაიზარდა დაინტერესება მონტესორის სისტემის მიმართ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში „განვითარების და სწავლის თეორიები“ (2008 წ.) ერთი თავი ეძღვნება მარია მონტესორის(ავტორი ს. გორგოძე), რომელშიც გადმოცემულია მონტესორის სწავლების მეთოდის არსი, განსხვავებები ტრადიციულ და მონტესორის სწავლების მეთოდს შორის... ავტორი წერს, რომ „მონტესორის პედაგოგიური პრაქტიკა ბავშვს ეხმარებოდა, ყოფილიყო შემოქმედებითი, კრიტიკულად მოაზროვნე, ესწავლა დროის მართვა, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის კეთება და ბუნების სიყვარული.“⁷

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჯემალ ჯინჯიხაძის წიგნი „თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები (ლექციების კურსი), რომელიც გამოიცა 2012 წელს. ”თვითგანვითარების ტექნოლოგია“

³ დ. გურგენიძე, საქართველოში საბჭოთა პედაგოგიკური აზრის ისტორიიდან, განათლება, თბილისი, 1981წ.

⁴ დ. გურგენიძე, საქართველოში საბჭოთა პედაგოგიკური აზრის ისტორიიდან, განათლება, თბილისი, 1981წ.

⁵ გ. ჭანიშვილი, მარია მონტესორი და ქართული პედაგოგიური სინამდვილე, ”სკოლა და ცხოვრება“ #3 1987 წ.

⁶ ნ. სამხარაძე, სკოლამდელთა სენსორული აღზრდა და მისი მისი ორგანიზაცია, განათლება, თბილისი, 1972

⁷ ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარების და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008წ.

პედაგოგია/Pedagogics

- ასეთი სახელწოდებითაა ლექცია მეცხრე, რომელშიც ვრცლად და სიღრმისეულად არის განხილული მონტესორის სწავლების მეთოდი. ავტორი წერს, რომ „მ. მონტესორიმ, გამოჩენილმა მეცნიერმა და ჰუმანისტმა, შექმნა სისტემა, რომლის ბადალი მსოფლიო გამოცდილებაში არ ყოფილა და არც არის. მონტესორის სკოლები ათასობითაა გახსნილი მსოფლიოში: ევროპაში, ამერიკაში, ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში და ა.შ. დაისმის კითხვა: რა ხდის მონტესორის სკოლას ასეთ მიმზიდველს? და პასუხიც აქვია: იგი საოცრად ტექნოლოგიურია, მოფიქრებული, მთლიანი და თავის თავში მოიცავს არა მარტო ინტელექტუალური უნარების განვითარებას, არამედ - „სულის მომავალ საჭურველსაც.“ მარია მონტესორიმ მიაგნო თითოეულ ბავშვთან მუშაობის უნიკალურ ხერხებს.“⁸

მანანა მელიქიშვილის „მარია მონტესორის პედაგოგიური კონცეფციაში“ (2013 წ.), განხილულია მონტესორის სისტემის ზოგადი დახასიათება, ძირითადი პრინციპები, მონტესორის თანამედროვე სკოლა და მონტესორის პედაგოგიური შეხედულებების კრიტიკა.

2012 წელს თბილისში დაარსდა მონტესორის უნიკალურ პედაგოგიურ მეთოდზე დაფუძნებული პირველი საბავშვო აკადემია "Kinderville," ხოლო 2014 წელს კი - ბავშვის განვითარების ცენტრი "მზესუმზირა - Pre School". ამ საბავშვო დაწესებულებებში შექმნილია სპეციალური განმავითარებელი გარემო, რომელშიც ბავშვი ვითარდება უფროსების ძალდატანების და ჩარევის გარეშე. აქ ბავშვებს ეძლევათ საშუალება იმოქმედონ თავიანთი სურვილებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მარია მონტესორის სიტყვები - „დამეხმარე ეს ჩემით გავაკეთო“ არის მთავარი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობენ.

ამრიგად, მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა, მ. მონტესორის პედაგოგიური კონცეფცია, რომელმაც ფეხი მოიკიდა საქართველოში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, დღეს გაცილებით მოთხოვნადი და პოპულარულია, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. რატომ ვირჩევთ მონტესორის? იმიტომ რომ მისი პედაგოგია უნიკალურია ბავშვისადმი მიდგომით, წესრიგით, დიდაქტიკური მასალებით, მასწავლებლის როლით და მომზადებული გარემოთი.

ლიტერატურა:

1. გ. ჭანიშვილი, მარია მონტესორი და ქართული პედაგოგიური სინამდვილე, „სკოლა და ცხოვრება“ №3 1987 წ.
2. დ. გურგენიძე, საქართველოში საბჭოთა პედაგოგიური აზრის ისტორიიდან, განათლება, თბილისი, 1981წ.
3. ჯ. ჯინჯიხაძე, თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები (ლექციების კურსი), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012 წ.
4. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარების და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008წ.

⁸ ჯ. ჯინჯიხაძე, თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები (ლექციების კურსი), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012 წ.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თუ როგორ გაიცნო მ. მონტესორი და მისი პედაგოგიკური სისტემა ქართულმა პედაგოგიურმა საზოგადოებამ მე-20 საუკუნეში. წარმოდგენილია ქართველი მეცნიერების მიერ მონტესორის სწავლების მეთოდის დადებითი შეფასებები და კრიტიკული მოსაზრებები. თანამედროვე საქართველოში მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა მონტესორის სისტემა მოთხოვნადი და პოპულარული გახდა. რატომ ვირჩევთ მონტესორის? იმიტომ რომ მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია უნიკალურია ბავშვისადმი მიდგომით, წესრიგით, დიდაქტიკური მასალებით, მასწავლებლის როლით და განმავითარებელი გარემოთი.

Nino Chokhnelidze –Ph. D student, Akaki Tsereteli State University

Maria Montessori's Pedagogical Concept and Georgia

The article deals with how Georgian pedagogic society got familiarized themselves with Maria Montessori's pedagogical concept in the 20th century. It involves their positive assessments as well as critical views concerning the Montessori educational method. In spite of different outlooks, the Montessori system became more demanding and popular in Georgia. Why Montessori? The reason lays in the facts, that this pedagogical Concept still retains its uniqueness in terms with approaches to children, disciplines, didactic materials, teacher's role, learning environment and environmental influences on child development.

შორენა ტყემალაძე - სსიპ ქალაქ ქუთაისის N23-ე სკოლის უფროსი მასწავლებელი

ფიზიკური გარემო როგორც აღზრდელობით-საგანმანათლებლო რესურსი

ფიზიკურ გარემოს თანამედროვე საგანმანათლებლო სფეროში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, როგორც შემეცნებითი ასევე აღზრდელობითი მიმართულებით. ეს უკანასკნელი ერთ-ერთ საგანმანათლებლო რესურსადა მიჩნეული, რომელიც მოსწავლის საჭიროებებზე და შესაბამისობაზე ორიენტირებული. კრეატიული, მუდმივცვალებადი, სასკოლო ფიზიკური გარემო მნიშვნელოვან გზავნილებს შეიცავს, მოსწავლისა და მასწავლებლის მიმართ, რაც მოტივაციისა და პრაქტიკული ინტერვენციების, კვლევა-ძიების ეფექტური წყაროა. ლოკალური ფიზიკური გარემოს ეფექტურად მოწყობამ შესაძლოა არამარტო აკადემიური შედეგები გააუმჯობესოს, არამედ გარკვეული არასასურველი ქცევები შეზღუდოს. ინფრასტრუქტურის, სასწავლო რესურსების, მოსწავლის შექმნილი საგანმანათლებლო პროდუქტების სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება ასევე მოსწავლეების უსაფრთხოების ზრდა არასწორი ქცევების პრევენციის გზით, რომელიც უმნიშვნელოვანესია თანამედროვე დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური, გარემო, სასწავლო რესურსი, კოგნიტური განვითარება, მოსწავლეზე ორიენტირება, გარემოს დაგეგმვა, გარემოს მოწყობის პრინციპები, შემეცნებით-საგანმანათლებლო ზონა, სუბიექტური და ობიექტური გარემო.

თანამედროვე საგანმანათლებლო სფეროში სწავლა-სწავლებისათვის ფიზიკური გარემო, როგორც აღზრდელობით საგანმანათლებლო რესურსი უმნიშვნელოვანეს სასწავლო სტრატეგიად გვევლინება. ფიზიკურ გარემოში(სკოლა, კლასი, კლუბი) ისე უნდა განთავსდეს სასწავლო დიდაქტიკური რესურსები, რომ მოსწავლეებს მიეცეთ ცხოვრების, სწავლის და ერთად ქმედების საშუალება.

მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ გარემოს ორგანიზება და მისი გაუმჯობესება. ხშირად ბავშვებს აქვთ ჩამოყალიბებული მოსაზრებები, რაღაც მოსწონთ, რაღაც არ მოსწონთ და ზოგჯერ ვერც აცნობიერებენ, რატომ. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ცოდნას სულ მცირე 60 %-ს ბავშვი აგროვებს იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელსაც ის ვიზუალურად და შეხებით ღებულობს. სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბავშვში აღვძრათ კვლევის სურვილი და შევუქმნათ მას ამაღელვებელი, მიმზიდველი და პრაქტიკული გარემო, სადაც ის შეძლებს მუშაობასა და სწავლას. სკოლა და კლასი მას შესთავაზებს მასტიმულირებელ და წამახალისებელ რესურსებს, მასალებსა და შრომის იარაღებს. სკოლასა და კლასში უნდა არსებობდეს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის, კვლევისათვის, დასვენებისა და თამაშისათვის საჭირო პირობები. ერთად მსჯელობისა და ერთად მუშაობის დროს ისინი სწავლობენ როგორ განავითარონ თავიანთი იდეები, როგორ ითანამშრომლონ. ისინი სწავლობენ, ვითარდებიან, ეძებენ პრობლემის გადაწყვეტის გზებს. ჩვენ დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ სკოლასა და კლასში შექმნილი ატმოსფერო უეჭველად მოახდენს გავლენას მათზე - თუ როგორ იმუშავებენ, რა ღირებულებები იქნება მათთვის მისაღები.

როდესაც მოსწავლეები არ ზრუნავენ გარემოზე, ან მისგან მოწყვეტილად გრძნობენ თავს, საქმე გვაქვს დამატებით სოციალურ პრობლემასთან, როგორცაა გულგრილობა, დაბინძურება და ვანდალიზმი. უეჭველია, მოსწავლეები, რომლებიც იგრძნობენ პასუხისმგებლობას და დააფასებენ გარემოს, უფრო მეტად იზრუნებენ მასზე. სწორედ ამიტომაც გარემო განათლების უმთავრესი შემადგენელი ნაწილია და ფიქრის, კვლევის, შემოქმედების, ექსპერიმენტის მასტიმულირებელი საშუალებაა.

მასწავლებლებმაც ბოლომდე არ ვიცით რას ვსწავლობთ ვიზუალურად, ამიტომ საჭიროა გავარკვიოთ, როგორ ვსწავლობთ შეხებით, დანახვით, რადგან ეს არის ის პირველადი უნარ-ჩვევა, რაც მუდამ უნდა ვითარდებოდეს. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, თუ რამდენად გასაგებ ინფორმაციას გადავცემთ სივრცისა და რესურსების ორგანიზებით.

სკოლის გარემომ უნდა მისცეს მოსწავლეებს თვალსაჩინოებისა და რესურსების გამოყენებით სწავლის შესაძლებლობა. ეს ის საკომუნიკაციო საშუალებაა, რომელიც სტიმულს აძლევს აზროვნების, შემოქმედობითობის, ესთეტიკური გემოვნების განვითარებისა და იდეების შემდგომ დახვეწას. ის აგრეთვე ხელს უწყობს დიაგრამებიდან, რუკებიდან, პლაკატებიდან ვიზუალური ინფორმაციის მიღებასა და გაგებას, დაკვირვების, სწავლის, ანალიზის, კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და საერთოდ,

პედაგოგია/Pedagogy

მოსწავლეებში სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებას. ეტაპობრივად დაგროვილი გამოცდილების, ვიზუალური კომუნიკაციისა და თვალსაჩინოების გამოყენებით უფრო კარგად მიმდინარეობს სწავლა.

როგორც ვიცით, ეფექტური სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა ერთის მხრივ, იმ უმნიშვნელოვანესი კომპონენტების გამოყენებით ხდება, როგორცაა ზემო და ეროვნული სასწავლო გეგმა. თუმცა მეორეს მხრივ საჭიროა ამ დოკუმენტების რეალიზებისათვის ფიზიკური გარემოს ორი მახასიათებელი- სუბიექტური და ობიექტური გარემო, სადაც „სწავლა გაგებისათვის“ მიიღწევა. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის მეორე პუნქტში, რომლის სახელწოდებაც არის „ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა.“ აღნიშნულია, რომ „მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივი გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო“. იმისათვის რომ მოზარდმა თავი საარსებო გარემოს ნაწილად აღიქვას, აქცენტები ლოკალური ფიზიკური გარემოს ეფექტურად დაგეგმვაზე, მოსწავლეზე ორიენტირებით ჩამოყალიბებაზე კეთდება, რომელიც ერთის მხრივ მოზარდის მრავალმხრივი განვითარების საუკეთესო რესურსად გვევლინება პედაგოგის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ უპირველეს ყოვლისა ურთიერთანამშრომლობით უნდა მოხდეს სამოქმედო სტრატეგიული გეგმის შემუშავება. ამ მიმართულებით წამოგიდგენთ პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზს, გამოცდილების გაზიარებას, სადაც მთავარი ორიენტირი მოზარდის პიროვნებად ფორმირებაში მოდის ფიზიკურგარემოზე.

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც სულ უფრო ხშირად ისმის ინფორმაცია ეკოლოგიური პრობლემებით გამოწვეული საფრთხეებისა და მიღებული შედეგების შესახებ, განსაკუთრებით აქტუალურია გარემოსდაცვითი განათლება, რომელიც თავის მხრივ ინდიკატორი ხდება პოლიტიკური მშვიდობის ჩამოყალიბებისა. სკოლა კი სწორედ ის ადგილია, სადაც მოსწავლემ სიღრმისეულად უნდა გაიაზროს და გაითავისოს, თუ რას ნიშნავს აქტიური სამქალაქო საზოგადოება, რა პოზიტიური თუ ნეგატიური შედეგი შეიძლება მოუტანოს მას თითოეული ადამიანის და, ზოგადად, საზოგადოების დამოკიდებულებამ და ქმედებამ. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე სასკოლო სივრცეში ფიზიკურ გარემოზე დაყრდნობით დამეარსებინა კაბინეტური სისტემა, სამოქალაქო და გარემოსდაცვითი მიმართულებით, სადაც დღის პირველ ნახევარში ფორმალური, ხოლო მეორე ნახევარში არაფორმალური სწავლება(კლუბური მუშაობა) განხორციელდებოდა.

მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ საკლასო პრაქტიკიდან გამოვლენილმა საჭიროებებმა მისცა დასაწყისი ამ გადაწყვეტილებას. აღმოჩნდა რომ ფიზიკური გარემო მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰარმონიული აღზრდისათვის, მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებისათვის. ანკეტირების მეთოდით კლასში გამოკითხულთა 86 %სახელებს, რომ ეფექტური ფიზიკური გარემო მათთვის უმნიშვნელოვანესია. უპირველეს ყოვლისა ესგ სტადარტი და საკუთრივ მოსწავლეები გახდა ფიზიკური გარემოს მოწყობის ინდიკატორები. სკოლის დირექციისგან კვლევის შედეგების განხილვის, შემდეგ გამოიყო საკლასო ოთახი, რომლის წინასწარი მოწყობის გეგმა მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავე-საგანამანთლებლო ზონებად დაყოფა. საკითხის გააზრებასი დაგვეხმარა მოსწავლეთა მიერ შევსებული გრაფიკული სქემა

პრობლემა	გავლენა	მიზეზი	გადაწყვეტა
რა პრობლემას ხედავთ?	რაზე ან ვისზე ახდენს გავლენას?	რა არის მისი გამომწვევი მიზეზები?	როგორ შეიძლება მოგვარდეს?

თუ განწყობის თეორიას გავიხსენებთ, მივხვდებით, რომ გარემო ობიექტური და ფიზიკური მახასიათებლებით, ხდება სწორედ მოსწავლის კოგნიტური, ფიზიკური, ემოციური განვითარების ინდიკატორი. სწორედ ამ მიმართულებით გადავწყვიტეთ აგვეწყო სპირალური კურიკულუმი საკლასო ოთახის სივრცეში.

ჩატარდა ფარული ანონიმური კენჭისყრა, როგორი ოთახი გვინდოდა საკუთარი თავის რეალიზებისათვის.

მათ ღია ფერად ფურცლებზე გააკეთეს ჩანაწერები, პასუხები: სადაც ბედნიერება და სიყვარულია, სადაც მშვიდობა და ურთიერთპატივისცემაა, სადაც თვალთ ვნახავ ჩემი საგნის ფარგლებში შესასწავლ საკითხებს, სადაც ხელით შევებები ბუნების კომპონენტებს, მინდა ისეტი ფიზიკური სივრცე, მე ვიქნები შემსრულებელი პრაქტიკული საქმიანობის, სადაც ბევრი საშუალება იქნება დაკვირვების, ექსპერიმენტების, აღმოჩენის და ა.შ., სადაც უყურებ ბევრ ფილმს, ანიმაციას ბუნების დაცვაზე,

პედაგოგია/Pedagogics

მცენარეებზე, ცხოველებზე, სადაც ბევრი მწვანე მცენარე იქნება ჩვენს გარშემო. სამოქმედო გეგმის შედგენამდე რამდენიმე შეკითხვა ჩნდება, რომელთა შინაარსი, კიდევ უფრო მიზანმიმართულს და მრავალფეროვანს ხდის ამ საქმიანობას. მაგ:

1.რა როლი აქვს სააღმზრდელო გარემოს და რა კავშირშია მისი მნიშვნელობა ბავშვის ასაკობრივ ქრონოლოგიასთან?

2.რა უფრო სჯობს ჰოლისტური თუ დიფერენცირებული ფიზიკური გარემო?

3.რა ინსტრუმენტით შემუშავდეს გარემოს დაგეგმვა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით?

4.უნიფიცირებული თუ მოდიფიცირებული გარემო?

5.როგორ დაიგეგმოს გარემო, როგორც სასწავლო კურიკლუმი?

6.რა როლი აქვს, გარემოს როგორც აღმზრდელობით მექანიზმს კოგნიტურ სისტემას?

ყოველივე ეს გახდა მიმართულების მიმცემი კითხვები, რომელზეც დაყრდნობით დავიწყეთ მუშაობა.

გადავწყვიტეთ მერხების განლაგებაც უჩვეული ყოფილიყო განსხვავებული და ცვალებადი.

ოთახი დავყავით საგანმანათლებლო თემატურ ზონებად, რადგან გარემო გამხდარიყო თვითონ გზამკვლევი ინტელექტუალური ორიენტირებისათვის.

დასახელება: საინფორმაციო ზონა

მიზანი: დროული და სრული ინფორმირება

დასახელება: ხელთნაკეთი და მზა რუკები, მაკეტები, მოდელები, პოსტერები, ცხრილების ზონა

მიზანი: კონცეპტუალური ცოდნის ორგანიზება, შემოქმედებითობის წახალისება

დასახელება: მულტიმედიური ზონა

მიზანი: ციფრული მოქალაქეობა

დასახელება: საავტორო ნაშრომების საგამოფენო ზონა(ესეები, ჩანაწერები, ნახატები, ხელთნაკეთი სააპლიკაციო რესურსები)

მიზანი: თვითინიციატივის, კრეატიულობის, ინტელექტუალური სამართლის წახალისება

დასახელება: გარემოს მდგრადი განვითარება-მწვანე ზონა

მიზანი: გარემოზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა, მიწის თერაპია.

დასახელება: სადისკუსიო ზონა

მიზანი: კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბება

დასახელება: ცდებისა და ექსპერიმენტების ზონა

მიზანი: კვლევაზე ორიენტირებული სწავლების ხელშეწყობა

დასახელება: ნორჩ მკითხველთა კუთხე-მაკულიტერატურა-სასურველი წიგნი-ავტორი-ნაწარმოები

მიზანი: მედიაწიგნიერების განვითარება

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც იქნა გათვალისწინებული ახალი მიდგომებით სწავლების დროს, საკლასო გარემოს ახლებური მოწყობა იყო, რომელიც ეს-ეს საფუძველზე დასახული მიზნების მიღწევას შეუწყობდა ხელს.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეებში აზროვნების განვითარებისათვის, კვლევის სურვილის გამოწვევისათვის, ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, როგორცაა შემოქმედებითობა, ექსპერიმენტირება და დიზაინირება, დიდი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებით და ინტერაქტიურ გამოფენას. გამოფენა ხუთ ძირითად მიზანს ემსახურება:

- საინტერესო და მიმზიდველი გარემოს შექმნას;
- იდეებისა და ინფორმაციების მკაფიოდ ჩამოყალიბებას;
- კითხვების დასმის სურვილისა და ინტერესის გაზრდას;
- მოსწავლეების მიერ ჩატარებული სამუშაოს მიმართ პატივისცემის გამოხატვას;
- მოსწავლეების ინტერესების დაკმაყოფილებას;

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირდაპირ კავშირშია კონსტრუქტივიზმის თეორიულ და პრაქტიკულ მიდგომებთან. კონსტრუქტივისტული თეორიის ჩარჩოში შემავალი თვალსაჩინოებების კატეგორიებია:

- **მასტიმულირებელი თვალსაჩინოება**

პირადად ჩემს მიერ შექმნილი იქნა მასტიმულირებელი თვალსაჩინოება ახალი თემის დასაწყისში, რომელიც ატარებდა როგორც ვიზუალურ, ასევე ინტელექტუალურ დატვირთვას. თვალსაჩინოება წარმოადგენს ერთგვარ ინფორმაციას მომავალი სამუშაოს შესახებ. იგი გულისხმობს, რომ მოსწავლეებს მისცა ფიქრის საბაზი და დრო. ამასთან, მასტიმულირებელი თვალსაჩინოება იწვევს

პედაგოგია/Pedagogics

დადებით ემოციებს. თვალსაჩინოებას სჭირდება გულისყურით შერჩევა და წარდგენა, რათ იყოს ვიზუალურად შთაბეჭედავი. იგი შეიძლება წარმოადგენდეს სურათს (ნახატს, ფოტოსურათს ან პლაკატს), მაგნიტოფონით მოსმენილ მუსიკას ან თემის მიხედვით შერჩეულ მოთხრობას. შეიძლება გაფორმებული იყოს მცენარეებით, ახლდეს სურათები, კითხვები და ზოგ შემთხვევაში პასუხები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს იყო სააზროვნო ფოტო, რომლის ანალიზის შედეგად უნდა დასახელებულიყო ვერსიები ფოტოზე მოცემული ილუსტრაციებისა.

- **კოლექციები** - თემის მიხედვით კოლექციების შექმნა წარმოადგენს ბავშვების (მშობლების ან სხვა პირების) ჩართვის კარგ საშუალებას. სასწავლო გარემოს ბავშვები უკავშირებენ საკუთარ ცხოვრებას, გამოცდილებას სკოლის გარეთ, ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებას; ამ შემთხვევაში ჩართული იყო პედაგოგიური პრაქტიკის მსველელობის სპროცესში სტუდენტები.

- **საკვლევი მასალები** - ასეთი სახის თვალსაჩინოება დამყარებულია ყოველდღიურ კვლევებზე და საჭიროებს ესთეტიკურ პრეზენტაციას. მაგ. შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფერად ქაღალდზე საინტერესო იარაღების მიწებებით;

რესურსების მისაწვდომობა და შენახვა. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები უფრო მეტი რესურსების გამოყენებას ითხოვს, ვიდრე ტრადიციული. ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებელმა, ასევე მოსწავლეებმა შეაგროვონ ისეთი მასალები და რესურსები, რომლებიც სწავლის კონკრეტულ მიზანს ემსახურება. ერთ-ერთი საშუალება არის "ინტერესთა ცენტრის" შექმნა, სადაც მოსწავლეებს მოაქვთ საჭირო საგნები და ხელით დამზადებული ნაკეთობები, რომლებიც ფორმალური თუ არაფორმალური შეხვედრის კონკრეტულ თემას ეხება. ზუსტად აქ ჩნდება „ზიარის პასუხისმგებლობის“ შეგრძნება. სასურველია, აგრეთვე, მეორადი გადამუშავების მასალების გამოყენება სხვადასხვა მიზნებისთვის. სად უნდა შევინახოთ ეს მასალები? ეს შეიძლება იყოს სახელდახელოდ დამზადებული ხის თაროები, ცარიელი ყუთები. მნიშვნელოვანია, რომ დარწმუნდეთ, რომ მასალები, რომლებსაც არ იყენებთ, დანომრილია და ეტიკეტები აქვთ დაკრული, ასეთი მასალების უკეთ დახარისხებისთვის საჭიროა შეადგინოთ რესურსების ჩამონათვალი, მათი დასახელება და სად რა არის განთავსებული. სწორედ მსგავს გარემოში ხდება იმ მიმართულების კონსტრუირება, როგორცაა: ცოდნის პირველი სამი დონე – „რა“–ცოდნა, „როგორ“–ცოდნა და „რატომ“. ცოდნის მნიშვნელობა შესამჩნევად იზრდება ადამიანის ინტელექტის სკალაზე მოძრაობისას – კოგნიტური ცოდნიდან თვითმოტივირებული შემოქმედებისაკენ. ამრიგად, წარმატებული სკოლის საფუძველია ინტელექტის მართვის საუკეთესო გამოცდილება, რომელიც თავის მხრივ ხილულ და უხილავ გარემოშია სინთეზურად ჩაშენებული.

დასასრულს მინდა გენიალური ადამიანის უკვდავი სტროფები მოვიშველიო „მნიშვნელობა არა აქვს გვესმის თუ არა სამყარო; ჩვენ მასში საკუთარი კოორდინატები უნდა ვიპოვოთ“. ა. აინშტაინი. მრავალფეროვანი და მოსწავლის ინტერესზე მორგებული ფიზიკური გარემო, სწორედ რომ საკუთარი პიროვნული განვითარებისა და ინტელექტუალური რესურსების ძიების, აღმოჩენის და დინამიკაში მოქცევის საუკეთესო საშუალებაა. რომლის საფუძველზე ჰარმონიულად ხდება თვითაქტუალიზებული მოსწავლის ჩამოყალიბება შემდეგი მახასიათებლებით: 1. სამ- ყაროს ადეკვატური აღქმა. 2. საკუთარი თავისა და სხვების მიძღვრება. 3. უშუალოება, უზრალეობა და ბუნებრიობა. 4. პრობლემაზე ცენტრირება. 5. დამოუკიდებლობა. 6. ავტონომია. 7. აღქმის სიცხოველე. 8. უმაღლესი განცდები. 9. საზოგადოებრივი ინტერესი. 10. ღრმა პიროვნული ურთიერთობები. 11. დემოკრატიულობა. 12. მიზნისა და საშუალებების გამიჯვნა. 13. იუმორის ფილოსოფიური გრძნობა. 14. შემოქმედებითობა.

Shorena Tkemaladze - SSIP N23 Public school teacher of science and Public education

Physical environment, as educational resource.

Physical environment takes important part in modern educational system, both in cognitive and educational directions. Physical environment is considered to be one of the educational resources oriented to pupil's needs and their compliance. Creative, flexible physical environment in school contains important messages both for children and for the teacher, which is the effective resource for searching and researching both, motivation and practical interventions. Effective physical environment can not only improve academic results, but prevent some of the unpleasant pupil actions. In case of properly planned infrastructure, educational resources, educational products created by pupils, we get an opportunity to increase the safety of students by preventing erroneous behavior as well. Which, is one of the most important tasks in formation of modern, democratized, society

Key words: Physical environment, educational resources, cognitive development, student-oriented, planning environment, ways of settling environment, educational zone, subjective and objective environment.

მაგდა თხილაგა - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მოსწავლის მუსიკალური მონაცემების შემოწმება და განვითარება

მოსწავლის მუსიკალური მონაცემების დადგენა მხოლოდ ერთი შემოწმებით შეუძლებელია. ვფიქრობთ, სასურველი იქნება, შემოწმება მოხდეს წელიწადში ორჯერ ან სამჯერ. სასწავლო წლის დასწყისში - განვსაზღვრავთ, როგორია ბავშვის მუსიკალური მონაცემები ამ ეტაპზე, დავსახავთ მონაცემთა განვითარების გეგმას და შევიმუშავებთ საჭირო მეთოდებს; სასწავლო წლის შუაში - დავადგენთ როგორ განვითარდა ბავშვის მონაცემები ამ დროისთვის და რა დამატებითი სამუშაოებია ამ მხრივ ჩასატარებელი და მესამე შემოწმებისას, სასწავლო წლის ბოლოს, დავადგენთ - მივიღეთ თუ არა შედეგი, რომელიც გვქონდა დასახული მიზნად. მონაცემების შემოწმებისას, ბავშვი თვლის, რომ მას გამოცდა უტარდება, ამიტომ იწყებს ნერვიულობას, აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მან თავისი მონაცემები სრულყოფილად ვერ წარმოაჩინოს, შემდგომში, მეცადინეობების პროცესში, თანდათან იწყებს გამოვლენას. შემოწმებისას, ალბათ, ყურადსაღებია რიტმისა და ბავშვის გონიერების გამოვლენა, რადგან, ზოგჯერ, მუსიკალური სმენა „ფარულ მდგომარეობაშია“ და მეცადინეობების შემდეგ, თანდათან იჩენს თავს.

მუსიკალური სმენის შეფასებისას ყურადსაღებია ბავშვის მეტყველებაც. მონოტონური, ნაკლებად გამომსახველი, უინტერესო მეტყველებისას ტონალური სფერო უნდა გაფართოვდეს, რისთვისაც აუცილებელია ლექსების სხვადასხვა რეგისტრში გამოთქმით კითხვა.

წყობით - მელოდიური სმენის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სანოტო ანბანის ცოდნა. მხედველობითი აღქმა სმენითი აღქმის ერთგვარ მყარ საყრდენს წარმოადგენს, რაც იძლევა საშუალებას ვაკონტროლოთ საჭირო ბგერების მუსიკალური სიმაღლე. ნოტების მხედველობითი აღქმა მელოდიის სმენით წარმოდგენას იწვევს და მისი აღქმის საფუძველს წარმოადგენს. მუსიკის სწავლებისას ბავშვს უფიქსირდება კილოს შესატყვისი განწყობა, რომელიც განსაზღვრავს მის მიერ მუსიკალური სიმაღლის სწორ აღქმასაც და რეპროდუქციასაც.

შეუძლებელია ნოტების კითხვით ამა თუ იმ ბგერის ხმით სწორად აღება, თუ შინაგანი სმენით არ გვაქვს წარმოდგენილი წინამორბედ ტონებთან ბგერის მიმართება. შინაგანი სმენის განვითარების შესანიშნავი მეთოდია დაფაზე დაწერილი მელოდია დაიმახსოვრონ მოსწავლეებმა და შემდეგ, შეძლებისდაგვარად, ზეპირად შეასრულონ იგი. ასევე შედეგიანი მეთოდია - დაფაზე დაწერილი მელოდიის მერყევ ბგერაზე გაჩერება და მოსწავლის მიერ ამ მელოდიის დაბოლოება და სხვ.

სმენის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გამების გამღერება და ინტერვალების სიმღერა როგორც აკომპანიმენტის თანხლებით, ასევე, აკაპელა შესრულებით. სიმღერისას დროდადრო ვაკონტროლებთ ბგერის სიმაღლეს, ანუ სმენას. სმენის განვითარებას ხელს უწყობს ნაცნობი მელოდიის ან შესწავლილი სიმღერის სხვადასხვა ბგერიდან აწყობა, მრავალხმიანი სიმღერების შესრულება, მელოდიისთვის მეორე ხმის შეწყობა ხმით და მუსიკალურ საკრავზე ბავშვმა უნდა შეძლოს მელოდიის მიმართულების, ბგერის სიმაღლის, რიტმის აღქმა. ინსტრუმენტზე მელოდიის აწყობისას ბავშვს უვითარდება მუსიკალური სმენა, რიტმი, ამ დროს ბავშვებს უმტკიცდებათ ნებისყოფა და წარმოსახვის უნარი. სმენის განვითარებას ხელს უწყობს, აგრეთვე, სიმღერის ერთი ფრაზის ხმამაღლა შესრულება, მომდევნო ფრაზა, კი, გულში, უხმოდ უნდა შესრულდეს. ინსტრუმენტი, რომელსაც გაკვეთილზე ვიყენებთ, აუცილებლად უნდა იყოს აწყობილი. მუსიკალური სმენის განვითარებას ხელს უწყობს სასწავლო ცხრილში კვირაში მუსიკის გაკვეთილის ორჯერ, სასურველია სამჯერ ჩატარება.

უმცროსი ასაკის ბავშვების სასიმღერო დიაპაზონი მცირეა, იგი ორ - სამ ბგერას მოიცავს, ამიტომ მასწავლებელს ხშირად უწევს სიმღერის ტრანსპონირება სასურველ ტონალობაში. სისტემატური მუშაობისა და ბავშვის ფიზიკური განვითარების შედეგად, ბავშვის სახმო დიაპაზონის საზღვრები იზრდება, ფართოვდება და ხმის ჟღერადობა უფრო სავსე ხდება. ვოკალური სავარჯიშოების გამოყენება ხელს უწყობს სახმო დიაპაზონის განვითარებას. ამისათვის მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს ბავშვის სახმო აპარატის აგებულება, ხმის ასაკობრივი თავისებურებები და სიმღერაში მონაწილე ორგანოთა როლი. ხმა ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ხელსაწყოა სმენის განვითარებისთვის. ვოკალური სავარჯიშოები ეხმარება სმენისა და ხმის კოორდინაციის გამომუშავებას; მუსიკალური სმენის განვითარებას; ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების სწორად წარმოთქმას; სასიმღერო სუნთქვის

პედაგოგია/Pedagogics

განვითარებას და გამომუშავებას; მხატვრულ გამომსახველობას... ყველა ამ ამოცანაზე მუშაობა კომპლექსურად უნდა ხდებოდეს ყოველ მეცადინეობაზე.

მუსიკალური რიტმის აღზრდა მასწავლებლის მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. რიტმის გრძნობას, როგორც მიუთითებენ, მოტორული ბუნება აქვს. რიტმის გრძნობის განვითარებისას მნიშვნელოვანია ბავშვის უნარი - სმენის დახმარებით მართოს თავისი სხეულის კუნთური ტონუსი. რიტმის გრძნობის აღზრდისას შეიძლება გამოყენებულ იქნას სიმღერებისა და ინსტრუმენტული პიესების მარტივი ინსცენირება. რიტმის გრძნობის განვითარების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ კ. ორფის მუსიკალური მეტყველების მეთოდი. ვთხოვთ ბავშვებს შესწავლილი ლექსის მიხედვით მარტივი მელოდიის შექმნას და დაფაზე დაწერას. თუ რომელიმე ბავშვი უკრავს ხალხურ საკრავზე, ვთხოვთ აღნიშნულ სიმღერას გაუკეთოს მარტივი რიტმული აკომპანიმენტი. ბავშვებს შეიძლება შევთავაზოთ ტაშით, კაკუნით ან საბავშვო დასარტყამი ინსტრუმენტის (დოლი, ქსილაფონი...) თანხლებით შეასრულონ სიმღერა.

მუსიკალური მონაცემების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გუნდური სიმღერა, რომელიც ახლისებს და საინტერესოს ხდის გაკვეთილს, ამავდროულად ხელს უწყობს ბავშვებში ანსამბლურობის, სწორი სასიმღერო სუნთქვის, დიქციის გამომუშავებას, სმენითი ყურადღების აღზრდას, მუსიკალური სმენის განვითარებას.

„მასალა, რომელიც მეხსიერების მიერ შეინახება და შემდეგ ცნობიერებაში კვლავ აღდგება, აუცილებლობით მოითხოვს აღქმას; კვლავ აღდგენილი შინაარსი უნდა განცდილ იქნას, როგორც ნაცნობი. ცნობის ფაქტში მდგომარეობს მეხსიერების არსი.“ [1] გვ.107. ცნობიერებაში აღდგენილი მასალა, არ განიცდება, როგორც პირველადი აღქმა. მასალის დამახსოვრების პროცესში არის ინდივიდუალური განსხვავებულობანი. არიან ინდივიდები, რომლებსაც აქვთ მხედველობითი მეხსიერება (ოპტიკური, ნოტების კითხვით), ზოგს კი, მოტორული (ინსტრუმენტზე შესრულებით) და აკუსტიკური (ნაწარმოების მოსმენით) მეხსიერება. არსებობს სპეციალური მეხსიერება: მელოდიის, მუსიკალური ნაწარმოების, ტონების... შესაბამისად, მუსიკალური მეხსიერების განვითარებაც შეიძლება მოხდეს ნოტების კითხვით, ნაწარმოების მოსმენით, ინსტრუმენტზე შესრულებით. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც, მიუხედავად ხანგრძლივი მეცადინეობისა და დიდი ენერგიის დახარჯვისა, უჭირთ ნაწარმოების ზეპირად დასწავლა, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, აკუსტიკური კომპონენტები ვერ უკავშირდება მოტორულ კომპონენტებს. ამ შემთხვევაში ნაწარმოების დასწავლა უნდა მოხდეს კითხვით, ინსტრუმენტის გარეშე, რაც დიდ ნებისყოფას, დროს და ენერგიას მოითხოვს, თუმცა შედეგი წარმატებულია. ეს მეთოდი ხელს უწყობს შინაგანი სმენის განვითარებას.

ლიტერატურა

1. კაკაბაძე ვ. მუსიკის ფენომენი. ქუთაისი, 1993
2. სამსონიძე ლ. მუსიკალური აზროვნების განვითარება სწავლის დაწყებით ეტაპზე. თბილისი, 1990

რეზიუმე

მოსწავლის მუსიკალური მონაცემების დადგენა მხოლოდ ერთი შემოწმებით შეუძლებელია. ვფიქრობთ, სასურველი იქნება, შემოწმება მოხდეს წელიწადში ორჯერ ან სამჯერ. სასწავლო წლის დასწყისში, სასწავლო წლის შუაში და სასწავლო წლის ბოლოს.

შინაგანი სმენის განვითარების შესანიშნავი მეთოდია დაფაზე დაწერილი მელოდია დაიმახსოვრონ მოსწავლეებმა და შემდეგ, შეძლებისდაგვარად, ზეპირად შეასრულონ იგი. ასევე შედეგიანი მეთოდია - დაფაზე დაწერილი მელოდიის მერყევ ბგერაზე გაჩერება და მოსწავლის მიერ ამ მელოდიის დაბოლოება. სმენის განვითარებას ხელს უწყობს ნაცნობი მელოდიის ან შესწავლილი სიმღერის სხვადასხვა ბგერიდან აწყობა, მრავალხმიანი სიმღერების შესრულება, მელოდიისთვის მეორე ხმის შეწყობა ხმით და მუსიკალურ საკრავზე ბავშვმა უნდა შეძლოს მელოდიის მიმართულების, ბგერის სიმაღლის, რიტმის აღქმა. სმენის განვითარებას ხელს უწყობს, აგრეთვე, სიმღერის ერთი ფრაზის ხმამაღლა შესრულება, მომდევნო ფრაზა, კი, გულში, უხმოდ უნდა შესრულდეს.

უმცროსი ასაკის ბავშვების სასიმღერო დიაპაზონი მცირეა. სისტემატური მუშაობისა და ბავშვის ფიზიკური განვითარების შედეგად, ბავშვის სახმო დიაპაზონის საზღვრები იზრდება, ფართოვდება და ხმის ჟღერადობა უფრო სავსე ხდება.

რიტმის გრძობის აღზრდისას შეიძლება გამოყენებულ იქნას სიმღერებისა და ინსტრუმენტული პიესების მარტივი ინსცენირება. ბავშვებს შეიძლება შევთავაზოთ ტაშით, კაკუნით ან საბავშვო დასარტყამი ინსტრუმენტის (დოლი, ქსილაფონი...) თანხლებით შეასრულონ სიმღერა.

მუსიკალური მონაცემების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გუნდური სიმღერა, რომელიც ახლისებს და საინტერესოს ხდის გაკვეთილს, ამავედროულად ხელს უწყობს ბავშვებში ანსამბლურობის, სწორი სასიმღერო სუნთქვის, დიქციის გამომუშავებას, სმენითი ყურადღების აღზრდას, მუსიკალური სმენის განვითარებას.

Magda Tkhilava - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Control and Development of Pupil's Musical Abilities

Abstract

It is impossible to define pupil's musical abilities with only one examination. We think, it will be advisable, to examine pupils twice or three times a year. In the beginning, in the middle and at the end of an academic year.

To develop internal music ear in children, the best way is that children memorize the melody written on the board and then they perform it by heart. Also an effective method is - to pause at the hesitant musical sound written on the board and then a pupil finishes the melody. Tuning up of familiar melody from different sounds, performing polyphonic songs, choosing second vocalist for the melody help the development of music ear and a child will be able to perceive direction of the melody, the length of the musical sound, and rhythm on a playing instrument. Performance of one musical phrase loudly and the other phrase silently is a good way to develop music ear in children.

School age children's vocal diapason is little. Systematical work and a child's physical development increase and widen vocal diapason, vocal sonority becomes complete.

In the upbringing of rhythm feeling, simple dramatization of songs and instrumental plays may be used. Children may be suggested performing songs by clapping, knocking or accompanying drumming instruments (drum, xylophone ...).

Choir music songs play an important role in development of musical abilities, they make a lesson interesting and cheerful, at the same time, they help children to have proper singing breath and diction, improve ear concentration and develop music ear.

მაგდა თხილავა - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მუსიკის მასწავლებლის ფუნქციები

საზოგადოების მუსიკალური მომზადების დონე ბევრად განსაზღვრავს, თუ როგორ მიმდინარეობს სკოლაში მუსიკის სწავლება. ბოლო პერიოდში საჯარო სკოლაში მუსიკალურ აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მუსიკის გაკვეთილები სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს სკოლის ცხოვრებაში. სკოლაში მუსიკალური აღზრდის მიზანია პიროვნების სულიერი კულტურის ფორმირება, ბავშვებში მუსიკისადმი სიყვარულისა და ინტერესის გაღვივება, მუსიკის განცდის უნარის განვითარება... სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში მაღალი მუსიკალური მოთხოვნილებების, კულტურისა და გემოვნების განვითარებას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში.

ბავშვთა მუსიკალური აღზრდის გამოცდილება მოწმობს იმას, რომ შესაძლებელია კარგი შედეგების მიღწევა, თუ გამოვიყენებთ სწორ პედაგოგიურ მეთოდებს, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს კარგ თეორიულ განათლებას, ბავშვთა ხმების თავისებურებების ზედმიწევნით კარგ ცოდნას, თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და პედაგოგის უნარს - ზუსტად გამოიყენოს რეპერტუარი ბავშვის სწორი მუსიკალური აღზრდა - განვითარებისთვის.

მოსწავლეთა მუსიკალური აღზრდა მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. მასწავლებელმა უნდა მოახდინოს ბავშვთა შეხედულებების, მოთხოვნილებების, გემოვნების ფორმირება. პედაგოგი უნდა გამოირჩეოდეს პიროვნული თვისებებით. მასწავლებელს, როგორც პიროვნებას, უნდა უყვარდეს ბავშვები, ხელოვნება, კერძოდ, მუსიკა. იყოს პასუხისმგებელიანი, მიზანმიმართული, ფართო ინტელექტის მქონე, განათლებული ადამიანი, რომელმაც კარგად უნდა იცის თავის საგანი. მას უნდა ჰქონდეს პროფესიული უნარ - ჩვევები, შეეძლოს თვითგანვითარება. გაკვეთილზე დადებითი ემოციების გამოსაწვევად მუსიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს კარგი იუმორიც. მასწავლებლის მუშაობაში დიდ როლს თამაშობს მისი ორგანიზატორული თვისებები - მოსწავლეები დამუხტოს დადებითი ენერჯით და ჩართოს ისინი სხვადასხვა მუსიკალურ საქმიანობაში, სადაც ბევრია დამოკიდებული მის ნებისყოფასა და მიზანსწრაფვაზე, თუმცა შედეგები მის გამოცდილებაზე და გაკვეთილების წინასწარ მომზადებაზე დამოკიდებული. მას უნდა ჰქონდეს კარგი მუსიკალური სმენა, გააჩნდეს ომპროვიზაციის უნარი, ფლობდეს ინსტრუმენტს, რადგან ცოცხალი შესრულება ჯგუფში ქმნის ემოციურ გარემოს. ცოცხალი შესრულებისას, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია შეჩერდეს და გაიმეოროს ნებისმიერი ეპიზოდი, ცალკეული ტაქტი... ინსტრუმენტზე შესრულებისას მასწავლებელი წარმოადგენს მაგალითს ბავშვებისთვის, აჩვენებს მათ თუ რა სასიამოვნო და საინტერესოა თავად შეგეძლოს მუსიკალური ნაწარმოების შესრულება. მასწავლებელს უნდა შეეძლოს ერთმანეთს დაუკავშიროს მუსიკა და ხელოვნების დარგები - ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, თეატრი და ა.შ; მას უნდა ჰქონდეს პედაგოგიური სტილი, ტაქტი, ადამიანებთან ურთიერთობისა და მოსწავლეებთან თანამშრომლობის უნარი. იგი უნდა ისწრაფოდეს სრულყოფისა და შემოქმედებითი საქმიანობისკენ. მან უნდა შეძლოს მოსწავლეთა საერთო და მუსიკალური განვითარების უზრუნველყოფა; სხვადასხვა მუსიკალურ საქმიანობაში თეორიულად დასაბუთებული საშუალებების, მეთოდებისა და სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის ფორმების შერჩევა; მიღებული შედეგების შეფასება და ახალი პედაგოგიური ამოცანების დასახვა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლის პიროვნება და პროფესიონალიზმი განსაზღვრავს მუსიკის, როგორც საგნის ბედს. მასწავლებელმა უნდა იცოდეს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლები; ესთეტიკის, მუსიკის თეორიისა და მუსიკალური ლიტერატურის საფუძვლები; ბავშვის ანატომიურ - ფიზიოლოგიური განვითარების კანონზომიერებანი; აღზრდისა და სწავლების ახალი ტექნოლოგიები. გაკვეთილი მასწავლებლისგან მოითხოვს დიდ სულიერ ძალისხმევას და ყურადღების კონცენტრაციას, აზროვნების მოქნილობასა და სწრაფ რეაქციას სხვადასხვა პედაგოგიურ სიტუაციაში. მიუხედავად საერთო შტრიხებისა და თავისებურებებისა, თითოეული გაკვეთილი თავისებურია და განუმეორებელი. გაკვეთილების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნას მოსწავლეთა ფიზიკური, გონებრივი და ასაკობრივი თავისებურებები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგის მეტყველებას, რომელიც უნდა გამოირჩეოდეს სიმარტივით, იყოს ნათელი, გასაგები, ზუსტი. ყოველ მომდევნო გაკვეთილზე უნდა მოხდეს წინა მასალის გამოკითხვა - განმტკიცება, წინააღმდეგ

პედაგოგია/Pedagogics

შემთხვევაში მოხდება მიღებული ცოდნის შესუსტება და მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის დაქვეითება. მოსწავლეებისადმი მშვიდი დამოკიდებულება ეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის ორგანიზებაში. ძნელია გაკვეთილზე ყოველთვის იყო მშვიდი, თუმცა გვახსოვდეს, რომ გაწონასწორებული მდგომარეობა მასწავლებელს კლასში უქმნის ავტორიტეტს. პედაგოგი თავისი მუსიკალური გემოვნებითა და კულტურით უნდა იყოს სამაგალითო თავისი მოსწავლეებისთვის.

ვინაიდან მოსწავლეთა მუსიკალური ნიჭი სხვადასხვაგვარია, მათთან მუშაობა და მუსიკალურ განვითარებაზე ზრუნვა სხვადასხვაგვარად, ინდივიდუალურად უნდა მოხდეს. ჯგუფში კარგ მოსწავლეთა შორის არიან სუსტი მუსიკალური მონაცემების მქონე ბავშვებიც. გაკვეთილზე ისინი ნერვიულობენ, მორცხვობენ, უხერხულობენ, შედეგად ათვისების უნარი უქვეითდებათ. ასეთ ბავშვებთან ახალი მასალის შესწავლა დაუჩქარებლად, მშვიდ გარემოში უნდა მოხდეს. ყურადღება უნდა მიექცეს ახალი მასალის ხშირ განმეორებას, რაც ხელს შეუწყობს მუსიკალური მეხსიერების განმტკიცებას. სუსტი მეხსიერების მქონე მოსწავლეებთან სიმღერაზე მუშაობა აკომპანიმენტის თანხლებით ხანგრძლივი პროცესია, თუმცა, კარგად შესწავლის შემდეგ, აუცილებელია, მათ ვამღეროთ თანხლების გარეშე. პედაგოგმა უნდა შეისწავლოს თითოეული მოსწავლის უარყოფითი მხარე და აღმოფხვრას ისინი. მთავარია, მან დროულად შენიშნოს წინსვლა. ასეთი მოსწავლეები ხშირად უნდა წახალისდნენ შექებით. ბავშვზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს მასწავლებლის მხრიდან მისი შექება, რადგან წახალისება ხელს უწყობს მოსწავლის თვითდაჯერებას და მკვეთრ განვითარებას, ასეთი სტიმული აორმაგებს სწავლის სურვილს.

თუ პედაგოგი გამოარჩევს ნიჭიერ, კარგი მუსიკალური მონაცემების მქონე მოსწავლეს, რომელსაც ყველაფერი გაწონასწორებული და კარგად განვითარებული აქვს, თუ ხშირად ხაზგასმით გაამახვილებს ყურადღებას ასეთ მოსწავლეზე და განსაკუთრებულად აღნიშნავს მის კარგ მუსიკალურ მონაცემებს, ამ შემთხვევაში, იჩაგრება და გულნატკენი რჩება ნაკლები მონაცემების მქონე ბავშვები. უფრო მეტიც, კლასში ჩნდება შური და აგრესიული დამოკიდებულება ამხანაგებს შორის. ამიტომ, პედაგოგმა წარმატებულ და ნიჭიერ მოსწავლეს არ უნდა მისცეს საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენისა და სიამაყის საშუალება. უფრო მეტიც, ნიჭიერი მოსწავლის მიმართ უნდა იყოს მკაცრი და მეტ მოთხოვნებს უყენებდეს მას. მუსიკის მასწავლებელს გაკვეთილზე დიდი მოთმინება და პრინციპულობა სჭირდება. მასწავლებლის ტაქტი, ინტელექტი, პროფესიონალიზმი და ნიჭიერება გაკვეთილის წარმატების საფუძველია.

ლიტერატურა

1. ბასილაძე ი. ჭოხონელიძე ნ. კოსტავა ნ. ქობულაძე ნ. სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები. ქუთაისი, 2016
2. თოფურია მ. ბავშვთა ვოკალური აღზრდა. თბილისი, 1974
3. ტყემალაძე რ. დალაქიშვილი ნ. თოფაძე ქ. პაჭკორია თ. ბუწაშვილი თ. სწავლება და შეფასება. თბილისი, 2011

რეზიუმე

საჯარო სკოლაში მუსიკალურ აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. კარგი შედეგების მიღწევა შესაძლებელია, თუ გამოვიყენებთ სწორ პედაგოგიურ მეთოდებს, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს კარგ თეორიულ განათლებას, ბავშვთა ხმების თავისებურებების ზედმიწევნით კარგ ცოდნას, თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, რეპერტუარის სწორად შერჩევას.

პედაგოგი უნდა გამოირჩეოდეს პიროვნული თვისებებით. იყოს პასუხისმგებლიანი, მიზანმიმართული, ფართო ინტელექტის მქონე, განათლებული ადამიანი; უნდა ჰქონდეს პროფესიული უნარ - ჩვევები. გაკვეთილზე დადებითი ემოციების გამოსაწვევად მუსიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს კარგი იუმორიც.

მას უნდა ჰქონდეს კარგი მუსიკალური სმენა, გააჩნდეს ომპროვიზაციის უნარი, ფლობდეს ინსტრუმენტს; მასწავლებელს უნდა შეეძლოს ერთმანეთს დაუკავშიროს მუსიკა და ხელოვნების დარგები - ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, თეატრი და ა.შ; მას უნდა ჰქონდეს პედაგოგიური სტილი, ტაქტი, ადამიანებთან ურთიერთობისა და მოსწავლეებთან თანამშრომლობის უნარი. უნდა შეძლოს მოსწავლეთა საერთო და მუსიკალური განვითარების უზრუნველყოფა; მიღებული შედეგების შეფასება და ახალი პედაგოგიური ამოცანების დასახვა. მასწავლებლის პიროვნება და პროფესიონალიზმი განსაზღვრავს მუსიკის, როგორც საგნის ბედს. მასწავლებელმა უნდა იცოდეს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლები; ესთეტიკის, მუსიკის თეორიისა და მუსიკალური ლიტერატურის საფუძვლები; ბავშვის ანატომიურ - ფიზიოლოგიური განვითარების კანონზომიერებანი; აღზრდისა და სწავლების ახალი ტექნოლოგიები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგის მეტყველებას, რომელიც უნდა გამოირჩეოდეს სიმარტივით, იყოს ნათელი, გასაგები, ზუსტი. პედაგოგი თავისი მუსიკალური გემოვნებითა და კულტურით უნდა იყოს სამაგალითო მოსწავლეებისთვის. მუსიკის მასწავლებელს გაკვეთილზე დიდი მოთმინება და პრინციპულობა სჭირდება. მასწავლებლის ტაქტი, ინტელექტი, პროფესიონალიზმი და ნიჭიერება გაკვეთილის წარმატების საფუძველია.

Magda Tkhilava - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Functions of a Music Teacher

Abstract

Special attention is paid to musical upbringing in public schools. If we use proper pedagogical methods, it will be able to get good results. The methods should be based on good theoretical education, good knowledge of children's vocal characteristics, using individual approach for each student, choosing right repertoire.

A teacher ought to have personal characteristics. He/she should be responsible, determined and intelligent, an educated person and have professional skills. A music teacher ought to have a good sense of humor to cause positive emotions at the lesson.

He/she should have good ear for music and the skill of improvisation, play a musical instrument; a teacher should be able to connect music and branches of art-literature, fine art, theatre etc. - with each other. He/she should have pedagogical style, tact and the skills to communicate with people and cooperate with pupils. A teacher should be able to provide pupils' general and musical development, appreciate results and set new pedagogical tasks. A teacher as a person and his/her professionalism define the future of music as a subject. A teacher should know the principles of pedagogy and psychology; the principles of aesthetics, musical literature and music theory; laws of child's anatomical-physiological development; new technologies of teaching and upbringing. It is very important how a teacher speaks, he/she should be simple, clear, and accurate. A teacher with his/her musical taste and culture should be an example for pupils. Music teachers need patience at the lesson. Teacher's tact, intellect, professionalism and talent are the basis for a successful lesson.

ლალი მიქაძე - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის N1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

**კლასგარეშე აქტივობების როლი მოსწავლეთა სასწავლო უნარების განვითარებაში
(სასწავლო მოტივაციის ამაღლება)**

დღეს, კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, როცა საგრძნობლად დაეცა წიგნიერების დონე და ხარისხი, განსაკუთრებული მიდგომებია საჭირო იმისათვის, რომ ახალგაზრდობას გავუღვივოთ განათლების მიღებისა და კულტურული განვითარების ინტერესი. მოგეხსენებათ, საქართველო ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილს იკავებს განვითარებად ქვეყნებს შორის. სამწუხაროდ, წერა-კითხვის არცოდნაც ლამის აღარავის გაუკვირდეს რუსთაველის სამშობლოში.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის PIRLS-Progress in International Reading literacy Study-ს შედეგებით, მოზარდათა განათლების დონე საქართველოში საშუალოზე დაბალია დაწყებით კლასებში, წაკითხულის შინაარსის გააზრებისა და გადმოცემის მიხედვით, მსოფლიოს 45 ქვეყნიდან ჩვენი ქვეყანა 37-ე ადგილზეა. უკეთესი შედეგი არც სხვა ასაკობრივ ჯგუფებშია, სადაც აფრიკულ ქვეყნებთან ვინაწილებთ უკანასკნელ პოზიციებს. (2014 წლის კვლევის შედეგი).

21-ე საუკუნე განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე გვაყენებს. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მქონე ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის ერთადერთი გზა კი განათლებაზე გადის. მხოლოდ სწავლული ახალგაზრდობა თავისი ცოდნითა და ენერჯით შეძლებს იმ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევას, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აქვს. არადა, დღეს, როგორც არასდროს, საგრძნობლადაა დაქვეითებული ინტერესი წიგნისადმი და ამიტომაც საგანგებო მოტივაციაა საჭირო იმისათვის, რომ მოზარდმა თავისი ასაკის შესაფერისი ლიტერატურა იკითხოს და განვითარდეს.

ცნობილია, რომ არა მხოლოდ სწავლას, არამედ ნებისმიერ აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია ისეთი სიტუაციის შექმნაა, რომელიც მოსწავლეს სწავლის ხალისსა და უნარს შემატებს. მოტივაცია ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველია. რაც უფრო მოტივირებულია მოსწავლე, მით მეტია სწავლის ხარისხი. მოტივაციას განაპირობებს როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი ფაქტორები. გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე წახალისებასა და ჯილდოს ელოდება, შინაგანი მოტივაციის დროს კი ეს ფაქტორები მინიმუმამდეა დაყვანილი და ფოკუსირება ცნობისმოყვარეობის გამოწვევაზე კეთდება. საინტერესო აქტივობები ეფუძვნება შინაგან მოტივაციას, რომლის დროსაც უმნიშვნელოვანესია თავად აქტივობაში ჩართულობა და არა მოსალოდნელი ჯილდო.

გონივრულად დაგეგმილი კლასგარეშე აქტივობები სასწავლო მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთ აუცილებელ გზად მესახება. სიტყვიერებისა და ისტორიის მასწავლებლებს კი ყველაზე მეტად შესწევთ უნარი ღირსეული გზამკვლევის როლი საკუთარ თავზე აიღონ. ეს მათი უპირველესი მოვალეობაა.

როდესაც მასწავლებელი სასწავლო პროგრამის პარალელურად, ე ს გ-ზე დაყრდნობით სწორად დაგეგმავს კლასგარეშე აქტივობებს, ვთქვათ, გამოჩენილ მწერალთა საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოებს, კლასგარეშე კითხვის საათს, მოგზაურობას პოეზიის სამყაროში, ლიტერატურულ განხილვებს, დისკუსიებს, შეხვედრებსა და დიალოგებს წარმატებულ, საინტერესო ადამიანებთან—ეს, უწინარესად, კითხვის მოტივაციას ქმნის და ახალგაზრდას უღვიძებს ინტერესს, უფრო ღრმად გაეცნოს, შეისწავლოს ესა თუ ის საკითხი, ნაწარმოები ან ისტორიული მოვლენა.

თანამედროვე მსოფლიოში კლასგარეშე აქტივობებისა და პროგრამების საჭიროება განუწყვეტლივ იზრდება. ისინი უზრუნველყოფს გაკვეთილების შემდეგ ბავშვების დროის უსაფრთხოდ, ორგანიზებულად და ნაყოფიერად გატარებას, მათ ენერჯიას პოზიტიურად წარმართავს. გარდა ამისა, სპეციფიკური უნარების დაკმაყოფილებასა და განსაკუთრებული ტალანტის გამოვლენასაც უწყობს ხელს.

განვითარებულ ქვეყნებში განათლების სფეროსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ასეთი ტიპის პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებას ხმარდება. მაგ., აშშ-ში ფედერალური დაფინანსების 10 % კლასგარეშე აქტივობებზეა გათვალისწინებული.

კლასგარეშე პროგრამების შეფასებითი კვლევების დასკვნებით, ბავშვების ჩართულობა ასეთ პროგრამებსა და აქტივობებში პირდაპირ კავშირშია მათ სტაბილურ ემოციურ მდგომარეობასა და დადებით ქცევებთან, სასიკეთოდ მოქმედებს მოზარდთა შეხედულებებსა და აკადემიურ წარმატებაზე. ე.

პედაგოგია/Pedagogics

ი. ეს აქტივობები ხელს უწყობს მოზარდთა პიროვნული და სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განათლების მაღალ ხარისხს.

მაგალითებს ჩემი პირადი პედაგოგიური გამოცდილებიდან შემოგთავაზებთ. ცოტა შორიდან დავიწყებ: 1998 წელს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პირველ სკოლაში მოსწავლეებთან შესახვედრად მოვიწვიე მაშინ ახალგაზრდა ცნობილი მწერალი და კინორეჟისორი გოდერძი ჩოხელი. სადამოხე დასწრების მსურველები სკოლის საკმაოდ ფართო დარბაზში დაიკა. იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ მწერალს გაუჭირდა მრავალრიცხოვან შეკითხვაზე პასუხის გაცემა. სკოლის აუდიტორიებში კი იმ დღიდან დიდხანს მსჯელობდნენ ჩოხელის მრავალმხრივ კინო თუ სამწერლო ხელოვნებაზე. მისი ნაწარმოებები ერთბაშად გახდა პოპულარული იმ მოზარდებშიც, რომლებსაც მანამდე ჩოხელის არაფერი არ წაეკითხათ. (ამას ხელი შეუწყო მეორე დღეს საქალაქო კინოდარბაზში გამართულმა რეჟისორის ფილმების ჩვენებამაც.) შთაბეჭდილებათა წიგნში გოდერძი ჩოხელის ჩანაწერი კი პირველი სკოლის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა, რადგანაც ნიჭიერმა შემოქმედმა, ფაქტობრივად, პატარა ნოველა იქვე, ჩვენ თვალწინ, შექმნა. დღეს სკოლის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში მოსული ყველა სტუმრის საგანგებო ყურადღებას იპყრობს სწორედ იმ შეხვედრის შემდეგ მწერლისეული ემოციით გადმოცემული ზემოხსენებული შთაბეჭდილება: "ღმერთო მაღალო! შენ დალოცე ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი საქართველო. შენ დალოცე ჩემი ლამაზი საქართველოს დედაბოძი, ჩემი იმერეთი—ჩემი დიდი პაპის, ვაჟა-ფშაველას "ლიხს აქეთური დედა". ღმერთო და ჩემო მფარველო ჩოხის წმინდა გიორგი, თქვენ შეეწიეთ იმ ლამაზ საქმეს, რა საქმისთვისაც იღვწის ქუთაისის, ასევე ჩემი დიდი პაპის, აკაკი წერეთლის სახელობის კლასიკური გიმნაზია. ღმერთო, გაზარდე აქ ისეთი ქართველები, რომლებიც გულთაბომბად და დედაბომბად შეუდგებიან ჩვენს საქართველოს! მე დღეს პირველად ვნახე ქუთაისი და აქედან ბედნიერიც მივდივარ და დიდად ვალდებულიც—მე აქ სხვანაირად დამანახეს ჩემი შემოქმედება. მე ვეცდები რაიმეთი კიდევ გაგახაროთ, გულს თუ დაგინაღვლიანებთ ჩემი მოთხოვნებით, ეგეც გახარებად ჩამითვალეთ. სიყვარულით, გოდერძი ჩოხელი. 1998 წელი."

აი, ასე იქცა კლასგარეშე აქტივობა - ლიტერატურული სადამო მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი და აქტიური კითხვის უნარების განვითარების მოტივად. ამ შედეგმა დამარწმუნა, რომ კლასგარეშე აქტივობებს უაღრესად დიდი და დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია. მას შემდეგ თითქმის არც ერთი სასწავლო წელი არ ჩამიტარებია საგანგებოდ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკისა და სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით გააზრებული აქტივობის გარეშე. მაგალითისათვის ჩამოვთვლი რამდენიმეს:

"კლასის ავტოპორტრეტი" - VIII კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით. კლასის ყველა მოსწავლე წარმოჩინდა ინდივიდუალური უნარისა და ნიჭის მიხედვით: სიმღერა, ცეკვა, დეკლამაცია, შემოქმედებითი წერა, თეატრალური წარმოდგენა, დიზაინი, მოდების ჩვენება, სხვადასხვა ნომინაციების გადაცემა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის;

"პორტრეტები და ხასიათები" - მოსწავლეთა ნამუშევრების (ნახატების, ნამერწების, ხელნაკეთების) გამოფენა, თოჯინური სპექტაკლი "ლუარსაბი და დარეჯანი" ტექსტის ინტერპრეტაციით თანამედროვეობის შესაბამისად, "კაცია-ადამიანის" რამდენიმე ეპიზოდის ინსცენირება, ალფონს დოდეს "ტარტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავლის" ლიტერატურული კითხვა. მონაწილეობდნენ VII კლასელები;

"იმერული ოდისეა დ. კლდიაშვილის გმირებთან ერთად" - რამდენიმე ინსცენირება კლდიაშვილის ნაწარმოებებიდან სკოლაში, შემდეგ მწერლის მუზეუმის ეზოში VIII კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით;

"უკვდავების ბინადარი" - აკაკი წერეთლის საიუბილეო სადამო, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია;

"ცისფერყანწელთა" ორდენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სადამო **"გაფრენა არის ისე ადვილი, თუკი გაზედავ და გაშლი მკლავებს"**. სადამოს ესწრებოდნენ ცისფერყანწელთა შთამომავლები და ენათმეცნიერთა კონფერენციის მონაწილეები. VII-XII კლასების მოსწავლეთა მონაწილეობით;

"ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო სადამო"; სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მოსწავლეთა მონაწილეობით;

ქუთაისის პირველი სკოლის - კლასიკური გიმნაზიის **185 წლის** საიუბილეო სადამო **"წარსულიდან მომავლისაკენ"**; სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა მონაწილეობით;

პირველი სკოლის ორსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი **მუზეუმის** პროექტის განხორციელება-- გამოფენის გახსნა.

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო საღამოების ორგანულ გაგრძელებას ქმნიდა სასწავლო ექსკურსიები მათ მემორიალურ მუზეუმებში.

მაგ. , დავით კლდიაშვილის პერსონაჟები მოსწავლეებმა გააცოცხლეს როგორც სკოლის სცენაზე, ასევე მწერლისეული სახლის აივანზე სიმონეთში. ანალოგიური გაგრძელება ჰქონდა აკაკისა და ექვთიმე თაყაიშვილის საღამოებსაც სხვიტორსა და ლიხაურში. მოსწავლეთა მიერ შესწავლილი და მხატვრულად გააზრებული მასალის ათვისება სრულყო ექსკურსიებზე მიღებულმა პირადმა შთაბეჭდილებებმა. ასეთი გასვლითი გაკვეთილები ცნობიერებას განავითარებს და არავითარ შემთხვევაში არ იქცევა მხოლოდ გართობად, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ექსკურსიების ერთადერთ თანამდევ შედეგს წარმოადგენს.

აღნიშნული ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობამ მოსწავლეებს, გარდა სოციალური-საკომუნიკაციო უნარებისა, განუვითარა მხატვრული კითხვისა და სასცენო-თეატრალური უნარ-ჩვევები. გაუღვიძა სათანადო ლიტერატურული მასალის ღრმად გაცნობის სურვილი ,ერთი სიტყვით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გაულრმავე ცოდნა.ცისფერყანწელთა საღამოს მზადებისა და ჩატარების შემდეგ მასში მონაწილე ბავშვები გახდნენ ტიცინ ტაბიმის, პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და სხვათა პოეზიის აქტიური მკითხველები, შეისწავლეს მათი ბიოგრაფია და ის რთული ეპოქა, რომელმაც მათი ცხოვრების ტრაგიზმი განაპირობა. ზემოთ ჩამოთვლილი შედეგების მიღწევა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესზე თითქმის შეუძლებელია

>>>

კლასგარეშე აქტივობებისადმი საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად ჩავატარე კვლევა მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების მონაწილეობით. კვლევის შედეგებით, ირკვევა, რომ კლასგარეშე აქტივობებისადმი ნდობა და მისგან გამოწვეული შედეგების პოზიტივი საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს 100 %-ით. კითხვაზე:---"მიიჩნევთ თუ არა კლასგარეშე აქტივობას მოსწავლეთა სასწავლო უნარებისა და ზოგადი განათლების ხელშემწყობ მოტივად?"___100 გამოკითხულიდან დადებითი პასუხი გასცა ასივემ. მოსწავლეც, მასწავლებელიცა და მშობელიც თვლის, რომ ეს აქტივობები ავითარებს მოსწავლის სხვადასხვა უნარს: კომუნიკაბელობას, კონკრეტული საკითხის ცოდნას, ზრდის ინტერესს მხატვრული ლიტერატურის კითხვისადმი, ამალეებს სასწავლო მოტივაციას. ასეთ აქტივობებში ჩართული მოსწავლეები საოცრად უმეგობრდებიან ერთმანეთს და საერთო ესთეტიკურ-ეთიკური შეხედულებების სოციუმადაც ყალიბდებიან.

ე. ი. საზოგადოების ყველა წარმომადგენელი თანხმდება, რომ კლასგარეშე აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობა აუცილებელია მოსწავლის განვითარებისათვის. მისი დადებითი შედეგები კი ბევრად აღემატება უარყოფით მხარეებს: მაგ., ფინანსურ დანახარჯებს, გაკვეთილების შემდეგ აუცილებელი დროის ხანგრძლივობასა და ა.შ. მიუხედავად ამისა , მაინც არასაკმარისია მათი ხვედრითი წონა სასკოლო ცხოვრებაში. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა არის ამის მიზეზი, მაშინ, როცა მათზე მოთხოვნა დიდია? პასუხიც იქვეა: ეს არის მოსწავლისა და მასწავლებლის დროის დეფიციტი გაკვეთილების შემდეგ. ისინი დაკავებული არიან კერძო მეცადინეობებით, რომელთა საჭიროებაც დღევანდელობამ მოიტანა. დროის ის მონაკვეთი, რომელიც კლასგარეშე აქტივობების მომზადებასა და მათ ჩატარებას უნდა დაეთმოს, ფაქტობრივად, ყველას დაკავებული აქვს, რაც ნეგატიურად აისახება დღევანდელ სასკოლო ცხოვრებაზე და მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების პერსპექტივაზე. მოვიყვან ერთ მაგალითს: თუ რამდენიმე წლის წინ სკოლის ვაჟთა ხალხური სიმღერის გუნდში გაერთიანებული იყო 60-70 მოსწავლე, ამჟამად ეს რიცხვი საგრძნობლად შემცირებული___გამესამედებული. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კლასგარეშე აქტივობა, რომელიც სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი მოტივია, დამოკიდებულია სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე. როცა ეს უკანასკნელი ისე დაიხვეწება, რომ მოსწავლეს აღარ დასჭირდება დამატებითი კერძო მეცადინეობა, მას გამოუთავისუფლდება დრო, რომელიც ისევ მის განვითარებას მოხმარდება.

გამართული საგაკვეთილო პროცესი+ მოსწავლის უნარის, ინტერესისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი კლასგარეშე აქტივობა= მრავალმხრივ განვითარებულ მოზარდს, საბოლოოდ კი,___კარგ მოქალაქეს, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

ლიტერატურა

1. ნინო კოდუა, თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი, "მოტივაცია__თანამედროვე სკოლის მნიშვნელოვანი პრობლემა". 2013 წ. მასწავლებელთა კონფერენციის მასალები
2. "განმარტებული ლექსიკონი", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბ. 2008.
3. ავთანდილ შურღია, "კლასგარეშე აქტივობები და პრობლემები", 2012.
4. ქუთაისის პირველი საჯარო სკოლის შთაბეჭდილებათა წიგნი, გოდერძი ჩოხელის ჩანაწერი.

Lali Mikadze - Kutaisi Akaki Tsereteli State School №1, Teacher of Georgian Language and Literature

The role of Out of class activities in improving the student learning skills (Rising the studying motivation)

Abstract

Reasonably planned out of class activities is the necessary means to rise students' studying motivation. These activities should be planned in accordance to the student level and interest. Literary evenings dedicated to the famous writers' anniversaries, out of class reading hours, travel in the world of poetry, literary discussions, meetings and dialogues with interesting and successful people - rise the student motivation to reading, provoke their interest to deeply acknowledge and study different issues, stories and historical events.

The need of out of class activities and programs is permanently rising in the modern world. They provide the safe, organized and fruitful time for children after classes.

The work deals with those student development activities that the teacher experienced from her long teaching period. Impediment teaching factors are also discussed in the article.

თამარ შანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სპეციალობის დოქტორანტი, სსიპ ზადრი ბასილადის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი

მოსწავლეთა შეფასების ეფექტურობა სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროცესი სწავლა- სწავლების ურთიერთგანმაპირობებელი პროცესების გარდა მნიშვნელოვან კომპონენტს, შეფასებას მოიცავს, რომელიც ერთის მხრივ პედაგოგისა და მეორეს მხრივ მოსწავლისათვის ერთგვარ უკუკავშირს წარმოადგენს სასწავლო სივრცეში სათანადო ეფექტური მეთოდებით ლავირებისა და მოსწავლეთა დემოტივაციის პრევენციის მონიტორინგის თვალსაზრისით. ნებისმიერი სახის პედაგოგიურად გამართლებული ინოვაციური მიდგომა საფუძვლიან და გეგმაზომიერ გადასინჯვას საჭიროებს პრაქტიკაში არსებულ საჭიროებებთან მიმართებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება ახალი, უხილავი ბარიერი, რომელიც მომავალში მოსწავლეთა სოციალურ ცხოვრებაში პრობლემატურ ურთიერთობათა სახით ბუმერანგით გვიბრუნდება. ამდენად, აუცილებლობა მოითხოვს სასწავლო გარემოს ობიექტურად შეფასებას, პედაგოგთა და მოსწავლეთა სწორ თვით და ურთიერთშეფასებებს. შეფასების ამ სახეობათა დახვეწის მიზნით არაერთი უცხოური პედაგოგიური გამოცდილება თარგმნილა ქართულ ენაზე. ნაწილობრივ მოგვარდა რეალობაში არსებული პრობლემები, თუმცა რთული აღმოჩნდა ქართულ იდენტობაში სტერეოტიპად დაღეჟილ ნაკლოვანებათა სრული გაუვნებლყოფა, რაც მიმაჩნია პრობლემის არასწორად დასმისა და უმიზნოდ, მხოლოდ სიახლის დანერგვის თვალსაზრისით, შემოტანილი მიდგომების გადასინჯვის მიზეზია. სიახლე მისაღება იმდენად, რამდენადაც ის ახლოს დგას ჩვენს ეროვნულ ღირებულებებთან და რეალურად არსებულ პრობლემათა მოგვარებაზე ორიენტირებული. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში აქტუალურია შეფასების ორი ტიპი: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, რომელთა არსებითი ღირებულებაა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მოსწავლეთა მოტივაციის რეგულირება. განმავითარებელი შეფასების დახვეწის თვალსაზრისით ჟურნალ „მოსწავლების“ ერთ-ერთ სტატიაში „განმავითარებელი შეფასების ეფექტურობა“ საუბარია მოსწავლეთა მიერ ე.წ. ბარათების შევსებაზე. ბუნებრივია ისმის შეკითხვა, შეძლებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლე ობიექტური შეფასების გაკეთებას? სადაც მოსწავლეს ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყალიბებული წერის კულტურა და უნარ ჩვევები, ბუნებრივია მის მიერ გაკეთებული წერილობითი შეფასება ვერ იქნება ობიექტური, თუმცა შესაძლებელია გამოხატოს მისი დამოკიდებულება სხვადასხვა ფორმით, ნახატი, ზეპირი კომენტარით. ჩნდება მეორე ლოგიკური შეკითხვა, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლემ გაკვეთლის რომელ ფაზაში უნდა შეავსოს აღნიშნული ტიპის ბარათი? გაკვეთილის მიმდინარეობისას ბუნებრივია მასწავლებელს ეს რგოლი გათვალისწინებული არ აქვს, შესვენება გაკვეთილებს შორის კი განკუთვნილია მოსწავლეთა განტივირებისა და დასვენებისათვის. ამდენად, აღნიშნული აქტივობა რეალურად არსებულ პრობლემებს ნაწილობრივ თუ მოაგვარებს. შეფასება შესაძლებელია იყოს: სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე. ასევე შესაძლებელია შეფასება იყოს ნორმაზე, კრიტერიუმზე და პიროვნებაზე ორიენტირებული. პირველ შემთხვევაში მოსწავლის ცოდნა ფასდება ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის განკუთვნილი ცოდნის დონის შესაბამისობით, მეორე შემთხვევაში მოსწავლის ცოდნა ფასდება ანალიტიკური თუ ჰოლისტიკური თვალსაზრისით ცალკეული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მესამე შემთხვევაში შეფასება გულისხმობს ამა თუ იმ მოსწავლის ცოდნის დონის შეფასებას მისსავე წინანდელ ცოდნის დონის მაჩვენებელთან. სასკოლო განათლების სამსაფეხურიანი სისტემის პირველ საფეხურზე ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებას და მოსწავლეთა შეფასებას მოქნილი, ასერტული კომენტარების საშუალებით. ამ ეტაპზე მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში აქტიურ ფაზებს ხშირად უჩვენებს, თუმცა მათთან სიახლის სახით შემოტანილი განმავითარებელი შეფასების ვიზუალური თუ მატერიალური მასალა, მოსწავლეების აქტივობის ხარისხს კიდევ მეტად ამაღლებს. ამ მიზნით ხშირად იყენებენ პედაგოგები ე.წ. სიცილაკებს, ვარსკვლავებს და ა.შ. მოსწავლეებს ამ ეტაპზე აქვთ უნარი გააკეთონ სწორი შეფასებები თუ ურთიერთშეფასებები. დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდგომ პედაგოგთა მიერ გაკეთებული შეფასებები ხშირად ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს, ამგვარი არაადექვატური შეფასებები ხშირად მომდევნო საფეხურზე გაკეთებული

პედაგოგია/Pedagogics

დაბალი შეფასების გამო მშობლებისა და მოსწავლეების უკმაყოფილების მიზეზი ხდება. ეს კი საბაზო საფეხურზე პედაგოგებს დიდ პრობლემებს უქმნის. საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევამ საშუალება მომცა სწორედ ამ სახის პრობლემა მეკვლია ერთ ერთ მოსწავლესთან მიმართებაში. კვლევის მიმდინარეობა ასახულია ჩემს მიერ წარმოებულ დღიურში, რომელიც ამ კლასში ჩატარებული ყოველი გაკვეთილის რეფლექსიას წარმოადგენს. კონკრეტული მოსწავლე მას შემდეგ გახდა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ობიექტი, რაც მშობელმა უკმაყოფილება გამოთქვა მისი შვილის დაბალი შეფასების გამო. მან განმიმარტა, რომ მისი შვილი დაბალ შეფასებას არ იყო ჩვეული და ითხოვდა მაღალ შეფასებას, მაშინ როდესაც ბავშვი რეალურად საშუალო შეფასებასაც ვერ იმსახურებდა გაკვეთილისათვის მომზადების ხარისხით. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ამ სიტუაციაში მშობელს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სამკუთხედის მთლიანობა დაშლილია და ძნელია რომელიმე ერთი გვერდის რეგენერაცია იმ ფონზე როცა მშობლის ნდობის ხაზი არაერთგვაროვანმა განმანვითარებელმა შეფასებამ მთლიანად მოშალა და დარჩა მხოლოდ ცალსახად მოსწავლის ჰიპოტენუზური ხაზი ერთ-ერთი კათეტიტით. როგორც მათემატიკური ლოგიკით მსჯელობენ ხოლმე აქაც აქტიური აღმოჩნდა ნაცნობი მონაცემებით უცნობზე გასვლის პერსპექტივა, რამაც ვთვლი თვალსაჩინო შედეგი გამოიღო. მოსწავლესთან ურთიერთობისას აქცენტი გავაკეთე მის მიერ გაკეთებულ სწორ მიდგომებზე, შესრულებული დავალების სისწორეზე, ხშირად აქცენტს ვაკეთებდი იმ უნარებზე, რომლებიც ამ მოსწავლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. მოსწავლესთან ჩემმა საუბრებმა და განმავითარებელი შეფასებით გაკეთებულმა სტიმულის მომცემმა კომენტარებმა, პედაგოგიურმა ტაქტმა მოსწავლე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მისი დაბალი შედეგი მისივე პასიურობის მიზეზი იყო. მოსწავლისგან ამგვარი თვითშეფასების მოსმენა ჩემთვის გამარჯვების ტოლფასი იყო, რადგან ამჯერად ჩავთვალე რომ ამ ცნობიერების მოსწავლესთან შეიძლებოდა ურთიერთთანამშრომლობითა და ინტერაქციით კონკრეტული რეალური ბიჯების წარმატებით გაკეთება. ამდენად, ჰიპოტენუზურმა ხაზმა ერთერთი კათეტიტური მონაცემით განაპირობა უცნობი კათეტიტური მონაცემის გამოცნობა და მთლიანობის აღდგენა.

ამგვარ სიტუაციაში ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის პრობლემა მოაგვარა რამდენიმე ფაქტორმა:

- მშობლის მიერ გამოთქმულმა პრეტენზიამ
- პრობლემის სწორად განსაზღვრამ
- დასმული პრობლემის გზების ალტერნატიული ვარიანტებიდან ეფექტურის შერჩევამ

ამდენად საგულისხმოა, რომ მოსწავლესთან ეფექტური კომუნიკაცია შედეგს ყოველთვის იღებს და შესაძლებელია მშობელთანაც შეფასების გამო წარმოშობილი ხიდგატეხილობის პრობლემაც მოგვარებადი გახადოს. მმ პრინციპით მუშაობისათვის აუცილებელია მშობლის, მასწავლებლისა და მოსწავლის სწორი ურთიერთ-დამოკიდებულება. თუ ირღვევა ხშირ შემთხვევაში ამგვარი ერთიანობა, ამის მიზეზი მშობელთა არაჯანსაღი პედაგოგიური განათლებაა და ის სოციალური პრობლემები, რომელთაც მშობელი თავს ვერ აღწევს და იძულებით ოჯახის დატოვებით, ემიგრანტის პოზიციიდან შვილის გამოკვება უხდება. ეს გარემოება კი ბავშვისთვის ქმნის ისეთ არაჯანსაღ სიტუაციას, სადაც მათ არასრულფასოვნების განცდა უჩნდებათ მშობლებისაგან და მათი სიყვარულისაგან გამოცარიელებულ გარემოში. ისინი ქვეცნობიერად აგრესიულნი ხდებიან და ამგვარი აგრესიითვე ცდილობენ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას რაც ძირს უთხრის ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების წარმოებას.

შეფასების დანიშნულება არ არის მხოლოდ მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესების მართვის ინსტრუმენტი, ის აუცილებელია რეალური მდგომარეობის სწორი შეფასებისა და მისი გათვალისწინებით სწორი ნაბიჯებისთვის.

ლიტერატურა

1. სწავლება და შეფასება (დამხმარე სახელმძღვანელო), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011
2. თამთა კობახიძე, გიორგი ნოზაძე, მაია ინასარიძე, მანანა ბოჭორიშვილი. მასწავლებლის წიგნი. მოსწავლე, გაკვეთილი და შიდა სასკოლო შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016
3. სოფო გორგოძე, ეფექტური განმავითარებელი შეფასება, ჟურნალი მასწავლებელი, 2016
4. ჩანაწერები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დღიურიდან.
5. Manen, Max van Herbart und der Takt im Unterricht Hopmann, Stefan [Hrsg.]; Riquarts, Kurt [Hrsg.]: Didaktik und/oder Curriculum. Grundprobleme einer international vergleichenden Didaktik. Weinheim u.a.: Beltz 1995, S. 61-80. - Zeitschrift für Pädagogik, Beiheft; 33

რეზიუმე

წარმოდგენილი სტატია აქტუალურია თავისი შინაარსიდან გამომდინარე, რადგან იგი საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მიმდინარეობასა და შედეგებს ნათლად წარმოაჩენს. ისინი შემუშავებულია თემატიკის ფარგლებში არსებული ლიტერატურისა და პრაქტიკული კვლევის ანალიზის საფუძველზე. აქ წარმოდგენილი დასკვნები ერთგვარი რეკომენდაციებია მსგავს სიტუაციებში არსებული პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით.

სტატიის არსებითი ღირებულება პირდაპირ კავშირშია სწავლა-აღზრდის საკითხებთან, ამკარად ეხმარება თანამედროვე სოციალურ პირობებში წარმოშობილ აღმზრდელობით პრობლემებს და იძლევა ალტერნატიულ ვარიანტთაგან ყველაზე ეფექტურის შერჩევის საშუალებას.

The effectiveness of students' assessment in the learning process

Abstract

Presented article is actual because of its content and it clearly demonstrates the course and the results of the own pedagogical practices research. It has been developed based on the analysis to topics within the literature and practical research. The results presented here are kind of recommendations to solve problems in similar situations.

The importance of the article is directly related to the upbringing issues, clearly echoes the educational problems that are arising in modern social condition and provides to choose the most effective variants from alternative ones.

ფრიდონ გოგიაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი

გოჩა ლეკვეიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
დავით მესხი - კოლეჯი „იბერია“, მასწავლებელი

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენება სატრანსპორტო საშუალებების მოწყობილობების დაზიანებათა დიაგნოსტიკის პროცესში

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში განუხრელად იზრდება მოთხოვნები კვალიფიციურ საწარმოო პერსონალზე და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის საწარმოო საშუალებებზე. ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საწარმოო საშუალებების განვითარება პრაქტიკულად თანახვედრადია მეცნიერული ტექნიკური პროგრესის მიღწევებთან, რასაც ვერ ვიტყვით საწარმოო პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ მეტყველებს პრობლემების არსებობაზე სამუშაო ძალების დასაქმების სფეროში.

განათლების სისტემის, მათ შორის უმაღლესი და პროფესიული განათლების, მთავარი საზრუნავი არის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს და სტანდარტებს, რომელსაც ითხოვს შრომის ბაზარი. ასეთი, ახალი ტიპის განათლების მიღება კი დღეისათვის შეუძლებელია მხოლოდ ძველი ტრადიციული სწავლა-სწავლების მეთოდებით (როგორცაა ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობა და სხვა) საჭირო არის სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისათვის ფართოდ გამოიყენებოდეს სწავლების თანამედროვე მეთოდები. მათ შორის საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული მეთოდები, როგორცაა დისკუსია-დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, თამაშების მეთოდი, ანალიზის და სინთეზის მეთოდი და სხვა. თითოეული მათგანის გამოყენება ერთიანობაში ან კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღებად ცალ-ცალკე საშუალებას გვაძლევს სასწავლო გარემო ვაქციოთ შემოქმედებით პროცესად და მივიღოთ ის შედეგი, რაც შესაბამისი პროგრამის შედეგებით არის გათვალისწინებული.

პრობლემები სწავლის პროცესში პრაქტიკულად გვხვდება საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ განათლების ყველა საფეხურზე, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში გვსურს ყურადღება გავამახვილოთ უმაღლეს საინჟინრო და პროფესიული განათლების კუთხით, რადგან განათლების ეს სფერო უშუალოდ არის პასუხისმგებელი შრომის ბაზარს მიაწოდოს ისეთი ინჟინერ-ტექნიკური კადრი და პროფესიული მუშახელი, რომელიც კარგად მოახდენს ადაპტაციას ახალ საწარმოო სიმძლავრეებთან და ინოვაციურ ტექნოლოგიებთან.

უმაღლესი და პროფესიული განათლების სპეციალისტთა მთავარი საზრუნავი არის, რომ სტუდენტმა მიღებული ცოდნა და უნარ ჩვევები პრაქტიკულად გამოიყენოს ცხოვრებისეული მპრობლემების გადასაჭრელად და პროფესიული საქმიანობის სფეროში კარიერული წინსვლის მისაღწევად. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი არის სწორედ ის საშუალება, რომელიც სტუდენტს უყალიბებს დამოუკიდებელი ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარს, ზრდის მათ ინტელექტს და უყალიბებს მათ საკუთარ მსოფლმხედველობას.

ასეთი ტიპის სწავლების დროს პროფესორ-მასწავლებელიწარმოგვიდგება ფასილიტატორის როლში და სისტემატურად ქმნის პრობლემურ სიტუაციას და სტუდენტთა ქმედებას მიმართავს შექმნილი პრობლემის დაძლევისაკენ. სწორედ, აღნიშნული მიდგომა განასხვავებს მას სწავლების ტრადიციული მეთოდებისაგან, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არის განმარტებითი. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება საშუალებას გვაძლევს არა მარტო შევისწავლოთ საკითხი, არამედ ვისწავლოთ აზროვნება და პრობლემის შესწავლისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების სასწავლო პროცესში გამოყენების დროს შეიძლება გამოვყოთ სამი კომპონენტი:


1. საწყისი ცოდნა და მოქმედების ხერხები. პრობლემური კითხვები დასმული არის ღიად.
2. ახალი ცოდნა და მოქმედების ხერხები. სტუდენტები მუშაობენ მცირე ჯგუფებში.
3. საწყისი და ახალი ცოდნის გამოყენება ხდება პრობლემების გადაჭრის პროცესში. სწავლა წარმოადგენს აქტიურ პროცესს.

პედაგოგია/Pedagogy

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების ეს მეთოდი არ შეიძლება ფარავდეს მთელ სასწავლო პროცესს, რადგან შესასწავლი მასალა თავისი შინაარსით განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაბამისად მეთოდების შერჩევის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ მიზანშეწონილობის პრინციპით. აქედან გამომდინარე პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპები სხვადასხვა არის ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების სფეროში.

საინჟინრო განათლების მიღების პროცესში სტუდენტი აწყდება ბევრ პრობლემას, რომლის გადაჭრა მას უჭირს მხოლოდ იმ ცოდნით, რომელიც მას აქვს. ამ მიზნით ის არკვევს, თუ რა უნდა იცოდეს არსებული პრობლემის გადასაჭრელად. შესაბამისად საჭირო ხდება კონკრეტული ცოდნის შექმნა. ასეთი ტიპის ამოცანის გადაჭრა შეიძლება საჭირო გახდეს ინჟინერიის სხვადასხვა დარგში. კონკრეტულ სიტუაციაში შევჩერდებით, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ზემოთ ხსენებული მეთოდი სატრანსპორტო და ტექნოლოგიური მანქანების კვანძების და დეტალების მუშა პროცესების შესწავლის პროცესში.

თანამედროვე ავტომობილი წარმოადგენს რთულ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სისტემას. ავტო მრეწველობაში პრაქტიკულად ინერგება მაღალი დონის კონსტრუქციული და ელექტრონული გადაწყვეტები. იმისათვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად რთულია პრობლემები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ექსპლუატაციის პროცესში, ქვემოთ მოვიყვანთ ავტომობილის კონსტრუქციული აღწერილობის სქემას.




ნახ.1

კონსტრუქციების შესწავლის დროს პრობლემებზე დაფუძნებული სწავლის მეთოდის გამოყენების დროს სწავლა მიმდინარეობს ღია და მხარდამჭერ გარემოში, სადაც მოსწავლე არის აქტიური და ორიენტირებული საკუთარ თავზე, ხოლო მასწავლებელი ფასილიტატორი, რომელიც მოსწავლეს აჩვენებს სწავლის მიმართ ინტერესის მაგალითს. ტიპური პრობლემის სახით შეიძლება განვიხილოთ ერთ-ერთი რთული სისტემის - სატრანსპორტო საშუალებების ელექტრონული და ელექტრონული სისტემების დაზიანებათა შესწავლას ან მათი დაზიანებების დიაგნოსტიკას ადრეულ ეტაპზე.

ელექტრონული და ელექტრონული სისტემის შესწავლის დროს ყურადღება არის გამახვილებული პრაქტიკული მიმართულებებზე. რაც საშუალებას აძლევს სპეციალისტს სამუშაო ადგილზე გადაჭრას პრაქტიკული ამოცანები. ამ მიზნით გამოყენებულია ავტორთა მიერ დამუშავებული სტენდები, რომელიც თავისი შინაარსით არის მულტიფუნქციური. კერძოდ, ის აერთიანებს როგორც კონსტრუქციულ, ასევე სქემატურ ნაწილს და ენერჯის წყაროს, რაც საშუალებას იძლევა ხელსაწყოების და აპარატურის საშუალების მოვახდინოთ პროცესების სიმულაცია და მოვახდინოთ ნაბიჯ-ნაბიჯ დაზიანებების აღმოჩენა.

პედაგოგიკა/Pedagogics



ასეთი ტიპის თვალსაჩინოება საშუალებას გვაძლევს პრაქტიკულად განვახორციელოთ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი კონკრეტული ამოცანების შესწავლის დროს. კერძოდ სტუდენტებს საშუალება მიეცემათ შეისწავლონ:

- ცნობები ავტომობილის ელექტრომონოწილობების, მისი კვანძების და დეტალების მახასიათებლების და მათ შორის კავშირის შესახებ;
- პროცესების არსი, რომელიც მიმდინარეობს ხელსაწყოებში და ავტომობილის ელექტრომონოწილობის სისტემაში;
- მოწყობილობებისათვის დამახასიათებელი უწყისიერებები, მათი წარმოშობის მიზეზები და ნიშნები;
- ელექტრომონოწილობის ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები, მოწყობილობების გამოყენების წესები და უწყისიერების აღმოფხვრისათვის საჭირო მოწყობილობები და ხელსაწყოები.

მიღებული ცოდნა საშუალებას მისცემს სპეციალისტს დამოუკიდებლად შეისწავლოს ავტომობილის ელექტრომონოწილობის და ელექტრონიკის ხელსაწყოების ახალი კონსტრუქციები და მათი სქემები.

წარმოდგენილი მეთოდების საშუალებით კონკრეტული მაგალითისათვის შეიძლება მოვახდინოთ შემდეგი სახის უწყისიერების შემოწმება და შესწავლა:

1. ანთების სისტემის ელემენტების გამართულობა, დაზიანებები და მათი აღმოჩენის ხერხები;

პედაგოგია/Pedagogics

2. თითოეული დეტალის და კვანძის მუშაობის პრინციპები და აგებულება;
3. დეტალებზე და კვანძებზე მომქმედი ფაქტორები;
4. ავტომობილის გარე განათების ხელსაწყოების დიაგნოსტიკა.
5. ავტომობილის მარჯვენა ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები და პირობები;
6. ავტომობილის განათების სისტემის ელემენტების დაზიანება და მათი აღმოფხვრის ხერხები.

ამრიგად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის დროს ცოდნის მიღება ხდება უკვე დასმული პრობლემის მოგვარების პროცესში. ამასთან ერთად სტუდენტს უვითარდება პრობლემის გადაჭრის უნარიც. სტუდენტი აგროვებს ინფორმაციას და ანალიზის საფუძველზე აკეთებს შესაბამის დასკვნას. სტუდენტს უვითარდება ჯგუფური მუშაობის უნარი და კრიტიკული აზროვნება. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის გამოყენება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა საინჟინრო დისციპლინების შესწავლის დროსაც. თუმცა საჭიროა კურიკულუმში პრობლემების ერთობლიობის გულმოდგინედ და გააზრებულად შერჩევა.

ლიტერატურა

1. განვითარების და სწავლების თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბილისი: გამომცემლობა საქართველოს მაცნე. 2008 წ.
2. ჯანაშია ს., სამაგლიშვილი შ., წერეთელი მ., და სხვ. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება. ნაწილი II თბ. 2008 წ.
3. общая и профессиональная педагогика: Учебное пособие для студентов. Под. ред. В.Д. Симоненко, М.В. Ретивых Изд. БГУ, 2003, - 174 с.
4. Инновационные методы обучения. Тамышевский К.В. ВГУ. 2012 г. презентация – 2012 г. 105 ст.
5. Реутова Е.А. Применение активных и интерактивных методов обучения в образовательном процессе вуза метод. рекомендации. – Новосибирск: Изд-во, НГАУ, 2012. – 58 с.

რეზიუმე

მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების პრაქტიკულად გამოყენების კუთხით, საჭირო ხდება მაღალკვალიფიციური საინჟინრო კადრების და სამუშაო ძალის არსებობა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი არის უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. სწავლების მეთოდები შეიძლება შერჩეულ იქნას შესასწავლი დისციპლინის სპეციფიკის და პრობლემების გათვალისწინებით.

ნაშრომში განხილულია კონკრეტული მაგალითი სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციების დაზიანებათა დიაგნოსტიკის პროცესში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენების შესახებ. შემოთავაზებულია მაღალფუნქციური სტენდი, სადაც სიმულაციის გზით შესაძლებელია სხვადასხვა პრობლემების წარმოჩენა, სტუდენტთა ჯგუფის მიერ პრობლემების შესწავლა და დიაგნოსტიკა დაზიანებების აღმოჩენის მიზნით. აღნიშნულ მეთოდთან ერთად, პრობლემების შესწავლის დროს, გამოყენებულია კონსტრუქციის სქემები და თეორიული მასალები.

Pridon Gosiashvili – Akaki Tsereteli State University, Professor, Dean of the faculty of Technical Engineering

Gocha Lekveishvili - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

David Meskhi – College "Iberia, teacher.

The Use of the Problem-Based Learning Method in the Process of Diagnostics of Vehicle Equipment Occurrences Summary

In terms of the practical use of innovative technologies in a highly developed market economy, the existence of highly qualified engineering personnel and work force appears increasingly necessary. Addressing these issues is possible by using innovative learning methods in higher and vocational education institutions. These methods can be chosen by taking into consideration of the specificities and problems of a studied discipline.

The paper describes a concrete example of using the problem-based learning method in the process of diagnostics of vehicle design occurrences. there has been proposed a high-functioning test-bench, in which it is possible to simulate various problems, a group of students can study the problems and diagnosis these occurrences. In addition to the mentioned method, when studying the problems, there have been used the design schematics and theoretical materials.

მაკა აბულაძე - აიპი ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების მე-13 ფილიალში დირექტორის წარმომადგენელი

სკოლამდელი აღზრდა, როგორც განათლების სისტემის პირველი რგოლი და პიროვნების განვითარების მთავარი საფუძველი

„თანამედროვე ბავშვები სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, თავიანთი ცხოვრების გზაზე არა ერთხელ აღმოჩნდებიან ცვლილებათა წინაშე, სოციალური, პოლიტიკური და გარემოს ცვლილებები იქნება ეს, თუ გარდაქმნები მეცნიერებასა და ტექნიკაში, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს შრომის ბაზარზე, ასეთ სწრაფად ცვალებად თანამედროვე სამყაროში ძალზედ მნიშვნელოვანია ბავშვებში ავლზარდოთ მისწრაფება ისწავლონ მთელი ცხოვრების მანძილზე“ (2 . გვ.1-1).

„ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ბავშვის ცხოვრების პირველი ექვსი წელი და ამით ჩვენ შევცვლით მომავალს“, პირველი ექვსი წელი ბავშვის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია, სწორედ ამ პერიოდში ხდება ტვინის უჯრედების 90%-ის აქტივირება და მათ შორის ნერვული კავშირების ჩამოყალიბება, ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლამდელი დაწესებულება თავისი სათანადო სააღმზრდელო გარემოთი. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ნობელის პრემიის ლაურეატს, ეკონომისტს, პროფესორ ჯეიმს ჰეკმანს: ვისაც სურს, შეამციროს სირთულეები და გააძლიეროს ეკონომიკა უნდა ჩადოს მნიშვნელოვანი ფინანსები სკოლამდელ განათლებაში. ადრეულ განათლებაში დღეს ჩადებულ ყოველ დოლარს მოაქვს 7\$ მომავალში.“

„ მოძღვრებას ბავშვის განვითარების შესახებ საფუძვლად უდევს ჟან პიაჟეს, ერიკ ერიქსონისა და ლევ ვიგოტსკის თეორიები. პიაჟე და ვიგოტსკი ბავშვს განიხილავდნენ, როგორც ბიოლოგიურ არსებას, თუმცა მათ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმის თაობაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს ბუნება და საზოგადოება ბავშვის განვითარების პროცესზე.

პიაჟეს თვალთახედვით, მოზარდი განვითარების მრავალ საფეხურს გადის:

1. სენსორიული სტადია, რომელიც დაბადებიდან 2 წლამდე გრძელდება. ბავშვი იწყებს სამყაროს შემეცნებას იმ ფიზიკური (პერცეპტული და პრაქტიკული მოქმედების) აქტივობის ჩარჩოებში, რომლის განხორციელებაც შეუძლია. დაახლოებით 1 წლიდან ბავშვებს უვითარდებათ სიმბოლური აზროვნების უნარი, გონებაში წარმოსახონ და სიმბოლოების საშუალებით იფიქრონ საგნებსა და მოვლენებზე. ეს სტადია აზროვნებისა და მეტყველების აღმოცენებით მთავრდება.

2. ოპერაციამდელი ანუ პრეოპერაციული- 2-დან 7 წლამდე. განვითარების ამ ეტაპზე ორი პერიოდი გამოიყოფა: ცნებამდელი აზროვნება (2-4 წწ) და ინტუიტიური აზროვნება (4-7 წწ). ამ ასაკის ბავშვები, პიაჟეს აზრით, ჯერ ლოგიკურად ვერ აზროვნებენ, მაგრამ სინამდვილის გარკვეულ მხარეებში ერკვევიან ინტუიტიურად, საგანგებო გონებრივი ოპერაციების გარეშე.

3. კონკრეტულ ოპერაციათა სტადია (7-დან 12 წლამდე). ოპერაცია გონებრივი აქტივობაა, რომელიც გარკვეულ ლოგიკურ წესებს ეყრდნობა. ამ ასაკის ბავშვებს შეუძლიათ ლოგიკური გზით გადაჭრან კონკრეტული ამოცანები, თვალსაჩინო წარმოდგენებისათვის მისაწვდომ სიტუაციებში. მათი აზროვნების საყრდენია სიტუაცია “აქ და ახლა”. ამ პერიოდში წარმოიშობა მუდმივობის ძირითადი ცნებები (მოცულობის, მასის, წონის და სხვა), ხოლო ლოგიკური ოპერაციების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ რეალურ საგნებზე. ამიტომ, ბავშვები ხშირად სწორად წყვეტენ რა ამოცანებს რეალურ საგნებზე, ვერ წყვეტენ მას ფორმალურ დონეზე (აზრში). ამ სტადიაზე მყოფ ბავშვებს უჭირთ აბსტრაქტული აზროვნება, აბსტრაქტული ცნებების გამოყენება, განზოგადება, სინთეზი, რომელიმე კონკრეტული აბსტრაქტული ამოცანის ამოხსნა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ამოცანა პირდაპირ უკავშირდება რეალობას.

4. ფორმალურ ოპერაციათა სტადია 11-12 წლიდან 15 წლის ასაკამდე. ამ ასაკის მოზარდი ახერხებს აზრობრივად გადაჭრას აბსტრაქტული და ჰიპოთეტური ამოცანები, მიმართოს ამისათვის ფორმალურ რეპრეზენტაციას და განზოგადების ოპერაციებს. ფორმალური ოპერაციების სტადია, პიაჟეს მიხედვით, ინტელექტუალური განვითარების ბოლო სტადიაა, თუმცა ინტელექტუალური განვითარება შეიძლება მოზრდილ ასაკშიც გაგრძელდეს.

ვიგოტსკის თანახმად, აზროვნება რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდის, როდესაც ბავშვს უწვითარდება ლინგვისტური კომუნიკაციისა და სწავლების შედეგად საკუთარი აზრების შემუშავების

უნარი.

ერიკსონის ფსიქოლოგიური განვითარების თეორია სამ ასაკობრივ ეტაპს მოიცავს და ასახავს ინდივიდის ურთიერთობას სოციალურ გარემოსთან. ერიკსონს მიაჩნია, რომ ბავშვის ჯანსაღი განვითარება განპირობებულია იმ წინააღმდეგობებით, რომლითაც ხასიათდება ყოველი ასაკობრივი სტადია, დაბადებიდან სამ წლამდე ასაკში ბავშვში ვითარდება ნდობა; ერთიდან სამ წლამდე ასაკი გამოირჩევა ავტონომიურობის ჩამოყალიბებით, ხოლო სამიდან ექვს წლამდე ასაკში ჯანსაღი ბავშვი ინიციატივის უნარით გამოირჩევა.

„განათლების ეს კონცეფციები ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ბავშვის განვითარების შესახებ და მეტად ყურადსაღებ მოსაზრებებს გვთავაზობენ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ეს თეორიები ძალზედ დიდ სარგებლობას მოუტანს მასწავლებლებს, რადგან მათში უშუალოდ ბავშვის განვითარების პროცესია ასახული, როდესაც განვითარების თეორია პრაქტიკულად ხორციელდება პროგრესული განათლების ისტორიულ კონტექსტში სასწავლო პროგრამების დაგეგმვისას ბავშვი ამოსავალი წერტილი ხდება, სწორედ ეს განსაზღვრავს ისეთი ჯგუფების შექმნას რომელთა ცენტრი ბავშვია“ (2 გვ.1-3, 1-4).

ყველა მოზარდში არის ზრდისა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვის ტენდენცია, მას ხელშეწყობა სჭირდება თვით რეალიზაციისათვის, სკოლამდელი დაწესებულების მთავარ ამოცანას სწორედ, რომ უნდა წარმოადგენდეს აღზარდოს ბავშვში ყველა ის თვისება, რომელიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე ფუნდამენტად გამოადგება, ესენია: დამოუკიდებლობა, თვითდაჯერებულობა, პატივისცემა საზოგადოებისა და განსხვავებული აზრის მიმართ, წესრიგი, შრომისმოყვარეობა და შინაგანი განვითარება ანუ თავისუფლება. „ბავშვი საუკეთესოდ აღიზრდება თუკი ის თავად მთელი არსებით იქნება ჩართული სწავლის პროცესში, მზრუნველობით დაგეგმილი გარემო მას უზბიძებს დამოუკიდებელი კვლევისა და შემოქმედებისაკენ, ამავე დროს აღმზრდელთა ჯგუფი საფუძვლიან ცოდნას უნდა ფლობდეს ბავშვის განვითარების თავისებურების შესახებ, სწორედ მათ, უნდა შეუქმნან ბავშვს შესაფერისი გარემო და წახალისონ აღზარდელის ინდივიდუალური საჭიროება. აღმზრდელთა ჯგუფის როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ ბავშვსა და ასევე, ბავშვების ჯგუფს, დაუსახოს მათი ინტერესების შესატყვისი მიზნები ისე, რომ გამოვლინდეს და ჯეროვნად დაფასდეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური უნარი და საჭიროება, ამავე დროს არ უნდა ჩაიხშოს პატარა ბავშვისათვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობა რითაც ხელი შეეწყობა ერთობლივი სასწავლო პროცესის განხორციელებას“ (2 გვ.1-2).

ჩვენი დაკვირვებებისა და კვლევების საფუძველზე რომელსაც ვაწარმოებდით ჩვენს ბაგა-ბაღში დავრწმუნდით, რომ ბაღში ბავშვებთან მომუშავე აღმზრდელებს ის თვისებები უნდა ახასიათებდეთ რის გამომუშავებასაც ისინი ცდილობენ ბავშვებში, თუ პედაგოგს თავად არ შესწევს უნარი იყოს შემოქმედებითი, ხალისიანი, მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი, კრიტიკულად მოაზროვნე, თუ თავად არ ფლობს გუნდურად მუშაობისათვის საჭირო თვისებებს და არ შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა და პატივისცემა, მაშინ როგორ განავითარებს ამ თვისებებს ბავშვებში?

უწყვეტი განათლების სისტემაში, სადაც ბავშვი პირველი რგოლია, ჩვენი მოსაზრებით, ბავშვის განვითარების თავისებურებისა და ფსიქოლოგიის მცოდნე მათი პროფესიონალი უნდა მუშაობდეს. მეცნიერული კვლევების შედეგად დამტკიცდა, რომ ჩვენ ადამიანები ექვს წლამდე ვიძენთ ყველა ფობიას, ურთიერთ სიყვარულს, პატივისცემას განსხვავებული ადამიანებისა და აზრის მიმართ და ვყალიბდებით პიროვნებებად, ხოლო დანარჩენი ცხოვრება გამოცდილების შეძენას ვუნდებით. სწორედ ამ პერიოდში არაკვალიფიციურ აღმზრდელს შეუძლია მისი დაუდევრობით სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაწყოფით ყველაზე დიდი ზიანი მიაყენოს ბავშვის ფსიქიკას, რაც არც თუ იშვიათია საბავშვო ბაღებში. ყველამ კარგად ვიცით რაოდენ რთული სოციალური ფონია ქვეყანაში და აღმზრდელი, რომელიც საბავშვო ბაღში მუშაობს ამ სოციუმის წევრია თავისი ყოფითი პრობლემებითა და ტკივილით, მაგრამ საბავშვო ბაღი არის ის ადგილი სადაც მომუშავე ადამიანი ვალდებულია თუნდაც დროებით ის ნიღაბი მოიხრდოს, რომელიც ბავშვისთვის არის მისაღები, მიუხედავად პრობლემებისა გახდეს მზრუნველი, თბილი, მოსიყვარულე, მასთან ხომ ბავშვი დღის ყველაზე დიდ პერიოდს ატარებს.

ბაგა-ბაღები ექვემდებარება ბავშვთა განვითარების სტანდარტს, რომელიც გულისხმობს განავითაროს ბავშვში გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა, აგრეთვე ის ხელს უწყობს მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას, საკუთარ ძალებში დარწმუნებულობას და მის სასკოლო

პედაგოგია/Pedagogics

მზაობას. ეს არის შედეგზე ორიენტირებული დოკუმენტი და ის სპეციფიკურია, ვინაიდან ჯერ ვისახავთ შედეგს თუ რას გვინდა მივაღწიოთ ბავშვთან მუშაობაში და შემდეგ ისახება მისაღწევი გზები, სტანდარტის ამგვარი სტრუქტურა ბავშვის ინდივიდუალური მიდგომის საგანმანათლებლო პროგრამის შესაძლებლობას იძლევა, აღმზრდელს შეუძლია იხელმძღვანელოს სტანდარტით, დააკვირდეს ბავშვს და შეურჩიოს ის აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, რადგან თითოეულ ბავშვს აქვს სწავლის ინდივიდუალური სტილი და უნარი. სტანდარტით ბავშვის განვითარება პირობითად ხუთ სფეროდ არის დაყოფილი:

- ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება;
- შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა;
- სწავლისადმი მიდგომა;
- მეტყველების განვითარება;
- სოციალურ-ემოციური განვითარება;

სტანდარტით მოცემული ვადები საორიენტაციოა და ამ ვადების ცოდნა ხელს უწყობს და ეხმარება მშობელს, მასწავლებელს, რომ გაითვალისწინონ დრო და შესაძლებლობა, ამის მიხედვით დაეხმარონ ბავშვს მრავალმხრივ განვითარებაში.

„როგორც სკოლებში ასევე ბაღებში ბიჰევიორისტული დირექტიული სწავლება და დამოკიდებულება სადაც პედაგოგი ერთპიროვნული ლიდერი იყო, ჩანაცვლა ჰუმანისტურმა მიდგომამ, რაც გულისხმობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების განვითარებას, რომელიც ორიენტირებულია პიროვნულ და შემოქმედებით ზრდაზე, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის როჯერსის აზრით „პიროვნულ ზრდას ხელს უწყობს გულწრფელობა, კეთილგანწყობა, უპირობო დადებითი დამოკიდებულება და ემპათია, აღმზრდელი თავისი დადებითი შეფასებით და დამოკიდებულებით ზრდის ბავშვს კეთილგონიერ, თავის თავში დარწმუნებულ და ბედნიერ პიროვნებად“ აქედან გამომდინარე დღევანდელი ბაღების თემატიკა და პროგრამა მორგებული არის ბავშვზე და უწყობს ხელს ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებას, „რაც გულისხმობს რომ აქტივობების განრიგი შეეფერებოდეს ყოველი მოსწავლის აქტივობისა და დასვენების მოთხოვნილებებს, საკლასო აღჭურვილობა მასალები და დამხმარე ხელსაწყოები ხელს უნდა უწყობდეს ყოველი აღსაზრდელის წინსვლას ხოლო შერჩეული აქტივობები კი უნდა წარმოაჩენდეს განვითარების დონეს ამას გარდა ყოველი აქტივობა ბავშვისათვის გამოწვევის ტოლფასი უნდა იყოს, რასაცთან უნდაახლდეს მოსალოდნელი წარმატების შეგრძნება“ (2 გვ. 1-6).

სულ რამდენიმე წელიწადია ბაღებში საგნობრივი სწავლება ჩანაცვლა თემატურმა სწავლებამ, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის აგებას მაკრო „თემების“ გარშემო, თემატური სწავლება აგებულია პრინციპზე, რომ ადამიანი სწავლობს უკეთ, როცა აკავშირებს თავის ცოდნას რეალურ სამყაროსთან. ისმის კითხვა რას გვამძლევეს თემატური სწავლება?

- გვამძლევეს საშუალებას განვახილავთ აზროვნების მაღალი ხარისხის უნარები;
- გვამძლევეს საშუალებას მეხსიერებამ შეინახოს კონცეფცია და არა ფაქტები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია;
- აძლევეს ბავშვს არჩევანის საშუალებას;
- გვამძლევეს საშუალებას სიღრმისეულად შევისწავლოთ თემა სხვადასხვა მიკრო თემების ჩართვით;
- გვამძლევეს საშუალებას დავაკავშიროთ ცოდნა რეალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან.

იტალიელი ჰუმანისტისა და პედაგოგის მარია მონტესორის მიხედვით „ბავშვებს ბუნებრივი სწარფვა აქვთ ახლის სწავლისა და გარემოს შემეცნებისადმი“, რომლის მოწყობასაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მონტესორის შეხედულებით „არ არსებობს ზარმაცი, ინტერესების არ მქონე ბავშვი, ეს პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც გარემო არ ითვალისწინებს ბავშვის საჭიროებებს.“

„ადამიანები ბევრ რამეს ვსწავლობთ ჩვენდა უნებურად, სტიქიურად, ლატენტურად, მით უფრო ბავშვი - რაც უფრო პატარაა ასაკი უფრო დამახასიათებელია მისთვის ამ ტიპის დასწავლა. ლატენტური სწავლის პროცესში ბავშვი მიზანდასახულობის გარეშე თავისდაუნებურად თამაშის პროცესში ბევრ რამეს სწავლობს. თუ ბავშვს თამაშის მოთხოვნილება აქვს და შესაბამისი სიტუაციაც არსებობს ამ ქცევის განსახორციელებლად იგი თამაშობს, უვითარდება მოტორულ უნარები, ეუფლება წესებს, ვითარდება სოციალურ ურთიერთობებში, აღმოაჩენს საგნის უამრავ თვისებას. პირველად სწორედ თამაშის დროს უჩნდება ბავშვს გარე სამყაროსთან და თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. თამაში არის

პედაგოგია/Pedagogics

ძალზე ეფექტური საშუალება ბავშვის ინტელექტუალური მორალური და ნებელობითი თვისებების ფორმირებისათვის“(4.გვ.22).

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სასკოლო მზაობის ჯგუფის პროგრამაზე, ფიზიკურ გარემოზე და იმ ნაკლოვანებებსა და დადებით მხარეებზე, რომელიც ჩვენი აზრით მას გააჩნია. „ სასკოლო მზაობის პროგრამის სახელწოდებას თ-ა-მ-ა-შ-ი წარმოადგენს. პროგრამის ძირითადი ცნებების აკრონიმს:

- თ - თანამშრომლობა
- ა - აღმოჩენა
- მ - მოტივაცია
- ა - არჩევანი
- შ - შემოქმედებითობა
- ი - ინდივიდუალიზაცია

სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი მიზნებია:

1. განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები;
2. დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში: კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში;
3. ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს;
4. მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
5. შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი “ (1. გვ.5).

განვიხილოთ სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი ცნებების ერთ-ერთი კომპონენტი, კერძოდ ინდივიდუალიზაცია.

„ინდივიდუალიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია, რომლის მისაღწევადაც უნდა გავისარჯოთ, რადგან, რაც უფრო ინდივიდუალიზებულია სწავლება, მით უფრო ადვილი ხდება კლასში მუშობა, მოსწავლეთა ქცევა უმჯობესდება, ცოდნისა და განვითარების დონე იზრდება. მაინც რისთვის გვჭირდება სწავლების ინდივიდუალიზაცია? ინდივიდუალიზაცია საშუალებას გვაძლევს, ყოველი ბავშვის განვითარების საფეხური, მონაცემები და საჭიროება შევუსაბამოთ სასწავლო აქტივობას. ამგვარი თანხვედრის პირობებში ბავშვებს უჩნდებათ საკუთარი თავის რწმენისა და თვითშეფასების უნარი, ისინი მზად არიან ახალი გამოწვევების მისაღებად და ახალი ამოცანების გადასაწყვეტად .

ბავშვებზე ორიენტირებული ჯგუფები ყოველმხრივ ხელს უწყობს სწავლების ინდივიდუალიზაციას. კლასის მოწყობილობა, მასალები და ხელსაწყოები ყოველი მოსწავლის წინსვლას გულისხმობს, ხოლო შერჩეული აქტივობები ასევე ყოველი ბავშვის განვითარების შესაფერისია. ბავშვები თავად ახდენენ საკუთარი აქტივობის ინდივიდუალიზაციას, როდესაც ირჩევენ გარკვეულ წრეს, ანუ აქტივობის ცენტრს, ანდ ათორმეტნიშნა თავსატეხის ამოხსნას ხუთნიშნა თავსატეხის ამოხსნას ამჯობინებენ, ინდივიდუალიზაციის მეთოდი მასწავლებლებისაგან მოითხოვს ისეთი აქტივობა შესთავაზოს ბავშვებს, რომ თითოეული მათგანი დაინტერესებულიც იყოს და კმაყოფილიც საკუთარი წარმატებით. ცხადია, ინდივიდუალიზაცია კლასში ძალზედ ეფექტურად ხორციელდება თავისუფალი და საინტერესო აქტივობის დაგეგმვით, აქტივობის პროცესში თითოეულ ბავშვზე გულმოდგინედ დაკვირვების შედეგად მასწავლებელს შეუძლია საჭიროებისამებრ შეცვალოს მასალა და ყოველ ბავშვს შესატყვისი ამოცანა დაუსახოს.ჯგუფური აქტივობანი ძირითადად მცირერიცხოვან ჯგუფებში ხორციელდება, რათა შესაძლებელი გახდეს ინდივიდუალიზაციის ეფექტურად განხორციელება,დღიური განრიგი ყოველი ბავშვის აქტივობისა და დასვენების მოთხოვნილებებს უნდა შეეფერებოდეს.

ინდივიდუალიზაცია ძალზედ მნიშვნელოვანი ნაწილია იმ სასწავლო პროგრამისა რომელიც ბავშვს

პედაგოგია/Pedagogics

სასწავლო პროცესის ცენტრში აყენებს, რადგან რაც უფრო უკეთ ხორციელდება ინდივიდუალიზაცია მით უფრო ეფექტურია მასწავლებლის მუშაობა“(2გვ. 1-6,1-7.).

ჩვენ ვართ იმ მოსაზრების მომხრე, რომელიც მიესაღმება საბავშვო ბაღში ნაკლებ რუტინულ სწავლებას და მეტი სოციალური უნარების დასწავლას, მიმაჩნია რომ ბავშვი სკოლისათვის მზად უნდა იყოს არა მარტო ანაბანის დასწავლითა და ხშირ შემთხვევაში მისთვის მთელი რიგი შეუფერებელი ინფორმაციებით, არამედ ისინი უნდა ფლობდნენ სოციუმში არსებობის მთავარ პრინციპებს: იყვნენ თავაზიანი, წესრიგიანი, თავისუფალი ანუ შინაგანად განვითარებული, იცოდნენ რომ არსებობს წესები, რომლებსაც უნდა დავემორჩილოთ როგორც ბაღში ასევე სკოლაში. თუ ამ ასაკიდან ისინი არ მიეჩვენებიან არსებული წესების დაცვას ვერც შემდგომში ჩამოყალიბდებიან კანონმორჩილ მოქალაქეებად.

სასკოლო მზაობის პროგრამის ერთ-ერთ დადებით მხარედ მივიჩნევ ჯგუფის სივრცის მოწყობას მიმაჩნია რომ ამ სივრცის ორგანიზება ცენტრებად აქტივობათა ტიპის შესაბამისად უწყობს ხელს ბავშვი იყოს თავისუფალი არჩევანში, ისწავლოს თანამშრომლობა და გუნდურად მუშაობა და უკეთესად ჩაერთოს აქტივობებსა და კომპლექსურ თამაშებში.

ამრიგად ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ თემატური სწავლება ნამდვილად იძლევა ამა, თუ იმ თემის გარშემო სიღრმისეულ ინფორმაციას, უფრო საინტერესოს ხდის სწავლა და სწავლის პროცესი ბავშვებისათვის მაგრამ მოცემულ სასწავლო პროგრამაში ნაკლებად არის ჩადებული ჩვენი ქართული მშობლიური ლიტერატურა და ის თემები, რომლებიც ჩვენს ყოფადობას, ტრადიციებს და ქართული სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი რომ ბავშვებმა ისწავლონ ასტრიდ ლინგრენის: „სახურავის ბინადარი კარლსონი“, „ემილის თავგადასავალი“, „ბულბერიელი ბავშვები“ , ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“, სვენ ნურდკვისტის „პეტრონი და ფინდური მაჭკატების ტორტი“, უილიამ ჯოისის „მისტერ მორის ლემორის საოცარი ფრინავი წიგნები“ ან ყოველდღიურად მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრში მოუსმინონ ბახს, ბეთხოვენს, მოცარტს და სხვადასხვა კლასიკოსების ოპერებიდან ამონარიდ არიებს. თუმცა გვაქვს კითხვა და გვაწუხებს ამ კითხვის უპასუხოდ დარჩენის ალბათობა, რატომ არა მეტი ქართული? მეტი გოგებაშვილი, დუმბაძე, ქართული ხალხური საბავშვო ლექსები და თქმულებები, ვაჟა ფშაველას საბავშვო ნაწარმოებების შემოკლებული ადაპტირებული ვარიანტები, სხვადასხვა ქართული საბავშვო პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებები, რა საჭიროა ლიტერატურა რომელსაც ჩვენ ვაკითხებთ შვილებს შვიდი-რვა წლის ასაკში, შეისწავლოს ბავშვმა ხუთი-ექვსი წლის ასაკში? ბავშვის უფლების კონვენციის მიხედვით ყველა ბავშვს აქვს სწავლისა და განვითარების თანაბარი უფლება, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ეს უფლება, როდესაც მიმდინარეობს ახალი სტანდარტის შესაბამისად კანონპროექტის შემუშავება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის, კარგი იქნება თუ რაც შეიძლება მეტ აღზრდელს და საბავშვო ბაღში მომუშავე ფსიქოლოგს, ლოგოპედს ჩავრთავთ, ვინაიდან მათ ყველაზე კარგად ესმით, ხედავენ და იციან თუ რა არის უკეთესი მრავალი წლის გამოცდილებიდან გამომდინარე ბავშვისათვის.

ლიტერატურა

1. სასკოლომზაობის პროგრამა „თამაში“ სწავლისა და განვითარებისათვის, რედაქტორი: თინათინ ცერაძე საპილოტე ვერსია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი, 2015 წ.
2. ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა ბავშვებისა და მშობლებისათვის, რედაქტორი: კ.კაუფმანი, კეიტ ბურკ უოლში, ა. ჰანსენი, ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაცია, თბილისი, 2012.
3. მარია მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია, ჯონ დიუის პედაგოგიკური კონცეფცია. რედაქტორები : ნათია ნაცვლიშვილი, ნინოლა ლაბარტყავა, მასწავლებლებ;ლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015 წ.
4. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია, რედაქტორები : ნათია ნაცვლიშვილი, ნინოლა ლაბარტყავა, მასწავლებლებ;ლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015 წ.

რეზიუმე

ქვეყნის მომავალი ჩვენი შვილების განვითარებაზე დამოკიდებული, ამ სფეროში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე დიდი დაბანდებაა ქვეყნისათვის, ვინაიდან სწორედ ეს თაობები ქმნიან ჩვენს მომავალს, როგორც უკვე ავლნიშნე ბავშვის განვითარების პირველი ექვსი წელიწადი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია, სწორედ ამ პერიოდში ხდება თავის ტვინის უჯრედების 90%-ის აქტივირება და მათ შორის ნერვული კავშირების ჩამოყალიბება და ამ პერიოდში უმნიშვნელოვანეს როლს სწორედ რომ სათანადო სააღმზრდელო გარემო თამაშობს, ჩვენ ვართ იმ მოსაზრების მომხრე, რომელიც მიესალმება საბავშვო ბაღში ნაკლებ რუტინულ სწავლებას და მეტი სოციალური უნარების დასწავლას, მიმაჩნია რომ ბავშვი სკოლისათვის მზად უნდა იყოს არა მარტო ანაბანის დასწავლითა და ხშირ შემთხვევაში მისთვის მთელი რიგი შეუფერებელი ინფორმაციებით, არამედ ისინი უნდა ფლობდნენ სოციუმში არსებობის მთავარ პრინციპებს: იყვნენ თავაზიანი, წესრიგიანი, თავისუფალი ანუ შინაგანად განვითარებული, იცოდნენ რომ არსებობს წესები, რომლებსაც უნდა დავემორჩილოთ როგორც ბაღში ასევე სკოლაში. თუ ამ ასაკიდან მიეჩვევიან არსებული წესების დაცვას მაშინ შემდგომში ჩამოყალიბდებიან კანონმორჩილ მოქალაქეებად.

Maka Abuladze - NNLE Qutaisi Nursery Union Director representative in 13th branch

Pre-school education as the first stage of education system and the main foundation of person's development

Summary

The future of our country is depended on our children's development, to make investments in this field is the greatest contribution for the country, because these are the generations who build up our future. As I mentioned before, first 6 years are crucial for child's development, the process of activation 90% of brain cells and development of nerve endings take place within this period and the role of quality educational environment is most important in this process. I agree with the approach to provide less routine teaching and more social skills practices in kindergartens. Child should be provided by the teaching materials that are appropriate for their age only. I believe a child should be prepared for school not only by teaching the alphabet or other number of information that are inappropriate for their age, but they should possess following key principles of living in community: to be polite, decent, free i.e well-developed, to know that there are some rules that they must obey at kindergarten and at school as well. If they get used to obey the rules at this age then further they will develop as law-abiding citizens.

ნათია კალანდაძე - ქ. ქუთაისის №15 საჯარო სკოლის პედაგოგი

დოკუმენტური ფილმებით სწავლება, როგორც მოტივატორი ისტორიის გაკვეთილზე

ნებისმიერი შემოქმედებითი პროცესი ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს. განსაკუთრებით, ისეთი ურთულესი პროცესის, როგორცაა სწავლება. სწავლების პროცესის წარმართველ ფიგურას, პედაგოგი წარმოადგენს. პედაგოგისადმი წაყენებული მოთხოვნები, საგნის ცოდნასა და ამ საგნის სწავლების მეთოდიკამდე დაიყვანება. პიროვნება, რომელიც მომავალი თაობის განათლებას მთელი არსებით ემსახურება, ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის, რწმენის ჩამოყალიბებას, აზროვნების განვითარებას, ქმნის კლასში თბილ, მეგობრულ დამოკიდებულებას, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს და მუდამ ახლის ძიებაშია (მ. გვარამაძე, **გაკვეთილის დაგეგმვის თანამედროვე მიდგომები სწავლების პროცესში, GESJ: Education Science and Psychology 2013|No.1(23)**). „პედაგოგი თავისი აქტივობის მიზნად ისახავს პიროვნების ჩამოყალიბებასა და გარდაქმნას, მოწოდებულია მართოს მისი ინტელექტუალური, ემოციური თუ ფიზიკური განვითარება, ჩამოაყალიბოს მისი სულიერი სამყარო.“ (ზასილაძე ი, **მოწინიძე ი. მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება, ქუთაისი, 2008, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 19-20; 27**). მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის ტენდენციები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის წარმატება დღეისთვის იმაზეა დამოკიდებული, – და უფრო მეტად იქნება დამოკიდებული სამომავლოდ, – როგორი წარმატებით მოხდება საგანმანათლებლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის გაფართოება. ტექნოლოგიებმა დიდი ხანია თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურობაში შემოაბიჯა და უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა. (დავით ბოლქვაძე, **განათლება და თანამედროვე ტექნოლოგიები, 24 თებერვალი, 2014** <https://edu.aris.ge/news/ganatileba-da-tanamedrove-teqnologiebi.html>, <http://mastsavlebeli.ge/>)

ინტერაქტიული სწავლება-სწავლის შემოქმედებითი აზროვნებასთან ერთად ავითარებს კრიტიკულ აზროვნებასაც. კრიტიკული აზროვნება არის მიზნის მიღწევისაკენ მიმართული პროცესი, ანუ ის ყოველთვის პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული და, ამასთან, აზროვნების განსხვავებულ უნარებს მოიცავს. ესენია: ანალიზი, დასკვნის გამოტანა, ახსნა, ინტერპრეტირება, შედარება და თვითდამკვიდრება (მეტაკოვნიცია). (ინტერაქტიული სწავლება: რეკომენდაციები პედაგოგიური ტრენინგისათვის <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.11&d=HASH85ea149f8b2cedb44d6542.2>). მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი სწავლისადმი შინაგანად მომართულია და დიდ ენთუზიაზმს ამჟღავნებს; სხვებს კი სწავლისადმი მოტივაციის გასაღვივებლად დამატებითი სტიმულაცია, წახალისება სჭირდებათ და ამას კი ისინი პედაგოგისგან მოელიან. არსებობს სხვადასხვა ფაქტორები რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოსწავლის შინაგან მდგომარეობასთან, მის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან ან შეიძლება გარემოს გავლენას უკავშირდებოდეს. მოტივაციის ამაღლებაზე სისტემატური მუშაობა დიდწილად განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესის სასიამოვნოდ და სახალისოდ წარმართვას. („სწავლება და შეფასება“, **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ. 2008, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“**). პედაგოგის მუდმივი ზრუნვა თავის პროფესიულ განვითარებაზე აშკარად აისახება თითოეულ მოსწავლეზე, ისინი ყველაზე კარგი შემფასებლები არიან მათი მოდერატორის. დღეს, თეორიაში შემოთავაზებული ამა თუ იმ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების შემდეგ, ვაანალიზებ, ვაკვირდები მის დადებით და უარყოფით თვისებებს, ვაკეთებ ჩანაწერებს. აქ თავის როლს ასრულებს მოსწავლეთა თვითშეფასება, რომლის მიხედვით გაქვს მიზანი და ახორციელებ შემუშავებულ გეგმას. ესა თუ ის მეთოდი და აქტივობა სხვადასხვა ასოკობრივ ჯგუფთან სხვადასხვაგვარად მუშაობს. („მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალებების ძიება ისტორიის გაკვეთილზე“ **ნათია კალანდაძე ქ.ქუთაისის №15 საჯარო სკოლა GESJ: Education Science and Psychology 2014 | No.1(27)**). ზოგადად არსებობს პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით, თუნდაც ავიღოთ სახელმძღვანელო, რომელიც მოტივაციის ამაღლების უპირველესი გარანტი უნდა იყოს, მასში საინტერესოდ უნდა იყოს დაგეგმილი ესა თუ ის თემა, გათვალისწინებული უნდა იქნას ასაკი. მიმაჩნია,

პედაგოგია/Pedagogics

რომ უნდა არსებობდეს ისტორიის მიმართულების სპეციალური მეთოდური კომისია, რომელშიც უნდა შედიოდეს განათლების სპეციალისტები, ფსიქოლოგები, უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები და ყველაზე მთავარი: პრაქტიკოსი პედაგოგები. ისტორიის სწავლებას არ აქვს მხოლოდ საგანის, სწავლების ფუნქცია, მას დიდი როლი აკისრია მოსწავლის სამშობლოს სიყვარულის გაღვივებაში, მან უნდა აღზარდოს ღირსეული მოქალაქე. არიან თაობები, რომელთაც არ აქვთ სახელმწიფოებრივი აზროვნება უმეტესად ინდივიდუალური არიან, ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას ქვეყნის მიმართ, არ თუ ვერ აქვთ აღებული აქცენტი მოვალეობებზე. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული მოსწავლეები, რომლებზეც ხდება დაკვირვება აქვთ საშუალება ჩაერთონ არაფორმალურ განათლებაში, სკოლაში არსებული სხვადასხვა კლუბი ამის სერიოზულ საშუალებას იძლევა. ვფიქრობ აქ, უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება უკვე იმ სოციუმს, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. დარღვეულია სამკუთხედი სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. სწორედ აქ დგას პედაგოგი უდიდესი დილემის წინაშე, აღებული პასუხისმგებლობა მომავლისა და სახელმწიფოს წინაშე, ის უკვე ეძებს გზას დაინტერესდნენ გაკვეთილით და გაიზარდოს მათი მოტივაცია.

ჯანსაღი სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად ყველაზე ოპტიმალურ და ეფექტურ საშუალებად მიმაჩნია კლასის მართვის დემოკრატიული სტილი. ვინაიდან ის გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ თანამონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში, მათი დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების ხელშეწყობაში. როდესაც მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგაკვეთილო აქტივობების, მიზნების, წესების შემუშავებაში, საერთო მიზნის მიღწევაში თითოეულს თავისი როლი და პასუხისმგებლობა აქვს, ეს ხელს უწყობს როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განვითარებას. („**მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალებების ძიება ისტორიის გაკვეთილზე**“ ნათია კალანდაძე ქ. ქუთაისის №15 საჯარო სკოლა GESJ: Education Science and Psychology 2014 | No.1(27) Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013. Materials) თანაბაუფლებიანობაზე, თანამშრომლობით მიდგომაზე დაფუძნებული გაკვეთილი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად („**სასწავლო და პროფესიული გარემო**“, **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“**).

უკანასკნელი წლებში, ტელევიზიისა და ინტერნეტის მეშვეობით, ჩვენს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ სხვადასხვა ჟანრის ფილმებს – იქნება ეს წმინდა მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური თუ სხვა სახის კინოპროდუქცია. ხშირად ახალგაზრდობა არა წიგნების, არამედ სწორედ ფილმების საშუალებით იღებს ინფორმაციას როგორც მიმდინარე პროცესების, ასევე ისტორიული მოვლენების შესახებ. დასავლეთის ქვეყნებში უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კინოფილმებისა და სასწავლო ფილმების გამოყენებას სწავლების პროცესში. ჩვენში, ამ თვალსაზრისით, სიტუაცია არც თუ ისე სახარბიელოა. ამგვარი მდგომარეობა მრავალი ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული: მაგ., მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არქონით, ქართული სასწავლო, პუბლიცისტური და სამეცნიერო ფილმების ნაკლებობით, ამავე ჟანრის უცხოური ფილმების ნაკლები ხელმისაწვდომობით და სხვა. (**ლევან ახვლედიანი ფილმების, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება ისტორიის სწავლების პროცესში (პირველი ნაწილი)** 23 ოქტომბერი, 2014 <http://mastsavlebeli.ge/?p=4098>). ფილმები, როგორც აუდიოვიზუალური საშუალება, საინტერესოდ გადმოსცემენ ინფორმაციას კონკრეტულ თემებზე, წარმოადგენენ რეალური ადამიანების ისტორიებს. ისინი, შესაძლოა, ცალკეული პრობლემების გადაჭრისათვის მოტივაციის წყაროდ იქცნენ. როგორ გამოვიყენოთ სასწავლო ფილმები გაკვეთილზე:

- მნიშვნელოვანია წინასწარ გავეცნოთ ფილმს, რომ უკეთ დავეგეგმოთ გაკვეთილი. შევარჩიოთ შესაბამისი აქტივობები, მოვიძიოთ საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სასურველი ინფორმაცია თემასთან დაკავშირებით. გადავწყვიტოთ, ფილმის რა ნაწილს ვაჩვენებთ გაკვეთილზე. გასათვალისწინებელია, რომ ფილმი შესაბამისობაში უნდა იყოს მოსწავლეთა წინარე ცოდნასთან.

პედაგოგია/Pedagogics

- ფილმში წარმოდგენილი თემების შესახებ საბაზისო ინფორმაციის გაცნობა საშუალებას გვაძლევს მოსწავლეების შეკითხვებზე კომპეტენტური პასუხი გავცეთ. სადისკუსიო თემები უნდა დავუკავშიროთ მოსწავლეთა ინტერესსა და გამოცდილებას.

- ფილმების მეშვეობით სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი სწორედ, ფილმის ასახვა/მსჯელობაა. ხშირად ფილმი წარმოადგენს კონკრეტული ადამიანების ისტორიებს და მძიმე რეალობას. მოსწავლეები ამ ყოველივეს მძაფრად აღიქვამენ. ფილმის ჩვენების შემდგომი ასახვა/მსჯელობა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დაუყონებლივ გამოხატონ საკუთარი შთაბეჭდილებები, ემოციები, დამოკიდებულებები, მოუსმინონ და გაიზიარონ სხვების მოსაზრებები.

(ესართია მ, სასკოლო პრაქტიკა - ინოვაციური მეთოდებით სწავლება, GESJ: Education Science and Psychology 2014 | No.4(30) The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education) 6-7 June, 2014. Materials, „სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით, მასწავლებლის წიგნი, თბილისი 2013, ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“, წიგნი დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ“, გვ.2-3)

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოსწავლეებმა ფილმის ნახვის შემდეგ შეძლონ ფილმის ვერსიის შედარება რეალურ ისტორიულ მოვლენებთან და გამოიყენონ ის ანალიტიკური ინსტრუმენტები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს გამონაგონი ისტორიული რეალობისგან განასხვავონ. (ლევან ახვლედიანი ფილმების, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება ისტორიის სწავლების პროცესში (პირველი ნაწილი) 23 ოქტომბერი, 2014 <http://mastsavlebeli.ge/?p=4098>) ფილმის მიმდინარეობისას აკეთებენ ჩანაწერებს და პედაგოგი გარკვეულ მომენტებში, შიგა ჩართვებით, ფილმში აღწერილ ფაქტებს და მოვლენებს სახელმძღვანელოსთან აკავშირებინებს, ავლებენ პარალელებს, რაც საშუალებას იძლევა ინტერაქტიული კითხვებით მიიყვანოს ლოგიკურ დასკვნამდე და ეს კი ხელს უწყობს ბლუმის დაბალი სააზროვნო უნარებიდან მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლას. დაკვირვებიდან გამომდინარე, შედეგის მომცემი გახდა პედაგოგის მიერ ფოკუსირებული ჩართვები ფილმის ჩვენების დროს.

ხშირად ვიყენებ ე.წ. „დაკვირვების დღიურს“ რაც საშუალებას მაძლევს დავადგინო მოსწავლეთა საჭიროება, მათზე იყოს ორიენტირებული და დაგეგმილი მომდევნო გაკვეთილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადავწყვიტე შესაძლებლობების ფარგლებში შემესწავლა მოსწავლეთა დამოკიდებულება დოკუმენტური ფილმებით სწავლებასთან დაკავშირებით. ავირჩიე ფოკუს-ჯგუფი: როგორც მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, ფოკუს-ჯგუფები საშუალებას გვაძლევს, არა მხოლოდ ძალიან ღრმად შევისწავლოთ ესა თუ ის რთული საკითხი, არამედ შევიქმნათ ნათელი წარმოდგენა ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებაში არსებული აზრთა მრავალფეროვნების შესახებ. ფოკუს-ჯგუფის დროს წარმოქმნილი დისკუსიების შედეგად უკეთ ვლინდება რესპონდენტების დამოკიდებულება გარკვეული სოციალური პრობლემებისადმი, მათი ფსიქოლოგიური განწყობები და ემოციური შეფასებები, რომლებიც ხშირად არც არის შეგნებულად გათვითცნობიერებული რესპონდენტების მიერ. (თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---Oprompt-10---4-----0-11-10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.10&d=HASH0129b5727ecf269b3f2c1338.4&x=1>)

მონაწილეებმა არგუმენტირებულად იმსჯელეს გაკვეთილის მნიშვნელობისა და არსის შესახებ, კონკრეტულად კი ტრადიციულსა და ინოვაციურ მიმართულებებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისტ.რესურსებისა და დოკუმენტური ფილმებით სწავლება მათთვის თანამედროვეობის განუყოფელი ნაწილია, რომ გაკვეთილის სტანდარტები უნდა პასუხობდეს ახალი დროის მოთხოვნებს, რაც თავისთავად მოიცავს ტექნოლოგიების განვითარებასთან თანხვედრას. ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსწავლეები და პედაგოგები თანამშრომლობის საფუძველზე უნდა ეძებდნენ ახალ გზას რეალური შედეგის მისაღწევად სწავლა-სწავლების მიმართულებით. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია სწავლება დოკუმენტური ფილმებით, ვინაიდან ეს არის საინტერესო და ხელს უწყობს აქტიურ მოსმენას, არ არის იძულებითი. გაკვეთილების უმეტესი ნაწილი მშრალია და უინტერესო თუ მხოლოდ სასწავლო წიგნზე არის ორიენტირება, აღნიშნული მეთოდი აბსოლუტურად გამორიცხავს გაკეთდეს აქცენტი ბლუმის მხოლოდ ქვედა დონეზე. აუცილებელია სწავლება იყოს სახალისო და მიზნობრივი, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ტექნოლოგიების გამოყენებით გაკვეთილი საინტერესო ხდება მოსწავლისთვის და არ არის მოსაბეზრებელი, აუდიტორია არ არის ორიენტირებული მხოლოდ

პედაგოგია/Pedagogics

მოვალეობის მოხდაზე; მათ უჭირთ სწავლის თვითრეგულაცია, განივითარონ მეტაკოგნიტიური უნარები. აუცილებელი აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ფილმის ყურების დროს მოსწავლე პედაგოგის ფასილიტაციით აკეთებს ჩანაწერებს, შემდეგ ანალიზებს და მიდიან დასკვნამდე, ე.ი. უვითარდებით კვლევა-ძიების რეალური უნარები, სულ სხვაგვარად ხდება მათი ცოდნის ტრანსფერი. სწორედ მოსწავლეების მიერ აღმოჩენილი და არგუმენტირებული მოსაზრების გადატანა ხდება საპრეზენტაციო ფორმატში, აქ კი იყენებენ ანალიზის, სინთეზის და შეფასების დონეებს, რაც კიდევ ერთ დამატებით ახალ აქტივობას ქმნის, რომელიც გამოიხატება უკვე კარგად დაგეგმილ დისკუსიაში/დებატებში. საუბარი არ არის მხოლოდ დოკუმენტურ ფილმებზე, შესაძლებელია მხატვრული ფილმიდან გამომდინარე მოსწავლეებმა უფრო კარგად გაიაზრონ და მოახდინონ წიგნში აღწერილ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირება, აქ კი ის ეძებს ოპონენტს ან თანამოზრეს და ცდილობს გადმოსცეს საკუთარი ჰიპოთეზა რომელიმე ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით. უჩნდებათ სურვილი გაეცნონ ამ ქვეყნის ეთნოგრაფიას, ისტორიულ ყოფას და ამ თუ იმ პიროვნებას, მის მოღვაწეობას. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით უნდა გახდეს შესაძლებელი სინთეზი ფილმისა და წიგნის მეშვეობით. საბაზისო ცოდნის მიღების ხელშეწყობად ნამდვილად ჩაითვლება დოკუმენტური ფილმი, თუ მისი გამყარება მოხდება წიგნის მეშვეობით, ანუ ის არის ერთ-ერთი უპირატესი მოტივატორი სახვადასხვა მეთოდებს შორის. სწავლების აღნიშნულ მეთოდს განსაკუთრებით ხაზს უსვამს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა: ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვას კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალთ; წარსულში მომხდარი მოვლენების შეფასება არა მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან, არამედ იმ ეპოქის ფასეულობებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. (<http://mes.gov.ge/content.php?id=3929>)

მოსწავლის მიღწევები სწავლაში ხშირად არის დამოკიდებული მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებულ ურთიერთობაზე, წარმატებული ურთიერთობა კი იმაზეა დამყარებული, რამდენად იაზრებენ მოსწავლე და მასწავლებლები ერთმანეთის ინტერესებს. (ი.ბასილაძე, ნ.ჭოხონელიძე, ნ.კოსტავა, ნ.ქობულაძე „სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები“, ქუთაისი 2016 წ. გვ.420) ინტერაქტიური სწავლება საჭიროებს გაკვეთილის პროცესში სწავლების ახალი სტრატეგიებისა და შეფასების ახალი ხერხების დანერგვას. შესაბამისად, სწავლების მიზანიც იცვლება. იგი ორიენტირებულია არა მარტო ცოდნაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეც.

ლიტერატურა

1. ბასილაძე ი, მოწინიძე ი. მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება, ქუთაისი, 2008, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. დავით ბოლქვაძე, განათლება და თანამედროვე ტექნოლოგიები, 24 თებერვალი, 2014 <https://edu.aris.ge/news/ganatileba-da-tanamedrove-teqnologiebi.html>, <http://mastsavlebeli.ge/>
3. ინტერაქტიული სწავლება: რეკომენდაციები პედაგოგიური ტრენინგისათვის <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.11&d=HASH85ea149f8b2cedb44d6542.2>
4. „სწავლება და შეფასება“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ. 2008, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
5. „მოსწავლეთა მოტივაციის ამალეების საშუალებების ძიება ისტორიის გაკვეთილზე“ ნათია კალანდაძე ქ.ქუთაისის №15 საჯარო სკოლა GESJ: Education Science and Psychology 2014 | No.1(27)
6. ლევან ახვლედიანი ფილმების, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება ისტორიის სწავლების პროცესში (პირველი ნაწილი) 23 ოქტომბერი, 201 <http://mastsavlebeli.ge/?p=4098>
7. მ, გვარამაძე, გაკვეთილის დაგეგმვის თანამედროვე მიდგომები სწავლების პროცესში, GESJ: Education Science and Psychology 2013|No.1(23)
8. <http://mes.gov.ge/content.php?id=3929>
9. ესართია მ, სასკოლო პრაქტიკა - ინოვაციური მეთოდებით სწავლება, GESJ: Education Science and Psychology 2014 | No.4(30) The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education) 6-7 June, 2014. Materials,

10. „სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით, მასწავლებლის წიგნი, თბილისი 2013, ორგანიზაცია, „ადამიანი გაჭირვებაში“, წიგნი დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ“,
11. ი.ბასილაძე, ნ.ჭოხონელიძე, ნ.კოსტავა, ნ.კობულაძე, „სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები“, ქუთაისი 2016 წ.
12. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0--0--0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.10&d=HASH0129b5727ecf269b3f2c1338.4&x=1>

The documentary films are learnt as a motivator at history lesson”

The educational system trends clearly show that in the process of learning success today depends on - and will increasingly depend on the future - what will be successful in the educational process of the role of information technology expansion. Technology for a long time for all of us in everyday life, and entered an important part. (David Bolkvadze, education and modern technologies, February 24, 2014 <https://edu.aris.ge/news/ganatleba-da-tanamedrove-teqnologiebi.html>, <http://mastsavlebeli.ge/>) It's important that students are able to film after seeing the movie version of the comparison with real historical events and the use of analytical tools that allow them to distinguish between the fiction of the historical reality. Distinguish. (Levan Akhvediani movies as a learning resource

Using the process of learning history (first part) October 23, 2014 <http://mastsavlebeli.ge/?p=4098>) films on teaching, research group chose to focus on the importance of this method increases the motivation for the history lesson. The participants discussed the lesson with arguments about the meaning and concept, namely the traditional and innovative directions. It should be noted that ist. resource documentaries and teaching them an integral part of modern life, the lesson to meet the standards of the new requirements of the time, which of course includes the development of technology convergence. In everyday life of the pupils and teachers have looked for a new way of cooperation, based on real results, teaching direction. One such method of teaching documentary films, it's more interesting, to promote active listening, not most of the dry and uninteresting . if the training is focused on the book, the method is done absolutely rule Blum focus only on the lower level. It is necessary to exercise a fun and targeted, encourages critical thinking by using

interesting lesson for the students and the audience is not only focused on the duty, and that this is a complex process; It is necessary to note the fact that watching a film student teacher in the facilitation of the records, and then analyzes the identical conclusion. The students try to formulate their own hypothesis.

Student achievement and learning is often dependent on the relationship between teacher and existing, successful relationship is based on the fact, how aware students and teachers for each other. (I. basiladze, n. chokhonelidze, n. kostava, n. kobuladze., teaching methods, strategies, pedagogical knowledge teknoogiebida check-assessment of "Kutaisi 2016. P. 420) interactive learning needs lesson in the process of learning

the evaluation of the introduction of modern techniques. Accordingly, the aim of the training is changing. It is focused not only on knowledge, but also skills in manufacture.

ნინო კოსტავა - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პრეზენტაცია, როგორც სწავლების მეთოდი

პრეზენტაციის, როგორც სწავლების მეთოდის შესახებ საინტერესო შრომები აქვთ გამოქვეყნებული ს. ლობჯანიძეს, მ. ფირჩხაძეს, რ. ჟუკოვს, მ. კლარინს, ს. მდივნიშვილს, ი. ბასილაძეს, ე. რეუტოვს, ნ. ელბაძეძეს, თ. ქიტოშვილს, რ.ჯ. მარზანოს, დ.ჯ.ფიქერინგის, ჯ. ი. ფოლოქის და სხვას.

პრეზენტაცია ლათინური სიტყვაა და წარდგენას ნიშნავს. იგი არის ჯგუფის წინაშე გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მასალის წარდგენის და ინფორმაციის მიწოდების პროცესი.

სწავლების პროცესში ხშირად გვიწევს სალექციო და პრაქტიკული მასალის აუდიტორიის წინაშე წარდგენა. ის იძლევა დაგეგმილი თუ ჩატარებული სამუშაოს წარმოჩენის საშუალებას.

პრეზენტაციას შეიძლება უფრო კონკრეტული ამოცანებიც ჰქონდეს, მაგალითად: საკითხისადმი ინტერესის გამოწვევა, პრობლემაზე დაფიქრება, მოვლენების და მონაცემების განხილვა და სხვ.

პრეზენტაციის ჩატარების პროცესში ხდება ტექსტისა და ილუსტრაციის შერწყმა, რაც მსმენელს ყურადღების კონცენტრირებასა და შინაარსის უკეთ გაგებაში ეხმარება. ამიტომ პრეზენტაციის მომზადება, ჩატარება და შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სკოლაში.

უკვე სასკოლო ასაკში მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს, მოსწავლეებს განუვითაროს ეს უნარ-ჩვევა.

„პრეზენტაცია ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: 1. ზეპირი და 2. ვიზუალური. ორივე კომპონენტის მომზადება და სინთეზირება სერიოზულ მომზადებასა და ვარჯიშს მოითხოვს.

პრეზენტაცია ეფექტური მეთოდი იქნება ისეთი უნარების განვითარებისათვის, როგორებიცაა:

- კომუნიკაცია;
- საკუთარი პოზიციისა და მოსაზრებების მსმენელისათვის გაცნობა;
- არგუმენტირება;
- პოზიციის დაცვა“(1).

პრეზენტაციის თემა შეიძლება იყოს ნებისმიერი საკითხი. სასურველია, რომ პრეზენტაციის თემების რაოდენობა ძალიან ბევრი არ იყოს. რეკომენდირებულია მაქსიმუმ სამი თემის გამოყენება.

პრეზენტაციის მომზადებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მისი თავისებურება. თუ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას, წინასწარ უნდა მისცეს მათ პრეზენტაციის ტიპური სქემა.

ამდენად, მასწავლებელი არა მხოლოდ თავად უნდა იყოს კარგი პრეზენტატორი, არამედ მოსწავლეებსაც უნდა განუვითაროს ეს უნარი.

პრეზენტაციის ჩატარების ხუთი წესი არსებობს (1):

- პრეზენტაცია ეფექტურად დაიწყეთ და ეფექტურად დაამთავრეთ;
- შექმენით შინაარსობრივი ჩარჩო;
- მოახდინეთ პრეზენტაციის გამჭვირვალედ დანაწევრება;
- რესურსები გამოიყენეთ გონივრულად;
- არ დაგავიწყდეთ სხეულის, ენის გამოყენება.

ვიდრე დავიწყებთ პრეზენტაციისთვის მზადებას, უნდა გავითვალისწინოთ ოთხი ძირითადი საკითხი:

- პრეზენტაციისთვის განკუთვნილი დრო;
- მსმენელთა აუდიტორია;
- საპრეზენტაციო თემა;
- მიზანი.

პრეზენტაცია სამი ნაწილისგან შედგება:

1. შესავალი: მისი მიზანია აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა, პირველადი კონტაქტის დამყარება. შესავალი ნაწილი მცირეა და ის პრეზენტაციისთვის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

2. ძირითადი ნაწილი: ძირითადი ნაწილი პრეზენტაციის ყველაზე ვრცელი და საპასუხისმგებლო ნაწილია. მასში ხდება დებულებების, მოსაზრებების განხილვა, საილუსტრაციო მასალის გამოყენება.

პედაგოგიკა/Pedagogics

პრეზენტაციის გაკეთებისას გასათვალისწინებელია: საუბრის ტონი, ქცევის მანერა, რაც დიდ გავლენას ახდენს აუდიტორიაზე. მისთვის განკუთვნილი დრო 70%-ს შეადგენს.

3. დასკვნა: ამ ნაწილში ხდება პრეზენტაციის შეჯამება, რას ემსახურებოდა იგი, რა არის მიღებული შედეგები და ა.შ. დასკვნითი ნაწილი პრეზენტაციის დროს დაახლოებით 10%-ს შეადგენს.

პრეზენტაციის წარმართვის წესი ექვემდებარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- მოახსენეთ მსმენელს, თუ რის თქმას აპირებთ;
- უთხარით მას ეს;
- კიდევ ერთხელ მოახსენეთ, თუ რა უთხარით პრეზენტაციის მსვლელობისას;

პრეზენტაციის მთლიანი სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

მსხვილი საკითხები

შესავალი	I	II	III	დასკვნა
----------	---	----	-----	---------

როგორც კი შეეხებით ლექციის თემატიკიდან მსხვილ საკითხებს, მიუთითეთ რომელ ქვესაკითხებს მოიცავს თითოეული მათგანი და როგორც კი დაამთავრებთ მსხვილ საკითხს, შეაჯამეთ ქვესაკითხები და გამოიტანეთ დასკვნა. თითოეული მთავარი საკითხის სტრუქტურა ასეთია:

I	II	III
შესავალი	შესავალი	შესავალი
1. ქვესაკითხი	1. ქვესაკითხი	1. ქვესაკითხი
2. ქვესაკითხი	2. ქვესაკითხი	2. ქვესაკითხი
3. ქვესაკითხი	3. ქვესაკითხი	3. ქვესაკითხი
რეზიუმე	რეზიუმე	რეზიუმე

როგორი თანმიმდევრობით უნდა ავაგოთ პრეზენტაციის შემოთავაზებული სტრუქტურა (1):

1. მას შემდეგ, როცა განვსაზღვრავთ პრეზენტაციის თემას, ჩამოვყალიბებთ მიზანს, შევადგენთ ყველა საკითხის ნუსხას, რომლის განხილვაც განსაზღვრული გვაქვს საუბრის პროცესში;
2. დააჯგუფეთ ეს საკითხები რამდენიმე მსხვილ ჯგუფად. თითოეულ მსხვილ ჯგუფს მიეცით სათაური;
3. თითოეული მსხვილი საკითხისათვის ქვესაკითხები განალაგეთ ლოგიკური წესით. გაანალიზეთ, საჭიროა თუ არა ქვესაკითხების დამატება, რათა განამტკიცოთ არგუმენტი.
4. თითოეულ მსხვილ საკითხთან მიმართებაში ჩამოაყალიბეთ არგუმენტაციის რეზიუმე რამდენიმე წინადადებით;
5. გათვალეთ ის დრო, რომელიც დაგჭირდებათ შესავლის, რეზიუმეს და თითოეული საკითხის განხილვისათვის;
6. მოხაზეთ შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილი;
7. გადაწყვიტეთ, რა თვალსაჩინოებას გამოიყენებთ;
8. დასკვნაში უნდა ჩართოთ მთავარი საკითხების მოკლე რეზიუმე. არ დაგავიწყდეთ მადლობის გადახდა მსმენელისათვის;

როგორ ჩამოვყალიბოთ წერილობით პრეზენტაცია?

1. „განსაზღვრეთ მიზანი (ლექციის თემა, მიზანი, სამიზნე აუდიტორია, და ლექციის სხვა ელემენტები);
 2. დაალაგეთ, დააჯგუფეთ აზრები და ინფორმაცია (ყურადღება გაამახვილეთ კონკრეტულ საკითხებზე);
 3. ორგანიზაციული სახე მიეცით აზრებს, გადახედეთ შედეგს (ამ ეტაპზე ხდება ნაშრომის სტრუქტურის, შინაარსის სტილისა და გამოხატვის ხერხების ხელახალი გააზრება და გაუმჯობესება).
- სხვადასხვა სპეციალისტი სხვადასხვაგვარად გვირჩევს პრეზენტაციის წარმართვისა და ჩატარების ხელოვნებას. ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ მაგალითს საბა მდივინიშვილის სტატიიდან, თუ როგორ უნდა ჩავატაროთ პრეზენტაცია:

- გამოყავით დრო პრეზენტაციის სრულად მომზადებისათვის. მოამზადეთ ყველა ვიზუალური ელემენტი, რომელსაც პრეზენტაციის დროს გამოიყენებთ. მოცემული მასალები გასაგები უნდა იყოს არამარტო თქვენთვის, არამედ ნებისმიერი სახის აუდიტორისათვის.

პედაგოგია/Pedagogics

• თან იქონიეთ საქმიანი პრეზენტაციის ჩატარების სქემა, რათა ზედმიწევნით იცოდეთ, რა რის შემდეგ იქნება. ეს დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები. სტანდარტული საქმიანი პრეზენტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისგან: **შესავალი** (პრეზენტაციის მთავარი მიზნის გამოყოფა), **ძირითადი ნაწილი** (თავისებურებები, უპირატესობები და მოგება, რომელიც თან ახლავს წარსადგენ საგანს), **დასკვნითი ნაწილი** (ინფორმაციის მიწოდების მოკლე შეჯამება). მოცემული სქემის მიხედვით, მონაცემების მომზადებისას თქვენ მნიშვნელოვნად გაიმარტივებთ პრეზენტაციის ჩატარებას.

• ნებისმიერი მოწყობილობის გამოყენებისას (პროექტორი, ნოუტბუქი, მიკროფონი და სხვა) აუცილებელია მისი გადამოწმება, რათა თავიდან აიცილოთ ტექნიკური პრობლემები.

• გამორიცხეთ პრეზენტაციაზე დაგვიანების შესაძლებლობა.

• მზად იყავით სხვადასხვა ტიპის კითხვებზე პასუხის გასაცემად.

• სასურველია, ზეპირად იცოდეთ ის ინფორმაცია, რომელიც პრეზენტაციის დროს იქნება წარმოდგენილი. შეგიძლიათ სპეციალური მოხსენების გაკეთება, მაგრამ ვიზუალური კონტაქტი აუდიტორიასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

• ხელები დააწყვეთ მომზადებულ კათედრაზე (თუ არსებობს ამის შესაძლებლობა) ან ერთ ხელში დაიჭირეთ საწერკალამი ან კონსპექტი. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ხელები არ იყოს დაფარული ან ჯიბეებში ჩაწყობილი.

• არ ღირს ვიზუალური დამხმარე მასალების ხილვადობისათვის ხელის შეშლა, აუდიტორიისაკენ ზურგით შებრუნება. პრეზენტაციის დაწყებიდან დაამყარეთ აუდიტორიასთან ვიზუალური კონტაქტი და შეინარჩუნეთ იგი მთელი პროცესის განმავლობაში.

• ყურადღება მიაქციეთ თქვენს საუბარს. იგი უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და არ უნდა იყოს სწრაფი. აუდიტორიას კარგად უნდა ესმოდეს, რას და როგორ საუბრობთ, რათა არ გაჩნდეს ნათქვამის გამეორების საჭიროება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხმის ტემბრს. ის უნდა იყოს მკაფიო და გასაგები.

• იმისათვის, რომ მსმენელმა მარტივად გაიგოს, თუ „სად მთავრდება აზრები“ ან იცვლება საუბრის თემა, ლაპარაკის დროს საჭიროა მცირე პაუზების გაკეთება.

• ოთახში გადაადგილება სავსებით მისასაღებელია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ სრულდება ხშირად და პირდაპირ მსმენელის გარშემო.

• თუ დაგეგმილი გაქვთ გრძელი, მრავალსაათიანი პრეზენტაციის ჩატარება ან მისთვის ცალკე დღე არის გამოყოფილი, ასეთ შემთხვევაში უკეთესი იქნება, თუ პრეზენტაციას ნაწილებად დაჰყოფთ. შესვენებებზე კი მსმენელს დასვენებისა და ჭამისათვის საჭირო დროს გამოუყოფთ.

• ყველა წარმატებული პრეზენტაციის ფინალურ აკორდს სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა წარმოადგენს. ეს შეიძლება იყოს როგორც კორპორატიული სიმბოლიკის მატარებელი სუვენირები, ასევე საერთო დანიშნულების საჩუქრები. ყველაზე წარმატებულ სუვენირებად, რომლებსაც პრეზენტაციის დროს ხშირად გადასცემენ, წარმოადგენენ: პოლიგრაფიული ბროშურები, ბუკლეტები, საქაღალდეები, პრეზენტაციის დისკები, ელიტური კანცელარიული ნივთები (საწერკალამები, ბლოკნოტები, კალენდარები) ჭიქები, სამაგიდე ან საკედლე საათები და სხვა.

• მომზადებული და საკუთარ თავში დარწმუნებული მომხსენებელი ყოველთვის საინტერესო იქნება ნებისმიერი აუდიტორიისათვის. ამიტომაც [პრეზენტაციის ჩატარება](#) – ხელოვნებაა, რომლის სწავლაც ყველას შეუძლია.

მოკლედ რჩევები წარმატებული პრეზენტაციის ჩატარებისათვის ასე წარმოგვიდგება:

• წინასწარ განსაზღვრეთ ვინ არის პრეზენტაციის მონაწილეები.

• პრეზენტაციამდე კარგად შეისწავლეთ თქვენი თემა.

• მოზრდნით ადრე, რათა მოაწესრიგოთ ყველაფერი.

• წინასწარ შეამოწმეთ ყველა დამხმარე მოწყობილობა.

• მიაწოდეთ აუდიტორიას მოვლენებისა და თემების მონახაზი.

• არ წაიკითხოთ სლაიდზე განთავსებული ტექსტი სიტყვასიტყვით.

• პრეზენტაციის წინა დღეს არ დაიტირთოთ.

• პრეზენტაციის დაწყებამდე აუხსენით მსმენელთა აუდიტორიას პრეზენტაციის ჩატარების მიზანი.

• დაიწყეთ გამოსვლა დადებითი შენიშვნით.

პედაგოგია/Pedagogics

- ნუ იტყვი, რომ არ იცით ბევრი რამ პრეზენტაციის თემის შესახებ.
- განმარტეთ ყველა აბრევიატურა.
- აუდიტორიის დასანახად არ შეხედოთ დაფას, ეკრანს და არ ჩაიხედოთ თქვენ მიერ შედგენილ კონსპექტში.
 - არ დადგეთ ზურგით ან გვერდულად აუდიტორიის წინაშე.
 - გამორთეთ პროექტორი, როდესაც არ სარგებლობთ მისით.
 - გამოიყენეთ ფერები, რიცხვები და ა.შ., რათა განასხვავოთ და მიუთითოთ განსაზღვრულ თემებზე.
 - არ გამოიყენოთ ისე დამხმარე სიტყვები, როგორცაა: „როგორც იცით“, „როგორც გსმენიათ“ (1) და ა.შ.

ლიტერატურა

1. მდივნიშვილი ს., როგორ ჩავატაროთ წარმატებული პრეზენტაცია, www.rogor.ge.
2. [იმერი ბასილაძე, ნინო ჭოხონელიძე, ნინო კოსტავა, ნატო ქობულაძე. სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება - შეფასების საკითხები, ქუთაისი, 2016](#)

რეზიუმე

პრეზენტაციის ჩატარების პროცესში ხდება ტექსტისა და ილუსტრაციის შერწყმა, რაც მსმენელს ყურადღების კონცენტრირებასა და შინაარსის უკეთ გაგებაში ეხმარება. ამიტომ პრეზენტაციის მომზადება, ჩატარება და შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სკოლაში.

Summary

The process of merging text and illustration takes place during the presentation, which helps the listener to be more concentrate and to understand the content well. Therefore, the preparation of presentation and assessment are an important elements of learning process in the modern secondary and high schools.

პედაგოგია/Pedagogics

წინა გამყრელიძე - განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა

თამაშის სწავლების ტექნოლოგია

სასკოლო განათლების რეფორმის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სწავლების უფრო მაღალი დონის მიღწევა ამ პროცესის ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის საშუალებით. შეცვლილია განათლების პარადიგმა, შემუშავებულია განათლების სტანდარტები, იქმნება ახალი ვარიაციული პროგრამები და სახელმძღვანელოები. პრაქტიკაში ინერგება მოსწავლეთა პიროვნების სრულფასოვანი განათლებისაკენ მიმართული სწავლების ახალი ფორმები და მეთოდები. ინოვაციურ საქმიანობებზე ორიენტაცია წარმოადგენს სწავლების მეთოდის განახლებისა და სწავლების ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვან პირობას.

ახალი სისტემების მიხედვით სწავლების პრაქტიკა აძლიერებს მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობას, მოითხოვს ამ პროცესის ორგანიზაციას, მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის მიზანშეწონილ მართვას. ამ პირობების დაცვის გარეშე სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაციას ვერ მივყავართ ეფექტურ შედეგამდე.

გამოკვეთილი ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის გზების ძიებისა და დაგეგმილი შედეგების მიღების დროს პედაგოგებმა ყურადღება მიაქციეს სასწავლო პროცესის ტექნოლოგიზაციას.

პედაგოგიური ტექნოლოგიები, მათი კერძო და კონკრეტული სახეობები უნდა გაანალიზდეს არა მარტო გარკვეული კონკრეტული ხაზით - გლობალურიდან კონკრეტულამდე, არამედ პირიქით, კონკრეტულიდან საერთოსკენ, როგორც პერსპექტივაში, ასევე რეტროსპექტივაში. ასეთი მიდგომა, პედაგოგების აზრით, ამდიდრებს თითოეულ ტექნოლოგიას.

პედაგოგიური ტექნოლოგიების თანამედროვე გაგება მოიცავს პედაგოგიური შედეგების ოპტიმალური ამაღლების მეთოდების ძიებას ანალიზის, გადარჩევის, კონსტრუირების, კონტროლისა და პედაგოგიური პროცესის მართვის ურთიერთშეკავშირების გზით.

თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო პრაქტიკაში გავრცელებულია თამაშის სწავლების ტექნოლოგიები, რომლებიც ხასიათდებიან სცენარებით, როლებით, ალტერნატიული გადაწყვეტილებებით, შესაძლებლობებით, მოსალოდნელი შედეგებით, შეფასების კრიტერიუმებით.

- არსებობს თამაშის კლასიფიკაციისადმი სხვადასხვა მიდგომა;
- ოდელირებადი სიტუაციის ხასიათი;
- თამაშის პროცესის ხასიათი;
- ინფორმაციის გადამუშავებისა და გადაცემის მეთოდები.

გამოიყენება შემეცნებითი, იმიტაციური, კომპიუტერული, თეატრალიზებული თამაშები, ინდივიდუალური ტრენინგები, პრაქტიკული სიტუაციები, ამოცანები და სხვა.

სწავლებაში თამაშის ტექნოლოგია შეიცავს სამ კომპონენტს: ორგანიზაციულ ფორმას, დიდაქტიკურ პროცესს, პედაგოგის კვალიფიკაციას.

თამაშის ტექნოლოგია სწავლებაში უზრუნველყოფს ემოციურობისა და რაციონალურობის ერთობლიობას. მოქნილობიდან გამომდინარე, მოსწავლე დგება სიტუაციების არჩევის წინაშე, სადაც ის გამოავლენს საკუთარ ინდივიდუალიზმს.

გამოიყენება თამაშის სხვადასხვა სახეობა:

როლური, საქმიანი და შემეცნებითი-დიდაქტიკური თამაშები.

უნდა გამოვყოთ დიდაქტიკური თამაშები, რომლებიც აგებულია გარეგნულ მომხიბვლელობაზე და თამაშები, რომლებიც მოითხოვენ ათვისებისათვის განსაკუთრებულ საჭირო დონეს.

შემეცნებითი თამაშები შეიძლება, შეიცავდეს როლური თამაშების ელემენტებს. როლების გათამაშების გამოცდილების მიღების შემდეგ მოსწავლეები საკმაოდ არიან მომზადებული საქმიანი თამაშისათვის. იმისათვის, რომ მონაწილეები მოქმედებდნენ კომპეტენტურად, სასურველია, განსაზღვრული თამაშისათვის იმიტაციური მეთოდების ორგანიზება, მასალის შესწავლა, ანალიზი.

თამაში აქტიურებს მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის კოგნიტურ და აფექტურ სფეროებს, მაგრამ იმისათვის, რომ სასწავლო თამაში გახდეს შემეცნებითი საქმიანობის აქტივიზაციის ეფექტური

პედაგოგია/Pedagogics

საშუალება, უნდა ვიცოდეთ თამაშის საქმიანობის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფი „მექანიზმი“, რომელშიც იგულისხმება თამაშის ეტაპები, პირობები და ალგორითმი.

სასწავლო თამაშების კლასიფიკაციის შესაბამისად შეიძლება, გამოვყოთ მათი ალგორითმი, როგორც სასწავლო ამოცანის გადასაწყვეტად გარკვეული ოპერაციების თანმიმდევრობით შესრულება.

ალგორითმიზაციის საფუძველს წარმოადგენს გარეგანი მოქმედებებისა და შიგა ხასიათის გეგმების არსებობა, რომელიც დაკავშირებულია თამაშის სუბიექტების მოტივებთან, განცდებთან. სასწავლო თამაშის მონაწილეთა გარეგანი ზემოქმედების გეგმები შეიძლება, იყოს „ტექნოლოგიზირებული“ და თამაშის ყველა ეტაპზე წარმოდგენილია პედაგოგისა და მოსწავლეების საქმიანობები.

თამაშის სწავლების ტექნოლოგია და მისი ჩატარების მეთოდიკა განვიხილოთ ისტორიის კურსის შესწავლის მაგალითზე.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ წარმოსახვის საწყისი სტადია ითვალისწინებს ზოგადი მახასიათებლების გამოყოფასა და მათ ახალ სახეში გაერთიანებას. შემდეგ ხორციელდება ამ სახის გადრმავება სიტყვიერი აღწერილობით. სახის მომდევნო აღწერილობა ითვალისწინებს მისი დეტალებით შემკობას და ბოლოს იდეალური სახე შეესაბამება სინამდვილეს. ასეთია წარმოსახვის ეტაპობრივი განვითარების პროცესი.

„წარსულის რეკონსტრუქციის“ დროს ისტორიის გაკვეთილზე ყალიბდება, როგორც ისტორიული მოღვაწეებისა და ტიპიური პერსონაჟების სახეები, ასევე ცალკეული ეპიზოდები მათი ცხოვრებიდან, წარსულის მთლიანობის სინთეზური სურათები, რომლებიც გამოირჩევიან სიმკვეთრითა და ემოციურობით, მნიშვნელოვანი დეტალებითა და საერთო დინამიზმით.

სასწავლო თამაშის ალგორითმის განსაზღვრისას ისტორიის სწავლების პროცესში უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი სქემა:

- თამაშის კლასი;
- ისტორიული ობიექტები, რომელთა შესახებ წარმოდგენა ყალიბდება თამაშში;
- მასწავლებლისა და მოსწავლის აქტივობების თანმიმდევრობის, თამაშის ეფექტურობის ანალიზი;
- თამაში წესები (ვიქტორინები, კროსვორდები და ა.შ.);
- ისტორიული ობიექტები: ადამიანები, როგორც შემოქმედნი და ისტორიის მთავარი მოქმედი პირები, ძირითადი ისტორიული მოვლენები, კულტურული ძეგლები.

მოსამზადებელი ეტაპი

მასწავლებლის საქმიანობა:

- თემის სასწავლო შინაარსის სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის საშუალებით გამოიყოფა ისტორიული ობიექტები, რის შედეგადაც თამაშის საშუალებით ყალიბდება წარმოდგენა, ფუნქციონალური შესაძლებლობები;
- მკვეთრად განისაზღვრება თამაშის საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, განმავითარებელი მიზნები და ამოცანები;
- შემუშავდება თამაშის შინაარსი და მიზნები;
- საერთო თემაში გაერთიანდება ვიქტორინისა და კროსვორდების კითხვები;
- გაიზრება თამაშის ჩატარების მეთოდიკა, ძირითად მეთოდური ხერხები, სწავლებისა და კვლევის საშუალებები, ქულათა სისტემა, თამაშის მონაწილეთა აქტიური შემოქმედების სტიმულის საშუალებები, გამარჯვებულის (გამარჯვებულების) განსაზღვრის გზები;
- მასწავლებელი გეგმავს საშინაო დავალებას, შემუშავებული თამაშის მიზნებისა და შინაარსიდან გამომდინარე.

მოსწავლეთა საქმიანობა:

- თამაშის ეფექტურად წარმართვისათვის იმეორებენ ძირითად თეორიულ მასალას, რომელიც განსაზღვრულია მასწავლებლის მიერ საშინაო დავალების შინაარსში.
- ისტორიული ვიქტორინებისა და კროსვორდების შესადგენად მასწავლებლის მიერ მოცემული თემის მიხედვით ინდივიდუალურად ასრულებენ დამოუკიდებელ სამუშაოს.

თამაშის ეტაპი

მასწავლებლის საქმიანობა:

- თამაშის ეფექტურად ჩატარების მიზნით ძირითადი და თეორიული მასალის აქტუალიზაციასა და განმეორებას წინასწარ უკეთებს ორგანიზაციას.

პედაგოგია/Pedagogics

- შესავალ სიტყვაში ცდილობს მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს დადებითი განწყობა თამაშში მონაწილეობისათვის.
- აცნობს მოცემული სახის თამაშის წესებს.
- არეგულირებს თამაშის პროცესს; უზრუნველყოფს მისი წესების დაცვას; კოორდინაციას უკეთებს მონაწილეთა ქმედებებს თამაშის მიზნების, შინაარსისა და წესების შესაბამისად.

მონაწილეთა საქმიანობა:

- გაიზრდებიან მასწავლებლის მიერ დაყენებულ თამაშის ამოცანას;
- საზღვრავენ თამაშისადმი საკუთარ დამოკიდებულებას: მივიღებ მონაწილეობას - არ მივიღებ; საინტერესოა თუ არა;
- მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული თამაშისადმი დადებითი დამოკიდებულების შემთხვევაში ასრულებენ მიზანმიმართულ მოქმედებებს;
- იხსენებენ სწორი პასუხის გასაცემად აუცილებელ ისტორიულ მასალებს, ქმნიან თამაშის შინაარსში გამოყენებული ისტორიული პიროვნებების სახეებს;
- აყალიბებენ პასუხების სხვადასხვა ვარიანტს, აჯერებენ მათ სხვა მოსწავლეთა პასუხებთან;
- ასრულებენ (მთლიანად ან ნაწილობრივ) მოსწავლის მიერ თამაშის დაწყების წინ დასმულ ძირითად ამოცანას.

თამაშის ანალიზი

მასწავლებლის საქმიანობა:

დასკვნით სიტყვაში აჯამებს თამაშის შედეგებს: აქცენტს აკეთებს უფრო ღრმა და გააზრებულ პასუხებზე, სადაც ასახელებს ტიპიურ შეცდომებს; გასამეორებლად აძლევს იმ საკითხებს, რომლებიც მოსწავლეებმა არ იცოდნენ თამაშის დროს; ავლენს მონაწილეთა აზრს თამაშის წარმართვის, მისი სახეებისა და ჩატარების მეთოდის შესახებ; იმ შემთხვევაში, თუ თამაშში მონაწილეები ინტერესით იყვნენ ჩართული, სთავაზობს მსგავსი თამაშის ჩატარებას სხვა თემის შესწავლის დროს; მის მოსამზადებლად იწვევს მოსწავლეთა აქტიურ ჯგუფს; თუ თამაშში მოითხოვს რამდენიმე გუნდის შეჯიბრს, ანუ ემყარება მხარეთა შეჯიბრს, ასახელებს თითოეული გუნდის ქულათა როდენობას და წინასწარ შერჩეული ჟიურის მიხედვით წარმოაჩენს გამარჯვებულს.

მოსწავლეთა საქმიანობა:

ანალიზებენ მასწავლებელთან ერთად ჩატარებულ თამაშს; მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რამდენად საინტერესოდ მოეჩვენათ თამაშის შინაარსი და ჩატარების მეთოდიკა; მონაწილეობენ გამარჯვებულის (გამარჯვებულების) გამოვლენაში; სთავაზობენ ჩატარების სხვა ვარიანტებს, თამაშის ორგანიზაციის დროს გამოთქვამენ კრიტიკურ შენიშვნებს. იღებენ დავალებებს სხვა თემის ირგვლივ მსგავსი თამაშების ჩატარების შინაარსისა და ვარიანტების შესამუშავებლად.

ამრიგად, თამაშის სწავლების ტექნოლოგია ეს არის პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც მაქსიმალურად უკეთებს რეალიზაციას სწავლების, აღზრდის, პიროვნების განვითარების კანონებს და უზრუნველყოფს მის საბოლოო შედეგებს. რაც უფრო სრულადაა მიღწეული და რეალიზებული ეს კანონები, მით უფრო მაღალია შედეგის გარანტია.

კრიტერიუმი უნდა პასუხობდეს სწავლების ტექნოლოგიის ყველა ძირითად მახასიათებელს. ტექნოლოგიის აღქმის შესახებ შეიძლება საუბარი მხოლოდ იმ დონეზე, რა დონეზეც ის შეესაბამება მონაწილეთა ინდივიდუალურობისა და სუბიექტურობის კანონზომიერებებს, ხოლო ტექნოლოგიის სისტემების ინფორმირებულობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „საავტოროს“, განათლების „საავტორო“ იმპროვიზებულ ბუნებას.

მოცემული პედაგოგიური ტექნოლოგიის თეორიული მიმოხილვა არ ამოწურავს თეორეტიკოს და პრაქტიკოს მასწავლებელთა იდეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნებას. ამით შესაძლებლობა მომეცა, გამომეყო პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენების სპეციფიურობა და დამეყენებინა საკითხი იმ წინააღმდეგობების დაძლევის აუცილებლობის შესახებ, რომელიც თითოეული მასწავლებლის საქმიანობაში იჩენს თავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გორდეზიანი ც., საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სისტემების დახასიათება, // ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული უნივერსიტეტის ჟურნალი "საზრისი", 2003, #11. გვ. 15-18.
2. რამიშვილი კ., განათლების ტექნოლოგიზაცია და მონიტორინგის სისტემა, // საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი "მოამბე", 2008, #10, გვ. 26-30.
3. Гусев В.В., Системные основания образовательной технологии, М., Издательство "Педагогика", 1995, стр. 112-143.
4. Инновационные процессы в образовании, СПб, 1997, стр. 89-111.
5. Иноземцев С.К., Технология развивающего обучения, М., Издательство "Педагогика", 2006, стр. 90-115.

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც მოიცავს სწავლების სხვადასხვა დიდაქტიკურ ასპექტს, შესრულებულია შემეცნებითი საქმიანობის მრავალფეროვან მასალებზე დაყრდნობით. მასში ნათლადაა გამოკვეთილი სასწავლო პროცესში ცოდნის სრულად ათვისება ინოვაციური ტექნოლოგიის-თამაშის სწავლების ტექნოლოგიის- გამოყენების საფუძველზე. დადასტურებულია მისი ეფექტურობა და პასუხობს სისტემურ მოთხოვნებს. აგრეთვე გამოყოფილია თამაშის კლასიფიკაციისადმი სხვადასხვა მიდგომა, თამაშის სახეობები, რომლებიც მაქსიმალურად უკეთებს რეალიზებას სწავლების, აღზრდის, პიროვნების განვითარების კანონებს და უზრუნველყოფს მის საბოლოო შედეგებს.

Nino Gamkrelidze – Doctor of Educational Sciences, Kutaisi Andria Razmadze Public School of Physics and Mathematics №41

Technology of Game-Based Teaching

Abstract

The main objective of the school reform is to achieve the high level of the quality of education through humanization and democratization.

The presented paper, which includes different didactic aspects of teaching, has been written on the basis of a variety of materials of cognitive activity. It emphasizes the fact that introducing the innovative technology – the game-based teaching technology – in the process of teaching contributes to the full acquisition of knowledge. The technology has proved to be efficient and to meet the systemic requirements.

The paper also deals with various approaches to the classification of games and types of games. The methodology of using the game-based teaching technology has been demonstrated on the basis of teaching the course of history.

Thus, the game-based teaching technology leads to the full realization of the principles of education, upbringing and personality development, and ensures the achievement of the final goals. The better these principles are realized, the higher is the guarantee of reaching the best results.

თინათინ კაპანაძე-ნიკოლიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი თავზიშვილი – ქართული
პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის მკვლევარი

როგორც ჩვენამდე მოღწეული ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებით დასტურდება, საქართველოში სწავლა-განათლების საქმე უძველესი დროიდანვე იდგა მაღალ აკადემიურ დონეზე და მის განვითარებას ყოველთვის ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადრინდელი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, არა მარტო საქართველოში არსებობდა მაღალი დონის სასწავლო დაწესებულებანი, მათ შორის აკადემიებიც, არამედ ქართველებს მსგავსი სახის რელიგიურ-საგანმანათლებლო ცენტრები უცხოეთის არაერთ ქვეყანაშიც ჰქონდათ დაარსებული.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები, ტაო-კლარჯეთში არსებული ეკლესია-მონასტრები, რომლებიც არა მარტო უმნიშვნელოვანეს რელიგიურ კერებს წარმოადგენდა, არამედ ქართული მწიგნობრობისა და განათლების ფართოდ ცნობილ ცენტრებსაც და ა. შ.

მსგავსი საგანმანათლებლო დაწესებულებანი აღნიშნულ პერიოდში ქართველებს ასევე ჰქონდათ დაარსებული უცხოეთშიც. კერძოდ, იერუსალიმში ჯვრის მონასტერი, საბერძნეთში ათონის ივერთა მონასტერი, ბულგარეთში პეტრიწონის მონასტერი და სხვ.

სასწავლო დაწესებულებათა შექმნასა და ფუნქციონირებას ჩვენს ქვეყანაში არა მარტო მშვიდობიანობის პერიოდში რომ ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება, არამედ საქართველოში გარეშე მტრების თარეშის დროსაც, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ისეთ ურთულეს პირობებშიც კი, როგორშიც ჩვენი ქვეყანა XVIII საუკუნეში იმყოფებოდა, აქ არსებულ მაღალი დონის საგანმანათლებლო ცენტრებში არაერთი სახელოვანი მეცნიერი და პედაგოგი ეწეოდა აქტიურ მოღვაწეობას (მაგალითად, ანტონ კათოლიკოსი, იოანე ბაგრატიონი, გაიოზ რექტორი და სხვ.).

ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელიც ქართული პედაგოგიკური აზროვნების საქმეში აქვთ შესრულებული XVIII საუკუნეში მოღვაწე ისეთ დიდ მწერლებსა და მამულიშვილებს, როგორებიც იყვნენ: არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ვახტანგ მეექვსე და სხვები.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ საქართველოში ასეთი მაღალი დონის სასწავლებლების რაოდენობაც შემცირდა და მშობლიურ ენაზე სწავლებაც აიკრძალა, ქართველი ერის ისეთი დიდი შვილები, როგორებიც იყვნენ: სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ცხვედაძე, გიორგი წერეთელი, ლუარსაბ ბოცვაძე ივანე როსტომაშვილი და სხვები აქტიურად იბრძოდნენ საქართველოში სწავლის დონის ასამაღლებლად და ქართული საგანმანათლებლო სისტემის დასამკვიდრებლად და განსავითარებლად.

სამწუხაროდ, ზემოთ ხსენებულ ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორია და დიდ ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიკური მემკვიდრეობა გასულ საუკუნეებში სპეციალური მეცნიერული კვლევის საგნად არ ექცეულა და მხოლოდ ზედაპირულად იყო გააზრებული XIX საუკუნეში მოღვაწე ცალკეულ ავტორთა მიერ კანტი-კუნტად გამოქვეყნებულ წერილებში (მაგალითად, ლუარსაბ ბოცვაძე, ივანე როსტომაშვილი და სხვ.).

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში არსებითი ხასიათის გარდატეხას საფუძველი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ეყრება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიმართულებით გაწეულ საქმიანობაში ამ დროიდან მოყოლებული არაერთი მკვლევარი ჩაება მეტ-ნაკლები აქტიურობით, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი გიორგი თავზიშვილმა (1902–1963 წწ.) შეასრულა.

როგორც მისი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლით ნათლად დასტურდება, გ. თავზიშვილის კვლევა-ძიების უმთავრეს სფეროს სწორედ ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა და საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის შესწავლა წარმოადგენდა. ამ მიმართულებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში განხორციელებულ დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ კვლევა-ძიებას

მან მეტად ფართო მასშტაბები შესძინა და აღნიშნული პრობლემატიკის შესწავლამ პირველად სწორედ მის ნაშრომებში შეიძინა სისტემური ხასიათი.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ 1948 წელს გამოცემულ მის წიგნს – „სახალხო და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში“, რომელიც აღნიშნული მიმართულებით შექმნილ პირველ მონოგრაფიას წარმოადგენს. გამოკვლევის მეცნიერულ მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტ მასშტაბს სძენს ის ფაქტი, რომ გ. თავზიშვილმა სწორედ მის საფუძველზე მოიპოვა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესასავლად აქტიური მუშაობა გ. თავზიშვილმა ამის შემდეგაც განაგრძო და არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომით – სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებულებითა და ცალკე წიგნებად გამოცემულით – გაამდიდრა ქართული პედაგოგიკური მეცნიერება. ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმატებით გაწეული ამ საქმიანობის შედეგების ერთგვარად შემაჯამებელ გამოცემად იქცა მისი „რჩეული ნაწერების“ სამტომეული, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა პროფ. იოსებ ბოცვაძის წინასიტყვაობითა და რედაქციით.

აღნიშნულ სამოტომეულში წარმოდგენილი მონოგრაფიებითა და სამეცნიერო ნაშრომებით ნათელი წარმოდგენა გვექმნება როგორც ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის ცნობილ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო მოძღვრებაზე, ისე ჩვენს ქვეყანაში არსებულ სასწავლო დაწესებულებათა როლზე ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების საქმეში.

ი. ბოცვაძის მართებული შეფასებით, „გ. თავზიშვილის დამსახურება ის არის, რომ მან პირველმა მოაცილა არქივის მტვერი მრავალ საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს და აურაცხელი მეცნიერული ლიტერატურის დამუშავების შედეგად ნათლად დაგვანახა, თუ რა გზით მიემართებოდა სახალხო განათლება და პედაგოგიური აზროვნება საქართველოში“ (თავზიშვილი, 1974: 4).

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში გ. თავზიშვილის როლის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ამ ისტორიის სასწავლო სახელმძღვანელოთა ფართოდ აღიარებული ისეთი ავტორები, როგორებიცა არიან: ნ. ვასაძე, ვ. გაგუა, დ. გურგენიძე, ი. ბიბილეიშვილი, გ. სიხარულიძე, თ. მაგლობლიშვილი და ა. ჩხიკვაძე ამ მიმართულებით მომუშავე მკვლევართა მიერ შექმნილ ნაშრომთაგან ხსენებულ სახელმძღვანელოებში უპირველეს ყოვლისა სწორედ მის წიგნებს ემყარებიან და ყველაზე ხშირად მათგან იმოწმებენ შესაბამის ციტატებს (მაგალითად, „პედაგოგიკის ისტორია“, 1988: 304, 314, 340... 1998: 182, 188, 197, 231, 232, 234, 244, 245...).

ქართული საგანმანათლებლო სისტემის ისტორიის შესწავლას გ. თავზიშვილი XI-XII საუკუნეებით იწყებს და ამ დროიდან მოყოლებული საბჭოთა პერიოდამდე არსებულ ყველა უმაღლესი სასწავლებლის როლსა და მნიშვნელობას წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ საქართველოში არსებული სასწავლებლებით არ შემოიფარგლება და უცხოეთში მდებარე ქართულ საგანმანათლებლო ცენტრებთან დაკავშირებითაც გვაწვდის უაღრესად მნიშვნელოვან არაერთ ცნობას.

აღნიშნული მიმართულებით მის მიერ გაწეული შრომის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ იმ დროისათვის, როცა გ. თავზიშვილი ამ საქმეს აკეთებდა, მისი შესწავლის საგნად ქცეულ საკითხთაგან ბევრი რამ ან საერთოდ არ იყო გამოკვლეული, ანდა ნაკლებად და ზედაპირულად იყო გააზრებული. აღნიშნული ფაქტორი მისი, როგორც არაერთი საკითხისთვის ყურადღების პირველად მიმქცევი მკვლევრის, მეცნიერულ დამსახურებას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს.

მართალია, ხსენებულ საკითხთა დიდი ნაწილი შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად იქნა შესწავლილი, მაგრამ არ გადავაჭარბებთ, აქვე იმასაც თუ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით შემდგომში განხორციელებულ კვლევა-ძიებას საკმაოდ მძლავრი იმპულსი გ. თავზიშვილის ნაშრომებმაც მისცეს.

როგორც ითქვა, ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის შესწავლას გ. თავზიშვილი XI-XII საუკუნეების საქართველოსა და უცხოეთში არსებული აკადემიებისა და ქრისტიანული კულტურის ცენტრების როლისა და მათში მოღვაწე სწავლულთა ღვაწლის შეფასებით იწყებს. თუმცა იგი არც აღნიშნული პერიოდის წინარე ხანის საქართველოში ამ თვალსაზრისით არსებულ ვითარებას ტოვებს უყურადღებოდ და საგანმანათლებლო მიმართულებით გაწეულ იმ დიდ დამსახურებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელიც საქართველოში, პირველ ყოვლისა კი ტაო-კლარჯეთში, მდებარე ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირებს მიუძღოდათ ქართული მწიგნობრობის განვითარების საქმეში.

ამ თვალსაზრისით მკვლევრის ნაშრომის აშკარად ნაკლოვან მხარედ მხოლოდ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მასში ერთი სიტყვიც კი არსადაა მოხსენიებული ფაზისის უმაღლესი რიტორიკულ-ფილოსოფიური სკოლა, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის არაერთ ქვეყანაშიც იყო ფართოდ ცნობილი. კერძოდ, ქართული პედაგოგიკის ისტორიის ცნობილ მკვლევართა შეფასებით, „დაწყებითი და საშუალო განათლების გარდა უკვე ახ. წ. III-IV საუკუნეებიდან, თუ უფრო ადრე არა, კოლხეთში უმაღლესი ფილოსოფიური განათლების კერაც არსებობდა.

უმაღლესი რიტორიკული სკოლა არსებობდა კოლხეთში ფაზისის (დღევანდელი ფოთის) მახლობლად, რომელშიც არა მარტო ქართველები სწავლობდნენ, არამედ ბერძნებიც ჩამოდიოდნენ უმაღლესი განათლების გასაგრძელებლად და მისაღებად. სწავლებაც ქართულ და ბერძნულ ენებზე უნდა ყოფილიყო. ისწავლებოდა ის მეცნიერებანი, რომელსაც იმდროინდელი ბიზანტიის მსგავსი უმაღლესი ფილოსოფიურ სასწავლებლებში გადიოდნენ“ (პედაგოგიკის ისტორია, 1998: 182).

გ. თავზიშვილი ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც საკმაოდ ვრცლად და საფუძვლიანად შეისწავლა ადამიანის დანიშნულების საკითხი და აღზრდის იდეები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში.“ ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევის შედეგად მან არგუმენტირებულად დაგვანახა ის დიდი წვლილია, რომელიც პოემის ავტორს ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაშიც აქვს შეტანილი.

კერძოდ, მეცნიერის მართებული შეფასებით, შ. რუსთაველის პედაგოგიკური მოძღვრება ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება, რომლებიც დღესაც მთლიანად მისაღებია და მეტად აქტუალური. მხედველობაში გვაქვს იმ დიდმნიშვნელოვანი როლის შეფასება, რომელსაც ადამიანის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში აძლევს რუსთაველი ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ადამიანის გონებრივი აღზრდა-განათლება, ზნეობრივი აღზრდა, ესთეტიკური განათლება, ფიზიკური აღზრდა და ა. შ.

გ. თავზიშვილის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოში არსებული სასწავლებლების ისტორიის შესწავლა. კერძოდ, მდიდარ სპეციალურ წერილობით წყაროებსა და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით მან საფუძვლიანად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორია, იქ არსებული სასწავლო სისტემა, დაადგინა აღნიშნულ სასწავლებლებში მოღვაწე პედაგოგთა ვინაობა და მათი როლი ქართული განათლების ისტორიაში, მაღალპროფესიულად გააანალიზა ამ სასწავლებლების სასწავლო გეგმები და პროგრამები, დაადგინა, რა სახელმძღვანელოებით მიმდინარეობდა მათში სწავლება და ა. შ.

კერძოდ, გ. თავზიშვილის მეცნიერულ ნააზრევში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულებების ისტორიის შესწავლას, როგორებიც იყო: XVIII საუკუნეში თბილისსა და თელავში არსებული სემინარიები, სწავლა-აღზრდის კერები XIX საუკუნის საქართველოში (თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, სასულიერო სასწავლებლები და სემინარია, გიმნაზიები თბილისსა და ქუთაისში, ეროვნულ უმცირესობათა სკოლები, კერძო სკოლები და პანსიონები, სამაზრო სასწავლებლები და სხვ.).

გ. თავზიშვილი საფუძვლიანად აანალიზებს როგორც ამ სასწავლებლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, ისე პიროვნულადაც წარმოაჩენს იქ მოღვაწე მასწავლებლებსა და ამ სასწავლებელთა სახელოვან კურსდამთავრებულებს.

ასე რომ, გ. თავზიშვილის მეცნიერული ნაშრომების მიხედვით შესაძლებლობა გვეძლევა საფუძვლიანად გავიაზროთ ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განვლილი გზა უძველესი დროიდან მოყოლებული საბჭოთა პერიოდამდე.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მეცნიერის მიერ ამ მიმართულებით გაწეული კოლოსალური შრომის შედეგი ის მყარი საფუძველი გახდა, რომელმაც არსებითად გაუიოლა აღნიშნული საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიება მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს.

ცალკე, საგანგებოდ, უნდა აინიშნოს გ. თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ყველა მეცნიერის მსგავსად, იმდროინდელმა პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა კონიუნქტურამ მის ნაწერებსაც დაასვა დადი, გ. თავზიშვილი მაინც ახერხებს მეტისმეტად არ მოექცეს ამ კონიუნქტურის არტახებში და ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორია პირველ ყოვლისა ეროვნული თვალთახედვით გაიაზროს და შეაფასოს.

პედაგოგიკა/Pedagogics

მაგალითად, გ. თავზიშვილიც, მსგავსად საბჭოთა პერიოდში მოღვაწე თითქმის ყველა ავტორისა, ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესული მნიშვნელობა უკვე დიდი ხანია იყო აღიარებული უდავო ჭეშმარიტებად“ (თავზიშვილი, 1974: 138), იგი მრავალი არგუმენტის მოშველიებით იმ მანკიერებებსაც წარმოაჩენს ნიღაბახდილი სახით, რაც რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობას მოჰყვა რეალურ შედეგად.

რუსული კოლონიალიზმისადმი გ. თავზიშვილის ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება რეალური ფაქტი რომაა და მისი ეროვნული თვალთახედვის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული არაფერია, ამის დასტურად მისი ამ მოსაზრების დამოწმებაც იქნება საკმარისი: „XIX საუკუნის ორმოციან წლებამდე, ამიერკავკასიაში თავისი ძალაუფლების საბოლოოდ განმტკიცებამდე, მეფის მთავრობა ფორმალურად არ აღიარებდა საქართველოს სახელის გაუქმებას და ამის გამო ვერ ბედავდა გადაეხაზა იგი და საქართველოსთვის ერთბაშად ეწოდებინა რუსეთის გუბერნია. მაგრამ თანდათანობით ისეთი უმნიშვნელო რეფორმის გატარებამ, როგორც იყო „საქართველოს მმართველის“ თანამდებობის გაუქმება (1811 წ.) და მისი შეცვლა სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობით, საქართველოს დაყოფა მაზრებად, ქართველი მოურავების ინსტიტუტის გაუქმება, შინაგანი წესრიგის დამცველი პოლიციის შემოღება, რუსი ბოქაულების ინსტიტუტის შექმნა და სხვა მთელმა რიგმა ადმინისტრაციულმა ღონისძიებამ უკვე ფორმალურადაც მოამზადა ნიადაგი „საქართველოს ყოფილი სამეფოს“ გადასაქცევად რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად... 1837 წელს გამოყოფილი სპეციალური კომისიის მუშაობის შედეგად, საქართველოს ეწოდა „საქართველო-იმერეთის გუბერნია“ (თავზიშვილი, 1974: 148).

ჩვენის აზრით, საკმაოდ არავინ გახდის იმ ფაქტს, რომ საბჭოთა იდეოლოგიის მძვინვარების პერიოდში ამ და მსგავსი მოსაზრებების ასე ხმამაღლა გამოთქმა დიდ მოქალაქეობრივ გაბედულებას მოითხოვდა. გ. თავზიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ამგვარი შეფასებანი მის ნაწერებში სამეხარო არ არის.

გ. თავზიშვილის, როგორც ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიკოსის, ღვაწლის წარმოჩენისა და შეფასების დროს ცალკე, ხაზგასმით, უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება დიდ ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო შეხედულებების შესწავლის საქმეში. ფაქტობრივად, მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა წარსულში მოღვაწე არც ერთი ისეთი პიროვნება, რომელსაც ეროვნული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში საგულისხმო წვლილი შეეტანოს და მისი ეს დამსახურება გ. თავზიშვილის მეცნიერული კვლევის საგანი არ გამხდარიყოს.

ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია მისი ის ნარკვევები და მონოგრაფიები, რომელთა მეშვეობითაც მან, ერთ-ერთმა პირველმა ქართული პედაგოგიკური აზროვნების მკვლევართაგან, საფუძვლიანად შეისწავლა და გააანალიზა ისეთი დიდი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების საგანმანათლებლო იდეები და პრაქტიკული მოღვაწეობა, როგორებიც იყვნენ: არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი, სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვები.

გ. თავზიშვილმა ასევე დიდი როლი შეასრულა ქართული საბავშვო მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა საბავშვო ნაწერების რედაქტირების, გამოცემისა და მათი ავტორების პედაგოგიკური იდეების წარმოჩენის საქმეშიც. კერძოდ, მან საფუძვლიანად შეისწავლა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლების: ეკატერინე გაბაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, ნინო ნაკაშიძისა და სხვათა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო შეხედულებანი.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი თავზიშვილის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში განხორციელებული კვლევა-ძიების სფერო მხოლოდ განხილული ნაშრომებით არ შემოიფარგლება, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ თავისი მაღალაკადემიური მეცნიერული მემკვიდრეობით მას უაღრესად ფასეული წვლილი აქვს შეტანილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში.

ლიტერატურა

1. თავზიშვილი გ. სახალხო და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბ. 1948 წ.
2. თავზიშვილი გ. რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი სამ ტომად, ი. ბოცვაძის რედაქციით, ტ. პირველი, თბ. 1974 წ.

პედაგოგიკა/Pedagogics

3. თავზიშვილი გ. რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი სამ ტომად, ი. ბოცვაძის რედაქციით, ტ. მეორე, თბ. 1977 წ.
4. თავზიშვილი გ. რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი სამ ტომად, ი. ბოცვაძის რედაქციით, ტ. მესამე, თბ. 1980 წ.
5. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ნ. ვასაძე, თბ. 1988 წ.
6. პედაგოგიკის ისტორია, ნ. ვასაძე, თბ. 1998 წ.

რეზიუმე

საქართველოში სწავლა-განათლების საქმე უძველესი დროიდანვე იდგა მაღალ აკადემიურ დონეზე და მის განვითარებას ყოველთვის ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. ადრინდელი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, არა მარტო საქართველოში არსებობდა მაღალი დონის სასწავლო დაწესებულებანი, არამედ ქართველებს მსგავსი სახის საგანმანათლებლო ცენტრები უცხოეთის არაერთ ქვეყანაშიც ჰქონდათ დაარსებული. სამწუხაროდ, ამ დაწესებულებათა ისტორია და დიდ ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიკური მემკვიდრეობა გასულ საუკუნეებში მხოლოდ ზედაპირულად იყო გააზრებული. ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში არსებითი ხასიათის გარდატეხას საფუძველი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ეყრება. ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის პროფესორ გიორგი თავზიშვილს (1902–1963 წწ.).

გ. თავზიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოში არსებული სასწავლებლების ისტორიის შესწავლა. კერძოდ, მან საფუძვლიანად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორია და იქ არსებული სასწავლო სისტემა.

გ. თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასების დროს ცალკე უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება დიდ ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო შეხედულებების შესწავლის საქმეში. ფაქტობრივად, მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა წარსულში მოღვაწე არც ერთი ისეთი პიროვნება, რომელსაც ეროვნული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში საგულისხმო წვლილი შეეტანოს და მისი ეს დამსახურება გ. თავზიშვილის მეცნიერული კვლევის საგანი არ გამხდარიყოს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თავისი მეცნიერული მემკვიდრეობით გ. თავზიშვილს უაღრესად ფასეული წვლილი აქვს შეტანილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში.

Tinatin Kapanadze-Nikoleishvili

GIORGI TAVZISHVILI – RESEARCHER OF THE HISTORY OF GEORGIAN PEDAGOGICAL THINKING

In Georgia's education has always been at a high academic level and its development has always been paid special attention. Since the early middle age, Georgia was establishing educational centers in many foreign countries as well. Unfortunately, until the last century, these institutions and the history of the great figures of the pedagogical legacy was superficially understood. The real breakthrough in the research of the history of pedagogical thinking dates back from the 30ies of the last century. The most important role in this research played professor George Tavzishvils (1902-1963).

One of the main directions of Tavzishvili's work was research of the history of academic educational centers in Georgia. In particular, he studied almost all the educational institutions and its systems in Georgia.

While assessing scientific heritage of G. Tavzishvili, we have to mention his merit in researching educational views of famous Georgians. There is no even one famous Georgian personality who have contributed to the history of national pedagogical thinking and wasn't mentioned in his researches.

Based on above-mentioned facts we can conclude that G. Tavzishvili with his scientific legacy made a highly valuable contribution to the history of the Georgian pedagogical thinking.

ქეთო მიქენაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის N2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

„თუ გული გულობს“, ანუ შეიძლება თუ არა მოსწავლეთა მოტივაციის შენარჩუნება?

მოტივაციის ცნება ლათინური ენიდან მომდინარეობს, კონკრეტულად, სიტყვიდან „mevere“, რაც მოძრაობას, მიზნისკენ სწრაფვას, მიმართულების მიცემას გულისხმობს.

სანამ წერას დავიწყებდი, გადავათვალიერე მეთოდური სტატიები. ძალიან ბევრი იწერება იმის შესახებ, თუ როგორ დავგეგმოთ სასწავლო პროცესი ისე, რომ შევძლოთ მოსწავლეთა მოტივაციის შექმნა და ამაღლება. ყველა მათგანს პატივს ვცემ, ვიზიარებ ავტორთა შეხედულებებს, მაგრამ ერთი მოკრძალებული შენიშვნით დავიწყებ და გთხოვთ თავდაჯერებულობაში ნუ ჩამომართმევთ: პედაგოგის მისია არ შემოიფარგლება მოზარდისათვის მხოლოდ ცოდნის მიცემით. ამის დადასტურებად გამოდგება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, რომლის მიხედვითაც მოზარდს უნდა შეეძლოს: დამოუკიდებლად ცხოვრება და გადაწყვეტილების მიღება; ინდივიდებთან და ჯგუფებთან კომუნიკაცია; უწყვეტი განათლების მიღება და ა.შ.

„სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის“, - წერია ზგემ-ის „ვ“ პუნქტში. საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება, ჩემი აზრით, თვითრეალიზაციაა, რომელიც მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის თანახმად, ადამიანის ერთ-ერთი მოთხოვნილებაა. როგორ უნდა გაუჩნდეს მოზარდს თვითრეალიზაციის სურვილი? როგორ ჩამოვყალიბოთ თაობა, რომელიც ინიციატივას აიღებს და მისი შესრულების სურვილი ბოლომდე შერჩება - მოკლედ რომ ვთქვათ, მიზანდასახული, მოტივირებული იქნება?

მიმართულების მიცემა და თვითრეალიზაციის სურვილის შექმნა არ ხდება მარტივად, არც გაუთავებელი დარიგებებით. დიახ, ძნელია, მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს, „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევ“ ...

ვეცდები ჩემი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოვყალიბო საკუთარ გამოცდი- ლებაზე დაყრდნობით.

დავარწმუნოთ მოსწავლე საკუთარ შესაძლებლობებში

- მახსოვს, კლასში პიესა დავდგით - „ნიშნების საუბარი“. 2-იანის როლი ერთ-ერთ პასიურ მოსწავლეს მივეცი. კლასი ახარხარდა, თვითონაც უარზე იყო, მაგრამ პირველსავე რეპეტიციაზე დავარწმუნე, რომ ამას შეძლებდა. მან ფრიადოსანზე უკეთესად შეასრულა თავისი როლი და საზოგადოებამ სხვა თვალთ შეხედა. შემდეგ არცერთი ღონისძიება არ ჩაგვიტარებია მისი მონაწილეობის გარეშე. ახლა ის ორი შვილის მამაა და ყველაფერს აკეთებს, რომ შვილები აქტიური მოსწავლეები იყვნენ.
- გრამატიკაში ნაცვალსახელის სწავლება ერთ-ერთი რთული საკითხია. მისი გაადვილების მიზნით, თემის დასაწყისში შევთავაზე, რომ ბოლოს ჩავატარებდით გაკვეთილს „გავაშენოთ ქალაქი ნაცვალსახელი“. წინასწარ შევადგინე გეგმა, შევქმენი სქემები „ქალაქი ნაცვალსახელი“, „დავასახლოთ ნაცვალსახელები“ და ბოლოს - „დავასაქმოთ ნაცვალსახელები“. ამ უკანასკნელისთვის „შევქმენი“ „შრომის ბირჟა“, სადაც „იდგენენ“ „უმუშევარი“ ნაცვალსახელები. კლასში სსმმ გვყავდა. ვთხოვე, რომ თვითონ ყოფილიყო „დამსაქმებელი“. აქტივობა გულისხმობდა ჯგუფებში ისეთი წინადადებების შექმნას, რომლებშიც გამოტოვებული იქნებოდა ნაცვალსახელი და მის შესავსებად უნდა მიემართათ „ბირჟისთვის“, რათა „დაესაქმებინათ“ ნაცვალსახელები. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორი მონდომებით ემზადებოდა ლ.დ. რომ ნაცვალსახელთა ჯგუფები ესწავლა და გაკვეთილზე კარგი „გამანაწილებელი“ ყოფილიყო. როგორი ბედნიერი იყო იმით, რომ ყველა „კლიენტს“ სწრაფად აპოვნინა შესაფერისი სიტყვა.

პედაგოგია/Pedagogics

გავითვალისწინოთ მათი რჩევები

ნებისმიერი კლასგარეშე აქტივობის დაგეგმვისას მოსწავლეებს ვთხოვ, მირჩიონ, რა უფრო საინტერესო იქნება აუდიტორიისთვის. სრულად ვანდობ დარბაზის დიზაინს, ვუწონებ ნახელავს და მადლობას ვუხდის თანადგომისათვის. ეს „სტრატეგია“ მეხმარება მოტივაციის შექმნასა და შენარჩუნებაში.

ვაგრძნობინოთ, რომ მართო არ არიან

ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ კურსდამთავრებულები, რომლებიც ხშირად გვაკითხავენ, მონაწილეობას იღებენ წაკითხული წიგნების განხილვაში. ვმართავთ დისკუსიებს საინტერესო თემებზე. შეგულიანება, აღიარება იმისა, რომ კარგები არიან დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა განწყობაზე.

კაბინეტისთვის ფიცრები დაგვჭირდა. ხელოსნობის უნარი არ აღმოგვაჩნდა და რჩევითვის გამოცდილ ადამიანს მივმართეთ. მართალია, მას სკოლასთან არაფერი აკავშირებდა, მაგრამ მაინც მოვიდა. ავუსხენით რაც გვინდოდა და ვთხოვეთ გაანგარიშებაში დაგვხმარებოდა. დაგვიპირდა მეორე დღისთვის ყველაფერს დაადგენდა. ჩვენდა გასაკვირად, მეორე დღეს მან ფიცრის ზომები კი არა, გამზადებული მასალა მოგვითანა საჩუქრად და მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი, ისე გაუჩინარდა.

ვუთხრათ, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი მომავალი

ნ. დ. გაკვეთილებზე უმეტესად ჩუმიად იჯდა, აზრს იშვიათად გამოთქვამდა, მაგრამ იმ ნათქვამში სწორი აზროვნება ჩანდა. ვატყობდი, რომ რაღაცით განაწყენებული (ზოგჯერ დაბოლმილიც) იყო. დიდხანს ვცდილობდი ამის მიზეზი დამედგინა. გავიგე, რომ ოჯახში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, ხოლო მის ინტერესებსა და მისწრაფებებზე წარმოდგენა არავის ჰქონდა. ერთხელ საშინაო დავალების რვეულში კომენტარი ჩავუწერე: „ნ. შენ ძალიან კარგად აზროვნებ, რატომ არ უნდა ჩანდე? მინდა სხვებმაც დაინახონ შენი უნარი. სცადე!“

არასდროს დამავიწყდება მისი გაბრწყინებული თვალები. დასვენებაზე დარჩენა მთხოვა და მორიდებით მითხრა, ჩემთვის არავის უთქვამს, რომ რაღაც შემძლია. იქნებ დამეხმაროთ ამის გამოვლენაში.

ჩვენ დავმეგობრდით. მკითხველთა კლუბის წევრად ჩაეწერა. კითხვაც დაიწყო და წიგნების განხილვაშიც მიიღო მონაწილეობა. გაქრა ინერტულობის პოზიცია - დღეს იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა აქტივობაში, შეყვარებულს ჰყავს და თავაწეული დადის. შეცვალა მეგობრებისადმი დამოკიდებულებაც...

ერთმა თბილმა, გულწრფელმა კომენტარმა ნ.დ. სხვა ადამიანად აქცია. ნურასდროს ვიქნებით გულგრილი მოსწავლის გუნება-განწყობის მიმართ და შედეგსაც აუცილებლად მივიღებთ.

მივცეთ აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება

მოსწავლეებს შევთავაზე მოგვეწყო ლიტერატურული სასამართლო გიორგი ლეონიძის „მარტას“ მიხედვით. როლები თვითონ აირჩიეს და მზადებაც დაიწყეს. საგანგებოდ არ ჩავერიე მომზადების პროცესში. როლები შესანიშნავად „მოირგეს“-სასამართლო ხმაურიანი და დამაბული იყო. ციციკორეს ადვოკატი ყველაზე თამამი და უნარიანი გამოდგა, მან თავისი „დაცვის ობიექტის“ განაჩენის შემსუბუქებას მიაღწია. მიღწევამ ისე იმოქმედა მასზე, რომ მსგავსი კლასგარეშე აქტივობა მისი ინიციატივით რამდენჯერმე მოეწყო.

დავპირდეთ და შევესრულოთ

- სულ ახლახან სკოლაში მოვიწვიეთ კლასიკოსი მწერალი ბატონი გურამ დოჩანაშვილი. მკითხველთა კლუბ „წიგნიქები“ წევრებს დავპირდი, თუ წაიკითხავდნენ მის წიგნებს, აუცილებლად მოვიწვევდი სკოლაში, შეხვედრის პროგრამას კი იმათ შევადგენინებდი, ვინც მეტ ნაწარმოებს წაიკითხავდა და გაანალიზებდა. დაუჯერებლად მიაჩნდათ, მაგრამ მაინც დაიწყეს. თანდათან გააქტიურდნენ და შაბათ - კვირას სკოლის ნაცვლად სახლში მაკითხავდნენ. მათი მონდომება და ერთსულოვნება მხოლოდ ერთ რამეს მკარანობდა „მათი ღალატი არ შეიძლება!“ მოსწავლეთა ასეთი აქტიურობა მასწავლებლისთვის სტიმულის მიმცემია. მეც ყველაფერი გავაკეთე, რომ დანაპირები შემესრულებინა. დარბაზის მოწყობა მე-11 კლასელებმა ითავეს. ყველაზე თავზეხელაღებულებმა ღამეები გაათენეს და ისე გააფორმეს ყველაფერი, რომ ვერც მოვიფიქრებდი... სხვა სკოლიდან ვიოლინოზე დამკვრელი მოსწავლეც მოუწვევიათ სტუმრისთვის სიურპრიზის გასაკეთებლად (ეს ჩემთვისაც მოულოდნელი იყო). ორივე მხარე ვცდილობდით ერთმანეთი გაგვეხარებინა - ისინი იდეების შესრულებით, მე კი აღტაცებული მადლიერებით.

პედაგოგია/Pedagogics

არ იყო ადვილი შეხვედრის მომზადება, მაგრამ დავპირდი და ყველაფერი გავაკეთე ამ დაპირების შესასრულებლად. კარგადაც გამოგვივიდა!

- ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების წაკითხვა შევთავაზე იმ პირობით, რომ მწერლის ქალიშვილს შევახვედრებ. ყველა ნაწარმოები წაიკითხეს. განხილვაზე სტუმარიც მოიწვიეს - პედაგოგთა პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ქალბატონ ცირას ისე მოეწონა მათი აქტიურობა, რომ დავგპირდა თბილისში გამგზავრების დაფინანსება. ამ თანადგომას ახალი ინიციატივა მოჰყვა - მთაწმინდაზე თავისუფალი გაკვეთილის ჩატარება!.. ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ და მომავალს ვქმნით - აქტიურსა და მიზანდასახულს...

მოსწავლეთა მოტივაციის შექმნა არასდროს არ იყო ადვილი მისაღწევი, მითუმეტეს, ახლა - ინფორმაციის სიჭარბისა და, სამწუხაროდ, საზოგადოებაში დაგროვილი აგრესიული მუხტის ფონზე. პრობლემის მოგვარება რომ შევძლოთ, თავად უნდა ვიყოთ მოტივირებული - ძალიან უნდა გვინდოდეს ამის გაკეთება! თუ მასწავლებელი ფიქრობს იმაზე, რომ შრომის შესაფერისი ანაზღაურება არა აქვს, ვერასდროს ვერ ჩააქსოვს სულსა და გულს საქმეში და ვერც შედეგს მიიღებს..

ლიტერატურა

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - <http://www.kiketischool.ge/>
2. მოტივაცია ლექსიკონი/ ცნობარი <http://dictionary.css.ge/content/motivation>

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ მოთხოვნათა შესაბამისად მოსწავლეთა მოტივაციის შექმნისა და შენარჩუნების სტრატეგიები საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების ფონზე.

Qeto Miqenaia – Zugdidi region Kakhati N2 public school, the certified teacher of georgian literature, involved in the sheme,

Summary

In the work there are reviewed strategies of creating and maintaining students motivation concerning the national goals of common education according to my own teaching experience.

პედაგოგია/Pedagogics

ციალა ტარიელაძე – ბათუმის მე-15 საჯარო სკოლა, ინკლუზიური სწავლების მენეჯერი
ირმა ხინიკაძე – ბათუმის მე-15 საჯარო სკოლა, ინკლუზიური განათლების სპეციალური მასწავლებელი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ქცევის მართვის სტრატეგიები

ინკლუზიური განათლება გულისხმობს ისეთ სასწავლო გარემოს/სიტუაციების შექმნას, სადაც ყველა მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს, რაც უშუალოდ მისი ცხოვრებისთვის არის რელევანტური. ყველა განსხვავებულია და თანასწორია. თანასწორობისთვის საჭიროა განსხვავებული მიდგომა. სტატისტიკის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დედამიწის მოსახლეობის თითქმის მათედ ნაწილს შეადგენენ. მიუხედავად ამისა, ეს ადამიანები უმეტეს ქვეყნებში უმცირესობაში იმყოფებიან. მათი უფლებები უმრავლესობის მხრიდან ხშირად იგნორირებულია. დროთა განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჯგუფებმა თავად დაიწყეს ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად. ამ ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი საქართველოში ინკლუზიური განათლების განვითარებაა. დღეს საქართველოში ფართოდ გავრცელდა ინკლუზიური განათლების იდეა, რასაც განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა შეუწყო ხელი. სკოლის საგანმანათლებლო რეფორმების ამოსავალ წერტილს მოსწავლე და მისი მოთხოვნები წარმოადგენს („*ინკლუზიური განათლების გზამკვლევი მასწავლებელთათვის*“ ტექნიკური რედაქტორი მ.ბერძენიშვილი. 2011წ)

ჩვენი მოკრძალებული სურვილია წარმოგიდგინოთ კლასში სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მეთოდები და ქცევის მართვის სტრატეგიები.

სსსმ მოსწავლე-სანდრო (პირობითი სახელი)

სანდროს აქვს დიაგნოზი: ეპილეფსია. საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობა, ფსიქიკური განვითარების დარღვევა.

სანდროსთვის დამახასიათებელია პრობლემური ქცევები. გაკვეთილზე კერძოდ, იგი აგზნებული და იმპულსურია, ვერ აჩერებენ გაკვეთილზე, თვითნებურად დგება და დადის, შენიშვნაზე ადვილად ღიზიანდება და იწყებს ისტერიულ ყვირილს ან ტირილს, ცუდი სიტყვებით მიმართავს მის ირგლივ მყოფ ადამიანებს.

სპეციალურმა მასწავლებლებმა მონაცვლეობით ვაწარმოეთ დაკვირვება სანდროზე, რათა გამოგვეკვითა პრობლემური ქცევის მიზეზები და შეგვეჩინა ეფექტური და მასზე მორგებული ქცევის მართვის სტრატეგიები. დაკვირვებისა და მუშაობის პროცესში ვაკეთებდით ჩანაწერებს, რომელიც ნაშრომში ცხრილის სახითაა წარმოდგენილი. არსებული ქცევების გამოვლენის შემცირების მიზნით გამოვიყენეთ ქცევის მართვის გეგმა, რომლის პირველ საფეხურზე მიზნად დავისახეთ სანდროსთვის დამახასიათებელი არასასურველი ქცევების ჩამონათვალი; დაკვირვება გვიჩვენებს შემდეგს: სანდრო საკლასო ოთახში გაკვეთილის დროს დგება და დადის.

გეგმის მეორე საფეხურზე მნიშვნელოვნად მივიჩინეთ სასურველი ქცევის განსაზღვრა. სანდროს ქცევითი პრობლემების მოგვარების მიზნით აუცილებელია იგი ჩაერთოს საგაკვეთილო აქტივობებში და შეასრულოს მასწავლებლის ინსტრუქციები.

მესამე საფეხურზე სავალდებულოა არასასურველი ქცევის გაზომვა.

ქცევა “დადის” დაკვირვება ოთხ გაკვეთილზე (დრო საათის მიხედვით)

გაკვეთილი	დრო									სიხშირე
	5	10	15	20	25	30	35	40	45	
I	დ	დ		დ		დ		დ	დ	6
II		დ	დ		დ		დ			4
III		დ		დ		დ				3
IV				დ			დ			2
	1	3	2	3	1	2	2	1	1	15

ქცევის სიხშირე: 15

ხანგრძლივობა: 25 წმ

ინტენსიობა: საშუალო სიჩქარე

მეოთხე საფეხურზე დავადგინეთ ქცევის კონტექსტი. რისთვისაც გამოვიყენეთ შემდეგი კითხვარი:

1. როდის, რა პირობებში ვლინდება არასუსრველი ქცევა?

2. როდის რა პირობებში ვლინდება არასასურველი ქცევა?

3. რა მოვლენები უსწრებს უშუალოდ არასასურველი ქცევას წინ?

4. არასასურველი ქცევა წინ უსწრებს რაიმე ქცევას თუ მასთან ერთად ვლინდება?

5. რა ფაქტორები შეიძლება ახდენდნენ გავლენას ქცევის გამოწვევაზე ან მის შენარჩუნებაზე?

(სატრენინგო მოდული „რთული ქცევის მართვა“ საქართველოს ბავშვები. 2011-2012წელი)

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სანდრო არასასურველ ქცევას ახორციელებს მაშინ, როცა მასწავლებელი ხსნის ახალ გაკვეთილს ან დავალება მისთვის რთულია, ან უინტერესო.

სანდრო არ ავლენს არასასურველ ქცევებს მაშინ, როცა ჩართულია მისთვის საინტერესო აქტივობაში, აქვს მოლოდინი, მასწავლებელი მოუწონებს დავალებას და შეაქვს, როცა რესურს ოთახში მარტო იმყოფება სპეციალურ მასწავლებელთან ერთად, ან სკოლის ეზოში თამაშობს თანატოლებთან.

სანდროს არასასურველი ქცევას წინ უსწრებს მასწავლებლის მიერ ახალი გაკვეთლის ახსნა, ან როცა მასწავლებელი სხვა მოსწავლეს ეხმარება ინდივიდუალური დავალების შესრულებაში.

როცა მასწავლებელი კლასს აძლევს ინსტრუქციას წერიტი დავალებითვის ან თანაკლასელი ყვება გაკვეთილს, სანდრო დგება და დადის.

მისი ქცევა ყურადღების მიქცევას ისახავს მიზნად.

მეხუთე საფეხურზე ვადგინთ რა მიზნით ახორციელებს სანდრო არასასურველ ქცევას. ლიტერატურული წყარობის ანალიზით მოსწავლე არასასურველ ქცევას ახორციელებს შემდეგი მიზეზებით:

ა) მატერიალური სარგებლის მოპოვების მიზნით;

ბ) დავალებებისაგან თავის არიდების მიზნით;

გ) ყურადღების მოპყრობის მიზნით;

დ) თვითდაჯილდოვების მიზნით

სანდროს შემთხვევაში დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იგი არასასურველ ქცევას ახორციელებს **მატერიალური სარგებლის მოპოვების მიზნით** (უყვარს სახატავი ფანქრები და ლოტო; უყვარს კომპიუტერი); **დავალებებისაგან თავის არიდების მიზნით** (მისი გამოწვევია დავალებები, რომლის შესრულება დამოუკიდებლად არ შეუძლია); **ყურადღების მასწავლებლებისა და კლასელების მხრიდან მიქცევის მიზნით** (მას აღიზიანებს უყურადღებობა და გულგრილობა).

მექვსე საფეხურზე ვიმუშავებთ განმამტკიცებლების შერჩევაზე. დავადგინეთ, რომ სანდროსთვის განმამტკიცებელია

ა. **მატერიალური ჯილდოები**, კერძოდ, სათამაშოები ან ნივთები როგორცაა: ბურთი, ფანქრები, ლოტო, დასურათებული ბარათები;

ბ. **აქტივობითი**: თამაში, ხატვა;

გ. **სოციალური**: შექება, ზურგზე ხელის მოთათუნება, თავზე ხელის გადასმა, ღიმილიანი თანხმობა და თავის დაქნევა.

დ. **განმამტკიცებლის მიღების ფორმებიდან** – უშუალო, გადავადებული და გადაცვლითი – გამოვიყენეთ უშუალო განმამტკიცებელი. სასურველი ქცევის განხორციელებისას ვაკეთებდით კომენტარს – „დღეს შენ ძალიან კარგად იქცეოდი გაკვეთილზე, ასრულებდი მასწავლებლის მითითებებს, დაიმსახურე საჩუქარი და გადავცემდით წინდაწინ შერჩეულ საჩუქარს.“

მეშვიდე საფეხურზე არასასურველი ქცევის ჩაქრობის სტრატეგიებიდან – იგნორირება, შენიშვნა, უარყოფითი განმამტკიცება, ზეკორექცია, მლაპარაკება გამოვიყენეთ ზეკორექცია და მოლაპარაკება.

ჩვენ სანდროსთან ერთად ვასწორებდით არასასურველი ქცევების შედეგებს. მაგალითად, იატაკზე ქალაღების დაყრის დროს ვთავაზობდით ერთად ამ ქალაღების აკრეფას და ურნაში ჩაყრას. აღნიშნული დავალების შესრულების შემდგომ სიტყვიერი შექებით ვაჯილდოვებდით, რომელზეც ის კარგად რეაგირებდა.

სანდროს მასწავლებლებს დაეხმარეთ ისეთი სასწავლო მიზნების დასახვაში, რომელიც მიღწევადი და საინტერესო იქნებოდა მოსწავლისათვის.

მერვე საფეხურზე მოვახდინეთ განმამტკიცებლის შემცირება. ბავშვის ქცევის გაუმჯობესების შემდეგ თანდათანობით შევამცირეთ მატერიალური განმამტკიცებლები, კერძოდ, თუ ვჩუქნიდით ბურთს ან ფანქრებს, კვირის ბოლოს გადავაციეთ ერთი ფანქარი. დროთა განმავლობაში მატერიალური განმამტკიცებლებიდან გადავდით სოციალურზე (შექება, მხარზე ხელს მოვუთათუნება, გაღიმება და სხვა). *ინკლუზიური განათლების პრინციპები . გამომცემლობა თბილისი. 2008 „ნეკერი“* „ქცევის გამოყენებითი ანალიზი“

ამრიგად, მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე სსსმ მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო პროცესში რთული მექანიზმია. ჩართულობაში იგულისხმება ჩართვა როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე ყველა იმ აქტივობაში, რაც სკოლის ფარგლებში ხორციელდება (ექსკურსიები, სპექტაკლი, ღონისძიებები და სხვა). ყველა აქტივობაში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია აღსაზრდელში ქცევის ჩვევების, გაკვეთილზე მშვიდად ჯდომის, მოსმენის, დავალების შესრულების, სხვებთან კომუნიკაციისა და სხვა უნარების გამომუშავება.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ სანდროსთან პირად საუბარში აღმოვაჩინეთ, რომ მას ყველაზე მეტად ქართულის გაკვეთილი უყვარდა. კითხვაზე „რატომ“, ღიმილით მიპასუხა: „თამრიკო მასწავლებელი ყველაზე მეტად მიყვარს.“

შესაბამისად, მარტივი გასაგებია რა შეუძლია სიყვარულს, თანადგომას, სწორად და მიზანდასახულ მიდგომას მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში.

ბავშვის სწავლებისას გასათვალისწინებელია: მომზადებული მასწავლებლები, შესაბამისი პირობები; სწავლება ინდივიდუალური გეგმით, რომელიც მორგებულია ბავშვის შესაძლებლობებს; სასკოლო დღის წესრიგის სტრუქტურა; სასწავლო მასალების თვალსაჩინო სტილი; მასალის შესატყვისობა ბავშვის ინტერესებთან.

ერთმანეთის თანადგომით და გვერდით ყოფნით ყველაფერი შესაძლებელია.

ლიტერატურა

1. იკლუზიური განათლების გზამკლავი მასწავლებელთათვის ტექნიკური რედაქტორი მ.ბერძენიშვილი. 2011წ
2. ინკლუზიური განათლების პრინციპები. გამომც.2008 თბილისი „ნეკერი“) „ქცევის გამოყენებითი ანალიზი“ ნაწილი
3. ინკლუზიური განათლება ვისწავლოთ ერთად. გამომცემლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2008წ. პასუხისმგებელი რედაქტორი თ. პაწკურია

რეზიუმე

მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე სსსმ მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო პროცესში რთული მექანიზმია. ჩართულობაში იგულისხმება ჩართვა როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე ყველა იმ აქტივობაში, რაც სკოლის ფარგლებში ხორციელდება (ექსკურსიები, სპექტაკლი, ღონისძიებები და სხვა). ყველა აქტივობაში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია აღსაზრდელში ქცევის ჩვევების, გაკვეთილზე მშვიდად ჯდომის, მოსმენის, დავალების შესრულების, სხვებთან კომუნიკაციისა და სხვა უნარების გამომუშავება.

ბავშვის სწავლებისას გასათვალისწინებელია: მომზადებული მასწავლებლები, შესაბამისი პირობები; სწავლება ინდივიდუალური გეგმით, რომელიც მორგებულია ბავშვის შესაძლებლობებს; სასკოლო დღის წესრიგის სტრუქტურა; სასწავლო მასალების თვალსაჩინო სტილი; მასალის შესატყვისობა ბავშვის ინტერესებთან.

Tsiala Tarieladze -The manager of Inclusive Teaching at Batumi Public School N-15

Khinikadze Irma – The Special Teacher of Inclusive Education at Batumi Public School N 15

The strategies of behaviour managing of the inclusive educational student..

According to the student's individual ability and necessity to involve the student into learning process is a really hard mechanism. Involving means not only during the lesson but in all activities that are held in school's life; excursions, plays, and other activities. To involve the student in all different activities are main; to teach them how to sit at the lesson without making noise, how to listen to the teachers, how to fulfill their duties, how to write homework, how to communicate with others and so on.

While teaching a child we have to take into consideration; Experienced teachers, proper environment, teaching with individual plans that is appropriate for the student's ability, the structure of an organized day, learning materials illustration style, materials coincidence to the student's interest.

მზია ჩეგანი - ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის გერმანული ენის სერთიფიცირებული მასწავლებელი

ნანა ყანთელაძე - ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ბიოლოგიის სერთიფიცირებული მასწავლებელი

თეა დარახველიძე - ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ბიოლოგიის სერთიფიცირებული მასწავლებელი

ინტეგრირებული სასწავლო პროექტი - „გარემოზე ზრუნვას საკლასო ოთახიდან ვიწყებთ“

სკოლაში ინტეგრირებული სწავლება უზრუნველყოფს რამდენიმე სასწავლო დისციპლინის ერთმანეთთან მიზნულ-შედეგობრივად დაკავშირებას და მისი გამოყენება უცხო ენების შესწავლის კონტექსტში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ინტეგრირებული პროექტ-გაკვეთილი მეთოდოლოგიურ სივრცეში გულისხმობს ტრადიციული სწავლებისგან სრულიად განსხვავებულ მიდგომებსა და პრინციპებს. ის არ საჭიროებს საკლასო ოთახში გეგმის მიხედვით მკაცრად განსაზღვრული საგაკვეთილო მონახაზის განხორციელებას, არამედ საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ ამა თუ იმ საგანში მიღებული ცოდნის ტრანსფერი და დამოუკიდებლად იპოვონ არსებული პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები.

მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა პროგრესმა ადამიანი განვითარების ძალიან მაღალ საფეხურზე აიყვანა, თუმცა, ამავე დროს, იგი დააშორა ბუნებას და მრავალი ეკოლოგიური პრობლემის სათავე გახდა, რომელთა დიდი უმრავლესობა გლობალურ ხასიათს ატარებს და მთელს კაცობრიობას ეხება. მათ აღმოსაფხვრელად და პრევენციისთვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას საზოგადოებაში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს, რასაც ბავშვობიდანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი. „აღზარდოთ ბავშვები ეკომოქალაქეებად“! – XXI საუკუნეში, ალბათ, ერთ-ერთი აქტუალური თემაა, რაზეც პასუხისმგებლობა ყველა მშობელსა და მასწავლებელს ეკისრება. ზემოთ აღნიშნულ პროექტში ჩვენი ჩართულობისა და მონაწილეობის მიზანია სწორედ მოსწავლეებში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და გარემოზე ზრუნვის უნარ-ჩვევების გამომუშავება იყო.

რატომ ავირჩიეთ პროექტის თემად - „გარემოზე ზრუნვას საკლასო ოთახიდან ვიწყებთ“? - იმიტომ, რომ თანამედროვე ადამიანების უმრავლესობა (მათ შორის, ბავშვებიც) სიცოცხლის უმეტეს დროს დახურულ სივრცეებსა და შენობებში ატარებს, სადაც ეკოლოგიური თვალსაზრისით არანაკლებ საგანგაშო ვითარებაა შექმნილი, ვიდრე ბუნებაში. კერძოდ:

- სკოლაში მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჯანმრთელობაზე დიდ გავლენას ახდენს ხელოვნური სამშენებლო მასალებისა და ლაქ-საღებავების მიერ გამოყოფილი ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც აქვეითებს შრომისუნარიანობას და ხშირად ხდება ალერგიისა თუ სხვა დაავადების მიზეზი;
- სკოლაში ვიყენებთ ინტერნეტს, კომპიუტერს, მობილურს, რომლებიც ელექტრომაგნიტური გამოსხივებით აზინძურებს გარემოს;
- სკოლა ახლოსაა ავტომობილებით გადაჭედულ ქუჩასთან, რაც ზრდის საკლასო ოთახებში მტვრისა და ქუჩიდან შემოსული სხვა მავნე ნივთიერებების კონცენტრაციას;
- სკოლაში ბევრი მოსწავლე სწავლობს და თითოეულ საკლასო ოთახში დღის განმავლობაში საკმაოდ დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის ნარჩენი გროვდება, რაც შეიძლება ანტისანიტარიის მიზეზი გახდეს;
- დახურულ შენობაში ზამთრის სეზონზე განსაკუთრებით მცირდება ჰაერის ტენიანობა, რის გამოც სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსი ვეღარ გვიცავს ვირუსებისა და მიკრობებისგან. შესაბამისად, იზრდება დაავადებების რისკი, ხოლო სკოლაში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა ხელს უწყობს მიკრობების სიმრავლეს და ეპიდემიების გავრცელებას და სხვ.

სწორედ ამიტომ დავგეგმეთ და ვეცადეთ განგვიხორციელებინა ისეთი აქტივობები, რომლებიც ბავშვებს დააფიქრებდა სკოლის სივრცეში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებზე და ეცდებოდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ გარემოსა და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვაში.

პროექტზე მუშაობის დასაწყისში პედაგოგები შევხვდით მოსწავლეებს, რომელთაც სურვილი გამოთქვეს აქტიურად ჩართულიყვნენ აღნიშნულ პროექტში. შეხვედრაზე ბავშვებს გავაცანით ჩვენ მიერ შერჩეული თემა და მოვისმინეთ მათი შეხედულებები. მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ დისკუსიაში და იდეათა გენერაციაში.

პროექტის ფარგლებში დავგეგმეთ და განვახორციელეთ სხვადასხვა აქტივობა, კერძოდ: მოსწავლეებთან ერთად ვესტუმრეთ აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკისა და ზოოლოგიის დეპარტამენტებს, სადაც პროფესორ-მასწავლებლებმა ბავშვებს საინტერესო მინილექცია ჩაუტარეს ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების შესახებ. მოსწავლეები თეორიულად და პრაქტიკულად გაეცნენ მცენარეთა შეგროვებისა და ჰერბარიუმის დამზადების წესებს, დაათვალიერეს დაპრეზერვებული მცენარეები, მცენარეთა ნაწილების მოდელები, მულაჟები და სხვ. ფაუნის სამყაროში ნახეს სხვადასხვა კონტინენტისთვის დამახასიათებელი ცხოველების ფიტულები და ჩონჩხები, მოისმინეს მრავალი სასარგებლო და საინტერესო ინფორმაცია ცხოველთა დაცვისა და მათი მრავალფეროვნების შენარჩუნების შესახებ. ნანახმა ბავშვებზე ძლიერი ემოციური გავლენა იქონია - ისინი ინტერესით ათვალიერებდნენ თითოეულ ეგზემპლარს, სვამდნენ შეკითხვებს, იღებდნენ ფოტოებს და ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს.

ასევე მოვიწოდებ ჩვენს ქალაქში არსებული სანერგე მეურნეობა, სადაც ბავშვებმა ნახეს, თუ როგორ ხდება მცენარეთა გამრავლება ვეგეტატიური ორგანოებით. მასწავლებლებმა ჩავატარეთ ინტერაქტიული გაკვეთილი ოთახის მცენარეების სარგებლობის შესახებ, რაშიც აქტიურად ჩაერთვნენ მოსწავლეებიც წინასწარ მოძიებული და დამუშავებული მასალების გამოყენებით. აქვე სკოლისთვის შევიძინეთ რამდენიმე დეკორაციული მცენარე, რითაც გარკვეული წვლილი შევიტანეთ სკოლის გამწვანების საქმეში.

პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მცენარეთა გადარგვაში; მოიძიეს ცნობები ეკოლოგიური თარიღების შესახებ და შექმნეს ეკოლოგიური კალენდარი როგორც ქართულ, ისე გერმანულ ენაზე; დაამზადეს პოსტერები, რომლებზეც ასახეს სხვადასხვა ეკოლოგიური პრობლემა და იდეები გარემოს დაცვის შესახებ.

პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ოთახის მცენარეებს, რადგან აღმოჩნდა, რომ მათ შეუძლიათ დაგვეხმარონ სუფთა გარემოს შექმნაში და ჩვენი ჯანმრთელობის დაცვით „დაზოგონ“ ჩვენი სიცოცხლეც და თანხებიც. გარდა ამისა, გავარკვიეთ, რომ ჩვენი სკოლის თითქმის ყველა საკლასო ოთახში აქვთ ქოთნის მცენარეები, თუმცა ისინი, ჩვეულებრივ, აღიქმება, როგორც ოთახის „მწვანე დეკორაცია“ და როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების უმრავლესობას მწირი წარმოდგენა აქვს მათი სარგებლობის შესახებ. სამწუხაროდ, ბავშვების დიდ ნაწილს მცენარე ცოცხალი ორგანიზმიც კი არ ჰგონია... ასეთი შეხედულება იწვევს მცენარეების მიმართ გულგრილ და უდიერ დამოკიდებულებას (საკლასო ოთახებში აქვთ მცენარეები და ავიწყდებათ მათი მორწყვა; ქუჩებში და პარკებში ვხედავთ, რომ ხეებს დატეხილი აქვთ ტოტები, ამოკაწრული და ამომწვარია ღეროები და სხვ.). პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო, მოსწავლეებს დაენახათ ფლორა - როგორც ცოცხალ ორგანიზმთა სამყარო, რომელთა გარეშე დედამიწაზე შეწყდება სიცოცხლე, რადგან მცენარეები გვამარაგებენ ჟანგბადით, გვაშორებენ მომწამვლელ ნივთიერებებს, არიან მრავალი ცხოველის თავშესაფარი და საცხოვრებელი, იწყებენ ბუნებაში თითქმის ყველა კვებით ჯაჭვს და ა.შ.

როგორც მოპოვებული ინფორმაციით გარკვევს ბავშვებმა, ოთახის მცენარეებს შორის რამდენიმე მათგანი განსაკუთრებული პოპულარობით და სარგებლობით გამოირჩევა. ჩვენც სწორედ მათზე გავაკეთეთ არჩევანი:

- **ბეგონია** - ჰაერის ბუნებრივი გამწმენდია. ანეიტრალურს ზოგიერთი სოკოს სპორებს, რომლებიც იწვევს ალერგიას, კანის გაღიზიანებას და რესპირატორული სისტემის დაავადებებს. გამოყოფს დაავადების გამომწვევი მიკრობების გამანადგურებელ ფიტონციდებს და სამკურნალო გავლენას ახდენს ადამიანის სასუნთქ სისტემაზე.
- **ქლოროფიტუმი** - შთანთქმავს ჰაერიდან მტვერს, ასევე სინთეტიკური სამშენებლო მასალებიდან გამოყოფილ ტოქსინებს; ანადგურებს ოთახში გარედან შემოსულ ბაქტერიებს.
- **ალოე** - უმკლავდება ქუჩიდან შემოსულ ტოქსინებს, ზოგიერთ სოკოს.
- **კაქტუსები** - სხვა მცენარეების მსგავსად მათაც აქვთ ბაქტერიოციდული თვისება. გარდა ამისა, ისინი შთანთქმვენ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას.

პედაგოგიკა/Pedagogics

- **გერანი** - გამოირჩევა განსაკუთრებული ანტიბაქტერიული ეფექტით. კლავს სტრუპტოკოკებს და სტაფილოკოკებს. გამოყოფს დამამშვიდებელ და ანტიისტრესულ ნივთიერებას.
- **სანსევიერა** - ასუფთავებს ჰაერს და ზრდის ორგანიზმის ადაპტაციურ უნარს ვირუსების მიმართ. ჰაერში გამოყოფს ფიტონციდებს და დადებითი ეფექტი აქვს სასუნთქ გზებზე.
- **მონსტერა, ია, პალმები** - ზრდიან ჰაერის ტენიანობას.
- **კრასულა (დოლარის ხე)** - ამცირებს ოთახში მავნე მიკროორგანიზმებისა და სოკოს სპორების რაოდენობას.
- **გვიმრები** - კარგად ატენიანებენ ჰაერს და ამცირებენ მის სიმშრალეს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზამთარში, როცა გამათბობლებია ჩართული. ანეიტრალეზენ ახალი ავეჯიდან გამოყოფილ ფორმალდეჰიდს.

ვფიქრობთ, აღნიშნულ პროექტს აქვს როგორც საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითი და განმავითარებელი მნიშვნელობა:

საგანმანათლებლო - 1) მოსწავლეები გაეცნენ ეკოლოგიურ პრობლემებს, გაიაზრეს მათი გამომწვევი მიზეზები და გამოთქვეს მოსაზრებები ამ პრობლემების გადასაჭრელად და პრევენციისთვის; 2) მოიძიეს ინფორმაცია მცენარეთა შესახებ (გაეცნენ მათ დასახელებებს, სასარგებლო თვისებებს, მოვლის თავისებურებებს, როლს ბუნებაში და ადამიანის ცხოვრებაში); 3) აღმოაჩინეს მცენარეთა ისეთი თვისებები, რომლებიც მათთვის აქამდე სრულიად უცხო იყო (მაგალითად, მცენარეთა ენერგეტიკა, რომელსაც ისინი გარშემოცოფ ადამიანებს გადასცემენ ან პირიქით, ართმევენ)

აღმზრდელობითი - 1) მოსწავლეებმა ისწავლეს მცენარეთა მოვლა, მათზე ზრუნვა; 2) გაუჩნდათ სურვილი სხვებისთვის ყოფილიყვნენ სანიმუშო გარემოს დაცვის საქმეში.

განმავითარებელი - 1) მოსწავლეებს განუვითარდათ ბუნებისადმი ემოციონალური და ესთეტიკური დამოკიდებულება, სილამაზის აღქმის უნარი და გარემოზე პასუხისმგებლობის გრძნობა; 2) გამოუმუშავდათ ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების უნარ-ჩვევები, ინტერნეტითა და წიგნებით საჭირო ინფორმაციის მოძიების უნარ-ჩვევა; 3) შეძლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერი.

ჩვენ მიერ განხორციელებულმა ინტეგრირებულმა პროექტ-გაკვეთილმა მოსწავლეებს საშუალება მისცა საბუნებისმეტყველო საგნებსა და გერმანულ ენაში მიღებული ცოდნა რაციონალურად გამოეყენებინათ, აქტიურად და ნაყოფიერად ეთანამშრომლათ ერთმანეთთან, დაინტერესებულიყვნენ გარემოს მდგრადი განვითარების საკითხებით, ემსჯელათ და თავიანთი კვლევების შედეგები ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ როგორც მშობლიურ, ისე უცხოურ ენაზე და ყოველივე ამის პარალელურად, ისეთი გამჭოლი კომპეტენციები განევიტარებინათ, რომლებიც ეკოლოგიური წიგნიერების დონის ამაღლებას განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გერმანიის გოეთეს ინსტიტუტის სემინარების მასალები: „ქმედებაზე ორიენტაცია და პროექტის მასალები“; „CLIL“ და ეკოლოგიური განათლება“; „გამოყენებითი ეკოლოგიური პედაგოგიკა“, 2016
2. კრებული „Vernetzt für Nachhaltigkeit“ („გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისთვის“), 2016
3. მ. ხელაშვილი, ბუნების კუთხის მნიშვნელობა და მისი მოწყობა, 1984
4. <http://nature-home.ru/statyi/st140.html>
5. <http://klumba-plus.ru/komnatnie-cveti/nazvaniya-komnatnih-cvetov>

რეზიუმე

გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული მოსწავლეთა საერთაშორისო გარემოსდაცვითი პროექტი „გარემოს ქმნის სკოლა“ („Umwelt macht Schule“) ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში განხორციელდა გერმანულისა და ბიოლოგიის მასწავლებლების ერთობლივი მუშაობით. მისი მიზანი იყო გარემოს დაცვითი ღონისძიებებისა და ენის სწავლების ინტეგრირება. მოსწავლეებმა შეიძინეს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გარემოს დაცვის საკითხებში და ამ კუთხით გაიმდიდრეს გერმანული ენის ლექსიკური მარაგი. პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიში და ფოტომასალა გადაგზავნილ იქნა ბერლინში მოსწავლეთა საერთაშორისო კონფერენციაზე. მონაწილე მასწავლებლები და მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.

Чегияни Мзия - сертифицированный преподаватель немецкого языка Кутайской 41-ой физико-математической публичной школы

Кантელაдзе Нана - сертифицированный преподаватель биологии Кутайской 41-ой физико-математической публичной школы

Дарахвелидзе Теа - сертифицированный преподаватель биологии Кутайской 41-ой физико-математической публичной школы

Интегрированный учебный проект - „Заботу об окружающей среде начинаем с классной комнаты“

Резюме

Организованный институтом Гёте международный проект учащихся защиты окружающей среды: „Окружающую среду создаёт школа“ („Umwelt macht Schule“) в Кутайской 41-ой физико-математической школе был осуществлён совместной работой преподавателей немецкого языка и биологии. Его целью была интеграция мероприятия защиты окружающей среды и обучения языков. Учащиеся приобрели теоретические и практические навыки в области защиты окружающей среды и в этом направлении обогатили свой лексический запас по немецкому языку. Отчёт об осуществлённых активностях в рамках проекта и фотоматериалы были пересланы в Берлин на международную конференцию учащихся. Участвующие преподаватели и Учащиеся были награждены сертификатами.

თეონა მურდულია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

აღზრდის იდეები და შეხედულებები 1918-1921 წლების საქართველოში

1918-1921 წლებში ქართული ეროვნული პედაგოგიკა აღმავალი გზით ვითარდებოდა. მთავრობა ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებინა განათლების ფართო დემოკრატიზაციის საწყისი პრინციპები. მისი მიზანი იყო დაემუშავებინა პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ზოგადთეორიული საფუძვლები, სასკოლო და სკოლისგარეშე აღზრდა-განათლებისა და სწავლების, საზღვარგარეთული, რუსული და განსაკუთრებით ქართული ეროვნული პედაგოგიკის საკითხები.

1918-1921 წლების პედაგოგიკაში აღზრდის იდეები წარმოდგენილია ისეთი კარდინალური საკითხების დასმითა და გაშუქებით, როგორცაა აღზრდის არსი; აღზრდის როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში; ბავშვის განვითარების თავისებურებანი; აღზრდის მიზანი და ამოცანები, მისი შემადგენელი ნაწილები – გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა. ამ თვალსაზრისით საინტერესო სტატიები იბეჭდებოდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. განსაკუთრებით კი, უნდა აღვნიშნოთ ჟურნალ „განათლებაში“ დაბეჭდილი შრომები.

ჟურნალში ხაზგასმითაა აღნიშნული აღზრდის რთული ბუნება, რომ იგი არაა ერთვაროვანი, არამედ აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მიმდინარე პროცესია; აღზრდა აუცილებლობით გულისხმობს აღმზრდელსა და აღსაზრდელს. რომელიმე მათგანის გამორიცხვით წყდება აღზრდის პროცესი. აღზრდის ასეთი რთული ბუნების დახასიათება წითელ ზოლად გასდევს დ. უზნაძის წერილს – „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“. აღზრდის, როგორც სოციალური პროცესის ამგვარ რთულ ბუნებაზე მითითება ჭეშმარიტად მეცნიერული აზრია.

დ. უზნაძის მოსაზრებებში საფუძვლიანია აღმზრდელითი ამოცანებისადმი ბავშვის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების მომენტისათვის ხაზგასმა, მაგრამ გადაჭარბებაა მისი „ტრაგედია“, დაუძლეველ წინააღმდეგობად გამოცხადება. წერილში განვითარებული აზრის მიხედვით, ამ წინააღმდეგობის შესუსტებაა შესაძლებელი და არა მისი სრული დამლევა. ეს სირთულე აღზრდის პროცესის ბუნებრივი დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ ფაქტია, რომ უზნაძის ამ წერილში აღზრდა გაგებულია, როგორც რთული ბუნების მქონე პროცესი.

„მართალია, ამ პერიოდის მკვლევარები უშუალოდ ეყრდნობიან ქართული პედაგოგიკური აზროვნების, კერძოდ, ი. გოგებაშვილის ტრადიციებს, იყენებენ კლასიკურ რუსულ პედაგოგიკას, ამ პერიოდის პედაგოგიურ პრესას და არ აყენებენ ახალ ორიგინალურ მოსაზრებებს, მაგრამ არსებული გამოცდილების ღრმად ათვისება, ცხოვრების ახალი პირობების შესაბამისად გამდიდრება და მისი გავრცელება-პროპაგანდისათვის აქტიურად ზრუნვა უაღრესად დადებით შეფასებას იმსახურებს“ (1. გვ. 101).

ჟურნალ „განათლებაში“ **გონებრივი განათლება** მიჩნეულია ბავშვის ყველა შესაძლებლობის განვითარების საუკეთესო საშუალებად, მის გარეშე შეუძლებელია აღზრდის მიზნის განხორციელება. მოზარდი თაობის გონებრივ აღზრდაში უპირველეს ამოცანად ცოდნის შეთვისებაა დასახული. გონებრივი განათლება ცოდნის შექმნას გულისხმობს, ის არის ადამიანის მომზადების ძირითადი საზომი. სწორედ აქედან გამომდინარეობს ადამიანის ცოდნით შეიარაღების მნიშვნელობის დასაბუთების მრავალი ცდა. ძირითადი დებულება, რომელსაც ლუარსაბ ბოცვაძე აყენებს და ჟურნალის თითქმის ყველა ავტორი იზიარებს, არის მოზარდი თაობის „ჭეშმარიტად მეცნიერული ცოდნის“ დაუფლების აუცილებლობა. მოზარდი თაობის უნდა იძენდეს ნამდვილ, ბუნების და საზოგადოების განვითარების კანონებზე დამყარებულ ცოდნას, რადგანაც მხოლოდ ასეთი მეცნიერული ცოდნით არის შესაძლებელი ადამიანის მიერ ბუნების ძალების თავის სასარგებლოდ გამოყენება. მხოლოდ მეცნიერულად განათლებულ ხალხს შესწევს უნარი, რომ ცხოვრების სწორი იდეალი დაისახოს და კიდევაც განახორციელოს იგი. მეცნიერული ცოდნით აღჭურვილ ადამიანს შეუძლია გაერკვეს ბუნების მრავალფეროვან მოვლენებში და დაიმორჩილოს იგი, ესმოდეს თავისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იზრუნოს ცოდნა-განათლების შექმნა-გაღრმავებისათვის. სწორედ ამიტომ მეცნიერული ცოდნა „უმთავრესი ძალაა არსებობისათვის ბრძოლაში. იგი ამავე დროს უძლიერესი იარაღია საკაცობრიო პროგრესისა... მეცნიერებამ შეგვიძინა ბუნების ძალებთან ბრძოლა, ამ ძალების დამორჩილება და სასარგებლოდ გამოყენება“ (2. გვ. 2).

1918-1921 წლების პედაგოგიკაში საპატიო ადგილი უჭირავს **ფიზიკურ აღზრდას**. იგი წარმოდგენილია, როგორც ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის აუცილებელი პირობა. ფიზიკური აღზრდის ნორმალურად წარმართვის გარეშე შეუძლებელადაა მიჩნეული ბავშვის გონებრივი, ხნობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

ბავშვის ცხოვრებაში თამაშისათვის ყოველმხრივი სარგებლობის მინიჭებით აიხსნება ისიც, რომ ჟურნალ „განათლებაში“ დაბეჭდილია მრავალი ქართული თამაშობის აღწერა და ჩატარების მეთოდიკა; მოცემულია თამაშის ბუნებისა და მისი წესიერად ჩატარების გზით მოსალოდნელი შედეგების გაგებით მრავალი ცდა. თამაში მიჩნეულია ისეთ „საქმიანობად“, რომლის პროცესში ბავშვებს ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად ფიზიკური ძალების განვითარებასთან ერთად უყალიბდებთ და უვითარდებთ მიბაძვის, ანალიზისა და სინთეზის, შემოქმედებისა, თვითმოქმედების და ფანტაზიის უნარი.

ფიზიკური აღზრდის საშუალებათა შორის მოძრავი თამაშებისა და ტანვარჯიშის გარდა, ფართო ადგილი ეთმობა ჰიგიენური ფაქტორებისა და ბუნების ძალების მნიშვნელობასა და გამოყენების მეთოდიკას. მრავალი სპეციალური წერილი ეძღვნება მზის, ჰაერისა და წყლის მნიშვნელობას ორგანიზმის გაჯანსაღებისათვის. მათი გამოყენებით დასაბუთებულია სხეულის მოვლის, კვების რეჟიმის, ძილის, საკლასო და საცხოვრებელი ოთახის თუ ტანსაცმლის ხმარების ჰიგიენური პირობების დაცვის აუცილებლობა.

ესთეტიკური აღზრდის საშუალებები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიას უძველესი დროიდან აინტერესებდა და მისი ძირითადი სახეები თითქმის ანტიკურ საბერძნეთში იყო ცნობილი.

„ბავშვის ესთეტიკური გრძნობების განვითარება დემოკრატიული პედაგოგიკის მიერ აღზრდის ამოცანადა იქნა გამოცხადებული, მაგრამ არ იყო უგულვებელყოფილი „ესთეტიკური გრძნობების მემკვიდრული ბუნებაც“. ბავშვს, ისე როგორც ყველა სხვა გრძნობა, „თავდაპირველად ესთეტიკური გრძნობაც სუსტი და განუვითარებელი აქვს“, აღზრდის შედეგად შეიძლება მხოლოდ მისი სრულყოფილად ჩამოყალიბება“ (3. გვ.62).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჟურნალში ესთეტიკური აღზრდის როგორც სასკოლო, ისე სკოლისგარეშე ძირითად საშუალებებად წარმოდგენილია: 1. სასკოლო დისციპლინების სწავლება (განსაკუთრებით ხაზგასმულია მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ხატვა-ხაზვის, სიმღერა-გალობის (მუსიკის) და ბუნებისმეტყველების მნიშვნელობა); 2. ყველა საგნის მშობლიურ ენაზე სწავლება; 3. სკოლისა და საკლასო ოთახების ესთეტიკურად მორთვა-გაფორმება; 4. შესაფერისი სასკოლო ინვენტარი; 5. მასწავლებლის პირადი მაგალითი და წამყვანი როლი; 6. ხელოვნების დარგები, განსაკუთრებით კი მუსიკა; 7. ოჯახური გარემო-მოწყობილობა; 8. უფროსებისა და თვით ბავშვების პირადი ჰიგიენის დაცვა და 9. ბუნების მშვენიერებაზე სისტემატური დაკვირვება“ (3. გვ.64).

ზოგადპედაგოგიკური იდეებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **შრომით აღზრდას**. შრომითი აღზრდა სავსებით სამართლიანად მიჩნეულია ყოველმხრივი აღზრდის აუცილებელ, შემადგენელ ნაწილად და სწორედ ამ ასპექტშია განხილული.

შრომა გაგებულია, როგორც ადამიანური არსებობისა და მისი განვითარების ძირითადი პირობა. იგი მიჩნეულია ადამიანის ფიზიკური და სულიერი ფორმირების ძირითად წყაროდ. მეტიც: შრომა საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური ძლიერების არსებით საშუალებადაა აღიარებული: „საქართველოს კეთილდღეობა მაშინ ეტყობოდა, როცა ყველა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და ბერი განურჩევლად შრომის უღელს ეწეოდა“, და პირიქით, „საქართველოს შავბნელი დრო მაშინ დაუდგა, როცა ჩვენში შრომა პატივახდილი შეიქმნა, როცა გამრავლდა ჩვენში რიცხვი მუქთახორებისა“ (4. გვ.56).

ხელგარჯილობის სწავლების შესახებ მსჯელობს ლ. ბოცვაძე და ხაზს უსვამს, რომ ხელგარჯილობის სწავლებას ვიწრო პრაქტიკულ-უტილიტარული მიზანი არა აქვს, რადგანაც არაა საჭირო ბავშვის ნაადრევი სპეციალიზაცია და მისი ვიწრო საქმიანობით გატაცება. იგი ხელოსნური სწავლების სასტიკი წინააღმდეგია: „სკოლა ხელგარჯილობის სწავლებით, – წერს იგი, – ახორციელებს წმინდა აღმზრდელობით, პედაგოგიურს მიზანს, აერთებს სხვადასხვა საგნების ცოდნას (არითმეტიკა, გეომეტრია, ფიზიკა) პრაქტიკულ მუშაობასთან“ (5. გვ. 93).

განსაკუთრებით ვრცლად განიხილავს ბოცვაძე მოზარდი თაობის მიერ შრომითი ჩვევების შექმნისათვის ბაღ-ბოსტნებში ბავშვების მუშაობის, „ბაღოსნობის“ საკითხებს. იგი ამის მხურვალე

პედაგოგია/Pedagogics

მომხრეა, მრავალგზის ასაბუთებს კიდევ მას და თავის ცნობილ წერილში – „აღმზრდელობითი მნიშვნელობა სკოლის ბაღებისა“ – შემდეგ ძირითად დებულებას აყენებს: „ყველამ იცის, რომ ბაღოსნობას ფრიად დიდი და საუკეთესო გავლენა მოაქვს ადამიანის ფიზიკურს, გონებრივის და სულიერს მხარეზე. ყველაზედ უფრო აღმზრდელობითი და საღი გავლენა ბაღოსნობას მოზარდ თაობაზე მოაქვს. ამიტომაც განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის მისწრაფება, რომ ყველა სკოლას ჰქონდეს თავისი საკუთარი ბაღი და ბოსტანი“. ამ წერილში იგი იძლევა სასკოლო მიწის ნაკვეთზე მოსწავლეების მუშაობის დაწვრილებით მეთოდურ და უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს.

ამრიგად, 1918-1921 წლების საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სააღმზრდელო სისტემაში ევროპიდან აღზრდის ახალი იდეების შემოტანასა და მის ქართულ სინამდვილესთან შეხამებას.

ლიტერატურა

1. ჭკუასელი ივ., ჟურნალი „განათლება“ და მისი ადგილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში, 1981.
2. ბოცვაძე ლ. „მეცნიერება და სახალხო განათლება“, ჟურნალი „განათლება“, 1919, N 1.
3. ჟურნალი „განათლება“, 1918, N 2.
4. ჟურნალი „განათლება“, 1918, N 3.
5. ბოცვაძე ლ., „სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება“, ჟურნალი „განათლება“, 1918, N 2.

რეზიუმე

1918-1921 წლებში ქართული ეროვნული პედაგოგია აღმავალი გზით ვითარდებოდა. მთავრობა ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებინა განათლების ფართო დემოკრატიზაციის საწყისი პრინციპები. მისი მიზანი იყო დაემუშაებინა პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ზოგადთეორიული საფუძვლები, სასკოლო და სკოლისგარეშე აღზრდა-განათლებისა და სწავლების, საზღვარგარეთული, რუსული და განსაკუთრებით ქართული ეროვნული პედაგოგიკის საკითხები.

1918-1921 წლების პედაგოგიაში აღზრდის იდეები წარმოდგენილია ისეთი კარდინალური საკითხების დასმითა და გაშუქებით, როგორცაა აღზრდის არსი; აღზრდის როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში; ბავშვის განვითარების თავისებურებანი; აღზრდის მიზანი და ამოცანები, მისი შემადგენელი ნაწილები – გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა. ამ თვალსაზრისით საინტერესო სტატიები იბეჭდებოდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. განსაკუთრებით კი უნდა აღვნიშნოთ ჟურნალ „განათლებაში“ დაბეჭდილი შრომები.

Teona Murghulia - Doctoral student of Pedagogical Faculty at Akaki Tsereteli state University

Upbringing ideas and views in 1918-1921 of Georgia

Summary

In 1918-1921 in Georgia national pedagogy developed ascending. The government tried to carry out broad educational democratization principles. Its purpose was to elaborate theory of pedagogy and practice of general theoretical basics of schools upbringing, education and teaching as foreign and Russian as well as Georgian national pedagogy issues.

In 1918-1921 pedagogy of upbringing ideas are represented by such cardinal issues and coverage, such as upbringing of essence, upbringing role of the child's personality formation process, peculiarities of child's development, upbringing aims, its constituent parts-mental, physical, moral, aesthetic and labor education. In this regard, interesting articles were printed in the newspapers and magazines of that time. Especially should be mentioned the works which were printed in the magazine "Ganatileba" (Education).

ლელა ტყეშელაშვილი - სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ისრითის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი

**აუტიზმი - ერთად ვებრძოლოთ სტიგმასა და უიმედობას.
აუტიზმის მქონე ბავშვთა სწავლების სტრატეგიები**

სამყარო მათთვის ხალხის, ადგილებისა და მოვლენების გროვია... რომლის აღსაქმელადაც იბრძვიან, აღქმის პროცესმა კი შეიძლება დიდად ააღელვოს ისინი. „განსხვავებულები არიან, თუმცა შეიძლება გაუკვირდეთ კიდეც, რატომ არიან „განსხვავებულნი“? თუნდაც იმის ფონზე, რომ ხალხის გაგება და მათთან ურთიერთობა, ასევე ყოველდღიურ ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებაც კი, შეიძლება გაუჭირდეთ. ამ კატეგორიის ადამიანებს სამედიცინო ენაზე მოიხსენიებენ, როგორც აუტიზმის მქონეთ, ხოლო პოპულარულ ენაზე მათ ჩვენ „განსხვავებულებს“ ვეძახით.

აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. აუტიზმის მქონე ბავშვს დარღვევები აქვს სოციალური უნარების, კომუნიკაციის, მეტყველების, ქცევის განვითარებაში. საკუთარ თავში ჩაკეტილი, ხშირად განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, უცნაური ქცევით გამოირჩევიან. დიდი ხანია, რაც ასეთი ქცევის ადამიანებს ჯერ კიდევ ტერმინის- აუტიზმის გაჩენამდე მრავალი საუკუნით ადრე მოიხსენიებდნენ, ამიტომაც აუტიზმს დიდი წარსული და შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს. პირველად ტერმინი „აუტიზმი“ 1943 წელს ამერიკელმა ბავშვთა ფსიქიატრმა ლეო კანერმა გამოიყენა უკვე კლასიკად ქცეულ ნაშრომში „აფექტური კონტაქტის აუტისტური დარღვევები“.

ტერმინ „აუტიზმს“ ასეთი ისტორია აქვს ის შეიქმნა ფსიქიატრის, იუჯინ ბლეილერის მიერ 1911 წელს იმის აღსაწერად თუ რას მიიჩნევდა შიზოფრენიის ერთ-ერთ მთავარ სიმპტომად, რაც საზოგადოებისგან განდგომა იყო. იგი მიიჩნევდა, რომ აუტიზმი, რაც სიტყვასიტყვით „საკუთარი თავის შეპყრობას“ ნიშნავს, საუკეთესოდ აღწერდა იმ ინდივიდუალობას, რაც მის მრავალ პაციენტს აღენიშნებოდა. მეოცე საკუნის 40-იან წლებში, როდესაც ლეო კანერი ამერიკაში და ჰანს ასპერგერი ავსტრიაში აუტიზმის არსობას ადგენდნენ ორივე მათგანი დამოუკიდებლად ამ ტერმინზე შეჩერდა და ისინი მიიჩნევდნენ, რომ ეს ტერმინი საუკეთესოდ შეესაბამებოდა იმას, რისი მოწმენიც ბავშვების მკურნალობისას გახდნენ. აუტიზმი შეიძლება ასეც განვმარტოთ: განვითარების შეფერხება. ის აუტიზმის სპექტრში შედის და მიიჩნევა აუტისტური სპექტრის დარღვევად. სიტყვა სპექტრი იმიტომაც გამოყენებული, რომ მაშინ როდესაც, აუტიზმით დაავადებულ ყველა ადამიანს ერთი და იგივე სამი პრობლემა აწუხებს, ეს მდგომარეობა სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს მათზე. ზოგიერთს შეუძლია შედარებით „ყოველდღიური“ ცხოვრებით იცხოვროს მაშინ, როდესაც სხვები მთელი ცხოვრების მანძილზე სპეციალისტის დახმარებას საჭიროებენ.

ის სამი სახის პრობლემა, რომელიც ყველა აუტიზმის მქონე ადამიანს აწუხებს, ზოგჯერ „უარესობათა ტრიადად“ მოიხსენიება. ესენია:

- საზოგადოებასთან ურთიერთობა
- საზოგადოებასთან კავშირის დამყარების, ინტეგრაციის პრობლემა.
- საზოგადოებრივი წარმოსახვის პრობლემა

აუტიზმთან დაკავშირებული სირთულეები მხოლოდ მისი განსაკუთრებული სპეციფიკურობით არ არის გამოწვეული დიდწილად პრობლემის სათავე საზოგადოებრივ სტიგმაშია საძებნელი. ქცევის განსხვავებულობის, ხშირად მენტალური პრობლემების არსებობის გამო სოციალური დისკრედიტაციის წარმოქმნის წინაშე არსებული შიში ქმნის სტიგმას, რომლის მთავარი მაცოხლებელი ძალა საზოგადოების

პედაგოგია/Pedagogics

ცოდნის და ინფორმირებულობის დეფიციტშია საძებნელი. რამდენიმე ათეული წლის წინ მსგავსი მდგომარეობა იყო ამჟამად წარმატებულ სახელმწიფოებშიც, ანალოგიური პრობლემებია კვლავაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში .სწორედ ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აუტიზმი ჯანმრთელობის გლობალურ კრიზისად აღიარა, ხოლო მდგომარეობის გაუმჯობესების ყველაზე ეფექტურ მექანიზმად აუტიზმის შესახებ ცოდნის ამაღლება მიიჩნია. 2007 წლიდან გაეროს რეზოლუციით, აუტიზმის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მსოფლიო დღედ 2 აპრილი გამოცხადდა. 2011 წელს პირველად საქართველოში აღინიშნა 2 აპრილი - აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დღე, ამ სფეროში ყველაზე წარმატებული დასავლური გამოცდილება სწორედ აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და მათი მშობლების პროცესში აქტიური ჩართვის შესანიშნავ მაგალითებს იძლევა . ამის შესანიშნავი მაგალითია აუტიზმის ლეგენდად აღიარებული ბერნარდ რიმლანდის , აუტიზმის მქონე ბიჭუნას მამის ღვაწლი, რომელიც არ შეეგუა ექიმების მხრიდან მისი შვილისთვის გამოტანილ „უპერსპექტივო შემთხვევის“ დიაგნოსს განაჩენს. რიმლანდმა მთელი ცხოვრება აუტიზმის შესწავლას მიუძღვნა და სრულიად ახალგაზრდა ასაკში სამეცნიერო არგუმენტებით გააცამტვერა 60-იან წლებში მსოფლიოში გავრცელებული და ავტორიტეტული მეცნიერების მიერ აღიარებული სამეცნიერო მითი, რომლის მიხედვით აუტიზმის გამომწვევი მიზეზი მშობლების მხრიდან სიყვარულის და ურთიერთობის დეფიციტი იყო. ის ბიჭუნა კი დღეს ცნობილი მხატვარი გახლავთ. ამგვარი თავგანწირული მაგალითებით სავსეა აუტიზმის ისტორია. ამჟამად ჩრდილოეთ კოროლინას უნივერსიტეტში შექმნილი მძიმე ყველაზე სანდო სამეცნიერო მტკიცებულებების მქონე ქვეყის კორექციის პროგრამაც ე.წ TEACCH, აუტიზმის მქონდე ბავშვების მშობლების ინიციატივის და ამ დარგში მომუშავე მეცნიერების ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა. რადგან არსებობს მისაბამი მაგალითები, აპრობირებული მეთოდები და უკვე გავრცელებული ბილიკები, საქართველოს აუტიზმის საზოგადოებას გაუდვილდება იმ მთავარი მიზნის მიღწევა, რაც ქვეყანაში აუტიზმის შესახებ ცოდნის ამაღლებას, საზოგადოების კონსოლიდაციას, აუტიზმის მქონე ადამიანების და მათი ოჯახების ჩართულობის გაზრდას ისახავს . „ჩვენ ერთად უნდა შევექმნათ სისტემა , რომელიც უზრუნველყოფს აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციას.“ - ეს განცხადება საქართველოს აუტიზმის საზოგადოებას ეკუთვნის, რომელიც 2010 წელს შეიქმნა და მასში გაერთიანდნენ პროფესიონალები, აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე პირთა მშობლები და ოჯახის წევრები .

ბევრ აუტიზმით დაავადებულს აქვს განსაკუთრებული ინტერესი რაღაცის მიმართ, ხშირ შემთხვევაში- ძალიან ადრეული ასაკიდან დროთა განმავლობაში ეს ინტერესი შეიძლება შეიცვალოს ან მთელი ცხოვრების მანძილზე დარჩეს. ეს შეიძლება შეიცვალოს ან მთელი ცხოვრების მანძილზე დარჩეს. ეს შეიძლება იყოს ხელოვნების რომელიმე სფერო, კომპიუტერი და ა.შ. ზოგიერთი აუტიზმით დაავადებული სასურველ სფეროშიც მუშაობს და სწავლობს, სხვებისთვის კი ეს ინტერესი რჩება ჰობი.

ზოგჯერ შეიძლება აუტიზმის მქონე ადამიანი უცნაური რამითაც დაინტერესდეს. ერთ-ერთ მათგანს ნაგვის შეგროვება იტაცებდა, რაც ნაგვის გადამუშავებასა და გარემოს დაცვის საკითხებში შედის.

აუტიზმით დაავადებულებს შეიძლება სწავლა გაუჭირდეთ, რამაც შესაძლოა ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტში იჩინოს თავი, იქნება ეს სკოლაში სიარული, რეცხვა თუ საჭმლის მომზადება. როგორც აუტიზმის შემთხვევაში, აუტიზმის არმქონე ხალხსაც შეიძლება სხვადასხვა სიმძიმის პრობლემა ჰქონდეთ სწავლის მხრივ. ასე რომ, ზოგიერთ მათგანს დამოუკიდებლად ცხოვრება შეუძლია. თუმცა, ამის მისაღწევად შეიძლება გარკვეული სახის დახმარება დასჭირდეს მაშინ, როცა სხვებს მთელი ცხოვრების მანძილზე სჭირდებათ სპეციალისტის დახმარება, თუმცა ყველა აუტიზმის ადამიანს შეუძლია ისწავლოს და გაუმჯობესოს მდგომარეობა სწორი დახმარების საშუალებით. არსებობს სხვაგვარი მდგომარეობები, რომელიც აუტიზმთან ასოცირდება, მაგალითად ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი ან სწავლის ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: დისლექსია და დისპრაქსია.

როგორც აღვნიშნეთ აუტიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: სირთულეები სოციალური ურთიერთობის დამყარებისას, სირთულეების კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენებისას, ძლიერი მიჯაჭვულობა ჩვეული ცხოვრების წესის მიმართ, გარკვეული საგნებისა და საკვების მიმართაც კი.

მიუხედავად იმისა, რომ აუტიზმის მქონე ბავშვების განათლება და სწავლება საკმაოდ რთულია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაინც არსებობს რამდენიმე სწავლების რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, რომელთა ცოდნაც დაგეხმარებათ აუტიზმის მქონე ბავშვის სწავლებაში:

როგორც წესი, აუტიზმის მქონე ბავშვები ძლიერი ვიზუალიზაციის (მხედველობითი წარმოსახვის) უნარით ხასიათდებიან. აუტიზმის მქონე ერთ-ერთი ამერიკელი ავტორი, თავის წიგნში „აზროვნება სურათებით“, წერდა: „სიტყვები ჩემთვის მეორე ენას წარმოადგენენ. როდესაც ვინმე მელაპარაკება, მისი სიტყვები იმ წამსვე სურათებად გარდაიქმნებიან ჩემთვის“.

შესაბამისად აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის ინფორმაციის ვიზუალური სახით მიწოდება, ეხმარება მათ კომუნიკაციის დამყარებაში და ასევე ხელს უწყობს კომუნიკაციის ენის განვითარებს. ასევე, შესაძლებელია ბავშვისათვის სურათების მეშვეობით ურთიერთობის სწავლება. სურათებით ურთიერთობის დაუფლება კი, ეხმარება მათ თვითშეფასების ამაღლებაში, გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საკუთარი თავის რწმენაში.

აუტიზმის მქონე ნებისმიერ ადამიანს ყველა ასაკში შეუძლია ვიზუალური მასალის (სურათების), როგორც კომუნიკაციის საშუალების, გამოყენება. ეს ძალიან ამარტივებს მათ ურთიერთობას გარე სამყაროსთან.

აუცილებელია, რომ ბავშვს მისი ასაკისა, საჭიროებების და განვითარების შესაბამისი ვიზუალური მასალა მივაწოდოთ. სურათებით შესაძლებელია სხვადასხვა სიუჟეტებისა და ცხოვრებისეული სიტუაციების გადმოცემა, სხვადასხვა საგნებისა და მოვლენების აღწერა.

ვეცადეთ, რომ სხვადასხვა სიტუაციაში სკოლაში, სახლში, სტუმრად, ყოველთვის ერთი და იგივე, ჩვენს მიერ შერჩეული სურათი, ნახატი თუ ფოტო გამოვიყენოთ. ეს დაეხმარება ბავშვს არ დაიბნევს და განუმტკიცეს მას ათვისებულ ინფორმაციას. გვახსოვდეს, რომ ყველა ბავშვს ნახატების შერჩევა ინდივიდუალურად სჭირდება.

ვიზუალური მასალის ბავშვისთვის წარდგენა ეტაპობრივად უნდა ხდებოდეს: ჯერ ვაცნობთ კონკრეტული საგნის ნახატს და შემდეგ ნახატებით ვაწყობთ გარკვეული მოქმედებისა თუ აქტივობის გეგმას.

აუტიზმის მქონე ბავშვებს ყველაზე მეტად სოციალური ურთიერთობა უჭირთ, შესაბამისად , უნდა იქნეს გამოყენებული ბავშვის ყველა შესაძლებლობა, რათა მას ურთიერთობა ვასწავლოთ.

რადგან აუტიზმის მქონე ბავშვებს, როგორც წესი მეტყველების მკვეთრად გამოხატული პრობლემა აქვთ, უმჯობესია მათ სურათებით ურთიერთობა ვასწავლოთ. სურათები ძალიან ეხმარება ბავშვებს გაგვაგებინონ, გვიჩვენონ, თუ რა უნდათ, ვისთან უნდათ და რისი გაგება სურთ.

აუტიზმის მქონე ბავშვებთან მუშაობისას ასევე ეფექტური სტრატეგია იმიტაცია. სხვათა იმიტაციის პროცესში აუტიზმის მქონე ბავშვები სწავლობენ სოციალურ ინტერაქციას და გარკვეულ ყოფით უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ დამოუკიდებლად არ უყალიბდებათ.

ცნობილია, რომ ვაჟებს 3-4 ჯერ უფრო ხშირად აქვთ აუტიზმი, ვიდრე გოგონებს საქართველოში ჩატარებული კვლევით აუტიზტური სპექტრის აშლილობები 110-დან ერთ ადამიანს აქვს. ასევე ცნობილია, რომ ყოველ 20 წუთში, მსოფლიოში ერთ ადამიანს უდგინდება აუტიზტური სპექტრის აშლილობების დიაგნოზი.

„შემოგვიერთდით,რათა ერთად დავარდვიოთ სტიგმათა და უიმედობით გაჯერებული დუმილი და დავიწყოთ აქტიური ქმედება“- ეს აუტიზმის საზოგადოების მოწოდებაა, რომელიც დაანგრევს მითს და დაგვანახებს რეალობას- მითს, რომელიც აუტიზმს წარმოაჩენს გონებრივი განვითარების პრობლემად,

პედაგოგია/Pedagogics

რომლის გამოც აუტიზმის მქონე ადამიანები ვერ სწავლობენ; ან ის უბრალოდ არასწორი აღზრდის შედეგია; აუტიზმის მქონე ადამიანებს არა აქვთ გრძნობები და ემოციები, არ აინტერესებთ სხვა ადამიანები და მათი ემოციები და ვერც მათთან ურთიერთობენ. ისინი ყოველთვის ფლობენ განსაკუთრებულ უნარებს; ისინი ჩაკეტილები არიან და თუ ვუპოვით გასაღებს, ნორმალურ ადამიანს გავათავისუფლებთ.

ამჟამად აუტიზმის „წამალი“ არ არსებობს. თუმცა, არსებობს ინტერვენციათა მთელი რიგი და სწავლა-განვითარების ხელშემწყობი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ადამიანის დახმარება შეიძლება. რამეთუ ყველა ადამიანი უფლის მიერ შექმნილ არს და თითოეული მათგანი „ერთადერთი, უნიკალური და განუმეორებელი“.

ლიტერატურა

1. თ. პაჭკორია- ვისწავლოთ ერთად - ინკლუზიური განათლება.
2. ა. ლალიძე, მ. ბაგრატიონი - ინკლუზიური განათლება, (აუტისტური სპექტრი)
3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და მათი განათლება.

რეზიუმე

საკუთარ თავში ჩაკეტილი, ხშირად განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანები უცნაური ქცევით გამოირჩევიან. ასეთი ქცევის ადამიანებს აუტისტებს უწოდებენ. ნაშრომში განმარტებულია აუტიზმის მახასიათებელი სხვადასხვა ნიშნები და მიზეზები თუ რა იწვევს ამ დაავადებას. მითითებულია როდის და რა პირობებში შეიქმნა „საქართველოს აუტიზმის საზოგადოება“ . გაისმის მოწოდება, თუ როგორ დავლიოთ სტიგმა და უიმედობა. მოყვანილია აუტიზმის მქონე ბავშვთა სწავლების სტრატეგიები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციას.

Lela Tkeshelashvili - Head teacher of Isriti Public School

Resume

People who are often recipient of a special talent are distinguished by strange behavior. These people are called autists by medical language, but we are called them “different” by popular language.

In my topic I have explained the typical and special signs of autism. Reasons which are caused by this disease and also history when and why it was created “the society of Georgia’s autism”.

There is mentioned the teaching strategies of autist children and methods that provides the realization of fundamental rights of autist people.

ეკა სისაური - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი; 46-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

აღზრდისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები პედაგოგიკაში

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებში წინა პლანზე დადგა თანამედროვე პედაგოგიკის განვითარების პრობლემები და ამოცანები, რასაც დღესაც მნიშვნელობანი ფუნქციები აკისრია. ეს უფრო განამტკიცა იმ ტენდენციამ, რაც ევროპისა და მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის ერთ მთლიანობაში შეკვრას გულისხმობს. ამ ფონზე, ეროვნული განათლების სისტემის ფუნქციონირება სრულიად ახალ შინაარსს იძენს, რაც უკავშირდება მსოფლიო შრომით ბაზარს და მისგან გამომდინარე გლობალურ კონკურენციას. ცხადია, ამ ვითარებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც თანამედროვე ცოდნას, ასევე მისი გამოყენების ხარისხს. ეს კი განათლების სისტემას აყენებს ახალი გამოწვევების წინაშე, თუ როგორ უნდა წარიმართოს განათლების სისტემის რეფორმირება, სადაც პრიორიტეტულად ადგილს ცოდნის მიღების მრავალმხრივი, კომპლექსური, და თანამედროვე მეთოდები იკავებს. ამ პრობლემების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოში არსებული საგანმანათლებლო გამოცდილების შესწავლით, ანალიზით და მეცნიერულად განმტკიცებული რაციონალური რეკომენდაციების შემუშავებით.

პირველ რიგში ყურადღებას ვამახვილებთ აღზრდაზე, როგორც სოციალურ მოვლენაზე, რაც ეროვნული ფსიქოლოგიის და ტრადიციების ნაყოფია და ამავე კონტექსტში და გარემოში, მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო გამოცდილების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. თანამედროვე აღზრდისა და სწავლების ეფექტი უშუალოდ არის კავშირში მოსწავლის ცოდნის, უნარ - ჩვევების, დამოუკიდებლობის და უნიკალური გამოცდილების ორიენტირებაზე, რათა მოზარდს ჩამოუყალიბდეს თანამედროვე სამყაროსთან ადაპტირების უნარი.

განათლების სისტემის რეფორმირების მთავარი მიმართულება განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა, რომელიც პრობლემათა უწყვეტი ნაკადით ხასიათდება. განათლების ხარისხზე მოთხოვნილება გლობალური მასშტაბისაა და იგი უკვე აღარ განიხილება ერთი რომელიმე ქვეყნის შიგნით. ეს მოთხოვნილება უფრო გააღრმავა პიროვნებაზე ორიენტირებულ ცოდნაზე გადასვლამ, რაც ნიშნავს მოსწავლის ინტელექტის განვითარებას განსაზღვრული მიმართულებით. ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იყოს **აღზრდისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების კონცეფციის დამუშავებაში.**

აღზრდისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები აიგება ბავშვთა ინტერესებისა და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. რაც შეეხება აღმზრდელობითი პროცესს, მისი საფუძველი უნდა იყოს უახლესი პედაგოგიური კონცეფციები და პრინციპები.

თანამედროვე აღმზრდელობითი მეთოდების მთავარი მიზანი არის პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტა და პიროვნების აღზრდაში, მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში დადებითი შედეგის მიღწევა.

აღზრდის თანამედროვე ამოცანებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ბავშვის პიროვნული თვისებებისა და შესაძლებლობების ფორმირება და განვითარება;
- ბავშვში ზნეობის და კულტურის აღზრდა;
- სოციალური როლების (მოქალაქეობის ოჯახის ადამიანის, სოციუმის, საზოგადოების და ა.შ.) ფორმირება;
- საგანმანათლებლო-შემეცნებითი უნარების განვითარება;
- ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ფორმირება;
- ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და საკუთარი ინტერესების მიხედვით განვითარება.

ცხადია, აღზრდის თანამედროვე მეთოდები არ იწყება ახლიდან და მას მტკიცე ისტორიული, თეორიული და პრაქტიკული წინაპირობები გააჩნია. შინაარსობრივად აღზრდის თანამედროვე მეთოდები ეფუძნება სასწავლო ლიტერატურასა და სამეცნიერო წყაროებს, მეთოდურ და დიდაქტიკურ მასალებს.

პედაგოგია/Pedagogics

აღზრდის თანამედროვე მეთოდების მახასიათებლები განსხვავდება ტრადიციული მახასიათებლებისაგან და ეს განსხვავება მოიტანა დროისა და ეპოქის იმ ფაქტორებმა, რომელიც თვისებრივად განსხვავდება ადრეულისაგან.

თანამედროვე პედაგოგიაში გამოყოფენ აღზრდის ოთხ ახალ მეთოდს [1]:

1. დომანის (G. Doman) მეთოდიკას;
2. ვალდორფის (Waldorf) პედაგოგიკას;
3. მონტესორის (Montessori) მეთოდიკას,
4. ლ. ბერესლავსკის (L. Bereslavsky) მეთოდს.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველაზე ფართოდ გამოიყენება ვალდორფის პედაგოგიკური სისტემა. ამ მეთოდის საფუძველია აღზრდა მოქმედებებისა და პრაქტიკის მეშვეობით და არა თეორიებსა და სიტყვებზე დაყრდნობით.

ვალდორფის პედაგოგიკით ბავშვის განვითარება ხდება მცირე მოტორიკის ვარჯიშით. ამისათვის იყენებენ მოდელირებას მიმსგავსებულ ხელსაქმიანობას და მცირე საგნებით თამაშებს.

აღზრდის ბერესლავსკისა და დომანისეული თანამედროვე მეთოდები ბევრ პოზიციამი ერთმანეთის მსგავსია. მათი თქმით, აღზრდა უნდა დაიწყოს ადრეული ასაკიდან, ისე, რომ არ გამოგვრჩეს ბავშვის ქცევის რაიმე მომენტი და ამან არ მოგვიტანოს სერიოზული პრობლემები. დომანისეული მეთოდი, მიმართულია აზროვნების და ინტელექტუალური შესაძლებლობების ინტენსიური განვითარებისაკენ. მეთოდი ეფუძნება სპეციალური ბარათების გამოყენებას, რომელზეც დატანილია სიტყვები და ასონიშნები. ვარჯიშის დროს ხდება მათი განმეორება და დამახსოვრება. ეს არის მეხსიერების ვარჯიში და სწრაფად კითხვის სწავლება.

აღზრდისა და სწავლების ყველაზე უფრო მისაღები თანამედროვე მეთოდია იტალიელი პედაგოგის - მონტესორის სისტემა. ეს სისტემა მიზნად ისახავს შრომითი უნარების განვითარებას. მონტესორის მეთოდის გამოყენებით აღზრდა ხორციელდება აბსტრაქტული დავალებებისა და ლოგიკური სავარჯიშოების საფუძველზე. ბავშვის მეცადინეობა უნდა დაიწყოს მარტივი საყოფაცხოვრებო საქმიანობით: ბაღის ყვავილების მოვლით, შინაური ცხოველებისა და ფრინველების დაკვირვებით, სათამაშოების, საოჯახო და სასადილოს ნივთების თავიანთ ადგილებზე დალაგებით და ა.შ. ყოველივე ეს ხელს უწყობს აზროვნებისა და აღქმის განვითარებას.

აღზრდის ეს თანამედროვე მეთოდები ეფექტიანად შეიძლება გამოვიყენოთ, რათა შევქმნათ სრულყოფილი ერთიანი აღზრდითი ინტეგრირებული სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ისეთი პიროვნების აღზრდას, ვინც შეძლებს სხვადასხვა სიტუაციაში იმოქმედო ლოგიკურად და საღად, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და აკონტროლოს თავის თავი.

სასკოლო გამათლების სისტემა როგორც დინამიკური სისტემა, მუდმივად ვითარდება და განიცდის რეფორმირებას. სასკოლო განათლება, ის ფენომენია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მომავალს და ადგილს სოციალურში. დღევანდელი საბაზო ეკონომიკა განათლების სისტემისაგან ითხოვს ხარისხიან განათლებას, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მხოლოდ ხარისხიანი განათლება აძლევს პიროვნებას იყოს აღჭურვილი იმ კომპეტენციებით, რაც განსაზღვრავს მის შემოქმედებით პოტენციალს და უწყობს ხელს კარიერულ წინსვლაში. ამას კი საფუძველი სკოლაში უნდა ჩაეყაროს. სასკოლო ცხოვრებას აკისრია ადამიანის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი.

სკოლათა საერთო ინტერესი და ძირითადი ფუნქციაა ადამიანის საზოგადოებრივ წევრად ჩამოყალიბება. განათლების სისტემა მოზარდს უნდა უნერგავდეს ღირებულებებს, უვითარებდეს საქმიანობისათვის მნიშვნელოვან კომპეტენციებს და უყალიბებდეს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან იდენტობას.

ლიტერატურა

1. <http://www.neboleem.net/stati-o-detjah/6699-sovremennye-metody-vospitaniya.php>. Современные методы воспитания.
2. Sisauri E. The Didactic Information System Contributing to the Foreign Language Corporative Teaching. შრომები - მართვის ავტომატიზებული სისტემები #1(10). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2011.
3. Вербицкая Н. О. Информационно-аналитический метод оценки освоения знаний как фактор эффективности управления образовательным процессом в школе Екатеринбург1998
4. Вершловский С.Г. Андрагогические основы обучения взрослых. <http://nova.rambler.ru>. უკანასკნელად გადამოწმებულია 2013 წ. დეკემბერში.
5. Крупенин А.Л., Крохина И.М. Эффективный учитель: Практическая психология для педагогов. Ростов-на-Дону, Феникс, 1995
6. Кувшинов В.И. Игры на занятиях английского языка. ИЯШ, 1993
7. Мозгутова Н.С. Проблема упражнений в обучении иностранному языку. Иркутск, 2009.
8. Азимов, Э. Г. Словарь методических терминов/Э. Г. Азимов, А. Н. Щукин.- СПб.: Златоуст, 1999

რეზიუმე

სასკოლო გამათლებლის სისტემა როგორც დინამიკური სისტემა, მუდმივად ვითარდება და განიცდის რეფორმირებას. სასკოლო განათლება, ის ფენომენია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მომავალს და ადგის სოციალურში. დღევანდელი საბაზო ეკონომიკა განათლების სისტემისაგან ითხოვს ხარისხიან განათლებას, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მხოლოდ ხარისხიანი განათლება აძლევს პიროვნებას იყოს აღჭურვილი იმ კომპეტენციებით, რაც განსაზღვრავს მის შემოქმედებით პოტენციალს და უწყობს ხელს კარიერულ წინსვლაში. ამას კი საფუძველი სკოლაში უნდა ჩაეყაროს. სასკოლო ცხოვრებას აკისრია ადამიანის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი. ნაშრომში წარმოდგენილი მიმოხილვა სწორედ ამ კუთხით არის გაშუქებული.

Summery

Educational System is constantly evolving. In today's world of high-quality school education is essential, because it can determine a person's future life. The school has a significant role in the formation of human life, in this context schools are too interesting. School- This is experimental educational institution whose activities are based on the leading psychological –pedagogical and organizational managerial concepts, developed by one author or unity of authors. Such an innovative educational practice in schools is a phenomenon.

ლეილა აბზიანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

ქართული ენა და მართლწერის საკითხები

დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ენის მიმართ განსაზღვრულ უფლებამოსეობით წესრიგს, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, ენობრივი პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების, კერძოდ, მართლწერისა და მეტყველების კულტურის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ხოლმე მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების, ისტორიულ გარდატეხის ჟამს, როდესაც გლობალურ პროცესებთან ერთად მეტ-ნაკლებად იცვლება ენობრივი გარემო და განვითარების ტენდენციები. ამ თვალსაზრისით ბოლო პერიოდის ქართული ენობრივი სინამდვილე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. რადგან ეპოქის ინტენსიურმა განვითარებამ სულ ახალი პრობლემები დააყენა ქართული სახელმწიფოს წინაშე.

ენობრივი ნორმების დაცვაზე როდესაც ვსაუბრობთ, უპირველესად, აქ ენის გრამატიკული აგებულების თეორიული ცოდნა იგულისხმება. სამწუხაროდ, მართლწერით წესების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის შესული ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებში და, ამდენად, არც ისწავლება გრამატიკის თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით.

ენობრივი პროცესებისადმი შეგნებული, მიზანმიმართული დამოკიდებულება დღეისათვის მოითხოვს მეტ ყურადღებას.

მართლწერის ცოდნას აქვს როგორც თეორიული, ისე განსაკუთრებით პრაქტიკული მნიშვნელობა, მართლწერის წესების შესწავლით მოსწავლე აზუსტებს, უკეთ აცნობიერებს უფრო მტკიცედ ეუფლება ენის ბუნება-აგებულებას.

მართლწერის საკითხები მოიცავს ორთოგრაფიისა და მორფოლოგია-სინტაქსის, აგრეთვე უცხო ენებიდან სიტყვათა შეთვისების არა ერთ საკითხს.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ წინასიტყვაობაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები სავალდებულოდ ითვლება.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მართლწერის წესების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის შეტანილი ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოში და, ამდენად, არც ისწავლება გრამატიკის თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ სკოლას საქართველოში ყოველწლიურად მრავალი ათასი ახალგაზრდა ამთავრებს. ამათგან დიდი ნაწილი უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობს სწავლას, მაგრამ ქართული ენა ისწავლება მხოლოდ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის სპეციალურ ფაკულტეტებზე. ასე რომ ბევრი ახალგაზრდის ცოდნა დადაენაში განისაზღვრება იმით, რაც მათ საშუალო სკოლაში მიიღეს. რა თქმა უნდა, ეს ეხება მართლწერის წესების, სალიტერატურო ენის ნორმების ცოდნასაც. ამიტომ სავალდებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ახალგაზრდობა საშუალო სკოლაშივე გაეცნოს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის იმ ნორმებს, რომლებიც უშუალოდ ორგანულად უკავშირდება გრამატიკის სასკოლო კურსის თეორიულ საკითხებს. ეს დიდად დაეხმარება სკოლას შეასრულოს თავისი ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება – მოამზადოს წიგნიერი, განათლებული ახალგაზრდობა. გამოუმუშაოს მას ზეპირი და წერიტი მეტყველების სათანადო ჩვევები.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში აუცილებელია სახელმწიფო ენის სწავლება. ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ სახელმწიფო ენის ზოგადი საკითხები და გამართული ზეპირი და წერიტი მეტყველება. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის ქართული საჯარო სკოლა ამ მიმართულებით კრიტიკას ვერ უძლებს.

უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა სასიკეთო ტენდენცია: საქართველოს პარლამენტის ინიციატივით, დაისვა საკითხი, რომ საჯარო მოხელეებს მოვთხოვოთ სალიტერატურო ენის ცოდნა შესაბამის დონეების მიხედვით. ვიმედოვნებთ, რომ ამ ტენდენციის განვითარება სამომავლოდ შეაპირობებს „ქართული ენის პრაქტიკული კურსის“, როგორც სავალდებულო დისციპლინის აღდგენას უმაღლეს სკოლებში.

ვიცი, რომ წესების სისტემა, რომელიც საფუძვლად ედება ქართულ სიტყვათა დაწერილობას და არეგულირებს წერილობით ნიშნებსა და წარმოთქმას შორის ურთიერთობას, მართლწერა, ანუ ორთოგრაფია. ვიწრო მნიშვნელობით მართლწერის საგანია წარმოთქმასა და წერას შორის ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული შეუთანხმებლობის შემთხვევათა მოგვარება. ფართო მნიშვნელობით – სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია, ე.ი. გრამატიკის, პუნქტუაციისა და სტილისტიკის სადავო საკითხების მოგვარება.

მართლწერის ცოდნას აქვს როგორც თეორიული, ისე, განსაკუთრებით, პრაქტიკული მნიშვნელობა. მართლწერის წესების შესწავლით მოსწავლე აზუსტებს, უკეთ აცნობიერებს, უფრო მტკიცედ ეუფლება ენის ბუნება-აგებულებას, მის ფონეტიკურ, გრამატიკულ, სტილისტურ მხარეებს. სკოლაში, სადაც მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლების ერთიანი ღონისძიება ტარდება, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მართლწერის ცოდნას. ამ ცოდნის საფუძველზე მოსწავლეთა შეიარაღებას სათანადო პრაქტიკული ჩვევებით. მართლწერის უმთავრესი საფუძველია გრამატიკა, განსაკუთრებით მორფოლოგია. ყველაზე მეტი წესი მართლწერისა მორფოლოგიასთან დაკავშირებით ისწავლება რამდენიმე ფონეტიკასთან დაკავშირებით, რამდენიმე კი სინტაქსთან დაკავშირებითაც. მაგრამ საუბედუროდ, დღესდღეობით, ქართულ საჯარო სკოლებში, ქართული ენის გრამატიკის საკითხების შესწავლა ძალზე დაბალ დონეზეა. ეს თურმე მასწავლებლებზეა დამოკიდებული, რადგანაც ქართული ენა როგორც ცალკე საგანი აღარ ისწავლება. რასაც აუცილებლად ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს და ეს საკითხი უნდა მოგვარდეს.

არსებობს მართლწერის წესების გარკვეული წყება. წარმოთქმასა და წერას შორის სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარი ურთიერთობა. წესების სისტემა, რომელიც შემუშავებულია ერთი ენის მართლწერისათვის, არ გამოდგება მეორე ენის მართლწერისათვის. ერთ ენაშიაც შეიძლება მართლწერის წესებს საფუძვლად ედოს არა ერთი, არამედ რამდენიმე პრინციპი. მაგალითად ფონეტიკური, მორფოლოგიური, ისტორიული...

იმის მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური აგებულება, როგორი ურთიერთობა არსებობს წარმოთქმასა და წერას შორის, ან რა სახის ცვლილება განიცადა ამ ურთიერთობამ, ისტორიულად – შემუშავებულია მართლწერის პრინციპები, რომელთაგან მოცემული ენისათვის ერთ-ერთი ძირითადი (მთავარი) პრინციპი იქნება, დანარჩენი კი არა ძირითადი.

მართლწერის საკითხი უფრო მეტად მაშინ მწვავედება, როცა წარმოთქმასა და მის წერილობით ნიშანს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევები იჩენს თავს.

ქართული მართალია, ძველი სამწერლობო ენაა, მაგრამ დიდი ფონეტიკური ცვლილებები მას არ განუცდია. სწორედ ამიტომ ქართულში ისე მწვავედ არ დგას ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული სიტყვის მართლწერის საკითხი, როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური ხასიათის სადაო მოუგვარებელი საკითხები. მაგრამ მაინც არსებობს მართლწერის წესების გარკვეული წყება, რომელთა საფუძველი ფონეტიკაშია, ასევე გარკვეულ წყების წესებისას მორფოლოგია უდევს საფუძვლად და ა. შ.

მართლწერა ენათმეცნიერების დარგი არაა, მაგრამ მჭიდროდ უკავშირდება ფონეტიკას, მორფოლოგიასა და სინტაქსს. მართლწერის საგანია ნორმატიული წერის წესები.

არავინ დაობს იმაზე, რომ ფონეტიკისა და გრამატიკის კანონების ცოდნის გარეშე შეუძლებელია მართლწერის საკითხების გადაწყვეტა და მით უმეტეს, მართლწერის სწავლება. მართლწერის წესების სწავლება და სათანადო პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება ფონეტიკისა თუ გრამატიკის შესაბამისი მასალის სწავლებასთან დაკავშირებით უნდა მიმდინარეობდეს, მაგრამ ასე: ჯერ ფონეტიკისა და გრამატიკის სათანადო კანონები, წესები შეისწავლება, შემდეგ მათთან ბუნებრივად დაკავშირებული მართლწერის წესები გაეცნობა. წესს თანდათან აცნობიერებს და მტკიცედ ეუფლება მოსწავლე გეგმაშეწონილი ვარჯიშობის საფუძველზე.

მართლწერის ჩვევის გამომუშავების პროცესი ხანგრძლივი და რთულია.

ნაშრომში შევეხებით მართლწერასთან დაკავშირებით ზოგიერთ საკითხს.

მართლწერის საკითხები, რომლებიც ფონეტიკისა და გრამატიკის სათანადო თემებთან დაკავშირებით ისწავლება სისტემატიური სახით შემდეგი თანმიმდევრობით უნდა დალაგდეს.

ფონეტიკასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. მარტივი შედგენილობის სიტყვათა გადასატანად დაყოფა (ხე-ლი, თევ-ზი, ვარ-სკვლა-ვი)...

დღეისათვის გადატანის წესები ალბათ ზოგიერთ მასწავლებელს დრომოჭმულად მიაჩნია. არც არის გასაკვირი, პრესაში, თანამედროვე მწერლებთან არსად არ არის დაცული ჩვენი ცნობილი ენათმეცნიერების მიერ რუდუნებით შექმნილი ეს წესები. ეს არ არის შემთხვევითი. ყველაფერს თავის კანონზომიერება აქვს და ამ წესების დაცვით ნაწარმოებში ბევრი რამ რეგულირდება.

სწორედ ამ საკითხების არცოდნა იქცევა ყურადღებას

მორფოლოგიასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები:

აქ ჩვენ მხოლოდ არსებითი სახელისა და თანდებულიან სახლებთან დაკავშირებულ ზოგიერთ მართლწერის წესებს შევეხებით.

ვითარებითის ბრუნვის ნიშნად –დ (–ად); კაცა–ად (და არა კაც–ათ)

ორი მ–მ–თი დაბოლოებულ ფუძესთან მოთხრობითში აქლემ–მა (და არა აქლემა); ორი ს–ს–თი დაბოლოებულ ფუძესთან მიცემითში: დიასახლის–ს (და არა დიასახლის).

ფუძეკუმშვად სახელთა შეკუმშული ფუძით ხმარება მხოლოდითის სამ ბრუნვაში. (ნათ ატმ–ის, მოქ. ატმ–ით, ვით. – ატმ–ად) მინდორი – ნათ. მინდვრ–ის, მოქმ. მინდვრ–ით, ვით. მინდვრ–ად) მრავლობითის ყველა ბრუნვაში სახ. მამლ–ები, მოთხ. მამლ–ებ–მა, მიც. მამლ–ებ–ს, ნათ. მამლ–ებ–ის, მოქმ. მამლ–ებ–ით, ვით. მამლ–ებ–ად, წოდ. მამლ–ებ–ო.

ორი ნ. ნ–ით დაბოლოებულ ფუძესთან სახელობითისა და წოდებითში ნ– არიან მრავლობითში: მგოსან–ნ–ი, მგოსან–ნ–ო; შრომან–ნ–ი, შრომან–ნ–ო.

ორი თ. თ–თი დაბოლოებულ ფუძესთან მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში, თ–ანიან. მრავლობითში ლოთ–თ–(ა), სურათ–თ(ა).

ფუძეკვეცად სახელთა შეკვეცილი ფუძით ხმარება მხოლოდითის ორ ბრუნვაში:

დედა– დედ–ის; ხე–ხის, ხით

ტყე–ტყის, ტყით; კლდე–კლდის, კლდით.

მრავლობითში ე– ბოლოხმოვნაიანი სახელის ბოლოს ყველა ბრუნვაში ორი ე–ს ხმარება: სახ. მდინარე–ები; მოთხ. მდინარე–ებ–მა, მიც. მდინარე–ებ–ს.

მრავლობითში ა ბოლოხმოვნაიანი სახელის შეკვეცილი ფუძით ხმარება ყველა ბრუნვაში დედა–დედ–ებ–ი, დედ–ებ–მა, მიც. დედ–ებ–ს...

ორი ი–ს ხმარება ია–თი დაბოლოებულ ფუძესთან მხოლოდითის ორ ბრუნვაში (ნათ. გალის, მოქ. გალი–ით და შეკვეცილი ფუძით ხმარება მრავლობითის ყველა ბრუნვაში (სახ. გალი–ებ–ი, მოთხ. გალი–ებ–მა...

ეს საკითხები თითქოს ყველასთვის ნაცნობია. მაგრამ სრულიად არ არის ასე. ჩემი დაკვირვებით, ზოგიერთ მასწავლებელსაც კი არ ეხერხება ამ საკითხის ზუსტად მიტანა მოსწავლეებამდე. მე ძალიან შემაშფოთა გამოქვეყნებულმა ცნობამ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების გამოცდების შედეგების შესახებ. ერთ შემთხვევაში თითქოს გადაჭარბებულადაც მეჩვენება, მაგრამ ჩვენი სტუდენტის ცოდნის დონე ისეთია, რომ, ესეც განსაზღვრავს ამ საშინელ შედეგებს და ეს ხდება იმის გამო, რომ სკოლაში არ ასწავლიან გრამატიკის საკითხებს.

ფუძეკუმშვად–კვეცად სახელთა შეკუმშულ–შეკვეცილი, ფორმით ხმარება მხოლოდითის სამ ბრუნვაში (ნათ. ქარხნ–ის, მოქ. ქარხნ–ით, ვით. ქარხნ–ად; ნათ. მოყვრ–ის, მოქ. მოყვრ–ით, ვით. მოყრ–ად) და მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში (სახ. ქარხნები, მოთხ. ქარხნებმა, მიც. ქარხნებს, სახ. მოყვრები, მოთხ. მოყვრებმა).

ხმოვანზე დაბოლოებულ ადამიანთა სახელების ფუძეუკვეცელად ხმარება მოთხ. გიორგი–მ (და არა გიორგმა), მიც. გიორგის (და არა გიორგ–ს).

შვილ–ზე დაბოლოებულ გვართა წოდებითში ო–თი ხმარება. წოდ. ბარათაშვილ–ო! (და არა ბარათაშვილი), ძე–ზე დაბოლოებული გვარის მხოლოდითის ორ ბრუნვაში ფუძეუკვეცელად ხმარება (ნათ. დოლიძის, მოქ. დოლიძით), და მრავლობითის ყველა ბრუნვაში ორი ე–თი ხმარება (სახ. დოლიძე–ებ–ის), მოთხ. დოლიძე–ებ–მა).

როდესაც არსებითი სახელის ფუძე ვ თანხმოვანით ბოლოვდება, წოდებით ბრუნვაში ეს ვ უნდა დარჩეს თავი–თავო; ნიავი–ნიავო; ვარსკვლავი–ვარსკვლავო დათვი–დათვო. სწორედ ასეთ შემთხვევებში უშვებენ შეცდომებს და მას არავინ აქცევს ყურადღებას.

უ– ხმოვანფუძიანი ორმარცვლიანი სახელები წოდებითში ბრუნვის ნიშნის გარეშე უნდა იხმარებოდეს გურუ.

ადამიანთა გვარები, რომელთაც –ძე, –ვა, –უა და –ია დაბოლოება აქვთ, წოდებითში ბრუნვის ნიშნის გარეშე უნდა იხმარებოდეს. მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეს წესი თითქმის ირღვევა.

ბაქრამე, ჭავჭავაძე ჭონქაძე, გუგუნავა, კუპრავა, ჯაბუა, გაგუა, გუნია, ხომტარია, ნოდია.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იშვიათია შემთხვევები, რომ ადამიანის საკუთარი სახელი მოსდევს გვარს. თუ მოსდევს ორივეს უნდა ერთოდეს ბრუნვის ნიშნები მთლიანად. ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის სახელს მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში.

სახ. ორბელიანი გრიგოლ

მოთხ. ორბელიანმა გრიგოლმა

მიც. ორბელიანს გრიგოლს
ნათ. ორბელიანის გრიგოლის
მოქ. არ გვხვდება
ვით. არ გვხვდება
წოდ. ორბელიანო გრიგოლ

ეს წესები კი საერთოდ დარღვეულია. განსაკუთრებით, ჟურნალების შევსების დროს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

სახელისა და გვარის ერთად ბრუნებისას სახელი მხოლოდ ფუძით იხმარება, სახ. ზურაბ ჭავჭავაძე (და არა ზურაბი ჭავჭავაძე), მოთხ.. ზურაბ ჭავჭავაძემ (და არა ზურაბმა ჭავჭავაძემ).

ერთმარცვლიან თანდებულთა სიტყვასთან შერწყმით ხმარება. სახლ-ში, სახლზე, სახლთან, სახლისკენ.

ორმარცვლიან (და მეტმარცვლიან) თანდებულთა სიტყვასთან შეურწყმელად ხმარება ამხანაგის მიერ, ამხანაგის მიმართ...

ორი ზ-ზ-თი დაბოლოებულ ფუძესთან -ზე თანდებულის დართვისას: იალბუზ-ზე, ხაზ-ზე (და არა იალბუზე) ხაზე;

ზედა, ზე სახეობათგან სალიტერატურო ენაში ამ თანდებულის ერთადერთი სწორი ფორმაა ზე, როდესაც თანდებულის სახელს არ დაერთვის ნაწილაკი.

ხელზე, თავზე, მიწაზე,
როდესაც თანდებულის სახელს დაერთვის -ც (ა) ნაწილაკი

ზედა სახეობა უნდა დარჩეს უცვლელად.

ხელზედაც, თავზედაც, მიწაზედაც, კვალზედაც.

როდესაც თანდებულის სახელს დაერთვის -ვე ნაწილაკი უნდა იხმარებოდეს ზედ. ხელზედვე, თავზედვე, მიწაზედვე.

ორი შ.შ-ითი დაბოლოებულ ფუძესთან -ში თანდებულის კომშ-ში, ანგარიშ-ში (და არა კომში, ანგარიში)

შინა, ში სახეობათგან სალიტერატურო ქართულში უნდა იხმარებოდეს მხოლოდ ში ქალაქში, სოფელში, მიწაში, ყანაში, მინდორში.

ც (ა) ნაწილაკის დართვისას ში-სთან ერთად შეიძლება იხმარებოდეს შიაც;

ქალაქშიაც, სოფელშიაც, სახლშიაც, მიწაშიაც, ყანაშიაც. უპირატესობა მაინც ეძლევა პირველს (ში)

ს-ს- შენარჩუნება ს-თი დაბოლოებაზე ფუძესთან -ზე, -ში თანდებულების დართვისას. თას-ზე, წავკისში (და არა თაზე, წავკიში);

ორი თ-თი დაბოლოებულ ფუძესთან თან თანდებულის დართვისას. კახეთ-თან, სურათ-თან (და არა კახეთთან, სურათთან).

გან-თანდებულის ხმარება ნათესაობითა და მოქმედებითში

(ნათესაობითის კითხვა: ვისგან? -დედისგან, რისგან? ხისგან. მოქმედებითის კითხვა საიდან? თბილისიდან). ამ წესის დარღვევა განსაკუთრებული სიხშირით გვხვდება არავის გაგიკვირდებათ, რომ გაიგონოთ დედიდან გამომყვა ეს ჩვევა და არა დედისგან.

როცა არამართებულადაა გამოყენებული თანდებული შინაარსი ბუნდოვანი ხდება: „გიორგიმ დავითიდან წიგნები მოუტანა“, „კაცმა ხიდან ხმალი გამოჭრა“ „ჩემი სახლი ქალაქითგან შორსაა“.

როდესაც თან თანდებულის სახელს დაერთვის. ც (ა) ან -ვ) ნაწილაკი, შეიძლება ვიხმაროთ როგორც თან, ისე თანა.

ძმასთანც// ძმასთანაც; მეგობართანც//მეგობართანაც...

ძმასთანვე//ძმასთანავე, მეგობართანვე//მეგობართანავე...

- ცა ნაწილაკის დართვისას უპირატესობა უნდა მიეცეს თანა-ს ძმასთანაც, მეგობართანაც, სახლთანაც...

- ვე ნაწილაკის დართვისას კი უმჯობესია ვიხმაროთ -თან:

ძმასთანავე, მეგობართანავე, სახლთანავე...

როდესაც გან თანდებულის სახელს დაერთვის -ც (ა) ნაწილაკი მისაღებია როგორც გან, ისე განა

ძმისგანც//ძმისგანაც; მეგობრისგანც//მეგობრისგანაც.

როდესაც გან თანდებულის სახელს დაერთვის -ვე ნაწილაკი,

დასამეგბია მხოლოდ გან.

ძმისგანვე, მეგობრისგანვე, დისგანვე

სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმას შეიძლება დაერთოს როგორც მდე, ისე მდის.

სოფლამდე//სოფლამდის, თბილისამდე//თბილისამდის, სადგურამდე//სადგურამდის...

ამათგან უპირატესია მდე.

თანხმოვანფუძიან სახელებთან ვით თანდებული შეიძლება დაერთოს როგორც სახელობით, ისე მიცემითი ბრუნვის ფორმას:

კაცივით//კაცსავით, ლომივით//ლომსავით, გრიგალივით//გრიგალისავით,
მეგობარივით//მეგობარსავით

უპირატესობა უნდა მიეცეს ვით თანდებულის ხმარებას მიცემით ბრუნვასთან, ხოლო მისი გამოყენება სახელობითთან დასაშვებადაა მიჩნეული.

მისაღებია თვის, კენ და გან თანდებულის დართვა ნათესაობითი ბრუნვის როგორც გავრცობილ/ ისე გაუვრცობელ ფორმაზე.

ძმისათვის//ძმისთვის, სოფლისაკენ//სოფლისკენ, მეგობრისაგან//მეგობრისგან...

ერთგვარი უპირატესობა მაინც გაუვრცობელ ფორმებს უნდა მიეცეს.

ქართული მართლწერის საკითხების სწავლების დროს მასწავლებელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთან“ ერთად მუდამ ხელთ უნდა ჰქონდეს ვ. თოფურიძის და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი, „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, ზედმიწევნით გააცნოს მოსწავლეებს ამ ლექსიკონის დანიშნულება, აღნაგობა და შინაარსი, საფუძვლიანად შეასწავლოს მათ ორთოგრაფიული ლექსიკონზე სარგებლობის წესები.

ორთოგრაფიული ლექსიკონი გამოყენებული უნდა იქნეს მართლწერის ჩვევის გასამტკიცებლად. მართლწერის წესის შესწავლის შემდეგ. ორთოგრაფიული ლექსიკონით სარგებლობისათვის მოსწავლემ, უწინარეს ყოვლისა, ზეპირად უნდა იცოდეს ქართული ანბანის რიგი. ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოყენება შეიძლება როგორც შესწავლილი ცოდნის გამოსაყენებლად, ისე ცნობარადაც წერის პროცესში, ან ნაწერის გასწორებისას.

დღეისათვის, არა ერთი მნიშვნელოვანი დამხმარე სახელმძღვანელო გამოდის. მაგალითად შ. აფრიდონიძის ჩვენი ენა ქართული, თბ. 2002.

ა. არაბული ქართული მეტყველების კულტურა თბ. 2004 წ.

ი.ვაშაკიძე – ქართული ენის პრაქტიკული კურსი და აკადემიური წერის საფუძვლები, თბილისი, 2016

ლიტერატურა

1. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004 წ.
2. შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული თბილისი, 2002 წ.
3. დ. გეწაძე, მართლწერის საკითხების სწავლებისათვის სკოლაში, თბილისი, 1978 წ.
4. ი. ვაშაკიძე, ქართული ენის პრაქტიკული კურსი და აკადემიური წერის საფუძვლები, თბილისი, 2016
5. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1998 წ.
6. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები (1 კრებული თბილისი, 1970)
7. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I თბ. 1961
8. მ. მიქაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, ქუთაისი 1997
9. ვ. რამიშვილი, ქართული მართლწერა და მისი სწავლების საკითხები, თბილისი 1985 წ.
10. ა. შანიძე ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1953

რეზიუმე

დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ენის მიმართ განსაზღვრულ უფლება-მოვალეობით წესრიგს, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, ენობრივი პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების, კერძოდ, მართლწერისა და მეტყველების კულტურის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ხოლმე მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების, ისტორიულ გარდატეხის ჟამს, როდესაც გლობალურ პროცესებთან ერთად მეტ-ნაკლებად იცვლება ენობრივი გარემო და განვითარების ტენდენციები. ამ თვალსაზრისით ბოლო პერიოდის ქართული ენობრივი სინამდვილე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. რადგან ეპოქის ინტენსიურმა განვითარებამ სულ ახალი პრობლემები დააყენა ქართული სახელმწიფოს წინაშე.

ენობრივი ნორმების დაცვაზე როდესაც ვსაუბრობთ, უპირველესად, აქ ენის გრამატიკული აგებულების თეორიული ცოდნა იგულისხმება. სამწუხაროდ, მართლწერით წესების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის შესული ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებში და, ამდენად, არც ისწავლება გრამატიკის თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით.

ენობრივი პროცესებისადმი შეგნებული, მიზანმიმართული დამოკიდებულება დღეისათვის მოითხოვს მეტ ყურადღებას.

მართლწერის ცოდნას აქვს როგორც თეორიული, ისე განსაკუთრებით პრაქტიკული მნიშვნელობა, მართლწერის წესების შესწავლით მოსწავლე აზუსტებს, უკეთ აცნობიერებს უფრო მტკიცედ ეუფლება ენის ბუნება-აგებულებას.

მართლწერის საკითხები მოიცავს ორთოგრაფიისა და მორფოლოგია-სინტაქსის, აგრეთვე უცხო ენებიდან სიტყვათა შეთვისების არა ერთ საკითხს.

Leila Abzianidze - Akaki Tsereteli State University, Professor

Georgian language and orthography issues

Nowadays special sense is conferred on national language dependence. Privately, orthography and speech culture problem is especially actual today. It requires attention. The up growth of era has brought new problems for Georgian State.

When we are talking about defending the lingual norms, firstly it is meant theoretical knowledge of goametrical consttuetion of the language.

Unfortunately, the most part of orthography roles is not contained in the manuals.

The right dependence of lingual issues, is very important, knowing the roles of orthography has the optimal and practical sense. Knowing the details of orthographical rules, student confesses construction of the language much better.

Orthography issues contain orthography and morphology –syntactical matters.

ჯამბუ ავალიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 40/ნ ბრძანებით 2016 წლის 18 მაისს დამტკიცდა 2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა(დაწყებითი საფეხური).

ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (სკოლა) სავალდებულო დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების(უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას.

ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, რომელიც განსაზღვრავს: - ა)სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ საკითხებს; ბ)საგნის სწავლების მიზნებსა და ამოცანებს, საგნობრივ სტანდარტებს საფეხურების მიხედვით; გ) საგნობრივი სასწავლო გეგმების საგნობრივ პროგრამებს კლასების მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა უნდა იცოდეს და შეძლოს მოსწავლემ და როგორ უნდა იქნეს მიღწეული საგნობრივი სტანდარტის შედეგები(1).

ეროვნული სასწავლო გეგმის -ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის დანერგვის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია მისი შედეგების მიღწევის გზებსა და საშუალებებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლების თანამედროვე მიდგომების პოპულარიზაცია, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროცესში ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენების დემონსტრირება და დანერგვის ხელშეწყობა. (ამ მიზანს ემსახურება ჩვენ მიერ მომზადებული წინამდებარე პუბლიკაცია-ჯ.ა.).

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები ითვალისწინებს:

- ა) ზოგადი განათლების საფეხურები, მათი მისია და მიზნები;
 - ბ) განათლების ენები და ენობრივი განათლება;
 - გ) ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპები, მეთოდოლოგიური ორიენტირები;
 - დ) სასწავლო წლის კალენდარი სკოლაში;
 - ე) საგანმანათლებლო რესურსები და სხვ.(2)
- მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

• ზოგადი განათლების საფეხურები.

სრული ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს და გულისხმობს თორმეტწლიან სწავლებას.

სრული ზოგადი განათლების საფეხურებია:

- ა) დაწყებითი- I-IV კლასები;
- ბ) საბაზო -VII-IX- კლასები;
- გ) საშუალო -X-XII კლასები;

დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. სრული ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის შემთხვევაში(3).

ყველასათვის ცხადია, რომ დაწყებითი განათლება საძირკველია სწავლა აღზრდისა; დაწყებით კლასებში იწყება შეგნებულად შეთვისება ცოდნისა ბუნებისა და საზოგადოებრივ მოვლენათა შესახებ. სწავლა-აღზრდის უკლებლივ ყველა ეტაპზე საჭიროა სიზუსტე და წინდახედულობა, პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში და ცალკეული საგნების სწავლების მეცნიერულ მეთოდოლოგიაში მოპოვებული და დროთა ვითარებაში საიმედოდ შემოწმებული შედეგების გონივრულად და შემოქმედებითად გამოყენება.

• დაწყებითი საფეხურის მისია:

- ა) საგანთა თანმიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლეთა მომზადება საბაზო საფეხურისათვის.

• **სწავლა-სწავლების კონცეპტუალური საკითხებიდან მნიშვნელოვანია განათლების ენები და ენობრივი განათლება:**

განათლების ენები მოიცავს:

ა) სწავლა-სწავლების ენას, როელზედაც მიმდინარეობს სასკოლო საგანთა სწავლა და სწავლება;

ბ) საგნის ენას, რომელზედაც მიმდინარეობს კონკრეტული საგნობრივი შინაარსის სწავლება. საგნის ენა არის სწავლა-სწავლების ენის სახესხვაობა, რომელიც ხასიათდება სპეციფიკური ენობრივი ნორმებით;

გ) ენას, როგორც საგანს, რომლის მიზანი ენის სწავლებაა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასეთ საგნებს წარმოადგენს ქართული ენა და ლიტერატურა; ქართული, როგორც მეორე ენა; აფხაზური ენა და ლიტერატურა; უცხოური ენები, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა ენები.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცენტრალური ადგილი უკავია ქართულ ენას, რომელიც საქართველოს სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სახელწოდებით ისწავლება.

ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა.

მშობლიური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე ემსახურება აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებით. დედაენა ის ბალავარია, რომელზედაც ადამიანი აზროვნებს და რომლითაც ყველაზე უშუალოდ და სრულყოფილად გამოხატავს თავის აზრებსა და განცდებს, ამიტომ, - წერს იაკობ გოგებაშვილი: "დედაენა, როგორც ბუნებითი იარაღი გონებისა, მტკიცედ შეკავშირებული ადამიანის სულთან და ხორცთან, უკეთესი ღონისძიებაა ნორმალური გონებითა და ზნეობით გახსნისათვის"... "სადაც კი ჭეშმარიტის განათლების ლამპარი დანთებულა, დედაბოძად მას ჰქონია და აქვს დედა-ენა, სწავლება დედაენაზედ, როგორც საუკეთესო ღონე გონების განვითარებისა და ცოდნის შეძენისა, ღონე ბუნებისაგან და ღვთისაგან მინიჭებული და დალოცვილი. რომელ ქვეყანაშიც კი გადაუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ, განათლების მაგიერ - დაბნელება და ზნეობის გაწმენდის მაგიერ- მისი დაცემა".

• **ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები და მეთოდოლოგიური ორიენტირები.**

ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი, ეს პრინციპებია:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას;

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას(სწავლის სწავლა).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს სამივე კატეგორიას: დეკლარაციულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

ძირითადი მეთოდოლოგიური ორიენტირებია:

ა) მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა;

ბ) სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა;

გ) სიღრმისეული სწავლება;

დ) მოსწავლის მოტივაციის გაზრდა;

ე) დისციპლინა;

ვ) მოსწავლეთა ჩართულობა.

• **საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება**

საჯარო სკოლაში კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 25 მოსწავლით.

დაწყებით საფეხურზე, განსაკუთრებით სოფლად, გვაქვს კლას-კომპლექტები, რაც ძირითადად გამოწვეულია კონტიგენტის სიმცირით.

კლას-კომპლექტები რეკომენდირებულია შეიქმნის საფეხურის ფარგლებში და ერთ კლას-კომპლექტში არ გაერთიანდეს ორ კლასზე მეტი. I-IV კლასები შეიძლება დაკომპლექტდეს სხვადასხვა პრინციპით (მაგ: I-II და III-IV კლასებად, ან I და III, II და IV კლასებად).

- აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

10 – 9 ქ. - მაღალი დონე;

8- 7 ქ. საშუალოზე მაღალი;

6-5 ქ. საშუალო;

4 -3 ქ. საშუალოზე დაბალი;

2 -1 ქ. დაბალი.

შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში;

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

მოსწავლეთა შეფასების კომპონენტები კი ასეთია :

კომპონენტები	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება
მიმდინარე სასკოლო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

- **ქულების გამოანგარიშების წესი:**

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე.

ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით(მაგ: 6,15 მრგვალდება 6-მდე; 7,49 მრგვალდება 7-მდე; 8,5 მრგვალდება 9-მდე).

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობასა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

- **საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:**

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7, 25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე)

გ) თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება საგნის წლიურ ქულაზე, მაშინ საგნის წლიური ქულა სამი (ორი-საგნის სემესტრული და ერთი- გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია. (დამრგვალებული მთელის სიზუსტით)

- **კლასისა და საფეხურის დაძლევა**

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი.
2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-Vi კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

ლიტერატურა

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #40/ნ, 2016 წლის 18 მაისი, ქ. თბილისი, ვებგვერდი ncp.ge.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა (2017-2023) ვებგვერდი ncp.ge
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება #224/ნ, 12.10.2012

რეზიუმე

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #40/ნ ბრძანებით 2016 წლის 18 მაისს დამტკიცდა 2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური).
- ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (სკოლა) სავალდებულო დოკუმენტია, ის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა უნდა იცოდეს და შეძლოს მოსწავლემ და როგორ უნდა იქნეს მიღწეული საგნობრივი სტანდარტის შედეგები.
- შრომაში განხილულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლა- სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები, კერძოდ: ა) ზოგადი განათლების საფეხურები, მათი მისია და მიზნები; ბ) განათლების ენები და ენობრივი განათლება ; გ) საგანმანათლებლო პრინციპები, მეთოდოლოგიური ორიენტირები, რესურსები და სხვ.

მანანა მიქაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

ვალერიან რამიშვილი – დედაენის ამაგდარი (დაბადებიდან 110-ე წლისთავის გამო)

2017 წლის 14 იანვარს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდებოდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, განათლების წარჩინებულს, დამსახურებულ მასწავლებელს, მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, არაერთი სახელმწიფო ჯილდოსა და ორდენის კავალერს – ვალერიან რამიშვილს. ვალერიან თომას ძე რამიშვილი დაიბადა 1907 წლის 14 იანვარს სოფელ დიდვანში (ჩოხატაურის რაიონი) გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო მშობლიური სკოლის დაწყებით სკოლაში. 3 წელი (1918-1920 წწ.) სწავლობდა სოხუმის საოსტატო სემინარიაში, 1925 წელს დაამთავრა ჩოხატაურის საშუალო სკოლა, 1933 წელს კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

1925 წლიდან 1928 წლამდე მუშაობდა სოფელ შავსაყდრის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. 1928 წლიდან 1931 წლამდე მუშაობდა სოფელ მარტყოფის საშუალო სკოლაში მასწავლებლად, 1931 წლიდან – თბილისის მე-20 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ კი ამავე სკოლის დირექტორად. იგი იყო თბილისის 36-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე (1936-1938 წწ.), თბილისის ლენინის რაიონის პედაგოგიური მეთოდისტი (1938-1947 წწ.), სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი (1938-1947 წწ.), საქართველოს სსრ პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1939-1959 წწ.), გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი (1947-1957 წწ.), თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიათა კათედრის გამგე (1959-1968.); ხოლო 1968 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის ქართულის ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიათა კათედრას.

ვალერიან რამიშვილმა 1949 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1964 წელს – სადოქტორო დისერტაცია ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიაში, იყო პროფესორი.

დაარსების დღიდან პროფესორი რამიშვილი უნარიანად ხელმძღვანელობდა ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიათა კათედრას, სადაც ინსტიტუტის პროფილის შესაბამის სასწავლო ამოცანებთან ერთად წარმატებით წყდებოდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალური პრობლემები.

სხვამ ვინ, თუ არა ბატონმა ვალერიანმა იცოდა, რომ დედაენა ბავშვის გულისა და გონების ენაა, რომ როგორც დიდმა ილიამ თქვა: "უდედაენოდ ბავშვის გონების გახსნა შეუძლებელია", ამიტომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან მშობლიური ენის მეცნიერული მეთოდოლოგიის შექმნას მოახმარა.

როგორც ჩვენი დიდი წინაპარი – გრიგოლ ხანძთელი შეეჭიდა "კლდეთა უფიცხლესა ყოველთა მათ კლარჯეთის უდაბნოთა", ერის და ქვეყნის სიყვარულით, ასევე საქართველოს უკეთესი მომავლის სახელით იტვირთა ვ. რამიშვილმა დიდი და საპატიო ვალი – შეექმნა მშობლიური ენის სწავლების მეთოდოლოგიის მყარი სისტემა.

მისი 450-ზე მეტი შრომა, უამრავი სასკოლო სახელმძღვანელო, სპეცკურსი, სპეცსემინარი, ასამდე ნაბეჭდი წიგნი – პირველი კლასის "დედაენიდან" და "ქართული ენის გრამატიკის, მართლწერისა და მეტყველების განვითარების" სახელმძღვანელოდან დაწყებული – "ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია" დამთავრებული – ამ სისტემის ისეთი ორგანული ნაწილებია, რომ ერთს მეორის გარეშე ვერც კი წარმოიდგენ. დაწყებით კლასებში ქართული ენის გრამატიკის ელემენტარულ საკითხთა სწავლების მეთოდოლოგიის მწყობრ თეორიას რომ "ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიაში" გაეცნობი, ბუნებრივია, იმ წიგნებით უნდა ასწავლო, რომლებიც ამ თეორიისა და პრინციპების მიხედვითაა აგებული. ესაა პროფესორ ვ. რამიშვილის მიერ I, II, III და IV კლასებისათვის შედგენილი "ქართული ენის გრამატიკის, მართლწერისა და მეტყველების განვითარების" სახელმძღვანელოები, სადაც რთული გრამატიკული ცნებები ახსნილია მისაწვდომობის, შეგნებულობის, თვალსაჩინოებისა და სხვა ნაცადი დიდაქტიკური პრინციპების მომარჯვებით, მაქსიმალურადაა მორგებული ამ ასაკის ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ ძალებს. კითხვის სწავლების მეთოდოლოგიის მწყობრი თეორია პრაქტიკულად კითხვის სახელმძღვანელოებშია ხორცმესხმული; "დედაენა" წერა-კითხვის სწავლების მეთოდოლოგიის იაკობ გოგებაშვილისეული უკვდავი დებულებებისა და პრინციპების მიხედვითაა აგებული. აქ ყველაფერი

ერთმანეთს ავსებს, ერთი მეორისაგან გამომდინარეობს, პირველი მეორის საყრდენია; მეორე პირველის ლოგიკური გაგრძელება და დასასრული.

ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიის რამიშვილისეულ თეორიაში ფართოდ აისახა ი.გოგებაშვილის მეთოდოლოგიური მემკვიდრეობა, ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიის, ზოგადი დიდაქტიკის უახლესი მიღწევები, სკოლის მდიდარი გამოცდილება. ეს მეთოდოლოგია მძრავრ თეორიულ საფუძვლებს ემყარება და წარმოადგენს მოსაზღვრე მეცნიერებათა მიღწევების კერძო მეთოდოლოგიის განვითარების ინტესესების მიზნით გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშს. სწორედ ასეთი მეცნიერული მეთოდოლოგია მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადების საიმედო ბურჯი, მით უმეტეს, რომ ამ თეორიაზეა აგებული როგორც დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მოსამზადებელი სახელმძღვანელოები, სპეცკურსები, სპეცსემინარები, საკურსო და საკონტროლო სამუშაოთა თემატიკები, მეთოდური კომპლექტები, წერილები, მეთოდური მითითებები, პროგრამები, სხვა სასწავლო დოკუმენტები, რომლებიც ბატონ ვალერიან რამიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და ავტორობით სრულდებოდა. ეს იყო თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის იშვიათი მაგალითი, სადაც პრაქტიკა თეორიას ემყარება, ხოლო თეორია პრაქტიკით მძლავრობს.

პროფესორი ვალერიან რამიშვილი, რომელიც ფაქტობრივად მეოცე საუკუნის ქართულ სკოლას მოეწვინა, როგორც დაწყებითი განათლების თავკაცი, რუდუნებას და საქმისადმი თავდაებას შთააგონებდა თავის მრავალრიცხოვან აღზრდილებსა და კოლეგებს. პრინციპულად მოითხოვდა მათგანაც დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას ახალგაზრდებისაგან, დამწყები მეცნიერ-პედაგოგებიდან, რაღაც დიდსა და მნიშვნელოვანს, ახალი სიტყვის თქმას მთელს იმ დარგში, რომელშიაც ემზადება იგი სამოღვაწეოდ. პრინციპულად ებრძოდა იოლი გზით წარმატების მიღწევის მსურველთ. ვალერიან რამიშვილის, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის, გამორჩეული თვისება გახლდათ სიახლის შეცნობის ალლო და უნარი. იგი ფხიზლად უგდებდა ყურს დროის მაჯისცემას, და ამის მიხედვით წარმართავდა კვლევას. ამას მოწმობს რამდენჯერმე გადამუშავებული, დროის შესატყვისად გამართული და გამოცემული მისი ფუნდამენტური შრომები, ახალი გამოკვლევები, სახელმძღვანელოები, პროგრამები, მეთოდური წერილები და რეკომენდაციები.

პროფესორმა ვ. რამიშვილმა კოლოსალური შრომა გასწია იაკობ გოგებაშვილის მეთოდოლოგიური მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლისა და გამომზეურებისათვის, ამ სარბიელზე მან რაინდული კეთილშობილება, შემართება და გმირობის მაგალითი აჩვენა, რითაც ახალგაზრდებს გარდასულ ერის კაცთა ღვაწლის დაფასების, შესწავლისა და მოვლის ბრწყინვალე მაგალითი მისცა.

პროფესორი ვალერიან რამიშვილი ჭეშმარიტად სახალხო მოღვაწე გახლდათ, მისი დიდი წინამორბედის, იაკობ გოგებაშვილის მსგავსად, ამ დიდი მეცნიერისა და პედაგოგის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები თავისით, უმეგზუროდ, თვითრეკლამის გარეშე იკაფავდა გზას და თავის კუთვნილ ადგილს იჭერდა ნორჩი ქართველების სულსა და გულში. ყოველ ქართულ ოჯახში სანუკვარი წიგნია მის მიერ შედგენილი კლასგარეშე ლიტერატურის სახელმძღვანელოები I, II, III და IV კლასელთათვის, რომლებიც "დედა ენაზე" ნაკლებ როლს როდი თამაშობენ ქართველის გულისა და გონების გახსნასა და მშობლიური ენისადმი სიყვარულის გაღვივებაში.

მეც ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია გახლავართ, რომელმაც გაიარა ვალ. რამიშვილის სკოლა, მისი ხელმძღვანელობით დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიაში. მასთან ურთიერთობამ უამრავი რამ მასწავლა, და მათ შორის, სწავლითა და ცოდნის შეძენით არ დაღლა, სხვისი აზრის მოსმენისა და დაფასების კულტურა, მეცნიერული კვლევის სიღრმის ფასი, ადამიანებთან ურთიერთობა, კეთილგანწყობა. მე ვხედავდი როგორ უხაროდა ბატონ ვალიკოს ჩვენი წარმატება და რაოდენ ბედნიერად გრძნობდა თავს თავისი აღზრდილების წინსვლით, მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი მისი და მისი ღირსეული შვილების, პროფესორ გურამ რამიშვილისა და დოცენტ ლამარა რამიშვილის უმცროსი მეგობარი.

ბედნიერი და უფრო წარმატებული უნდა იყოს ქვეყანა, რომელსაც ვალერიან რამიშვილისნაირი უამრავი ღირსეული შვილი ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება. დიდება მის სახელს, დაფასება მის საქმეს, ნათელი მის კეთილშობილ სულს.

რეზიუმე

ნაშრომი ეხება მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის, განათლების წარჩინებულის, დამსახურებული მასწავლებლის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, არაერთი სახელმწიფო ჯილდოსა და ორდენის კავალერის, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებლის – ვალერიან რამიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ნაშრომში ჩამოთვლილია და არგუმენტირებულად დასაბუთებული პროფესორ ვალერიან რამიშვილის დამსახურება ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიის დარგის განვითარებასა და საერთოდ ქართული განათლების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

Manana Mikadze - Akaki Tsereteli State University, Professor

Valerian Ramishvili - honored Mother Tongue

Abstract

The paper deals with the renowned scientist, noble education, honored teacher, Doctor of pedagogical sciences, a professor, a number of state awards and the Order of Honor, I.Gogebashvili pedagogical heritage worthy successor - Valerian Ramishvili's life and work. The paper lists and well-substantiated by Professor Valerian Ramishvili's merit in the Georgian language teaching methods and the development of Georgian contribution to education.

თამარ ღვინიაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

წერითი მუშაობის სისტემა IV-VI კლასებში გასწორების ხერხები

ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლასთან მჭიდრო კავშირშია წერითი სამუშაოების ძირითადი სახეები. მათი შინაარსი ყოველ ახალ საფეხურზე რთულდება საგნის სწავლების ამოცანების, შესასწავლი მასალის ხასიათისა და მოსწავლეთა მომზადების დონის შესაბამისად.

ფორმის მიხედვით მეტყველება ორგვარია-შინაგანი და გარეგანი. შიგამეტყველების უნარი ბავშვს უვითარდება გარემეტყველების ბაზაზე და ორგანულადაა დაკავშირებული აზროვნების პროცესებთან. აზროვნების მაღალი დონე განაპირობებს მეტყველების კულტურის სრულყოფას, რაც ენის ლექსიკურ სიმდიდრეზე, მის ფონეტიკურ და გრამატიკულ სისტემაზე დაფუძნებული მოქმედებაა პიროვნებისა, ქცევაა სუბიექტისა.

მეტყველება ორ ფორმად ზეპირ და წერით მეტყველებად იყოფა. მათ შორის ბევრი საერთო ნიშანია, თუმცა ზეპირი მეტყველება წინ უსწრებს წერითს. ორივე შემთხვევაში მოსწავლეს მოეთხოვება აზრების სწორად გადმოცემა.

ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამ ფაქტორს: 1. მასწავლებლის სანიმუშო მეტყველებას, 2. გრამატიკის ცოდნასა და სტილისტიკურ ვარჯიშს, 3. ლექსიკურ მარაგს. თუმცა სწავლება - სწავლის თანამედროვე პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარება და საბოლოო შედეგი, რაც მიიღწევა ცოდნის კონსტრუირებით, გაღრმავებული სწავლებით, დადებითი სასწავლო გარემოს შექმნით, მოტივაციის ამაღლებით, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ტრადიციული და თანამედროვე, მეთოდების ოსტატური შერწყმით მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ფორმირება, ამაღლება და განვითარება.

საკლასო თუ საკონტროლო წერა საშუალებას გვაძლევს, ერთის მხრივ, ფრონტალურად შევამოწმოთ, აღვრიცხოთ, სისტემაში მოვიყვანოთ მოსწავლეთა ცოდნა, მეორეს მხრივ, ხელს უწყობს მათ შეგნებაში მიღებული ცოდნის განმტკიცებას, მეტყველების კულტურის ამაღლებასა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. წერითი პროცესი მობილიზებას უკეთებს მოსწავლის ფსიქიკურ მდგომარეობას, მთელ მის შემოქმედებით ძალებს, აქტიურებს მეხსიერებას, გრძნობათა ორგანოებს. წერის დროს ბავშვი იძულებულია იგრძნოს სიტყვის ძალა, იაზროვნოს, გამოიყენოს მთელი ლიტერატურულ-გრამატიკული ცოდნა.

მოსწავლეთა წერითი ნაშრომების საერთო ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზეპირი მეტყველების კულტურისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებანი იდენტურია წერით მეტყველებაშიც.

მეტყველებაში დაშვებული შეცდომები, ძირითადად ასე კლასიფიცირდება: სტილისტიკური, გრამატიკულ-ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და ფაქტობრივი.

სტილისტიკურ შეცდომათა რიგში შედის სიტყვათა შეუფერებელი შერჩევა, ტავტოლოგია და დროთა შეუთანხმებლობა.

გრამატიკულ-ორთოგრაფიულ შეცდომად ითვლება სიტყვის მცდარი დაწერილობა, არასწორი გრამატიკული გაფორმება.

პუნქტუალური შეცდომაა სასვენი ნიშნების არასწორი ხმარება, სიტყვათა არასწორი გადატანა.

ფაქტობრივი შეცდომაა ენობრივი ფარგლებიდან გასვლა, ლიტერატურული თუ ისტორიული ფაქტების დამახინჯება.

რა არის მიზეზი ქართული ენის წესების, ნორმების დარღვევისა, უმართებულო ფორმების შემოჭრისა და ხმარებისა?

ა) ერთ-ერთი წყაროა ადრინდელი ლიტერატურული ფაქტები, არქაიზმები, ძველი სიტყვები და ფორმები. მაგ.: სჩანს და ჩანს, შესდგა და შედგა, მჰსწრაფლ, ჰსჯობია და სხვ.

ბ) კილოების გავლენა. მაგ.: შევიტყვე, გამოაცხე, დავაცხე, წერდნენ, თამაშობდნენ ნაცვლად მართებული ფორმებისა შევიტყვე, გამოავაცხე, დავაწყვე, თამაშობდნენ. უნდა იყოს წერდნენ, თამაშობდნენ.

გ) რუსულის გავლენით ვხმარობთ უსულო ქვემდებარესთან მრავლობითში მდგარ შემასმენელს. მაგ.: სახლები დგანან, ტრაქტორები მუშაობენ. უნდა იყოს - სახლები დგას, ტრაქტორები მუშაობს.

დ) შეცდომათა წარმოშობის მიზეზია ენის ტენდენცია ფორმათა დამსგავსებისა. მაგ. ვზივარ ზმნას, წესით, მრავლობითში ენაცვლება **სხედ** ფორმა, მაგრამ ნაცვლად სწორი ფორმისა ვსხედვართ, ვამზობთ და ვწერთ, **ვზივართ**. არასწორია „ბავშვმა შეეკითხა ამბავი“, სწორია „ბავშვი შეეკითხა ამბავს“. არასწორია უთქვია, დაუბია, წაუკითხია, ნაცვლად კანონიერი ფორმებისა უთქვამს, დაუბამს, წაუკითხავს. ზოგჯერ ქართულში ყველა ბგერა წარმოთქმისას ერთნაირად არ ისმის, ამიტომ წერის დროს გვხვდება შეცდომები - ბრტყელი და არა ბრტყელი; შეურაცხყოფა და არა შეურაცყოფა, კაცად და არა კაცათ.

ის, რაც ძნელად შესამჩნევია ზეპირ მეტყველებაში, ადვილად გამოჩნდება ნაწერში. წერითი მუშაობისას ეს სირთულე და თავისუბურება მასწავლებლისგან მოითხოვს მოსწავლეთა ასაკის, მომზადების დონისა და კლასის შესაბამისად დიფერენცირებულ, სერიოზულ და პასუხისმგებლობის გრძობით მიდგომას წერითი კულტურის აღზრდის საკითხებისადმი.

მე-5-მე-6 კლასების წერითი მუშაობის სისტემაში ყველაზე გავრცელებული სახეა უკვე შესწავლილი ლიტერატურული ტექსტისა და უცნობი ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა, თავგადასავლის თხრობა, შემოქმედებითი კარნახი, ტექსტის შედგენა სინონიმების, ანტონიმების, ომონიმების გამოყენებით, ფრაზეოლოგიზმებზე ანდაზებზე, ფრთიან გამოთქმებსა და აფორიზმებზე მუშაობა.

დიდი მოცულობის ნაწარმოებიდან უნდა შევარჩიოთ მოკლე, მაგრამ საინტერესო, აღწერილობითი ხასიათის ეპიზოდები, რომლებშიც ამბები დინამიურად ვითარდება, ან პერსონაჟის თავგადასავალი. მაგ.: „სასახლეში აღზრდა“ (აკაკის „ჩემი თავგადასავლიდან“), „არსენას თავგადასავალი“ („არსენას ლექსი“).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ ნაწარმოებების შინაარსის გადმოცემა, რომელთა ტექსტიც უცნობია მოსწავლეთათვის. ასეთი სახის წერით სამუშაოს წინ უძღვის განსაკუთრებული მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც დაახლოებით ამგვარად წარმართება: 1. მასწავლებლის შესავალი საუბარი აღებული ტექსტის (ან ნაწყვეტის) შინაარსის უკეთ გაგების მიზნით. 2. ტექსტის პირველი წაკითხვა მასწავლებლის მიერ; 3. წაკითხულის აბზაცობრივი გარჩევა, უცნობი სიტყვების განმარტება, სურათებად დაყოფა, გეგმის შედგენა, 4. განმეორებითი წაკითხვა მასწავლებლის მიერ. 5. წერითი მუშაობის ჩატარება. ორი წაკითხვა საკმარისია, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება მესამეც გახდეს საჭირო, რაც დამოკიდებულია ტექსტის სირთულეზე.

თხზულება. თავისუფალ- შემოქმედებითი ხასიათის თხზულება მე-4 კლასიდანვე უნდა დაგნერგოთ და მას საფუძვლად უნდა დაედოს მოსწავლის მიერ ნანახი და განცდილი ამბები, ან რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვისაგან მიღებული შთაბეჭდილებები.

მე-4 -მე-5 კლასებში თხზულების საორიენტაციო თემებად შეიძლება გამოვიყენოთ: 1. ჩემი მეგობარი, 2. შეხვედრა ცნობილ ადამიანთან, 3. ექსკურსიის შთაბეჭდილებები, 4. ჩემი ქალაქი ან სოფელი, 5. წერილი დედას, 6. პროფესია, რომელიც მსურს მივიღო, 7. ჩემი პირველი მოგზაურობა, 8. ჩემი საყვარელი მწერალი, ნაწარმოები, პერსონაჟი და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წერითი ნაშრომების გასწორებას, ტიპური შეცდომების კლასიფიკაციასა და ანალიზს.

ნაშრომის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: როგორ არის მოსწავლის მიერ გაგებული თხზულების თემა, ფლობს თუ არა ტექსტუალურ მასალას, სწორად ავითარებს თუ არა შინაარსობრივ მხარეს, რამდენად ამჟღავნებს გრამატიკული ნორმების ცოდნას, ლექსიკური მარაგის სიუხვეს და რა სახის შეცდომები აქვს დაშვებული.

თითოეული შეცდომა უნდა განალიზდეს კლასში. მასწავლებელმა უნდა დააღაგოს შეცდომები თემატიკის მიხედვით. საერთოა ისინი მოსწავლეთა უმეტესობისათვის, თუ ინდივიდუალურია. დაფაზე უნდა დაიხაზოს გრაფა შეცდომების ჩამონათვალით. მოსწავლეებს, ა უნდა შეძლონ სწორი ფორმების მოძებნა და საჯაროდ გასწორება. მითითება იმისა, ესა თუ ეს ის შეცდომა კონკრეტულად ვინ დაუშვა, არ არის საჭირო.

ის ფაქტი, რომ თანამედროვე სკოლაში ცალკე საგნად არ ისწავლება ქართული ენის გრამატიკა, განაპირობებს ენობრივი შეცდომების სიჭარბეს. აუცილებელია როგორც ამ საკითხის უცილობელი მოგვარება, ისე სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო ფართოდ დანერგვა, ინტელექტუალური თამაშობებისა და კვლევა-ძიებითი მუშაობის, შემეცნებით პროცესების გააქტიურება. მზადყოფნის თვითკონტროლი, ყურადღების მობილიზება, ცოდნის მისაღებად მზადყოფნა.

გასწორების ხერხები

ნაწერის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას როგორ იცის მოსწავლე ტექსტუალური მასალა, რამდენად ამჟღავნებს გრამატიკული წესების ცოდნას, ლექსიკური მარაგის სიუხვეს, დასკვნების გაკეთების უნარს, რა სახის შეცდომებს უშვებს.

გასწორების პირობითი ნიშნები

თუ ნაწერში ორთოგრაფიული ან მორფოლოგიური ხასიათის შეცდომა დაშვებული, არასწორად დაწერილი სიტყვის ქვეშ უნდა გაისვას სწორი ხაზი —, ხოლო გადატანაში დაშვებული შეცდომის ქვეშ პატარა სწორი ხაზი - ; როცა წინადადებაში სტილური შეცდომაა, მთელი წინადადების ქვეშ გაისმება კლანკილი ხაზი ~; სინტაქსური ხასიათის შეცდომა უნდა აღვნიშნოთ მის გასწვრივ, არეზე მოზრდილი კლანკილი ხაზით.

თუ წინადადებაში ფაქტობრივი ან ლოგიკურ შეცდომა დაშვებული, მის გასწვრივ, არეზე, გაკეთდება სწორი ვერტიკალური ხაზი |. თუ სიტყვაში ასოა გამოტოვებული, ან წინადადებაში - სიტყვა, მაშინ გამოტოვებული ასოს ან სიტყვის ნაცვლად გაკეთდება ასეთი ნიშანი ✓ თუ ნაწერში დაშვებულია პუნქტუაციური ხასიათის შეცდომა, ამ უკანასკნელის ქვეშ უნდა გაისვას ორი პატარა სწორი ხაზი =. თუ სიტყვები ცალ-ცალკე უნდა იწერებოდეს, მათ შორის ჩაისმება განკვეთის ნიშანი \perp , ხოლო, თუ პირიქითაა, მაშინ მათ შორის ჩაისმება შეერთების ნიშანი \top .

თუ ნაწერში ისეთი შეცდომა დაშვებული, რომლის სწორი ფორმის ცოდნა პროგრამით არ მოეთხოვება მოსწავლეს, გადაიხაზება არასწორი ფორმა და თავზე დაეწერება მართებული.

თუ აბზაცით წერის წესია დარღვეული დაისმის ნიშანი \textcircled{P} , ხოლო, თუ აბზაცი არაა საჭირო, გაკეთდება ასეთი ნიშანი \textcircled{P}

ნაწერის ბოლოს სასურველია მოკლე ფრაზებით აღვნიშნოთ ნამუშევრების საერთო მაჩვენებელი: „გემიანობა არ ჩანს“, „აზრობრივად დარიბია“, „ფრაზები ჭარბობს“, „ფაქტიური მასალა არ იცი“ და სხვ.

ყოველი დაშვებული შეცდომა აუცილებლად უნდა გასწორდეს მოსწავლის მიერ მორიგი წერითი სამუშაოს წინ. გასწორებისას ყურადღება უნდა მიექცეს კალიგრაფიას.

ლიტერატურა

1. ბასილაია ნ., ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები.თბ.,1976
2. დავითიანი ა., პრაქტიკული ვარჯიშობა ქართულ ენაში,თბილისი,1960
3. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I კრებული,თბ.,1970
4. თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი,თბ.,1968
5. ლიპარტელიანი გრ., წერითი მუშაობის საკითხები დაწყებით კლასებში თბ., 1979
6. ინასარიძე მ.,ნაჭყებია მ.,ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები., თბ., 2006
7. მალლაკელიძე ნ., ქართული ენა და ლიტერატურა მე-5 კლასისათვის (მოსწავლის წიგნი,თბ.,2011)
8. მალლაკელიძე ნ.,ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია - I-VI კლასებში,თბ.,2013
9. ღვინიაძე თ.მეტყველების კულტურის საკითხები. ქუთაისი, 2010

რეზიუმე

ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლასთან მჭიდრო კავშირშია წერითი სამუშაოები, რომელთა შინაარსი ყოველ ახალ საფეხურზე რთულდება.

საკლასო თუ საკონტროლო წერა საშუალებას იძლევა სისტემაში მოვიყვანოთ და აღვრიცხოთ მოსწავლეთა ცოდნა, ავამაღლოთ წერითი მეტყველების კულტურა, გამოვუმუშავოთ მათ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. წერის დროს ბავშვი იძულებულია იაზროვნოს, გამოიყენოს მთელი ლიტერატურულ-გრამატიკული ცოდნა.

წინამდებარე ნაშრომში საუბარია IV-VI კლასებში წერითი სამუშაოების სისტემაზე, მოსალოდნელი შეცდომებზე, მათი წარმოშობის მიზეზებზე, აღმოფხვრის გზებსა და გასწორების მეთოდებზე.

Tamar Gvinianidze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Abstract

Studying works of literary fiction is closely linked with written activities which become increasingly complex at each new stage.

Class work or summative tests allow us to organize and record pupils' knowledge, improve quality of their writing, develop their skills of independent thinking. While writing a pupil has to think, activate all their literary and grammatical knowledge.

This paper discusses a system of writing development activities in IV-VI forms, expected errors, their causes, ways of their elimination and methods of error correction.

თამარ ღვინიაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ნაწარმოების ანალიზის მეთოდები, ხერხები და ელემენტები IV-VI კლასებში

ნაწარმოების ანალიზის ერთ-ერთი ელემენტია თემისა და თემატური საფუძვლის განსაზღვრა. ძირითადი კომპონენტების (პერსონაჟები, ენობრივი სტრუქტურა) გაანალიზებით, შინაარსის გააზრებით მივდივართ იდეის გამოკვეთამდე.

თემის ზუსტად ფორმულირებას გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მოსწავლეთა ყურადღებას თავიდანვე ვამახვილებთ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებზე, რითაც ხელს ვუწყობთ მოსწავლეთა გონებრივ განვითარებასა და აქტივიზაციას.

თემის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა გვქონდეს ორი მომენტი: 1)თემა მოწყვეტილი არ არის კონკრეტული საგნისაგან, მოვლენისაგან, მაგრამ არ განეკუთვნება შეგნების, ცნობიერების სფეროს. თემა ნაწარმოებში საკითხის, პრობლემის დასმა, ნაწარმოები კი ამ პრობლემის, საკითხის გადაჭრა.

2) თემის ზოგადი ფორმულირება ზოგჯერ სრულიადაც არ ამოწურავს ნაწარმოებში დასმულ პრობლემატიკას, ამიტომ აუცილებელია მისი კონკრეტიზაცია, საკითხებად დაშლა, თემატიკური საფუძვლის მოხაზვა, რაც დაგეგმვარება სწორად გავარკვიოთ ნაწარმოებში ასახულმოქმედებათადაპერსონაჟთაურთიერთდამოკიდებულება, მიმართულება, დაყენებულ პრობლემათა მოტივირება.

ნაწარმოების ანალიზი მოიცავს სხვა ელემენტებსაც:

1. მოქმედების დრო და ადგილი, 2. მოქმედი პირები და მათი ურთიერთდამოკიდებულება, 3.მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი განვითარება, 4.მწერლის დამოკიდებულება ასახული სინამდვილისადმი, 5. მხატვრული ფორმა და ენობრივ-სტილისტური მხარე.

ყველაფერ ამას მივყავართ ნაწარმოების იდეური შინაარსის გახსნისაკენ.

IV-VI კლასებში მნიშვნელოვანი მომენტი იდეური შინაარსის გახსნისაკენ მიმართული მუშაობის ყოველი ცალკეული მონაკვეთის, საკითხის ანალიზური განხილვა, რასაც თან უნდა ახდეს განმაზოგადებელი დასკვნები, სინთეზური შეჯამებები. ეს ხერხი მოსწავლეებს შესაძლებლობებს აძლევს თანდათანობით განამტკიცონ ნაწარმოების კითხვისა და შინაარსის შესწავლის პროცესში მიღებული შთაბეჭდილებები, უფრო შეგნებულად მიუდგნენ დაყენებული პრობლემების გამორკვევას, იდეური აზრის ათვისებას.

ნაწარმოების მოქმედ პირთა თავგადასავალი, ანუ სახე პერსონაჟებზე მუშაობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი და ეს გასაგებია, რადგან ცხოვრებისეული სინამდვილე სახეთა სისტემის მეშვეობით აისახება მე-4-მე-6 კლასებში ჯერ კიდევ არ გვაქვს შესაძლებლობა მოვახდინოთ პერსონაჟთა ხასიათების ანალიზი, მაგრამ, სამაგიეროდ, მტკიცედ უნდა დავამკვიდროთ ელემენტარული ჩვევები როგორცაა მათი კლასიფიკაცია პირველ და მეორეხარისხოვან, დადებით და უარყოფით პერსონაჟებად, მათ შორის მსგავსება-განსხვავების დადგენა და სხვ.

ასეთ მოსამზადებელ ეტაპად ითვლება თავგადასავალზე მუშაობა, რაც მისაწვდომია მე-4-მე-6 კლასელთათვის. თანაც თავგადასავალი მიჰყვება ნაწარმოების შინაარსს და ბავშვებს არ უჭირთ ამ თანმიმდევრობის დაცვა.

ანალიზისთვის მზადების სახეობა სალექსიკონო მუშაობა, გამომეტყველებითი კითხვა, მწერლისა და პერსონაჟთა ენაზე დაკვირვება. მწერლისა და პერსონაჟის ლექსიკა არ ჰგავს ერთმანეთს. მწერლის ოსტატობა იმაშია, თუ რამდენად ახერხებს იგი მოქმედი პირის მეტყველების თავისუბური მანევრირების გზით სახის ტიპოზაციასა და ინდივიდუალიზაციას მისთვის დამახასიათებელი კოლორიტული ნიშნებით, მის გამოყოფას სხვა მოქმედი პირისაგან.

პერსონაჟის მეტყველების კონკრეტიზაციის გზით მწერალი არა მხოლოდ ნიადაგს ამზადებს მისი დახასიათებისათვის, არამედ ამით ავითარებს ნაწარმოების სიუჟეტს, უფრო ნათლად და მკვეთრად გამოხატავს შინაარსს.

ანალიზისათვის მოსამზადებელი ეტაპია მხატვრული ხერხებისა და საშუალებების (ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, გაპიროვნება და სხვ.) შესახებ არა მარტო ზოგადი განმარტებების მექანიკური განმეორება, არამედ მათი მონახვა ნაწარმოებში და პრაქტიკულად გამოყენება. ანუ აუცილებელია არა მარტო იმის გარკვევა, რომელ პოეტურ ხერხებს იყენებს მწერალი, არამედ იმისიც, თუ რა მიზნით იყენებს და რა ფუნქცია აკისრია მათ ნაწარმოების იდეური შინაარსის გახსნაში.

თანამედროვე მეთოდოლოგიაში ნაწარმოების ანალიზი პრობლემურ-ძიებით სწავლებას ექვემდებარება. ჩვენი მიზანია, არა ცალკეული ფაქტების შეთვისება, არამედ ისეთი სტრუქტურებისა და სისტემების შემეცნება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია იდეებით, თეორიებით, მოსწავლეთა აზროვნების, შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებით. მოსწავლემ უნდა შეძლოს დასვას და გადაჭრას არასტანდარტული პრობლემები, ანუ მოიპოვოს ახალი ცოდნა, ჩამოაყალიბოს მოქმედების ახალი ხერხები საკუთარი გონების გააქტიურების გზით.

მხატვრულ ნაწარმოებში დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით მოსწავლემ თავისუფლად უნდა გამოთქვას თავისი მოსაზრებები, ვერსიები, გაანალიზოს არგუმენტები, მოახდინოს ფაქტებისა და ცნებების, სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნის, ერთმანეთთან დაკავშირება. დასკვნისა და შეფასების გაკეთება უნდა ეყრდნობოდეს საკუთარ არგუმენტაციას.

მოსწავლებისა და მოსწავლის ძიებითი საუბარი უფრო ეფექტურს ხდის მოსწავლეთა დამოუკიდებელ და შემოქმედებით აზროვნებას.

ამრიგად, მხატვრული ნაწარმოების ანალიზი მე-4-მე-6 კლასებში უნდა წარიმართოს პრობლემურ-ძიებითი სწავლების გზით, ანუ სწავლის პროცესისადმი პრობლემური მიდგომით. მიზანი კი შემოქმედებითი აზროვნების ფორმირება, ნაწარმოებზე საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებაა.

ლიტერატურა:

1. ჯინჯიხაძე ლ., ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდოლოგია და ტექნოლოგია. თბ.,2014
2. ჯინჯიხაძე ლ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, თბ.,2012
3. თოფურია აკ., ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია თბ.,1991
4. მალაქელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია I-VI კლასებში. თბ., 2013
5. საყვარელიძე რ., ინტერაქტიური სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები. თბ.,2004

რეზიუმე

IV-VI კლასებში მხატვრული ნაწარმოების ანალიზის მთავარი ელემენტებია თემისა და თემატური საფუძვლის განსაზღვრა, ძირითადი კომპონენტების გაანალიზება, შინაარსის გააზრება, მოქმედების, დროისა და ადგილის განსაზღვრა. მოქმედები პირების ურთიერთდამოკიდებულებაში სწორად გარკვევა, მხატვრულ ფორმისა და ენობრივ-სტილისტური მხარის გაანალიზებით იდეური შინაარსის გახსნა.

თანამედროვე მეთოდოლოგიაში ნაწარმოების ანალიზი პრობლემურ ძიებით სწავლებას ექვემდებარება. უნდა მოხდეს ცალკეული ფაქტების შეთვისება და ისეთი სტრუქტურებისა და სისტემების შემეცნება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია იდეებით, თეორიებით, მოსწავლეთა აზროვნების, შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებით, სწავლების პროცესისადმი პრობლემური მიდგომით.

Tamar Gvinianidze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Abstract

Analysis of literature studied in IV-VI forms includes the following main elements: identifying its theme and thematic basis, analysing the main components, comprehension of the content, determining the place and time of action, understanding relationships between the characters, elaborating the main ideas of the text through the analysis of its artistic form, linguistic and stylistic features.

According to modern methodology the analysis of a literary work is conducted on the basis of problem-based teaching. It enables pupils to understand individual facts, to perceive structures and systems that are interconnected through ideas and theories, to develop their thinking, skills and creative abilities through problems-solving approach to the teaching process.

ლევან ჯინჯიხაძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მხატვრული ნაწარმოების სწავლება დაწყებით კლასებში

დაწყებით კლასებში მრავალფეროვანი შინაარსისა და ჟანრის ნაწარმოებები ისწავლება: მოთხრობები, იგავ-არაკები, იგავები, ზღაპრები, ლექსები, რომელთაც შეიძლება ახლდეს გამოცანები, ანდაზები და აფორიზმები. ამის მიხედვით მხატვრული ნაწარმოებები იყოფა ორ ჟანრად: თხრობითი და ლირიკული.

მხატვრული ნაწარმოების კითხვისას მთავარია მხატვრული სახეების გახსნა, მოვლენათა ასახვის მხატვრული საშუალებების გაცნობიერება. აქ სინამდვილე მხატვრულ სახეებშია განზოგადებული. მწერალი ცხოვრების, სინამდვილის სხვადასხვა მხარეს გვიხატავს არა მეცნიერის სიზუსტითა და სისადავით, არამედ ემოციურად. მხატვრული ნაწარმოების კითხვის პროცესში მოსწავლე ექცევა პოეტური სიტყვის ზემოქმედების ქვეშ. ამ დროს მშვენიერების შეგრძნებასთან ერთად ვითარდება მოსწავლის აზროვნება და მეტყველება, იწრთობა მისი ზნე-ხასიათი. იგი შედის მშვენიერების სამყაროში და მხატვრული სახეებით ეცნობა გარემოს [1; 71].

ჯ. ავალიანის თქმით მხატვრული ნაწარმოები არა მარტო უნდა გაიგოს მოსწავლემ, არამედ ღრმად განიცადოს, სხვანაირად ის ვერ ეზიარება მხატვრული ნაწარმოების იდუმალ სამყაროს. ამ საქმეში კი, როგორც ის მიუთითებს, უდიდესი და მნიშვნელოვანი როლი სხვა კომპონენტებთან ერთად მხატვრულ-გამომეტყველებითმა კითხვამ უნდა შეასრულოს [2; 240].

რ. ლიპარტელიანის განმარტებით, მხატვრული ნაწარმოების სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი მოსწავლეთა სწორი აღზრდაა. ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი მოსწავლეებს მხატვრული სახეებით უჩვენებს ცხოვრების ავსა და კარგს, სიბილწესა და სიდიადეს, ბოროტებასა და სიკეთეს. ამიტომაცაა, რომ ყველაზე მეტად მშობლიური ენის სწავლებისასა და მოსახერხებელი მოსწავლეთა სწორად აღზრდა [3; 119].

მხატვრული ნაწარმოების სწავლების დროს მასწავლებლის მიერ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები: 1. ნაწარმოების მოცულობა, 2. ნაწარმოების ენობრივი სირთულე, 3. სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების სწავლების თავისებურებანი; 4. **დრო**: ნაწარმოებისათვის გამოყოფილი საორიენტაციო დრო ზუსტად უნდა იქნეს დაგეგმილი ისე, რომ კითხვასთან ერთად იგი ტექსტზე მუშაობის სხვა ძირითად მომენტებსაც შეიცავდეს; 5. მოსწავლეთა მომზადების დონე და მათი ფსიქოლოგიური თავისებურებანი [4; 197].

ლიტერატურული ტექსტის სწავლება ითვალისწინებს: 1. შევასწავლოთ მოსწავლეებს სხვადასხვა ჟანრის განსაზღვრული რაოდენობის ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორც ხალხური შემოქმედებიდან, ისე კლასიკური ლიტერატურიდან; 2. ვასწავლოთ ნაწარმოებებში ყველაზე არსებითის დანახვა და გამოყოფა, ნაწარმოების წაკითხვა, გააზრება-გაგება, განსჯა, პრობლემური საკითხების დანახვა, მათი გადაჭრა და ანალიზი; 3. ხელი შევუწყოთ ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მხატვრული ნაწარმოების სწავლებისას აუცილებელია და მნიშვნელოვანი როგორც მწერლის, ასევე პერსონაჟთა ენის გათვალისწინებაც. ენა ეს არის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება, რომელიც ეხმარება მწერალს (მოთხრობელს) ხატოვნად გამოხატოს ნაწარმოების შინაარსი. ასეთი შეიძლება იყოს შეპირისპირება, ეპითეტი, მეტაფორა, გაპროვინცია, ალეგორია, ალიტერაცია, იუმორი, ირონია, კონტრასტი, ჰიპერბოლა. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ჟანრს, ტექსტის თემას, ტექსტის დედააზრს (იდეა), სტილს (მხატვრული, მეცნიერულ-პუბლიცისტური, საქმიანი), ტექსტის სახეს (თხრობითი, აღწერითი, განხილვითი), კომპოზიციას (როგორაა ტექსტი აგებული), კავშირის მიებას (მაგ. ამბავი (შემთხვევა), საიდანაც იწყება მოქმედება მხატვრულ ნაწარმოებში), კულმინაციას (მოქმედების უმაღლეს წერტილამდე განვითარება), კვანძის გახსნას (კონფლიქტის გადაჭრა, ამბავის დასასრული); ფოლკლორს (ხალხური ზღაპრები, ლექსები, სიმღერები, ანდაზები, თქმები, გამოცანები).

იმისათვის, რომ ლიტერატურის გაკვეთილზე მიზანი მიღწევადი გახდეს, საჭიროა გაკეთდეს მხატვრული ნაწარმოების ანალიზური სქემა, რომელიც ზოგადად შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

- ავტორი (მწერალი), პრობლემატიკა, თემა;
- რომელ ჟანრს განეკუთვნება ნაწარმოები;
- მოცემული ნაწარმოების თემა;

- იდეური მიმართულება;
- მთავარი გმირები, მათი როლი ნაწარმოებში, ქმედებები და ქმედების მოტივები;
- მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, მათი კავშირი ერთმანეთთან და მთავარ გმირებთან;
- სიუჟეტი და მისი ელემენტები. მისი როლი ნაწარმოების შინაარსობრივი იდეის გახსნაში;
- კომპოზიცია, მისი კომპონენტები და როლი იდეის გახსნაში;
- მწერლისა და პერსონაჟების ენა;
- ნაწარმოების ესთეტიკურ-აღმზრდელობითი ფასეულობების წარმოჩენა მკითხველის (მოსწავლის) მიერ, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.


მხატვრული ნაწარმოების გეგმა შეიძლება გვექნდეს ასეთი, სადაც მოსწავლეებმა უნდა

- განსაზღვრონ ნაწარმოების ჟანრობრივი სახე;
- დაადგინონ ნაწარმოების თემა;
- განსაზღვრონ ტექსტის სახე (აღწერითი, თხრობითი, განხილვითი);
- აღადგინონ სიუჟეტი - კვანძის გახსნა, კულმინაცია, ანალიზი.
- ისაუბრონ ტექსტის კომპოზიციურ თავისებურებებზე;
- გააკეთონ მხატვრულ სახეთა აღწერა - პორტრეტი, ქმედებები, მეტყველება, დამოკიდებულება;
- გააკეთონ მწერლის სტილის ანალიზი - ჰიპერბოლა, კონტრასტი, ეპითეტი, მეტაფორა,

შეპირისპირება, გაპიროვნება.

- დასკვნის გამოტანა


აქედან გამომდინარე შესაძლებელია გაკეთდეს პერსონაჟის მოქმედების ანალიზური სქემაც:



ნაწარმოების პერსონაჟთა შესახებ მსჯელობის გეგმა შეიძლება ასეთი იყოს:

- ისაუბრე იმ პერსონაჟის შესახებ, რომელიც უფრო მოგეწონა (ყველაზე უფრო მომეწონა, ყველაზე უფრო დამამახსოვრდა, საინტერესო იყო, ალტაცებული ვარ, ძალიან არ მომეწონა).
- აღწერე პერსონაჟის გარეგნული მხარე (სახე, ტასაცმელი, ქცევის მანერა).
- გაიხსენე, ყველაზე უფრო კარგად მოთხრობის რომელ ნაწილში ჩანს მოქმედი პირის მახასიათებელი თვისებები.
- ჩამოთვალე იმ პირის ძირითადი მახასიათებლები, რომელიც მოგწონს (არ მოგწონს).
- ისაუბრე მთავარი პერსონაჟის დამოკიდებულების შესახებ სხვა მოქმედ პირებთან დაკავშირებით.
- დაასახელე სხვა ნაწარმოებთა პერსონაჟები, რომლებიც ახლოს დგას შენს მიერ მოწონებულ პერსონაჟთან.
- მოიფიქრე და ისაუბრე რაში გინდა (არ გინდა) დაემსგავსო მოცემულ პერსონაჟს.
- გაიხსენე, რომელი ანდაზა, თქმა ან ფრაზა მოუხდებოდა ამა თუ იმ პერსონაჟს.
- შენ რომ მხატვარი იყო, რომელ მომენტს გამოიყენებდი სასურველი გმირის აღსაწერად, როგორი იქნებოდა მისი სახის გამომეტყველება.

იმისათვის, რომ შევძლოთ გეგმის წარმატებით განხორციელება გაკვეთილზე, სასურველია, მოსწავლეთა დახმარებით ავაგოთ მოთხრობის სქემა:



1. რითი იწყება ისტორია? (კავშირის ძიება)
2. როგორ გაგრძელდება ისტორია? (მოქმედების განვითარება)
3. რომელია ყველაზე უფრო მწვავე მომენტი? (კულმინაცია)
4. როგორ ხდება კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრა? (კვანძის გახსნა)
5. როგორ მთავრდება ისტორია? (დასასრული).

ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა სწავლებისადმი, კიდევ უფრო გააუმჯობესებს მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების პოტენციალს.

ლიტერატურა:

1. ნ. მაღლაკელიძე. ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია/დიდაქტიკა. თბ., 2013;
2. ჯ. ავალიანი. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები დაწესებით საფუძვლზე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომები: „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. ქუთაისი, 2012. გვ. 236-241.
3. რ. ლიპარტელიანი. დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიის საკითხები. თბ., 1999;
4. ლ. ჯინჯიხაძე. ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდოლოგია. თბ., 2014.

რეზიუმე

მხატვრული ნაწარმოების სწავლებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია დაწყებით კლასებში, მთავარია რა კუთხით მიუდგება მას პედაგოგი. ამიტომ ტექსტის სწავლების დროს მის მიერ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები: ნაწარმოების მოცულობა; ნაწარმოების ენობრივი სირთულე; სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების სწავლების თავისებურებანი; დრო; მოსწავლეთა მომზადების დონე და მათი ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

ამ მიზნით სტატიაში ახლებური თვალსაზრისით მოცემულია და გაანალიზებული როგორ უნდა შედგეს მხატვრული ნაწარმოების ანალიზური სქემა, ნაწარმოების გეგმა, პერსონაჟის მოქმედების ანალიზური სქემა, ნაწარმოების პერსონაჟთა შესახებ მსჯელობის გეგმა და საბოლოო ჯამში მოთხრობის სქემის აგება, რომელმაც კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

Levan Jinjikhadze

Teaching fiction in Elementary Classes

Summary

Teaching fiction in primary classes is of great significance, though, the most important is how the teacher will approach to this issue. That's why, while teaching the text a teacher should necessarily consider the following factors: volume of the text; linguistic complexity of the text; teaching features of literature work of different genres; time; Pupils' level of training and their psychological characteristics.

For this purpose, a new point of view is given in this article and is analyzed how to create an analytical scheme a fiction, the plan of the text, the analytical scheme of character's action, the plan of discussions about the characters of the fiction and at the end of working to build a scheme of the text, which should further support and develop the pupils' creative and critical thinking skills.

მაღვინა შანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

კითხვის სამფაზიანი გაკვეთილის მოდელი

ახალი მასალის გაცნობისა და ახსნის გაკვეთილები ყოველთვის სამი ნაწილისგან შედგებოდა. ტრადიციული მეთოდის მიხედვით - შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილებისაგან. შესავალი ნაწილი პედაგოგის მინი-ლექცია იყო, სადაც მოსწავლეებს აცნობდა ლიტერატურული ნაწარმოების ავტორს, ბიოგრაფიას, მის ადგილს მწერლობაში, ნაწარმოების თემასა და იდეას. ძირითადი ნაწილი ტექსტის კომენტარულ კითხვას ეთმობოდა. დასკვნითი ნაწილი კი - უშუალოდ დასკვნის გამოტანასა და დავალების მიცემას.

ახალი მასალის ახსნის საგაკვეთილო პროცესი, თანამედროვე მეთოდის მიხედვითაც, სამი ნაწილისაგან შედგება. ამჯერადაც სამფაზიანი მოდელთან გვაქვს საქმე, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავებული მიდგომით - კითხვის დაწყებამდე, კითხვისას და წაკითხვის შემდეგ შესასრულებელი საინტერესო აქტივობებით. ინტერესის ფაქტორს განსაზღვრავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება.

კითხვის სამფაზიანი მოდელის სქემა ასე გამოიყურება:

წაკითხვამდე (მოლოდინების განსაზღვა, გამოწვევა)	კითხვისას (ცოდნის კონსტრუირება)	წაკითხვის შემდეგ (ცოდნის გამთლიანება- განმტკიცება, რეფლექსია)
1. წინარე ცოდნისა და გამოცდილების გახსენება/გააქტიურება; 2. თემისა და მიზნის წარდგენა; 3. მოლოდინების ჩამოყალიბება და თემისადმი ინტერესის სტიმულირება; 4. სამიზნე უნარის/სტრატეგიის მოდელირება ან შეხსენება.	1. ტექსტის წაკითხვა და ინფორმაციის დამუშავება; 2. სამიზნე უნარის/სტრატეგიის გამოყენება-გავარჯიშება; 3. სამიზნე უნარის/სტრატეგიის გამოყენების მონიტორინგი და უკუკავშირი.	1. ახალი ცოდნის სიღრმისეულად გააზრება/განმტკიცება; 2. გავარჯიშებული უნარის/სტრატეგიის გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში; 3. სწავლის პროცესისა და შედეგების შეფასება.

სამფაზიანო მოდელით გაკვეთილის წარმართვა ნებისმიერი ტიპის (მხატვრულისა თუ საინფორმაციო-შემეცნებითის) ტექსტისთვისაა მისაღები.

პირველი, წაკითხვამდე ფაზა

წაკითხვამდე ფაზაზე განხორციელებული აქტივობები მოსწავლეებს დაეხმარებათ ტექსტის კითხვისთვის მომზადებაში - ინტერესის გაღვივების, ცოდნის გააქტიურებისა და პროვოცირების გზით.

პირველ რიგში, მოსწავლის **წინარე ცოდნის გააქტიურება** უნდა მოხდეს. ფსიქოლოგიურად დადასტურებულია, რომ წინარე ცოდნის გააქტიურების გარეშე ტექსტით დაინტერესებისა და გაგება-გააზრების დონე 30%-ია, მოსწავლეთა პროვოცირების შემდეგ იგი 70 %-მდე იზრდება. 40%-იანი ზრდის მაჩვენებელი საუკეთესო მოტივაციაა იმისათვის, რომ ამ აქტივობის სრულყოფილად ჩატარებაზე სერიოზულად იფიქროს პედაგოგმა.

I აქტივობა - წინარე ცოდნის გააქტიურება - შეიძლება რამდენიმე განსხვავებული მიდგომით, განსხვავებული სტრატეგიებით წარმართოს:

1. „საიდუმლო ყუთში“ მოთავსებული მთავარი პერსონაჟის (თოჯინის, საგნის) ამოცნობითა და მასზე საინტერესო ინფორმაციის მოფიქრება/ გახსენება/ წარმოდგენით;
2. ნახატის (ილუსტრაცია, მოსწავლეთა ნახატები) წარდგენით, მისი აღწერა-განხილვის ან შეჯერების საფუძველზე;
3. ფოტო/ვიდეორგოლი/აუდიოჩანაწერების ჩვენება/მოსმენითა და ძირითადი სათქმელის გამოკვეთით; ნაცნობ ფილმზე საუბრით;
4. გამომწვევი შეკითხვების დასმით;
5. შესწავლილი ზღაპრისა და ლიტერატურული ნაწარმოების შეხსენებით;
6. რეალურ გამოცდილებაზე მინიშნებითა და საკუთარი გამოცდილების გამოყენებით;

7. გონებრივი იერიშით;

8. ტექსტის სათაურსა ან იდეაზე აგებული კროსვორდებით;

9. მოსწავლეთა წინასწარი ინფორმირებით, ზოგჯერ იცოდნენ კიდეც მომავალი გაკვეთილის თემა (მაგრამ არა - ტექსტი), რათა: ა) ფსიქოლოგიურად მოემზადონ მასალის აღსაქმელად, ბ) მოიძიონ დამატებითი რესურსი, გ) ინტერნეტიდან, წიგნებიდან, ოჯახის წევრებისაგან გაიგონ საინტერესო ინფორმაცია, რაც დაეხმარებათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ ახალი საგაკვეთილო მასალის გააზრებაში და ა. შ.

II აქტივობა მნიშვნელოვანია ტექსტთან დაკავშირებული *მოლოდინების (ვარაუდების გამოთქმის აქტივობა)* გამოკვეთა:

1. სახელწოდების (სათაურის) მიხედვით ვარაუდების გამოთქმა - ტექსტის შესაძლო შინაარსთან დაკავშირებით;

2. ყდაზე მოცემული ნახატის მიხედვით ვარაუდებზე საუბარი;

3. ტექსტის ილუსტრაციების ჩვენება („ილუსტრაციებში გასეირნება“) და მის საფუძველზე სავარაუდო შინაარსის შემოთავაზება, რომლის გადამოწმება ტექსტის კითხვისას ან წაკითხვის შემდეგ მოხდება.

გამოთქმული ვარაუდები დაფიქსირდება *„ვარაუდების დრუბლებზე“*.

მოლოდინების აქტივობის ჩატარებისას გასათვალისწინებელია აგრეთვე, თუ:

• რა მიზნის მიღწევას ვაპირებთ ამ ტექსტის წაკითხვით? რაში დაგვეხმარება ტექსტი?

• რას გვეუბნება ავტორის ვინაობა და ტექსტის სათაური? სარჩევი, ილუსტრაციები და გამოკვეთილი სიტყვები?

• რომელი ტიპისა(მხატვრული, საინფორმაციო) და ჟანრის (მოთხრობა, ლექსი, იგავ-არაკი, ზღაპარი) ნაწარმოებია? როგორ მიხვდით?

• აღნიშნულ თემაზე რა ინფორმაცია გვაქვს? როგორი ასოციაციები გვიჩნდება?

• რა მოლოდინებია, რა სახის ინფორმაციებს მივიღებთ ამ ტექსტიდან? რა კითხვაზე გაცემს პასუხს ეს წიგნი?

• რატომ დაწერა ავტორმა აღნიშნული ნაწარმოები?

თემისადმი ცნობისმოყვარეობის გამოჩენა და ინტერესის აღძვრა, მოტივაციის შენარჩუნების საინტერესო საშუალებაა. მისაღებია ისიც, რომ ხშირად საგაკვეთილო თემაც მოსწავლეთა ინტერესებოდან გამომდინარე შეირჩეს პედაგოგის მიერ.

წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის *თემასა და მიზანს*. მან უნდა დაუსახოს მოსწავლეებს, თუ რა მიზნით უნდა გაცნონ ტექსტს: ინფორმაციის მოსაძიებლად, შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, საკითხის შესაჯამებლად თუ სხვ. გაცნობიერებული მიზანი დადებით გავლენას ახდენს ბავშვის მოქმედებებზე და შესწავლილი ინფორმაციის დამახსოვრებასაც შეუწყობს ხელს.

ე.ი. მნიშვნელოვანია, ტექსტის შესწავლისას მოსწავლეებს: ა) განუვითარდეთ ტექსტის გაბმული/გამართული კითხვის ჩვევა, ბ) გაუმდიდრდეთ ლექსიკური მარაგი, გ) მოახერხონ ტექსტის გაგება-გააზრება და გაანალიზება, დ) ჩამოყალიბდეთ წერიტი აზროვნების უნარი. ისე უნდა შეირჩეს და ჩამოყალიბდეს აქტივობები და სტრატეგიები ტექსტთან მიმართებით, რომ მათი განხორციელება ამ მიზნების მიღწევას უწყობდეს ხელს.

III აქტივობა ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობას მოიცავს. განსაკუთრებულად რთული ან მნიშვნელოვანი სიტყვების წინასწარ განმარტება იმის საფუძველია, რომ კითხვისას არ შეფერხდებიან სიტყვების განმარტებაზე, გზადაგზა არ შეწყვეტენ ტექსტის კითხვას ბუნდოვანი ლექსიკური ერთეულის განმარტების მიზნით და, შესაბამისად, არც ტექსტის მთლიანობა დაირღვევა.

აქედან გამომდინარე, განსამარტავი ლექსიკური ერთეულები, სირთულის მიხედვით, შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: ა) რთულ სიტყვებად (რომლის ცოდნის გარეშე გაუჭირდებათ ბავშვებს ტექსტის შინაარსის აღქმა), საკვანძო ან მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებად (1-ლი ფაზა) და ბ) ნაკლებად რთულ ლექსიკურ ერთეულებად, რომელსაც მოსწავლეები მეორე ფაზაზე, კითხვისას, მარკირებით ან ფანქრის გასმით გამოკვეთენ და კონტექსტის მიხედვით ადვილად გამოიცნობენ. ამ ფაზაზე პედაგოგმა შეიძლება შეარჩიოს ლექსიკური სქემები: „სიტყვის პირამიდა“, „სიტყვის გამომძიებლის“ სქემა, „სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების რუკა“, „ფრეიერის რუკა“, „ლექსიკური რუკა“, „სიტყვის ცნების რუკა“ და სხვ.

IV აქტივობა. კითხვის დაწყებამდე პედაგოგის მოვალეობაა, მოსწავლეებს განუმარტოს, კითხვის რომელი უნარი ან სტრატეგია უნდა გამოიყენონ ტექსტთან მუშაობის ფაზაზე და როგორ წარმართონ იგი. მასწავლებელი ან სამიზნე სტრატეგიის მოდელირებას წარმოადგენს, ან შეახსენებს ბავშვებს კითხვის პროცესში გამოსაყენებელი სტრატეგიების შესახებ.

მეორე, კითხვის ფაზა

როგორც სქემიდან ჩანს, მეორე ფაზის მიზანია ახალი ცოდნის კონსტრუირება, კითხვის პროცესში მიღებული ინფორმაციის გააზრება და კითხვის უნარების გამოყენებაში ვარჯიში.

I აქტივობა. კითხვის პროცესში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს პედაგოგის საჩვენებელი კითხვა (შესაძლებელია პედაგოგმა გამოიყენოს ჩანაწერი, ცნობილ მსახიობთა მიერ წაკითხული მასალა). შემდეგ, მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები წარმართავენ გამართული, გაწაფული კითხვის მრავალფეროვან აქტივობებს მთელ კლასთან ან მოსწავლეთა ნაწილთან. მაგ.: გუნდური კითხვა, გაგრძელებით კითხვა, შერჩევით კითხვა, გამეორებით კითხვა, წყვილებში კითხვა, გამოკრებით კითხვა, ურთიერთწაკითხვა, მართული კითხვა და სხვ.

II აქტივობა. კითხვისას მიმდინარეობს წაკითხვამდე გამოთქმული ვარაუდების გადამოწმება. ეს შეეხება 1-ლ ფაზაზე ლექსიკური ერთეულების შესატყვისობის დადგენას, აგრეთვე ტექსტის სათაურისა თუ ილუსტრაციების მიხედვით გამოთქმული ვარაუდების შედარებას ტექსტის რეალურ შინაარსთან.

III აქტივობა ფაქტობრივი შეკითხვების (1-ლი და მეორე დონის შეკითხვების) გამოყენების აქტივობაა, რათა გაიაზრონ ტექსტის შინაარსი. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სხვადასხვა შეკითხვების პასუხების ძიება „გამოკრებითი კითხვის“ მეთოდით, რათა კიდევ ერთხელ მიუზრუნდნენ მოსწავლეები ტექსტს.

კითხვისას აუცილებელია იმაზე ყურადღების მიქცევა, რამდენად კარგად ვიაზრებთ წაკითხული ტექსტის შინაარსს:

- რისი გააზრებაა საჭირო ტექსტის დასაწყისში? რამ დაგაინტერესათ?
- რა აზრები გამოგვაქვს წაკითხული აბზაცებიდან ან ტექსტის მონაკვეთებიდან? შევძლებ აბზაცის შინაარსის გადმოცემას და მის შეჯამებას?
- რა შეიძლება დაგვეხმაროს უცნობი სიტყვის/სიტყვების მნიშვნელობის გაგებაში? რას წარმოადგენს კონტექსტი? ხომ არ შეხვდათ ისეთი მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც ტექსტის ძირითადი აზრის გაგებაში დაგვეხმარებათ?
- შევძლებ ყველაზე მნიშვნელოვანი, ძირითადი აზრების ამოცნობასა და წარმოდგენას?
- რა ვარაუდები შეიძლება გაგვიჩნდეს? რა მოხდება შემდეგ? რას ეფუძნება თქვენი მოსაზრება (პაუზებით კითხვისა და ვარაუდების გამოთქმის სტრატეგია)?
- ხომ არ საჭიროებს მოსწავლე ტექსტის მონაკვეთის განმეორებით წაკითხვას შინაარსის უკეთ გააზრების მიზნით?
- რამდენად მნიშვნელოვანია ტექსტის რომელიმე დეტალის წარმოსახვაში გაცოცხლება და დაგვეხმარება მასალის უკეთ გააზრებაში?

IV აქტივობა ტექსტის შინაარსის სირღმისეულად გააზრებისათვის შერჩეული და შეთავაზებული დავალებებია - აქტივობის ბარათების ან სქემების სახით. ეს შეიძლება მოიცავდეს ლექსიკურ ერთეულების ან ტექსტის შინაარსის გააზრებისთვის შერჩეულ ლექსიკურ სქემებს ან/და აქტივობის ან დავალების ბარათებს.

მესამე - წაკითხვის შემდგომი ფაზა

მესამე ფაზაზე ახალი ცოდნის სირღმისეულად გააზრება/განმტკიცება, გავარჯიშებული უნარის/სტრატეგიის გამოყენება მიმდინარეობს. ამ ფაზაზე მუშაობა მთავრდება სწავლის პროცესისა და შედეგების შეფასებით.

I აქტივობა ახალი ცოდნის სირღმისეულად გააზრებას ეთმობა სხვადასხვა დონისა და სირთულის შეკითხვების საფუძველზე. წაკითხულის შესახებ საუბარი, შეკითხვების დასმა, ხშირი დისკუსიები, არგუმენტების გაცვლა, წაკითხული ტექსტის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა ტექსტის გააზრების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. მაგ.:

რა არის ტექსტის მთავარი იდეა და ძირითადი სათქმელი?

რა ზოგადი დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი?

რა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და კანონზომიერებები დაგანახათ ტექსტმა?

- რომელ ტექსტებს (მოვლენას, ფილმებს) დაუკავშირეთ ამ ნაწარმოების შინაარსი?
- რას ფიქრობთ და რაზე მსჯელობის სურვილი გაგიჩნდათ ტექსტის წაკითხვის შემდეგ?
- რა პრობლემა გამოიკვეთა ტექსტში და რა გზებით გადაიჭრა იგი?
- რა ხერხები გამოიყენა ავტორმა სათქმელის გადმოსაცემად?
- რა არის ტექსტის ძირითადი და ზოგადი თემა?
- ამ ტექსტის წაკითხვა ვურჩევდი ვინმეს? რატომ?
- რა მცნებები და იდეები შეიძლება გამოვკვეთოთ?

II აქტივობა. ტექსტის გააზრება-გაანალიზების მიზნით, კითხვა-პასუხის მეთოდის გვერდით, გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების გრაფიკული და ვიზუალური სქემები, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს განივითაროს დამოუკიდებელი აზროვნებისა და ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევები. გრაფიკული მათემატიკის სახეობები: „პერსონაჟის რუკა“, „მოთხრობის რუკა“, „მახასიათებლების ცხრილი“, „ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება“, „5 კითხვა“, „პარალელები - კავშირების დამყარება“, „დროის ღერძი“, „შეგადაროთ მოთხრობები“, „მოვლენების ჯაჭვი“, „კაუჭები“ და სხვ. სიღრმისეულად ხსნიან ტექსტის ძირითად სათქმელს.

III აქტივობა ტექსტთან მუშაობის პროცესისა და შედეგის შეჯამება და შეფასებაა. მონიტორინგი, საჭირო უკუკავშირი, შეჯამება და შეფასება სამფაზიანი მოდელის დასკვნითი ნაწილი და ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა. დამატებითი სტრატეგიების სახით გამოიყენება: გასასვლელი ბილეთები, 3-2-1 და მისი ვარიაციები, ერთწინადადებიანი შეჯამება/რეზიუმე, ერთსიტყვიანი შეჯამება/რეზიუმე.

როგორც ვხედავთ, მესამე ფაზაზე მოსწავლეებს მიეცემათ ახლადშემქმნილი ცოდნის ტრანსფერისა და დემონსტრირების საშუალება. გაკვეთილი შეიძლება დასრულდეს როლური კითხვით, ლექსის, ბარათის, ბუკლეტის, პლაკატის შექმნით ან პრეზენტაციით და ა.შ. მსგავსი ხასიათის სამუშაოები მოსწავლეებისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე ერთფეროვანი სავარჯიშოების შესრულება. ამგვარი შემოქმედებითი მიდგომებითა და დავალებებით ბავშვები გაცილებით უკეთ ითვისებენ მიღებულ ცოდნას და წარუდგენენ კლასს. ამით უძლიერდებათ მოსწავლეებს ავტორისეული თავდაჯერებულობა, სწავლის შინაგანი მოტივაცია და კითხვისადმი დადებითი დამოკიდებულება.


წარმოგიდგინებთ **პირველ კლასის** ანბანის შემდგომი პერიოდისთვის შედგენილ სამფაზიანი გაკვეთილის გეგმას, რომელიც ქუთაისის 30-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა პედაგოგ ქეთევან კაკუშაძის მიერ.

ვ. როდონაიას მიხედვით „ქარიანი დღე“


პირველი ფაზა - წინარე ცოდნის გააქტიურება

„დღის მესიჯის“ სქემის შევსება (ბუნებრივი მოვლენის, ქარის გამოკვეთა);

- მუსიკის მოსმენა (ქარის შრიალის იმიტაცია) და მოსწავლეთა მიერ შესაბამისი მოძრაობების შესრულება (პაწაწიმა ნერგები);
- სლაიდშოუ - „ქარში“;
- „ასოციაციური რუკის“ შექმნა ქარის დამახასიათებელ თავისებურებებზე, ტიპებზე:



- **თემისა** და **მიზნის** წარდგენა;
- წიგნის სახელწოდებისა და ყდაზე მოთავსებული ილუსტრაციის საფუძველზე „**ვარაუდების დრუბელზე**“ მოსწავლეთა მიერ გამოთქმული სავარაუდო შინაარსის დაფიქსირება;
- ტექსტიდან შერჩეულ მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებზე ჯგუფებში „**სიტყვის პირამიდის**“ შევსებაზე მუშაობა (ქარი, ამინდი, ჩაფიქრებული, ამაყად, ფეხის წვერებზე). სქემა პედაგოგის მიერ შეიძლება გამარტივდეს, მოდიფიცირდეს.



პრეზენტაცია.


- კითხვის მნიშვნელოვან სტრატეგიაზე აქცენტირება/შეხსენება.

მეორე - კითხვის ფაზა

- მასწავლებლის სანიმუშო კითხვა (მოსწავლეებისთვის წიგნების დარიგება);
- ტექსტის კითხვა მოსწავლეთა მიერ (მუშაობის ფორმა - ინდივიდუალური, გუნდური, წყვილებად; კითხვის მეთოდები: გაგრძელებით, კომენტირებული, გუნდური, ქოროთი, ექოთი, გამოკრებით);
- გამოთქმული ვარაუდების გადამოწმება. ასოციაციური რუკის შევსება დამატებითი ინფორმაციით.

ფაქტობრივი შეკითხვების დასმა ტექსტის შინაარსის რეალიზებისათვის:

- სად ხდება მოქმედება?
 - ვინ არიან მოთხრობის მოქმედი პირები?
 - როგორი ამინდი იყო?
 - ვინ მიიჩქაროდა შინ?
 - ვინ დაინახა დაჩი?
 - რა დიალოგი გაიმართა გოგონასა და ბიჭს შორის?
 - რა არის დიალოგი?
 - როგორ მოიქცა დაჩი?
 - მოგწონთ მისი გადაწყვეტილება?
- ზეპირად მუშაობა სქემის - „თავიდან - მერე - ბოლოს“ - დახმარებით. ტექსტის შინაარსის რეალიზება და ტექსტის სტრუქტურირება შესავალ, ძირითად და დასკვნით ნაწილებად.




- „დავალების ბარათებით“ მიეწოდებათ არეული სიტყვები ტექსტიდან - წინადადების სტილისტურად/აზრობრივად სწორად დალაგების მიზნით (მუშაობის ფორმა - ინდივიდუალური). წინადადების ბოლოს დასვამენ შესაბამის პუნქტუაციის ნიშანს. შეასრულებენ საკლასო წერის რვეულებში ან დავალების ფურცლებზე:
 - ა. მიიჩქაროდა. შინ. დაჩი.

- ბ. დაინახა. ხესთან. გოგონა. ჩაფიქრებული.
გ. წამართვა. ქუდი. ქარმა.
დ. წვერებზე. დაჩიმ. ფეხის. აიწია. და. ჩამოხსნა. ქუდი.
პრეზენტაცია.

მესამე - კითხვის შემდგომი ფაზა
საანალიზო კითხვები:

- თქვენ როგორ მოიქცეოდით დაჩის ადგილზე?
- თუ ჩამდგარხართ მსგავს სიტუაციაში?
- დაგხმარებიათ ვინმე?
- რამ წარმოქმნა პრობლემა?
- ვინ და როგორ გადაწყვიტა ეს პრობლემა?
- თუ წაგიკითხავთ ან წაუკითხავთ თქვენთვის მსგავსი შინაარსის ნაწარმოები (ნაწარმოებები)?
- რა საერთო აქვს ამ მოთხრობებს ერთმანეთთან?
- რა არის მოთხრობის მთავარი სათქმელი?
- რომელ ანდაზებს გავიხსენებდით სიკეთესა და მეგობრობაზე?
- რატომ უნდა ვიყოთ კეთილები და მეგობრულები?
- თუ გავიკეთებია სიკეთე? რაში გამოიხატებოდა ის?
- რა ყოფილა სიკეთე? მეგობრობა?
- მასწავლებლის კომენტარი.
- პედაგოგი კლასს წარუდგენს „**პერსონაჟის რუკის**“ მოდიფიცირებულ, გამარტივებულ ვარიანტს და გააცნობს მასზე მუშაობის წესს. შემდეგ გადაანაწილებს ჯგუფებში შესავსებად პერსონაჟებს, დაჩისა და გოგონას. გამოკვეთენ რამდენიმე სახასიათო შტრიხს, შეარჩევენ სხვადასხვა ვარიანტებს და ჯგუფებში შეავსებენ სქემებს მასწავლებლის მიერ მიწოდებულ თაბახის ფურცელზე:



პრეზენტაცია.

- ტექსტზე მუშაობის შედეგების გამოვლენა, შეფასება და შეჯამება;
- დავალებად მიეცემათ მოთხრობა წასაკითხად და დავალება შერჩევით: ა) 2-3 წინადადებით გააგრძელონ და დაწერონ განსხვავებული დასასრული, ბ) დახატონ მთავარი პერსონაჟები ან რომელიმე სიუჟეტი, გ) ამოიწერონ რვეულებში დაჩის სიკეთის მაჩვენებელი წინადადება.

როგორც გამოიკვეთა, გაკვეთილის სამფაზიანი მოდელით ტექსტის შესწავლა ეყრდნობა წაკითხვამდე, კითხვისას და წაკითხვის შემდეგ შერჩეულ და დაგეგმილ აქტივობებს. შრომაში ყურადღება გამახვილებული თითოეული ფაზის ფუნქციასა და დანიშნულებაზე, მითითებულია სავარაუდო აქტივობები, ჩამოყალიბებულია შეკითხვათა ტიპები, შერჩეულია სააზროვნო სქემები და საკლასო დავალებები. შრომას ახლავს 1-ლ კლასში, ანბანისშემდგომ პერიოდში, სამფაზიანი მოდელით ჩატარებული გაკვეთილის ნიმუში.

კითხვის გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი ორიენტირებულია მოსწავლეზე და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა: ტექსტის გაწაფული/გამართული კითხვა, გაგება-გააზრება და გაანალიზება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება და წერიტი აზროვნების განვითარება.

ლიტერატურა

1. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები), USAID / G-PriEd - საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, თბილისი, 2016

Malvina Shanidze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Model of three- phase lesson

R e s u m e

Working on the model of three- phase lesson is based on selected and planned activities done before, during and after reading. Work is about functions, destinations of each phase and estimated activities; reading types, selected charts and classroom assignments is also mentioned in it. The first class lessons which contains three-phase model activities.

Three-phase model of reading lesson is focused on the pupil and promotes the developement of skills such as: text reading, analysing of vocabulary and written thinking.

ლელა ებგვერაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

არსებითი სახელის რაობისა და შინაარსობრივი ჯგუფების სწავლების შესახებ

ქართული ენის ფონეტიკა-ლექსიკოლოგიისა და გრამატიკის საკითხების გაცნობა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სასკოლო სწავლების საფეხურზე დაგეგმილი. ეროვნული გამოცდების მოთხოვნების მიხედვით, აბიტურიენტს მოეთხოვება იცნობდეს ქართული ენის ფონეტიკას, ლექსიკურ თავისებურებებსა და გრამატიკულ სტრუქტურას და იყენებდეს ცოდნას პრაქტიკაში.

ბაკალავრიატის საფეხურზე ქართული ენის კურსის შესწავლისას შესასწავლი საკითხების ჩამონათვალის დონეზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ კურსი იმეორებს სასკოლო პროგრამას. ეს ნაკლებ ეხება წმინდა ფილოლოგიური განხრის პროგრამებს, სადაც მნიშვნელოვანი როლი ეთმობა ქართული ენის საკითხების შესწავლის ისტორიას. მაგრამ პრობლემა იკვეთება მასწავლებლის განათლების საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში, რომლებშიც ქართული ენის შესწავლის ისტორიის საკითხები და ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით მეცნიერებაში არსებული განსხვავებული შეხედულებები ფაქტობრივად არ განიხილება. საგნის სწავლება შემოიფარგლება ნორმატიული გრამატიკით.

რა თქმა უნდა, სწავლების განსხვავებულ საფეხურზე განსხვავდება საკითხის განხილვის მოცულობა და სიღრმე. ამასთან, საბაკალავრო კურსის ფარგლებში ქართული ენის კურსი უფრო სისტემურად არის წარმოდგენილი. მაგრამ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, საკმაოდ რთულია თავიდან ავიცილოთ შინაარსისა და მოცულობის სრული თანხვედრა სასკოლო კურსთან. პირველ რიგში, ეს ეხება არსებითი სახელის სწავლებას.

ძირითადი მეტყველების ნაწილების სწავლება დაწყებითი სკოლის ეტაპზე იწყება. კითხვის დასმის ხერხით არსებითი სახელთა იდენტიფიკაციას ბავშვი მეორე კლასიდან სწავლობს. სასკოლო სწავლების სხვადასხვა საფეხურზე დაგეგმილი არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფებისა და გრამატიკული კატეგორიების სწავლება. ერთი შეხედვით, ეს საკითხები განსაკუთრებული სირთულით არ გამოირჩევა და, ფაქტობრივად, სკოლაში სრულად ისწავლება, რაც ართულებს ბაკალავრიატის კურსის ფარგლებში მათი შინაარსისა და მოცულობის გაღრმავება-გაფართოებას. მაგრამ შესაბამისი მიდგომის შემთხვევაში შესაძლებლად მიგვაჩნია არსებითი სახელის სწავლება საინტერესო და განსხვავებული ფორმით წარმართოთ.

მოცემულ სტატიაში გვინდა შევხვით არსებითი სახელის რაობისა და შინაარსობრივი ჯგუფების სწავლებას.

ბაკალავრიატის საფეხურზე არსებითი სახელის რაობისა და შინაარსობრივი ჯგუფების სწავლებისას საკითხის გაშუქება არ უნდა შემოიფარგლოს არსებითი სახელის ნიშან-თვისებათა, გრამატიკული და შინაარსობრივი მახასიათებლების, ჩამოთვლა-აღწერით. უნდა ვეცადოთ სტუდენტებს დავანახოთ საკითხის არსი, გამოვააშკარავოთ ის დაფარული წინააღმდეგობანი, რაც სახელმძღვანელოებში გვხვდება, დავანახოთ ენობრივი სისტემის შინაგანი ლოგიკა.

პირველი საკითხი, რომელიც შეგვიძლია მსჯელობის საგნად ვაქციოთ არის არსებითი სახელის დეფინიცია: „არსებითი სახელი არის მეტყველების ნაწილი რომელიც აღნიშნავს საგანს. გრამატიკაში საგანი არის ყველაფერი, რასაც დაესმის კითხვა: ვინ? ან რა? ...მისი ძირითადი ნიშანი საგნობრიობის გამოხატვაა“ (ლ.კვაჭ.116); „ტერმინი არსებითი სახელი წარმომდგარია იქიდან, რომ დიდი ნაწილი არსებითისა ისეთ რაიმეს აღნიშნავს, რაც რეალურად არსებობს. მაგრამ ეს ტერმინი პირობითია, თუ იგი ჰქვია რეალურად არარსებულს“ (ჟ. ფეიქ. 19).

ამ განმარტებებში წარმოდგენილი ცნებები - საგანი და საგნობრიობა - ამკარად მოითხოვს დაზუსტებას. პირველ რიგში, კითხვის დასმის ხერხით არსებითი სახელების იდენტიფიკაციის უნარის გამოყენებით სტუდენტებს ნათლად უნდა დავანახოთ, რომ არსებითი სახელთა რიგში განხილულ სიტყვათა მიერ აღნიშნული ობიექტები ხშირად მოკლებულია საგნობრიობას ამ ცნების არაენათმეცნიერული გაგებით. განსაკუთრებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მიზნით ეგრეთწოდებული მოქმედების სახელების (საწყისების) გამოყენება. ისეთი სიტყვების, როგორებიცაა - სირბილი, სიარული, სიცილი, ტირილი, ჯდომა, დგომა - არასაგნობრიობა, განსაკუთრებით ნათელია. რა თქმა უნდა, მათთან ერთად უნდა დავასახელოთ აბსტრაქტულ სახელთა მაგალითებიც, ფანტასტიკურ და მითოლოგიურ არსებათა სახელებიც.

მოცემული მაგალითების განხილვის კვალობაზე შეგვიძლია დავაზუსტოთ, რომ ენათმეცნიერების ფარგლებში სიტყვა „საგანი“ წარმოადგენს ტერმინს, რომელიც აღნიშნავს ნებისმიერ რეალურად თუ ცნობიერებაში არსებულ ფაქტს (იქნება ეს ფიზიკურად არსებული საგანი, ფანტასტიკური არსება თუ რაიმე მოქმედება), ადამიანის ცნობიერებაში ჩამოყალიბებულ ნებისმიერ ცნებას (სილამაზე, სიმახინჯე...), სხვა სიტყვებით, არსებითი სახელის ფუნქცია ენის ფარგლებში რაიმეს არსებობის ფაქტის აღნიშვნაა: სიტყვით „სკამი“ აღნიშნება რეალურად არსებული საგანი, სიტყვით „ფასკუნჯი“ - ფანტასტიკური არსება, სიტყვა „სიარული“ ასახელებს გარკვეული მოქმედების არსებობას, ხოლო „სილამაზე“ წარმოგვიდგენს თვისებას, როგორც ზოგადად არსებულ ცნებას.

არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფების განხილვისას საინტერესოდ გვესახება იმის წარმოჩენა, რომ ენათმეცნიერების ფარგლებში საგანთა კლასიფიცირების თავისებური პრინციპია გამოყენებული. მაგალითად, სულიერ და უსულო საგნებად დაყოფა არ ემთხვევა არც ბიოლოგიურ და არც რელიგიურ კლასიფიკაციას. სხვა ენებისაგან განსხვავებულია და ქართული ცნობიერების თავისებურებაზე მიუთითებს ვინ? და რა? ჯგუფში საგანთა გადანაწილების პრინციპიც.

მიგვაჩნია, რომ სწავლებისას ყურადღება უნდა დავუთმოთ კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელთა დიფერენცირების საკითხს. განმარტება: კონკრეტულია სახელი, თუ ის აღნიშნავს ისეთ საგანს, რომელსაც ნივთიერი სახე აქვს“ და „აბსტრაქტულია სახელი, თუ ის აღნიშნავს ისეთ გრამატიკულ საგანს, რომელსაც ნივთიერი სახე არ აქვს“ (ლ.119) - აჩენს კითხვას, რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ გარკვეული ჯგუფის სახელები, მაგალითად, ფანტასტიკურ და მითოლოგიურ არსებათა სახელები. თუ საკითხს მხოლოდ ნივთიერ არსებობას დავუკავშირებთ, მაშინ ისინი სხვადასხვა ჯგუფში მოხვდებიან იმისდა მიხედვით, გვჯერა თუ არა მათი არსებობა. რაც მეცნიერული თვალსაზრისით მიუღებელია. ამიტომ უნდა გავცნობიეროთ, რომ ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის, არსებობს თუ არა რეალურად ეს ფანტასტიკური არსება, არამედ ის, რომ ადამიანთა ცნობიერებაში იგი წარმოსახულია მატერიალურად არსებული ფორმით. ამიტომ ისინი კონკრეტულ საგნებად, მათი აღმნიშვნელი სიტყვები კი კონკრეტულ სახელებად უნდა მივიჩნიოთ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისინი „ებ“ სუფიქსის მეშვეობით აწარმოებენ მრავლობითის ფორმებს (ნიმფები, კენტავრები, დევები, ელფები, ღმერთები...). აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ აბსტრაქტული სახელები ძირითადად „-ობა“, „-ება“ სუფიქსებითა და „სი-ე“, „სი-ულ“ ცირკუმფიქსებით ნაწარმოები სიტყვებია. გამონაკლისს, ფაქტობრივად, მხოლოდ მეცნიერებათა და ხელოვნების დარგების სახელწოდებები: მათემატიკა, ფიზიკა, ფილოლოგია, ფონეტიკა, ლექსიკოლოგია, მუსიკა, ფერწერა, ლიტერატურა, მედიცინა...

საკუთარ და საზოგადო სახელებზე მსჯელობისას, იმის გააზრების კვალობაზე, რომ საკუთარი სახელის დანიშნულება სხვა ერთგვარ საგანთაგან ცალკეული საგნების გამოცალკევებაა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საკუთარი სახელი ყოველთვის ერთადერთ უნიკალურ საგანს არ აღნიშნავს. ერთი და იმავე სახელწოდებით ჟურნალ-გაზეთების მრავალი ეგზემპლარი გამოდის წლების განმავლობაში. მაგრამ ნებისმიერი ჟურნალისა თუ გაზეთის სახელწოდების დანიშნულება სხვა ჟურნალ-გაზეთებისაგან ამ გამოცემის გამოცალკევებაა. ერთი და იგივე სახელი შეიძლება მრავალ ადამიანს ერქვას, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სახელის დანიშნულება პიროვნების სხვა ადამიანებისაგან გამოცალკევებაა.

საკუთარ სახელებთან დაკავშირებით ასევე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ სახელებზე, რომლებიც შესიტყვებებით არიან გადმოცემული. ასეთი საკუთარი სახელები გვხვდება გეოგრაფიულ სახელებში (შავი ზღვა, წყნარი ოკეანე, გიბრალტარის სრუტე...), მხატვრული თუ დოკუმენტური შემოქმედების ნებისმიერი ნიმუშის (ლიტერატურულ ნაწარმოებთა, სტატიების, კინოფილმების, ფერწერული ტილოების...), ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებებში (სამი მუშვეტერი; ქეთო და კოტე; სიტყვა და საქმე; ღამის კაფე არლში), დაწესებულებების სახელებში (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ლიტერატურული ნაწარმოებებისა და კინოფილმების შემთხვევაში საკუთარ სახელებად შეიძლება მთელი წინადადებაც კი მოგვევლინოს (გზაზე ერთი კაცი მიდიოდა - ო.ჭილაძე; აწ რაღასა იქმ, პატარა კაცო - ზ.ფალადა).

აბსტრაქტულ სახელებსა და საკუთარ სახელებზე საუბრის დროს აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს მრავლობითი რიცხვის წარმოების საკითხზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სიტყვები (ადამიანის გვარების გარდა) მრავლობითის ფორმებს ვერ აწარმოებენ. ამ კონტექსტში უნდა გამოვკვეთოთ ისეთი საკუთარი სახელები, რომელთა ფუძეც მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგალითად, გეოგრაფიული სახელები: ნატანები, კურსები, ბაგები, ალპები, კარპატები... ასეთივე ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ნებისმიერი მხატვრული თუ დოკუმენტური შემოქმედების ნიმუში

(მზესუმზირები - ვან გოგი, კაზაკები - ლ. ტოლსტოი...) და ვაჩვენოთ, რომ ყველა ამ შემთხვევაში სიტყვა მხოლოდ ერთ საგანს აღნიშნავს.

კრებით სახელებთან დაკავშირებით საჭიროა სტუდენტებს გავაზრებინოთ სხვაობა საგანთა სიმრავლის ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით გამოხატვას შორის. კონკრეტული მაგალითების მეშვეობით ნათელი უნდა გავხადოთ, რომ სიმრავლის გრამატიკული საშუალებით გამოხატვა ხდება აფიქსების მეშვეობით ანუ სახელის მხოლოდითი რიცხვის ფორმაზე სუფიქსის დართვით (ცხენი/ცხენ-ებ-ი; ცხვარი/ცხვრ-ებ-ი, მგელი/მგლ-ებ-ი), ხოლო ლექსიკურ დონეზე გამოხატული სიმრავლის შემთხვევაში სიტყვა მთლიანად გამოხატავს ერთგვარ საგანთა სიმრავლეს და მის ფარგლებში მრავლობითობის მაწარმოებელი აფიქსები არ გამოიყოფა. სიტყვები - რემა, ფარა, ხროვა - გამოხატავს ცხენების, ცხვრებისა და მგლების სიმრავლეს, როგორც ერთ მთლიანობას, და მათ არ მოეპოვება ერთი ცხენის, ცხვრის ან მგლის აღმნიშვნელი მორფოლოგიური ფორმა. აქვე უნდა შევეხოთ გრამატიკული მრავლობითის ფორმებს, რომელთა წარმოების უნარი კრებით სახელებს შესწევთ. სასურველია მივაწოდოთ მაგალითი კონტექსტში, სადაც ეს ფორმები მარტივად და ძალდაუტანებლად აღიქმება. მაგალითად წინადადებაში - ამ **გუნდებს** შორის მატჩი ყოველთვის დაძაბულია - კრებითი სახელის მრავლობითის ფორმით გამოყენება სრულიად ბუნებრივია.

ნივთიერებათა სახელების სპეციფიკაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი დანიშნულება უთვლად საგანთა აღნიშვნაა. თუმცა საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში ხშირია ისეთი შესიტყვებების გამოყენების შემთხვევები, როგორებიცაა - **ორი პური** მომეცი, **ერთი ზეთი** მომაწოდეთ - რაც, ერთი შეხედვით, უგულვებელყოფს ზემოთ მოცემულ თეზას. საკითხის ნათელსაყოფად უნდა ვაჩვენოთ, რომ ნივთიერებათა სახელებით აღნიშნულ საგნებს რეალურად ვითვლით საწყაო ერთეულების მეშვეობით (ერთი **ტომარა** ფქვილი, ორი **ჭიქა** ბრინჯი, სამი **კილოგრამი** შაქარი, ერთი **ქილა** ერბო, ორი **წველა** ყველი, ხუთი **მეტრი** ქსოვილი...). ზემოთ მოცემულ შემთხვევებში რეალური კონტექსტიდან გამომდინარე მეტყველებაში გამოტოვებულია საწყაო ერთეულები: **ბატონი** და **ბოთლი**.

ნივთიერებათა სახელების გრამატიკული მრავლობითის ფორმებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ ფორმათა გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს ერთი და იმავე ნივთიერების სხვადასხვა სახეობასთან: მინერალური წყლები, მშრალი ღვინოები, ეთერზეთები, ნატრიუმის მარილები...

მოქმედების სახელებით აღნიშნულ სიტყვათა ჯგუფის განხილვისას აუცილებელია მათი ზმნებთან კავშირის ხაზგასმა. ქართულ ენაში ეს სიტყვები, ფაქტობრივად, ყოველთვის ზმნისგან არის ნაწარმოები და ნაზმნარ სახელებს, საწყისებს/მასდარებს, წარმოადგენენ. შესაბამისად, მათი განხილვა ხდება ზმნის სწავლების დროსაც. მაგრამ არსებით სახელთა რიგში მათზე მსჯელობის დროს აქცენტი მათ სახელურ თვისებებზე უნდა გადავიტანოთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი აღნიშნავენ სხვადასხვა მოქმედებისა და მდგომარეობის არსებობას (სიცილი, ცეკვა, ხატვა, სიარული, სირბილი, ჯდომა, დგომა, წოლა...), პასუხობენ არსებითი სახელის კითხვებზე, ფორმას იცვლიან ბრუნვების მიხედვით და წინადადების სტრუქტურაში გამოიყენებიან, როგორც არსებითი სახელები. გრამატიკულ ფორმებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, უნდა შევეხოთ მრავლობითის წარმოების საკითხს და აღვნიშნოთ, რომ ეს სიტყვები სახელის გრამატიკულ მრავლობითს არ აწარმოებენ და პოეტურ მეტყველებაში გამოყენებული ისეთი ფორმები, როგორებიცაა - „გულთა ძგერანი“ და „სიმთა ჟღერანი“ - წარმოადგენს პოეტურ ლიცენციას, რომლებიც სალიტერატურო ენის სხვა ფორმების ფარგლებში არ გამოიყენება.

არსებითი სახელის რაობისა და მისი შინაარსობრივი ჯგუფების დეტალურად განხილვის შემდეგ, მიზანშეწონილად მივიჩნევთ დავსვათ კითხვა: არის თუ არა ლოგიკური არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფების მოქცევა მორფოლოგიის ფარგლებში, რომლის შესწავლის ობიექტია სიტყვათა აგებულება, მათი ფორმის ცვლა და არა შინაარსი? რა ფაქტორებით შეიძლება ავხსნათ ეს ფაქტი? ნათელია, ეს კითხვა უმეტესწილად სტუდენტთა შეცბუნებას იწვევს. მაგრამ არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფების კონკრეტული მახასიათებლების შეხსენების, მათი გრამატიკული თავისებურებების მიზანმიმართული აქცენტირების საშუალებით შესაძლებელი ხდება გაკეთდეს დასკვნა, რომ არსებით სახელთა შინაარსობრივი მხარე გავლენას ახდენს მათ გრამატიკულ თვისებებზე, რაც ამართლებს მოცემული საკითხების მორფოლოგიის ფარგლებში შესწავლას.

ლიტერატურა

1. მ. თალაკვაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი, 1959
2. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, I ნაწილი, თბილისი, 1981
3. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1993
4. О. Есперсен, Философия грамматики, Москва, 1958

რეზიუმე

სტატიაში განხილულია არსებითი სახელისა და მისი შინაარსობრივი ჯგუფების სწავლების საკითხი დაწესებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის ქართული ენის კურსის ფარგლებში.

ძირითადი მეტყველების ნაწილების სწავლება დაწესებითი სკოლის ეტაპზე იწყება. კითხვის დასმის ხერხით არსებით სახელთა იდენტიფიკაციას ბავშვი მეორე კლასიდან სწავლობს. სასკოლო სწავლების სხვადასხვა საფეხურზე დაგეგმილი არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფებისა და გრამატიკული კატეგორიების სწავლებაც. ერთი შეხედვით, ეს საკითხები განსაკუთრებული სირთულით არ გამოირჩევა და, ფაქტობრივად, სკოლაში სრულად ისწავლება, რაც ართულებს ბაკალავრიატის კურსის ფარგლებში მათი შინაარსისა და მოცულობის გადრმავება-გაფართოებას. მაგრამ შესაბამისი მიდგომის შემთხვევაში შესაძლებლად მიგვაჩნია არსებითი სახელის სწავლება საინტერესო და განსხვავებული ფორმით წარმართოთ.

ბაკალავრიატის საფეხურზე არსებითი სახელის რაობისა და შინაარსობრივი ჯგუფების სწავლების საკითხის გაშუქება არ უნდა შემოიფარგლოს არსებითი სახელის ნიშან-თვისებათა, გრამატიკული და შინაარსობრივი მახასიათებლების, ჩამოთვლა-აღწერით. უნდა ვეცადოთ სტუდენტებს დავანახოთ საკითხის არსი, გამოვავშვარავოთ ის დაფარული წინააღმდეგობანი, რაც სახელმძღვანელოებში გვხვდება, დავანახოთ ენობრივი სისტემის შინაგანი ლოგიკა.

Lela Edzgeradze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

On the question of teaching noun

Abstract

The article deals with the topic of teaching noun in Georgian language course in universities.

The definition of noun as a part of speech in Georgian linguistics is based on nouns semantic specific and the main classification criteria of this part of speech is its semantic signs, but it is included in morphology, in the part of linguistics which studies words structure and forms.

The article argues the problem of understanding the concept of noun and gives thorough analyses of semantic-grammatical characteristics of noun's semantic groups, suggests certain model of teaching the topic.

The main idea is that in teaching-learning process it is of great importance to make the learner realize how semantic characteristics affect the grammatical signs of nouns.

დავით შავიანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინეზა გაბელაია - ტყეზულის მუნიციპალიტეტის, ორპირის საჯარო სკოლა

აღზრდის ხალხური საშუალებები (ლექსუმური ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

ტრადიციული ხალხური აღზრდის მეთოდების გამოუყენებლობით დამდგარ პრობლემას განვიხილავთ ლექსუმის 2016 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს მოძიებული ზღაპრების („ადამიანი და ღმერთი“, „ორი ძმა“, „მოდალატე ცოლი“, „ორი ქოსატყუილა“, „ბატონი და მოჯამაგირე“) მაგალითზე.

ხალხური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება -**ზღაპარი** ოდითგან იყო სინამდვილესთან ეროვნული კოლორიტით, იდეით, თემატიკით, მოტივებით, სიუჟეტით, ენობრივი თავისებურებით დაკავშირებული, ზოგადი უნარების ფორმირების განმაპირობებელი. ქართული ზღაპრებიც არის ადაპტირების, ცნობიერებასა და ქცევაზე ზემოქმედების, სიყვარულიანი პასუხისმგებლობის, გათვლილი პრაქტიკული და აქტიური ცხოვრების, ეკონომიკური, კულტურულ-რელიგიური მომსახურების უნარის მწვრთნელი, გულგრილი დამოკიდებულების გამობის საშუალება; გვაცნობიერებინებენ იმას, თუ როგორი სოციალური გარემო უნდა შექმნას პიროვნებამ და ამ გარემოს როგორი ნაწილი უნდა იყოს თავად; გასწავლიან მოსალოდნელი რისკების მოგვარების, სტაბილურობის, მოტივაციის, განვითარების უნარის გამომუშავების შესახებ.

ზღაპარი „ადამიანი და ღმერთი“ გვასწავლის სიფრთხილეს, რწმენის აუცილებლობას, მიზნიანობას, საკუთარზე ხაზის არ გასმას, უმადურობის აღმოფხვრას, ნებისყოფის აღზრდის აუცილებლობას. იგი არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვათა მოყვარეობის, უფლის ნების არგარჩევის, ანუ სულიერ უძღვრებაში არ ჩავარდნის უნარის მწვრთნელია.

ეთნოგრაფიული მასალა: „მას შემდეგ რაც ღმერთმა სამყარო შექმნა, ადამიანს აჩუქა ორმოცდაათი წლის სიცოცხლე, ვირს სამოცდათხუთმეტის, მაიმუნს კი ასის. ვირმა ღმერთს კითხვაზე, რატომ გინდა მოგაკლო ოცდახუთი წელი და მივუმატო ადამიანსო, უპასუხა სულ ტვირთი უნდა ვზიდო და მიძიმეო. მაიმუნმა, ამდენ ხანს მაიმუნობით ყველას თავი მოვაძულა და ადამიანი უფრო სასარგებლო საქმეს გააკეთებს სხვებისთვისო. ადამიანმა ითხოვა მოემატებინა ორმოცდაათი წელი, რადგან მეტ სარგებელს მოვიტანო. ღმერთმა თავისუფალი ცხოვრებისთვის, სასიკეთო მადლიანი საქმეების საკეთებლად მაინც საუკუნის ნახევარი დაუტოვა. ვირის და მაიმუნის წლებში გადასვლის შემდეგ ვირივით შრომობს და დაუძღვრებულს მაიმუნობაც ხშირად სჭირდება“.

ორი ძმა: „ჭკვიანი და სუსტი და ძლიერი და უჭკუო ძმებიდან სულელმა გაყოფით წილად რგებული ხარის ტყეში გაყიდვა გადაწყვიტა. ქარისგან ასკილის ღეროების შერხევა მისგან ხარის ყიდვაზე თანხმობად მიიჩნია. ხარი ნადირმა შეჭამა და ასკილის დატეხვამაც ძმას ვერაფერი შედეგი მისცა. ერთხელაც ნანახი ოქროს გაყოფაზე დავა რომ არ მოსვლოდათ „ჩაფარი“ დაისწრეს და გამოჩენილი მოხერხებულობის მიუხედავად (ჭკვიანს თხა დაეკლა და დამარხული ჩაფარისთვის თავზე დაეფარებინა. „ჩაფარის“ სამარხის სანახავად მისულ თანასოფლელებს სულელმა ჰკითხა, თქვენი „ჩაფარი“ რქებიანი ხომ არ იყო - ხაზი ჩვენია) შიშზე, რომ არ გამტყუნებულიყვნენ, სოფლის დატოვება მოუწიათ. ახალ საცხოვრისში მოჯამაგირედ თხების მწყემსად განწყობულმა სულელმა მთელი არვე დახოცა, რატომ ყური არ მომაპყართო. მეპატრონეც ზედ მიაყოლა. ამის შემდეგაც მინიშნების მიუხედავად, სულელი მაინც სახიფათო გზით წავიდა. ახალ პატრონთან ნახა ლამაზი ქალი, რომელიც ძმისთვის მოეწონა. სულელმა ცხრა ძმას უთხრა თქვენი დის სილამაზემ და მისი ჩემი ძმისთვის შერთვის სურვილმა გამაღებინა ჭიშკარი, რომელსაც თქვენ ერთად ძლივს ალებთო. სულელმა ბოლოს ამ პატრონს ღორებისგან შექმის ბედი აწვია და ჭკვიანსა და სუსტ ძმას ცოლად თავის მოწონებული ქალი მოაყვანინა“ (მთხრობელი, ანზორ ახვლედიანი, ივლისი, 2016).

აღნიშნული ზღაპრი მოზარდს, ადამიანს უმუშავებს ქვეცნობიერზე ზეწოლის, ფანტაზიით გამკლავების უნარს. მისი ძირითდი მოტივია არა მხოლოდ კეთილ-ბოროტის დაპირისპირება, არამედ სწავლება ერთობისა; მიგვანიშნებს ყოველმხრივ გამართული სოციალური მოწყობის აუცილებლობაზე; იქიდან გამომდინარე, რომ ზღაპარში იხსენიება თურქულიდან ნებით, თუ უნებლიედ შემოსული - **ჩაფარი**, საინტერესოა კულტურათა გავრცელებულობის თვალსაზრისით. რაც შეეხება ბედნიერ

დასასრულს, მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებით, იგი ზღაპრის აუცილებელი ნაწილი და ფუნქციაა. ზღაპრის ეს „უეცარი გადატრიალება ბავშვის მორალურ განვითარებაში იწვევს წამიერ და უპლიერეს სიხარულს და სურვილს, რომ რელობაშიც ასე ხდებოდეს“.

მოღალატე ცოლი¹ მოგვითხრობს, როგორ ცდილობს მეუღლე მამაკაცი ოჯახის შენარჩუნებას ცოლის ღალატის მიუხედავად. ერთხელაც მორიგი სურვილის შესასრულებლად, არარსებული „თოვლეთური პურის“ ცოლისთვის მოსატანად წასული ქმარი შემხვედრს უთანხმდება და სახლში ბრუნდება შემხვედრის ცხენით, მისივე ტომარაში ჩამჯდარი. მოღალატე ცოლმა დაინახა რა მხედარი ჭიშკართან, მოეწონა და ჩონგურზე დაამღერა:

თოვლეთს ქმარი გავაგზავნე, თოვლეთური პურისთვისო,
ღმერთო იმას ნუ მოიყვან ჩემი კაი სტუმრისთვისო.
მოიაროს ყველაფერი ჩემი ნების გულისთვისო,
იქნებ სახლშიც ვერ დაბრუნდეს ვილოცებ მის სულისთვისო.
ცოლის უსინდისო საქციელზე გაბრაზებული უცნობი², ტომარას ფეხს წაჰკრავს და მიუღუქსავს:
ჩემო ბამბის ტომარაო, გესმის ჩემი თუ არაო?
მე რომ ხმალი მოგაბარე, დაგიქანგდა თუ არაო?

გამწარებულმა ქმარმა მოღალატე ცოლს თავი გააგდებინა“.

მთხრობელის საინტერესო შეგონება: „დღეისათვის გამოვიკითხე მოსახლეობაში და მსგავსი ამბავი არ იცის, ვერც წარმოდგენს ვინმე“ (მთხრობლი, ვ. არჩვაძე. 70 წლის, ჩაწერილია 1980 წ. ნასპერში).

ჩვენი მოსაზრება: ზღაპრის უდიდესი სიბრძნე ქრისტიანობაშია: „არ განიკითხო“. ზღაპრის სათქმელია, ის, რომ ყოველთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო თვითნებური დასჯა. აუცილებელია პატიების აუცილებლობის უნარის ქონა. საინტერესოა, რომ დღეს ერთეულებიც ვერ წარმოდგენენ ღალატის მიუხედავად ოჯახის შენარჩუნებას; რომ უფლება და თავისუფლება დაწერილი, თუ დაუწერიელი კანონით ნაკარნახევის ერთგულებაა და შენი თავისუფლება არ ნიშნავს ჩემი უფლების არ აღიარებას; დაგმობილია სურვილი „დღეს ერთი უნდა, ხვალე სხვა“; „მძულს უგულო სიყვარული, ხვეწნა-კოცნა, მტლამა-მტლუში“. გაჩნდება კითხვა განა იყო ოდესმე მსგავსად, ბოლომდე მოწესრიგებული საზოგადოება. არ იყო და სწორედ დანაშაულებათა აღმოფხვრის სწავლებას ემსახურება ზღაპარი.

¹ ღალატი – მუხთლად მოკლვა ZAB (საბა 1993: 246). არაბული ط /Dalaā „შეცდომა, შეცოდვა, არასწორობა, მცდარობა, დაბნეულობა“ (ლენი 1868: 2282). შდრ.: „არაბ. ღალატ „შეცდომა, დანაშაული“. 1. გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა“ (ქეგლი). ქართულში ამ ძირისგან ნაწარმოებ სიტყვათაგან ფართოდაა გავრცელებული სახელი „მოღალატე“. ქართულ წერილობით ძეგლებში ღალატი ლექსება ფიქსირდება „ვეფხისტყაოსანში“ (735,2), „შაჰ-ნამე I“-ში (2244,1). აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ არც ერთ ტექსტში არაა საბასეული განმარტებით „მუხთლად მოკლვა“. „ღალატი, გაცემა, დანაშაული“ მნიშვნელობები უფიქსირდება ამ ლექსემას სპარსულ ენაში (რუბინჩიკი 1964: 210). არაბიზმია თურქულ (galat) (თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977: 311) და ოსმალურ (2007: 138) ენაშიც „შეცდომა, დანაშაულის“ მნიშვნელობით. 136 სიტყვის სემანტიკა, კერძოდ, „მუხთლად მოკლვა“ ქართულში შეძენილი მნიშვნელობაა. სავარაუდოდ, ეს ლექსემა უშუალო გზით ჩანს დამკვიდრებული ქართულში

² საინტერესოდ გვეჩვენა ლეჩხუმში დადასტურებული ტერმინი „აპეკუნი“. **ეთნოგრაფიული მასალა:** „ბავშვობა არის ხანა, როდესაც ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერი მოვლენა თავის კვალს ტოვებს მასზე. აპეკუნი ქვიოდა ბავშვის თავდებსა და მომვლელს. კაცს, რომელიც გაჭირვებულზე, ქვრივ-ობლებზე ზრუნავდა, პატრონობდა მას. აპეკუნი დედის და მამის მოვალეობას ასრულებდა. იგი ბავშვს ამღვებდა მაგალითს და ამ მაგალითით აჩვენებდა შრომას, ასწავლიდა სამართლიანობას, ახლობლების, თანასოფლელების დახმარებას“.

აპეკუნი არის პირი, რომელიც იცავს ბავშვის ინტერესებს და მისი ამგვარი მოვალეობა გათვალისწინებულია კანონით. კანონიერი მეურვე შეიძლება იყოს მშობელიც, ან სხვა ნებისმიერი პირი – შშობლის მიერ თავისი მოვალეობის სათანადოდ შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=18518>). შდრ.: მეგრულ სამეტყველო ენაში -აპეკუნი მეურვეა. „აპეკუნი ვაპუნს“ - მეურვე არ მყავს (<https://wikisource.org/wiki/a>); ოკრიბულ კილოზეც -აპეკუნი მეურვეა და არა მხოლოდ ბავშვის; იგივეა გურულშიც. „**გლგად უმვილის“ მიხედვით** „მეორე დღეს მოვიდა მამასახლისი, შეადგინა ოქმი, აწერა გოგიას ოჯახის ყოფა-ქონება, დაანიშნა მცხოვრებლებს ობლების -აპეკუნი და ჩააბარა გოგიას დანაშთი...“ (სოფიო იმედაძე არაბული წარმოშობის ლექსიკა საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“, http://doc.atnu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_imedadze.pdf).

მინიშნებაც. მოლაღატე ქალს მეზღაპრე არქმევს ცოლს და არა მეუღლეს.

ზღაპარი **ორი ქოსატყუილა** ასე სრულდება: „ამზობენ ეს ორი კაცი დღესაც დაწანწალებენ სოფელ-სოფელ, ბაქიბუქობენ და ერთმანეთს ამაგრებენ. ვინც სოფელში ცხოვრობს ორივე ერთხელ მაინც ყვოლებათ ნანახი“ (მთხრობელი ვ. ხვადაგიანი.ნასპერი).

ზღაპრით გადმოცემულია ამბავი იმისა, რომ „ტუილს მოკლე ფეხი აქვს“ და იგი გაგდებს ადამიანს სასაცილო მდგომარეობაში; ყველა დროის და ქვეყნის საჭირობოროტო საკითხია ის, რომ ტყუილი სამწუხაროდ დადიოდა და დღესაც დადის სოფელში და უნდა უფროთხილდე მსგავსის დაშვებას. სოფელი სავარაუდოდ ქვეყანას უნდა ნიშნავდეს. „სოფელ-სოფელ“, ანუ მთელ ქვეყანაში.

ბატონი და მოჯამაგირე: მოგვითხრობს ამბავს ბატონის გაცუცურაკებისა ჭკვიანი ქურდის მიერ; რომ ადამიანი თავის ბრიყვობით ყველაფერს დაკარგავს; რომ „ხერხით სურვილს მიაღწევ და სიბრიყვეს დაამარცხებ“; რომ ბოლოს ქურდს, დასაგმობ ქურდობას და ბრიყვსაც უნაგირი ედგმება. საუბარია გეოგრაფიის შესაბამის მეურნეობაზე, რომლის შესახებაც ყველას უნდა სცოდნოდა.

ეთნოგრაფიული მასალა: „ბატონის ცხენების მომპარველი სამი ქურდიდან ერთი მოჯამაგირედ დადგა ბატონთან იმ მიზნით, რომ ცხენის მოპარვა გაადვილდებოდათ. ქურდმა მოჯამაგირემ ბატონი, რომელმაც გააფრთხილა სიფხიზლეზე, რომ მისი ცხენი არავის მოეპარა, გააოცა კითხვებით: „ეკალას წვერს ვინ უთლის და მიწაში ბოლოვს ვინ ღებავსო“? გააოცა და დააჯერა, რომ მას ცხენს ვერავინ მოჰპარავდა. მას შემდეგ რაც ცხენები მოიპარეს, ბატონს დარაჯად დამდგარმა ქურდმა უთხრა - „თავლაში ცხენები აღარ არიან, უნაგირს შენ დაიდგამ, თუ მე დამადგამ აღარ ვიციო“ (მთხრობელი ნ. ბურჯალიანი. ჩაწერილია 1981 წელს.სოფელი ნასპერი).

ბედნიერი დასასრულის გარდა ზღაპრის უმნიშვნელოვანესი კვანძია პრობლემის ფსიქოლოგიური განსაზღვრება, გარემოებების მოულოდნელი ცვლილება და სხვა „სოციალური და მორალური აგენტები“.

დასკვნა: ზღაპარი არის ბავშვის მორალური განვითარების ეფექტური საშუალება. მას გააჩნია განსაკუთრებული ძალა დაარწმუნონ ბავშვები დაუჯერებელი და შეუძლებელი მოვლენების შესაძლებლობაში, აბსტრაქტული მორალური ღირებულებების ქონის აუცილებლობა-უპირატესობაში, ურთიერთ და სხვისადმი პატივისცემაში, საზოგადოებაში სოციალური წესრიგის შენარჩუნების აუცილებლობაში; დარწმუნების და კრიტიკა-თვითკრიტიკის საშუალება ზღაპარი უვითარებს ბავშვს წარმოსახვის უნარს, ფანტაზიას. უყალიბებს მორალურ ფასეულობებს; ბავშვს უვითარდება საკუთრი აზრი, ასხვავებს კარგსა და ცუდს; გვასწავლის, რომ: ძალას მოხერხება სჯობს, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, რომ ერთგულება დიდი განძია, რომ ადამიანს მისი უგნარება და სიხარბე კლავს.

ზღაპრად/გამოგონილად თქმული ნააზრევი, არა მხოლოდ ბავშვთათვის თქმული, ისტორიული გზის მიერ დადასტურებული, ერის ცხოვრებისა და ფსიქიკის გამოხატულებაა. ქართული ზღაპრი ყოველთვის დარჩება მოზარდში მოცემული ეპოქის რთული ცხოვრების თვალის გასწორების ნიჭის ჩამოყალიბების, სწორი ცხოვრების არჩევის საშუალებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ზღაპრების გამოყენება აღზრდის დროს გამართლებულად მიგვაჩნია.

ლიტერატურა

1. სოფიო იმედაძე არაბული წარმოშობის ლექსიკა საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“, http://doc.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_imedadze.pdf
2. თურქულ-რუსული ლექსიკონი 1977
3. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=18518>
4. <https://wikisource.org/wiki/>

რეზიუმე

საკითხს განვიხილავთ დარწმუნების, კრიტიკა-თვითკრიტიკის საშუალება ზღაპრის და ტერმინ „აპეკუნი“-ს მაგალითზე. როგორც ყველა სხვა ზღაპარი, „ადამიანი და ღმერთი“, „ორი ძმა“, „მოღალატე ცოლი“, „ორი ქოსატყუილა“, „ბატონი და მოჯამაგირე-ც“ არაა მხოლოდ საბავშვო, ისინი გამოცდილებად-აგროვილი ადამიანის ნაზრევი, ზღაპრად, ანუ გამოგონილად, კონკრეტული ადრესატის გარეშე არსებული, თქმულია; ისტორიული გზის მიერ დადასტურებული, ამა, თუ იმ ერის ცხოვრებისა და ფსიქიკის გამოხატულებაა. აღზრდის ცხოვრებისგან გამოცდაჩატარებული ის სინამდვილეა, რომელიც გვასწავლის, რომ: ძალას მოხერხება სჯობს, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, ერთგულება დიდი განძია, ადამიანს მისი უგნარება და სიხარბე კლავს და ა.შ.; სინამდვილესთან იდეით, თემატიკით, მოტივით, ბუნებრივ-ეროვნული კოლორიტით გამორჩეული ის ზღაპრებია, რომლებიც გვასწავლიან სიყვარულიანი პასუხისმგებლობის, გონით გათვლილი პრაქტიკული, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, მომსახურების და სხვა საკითხების არჩევას; ნეიტრალობის, გულგრილი დამოკიდებულების გმობას.

გაკეთებულის და გასაკეთებელის შინაარსის და არსის სხვაობიდან გამომდინარე ნებისმიერი ზღაპრით ახალი ეპოქის შვილის აღზრდა (მხოლოდ ზღაპარი არცერთ დროში არ იყო აღზრდის საშუალება-დ. შავიანიძე) დღეს უკვე ძნელია, თუმცა ქართული ზღაპრის დიდი ნაწილი მოზარდში რთული ცხოვრების თვალის გასწორების ნიჭის ჩამოყალიბების, სწორი ცხოვრების არჩევის საშუალებად ყოველთვის დარჩება.

David Shavianidze
Ineza Gabelaia

Upbringing folk remedies (According to ethnographical materials of Letchkhumi)

Question will we be considered on an example of persuasion, self-criticism fairy the term "apekuni" as with all other fairy tale "A Man and the God", "Two Brothers", "betrayed wife", "The liar", "Mr. and hired men", "A Lord and a hired man" are not only for kids, are collected thoughts of experienced human, prodigy might seem fabulous, or fictional are told without the concrete addressee, proved by historic road, expression of the nation's life and psychics. It's the true test of life which teaches that it is better to be dodgy than to have a strength, where is not better, it's better to flee, devotion is a great treasure, greed and reckless kill men and etc; With reality are distinguished with Idea, topics by reason of natural color are those fairies which teach to choose love of responsibility, targeting practical reasoning, active life position, economic, cultural, religious, services and other issues, condemnation of indifferent attitude.

Resulting from difference of currently done and needs to be done content bringing up children by any fairy tale of a new era today is very hard, (Just only a fairy tale in any time was not an opportunity to bring up the children - D. Shavianidze) However, a large part of Georgian fairy has a great role and will always remain as a teacher of choosing the correct way of life and dealing with difficult living.

რუსუდან ფიფია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

გამჭოლი კომპეტენცია წიგნიერება და მისი დანერგვა საუნივერსიტეტო პროგრამებში

ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, რომელშიც წიგნიერება დასახელებულია პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციად. წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ძირითადი, საკვანძო კომპეტენციაა. კითხვისა და წერის უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებას საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ამიტომ, წიგნიერების განვითარებას სათანადო ყურადღება ეთმობა როგორც სკოლამდელ და სასკოლო, ისე სკოლისშემდგომ ასაკში. მრავალ ქვეყანაში ხორციელდება სხვადასხვა პროგრამა იმ მოზარდებისა და ზრდასრულებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით უწიგნურად დარჩენის რისკის წინაშე დგანან.

წიგნიერების განვითარება მრავალმხრივი პროცესია და მასწავლებლის მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს. წიგნიერი გარემოს ორგანიზება, ეფექტური გაკვეთილებისა და თემატური ერთეულების წარმართვა, შესაფერისი რესურსების მოძიება მუდმივ პროფესიულ ზრდას საჭიროებს. ეროვნული სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს განავითაროს მოზარდის ძირითადი სამეტყველო უნარები, შეაყვაროს კითხვა, გამოუმუშავოს ლიტერატურის აღქმისა და გაცნობიერების უნარი. ესგ-ს მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირ-რმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება. ეს მიმართულებები სამ სფეროში ჰპოვებს რეალიზაციას, ესენია: ენა, როგორც ინფორმაციის გაგების, ანალიზისა და შეფასების საშუალება. (ენა საინფორმაციო მიმართულებით), ენის კომუნიკაციური ასპექტები (ზეპირი და წერილობითი არამხატვრული ტექსტები) და ლიტერატურა, როგორც ენის ესთეტიკური გამოვლინება. კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმებმა მწვავედ დააყენა მოსწავლეთა წიგნიერების პრობლემა და კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, რომ კითხვა არის საფუძველი წიგნიერებისა, რომელიც თანამედროვე სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. წიგნიერებით უნდა ვაზიაროთ მოსწავლეები მარადიულ ზოგადკაცობრიულ თუ ეროვნულ ღირებულებებს, განვუვითაროთ პიროვნული ღირსების გრძობა, ჩამოვუყალიბოთ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, ვასწავლოთ სხვისი აზრის პატივისცემა, გავზარდოთ გემოვნებიან მკითხველებად, მსმენელებად. იგი ემსახურება ნაირგვარი წერილობითი ინფორმაციის წაკითხვისა და გამოყენების უნარ - ჩვევების გამომუშავებას; მშობლიურსა და მსოფლიო სიტყვიერ კულტურასთან ზიარებას, მისი შემოქმედებითი ათვისების შესაძლებლობების განვითარებას. მოსწავლე უნდა დაეუფლოს კითხვის ძირითადი სტრატეგიებს და გამოიყენოს, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, კრიტიკული კითხვა, განმარტება და საჭირო შესწორებათა შეტანა. სწავლების ნებისმიერი მეთოდი მაშინაა გამართლებული, თუ ის შედეგზეა ორიენტირებული. წიგნიერების მიზანი და ამოცანები ეროვნული სასწავლო გეგმითა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითაა განსაზღვრული.

მშობლიური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე ემსახურება თვითგამოხატვისათვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სწავლების ყველა ძირითადი - ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის - მიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით სკოლაში ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს - სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს.

ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობამაც მოსწავლე უნდა მოამზადოს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, შემეცნებითი და ყოფითი ტექსტების შექმნის, აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს. მათ უნდა ისწავლონ ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა, ტექსტებში მოცემული საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათი ანალიზი და შეძლონ დამოკიდებულებების (პოზიციისა და შეფასებების) თავისუფლად გამოხატვა.

ახალ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში მრავლად გვაქვს ტექსტის სწორი გაგება-გააზრებისა და წარმატებული მკითხველის აღზრდის ფუნდამენტის ჩაყრაზე ორიენტირებული რეკომენდაციები. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა 2007 წელს გამოაქვეყნა წიგნი „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ სადაც მოცემულია უამრავი სტრატეგია, რომლებიც ემსახურება გაცნობიერებულ სწავლას, ხელს უწყობს აზროვნებას, საკუთარი აზროვნების შესახებ. 2009 წელს გ. ჩხენკელმა, ნ. გორდელაძემ თავიანთ წიგნში „დედაცა მასწავლებლის წიგნი“ გამოაქვეყნეს თამარ ჯაყელის სტა-ტიები, სადაც ნათლად არის დასმული საკითხი „მოსწავლეები კითხულობენ, მაგრამ გაგება უჭირთ“ ამ პრობლემის მოგვარებაში აქტიურად ჩაერთო ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მათ რამდენიმე ნაწილადგამოაქვეყნეს კითხვის ეფექტური მეთოდები, სადაც მოცემულია საუბრობენ ახალ მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ წაკითხულის გააზრებას, სწავლისადმი ინტერესის გაღვივებასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. 2010 წელს განხორციელდა პიტერ ვესტვუდის ცნობილი სახელმძღვანელოს, „როგორ ვასწავლოთ კითხვა“, ქართული გამოცემა, სადაც ცალკე თავი დაეთმო წაკითხულის გააზრების სირ-თულეებს, ამ თავში დეტალურადაა განხილული წაკითხულის სუსტი გააზრების მი-ზეზები, მოცემულია სტრატეგიები და რეკომენდაციები მოსწავლეთა სუსტი მხარეების დასაძლევად. 2011 წელს გამოაქვეყნდა პ.პაპავას და თ. ჭანტურიას წიგნი, „წიგნი-ერების, მათემატიკური წიგნიერებისა და სასიცოცხლო უნარების გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლისათვის“, აქ ცალ-ცალკე განხილულია წიგნიერების პრობლემები, სწავლების მოდელები, კითხვისა და წერის მეთოდები და ა. შ. გამოიყენა ნ. მაჭარაშვილის წიგნი „ეფექტური სწავლების ტექნოლოგიები და სტრატეგიები“, სადაც შემოგვთავაზა სწავლების ის ეფექტური მეთოდები და ხერხები, რომლებიც ხელს უწყობს წაკითხულის უკეთ გააზრებას. წიგნიერების პრობლემებზე მუშაობა კვლავაც გრძელდება გამოსულია ახალი მეთოდური გამოცემები წიგნიერების განვითარების-სთვის. გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა საქართველოში წიგნიერების კვლევის უახლესი მონაცემები სადაც ასახულია როგორც წიგნიერების მდგომარეობის, ასევე ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების კვლევა, 2013 წელს გამოვიდა სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის წიგნიერებაში, აღსანიშნავია ისიც, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, 2014-2015 სასწავლო წლიდან აუცილებელი მოთხოვნაა დაწყებით კლასებში (II-IV კლასები), სადამრიგებლო საათის ფარგლებში, არანაკლებ კვირაში ერთხელ ჩატარდეს კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

- ა) კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;
- ბ) წაკითხულის განხილვა-გააზრებით;
- გ) ანალიზის უნარის განვითარებით;
- დ) მსჯელობის უნარის განვითარებით;
- ე) პრეზენტაციის უნარის განვითარებით;
- ვ) შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

კითხვის გაკვეთილების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს მისი ასაკის შესაფერისი სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრება. ამ მიზნების შესრულებისთვის შეიქმნა დონეებად დაყოფილი საბავშვო წიგნები და მოსწავლის რეგული II-IV კლასებისთვის. იქმნება სახელმძღვანელოები, იწერება სტატიები ელექტრონულ ჟურნალ მასწავლებელში, რომლებშიც მოცემულია რეკომენდაციები, სწავლების ეფექტურად წარმართვის შესახებ.

წიგნიერების ტრადიციული და ახლი სახეების ანალიზი და გამოყენება სწავლის პროცესში, ახალი ხერხები და საშუალებების გამოყენება სახალისოსა და საინტერესოს გახდის მშობლიური ლიტერატურის სწავლების პროცესს და დაეხმარება ქართული ლიტერატურის მასწავლებელს სასწავლო მიზნების განხორციელებაში, გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებაში. მასწავლებლები შემოქმედებითად მიუდგებიან თითოეულ მეთოდს და მოარგებენ მას კონკრეტული კლასის, მოსწავლის საჭიროებებს ლოგიკური, დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვის.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელდა რამდენიმე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს კითხვის მეთოდების დანერგვის მიმართულებით. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მას დაემატა სადამრიგებლო და კითხვის საათები. კითხვის საათი დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა წიგნიერების კომპეტენციის განვითარებაში. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტების მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამებში ცალკე საგნად შევიდა

წიგნიერება და კითხვის სტრატეგიები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე რამდენიმე წელია ისწავლება ეს საგანი. მომავალი მასწავლებლები უფლებიან წიგნიერების განვითარების სხვადასხვა ხერხებსა და მეთოდებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციის აუცილებლობა ზუსტად აისახა სასწავლო პროგრამის სილაბუსში და დაგროვდა გარკვეული გამოცდილება. წიგნიერების განვითარება მრავალმხრივი პროცესია და ის მომავალი მასწავლებლისგან მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს.

წიგნიერი გარემოს ორგანიზება, ეფექტური გაკვეთილებისა და თემატური ერთეულების წარმართვა, შესაფერისი რესურსების მოძიება მუდმივ პროფესიულ ზრდას საჭიროებს, რაც პროფესიაში შესვლისას სწორად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მომავალ მასწავლებელს. მასწავლებლის მომზადების ეროვნულ ცენტრთან ერთად, წიგნიერებისა და კითხვის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი G-PriEd, რომელიც უკვე მეექვსე წელია საქართველოს საჯარო სკოლათა უმრავლესობაში წიგნიერებისა და მათემატიკური წიგნიერების განვითარებაზე ზრუნავს, 2016 წლიდან პროექტმა საქართველოს ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან გააფორმა ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი და მომავალი მასწავლებლებისა და პროფესორისთვის ხელმისაწვდომი გახდა უმდიდრესი რესურსები ორივე მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეიქმნა სილაბუსი წიგნიერებაში, რომელიც ორიენტირებულია ახლებური მიდგომების ცოდნასა და მის უზრუნველყოფაზე სასწავლო რესურსებით. ვფიქრობთ, რომ ეს პროექტი ნამდვილად დაგვეხმარება იმ ხარვეზის გასწორებაში, რაც მასწავლებლის მომზადების პროგრამებსა და სკოლის პედაგოგთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნებში შეინიშნება.

ლიტერატურა

1. პ. ვესტვუდი, როგორ ვასწავლოთ კითხვა, თბ., 2010.
2. ი. კუტალაძე, წიგნიერება, ანგარიში. თბ., 2013.
3. ი. სამსონია, წიგნიერება, მასწავლებლის სახელმძღვანელო, თბ., 2013.
4. კითხვის გაკვეთილები, მოსწავლის რვეული რეკომენდებული ტექსტებით, პროექტის ავტორი მ. ბოჭორიშვილი, თბ., 2015. გვ.5.
5. პ.პაპავა, თ. ჭანტურია, წიგნიერების, მათემატიკურიწიგნიერებისა და სასიცოცხლო უნარების გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის, თბ., 2011. გვ. 9.
6. ეროვნული სასწავლო გეგმა (2012-2016), ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი. www.mes.gov.ge. ბოლო ნახვა 25. 03. 2017.
7. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, , თბ., 2007.
8. გ. ჩხენკელი, ნ. გორდელაძე, დედაენა, მასწავლებლის წიგნი, თბ., 2009.
9. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, კითხვის ეფექტური მეთოდები 2, თბ., 2011.

რეზიუმე

წიგნიერების განვითარება მრავალმხრივი პროცესია და მასწავლებლის მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს. წიგნიერი გარემოს ორგანიზება, ეფექტური გაკვეთილებისა და თემატური ერთეულების წარმართვა, შესაფერისი რესურსების მოძიება მუდმივ პროფესიულ ზრდას საჭიროებს. ეროვნული სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს განა-ვითაროს მოზარდის ძირითადი სამეტყველო უნარები, შეაყვაროს კითხვა, გამოუმუშავოს ლიტერატურის აღქმისა და გაცნობიერების უნარი.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მას დაემატა სადამრიგებლო და კითხვის საათები. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტების მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამებში ცალკე საგნად შევიდა წიგნიერება და კითხვის სტრატეგიები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე რამდენიმე წელია ისწავლება ეს საგანი. მომავალი მასწავლებლები ეუფლებიან წიგნიერების განვითარების სხვადასხვა ხერხებსა და მეთოდებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციის აუცილებლობა ზუსტად აისახა სასწავლო პროგრამის სილაბუსში და დაგროვდა გარკვეული გამოცდილება. წიგნიერი გარემოს ორგანიზება, ეფექტური გაკვეთილებისა და თემა-ტური ერთეულების წარმართვა, შესაფერისი რესურსების მოძიება მუდმივ პროფესიულ ზრდას საჭიროებს, რაც პროფესიაში შესვლისას სწორად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მომავალ მასწავლებელს.

Rusudan Pipia - Associate Professor of Sokhumi State University

Competence through literacy and its inculcation in the university programmes

Literacy development is a varied process and demands of teachers' high level competence. Literacy environment organization, effective lessons, topical (thematic) units demand the professional growth. The aim of National Educational Programme is to develop speech abilities among young generations, love of reading, literary perception.

National Educational Programme has been changed a little and reading, tutor hours have been added.

In Bachelor's degree programmes the following subjects Literacy and Reading Strategies have been added separately. In Education Faculty of Sokhumi State University those subjects have been studied several years. Our future teachers are specialiting in literacy development with certain ways and methods. All the given methods are depicted in the educational curriculum. It is necessary to enlarge professional skills and look for resources constantly.

ნინო ხანთაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასწავლებელი

სწორად შერჩეული კლასგარეშე ლიტერატურის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

სტატიაში მინდა ვისაუბრო სასწავლო პროცესში კლასგარეშე ლიტერატურის არსებობის აუცილებლობაზე. წინა წლების კვლევამ აჩვენა, ქართველ ბავშვებს წიგნიერების კუთხით საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ და ეს დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება.

რა არის პრობლემის მთავარი მიზეზი? პედაგოგები და ლიტერატურასთან დაახლოებული ადამიანები თანხმდებიან, რომ ბავშვს კითხვა გარემომ უნდა შეაყვაროს, გარემომ, რომელშიც კითხულობენ. კითხვის უნარის შეძენისთვის სკოლა და ოჯახური გარემო ერთნაირად მნიშვნელოვანია.

მასწავლებელმა სწორად უნდა შეაჩიოს ლიტერატურა და მეთოდები, რომელსაც გამოიყენებს ეფექტურად კითხვისთვის. მან უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა ეტაპობრივად, რათა დაეხმაროს კითხვის შეყვარებაში. მშობლებს კი შვილებისთვის ასაკის შესაბამისი ლიტერატურის შერჩევაში.

სასურველია მშობელი იყოს ბავშვისთვის მაგალითი წიგნის კითხვაში. როდესაც ბავშვი საკუთარ მშობელს ამ მდგომარეობაში ხშირად ხედავს, ეს მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ შემთხვევაში მასწავლებლისთვისაც ბევრად უფრო ადვილია საბოლოო შედეგის მიღწევა. ასევე, მშობლების მხრიდან, არ უნდა იყოს დაშვებული დასჯის იმ მეთოდის გამოყენება, სადაც მთავარი ბერკეტი წიგნია. მაგალითად, რაიმე სურვილის შესრულების სანაცვლოდ წიგნის წაკითხვა და ა.შ.

წიგნიერების კუთხით გამოვლენილი პრობლემის გადასაჭრელად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებები შეიტანა და დაწყებით კლასებში „კითხვის საათი“ დაწესდა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეებში გააზრებული კითხვის უნარების განვითარების ხელშეწყობას. „კითხვის საათი“ მოსწავლეებმა სხვადასხვა ლიტერატურის კითხვასა და გააზრებას უნდა დაუთმონ. წიგნის კითხვით დაინტერესება მისი წიგნთან შეხების პირველივე დღიდან უნდა იწყებოდეს.

სასწავლო გეგმაში შეტანილია სახელმძღვანელო „წიგნის სამყარო“, რომელიც დაწყებითი სწავლების ყველა დონისთვისაა გამოცემული. კითხვის საათისთვის გამოყოფილია ერთი საათი, მაგრამ ეს დრო ვერ იქნება საკმარისი შედეგის მისაღწევად და არც მარტო სასწავლო გეგმაში შეტანილი სახელმძღვანელოთი უნდა შემოიფარგლოს მასწავლებელი მით უფრო, სასწავლო გეგმა საკითხავი მასალის შერჩევაში მათ არ ზღუდავთ. შეუძლიათ, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მწერლების ნაწარმოებები დაიხმარონ. ორიგინალ ტექსტებთან ერთად, ნათარგმნი ლიტერატურა უზრუნველყოფს პატარებისთვის წიგნის, მხატვრული ლიტერატურის კითხვის შეყვარებას.

მასწავლებელმა საკუთარი ინიციატივით სწორად უნდა შეარჩიოს სხვადასხვა ნაწარმოებები და მოსწავლეები დაარწმუნოს, თუ რატომ უნდა წაიკითხოს ესა თუ ის წიგნი. მოტივაციისთვის აუცილებელია, ვიდრე ბავშვს კონკრეტული წიგნის წაკითხვას შესთავაზებს, ჯერ გააცნოს ინფორმაცია მის შესახებ და გაუღრმავოს ნაწარმოების წაკითხვის სურვილი. პედაგოგს სავალდებულოა წაკითხული ჰქონდეს ყველა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა (მათ შორის თანამედროვე), რადგან იგი მზად იყოს მოსწავლეების დასახმარებლად და წიგნის სწორად შესარჩევად.

კარგია, როცა ბავშვი კითხვას პატარა ასაკიდან ეჩვევა. თუმცა აუცილებელია სწორად შერჩეული აქტივობები იყოს გამოყენებული. პედაგოგმა ბავშვებს უნდა შეაყვაროს აზროვნება და არა თავს მოახვიოს საკუთარი აზრი. ის უნდა შეეცადოს შეარჩიოს მაქსიმალურად მარტივი და ასაკობრივი სემანტიკის შესაფერისი მასალა. პირველ ეტაპზე სასურველია ისწავლებოდეს ისეთი ტექსტები, სადაც მეტია სიუჟეტი და დინამიკა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს გადასვლა მაღალ ლიტერატურაზე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვი აღიქვამდეს წასაკითხი მასალის მინიმუმ 90%, ყოველგვარი დახმარების გარეშე. რაც უფრო მეტი სიტყვის გააზრება დასჭირდება, მით უფრო ხშირად შეჩერდება კითხვისას, რაც ხელს შეუშლის წაკითხული ისტორიის სრული მნიშვნელობის გაგებას. დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საკითხავი წიგნები უნდა იყოს ილუსტრირებული ფერადად, ბავშვებისთვის გასაგები, სახალისო სურათებით, აწყობილი იყოს კარგად საკითხავი შრიფტით.

რადგან სხვადასხვა ასაკის ბავშვს წიგნის შინაარსის, თემატიკისა და სიდიდის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვს, უნდა გამოიყოს ასაკობრივი კატეგორიები:

7–8 წელი – წიგნები მარტივი შინაარსით და კექსიკით
(მაგ. რ. ინანიშვილის „მოთხრობები“)

9–10 წელი – წიგნები მარტივი შინაარსით და უფრო რთული ლექსიკით.
(მაგ. ნ. დუმბაძის „მოთხრობები“).

ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებელმა არ გაუკრიტიკოს ბავშვს, როდესაც ის რაიმე წიგნს ირჩევს, ინიციატივის მხარდაჭერა აუცილებელია.

სასურველია მასწავლებელმა შეარჩიოს ისეთი ტექსტები, წიგნები, რომლებიც დაუკავშირდება საგაკვეთილო მასალას. კლასგარეშე ლიტერატურის წყალობით მოსწავლეები უკეთესად აითვისებენ პროგრამით განსაზღვრულ მასალას, განუვითარდებათ შეკავშირების, ანალიზის, ფაქტების ქრონოლოგიურად დალაგებისა და ქვეტექსტების ამოკითხვის უნარი. არ მიეჯაჭვებინან მხოლოდ საპროგრამო მასალას.

წიგნის ერთ-ერთი დანიშნულებაა – მისი წაკითხვის შემდეგ პატარებმა დაიჯერონ სამართლიანობის უსამართლობაზე გამარჯვება. მცირე მოცულობის ტექსტებთან ერთად მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს დიდი ზომის წიგნები პატარა მკითხველებისთვის, რომლის წაკითხვისას ბავშვი შეძლებს თავის წარმოსახვას ფრთები შეასხას, შეძლებს საზღვრის გავლენას სიკეთესა და ბოროტებას, სითბოსა და სიცივეს, სიყვარულსა და სიძულვილს შორის, რაც მცირე ასაკში ადამიანებს უჭირთ. სასურველია შეირჩეს წიგნები სადაც იქნება წარმოდგენილი ბავშვური მაქსიმალიზმი, სიჯიუტე, წინდაუხედაობა, სიკეთე, სიხარბე, სიმამაცე და ა.შ. ზოგი სევდიანი (ცრემლს რომ მოგვრის და დაგაფიქრებს), სასაცილო (გვარიანად რომ გაგვახალისებთ), ასევე მწარე მორალით გაჯერებული, ფათერაკიანი თავგადასავლების მოყვარულებიც არ უნდა დაავიწყდეს პედაგოგს.

მასწავლებელი უნდა ესაუბროს ბავშვებს იმ წიგნის შესახებ, რომელსაც კითხულობენ. ეს პროცესი მათ დაეხმარებათ დაიმახსოვრონ და იფიქრონ წიგნის შინაარსზე. დაუსვას კითხვები წაკითხვამდე, კითხვისას და მისი დამთავრების შემდეგ, რომ წახალისოს გააზრებული კითხვის სესია.

სწორად შერჩეული წიგნის წასაკითხად აუცილებელია ასეთივე სწორად შერჩეული აქტივობები და მეთოდები, რომელთა გამოყენებით ბავშვებს საშუალება ექნებათ, როგორც მხატვრული ლიტერატურის, ისე სხვა სახის ტექსტებიდან ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია ერთმანეთისგან გამოიჯიშონ. ასევე გამოიმუშაონ კალონური აზროვნების, ტექსტში მოთხოვნილი მოცემულობის სწორად აღქმის უნარები და ა.შ. სასურველია, პერიოდულად შეირჩეს ტექსტები აუდიო დისკებით. დისკზე ჩაწერილი ტექსტის ბექდური ვერსია მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ. ეს მეთოდი დიდ მრავალფეროვნებას შეიტანს პროცესში. ბავშვს უნდა მივცეთ ხმამაღლა კითხვის უფლება, რაც აიძულებს მას შედარებით ნელი ტემპით წაიკითხოს. ეს გაცილებით მეტ დროს მისცემს წაკითხულის დასამუშავებლად და გასააზრებლად. ამასთანავე, ის სიტყვებს არა მხოლოდ ხედავს, არამედ პარალელურად ისმენს. კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა უნდა დაუსვას წაკითხულის გააზრებაზე ორიენტირებული კითხვები, მოაფიქრებინოს ტექსტის სხვა, ახალი და განსხვავებული დასასრული. პროცესის გასახალისებლად შეიძლება მისცეს დავალება, დახატონ და ამით გადმოსცენ წიგნიდან მიღებული შთაბეჭდილებები. ასევე მოაფიქრებინოს ახალი ისტორიები წიგნის გმირებზე.

დონეების მიხედვით კლასიფიცირებულ საკითხავ მასალათან ერთად, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს დასურათებული ბარათები ტექსტებით, საბავშვო გაზეთები მოსწავლეებისთვის. ფერადად ილუსტრირებული მასალა ეხმარება მოსწავლეებს, განუვითარდეთ წარმოსახვა სხვადასხვა დროში, ადგილისა და კულტურულ გარემოში მოგზაურობისთვის, გზას უხსნის გააზრებულ კითხვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის იდეების აქტიურად გაცვლა-გამოცვლას.

რაც უფრო უშუალო და არაფორმალურ გარემოში ჩაატარებს პედაგოგი ამ გაკვეთილებს, შედეგი მით უფრო უკეთესი ექნება. ფორმატი შეიძლება იყოს როგორც წრეში ბავშვებთან ერთად ჯდომა, ისე ბუნებაში გაყვანა, გარემოს შეცვლა და ა.შ.

რადგან ყველა თანხმდება, რომ კითხვა ადრეული ასაკიდან ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის, ამიტომ პედაგოგმა უნდა შეძლოს, რომ პარატამ სწორად აღიქვას წაკითხული ლიტერატურა და მისი გადამუშავებაც ეფექტურად მოახდინოს. თუ კითხვის პროცესს სხვადასხვა საშუალებით გავახალისებთ, ბავშვებს წიგნს აუცილებლად შევაცვარებთ და თან ძალიან.

ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა
2. კითხვის ეფექტური მეთოდები 1, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
3. კითხვის ეფექტური მეთოდები 2, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015 წ.
4. ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია / დიდაქტიკა (I-IV კლასები) გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2013 წ.
5. პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია, წიგნიერება 2012 წ.

რეზიუმე

ბავშვებში წიგნიერების ამაღლება ძალიან მნიშვნელოვანია მათი განვითარებისა და სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის. ამას ხელი უნდა შეუწყოს როგორც სკოლამ, ისე მშობელმა. სწორად შერჩეული კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, მისი გაცნობისათვის გამოყენებული აქტივობები და მეთოდები უზრუნველყოფს ბავშვის წიგნით დაინტერესებას და წაკითხულის სწორად აღქმას.

Nino Khantadze – Akaki Tsereteli State University, teacher

NECESSITY OF ADDITIONAL LITERATURE IN TEACHING PROCESS

Resume

Raising the Literacy in children is very important for their development and formation as the persons.

It should be supported not only by the school but also by the parent.

Well-chosen additional reading material or additional activities and methods as it's introduction ensure the children's interest in reading and their correct perception.

ესმა ღვინიაძე - ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა, დაწყებითი საფეხურის უფროსი მასწავლებელი

მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების მნიშვნელობა და მისი სწავლება დაწყებით საფეხურზე

დაწყებითი საფეხური მნიშვნელოვანი პერიოდია ბავშვის, როგორც „მოაზროვნე მკითხველის“ ჩამოყალიბებაში. განათლების რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანიც მოაზროვნე, აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებაა, რისთვისაც ზრუნვა, აუცილებლად, სწავლების ადრეული საფეხურიდან უნდა დავიწყოთ. ამისათვის კი მთავარია მოზარდებს, პირველყოფლისა, შევაცვაროთ კითხვა სკოლამდელი ასაკიდან. კერძოდ, სკოლისათვის მოსამზადებელ ჯგუფში უნდა ვეცადოთ პატარებს განვუვითაროთ კითხვის პროცესისათვის აუცილებლად საჭირო უნარი- ნებისყოფა, რადგან, ჩემი აზრით, სწორედ ეს უნარი უწყობს ხელს ადამიანის ჩამოყალიბებას კითხვისა და ლიტერატურის მოყვარულად. ამისათვის აღმზრდელებმა სკოლამდელი განათლების მიზნები კითხვის სიყვარულისა და ამ პროცესისათვის საჭირო ნებისყოფის გამომუშავებისკენ უნდა მიმართონ და ამ მხრივ სერიოზული ნიადაგი მოამზადონ, რათა სკოლაში შესული ბავშვის ნებისყოფა მალევე გადაიზარდოს ქცევაში. მერწმუნეთ, თუ ბავშვის ქცევა პირველი კლასიდანვე ეყრდნობა კითხვის ინტერესს წაკითხულის გაგება-გააზრების პროცესიც მისთვის მარტივი და საინტერესოა, რადგან არ უჭირს სურვილითა და სიყვარულით წაკითხული ტექსტიდან დასკვნების გამოტანა, მსჯელობა, შეფასება და ა.შ.

დღეს ამ მხრივ სამწუხარო რეალობაა. პრაქტიკა გვიჩვენებს რომ დაწყებით კლასებში ყველაზე ძალიან ბავშვებს წაკითხული ტექსტიდან შინაარსის გამოტანა, მისი განზოგადება, ტექსტის იდეისა და მორალურ-ეტიკური პრობლემის გააზრება უძნელდებათ. თუ ვიტყვით რომ „კითხვა გააზრების გარეშე კითხვა არ არის“ (USAID G-praid, სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, თბ.2015, გვ.215), დავამტკიცებთ იმასაც, რომ სკოლას, უმრავლეს შემთხვევაში, კითხვის უცოდინარი ბავშვები ამთავრებენ, რომლებიც პრობლემას მშობელთან ერთადეროვნულ გამოცდებზე ხელმოცარვის შემდეგ აღმოაჩენენ ხოლმე.

პრობლემის დაძლევა სირთულის გამომწვევი მიზეზების განხილვა-აღმოფხვრით უნდა დავიწყოთ.

ხშირ შემთხვევაში დაწყებით საფეხურზე მოსწავლის მიერ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასსამიფაქტორი ამწელებს. ესენია: მოტივაციისა და ნებელობის არქონა; მოსწავლის კითხვის დონესა და ტექსტის კითხვადობას შორის შეუსაბამობა; გაუწავავე კითხვა.

მოსწავლეებმა წაკითხულიდან აზრის გამოტანა რომ შეძლონ უნდა ჰქონდეთ წყნარი და მშვიდი კითხვის ნებისყოფა და მოტივაცია წასაკითხი მასალის თემისა და შინაარსის ინტერესისათვის; უნდა გაიწაფონ კითხვაში, რათარ დახარჯონ ენერგია სიტყვების ამოცნობასა და ე.წ. „გაბგერებაზე“ (სიტყვების ამოცნობის უნარის გაწაფვა-სწრაფი დეკოდირება და მნიშვნელობის მინიჭება, ტექსტის წაკითხვისა და გააზრების ძირეული საყრდენია); და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასწავლებლის დახმარებით უნდა დაძლიონ ტექსტის ლექსიკური, სინტაქსური და კონცეპტუალური სიმძნელები, რათა შეძლოს აზრების გამოტანა და ერთმანეთზე გადაბმა.

ტექსტის გაგება-გააზრებისთვის დაწყებითი კლასის პედაგოგმა უნდა გამოიყენოს ისეთი გააზრების სტრატეგიები, როგორცაა: შეკითხვების დასმა და პასუხების მიება, ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება, შეჯამება, წარმოსახვაში გაცოცხლება და ინსცენირება (პატარების როლურ თამაშში ჩართვა), გაგების მონიტორინგი, და სხვა. ამ ყველაფრის პრაქტიკული გამოყენება კი მასწავლებელმა სამ დონეზე - სიტყვასიტყვითი გაგების, ანალიზისა და დასკვნის გამოტანისა და კრიტიკული შეფასების დონეზე უნდა შეძლოს.

მოსწავლეს წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება რომ გაუადვილდეს ამისათვის აუცილებელია მასწავლებელმა მართებულად დაგეგმოს გაკვეთილი-სწორად შეარჩიოს სწავლების მეთოდები. სწავლების მეთოდების შერჩევას კი უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი, უნდა დაფიქრდეს დაეხმარება თუ არა შერჩეული მეთოდი დასახული მიზნის მიღწევაში, შეესაბამება თუ არა მიზანი აქტივობას, შეესაბამება თუ არა მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობასა და გამოცდილებას. თუ პედაგოგის მიერ ყველა აქტივობა სწორად არის შერჩეული და დაწყებითი განათლების საფეხურზე ქართულის გაკვეთილები მართებულად არის დაგეგმილი (განსაკუთრებით ვგულისხმობთ ახალი ტექსტის გაცნობის პროცესს) და მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში უმაღლდება

მოტივაცია, მას იმთავითვე უღვივდება კითხვის სიყვარული და მთელი ცხოვრება მიჰყვება. კითხვა კი მოზარდს საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობაში ეხმარება დარადგან ადამიანის არსებობის უპირველესი მიზანი საკუთარი თავის შეცნობა-შემეცნება და ამ გზით ცხოვრებისეული საზრისის პოვნაა, მაშინ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა სწორედ ჩვენ გვეკისრება ბავშვის აზროვნების სწორი ფორმირების კუთხით, რათა მან მართებულად შეაფასოს საკუთარი ცხოვრების არსი და სწორად განსაზღვროს მისი, როგორც ინდივიდის ადგილი სამყაროში, სწორად „შეიცნოს თავი“, მიაღწიოს წარმატებას და განიცადოს ბედნიერება.

ახლა კი წარმოგიდგინებ დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე დაგეგმილ კითხვის სამფაზიან, კონსტრუქტივისტულ და ინტერაქტიულ მეთოდებზე დაფუძნებულ გაკვეთილს, რომელიც კითხვისა სხვადასხვა უნარის განვითარებას ისახავს მიზნად. გაკვეთილზე გამოყენებულია სწავლების რამდენიმე, ვფიქრობ, ეფექტური მეთოდი: ვარაუდის რუკა; სიტყვების გამომძიებელი; დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე; ტექსტის წაკითხვა მონიშვნებით; სამი რატომ; შეკითხვების კალეიდოსკოპი; როლური თამაში, მოთხრობის პალიტრა.

გაკვეთილის თემა მხატვრული ტექსტი ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „წიფლისჩიტა“ მესამე კლასის როდონაიას სახელმძღვანელოდან.

გაკვეთილის მიზანი: საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, ვარაუდების გამოთქმა, მხატვრული ტექსტის წაკითხვა-გააზრება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, კითხვის დიფერენცირებული სწავლება, პერსონაჟთა დახასიათება და მათი დახასიათების სრატატეგიების დაუფლება.

პედაგოგმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის საჭიროებები, უნარები და შესაძლებლობები, რათა უკლებლივ ყველა მოსწავლემ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას კითხვის ამა თუ იმ უნარის განვითარების გზაზე.


გაკვეთილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამფაზიანი სტრუქტურა აქვს: წაკითხვამდელი, კითხვისა და წაკითხვის შემდგომი. (ამ ტიპის გაკვეთილის მნიშვნელოვანი დადებითი მახასიათებელიც სწორედ ის არის რომ მას ყველა მოსწავლე მიჰყავს წარმატებამდე, განურჩევლად მათი კითხვის უნარებისა და მოტივაციისა.)

1-ლი ფაზა: წაკითხვამდელი.


ამ ფაზაში ჩემი მიზანია განსახორციელებელი აქტივობებით დავეხმარო მოსწავლეებს მოტივაციის ამაღლებაში, ყურადღების კონცენტრირებაში, მათი გამოცდილების ახალ ცოდნასთან დაკავშირებაში, არსებული ცოდნის შეფასებაში.

მოტივაციის შესაქმნელათა და მოსწავლეებში ინტერესის გამოსაწვევად გაკვეთილს დავიწყებ CD მასალის გამოყენებით - პატარებში ტყის ასოციაციის შექმნის მიზნითჯგუფში გავაჟღერებ წვიმისა და ტყის ფრინველთა „გალობის“ ჩანაწერს. პარალელურად კლასის მართვის პროგრამის საშუალებით ბუკებში ვუჩვენებ ჩემ მიერ გაკეთებულ ფილმს „გადამფრენიფრინველები“, რომელშიც მათი თბილი ქვეყნებიდან დაბრუნების მომენტები იქნება ასახული და შევახსენებ განსხვავებას მოზამთრე და გადამფრენ ფრინველთა არსებობის წესს შორის. ამის შემდეგ ვაჩვენებ „პერსონაჟთა სკივრი“, რომელშიც კოდალას, გუგულის, წიფლისჩიტას ტრიდე სურათები, იის კონა და ჩიტის ბუდე (ვფიქრობ ამ ასაკში ბუნებრივი რესურსის გამოყენება აძლიარებს მოსწავლის ინტერესს საგაკვეთილო მასალისადმი) მექნება მოთავსებული. დასახელებულ მასალას მათი დახმარებით ამოვაწყობ სადემოსტრაციო მაგიდაზე, დავაკვირებ თითოეულ მათგანზე და დაფაზე დავწერ საგაკვეთილო მასალის სათაურს, რომლის ქვემოთგანთავსებული იქნება ჩემ მიერ წინასწარ შედგენილი ვარაუდის ცხრილი:

სათაურის წაკითხვის შემდეგ




ივარაუდე,რაზე შეიძლება იყოს ეს მოთხრობა.




რატომ ღირს ამ მოთხრობის წაკითხვა.


მოთხრობის წაკითხვის შემდეგ



გამართლდა შენი ვარაუდი?



რატომ?



მოუფიქრე ამმოთხრობას სხვა სათაური.

(ცხრილის პირველ ნაწილს გამოვიყენებ გაკვეთილის პირველ ფაზაში, მეორეს-მესამე ფაზაში).

ვარაუდების გამოთქმისა და მათი „ღრუბლებში“ დაფიქსირების შემდეგ გავაცნობ მოსწავლეებს გაკვეთილის თემასა და მიზანს, რადგან მსვლელობის პროცესში შეძლონ ყურადღების მიმართვა მნიშვნელოვანი საკითხებისადმი და მივაწოდებ ინფორმაციას კითხვის იმ სტრატეგიის შესახებ რომლითაც მოუწევთ ტექსტთან მუშაობა გაკვეთილის განმავლობაში.

როგორც აღვნიშნე, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებას ხელს უშლის არასაკმარისი ლექსიკური მარაგი-უცხო სიტყვების არცოდნა. სწორედ ამიტომ, ტექსტის წაკითხვამდე გამოვიყენებ აქტივობას „სიტყვების გამომძიებელი“, რითაც შევამოწმებ თუ რამდენად ესმით მოსწავლეებს ტექსტში მოცემული საკვანძო სიტყვების მნიშვნელობა. ვურჩევნებ პოსტერის საშუალებით წინასწარ გაკეთებულ ოთხსვეტიან ცხრილს, რომლის პირველ სვეტში წარმოდგენილი იქნება მათთვის უცხო სიტყვები და შევთავაზებ მათ ცხრილის მეორე სვეტის - „ჩემი ვარაუდის“ შევსებას,რომელშიც ჩაწერენ საკუთარ ვარაუდებს მოცემული სიტყვების შესახებ. (ცხრილის მესამე სვეტი შეივსება მეორე ფაზაში,მეოთხეშემაჯამებელ ფაზაში).

მე-2 ფაზა: კითხვის.

ამ ფაზას დავიწყებ საჩვენებელი კითხვის მეთოდით,რადგან მასწავლებელსა დამოსწავლეს შორის შედგეს ვერბალური ინტერაქცია,კითხვისა და მოსმენის პროცესი ინტერაქტიული და მიზანმიმართული გახდეს. ამის შემდეგ გამოვიყენებ კითხვის დიფერენციალურ მეთოდს და კლასს დავყოფ 4 ჯგუფად: პირველ და მეორე ჯგუფს შექმნიან მოსწავლეები, რომლებსაც უჭირთ მხატვრული ტექსტის წაკითხვა-გააზრება. მათ დავავალე იმუშაონ ტექსტის ნაწილებზე-კითხვისას დააკვირდნენ სიტყვებს „სიტყვების გამომძიებელიდან“, მონიშნონ მარკერით და ტექსტის კონტექსტიდან გამომდინარე განმარტება ჩაწერონ მესამე სვეტში „ტექსტის მიხედვით“. მესამე ჯგუფს შექმნიან საშუალო დონის მკითხველები, მათ დავავალე მთლიანი ტექსტის წაკითხვას მონიშვნებით,კერძოდ, მარკერით მონიშნავენ ზედსართავ სახელებსა (ეპითეტებს) და სიტყვათშეხამებებს. მეოთხე ჯგუფს შექმნიან ბავშვები, რომლებიც აქტიური მკითხველების ტიპს მიეკუთვნებიან. მათ დავავალე, მთლიანი ტექსტის წაკითხვას და მისი ბოლო აზრის გათვალისწინებით ჩვენ მიერ უკვე შესწავლილი იგავ-არაკის გახსენებას, მსგავსების აღმოჩენასა და პარარელებას.

მე-3 ფაზა: წაკითხვის შემდგომი.

ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ პირველი და მეორე ჯგუფის ბავშვებს დავურიგებ წინასწარ გამზადებულ საკვანძო სიტყვების განმარტებებს ლექსიკონიდან, რომელიც ვარაუდებს არ დაემთხვევა დაამატებენ ცხრილის მეოთხე სვეტში „ლექსიკონი ამბობს“. ოთხივე ჯგუფის ბავშვები წარმოადგენენ დავალებებს, გავამთლიანებთ ტექსტს, შევავსებთ ვარაუდის ცხრილის მეორე ნაწილს და მოთხრობას შევაჯამებ „სამი რატომ“ და „კითხვების კალიდოსკოპის“ მეთოდის გამოყენებით. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს შევთავაზებ „პერსონაჟთა სკივრის“ გამოყენებით როლურ თამაშში სურვილისამებრ ჩართვას, დანარჩენებს კი დავავალებ მოთხრობის პალიტრის შექმნას.

დასკვნა

დიფერენცირებული გაკვეთილის დაგეგმვისას გამოყენებული კონსტრუქტივისტული და ინტერაქტიული მეთოდები ხელს უწყობს ყველა მოსწავლის შესაძლებლობის მაქსიმალურ გამოყენებას, ინტერესის აღძვრასა და მათ გააქტიურებას, ტექსტის უკეთ გაგება-გააზრებას, დამოუკიდებელი მუშაობის უნარის, პრეზენტაციისა და ინიციატივის გამომჟღავნების უნარის განვითარებას. ვფიქრობ, ეს ყველაფერი კი საფუძველი იქნება იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლების, რომელიც მოსწავლეებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გამოადგებათ.

ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“ USAID G-praid, სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, თბ., 2015
3. „კითხვის გაკვეთილები“, მოსწავლის რვეული, გამომცემლობა უსრატი, თბ., 2015
4. გ. მგალობლიშვილი, ლ. მექვაბიძე. „ინოვაციური მეთოდებით სწავლების შინაარსი“, თბ., 2013
5. ვ. როდონია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ავ. არაბული. „ქართული ენა“ მე-3 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. თბ., 2011 წელი.

რეზიუმე

პრაქტიკა გვიჩვენებს რომ დაწყებით კლასებში ყველაზე ძალიან ბავშვებს წაკითხული ტექსტიდან შინაარსის გამოტანა, მისი განზოგადება, ტექსტის იდეისა და მორალურ-ეთიკური პრობლემის გააზრება უძნელდებათ. ჩვენ მიერ დიფერენცირებული გაკვეთილის დაგეგმვისას გამოყენებული კონსტრუქტივისტული და ინტერაქტიული მეთოდები, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ყველა მოსწავლის შესაძლებლობის მაქსიმალურ გამოყენებას, ინტერესის აღძვრასა და მათ გააქტიურებას, ტექსტის უკეთ გაგება-გააზრებას, დამოუკიდებელი მუშაობის უნარის, პრეზენტაციისა და ინიციატივის გამომჟღავნების უნარის განვითარებას. ეს ყველაფერი კი საფუძველი იქნება იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებისა, რომელიც მოსწავლეებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გამოადგებათ.

Esma Ghvinianidze - Primary school teacher at Kutaisi # 41 Andria Razmadze Public School of Physics and Mathematics

Importance of Understanding and Realization of Feature-text and Its Teaching at the Primary Level

Resume

Practice shows that most of the children in the primary school have difficulty in understanding the plot of the text, generalizing it and analyzing the idea and moral-ethical problems. We think that constructivist and interactive methods, differentiated by us, will promote using the opportunities of every student, initiating and activating interest, a better understanding of the text-comprehension, independent work skills, presentation skills and developing initiative skills. These things will be the basis for mastering knowledge and skills that will be useful for students to further study.

ელისო მაწკეპლაძე - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლის, ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

ციფრული და მედიაწიგნიერება ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე

ციფრული და მედიაწიგნიერების კომპეტენციების გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში ახალი მასალის, ინფორმაციის, მხატვრული თუ საინფორმაციო ტექსტების აღქმა-გააზრებას, მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, მოსწავლეთა სამყაროში ორიენტირებას...

ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე ხშირად ვიყენებ თემატიკასთან დაკავშირებულ დოკუმენტურ (ეპოქისა და მწერლის ბიოგრაფიების შესწავლისას) და მხატვრულ ფილმებს. ფილმიდან ნაწყვეტებს ვაჩვენებ ჩემს მოსწავლეებს ამათუიმ ნაწარმოების შესწავლის დაწყებამდე ან მის შემდეგ...

ფილმები მოსწავლეებში იწვევს ემოციებს. ემოციების ფონზე ისინი უკეთ იმახსოვრებენ და სწავლობენ. სამეცნიერო კვლევები ადასტურებს, რომ ადამიანთა 65% იმახსოვრებს ვიზუალურად მიწოდებულ ინფორმაციას.

ფილმებით სწავლება მეხმარება:

- ✓ მიზანმიმართულად წარვმართო საგაკვეთილო პროცესი
- ✓ მოვახდინო ტექსტების განხილვა ვიზუალური საშუალებების გამოყენებით, რაც მოტივაციასა და მზაობის ხარისხს უზრდის, განწყობას უქმნის მოსწავლეებს ...

გარდა ამისა, ფილმებით სწავლების დროს მოსწავლეებს უვითარდებათ ანალიზის, დისკუსიის, დებატებისა და სოციალური უნარ-ჩვევები. ფილმებით სწავლება კარგ იარაღს წარმოადგენს შემოქმედებითი, წარმოსახვითი, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად.

ფილმებით სწავლებისას მნიშვნელოვანია:

1. ფილმის სწორად შერჩევა

✓ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირი - მოსწავლეს უნდა შეეძლოს ადეკვატურად აღიქვას სხვადასხვა სახის ტექსტი და გადმოსცეს მათი შინაარსი, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება მხატვრული ნაწარმოების მიმართ, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის მიმართ; გამოავლინოს ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილი. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დეტალების შეფასების, კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი. მოსწავლემ გაიაზროს, გაანალიზოს და შეაფასოს ტექსტები, რომლებიც შეიცავენ გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე. უნდა შეეძლოს, გაანალიზოს ტექსტის შესაბამისობა კონკრეტულ მიზანსა და აუდიტორიასთან, ნაწარმოების მნიშვნელოვანი ასპექტების გაანალიზება...

✓ მოსწავლეთა ასაკი, შესაძლებლობები, საჭიროებები... თუ ფილმი სწორად შერჩეულია, ის არამარტო ასწავლის და აყვარებს წიგნს, არამედ თვალნათლივ ანახებს მათ, რა ხდება, როგორია გარემო, როგორია პერსონაჟი რეალურად, რას ფიქრობს, როგორ იქცევა და ა.შ.

2. ფილმის ჩვენების დრო (ტექსტის წაკითხვამდე თუ შემდეგ, ეპოქის მიმოხილვამდე თუ ბოლოს, მასალის შესაჯამებლად...)

3. ჩვენების შემდგომი აქტივობები (დისკუსიები, ესეები, ბუკლეტების მომზადება, კედლის გაზეთები...)

ფილმების ჩვენების შემდგომ ხშირად მივმართავ შემდეგ აქტივობებს:

1. მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს ნაწარმოებიდან ამონარიდებსა და ფილმის სიუჟეტებს, ნაწარმოებისა და ფილმის პერსონაჟებს, ხატავენ კიდეც, ქმნიან ანიმაციებსაც...

2. ხშირად მართავენ დისკუსიებს, დაემთხვა თუ არა ტექსტის კითხვის დროს მათ გონებაში წარმოსახული პერსონაჟი ფილმის გმირს, როგორი წარმოედგინათ იგი, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს სიუჟეტების თანმიმდევრობა, რა გამოტოვა ან დაუმატა რეჟისორმა და ა.შ.

მოსწავლეებს ხშირად გაუმართავთ დისკუსია, სწორად აირჩია თუ არა რეჟისორმა მსახიობი ამათუიმ პერსონაჟის როლის შესასრულებლად (მოეწონათ მარიტა, თუმცა აღნიშნეს, რომ ნაწარმოებში გიორგი

ლევონიძეს გამოყვანილი ჰყავს ქერა და ლურჯთვალება გოგონა... მოეწონათ მსახიობი, რომელიც შეთეს როლს განასახიერებს, აღნიშნეს, რომ ნაწარმოებში სხვა ნიშან-თვისებების მატარებელია მარტას ქმარი... ხშირად არ მოსწონთ რეჟისორის მიერ ამორჩეული მსახიობები, ამბობენ, სხვაგვარი წარმოგვედგინა ეს პერსონაჟი...)

ციფრული და მედიაწიგნიერების კომპეტენციების გათვალისწინებით დაგეგმილი გაკვეთილი ხელს უწყობს მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც საჭიროა 21-ე საუკუნის მოზარდისათვის.

ლიტერატურა:

1. <http://journeysinfilm.org/for-educators/teaching-with-film/>
2. <https://www.britishcouncil.org/voices-magazine/how-can-film-help-you-teach-or-learn-english>
3. http://www.filmeducation.org/resources/primary/teaching_with_film/film_in_the_classroom/

რეზიუმე

21-ე საუკუნის მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში სახელმძღვანელოს გარდა სხვა რესურსაც მოითხოვს. ამიტომაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ხშირად ვიყენებ ციფრულ რესურსებს.

ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე ხშირად ვიყენებ თემატიკასთან დაკავშირებულ დოკუმენტურ (ეპოქისა და მწერლის ბიოგრაფიების შესწავლისას) და მხატვრულ ფილმებს. ფილმიდან ნაწყვეტებს ვაჩვენებ ჩემს მოსწავლეებს ამათუიმ ნაწარმოების შესწავლის დაწყებამდე ან მის შემდეგ...

ფილმებით სწავლება მეხმარება: მიზანმიმართულად წარვმართო საგაკვეთილო პროცესი, მოვახდინო ტექსტების განხილვა ვიზუალური საშუალებების გამოყენებით, რაც მოტივაციასა და მზაობის ხარისხს უზრდის, განწყობას უქმნის მოსწავლეებს ...

Eliso Matskepladze – Tkibuli Region Gelati Public school, Georgian- American School “Progress” , Teacher of Georgian Language and Literature

Digital and Media Literacy at the Georgian Literature lesson

As the 21st century students demand other additional recourses beside the book in the learning and teaching process, I try to use digital recourses while making lesson plans. According to the topics I often use documentary films, especially in those cases when we study biographies of Georgian writers and authors. We watch different extracts from these films before, or after introducing themes.

This method helps me to motivate my students, plan lessons affectively, discuss texts by visualizing them and reach goals. My students gain new experience, and develop different skills.

ეკატერინე ძიგრაშვილი - სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქუთაისის N2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის სერტიფიცირებული მასწავლებელი (ავტორი)

თამარ რეხვიაშვილი - ქუთაისის N9 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი (თანაავტორი)

მაკა მარგველაშვილი - ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის სკოლის დაწყებითი კლასის სერტიფიცირებული მასწავლებელი (თანაავტორი)

„პატარა კალამი სამშობლოს სიყვარულში“ (გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროექტი)

როგორც ცნობილია, საგაკვეთილო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მიღწეული შედეგი და არა ის, თუ რის სწავლებას ფიქრობს მასწავლებელი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს საკუთარი ცოდნის გამოყენება, შეფასება, ურთიერთდახმარება და ურთიერთშეფასება.

სწავლა-სწავლების პროცესში ჩემთვის პრიორიტეტულია ლევ ვიგოტსკის სოციალურ-კონსტრუქტივისტული თეორია, რომლის თანახმადაც მოსწავლეებს ვაწოდებ არა მზა რეცეპტებს, არამედ ვთავაზობ საკუთარ თავზე აიღონ მართვა (დოზირებულად). ბავშვები ჩვენზე კი არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი და ვამოვრებინოთ პასუხები დასმულ კითხვებზე, არამედ მივცეთ საშუალება იფიქრონ, დასვან კითხვები, გამოთქვან არგუმენტები, კონტრარგუმენტები. და ყველაფერი ეს მოახრებონ მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი კითხვით და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობებით. კითხვა, გააზრება, ანალიზის უნარი, არგუმენტირებული მსჯელობა, თითოეული საფეხურის ობიექტურად შეფასება გზას გაუკვალავს მათ XXI საუკუნის უნარების ფლობისაკენ.

სკოლის სააქტო დარბაზში გამართულმა მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრების ცოდნამ, მათმა მოქნილმა აზროვნებამ დააინტერესა ჩემი მოსწავლეები, განაწყო ისინი მრავალფეროვანი ინფორმაციის მისაღებად. მოსწავლეთა მოტივაცია იქცა საბაზად პროექტისა „პატარა კალამი სამშობლოს სიყვარულში“.

პროექტის მთავარი თემა: წიგნიერების დონის ამაღლება.

პროექტის აქტუალობა: ინტერნეტის განვითარებასთან ერთად პროექტებიც უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი გახდა. ვფიქრობ, ჩემი პროექტის აქტუალობა დღევანდელობას სკოლათაშორისი კავშირებით ეხმიანება. სკოლათაშორის თანამშრომლობა, გაცვლითი გაკვეთილების წარმართვა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას, მობილობას, გუნდურობას, თანამშრომლობას, მშობელთა ჩართულობას. აყალიბებს მოსწავლეს დამოუკიდებელ შემსწავლელად და შემფასებლად. ასევე ხელს უწყობს სემიოტიკური კომპეტენციების განვითარებას, საგანთა ინტეგრაციასა და ჰოლისტური აზროვნების ჩამოყალიბებას.

პროექტის „პატარა კალამი სამშობლოს სიყვარულში“ ხანგრძლივობა, სკოლათა და ინსტიტუტის ჩართულობა, მრავალფეროვანი თემატიკა, გამოკვეთილი მიზანი, დროში გაწერილი აქტივობები და ეტაპები, შედეგები, შეფასებები, პასუხისმგებლობისა და ამოცანების გადანაწილება პროექტში ჩართულ პირებს შორის ვფიქრობ მნიშვნელოვნად აქტუალური და წინგადადგმული ნაბიჯია სამომავლოდ.

პროექტის მიზანი: აღნიშნული პროექტი გადის შემდეგ მიზანზე:

- მედიაწიგნიერება;
- სკოლათაშორის თანამშრომლობის დეფიციტი;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება ინოვაციური და ინტერაქტიური მეთოდებით. რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეს, როგორც დამოუკიდებლად შემსწავლელად და შემფასებლად ჩამოყალიბებაში.

ცოდნა: მოსწავლეები აიმაღლებენ ცოდნას წიგნის სიყვარულის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. გააცნობიერებენ, რომ ქართველმა მწერლებმა შექმნეს ქართული კულტურის ისტორიის მნიშვნელოვანი და საამაყო ფურცლები. აიმაღლებენ ცოდნას მათ ცხოვრებასა და ბიოგრაფიასთან დაკავშირებით, ასევე გაეცნობიან მათ მიერვე შექმნილ ზოგიერთ ნაწარმოებს.

უნარი: განიხილავენ წაკითხულ ბიოგრაფიასათუ ნაწარმოებებს და მსჯელობენ. აკვირდებიან ნაწარმოების გმირებს, მსჯელობენ არგუმენტირებულად მათ თვისებებსა და ქმედებებზე. განუვითარდებათ აღმოჩენისა და დამოუკიდებლად მსჯელობის უნარი.

დამოკიდებულება: შეძლებენ კრიტიკული აზროვნების დახმარებით დააჯგუფონ და გამოყონ მსგავსი თუ განსხვავებული გმირები და მათი თვისებები. განუვითარდებათ ობიექტურად შეფასების უნარი. ერთმანეთის მიმართ განუვითარდებათ სამოქალაქო ღირებულებითი კომპეტენციები.

საკვანძო კითხვები: ზოგადი(რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების მნიშვნელობაზე ჩვენს ცხოვრებაში?) თემატური (ზრუნავენ თუ არა ადამიანები აიმაღლონ წიგნიერების დონე? ცდილობს თუ არა ადამიანი წიგნის საშუალებით შეცვალოს მისი გარემო?) შინაარსობრივი (რომელ ქართველმწერლებს იცნობენ მოსწავლეები? რომელია მათთვის საყვარელი ნაწარმები? რომელი გმირი და რომელი თვისება არის მათთვის მისაბამი?)

პროექტის მსვლელობის ფაზები:

პროექტის ინიციატივა: გაჩნდა რა ჩემს მოსწავლეებში მოტივაცია მეტისცოდნოდათ ისტორიული თულიტერატურული ფაქტები, გამიჩნდა კითხვა: მხოლოდ ჩემს მოსწავლეებს აქვთ მოტივაცია მეტის ცოდნისა, თუ ჩემს მიერ მიწოდებული მასალაა მწირი? მეგობარ კოლეგებს გავუზიარე ჩემი მოსწავლეების ინტერესი. გადავწყვიტეთ და მოვიძიეთ კითხვები მოსწავლეებისათვის, რომლის მიხედვითაც დავადაგენდით საერთო ინტერესები აქვთ თუ არა ჩემსა და ჩემი კოლეგების მოსწავლეებს. მსგავსი პასუხების სიმრავლემ დაგვანახა, რომ მათაც მეტი ინტერესი აქვთ ცოდნის გაღრმავებასთან დაკავშირებით. როგორც პროექტის ავტორმა კოლეგებს გავაცანი საკუთარი აზრი სამუშაო თემად (ასაკიდან გამომდინარე) ავკვლო ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები მათივე ნაწარმოებებით (2-3 ნაწარმოები ასაკისდა შესაბამისი). დავგვემეთ მოსწავლეებთან გასაუბრება.

დისკუსია პროექტის ირგვლივ: თითოეულმა ჩვეთაგანმა (მასწავლებელმა) გავმართეთ მსჯელობა საკუთარ კლასთან მოსწავლეებისათვის საინტერესო საკითხების ირგვლივ ასევე ავუხსენით მათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისათვის თავისი ქვეყნის კულტურის ცოდნა, წაკითხულის გაგება, გააზრება, გამოყენება, შეფასება საკუთარი თუ სხვათა ნაწარმებისა. პროექტის ირგვლივ დისკუსიისას შევთანხმდით, რომ პროექტის სრულყოფისათვის თითოეული ჩვენთაგანის მიერ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა შეფასებული. განვახორციელებთ როგორც ურთიერთშეფასებას, ასევე თვითშეფასებასა და მასწავლებლის შეფასებას. შეფასება ის ერთი დიდი ჯაჭვია, რომლის შემადგენელი თითოეული რგოლის დადებითად შეფასების მიღწევა ავციყვანს იმ მწვერვალზე, რომელსაც XXI საუკუნის უნარ-ჩვევების ფლობა ჰქვია.

მოკლე ხანში მოსწავლეებს მივაწოდეთ პირველი მედიაწიგნი. მისი ნახვის შემდეგ კი შეავსეს კითხვარი ნაწახის ირგვლივ. ამის მიხედვით შევაფასეთ მათი შესაძლებლობები და ასევე განვსაზღვრეთ სამომავლო სამუშაოები. კითხვა-პასუხის რეჟიმით საშუალება მივეცით გამოეთქვათ აზრი მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე: როგორი ნაწარმოების წაკითხვა და მოსმენა სურთ? რომელია მათთვის უფრო საინტერესო და მრავლისმომცემი? იყო თუ არამათთვის გასგები და საინტერესო მიწოდებული ლიტერატურა? იყო თუ არა რთული?(ამგვარი გამოკითხვით მივიღე მოსწავლეთა შეფასება ჩემს მიერ შექმნილი მედიაწიგნისა. ეს კი ძალზედ მნიშვნელოვანია სამომავლო სამუშაოების სრულყოფისა და დახვეწისათვის. მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის.)

დაგვემთხროს განხორციელება: პროექტში ჩართული მასწავლებლები შევთანხმდით თუ რომელ მწერალთა შემოქმედებაზე ავაგებდით პროექტის მთავრ ღერძს. თვის მანძილზე მოსწავლეებს ეძლეოდათ შერჩეული 9 მწერლიდან ერთ-ერთის ბიოგრაფიული მონაცემები და მისივე 2-3 ნაწარმოები. ყოველი თვის ბოლო პარასკევს ხდებოდა წაკითხულისა და მოსმენილის ირგვლის მუშაობა: კითხვა-პასუხი, პრეზენტაცია, დისკუსია, პროექტის ერთობლივად დამუშავება და სხვა. მუშაობის დროს გამომდინარე დავალებიდან ვიყენებდი შეფასების სხვადასხვა მეთოდს: ზეპირი გამოკითხვა_კითხვა-პასუხი; შემაჯამებელი წერითი სამუშაო_ ბიოგრაფიისა და ნაწარმოებების მიხედვით შედგენილი ტესტური კითხვები; პრეზენტაცია_წაკითხულისა და მოსმენილის მიხედვით აკეთებდნენ პრეზენტაციას სახასიათო გმირის ირვლივ, ფაქტისა და მოვლენის შესახებ; პროექტი _ახლადშემდგენილი ინფორმაციის მიხედვით კლასშივე ქმნიდნენ პროექტს და ავსებდნენ თავსატეხს.

ასეთი სახით მუშაობამ მომცა შედეგები მიმდინარე შეფასებისა. მინდა აღვნიშნო, რომ სემესტრული და წლიური შეფასების სახეები არ გამომიყენებია.

ესგ_თან შესაბამისობიდან გამომდინარე ხშირად ვსარგებლობდი განმავითარებელი შეფასებით, მაგრამ მოსწავლეთა მოტოვაციის ამაღლების მიზნით შევქმენი განმსაზღვრელი შეფასების ცხრილი. ამ ცხრილის არსებობამ გაააქტიურა და აუმაღლა მოტივაცია თითოეულ მათგანს. აღნიშნული ცხრილის

შევსების დროსაც, როგორც დანარჩენი შეფასებისას, თითოეული მათგანის მიმართ ვსარგებლობდი ერთიანი მომთხოვნელობისა და სიტემატიურობის პრინციპით.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო პროექტის ის მნიშვნელოვანი ეტაპები, როდესაც ჩატარდა გაცვლითი გაკვეთილები პროექტში მონაწილე სკოლებს შორის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაცვლითი გაკვეთილებში მასწავლებელთან ერთად მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა და მშობელთა გარკვეული ნაწილი. პროექტის ბოლო შეხვედრა კი შედგა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროექტში ჩართულმა სტუდენტებმა (ისინი პრაქტიკაზე იმყოფებოდნენ ჩემს კლასში და პარალელურად გარკვეული იყვნენ პროექტის არსში) მოსწავლეებს სახალისო აქტივობებით შესთავაზეს სიახლეები. ასევე თითოეულმა პედაგოგმა სახალისო მეთოდებით შევაჯამეთ წლის მანძილზე პროექტის ფარგლებში ნასწავლი რიგი საკითხებისა. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ლექტორები და მშობლები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ყველა აქტივობაში. ზემოთ აღნიშნული მუშაობის დროსაც ვიყენებდით შეფასების იგივე სიტემებს, როგორსაც პროექტის მსვლელობისას.

პროექტის დასასრულს: მოსწავლეებს გაუჩნდათ სურვილი თავადაც ყოფილიყვნენ ავტორები ნაწარმოებისა. ამიტომ დასწავლილი მასალის „უბედური ქორბუდა“ მიხედვით ერთად შევქმენით დიდი წიგნი „ბედნიერი ქორბუდა“. შესწავლილი ნაწარმოებიდან ავიღეთ საკვანძო სიტყვები, რომელზე დაყრდნობითაც შევქმენით ახალი ტექსტი. ნაწარმოების შექმნისას ვიმუშავეთ მეთოდი მასწავლებელი კლასში. წიგნი დავამუშავეთ დიდი წიგნის შექმნის მეთოდების დაცვით. ვიხელმძღვანელებთ ჯიპრაიდული ცხრილებით, მეთოდებითა და აქტივობებით. თითოეულმა მათგანმა შექმნა საყვარელი მოთხრობის მიხედვით წიგნი, რომელიც საჩუქრად გავუგზავნეთ ფერეიდნელ ქართველებს. ასევე შევქმენით წიგნი იმ მწერლებთან დაკავშირებით რომელთა ბიგრაფიებიც შევისწავლეთ. მთელი პროექტის მანძილზე მოსწავლეები ქმნიდნენ ნახატებს, ჩანახატებსა და ნაძერწ მასალას საყვარელ გმირთან, ბუნების სურათთან თუ სამახსოვრო მოვლენასთან დაკავშირებით.

პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეებს ვაძლევდი სამუშაოებს გამომდინარე მათი საჭიროებებიდან. ჩვენს მიერ დასახულმა და შესრულებულმა სამუშაოებმა თუ დავალებებმა სრულყო პროექტი, სახელწოდებით „პატარა კლასში სამშობლოს სიყვარულში“.

შედეგები: თავად პროექტმა თითოეულ მათგანში ხელი შეუწყო თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემაზე ორიენტირების, ანალიზის, დაგეგმვის, მართვის, დამუშავების, გადაწყვეტილების მიღების, მედიაწიგნიერების დონის ამაღლების, სკოლათაშორის კავშირების გამყარების, შეფასებისა თუ სხვა უნარების ჩამოყალიბებას.

მთელი პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეები ამჟღავნებდნენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესს, ანგარიშს უწევდნენ ერთმანეთის მოსაზრებებს, კრიტიკულად აფასებდნენ შექმნილ სიტუაციებსა და სამუშაოებს. შეთანხმება ხდებოდა სამუშაოს ჩარჩოებზე შესაძლებლობებისა და ინტერესის გათვალისწინებით.

პროექტის შედეგად მოსწავლეებმა შეძლეს:

- პროექტებით სწავლების სპეციფიკის დაუფლება;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა აქტუალური საკითხისადმი;
- დაკვირვება, დაინტერესება და შესაბამისად რეაგირება;
- მედიაწიგნის მიხედვით მსჯელობა, აზრის დასაბუთება, შეფასება;
- გასაუბრება კომპეტენტურ ადამიანთან და მისი რჩევის გათვალისწინება;
- დაკვირვება რისკ-ფაქტორების თავიდან ასაცილებლად;
- პროექტთან დაკავშირებული სამუშაოს გაგება-გააზრება და გამოყენება;
- ფაქტებისა და მოვლენების მოძიება, დახარისხება, გაზიარება, პრეზენტაცია, შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- სოციალიზაცია სხვადასხვა სასკოლო გარემოში;
- მოახდინეს ზოგადი ინფორმირება კონსტრუქციული უკუკავშირის ფონზე.

სამომავლოდ:

პროექტში განხორციელებული პრაქტიკული სამუშაოების შედეგად მოსწავლეებმა აიმაღლეს ცნობიერება ქართული კულტურის, ისტორიის და ამ ისტორიის შექმნილი ქართველების ირგვლივ. დაინახეს აუცილებლობა წარსულისა და დღევანდლობის ცოდნასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალო კავშირშია მათ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან.

პროექტი ორიენტირებულია არა მარტო განათლებაზე, არამედ სხვადასხვა სასკოლო გარემოში ორიენტირებაზე, შეფასების სიტემის დაუფლებასა და სრულყოფაზე. რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სამოქალაქო და სოციალური ელემენტარული უნარებისა და ცნობიერების ჩამოყალიბებას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ჯერ კიდევ უჭირთ შეფასება, მაგრამ მარტივი გზებით შევეცადე დამეუფლებინა ისინი შეფასების სქემებზე. მოსწავლეები უკვე თავდაც ადგენენ შეფასების სქემებს, რომელთაც ერთად ვხვეწავთ ხოლმე. მართალია არსებობს ლაფსუსები, მაგრამ ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას.

ბოლოს კი დასკვნის სახით ერთი წარმატებული და ცნობილი ადამიანის სიტყვებს მოვიშველიებ: „ერთად დგომადასაწყისია, ერთმანეთის შენარჩუნება პროგრესი, ერთად მუშაობა კი წარმატებას ნიშნავს“.

ვიმუშაოთ ერთად...

ლიტერატურა:

1. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“.
2. საყმაწვილო ენციკლოპედია, გამომცემლობა „დილა“.
3. ქართული მწელობა ტომი X 2006 წელი
4. ქართული მწელობა ტომი XI 2008 წელი
5. ქართული პროზის საგანძური (ტომები შერჩევით).

რეზიუმე

საგანმანათლებლო პროცესში დამკვიდრდა პროექტებით სწავლების გამოყენება. საგანმანათლებლო პროექტი გარკვეული მიზნით განხორციელებულსაკლასო თუ გუნდურ აქტივობათა ერთობლიობაა, რომელიც ხელს უწყობს ერთი ან რამდენიმე სასწავლო ამოცანის შესრულებას. ამოცანათა შესრულება და მათი შეფასება სხვადასხვა ასპექტში: ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, ზოგადად პროექტის შეფასება, მშობელთა მიერ შეფასება თუ სხვადღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული საკითხია. დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაშია სევემნიშვნელოვანია გამჭოლი კომპეტენციები, რომელთა განვითარებახელს უწყობს თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრებული XXI საუკუნის უნარების ფლობას. კომპეტენცია მედიაწიგნიერება გულისხმობს ტრადიციული ტექსტების კვალდაკვალ მულტიმედიური ტექსტების დამკვიდრებას. მოსწავლემ უნდა შეძლოს მედიასამყაროში ორიენტირება, ინფორმაციის გადარჩევა, გაფილტვრადა შეფასება. ასევე საკუთარი თუ სხვათა ნამუშევრის შეფასება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება. სამომავლო სწავლა-სწავლებისათვის უმჯობესია მედიაწიგნიერების კომპეტენციის განვითარებას დაწყებით საფეხურზევე ჩაუყაროთ საფუძველი. თუკი პროექტის ფარგლებში ამ მნიშვნელოვან საკითხებს თავს მოვუყრით შევძლებთ შედეგზე ორიენტირებული მიზნების დასახვას.

საკვანძო სიტყვები: მედიაწიგნიერება, პროექტი, შეფასება, რუბრიკა, დაკვირვება, სქემა.

Ekaterine Dzigrashvili - SSIP. Certified Teacher of elementary classes in Kutaisi IosebOtskheli N2 public school (author)

Tamar Rekhviashvili - Teacher of elementary classes in Kutaisi N9 public school (coauthor)

Maka Margvelashvili - Certified Teacher of elementary classes in Kutaisi Andria Razmadze N41 Physics-Mathematicsschool (coauthor)

“Little pan in love with the homeland”

Long term educational project

Resume

Teaching with projects took roots in educational process. Educational project is the sum of class and group activities united by certain purpose which helps to fulfill one or more educational tasks. Completing tasks and their evaluation in different aspects: coevaluation, self evaluation, evaluation of the project, evaluation by parents, etc. are one of the important, on the top of the list parts of the educational system today. In modern educational system one of the most important places is taken by main competencies. Development of which helps handling skills, established in the XXI century. Competencie of the mediabooks, undermines establishment of the multimedey texts along with traditional ones. Students must have abilities to move around freeley in the mediaworld, picking up information, filtering them and evaluation. Also, evaluation of their own work as well as works of others, selfevaluation, coevaluation. For the future education, it's better to develope mediabook competencie on the primary steps. If we get together this important tasks in course of the project, we will be able to aim the goals oriented on the results

Key words : mediaeducation, Project, Evaluation, Rubrics, Observation, Scheme.

ლენა კაპატაძე - ვანის მუნიციპალიტეტის ისრითის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი

კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპების გამოყენება დაწყებით კლასებში - ქართულ ენასა და ლიტერატურაში

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩართული. გამზადებული ცოდნის გადაცემა არ უწყობს ხელს გააზრებულ და ხარისხიან სწავლებას. მართალია, მასწავლებელმა უნდა მართოს სწავლა-სწავლების პროცესი. მაგრამ მოსწავლესაც უნდა დაუტოვოს დამოუკიდებლად დაფიქრების საშუალება, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით აღმოაჩინოს და დაამუშავოს ახალი საკითხები. ამგვარი აქტიურობით ის უკეთესად გაიაზრებს და შეითვისებს ახლად შეძენილ ცოდნას.

კონსტრუქტივისტი მასწავლებელი არის არა მასწავლებელი - ხელმძღვანელი, არამედ ბავშვის შემეცნებითი აქტივობის კონსულტანტი, ორგანიზატორი და კორდინატორი. ცოდნის შეძენის პროცესში მასწავლებელი ისევე ეხმარება მოსწავლეს, როგორც ხარაჩოები მშენებელს. ხარაჩოების ფუნქციას ასრულებს მასწავლებლის მიერ შემუშავებული აქტივობები, მასწავლებლის მიერ შექმნილი გარემო და სასწავლო სიტუაციები, რომელშიც მოსწავლე დამოუკიდებლად ააგებს საკუთარ ცოდნას. ის ქმნის პირობებს ბავშვის დამოუკიდებელი გონებრივი აქტივობისთვის და მხარს უჭერს მათ ინიციატივას.

მეორე მხრივ, მოსწავლეები ხდებიან სასწავლო პროცესის თანასწორუფლებიანი წევრები და პასუხისმგებლობას იღებენ სწავლის პროცესსა და შედეგზე.

მეცადინეობის მომზადების და დაგეგმვის პროცესში მასწავლებელი უპირატესობას ანიჭებს პრაქტიკულ, რეალურ სიტუაციებიდან აღებულ პრობლემებს. უფრო მეტიც, მოსწავლეები უშუალო მონაწილეობას იღებენ მონაცემთა შეგროვებაში, ინფორმაციის მოძიებაში, მონაცემთა დამუშავებაში და ა.შ.

ახალი მასალა ბავშვს უნდა მივაწოდოთ მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის სახით, დეტალების გარეშე. მასწავლებელმა უნდა შექმნას დიალოგის სიტუაცია, სადაც ბავშვები ცდილობენ გაარკვიონ დეტალები, გაუგებარი საკითხები. დიალოგის დროს შესაძლებელი ხდება პრობლემური სიტუაციის გარკვევა, რომელიც დაკავშირებულია ბავშვისათვის ნაცნობ რეალურ სიტუაციასთან:

აქტივობა: პრობლემები, პრობლემები...

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მხატვრულ ტექსტზე მუშაობის პროცესში ჩერდება იმ ეპიზოდზე, რომელშიც მოცემულია კონფლიქტური სიტუაცია და სთავაზობს მოსწავლეებს მოძებნონ გამოსავალი, ამისათვის კლასი უნდა გაიყოს ჯგუფებად: კონფლიქტში მონაწილე მხარეების წარმომადგენლებად და მედიატორებად. მედიატორეთა ჯგუფმა უნდა მოამზადოს შეკითხვები როგორც ერთი, ისე მეორე მხრისათვის, ხოლო კონფლიქტის მხარეებმა საკუთარი ვერსიის გამამართლებელი არგუმენტები. ამ სიტუაციის გათამაშების შემდეგ თითოეული ჯგუფი ეძებს კონფლიქტის მოგვარებს გზებს და წარმოადგენს კლასის წინაშე. შემდეგ მოსწავლეები ისმენენ, თუ როგორ ვითარდება ეს კონფლიქტური სიტუაცია ტექსტში და უკვე მსმენლის პოზიციიდან აფასებენ პერსონაჟის ქმედებას. ეს აქტივობა ეფექტიანია ისეთი ნაწარმოებების შესწავლისას, როგორცაა ნოდარ დუმბაძის „ჰელადოს“, არჩილ სულაკაურის „ბიჭი და ძაღლი“, გოდერძი ჩოხელის „გალმივლები“, გიორგი ლეონიძის „ჩირიკი და ჩიკოტელა“ და სხვა.

ყოველ მოსწავლეს აქვს საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრება, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მასწავლებლისა და სხვა ბავშვის მოსაზრებებს. მოსწავლემ პრობლემა უნდა გაიაზროს და ის არ უნდა იყოს გარიდან შეთავაზებული. ეს ზრდის ცოდნის მიღების შინაგან მოტივაციას.

კონსტრუქტივისტი მასწავლებელი ასტიმულირებს მოსწავლის აზროვნებას, საშუალებას აძლევს თვითონვე ჩაატაროს გაკვეთილის ნაწილი, მიმართულება შეუცვალოს დისკუსიას, შემოგვთავაზოს ახალი მეთოდი და სწავლების საინტერესო აქტივობაც კი.

„კონსტრუქტივისტული მიდგომა - ეს არის პედაგოგიური მიდგომების ზოგადი დახასიათება, რომელიც ცენტრირებულია მოსწავლეზე, სადაც ბავშვს ცოდნა არ მიეწოდება მზა სახით, არამედ ის თვითონ ახდენს ცოდნის კონსტრუირებას/აგებას“ მოსწავლეები თავიანთი ცოდნის კონსტრუირებაში სრულფასოვან მონაწილეობას იღებენ.

კონსტრუქტივიზმი ორიენტირებულია მოსწავლის ძალისხმევაზე. მოსწავლე სწავლის/ შედეგების პროცესის აქტიური მონაწილეა. იგი პასიურად კი არ იღებს ინფორმაციას, რომელიც მიწოდებულია მასწავლებლის მიერ, არამედ აგებს საკუთარ ცოდნას, რომელიც ეფუძნება ძველ ცოდნასა და გამოცდილებას. მოსწავლეს სწავლის პროცესში ენიჭება აქტიური და დამოუკიდებელი როლი, იგი გარდაქმნის ინფორმაციას, წამოაყენებს იდეებს, იღებს გადაწყვეტილებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციისა და სასკოლო ჩართულობის ჩართვას, მაღალ აკადემიურ მოსწრებას.

კონსტრუქტიულად მოაზროვნე ბავშვები შეძლებენ:

- ახსნან და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები, დასკვნები და პასუხები.
- გამოთქვან ვარაუდები ახალი მასალის შესახებ.
- გამოიგონონ გამოცანები, თავსატეხები, განიხილონ თავისუფალი თემები.
- ჩამოაყალიბონ პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზები.
- მოაწყონ ჯგუფური დისკუსიები.
- გააკეთონ აღმოჩენები გარემოსთან ურთიერთობისა და წინარე გამოცდილების საფუძვლებზე.
- დასვან ფაქტებზე ორიენტირებული კითხვები.

აქტივობა: კითხვების დასმა.

აქტივობის შესახებ: ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლეები შეძლებენ, თავად დასვან ფაქტებზე ორიენტირებული კითხვები წაკითხულის გარშემო. კითხვების გენერირება კი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლემ საფუძვლიანად გაიგოს და გაიაზროს ტექსტის შინაარსი.

აქტივობის აღწერა: ბავშვები კითხულობენ ტექსტს. კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს კითხვებს: ვინ? რა? სად? როდის? როგორ? რატომ?. აძლევს მოსწავლეებს დავალებას, წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით მოიფიქრონ რაც შეიძლება მეტი კითხვა ჩამოთვლილი კითხვითი სიტყვების გამოყენებით (სასურველია კლასი დაიყოს ჯგუფებად ან წყვილებად და აქტივობის ამ ეტაპს შეჯიბრის სახე მიეცეს).

კვლევები ადასტურებს, რომ მოსწავლე ყველაზე უფრო მაშინ სწავლობს, როდესაც იგი აქტიური და ქმედითია და არა მაშინ, როდესაც მხოლოდ აქტიურ და ქმედით მასწავლებელს უყურებს. ამ თვალსაზრისით სალექციო ტიპის გაკვეთილები და მასწავლებელი მიერ ახალი მასალის მოყოლით ახსნა ნაკლებად სასურველია - მოსწავლემ ყოველთვის უნდა იგრძნოს ჩართულობა გაკვეთილის მსვლელობისას და თავი იგრძნოს მის ერთ-ერთ შემქმნელად. მოსწავლეები სწავლობენ არა მხოლოდ მასწავლებლისგან, არამედ სხვა საშუალებებითაც: წიგნებით, თანაკლასელებთან ურთიერთობით, დაკვირვებით, აუდიო-ვიდეო მასალით, ინტერნეტით, ტესტებით, დიალოგით, საკუთარი გამოცდილებით, დისკუსიით. ამიტომ კონსტრუქტივისტმა მასწავლებელმა სასწავლო პროცესი სხვადასხვა ტიპის მეთოდებითა და აქტივობებით უნდა დატვირთოს, როგორცა: სიმულაციები, პროექტები, შეჯიბრებები, პრეზენტაციები, მეტაფორები, ანალოგიები, ვიზუალური მასალები, როლური თამაშები.

აქტივობა: "ცოცხალი სურათები" (იმპროვიზირებულ დადგმებში მონაწილეობა; ჟესტებისა და მიმიკების საშუალებით პერსონაჟის განსახიერება).

აქტივობის შესახებ: მოსწავლეები დგამენ წაკითხული ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდს.

თანამედროვე მკვლევარები მოსწავლეს ადარებენ ტელევიზორს, რომლის მსგავსად, მოსწავლესაც შეუძლია, სხვადასხვა არხით მიიღოს ინფორმაცია. როგორც წესი, ინდივიდში რომელიღაც ერთი არხი სხვებზე მეტადაა განვითარებული და, შესაბამისად, ისინი ინფორმაციის დამუშავებას ერთ-ერთი მათგანით არჩევენ. სწორედ ეს არჩევანი განსაზღვრავს სასწავლო პროფილს.

კონსტრუქტივისტული მიდგომა ითვალისწინებ სასწავლო პროგრამის აგებას „ზოგადიდან კერძოსკენ“, სასწავლო პროგრამის მობილურობას, სადაც სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ინფორმაციის ძირითად წყაროს. პრიორიტეტი ენიჭება ორიგინალურ წყაროებს, პირველად მონაცემებს. მოსწავლე სასწავლო პროცესის სრულფასოვანი მონაწილეა, თავისი შეხედულებებითა და წარმოდგენებით გარე სამყაროზე. მასწავლებელი არის მოსწავლის შემეცნებით და კვლევითი აქტივობის ორგანიზატორი და არა ახვევს თავს თავის საკუთარ ცოდნასა და შეხედულებას, იგი ერთნაირად აფასებს მოსწავლის მოსაზრებებს (რომელიც შეიძლება მცდარიც იყოს), „ჭკვიანურ“ კითხვებსა და შეგნებულად გასწორებულ შეკითხვებს. ფასდება მოსწავლის სასწავლო-შემეცნებითი აქტივობის შედეგი და ცოდნა, ძალისხმევა და წარმატებები.

აქტივობა: პერიფრაზისა და კომენტარის „წიგნაკები“.

აქტივობის შესახებ: აქტივობა ემსახურება ტექსტის ანალიზისა და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; აგრეთვე საკუთარი დამოკიდებულების, თვალსაზრისის, დასკვნების დამოკიდებულების გამოხატვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. აქტივობა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს წერის წინა ეტაპზეც.

აქტივობის აღწერა: ტექსტების დამუშავების, დროს მოსწავლეებს დავალებად ეძლევათ, შეავსონ ორი წიგნაკი- „პერიფრაზისა და განმარტების წიგნაკი“ და „კომენტარის წიგნაკი“.

„პერიფრაზისა და განმარტების წიგნაკის“ შევსებისას მოსწავლეებმა, ციტირების წესების დაცვით, ტექსტიდან უნდა ამოწერონ ის ადგილები, რომლებშიც უცხო სიტყვები, იდიომები, არქაიზმები შეხვდებოდათ, გასწვრივ კი უნდა მიუწერონ თავიანთი სავარაუდო განმარტებები და/ან პერიფრაზი (თუნდაც მცდარი), რომლებსაც ისინი დაწერენ კონტექსტზე დაყრდნობით.

„კომენტარის წიგნაკში“ მოსწავლეები დასამუშავებელი ტექსტიდან ამოიღებენ რომელიმე მნიშვნელოვან აზრს, მოქმედი პირის მახასიათებელ თვისებას, ავტორის რემარკს, და გვერდით მიუწერენ თავიანთ კომენტარს. კომენტარი ამ შემთხვევაში იქნება მოსწავლის სუბიექტური შეფასება, ანალოგია, პარალელი, საკითხის განზოგადება.

ამგვარი მუშაობით ვფიქრობ, მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა მაღალი იქნება, რადგან ასეთი სახის დავალებები/აქტივობები, სადავ მათი მზაობა არის გათვალისწინებული უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც აუცილებლად აისახება მათი სწავლის ხარისხზე და ეს ყველაფერი განაპირობებს ესგ-ით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

ლიტერატურა

1. განვითარებისა და სწავლების თეორიები - ნ.ჯანაშია, ნ.იმედაძე. 2008 წელი.
2. კონსტრუქტივიზმი - მ.მელიქიშვილი 2012 წელი.
3. ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია - 2012 წელი.
4. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის - ქართული ენა და ლიტერატურა I-VI კლასები - თ.ჯაყელი, ი.სამსონია ... 2011 წელი.

რეზიუმე

კონსტრუქტივიზმი ორიენტირებულია მასწავლებლის ძალისხმევაზე. მოსწავლე სწავლის (შემეცნების) პრინციპების აქტიური მონაწილეა. იგი პასიურად კი არ იღებს ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება მასწავლებლის მიერ, არამედ აგებს საკუთარ ცოდნას. კონსტრუქტივისტი მასწავლებელი არის არა მასწავლებელი - ხელმძღვანელი, არამედ ბავშვის შემეცნებითი აქტივობის კონსულტანტი, ორგანიზატორი და კორდინატორი. ცოდნის შექმნის პროცესში მასწავლებელი ისევე ეხმარება მოსწავლეს, როგორც ხარაჩო მშენებელს, ხარაჩოს ფუნქციას ასრულებს მასწავლებლის მიერ შემუშავებული აქტივობები, სიტუაციური და მასწავლებლის მიერ შექმნილი გარემო, სადაც მოსწავლე არის აქტიური და დამოუკიდებელი, იგი გარდაქმნის ინფორმაციას, წამოაყენებს იდეებს, იღებს გადაწყვეტილებებს, რაც ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას/მაღალ აკადემიურ მოსწრებას.

Lena Kapatadze - The head teacher of Isriti Public School

Using of the main principles of the constructivism in the primary classes – In Georgian Language and Literature

Constructivism is orientated on the efforts of a student. The student is active participant of the cognitive principles. She or he doesn't get information passively given by teacher, but she/he constructs her/his own knowledge independently. The constructive teacher is not only teacher or an instructor, but she/he is also consultant, organisator and coordinator of the student's cognitive activity. In the process of getting knowledge the teacher helps students as a scaffold helps the builder. Activities, situations and teaching environment made by a teacher where student is active and independent. Student transforms the information, has ideas and arrives at a decisions. All these accomplice to rise students' motivation to get high academic marks.

ნინო პატარიძე - სსიპ ქალაქ ქუთაისის N 3 საჯარო სკოლა, დაწყებითი კლასების მასწავლებელი

გრაფიკული სქემებისა და აქტივობის ბარათების როლი საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვაში

თანამედროვე სამყაროში საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით დაწყებითი კლასების საფეხურზე, ამ დროს მოსწავლეებისათვის სხვადასხვა თვალსაჩინოების და სახალისო აქტივობების შეთავაზება ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას, მოსწავლეები მეტად არიან ჩართულები საგაკვეთილო პროცესში.

მასწავლებელი მეთოდურად კარგად დაგეგმილი გაკვეთილითა და დამუშავებული სასწავლო მასალით მოსწავლეებს შესასწავლი საკითხების გააზრებაში ეხმარება. გაკვეთილის დაგეგმვას ის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტით - შესასწავლი მასალის მეთოდური იწყებს. კვლევები ადასტურებს, რომ დაგეგმილი გაკვეთილის თანმიმდევრობა და მკაფიო სტრუქტურა განაპირობებს მაქსიმალურად კარგ შედეგს.

პრაქტიკოსი მასწავლებელი ოსტატურად ახერხებს სხვადასხვა ტიპის უნარებზე აგებული სავარჯიშოების სასწავლო მასალაში ინტეგრირებას, რათა თანაბრად უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის წარმატება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აუცილებელია, მასწავლებელმა დაგეგმოს გაკვეთილი, დაამუშაოს მასალა ისე, რომ მოარგოს სხვადასხვა ტიპის მოსწავლეთა განსხვავებულ ჯგუფს. ამისათვის მასწავლებელი გამუდმებით უნდა იკვლევდეს თავის სამიზნე აუდიტორიას და პოულობდეს პასუხს კითხვაზე, როგორ და რა გზით დააკმაყოფილოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მოთხოვნები და სწავლის განსხვავებული სტილი.

მასწავლებლის მიერ საგანმანათლებლო რესურსის დამუშავებისას ან შექმნისას გათვალისწინებულ უნდა იქნას, რა ემოციურ განწყობას უქმნის ესა თუ ის რესურსი მოსწავლეს, განაწყობს თუ არა პოზიტიურად. ეს კი იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ რესურსის გამოყენება საშუალებას მისცემს მოსწავლეს, კომპორტულად იგრძნოს თავი და ჰქონდეს რწმენა, რომ შეძლებს სწავლას.

პატარა მკითხველს წაკითხული ტექსტის შინაარსის უკეთ აღქმაში, მასში მოცემული ინფორმაციის დახარისხებასა და ორგანიზებაში, ტექსტის ძირითადი კომპონენტების იდენტიფიცირებაში ეხმარება სქემატური სხვადასხვა ტიპის სქემები. ჩვეულებრივ, მოსწავლეები ხალისითა და ინტერესით ავსებენ ამგვარ სქემებს. სასურველია, მასწავლებელმა პერიოდულად სხვადასხვა ტიპისა და დიზაინის სქემები გამოიყენოს სასწავლო პროცესში.

სქემები უნდა დავაჯგუფოდ იმის მიხედვით, თუ კითხვის რომელი ამოცანის ან სტრატეგიის გამოყენებასა და გავარჯიშებას ემსახურება (მაგ: ტექსტის სტრუქტურის აღქმა, ლექსიკური ერთეულების დაუფლება, პერსონაჟის დახარისხება, მთავარი იდეისა და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოიჯვნა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება და სხვა).

გარდა ამისა, რომ ამგვარ სქემებზე მუშაობა კითხვის ამა თუ იმ კონკრეტული სტრატეგიის გავარჯიშებას უწყობს ხელს, თითოეული შევსებული სქემა დამოუკიდებელი პროდუქტია და ერთგვარი ინდივიდუალური საავტორო ნამუშევრების ეფექტსაც იძლევა. ფურცელზე ან დაფაზე სქემის შევსების პროცედურა თანდათანობით მოსწავლის გონებაში გადაინაცვლებს, რაც საგრძნობლად აადვილებს და აჩქარებს გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენებას.

სქემების გამოყენება კითხვის უნარის მონიტორინგში გვეხმარება. ლექსიკური მარაგის ფლობა და წაკითხულის გააზრება უხილავი მოვლენებია, რაც ართულებს მათ შეფასებას. ამიტომ მოსწავლეთა მიერ სქემის შექმნის ,შევსების პროცესზე თვალის მიდევნება დიდ დახმარებას უწევს მასწავლებელს დიაგნოსტიკასა და განმავითარებელ შეფასებაში.

როგორ მივაჩვიოთ ბავშვები სქემების გამოყენებას? ამ შემთხვევაში ვიყენებთ პასივისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის მოდელს, რაც შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

1) მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს სქემის დანიშნულებასა და შევსების პროცედურას.

2) მასწავლებელი თვალსაჩინოდ უჩვენებს მოსწავლეებს, თუ როგორ ივსება სქემა

(მნიშვნელოვანია ხმამაღლა ფიქრისა და კონკრეტული ნიმუშის გამოყენება).

3) მასწავლებელი ჩართავს მოსწავლეებს სქემის შევსების პროცესში (შესაძლებელია მან თავად დაიწყოს და შემდეგ მოსწავლეებს გააგრძელებინოს სქემის შევსება).

4) მოსწავლეები იყენებენ სქემას ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში, მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მათ მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება და აწვდის უკუკავშირს.

გაკვეთილის აქტივობის მიზნებიდან გამომდინარე, სქემა შეიძლება შეივსოს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფური.

სანიმუშოდ შემოგთავაზებთ ჩემს მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ გაკვეთილს.

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი: მე-3

თემა: ლელა ცუცქირიძის „ბელურა“

დრო: 45 წთ.

მოსწავლეთა რაოდენობა: 30

მიზანი: ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა, შინაარსის გააზრება, ახალი სიტყვების შესწავლა, შემდეგ კი, ახალ ცოდნასა და ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით სავარაუდო წინადადებების შედგენა, ტექსტის შეთხზვა.

გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები:

- ტექსტის მიმოხილვა;
- გონებრივი იერიში;
- ვარაუდების გამოთქმა;
- მნიშვნელოვანი სიტყვები;
- შესაძლო წინადადებები საკვანძო სიტყვების გამოყენებით;
- დავალების ბარათები;
- ინდივიდუალური კითხვა - გაგრძელებით;
- წყვილებში კითხვა;
- ჩუმი კითხვა;
- გეგმის შედგენა;
- დისკუსია;
- ფუნქციური წერა.

უნარები:

მოსწავლეები შეძლებენ:

- მხატვრული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვას და გაგება-გააზრებას.
- შინაარსის უკეთ გაგების მიზნით სიტყვის ვარაუდების სქემის გამოყენებას.
- ნაწარმოების ანალიზის დროს საკუთარი მოსაზრებების დასასაბუთებლად ტექსტის შესაბამისი ეპიზოდების დამოწმებას.

კავშირი ესგ-სთან

ქართ. III. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის, სხვადასხვა სახისა და ჟანრის თხრობითი ტექსტების (ზღაპრის, ნოველის, მოთხრობის, იგავ-არაკის, წერილის, ნამდვილი ამბის...) დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.

ქართ. III. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

ქართ. III. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ზოგიერთი სტრატეგიის გამოყენება.

მოსწავლეთა დაჯგუფების ფორმები: მთელი კლასი, წყვილები, ჯგუფები.

დაჯგუფების კრიტერიუმები: მოსწავლეთა გაწაფული კითხვის დონე.

სასწავლო მასალა და რესურსები:


კლასგარეშე საკითხავი ტექსტი - ლელა ცუცქირიძის „ბელურა“, ბუკი, დაბეჭდილი ტექსტი, ბარათები, ფურცლები, მარკერები, დაფა, ცარცი, შეფასების რუბლიკა, ვარაუდების სქემა, საწერი საშუალებები, გალია თუთიყუშით.

გაკვეთილის მსვლელობა:

1 ფაზა (წაკითხვამდე)

განწყობის შესაქმნელად ვასმენინებ ჩიტების ჭიკჭიკს (ხმოვანი სლაიდი), შემდეგ ვაცნობ გაკვეთილის თემას, მიზანს, ავტორს და გონებრივი იერიშით ვმუშაობ კლასთან.

მოსწავლეები გაიხსენებს, რა ტექსტები წაუკითხავთ და ჩამოთვლიან ტექსტის ტიპებს ჟანრების მიხედვით. რა სახის იქნება ტექსტი: ზღაპარი, მოთხრობა, იგავ-არაკი, ლექსი თუ საინფორმაციო ტექსტი; შემდეგ დახაზავს დაფაზე ასოციაციურ რუკას და შეავსებინებს მოსწავლეებს.



დაფაზე ვწერ იმ სიტყვებს, რომლებიც ტექსტში შეგვხვდება და წინასწარ მსურს გავამახვილო ყურადღება: ზოომდაზია, მისნაირი, გამყიდველი, გალია, ჭირვეული, გამოაჯავრა. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს ვებმარები სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტებაში (სიტყვის სქემის საშუალებით, რაც გეგმას თან ახლავს).

სიტყვის ვარაუდის სქემა

სიტყვა	ვარაუდი	ტექსტი ამბობს	ლექსიკონი
ზოომდაზია			
მისნაირი			
გამყიდველი			
გალია			
ჭირვეული			
გამოაჯავრა			

სიტყვების განმარტების შემდეგ, ამ სიტყვებზე (1-2) მოსწავლეებს შევადგენინებ წინადადებებს (1-2).

მეორე ფაზაზე გადასვლამდე განვუმარტავ, როგორ უნდა წაიკითხონ ინდივიდუალურად, გაგრძელებით, ჯგუფებში.

2 ფაზა (კითხვის დროს)

კვითხულობ ტექსტს პაუზების მეთოდით (პაუზებით) (სანიმუშო/სამოდულო კითხვა). ყოველი პაუზის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, მაგ: სათაურის მიხედვით, რა შინაარსის შეიძლება იყოს მოთხრობა. ტექსტს გავყოფ სამ მონაკვეთად. ისევ გამოთქვამთ ვარაუდებს, თუ როგორ გაგრძელდება ან დასრულდება ტექსტი.

	როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?	რატომ ფიქრობთ ასე?	ტექსტი გვეუბნება
სათაურის წაკითხვის შემდეგ			
1-ლი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
მე-2 მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
მე-3 მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			

კითხვის დამთავრების შემდეგ ვსვამ შეითვისებს:

- ვინ არის მოთხრობელი?
- სად ხდება მოქმედება?
- რამდენი პერსონაჟია?

მოსწავლეები აანალიზებენ ტექსტს ჟანრის მიხედვით.

ამის შემდეგ დავურიგებ ტექსტს. ბავშვებს წავაკითხებ ინდივიდუალურად, გაგრძელებით, წყვილებში და ჩუმიად.

პედაგოგი კლასს ყოფს ექვს შერეულ ჯგუფად და დავალებად მისცემს ბარათებს ჯგუფების მიხედვით:

ბარათი 1

1. დაუსვი კითხვა პირველი მონაკვეთის მე-2 აბზაცს.
2. ჩასვი შესაბამისი არსებითი სახელი:
ნაცრისფერიიჯდა მობუზული, მოწყენილი.
.....ტიროდა და ღრიალებდა.
ყველა ჭრელი..... გაიყიდა.
3. ახალ ლექსიკურ ერთეულზე (გამოაჯავრა) შეადგინეთ წინადადება.

ბარათი 2

1. დაუსვი კითხვა მე-2 მონაკვეთის 1-ლ აბზაცს.
2. ჩასვი შესაბამისი ზედსართავი სახელი:
თუთიყუში იჯდა მობუზული, მოწყენილი.
ზოგმა.....თუთიყუში იყიდა, ზოგმა -
3. შეავსეთ სიტყვის პირამიდა

ბარათი 3

1. დაუსვი კითხვა მე-3 მონაკვეთის 1-ლ აბზაცს.
2. შეავსეთ სიტყვის პირამიდა.
3. დახატეთ რომელიმე ეპიზოდი მოთხრობიდან.

3 ფაზა (წაკითხვის შემდეგ)

მოსწავლეები წარმოადგენენ შევსებულ ბარათებს და თითოეული ჯგუფი გააკეთებს პრეზენტაციას.

საუბრობენ ტექსტის შესახებ, წაკითხვამდე ლექსიკურ ერთეულებზე გამოთქმულ მოსაზრებებზე, რა გამართლდა და რა - არა.

შეკითხვებით ვამოწმებ, როგორ გაიგეს შინაარსი და როგორ გაიაზრეს ტექსტის მთავარი სათქმელი. მოსწავლეები პასუხობენ და კითხულობენ ტექსტიდან სათანადო მონაკვეთებს. გაიმართება შემაჯამებელი დისკუსია. ამხვილებენ ყურადღებას პერსონაჟის ხასიათზე და აფასებენ პერსონაჟის საქციელს. საუბრობენ ავტორის მიზანსა და ტექსტის მთავარ სათქმელზე.

- სად ცხოვრობდა ბელურა?
- როგორ ჩიტებთან ერთად ცხოვრობდა ბელურა ზოომალაზიაში?
- რატომ ეძახდა თუთიყუშს გამყიდველი ბელურას?
- როგორ გამოიყურებოდა მარტოდ დარჩენილი ბელურა?
- როგორ ეფერებოდა მოწყენილ, მარტოდ დარჩენილ ბელურას გამყიდველი (მომეზნეთ ტექსტში შესაბამისი ადგილი და წაკითხეთ).
- ვინ შევიდა ამ დროს მალაზიაში?
- რას იმეორებდა გოგონა?
- შვილის საქციელით შეწუხებულმა მამამ როგორ მოუბოდიშა გამყიდველს?
- როგორ გამოაჯავრა გოგონა თუთიყუშმა?

- რა უპასუხა გამყიდველმა გოგონას? (მოძებნეთ ტექსტში შესაბამისი ადგილი და წაიკითხეთ).
- როგორ მოიქცა გოგონა?
- როგორ შეიცვალა გოგონა?
- როგორ გადმოგვცა ავტორმა გოგონას ბედნიერება?
- თანმიმდევრულად დაალაგეთ მოვლენები მას შემდეგ, რაც გოგონამ იკითხა - ეს ვინ იყო?
- რა არის ავტორის სათქმელი?
- რა მიზნით დაწერა ავტორმა ეს მოთხრობა?
- დაახასიათეთ გოგონა.
- რას ურჩევდით მას?
- რომელ პერსონაჟთან იმეგობრებდით?
- რას ფიქრობთ, რატომ იყო გოგონა ჭირვეული?

ამის შემდეგ გამოვიყენებ ზეპირ ქვიზებს. ბავშვები პასუხებს გასცემენ დიახ/არა ბარათების გამოყენებით.

1. ბელურა სინამდვილეში თუთიყუშია? (დიახ თუ არა)
2. გოგონა სულ იცინოდა. (დიახ / არა)
3. ახალი წლის წინა დღეებში ყველა ნაცრისფერი თუთიყუში გაიყიდა? (დიახ - არა)
4. ჭირვეული გოგონა და ნაცრისფერი თუთიყუში დამეგობრდნენ? (დიახ - არა)

მოსწავლეებს ვაჩვენებ ვიდეორგოლს თუთიყუშებზე და ვაჯამებ გაკვეთილს.

შემდეგ ვამღებ საშინაო დავალებას, გააგრძელონ მოთხრობა მათი ფანტაზიით. დახატონ ილუსტრაცია.

ბოლოს მოსწავლეები ავსებენ კლასიდან გასვლის ბარათებს. პასუხს გასცემენ კითხვებზე:

- რომელი აქტივობა მოგეწონათ?
- რა გაგიჭირდათ?
- კითხვა , რომელზეც პასუხი ვერ მიიღე.

შეფასება: გაკვეთილის განმავლობაში ვაკეთებ განმავითარებელ კომენტარებს, დაკვირვების შედეგები კი შემაქვს მონიტორინგის რვეულში და სპეციალურად შედგენილ შეფასების რუბრიკაში.

რეზიუმე

ტექსტის შინაარსის უკეთ აღქმაში, მასში მოცემული ინფორმაციის დახარისხებასა და ორგანიზებაში, ასევე ტექსტის ძირითადი კომპონენტების იდენტიფიცირებაში მოსწავლეს ეხმარება სხვადასხვა ტიპისა და დიზაინის სქემები. ნაშრომში მოცემულია კონკრეტული მითითებები, როგორ უნდა მივაჩვიოთ მოსწავლეები სქემების გამოყენებას. ამავდროულად, წარმოდგენილი გაკვეთილის ნიმუშის საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა აქტივობის ბარათების დანიშნულება და მათი როლი საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვის საქმეში.

Nino Pataridze - LEPL Kutaisi St Nino Public School N3, The teacher of primary classes

The Role of Graphic Schemes and Activity Cards in Successfully Conducting the Teaching Process

Resume

The schemes of different types and design help students to better percept the text content, sort and organize the given information, as well as identify the the main components of the text. The work gives specific instructions on how to let our students get used to using schemes. At the same time, the given sample lesson gives the possibility to present the purpose and role of the activity cards in the process of conducting the teaching process successfully.

ინგა დარსაველიძე - შპს. №1 სკოლა, პედაგოგი

ბარბარიზმები რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში

სტილისტიკის სწავლებისას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბარბარიზმების, როგორც უცხოური ენიდან საჭიროების გარეშე შემოტანილ, მშობლიური ენის ბუნებისათვის შეუფერებელი სიტყვების, სწავლებას.

სიტყვათა სესხება ყოველთვის იყო ენის გამდიდრების წყარო. “ბილინგვიზმი ყოველთვის იყო ჩვენი ცხოვრების თანმდევი მოვლენა. (მან) უთუოდ გამდიდრა ქართული ენა და იმავდროულად თვითშენარჩუნებისათვის საჭირო იმუნიტეტი გამოუმუშავა მას”. “ქართველი მწიგნობრები, ჩანს არ იდგნენ არასაჭირო პურიზმის პრინციპებზე, საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინოლოგიას სიამოვნებით იღებდნენ უცხოური ენებისაგან და უგულებდნენ ქართულის სტრუქტურულ-სემანტიკურ ნორმებს.”²

ენათმეცნიერებაში აღნიშნულია, იმავე მნიშვნელობის სიტყვათა არსებობის გამო, ბარბარიზმების უარყოფითი გავლენა ლექსიკისაზე. ქართულმა ბევრი შემღვრევა განიცადა. სხვა ენის ნორმების მიხედვით შექმნილ და ამ ენის სოციალური ზეგავლენით გამოყენებულ ფორმები ენას ანაგვიანებენ. “მათი ხმარება გაუმართლებელია და ენის მიმართ უდიერი დამოკიდებულების მაჩვენებელია.”

ბარბარიზმების სწავლებისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოსწავლეებს ეს საკითხი დავანახოთ, როგორც მწერლის იარაღი, პერსონაჟის ხასიათისა და თვისებების დასახატად. მაგალითად მოვიყვან მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეული წარმომადგენლის, რევაზ ინანიშვილის, ნაწარმოებებს.

ბარბარიზმების შესახებ თეორიული მასალის მიწოდების შემდეგ, დაფაზე დავხატავ T დიაგრამას და მარცხენა მხარეში ჩავეწერ გავრცელებულ ბარბარიზმებს: “სტოლი”, “შკაფი”, “სპიჩკა”, “პოლი”. მოსწავლეები შეავსებენ მარჯვენა მხარეს სწორი ფორმებით. ამის შემდეგ, რ. ინანიშვილის მოთხრობებიდან ბარათებზე ამოწერილ წინადადებებს დავურიგებ წყვილებად დაყოფილ მოსწავლეებს და ვთხოვ ხაზი გაუსვან ბარბარიზმებს და თავზე დაწერონ შესატყვისი ფორმა. მოსწავლეები წაიკითხავენ და დაასკვნიან რომ მწერალი, ბარბარიზმებს ძირითადად იყენებს მოქმედი გმირის მეტყველების აღსაწერად.

მაგალითები:

1. “ერთხელ მეც გადავდივარ ამ მესერზე და ჩამეჭკედა შიგ ფეხსაცმელი, დიდი სალდათური ხათინკა, მორბიან მილიციელები, ვიღაცას ემიძგილავებიან. ჩემსკენ მოათრევენ, ახლა მე უნდა მტაცონ ხელი. მე კიდევ ვეღარ ვაძრობ ხათინკას... ბოლოს, ამოვაძვრე ჩემი ხათინკა და ვტუტე ის სველი, ტალახიანი ფეხი პირდაპირ...”
2. “ეზოში ექვთიმეს ახალი თონის ჩადგმაში მიეშველა, შემა მოზიდა - სულ დიდ-დიდი მორები, დრუჟბა ხერხი მოიტანა, დახერხა, დააპო და წყობისად დაალაგა.”
3. “არა, ბიძა მყავს სამტრესტში და იმან გამომიგზავნა თავისი ხაჩონკით.”
4. “ახ!- ერთს ამასღა იტყვის ბოლოს, თან პურის შკაფის მალლა სიმეტრიულად დაკიდებულ სურათებისკენ იყურება.”
5. “გზაზე კი, ძირს მთასველელები მოდიან, ცხენებს ყუთები და რუჟხაკები აქვთ გადაკიდებული.”
6. “ესენი ზედამხედველები არიან. ბრწყინვალედ ფლობენ თავიანთ საქმეს. ბისტრეე! ბისტრეე!”
7. “მაშინ ის ცხენებიც საოცრად დიდებდად მეჩვენებოდა, როცა პროკოფი ბრიჩკაში აზამდა, მძიმედ მიაძგარუნებდნენ მორყულ ნალებს.”
8. “-შენ აქ იყავი, უთხრა მანანას თინამ,- მეწავიღებ პირველად, მე დავიჭერ ადგილს, შენ ეს მეშტკვი ამიწიე!”

9. “–დედიჯან, ბავშვის შიბაქი ეს არის, თუ შენთვის გინდა, სირაჯხანის თავკვემ ჩადი, იქ ფეჩნიკებო სხედან და გაგიკეთებენ.
10. “–რას! რას! რას!– ეცემოდა იატაკზე, მიცოცავდა, მიყიჟინებდა, –ურაა! ურაა! – ისროდა იატაკზე გაფართხული.
11. “განძელები ეწყო? – რეები?– შპალი განძელია ქართულად.”

აღვნიშნავთ, რომ მწერლის შემოქმედება დახვეწილი ქართულით გამოირჩევა, თუმცა, 70-80-იან წლებში და უფრო ადრეც, ქართულ ლექსიკას მოძალებული ბარბარიზმები ძირითადად, გაბატონებული რეჟიმის, რუსეთის, ზეწოლის შედეგი იყო, რამაც თავისი კვალი ქართულ მწერლობასაც დააჩინა.

ლიტერატურა:

1. ლეილა გეგუჩაძე “ქართული ენა” თბ. 1997.
2. რევაზ ინანიშვილი “ალერსი შიშიანობის დროს” თბ. 1986.
3. რევაზ ინანიშვილი - მოთხრობები, ქართული პროზა, ტ.46.
4. ალექსანდრე დლონტი “ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები” თბ. 1988.
5. ბესარიონ ჯორბენაძე “ენა და კულტურა” თბ. 1997.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ბარბარიზმები, ენისათვის არასაჭირო ერთეულების, გამოყენების შემთხვევები რ. ინანიშვილის შემოქმედებაში, როგორც პერსონაჟის ხატვის ერთ-ერთი ხერხი.

ია ჩინჩალაძე – სსიპ ქალაქ ქუთაისის N40 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი

ოთარ ჭილაძის პოემის-„ადამიანი გაზეთის სვეტში“ კრიტიკული ანალიზი „აზროვნების ექვსი ქუდის“ მეთოდის გამოყენებით

21-ე საუკუნეში მიმდინარე მოვლენები მოითხოვს მოსწავლეთა შემეცნებითი პროცესების გააქტიურებას, ცოდნის შეძენის მოთხოვნილების გაზრდას, სწრაფ და სხარტ აზროვნებას, საკუთარი ცოდნის ტრანსფერის უნარის განვითარებას. სწორედ ამ უნარ-ჩვევების წინ წამოწევისა და სრულყოფას ემსახურება მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარება, რომელშიც გვეხმარება დისკუსიის საინტერესო მეთოდის - „აზროვნების ექვსი ქუდის“ გამოყენება. მეთოდის ავტორია ედუარდ დე ბონო (XX ს. 80-იანი წ.წ.)

ოთარ ჭილაძის პოემის-„ადამიანი გაზეთის სვეტში“ კრიტიკული ანალიზის დროს, „აზროვნების ექვსი ქუდის“ მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეები დააფიქრდებიან ადამიანის ცხოვრების საზრისზე, კაცთმოყვარეობასა და ზნეობაზე.

გაკვეთილის დასაწყისში ინტერესის გამოწვევის მიზნით მოსწავლეები მოისმენენ ოთარ ჭილაძის პოემის ნაწევრის ჩანაწერს (კითხულობს მსახიობი ზინა კვერენჩილაძე <https://www.youtube.com/watch?v=87OoAoZXgdY>)

წინარე ცოდნის შემოწმებისა და მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურების დროს მასწავლებელი დასვამს კითხვებს და მოსწავლეებს მოაყოლებს ნაწარმოების ტექსტს ზეპირად და პერიფრაზით.

დისკუსიის დაწყებამდე პედაგოგი მოსწავლეებს შეახსენებს მეთოდის ინსტრუქციას, გაანაწილებს ფუნქციებს. ჯგუფებად (5 ჯგუფი) დაყოფილ მოსწავლეებს დაურიგდებათ სხვადასხვა ფერის (თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე) ქუდები, რომლებიც მათ როლებს მოერგება. თავად მასწავლებელმა, როგორც შეხვედრის ხელმძღვანელმა, უნდა მოირგოს ლურჯი ფერის ქუდი, მან დისკუსიის მონაწილეებს მოკლედ უნდა გააცნოს ქუდების კონცეფცია და ძირითადი პრობლემა მოხაზოს: **თეთრი ქუდი --ფაქტები**, აზროვნების ტიპი - სიზუსტე, ფაქტები, ლოგიკა, თეთრი ფერის ქუდი - მიუკერძოებელი და ობიექტურია. ამ ქუდის დახურვის დროს მოსწავლეები აქცენტს გააკეთებენ ყველა იმ მონაცემზე, რაც აქვთ, როგორ გამოიყენონ უკვე ცნობილი ფაქტები და დასკვნები პრობლემის გადაწყვეტისთვის.

წითელი ქუდი: გრძნობები, აზროვნების რეჟიმი - ემოციები, ინტუიცია, გრძნობა და წინათგრძნობა. წითელი ქუდი დაკავშირებულია ემოციასთან, ინტელექტთან, გრძნობებსა და წინათგრძნობებთან, აქ აუცილებელი არ არის დასაბუთება.

შავი ქუდი: ნეგატივი, აზროვნების მიმართულება - განსჯა, კრიტიკა, შეფასება, სიფრთხილე. ლოგიკური -ნეგატიური. შავი ქუდი განსაკუთრებით სჭირდება მას, ვინც უკვე მიაღწია წარმატებას და მიეჩვია პოზიტიურად აზროვნებას, რადგან, როგორც წესი ასეთი ხალხი არ აფასებს სიმწიფეებს. მოსწავლეები შეეცადებიან ყოველ იდეაში იპოვონ სუსტი მხარე და მაქსიმალურად მიაქციონ მას ყურადღება. მათი ყველა შენიშვნა აუცილებლად უნდა დასაბუთდეს!

ყვითელი ქუდი: პოზიტივი, აზროვნების ფოკუსშია ღირსებები და უპირატესობები. ეს გახლავთ შავის საპირისპირო და ამ ქუდის ქვეშ იგულისხმება „ოპტიმისტურად აზროვნება“. პოზიტიური მიდგომა პრობლემური საკითხისადმი. გამოყოფა ძლიერ მხარეებისა, გადაწყვეტილების უპირატესობისა. ამ ფერის ქვეშ მოსწავლეები შეეცდებიან გამოხატონ საუკეთესო წინადადებები, პერსპექტივები. მათი ხედვა აუცილებლად უნდა დასაბუთდეს.

მწვანე ქუდი: შემოქმედება, შემოქმედებითი აზროვნება, იდეები - ბევრი და მრავალფეროვანი. აღნიშნავს შემოქმედებას, არაჩვეულებრივი იდეებისა და არაორდინალური შეხედულებების ძიებას. მოსწავლე, რომელიც მწვანე ქუდს იხურავს, ახალი იდეების, ახალი გადაწყვეტების ძიებას იწყებს.

ლურჯი ქუდი: კონტროლი, აზროვნების პროცესის ორგანიზება, კონტროლი და მართვა. მას იხურავს მასწავლებელი. იგი მართავს მთლიან პროცესს, ყველას აძლევს სიტყვას, აკვირდება თემატიკის დაცვას.

ედუარდ დე ბონომ აზროვნების ტიპები დაუკავშირა ფერად ქუდებს, რითაც საფუძველი დაუდო პარალელური აზროვნების იდეას (პარალელური აზროვნება - ეს არის კონსტრუქციული აზროვნება, რომლის დროსაც განსხვავებული შეხედულებები ერთმანეთს კი არ ეჯახება, არამედ თანაარსებობს).

ამის შემდეგ პედაგოგი გამართავს დისკუსიას თემაზე: რა უფრო მნიშვნელოვანია სამხედრო წესების დაცვა, თუ ადამიანური, ზნეობრივი ღირებულებები?

მოსწავლეები კრიტიკულად გაანალიზებენ ნაწარმოებს „აზროვნების ექვსი ქუდის“ მეთოდის გამოყენებით

დისკუსიის ბოლოს შესწავლილი მასალის შეჯამებისა და გამთლიანების მიზნით მასწავლებელი დასვამს კითხვას : რა ადამიანური, ზნეობრივი ღირებულებები შევისწავლეთ პოემის ტექსტიდან? მოსწავლეები გამოკვეთენ პოემის მნიშვნელოვან ადგილებს:

1. „ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს.“
2. "არა სხელის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც".
3. "ფიქრის უფლება ყოფილა თურმე ყველაზე ძვირი, რადგან ცხოვრების ავანჩავანი ფიქრში ირკვევა..."
4. "არ შეიძლება, რომ უსასრულოდ მხოლოდ ძლიერი იყოს მართალი".
5. "მე კი ჩუმად ვარ, როგორც მარცვალი ღმერთის კალთიდან გადმოვარდნილი. და ღმერთმა იცის, რა მელოდება: ჩიტის ჩიჩახვი თუ ქვის საწოლი, ეკალ-ბარდები თუ თბილი ხნული".
6. "პატივისცემის ღირსია ყველა, ვისაც სამშობლო შერჩა და უყვარს. ვისაც სამშობლო უყვარს და ცდილობს, აღარ დაიდგას ქედზე უღელი, არ დაამცროს ადამიანთა ყველაზე დიდი მონაპოვარი, ყველა ნაყოფზე ტკბილი ნაყოფი: თავისუფლება!"
7. "რატომ ვერ ძღება ყველას სტომაქი კუთვნილი პურით, წყლით და ჰაერით.."
8. "ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ჰგონია, მაგრამ აქამდე ვერ უპოვია საბრალს თავი. და გადის მისი მოკლე ცხოვრება შურში, მტრობაში და სიძულვილში".
9. "შენ რატომ უნდა გეძინოს ცუდად, მე თუ რაღაცით ვარ ბედნიერი... ან რატომ უნდა გეძინოს მშვიდად, როცა მე ვწევარ სისხლის გუბეში".
10. "და როგორც ბროლის მაღალ ტაძარში, მთელი ქვეყანა შედის წვიმაში".

მოსწავლეები შეავსებენ სქემას: „ადამიანური, ზნეობრივი ფასეულობები“, ჩამონათვალში წარმოადგენენ მათთვის ყველაზე ღირებულ ზნეობრივ ფასეულობებს, რომელთაც აუცილებლად გაითვალისწინებენ ცხოვრებაში :

1. სინდის-ნამუსი და ეკლესიურად ცხოვრება
2. სიმართლისა და ღირსების დაცვა , ერთგულება, ობიექტურობა
3. ეროვნული ადათ-წესების დაცვა
4. თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვა
5. სამშობლოსთვის, ადამიანებისთვის თავგანწირვა
6. ოჯახის სიყვარული და ერთგულება
7. ცდუნებების დამლევა, საკუთარი თავის ძიება და შეცნობა
8. სიკეთის დაცვა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა
9. სუსტისა და უსამართლოდ დაჩაგრულის დაცვა
10. სხვათა პატივისცემა და დაფასება, შურისა და სიძულვილის დამლევა
11. ემპათია, გაჭირვებულის თანაგრძნობა, სინანული, კათარზისი

გაკვეთილის ბოლოს პედაგოგი მოსწავლეებს მისცემს ინტერტექსტუალურ დავალებას. ამ მიზნით გამომეტყველებით წაიკითხავს ახალგაზრდა პოეტ ნიკა ჩერქეზიშვილის ლექსს „დღენაკლულთა“. მოსწავლეები ამ ლექსს დაუკავშირებენ ოთარ ჭილაძის პოემას- „ადამიანი გაზეთის სვეტში“

2017 წლის თებერვალში ამ მეთოდის გამოყენებით ჩავატარე ღია გაკვეთილი თემაზე: საკუთარი თავის ძიებაში, ოთარ ჭილაძის „ადამიანი გაზეთის სვეტში“ სამხედრო წესების თუ ადამიანური, ზნეობრივი ღირებულებების დაცვა ? (ნაწარმოების კრიტიკული ანალიზი)

მოსწავლეებმა სიღრმისეულად გაიაზრეს ო.ჭილაძის პოემა „ადამიანი გაზეთის სვეტში“, გაარკვეეს პოემის მთავარი აზრი, ამოიცნეს და კრიტიკულად იმსჯელეს ნაწარმოების ტექსტში არსებულ პრობლემებზე, რომელთა ერთმნიშვნელოვნად გადაჭრა რთულია, მოიხმეს არგუმენტები. მოისმენეს და ჯგუფურ დისკუსიებში განიხილეს ნაწარმოების პრობლემასთან დაკავშირებული ამხანაგების მოსაზრებები, წარმოადგინეს განსხვავებული თვალსაზრისის მათეული ინტერპრეტაციები.

მოსწავლეებმა იმსჯელეს პერსონაჟთა თვისებებსა და ქცევაზე. დააკვირდნენ, ამოიცნეს და შეაფასეს ავტორის, /პერსონაჟების დამოკიდებულება კონკრეტული გმირის, აღწერილი მოვლენების მიმართ;

„აზროვნების ექვსი ქუდის“ დისკუსიის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს განუვითარდათ კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნება, გაეზარდათ სწავლის მოტივაცია, გამოუმუშავდათ სწრაფი და სხარტი აზროვნება, განუვითარდათ საკუთარი ცოდნის ტრანსფერის უნარი.

დღესდღეობით ყველგან, ნებისმიერ სფეროში აუცილებელია კონსტრუქციული, შემოქმედებითი აზროვნება, რომელიც ახლის ძიების, განვითარების საშუალებას იძლევა. ფერადი ქუდები - კარგად დახსომებადი მეტაფორაა, რომელსაც მოსწავლეები ადვილად სწავლობენ და იყენებენ დისკუსიის დროს. მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებთან. ამ მეთოდის მეშვეობით ჯგუფური აზროვნების პროცესი უფრო ფოკუსირებული, კონსტრუქციული და ნაყოფიერია; ქუდების მეტაფორა - ერთგვარი როლური ენაა, რომლითაც გვიადვილდება მოსწავლეებთან ნებისმიერ თემაზე საუბარი, მეთოდი გვეხმარება აზრების დალაგებასა და აბნეულობის თავიდან აცილებაში, რადგან პარალელური აზროვნების კონცეფციას იყენებს - დროის გარკვეულ მონაკვეთში მთელი ჯგუფი აზროვნების მხოლოდ ერთ კონკრეტულ ტიპს იყენებს.

აზროვნების 6 ქუდის მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეთა გონების მოქნილობას, კრეატიულობას, ეხმარება მათ გადაწყვეტილების მიღებასა და მიზნების და ამოცანების სწორად ფორმულირებაში. ჩემს მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ ეს მეთოდი და ხშირად მიმართავენ მხატვრული ნაწარმოებების კრიტიკული ანალიზის დროს.

ამრიგად, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე პერიოდულად უნდა გამოვიყენოთ ედვარდ დე ბონოს (ბრიტანელი ფსიქოლოგი, მწერალი და მრჩეველი შემოქმედებითი აზროვნების სფეროში), „აზროვნების ექვსი ქუდის“ ე.წ. „ტვინის შტურმის“ ყველაზე პოპულარული მეთოდი.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წწ; საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში
2. მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელო მე-9 კლასი ავტ: ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი
3. მაია ფირჩხაძე „კრიტიკული აზროვნების განვითარება სწავლებისას და „აზროვნების ექვსი ქუდი“
<http://www.mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/kritikuli%20azrovenbis%20ganvitareba%20da%20eqvsi%20qudi.pdf>
4. ედვარდ დე ბონო <https://www.youtube.com/watch?v=IypxVAbQDbw>

რეზიუმე

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ედვარდ დე ბონოს დისკუსიის საინტერესო მეთოდის „აზროვნების ექვსი ქუდის“ გამოყენებით მოსწავლეებს განუვითარდათ კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნება, საკუთარი ცოდნის ტრანსფერის უნარი, გამოუმუშავდათ სწრაფი და სხარტი აზროვნება, გაიზარდა სწავლის მოტივაცია,

ნაშრომში წარმოდგენილია გაკვეთილის დაგეგმვა, დისკუსიის წარმართვა „აზროვნების ექვსი ქუდის“ მეთოდით, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარა მხატვრული ნაწარმოების ტექსტის სიღრმისეულად გააზრებასა და მთავარი აზრის ამოცნობაში. მოსწავლეებმა ჯგუფურ დისკუსიებში განიხილეს ნაწარმოების პრობლემასთან დაკავშირებული ამხანაგების მოსაზრებები, გამოიყენეს პარალელური აზროვნება.

Ia Chinchaladze - Kutaisi №40 public school certified teacher

Abstract

Using an interesting method of Edward De Bone "Six Hats of Thinking" in the Georgian language and literature lesson helps my students to develop critical and independent analyzing thinking, improve their knowledge transferring skills, work out quick and smart thinking and rise up their motivation.

The work gives the examples of planning lesson, holding debates with the help of method "Six Hats of Thinking". The given method will help students to understand literature text better and to identify the main idea. Students held a debate in groups, while discussing the group mates related their own ideas with the main problem of the text, they used parallel thinking.

ციური ფხაკაძე - ა. წერეთლის სახელობის ქ. ქუთაისის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი

ტექსტის გააზრება-გაანალიზების კომპონენტები

ტექსტის კითხვა და გაგება-გააზრება გამართული მკითხველებისათვის ერთიანი, განუყოფელი პროცესია, პატარებისთვის კი, რადგან კითხვაში გაწაფულნი არ არიან და სიტყვების ამოკითხვაზე დიდი დრო და ენერჯია ეკარგებათ, ტექსტიც და მისი გაგება-გააზრებაც სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს. ტექსტი შეიძლება წავიკითხოთ, მაგრამ თუ წაკითხულს არ გავააზრებთ და გავაანალიზებთ, მას ვერ შევიმეცნებთ. მოსწავლეები გაგება-გააანალიზების უნარს თავისთავად ვერ დაეუფლებიან. პედაგოგს ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდება მხატვრული, თხრობითი, საბუნებისმეტყველო, საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტებისა თუ საგაზეთო სტატიების დასამუშავებლად და, შესაბამისად, თითოეული მათგანის სწავლებისათვის განსხვავებული სტრატეგიების მოძიება და გამოყენება დასჭირდება.

გაგება-გააზრება ნებელობითი, აქტიური და ინტერაქტიული პროცესია. ის გაკვეთილის სამივე ფაზაზე - წაკითხვამდე, კითხვისა და წაკითხვის შემდეგ გრძელდება და პედაგოგი გააზრების ისეთ სტრატეგიებს იყენებს, როგორებიცაა შეკითხვის დასმა, პასუხების ძიება, ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება-შეჯამება, წარმოსახვაში გაცოცხლება, სააზროვნო სქემების გამოყენება და ა.შ.

წაკითხულის გააზრება ოთხ სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელი:

1. სიტყვასიტყვით გაგების დონეზე;
2. ანალიზისა და დასკვნის გამოტანის, ჩაწვდომის დონეზე;
3. კრიტიკული შეფასების დონეზე;
4. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ჟანრის გარკვევა, ტექსტის ენის გაანალიზება, გამოსახვის ხერხების ამოცნობა.

მოსწავლეთა გაგება-გააზრების უნარის განსავითარებლად მნიშვნელოვანია შემდეგი მიდგომები და სტრატეგიები.

1. დაუსახეთ მოსწავლეებს, თუ რა მიზნით უნდა გაეცნონ ტექსტს: ინფორმაციის მოსაძიებლად, შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, საკითხის შესაჯამებლად და სხვ.
2. გაგება-გააზრებისთვის უნდა შეირჩეს მოსწავლის კითხვის დონის შესაფერისი ტექსტები: ტექსტი ბავშვისთვის არც ძალიან რთული უნდა იყოს და არც ძალიან მარტივი.
3. მნიშვნელოვანია „ხმამალა ფიქრისა“ და „ილუსტრირების“ მეთოდი.
4. მნიშვნელოვანია „რატომ?“ შეკითხვის გამოყენება შერჩეული ტექსტის საგანგებო მონაკვეთებს გასააზრებლად.
5. გაგება-გააზრების ძირითადი დასაყრდენი მდიდარი ლექსიკური მარაგია.
6. კითხვისას კარგი მკითხველები აკეთებენ მარკირებას, მონიშვნებს, ამონაწერებსა და ჩანაწერებს, რაც წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის კარგი საშუალებაა.
7. წაკითხულის შესახებ საუბარი, შეკითხვების დასმა, ხშირი დისკუსიები.
8. უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, სხვადასხვა დანიშნულებისა და დიზაინის გრაფიკული და ვიზუალური სქემები ტექსტის გააზრების მიზნით.

მონიტორინგი, საჭირო უკუკავშირი, შეჯამება და შეფასება. პედაგოგებისთვის მნიშვნელოვანია ტექსტი გააზრონ და მოსწავლეებს გაააზრებინონ საგაკვეთილო მასალის ახსნის სამივე ფაზაზე.

ტექსტის გაგება-გააზრებასა და გაანალიზებაში წარმართველი კომპონენტებია:

1. მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს, როგორც წინარე ცოდნის გააქტიურებაზე წარმართულ აქტივობას, ასევე ფაქტობრივ, მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვებსაც.
2. ლექსიკური მუშაობის შემდეგ სააზროვნო წინადადებების შედგენაზე მუშაობა.
3. სქემებისა და გრაფიკული მათემატიკის გამოყენების მიზნობრივი გამოყენება.
4. სწორად წარმართული განმავითარებელი შეფასების კომპონენტები, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს.
5. შემაჯამებელი შეფასების სტრატეგიების მიზნობრივი გამოყენება, რომელიც ტექსტის გააზრებას შეუწყობს ხელს.

ტექსტის გაგება-გააზრებისა და გაანალიზების თვალსაზრისით წარმოგიდგენთ ჩემ მიერ აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ქუთაისის #1 საჯარო სკოლაში ჩატარებული გაკვეთილის ნიმუშს.

IV კლასი

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

თემა: როსტომ ელანიძის „ვარძია“

დრო: 90 წთ.

მოსწავლეთა რაოდენობა: 30

გაკვეთილის მიზნები:

ტექსტის კითხვა და ანალიზი;

ინფორმაციის შეჯამება და სათანადო დასკვნების გაკეთება;

გაბმული მეტყველების განვითარება;

წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება.

უნარები: მოსწავლეები შეძლებენ: მხატვრული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვასა და გააზრებას. შინაარსის უკეთ გაგების მიზნით სიტყვების ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემის შევსების ტექნიკის გამოყენებას წაწარმოების ანალიზისა და პერსონაჟების დასახასიათებლის დროს საკუთარი მოსაზრებების ტექსტის შესაბამისი ეპიზოდებით დამოწმებას.

ეროვნული სასწავლო გეგმა:

ქართული IV 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა თემაზე შექმნილი მხატვრული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა: ასახელებს მოქმედ პირებს, მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას, აკვირდება პერსონაჟების ქცევას, გამოაქვს დასკვნა.


ქართული IV 8. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. მონაწილეობს წაკითხულის შესახებ გამართულ დისკუსიაში, საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს ტექსტიდან.

ქართული IV 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება კონკრეტული საკითხის დასამუსავებლად.

ქართული IV 12. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით.

I ფაზა

1. აქტივობა - წინარე ცოდნის გააქტიურებას დავიწყებ კროსვორდის შევსებით:




1. ყვავილების მეფედ წოდებული
2. მტაცებელი ფრინველი
3. მდინარე ქუთაისში
4. სახლის მცველი შინაური ცხოველი
5. ვარდობისთვე - იგივე...
6. გაზაფხულის მახარობელი ყვავილი

(მუქ სვეტში მივიღებთ ლექსიკურ ერთეულს - *ვარძია*)

- რას მიგანიშნებთ ეს სიტყვა?
- ხომ არაფერი გსმენიათ ვარძიაზე?
- რა ტიპის ტექსტები წაგიკითხავთ ვარძიაზე?

ჩამოთვლილთაგან ყურადღებას განვამახვილებ მხატვრულ ტექსტზე, ლეგენდასა და თქმულებაზე. შეკითხვების საფუძველზე შეივსება „ასოციაციური რუკა“.



II აქტივობა

თემის, ავტორისა და მიზნის წარდგენა - ტექსტის სახელწოდების მიხედვით ვარაუდების გამოთქმა, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ნაწარმოები.

III აქტივობა - ლექსიკური ერთეულების განმარტება

„სიტყვის გამომძიებლის“ სქემა

სიტყვა	მოსწავლის განმარტება	სიტყვის მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით	განმარტება ლექსიკონში
ფლატე			ხევის ჩამონგრეული ნაპირი
ქამანდი			ცხოველების დასაჭერი ყულფიანი თოკი
მღვიმე			იგივე გამოქვაბული
ქიმი			გამოშვერილი, წაწვეტებული ნაწილი
დაკენწლა			ოდნავ დაჭრა, გაკაწრა

მოსწავლეებს წარვუდგენ „სიტყვის გამომძიებლის“ სქემას, რომლის პირველ სვეტში ჩამოწერილია ნაწილობრივ რთული ლექსიკური ერთეულები. ბავშვები განმარტავენ სიტყვებს და ჩაწერენ მეორე სვეტში. მესამე სვეტს შეავსებენ კითხვისას ან წაკითხვის შემდეგ, როდესაც კონტექსტის მიხედვით გაარკვევენ სიტყვათა ზუსტ მნიშვნელობებს. მეოთხე სვეტი ლექსიკონს უკავია. შესაძლებელია ლექსიკონის გამოყენება არც დაგჭირდეს, მაგრამ მე წინასწარ მოვამზადე განმარტებები და გადაბრუნებულ მდგომარეობაში გავაკარი მეოთხე სვეტში.

ამის შემდეგ მოსწავლეებს შევახსენებ კითხვისას გამოსაყენებელ სტრატეგიებზე, კერძოდ პოსტერზე - „კითხვის დროს დაუსვი შენს თავს შეკითხვა“. აქვე შევახსენებ კითხვისას დაუკვირდნენ ლექსიკურ ერთეულებს კონტექსტში, რათა შევახსოთ მესამე სვეტი.

II ფაზა

I აქტივობა - ვიწყებ სამოდელო კითხვას (I-II აზრად), აგრძელებენ მოსწავლეები სხვადასხვა მეთოდით: გარძელებით, გამოკრებით, ჯგუფებად. მოსწავლეები გადაამოწმებენ გამოთქმული ვარაუდების ჭეშმარიტებას.

II აქტივობა - ფაქტობრივი შეკითხვები ტექსტის შინაარსის გასააზრებლად.

1. სად, საქართველოს რომელ ნაწილშია გამოკვეთილი ვარძია?
2. როდის მოხდა ტექსტში მოთხრობილი ამბავი?
3. ხალხის გადმოცემით, რომელი ფრინველი ბუდობდა ვარძიაში?
4. რა ეგონა ახალგაზრდა მხედარს თავდაპირველად ორბის მსხვერპლი?
5. ვინ აღმოჩნდა სინამდვილეში ორბის ბრწყყალებში?
6. როგორ შეუტია ჭაბუკმა ორბს?
7. როგორ დაფასდა ახალგაზრდა მხედრის თავდადება?
8. ვინ არიან ამ თქმულების მთავარი პერსონაჟები?
9. რა შეგიძლიათ თქვათ თამარის შესახებ?

ამის შემდეგ დავალების ბარათებზე მუშაობა ხუთ ჯგუფთან.

III აქტივობა - მუშაობა დავალების ბარათებზე

I ჯგუფი - შეავსებს „სიტყვის პირამიდას“ ლექსიკურ ერთეულზე - გონწასული;

II ჯგუფი შეავსებს სქემას - „შეჯამების ვარსკვლავი“;

III ჯგუფი იმუშავებს „სიტყვის ცნების რუკაზე“ (ციცაბო);

IV ჯგუფი ამოძებნის და წერილობით გადმოგვცემს ტექსტიდან ეპიზოდს - შეხვედრა მეფესთან;

V ჯგუფი დახატავს საშიშ მტაცებელს და დაწერს ცხოველის შესახებ.

პრეზენტაცია.

III ფაზა

I აქტივობა - მესამე ფაზაზე მუშაობა ტექსტის გაანალიზებას ეთმობა. ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვების ნაწილი ასე გამოიყურება:

- როგორ გვიხსნის ავტორი იმას, თუ როგორ მოიქცა მხედარი, როცა ორბმა მხედრისკენ აიღო გეზი?
- საიდან ვიცით, რომ ორბი კლდეებში ცხოვრობს?
- რა მოხდა, როცა მესხი მიუახლოვდა მტაცებლის სადგომს?
- რატომ აელვარდა ჭაბუკის ხელში მახვილი?
- რა თვისებები აქვს მხედარს?
- როგორ მოგეწონათ ჭაბუკის საქციელი?
- რამდენად დამსახურებულად მიგაჩნიათ თამარის მიერ მესხი ჭაბუკის შექება?
- რატომ გაუკეთეს ვარძიას ერთი შესასვლელი და სამი კარი?
- რა მიგაჩნიათ დამაჯერებლად?
- კიდევ რა თქმულებები და ლეგენდები წაგიკითხავთ? და ა. შ.

II აქტივობა - ჯგუფური მუშაობა. ტექსტის სრულყოფილად გაანალიზების მიზნით მოსწავლეებს ვამუშავებ სააზროვნო სქემებზე:

I ჯგუფი - შეავსებს სქემას „თავიდან - მერე - ბოლოს“;

II ჯგუფი - იმუშავებს „მოთხრობის რუკაზე“ (პერსონაჟი, გარემოებები, მოვლენები, პრობლემების გადაწყვეტა);

III ჯგუფი წარმოადგენს შევსებულ „პერსონაჟის რუკას“ (თამარი);

IV ჯგუფი იმუშავებს „პერსონაჟის რუკაზე“ (ახალგაზრდა მხედარი);

V ჯგუფი შეავსებს „პერსონაჟის რუკას“ (ბავშვი).

პრეზენტაცია.

III აქტივობა:

პრეზენტაციის შემდეგ ვსვამ შემაჯამებელ კითხვებს:

1. როგორია თქვენი აზრი ტექსტში ქმედებების შესახებ?
2. როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ ტექსტში მთავარი პერსონაჟების ღირებულებები?
3. როგორ პრიორიტეტებს მიანიჭებდით ფაქტებს?
4. რა ინფორმაციებს გამოიყენებდით. მოსაზრებების მხარდასაჭერად?

შევასებთ „გასასვლელ ბარათებს“

1. რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად?
2. რა იყო ბუნდოვანი?
3. რა შეკითხვები დაგებადათ?

ბოლოს შევაფასებთ და შევაჯამებთ ტექსტან მუშაობის შედეგს. მივცემ შესაბამის დავალებას.

როგორც გეგმიდან ჩანს, ტექსტის გაგება-გააზრების კომპონენტები წარმატებით გამოიყენება საგაკვეთილო მასალის ახსნის სამფაზიან მოდელზე მუშაობისას. ესენია: ა) სხვადასხვა სააზროვნო დონის შეკითხვები ტექსტის შინაარსის რეალიზებისა და გაგება-გააზრებისათვის; ბ) ლექსიკური და სააზროვნო სქემები (კროსვორდი, გონებრივი რუკა, სიტყვის გამომძიებელი, სიტყვის ცნების რუკა, თავიდან-მერე-ბოლოს, მოთხრობის რუკა, პერსონაჟის რუკა); გ) პოსტერები; დ) დავალების ბარათები და ე) განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასების კომპონენტები.

ლიტერატურა

1. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები), USAID, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, თბილისი, G-PRIED, 2016.
2. მალვინა შანიძე, "ტექსტის გაგება - გააზრებაზე მუშაობის მეთოდები და სტრატეგიები", აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის - „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ - შრომები.

რეზიუმე

პატარებისთვის, რომლებიც კითხვაში გაწაფულნი არ არიან, ტექსტის კითხვა და გაგება-გააზრება სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს. მოსწავლეები გაგება-გააალიზების უნარს თავისთავად ვერ დაეუფლებიან. პედაგოგს ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდება მხატვრული, თხრობითი, საბუნებისმეტყველო, საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტებისა თუ საგაზეთო სტატიების დასამუშავებლად და, შესაბამისად, თითოეული მათგანის სწავლებისათვის განსხვავებული სტრატეგიების მოძიება და გამოყენება დასჭირდება. გაგება-გააზრება ნებელობითი, აქტიური და ინტერაქტიული პროცესია. ის გაკვეთილის სამივე ფაზაზე - წაკითხვამდე, კითხვისა და წაკითხვის შემდეგ გრძელდება და პედაგოგი გააზრების ისეთ სტრატეგიებს იყენებს, როგორებიცაა შეკითხვის დასმა, პასუხების ძიება, ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება-შეჯამება, წარმოსახვაში გაცოცხლება, სააზროვნო სქემების გამოყენება და ა.შ. წინამდებარე სტატიაში კონკრეტული გაკვეთილის მიხედვით (რ. ელანიძის „ვარძია“, ქართული ლიტერატურა, მე-4 კლასი) წარმოვადგინეთ: წაკითხულის გააზრების დონეები, მოსწავლეთა გაგება-გააზრების უნარის განსავითარებელი მიდგომები და სტრატეგიები, ტექსტის გაგება-გააზრებისა და გაანალიზების წარმართველი კომპონენტები.

Tsiuri Pkhakadze - Teacher, Kutaisi Akaki Tsereteli Public School №1

Components of Text Comprehension and Analysis

Reading comprehension and text analysis are difficult for pupils who are not good at reading. Pupils cannot master comprehension skills on their own. It will take a teacher long time to work on fiction, narrative, informational, scientific or media articles and accordingly, he/she has to find and use different strategies to teach each of them. Comprehending process is active and interactive. It lasts during the three phases of reading: pre-reading, reading and post-reading and a teacher uses comprehending strategies such as asking a question, finding an answer, observing and summing the structure of a text, animating it into imagination, using intellectual schemes etc. According to the specific lesson (R. Elanidze's "Vardzia", Georgian literature, Grade 4), the article represents: the levels of reading comprehension, approaches of developing pupils' comprehension skills and strategies, main components of comprehending and analyzing a text.

ცირა მელაძე - ქუთაისი ა. დეკანოიძის სახელობის № 32 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი

სიბრძნის სიმფონია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

მსოფლიო ცივილიზაცია ცვლის ინტერესის სფეროებს, საზოგადოების შეხედულებას წარსულსა და აწმყოზე. არის თემები, რომელიც აქტუალურობას, პოპულარობას კარგავს, რასაც ვერ ვიტყვით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“.

„ვეფხისტყაოსანს“ ქართველი ხალხის სახით თავიდანვე ღირსეული პატრონი გამოუჩნდა. ხალხმა გადაარჩინა ის განადგურებას. ეს პოემა არის სიბრძნის უშრეტეი წყარო, საიდანაც ქართველი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში ითვისებდა სიყვარულის, გმირობის, მეგობრობის, ბრძოლისა და მოქმედების მაღალ იდეებს.

„ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების შესანიშნავი ქმნილებაა. დასავლეთ ევროპის იმავე ეპოქის დიდი პოემებისგან განსხვავებით, იგი თავისუფალია ყოველგვარი მისტიკისაგან და აღორძინების ეპოქის ქმნილებათა მსგავსად, ქრისტიანულ მოძღვრებაზე მაღლა დგას... „საქართველომ წარმოშვა თავისი დანტე, მაშინ, როცა ჩვენ კრეტიენ დე ტრუამდე ძლივს მივადწიეთ“ – წერდა ლუი არაგონი.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ წარმომავლობის საკითხი დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს, რადგან პროლოგში ავტორი აცხადებს: „ესე ამბავია სპარსული, ქართულად ნათარგმანები ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე ვქმენ საჭოჭმანები“...

მკვლევარი ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავდა: „ვეფხისტყაოსანი“ არის ქართული ცხოვრების რომანი და მას არც შინაარსობრივი, არც მსოფლმხედველობითი კავშირი არა აქვს სპარსულ, ინდურ, არაბულ და არც რომელიმე ერის ცხოვრებასთან.

ვახტანგ VI-ს „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული დედანი სპარსეთში უძებნია, მაგრამ ვერსად უპოვია.

„ვეფხისტყაოსანი“ იქცა ქართველი ხალხის სულიერ საგანძურად. მასში გამოთქმული ბრძნული აზრებით ხელმძღვანელობდნენ ცხოვრებაში. ამ პოემის ცოდნა იყო ნიშანი ადამიანის კულტურისა.

მკვლევარი პავლე ინგოროყვა სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა გასცდა ლიტერატურულ ფარგლებს და გადაიქცა ნამდვილ ხალხურ საუნჯედ. რამ განაპირობა ეს? – „ვეფხისტყაოსანი“ თავისი მსოფხედველობით ახლოს იდგა ქართველი კაცის ხასიათთან.

„ვეფხისტყაოსანში“ მრავალი საინტერესო საკითხია, რაც მკვლევართა ინტერესს იწვევს. ამჟამად, ყურადღებას აფორიზმებზე შევაჩერებთ. რუსთაველი აფორიზმების უზადლო ოსტატია. ხშირად ერთ სტროფში სამი-ოთხი აფორიზმია. იდუმალეობით მოცული რუსთაველის პოემა მრავალ კითხვას სვამს. როგორც გერონტი ქიქოძე აღნიშნავდა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს კლასიკურ კულტურას, შუა საუკუნეების ქრისტიანულ დასავლეთისა და მუსლიმანური აღმოსავლეთის ელემენტების მეტად ორიგინალურ სინთეზს, რომელსაც ბადალი არა აქვს საერთაშორისო ლიტერატურაში.

პოეტის მსოფლხედველობის გასაგებად სწორედ რომ მის პოემაში ამოკითხული აფორიზმები გვეხმარება. დავალაგოთ ისინი თემატიკის მიხედვით და ნათელი გახდება რატომ უწოდა მას ქართველმა ერმა „მეორე სახარება“.

ღვთის განგება/იმედი: „რაცა ღმერთს არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების;“ „განგებაა, სწორედ მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი“; „მარტობაა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი“; „არას გარგებს სიმძიმელი უსარგებლო ცრემლთ დენა, არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა, წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა, არვის ძალუმს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“...

სიცრუე, ღალატი: „ვეგობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატისა;“ „კაცი ცრუ და მოღალატე, ხამს ლახვართა დასაჭრელად.“

წუთისოფლის ამაოება: „იგი მოენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია.“ „ვა სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ყოველი შენი მინდობილი ნიადაგმცა შენებრ ტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?! მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.“

სიყვარული მოყვასისადმი: „ ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“; „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.“

სიმართლე: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხელსა ნედლად.“

სიამაყე: „კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეს ვითა მთვრალი! არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი, დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაპერწკალი, ღმერთი გვარავს, სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხმალი.“

გული: „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.“

სიტყვა: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა;“, „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.“

მოწყალეობა: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების! უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების, უხვად გასცემდი, ზღვათაცა, შესდის და გაედინების.“

მოწყალეობა, სიძუნწე: „მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ადამს ალვა რგულია, უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია, სმა-ჭამა დიდად შესარგი დება რა სავარგულია?! რასაცა გასცემ, შენია, რასც არა დაკარგულია!“

სიცრუე, სხეული, სული: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა.“

აღზრდა: „გონიერთა მწვრთნელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს.“

სიბრძნე, ცოდნა: „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა.“

მამაკაცისა და ქალის თანასწორობა: „ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს თუნდა ხვადია.“

მოყვასი: „არ დავეწყება მოყვასისა, აროდეს გვიზამს ზიანსა.“

საკუთარი თავის ფლობა: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.“

კეთელი საქმე: „კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების.“

მრავლისმეტყველება: „გრძელი სიტყა მოკლედ ითქმის შაირია ამაღ კარგი.“

სიყვარული (მიჯნურობა) - „ავად შეჰფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება“; „ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში“; „არ დააჩნდეს მიჯნურობას, სჯობს, თუ კაცსა ეახლებს“; „ხამს თავისსა ხვამიადსა არავისთანა ამჟღავნებდეს, არსით აჩნდეს არასადა იფერებდეს, მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდედეს“; „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი, მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი, იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი, ნურვინ გარევეთ ერთმანეთსა! გესმის ჩემი ნაუბარი?“...

მოყვასი, ღალატი: „კაცსა მოყვრისა გაწირავა, ახ, მოუხდების, არ ავად.“

სიტყვა: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილი მოუბარი“; „ბინდისფერია სოფელი ესე თურ ამაღ ბინდების, კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების.“

განსაცდელი: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა.“ „არას გარგებს შეჭირება, რომ სჭმუნვიდე, რა გარების! არ თუ იგი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების.“

„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები შთამბეჭდავია არა მარტო იმით, რომ ბრძნულია, არამედ იმიტომაც, რომ მომზადებულია ნიადაგი, სადაც აფორიზმი აუცილებელი ხდება. ესაა რუსთაველის გენიოსობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანი.

რამდენად ჩაითვლება რუსთაველის აფორიზმები ქართულად მაშინ, როცა ვერაფრით ვერ შეურიგდა ქართული ქრისტიანული ეკლესია ნესტანისა და ტარიელის საქციელს (ხვარაზმშას შვილის მოკვლა), ფატმანისა და ავთანდილის გაუმართლებელ დანაშაულს (ჭაშნაგირის მოკვლა), ქრისტიანული ეკლესიისათვის მიუღებელია, სწორედ ის, რაც რუსთაველის პოემის სული და გულია.

ანტონ კათალიკოსი აფასებდა შოთა რუსთაველის ნიჭს, მაგრამ პოემას არ თვლიდა ქრისტიანულ ნაწარმოებად. იგი პოემის აფორიზმებს სიბრძნედ არ აღიარებდა, პოემას ქართულადაც არ მიიჩნევდა. კლერიკალებს არ მოსწონდათ, რომ პოემაში საერო მოტივები იყო განვითარებული. ისინი ვერ ურიგდებოდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდა, ვიდრე საღვთო წიგნებს.

მკვლევართა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანსა“ და აღმოსავლურ ძეგლებს შორის პარალელების გავლენისას უშუალო კავშირი იკვეთება. „ვეფხისტყაოსანი“ თემატურად ადრეულ ევროპულ რომანებთანაც ახლოს დგას. ასეთი სიახლოვე პოემის ორიგინალურობას საკამათოს ხდის. თუმცა, იქვე აღნიშნავენ, პოემაში თუნდაც „ვისრამიანის“ პერსონაჟთა მოხსენიება, ან მისი რაიმე დეტალის განმეორება არ გვაძლევს უფლებას, რომ ვამტკიცოთ, რუსთაველი ამ ძეგლს იცნობდა და ვინმეს დაესესხა.

მაგალი თოდუას აღნიშნავდა: ზემოაღნიშნული აფორიზმების მსგავსი შეიძლება სხვა ლიტერატურაში აღმოაჩინოს ვინმემ. აფორიზმები შეიძლება დვირფასი თვლებისთვის შეგვედარებინა, ხოლო პოეტი-ოქრომჭედლისთვის. ოქრომჭედლის დანიშნულება დვირფასი თვლების შექმნა კი არ არის, არმედ მათი

დახვეწა და თავის ნახელავში მოხდენილად ჩასმა. რა აკლდება რუსთაველის აფორიზმს – „მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს“ იმით, რომ IV-V სს. ინდოელი პოეტის „შაკუნტალში“ იკითხება: „როგორ გიმკურნალოთ ისე, თუ არ გვეცოდინება, რა გაწუხებს“...

აღმოსავლურ, და, კერძოდ სპარსულ პოეზიაში გვხვდება ისეთი კლასიკური აფორიზმები, როგორცაა: „რა აქიმი დასწულდეს“... (ხოსრო შირვანი), „ლეკვი ლომისა სწორია“....(შაჰ-ნამე), „კაცი ჯაბანი რითა სჯობს“... (ხოსრო შირვანი), „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“ და.ა.შ.

რადგან „ვეფხისტყაოსანი“ კარჩაკეტილ, შეზღუდულ ქვეყანაში არ შექმნილა ლოგიკური შეინიშნებოდეს აღმოსავლური კულტურის კეთილისმყოფელი გავლენა, მითუმეტეს ეს გავლენა მეტ-ნაკლებად ყველა დაწინაურებულმა ქვეყანამ განიცადა.

ისმის კითხვა: არის თუ არა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური და შესაბამისად, მასში გამოყენებული აფორიზმები ქართული სიბრძნის სიმფონია?-რა თქმაუნდაა-დიახ!

შუა საუკუნეებში რუსთაველი გამოდის ხალხთა გაერთიანების, ხალხთა ძმობის იდეით. პოემის მთავარი გმირები-ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი სხვადასხვა ქვეყნის

და ეროვნების წარმომადგენლები არიან, ამით რუსთაველი წინ უსწრებს თავის ეპოქას და მოწინავე საკაცობრიო იდეებით ჩვენს ეპოქასაც კი ეხმაურება.

რამდენადაც გვაშორებს დრო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, პოემის აფორიზმებში ჩაქსოვილი სიბრძნე, უფრო და უფრო დამაჯერებელი ხდება. მართლაც, რომ ყურსა და გულს, როგორც ლამაზი სიმფონია ისე სწვდება მისი ხმა და მკითხველს სწორი ცხოვრებისაკენ მოუწოდებს.

ლიტერატურა:

1. ვიქტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963 წ.
2. მაგალი თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბილისი, 1971 წ.
3. ალექსანდრე ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1975 წ.

რეზიუმე

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და აღმოსავლურ ძეგლებს შორის პარალელების გავლებისას უშუალო კავშირი იკვეთება. თემატურად ადრეულ ევროპულ რომანებთანაც ახლოს დგას, რაც პოემის ორიგინალურობას საკამათოს ხდის. საქართველოშიც კი, ქრისტიანული პოზიციებიდან არაქრისტიანულად თვლიდნენ.

არის თუ არა რუსთაველის აფორიზმები ქართული ეს საკითხიც არაერთხელ გამხდარა კამათისა და კვლევის საგანი. ნაშრომში განხილული საკითხები მკითხველს დაეხმარება დააკვირდეს, შეაფასოს და დარწმუნდეს, რომ სიბრძნე, რომელსაც შოთა რუსთაველის აფორიზმებში ვკითხულობთ ახლოს დგას ქართველი კაცის ბუნებასთან და მტკიცება იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული არ არის უსაფუძვლოა.

Cira Meladze - The Certificated teacher of Georgian language and literature . Kutaisi public school №32 after Avtandil Dekanoidze

The symphony of wisdom in the poem of Rustaveli "The Knight in the Tiger's Skin"

Summery

While doing parallels western masterpieces and "The Knight in the Tiger's Skin" by Shota Rustaveli we can observe many interrelations. The poem thematically is very close to the early European ones that makes its origin disputable. Some people consider it as non-Christian poem according the Christian position. Many times the question if the aphorisms of the poem are really of Georgian origin became the things of investigation and disputes. All the question that are discussed in the poem will help the readers to observe and appreciate it.

The reader will make sure that the wisdom which we read in Rustaveli's poem is very close to Georgian soul. All the discussions that "The Knight in the Tiger's Skin" is not of Georgian origin are groundless.

თამარ მამარდაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სპეციალურ ტერმინთა შედგენის პრინციპები და ტერმინთწარმოების თავისებურებანი ქართულში

ტერმინი ტერმინოლოგიის ძირითადი ელემენტია. მისი განსაზღვრება არაერთგვაროვანია, თუმცა, ამ მრავალფეროვნებაშიც ტერმინის დეფინიცია დადის იქამდე, რომ ის არის სპეციალური დანიშნულების მქონე ენობრივი ერთეული, განსაკუთრებული ფუნქციის მქონე სიტყვა, რაც გამოიხატება სპეციალური ცნების, საგნის ან მოვლენის დასახელებაში. მისი შინაგანი ფორმა დარგობრივი შინაარსი. ტერმინი განეკუთვნება სიტყვის მნიშვნელობის სფეროს და არის ლექსემის ფუნქციური სახესხვაობა. მისი დიფერენციალური ნიშნებიდან აღსანიშნავია: სისტემურობა, კომუნიკაციურობა, ნომინაციურობა, დარგობრიობა, ერთმნიშვნელოვანობა.

განსხვავება სიტყვასა და ტერმინს შორის იმაშია, თუ რა შინაარსისაა აღსანიშნავი ცნება. ცნება შეიძლება იყოს ყოფითი, ყოველდღიური - თუ ის რეალიზდება საყოველთაო სიტყვით და მეცნიერული - თუ რეალიზდება ტერმინით. სამეცნიერო ცნების შინაარსი ბევრად ღრმა და მდიდარია ჩვეულებრივთან შედარებით, რადგან ყოფითი სიტყვები სტიქიურად გროვდება, სამეცნიეროში კი ასახულია საგანთა ყველა ზოგადი და არსებითი თვისების ერთობლიობა, რომლებიც მეცნიერებამ შემეცნების განსაზღვრულ ეტაპზე შეითვისა.

ტერმინოლოგია სპეციალური ცნებების აღმნიშვნელ სიტყვათა ერთობლიობას წარმოადგენს და გამოყენებულია საურთიერთო საშუალებად გარკვეული ენობრივი ჯგუფისათვის, ვიწრო დარგის, პროფესიის წარმომადგენელთა შორის. იგი თავს უყრის ამ დარგისა თუ სპეციალობისათვის საჭირო, დეტალიზებულ, ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებულ ცნებებსა და ტერმინებს.

ხშირად ხდება ტერმინებისა და დარგობრივი ლექსიკური ერთეულების აღრევა ერთმანეთში. ზოგადად, დარგობრივი ლექსიკა ენათა ლექსიკის უძველეს ფონდს განეკუთვნება. ის ასახავს ამა თუ იმ ენობრივ ერთეულზე მეტყველთა სამეურნეო საქმიანობასა თუ სოციალურ დამოკიდებულებებს. მაგ.: მიწათმოქმედების, ხელოსნობის, მესაქონლეობის, ზღვაოსნობისა და მეთევზეობის, სამხედრო და სამონადირეო საქმიანობის ატრიბუტებს: მასალას, პროცესს, იარაღებს და ა.შ. მაგრამ, რაკი ამა თუ იმ ენის სხვადასხვა დიალექტზე მეტყველ ტომებს გეოგრაფიული გარემო და, შესაბამისად, სამეურნეო ყოფაც განსხვავებული აქვთ, თითოეული ამ დიალექტთაგანი შეიცავს იმ დარგთა ლექსიკას, რომელიც მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი და ეს დარგობრივი ლექსიკა განეკუთვნება კულტურას ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით და, შესაბამისად, დარგობრივი ლექსიკა აქვს ყველა ენის ყველა დიალექტს, მიუხედავად მისი განვითარების დონისა. სრულიად განსხვავებული სიტუაციაა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. ტერმინოლოგია ახასიათებს მხოლოდ ენებს, ამ სიტყვის სოციო-ლინგვისტური გაგებით, ანუ იმ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც ფუნქციონირებენ ოფიციალური (resp. სახელმწიფო ან რეგიონალური) ენის სტატუსით.

ყველა დარგს თავისი ტერმინოლოგია სჭირდება, რომელიც მოცულობის თვალსაზრისით პერმანენტულად იზრდება მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესთან ერთად. ინტენსიურად იზრდება ახალი ცნებებისა და ტერმინების საჭიროება. ბუნებრივია, მეცნიერების ენა ვერ დაელოდება საერთო სალიტერატურო ენის განვითარების სტაბილურსა და მყარ კანონებს და ხშირად იგი ტერმინის შესაქმნელად საკუთარ გზებსა და საშუალებებს იყენებს.

ტერმინების შექმნის უწყვეტ ბაზას ქართულში სიტყვაწარმოება (სიტყვის მწარმოებელი აფიქსების საშუალებით ტერმინთა აგება) და სიტყვათა თხზვა ანუ კომპოზიცია წარმოადგენს. ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება რთული და მრავალსაპექტიანი საკითხია. ტერმინთა დერივაციული მოდელების სისრულით გამოვლენა, აღწერა-კლასიფიკაცია და მათი საფუძვლების ახსნა ცალკე შესწავლის საგანია.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება ძირითადად ემყარება ქართული სალიტერატურო ენის სიტყვაწარმოებით სისტემას და თავისი ლექსიკის გასამდიდრებლად იყენებს ყველა იმ საშუალებას (სემანტიკურს, მორფოლოგიურს და სინტაქსურს), რომლითაც ივსება და ვითარდება სალიტერატურო ენა, იგი ამავე დროს შეიმუშავებს საკუთარ სიტყვაწარმოებით ქვესისტემას, დამოუკიდებელ წესებსა და მოდელებს, რომელიც განასხვავებს მას სალიტერატურო ენისაგან, ამას კი განაპირობებს ტერმინოლოგიური ლექსიკის სპეციფიკური ფუნქცია.

ერთი სამეცნიერო დისციპლინის შიგნით შეიძლება გვხვდებოდეს და, როგორც წესი, გვხვდება კიდევ ტერმინთა სინონიმურობა, რაც გაპირობებულია მათი წარმოშობის სინქრონიული და დიაქრონიული მიზეზებით და მათი სალიტერატურო ენაში მოხვედრის გზებით. მაგ: ორი ან მეტი სხვადასხვა დიალექტიდან სიტყვის შემოსვლითა და დამკვიდრებით სახელწიფო ენაში, რაც შეიძლება მომხდარიყო სინქრონიაში ან დიაქრონიაში სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე, ენაში პოვნური ტერმინის პარალელურად, რომელიმე ენიდან შესატყვისი ტერმინის სესხებით და მისი პარალელური ფუნქციონირებით ენაში; ენის ისტორიის სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის, ანუ ძველი და ახალი ტერმინების თანაარსებობით; პურისტული მიზანსწრაფულობით, ანუ ენაში დამკვიდრებული უცხოური ტერმინის ეროვნული ერთეულით (კალკირებული ან ოკაზიონალურით) ჩანაცვლების მცდელობით, რამაც შეიძლება ბოლომდე ვერ გამოამევეოს უცხოური ტერმინი, მაგრამ პარალელურად დაიწყოს ფუნქციონირება და სხვ. ყველა ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ის მომენტი, რომ ერთი დისციპლინის შიგნით სხვადასხვა ტერმინის არსებობა ბუნდოვანს არ ხდის და ხელს არ უშლის მეცნიერულ კომუნიკაციას. ამის შესანიშნავი მაგალითია ენათმეცნიერება, სადაც სპეციალური ტერმინები თავისუფლად ჩანაცვლებადნი არიან: ლინგვისტიკა - ენათმეცნიერება, დიალექტი - კილო, სპირანტი - ნაპრალოვანი, ერგატივი - მოთხრობითი, ატრიბუტივი - ზედსართავი, მართლწერა - ორთოგრაფია, სართი - აფიქსი და ა.შ. მათი სპეციფიკური ურთიერთმიმართების გამო ამგვარ ლექსიკურ წყვილებს ტერმინოლოგიურ დუბლეტებს უწოდებენ, რომელთა შეფარდებითი რაოდენობაც საკმაოდ მცირეა, თუმცა, მნიშვნელობის თვალსაზრისით არცთუ მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავთ.

დასტურდება ერთი დისციპლინის ფარგლებში არსებული ისეთი ტერმინები, რომლებიც თანაბრად მონაწილეობენ ტერმინთქმნადობის პროცესში, ანუ ავლენენ ტერმინთწარმოების უნარს. მაგალითებს ისევ ლინგვისტიკის სფეროდან მოვიყვანთ: ლინგვისტიკა - ლინგვისტი - ლინგვისტური; ენათმეცნიერება - ენათმეცნიერი - ენათმეცნიერული, ასპირატი - ასპირაცია - ასპირატულობა; ლაბიალური - ლაბიალიზაცია - ლაბიალურობა, ბაგისმიერი - გაბაგისმიერება - ბაგისმიერობა და სხვ. სინონიმურობის ცნება სავალდებულოდ არ უნდა გულისხმობდეს და არც გულისხმობს ფორმაცვალებადობასა და ფუნქციონირებას.

ტერმინოლოგიურ მასალაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ტერმინოლოგიაში მორფოლოგიური ინვენტარი ტერმინად გასაფორმებელი სიტყვებისა გაცილებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე ზოგადად სალიტერატურო ენაში, უფრო მეტიც, ზოგი წარმოება უფრო პროდუქტიულიცაა. მაგალითად:

განყენებულ სახელთა **სი-ე**-თი, განსაკუთრებით კი **-ობა**, **-ება**-თი წარმოება ხასიათდება რეგულარობით ტერმინოლოგიაში. მაგალითად: სი-ბრტყ-ე, სი-გრძ-ე, სი-ვრც-ე, სი-სუსტ-ე, სი-თხ-ე, სი-ჩქარ-ე, სი-დიდ-ე, სი-მრავლ-ე, მდგრად-ობა, ფარდ-ობა, ჟღერად-ობა...

აბსტრაქტულ სახელთა წარმოებაში მრავლადაა **ად+ობა** მოდელის მიხედვით შექმნილი ტერმინები: მსხვრევ-ად-ობა, ტევ-ად-ობა, კრებ-ად-ობა, ხილვ-ად-ობა და მისთ. დასახელებული მაგალითებიდან თავისთავად გამომდინარეობს **-ად** მაწარმოებლიანი მოდელის სიხშირეც, რამდენადაც ეს უკანასკნელი - **ად-ობა** წარმოების საყრდენი ფუძეა: ფეთქებ-ად-ი, აალებ-ად-ი, დაშლ-ად-ი, შეგუებ-ად-ი, აფუებ-ად-ი, ზრდ-ად-ი, ჟანგვ-ად-ი, ტევ-ად-ი, დნობ-ად-ი...

პროდუქტიულობით ხასიათდება **-ით** სუფიქსიანი წარმოებაც: გაცვლ-ით-ი, შედეგობ-ით-ი, გადანაცვლებ-ით-ი, შენაცვლებ-ით-ი, სიბრტყ-ით-ი, მოცულობ-ით-ი, მხაზველობ-ით-ი და სხვა.

ხშირია -ის სუფიქსიანი წარმოებაც: უჯრედ-ის-ი, ჯაგრ-ის-ი...

წარმოების ის მოდელი, რომელიც ძველი ქართულის გადმონაშთია, საკმაოდ მოხერხებული და გავრცელებულია ახალ ტერმინთა საწარმოებლად. ზემოთ ჩამოთვლილი მწარმოებლების ასეთი ხმარება ტერმინოლოგიაში, ბუნებრივია, სათანადო ცნებათა სიუხვითაა განპირობებული. მნიშვნელოვნად იფართოებს არეს სუფიქსები:

-ობ: მალ-ობ-ი, დაბლ-ობ-ი, ფართ-ობ-ი, რბილ-ობ-ი, ნავთ-ობ-ი, მარტ-ობ-ი, ფერდ-ობ-ი...

-ედ: სამკუთხ-ედ-ი, ოთკუთხ-ედ-ი, თანავარსკვლავედ-ი, გან-ედ-ი, უჯრ-ედ-ი, წრ-ედ-ი, სწორკუთხ-ედ-ი...

-აკ: ღილ-აკ-ი, ნაწილ-აკ-ი, ღილვ-აკ-ი, ძელ-აკ-ი, ბორ-აკ-ი, და სხვა.

ტერმინოლოგიაში განსაკუთრებული სემანტიკური დატვირთვა აქვს ა- სუფიქსს. ჩვეულებრივი დანიშნულების გარდა იგი გამოიყენება:

ა) საობიექტო მიმღებებისაგან მანქანების, იარაღების, ხელსაწყოების და ა.შ. სახელწოდებათა საწარმოებლად: სათესელა, სატკეპნელა, საცხველა, საპობელა, საცხებელა... დასახელებული ტერმინები ორსიტყვიანი გამოთქმების შეკუმშულ ფორმას წარმოადგენს (აქ იგულისხმება: სათესელი მანქანა, საკაწრელი იარაღი და ა.შ.) სათანადო არსებითის შეკუმშვის შემდეგ ეს ფუნქცია -ა სუფიქსმა იკისრა და აღწერითი ფორმის ნაცვლად ერთსიტყვიანი ტერმინი გაჩნდა, ეს ფაქტი მეტყველებს ტერმინოლოგიურ სისტემათა ტენდენციისადმი ერთსიტყვიანობისაკენ.

ბ) რეგულარულია -ა-ს დართვა -იან, -ოვან, -ოსან, -ურ/-ულ სუფიქსებზე ეტიმოლოგიაში მწერების სახელწოდებათა აღსანიშნავად: ფრთ-იან-ა, ლორწ-ოვან-ა, ბოლორქ-იან-ა, ჯვარ-ოსან-ა...

წარმოების ეს მოდელი საკმაოდ ფეხმოკიდებულია ტექნიკურ მეცნიერებათა ენაშიც: წერ-ოვან-ა, შარდ-ოვან-ა, კომპ-ურ-ა, შუქ-ურ-ა, ბურთ-ულ-ა, გვერდ-ულ-ა და სხვა.

ცალკე უნდა გამოიყოს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგში გამოყენებული აფიქსთა ერთი წყება, რომელიც ამ დარგების სემანტიკაში არსებულ ტაქსინომიურ ერთეულების (ტიპის, კლასის, რიგის, ოჯახის, გვარის და მათი ქვესახეობების) გადმოსაცემად არის შემოღებული. ეს მორფემებია: -იანები, -იანნი, -ები, -ოვანნი, -ოსანნი, -ებნი, -ნაირნი, -მაგვარნი, -მსგავსნი და ა.შ.

ტერმინოლოგიზაციის გრამატიკულ საშუალებათა შორის გავრცელებული და ეფექტური საშუალება, წარმოებასთან ერთად, რთული სიტყვების შედგენაა. რთულ სიტყვათა შედგენის ინტენსიური პროცესი, რომელიც დამახასიათებელია როგორც ქართული, ისე სხვა ენების ტერმინოლოგიური სისტემისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი ურთულეს ცნებათა მნიშვნელობის შედარებით კომპაქტურად გადმოცემის საშუალებას იძლევა.

სიტყვათა შედგენას, ისევე როგორც წარმოებას, ტერმინოლოგიაში ძირითადად საერთო სალიტერატურო ენის საშუალებები უდევს საფუძვლად. გვხვდება როგორც ფუძის გაორკვევით, ისე ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები. განსაკუთრებით გავრცელებულია აფიქსოიდების მეშვეობით შედგენილი მოდელები, რომლებიც ხან თავში დაერთვის სიტყვას და ხან ბოლოში. ტერმინთა შესაქმნელად გამოყენებული აფიქსოიდები საერთაშორისო ენობრივ მასალადაა ქცეული, რის გამოც ისინი საერთაშორისო აფიქსებად იწოდება, ისინი საკმაოდ დიდი რეგულარობით ხასიათდება. საერთაშორისო პრეფიქსოიდებიდან განსაკუთრებული სიხშირით გვხვდება აერო-, ექსტრა, ავტო-, ანტი-, ბი-, იზო-, მაგნეტო-, მაკრო-, მიკრო-, ნევრო-, ნეირო-, სუპერ-, ფსევდო-, ჰელიო-, ულტრა-, ფოტო-, მაგალითად: აეროდინამიკა, ავტომატი, ანტიციკლონი, ბივარიანტული, იზომეტრია, მაგნიტოგრამა, მაკროსტრუქტურა, მიკრორელიეფი, ნევროპათია, ნეიროქირურგია, ჰელიოფიზიკა, ფოტოთერაპია და სხვ.

სუფიქსოიდებიდან გვხვდება: -გრაფი, -გრამა, -ლოგია, -ნომია, -სტატი, -ფონი, -სკოპია და სხვანი. მაგალითად: ჰელიოგრაფი, რადიოგრამა, ფილოლოგი, ასტრონომია, სპექტროსკოპი, მაგნიტოფონი და ა.შ.

ეს აფიქსიოდები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ტერმინოლოგიურ სისტემებში იჩენს თავს და იმდენად იკიდებს ფეხს, რომ დღეს მათი საშუალებით შედგენილი რთული სიტყვები ტერმინოლოგიური ლექსიკის მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენს.

როგორც ჩანს, აფიქსიოდების მეცნიერული სპეციალიზაციის შედეგად ტერმინში მოცემულთა ზუსტი მოტივირება, რომელიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ, როგორია ტერმინით გამოხატული ცნების კატეგორიის ტიპი, ანუ ცნება მიეკუთვნება პროცესების კატეგორიას, საგნებისას, საზომი ერთეულების თუ ა.შ. მაგ.: -გრაფ-ით ნაწარმოები ტერმინები უმეტესწილად საგნების კატეგორიას გამოხატავს, -აცია – პროცესების კატეგორიას, -ლოგია – სამეცნიერო დისციპლინას და ა.შ.

საერთაშორისო აფიქსიოდების მეშვეობით თვით ბერძნულ-ლათინურ ენებშიც ბევრი სიტყვა შედგენილი. სხვა ენები მზამზარეულად სესხულობენ კლასიკურ ენებში შედგენილ ამ უცხო სიტყვებს. ზოგჯერ კი მსესხებელ ენაში კლასიკური ენებიდან მხოლოდ ცალკეული ელემენტებია ნასესხები (ან აფიქსიოდი, ან ძირი, ან ორივე ელემენტი) და მთლიანი სიტყვა ამ მსესხებელ ენაშია გაფორმებული. მაგ.: ცნობილია, რომ ტელევიზია თუმცა ბერძნულ-ლათინური ელემენტებისაგან შედგება (ბერძნ. tele-შორის + visio-ხედავ), მაგრამ ინგლისურშია შედგენილი (television). ასევეა სიტყვა აეროდრომიც, რომელიც ბერძნული ელემენტებისაგან შედგება, მაგრამ ფრანგულშია გაფორმებული. ამ რიგისაა ტერმინები: ტელეფონი, ტელეგრაფი, ავტობუსი, ტროლეიბუსი, თერმომეტრი, ტელესკოპი, კონტრაბანდა, ინტერნაციონალიზმი და სხვ. ამ ტიპის ტერმინებში ცალკეული ელემენტები შეიძლება სხვადასხვა ენის კუთვნილებას წარმოადგენდეს ან ერთი ენისას. აფიქსებით ნაწარმოებ სიტყვებს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა კლასიფიკაცია ეძლევა. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ რთულ სიტყვებს უწოდებს, მეორე ნაწილი კი – ნაწარმოებს.

ქართულ ენაში საერთაშორისო აფიქსიოდების გვერდით ძალიან ხშირად მათი ქართული ეკვივალენტები გვხვდება. აფიქსიოდებთან დაკავშირებით შექმნილი ეს ტენდენცია – საერთაშორისო აფიქსების საკუთარ ენაზე თარგმნისა – შეინიშნება არა მხოლოდ ქართულში, არამედ რუსულში და ბევრ სხვა ენაშიც (შდრ.: ლათინ. super-, რუსული сверх-, ქართული ზე-; ბერძნ. Avto-, რუს. Camo- ქართ. თვით- და ა.შ.)

რას წარმოადგენს ქართული ეკვივალენტები ენობრივად და როგორია მათი გავრცელების არე? ისეთი აფიქსიოდების გვერდით, რომელთაც არ აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, გვხვდება ზედსართავები, მიმღებები, ზმნიზედები, შეკვეციით ან სრული სახით (დაბალ-, მაღალ-, მსხვილ-, წვრილ-, გამტარი-, -საზომი, -მავალი, -მდგრადი და სხვ.), რომელთაგან ზოგი პრეფიქსია, ზოგიც – სუფიქსი.

ტერმინოლოგიის სტრუქტურის პრობლემებზე მსჯელობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აბრევიატურის საკითხს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სამეცნიერო ენის საკითხებს. აბრევიატურა განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია და ორი ან მეტი სიტყვის შემოკლებით მიიღება. იგი შეიძლება შედგენილი იყოს სიტყვათა დასაწყისი მორფემების ან ინიციალებისაგან. აბრევიატურა ძირითადად წერისის იხმარება, თუმცა ზოგიერთი ფორმა სასაუბრო ენაშიც ადვილად იკიდებს ფეხს. ასეთი სისტემა საშუალებას იძლევა გრძელი და მოუხერხებელი დასახელებები შეცვლილი იქნას სხარტი და მოკლე ფორმებით.

ქართულისათვის, როგორც პრეფიქსების მქონე ენისათვის, აბრევაცია ძნელია, თუმცა მისი საჭიროება იმდენად დიდია, რომ დღეს მეცნიერება მას გვერდს ვერ აუვლის. სიტყვათა შემოკლებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი წარმოთქმის მეტ-ნაკლებად კეთილხმოვანების პრინციპიც, ყურადღება უნდა მიექცეს აბრევიატურის ტერმინებად ქცევის ტენდენციებსაც.

ცალკე უნდა გამოიყოს ტერმინოლოგიური ნომინაციის ერთი სტრუქტურული ტიპი – სიმბოლური დასახელებანი, ესაა ასოებით, ციფრებით, ფორმულებით, სქემებით, ნახატებით და მისთ. გამოხატული სახელწოდებანი (მაგ.: α- ნაწილაკი, β- სხივები, T- სებრნი და სხვ.)

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ტერმინოლოგიური ლექსიკა ქართულში მეტად მრავალფეროვანია და სირთულითაც გამოირჩევა, რამდენადაც მის წარმოებას საფუძვლად უდევს როგორც სიტყვაწარმოება, ისე კომპოზიცია.

ლიტერატურა

1. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1987
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას რედაქციით, ნაწილი. I, II, თბილისი, 1990
3. რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, 1986
4. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973
5. მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1964

რეზიუმე

ტერმინების შექმნის უწყვეტ ბაზას ქართულში სიტყვაწარმოება და სიტყვათა თხზვა ანუ კომპოზიცია წარმოადგენს. ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება რთული და მრავალასპექტიანი საკითხია. კერძოდ, გვხვდება ფუძის გაორკვევით და ორი ან მეტი ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები. ტერმინთა საწარმოებლად გამოყენებულია აფიქსოიდებიც, რომლებიც საერთაშორისო ტერმინთა საწარმოებელ ელემენტებადაც გამოიყენება. ტერმინოლოგიის სტრუქტურის პრობლემებზე მსჯელობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აბრევიატურის საკითხს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სამეცნიერო ენის საკითხებს. ნაშრომში განხილულია წარმოების ყველა ტიპი და საშუალება, რაც გამოიყენება ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების დროს.

Tamar Mamardashvili - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Principles for creating special terms and features of terminology in Georgian

Abstract

Terminology represents the unity of words defining special concepts and is used as a medium of communication not for average members of a language community but for a specific group of people belonging to a certain profession. Every field needs its own terminology which permanently expands together with the scientific and technical progress.

Composing as well as forming of terminological words is based on word-formation and composition. Namely, we come across compositions made by doubling stems and combining two or more stems. Affixes are also used for forming international terms and are usually added at the beginning or at the end of a word. Accordingly, they are divided into prefixes and suffixes. While discussing structural problems of terminology, a special attention should be paid to the question of an abbreviation which is closely connected with scientific language issues. Abbreviations are mostly used in writing, though some of them appear in speech too.

All the types and means used in terminological word-formation like semantic, morphological or syntactic ones are analysed in the paper. It makes up its own word-formation system, independent rules and models that differentiates it from the literary language and which is conditioned by the specific function of terminological lexis.

თეიმურაზ ვეფხვაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მათემატიკის დეპარტამენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საშუალო სკოლაში რიცხვთა თეორიის ელემენტების სწავლების შესახებ

რიცხვთა თეორია მათემატიკის უძველესი ნაწილია. ეს მეცნიერება ძველ საბერძნეთში, პითაგორელთა სკოლის წარმომადგენლების შრომებში იწყებს განვითარებას. ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მთელ რიცხვთა თვისებები, რომლებიც მათ მიერ შეისწავლებოდა, საუკუნეების შემდეგ ჰპოვებდა სხვადასხვა პრაქტიკულ გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ რიცხვთა თეორია გამოირჩევა „ამოცანათა ჩამოყალიბების სიმარტივით, ამოცანების ამოხსნების მრავალფეროვნებით, სიღრმისეულობითა და სილამაზით ([1], გვ. 9)“, მისი სწავლების მოცულობა საშუალო და უმაღლეს სკოლებში ძალიან მოკრძალებული იყო. ფელიქს კლაინი ([2], გვ. 57-84) ამის მიზეზად რიცხვთა თეორიის ამოცანების აბსტრაქტულობის მაღალი დონითა და გამოყენებების, რიცხვთა თეორიის ელემენტარული გადმოცემით გამორჩეული სახელმძღვანელოების სიმცირით ხსნიდა. თუმცა, იქვე წარმოგვიდგენდა მეტად მოულოდნელ კავშირებს სხვა პრობლემებთან (ფარგლითა და სახაზავით წრეწირის ტოლ ნაწილებად დაყოფა, უწყვეტი წილადების გამოყენება).

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან რიცხვთა თეორიის საკითხების სწავლების შესახებ თვალსაზრისი არსებითად შეიცვალა. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო რიცხვთა თეორიის კლასიკური შედეგების გამოყენებებთან, მაგალითად, კოდირების თეორიაში, ალგორითმების სირთულის შეფასებების საკითხებში და გამოთვლით მათემატიკაში. მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგიაში დაიწყო კვლევა რიცხვთა თეორიის სწავლების მნიშვნელობაზე, როგორ მოქმედებს რიცხვთა თეორიის ამოცანების ამოხსნა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტელექტუალური უნარის განვითარებაზე, მათემატიკის შესწავლისადმი ინტერესის გაზრდაზე. ამ მხრივ შეიძლება მოვიხსენიოთ ამერიკელი მეცნიერის მილის გამოკვლევები. პედაგოგიური ექსპერიმენტების გამოყენებით იგი შეისწავლიდა მოსწავლეთა განვითარებაზე რიცხვთა თეორიის სწავლების მნიშვნელობას ([3]). დისკრეტული მათემატიკის სწავლების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ალექსანდრე ხარაზიშვილი (რიცხვთა თეორია დისკრეტულ მათემატიკას განეკუთვნება) [4]: „საჭიროა დისკრეტული მათემატიკის მნიშვნელობის გათვალისწინება საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სკოლების პროგრამებში. კერძოდ, აუცილებელია, რომ ამ სასწავლო პროგრამებში დისკრეტული მათემატიკის ხვედრითი წილი ცოტათი მაინც შეესაბამებოდეს იმ პროპორციას, რაც დღეს რეალურად არსებობს დისკრეტულ და დანარჩენ მათემატიკას შორის. ეს მეთოდოლოგიურადაც გამართლებული იქნება, რადგან ჩვენი ალფაბეტი, სასაუბრო ენა, მსჯელობის ფორმები და სხვადასხვა ტიპის გამოთვლითი პროცესები დისკრეტული ფენომენის ფორმებია. ამიტომ დისკრეტული მათემატიკის მეთოდები და ამოცანები ფსიქოლოგიურადაც შედარებით ადვილად მისაღებია მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, თუკი მათ შესაბამის მასალას სათანადო თანამიმდევრობით მივაწვდით. შემთხვევითი არაა, რომ სახალისო მათემატიკის ამოცანები, რომლებიც ზეპირსიტყვიერებით ვრცელდება, როგორც წესი, დისკრეტული მათემატიკის სფეროდან არის აღებული. კარგი იქნება, თუ ახალგაზრდა ადრეულ ასაკში მიეჩვენა იმ კატეგორიებით აზროვნებას, რომელიც მას მომავალში უფრო გამოადგება. რასაკვირველია ცუდი არ არის ის გარემოება, როცა მოსწავლე გამოსახულებების გამარტივებაში, სხვადასხვა ტიპის განტოლებების ამოხსნასა და ათასგვარი მათემატიკური გამოსახულებების გამარტივებაშია გაწაფული, მაგრამ საჭიროა არსებითად გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ თანამედროვე კომპიუტერები მსგავს საქმიანობას ადამიანზე გაცილებით უფრო კარგად, სწრაფად და ზუსტად ასრულებენ. ამიტომ ზოგ შემთხვევაში უპრიანი იქნება აქცენტები განტოლების ამოხსნის ტექნიკური დეტალებიდან იმავე განტოლების შედგენის პროცესზე გადავიტანოთ. უფრო ზუსტად, ბევრად მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მათემატიკური მოდელირების შემოქმედებით პროცესს, ვიდრე გამოთვლითი ხასიათის ტექნიკურ პრობლემებს. აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს ამ მხრივ საშუალო სკოლების ზოგიერთ სახელმძღვანელოში

უკვე შეიმჩნევა დადებითი ტენდენციები“. აქ ალექსანდრე ხარაზიშვილი უთითებს ჩვენს მიერ 2003 წელს შედგენილ ალგებრის სახელმძღვანელოს [5], რომელშიც პირველად, ქართული სასკოლო განათლების ისტორიაში, გამოჩნდა ალგორითმის ცნება, ევკლიდეს ალგორითმი, მთელ რიცხვებში განტოლებების ამოხსნა.

ეროვნული სასწავლო გეგმის, მათემატიკის სტანდარტის შემდგენლებმა (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2012-2016) გაითვალისწინეს რიცხვთა თეორიისადმი ინტერესის გაზრდის ტენდენციები, რიცხვთა თეორიის გამოყენებები და ჩართეს ზოგიერთი საკითხი საგნობრივ სტანდარტში. მეტი ყურადღება ეთმობა ათობით პოზიციურ სისტემაში რიცხვთა წარმოდგენის მოდელირების გამოყენებას რიცხვებზე მოქმედებების შესწავლისას, ციფრის მნიშვნელობის დასახელებას, ნაშთიანი გაყოფის ალგორითმის გამოყენებას ზომის ერთეულების დაკავშირებისას, გაყოფადობის ნიშნების გამოყვანას. ნაშთთა არითმეტიკის ელემენტების გამოყენებას მოდულით 12, 60, 360-ით შეკრებისას საათის არითმეტიკის, მოზრუნებთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნისას. ამასთანავე, განხილულია ახალი საკითხებიც – სხვადასხვა პოზიციური სისტემები, ევკლიდეს ალგორითმი, ნაშთთა არითმეტიკის ელემენტების სისტემატური გადმოცემის მოთხოვნა.

შესაბამისად, ამ მოთხოვნებმა ასახვა ჰპოვა სასკოლო სახელმძღვანელოებშიც: მაგალითად, ნაშთი, გაყოფადობის ნიშნები, ამოცანების ამოხსნა სინჯვისა და ამოწურვის ხერხით (VII-VIII კლასები). „ნაშთების არითმეტიკა“ და მისი გამოყენება, „საათის არითმეტიკასთან დაკავშირება, კლასიფიკაციის აბსტრაქციის უნარის განვითარება (IX კლასი). მთელ რიცხვთა გაყოფადობის სისტემატური შესწავლა, თვლის სისტემები (X კლასი), მოდულური არითმეტიკის ელემენტები და მათი პრაქტიკული გამოყენებების განხილვა (XI კლასი). ევკლიდეს ალგორითმი და მისი გამოყენება მთელ რიცხვებში განტოლებების ამოხსნისას (XII კლასი). თუმცა, მათემატიკის შესწავლის მიზნები მოითხოვს შინაარსში რიცხვთა თეორიის ელემენტების მეტ ჩართვას. ეროვნული სასწავლო გეგმის შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც პრაქტიკულ, ასევე მეცნიერული ხასიათის პრობლემებს, რომლებიც აძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას და აღძრავს ინტერესს მათემატიკის შესწავლისადმი.

ალგებრისა და კანონზომიერებების მიმართულებით ოთხი თემა დასახელებული, რომლებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება:

1. სიმრავლეები, ასახვები, ფუნქციები.
2. დისკრეტული მათემატიკის ელემენტები.
3. ალგორითმები და მათ გამოყენება.
4. ალგებრული ოპერაციები და მათი თვისებები.

როგორც ვხედავთ, 3 თემა რიცხვთა თეორიის ელემენტების სწავლებას უკავშირდება, ხოლო რიცხვებისა და რიცხვებზე მოქმედებების მიმართულებისათვის ძირითადი თემა პოზიციური სისტემების ათვისებაა: „რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებების შესრულების უნარი და მათი თვისებების ცოდნა/გამოყენება უნდა გახდეს ალგებრულ-სტრუქტურებისა და კანონზომიერებების უკეთ გააზრების საფუძველი. საშუალო საფეხურზე მოსწავლე მზად უნდა იყოს რიცხვითი სისტემის და არითმეტიკული ოპერაციის ცნებების გაფართოებისა და განზოგადოებისთვის. გარდა ამისა, უნდა მოხდეს მთელ რიცხვით სისტემის უფრო ღრმად შესწავლა რიცხვთა თეორიის ელემენტების გამოყენებით“.

რიცხვთა თეორიის ელემენტების შესწავლისადმი გაზრდილი მოთხოვნილება ერთის მხრივ უკავშირდება მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას მათემატიკის შესწავლისადმი (გამოყენებითი ამოცანების განხილვა), მეორეს მხრივ – მოსწავლეთა სხვადასხვა ინტელექტუალური უნარის განვითარებას; რიცხვითი თეორიის ამოცანებს ახასიათებს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო, განმავითარებადი პოტენციალი. მათი ამოხსნა, ხშირად, მოითხოვს ჰიპოთეზათა წამოყენებას, შემოწმებას, ანალიტიკურ-სინთეზური ძიების სქემების გამოყენებას. ამ ამოცანების ამოხსნისას ხშირად გვიწევს ინფორმაციის გადაყვანა მათემატიკურიდან ჩვეულებრივ ენაზე. ამასთანავე, ერთი და იმავე ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით. ეს პროცესი ავითარებს მოსწავლეთა შემოქმედებით აზროვნებას. მათემატიკის დიდაქტიკაში ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვნად ითვლება ერთი და იმავე ამოცანის სხვადასხვა ხერხით ამოხსნა, ვიდრე ერთი და იმავე ხერხით სხვადასხვა ამოცანის ამოხსნა. მნიშვნელოვანია, რომ რიცხვთა თეორიის ამოცანებში ხშირად გამოიყენება მათემატიკური ინდუქციის მეთოდი. თუმცა, ზოგჯერ უფრო მოსახერხებელია ამოწურვის მეთოდის გამოყენება, როცა შესაძლებელია

სინჯვის მეთოდის გამოყენება; დავამტკიცოთ, რომ ნებისმიერი მთელი n რიცხვისთვის n^3+3n^2+2n იყოფა 3-ზე.

ყოველი n რიცხვისთვის, გვაქვს: $n = 3k + m$, $m = 0, 1, 2$.

ადვილი შესამოწმებელია, რომ გაყოფადობის საკითხი დაიყვანება სამი შემთხვევის განხილვაზე, როცა $m = 0$, $m = 1$ და $m = 2$.

იმავე ამოცანის ამოხსნა შეიძლება მამრავლებად დაშლით, ან მათემატიკური ინდუქციის გამოყენებით. სხვადასხვა ხერხის გამოყენება შესაძლებელი მთელ რიცხვებში ორუცნობიან-განტოლებების ამოხსნისას: არითმეტიკის ძირითადი თეორემის გამოყენება, ერთი უცნობის გამოსახვა მეორე უცნობით, მამრავლებად დაშლის გამოყენება, გრაფიკების გამოყენება, მათემატიკური ინდუქციის მეთოდის გამოყენება.

მაგალითები.

ამოვხსნათ მთელ რიცხვებში:

ა) $x^2 - 7y^2 = 5$.

ბ) $\sqrt{2x - y - 3} + \sqrt{2y - x + 3} = 2\sqrt{3 - x - y}$.

გ) $2x^2 - xy - 3y^2 = 7$.

დ) $2x^2y^2 + y^2 - 6x^2 - 12 = 0$.

ამოვხსნათ ნატურალურ რიცხვებში

ა) $xy - 7y + 3x = 71$.

ბ) $\frac{1}{x} + \frac{1}{y} = \frac{1}{9}$.

გ) $x^2 - 3xy + 2y^2 = 13$.

ლიტერატურა

1. Alan Baker. A consise introduction to the theory of numbers, Cambridge University Press, 1984.
2. Ф. Клейт. Элементарная математика с точки зрения высшей, I, Москва, 1987.
3. Anthony M. Miele. The effects of number theory study on school students' metacognition and mathematical attitudes. Columbia University, 2014.
4. ა. ხარაზიშვილი. მათემატიკური ესკიზები, ნაწ. I. თბილისი, 2007.
5. გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. მეზონია, ლ. ქურჩიშვილი, ალგებრა, მე-7 კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 2003.

რეზიუმე

ნაშრომი გამოკვლეულია საშუალო სკოლაში რიცხვთა თეორიის სწავლების გაფართოების პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობები.

Abstract

The pedagogical as well as psychological benefits of an increase in number theory study for school students are investigated.

გურამ გოგიშვილი - წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, მათემატიკის აკადემიური დოქტორი, სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი

უმადლეს სკოლაში მათემატიკის ზოგიერთი ფუნდამენტური ცნების სწავლების შესახებ

საუნივერსიტეტო მათემატიკური დისციპლინების ერთ-ერთ საფუძველს მათემატიკური ანალიზის საკითხები წარმოადგენს (სადღესოდ, ამ საკითხების შესწავლა კალკულუსის კურსში იწყება). ამ მნიშვნელოვანი მასალის საწყისების წარმატებულ შესწავლას ფუნქციის ზღვრის, უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდ ფუნქციათა ცნებების შინაარსის სწორად და ნათლად გადაცემა განაპირობებს. ამ და მათემატიკის თითქმის ყველა ცნების არსის გააზრებას არსებითად აიოლებს მათი განსაზღვრებების ყოველმხრივი ანალიზი, კარგად შერჩეული საილუსტრაციო ამოცანების დასმა და განხილვა. ამ ცნებებისადმი გამორჩეულ ყურადღებას სტუდენტებისთვის ზოგადი განმავითარებელი მნიშვნელობაც აქვს, რადგან ავითარებს მკაცრ მეცნიერულ დამოკიდებულებას მათემატიკური თეორიების შესწავლისადმი.

ერთი ნამდვილი ცვლადის ფუნქციის ზღვრის ცნების განსაზღვრამდე მეთოდოლოგიურად გამართლებულია (და ხშირად სწორედ ასეც ხდება) კერძო სახის ფუნქციის - რიცხვითი მიმდევრობის ზღვრის ცნების განსაზღვრა. ამ განსაზღვრებაში წარმოდგენილი ყველა პირობის დეტალურად და მრავალმხრივად აღწერის გარეშე გადაცემული ეს განსაზღვრება სტუდენტთა აღქმაში შეიძლება წარმოდგეს დაუკავშირებელ სიტყვათა გროვად და ეს იჩენს კიდევ თავს მათ მიერ მოცემულ ფორმულირებებში. აჯობებს, თუ მიმდევრობის ზღვრის ეკვივალენტურ განსაზღვრებებიდან ჯერ შედარებით უფრო მარტივს მოვიყვანთ:

ვთქვათ, მოცემულია ნამდვილ რიცხვთა (a_n) მიმდევრობა.

a რიცხვს ეწოდება (a_n) მიმდევრობის ზღვარი, თუ ნებისმიერი ε დადებითი რიცხვისთვის $(a - \varepsilon, a + \varepsilon)$ მიდამოს $(a$ წერტილის ε მიდამოს) გარეთ აღმოჩნდება ამ მიმდევრობის წევრთა მხოლოდ სასრული ოდენობა.

ამრიგად, ε დადებითი რიცხვის რაგინდ შემცირებისას $(a - \varepsilon, a + \varepsilon)$ მიდამოს უნდა ეკუთვნოდეს მიმდევრობის ყველა წევრი, გარდა, შესაძლოა, მიმდევრობის წევრთა მხოლოდ სასრული ოდენობისა. აქვე არ იქნება ურიგო, თუ იმასაც ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ε -ის შემცირებასთან ერთად, საზოგადოდ, ε მიდამოს გარეთ არსებულ წევრთა ოდენობა შეიძლება იზრდებოდეს, თუმცა ყოველი ε -ისთვის ასეთ წევრთა რიცხვი სასრული უნდა იყოს. ამრიგად, თუ რაიმე კონკრეტული ε -ისთვის a -ს ε მიდამოს გარეთ აღმოჩნდება მიმდევრობის წევრთა სასრული რაოდენობა, ეს ჯერ კიდევ არ განაპირობებს იმ ფაქტს, რომ a არის მოცემული მიმდევრობის ზღვარი - განსაზღვრებაში მოითხოვება ε რიცხვის ნებისმიერობა. მაგალითად, $a_n = 2 + \frac{1}{n}$, $n \in \mathbf{N}$ ფორმულით განსაზღვრული მიმდევრობისთვის, თუ შევარჩევთ $\varepsilon = 0,2$, მაშინ $(2,1-0,2; 2,1+0,2)$ მიდამოს გარეთ მიმდევრობის წევრთა მხოლოდ სასრული ოდენობა აღმოჩნდება, თუმცა რიცხვი 2,1 ამ მიმდევრობის ზღვარს არ წარმოადგენს. ეს ნათლად შეინიშნება, თუ, მაგალითად, ε რიცხვი 0,1-ზე ნაკლებია - მაშინ ε მიდამოს გარეთ არსებულ წევრთა (მიმდევრობის წევრთა) რიცხვი უსასრულოა.

ზღვრის ცნების ასეთი განსაზღვრისა და მისი განხილვის შემდგომ სასურველია ამ განსაზღვრების ეკვივალენტური სხვა განსაზღვრების შემოტანა და განხილვა (მათი ეკვივალენტობის საკითხს ამჯერად არ შევეხებით):

a რიცხვს ეწოდება (a_n) მიმდევრობის ზღვარი, თუ ნებისმიერი ε დადებითი რიცხვისთვის არსებობს ისეთი ნატურალური n^* რიცხვი, რომ n^* -ზე მეტი ნებისმიერი n ნატურალური რიცხვისთვის სრულდება პირობა

$$|a_n - a| < \varepsilon. \tag{1}$$

მარტივი გარდაქმნებით (1)-დან ვღებულობთ-

$$a - \varepsilon < a_n < a + \varepsilon,$$

ანუ, მიმდევრობის ყოველი წევრი, რომლის ნომერი მეტია n^* -ზე, უნდა ეკუთვნოდეს a წერტილის ε მიდამოს. ამ განსაზღვრებაში არსებითია:

- ε რიცხვის ნებისმიერობა და არა რაიმე ასეთი რიცხვის არსებობა.

- ε რიცხვისთვის მისი შესაბამისი n^* ნომრის არსებობა. ამის ხაზგასასმელად ზოგჯერ n^* -ს ასეც აღნიშნავენ: $n^*(\varepsilon)$. ზოგიერთი ავტორი ამ ნომერს n_0 -ით აღნიშნავს, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია, რადგან, მაგალითად, (n_k) მიმდევრობის შემთხვევაში, მიმდევრობის პირველი წევრი, ხშირად, გარკვეული ხელსაყრელი მოსაზრებების გათვალისწინებით, n_0 -ით აღინიშნება. მიუღებლად მიგვაჩნია აგრეთვე n^* -ის მაგიერ N -ის გამოყენებაც, რადგან ზოგიერთმა სტუდენტმა N შეიძლება ნატურალურ რიცხვთა სტანდარტულ აღნიშვნადაც მიიჩნიოს და $n > N$ ჩანაწერი მისთვის სრულიად გაუგებარი გახდება. ამასთანავე, ფრაზა: “პატარა n მეტია დიდ N -ზე“, ალბათ, მსმენელს ამ აღნიშვნის გაუმჯობესებაზე დააფიქრებს.

- დასახელებულ n^* ნომერზე მეტი ნომრის მქონე ყველა წევრის თავმოყრა a წერტილის ε მიდამოში.

- a წერტილის ნებისმიერ მიდამოში მიმდევრობის წევრთა უსასრულო ოდენობის არსებობა საზოგადოდ არ განაპირობებს, რომ a არის ამ მიმდევრობის ზღვარი. მართლაც, $a_n = (-1)^n$ მიმდევრობისთვის $a = 1$ წერტილის ნებისმიერ მიდამოში მიმდევრობის წევრთა უსასრულო ოდენობაა, თუმცა ამ წერტილის ε მიდამოს გარეთ, როცა $\varepsilon < 1$, მიმდევრობის წევრთა უსასრულო ოდენობა რჩება. ეს კი მიუთითებს, რომ ეს a არ არის მიმდევრობის ზღვარი.

თუ არსებობს (a_n) მიმდევრობის ზღვარი და ეს ზღვარია რიცხვი a , მაშინ ამ მიმდევრობას კრებადი (a -სკენ კრებადი) მიმდევრობა ეწოდება. ვთქვათ, მოცემული (a_n) მიმდევრობის სავარაუდო ზღვარი - a რიცხვი - დასახელებულია, მაგრამ დადგინდა, რომ რაიმე ε რიცხვისთვის არ არსებობს სათანადო n^* ნომერი. შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაში (a_n) მაინც იყოს კრებადი? ასეთ ვითარებაში მხოლოდ ერთი რამაა გარკვეული - a არაა ამ მიმდევრობის ზღვარი. თუმცა შესაძლებელია, რომ ან მიმდევრობა იყოს კრებადი a -სგან განსხვავებული რაიმე რიცხვისკენ, ან ზღვარი საერთოდ არ არსებობდეს, ანუ მიმდევრობა იყოს განშლადი. მაგალითად, $a_n = 2 + \frac{5}{n}, n \in \mathbf{N}$ ფორმულით განსაზღვრული მიმდევრობის ზღვარი არ არის რიცხვი 3, რადგან $(3 - \varepsilon, 3 + \varepsilon)$ მიდამოს გარეთ ამ მიმდევრობის წევრთა უსასრულო ოდენობაა, როცა, მაგალითად, $\varepsilon < 0,5$. მიუხედავად ამისა, ეს მიმდევრობა კრებადია და მისი ზღვარია რიცხვი 2.

დეტალურადაა განსახილველი უსასრულოდ დიდი და შემოუსაზღვრული მიმდევრობების ცნებებიც, საყურადღებოა მათი შედარებაც.

(a_n) მიმდევრობას ეწოდება უსასრულოდ დიდი, თუ ნებისმიერი M დადებითი ნამდვილი რიცხვისთვის $(-M; M)$ შუალედში ამ მიმდევრობის წევრთა მხოლოდ სასრული ოდენობაა, ანუ, ამ მიდამოს გარეთ არის მიმდევრობის ყველა წევრი დაწყებული გარკვეული ნომრიდან. უფრო სრულად კი ეს ცნება შეიძლება ასე განვსაზღვროთ: (a_n) მიმდევრობას ეწოდება უსასრულოდ დიდი, თუ ნებისმიერი M დადებითი ნამდვილი რიცხვისთვის არსებობს ისეთი n^* ნომერი, რომ მასზე მეტი ნებისმიერი n ნატურალური რიცხვისთვის $|a_n| > M$.

ამრიგად, $a_n = n^2; b_n = -n^2; c_n = (-1)^n n^2, n \in \mathbf{N}$ ფორმულებით განსაზღვრული მიმდევრობები უსასრულოდ დიდი მიმდევრობებია.

არასწორად გააზრებული უსასრულოდ დიდი მიმდევრობის ცნება სტუდენტებს ხშირად ერევათ შემოუსაზღვრელი მიმდევრობის ცნებაში. გავიხსენოთ, რომ მიმდევრობას ეწოდება შემოუსაზღვრელი, თუ ნებისმიერი M დადებითი ნამდვილი რიცხვისთვის $(-M; M)$ შუალედის გარეთ არის ამ მიმდევრობის ერთი წევრი მაინც. აქედან მარტივად მიიღება, რომ ყოველი ასეთი შუალედის გარეთ მიმდევრობის წევრთა უსასრულო ოდენობაა. ცხადია, რომ ზემოთ დასახელებული სამივე მიმდევრობა შემოუსაზღვრელია. ბუნებრივია დაისვას კითხვები:

- რა არსებითი განსხვავებაა უსასრულოდ დიდ და შემოუსაზღვრელ მიმდევრობებს შორის?
- ყოველი შემოუსაზღვრელი მიმდევრობა არის თუ არა უსასრულოდ დიდი მიმდევრობა?
- ყოველი უსასრულოდ დიდი მიმდევრობა არის თუ არა შემოუსაზღვრელი მიმდევრობა?

ამ კითხვებზე მკაფიო პასუხი შეიძლება მარტივი საილუსტრაციო ნიმუშებით გავცეთ. ზოგიერთი შემოუსაზღვრელი მიმდევრობა არის უსასრულოდ დიდი მიმდევრობაც. მაგალითად, ასეთია ზემოთდასახელებული $a_n = n^2$ ფორმულით განსაზღვრული მიმდევრობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მიმდევრობის შემოუსაზღვრელობას განაპირობებს მისი რაიმე შემოუსაზღვრელი ქვემიმდევრობის არსებობაც კი, შეიძლება დავასახელოთ მარტივი შემოუსაზღვრელი მიმდევრობა, რომელიც არაა უსასრულოდ დიდი:

$$a_n = \begin{cases} 1, & \text{თუ } n \text{ კენტია;} \\ n, & \text{თუ } n \text{ ლუწია.} \end{cases}$$

მართლაც, ამ მიმდევრობის ყველა ლუწნომრიანი წევრის თავმოყრა რაიმე $(-M; M)$ შუალედში შეუძლებელია. ამიტომ ეს მიმდევრობა შემოუსაზღვრელია. მეორე მხრივ, ეს მიმდევრობა არ არის უსასრულოდ დიდი, რადგან მითითებული სახის ნებისმიერ შუალედში, როცა $M > 1$, არსებობს მოცემული მიმდევრობის წევრთა უსასრულო ოდენობა (კენტნომრიანი წევრები).

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ უმაღლეს სკოლაში მათემატიკის ფუნდამენტურ ცნებათა განსაზღვრებების მკაფიოდ და მრავალმხრივად გააზრების დიდ მნიშვნელობას. ამ მიმართებით გამორჩეულად ყურადსაღებია ყოველი ცნების შინაარსის აღწერა, ნათელი საილუსტრაციო ნიმუშების ანალიზი, სხვა ცნებებთან შედარება და მათგან განმასხვავებელი ნიშნების ხაზგასმა. ასეთი შედარებითი ანალიზი სტუდენტისათვის ზოგად განმავითარებელ მნიშვნელობასაც იძენს.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია უმაღლეს სკოლაში მათემატიკის ფუნდამენტურ ცნებათა მკაფიოდ და გაღრმავებულად სწავლების საკითხები, ამ ცნებათა დიდ მნიშვნელობა, წარმოდგენილია ცნებათა შინაარსის აღწერისა და ანალიზის, სხვა ცნებებთან შედარებისა და მათგან განმასხვავებელი ნიშნების ბიების საილუსტრაციო ნიმუშები.

Guram Gogishvili – St. Andrew the First Called Georgian University, Chief of the educational center.

On the teaching of some fundamental concepts of mathematics in high schools

Abstract

The article considers the great importance of a clear and in-depth teaching of the fundamental concepts of mathematics; Illustrative examples of the description and analysis of the content of concepts, examples of their comparison with other concepts and looking for their differences are presented.

ლამარა ქურჩიშვილი - ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ, მოწვეული პედაგოგი, აკადემიური დოქტორი;

მარიამ ბესიაშვილი - ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, განათლების მიმართულების მაგისტრი

ვექტორული ანალიზის ელემენტები სასკოლო კურსში

ეროვნული სასწავლო გეგმით მათემატიკის სასწავლო პროგრამა ოთხ ძირითად მიმართულებად არის დაყოფილი. ერთ-ერთი მიმართულებაა „გეომეტრია და სივრცის აღქმა“. ამ მიმართულებით პროგრამა და, აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოები გეომეტრიის ძველ ბერძნულ მეთოდებთან ერთად ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე (XVII-XX სს) მეთოდებზე (როგორცაა კოორდინატთა მეთოდი, ვექტორული მეთოდი, გეომეტრიული გარდაქმნების მეთოდი) და მათ პრაქტიკულ გამოყენებებზე.

სკოლაში ვექტორის ცნება შემოდის IX კლასიდან და თანდათან ხდება მეთოდის ცოდნის გაფართოვება, წარმოდგენების გაღრმავება, მათზე ალგებრული მოქმედებების განხორციელება და ამ მოქმედებების გეომეტრიული ინტერპრეტაცია

სასკოლო სახელმძღვანელოებში ვექტორის ცნების ფორმალური გადმოცემისას ვექტორი ზოგიერთ ავტორთან გაიგივებულია პარალელურ გადატანასთან (მაგალითად, კოლმოგოროვის სახელმძღვანელოში), მექანიკური მოძრაობის სიჩქარესთან, მიზიდულობის ძალასთან (ფიზიკის სახელმძღვანელოებში) და სხვა. თუმცა ყველა შემთხვევაში ვექტორის ცნების შემოტანას თან სდევს მისი გეომეტრიული და ალგებრული წარმოდგენები.

მოსწავლეებში ხშირ შემთხვევაში ვექტორის ცნება მიმართულ მონაკვეთებთან და მათზე მოქმედებასთან ასოცირდება. ცოტა თუ დააკავშირებს ვექტორის ცნებას რიცხვების დალაგებულ n -ეულებთან.

n -განზომილებიანი ვექტორული სივრცე არის დალაგებული n -ეულების სიმრავლე $V = \{(a_1, a_2, \dots, a_n) / a_1 \in R, a_2 \in R, \dots, a_n \in R\}$, რომელშიც შემოტანილია მიმატების და რიცხვზე გამრავლების ოპერაცია შემდეგნაირად: $u_1(a_1, a_2, \dots, a_n)$, $u_2(b_1, b_2, \dots, b_n)$ ვექტორების ჯამი არის ვექტორი, რომლის ყოველი კოორდინატი შესაკრები ვექტორების შესაბამისი კოორდინატების ჯამია (შიგა ოპერაცია)

$$u_1 + u_2 = (a_1 + b_1, a_2 + b_2, \dots, a_n + b_n)$$

$u_1(a_1, a_2, \dots, a_n)$, ვექტორის λ რიცხვზე ნამრავლი არის ვექტორი, რომლის კოორდინატები u_1 ვექტორის შესაბამისი კოორდინატების λ -ზე გამრავლებით მიიღება (გარე ოპერაცია)

$$\lambda u_1 = (\lambda a_1, \lambda a_2, \dots, \lambda a_n).$$

ეს ოპერაციები აკმაყოფილებენ სივრცის აქსიომებს, რაც დალაგებულ n -ეულებზე ალგებრული ოპერაციების ჩატარების საშუალებას იძლევა.

$u_1 + u_2 = u_2 + u_1$	$\alpha \cdot (\beta \cdot u_1) = (\alpha \cdot \beta) \cdot u_1$
$(u_1 + u_2) + u_3 = u_1 + (u_2 + u_3)$	$\alpha \cdot (u_1 + u_2) = \alpha \cdot u_1 + \alpha \cdot u_2$
$u_1 + 0 = u_1$	$(\alpha + \beta) \cdot u_1 = \alpha \cdot u_1 + \beta \cdot u_1$
$u_1 + (-u_1) = 0$	$1 \cdot u_1 = u_1$

ანალოგიურად განვიხილოთ სიბრტყეზე (სივრცეში) მიმართული მონაკვეთების სიმრავლე. დავყოთ ეს სიმრავლე ეკვივალენტობის კლასებად. ერთ კლასში გავაერთიანოთ ერთი და იმავე სივრცის და ერთი და იმავე მიმართულების მიმართული მონაკვეთები. მათ ტოლი მიმართული მონაკვეთები ვუწოდოთ. კლასის წარმომადგენელი იყოს ის მიმართული მონაკვეთი, რომლის საწყისი წერტილი კოორდინატთა სათავეა. ამ ობიექტებზეც შემოვიღოთ შეკრების (შეკრების სამკუთხედის და პარალელოგრამის წესი) და რიცხვზე გამრავლების ოპერაციები. დავრწმუნდებით რომ ეს ოპერაციები აკმაყოფილებს სივრცის აქსიომებს, რაც საშუალებას გვაძლევს გეომეტრიული გარდაქმნები კოორდინატებით წარმოვადგინოთ.

$$\begin{array}{l} \vec{a} + \vec{b} = \vec{b} + \vec{a} \\ (\vec{a} + \vec{b}) + \vec{c} = \vec{a} + (\vec{b} + \vec{c}) \\ \vec{a} + \vec{b} = \vec{a} \\ \vec{a} + (-\vec{a}) = 0 \end{array} \quad \left| \quad \begin{array}{l} \alpha \cdot (\beta \cdot \vec{a}) = (\alpha \cdot \beta) \cdot \vec{a} \\ \alpha \cdot (\vec{a} + \vec{b}) = \alpha \cdot \vec{a} + \alpha \cdot \vec{b} \\ (\alpha + \beta) \cdot \vec{a} = \alpha \cdot \vec{a} + \beta \cdot \vec{a} \\ 1 \cdot \vec{a} = \vec{a} \end{array} \right.$$

ყოველ დალაგებულ წყვილს (ორგანზომილებიან ვექტორს) შევუსაბამოთ მიმართული მონაკვეთი, რომლის საწყისი წერტილი კოორდინატა სათავეა, ბოლო წერტილის კოორდინატები კი ვექტორის შესაბამისი წერტილი სიბრტყეზე. გარდა იმისა, რომ მყარდება ურთიერთცალსახა თანადობა მიმართული მონაკვეთების სიმრავლის კლასებსა და ორგანზომილებიან ვექტორებს (დალაგებულ ორეულებს) შორის, ეს ასახვა იზომორფულია, ანუ აკმაყოფილებს პირობებს:

$$\begin{aligned} f(u_1 + u_2) &= f(u_1) + f(u_2) \\ f(\lambda u_1) &= \lambda \cdot f(u_1) \end{aligned}$$

ნებისმიერი u_1 და u_2 -თვის ორგანზომილებიან ვექტორთა სიმრავლიდან. ანალოგიურად, სამგანზომილებიან ვექტორების და სივრცის მიმართული მონაკვეთების სიმრავლეებიც იზომორფული სივრცეებია. ამიტომ სიბრტყეზე და სივრცეში მიმართულ მონაკვეთებს გავაიგივებთ შესაბამისად ორ და სამ განზომილებიან ვექტორებთან და ვუწოდებთ მათ გეომეტრიულ ვექტორებს. გეომეტრიული ვექტორები ორ და სამ განზომილებიანი ვექტორების გეომეტრიული ინეტრპრეტაციაა და სიმარტივისთვის მათაც ვექტორებს ვუწოდებთ.

სასკოლო სახელმძღვანელოში ამ დონის მათემატიკური სიმკაცრის დაცვაზე უარს ვამბობთ მასალის მისაწვდომობის მიზნით. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის მიხედვით ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია ვექტორული მეთოდის პრაქტიკული გამოყენების ილუსტრაციებზე მომიჯნავე საგნებში (კერძოდ ფიზიკაში) და მათემატიკაში.

გთავაზობთ საილუსტრაციოდ ამოცანებს.

ამოცანა 1. მართკუთხა სამკუთხედის კათეტებია 6სმ და 8სმ. იპოვეთ მანძილი შემოხაზული და ჩახაზული წრეწირების ცენტრებს შორის.

ამოხსნის ალგებრული ხერხი:

$AB=10$ სმ. შემოხაზული წრის რადიუსი $R=CO_1=AB:2=5$ სმ. ჩახაზული წრის რადიუსი

$r=S: p$, სადაც p სამკუთხედის პერიმეტრის ნახევარია, ანუ $r=24:12=2$ (სმ).

პითაგორას თეორემით, $CO^2=2^2+2^2=8$, $CO=2\sqrt{2}$ (სმ).

კოსინუსების თეორემით $\triangle OCO_1$ -ში

$$OO_1^2 = CO_1^2 + CO^2 - 2 \cdot CO_1 \cdot CO \cdot \cos \angle OCO_1.$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ $\angle O_1CB = \angle B$; $\angle OCB = 45^\circ$,


რადგან CO ბისექტრისაა; $\cos \angle B = \frac{BC}{AB} = 0,6$, $\sin \angle B = 0,8$;

მივიღებთ:

$$\angle OCO_1 = \angle B - 45^\circ, \quad \cos \angle OCO_1 = \cos \angle B \cos 45^\circ + \sin \angle B \sin 45^\circ,$$

$$\cos \angle OCO_1 = 0,6 \cdot \frac{\sqrt{2}}{2} + 0,8 \cdot \frac{\sqrt{2}}{2} = 1,4 \cdot \frac{\sqrt{2}}{2} = 0,7\sqrt{2} \quad \text{და} \quad OO_1^2 = 25 + 8 - 2 \cdot 5 \cdot \sqrt{8} \cdot 0,7\sqrt{2} = 5,$$

პასუხი: $OO_1 = \sqrt{5}$ სმ



ამოხსნის ვექტორული მეთოდი:

ეს სამკუთხედი მოვათავსოთ მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში, C წვერო მოვათავსოთ კოორდინატთა სათავეში, CA და CB კათეტები საკოორდინატო ღერძებზე. მაშინ A წერტილის კოორდინატები იქნება (0; 8), B წერტილის - (6; 0). შემოხაზული წრის O_1 ცენტრი AB მონაკვეთის შუა წერტილია და მისი კოორდინატებია (3; 4);

ჩახაზული წრის რადიუსი $r=S: p$, სადაც p სამკუთხედის პერიმეტრის ნახევარია, ანუ $r=24:12=2$ და ჩახაზული წრის O ცენტრის კოორდინატებია (2;2);

$$\overrightarrow{OO_1} \text{ ვექტორის კოორდინატებია } (1; 2), \text{ სიგრძე } - \sqrt{1^2 + 2^2} = \sqrt{5} \text{ სმ.}$$

ამოცანა 2. დაადგინეთ $y = a \sin x + b \cos x$ ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე.

ამოხსნის ალგებრული ხერხი:

$$\text{მოცემული ფუნქცია ასე ჩავწეროთ: } y = \sqrt{a^2 + b^2} \cdot \left(\frac{a}{\sqrt{a^2 + b^2}} \sin x + \frac{b}{\sqrt{a^2 + b^2}} \cos x \right).$$

$$\text{რადგან } \left(\frac{a}{\sqrt{a^2 + b^2}} \right)^2 + \left(\frac{b}{\sqrt{a^2 + b^2}} \right)^2 = 1, \quad \text{არსებობს რაიმე } \alpha \text{ კუთხე ისეთი, რომ}$$

$$\frac{a}{\sqrt{a^2 + b^2}} = \cos \alpha \quad \text{და} \quad \frac{b}{\sqrt{a^2 + b^2}} = \sin \alpha$$

მივიღეთ:

$$y = \sqrt{a^2 + b^2} \cdot (\cos \alpha \cdot \sin x + \sin \alpha \cdot \cos x),$$

$$y = \sqrt{a^2 + b^2} \cdot \sin(x + \alpha).$$

$$\text{ამ ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლეა } \left[-\sqrt{a^2 + b^2}; \sqrt{a^2 + b^2} \right].$$

ამოხსნის ვექტორული მეთოდი:

განვიხილოთ $y = a \sin x + b \cos x$ ფუნქცია, როგორც ორი ვექტორის სკალარული ნამრავლი:

$$y = a \sin x + b \cos x = (a; b) \cdot (\sin x; \cos x) = \sqrt{a^2 + b^2} \cdot \sqrt{\sin^2 x + \cos^2 x} \cdot \cos \alpha,$$

სადაც α არის კუთხე $(a; b)$ და $(\sin x; \cos x)$ ვექტორებს შორის. მივიღეთ

$$y = a \sin x + b \cos x = \sqrt{a^2 + b^2} \cdot \cos \alpha.$$

$$\text{რადგან } \cos \alpha \in [-1; 1], \text{ ამიტომ } -\sqrt{a^2 + b^2} \leq y \leq \sqrt{a^2 + b^2}.$$

ამ მაგალითებით ჩანს ვექტორული მეთოდის უპირატესობა ზოგიერთ შემთხვევაში.

ეს აქტივობა პირდაპირ ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას: გამოვიყენოთ ვექტორული მეთოდი გეომეტრიული დავალებების გადასაწყვეტად და ასევე მეთოდოლოგიურ თვალსაზრისს ერთი და იმავე ამოცანის ამოხსნის სხვადასხვა ხერხით წარმოდგენის ეფექტურობაზე.

ლიტერატურა

1. ე.იმერლიშვილი, მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი, 2001
2. გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია, ლ.ქურჩიშვილი, მათემატიკა, მასწავლებლის წიგნი, XI კლასი, თბილისი 2008.
3. გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია, ლ.ქურჩიშვილი, მათემატიკა, მასწავლებლის წიგნი, XII კლასი, თბილისი 2008.
4. Melvin Hausner, A vector space approach to geometry. Mineola, New York, 1998.
5. Л.Я. Куликов, Алгебра и теория чисел, Москва, Высшая школа, 1979.

რეზიუმე

ლამარა ქურჩიშვილი - ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ, მოწვეული პედაგოგი, აკადემიური დოქტორი;

მარიამ ბესიაშვილი - ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, განათლების მიმართულების მაგისტრი

ვექტორული ანალიზის ელემენტები სასკოლო კურსში

ნაშრომში განხილულია მათემატიკის სასწავლო პროგრამიდან ერთ-ერთი მიმართულების (გეომეტრია და სივრცის აღქმა) მნიშვნელოვანი საკითხის, ვექტორული მეთოდის ფორმალური გადმოცემის თავისებურებანი; ვექტორის ცნების შემოტანის ალგებრული და გეომეტრიული ინტერპრეტაციები; ამ მეთოდის გამოყენების საილუსტრაციოდ მოყვანილია ორი მაგალითი.

Abstract

Lamara Qurchishvili – Invited professor at I. Javakhishvili Tbilisi State University, PH.D.

Mariam Besiashvili -Masters student at the Department of Education of I. Javakhishvili Tbilisi State University School of Psychology and Education.

Elements of Vector Analysis in the High School Curriculum

One of the important components in the high school math curriculum is Geometry and Space Perception, a crucial part of which is vector approach. Important aspects of teaching vectors are discussed in this article, including ways of introducing algebraic and geometric interpretations of vectors. Two examples to illustrate the method are presented and analyzed.

თეიმურაზ სურგულაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

უზუსტობები ელემენტარული მათემატიკის ამოცანათა პირობებში

ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილის ზოგიერთი მაგალითი, როდესაც ელემენტარული მათემატიკის ამოცანათა პირობები შეიცავენ უზუსტობებს. ეს მაგალითები მოძიებულია ინტერნეტ სივრციდან, აბიტურიენტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებიდან და თვით ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტებიდანაც კი.

ზოგჯერ ამოცანის პირობა შეიცავს უაზრო ფორმულირებებს

1. მამა 6 წლით უფროსია შვილზე. 12 წლის შემდეგ მამისა და შვილის ასაკები პირდაპირ პროპორციული იქნება 13 - სა და 5 - სა. იპოვეთ მამისა და შვილის ასაკი.

ამოხსნა შეიძლება დავიწყით ასე: ვთქვათ შვილის ასაკია x , მამის ასაკი იქნება $x+6$ და ამოცანის პირობის თანახმად ვღებულობთ განტოლებათა სისტემას

$$\begin{cases} x+18=13p \\ x+6=5k \end{cases}$$

სადაც p და k მთელი რიცხვებია. ამის შემდეგ ვღებულობთ თანაფარდობას p და k რიცხვებს შორის

$$p = \frac{6+5k}{13}.$$

და ა.შ. მაგრამ ყველა ეს მსჯელობა კარგავს აზრს, თუ დავუკვირდებით ამოცანის პირობას, სადაც წერია მამა შვილზე უფროსია 6 წლითო???

2. სახლში ერთდროულად გასკდა ორი მილი ცხელი წყლის და ცივი წყლის. ცივი წყლის მილიდან ყოველ წუთში გამოედინება 70 ლიტრი ცივი წყალი 1 წუთში, ხოლო ცხელი წყლის მილიდან კი 12 ლიტრი ცხელი წყალი წამში. ამ ბინის მცხოვრები დაიხრჩობა ცივ წყალში, თუ ის მოიხარშება?

ამ ამოცანის დანიშნულება ალბათ არის მოსწავლემ ყურადღება მიაქციოს ამოცანაში ნახსენებ ტერმინებს წუთი და წამი, როგორც ხედავთ ბინის მცხოვრები „მოიხარშება“, რა თქმა უნდა ბინის მცხოვრების ბინიდან გასვლა ალბათ აკრძალულია. ამოცანის ავტორს დიდი ალბათობით მიდრეკილება აქვს სადიზმისაკენ

3. თავიდან კატის აშინებდა ორი მაჯლაჯუნა, შემდეგ მათ დაემატა ერთი, ხოლო შემდეგ კი მათ დასახმარებლად მოირბინა კიდევ სამმა მაჯლაჯუნამ. რამდენი მაჯლაჯუნა აშინებდა კატისა და მაინც ვერ დააშინა ის?

აქ ამოცანა ალბათ გახლავთ მაჯლაჯუნების რიცხვის დათვლაზე, მაგრამ კატის არ ეშინია და მაჯლაჯუნები ტყუილად ირჯებიან.

4. რეკეტიორების მიერ მოტაცებული ბავშვი მიყავთ საბარგულიანი მანქანით. საბარგულში არსებული ჭუჭრუტანიდან ბავშვმა შეამჩნია, რომ ორ მეზობელ კილომეტრის აღმნიშვნელ ბოძს შორის არსებულ მანძილს ავტომობილი გადის 40 გულის ცემისათვის საჭირო დროში. რა სიჩქარით მოძრაობს ავტომობილი?

ჯერ ერთი კრიმინალური ამოცანების შეტანა სასკოლო სახელმძღვანელოში არაა რეკომენდირებული. შემდეგ ეს ბავშვი ალბათ მომავალი გალილეა მოგეხსენებათ ქანქარის რხევის სიხშირეს გალილეი ითვლიდა გულის პულსის დახმარებით, მაგრამ როგორი გენიოსიც არ უნდა იყოს ბავშვი ის ამ ამოცანის ამომხსნელი არაა.

5. პირველმა ოპერატორმა კომპიუტერზე 6 კვირაში აკრიბა 900 გვერდი, მეორემ იგივე რაოდენობის გვერდები კომპიუტერზე აკრიბა 5 კვირაში. რამდენით მეტ გვერდს კრიბავდა კვირაში მეორე ოპერატორი ვიდრე პირველი, თუ ყოველ კვირაში თითოეული მათგანი კრიბავდა ერთი და იგივე რაოდენობის გვერდებს?

აქ შეკითხვა დასმულია არაკორექტულად!

6. კოლუმბიელმა ფერმერმა აიღო 4 ტ. კოფეს მარცვალი, მათგან 940 კილოგრამი მან ჩააბარა შოკოლადოს ქარხანას, ხოლო დანარჩენი კიტრები გაანაწილა 68 კილოგრამიან ტომრებში თანაბრად. რამდენი კილოგრამი კოფეს მარცვალია თითოეულ ტომარაში?

7. იყიდეს რვეული, ალბომი და წიგნი. ყველაფერში, გარდა რვეულისა დადაიხადეს 8 ლარი. წიგნი ღირს 3 ლარი. რა ღირს რვეული?
8. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არის მთავარი ექიმი და ბევრი ავადმყოფი. კვირის განმავლობაში თითოეული ავადმყოფი დღეში ერთხელ კბენდა ვიღაცას (შეიძლება საკუთარ თავსაც). კვირის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ყოველ ავადმყოფს აქვს ორი ნაკბენი, ხოლო მთავარ ექიმს კი 100 ნაკბენი. რამდენი ავადმყოფია საავადმყოფოში?

აქ ალბათ იგულისხმება, რომ ყველა ავადმყოფი კბენს მთავარ ექიმს, მაგრამ ამონახსენს მაინც ვერ მივიღებთ.

ზოგჯერ ამოცანის დასმა საკმაოდ კორექტული ჩანს, მაგრამ ამოხსნა არ არსებობს.

9. ასეთი ამოცანა განხილულია აბიტურიენტისათვის განკუთვნილ მეტად პოპულარულ წიგნში ბ. დვაბერიძე, ფ. დვალიშვილი, ა. მოსიძე, კ. გელაშვილი, ბ. სირბილაძე ალგებრა და ანალიზის საწყისები, 2014 წელი, ამოცანა №6.94;

დაფაზე დაწერილია გარკვეული რაოდენობის მთელი რიცხვები, რომელთა რაოდენობაც მეტია 40 - ზე და ნაკლებია 48 - ზე. ამ რიცხვების საშუალო არითმეტიკული ტოლია (-3) - ის, დადებითი რიცხვების საშუალო არითმეტიკული ტოლია 4 - ის, ხოლო უარყოფითი რიცხვების საშუალო არითმეტიკული ტოლია (-8) - ის. რამდენი რიცხვია დაწერილი დაფაზე? რომელის უფრო მეტი დადებითი, თუ უარყოფითი რიცხვები?

ვთქვათ ყველა დადებითი რიცხვის ჯამი ტოლია X - ის, ხოლო მათი რიცხვი კი ტოლია n -ის, მაშინ

$$\frac{X}{n} = 4$$

$$X = 4n$$

ანალოგიურად ვთქვათ უარყოფითი რიცხვების ჯამი ტოლია Y - ის, ხოლო მათი რიცხვი კი ტოლია m -ის, მაშინ

$$\frac{Y}{m} = -8$$

$$Y = -8m$$

რადგანაც $X + Y$ ტოლია ყველა რიცხვების საერთო ჯამისა, ამიტომ

$$\frac{X + Y}{n + m} = -3$$

თუკი ამ ტოლობაში შევიტანთ X და Y - ის ზემოთგანსაზღვრულ მნიშვნელობებს მივიღებთ

$$4n - 8m = -3n - 3m$$

$$7n = 5m$$

ვთქვათ რიცხვების საერთო რაოდენობაა $p = n + m \Rightarrow n = p - m$.

თუკი $n = p - m$ ჩავსვათ ზედა ფორმულაში მივიღებთ

$$7(p - m) = 5m$$

$$7p - 7m = 5m$$

$$7p = 12m$$

$$m = \frac{7p}{12}$$

რადგანაც ჩვენთვის ცნობილია, რომ რიცხვების საერთო რაოდენობა მეტია 40 - ზე და ნაკლებია 48 - ზე, ამიტომ p - ს ნაცვლად ბოლო ტოლობაში ჩავსვათ მთელი რიცხვები 41- დან 47 - ის ჩათვლით. პასუხი იქნება p - ს ის მნიშვნელობა, რომლისთვისაც m იქნება მთელი.

თუ $p = 41$ ვღებულობთ $m = \frac{7 \cdot 41}{12} \approx 17,08$ რაც არ ვარგა

თუ $p = 42$ ვღებულობთ $m = \frac{7 \cdot 42}{12} \approx 17,5$ რაც არ ვარგა

თუ $p = 43$ ვღებულობთ $m = \frac{7 \cdot 43}{12} \approx 17,92$ რაც არ ვარგა

თუ $p = 44$ ვღებულობთ $m = \frac{7 \cdot 44}{12} \approx 18,33$ რაც არ ვარგა

თუ $p = 45$ ვღებულობთ $m = \frac{7 \cdot 45}{12} \approx 18,75$ რაც არ ვარგა

თუ $p = 46$ ვღებულობთ $m = \frac{7 \cdot 46}{12} \approx 19,17$ რაც არ ვარგა


თუ $p = 47$ ვღებულობთ $m = \frac{7 \cdot 47}{12} \approx 19,58$ რაც არ ვარგა

აქედან ვასკვნით, რომ ამოცანას არა აქვს ამონახსენი. მაგარამ, თუ სიტყვას „ნაკლებს“ შევცვლით სიტყვით „არაუმეტეს“, მივიღებთ, რომ $p = 48$ და $m = \frac{7 \cdot 48}{12} = 28$, ხოლო $n = 48 - 28 = 20$ და

უარყოფითი რიცხვები ყოფილა მეტი.

განვიხილოთ ახლა ერთიან ერივნულ გამოცდაზე 2007 წელს მათემატიკაში მიცემული ამოცანა 2007 წელი ტესტი II, ამოცანა №33

2 სმ, 3 სმ და 5 სმ გვერდების მქონე სამი კვადრეტი ერთმანეთზე არის მიდგმული. პატარა კვადრატის წვერო მონაკვეთით შეერთებულია ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები. იპოვეთ გამუქებული ტრაპეციის ფართობი



ამ ამოცანის პასუხია $10,5 \text{ სმ}^2$.

ჯერ ერთი თავიდანვე ჩანს, რომ პასუხი არაა მართებული, რადგანაც ტრაპეცია ჩახაზულია იმ კვადრატში, რომლის ფართობის არის 9 სმ^2 , რაც რა თქმა უნდა არაა სწორი.

სინამდვილეში ფართობია $\frac{10,5}{2}$. ეს შეცდომა მაინდა მაიც დიდი უბედურება არა არის საქმე, რომ არ ეხებოდეს ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

ლიტერატურა:

1. ბ.ღვამბერიძე, ფ.დვალისხვილი, ა.მოსიძე, კ.გელაშვილი, ბ.სირბილაძე ალგებრა და ანალიზის საწყისები, 2014 წელი, ამოცანა №6.94
2. eegtests.files.wordpress.com/2012/04/2007-2-math.pdf.

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ზოგიერთი მაგალითი, როდესაც ელემენტარული მათემატიკის ამოცანათა პირობები შეიცავენ უზუსტობებს. ეს მაგალითები მომხილებულია ინტერნეტ სივრციდან, აბიტურიენტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებიდან და თვით ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტებიდანაც კი

Teimuraz Surguladze - Akaki Tsereteli State University, Professor
 Summary

In work several tasks when conditions of tasks in elementary mathematics contain inaccuracies are considered. These examples are taken from internet, from the manuals for future students and from the tests of National Exams.

ია მეზონია - ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, ქართულ-ამერიკული სკოლის ზუსტ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, წამყვანი მასწავლებელი

კვლევითი მუშაობა საშუალო სკოლაში

ყოველ ჩვენგანს სურს შვილი აღზარდოს ისე, რომ მაქსიმალურად გახსნას და განავითაროს მისი დადებითი უნარები; მიაგნებინოს საყვარელ საქმეს და მიაღებინოს შესაფერისი პროფესია; გახადოს მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი და საკუთარი საქმიანობით ბედნიერი. ჭეშმარიტ პედაგოგს ყოველივე ეს თითოეული მოსწავლისთვის სურს. როგორ აღზარდოთ მოსწავლე შემოქმედი და ინტერესიანი? ცხადია, დოგმატური და ჩარჩოში ჩასმული გაკვეთილებით ამას ვერ შევძლებთ. მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარების ქმედით გზად მიჩნეულია არასტანდარტული გაკვეთილები, წრეობრივი, კლუბური ტიპის მუშაობა. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როცა ასეთი მუშაობისთვის გამოყოფილ დროს მასწავლებელი დამატებით საათებად აღიქვამს და იყენებს მიმდინარე საკითხებზე სამუშაოდ ან/და აკადემიური ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

როგორი უნდა იყოს კლუბური მუშაობა? ცხადია, არ არსებობს უნივერსალური სქემა, ვარგისი ყოველი საგნისთვის და ასაკობრივი ჯგუფისთვის. ამიტომ ფასეულია ნებისმიერი ორიგინალური იდეა და შედეგიანი გამოცდილება, რომელიც დაინტერესებული პედაგოგის ხელში შეიძლება კიდევ უფრო უკეთესი და ქმედითი გახდეს.

სწორედ ამ მიზნით მსურს გაგიზიაროთ გამოცდილება, რომელიც ქართულ-ამერიკულ სკოლაში მათემატიკის მოყვარულთა კლუბში მუშაობისას დაგვიგროვდა. კლუბი ამუშავდა 2014 წელს და ამ პერიოდის განმავლობაში გვაქვს გარკვეული წარმატებებიც, რომელთა შესახებადაც გიამბობთ.

კლუბის მუშაობის ზოგადი სტრუქტურა. ყოველი სასწავლო წლის პირველი ორი კვირის განმავლობაში ყალიბდება კლუბის წევრთა სია — წინა წლის წევრთა ნაწილი (მაგალითად, კურსდამთავრებულები) ტოვებს კლუბს, ახალი მოსწავლეები კი წევრიანდებიან. ეს პროცესი მშობელთა ჩართულობით მიმდინარეობს, რადგან მეცადინეობები საგაკვეთილო პერიოდის შემდეგ, ზოგჯერ კი შაბათ-კვირასაც მიმდინარეობს. საინტერესოა, რომ აკადემიური შედეგების გათვალისწინება არ ხდება. კლუბის წევრობა შეუძლია პრაქტიკულად ნებისმიერ მოსწავლეს. სემინარული ტიპის მეცადინეობა ტარდება მცირე ჯგუფებად (3-4 მოსწავლე), კვირაში ორჯერ 2-3 აკადემიური საათის ხანგრძლივობით. ყოველ ჯგუფში არის ლიდერი, რომელსაც თავად ჯგუფი ირჩევს. ლიდერის მოვალეობაა ჯგუფის წევრების მუშაობის კოორდინირება — მიღებულ დავალებას ანაწილებს ჯგუფის წევრებს შორის, საზღვრავს შესრულების ვადებს, აგვარებს მოძიებული ინფორმაციის და/ან მიღებული შედეგების ერთ ელექტრონულ საქაღალდეში მოქცევას. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან შეასრულონ ლიდერის დავალებები და დაიცვან რეგლამენტი. სავალდებულოა მეცადინეობებზე დასწრება და მუშაობაში მაქსიმალური ჩართულობა. სისტემატური გაცდენებისა და პასიურობის შემთხვევაში ჯგუფის შეკრებაზე წყდება მოსწავლის წევრობის საკითხი და ეს გადაწყვეტილება სავალდებულო წესით ეცნობა დირექციასა და მშობელს. შევნიშნავ, რომ მუშაობის სამი წლის განმავლობაში იყო ჯგუფიდან გარიცხვის ერთადერთი შემთხვევა.

ამოცანის დასმა. კლუბის მუშაობის ყველაზე რთული მომენტი არის ჯგუფისთვის სამუშაო ამოცანის, კვლევის მიმართულების განსაზღვრა. როგორც წესი, თემის შერჩევისას ვხელმძღვანელობთ შემდეგი მოთხოვნებით:

- ამოცანის თემატიკა უნდა უკავშირდებოდეს მოცემული კლასის სასწავლო პროგრამას;
- ამოცანა უნდა იმუშაობდეს მზარდი სირთულის ეტაპებად;
- ამოცანა არ უნდა იყოს ტრივიალური, მასში გასარკვევად საჭირო უნდა იყოს ინფორმაციის მოძიება (მათ შორის უცხოენოვან წყაროებშიც);
- ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელი უნდა იყოს ახალი მეთოდების შესწავლა-ათვისება.

ნიმუშად განვიხილოთ 2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში ერთ-ერთი ჯგუფის მუშაობის პროცესი.

ჯგუფი დაკომპლექტდა მეათე კლასის 4 მოსწავლით; ჯგუფის სამი მოსწავლე განსაკუთრებული ინტერესით სწავლობს გეომეტრიას, მეოთხე კი უპირატესობას ანიჭებს ფუნქციებს.

გადაწყდა, რომ ჯგუფის სამუშაო თემატიკა შეირჩევა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და დაუკავშირდება გეომეტრიულ გარდაქმნებს.

პირველი დავალებით, რომელიც მიიღეს მოსწავლეებმა, მოითხოვებოდა სკოლაში შესწავლილი გეომეტრიული გარდაქმნების კლასიფიკაცია: „სკოლაში ვსწავლობთ ბრტყელი ფიგურების სხვადასხვა ტიპის ასახვებს — სიმეტრიებს ღერძისა და ცენტრის მიმართ, პარალელურ გადატანას, ჰომოთეტიას, მობრუნებას. დააჯგუფეთ ეს ასახვები რაიმე ნიშნის მიხედვით.“ დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს დასჭირდათ დასახელებული ასახვების თვისებების გახსენება/მოძიება და სისტემატიზაცია ისეთი ფორმით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო თანაკვეთების მოძიება, რასაც შედეგად კლასიფიკაცია მოჰყვებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ-ერთი კლასიფიკაცია ჩატარებული იყო ინვარიანტების მიხედვით და გამოიყო ასახვათა ორი ჯგუფი — მოძრაობები და მსგავსების ასახვები ($k \neq \pm 1$ შემთხვევები).

დავალება მეორე: „შეისწავლეთ ასახვათა თითოეული ჯგუფის სამკუთხედზე მოქმედების თავისებურებები და მოიფიქრეთ, რა თვისება უნდა ჰქონდეს ასახვას, რომ არც ერთ განხილულ ჯგუფში არ მოხდეს.“ საინტერესოა, რომ ამ დავალების შესრულების პროცესში, მოსწავლეებმა განიხილეს სამკუთხედის ორიენტაციის საკითხიც. საბოლოო შედეგი ასე ჩამოყალიბდა: „თუ ასახვა მოძრაობაა, უცვლელია სამკუთხედის გვერდების სიგრძეები და კუთხეების ზომები; მსგავსების ასახვის ($k \neq \pm 1$) შემთხვევაში უცვლელია კუთხეების ზომები, მაგრამ იცვლება გვერდების სიგრძეები. იმისთვის, რომ ასახვა არ შედიოდეს დასახელებულ ჯგუფებში, სამკუთხედზე მისი მოქმედებისას არ უნდა იცვლებოდეს გვერდების სიგრძეები, მაგრამ უნდა იცვლებოდეს კუთხეების ზომებიდან რომელიმე მაინც, ან უნდა იცვლებოდეს ერთ მაინც გვერდის სიგრძე და ერთი მაინც კუთხის ზომა“.

დავალება მესამე: „დაადგინეთ, არსებობს, თუ არა სიბრტყის თავის თავზე ისეთი ასახვა, რომლის მოქმედებით სამკუთხედის გვერდების სიგრძეები უცვლელი იყოს, მაგრამ იცვლებოდეს მისი კუთხეების ზომებიდან რომელიმე მაინც (პასუხი დაასაბუთეთ)“. მოსწავლეთა დასკვნა: „ასეთი ასახვა არ არსებობს, რადგან სიბრტყეზე სამკუთხედის კუთხეების ზომები ცალსახად განისაზღვრება მისი გვერდების სიგრძეებით (მაგალითად, კოსინუსების თეორემის საშუალებით); შესაბამისად, თუ გვერდები არ შეიცვლება, არ შეიცვლება კუთხეებიც.“


დავალება მეოთხე: „მოიძიეთ ინფორმაცია, არსებობს თუ არა „არაბრტყელი“ სამკუთხედები, ანუ სამკუთხედები, რომელთა სიბრტყეზე განლაგება შეუძლებელია.“ დავალებაზე მუშაობის შედეგად მოსწავლეებმა გაიგეს სფერული და ლობაჩევსკის გეომეტრიების შესახებ, „აღმოაჩინეს“, რომ სამკუთხედის კუთხეების ჯამი შეიძლება არც იყოს 180° .

დავალება მეხუთე: „გაარკვიეთ, რა თვისება აქვთ წირებს, რომელთა ნაწილებითაა შემოსაზღვრული რაიმე ზედაპირზე მდებარე სამკუთხედი.“ ამ დავალებაზე მუშაობისას მოხდა წრფის ცნების განზოგადება, გეოდეზიური წირის არსში გარკვევა.

დავალება მეექვსე: „გაარკვიეთ, რა წირები წარმოადგენს სფერული და ცილინდრული ზედაპირების გეოდეზიურებს.“ სფეროზე დიდი წრეწირების, ცილინდრულ ზედაპირზე წრფეების, წრეწირებისა და ხრახნწირების გაცნობით შესრულდა მეექვსე დავალებაც და ძირითადი ამოცანისთვის მოსამზადებელი ეტაპიც, რაც მიახლოებით ექვსი კვირა გაგრძელდა.

ძირითადი ამოცანა: „მოიფიქრეთ ბრტყელი სამკუთხედის ცილინდრულ ზედაპირზე ისეთი ასახვა, რომლის დროსაც შეიცვლება მისი ერთი კუთხე მაინც.“


მოსწავლეები სინჯვის გზას დაადგინენ. პირველი ჰიპოთეზა, რომელიც გამოითქვა, ასე ჟღერდა: „შემოვახვიოთ სამკუთხედი ცილინდრზე, შედეგად ის „გაიღუნება“ და კუთხეებიც შეიცვლება.“ ჰიპოთეზის შემოწმებისას



- განვიხილეთ განლაგების რამდენიმე შემთხვევა;
- აღმოვაჩინეთ, რომ „შემოხვევისას“ სამკუთხედის გვერდები გეოდეზიური წირების მონაკვეთებში აისახება;
- ვისწავლეთ ამ წირთა განტოლებების ჩაწერა, თანაკვეთის წერტილების კოორდინატების დადგენა;
- ავითვისეთ ვექტორებისა და წარმოებულის გამოყენებით წირებს შორის კუთხის პოვნის პროცედურა.

შედეგმა მოსწავლეები გააწვილა — კუთხეები არ შეიცვალა.

შემდეგი იდეა მდგომარეობდა ისეთი ასახვის მოფიქრებაში, რომლის დროსაც დასაშვები იყო გვერდების სიგრძეების „მცირე“ ცვლილება — გეოდეზიურიდან გარკვეული გადახრა, „დეფორმაცია“. განვიხილეთ სამკუთხედის ასახვა ცილინდრზე მდებარე ბრტყელი წირებით (წრფეებით, წრეწირებითა და ელიფსებით) შემოსაზღვრულ ფიგურებზე:



$$A \rightarrow A(0; 0; b), \quad O \rightarrow O(0; 0; 0),$$

$$B \rightarrow B'(R - R\cos \frac{a}{R}; R\sin \frac{a}{R}; 0),$$

სადაც R ცილინდრის რადიუსია, ხოლო a და b საწყისად აღებული სამკუთხედის კათეტებია. AB გვერდი აისახებოდა იმ ელიფსის რკალზე, რომელიც გადიოდა წერტილებზე $A(0; 0; b)$, $M'(R - R\cos \frac{a}{R}; R\sin \frac{a}{R}; \frac{b}{2})$ და $B'(R - R\cos \frac{a}{R}; R\sin \frac{a}{R}; 0)$. შედეგად, მიღებული ფიგურის, „დეფორმირებული სამკუთხედის“ კუთხეები შეიცვალა: B კუთხის კოსინუსი იყო $\cos \hat{B} = \frac{a}{\sqrt{a^2 + b^2}}$, გახდა

$$\cos \varphi = 2R \sqrt{\frac{\sin^2 \frac{a}{R}}{4R^2 \sin^2 \frac{a}{R} + b^2 \cdot (1 + \cos \frac{a}{R})^2}}$$

მაგალითად, თუ $\frac{a}{R} = \frac{\pi}{4}$, ანუ $R = \frac{4a}{\pi}$, მაშინ გვექნება:

$$\cos \varphi = 2 \cdot \frac{4a}{\pi} \sqrt{\frac{\sin^2 \frac{\pi}{4}}{4 \left(\frac{4a}{\pi}\right)^2 \cdot \sin^2 \frac{\pi}{4} + b^2 \cdot (1 + \cos \frac{\pi}{4})^2}} = \frac{8a}{\sqrt{64a^2 + \pi^2 b^2 (3 + 2\sqrt{2})}}$$

თუმცა „უსასრულოდ დიდი“ R -სთვის მივიღებთ:

$$\cos \varphi = 2R \sqrt{\frac{\sin^2 \frac{a}{R}}{4R^2 \sin^2 \frac{a}{R} + b^2 \cdot (1 + \cos \frac{a}{R})^2}} \Rightarrow 2R \sqrt{\frac{\left(\frac{a}{R}\right)^2}{4R^2 \left(\frac{a}{R}\right)^2 + b^2 \cdot (1 + 1)^2}} = \frac{a}{\sqrt{a^2 + b^2}}$$

ანუ,

$$\cos \varphi \Rightarrow \cos \hat{B}.$$

საინტერესოა, რომ ფიქსირებული ცილინდრისას კუთხის ცვლილება დამოკიდებულია სამკუთხედის ზომაზე — რაც უფრო მცირეა მისი ზომა, მით ნაკლებია კუთხის ცვლილება, რადგან მით ნაკლებია „აცდენა“ ხრახნწირის რკალსა და ელიფსის რკალს შორის. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს, რომ ამ ასახვისას მსგავსი სამკუთხედების ანასახები არ არის მსგავსი ფიგურები.

მოხერხდა ასახვის გავრცელება ნებისმიერი განლაგებისა და ტიპის (არააუცილებლად მართკუთხა) სამკუთხედზე.

დამტკიცდა რამდენიმე საინტერესო ფაქტი:

- მიღებული ფიგურის სამივე კუთხის ჯამი 180° -ია;
- თუ $\frac{a}{R} = \pi$, მაშინ $\cos \varphi = 1$, ანუ $\varphi = 0$ — ვიღებთ „დეფორმირებულ სამკუთხედს“, რომლის ორი კუთხე მართია და ერთის ზომა ნულია;
- ამ ასახვისას სამკუთხედის კუთხე არ იცვლება მხოლოდ მაშინ, როცა მისი გვერდებიდან ერთი ცილინდრის მსახველის პარალელურია, მეორე კი — მართობული.

აპრილის თვისთვის ნაშრომმა მიიღო ისეთი ფორმა, რომლის წარდგენა შესაძლებელია საგნობრივ კონფერენციაზე.

მნიშვნელოვანია, რომ აღწერილი კვლევითი მუშაობისას მოსწავლეები იძენენ არა მარტო ახალ მათემატიკურ ცოდნას და ჩვევებს, არამედ გამოიმუშავენ ისეთ ინტერსაგნობრივ უნარებსაც, როგორცაა, მაგალითად, ჯგუფში სამუშაოს დაგეგმვა/ორგანიზება, ინფორმაციის მოძიება/შეფასება,

შედეგების წარდგენა/პრეზენტაცია. არსებითია ასეთი მუშაობის როლი უცხო ენების შესწავლით დაინტერესების საქმეშიც — მოძიებული ინფორმაციის უდიდესი წილი უცხო ენაზეა და მოსწავლეებს თავად უწყევთ მისი თარგმნა.

ქართულ-ამერიკული სკოლის მათემატიკის მოყვარულთა კლუბი მალე არსებობის მესამე წლისთავს აღნიშნავს, თუმცა, ამ მოკლე ხანში გვაქვს გარკვეული მიღწევებიც — ჩვენი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში:



- ICYS-2015 (იზმირი, თურქეთი) — ოქროს მედლები (240 მონაწილე 28 ქვეყნიდან)
- ICYS-2016 (კლუჟ-ნაპოკა, რუმინეთი) — ვერცხლის მედლები (200-ზე მეტი მონაწილე 34 ქვეყნიდან)
- IYIPO-2016 (თბილისი, საქართველო) — ოქროს მედლები (400 მონაწილე 32 ქვეყნიდან)
- INTEL ISEF -2016 (ფენიქსი, აშშ) — ფინალისტები (2000-ზე მეტი მონაწილე მთელი მსოფლიოდან)

რეზიუმე:

სტატიაში განხილულია საშუალო საფეხურის მოსწავლეთან კვლევითი მუშაობის ორგანიზების პრაქტიკა; გამოკვეთილია ასეთი მუშაობის მნიშვნელოვანი ეტაპები და მოსალოდნელი შედეგები.

Résumé:

Ia Mebonia, Candidate of Physical and Mathematical Sciences, PhD, Head of Exact Science Department at Georgian-American School, Lead Teacher. Research work in Middle School. The article discusses the common practices of doing research work with middle school students, identifies the most important parts and possible outcomes of such work.

გიორგი თეთვაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

კომპლექსური რიცხვების სწავლების შესახებ

„მათემატიკის შემდგომი განვითარების და სწავლების
 საუკეთესო მეთოდი - მათემატიკის ისტორიაა“
 ანრი პუანკარე

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ რიცხვებს შორის - ყოველდღიურად ჩვენ გვიხდება რაიმეს დაანგარიშება: მაღაზიაში, ბანკში, ლაბორატორიაში, სახლში, სამსახურში და ა.შ.

ისტორიულად, ადამიანები პირველად მივიდნენ ნატურალური რიცხვის ცნებამდე, რაც უაღრესად ბუნებრივია არა მარტო დღემდე შემორჩენილი პირველყოფილი ტომებისთვის, ასევე პატარა ბავშვებისთვისაც კი. ნატურალური რიცხვების სიმრავლის გაფართოება ხდებოდა, როგორც ცხოვრებაში დასმული პრაქტიკული მიზნებისათვის, ასევე თვით მათემატიკაში დასმული ამოცანების ამოსახსნელად. თანაც, ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. მართლაც: ნულის, უარყოფითი და საერთოდ ნამდვილი რიცხვების არითმეტიკა, საბოლოოდ მე-20 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა.

რაც შეეხება კომპლექსურ რიცხვებს, მათი შემოღების აუცილებლობა განაპირობა, პირველ რიგში, თვით მათემატიკაში დასმულმა სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანების ამოხსნის აუცილებლობამ, ამასთან კომპლექსური რიცხვების არსებობის აღიარებას დასჭირდა საუკუნეები.

სისრულისათვის, პირველ რიგში, შემოვიტანოთ კომპლექსური რიცხვის ცნება. კომპლექსური რიცხვი ეწოდება ნამდვილ რიცხვთა დალაგებულ წყვილს $z = (x, y)$. როცა $y = 0$, მაშინ $z = (x, 0) \equiv x$ გაიგივებულია ნამდვილ x რიცხვთან,

ამასთან, თუ

$$z_1 = (x_1, y_1), \quad z_2 = (x_2, y_2)$$

მაშინ

$$z_1 + z_2 = (x_1 + x_2; y_1 + y_2),$$

$$z_1 \cdot z_2 = (x_1 x_2 - y_1 y_2; x_1 y_2 - y_1 x_2),$$

წყვილს $i = (0; 1)$ ეწოდება წარმოსახვითი ერთეული, ამასთან

$$i^2 = i \cdot i = (0; 1) \times (0; 1) = (0 - 1; 0) = -1.$$

განვიხილოთ ზოგიერთი ისეთი თანამდებროვე ამოცანა, რომლებსაც მივყავართ კომპლექსური რიცხვების შემოღების აუცილებლობამდე. აღსანიშნავია, რომ ალგებრის ძირითადი თეორემის ძალით ალგებრულ განტოლებას აქვს ერთი მაინც ნამდვილი ან კომპლექსური ფესვი. აგრეთვე, ცნობილია, რომ ელემენტარული ფუნქციების $e^z, \sin z, \cos z, z^n$ არსი კარგად ჩანს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათ განვიხილავთ, როგორც კომპლექსური ცვლადის ფუნქციებს და არა როგორც ნამდვილი ცვლადის ფუნქციებს.

ანალიზიდან ცნობილია, რომ ტოლობას

$$\frac{1}{1+x} = 1 - x^2 + x^4 - x^6 + \dots$$

ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა $|x| < 1$, თუ განვიხილავთ ნამდვილი ცვლადის შემთხვევას, მაშინ გაურკვეველი რჩება პასუხი კითხვაზე: რატომ ირღვევა ეს ტოლობა, როცა $|x| \geq 1$, ეს იმ დროს როცა $\frac{1}{1+x^2}$ განსაზღვრულია ნებისმიერი x -სთვის. ცხადია კომპლექსური ცვლადის შემთხვევაში, როცა $x = \bar{i}$, მაშინ ფუნქციის $\frac{1}{1+x^2}$ მნიშვნელი ნულის ტოლი ხდება და მაშასადამე ეს ორი მნიშვნელობა მოცემული ფუნქციისთვის არის განასაკუთრებული წერტილები. ახლა განვიხილოთ ბერნულისა და ლაიბნიცის სახელით ცნობილი პარადოქსი:

შევნიშნოთ, რომ

$$\arctg x = \int_0^x \frac{dx}{1+x^2}.$$

განვიხილოთ ცხადი ტოლობა

$$\frac{1}{1+x^2} = \frac{1}{2i} \left(\frac{1}{x-i} - \frac{1}{x+i} \right)$$

და მოვახდინოთ ინტეგრება, მივიღებთ:

$$\arctg x = \frac{1}{2i} \ln \frac{x-i}{x+i}.$$

ამ ტოლობაში დავუშვათ, რომ $x = 1$, მივიღებთ

$$\frac{\pi}{4} = \arctg 1 = \frac{1}{2i} \ln \left(\frac{1-i}{1+i} \right) = \frac{1}{4i} \ln \left(\frac{1-i}{1+i} \right)^2 = \frac{1}{4i} \ln \frac{1-2i+i^2}{1+2i+i^2} = \frac{1}{4i} \ln(-1) = \frac{1}{8i} \ln 1 = 0$$

ე.ი. $\frac{\pi}{4} = 0$.

ეილერმა გახსნა ეს პარადოქსი, აჩვენა $\ln z$ ფუნქციის პერიოდულობა, შესაბამისად $\ln z$ ფუნქცია მრავალსახა ფუნქციაა და პარადოქსი აიხსნება თუ დავუშვებთ, რომ $\ln 1 = 2\pi i$.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიცხვის ცნების გაფართოება მიმდინარეობდა საუკუნეების განმავლობაში. ასევე საუკუნეები დასჭირდა კომპლექსური რიცხვების დამკვიდრებას.

ტერმინი „წარმოსახვითი ერთეული“ პირველად გამოჩნდა ჯ. კარდანოს ნაშრომში „დიდი ანუ ალგებრული წესების შესახებ“ (1545წ.) სადაც იგი წარმოსახვით ერთეულს თვლის უსარგებლო, გამოუსადეგარს გამოყენების თვალსაზრისით არასრული კუბური $x^3 - 15x = 4$ განტოლებისთვის კარდანო-ტარტანელის ფორმულა იძლეოდა ამონახსნს

$$x = \sqrt[3]{2 + 11\sqrt{-1}} + \sqrt[3]{2 - 11\sqrt{-1}},$$

თუმცა, მოცემული განტოლების ამონახსნია $x = 4$.

რაფაელ ბომბელიმ (1530-1573) თავის წიგნში „ალგებრა“ (1572) ჩაწერა

$$\sqrt[3]{2 + 11\sqrt{-1}} = 2 + \sqrt{-1} \text{ და } \sqrt[3]{2 - 11\sqrt{-1}} = 2 - \sqrt{-1},$$
 რომელთა ჯამია 4, ე.ი. ამონახსენი 4 მიღებულია.

ბომბელიმ შემოიღო ახალ რიცხვებზე მოქმედების წესები, რომელთა შორის ძირითადია $\sqrt{-1} \cdot \sqrt{-1} = -1$.

ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ფიზიოლოგი რენე დეკარტი (1596-1650) თავის მთავარ მათემატიკურ ნაშრომში „გეომეტრია“ (1637) ამბობს, რომ n -რი

ხარისხის ალგებრულ განტოლებას აქვს n ფესვი ; ამასთან უნდა განვასვათ „ჭეშმარიტი“ (დადებითი) ფესვი „ცრუ-ყალბი“ (უარყოფითი) ფესვისგან. მან აჩვენა, რომ გარდა ჭეშმარიტი და ყალბი ფესვებისა არსებობს წარმოსახვითი (წარმოდგენითი) ფესვები. დეკარტიმ იქვე აღნიშნა, რომ თუ წირები სიბრტყეზე არ იკვეთებიან, მაშინ მათი თანაკვეთა ალგებრულად ჩაიწერება წარმოსახვითი რიცხვით. დეკარტის ამ თვალსაზრისს დიდხანს აღიარება არ ჰქონია.

საკითხმა არსებითი წინსვლა განიცადა XVII საუკუნის უდიდესი მათემატიკოსის ლეონარდ ეილერის (1707-1783) შრომებში. მასვე ეკუთვნის სიმბოლო $i = \sqrt{-1}$, თვისებით $i^2 = -1$, ხოლო ტერმინი „წარმოსახვითი ერთეული“ ეკუთვნის დეკარტს. შეიძლება ითქვას, რომ ეილერი არის კომპლექსურ რიცხვთა თეორემის ფუძემდებელი. მის შესანიშნავ ნაშრომებში დეტალურადაა შესწავლილი კომპლექსური ცვლადის ელემენტარული ფუნქციები.

მან შემოიღო ფუნქცია

$$e^{ix} = \left[1 + \frac{(xi)^2}{2!} + \frac{(xi)^4}{4!} + \dots \right] + \left[\frac{xi}{1!} + \frac{(xi)^3}{3!} + \dots \right] =$$

$$= \left[1 - \frac{x^2}{2!} + \frac{x^4}{4!} - \dots \right] + \left[1 - \frac{x^3}{3!} + \frac{x^5}{5!} - \dots \right],$$

საიდანაც გაითვალისწინა რა ნიუტონის მიერ მოცემული ფორმულები $\cos x$ და $\sin x$ ფუნქციებისათვის, მიიღო ტოლობა

$$e^{ix} = \cos x + i \sin x.$$

ეილერი მიერ განხილული იქნა მაჩვენებლიანი, ლოგარითმული, შექცეული ტრიგონმეტრიული ფუნქციები. 1755წელს მის მიერ მოცემული იქნა კომპლექსური ცვლადის დიფერენცირებადობის პირობები. ხოლო 1777წელს ეილერმა შემოიღო კომპლექსური ცვლადის ფუნქციის ინტეგრალური

აღრიცხვა. მის ეკუთვნის ასევე მრავალი მაგალითი კომპლექსური ცვლადის ფუნქციის გამოყენებისა მათემატიკური ამოცანების ამოსახსნელად, ასევე ეილერმა დაუდო საუძველი მათ გამოყენებას ჰიდროდინამიკასა და კარტოგრაფიაში. ამავე დროს ეილერმა წამოაყენა წინადადება კომპლექსურ რიცხვთა ველის ალგებრული ჩაკეტილობის შესახებ. ამ საკითხის მკაცრი დამტკიცება ეკუთვნის დიდ გერმანელ მათემატიკოსს, „მეთემატიკოსთა მეფეს“, კარლ გაუსს (1799წ.), მასვე ეკუთვნის ტერმინი „კომპლექსური რიცხვი“ და აღნიშვნა $a + ib$.

ეილერისა და გაუსის აღმოჩენების შემდგომ ინტენსიურად დაიწყო მათი სრულყოფა და სისტემატიზაცია და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცვლადის ფუნქციათა თეორია ჩამოყალიბდა, როგორც მათემატიკური ანალიზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. აქ განსაკუთრებული როლი შეასრულეს კოშის(1789-1857), ვაიერშტრასის (1815-1897) და რიმანის (1826-1866) ნაშრომებმა.

დღეისთვის კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდები ფართოდ გამოიყენება როგორც მათემატიკაში, ასევე პრაქტიკაში. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: მარტივ რიცხვთა განაწილების ურთულესი ამოცანა დაიყვანება კომპლექსური ცვლადების ფუნქციის ნულების განაწილების საკითხზე. ციური მექანიკის ურთულესი ამოცანა, ე.წ. ამოცანა „სამი სხეულის შესახებ“ ზოგად შემთხვევაში ამოიხსნება კომპლექსური ანალიზის საშუალებით.

ლიტერატურა

1. ო. ძაგნიძე, კომპლექსურ სიდიდეთა ისტორიისათვის; ხელნაწერი, თბილისი, 2010წ.
2. И. И. Привалов; Введение в теорию функций комплексного переменного М. 1977г.

რეზიუმე

სტატიის მიზანია კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით გააძლიეროს ინტერესი კომპლექსური რიცხვებისა და კომპლექსური ცვლადის ფუნქციის შესწავლისადმი.

Giorgi Tetvadze- Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Summary

The aim of this article is to increase an interest towards the complex numbers and also towards the introduction of the complex variable functions, based on the specific examples.

გიორგი ჯინჯიბაძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის დოქტორი

სახალისო დავალებათა შედგენის საკითხისათვის მათემატიკის სწავლებაში

არსებობს სწავლების ორგანიზაციული ფორმების დიდი რაოდენობა, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება სახალისოობის რეალიზება. ყველაზე ხშირად ასეთი ფორმები დაწყებით კლასებში გამოიყენება, ესენია: გაკვეთილი-მოგზაურობა, გაკვეთილი-ზღაპარი, გაკვეთილი-ვიქტორინა და სხვ.

სწავლება გარკვეული გაგებით ხელობაცაა, რომელიც იყენებს პატარა ტრიუკების ძალზე დიდ რაოდენობას. მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში არ არსებობს ცნება „მათემატიკის სწავლების სახალისოობის“ საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრა. ითვლება, რომ ეს ინტუიციურადაც ნათელია.

სწავლება იწყება სკოლამდელი ასაკიდან. ბავშვები სწავლობენ თამაშის პროცესში. მათ კი ჰგონიათ, რომ მხოლოდ თამაშობენ, მაგრამ შეუმჩნევლად ითვლიან, ანგარიშობენ, უმატებენ, აკლებენ, უფრო მეტიც, ხსნიან სხვადასხვა სახის ლოგიკურ ამოცანებს, რომლებიც უყალიბებენ მათ აზროვნების გარკვეულ ლოგიკურ სტრუქტურებს. ბავშვებს უყვართ თამაში და მათთვის ეს საინტერესოა. შემდეგ კი, წარმატებების ფონზე, შეიძლება უფრო რთულ ილუსტრირებულ ან სახალისო ამოცანებზე გადასვლა.

სწავლება უვარგისია, თუ მან ხალისი არ შეიტანა მოსწავლეთა ცნობიერებაში. ამიტომ სწავლების სახალისოობის ისეთი განხილვა, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ სასწავლო მასალასთან კავშირს და არ ითვალისწინებს ამ მასალის ზემოქმედებას მოსწავლის აზროვნებით საქმიანობაზე, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არ არის. ამის გამო, სახალისო ხასიათის მასალების დაჯგუფებას აუცილებელია საფუძვლად დაედოთ ცნების „სასწავლო სახალისოობა“ ორი არსებითი თვისება: 1. კავშირი სასწავლო მასალასთან და 2. კავშირი მოსწავლეთა აზროვნებით საქმიანობაზე ზემოქმედებასთან.

ვლტულობთ შემდეგ დაყოფას:

- დავალებები ორგანიზაციული სახალისო ხასიათით,
- დავალებები ინფორმაციული სახალისო ხასიათით,
- სახალისო ხასიათის არასასწავლო დავალებები,
- სახალისო ხასიათის სასწავლო დავალებები.

ორგანიზაციულ სახალისოობაში გვეხმის ისეთი სახალისოობა, რომელიც დაკავშირებულია გაკვეთილის ორგანიზაციასთან და სასწავლო მასალას მხოლოდ ირიბად უკავშირდება. მაგალითად, ზეპირი სავარჯიშოების საუკეთესო „ამომხსნელი“ ჯილდოვდება ნიშნით „ყველაზე საზრიანი“ და შეუძლია ატაროს იგი მომდევნო გაკვეთილამდე. საუკეთესო ამომხსნელების გვარები შეიტანება სპეციალურ ალბომში, სადაც ერთ-ერთი განყოფილება იქნება „ჩვენი კლასის (სკოლის) საზრიანები“.

ინფორმაციულ სახალისოობაში გვეხმის სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის ისეთი ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას იწვევს. ჩვეულებრივ, ეს ინფორმაცია მოსწავლეთა წინაშე პრობლემებს არ სვამს, მხოლოდ მათემატიკის ზოგად საკითხებზე დაფიქრებას აიძულებს. მაგალითად, ხარისხის ცნების შესწავლისას მოსწავლეთათვის სახალისო და სასარგებლო იქნება ასეთი მოთხრობა: „წარმოიდგინეთ ერთი კილომეტრის სიმაღლის მთა, რომელიც ალმასზე უფრო მყარია მილიონჯერ. მილიონ წელიწადში ერთხელ მთაზე მოფრინდება ფრინველი და ქვას მსუბუქად ეხება ნისკარტით. მრავალჯერ ასეთი შეხების შედეგად ბოლოს და ბოლოს მთა ძირამდე გაცვდება. ძნელი წარმოსადგენია დროის ის შუალედი, რომელიც საჭიროა ამისათვის. მაგრამ ხარისხების საშუალებით მისი ჩაწერა ადვილია. გამოთვლებმა აჩვენეს, რომ ეს მოხდება 10 წლის შემდეგ“.

სახალისო ხასიათის არასასწავლო დავალებები ის დავალებებია, რომლებიც არაა დაკავშირებული პროგრამულ მასალასთან. მაგალითად, წაშალეთ ყველა 9 წერტილი ოთხი მონაკვეთით ისე, რომ ქაღალდს ვანქარი არ მოსწყვიტოთ (ერთი ხელისმოსმით).

სახალისო ხასიათის სასწავლო დავალებები ის დავალებებია, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროგრამულ მასალასთან და ხელს უწყობს მოსწავლის მიერ მის შეთვისებასა და განმტკიცებას. მაგალითად, რომელი რიცხვები უნდა ჩავსვათ კვადრატებში, რომ სწორი ტოლობა მივიღოთ:

$$(\square + \square) \cdot \frac{5}{12} = \frac{5}{6}?$$

სახალისო ხასიათის სასწავლო დავალებები იმითაა ფასეული, რომ სასწავლო საგნისადმი ინტერესის აღძვრასთან ერთად ისინი ხელს უწყობენ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაგროვებას.

სახალისო დავალებების დაჯგუფება შეიძლება განვავარდოთ, გავითვალისწინოთ მათი ზემოქმედება მოსწავლეთა აზროვნებით საქმიანობაზე. აქაც იმავე ოთხი ტიპის ამოცანები შედგება და ასეთი სახალისო დავალებები შეიძლება იყოს როგორც რეპროდუქციული, ისე შემოქმედებითი ხასიათის.

პირველი ტიპის ამოცანების შედგენისას საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვროს თემა, რომლის თანახმადაც უნდა გაკეთდეს ნახაზი, შეირჩეს გამოსაცნობად მისაცემი ობიექტი, განისაზღვროს ობიექტის რაკურსი, რომლითაც მოსწავლეები დააკვირდებიან ობიექტს.

ობიექტების გამოცნობისას შესაძლოა, დახმარება გახდეს საჭირო. ამისათვის წინასწარაა შესადგენი, მოსამზადებელი ბიძგის მიმცემი კითხვები. ამ კითხვებში გაერევა ობიექტების შესახებ ისეთი ცნობები, როგორიცაა: ობიექტის მასალა, ობიექტის გამოყენების სფერო, ფიზიკური თვისებები (წონა, ფერი, გაბარიტები და სხვ.), ხარისხობრივი ნიშნები (რბილი, მწებვარე, ცივი და სხვ.) და ა. შ., მაგრამ ობიექტის სიტყვიერ დასახელებაზე მინიშნებაც კი არ უნდა იყოს. ირიბად მოკარნახე შეიძლება იყოს დაშიფრული ობიექტის გამოსახულება, შესრულებული სხვა რაკურსებში, ან იმავე კლასის ობიექტების გამოსახვები, რომელსაც ეკუთვნის გამოსაცნობი ობიექტი. ამასთან, პირველ შემთხვევაში ობიექტების გამოსახვები არ უნდა იყოს სივრცითი, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოსახვების კონტურები შეიძლება არ იყოს მკაფიო, მაგრამ ობიექტის არსებითი ნიშნები რაღაცნაირად უნდა გამოირჩეოდეს. მოსწავლეებს პასუხამდე მისვლა შეუძლიათ იმ კითხვების მეშვეობითაც, რომლებსაც თვითონ მისცემენ მასწავლებელს.

მეორე ტიპის ამოცანების შედგენის, შესაბამისი თემის განსაზღვრის შემდეგ, საფუძველი შემდეგია: შეირჩევა ორი ან მეტი ობიექტი და ერთი თვისება ან მახასიათებელი ნიშანი იმ ობიექტისა, რომელიც ფიგურირებდეს იქნება სწორ პასუხში. შემდეგ შეირჩევა თვისება, რომელიც ეკუთვნის სხვა ობიექტს (სხვა ობიექტებს), და მას დაემატება გამამდიერებელი ან შემასუსტებელი განსაზღვრა.

ამოცანა-ხუმრობების შედგენისას (ასეთ ამოცანებს ხუთი ქვეტიპი გააჩნიათ) საჭიროა შედგენის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინება.

შევხვით ამ საკითხს უფრო დეტალურად.

1. **კითხვის ტიპი:** კითხვაში ჩადებულია მცდარი წანამძღვარი. **შედგენის თავისებურება:** შეირჩევა ობიექტი და რომელიღაც ნიშანი (თვისება), რომლითაც მოცემული ობიექტი არ ხასიათდება. მაგრამ შერჩეული ნიშანი უნდა იყოს დამაჯერებელი და ამ ნიშნით უნდა ხასიათდებოდეს იმ კლასის ობიექტები, რომელსაც ეკუთვნის ჩაფიქრებული ობიექტი. კითხვა ფორმულირდება ისე, რომ ნიშანსა და ობიექტს შორის მდებარეობდეს რამდენიმე სხვა სიტყვა.

2. **კითხვის ტიპი:** კითხვაში ნაკლულია ინფორმაცია. **შედგენის თავისებურება:** შეირჩევა ისეთი ობიექტი, რომლის აღმნიშვნელ სიტყვას აქვს სხვა მნიშვნელობებიც. დაისმის კითხვა, რომელსაც შეუძლებელია ცალსახად გაეცეს პასუხი დამატებითი ინფორმაციის მიღების გარეშე.

3. **კითხვის ტიპი:** კითხვაში არასწორადაა გამოყენებული კითხვითი სიტყვა. **შედგენის თავისებურება:** შეირჩევა ობიექტი და მისი მახასიათებელი რომელიმე ნიშანი. ყალიბდება ისეთი კითხვა, რომელსაც შეიძლება გაეცეს დამაჯერებელი პასუხი, მაგრამ ამის შემდეგ ამ კითხვაში იცვლება კითხვითი სიტყვა სხვა სიტყვით ისე, რომ დამაჯერებელი პასუხების რაოდენობა გაიზარდოს.

4. **კითხვის ტიპი:** კითხვა შეიცავს ხუმრობას. **შედგენის თავისებურება:** შეირჩევა ისეთი ობიექტი, რომლის აღმნიშვნელ სიტყვას აქვს სხვა მნიშვნელობებიც, და შეირჩევა ისეთი კითხვითი სიტყვა, რომელიც კითხვას აძლევს ხუმრობით ხასიათს.

5. **კითხვის ტიპი:** კითხვა ცხადად შეიცავს სწორ პასუხს. **შედგენის თავისებურება:** შეირჩევა ობიექტი და მისი მახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი. კითხვა ყალიბდება ისე, რომ ობიექტის ნიშანი და თვითონ ობიექტი მდებარეობდნენ ერთმანეთის გვერდით.

ყველაზე ძნელია ისეთი სახალისო ამოცანების შედგენა, რომელთა პირობა იქნება არასრული, რადგანაც ასეთ ამოცანებში პირობათა ნაკრების ნებისმიერად აღება კორექტული არ იქნება.

ლიტერატურა

1. გიორგი ჯინჯიხაძე. მათემატიკის სწავლების მეთოდის აქტუალური საკითხები და საგანთაშორისი კავშირები ინფორმატიკასთან. თბილისი, 2016.
2. Егорченко И. В. Теория и методика использования реальности в обучении математике. Саранск, 1999.
3. Щербакова Ю. В. Занимательная математика на уроках и внеклассных мероприятиях. М., 2010.
4. Шуба М. Ю. Занимательные задания в обучении математике. М., 1994.
5. <http://www.mathedu.ru/about/>

რეზიუმე

სწავლების სახალისოობის ისეთი განხილვა, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ სასწავლო მასალასთან კავშირს და არ ითვალისწინებს ამ მასალის ზემოქმედებას მოსწავლის აზროვნებით საქმიანობაზე, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არ არის. ამის გამო, სახალისო ხასიათის მასალების დაჯგუფებას აუცილებელია საფუძვლად დავუდოთ ცნების „სასწავლო სახალისოობა“ ორი არსებითი თვისება: 1. კავშირი სასწავლო მასალასთან და 2. კავშირი მოსწავლეთა აზროვნებით საქმიანობაზე ზემოქმედებასთან. ვღებულობთ შემდეგ დაყოფას: დავალებები ორგანიზაციული სახალისო ხასიათით, დავალებები ინფორმაციული სახალისო ხასიათით, სახალისო ხასიათის არასასწავლო დავალებები, სახალისო ხასიათის სასწავლო დავალებები. ცოდნა საჭიროა როგორც პიროვნების მდგენელი და არა როგორც ცოდნა ცოდნისათვის. მათემატიკის ძირითადი როლი გონებრივ აღზრდასა და ინტელექტის განვითარებაში მდგომარეობს. მათემატიკის სწავლების შედეგია აზროვნების გარკვეული სტილი. მათემატიკას დიდი შესაძლებლობები გააჩნია და ერთ-ერთი მათგანი სახალისოობის გამოყენებაა.

Giorgi Jinjikhadze

For Making Math Tasks Funny in Teaching Mathematics (summary)

Such review of funny teaching, which provides connection with educational materials only and does not provide the impact of this material on student's cognitive activity, is not appropriate, of course. For this reason, it is necessary to group the fun materials on the basis of two essential qualities of the notion of "Funny training ": 1. Connection to training material and 2. Connection to Impact on students' thinking activities. So we get the following division: fun nature organizational tasks, fun nature informational tasks, fun nature non-training tasks and fun nature training tasks. Knowledge is needed for the purpose of making an individual and not for as a component of knowledge for knowledge. Major role of Math is in mental upbringing and intellectual development of a person. The result of teaching Mathematics is to create a certain style of thinking. Mathematics have great opportunities and one of them is using fun while teaching Math to make it easy to learn.

მანანა დეისაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
შალვა კირთაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ზოგიერთი საკითხი მათემატიკური ვიქტორინის ორგანიზების შესახებ დაწყებით კლასებში

მათემატიკის შესწავლა დაწყებით კლასებში თავისი სპეციფიკით საკმაოდ ძლიერ გავლენას ახდენს მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე. შემოქმედებითი უნარი მეტ-ნაკლები დოზით ყველა ბავშვს ახასიათებს და სწორედ მასწავლებელზეა დამოკიდებული სწავლების პროცესში როგორ შემოქმედებით გარემოს შექმნის, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ამ უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას. მოსწავლეებში კარგად წარმართული გონებრივი ენერჯია მათ სიამოვნებას ანიჭებს და საგანი მისთვის მოსაბეზრებელი არ არის. მათემატიკის შესწავლა და შესაბამისად მათემატიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება მხოლოდ მათემატიკის გაკვეთილზე არ ხდება. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათემატიკის გაკვეთილის გარდა სხვა შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარებას. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია **„მათემატიკური ვიქტორინა“**, რომელიც თანამშრომლობითი სწავლების მეთოდია და იგი ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

ნაშრომში წარმოდგენილია დაწყებით კლასების მეორე კლასში ჩასატარებელი მათემატიკური ვიქტორინის სავარაუდო ფორმატი და შინაარსი.

მათემატიკური ვიქტორინის ჩატარებისას მასწავლებელი არჩევს ვიქტორინის სახელწოდებას, მაგალითად, ვიქტორინა-**„მათემატიკა გონების ვარჯიშია“**. ირჩევს ჟიურის წევრებს. იგი შეიძლება დაკომპლექტდეს 3 წევრისაგან-მასწავლებლებისაგან და მაღალი კლასის მოსწავლეებისაგან.

კლასს გაყოფთ სავარაუდოდ სამ გუნდად-თითოეულში 8 მოსწავლე. ცალ-ცალკე მაგიდებთან იქნებიან გუნდები. მასწავლებელი სთხოვს გუნდებს აირჩიონ კაპიტნები. მოსწავლეები აირჩევენ თავ-თავიანთი გუნდის კაპიტნებს. კაპიტნები დაიჭერენ ხელში ბარათებს და თითოეული კაპიტანი წარადგენს თავ-თავიანთ გუნდებს. ასე მაგალითად,

I გუნდი - **„აზროვნება“** - მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არა აზროვნების ყოველდღიური სრულყოფა. გონება რომ სრულყოფილი გახდეს, სწავლაზე მეტი აზროვნება საჭირო. (რენე დეკარტი).

II გუნდი - **„ინტუიცია“** - ინტუიცია, წარმოსახვა მეცნიერული კვლევა-ძიების რეალური ფაქტორია. ზოგჯერ ვგრძნობთ, რომ სწორ გზას ვადგავართ, მაგრამ არ შეგვიძლია ჩვენი თავდაჯერებულობის ახსნა! (ალბერტ აინშტაინი)

III გუნდი - **„შრომა“** - არ არსებობს დაბრკოლება იმისთვის, ვისაც აქვს ნიჭი და შრომისმოყვარეობა. მხოლოდ ჭეშმარიტად მართალი და მშრომელი კაცი დგას კლდესავით ურყევად! (ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი)

ამის შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ვიქტორინის გეგმას. პირველი დავალება უნდა იყოს შედარებით ადვილი, რომელიც მოსწავლეების „გონებრივ მოთელვას“ ითვალისწინებს.

I დავალება - „გონებრივი მოთელვა“


თითოეული გუნდის კაპიტანს ვამლევთ ბარათებს რომელზეც წერია რიცხვები მაგალითად, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17. ბარათები არეული უნდა იყოს. კაპიტნები ჩამოურიგებს ბარათებს გუნდის წევრებს.

დავალება ასეთია: დაალაგონ ეს რიცხვები ზრდის მიხედვით და გუნდის წევრებიც განლაგდნენ სწრაფად რიცხვთა ზრდის მიხედვით მწკრივში. ვინც სწრაფად მოახერხებს განლაგებას მწკრივში მოცემული რიცხვების ზრდის მიხედვით, ის გუნდი იქნება გამარჯვებული. გამარჯვებულ გუნდს დაეწერება 2 ქულა, დანარჩენებს 0 ქულა. (რამდენი მოსწავლეც იქნება გუნდში, იმდენი ბარათი ანუ იმდენი რიცხვი მიეცით).

II დავალება - „მათემატიკური ესტაფეტა“.

დაფაზე წერია სამი ჯაჭვი მაგალითის ან ფლიფჩარტზე დაწერეთ. ყველა გუნდი ერთდროულად იწყებს მუშაობას. გუნდის წევრები რიგ-რიგობით მიდიან და ასრულებენ მოქმედებებს-ერთი მოსწავლე

შეასრულებს სწრაფად პირველ მოქმედებას, მერე მეორე მივა და შეასრულებს მომდევნო მოქმედებას, და ა. შ. რომელი გუნდიც დაამთავრებს ადრე, ის იქნება გამარჯვებული და დაეწერება 3 ქულა, მეორედ ვინც დაამთავრებს, 2 ქულა, ბოლოს ვინც დაამთავრებს, 1 ქულა.



III დავალება - „შეადგინეთ ყველაზე „ძვირიანი“ სიტყვა“.

ცხრილში მოცემულია 20 ასო და მის ქვევით წერია ფასები. შეადგინეთ ისეთი სიტყვა, თითოეულმა გუნდმა, რომ მიღებული სიტყვა იყოს ყველაზე ძვირი. გამარჯვებული ის იქნება, ვინც ყველაზე „ძვირიან“ სიტყვას შეადგენს. თითოეულ გუნდს აძლევთ ამ ცხრილებს:

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს
2ლ	1ლ	14ლ	11ლ	3ლ	2ლ	5ლ	2ლ	10ლ	3ლ	8ლ	3ლ	2ლ	1ლ	1ლ	2ლ	1ლ	3ლ

გუნდები ჯგუფურად მუშაობენ ცდილობენ შეადგინონ სიტყვა, რომელიც ყველაზე ძვირი იქნება. გუნდების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გუნდის კაპიტნები აჩვენებენ ასეთ ბარათებს, მაგალითად.

სიტყვა	გ	ე	დ	ი	
ფასი	14 ლ	3 ლ	11 ლ	10 ლ	38 ლარი

IV დავალება - „აბა, ვინ გამოიგნობს!!!“

ვამღვეთ სამივე გუნდს რაიმე „საგნის“ 3 განმარტებას.
 თუ პირველივე განმარტებაზე მიხვდნენ, რა არის ეს საგანი, დაუწეროთ 3 ქულას, თუ მეორე განმარტებაც დასჭირდათ, 2 ქულა. თუ მესამეც დასჭირდათ 1 ქულა.
 თუ საერთოდ ვერ მიხვდნენ, 0 ქულა.

I გუნდი	II გუნდი	III გუნდი
1) ა) ეს ნივთი ძალიან გვჭირდება მათემატიკის გაკვეთილზე. ბ) თუ ის დაგავიწყდათ, როგორც მასწავლებლები ამბობენ „გაკვეთეთ“ თითები! მაგრამ თითები ამას ვერ ცვლის! გ) ვიყენებთ ფიგურების დასახაზად! (ფანქარი)		
2) ა) მასზე შეიძლება, „გამოიძინოთ“, თუ სახლში ღამე არ გეძინათ. ბ) მოწესრიგებულ მოსწავლეს მასზე უდევს წიგნი, ფანქარი, სახაზავი, პასტა. გ) როცა მასზე ვხაზავთ, მასწავლებელი ყოველთვის გვსაყვედურობს, რომ ასე არ შეიძლება. (მერხი)		

დავალბა V – „მათემატიკური ლექსები“

ცალ-ცალკე თითოეულ გუნდს წავუკითხავთ მათემატიკურ ლექსებს; მოსაფიქრებლად ეძლევათ 1 წუთი. მხოლოდ ერთი წაკითხვის შემდეგ სწორი პასუხის გაცემისთვის დაეწერებათ 5 ქულა, ხოლო არასწორი პასუხის შემთხვევაში კი- 0 ქულა. მოფიქრებისათვის ვაძლევთ 1 წუთს. თუ მეორედ გავუმეორეთ ლექსი, მაშინ დააკლდება 1 ქულა.

გთავაზობთ, მათემატიკური ლექსების ნიმუშებს.

I გუნდი	II გუნდი	III გუნდი
გთხოვთ, ჩაწერეთ რიცხვი ცხრაზე 1-ით მეტი. და მიღებულს დაუმატეთ კიდევ რიცხვი ერთი. რაც მიიღე გამოაკელ ახლა რიცხვი რვა. რაღა დაგრჩა მიპასუხეთ, აღარ მინდა თვლა.	ხის წვეროდან გაფრენილა სამი ჩიტი დაბუა მის ერთ ტოტზე დარჩენილა ოთხი ჩიტი პაწია ორი მეორე ტოტზე ზის, გვიცქერიან მაღლიდან. რამდენი ჩიტი ყოფილა გაფრენამდე თავიდან?	სპილოს ოთხი ფეხი აქვს და ერთი მოკლე კუდი. ლამაზ თავზე გაზრდია ორად-ორი ყური. მას ხორთუმიც ამშვენებს გრძელი, დიდზე დიდი. სპილოს რამდენი ნაწილი ჩამოვთვალეთ, ითვლით??

დავალბა VI - „კაპიტნების კონკურსი“

გვაქვს კითხვათა ბაზა, (სასურველია კითხვები იყოს სხვადასხვა საგნების ინტეგრირებით) საიდანაც 1 წუთის განმავლობაში ვუსვამთ კითხვებს თითოეული გუნდის კაპიტანს და გამარჯვებულად ცხადდება ის ვინც ყველაზე მეტ კითხვას გასცემს პასუხს 1 წუთში. (თითოეული კითხვა შეფასდეს ერთი ქულით).

I კაპიტანი	II კაპიტანი	III კაპიტანი
1. რამდენი თითია ორივე ხელზე? 2. რამდენი ხმოვანია ქართულ ენაში? 3. რამდენი მარცვალაა სიტყვაში „მასწავლებელი“? 4. რამდენი მარცვალაა სიტყვაში „სამკუთხედი“? 5. რამდენი დღეა კვირაში? 6. რამდენი გვერდი აქვს ექვსკუთხედს? 7. რამდენი ერთეულია რიცხვში 17? 8. რა ჰქვია რიცხვს, რომელშიც 10 ათეულია? 9. რა ჰქვია შეკრებისას მიღებულ შედეგს? 10. 20-ის ნახევარი რამდენითაა მეტი 8-ზე?	1. რამდენი თითია ერთ ხელზე? 2. რამდენი თანხმოვანია ქართულ ენაში? 3. რამდენი ასოა სიტყვაში „კვადრატი“? 4. რამდენი მარცვალაა სიტყვაში „თექვსმეტი“? 5. რამდენი თვეა წელიწადში? 6. რამდენი წვერო აქვს ხუთკუთხედს? 7. რამდენი ათეულია რიცხვში 25? 8. რა ჰქვია რიცხვს, რომელშიც 8 ათეულია? 9. რა ჰქვია გამოკლებისას მიღებულ შედეგს? 10. 10-ის გაორმაგებული რამდენითაა მეტი 18-ზე?	1. რამდენი ფეხი აქვს ორ ძალს? 2. რამდენი ასო-ბგერაა ქართულ ენაში? 3. რამდენი ასოა სიტყვაში „მართკუთხედი“? 4. რამდენი მარცვალაა სიტყვაში „სამკუთხედი“? 5. წელიწადის რამდენი დროა? 6. რამდენი წვერო აქვს ოთხკუთხედს? 7. რამდენი ერთეულია რიცხვში 25? 8. რიცხვის მომდევნო რიცხვი ამ რიცხვზე 1-ით 9. რომელია ის რიცხვი, რომლის მიმატებითაც ჯამი არ იცვლება? 10. 40-ის ნახევარი გააორმაგეს და მიიღეს

მათემატიკური ვიქტორინა უნვითარებს მოსწავლეს სწრაფი აზროვნების, ყურადღების, დაკვირვებულობის, სწორი დასკვნების გამოტანის უნარს, ინფორმაციის მიღებისა და სწრაფად შესაფერისი პასუხის შერჩევის უნარს. აჩვენებს თანამშრომლობას თანაკლასელებთან ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას. მოსწავლეებს შეუძლიათ გაიგონ და გაანალიზონ სხვისი ნააზრევი სწრაფად და თანაც განსაზღვრულ დროში.

ლიტერატურა

1. www. problems.ru
2. www. Учебно-Методический Кабинет-Внеклассное Мероприятие по математике для 2 класса.
3. ჯ. ჯინჯიხაძე-მათემატიკა, სხარტულებში- გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.

რეზიუმე

მათემატიკის შესწავლა დაწყებით კლასებში თავისი სპეციფიკით საკმაოდ ძლიერ გავლენას ახდენს მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე. მათემატიკის შესწავლა და შესაბამისად მათემატიკური უნარ- ჩვევების ჩამოყალიბება მხოლოდ მათემატიკის გაკვეთილზე არ ხდება. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათემატიკის გაკვეთილის გარდა სხვა შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარებას.

ერთ-ერთი მათ შორის მნიშვნელოვანია "მათემატიკური ვიქტორინა", რომელიც თანამშრომლობითი სწავლების მეთოდია და იგი ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

ნაშრომში წარმოდგენილია დაწყებით კლასების მეორე კლასში ჩასატარებელი მათემატიკური ვიქტორინის სავარაუდო ფორმატი და შინაარსი.

მათემატიკური ვიქტორინა უნივითარებს მოსწავლეს სწრაფი აზროვნების, ყურადღების, დაკვირვებულობის, სწორი დასკვნების გამოტანის უნარს, ინფორმაციის მიღებისა და სწრაფად შესაფერისი პასუხის შერჩევის უნარს. აჩვენებს თანამშრომლობას თანაკლასელებთან ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას. მოსწავლეებს შეუძლიათ გაიგონ და გაანალიზონ სხვისი ნააზრევი სწრაფად და თანაც განსაზღვრულ დროში.

Manana deisadze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Shalva kirtadze - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Abstract

The specifics of the study of mathematics has strong influence over the enhancement of creative thinking in pupils in their primary school years. The study of mathematics and the accumulation of math skills are not only accomplished at the math class. It is essential to implement other cognitive activities other than math lesson. One of those activities is "Math Quiz" which is the collaborative work method and it assists the development of the pupils' creative abilities.

The present article introduces the estimated format and content of the Math Quiz to be practiced to the grade 2 pupils of the primary school level. Math Quiz develops the abilities of quick thinking, attention, observance, correct inferencing, receiving information and quickly selecting the appropriate answer. It trains pupils to work in groups. The pupils are able to realize and analyse other's ideas fast and within limited time frame.

მამული ბუჭუხიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

კონუსი და მისი ელემენტები სწავლებაში


სივრცითი გომეტრიული ფიგურების სწავლებას დიდი როლი ენიჭება მოსწავლეთა აზროვნების ფორმირებაში, სივრცითი აზროვნება კი პიროვნების ინტელექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სივრცითი აზროვნების ფორმირება უნდა დაიწყოს სწავლების პირველი საფეხურიდან, სადაც მოსწავლეებისათვის შეიძლება წარმოვადგინოთ ფიგურათა გალერეა, და მოცემული ფიგურებიდან მათ უნდა გაარჩიონ და მოახდინონ მათი სახელდება. სწავლების პირველ საფეხურზევე შეიძლება გავუღვივოთ მოსწავლეებს ინტერესი ხელოვნებისა და ისტორიული ძეგლების ისეთ ნიმუშებზე, რომლებსაც სივრცითი ფიგურების ფორმები აქვთ. სწავლების პირველ ეტაპზე სივრცითი ფიგურების გაცნობის შემდეგ მოსალოდნელ შედეგებად შეიძლება განვიხილოთ მოსწავლეთა მიერ გარკვეული ზომისა და ფორმის ფიგურებისა და მათი შლილების საკუთარი ფანტაზიითა და დამოუკიდებლად დამზადების შემთხვევები.


სწავლების მომდევნო ეტაპზე მეტად შეიძლება განვიხილოთ სივრცითი ფიგურების გამოყენებითი ხასიათი. რამდენადაც გამოყენებითი გომეტრია შეისწავლის როგორც თეორიული ასევე კონკრეტული გომეტრიული ამოცანების გადაწყვეტის მეთოდებს, ამდენად მოსწავლეებს თავიდანვე უნდა შეუქმნათ წარმოდგენა სივრცითი ფიგურების პრაქტიკულ და გამოყენებით მნიშვნელობაზე.

გომეტრიის ნაწილს, რომელიც სივრცით ფიგურებს სწავლობს ვუწოდებთ „სტერეომეტრია“-ს, რაც ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სივრცეს. სივრცითი ფიგურების შესწავლა კი გვეხმარება უკეთ შევიცნოთ რეალური სამყარო, რადგან ბუნებაში არსებული ყოველი რეალური სხეული, მისი ფორმისა და ზომების თვალსაზრისით არის გარკვეული გომეტრიული ფიგურის იდეალური გამოსახულება.

სივრცითი ფიგურები შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი წერტილების სახით, რომლებიც ერთ სიბრტყეს არ ეკუთვნიან. ჩვენ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ კონუსზე და მისი სწავლების პროცესში შემოვიტანთ კონუსის ელემენტებს, ასევე სტანდარტულ ფორმულებს რომლებიც გამოიყენებიან როგორც ზედაპირის ფართობისა და მოცულობის ასევე სხვა მახასიათებლების გამოსათვლელად. საწყის ეტაპზე მოსწავლეებს ვაცნობთ, რომ კონუსი არის სხეული, რომელიც შედგება ფუძეში წრეწირისაგან და იმ წერტილებისან რომლებიც არ მდებარეობენ მოცემული წრის სიბრტყეში. (ნახ. 1)



ნახ. 1



ნახ.2

შემდეგ შემოვიტანთ მსახველის განსაზღვრას, რომ: მსახველი არის მონაკვეთი რომელიც წვეროს აერთებს ფუძის წრეწირთან. მოცემული განმარტებების შემდეგ მოსწავლეებს შეიძლება მივცეთ მითითება და დამოუკიდებლად მივიყვანოთ დასკვნამდე, თუ რა არის გვერდითი ზედაპირის ფართობი. მოსწავლეები ასევე ლოგიკურად განსაზღვრავენ, რომ კონუსის სრული ზედაპირის ფართობი არის გვერდითი ზედაპირისა და ფუძის ფართობების ჯამი.

სიმაღლის განმარტების შემდეგ, გავაცნობთ მოსწავლეებს თუ რა შემთხვევაში შეიძლება იყოს კონუსი დახრილი და რა შემთხვევაში მართი, რომ კონუსი მართია თუ წვეროდან გავლებული წრფე, რომელიც წვეროს აერთებს ფუძის ცენტრთან ფუძის სიბრტყის მართობულია (ნახ.2). მოცემული განმარტების


შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ თუ რა შემთხვევაში არ იქნება კონუსი მართი.

ნახაზების მიხედვით ასევე დამოუკიდებლად შეიძლება მივიყვანოთ მოსწავლეები დასკვნამდე, რომ კონუსი მიიღება მართკუთხა სამკუთხედის ბრუნვით მისი კათეტის გარშემო და გაარჩევენ შემთხვევას, თუ რომელი კათეტი იქნება სიმაღლე, რომელი რადიუსი და ამ დროს რას წარმოადგენს ჰიპოტენუზა.

ნახაზზე ადვილად ვაჩვენებთ, რომ თუ კონუსს გავკვეთავთ სიმაღლეზე გამავალი სიბრტყით კვეთაში მივიღებთ ტოლფერდა სამკუთხედს, რომლის ფერდები იმავე დროს იქნებიან კონუსის მსახველები. ასეთ კვეთას ვუწოდებთ ღერძულ კვეთას. (ნახ.3 ნახ.4)




ნახ. 3




ნახ. 4

მოსწავლეები პრაქტიკული დავალებების შესრულებით შეიძლება მივიყვანოთ ისეთ დასკვნამდე, რომ თუ კონუსს გადავკვეთავთ ფუძის პარალელური სიბრტყით, მაშინ ეს კვეთა იქნება წრე, ხოლო გვერდითი ზედაპირის კვეთა წრეწირი. (ნახ.5; ნახ.6)



ნახ.5



ნახ. 6


განვიხილოთ რამდენიმე ამოცანა წაკვეთილ კონუსზე, კონუსში ჩახაზულ პირამიდაზე.

ამოცანა1: კონუსი იკვეთება ფუძის პარალელური სიბრტყით, წვეროდან d მანძილზე, ვიპოვოთ კვეთის ფართობი, თუ კონუსის ფუძის რადიუსი არის R , ხოლო სიმაღლე H .


კვეთაში წრე მიიღება კონუსის ფუძის ჰომოთეტიური გარდაქმნით $K = dh.K = dH$ ამიტომ კვეთაში მიღებული რადიუსი $r=R.dh.r=R.dH$ კვეთის ფართობი $S = \pi r^2 = R_2(dH)_2$
 $S = \pi r^2 = R^2(dH)^2$

ფუძის პარალელური სიბრტყე კონუსს ჩამოაჭრის მასზე ნაკლებ კონუსს, დარჩენილ ნაწილს ვუწოდებთ წაკვეთილ კონუსს. (ნახ.6)

ამოცანა 2: მოცემული გვაქვს პირამიდა რომლის ყველა გვერდითი წიბო ტოლია, დავამტკიცოთ რომ ის არის კონუსში ჩახაზული.



ნახ.7



ნახ.8

დაუშვათ ფუძის სიბრტყეზე SO მართობი პირამიდის წვეროდან და პირამიდის გვერდითი წიბო აღვნიშნოთ L . პირამიდის ფუძის ნებისმიერი წვერო თანაბრად არის დაშორებული O წერტილიდან, საიდანაც გამოდის რომ მოცემული პირამიდა ჩახაზულია კონუსში, რომლის სიმაღლეც იმავე დროს არის პირამიდის სიმაღლე, ხოლო კონუსის ფუძეა წრეწირი O ცენტრითა და R რადიუსით. ანალოგიურად შეიძლება განვიხილოთ პირამიდაში ჩახაზული კონუსი (ნახ.8)

სივრცითი წარმოდგენების სწორად გაგება ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კონსტრუქტივისტული გეომეტრიისა და გეომეტრიული აგებების პრაქტიკაში გამოყენებას, რაც დაფუძნებული იქნება აქსიომებზე დაყრდნობილ სასრულ მოქმედებათა ჩამონათვალის შედგენაზე, რომელთა თანმიმდევრული შეფასება და სწორი მეთოდოლოგიური მიდგომები მიიყვანს მოსწავლეს საძიებელ ფიგურამდე.

სტერეომეტრის ცნებების დაუფლება სწავლების პირველი ეტაპიდანვე აუცილებელია მოსწავლეებისათვის, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სკოლაში შეძენილი ცოდნა ყოველთვის ითხოვს გარკვეულ შევსებას სხვა წინასწარ მოძიებული თემებით, რომელთა შესწავლის შედეგად საგრძნობლად იცვლება მოსწავლის სამუშაო მდგომარეობა და მკვეთრად უმჯობესდება სწავლების ხარისხი.

ლიტერატურა

1. ვებ- გვერდი: www.Google.com
2. გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია, მებონია, ლამარა ქურჩიშვილი. მათემატიკა XI კლასი მასწავლებლის წიგნი. თბილისი 2012 წელი
3. გიორგი შენგელია. საინჟინრო გეომეტრიის საფუძვლების მეთოდოლოგია და მისი კომპიუტერული მხარდაჭერა. დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

Mamuli Butchukhishvili - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

The cone and its elements in teaching

Summary

Formation of spatial thinking in students should start from the first stage, where the students can be represented by a gallery of figures, and the figures given to them to identify and respond to their names.

The next stage of the study can be applied character of spatial figures. As far as the study of theoretical and applied geometry specific geometric problem solving methods, so the students had to create a spatial representation of figures and the use of practical importance.

We will focus on the cone-shaped or introduce the elements of cone in the process of teaching, as well as the standard formula used to calculate the surface area and volume as well as other characteristics. We should introduce the notion of axial intersection and should discussed a number of task about truncated cone and the cone-shaped inscribed pyramid.

Practice has shown that the acquired knowledge is always asking for some preliminary findings applicable to other topics, which dramatically improving the quality of education and students working condition.

თეიმურაზ გიორგაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სიმულაციის, ანუ მონტე-კარლოს მეთოდის შესახებ

მათემატიკური სტატისტიკის ამოცანათა სპეციფიკური ხასიათი იმითაა განპირობებული, რომ გარკვეული აზრით, მათემატიკური სტატისტიკის ამოცანები ალბათობის ამოცანების შებრუნებულია. კერძოდ, თუ ალბათობის თეორიაში მოცემულად ითვლება შემთხვევითი მოვლენის მოდელი და მის საფუძველზე კეთდება დასკვნა ამ მოვლენის რეალური მიმდინარეობის შესახებ, მათემატიკურ სტატისტიკაში განიხილება შემთხვევითი მოვლენის კონკრეტული რეალიზაციები და მათი საშუალებით იგება ამ მოვლენის შესაბამისი ალბათური მოდელი.

თანამედროვე ეპოქაში მათემატიკა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში: მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, მედიცინაში, ეკონომიკაში, გარემოს დაცვასა და აღდგენა-კეთილმოწყობაში, სოციალურ გადაწყვეტილებათა მიღებაში. აღსანიშნავია მათემატიკის განსაკუთრებული როლი კაცობრიობის განვითარებასა და თანამედროვე ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, სივრცე-დროის სტრუქტურის უკეთ გააზრება, ბუნებაში არსებული მრავალი კანონზომიერების აღმოჩენა და აღწერა ნათლად წარმოაჩენს მათემატიკის სამეცნიერო და კულტურულ ღირებულებას. მათემატიკა ხელს უწყობს ადამიანის გონებრივი შესაძლებლობის განვითარებას. იგი იძლევა ეფექტური, ლაკონური და არაორაზროვანი კომუნიკაციის საშუალებას. მათემატიკას იყენებენ რთული სიტუაციების თვალსაჩინო წარმოჩენის, მოვლენის ახსნისა და მათი შედეგების განჭვრეტისას. მათემატიკაში შექმნილი აბსტრაქტული სისტემები და თეორიული მოდელები გამოიყენება კანონზომიერებების შესასწავლად, სიტუაციის გასაანალიზებლად და პრობლემების გადასაჭრელად.

პრობლემის გადაჭრისას აუცილებელია მის არსში წვდომა, ადეკვატური მათემატიკური აპარატის შერჩევა, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – მისი შემუშავება, შესასწავლი პროცესისა თუ ობიექტის გააზრებული მოდელის შექმნა, მიღებული მოდელის საშუალებით საჭირო დასკვნების გაკეთება და შემდეგ ინტერპრეტაცია. პრაქტიკული და სამეცნიერო პრობლემები, თავის მხრივ, მათემატიკას ამარაგებს მნიშვნელოვანი და საინტერესო ამოცანებით. აქედან გამომდინარე, სწავლებისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მათემატიკური მეთოდების გამოყენებას გარემომცველი სამყაროს შემეცნებისას, სოციალურ-ეკონომიკური თუ ტექნიკური პროცესების მართვისას, საყოფაცხოვრებო თუ სამეცნიერო პრობლემების გადაჭრისას და მათემატიკური ცოდნის, როგორც ლოგიკურად გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და გადაცემას. გარდა ამისა, მათემატიკის სწავლებისას, ძირითადი ფოკუსის გადატანა როგორც პრაქტიკული, ასევე მეცნიერული ხასიათის პრობლემების გადაჭრაზე, აძლიერებს მოტივაციას და აღძრავს მათემატიკისადმი ინტერესს.

ხშირად შემთხვევითი პროცესის ყოფაქცევის შესწავლა შეუძლებელია მათემატიკური მეთოდების გამოყენებით და ამ პროცესის მახასიათებლების გამოთვლა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ასეთ დროს მიმართავენ სიმულაციის (ანუ შემთხვევითი პროცესის იმიტირების) მეთოდს, რომელიც რთული და სპეციფიკური პროცესების შესწავლის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს.

სიმულაციის მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს: იგება რეალური პროცესის შესაბამისი სტოქასტური მოდელი და შემდეგ შემთხვევითი რიცხვების გამოყენებით ხდება ამ მოდელის კონკრეტული რეალიზაციისათვის საჭირო ყოველი სიდიდის გენერირება. ამის შემდეგ მთელი პროცესი მრავალჯერის მეორდება და აღნიშნული პროცესის იმიტირებული რეალიზაციის გამოყენებით იგება რეალური პროცესის მახასიათებლების სტატისტიკური შეფასებები. აღსანიშნავია, რომ ამ შეფასებებისათვის საკმარისად ზუსტი შედეგის მისაღწევად (როგორც წესი) აუცილებელია მრავალი ექსპერიმენტის ჩატარება, რაც ამ მეთოდის მნიშვნელოვან ნაკლად ითვლება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სიმულაციის მეთოდი სხვა მეთოდებისაგან გამოირჩევა სიმარტივით (როგორც პროგრამული, ისე ალგორითმული და გამოთვლითი თვალსაზრისით), ამ მეთოდს, როგორც წესი იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც პრობლემის ზუსტი მათემატიკური გადაწყვეტა ვერ ხერხდება და მიახლოებითი მეთოდების გამოყენება რთულია. თუმცა, კომპიუტერული ტექნიკის განვითარებასთან ერთად ამ მეთოდის გამოყენების არე მნიშვნელოვნად იზრდება. შევნიშნოთ, რომ სიმულაციის მეთოდით მიღებული მოდელის პარამეტრთა შეფასებების სიზუსტე ყოველთვის შეიძლება შერჩევის მოცულობის ზრდის ხარჯზე, რადგან შერჩევის მოცულობა, ზოგიერთი სტატისტიკური ამოცანისაგან განსხვავებით არ არის

ფიქსირებული და ანალიტიკოსის მიერ იმართება. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ სიმულაციის მეთოდი სასარგებლოა არა მხოლოდ მოდელის აღსაწერად, არამედ იმის შესასწავლადაც, თუ როგორ იცვლება კონკრეტული მოდელის ქცევა მისი პარამეტრების ცვლილებით (ე.წ. სცენარული ანალიზი).

თუმცა, სიმულაციის მეთოდის იდეა საკმაოდ ძველია, მისი რეალური გამოყენება დაიწყო კომპიუტერის გამოჩენასთან ერთად, როდესაც ე. ნეიმანმა, ს. ულამმა და ე. ფერმიმ გამოიყენეს ის ბირთვული ფიზიკის რთული გამოთვლითი პრობლემების გადასაწყვეტად. სიმულაციის მეთოდის იდეა კი პირველად 1777 წელს გამოჩნდა ჟ. ბიუფონის ნაშრომში, რომელშიც ფასდება π რიცხვი – პარალელური წრფეებით დასერილ სიბრტყეზე ნემსის შემთხვევითი დაგდების საშუალებით.


განვიხილოთ ეს მაგალითი, მასთან დავიცვათ შემდეგი პირობები:

1. პარალელურ წრფეებს შორის მანძილები ერთმანეთის ტოლია.
2. მანძილი ორ მეზობელ პარალელურ წრფეს შორის მეტია, ვიდრე ნემსის სიგრძე.
3. ნახაზი იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ მასზე დავარდნილი ნემსი მის გარეთ არ აღმოჩნდეს (ნახ. 1).


ვთქვათ, პარალელურ წრფეებს შორის მანძილია a , ხოლო ნემსის სიგრძე კი l -ია ($l < a$). სიბრტყეზე შემთხვევით დავარდნილი ნემსის მდგომარეობა განისაზღვრება მისი შუა წერტილიდან უახლოეს წრფემდე მანძილით, რომელიც აღვნიშნოთ x -ით და φ კუთხით, რომელიც მოთავსებულია უახლოეს წრფესა და მისი შუა წერტილიდან გავლებულ მართობს შორის (ნახ. 2).

ცხადია, სრულდება უტოლობები: $0 \leq x \leq \frac{a}{2}$ და $-\frac{\pi}{2} \leq \varphi \leq \frac{\pi}{2}$.


ავაგოთ $x = \frac{l}{2} \cos \varphi$ ფუნქციის გრაფიკი (ნახ. 3).



ნახ. 1.



ნახ. 2.



ნახ.3.

ვთქვათ, A ხდომილობაა – „პარალელური წრფეების სიბრტყეზე შემთხვევით დავარდნილი ნემსი რომელიმე მათგანს გადაკვეთს“. $P(A) = \frac{m}{n}$, სადაც n არის საერთო „რიცხვი“ სიბრტყეზე დავარდნილი

ნემსის ყველა შესაძლო შემთხვევისა, ხოლო m კი – საერთო „რიცხვი“ იმ შემთხვევებისა, როცა ნემსი კვეთს რომელიმე პარალელურ წრფეს. აქ საქმე გვაქვს გეომეტრიულ ალბათობასთან. კერძოდ, ნემსის ის მდგომარეობა, როდესაც ის გადაკვეთს რომელიმე წრფეს განისაზღვრება შემდეგი უტოლობით $x \leq 0,5l \cos \varphi$. ამ პირობას აკმაყოფილებს ყველა ის წერტილი, რომელიც მე-3 ნახაზზე გამოსახულია დაშტრიხული MED მრუდწირული არის სახით, ხოლო ნემსის ყველა შესაძლო მდგომარეობა აღიწერება MNCD მართკუთხედის საშუალებით. აქედან გამომდინარე, A ხდომილობის ალბათობა გამოითვლება

ფორმულით: $P(A) = \frac{S(MED)}{S(MNCD)}$, სადაც S აღნიშნავს ფართობს. ცხადია, რომ $S(MNCD) = a\pi/2$, ხოლო

$S(MED)$ გამოითვლება მრუდწირული ფიგურის ფართობის გამოსათვლელი ფორმულით:

$$S(MED) = \int_{-\frac{\pi}{2}}^{\frac{\pi}{2}} \frac{\ell}{2} \cos \varphi d\varphi = \frac{\ell}{2} \left(\sin \frac{\pi}{2} - \sin \left(-\frac{\pi}{2} \right) \right) = \ell.$$

$$\text{ამრიგად, } P(A) = (2\ell) : (a\pi), \text{ აქედან კი } \pi = \frac{2\ell}{aP(A)}.$$

$P(A)$ ალბათობის მნიშვნელობა შეიძლება მიახლოებით გამოვთვალოთ ნემსის მრავალჯერადი აგდებით. მაგალითად, თუ ნემსი სიბრტყეზე დავარდა s -ჯერ და მასთან k -ჯერ დავარდნისას მან გადაკვეთა რომელიმე პარალელური წრფე, მაშინ საკმაოდ დიდი s -ისათვის $P(A) \approx \frac{k}{s}$, აქედან კი $\pi \approx \frac{2\ell s}{ak}$.

ჩვენ გამოვიყვანეთ ფორმულა, რომლის საშუალებითაც შეიძლება მიახლოებით განვსაზღვროთ π რიცხვის მნიშვნელობა, ნახ. 1-დან გვაქვს, რომ $a=5$ სმ; $l=3,5$ სმ; $s=20$; $k=9$; ამიტომ გვექნება:

$$\pi \approx \frac{2 \cdot 3,5 \cdot 20}{5 \cdot 9}$$
 და $\pi \approx 3,11$.

ცნობილია შემდეგი ცდები:

მეცნიერ-მკვლევარი	ცდის ჩატარების წელი	აგებული ნემსების რაოდენობა	π -ს მიახლოებითი მნიშვნელობა
ვოლფი	1850	5000	3,1596
ფოქსი	1895	1120	3,1419
ლაზარინი	1901	3408	3,1426

დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების მიმდევრობის სიმულაციით ასევე შესაძლებელია განსაზღვრული ინტეგრალის მიახლოებითი გამოთვლა დიდ რიცხვთა კანონის გამოყენებით. აქაც, ინტეგრალის გამოთვლის სიზუსტის მისაღწევად, დიდი მოცულობის შერჩევაა საჭირო. ამიტომ, ეს მეთოდი გამოყენებადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერიმენტი მოდელირდება კომპიუტერზე. გენერირების თეორია მათემატიკის მნიშვნელოვან მიმართულებად გადაიქცა. ნამდვილი შემთხვევითი რიცხვების ნაცვლად (რომლებიც ჩნდებიან ფიზიკური პროცესების რეალიზაციის დროს) ხმარობენ ე.წ. ფსევდო შემთხვევით რიცხვებს, რომელთა კონსტრუირება ხდება დეტერმინისტული გამოთვლითი ალგორითმების საშუალებით. ფსევდო შემთხვევით რიცხვებთან დაკავშირებით ჩნდება შემდეგი კითხვა: რა აზრით შეიძლება ეს რიცხვები ჩაითვალოს შემთხვევითად, თუ მათი კონსტრუირება ხდება დეტერმინისტული გამოთვლითი ალგორითმების საშუალებით? 1965-1966 წლებში კოლმგოროვმა და მარტინლიოფმა განმარტეს, თუ როდის შეიძლება ნულებისა და ერთებისაგან შემდგარი მიმდევრობა ჩაითვალოს შემთხვევითად. მათი აზრით რაც უფრო რთულია ალგორითმი, რომლითაც აღიწერება აღნიშნული მიმდევრობა, მით უფრო შემთხვევითად შეიძლება ჩაითვალოს ის. მარტინლიოფმა აჩვენა, რომ რთული ალგორითმებით შედგენილი მიმდევრობები შემთხვევითობის ყველა არსებულ სტატისტიკურ ტესტს აკმაყოფილებენ.

შეგნიშნოთ, რომ სიმულაციის მეთოდი სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მონტე-კარლოს მეთოდის სახელით მოიხსენიება. ეს სახელი იმით აიხსნება, რომ ეს მეთოდი იყენებს შემთხვევითი რიცხვების მიმდევრობებს, რომელთა როლში შეიძლება ავიღოთ (მაგალითად) მონტე-კარლოს კაზინოში რეგულარულად გამოცხადებული თამაშების შედეგები, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ (დღეს) პრაქტიკაში შემთხვევითი რიცხვების გენერირება ხორციელდება კომპიუტერის საშუალებით.

ლიტერატურა:

1. ნ. ლაზრიევა, მ. მანია, გ. მარი, ა. მოსიძე, ა. ტორონჯაძე, თ. ტორონჯაძე, თ. შერვაშიძე; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის; ფონდი „ევრაზია“; თბილისის 2000.
2. ე. ნადარაია, გ. სობაძე; ენტროპია განუსაზღვრელობის ზომა; მათემატიკა, სამეცნიეროპოპულარული ჟურნალი №1; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი 2013.
3. Колмогоров А.Н. Три подхода к определению информации „Проблемы передачи информации“, т.1, №1, 1965.
4. Мартин-Леф. Очерки по конструктивной математике. М. 1975.
5. T. Giorgadze; Certain Aspects modeling, Proceedings V(39) The Series of Exact and Natural Sciences, Akaki Tsereteli State University, 2013.
6. თ. გიორგაძე; ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები; აწსუ; ქუთაისი 2016.
7. https://www.youtube.com/@RISK_Industries_et_opplictions, Analysez le rusgue dans Excel ou Project par simulation Monte Carlo.

რეზიუმე

შემთხვევითი პროცესის ყოფაქცევის შესწავლის მოდელირების ერთერთი მეთოდია სიმულაციის (ანუ შემთხვევითი პროცესის იმიტირების) მეთოდი, რომელსაც ზოგჯერ მონტე-კარლოს მეთოდსაც უწოდებენ.

ნაშრომში განხილულია ამ მეთოდის წარმოშობის ისტორია და მისი მზარდი როლი შემთხვევითი პროცესების შესწავლის საქმეში.

Teimuraz Giorgadze - Akaki Tsereteli State University, Associated Professor

Simulation like the method about Monte Carlo Abstract

The Simulation Method (the method of imitating random processes) is one of the means of modeling the study the behaviour of random processes. The method is also referred to as the Mante Carlo Method.

The paper deals with the origins of this method and its increasing role in the study of random processes.

თეიმურაზ გიორგაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
ვლადიმერ ადეიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ალბათური და სტატისტიკური წარმოდგენების შესახებ

ისევე როგორც გეომეტრია, რომელმაც არსებობა დაიწყო კითხვიდან: „რამდენად მეტია მიწის ამ ნაკვეთის ფართობი მიწის იმ ნაკვეთის ფართობთან შედარებით?“ ალბათობის თეორია დაიბადა კითხვიდან: „რამდენად ხშირად“ ხდება ესა თუ ის ხდომილობა (შედეგი) ცდების დიდი ოდენობის ჩატარების შემთხვევაში? კლასიკური ალბათობის თეორიის მიზანს წარმოადგენს ხდომილობების ფარდობითი სიხშირეების გამოთვლის მეთოდების დადგენა მასთან დაკავშირებული სხვა ხდომილობების მოცემული ფარდობითი სიხშირეების საშუალებით. ალბათობა განუსაზღვრელობისა და მასთან დაკავშირებული რისკის საზომია. თანამედროვე გაგებით, ალბათობის თეორიის საგანს წარმოადგენს „შემთხვევითი მოვლენების“ მათემატიკური ანალიზი.


ადამიანს თავისი ცხოვრების მანძილზე განუსაზღვრელობის პირობებში უწევს ცხოვრება. ეს ძირითადად დაკავშირებულია იმასთან, რომ არა გვაქვს ისეთი მოვლენის განხორციელების გარანტია, რომელიც დაკავშირებულია შემთხვევითობასთან, ან ისეთ ფაქტებთან, რომელთა წინასწარმეტყველება შესაძლებელია. მაგალითად, მოსწავლემ არ იცის იმ კითხვის შესახებ, რომელსაც მასწავლებელი მას დაუსვამს გაკვეთილის მიმდინარეობისას, მაყურებელი არაა დარწმუნებული იმაში, რომ ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელიც კი შეძლებს, თუ არა პენალტის გატანას, არ ვიცით ქუჩაში პირველი შემხვედრი ადამიანი ქალი აღმოჩნდება თუ მამაკაცი და ა. შ. ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელოთ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განუსაზღვრელობის ხარისხი, სხვადასხვა შემთხვევებში, სხვადასხვა შეიძლება იყოს. ზოგიერთი შემთხვევა მეტ განუსაზღვრელობას შეიცავს, ზოგიც ნაკლებს. მაგალითად, თუ გვინდა გამოვიცნოთ ხდომილობა - თორმეტწახნაგა კამათლის გაგორებისას მასზე მოვიდეს „ექვსი ქულა“ იგი უფრო მეტ განუსაზღვრელობას შეიცავს, ვიდრე ხდომილობა იმისა, რომ ჩვეულებრივი კამათლის გაგორებისას მასზე მოვიდეს „ექვსი ქულა“.



ან კიდევ, თუ გვინდა გამოვიცნოთ ექვსი რიცხვი, რომელიც ამოვა ლოტოს უახლოესი გათამაშებისას, გვექნება ბევრად უფრო მეტი რიგის განუსაზღვრელობა, ვიდრე თუ გვინდა შევიტყუოთ წარმატებული სტუდენტის სემესტრული შეფასება მათემატიკაში. განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი - ვთქვათ, გვაქვს ოთხი ერთნაირი ზომის ბურთულა, მათგან ორს აწერია ერთიანი, ერთს - ორიანი, ხოლო ერთს კი - სამიანი.

ცდა მდგომარეობს შემდეგში: ალაღბედზე ირჩევენ ორ ბურთულას და ერთმანეთის მიყოლებით ალაგებენ ერთ მწკრივში. გვინტერესებს რა რიცხვი დაიწერება. ყველა შესაძლო რიცხვი, რომელიც ამ პროცესის შემდეგ შეიძლება მივიღოთ, შეგვიძლია უშეცდომოდ გამოვიცნოთ, ესენია: 11, 12, 13, 21, 31, 23 და 32, მაგრამ თითოეული მათგანის გამოცნობა განუსაზღვრელია. ეს ცდა შეიძლება დენდროგრამის საშუალებით წარმოვიდგინოთ.



ასე, რომ განუსაზღვრელობის ხარისხები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. საჭიროა განისაზღვროს რაღაც მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემს განუსაზღვრელობა რიცხვებით შევფასოთ. ჩავატაროთ გარკვეული ევრისტიკული მსჯელობა იმისათვის, რომ ასეთი რიცხვითი მახასიათებელი შეგვეძლოს შემოვიღოთ. ცხადია, არ უნდა ველოდოთ, რომ იარსებებს ისეთი რიცხვითი მახასიათებელი განუსაზღვრელობისათვის, რომელიც საყოველთაო იქნება და ყველა სიტუაციისათვის ერთდროულად გამოდგება. ძირითადად, განუსაზღვრელობას წარმოშობს შემთხვევითობასთან დაკავშირებული სიტუაციები, ამიტომ ასეთი რიცხვითი მახასიათებლები უნდა შემოვიღოთ შემთხვევითი ხდომილობების პირობებში.

მათემატიკური სტატისტიკა - ეს არის მათემატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციის, ანალიზისა და გამოყენების მეთოდებს თეორიული და პრაქტიკული დასკვნების მიღების მიზნით. იგი შედგება ორი ნაწილისაგან აღწერითი (დესკრიფციული) სტატისტიკა და სტატისტიკური დასკვნების თეორია. მისი მეთოდები ალბათობის თეორიაზე დაფუძნებული. ალბათობის თეორია წარმოადგენს ხიდს აღწერით სტატისტიკასა და სტატისტიკური დასკვნების თეორიას შორის, იგი საშუალებას იძლევა გავიაზროთ, თუ როგორ იქმნება და გამოიყენება სტატისტიკური პროცედურები, როგორ შეიძლება ავიცილოთ თავიდან ამ მეთოდების არასწორი გამოყენება. გარკვეული მიზნით, მათემატიკური სტატისტიკის ამოცანები ალბათობის თეორიის ამოცანების საწინააღმდეგოა. კერძოდ, თუ ალბათობის თეორიის ძირითადი მიზანია რთული ხდომილობების ალბათობების გამოთვლა მოცემული ალბათური მოდულისათვის, მათემატიკური სტატისტიკა მიზნად ისახავს შებრუნებულ ამოცანას - ამა თუ იმ რთულ ხდომილობაზე დაკვირვების შედეგად გამოვავლინოთ ალბათურ-სტატისტიკური მოდელის სტრუქტურა.

ალბათობის თეორიის როგორც მეცნიერების განვითარება მიეკუთვნება მე-17 საუკუნის მეორე ნახევარს და დაკავშირებულია პასკალის (1623-1662), ფერმას (1601-1665) და ჰიუგენსის (1629-1695) სახელებთან, თუმცა ცალკეული ამოცანები, რომლებიც დაკავშირებული იყო აზარტულ თამაშებში შანსების დათვლასთან, XV-XVI საუკუნეებშიც განიხილებოდა იტალიელი მათემატიკოსის მიერ (კარდანო, პაჩიოლი, ტარტალია და სხვა). ამ მეცნიერების ჭეშმარიტი ისტორია კი იწყება იაკობ ბერნულის (1654-1705), პიერ-სიმონ ლაპლასისა (1749-1827) და საიმონ-დენის პუასონის (1781-1840) შრომებიდან. ალბათობის თეორიის განვითარების თანამედროვე პერიოდი დაკავშირებულია ა.ნ. კოლმოგოროვის სახელთან (1903-0987).

მათემატიკური სტატისტიკა, როგორც მეცნიერება იწყება კარლ ფრიდრიხ გაუსის (1777-1855) შრომებიდან. მათემატიკური სტატისტიკის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით კ. პირსონს (1857-1936), რ.ა. ფიშერს (1860-1962), ე. ნეიმანს (1894-1977), ა.ნ. კოლმოგოროვს, ნ.ვ. სმირნოვს (1900-1966) ა. ვალდს (1902-1950) და სხვებს. გასული საუკუნის 20-იან წლებს მიეკუთვნება მათემატიკური სტატისტიკის, როგორც დამოუკიდებელი მათემატიკური დისციპლინის, ჩამოყალიბება.

საქართველოში ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის სწავლების ტრადიციას საფუძველი დაუდო ანდრია რაზმაძემ (1889-1929), რომელიც კითხულობდა ლექციების კურსს ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში, ხოლო მათემატიკის ამ დარგის განვითარებას საფუძველი ჩაუყარა გვანჯი მანიაშვილმა (1918-1985), მასვე ეკუთვნის პირველი ქართული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები ამ მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განვითარებას არა მარტო წმინდა მათემატიკური გამოკვლევებით, არამედ გამოყენებით ხასიათის კვლევებითაც ღრმა კვალი დაამჩნია რევაზ ჩიტაშვილმა (1942-1995), მანვე სათავე დაუდო სტოქასტური ფინანსური ანალიზის განვითარებას საქართველოში.

მათემატიკური სტატისტიკა ფართოდ გამოიყენება ტექნიკურ გამოკვლევებში, ეკონომიკაში, საბანკო სფეროში, მართვის (მენეჯმენტის) თეორიასა და პრაქტიკაში, სოციოლოგიაში, მედიცინაში, გეოლოგიაში, ისტორიაში და ა. შ. დაკვირვებები, გაზომვების, ექსპერიმენტების შედეგების დამუშავებასა და ანალიზთან საქმე გვაქვს როგორც ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა სფეროში, ისე სამეცნიერო კვლევების ყველა მიმართულებაში. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია რისკის, დაზღვევის, ფინანსური საქმიანობის შეფასება და ანალიზი. ინჟინრები, მენეჯერები, ეკონომისტები, სოციოლოგები, ექიმები, ფსიქოლოგები, ისტორიკოსები, ფილოლოგები, ლინგვისტები წარმატებით იყენებენ ალბათობასა და მათემატიკურ სტატისტიკაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების ინტელექტუალურ ინსტრუმენტებს.

სტატისტიკის აღწერითი მხარეიდან ნათელი ხდება, თუ ადამიანის მოღვაწეობის რომელ მხარეს ეხება ესა თუ ის ამოცანა: ეკონომიკას, დემოგრაფიას, ბიოლოგიას, მედიცინას, სოციოლოგიას და ა. შ. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ ეკონომეტრიკაზე, დემოგრაფიულ სტატისტიკაზე, ბიომეტრიაზე, ბიო-სამედიცინო სტატისტიკაზე, სტატისტიკაზე სოციალურ მეცნიერებებში და ა. შ., როგორც სტატისტიკის ერთი შეხედვით სხვადასხვა სფეროზე. სინამდვილეში, ყოველი მათგანი წარმოადგენს მონაცემთა სხვადასხვა ბაზას, რომელთა დამუშავება და ანალიზი ხდება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით.

სტატისტიკური მეთოდები და მოდელები, ისევე როგორც მისი თეორიული ბაზა-ალბათობის თეორია ინტენსიურად ვითარდება მთელ მსოფლიოში. ამ მიმართულებით გამოდის ხუთასზე მეტი სამეცნიერო ჟურნალი. ამერიკის სტატისტიკური ასოციაცია ითვლის 20 000-ზე მეტ წევრს, ხოლო დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო სტატისტიკური ასოციაცია - 10 000-ზე მეტს. აშშ-ს უნივერსიტეტებში სტატისტიკური ფაკულტეტები მეტია ვიდრე მათემატიკური და ფიზიკური. ეკონომეტრიკის სპეციალისტებს (სტატისტიკური მეთოდების სპეციალისტებს ეკონომიკაში) მიღებული აქვთ ნობელის ექვსი პრემია.

როგორ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიერ შექმნილი სამყაროს სურათი რეალური სამყაროს ადეკვატურია? საქმე იმაშია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიერ დადგენილი კანონზომიერებები საშუალებას გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ (წინასწარ განვჭვრიტოთ) ზოგიერთი მოვლენა, ხოლო ეს წინასწარმეტყველება შეიძლება შემოწმდეს პრაქტიკით. ამ შემოწმებების შედეგებით ჩვენ ვასკვნით რამდენად ზუსტად და სრულად აღვიქვამთ ჩვენ სამყაროს. მაგალითად, ნიუტონის მიერ დადგენილი კლასიკური მექანიკის კანონებით შესაძლებელია განვჭვრიტოთ როგორ იმოძრავეს კოსმოსური ხომალდი დედამიწის გარშემო ორბიტაზე, სად დაეცემა ჰორიზონტის მიმართ გარკვეული კუთხით ნასროლი ქვა, როგორ ირხევა ქანქარა და სხვა.

მაგრამ ნებისმიერი კანონზომიერება არ იძლევა საშუალებას ზუსტად (ცალსახად) ვიწინასწარმეტყველოთ ამა თუ იმ მოვლენის შედეგი. არსებობს ორი ტიპის კანონზომიერება: ერთი საშუალებას იძლევა გავაკეთოთ ცალსახა წინასწარმეტყველება, მაშინ როდესაც დანარჩენების საფუძველზე კეთდება არა ცალსახა წინასწარმეტყველება, არამედ მხოლოდ ალბათური. პირველი ტიპის კანონზომიერებებს უწოდებენ დინამიკურს, ხოლო მეორე ტიპისას – სტატისტიკურს ან ალბათურს. კანონზომიერებების ეს დაყოფა შემოთავაზებულ იქნა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსის – ჯეიმს მაქსველის მიერ.

მოვიყვანოთ სტატისტიკური კანონზომიერების მარტივი მაგალითი. ავიღოთ მონეტა და დავიწყოთ მისი აგდება. მონეტის ნებისმიერი აგდება – არის ხდომილობა, რომლის შედეგის წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება დავამტკიცოთ (სხვა სიტყვებით, შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ), რომ თუ ავაგდებთ მონეტას საკმაოდ ბევრჯერ, მაშინ დაახლოებით ნახევარ შემთხვევაში მოვა „გერბი“, ხოლო მეორე ნახევარ შემთხვევაში – „საფასური“ (იგულისხმება, რომ მონეტა წესიერია). ეს კანონზომიერება შეიძლება შემოწმდეს პრაქტიკულად თუ ავაგდებთ მონეტას, ვთქვათ, 1000-ჯერ. ცხადია, მონეტის აგდების ესა თუ ის შედეგი შემთხვევითია, მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს სტატისტიკურ კანონზომიერებას, რომელიც მდგომარეობს „გერბის“ მოსვლის ფარდობითი სიხშირის სტატისტიკურ მდგრადობაში.

ალბათობის თეორიის, როგორც მათემატიკური მეცნიერების, ჩამოყალიბებაში საწყისი ეტაპი იყო სწორედ მრავალრიცხოვანი რეალური მოვლენების სიხშირეების სტატისტიკურ მდგრადობაზე დაკვირვებები. ბ. გნედენკოს მიხედვით ალბათობის თეორია შეიძლება განვმარტოთ, როგორც მათემატიკის დარგი, რომელიც იკვლევს იმ შემთხვევითი მოვლენების (ექსპერიმენტების) მათემატიკურ მოდელებს, რომლებსაც ახასიათებთ სიხშირეების მდგრადობა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს სწორედ სტატისტიკური (და არა დინამიკური) კანონზომიერებები უფრო ადეკვატურად აღწერენ რეალურ სამყაროს. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება შემთხვევითი ხდომილობები: შემთხვევითი შეხვედრა, შემთხვევითი პოვნა, შემთხვევითი დაკარგვა, შემთხვევითი აღმოჩენა და ა.შ. უსასრულოდ.

ალბათობის თეორია აგებს სხვადასხვა ხდომილობების ემპირიულად დაკვირვებადი სიხშირეების მათემატიკურ მოდელებს. გამონათქვამი: A ხდომილობის მოხდენის ალბათობა ტოლია, მაგალითად, ნახევრის“, გვესმის შემდეგნაირად – დაკვირვების გარკვეული რაოდენობისას A ხდომილობა ხდება 50 %-ის შემთხვევაში. ასეთი გაგებით ალბათობის თეორიას გააჩნია ფართო გამოყენებები ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. მათემატიკური სტატისტიკა გაიგება როგორც მათემატიკური მეცნიერება (საკუთრივ როგორც ალბათობის თეორიის ნაწილი), რომელიც მოდელირებას უკეთებს მოვლენებს, რომელთაც ჯ. ნეიმანი უწოდებს „ინდუქტიურ ქცევას“. ადამიანის ქცევაში შეცდომები გარდაუვალია. ადამიანები, გონიერი არსებები, ინტუიციურად ცდილობენ გამოიყენონ მათ მეხსიერებაში დაგროვილი ცოდნის მარაგი და ბუნებაში მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებები, რათა მათ ქმედებებში რაც შეიძლება იშვიათად იყოს შეცდომები. სწორედ ამ მოქმედებების არჩევას, რომელიც შეესაბამება მეხსიერების მარაგს და ფაქტებზე დაკვირვებებს, უწოდებენ ინდუქტიურ ქცევას. მათემატიკური სტატისტიკა წარმოადგენს ინდუქტიური ქცევის მოდელს, როდესაც დაკვირვებადი ფაქტები „შემთხვევითი“ ხასიათისაა. მათემატიკური სტატისტიკის ტიპური ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: სიხშირეების ტერმინებში ჩამოყალიბებული დაკვირვებების შედეგებიდან გამოვიყვანოთ მოქმედებების ამორჩევის ისეთი მეთოდები, როცა შეცდომების სიხშირე იქნება მინიმალური.

კაცობრიობის განვითარების პროგრესი დაფუძნებულია ადამიანის უნარზე შეამჩნიოს პერმანენტულობა (პერმანენტულობა არის ის რაც არის (რაც მუდმივად უცვლელია) ან გვეჩვენება უცვლელი) როგორც თავის გარშემო საგნებში, ისე ამ საგნებში მიმდინარე ცვლილებებში, რომლებსაც

ჩვენ მოვლენებს ვუწოდებთ. პერმანენტულობის შენიშვნა და ინდუქტიური ქცევა ახასიათებს არა მარტო ადამიანებს, არამედ დაბალი განვითარების ორგანიზმებსაც. ხშირად ინდუქტიურ ქცევას მიყვავართ კარგ შედეგებამდე, მაგრამ, ბუნებრივია, არა ყოველთვის.

ადამიანების მიერ ერთ-ერთი პირველი შენიშნული პერმანენტულობები იყო ზომები, მანძილები, წონები და ა.შ. შედარებით გვიან აზარტული თამაშების მოყვარულებმა შენიშნეს ახალი სახის „პერმანენტულობა“. ეს იყო ე.წ. ფარდობითი სიხშირე, რომლითაც გვხვდება კონკრეტული შედეგი განმეორებით ცდებში, რომლებშიც ცალკეული ცდის შედეგის განჭვრეტა შეუძლებელია. გაცილებით გვიან იქნა შენიშნული პერმანენტულობა ადამიანის ცხოვრებისეულ მოვლენებში. მე-17 საუკუნეში ინგლისელმა მასონებმა შენიშნეს, რომ სიკვდილიანობის სიხშირე ერთი და იგივე ასაკის ცალკე კაცებში და ცალკე ქალებში, რომლებიც ცხოვრობდნენ ერთი და იგივე პირობებში, წლიდან წლამდე მერყეობდა ძალიან ვიწრო საზღვრებში. იმის დადგენა თუ ვინ დაიღუპება კონკრეტულად 50 წლიანი მამაკაცების მოცემული ჯგუფიდან მომავალ წელს შეუძლებელია, მაგრამ იმის მითითება, თუ რამდენი იქნება სიკვდილიანობის რიცხვი ამ ჯგუფში შესაძლებელია დიდი სიზუსტით. როგორც ცნობილია, სწორედ ეს პერმანენტულობა წარმოადგენს სიცოცხლის დაზღვევის საფუძველს, რომელსაც სწავლობს ე.წ. აქტუალური (სადაზღვევო) მათემატიკა.

რატომ უნდა ვასწავლოთ სტატისტიკა?

ჩვენს ინფორმაციის საუკუნეში, მსოფლიო გადავსებულია სხვადასხვა სახის მონაცემებით. საგაზეთო სტატიები და სატელევიზიო ახალი ამბები აჭრელებულია ისეთი ტიპის განცხადებებითა და მტკიცებებით, როგორიცაა „დოუ-ჯონსის საშუალო დაეცა 6 პუნქტით“, „სამომხმარებლო საქონელზე ფასების ინდექსი გასული თვის განმავლობაში გაიზარდა 8%-ით“, „უკანასკნელი გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ პრეზიდენტის რეიტინგი ამჟამად შეადგენს 43%-ს“, „პაციენტთა 98%-ს, რომელიც იმყოფებოდა კლინიკურ გამოკვლევაზე არ განუცდია რაიმე გვერდითი ეფექტები მკერდის კიბოს ახალი პრეპარატისაგან“. ხშირია შემთხვევები, როცა იმისათვის, რომ მიმდინარე მოვლენებს მიეცეს გონივრული (ინტელექტუალური) შეფასება, ჩვენ გვესაჭიროება (გვიხდება) გადავამუშაოთ მონაცემების არსებითად დიდი რაოდენობა. მთავრობა, საფინანსო წრეები და მეცნიერ-მკვლევარები ხარჯავენ მილიონობით დოლარს, რათა მოაგროვონ მონაცემები. ფედერალური მთავრობები ხელს უწყობენ მონაცემების შეგროვებას, როგორც საკუთარი ძალისხმევით, ისე კორპორაციების მიმართ მოთხოვნით - რათა მათ მისაწვდომი გახადონ ინფორმაციები, კერძო სექტორი აგრეთვე მონაწილეობს ამ პროცესში. შეგროვებულ მონაცემთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება უკანასკნელ პერიოდში.

ჩვენი მიზანია თითოეულ მონაცემს მივცეთ თავისი შინაარსი. კომპიუტერის ერა საშუალებას გვაძლევს ერთის მხრივ, მოვახდინოთ მონაცემების სწრაფი შეგროვება, გადამუშავება, დაჯამება და სწრაფი ანალიზი, ხოლო მეორეს მხრივ კი - მოვახდინოთ სულ უფრო მეტი მონაცემების მიღება და შენახვა. კომპიუტერის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მონაცემები, მაგალითად, კომპიუტერის კლავიშზე თითის დაჭერით აქციათა კოტირებების შესახებ. ჩვენ სწორად უნდა გავანალიზოთ და მივცეთ შესაბამისი ინტერპრეტაცია ყოველ მონაცემს.

გადაწყვეტილებები ხშირად დაფუძნებულია არასრულ ინფორმაციაზე. მაგალითად, საგამოცდო კომისიის მიერ უნივერსიტეტში მიღებული პირველი კურსის სტუდენტები ისე ირჩევენ თავიანთ ძირითად სპეციალობას, რომ არა აქვთ ნათელი წარმოდგენა მომავალი კარიერის შესახებ; ან პაციენტები, რომლებიც დაავადებული არიან კიბოთი, თანხმდებიან მონაწილეობა მიიღონ ახალი პრეპარატის კლინიკურ გამოკვლევაზე ისე, რომ მათთვის უცნობია პრეპარატის ყველა შესაძლო შედეგი. ანალოგიურად, ის ადამიანები, რომლებიც რეგულარულად ღებულობენ საქმიან გადაწყვეტილებებს გარემო პირობების გათვალისწინებით, არ შეიძლება დარწმუნებულები იყვნენ იმ ფაქტორების მომავალ ყოფაქცევაზე, რომლებიც საბოლოო გავლენას ახდენენ განსახილველი მოვლენების საბოლოო შედეგზე.

მეწარმის მიერ შემოთავაზებული კონტრაქტის საფასური არ შეიძლება იყოს სრულად გარკვეული, ის ვერ მოიცავს მოსალოდნელ ფასებს მომავალში და მასში ვერ იქნება გათვალისწინებული კონკურენტების მიერ შემოთავაზებული ფასები. ამ დასანანი გაურკვევლობის მიუხედავად, მეწარმემ უნდა დააწესოს თავისი ფასი. ინვესტორმა გარანტირებულად არ იცის ფინანსური ბაზარი იქნება აღმავალი, გაწონასწორებული თუ დაღმავალი. მიუხედავად ამისა, ინვესტორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება როგორ დააბალანსოს თავისი ფინანსური პორტფელი აქციებით, ობლიგაციებით თუ ფინანსური ბაზრის სხვა ინსტრუმენტებით, მაშინ როცა ფინანსური ბაზრის განვითარება მისთვის უცნობია.

განვიხილოთ შემდეგი განცხადებები:

„IBM-ის აქციების ფასი 6 თვე იქნება უფრო მაღალი, ვიდრე ის არის ამჟამად“.

„თუ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ისეთი მაღალია როგორსაც აცხადებენ, მაშინ საპროცენტო განაკვეთი დარჩება მაღალი წლის ბოლომდე“.

„კოლეჯის კურსდამთავრებულის წლიური შემოსავალი იქნება უფრო მეტი, ვიდრე ინდივიდის საკოლეჯო განათლების გარეშე.“

ნებისმიერი ეს წინადადება შეიცავს გაუმართლებელ ენობრივ დაშვებებს (გაურკვევლობას, ილუზორულ, არაგარანტირებულ მტკიცებულებას). რა დაპირებებიც არ უნდა გაკეთდეს, შეუძლებელია დარწმუნებული ვიყოთ მათ სიმართლეში. მიუხედავად იმისა, მკვლევარს შეიძლება ჯეროდეს, რომ მოვლენების განვითარება მომავალი რამოდენიმე თვის განმავლობაში შეიძლება იყოს ისეთი, რომ IBM-ის აქციების ფასი მოსალოდნელია გაიზარდოს, თუმცა ის ვერ იქნება ამაში სრულად დარწმუნებული. შესაბამისად, ზემოთმოყვანილი განცხადებები შეიძლება მოდიფიცირებული იქნეს შემდეგნაირად:

„IBM-ის აქციების ფასი 6 თვე შესაძლებელია (სავარაუდოა) იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ის არის ამჟამად“.

„თუ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ისეთი მაღალია როგორსაც აცხადებენ, მაშინ საპროცენტო განაკვეთი ალბათ დარჩება მაღალი წლის ბოლომდე“.

„კოლეჯის კურსდამთავრებულის წლიური შემოსავალი სავარაუდოდ იქნება უფრო მეტი, ვიდრე ინდივიდის საკოლეჯო განათლების გარეშე.“

მნიშვნელოვანია სიტყვების ზუსტი და ფრთხილი შერჩევა. არასწორი (გაუმართლებელი) სიტყვები არააუცილებლად გასაგები და არაადექვატური უნდა შეიცვალოს. ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის კითხვა თუ რას ნიშნავს: „სავარაუდოა, რომ“; „მოსალოდნელია, რომ“; „შესაძლებელია, რომ“; ან „ალბათურია, რომ“? ამ კითხვებზე პასუხს იძლევა სწორედ ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა.

როგორ უნდა გაეცეს პასუხი კითხვაზე: როგორ იკვებებიან აშშ-ის მოქალაქეები? აშშ-ში დადგენილ იქნა, რომ დიეტა, რომელიც მდიდარია ხილითა და ბოსტნეულით ასოცირდება ისეთი ქრონიკული დაავადების დაბალ რისკთან, როგორიცაა კიბო. დიეტოლოგები რეკომენდაციას უწევენ ამერიკელებს, რომ სასურველია მათ მიირთვან ხილის ან ბოსტნეულის ხუთი ან მეტი პორცია ყოველდღიურად. რამდენიმე მკვლევარმა, დიეტოლოგიის დეპარტამენტიდან, ქრონიკული დაავადებების კონტროლისა და პრევენციის ეროვნული ცენტრიდან, კიბოს ეროვნული ინსტიტუტიდან და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტიდან გადაწყვიტეს გამოეყენებინათ სტატისტიკური პროცედურები, რათა ენახათ როგორი პროგრესია ამ მიმართულებით. ქვემოთ ახსნილი იქნება მათ მიერ გამოყენებული პროცედურები და კვლევის შედეგები.

აღსანიშნავია, რომ ადამიანების უმრავლესობისათვის ალბათობა და სტატისტიკა ახლობელი გახდა რადიოს, ტელევიზორის, გაზეთებისა და ჟურნალების საშუალებით. მაგალითად, გაზეთებში ნაპოვნი იყო შემდეგი განცხადებები: ა) ჩვეულებრივ დღეში ერთი აბი ვიტამინი და მინერალი ასაკოვან ადამიანებში ზრდის გარკვეულ იმუნურ რეაქციებს 64%-ით, იმ კვლევების თანახმად, რომელიც ჩატარებული იქნა ნიუ ჯერსის მედიცინისა და სტომატოლოგიის უნივერსიტეტში (USA Weekend, January 6-8, 1995); ბ) ქვეყნის მასშტაბით გამოკითხული ათასი ოჯახიდან, 40%-მა განაცხადა, რომ ფლობენ სულ ცოტა ერთ უკაბელო ტელეფონს, 9% ფლობს ორს ან მეტს (Tribune-Review, Greensburg, PA, January 8, 1995, P.B3); გ) 1994 წელს საცალო ვაჭრობის სპეციალურმა სათხილამურო სპორტის მაღაზიებმა გაყიდეს 760000 თხილამური საშუალო ფასად 153 # და 176200 სათხილამურო კოსტუმი საშუალო ფასად 280 # (Tribune-Review, Greensburg, PA, January 8 1995, P. G1); დ) დორტმონდში (პენსილვანია) გაყიდული უძრავი ქონების საშუალო ფასი ბოლო 12 თვის განმავლობაში იყო 64304 # (Tribune-Review, Greensburg, PA, January 8 1995, P. B3); ე) აშშ-ის მოქალაქეები წლის განმავლობაში სპორტულ ტანსაცმელზე საშუალოდ ხარჯავენ 193 # ((USA Today, January 10,1995).

სტატისტიკა გამოიყენება ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში. მაგალითად, სპორტში სტატისტიკოსს შეუძლია აწარმოოს აღრიცხვა იარდების რიცხვისა რაც გაირბინეს ფეხბურთელებმა ფეხბურთის მატჩის განმავლობაში ან დათვალოს რაოდენობა დარტყმებისა რაც ბეისბოლისტმა გააკეთა სეზონის განმავლობაში. სხვა სფეროში, როგორცაა ჯანდაცვა, ადმინისტრატორი დაინტერესებულია იმ მოქალაქეების რაოდენობით, რომლებიც ავადმყოფობენ ახალი ვირუსით გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მკვლევარს შეიძლება აინტერესებდეს სწავლების ახალი მეთოდი უკეთესია თუ არა, ვიდრე ძველი. აქ ჩამოთვლილია მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული სტატისტიკა სხვადასხვა მიმართულებით.

გარდა ამისა, სტატისტიკა გამოიყენება გამოკვლევების შედეგების გასაანალიზებლად და როგორც ინსტრუმენტი სამეცნიერო კვლევებში გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც დაფუძნებულია ექსპერიმენტზე. სტატისტიკის სხვა გამოყენებები მოიცავს ოპერაციების სტატისტიკურ გამოკვლევას, პროდუქციის ხარისხის შემოწმებას, შეფასებას და პროგნოზირებას.

სტუდენტები სწავლობენ სტატისტიკას რამდენიმე მიზეზის გამო:

1. სტუდენტებს, ისევე როგორც პროფესიონალ ადამიანებს, უნდა შეეძლოთ წაკითხვა და გაგება სხვადასხვა სტატისტიკური გამოკვლევების, რომლებიც ჩატარებულია მათ შესაბამის სფეროში. ისინი უნდა იყვნენ გათვითცნობიერებული ლექსიკაში, სიმბოლოებში, ცნებებში და სტატისტიკურ პროცედურებში, რომლებიც გამოიყენება იმ კვლევაში.

2. სტუდენტები და პროფესიონალი ადამიანები შესაძლებელია მიწვეული იყვნენ, რათა მათ ჩაატარონ კვლევები შესაბამის სფეროებში, ვინაიდან სტატისტიკური პროცედურები არის კვლევის საფუძველი იმისათვის, რომ მათ მიაღწიონ შედეგებს, მათ უნდა შეძლონ ექსპერიმენტის დაპროექტება (დაგეგმვა); უნდა შეძლონ მონაცემების შეგროვება; გარდა ამისა შესაძლებელია, შეძლონ საიმედო წინასწარმეტყველება და გონივრული პროგნოზი სამომავლო გამოყენების შესახებ. მათ ასევე უნდა შეეძლოთ გადმოსცენ კვლევის შედეგები საკუთარი სიტყვებით.
3. სტუდენტებს და პროფესიონალ ადამიანებს აგრეთვე შეუძლიათ გამოიყენონ სტატისტიკის შესწავლიდან მიღებული ცოდნა, რათა გახდნენ უკეთესი მომხმარებლები. მაგალითად, მათ შეუძლიათ მიიღონ ინტელექტუალური (გონივრული) გადაწყვეტილება, თუ რომელი პროდუქტი შეიძინონ სამომხმარებლო კვლევებზე დაყრდნობით, განსაზღვრონ სამთავრობო ხარჯები სტატისტიკური კვლევების მიხედვით და ასე შემდეგ.

ეს მიზეზები შეიძლება ჩაითვალოს მიზნებად იმ სტუდენტებისათვის და პროფესიონალებისათვის, რომლებიც სწავლობენ სტატისტიკას.

სტატისტიკის მიმართულებები.

ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია გავაცნოთ სტუდენტებს ალბათობისა და სტატისტიკის საწყისი ცნებები, მაგალითად, შემდეგი ტიპის კითხვებზე პასუხის გაცემით:

რა მიმართულებები გააჩნია სტატისტიკას?

რა არის მონაცემი?

როგორაა მონაცემები შერჩეული?

იმისათვის, რომ სტატისტიკოსებმა მიიღონ ცოდნა ერთი შეხედვით უსისტემო ხდომილებებიდან (მოვლენებიდან), ისინი აგროვებენ ინფორმაციას იმ სიდიდეებზე (ცვლადებზე), რომლებიც აღწერენ ხდომილობებს.

სიდიდე არის მახასიათებელი ან ატრიბუტი, რომელსაც შეუძლია მიიღოს სხვადასხვა მნიშვნელობა.

მონაცემი არის გაზომვების ან დაკვირვებების ის მნიშვნელობები, რომლებსაც ღებულობენ სიდიდეები. სიდიდეს, რომლის მნიშვნელობები განისაზღვრება შემთხვევით (დამოკიდებულია შემთხვევითობაზე), უწოდებენ შემთხვევით სიდიდეს.

დავუშვათ, რომ სადაზღვევო კომპანიამ გამოიკვლია თავისი ჩანაწერები უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში და დაადგინა, რომ საშუალოდ 3 ავტომობილი ყოველი 100 ავტომობილიდან, რომელიც მოყვა ავტოსაგზაო შემთხვევაში, დაზღვეული იყო ერთი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ხერხი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ რომელი კონკრეტული ავტომობილი მოყვება ავტოსაგზაო შემთხვევაში (ავტოსაგზაო შემთხვევა შემთხვევით ხდება), სადაზღვევო კომპანიას შეუძლია შეიტანოს გარკვეული კორექტივები თავის გადასახადებში, რამდენადაც კომპანიამ იცის ზოგადი ტენდენცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში (კერძოდ, საშუალოდ, დაზღვეული ავტომობილების 3% შესაძლებელია მოხვდეს ავტოსაგზაო შემთხვევაში)

მონაცემების მნიშვნელობების ერთობლიობა ქმნის მონაცემების სიმრავლეს. მონაცემების სიმრავლის ცალკეულ წევრს დაკვირვება, მონაცემი ანუ მონაცემის წერტილი ეწოდება.

მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვანაირად. ცოდნის ის სისტემა, რომელსაც სტატისტიკას უწოდებენ, იმის მიხედვით თუ როგორ გამოიყენება მონაცემები, ზოგჯერ იყოფა ორ ძირითად მიმართულებად. ეს ორი მიმართულებაა: 1. აღწერითი სტატისტიკა და 2. სტატისტიკური დასკვნები.

აღწერითი სტატისტიკაში სტატისტიკოსი ცდილობს აღწეროს სიტუაცია. განვიხილოთ მოსახლეობის აღწერის საკითხი, რომელსაც აშშ-ს მთავრობა ატარებს ყოველ ათ წელიწადში. ამ აღწერის შედეგები გვამღვებს მოსახლეობის საშუალო ასაკს, შემოსავალს და აშშ-ის მოსახლეობის განსაკუთრებულ მახასიათებლებს. ამ ინფორმაციის მისაღებად, მოსახლეობის აღწერის ბიუროს უნდა გააჩნდეს გარკვეული საშუალებები შესაბამისი მონაცემების შესაგროვებლად. მას შემდეგ, რაც მიღებულია (შეგროვებულია) მონაცემები, აღწერის ბიურომ უნდა მოახდინოს მათი ორგანიზება და დაჯამება. საბოლოოდ აღწერის ბიუროს ესაჭიროება საშუალებები (მეთოდები) რათა მიღებული მონაცემები წარმოადგინოს აზრიანი (ან თვალსაჩინო) ფორმით, მაგალითად, ცხრილების, გრაფიკების ან დიაგრამების ფორმით.

ისტორიული შენიშვნა. აღწერითი სტატისტიკის საწყისები სათავეს იღებს მონაცემთა შეგროვების მეთოდებით, რომლებიც გამოიყენებოდა მოსახლეობის აღწერისას ბაბილონსა და ეგვიპტეში ძვ. წ. აღრიცხვის 4500-3000 წლებში. გარდა ამისა, რომის იმპერატორმა აუგუსტმა (ძვ. წ. აღრიცხვის 27-17 წლები) ჩაატარა აღწერა რომის იმპერიის მოქალაქეების როგორც დაზადებისა და სიკვდილიანობის შესახებ, ისე ყოველი მოქალაქის კუთვნილებაში მყოფი საქონის რაოდენობისა და მათ მიერ წლის განმავლობაში მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესახებ.

აღწერითი სტატისტიკა გულისხმობს მონაცემების შეგროვებას, ორგანიზებას, დაჯამებას და წარმოდგენას.

სტატისტიკის მეორე განშტოებას უწოდებენ სტატისტიკური დასკვნების თეორიას. აქ, სტატისტიკოსი ცდილობს გააკეთოს დასკვნები პოპულაციის შერჩევებიდან (ამორჩევებიდან). სტატისტიკური დასკვნები იყენებს ალბათობას, ე.ი. ხდომილობის მოხდენის შანსს. ადამიანების დიდი ნაწილისათვის ცნობილია ალბათობის პრინციპული სქემები აზარტული თამაშების სხვადასხვა ფორმებიდან. ადამიანი, რომელიც თამაშობს კარტს, სათამაშო კამათელს, ბინგოსა და ლატარეას, იგებს ან კარგავს (აგებს) ალბათური განაწილების კანონის მიხედვით. ალბათობის თეორია ასევე გამოიყენება სადაზღვევო საქმიანობაში და ადამიანის მოღვაწეობის სხვა მრავალ სფეროში.

ისტორიული შენიშვნა, სტატისტიკური დასკვნების თეორია სათავეს იღებს 1600 წლიდან, როდესაც ჯონ გრანტმა გამოაქვეყნა წიგნი მოსახლეობის ზრდის შესახებ, სადაც სიკვდილიანობის ცხრილზე დაყრდნობით გაკეთებულია ბუნებრივი და პოლიტიკური ხასიათის შენიშვნები. თითქმის იმავე დროს, მათემატიკოსმა და ასტრონომმა ედმუნდ ჰალიმ გამოაქვეყნა სიკვდილიანობის პირველი სრულყოფილი ცხრილი (აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო კომპანია იყენებს სიკვდილიანობის ცხრილებს დაზღვევის ტარიფის დასადგენად).

შემოვიღოთ ახლა პოპულაციისა და შერჩევის ცნებები და ვნახოთ რა განსხვავებაა მათ შორის.

პოპულაცია შედგება ყველა იმ ობიექტებისაგან, რომელიც შეისწავლება (ის არის დაკვირვების ყველა შესაძლო შედეგთა სიმრავლე).

უმეტეს შემთხვევაში, რიგი მიზეზების გამო (მაგალითად, დანახარჯების სიძვირე, დროის სიმცირე, პოპულაციის მოცულობის სიდიდე, სამედიცინო პრობლემები და ა.შ.) მკვლევარს არა აქვს შესაძლებლობა სტატისტიკური კვლევისათვის გამოიყენოს მთლიანი პოპულაცია, ამიტომ მკვლევარი, როგორც წესი, იყენებს შერჩევას.

შერჩევა არის ობიექტის გარკვეული ჯგუფი (ნაწილი) ამორჩეული პოპულაციიდან.

თუ შერჩევის ობიექტები სწორადაა ამოკრეფილი, მაშინ უმეტეს შემთხვევაში ისინი იქნებიან იგივე ან ანალოგიური იმ მახასიათებლების რაც ობიექტებს გააჩინათ პოპულაციაში. შერჩევის სწორად ამორჩევის ტექნიკა მოყვანილი იქნება ქვემოთ.

პოპულაციის სრულ აღწერას ჩვენ შერჩევის გამოყოფას და მის შესწავლას ვამჯობინებთ თუნდაც იმიტომ, რომ ნაწილის დაკვირვება უფრო იაფია, ვიდრე მთელისა, თუმცა ხარჯების ეკონომიის გარდა შერჩევის უპირატესობას სხვა მოტივებიც განაპირობებენ. შერჩევის სახეობაა შემთხვევითი შერჩევა. შემთხვევითი შერჩევა გულისხმობს, რომ პოპულაციის ყოველი ელემენტისათვის განსაზღვრულია შერჩევაში მოხვედრის შანსი, ალბათობა. როდესაც შერჩევის გეგმა ისეთია, რომ პოპულაციის ყოველი ელემენტისათვის შერჩევაში მოხვედრის შანსი ერთნაირია, ამბობენ რომ გვაქვს მარტივი შერჩევა. შერჩევა შემთხვევითი რიცხვების გამოყენებით; ე.წ. სისტემური შერჩევა (ვთქვათ, ყოველი მე-10 ერთეული); განშრეგებული შემთხვევითი შერჩევა - უზრუნველყოფს შერჩევაში პოპულაციის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობას; კლასტერული შერჩევა - პოპულაციას ვყოფთ თანაუკვეთ ნაწილებად-კლასტერებად, შემთხვევით ვირჩევთ კლასტერს და შემდეგ, შერჩეულს, სრულად აღვწერთ.

სტატისტიკური დასკვნების თეორიის ნაწილს, რომელიც წარმოადგენს პოპულაციაზე წინადადებების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, დაფუძნებულს შერჩევიდან მიღებულ ინფორმაციაზე ჰიპოთეზათა შემოწმება ეწოდება. მაგალითად, მკვლევარს შეიძლება სურვილი ჰქონოდეს იცოდეს ამცირებს თუ არა ახალი პრეპარატი გულის შეტევათა რაოდენობას 70 წელზე უფრო დიდი ასაკის მამაკაცებში. ამის გამოსაკვლევად, არჩეული იქნება 70 წელს გადაცილებულ მამაკაცთა ორი შერჩევა (ჯგუფი). ერთ-ერთი შერჩევის მამაკაცებს ეძლევათ აღნიშნული პრეპარატი, ხოლო მეორე შერჩევაში მყოფ მამაკაცებს აძლევენ ისეთ ნივთიერებას, რომელსაც ჯანმრთელობის თვალსაზრისით ადამიანისათვის არც სარგებლობის მოტანა შეუძლია და არც ზიანის. ექსპერიმენტის ბოლოს ითვლიან მამაკაცების თითოეულ ჯგუფში მომხდარ გულის შეტევათა რაოდენობას, შემდეგ ატარებენ სტატისტიკური ჰიპოთეზის შემოწმების პროცესს და ღებულობენ გადაწყვეტილებას პრეპარატის ეფექტურობის შესახებ. სტატისტიკოსები სტატისტიკურ ამოცანებს იყენებენ აგრეთვე იმის გასარკვევად, თუ რა კავშირია სიდიდეებს შორის. მაგალითად, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კავშირის დადგენას მოწევისა და ფილტვების კიბოს შორის. 1964 წელს აშშ-ს ერთ-ერთმა ქირურგმა გამოაქვეყნა ნაშრომი „მოწევა და ჯანმრთელობა“, სადაც ნათქვამია, რომ მონაცემების განხილვისა და შეფასების შემდეგ მისმა ჯგუფმა აღმოაჩინა გარკვეული კავშირი მოწევისა და ფილტვების კიბოს შორის. მას არ უთქვამს, რომ სიგარეტის მოწევა არის ფილტვების კიბოს ფაქტორი მიზეზი, მაგრამ ამბობს, რომ მათ შორის არის კავშირი. ეს დასკვნა დაფუძნებული იყო ჰამონდისა და ჰორნის მიერ 1958 წელს ჩატარებულ გამოკვლევაზე. ამ კვლევისას დაკვირვებულ იქნა 187783 მამაკაცი 45 თვის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ ფილტვების კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის კოეფიციენტი მამაკაცების ამ ჯგუფში 10-ჯერ უფრო დიდი იყო მწვეველებში არამრეწველებთან შედარებით.

და ბოლოს წარსული და მიმდინარე მონაცემებისა და პირობების შესწავლით სტატისტიკოსები ცდილობენ ამ ინფორმაციის საფუძველზე გააკეთონ პროგნოზი (იწინასწარმეტყველონ რა იქნება მომავალში). მაგალითად, ავტომობილების დილერს (გამყიდველს), რომელიც ნახავს გასული გაყიდვების

ჩანაწერს კონკრეტული თვეების მიხედვით, შეუძლია გადაწყვიტოს თუ რა ტიპის და რამდენი ავტომობილი (ამა თუ იმ ტიპის) დასჭირდება მომავალი წლის კონკრეტულ თვეში.

სტატისტიკური დასკვნების თეორია მოიცავს განზოგადებას შერჩევიდან პოპულაციამდე. ჰიპოთეზათ შემოწმების კრიტერიუმების დადგენას, სიდიდეებს შორის კავშირის დადგენას და პროგნოზის გაკეთებას.

ლიტერატურა

1. Allan G. Bluman. Elementary Statistics: a brief version, second edition. Published by McGraw-Hill, New York, 2003.
2. P. Newbold, W.L. Carlson, B.M. Thorne. Statistics for Business and Economics, sixth edition. Prentice Hall, Upper Saddle River, New Jersey. 2007.

რეზიუმე

სტატისტიკა არის მეცნიერება, რომელიც ერთის მხრივ შეისწავლის მონაცემების შეგროვების, ორგანიზების, კლასიფიკაციის, სისტემატიზაციისა და პირველადი დამუშავების მეთოდებს, ხოლო მეორეს მხრივ, შეისწავლის დამუშავებული მონაცემების ანალიზისა და გამოყენების მეთოდებს თეორიული და პრაქტიკული დასკვნების მიღების მიზნით. შესაბამისად, მათემატიკური სტატისტიკა იყოფა ორ ნაწილად: აღწერითი (ე.წ. დესკრიფციული) სტატისტიკა და სტატისტიკური დასკვნების თეორია, თუ არ ჩავთვლით ალბათობის თეორიას, რომელიც წარმოადგენს ხიდს სტატისტიკის ამ ორ ნაწილს შორის. უფრო ზუსტად ალბათობის თეორია წარმოადგენს სტატისტიკური დასკვნების თეორიის მათემატიკურ საფუძველს.

Teimuraz Giorgadze – Akaki tsereteli State University, Associated Professor
Vladimer Adeishvili - Akaki tsereteli State University, Associated Professor

About Probabilistic and Statistical display Summary

Statistics is a science that studies the methods of organization of data collection, classification, sistematizacion and primary processing, but on the other hand, it studies the processed data analysis and methods of use as the way of making the theoretical and practical conclusions. Accordingly, the mathematical statistics is divided into two parts: descriptive statistics and the theory of statistical conclusion, apart from the probabilistic two parts. To say clearly, probabilistic theory is the mathematical basis for the theory of statistical conclusions.

მანანა ზივზივაძე-ნიკოლეიშვილი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალ შესაძლებლობათა დანერგვის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემაში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს, ყველა თანხმდება იმაზე, რომ დღევანდელ რეალობაში იგი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებაა სწავლების თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად და განათლების ხარისხის ასამაღლებლად. ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენების არეალი საგანმანათლებლო სისტემაში დღით-დღე სწრაფი ტემპით იზრდება და განიცდის მუდმივ სრულყოფას.

დღეს საუბარი შეიძლება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ისეთ მნიშვნელოვან შესაძლებლობაზე, როგორცაა ელექტრონული სწავლება და ელექტრონული სახელმძღვანელოები. ელექტრონული სწავლება წარმატებითაა დანერგილი საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა და სკოლებში. იგი აქტიურად იკიდებს ფეხს და ინერგება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც. მოსწავლე, რომელიც ელექტრონულად სწავლობს და განათლებას ინოვაციური მეთოდოლოგიით იძენს, გამოირჩევა მაღალი მოტივაციით, აქტიურობით, მეტად ივითარებს ზოგად-ტრანსფერულ უნარებს, შესაბამისად, სწრაფად ახდენს ადაპტირებას და თვითდამკვიდრებას საზოგადოებაში. მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების ამაღლება, სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საგანმანათლებლო მეთოდების გამოყენება ქმნის საგანმანათლებლო პროცესის და მოსწავლეთა შემეცნებითი პოტენციალის გაუმჯობესების ახალ შესაძლებლობებს. ელექტრონული სწავლება წარმოადგენს სწავლების აქტიურ მეთოდს.

მნიშვნელოვანია ელექტრონული სწავლების დიდაქტიკური კონცეფციის ჩამოყალიბება, რაც არის სპეციალისტების ფართო სპექტრის ერთობლივი კვლევის საგანი. მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ პედაგოგებმა, მეთოდისტებმა, ფსიქოლოგებმა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებმა, რომელთა კვლევისა და მონაცემთა შეჯერების შედეგად ჩამოყალიბდება ელექტრონული სწავლების ერთიანი სტანდარტები.

სასწავლო კურსებისა და სახელმძღვანელოების შექმნა და ორგანიზაცია ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მეტად რთულ ტექნოლოგიურ და მეთოდურ ამოცანას წარმოადგენს. ელექტრონული სახელმძღვანელო კომპლექსური მნიშვნელობის სასწავლო პროგრამაა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების დიდაქტიკური პროცესის უწყვეტობასა და სისრულეს, გვაწვდის თეორიულ მასალასა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ახდენს მათემატიკურ და იმიტაციურ მოდელირებას და მიღებული ცოდნის კონტროლს, აქვს აგრეთვე საინფორმაციო-საძიებო ფუნქციაც. ელექტრონული სახელმძღვანელო შინაარსობრივად უნდა მოიცავდეს თემატურად დასრულებულ და სტრუქტურულად დალაგებულ სასწავლო მასალას. ელექტრონული სასწავლო-მეთოდური კომპლექსები მარტივი ფორმით უნდა ახორციელებდეს დამოუკიდებელი (ინდივიდუალური) სწავლებისათვის საჭირო სრული სასწავლო მასალის, მათ შორის პრაქტიკული და ტესტური დავალებების მოსწავლეთათვის მიწოდებას. ელექტრონული სახელმძღვანელოები აძლევს მოსწავლეს მრავალფეროვანი საილუსტრაციო მოცემულობების – ნახატების, სურათების, ანიმაციებისა და სხვა მულტიმედიური მასალების გამოყენების შესაძლებლობას. ელექტრონული სახელმძღვანელოების დახმარებით მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს ელექტრონული სახით წარმოდგენილი საგანმანათლებლო ტექსტებით, გრაფიკული მასალებით, ინტერნეტის ქსელში განთავსებული ლიტერატურული და მეცნიერული წყაროებით, ელექტრონული ბიბლიოთეკებით, ლექსიკონებით, სხვადასხვა მეცნიერული რესურსებით. ელექტრონული სახელმძღვანელოებით მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მიღებული ცოდნის თვითშეფასება მოახდინოს სხვადასხვა სახის ტესტებისა და სავარჯიშოების საშუალებით.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული სახელმძღვანელოები სრულად ვერ ჩაანაცვლებს ტრადიციულ ბეჭდურ სახელმძღვანელოს. საჭიროა მათი ერთობლივი თანაარსებობა.

როდესაც სასწავლო პროცესში ინფორმაციულ ტექნოლოგიათა ახალი შესაძლებლობების დანერგვაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ შევხვით დისტანციურ სწავლებას.

დღესდღეობით ფეხს იკიდებს და ვითარდება დისტანციური სწავლება, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მაღალი საფეხურია. დისტანციური სწავლება ეს არის დისტანციური განათლების სისტემის ძირითადი მიმართულება და შემადგენელი. იგი წარმოადგენს თანამედროვე

ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პროცესების ახალი სახის ორგანიზების ფორმას. დისტანციური სწავლების სისტემის ფორმირება და განვითარება რთული და მრავალმხრივი პროცესია.

სწავლების დისტანციურ ფორმას გააჩნია გაცილებით მეტი მოქნილობა და სწავლების პროცესის თვისებრივად და ხარისხობრივად გაუმჯობესების საშუალებები. ეს ფორმა უწყვეტი სწავლების ხელშემწყობი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა.

ონლაინ სწავლა შესაძლებელია სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელად, ფაქტობრივად ნებისმიერი ადგილიდან, სადაც ადამიანს კომპიუტერზე და ინტერნეტზე ხელი მიუწვდება. ისინი, ვინც ამა თუ იმ გარემოებათა გამო ვერ ახერხებენ საცხოვრებელი ადგილის დატოვებას, დისტანციური სწავლება საშუალებას აძლევთ მათ მიიღონ ცოდნა უწყვეტ რეჟიმში. დისტანციური სწავლება აგრეთვე საშუალებას აძლევს ადამიანებს სამუშაოს მოწყვეტის გარეშე, პარალელურ რეჟიმში მიიღონ საჭირო ცოდნა, ხოლო ახალგაზრდა დედები, რომლებიც იძულებულნი არიან იყვნენ ოჯახში, მაგრამ ამავე დროს მომავალში კარიერულ წინსვლას გეგმავდნენ, დისტანციური სწავლება დაეხმარებათ ცოდნის მიღებასა და განვითარებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დისტანციური სწავლების უპირატესობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობისაა ან გადის სარეაბილიტაციო ეტაპს. ამ შემთხვევაში სწავლების ეს ფორმა ცოდნის მიღების ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ეს სწავლის პროცესს ბევრად უფრო ხელმისაწვდომს და მარტივს ხდის, ვიდრე სწავლების კლასიკური მეთოდები.

დისტანციური სწავლება კი არ უარყოფს ტრადიციული სწავლების ფორმებს, არამედ იგი ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ახდენს მისი რეზერვების ბალანსირებულ გამოყენებას, ამდიდრებს ინოვაციური სცენარებითა და წარმოდგენებით. დისტანციური სწავლება პედაგოგებს და არა მარტო მათ, საშუალებას აძლევს აიმაღლონ კვალიფიკაცია, გაიუმჯობესონ პროფესიული დონე და მიიღონ განათლება უწყვეტ რეჟიმში.

როგორც ცნობილია, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენება ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების წარმოჩენას, რომელიც დღეს ინტერდისციპლინარული კვლევების ხასიათს ატარებს და მეტად მნიშვნელოვანია ინტეგრირებული სწავლებისათვის. დისტანციური განათლება ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს. დისტანციური განათლების პროცესში არსებობს შეუზღუდავი საშუალება ჩავრთოთ სასწავლო პროგრამების შინაარსში მონათესავე საგნებისა და ფუნდამენტურ-გამოყენებითი მეცნიერებების ცოდნა და გამოცდილება. ინტერდისციპლინა გულისხმობს მოვლენებისა და პროცესების განხილვას ერთ სისტემურ მთლიანობაში. ინფორმატიკა თავისი შინაარსით ინტერდისციპლინარული ხასიათის მეცნიერებაა და შეხება გააჩნია ნებისმიერ მეცნიერებასთან, იქნება ეს მედიცინა თუ ფსიქოლოგია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა და უპირველესად განათლების მეცნიერება. ასე რომ, ინტერდისციპლინა გულისხმობს მოვლენებისა და პროცესების განხილვას ერთ სისტემურ მთლიანობაში. მის მიერ განხორციელებული კვლევების მიზანია, შენარჩუნებულ იქნეს ერთიანი ხედვა ყველა საჭირობოროტო საკითხსა თუ მწვავე პრობლემაზე, რათა აცილებულ იქნეს ადამიანის მოღვაწეობის ცალკე აღებულ სფეროებში უმართავი, ერთმანეთთან შეუთანხმებელი პროცესები. მაშასადამე, ინფორმატიკისა და განათლების მეცნიერებათა ერთიან ინტერდისციპლინარულ სივრცეში ასოცირება კანონზომიერი მოვლენაა და ეხმარება საზოგადოების განვითარების დღევანდელ გამოწვევებს.

დღეს, ინფორმაციული ტექნოლოგიების არნახული განვითარების შედეგად, ადამიანებს ხელი მიუწვდებათ ცოდნის შეძენის ახალ და ახალ შესაძლებლობებზე. ამ შესაძლებლობათა არეალი დღითიდღე იზრდება და თავის კუთვნილ ადგილს იკავებს თანამედროვე სასწავლო პროცესებში. ამიტომაც, საგანმანათლებლო სივრცეში დროულად უნდა მოხდეს მათი ათვისება და დანერგვა. თანამედროვე სწავლებამ ფეხი უნდა აუწყოს ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესებს.

ლიტერატურა

1. ჩაჩანიძე გ. სართანია ვ. ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები, მონოგრაფია, თბილისი, 2004 წ.
2. ნანობაშვილი ქ. ზივზივადე მ. მათემატიკის ზოგიერთი საკითხის კომპიუტერული სწავლების მეთოდოლოგია ელემენტარულ სკოლაში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2005 წ.
3. ჩაჩანიძე გ. ნანობაშვილი ქ. ზოიძე ნ. ინფორმატიკისა და განათლების მეცნიერების ინტერდისციპლინარული კავშირები. იხ: III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება“, ბათუმი, 2014 წ.
4. ფრანგიშვილი ა. ჩაჩანიძე გ. ნანობაშვილი ქ. დისტანციური განათლების ინტერდისციპლინარული პროცესების მოდელირება. იხ: IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება“, თბილისი, 2016 წ.
5. ნანობაშვილი ქ. ზივზივადე მ. კაკაშვილი გ. დისტანციური სწავლება, როგორც უწყვეტი განათლების საშუალება. იხ: IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება“, თბილისი, 2016 წ.
6. ჩაჩანიძე გ. გელაშვილი შ. ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების შექმნის თეორიული ასპექტები და ძირითადი პარადიგმები. იხ: III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება“, ბათუმი, 2014 წ.

რეზიუმე

სტატიაში საუბარია სასწავლო ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალ შესაძლებლობებზე, კერძოდ, ელექტრონული სწავლების, ელექტრონული სახელმძღვანელოებისა და დისტანციური სწავლების ჩართულობაზე სასწავლო პროცესში.

ელექტრონული სახელმძღვანელო კომპლექსური მნიშვნელობის სასწავლო პროგრამაა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების დიდაქტიკური პროცესის უწყვეტობასა და სისრულეს, გვაწვდის თეორიულ მასალასა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ახდენს მათემატიკურ და იმიტაციურ მოდელირებას და მიღებული ცოდნის კონტროლს, აქვს აგრეთვე საინფორმაციო-სამიუზიკური ფუნქცია. ელექტრონული სახელმძღვანელო შინაარსობრივად უნდა მოიცავდეს თემატურად დასრულებულ და სტრუქტურულად დალაგებულ სასწავლო მასალას.

სტატიაში საუბარია აგრეთვე დისტანციურ სწავლებაზე. დღეს ფეხს იკიდებს და ვითარდება დისტანციური სწავლება, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მაღალი საფეხურია. დისტანციური სწავლება, ეს არის დისტანციური განათლების სისტემის ძირითადი მიმართულება და მნიშვნელოვანი შემადგენელი.

იგი წარმოადგენს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პროცესების ახალი სახის ორგანიზების ფორმას.

Manana Zivzivadze-Nikoleishvili - Associate Professor, Department of teaching methodology, Akaki Tsereteli State University.

Implementing new possibilities of Information technologies in the educational process Resume

The article deals with the new opportunities of using information technologies in the teaching-learning process. In particular, involving e-learning, e-books and distance learning in it.

The electronic manual is a complex teaching program which provides continuation and completeness of teaching didactic process, provides us with theoretical materials and practical exercises, leads to mathematical and imitative simulations and controls gained knowledge, has informative and search functions. Electronic manual has to include thematically completed and structured learning materials.

The article also deals with distance learning. It is the highest level of using information technologies and currently develops. Distance learning is the major trend and significant component in distance education.

It is a new organizing form of modern information technologies in educational process

მანანა ზივზივაძე-ნიკოლეიშვილი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის გამოყენება მათემატიკის გაკვეთილზე

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) არის მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას ცოდნის მიღება ხდება პრობლემის დასმისა და განხილვის კონტექსტში.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პედაგოგმა მოსწავლეებს მიაწოდოს ისეთი ამოცანა, საკითხი, პრობლემა, რომელიც მრავალგვარი მიდგომითა და გზით შეიძლება გადაიჭრას, რომელიც საჭიროებს ძიებას, ალტერნატივების დაშვებას და იდეების ჩამოყალიბება-განვითარებას. მათემატიკის გაკვეთილზე სწავლების ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული ამოცანის სახით მოცემული რაიმე პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებისას. ამ დროს მასწავლებელი სვამს არა ინფორმაციული, არამედ პრობლემური სახის შეკითხვებს, რაც მოსწავლეების მხრიდან აზროვნებასა და ცოდნის მობილიზებას მოითხოვს.

პრობლემური სწავლების ეს მეთოდი არსებითად განსხვავდება ამოცანების ამოხსნის უბრალო პროცესისაგან. იგი ზრდის მოსწავლის მოტივაციას, რადგან მოსწავლე ჩართული აღმოჩნდება რეალური პრობლემის გადაჭრის გზების მოძიების მეტად საინტერესო და შემოქმედებით პროცესში, რის შედეგადაც სწავლა მისთვის უფრო სახალისო ხდება. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლების დროს მოსწავლე იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე, იღებს პრობლემის კვლევის მნიშვნელოვან გამოცდილებას და ხდება აქტიური შემქმენველი. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლეები იძენენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც შეუძლიათ გამოიყენონ სხვა პრობლემის გადაჭრის დროს.

პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება მოსწავლეს უვითარებს მათემატიკურ და ლოგიკურ, აგრეთვე, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ ამოცანებზე მუშაობა მოსწავლისაგან მოითხოვს არა დაზეპირებული ინფორმაციის ფლობას, არამედ მიღებული ცოდნის აქტიურად გამოყენების უნარ-ჩვევებს. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პრობლემის გადასაჭრელად მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს ამოცანის ამოხსნის ნაცნობი და სტანდარტული სტრატეგია ანუ ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელსაც პირდაპირ გამოიყენებს. ამოცანა მაშინ წარმოადგენს პრობლემურს, როდესაც არ გაგვაჩნია ამ ამოცანის ამოხსნის ალგორითმი, არ გაგვაჩნია მისი ამოხსნის სტანდარტული გზები. მაგრამ, ამავე დროს, პრობლემის შინაარსი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის სკოლაში ან რეალურ ცხოვრებაში მიღებულ გამოცდილებას და ასაკით განპირობებულ კოგნიტურ შესაძლებლობებს.

პრობლემური ამოცანების ამოხსნის დროს მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, ჰიპოთეზებსა და ვერსიებს დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, აანალიზებენ ერთმანეთის არგუმენტებს. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს კლასის მობილიზებასა და თითოეული მოსწავლის საერთო დისკუსიაში ჩართულობას, კრიტიკულად უნდა მიუდგეს მოსწავლის არგუმენტებს და მოითხოვოს მათგან ამ არგუმენტების დასაბუთება, წახალისოს მათი სწორი მსჯელობები საკითხის ირგვლივ. ამერიკელი ფილოსოფოსი და ინსტრუმენტალიზმის ფუძემდებელი ჯონ დიუი აღნიშნავდა: „ბავშვი მხოლოდ მაშინ იწყებს ფიქრს, თუ ჩვენ მას კონკრეტულ პრობლემებთან შეზღუდვის საშუალებას ვაძლევთ და მას რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება უხდება.“ კრიტიკული აზროვნება სწორედ პრობლემის დაყენებისთანავე და მისი გადაჭრის გზების ძიებისთან ერთად ვითარდება. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლება მათემატიკაში ნიშნავს, მოსწავლეებს მივაწოდოთ სათანადო ამოცანები, რომლებიც საჭიროებენ მათში დასმული პრობლემის მათემატიკურ მოდელირებას. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების იდეა, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენი ტიპის გაკვეთილისა, უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტიდან.

სწავლის პროცესი უნდა დაიწყოს პრობლემის განხილვით. პრობლემა უნდა იყოს მოსწავლეებისათვის აქტუალური. პრობლემური ამოცანის შინაარსი მოსწავლეებში უნდა აღძრავდეს ინტერესს. პრობლემური სიტუაცია არ უნდა იყოს იმდენად რთული, რომ მოსწავლეებს უკარგავდეს მისი გადაჭრის სურვილს და ამავე დროს, არ უნდა იყოს არც ზედმეტად მარტივი, ის უნდა შეესატყვისებოდეს მოსწავლის ასაკს,

გონებრივ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. პრობლემა უნდა შეესაბამებოდეს რეალობას და იძლეოდეს ცოდნისა და გამოცდილების ინტეგრირების საშუალებას. პრობლემა ფოკუსირებული უნდა იყოს ერთ საკითხზე, იგი საშუალებას უნდა აძლევდეს მოსწავლეს შეაგროვოს საჭირო ინფორმაცია, დასახოს და შეარჩიოს შესაბამისი სტრატეგიები და ბოლოს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი.

გამოიყოფა პრობლემური ამოცანების ორი ტიპი:

- . ამოცანები, რომლებიც რაიმე გადაწყვეტილების მიღებასთან არის დაკავშირებული;
- . ამოცანები, რომლებიც სისტემის ანალიზსა და მათემატიკურ მოდელირებას მოითხოვს; რასაკვირველია, პრობლემის გადაჭრა უნდა მოხდეს ლოგიკური მსჯელობით.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ამოცანა:

ამოცანა: „ ანას სურს დაბეჭდოს წიგნი. A სტამბაში 1 ეგზემპლარის დაბეჭდვა ღირს 90 თეთრი, B სტამბაში კი პირველი 500 ეგზემპლარის დაბეჭდვა ღირს 500 ლარი, ხოლო თითოეული შემდეგი ეგზემპლარისა – 80 თეთრი. რა რჩევას მივცემთ ანას? “

ამ ტიპის ამოცანები მიეკუთვნება პრობლემურ ამოცანებს „ გადაწყვეტილების ” მიღებაზე.

პრობლემის გადაჭრის ციკლი ასეთია: პირველ ეტაპზე მოვძებნოთ და განვსაზღვროთ პრობლემა. ჩამოვყალიბოთ პრობლემის არსი. ცხადია, ამოცანის პრობლემა გადაწყვეტილების მიღებაშია, ანუ არჩევანის გაკეთებაზე. ანამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელ სტამბაში დაბეჭდოს წიგნი, A–ში, თუ B–ში, ანუ, რომელ სტამბაში დაუჯდება უფრო იაფი წიგნის დაბეჭდვა. მსჯელობის შემდეგ ეტაპზე უნდა დავაზუსტოთ და გავარკვიოთ რისი ცოდნაა საჭირო და აუცილებელი ამოცანაში დასმული პრობლემის გადასაწყვეტად. ამიტომ ვსვამთ კითხვას: რაზეა დამოკიდებული ამ პრობლემის გადაჭრა? რასაკვირველია, გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა რაოდენობის წიგნის დაბეჭდვა სურს ანას და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს ის განსაზღვროს თუ რომელ სტამბაში დაბეჭდოს წიგნი, A–ში, თუ B–ში.

მომდევნო ეტაპზე ვადგენთ, თუ რა სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ პრობლემის გადასაწყვეტად და როგორ განვახორციელოთ იგი. აქ საჭიროა ცოდნის რესურსების მოძიება–ორგანიზება, ცოდნის მობილიზება. კერძოდ, ამ მოცემულ კონკრეტულ ამოცანაში საჭირო ხდება მოსწავლემ გამოიყენოს ცოდნა ერთუცნობიანი უტოლობის შედგენისა და ამოხსნისა. მართლაც, თუ ძირითად პარამეტრად ავირჩევთ დასაბეჭდი წიგნების რაოდენობას და შესაბამისად განვსაზღვრავთ ფასებს, მაშინ პრობლემის გადასაჭრელად საჭირო გახდება შევადაროთ ერთმანეთს ერთნაირი რაოდენობის წიგნების შემთხვევაში, რომელ სტამბაში მოგვიწევს ნაკლები თანხის გადახდა. ამას კი შევძლებთ ცვლადის შემცვლელი უტოლობის შედგენით. ამისათვის მსჯელობა ასე წარვმართოთ:

ვთქვათ, ანამ გადაწყვიტა დაბეჭდოს წიგნის x ეგზემპლარი. თუ იგი წიგნის დაბეჭდვას გადაწყვეტს A სტამბაში, მაშინ მან უნდა გადაიხადოს $0,9x$ ლარი, ხოლო თუ გადაწყვეტს წიგნის დაბეჭდვას B სტამბაში, მაშინ, პირველ 500 ცალ ეგზემპლარში უნდა გადაიხადოს 500 ლარი, ხოლო დანარჩენ $(x - 500)$ ეგზემპლარის დაბეჭდვაში მოუწევს $0,8(x - 500)$ ლარის გადახდა. მაშასადამე გვაქვს:

A სტამბაში უნდა გადაიხადოს – $0,9x$ ლარი

B სტამბაში უნდა გადაიხადოს – $500 + 0,8(x - 500)$ ლარი

შევადაროთ ერთმანეთს ცვლადის შემცვლელი ეს ორი გამოსახულება. ვნახოთ, ცვლადის რა მნიშვნელობისათვის შესრულდება შემდეგი უტოლობა:

$$0,9x \leq 500 + 0,8(x - 500)$$

$$0,9x \leq 500 + 0,8x - 400$$

$$0,1x \leq 100$$

$$x \leq 1000$$

აქ უნდა მოხდეს ამ ეტაპზე მიღებული შედეგის შეფასება რეალური ვითარების კონტექსტში. ანუ, მოსწავლემ უნდა დაადგინოს, რა თანხაა საჭირო A და B სტამბებში ცალ-ცალკე, 1000-ის ტოლი, 1000-ზე ნაკლები და 1000-ზე მეტი წიგნის დაბეჭდვის შემთხვევებში. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ანას მიიღოს გადაწყვეტილება და გააკეთოს არჩევანი.

თუ ანა გადაწყვეტს გამოუშვას 1000 ეგზემპლარი, მაშინ სულერთია რომელ სტამბაში დაბეჭდავს, რადგან ხარჯი ერთნაირი იქნება. მართლაც:

A სტამბაში ანას სულ დაეხარჯება $0,9 \times 1000 = 900$ (ლარი), ხოლო

B სტამბაში კი - $500 + 500 \times 0,8 = 900$ (ლარი)

თუ ანა გადაწყვეტს დაბეჭდოს 1000-ზე თუნდაც 1-ით ნაკლები წიგნი, მაშინ სჯობს დაბეჭდოს A სტამბაში, რადგან

A სტამბაში ანას დაეხარჯება - $999 \times 0,9 = 899,1$ (ლარი), ხოლო

B სტამბაში კი - $500 + 0,8(999-500) = 500 + 499 \times 0,8 = 899,2$ (ლარი)

და ბოლოს, თუ ანა გადაწყვეტს დაბეჭდოს 1000-ზე თუნდაც 1-ით მეტი წიგნი, მაშინ უმჯობესია მან ეს წიგნები B სტამბაში დაბეჭდოს, რადგან

A სტამბაში ანას დაეხარჯება - $0,9 \times 1001 = 900,9$ (ლარი), ხოლო

B სტამბაში კი - $500 + 0,8(1001-500) = 500 + 501 \times 0,8 = 900,8$ (ლარი).

სურათი სახეზეა. ანამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის წიგნის დაბეჭდვა სურს.

ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას, შეიძლება გაიმართოს დისკუსია იმაზედაც, საკმარისია თუ არა წიგნების რაოდენობა ჩაითვალოს ძირითად პარამეტრად, თუ სხვა პარამეტრების ცოდნაც აუცილებელია სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. აქ იგულისხმება ქალაქის ხარისხი, წიგნის გვერდების რაოდენობა და ა.შ. ცხადია, მასწავლებელმა უნდა განმარტოს, რომ ყველა ეს პარამეტრი აუცილებლად გასათვალისწინებელია წიგნის დაბეჭდვის დროს, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ ამოცანაში იგულისხმება, რომ ეს პარამეტრები გათვალისწინებულია წიგნის დაბეჭდვის ფასებში.

ლიტერატურა

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpd.c.ge
2. აიმც-ზოგადი უნარების მათემატიკური ნაწილი, 2017.
3. დეისაძე მ. ადგილობრივი ვ.-ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა ხერხები კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2014 წელი.

რეზიუმე

სტატიაში საუბარია პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდის გამოყენებაზე მათემატიკის გაკვეთილზე. სწავლების ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული ამოცანის სახით მოცემული რაიმე პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებისას. ამ დროს მასწავლებელი სვამს არა ინფორმაციული, არამედ პრობლემური სახის შეკითხვებს, რაც მოსწავლეების მხრიდან აზროვნებასა და ცოდნის მობილიზებას მოითხოვს. იგი ზრდის მოსწავლის მოტივაციას, რადგან მოსწავლე ჩართული აღმოჩნდება რეალური პრობლემის გადაჭრის გზების მოძიების მეტად საინტერესო და შემოქმედებით პროცესში, რის შედეგადაც სწავლა მისთვის უფრო სახალისო ხდება. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლების დროს მოსწავლე იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე, იღებს პრობლემის კვლევის მნიშვნელოვან გამოცდილებას. სტატიაში ამ მეთოდის საილუსტრაციოდ განხილულია ამოცანა.

Manana Zivzivadze – Nikoleishvili - Associate Professor, Department of teaching methodology, Akaki Tsereteli State University.

Using problem-solving teaching method at the mathematics lesson

Resume

The article deals with the usage of problem-solving teaching method at the mathematics lesson. This teaching method can be used for finding solutions of problems provided by specific tasks. At this time the teacher asks not informative, but also troublesome types of questions that require students to think and mobilize their knowledge. It will increase the student's motivation, as it turns out student to be involved in the most interesting and creative process of finding solutions to the real problems, resulting in learning more fun for him. Students take more personal responsibility for their own learning and get an important experience of problem solving while being taught with problem-solving teaching method. The article discusses the task to illustrate this method.

გიორგი ლომინაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
ბაკურ ბაკურაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

პარამეტრული განტოლებების სწავლების ზოგიერთი საკითხი

განტოლებას, რომელიც უცნობის გარდა ასოებით აღნიშნულ რიცხვებს შეიცავს, პარამეტრული ანუ პარამეტრის შემცველი განტოლება ეწოდება, ხოლო მასში შემავალ ასოებს პარამეტრები. განვიხილოთ განტოლება $f(a, b, c, \dots, k, x) = \varphi(a, b, c, \dots, k, x) - (1)$

სადაც a, b, c, \dots, k, x ცვლადი სიდიდეებია, ხოლო f და φ თავისი არგუმენტების მოცემული ფუნქციები.

ცვლადის ნებისმიერ მნიშვნელობათა სისტემას $a = a_0, b = b_0, c = c_0, k = k_0, x = x_0$ რომლისთვისაც (1) განტოლების, როგორც მარჯვენა ისე მარცხენა ნაწილები განსაზღვრულია და ლეზულობენ ნამდვილ მნიშვნელობებს, ეწოდება a, b, c, \dots, k, x ცვლადების დასაშვებ მნიშვნელობათა სისტემა. თუ a, b, c, \dots, k პარამეტრებისთვის დავაფიქსირებთ კონკრეტულ რიცხვით მნიშვნელობებს $a_0, b_0, c_0, \dots, k_0$, ისე რომ $g(x) = f(a_0, b_0, c_0, \dots, k_0, x) - \varphi(a_0, b_0, c_0, \dots, k_0, x)$ ფუნქციას გააჩნდეს არაცარიელი დმა, მაშინ (1)-ის ნაცვლად მივიღებთ ერთუცნობიან $g(a_0, b_0, c_0, \dots, k_0, x) = 0$ (2) განტოლებას, რომელიც არ შეიცავს პარამეტრებს. (2) განტოლების ამონახსნი დამოკიდებულია პარამეტრებისთვის არჩეულ a, b, c, \dots, k მნიშვნელობათა სისტემაზე. მაშასადამე (1) განტოლების ამონახსნი x -ის მიმართ წარმოადგენს a, b, c, \dots, k სიდიდეების ფუნქციას. თუ ამ ამონახსნს აღვიშნავთ $F(a, b, c, \dots, k)$ -თი მაშინ მივიღებთ $f(a, b, c, \dots, k, F(a, b, c, \dots, k)) = \varphi(a, b, c, \dots, k, F(a, b, c, \dots, k))$. a, b, c, \dots, k ცვლადებს, რომლებიც (1) განტოლების ამოხსნისას მუდმივ სიდიდეებად ჩაითვლებიან პარამეტრები ეწოდება, ხოლო თვითონ (1)-ს პარამეტრული განტოლება.

თუ განტოლებაში პარამეტრს (ან პარამეტრებს) მივანიჭებთ რაიმე მნიშვნელობებს, მაშინ შესაძლებელია ორი შემთხვევა.

1. მიიღება განტოლება, რომელიც შეიცავს მხოლოდ მოცემულ რიცხვებს და უცნობებს და არ შეიცავს პარამეტრებს.
2. მიიღება გამოსახულება რომელიც აზრს კარგავს.

პირველ შემთხვევაში პარამეტრის ან პარამეტრების მნიშვნელობებს ეწოდება დასაშვები, მეორე შემთხვევაში კი არადასაშვები მნიშვნელობები. განტოლების ამოხსნის დროს პარამეტრის დასაშვები მნიშვნელობები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

ყურადღება გავამახვილოთ პარამეტრული განტოლებების ამოხსნის მნიშვნელოვან ნაწილზე-პასუხის ჩაწერაზე. განსაკუთრებით ეს საჭიროა, როცა ამოხსნა რამდენიმე ეტაპად იყოფა. აუცილებელია პასუხში აისახოს ამოხსნის ყველა ეტაპი. მაშასადამე, პასუხის შედგენა არის ყველა წინა ეტაპის შედეგად მიღებული შედეგების გაერთიანება.

პარამეტრული განტოლებების ამოხსნა ჩვეულებრივ პარამეტრებს და უცნობების დმა-ის დადგენით იწყება. შემდეგ სრულდება გარკვეული გარდაქმნები, რათა უცნობი გამოისახოს პარამეტრების საშუალებით. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამოიხსნას (1) განტოლება ნიშნავს იმის დადგენას თუ პარამეტრების რა მნიშვნელობებისთვის არსებობს ამონახსნები და ვიპოვოთ ამ ამონახსნებისთვის განტოლების ყველა ამონახსნთა სიმრავლე. თუ განტოლება რამდენიმე პარამეტრს შეიცავს, მაშინ ამონახსნთა სიმრავლე იქნება პარამეტრებს შორის გარკვეული თანაფარდობების შესრულების შემთხვევაში. აუცილებელია გამოვკვლით იქნას პარამეტრების განსაკუთრებული მნიშვნელობები. რომელთათვისაც ამონახსნები არსებობენ, მაგრამ არ გამოისახებიან მიღებული ფორმულებით. თუ პარამეტრის თუნდაც ერთი რომელიმე მნიშვნელობისათვის (1) განტოლება არ იქნება გამოკვლეული, მაშინ ამოცანა არ შეიძლება ჩაითვალოს ბოლომდე ამოხსნილად.

საჭიროა განვასხვაოთ განტოლების გამოკვლევის ორი სახე: 1) ძირითადი; 2) დამატებითი.

ძირითადი ვუწოდოთ ყოველგვარ გამოკვლევას, რომელიც მონაწილეობს განტოლების ამოხსნის პროცესში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ამრიგად ძირითადი გამოკვლევა გამომდინარეობს

მოთხოვნიდან „ ამოხსნით განტოლება“. მაგალითად , ძირითად გამოკვლევას ეკუთვნის საკითხები: გამოვავლინოთ გარეშე ამონახსნები, ვიპოვოთ პარამეტრის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლე. გამოვიკვლიოთ იძლევა თუ არა პარამეტრებზე დამოკიდებული ნაპოვნი ფუნქციები განტოლების ყველა ამონახსნს. პარამეტრების ყველა დასაშვები მნიშვნელობებისთვის ეს ფუნქციები აკმაყოფილებენ თუ არა განტოლებას.

დამატებითაა ყოველგვარი გამოკვლევა, რომელიც არ გამომდინარეობს მოთხოვნიდან „ ამოხსნით განტოლება“ ძირითადისგან განსხვავებით დამატებით გამოკვლევას არ გააჩნია განსაზღვრული შინაარსი თუ არაა მითითებული, კერძოდ განტოლების რა თვისებები და ამონახსნები ექვემდებარება გამოკვლევას. მაგალითად, დამატებით გამოკვლევას ეკუთვნიან ასეთი საკითხები: გამოყავით ამონახსნი რომელიც აკმაყოფილებს დამატებით პირობებს.

თუ მოცემული არ არის არავითარი დამატებითი პირობები, მაშინ განტოლების გამოკვლევა მდგომარეობს იმაში, რომ დავადგინოთ პარამეტრების რა მნიშვნელობებისთვის აქვს განტოლებას ამონახსნები და რა მნიშვნელობებისთვის არ აქვს.

განვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი :

$$\text{ამოხსნით განტოლება} \quad \frac{3}{kx-12} = \frac{1}{3x-k} \quad (3)$$

ამოხსნა: x -ის და k -ს დასაშვები მნიშვნელობები იქნება ყველა ის მნიშვნელობა, რომლებისთვისაც $kx \neq 12$ და $3x \neq k$. დავიყვანოთ (3) შემდეგ სახეზე $(9-k)x = 3k-12$ (4). ვიპოვოთ k -ს მნიშვნელობები, რომლებისთვისაც (3) და (4) განტოლებები არაა ტოლფასი, ანუ როცა (3) კარგავს აზრს.

თუ ჩავსვამთ (4)-ში $x = \frac{12}{k}$, მაშინ

$$\text{მივიღებთ: } (9-k) \cdot \frac{12}{k} = 3k-12 \Rightarrow 108-12k = 3k^2-12k \Rightarrow k = \pm 6 \text{ თუ } (4)\text{-ში ჩავსვამთ}$$

$x = \frac{k}{3}$, მაშინ აგრეთვე გვექნება $k = \pm 6$. ამრიგად, როცა $k = \pm 6$ (3) განტოლებას არ აქვს აზრი. ე.ი. $k = \pm 6$ (3)-თვის არ არის დასაშვები. ქვემოთ ვიგულისხმობთ რომ $k \neq \pm 6$.

თუ $9-k \neq 0$, მაშინ (4) განტოლებას აქვს ერთადერთი $x = \frac{3k-12}{9-k}$ ამონახსნი, რომელიც ერთადერთი ამონახსნი იქნება (3) განტოლებისთვისაც. ეს ამონახსნი იქნება :

უარყოფითი, თუ $(9-k) \cdot (3k-12) < 0 \Rightarrow k < 4 \vee k > 9$ თუ გავითვალისწინებთ, რომ $k \neq -6$, მივიღებთ $K \in (-\infty; -6) \cup (-6; -4) \cup (9; +\infty)$

დადებითი, თუ $(9-k) \cdot (3k-12) > 0 \Rightarrow 4 < k < 9$, თუ გავითვალისწინებთ, რომ $k \neq 6$ მივიღებთ $K \in (4; 6) \cup (6; 9)$

ნულოვანი, თუ $3k-12 = 0 \Rightarrow k = 4$

თუ $9-k = 0 \Rightarrow k = 9$. მაშინ (4) განტოლებას ამონახსნი არ აქვს.

პასუხი: $x = \frac{3k-12}{9-k}$, როცა $k \neq \pm 6$ და $k \neq 9$, $x > 0 \forall k \in (4; 6) \cup (6; 9) \cup (9; +\infty)$, $x < 0 \forall k \in (-\infty; -6) \cup (-6; 4) \cup (9; +\infty)$, $x = 0$, როცა $k = 4$.

a პარამეტრის რა მნიშვნელობისათვის აქვს $\sqrt{x+1} = x+a$ განტოლებას ერთადერთი ამონახსნი.

ამოხსნა: დავუშვათ $\sqrt{x+1} = t$ სადაც $t \geq 0$, საიდანაც

$$x = t^2 - 1. \sqrt{x+1} = t \Rightarrow t^2 - 1 = t \Rightarrow t^2 - t - 1 = 0 \text{ განტოლებას აქვს ერთი ფესვი, როცა } t_0 \geq 0 \text{ მივიღებთ კვადრატულ}$$

განტოლებას $t^2 - t + a - 1 = 0$ რომლის დისკრიმინანტი ტოლია $5 - 4a$.

თუ დისკრიმინანტი 0-ის ტოლია ე.ი. $a = 1,25$, მაშინ კვადრატულ განტოლებას $t^2 - t + 0,25 = 0$ ან $(t-0,5)^2 = 0$ გააჩნია ერთადერთი ფესვი $t = 0,5 > 0$. ცხადია მოცემულ განტოლებას გააჩნია ერთი ფესვი როცა $a = 1,25$.

თუ დისკრიმინანტი ნულის ტოლია ე.ი. $a < 1,25$, მაშინ კვადრატულ განტოლებას აქვს ორი ფესვი.

ამ ფესვებს აქვთ განსხვავებული ნიშნები $t_1 t_2 = a < 0$. ამოვხსნათ სისტემა $\begin{cases} a < 1,25 \\ a - 1 < 0 \end{cases}$ მივიღებთ პირობას $a < 1$, რომლისათვისაც მოცემულ განტოლებას აქვს ერთი ფესვი.

ერთი ფესვი მაინც უდრის 0-ს. მაშინ $a - 1 = 0$, $a = 1$. კვადრატულ განტოლებას $t^2 - t + a - 1 = 0$ აქვს ორი არაუარყოფითი ფესვი $t_1 = 0$ და $t_2 = 1$ ე.ი. მოცემულ განტოლებას აქვს ასევე ორი ფესვი.

პასუხი: $a = 1,25$; $a < 1$

ვიპოვოთ p პარამეტრის ყველა მნიშვნელობა რომელთათვისაც განტოლებას $3 \cos 2x + \frac{2p}{\sin x} = -17$ გააჩნია ფესვი.

ამოხსნა: პირობით $\sin x \neq 0$ მოცემული განტოლება მიიყვანება შემდეგ სახეზე $3(1 - \sin^2 x)\sin x + 2p = -17\sin x$ ან $p = 3\sin^3 x - 10\sin x$ დავუშვათ $\sin x = t$, სადაც $t \in [-1; 0) \cup (0; 1]$. ფუნქცია $p(t) = 3t^3 - 10t$ წარმოადგენს კენტ ფუნქციას და გააჩნია წარმოებული რომელიც $9t^2 - 10$ ის ტოლია, ამასთან წარმოებული ნაკლებია ნულზე განსახილველ სიმრავლეზე. რადგანაც $p(t)$ ფუნქცია კლებადია და უწყვეტი $(0;1)$ ინტერვალზე, მაშინ ის ღებულობს ყველა მნიშვნელობას $[p(1); p(0)] = [-7; 0]$ ინტერვალიდან. $p(t)$ ფუნქციის კენტობის ძალით ის მიიღებს ყველა მნიშვნელობას $[-7; 0) \cup (0; 7]$ სიმრავლიდან.

ცხადია p -ს ყველა მნიშვნელობებისათვის $[-7; 0) \cup (0; 7]$ სიმრავლიდან მოცემულ განტოლებას გააჩნია ამონახსენი.

პასუხი : $[-7; 0) \cup (0; 7]$

ლიტერატურა

1. Пособие по математике для поступающих в вузы. Г.В. дорофеев М.Кю Попов Н.Х. Розов Москва 1976.
2. Уравнения и неравенства содержащие параметры. Г.А. Ястребдинецки Москва 1972

რეზიუმე

მათემატიკის სასკოლო კურსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პარამეტრულ განტოლებებს. მათი ამოხსნის სწავლება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ნაშრომში განვიხილეთ პარამეტრული განტოლებების სწავლების რამდენიმე ასპექტი. ასევე წარმოდგენილია რამდენიმე საინტერესო ამოცანა რომელიც ამ საკითხის სწავლებასთანაა დაკავშირებული.

Abstract

Parametric equations take an important role in mathematics curriculum at school. To teach how to solve them is very difficult and complicated. This paper deals with the discussion of some teaching aspects of parametric equations. Some interesting sums are also given in the paper for the discussion.

ნინო გელოვანი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, სსიპ მეფე ერეკლე II-ის სახელობის ქალაქ თელავის #1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

ირინე გიგილაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, სსიპ მეფე ერეკლე II-ის სახელობის ქალაქ თელავის #1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

განმავითარებელი შეფასების აქტივობები, როგორც მათემატიკის სწავლების ხელშემწყობი აქტივობები

როგორც ვიცით სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განმსაზღვრელი შეფასების მიზანია: სწავლის ხარისხის გაკონტროლება, მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში, აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა. განმავითარებელი შეფასების მიზანი არის სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა. მათემატიკის სწავლებისას განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება. მასწავლებელთა უმრავლესობა დამეთანხმება, რომ დღემდე გაურკვეველია განმსაზღვრელი შეფასება უფრო პრიორიტეტულია, თუ განმავითარებელი. შეფასების რომელი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, რომ ზუსტად შევაფასოთ რაც მოსწავლეებმა შეისწავლეს. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა განვითარებას და თვითრეალიზებას. ამის მიღწევა შესაძლებელია, თუ მასწავლებელი ეცდება, რომ საინტერესო გახადოს სასწავლო გარემო. დასამალი არ არის, რომ დღეს-დღეობით განმავითარებელ შეფასების როლს მოსწავლის განვითარებაში მასწავლებელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დიდ მნიშვნელობას არ აძლევს. მათთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება შესაძლებელია იყოს მასწავლებელსა და მოსწავლეს, მშობელსა და ბავშვს, თანაკლასელებს შორის შორის დამაბული დამოკიდებულების შექმნის მიზეზი, რადგანაც ხშირად მოსწავლეს და მშობელს მიაჩნიათ, რომ ნიშნებით შეფასება არის არაობიექტური. ზოგიერთ მასწავლებელს ჯერ კიდევ არა აქვს გააზრებული, რომ განმავითარებელი შეფასება მოსწავლის აზროვნებაზეა ორიენტირებული. „ნიშანი“ მხოლოდ ცოდნას ზომავს. „ცუდი“ ნიშანი მოსწავლეებს მოტივაციას უკარგავს, რადგანაც ვერ გარკვეულან რატომ მიიღეს დაბალი ქულა. ისინი უკმაყოფილონი არიან. აღნიშნავენ, რომ მათ ბევრი იშრომეს, კარგად ისწავლეს და მაინც დაბალი „ქულა“ მიიღეს. მათ არ იციან კიდევ რა უნდა ისწავლონ, რომ კარგი „ქულა“ მიიღონ. მოსწავლეებს არ სურთ, რომ წარუმატებელი იყვნენ, ეშინიათ შეცდომების დაშვების. ამიტომ, შესაძლებელია ამ დროს მოსწავლეებს დაბალი თვითშეფასება ჩამოუყალიბდეთ. შეფასება კი ხელს უნდა უწყობდეს სწავლის პროცესში მოსწავლის ჩართულობის მატებას, თვითშეფასების ამაღლებას. აღმოჩენილი შეცდომის ანალიზი მოსწავლეს ცოდნის გამყარებაში უნდა დაეხმაროს. მასწავლებელმა მოსწავლის პასუხები კი არ უნდა განსაჯოს, არამედ უნდა გაულრმავოს და წახალისოს მოსწავლეთა აზროვნება, დაეხმაროს მათ წინარე გამოცდილება დაუკავშირონ ახალ ცოდნას, რომ მათ შეძლონ მიღებული ცოდნის გამოყენება.

განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაარკვიოს თუ რა იციან და რა შეუძლიათ მის მოსწავლეებს. მასწავლებელს ეხმარება იმის გარკვევაში, რომელი მოსწავლე საჭიროებს დახმარებას. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს გააზრებულ სწავლებას. საჭიროა მუდმივად გამოწმობთ მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისება.

ეს საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ მოსწავლეთა საჭიროებები და აქტივობები შესაბამისად გამოვიყენოთ. განმავითარებელი შეფასება ეხმარება მასწავლებელს დააკვირდეს მოსწავლის განვითარებას და მისი შესაძლებლობები ზუსტად განსაზღვროს. მოსწავლეები თვითონვე ახორციელებენ სწავლების მონიტორინგს. შეცდომები მათთვის სწავლის პროცესის ნაწილია და ცდილობენ მათ გამოსწორებას. ჯონ დიუი, ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების სპეციალისტი თვლიდა, რომ „წარმატებული სწავლისათვის საუკეთესოა გამოცდილებით და სოციალური ინტერაქციით ცოდის მიღება.“ რომელი აქტივობები შეიძლება გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასებისას? განმავითარებელი შეფასების ყველაზე გავრცელებულ აქტივობას წარმოადგენს უკუკავშირი. არსებობს წამახალისებელი უკუკავშირი და უკუკავშირი, რომელიც მოსწავლეს გულს უცრუებს სწავლაზე. თუ მასწავლებლის მიერ უკუკავშირი სწორად იქნება აგებული

ასეთ შემთხვევაში მას დადებითი ეფექტი ექნება მოსწავლის სწავლის პროცესზე. ეფექტიანი უკუკავშირი სამი ნაწილისაგან შედგება: რა გაკეთდა კარგად? რა საჭიროებს გაუმჯობესებას? როგორ უნდა მოხდეს გაუმჯობესება? უკუკავშირი მოსწავლეს უნდა აძლევდეს ინფორმაციას იმის შესახებ თუ დავალება რამდენად კარგად შეასრულა, მოსწავლემ უნდა მიიღოს რეკომენდაცია თუ როგორ მიაღწიოს სასურველ შედეგს. ეფექტიანი უკუკავშირის შემუშავებაში მასწავლებელს შემდეგი საწყისი სიტყვები შეიძლება დაეხმაროს: შენ მართლაც კარგად გააკეთე ორი რამ... ეს კარგი ნაშრომია, რადგან.... და ა.შ. მოსწავლისათვის მიწოდებული უკუკავშირის ოდენობა დამოკიდებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მზობაზე, განვითარების დონეზე. უკუკავშირის მოცულობაში უნდა ჩაიდოს მხოლოდ ის რაც, მოსწავლეს საკმარის დახმარებას აღმოუჩენს სისუსტეების დაძლევაში. გაწეული რეკომენდაციები უნდა იყოს კონკრეტული. სასწავლო მიზნებთან დაკავშირებული უკუკავშირი სასურველია არ აღემატებოდეს 2-3 წინადადებას. მასწავლებლის მხრიდან უწყვეტი უკუკავშირი მოსწავლეებს ეხმარება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, ხოლო მასწავლებელს აჩვენებს, რომ თუ როგორ წარმართავს სწავლების პროცესს. უკუკავშირი მასწავლებელს ეხმარება სასწავლო მიზნის მიღწევაში. ის უნდა მიმდინარეობდეს კეთილ განწყობილ გარემოში. უკუკავშირის დროს, მასწავლებელმა პირველ რიგში უნდა აღნიშნოს, თუ მოსწავლეს რა აქვს კარგად შესრულებული. შემდგომ მიუთითოს შეცდომებზე, მიაწოდოს კონკრეტული რეკომენდაციები, რის საფუძველზეც მოსწავლე ცვლილებებს შეიტანს სწავლის პროცესში. განმავითარებელი შეფასება განსაკუთრებით დაბალი შედეგების მქონე მოსწავლეებს ეხმარება. პროგრესი მით უფრო თვალშისაცემია, რაც უფრო ხშირად გამოიყენებს მასწავლებელი დაბალი შედეგების მქონე მოსწავლეებში უკუკავშირის განმავითარებელი შეფასების სახით. განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს აჩვენებს მიაღწია თუ არა სასურველ შედეგს, შესასწავლი მასალა მოსწავლეებმა რამდენად კარგად გაიგეს, თუ საჭიროა მასწავლებლის მხრიდან სტრატეგიის შეცვლა.

მოსწავლეთა შესაძლებლობის დადგენის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს შეკითხვების დასმა. კითხვების დასმა არ უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებას. მიზანმიმართული შეკითხვების დასმით ერთის მხრივ მოსწავლეებს ვეხმარებით საკითხის გააზრებაში, შესწავლაში, მეორეს მხრივ ეს საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ მოსწავლეთა ათვისების დონე, დავინახოთ რამდენად გაიაზრეს მოსწავლეებმა ესა თუ ის საკითხი. შეკითხვები გვეხმარება დავადგინოთ რა ისწავლეს მოსწავლეებმა არასწორად და ამის გამოსასწორებლად რა უნდა ისწავლონ. სასურველია გამოვიყენოთ ისეთი შეკითხვები, რომელიც მოსწავლეთა მათემატიკურ აზროვნებას წაახალისებს. ასეთი შეკითხვებია: რა მსგავსებაა? რა განსხვავებაა? როგორ ფიქრობ ამას რა მოჰყვება? რატომ ფიქრობ ასე? რა აღმოაჩინე? ვინ ამოხსნა სხვანაირად? ყველა შესაძლო ვარიანტი განვიხილოთ? მოსწავლეთა მხრიდან არასწორი პასუხების შემთხვევაში მასწავლებელმა თვითონვე არ უნდა თქვას კითხვის სწორი პასუხი, არამედ უნდა გამოიყენოს ისეთი მინიშნებები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება სწორი პასუხის გაცემაში. შესაძლებელია მასწავლებელმა ამ დროს მოახდინოს დასმული კითხვის პერფორმირება. ან იგივე შეკითხვა სხვა მოსწავლეს დაუსვას და მოგვიანებით შეამოწმოს მოსწავლემ შეასწორა თუ არა პასუხი. მოსწავლის არასწორი პასუხის დროს მასწავლებელმა უნდა გამოკვეთოს, რომ პასუხი არასწორია, რათა სხვა მოსწავლეებს არასწორი ინფორმაცია არ მივაწოდოთ, მოსწავლეს კი მცდელობა უნდა მოეუწონოთ. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეები პასუხს აგვიანებენ, ასეთ დროს მასწავლებელმა მინიშნება უნდა მისცეს მოსწავლეს, დაეხმაროს საჭირო დეტალის გახსენებაში. ეს მოსწავლეს დაეხმარება ინფორმაციის აღქმაში, სტრუქტურირებაში. მოსწავლეების მხრიდან არცერთი შეკითხვა არ უნდა დავტოვოთ რეაგირების გარეშე. თუ რომელიმე შეკითხვა თემიდან გადახვევას გამოიწვევს, ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს უნდა ავუხსნათ, რომ შეკითხვა კარგია და მას შესაფერის დროს დავუბრუნდებით ან დროის უკმარისობის გამო პასუხს გაკვეთილის შემდეგ გავცემთ. აღნიშნულ კითხვაზე მოსწავლემ აუცილებლად უნდა მიიღოს პასუხი. თუ გვსურს ჩვენმა მოსწავლეებმა წარმატებას მიაღწიონ, მოსწავლეს არც კითხვის დასმის და არც არასწორი პასუხის გამო არ უნდა ეშინოდეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსწავლეს აქვს დაფასებისა და პატივისცემის მოთხოვნილება. მოსწავლეს არასოდეს არ უნდა ვუთხრათ: რა უაზრო კითხვაა? ასეთ კითხვას როგორ სვამ? ეს რა პასუხია? ეს შეგეკითხე? ჩენი პასუხები ყოველთვის უნდა იყოს წამახალისებელი. პრაქტიკიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ მოსწავლეებისათვის ერთ-ერთ სახალისო აქტივობას წარმოადგენს „ხელის ნიშნები“. იმის საჩვენებლად თუ როგორ გაიგეს საკითხი მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ხელის ნიშნები.

ცერა თითი მაღლა	ცერა თითი გვერდზე	ცერა თითი დაბლა
მესმის საკითხი და შემოდის მისი ახსნა	არ ვარ ბოლომდე დარწმუნებული, კარგად გავიგე, თუ დახმარება მჭირდება	ჯერ არ მესმის საკითხი/ვერ გავიგე
		

როგორც უკვე აღვნიშნეთ აღნიშნული აქტივობა მოსწავლეებისათვის სახალისოა და მასში მთელი კლასი არის ჩართული. მასწავლებელს საშუალება ეძლევა შეამოწმოს საკითხის ათვისების დონე მოსწავლეებში და იმოქმედოს საჭიროებისამებრ.

სტრატეგია 3-2-1 ეფექტიანი საშუალებაა რითაც შეგვიძლია გაკვეთილი დავასრულოთ. მოცემული აქტივობის მიხედვით მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ სამი რამ, რაც იმ დღეს ისწავლეს, ორი რამ, რაც მათთვის საინტერესო იყო და კიდევ ერთი შეკითხვა, რომლის დასმაც სურთ.

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებისას დიდ დახმარებას გაგვიწევს „მოკლე ჩანაწერები“ და „მონიტორინგის რვეული“. გაკვეთილის მსვლელობისას შეგვიძლია მოკლედ ჩავინიშნოთ ინფორმაცია, სწავლის ამა თუ იმ ასპექტის შესახებ. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტულ საკითხში მოსწავლის სისუსტის დასადგენად. შეგვიძლია ასევე გამოვიყენოთ რვეული, სადაც თითოეულ მოსწავლეს თავისი სექცია ექნება და მთელი წლის განმავლობაში ჩავინიშნავთ ინფორმაციას მათი სწავლის შესახებ. ეს დაგვეხმარება შედეგების უკეთ გაანალიზებაში.

ზემოთ ჩვენ, განვიხილეთ განმავითარებელი შეფასების რამოდენიმე აქტივობა, რომლებსაც ხშირად ვიყენებთ სასკოლო პრაქტიკაში. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი აქტივობა შეიძლება იქცეს განმავითარებელ შეფასების ინსტრუმენტად, თუ ის დაეხმარება მოსწავლეებს გააცნობიერონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები, დასახონ სასურველი შედეგის მისაღწევი გზა. თუ მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებას ხშირად გამოიყენებს, დაინახავს, რომ ის იმდენად კარგ შედეგს იძლევა, იმდენად მძლავრი საშუალებაა მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, რომ მას ყოველდღიურ პრაქტიკად აქცევს.

და მაინც რატომ უნდა გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასება? პრაქტიკა აჩვენებს, რომ განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს:

- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას სწავლისადმი და მათ ჩაბმას სწავლის პროცესში.
- მოსწავლეების თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას
- გვეხმარება მივიღოთ ინფორმაცია სწავლების პროცესში შესატანი შესწორებების შესახებ
- მოსწავლეებს ეხმარება გააცნობიერონ რა ისწავლეს და როგორხელს უწყობს მოსწავლეებში მათემატიკური არგუმენტირებული მსჯელობის სტიმულირებას.

ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011 – 2016 წ.წ.
2. გ.ნოზაძე-განმავითარებელი შეფასების შესახებ (2013 წ)
3. ჯემალ ჯინჯიხაძე- თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები
4. ჯემალ ჯინჯიხაძე-პიროვნების სასკოლო მათემატიკური განვითარების ძირითადი პრობლემები
5. დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის-მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგიის საკითხები

რეზიუმე

მათემატიკის სწავლებისას განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება. მასწავლებელთა უმრავლესობა დამეთანხმება, რომ დღემდე გაურკვეველია განმსაზღვრელი შეფასება უფრო პრიორიტეტულია, თუ განმავითარებელი. შეფასების რომელი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, რომ ზუსტად შევავსოთ რაც მოსწავლეებმა შეისწავლეს. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა განვითარებას და თვითრეალიზებას. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება მოსწავლეთა ინტერესის, მოტივაციის, აზროვნების გააქტიურებაში. თუ მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებას ხშირად გამოიყენებს, დაინახავს, რომ ის იმდენად კარგ შედეგს იძლევა, იმდენად მძლავრი საშუალებაა მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, რომ მას ყოველდღიურ პრაქტიკად აქცევს.

Nino Gelovani – Doctorant of Telavi State University of Iakob Gogebashvili, Mathematics teacher of LEPL Telavi public school №1 of Erekle King II

Irine Gigilashvili - Doctorant of Telavi State University of Iakob Gogebashvili, primary school teacher of LEPL Telavi public school №1 of Erekle King II

Developing assessment activities, as promoting activities of teaching the mathematics

Resume:

During the course of teaching mathematics it is very important to make the developing assessment. Most teachers agree that it is still unclear for today what is more important the determining assessment or developing assessment, which method of assessment should be used to evaluate exactly what the students have learned? The pupil's knowledge and skills assessment should support the development and self-realization of the pupils. Developing assessment helps the pupils to activate their interests, motivation and thinking. Developing assessment gives the opportunity to the teacher to find out from the pupils what they know and what they can. If the teacher will use the developing assessment very often, she will see that it is effective and powerful way to improve the pupil's academic performance and daily practice.

ნინო გელოვანი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, სსიპ მეფე ერეკლე II-ის სახელობის ქალაქ თელავის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

დიფერენცირებული სწავლება, როგორც მათემატიკის სწავლების ხელშემწყობი ფაქტორი

ტრადიციული სწავლების დროს პრიორიტეტი ცოდნის შეთვისებას ენიჭებოდა და არა პიროვნების განვითარებას. უგულველყოფილი იყო მოსწავლის ინტერესები, სურვილები. სწავლება ემსახურებოდა მზა ცოდნის გადაცემას, მექანიკურ დამახსოვრებას. მასწავლებელი წყვეტდა რომელი ამოცანა იყო გასაკეთებელი. სწავლება იყო ავტორიტარული. მასწავლებელი იყო აქტიური, წარმართველი, ყოველთვის მართალი. მოსწავლე პასიური, მორჩილი. თანამედროვე განათლების სისტემაში პრიორიტეტი ენიჭება მოსწავლეს, მის პიროვნებას. მთავარია მოსწავლე. მასწავლებელმა მოსწავლეს მზა ცოდნა კი არ უნდა მისცეს, არამედ „უბიძგოს, წააქეზოს“ სწავლებისაკენ. სწავლება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას. თანამედროვე სწავლება ითვალისწინებს ბავშვების თავისებურებებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს. თანამედროვე განათლება ისეთი განათლებაა, როდესაც პრიორიტეტია მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული განათლება. ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს რა სჭირდება ჩვენ მოსწავლეებს. სწორედ მათი ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. მოსწავლეებს შევთავაზოთ ისეთი დავალებები, რომლებიც მათი შესაძლებლობებს არ აღემატება, მათთვის დამლევადი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში დავალებებმა შეიძლება დააფრთხოს ბავშვი. მოსწავლეს უჩნდება იმის განცდა, რომ მათემატიკა რთული საგანია. ჩვენ, მასწავლებლებმა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ადამიანს ააქვს წარმატების მიღწევის სურვილი. ამიტომ უნდა შევქმნათ ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეებს არ ექნებათ წარუმატებლობის შიში. უნდა ვეცადოთ, რომ ყოველი მოსწავლე ჩავრთოთ სასწავლო პროცესში, რადგანაც პასიურობა მოსწავლეთა მოტივაციასა და ცნობისმოყვარეობას ანელებს. კვლევები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა ინტერესი სწავლისადმი მით უფრო დიდია, რაც უფრო ორგანიზებული გვაქვს სასწავლო კურსი. დ. უზნაძე თვლიდა, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა განვითარებისათვის. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნის საშუალებას წარმოადგენს სწავლების დიფერენცირება. მათემატიკის სწავლებისას მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დიფერენცირება. უკვე აღარ არის საკმარისი, რომ შევიდეთ კლასში და ყველა მოსწავლეს „ერთნაირად“ ვასწავლოთ, ამოსახსნელად „ერთნაირი ამოცანები მივცეთ „10“ ქულოსან და იმ მოსწავლეს, რომელსაც „5“ ქულაზე მეტი სწავლა „ არ შეუძლია“. კარგ მასწავლებელს უნდა შეეძლოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და სასწავლო შესაძლებლობების შესწავლა. დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლებიც თითოეულ მოსწავლის შესაძლებლობაზე იქნება გათვლილი. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებები განსხვავებულია, ამიტომ ყველა მოსწავლე ერთ შედეგზე ვერ გავა. მასწავლებელს უნდა შეეძლოს სწავლების დიფერენცირება ანუ მოსწავლეთა დაყოფა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით (მზაობა, ინტერესები, სასწავლო პროფილი), ჯგუფებად. სავარჯიშოები თითოეული ჯგუფისათვის უნდა იყოს შესაბამისი. მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც მოსწავლეს ექნება საშუალება თავის თავის გამოვლენის, სადაც მოსწავლეს სასწავლო მასალა მიეწოდება შესაბამის მოდალობაში. დიფერენცირება უნდა ემყარებოდეს მოსწავლეთა ცოდნას, ინდივიდუალურ თავისებურებებს, ინტერესებს, უნარებს. მოსწავლის ყურადღების შენარჩუნება ეფექტური სწავლების საწინდარია. მოსწავლეს არ უნდა შეეუქმნათ ისეთი მოლოდინი, რომ მას მასწავლებელი მიუღწევად მოთხოვნებს უყენებს. სწავლის სურვილი მოსწავლეში მაშინ იკარგება თუ მისი მცდელობა საკითხის გადაწყვეტისას (ამოცანის, მაგალითის ამოხსნა) წარუმატებლობით მთავრდება. ასეთ შემთხვევაში მას სწავლაზე გული უცრუდება და საგნისადმი ინტერესი ეკარგება. მოსწავლეებს სხვასახვა განსხვავებები აქვთ: ზოგი მოსწავლე ტექნიკურ საგნებს იოლად ითვისებს, მაგრამ ჰუმანიტარული საგნებისადმი არ ააქვს მიდრეკილება, სხვა მოსწავლეს პირიქით, ტექნიკური საგნები უჭირს, ჰუმანიტარული საგნებს ადვილად სწავლობს. მოსწავლეები შეიძლება ცოდნის დონით, მასალის ათვისების სისწრაფითაც განსხვავდებოდნენ. მოსწავლეს არ უნდა მივცეთ ისეთი დავალება, რომელიც ბევრად აღემატება მის განვითარების დონეს. ასეთი დავალება მოსწავლემ შეიძლება საერთოდ ვერ შეასრულოს, ან არასრულად შეასრულოს. დავალება ძალიან მარტივიც არ უნდა იყოს. თუ დავალება ძალიან მარტივი იქნება,

მოსწავლე მიზანს ადვილად მიაღწევს და ეს არ შეუწყობს ხელს მის განვითარებას. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ მოტივაცია დაკარგოს. მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის გასაზრდელად, საჭიროა სწავლებისადმი სხვადასხვა მიდგომები. დიფერენცირება არის ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებს შორის არსებული განსხვავების გათვალისწინებაზე. ჩვენ, მასწავლებლებს უნდა შეგვეძლოს ისეთი დავალებების განსაზღვრა, შექმნა და გამოყენება, რომლებიც შეესაბამება მოსწავლის მიმდინარე მოთხოვნილებას, ასწავლის სასწავლო მასალას და ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარს.

თანამედროვე სწავლება მასწავლებლისაგან შემოქმედებით მიდგომას გულისხმობს. მას უნდა შეეძლოს მოსწავლეთა განვითარებისთვის საუკეთესო გზის პოვნა. სწორედ ასეთი გზაა დიფერენცირება. დიფერენცირება გვცხმარება მოსწავლეთა ინტერესის, მოტივაციის, აზროვნების გააქტიურებაში. მას აქვს არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი და განმავითარებელი დანიშნულება. ხელს უწყობს მოსწავლეებში აზროვნების უნარების განვითარებას. ზრდის მოსწავლეთა მიერ მათემატიკურ არგუმენტირებულ მსჯელობას. ამალეებს მოსწავლეთა თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას. ყველა მოსწავლე მონაწილეობს სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა თვითდაჯერება მალდება. ეს ეხმარება მოსწავლეებს სწავლის მოტივის გაცნობიერებაში, საკუთარი საქმიანობის დაგეგმვაში, სირთულეების დაძლევაში. მოსწავლე თვითონ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ განვითარებაზე. სწავლება უფრო ეფექტურია. დიფერენცირება ითვალისწინებს მოსწავლეთა თავისებურებებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს. ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და ინდივიდუალური თავისებურებების განვითარებას. დიფერენცირება მოსწავლეთა სწავლის შედეგების მუდმივი გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია დროულად გაუჩიოს ინდივიდუალური დახმარება იმ მოსწავლეებს ვისაც ეს სჭირდება. თუმცა, ყოველივე ზემოთაღნიშნულისა, დიფერენცირებისას სიფრთხილე გვმართებს. მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ მასწავლებელს მის მიმართ დაბალი მოლოდინი აქვს. მოსწავლის უმნიშვნელო წარმატებაც მასწავლებლის მიერ დაფასებული უნდა იყოს. დიფერენცირებული სწავლების მიზანია დავეხმაროთ მოსწავლეებს თავისი შესაძლებლობების გამოვლენასა და მათ განვითარებაში. დიფერენცირებული სწავლება მოსწავლეების ზედმიწევნით კარგად ცოდნას მოითხოვს, რადგანაც ის ორიენტირებულია მოსწავლეთა შორის განსხვავებების გათვალისწინებაზე. განმავითარებელი შეფასების შედეგები საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მოსწავლეთა სასწავლო ჯგუფებად დაკომპლექტება, სადაც თითოეულს მიეცემა საკუთარი მზაობის შესაბამისი ცოდნის შეძენის საშუალება. დიფერენცირების საგანს წარმოადგენს: შინაარსი, პროცესი, პროდუქტი. ეს სამივე კომპონენტი მჭიდრო ურთიერთკავშირშია. შინაარსი ნიშნავს- რა იციან მოსწავლეებმა და საიდან იწყებენ სწავლას. პროცესი, რომელსაც ხშირად „გააზრების აქტივობას“ უწოდებენ ნიშნავს- რა გზებით ვეხმარებით მოსწავლეებს სწავლაში. პროდუქტის დიფერენცირება ნიშნავს სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთა ჯგუფებისთვის ერთი და იგივე დავალების მიცემას, მაგრამ ამ დავალების შესრულების შედეგის განსხვავებული ფორმით წარმოდგენას, დემონსტრირებას.

როგორ შეიძლება მოხდეს მოსწავლეთა დიფერენცირება მათემატიკის გაკვეთილზე? კლასის დიფერენცირების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი მათემატიკის გაკვეთილზე შეიძლება იყოს ჯგუფური ფორმა, სადაც დიფერენცირების საფუძველს წარმოადგენს მოსწავლეთა განსწავლულობა, ცოდნის ათვისების უნარი, ინდივიდუალური თავისებურებანი, უნარები, ინტერესები. პირველ ჯგუფში შესაძლებელია გაერთიანდნენ მოსწავლეები, რომლებსაც სასწავლო შესაძლებლობების მაღალი დონე და მათემატიკაში მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ, მეორე ჯგუფში გაერთიანდებიან მოსწავლეები მათემატიკაში საშუალო მოსწრებით, ხოლო მესამე ჯგუფში მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ დაბალი შემეცნებითი უნარები და მათემატიკაში სწავლების დაბალი მაჩვენებელი. დავალებათა დიფერენცირება შეიძლება მოხდეს შემოქმედებითი დონეების, სიძნელის დონეების, სასწავლო მასალის მოცულობის მიხედვით. მათემატიკის დიფერენცირებული სწავლებისას ადგილი აქვს სასწავლო მასალის დიფერენცირებას. ეს ორი სახით ხდება. პირველ შემთხვევაში ჯგუფებს ეძლევათ სხვადასხვა სირთულის სხვადასხვა სავარჯიშოები, ხოლო მეორე შემთხვევაში ჯგუფებს ეძლევათ ერთი და იგივე სავარჯიშო სირთულის სხვადასხვა დონით.

სწავლება დიფერენცირებულად ითვლება, თუ მისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალურ განსხვავებათა გათვალისწინება. რა უნდა გავითვალისწინოთ დიფერენცირებული სწავლებისას?

საგაკვეთილო გეგმაზე მუშაობისას უნდა ჩამოვყალიბოთ, რა სიახლე შეგვიძლია მივაწოდოთ ბავშვებს. თითოეული მოსწავლისათვის უნდა მოვიფიქროთ დავალება, რითიც ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე გაკვლევითი პროცესში მათ ჩართულობას უზრუნველყოფთ. დაბალი მზაობის მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ დავალებები, მეტი თვალსაჩინოების გამოყენებით, ხოლო მაღალი მზაობის მოსწავლეებთან თვალსაჩინოება ნაკლებად უნდა გამოვიყენოთ. დაბალი მზაობის მოსწავლეებს დავალებების შესრულებისას მკაფიო ინსტრუქციები უნდა მივცეთ იმის შესახებ, რის შემდეგ რა გააკეთონ, როგორ იმოქმედონ. მაღალი მზაობის მოსწავლეებმა თვითონ უნდა დასახონ დავალების შესრულების გზები.

რაში გვებმარება მათემატიკის სწავლებისას დიფერენცირება? დიფერენცირება გვებმარება მოვახდინოთ მოსწავლეთა სასწავლო შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების სრულყოფა, შევძლოთ მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი და ამის საფუძველზე მოსწავლეთა წარმატებებისა და სიძნელების გამოკვეთა, შევარჩიოთ მოსწავლის დახმარების ეფექტური ხერხები.

და მაინც რატომ არის საჭირო დიფერენცირება? პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დიფერენცირება საშუალებას გვაძლევს:

- ყველა მოსწავლეს დავეხმაროთ სწავლაში
- გავზარდოთ მოსწავლეთა მოტივაცია და შესაბამისად შედეგიც
- შევაცვაროთ მოსწავლეებს საგანი
- ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა დამოუკიდებლობას სწავლაში
- უზრუნველყოთ სწავლის პროცესში ყველა მოსწავლის მონაწილეობა

ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011 – 2016 წ.წ.
2. ჯემალ ჯინჯიხაძე- თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები
3. ჯემალ ჯინჯიხაძე-პიროვნების სასკოლო მათემატიკური განვითარების ძირითადი პრობლემები
4. დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის-მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგიის საკითხები

რეზიუმე

საჭიროა მოსწავლეებს შევთავაზოთ ისეთი დავალებები, რომლებიც მათი შესაძლებლობებს არ აღემატება, მათთვის დაძლევადი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში დავალებებმა შეიძლება დააფრთხოს ბავშვი. მოსწავლეს უჩნდება იმის განცდა, რომ მათემატიკა რთული საგანია. ჩვენ, მასწავლებლებმა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ადამიანს აქვს წარმატების მიღწევის სურვილი. ამიტომ უნდა შევქმნათ ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეებს არ ექნებათ წარუმატებლობის შიში. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებები განსხვავებულია. მასწავლებელს უნდა შეეძლოს სწავლების დიფერენცირება ანუ მოსწავლეთა დაყოფა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით (მზაობა, ინტერესები, სასწავლო პროფილი), ჯგუფებად. მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც მოსწავლეს ექნება საშუალება თავის თავის გამოვლენის, სადაც მოსწავლეს სასწავლო მასალა მიეწოდება შესაბამის მოდალობაში. დიფერენცირება საშუალებას გვაძლევს ყველა მოსწავლეს დავებმართო სწავლაში, გავზარდოთ მოსწავლეთა მოტივაცია, უზრუნველყოთ სწავლის პროცესში ყველა მოსწავლის მონაწილეობა.

Nino Gelovani – Doctorant of Telavi State University of Iakob Gogebashvili, Mathematics teacher of LEPL Telavi public school №1 of Erekle King II

Differentiated teaching, as a contributing factor of teaching mathematics

Resume

The students are required to carry out such task, which does not exceed their ability; they will be overcoming for them. Otherwise the task may scare off a child. The student has the feeling that the mathematics is a difficult subject. We, the teachers must provide that all the people have the wish to reach success. That's why we must create such kind of environment, where the pupils will not have the fear of failure. We need to understand that the pupil's needs are different. The teacher must be able to differentiate the teaching or to divide pupils according to the some signs (readiness, interests, learning profile), as groups. Teachers must create such teaching environment, where the pupils will have an ability to reveal himself, the training materials will be supplied to them with the appropriate modality. Differentiation allows us to help all students in learning, to increase the pupil's motivation, to ensure all the pupil's participation in learning process.

ირმა ჩხიკვაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

ინფორმაციული ტექნოლოგიების ასპექტები, როგორც განმავითარებელი სწავლების საშუალება

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების ძირითადი მიზანია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში შეღწევა და დამკვიდრება, საჭიროა პედაგოგიური ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების სინთეზირება, რაც წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ძირითად საყრდენს. განმავითარებელი სწავლების განხორციელებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შინაარსისა და დიდაქტიკის დასამუშავებლად, ძირითად კონცეფციად მივიჩნევთ ინფორმაციული გარემოს შექმნას, მონაცემთა ბაზების, ინტერნეტის, საიტების, ტელეკონფერენციების, საქმიანი თამაშების, სემინარებისა და სხვ. სახით, რომელიც ხელს შეუწყობს მეცნიერ მკვლევარებისა და პრაქტიკოსი მასწავლებლების მოღვაწეობას.

განმავითარებელი სწავლების სისტემაში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მიმართული უნდა იყოს როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის ინფორმაციული კულტურის ასამაღლებლად. მასწავლებელთა დიდი ნაწილი საგანმანათლებლო პროცესში ვერ იყენებს ახალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რადგან სუსტად ან საერთოდ ვერ ფლობს მას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველი მასწავლებელი, რომელსაც მიჰყავს დაწყებითი მათემატიკის სწავლების კურსი, უამრავ სიმძნელებს აწყდება სწავლების პირველ ეტაპზე. ეს გამოწვევია იმიტომ, რომ მოსწავლეებს ჯერ კარგად არ აქვთ განვითარებული საჭირო მათემატიკური წარმოდგენები. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეები განიცდიან მათემატიკისადმი შიშს და აქედან გამომდინარე, კარგავენ მისი შესწავლისადმი ინტერესს, ყოველივე ამის მიზეზი არის ის, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათემატიკის სასკოლო კურსის სწავლება მიმდინარეობს ყოველგვარი სანახაობრიობისა, სიცხადისა და გამოყენებითი ხასიათის გარეშე. ცხადია, ადრეულ პერიოდში ძნელი და შეუძლებელიც იყო ამის განხორციელება, რადგან სწავლების ყველა თვალსაჩინოება (მექანიკური მოდელები, ცხრილები, პლაკატები, სურათები და ა.შ.), რომელიც მათემატიკის სწავლების პროცესში გამოიყენება და დღესაც მრავლად გამოიყენება, არ იძლევა ისეთ ეფექტს, რასაც გვამდევს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ტექნიკური (კომპიუტერული) საშუალებები.

დღეისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიები არა მარტო საგანმანათლებლო სისტემის, არამედ ჩვენი გარემომცველი სამყაროს მნიშვნელოვანი ატრიბუტია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს, როცა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ფართოდ შემოაბიჯა განათლების სისტემაში და ლიდერის ადგილის დასაკავებლად მცდელობას არ აკლებს, მისი მთავარი კომპონენტი – კომპიუტერი, როგორც სწავლების დიდაქტიკური საშუალება, დიდ დახმარებას გაგვიწევს განმავითარებელი სწავლების ეფექტური განხორციელებისათვის.

განმავითარებელი სწავლება ხელს უწყობს სასწავლო მოტივაციის დონის ამაღლებას რაც მიიღწევა სისტემატური, მიზანმიმართული საგანმანათლებლო კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტის ხარჯზე, სასწავლო პროცესის ობიექტ-ორიენტირებული მოდელის დამუშავებისა და პრაქტიკული განხორციელების საშუალებით.

ნაშრომში სწორედ იმ მიმართულებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც ეხება განმავითარებელი სწავლების განხორციელებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას.

განმავითარებელი სწავლების განხორციელების ყველა საშუალებიდან, რომლებიც კი დღემდე გამოიყენება, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, რომელთა ტექნიკური შესაძლებლობა, როგორც სწავლების დიდაქტიკური საშუალება, თითქმის შეუზღუდავია. კომპიუტერის ჩართვა განმავითარებელი სწავლების პროცესში ნიშნავს სწავლების ისეთი ტექნოლოგიური მოდელის აგებას, რომელიც ცალსახად ობიექტ-ორიენტირებულია და საფუძველს უქმნის მოსწავლეში პროფესიული ჩვევების ჩამოყალიბებას.

განმავითარებელი სწავლების სისტემაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის თვითკონტროლის (შიგა კონტროლი), როგორც პირადი მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობას. თვითკონტროლის საშუალება მოსწავლეს უყალიბებს პირადი პასუხისმგებლობის ჩვევებს და უღვივებს სწავლისადმი ინტერესს. თვითკონტროლის ფორმა პასუხს იძლევა მოსწავლის კითხვებზე: `რა შემიძლია, რისი უნარი გამაჩნია, რა

ვიცი? სწორედ შევავსა, თუ არა ჩემი თავი, ჩემი ცოდნა? ემთხვევა თუ არა ჩემეული შეფასება მასწავლებლისა და რამდენად ახლოა იგი რეალურთან? ასეთი მიდგომა სტიმულს აძლევს მოსწავლეს ძიებითი, შემოქმედებითი და დამოუკიდებლად მუშაობისათვის. თვითკონტროლისა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის ყველაზე ეფექტურ პირობებს ქმნის განმავითარებელი სწავლების სისტემა. ცხადია უნდა დამუშავდეს განმავითარებელი სწავლების სისტემაში თვითკონტროლის ფორმირების მეთოდოლოგია, რომელიც თანამედროვე პედაგოგიურ ტექნოლოგიებზე იქნება ორიენტირებული.

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნქცია თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში, მეტად აქტუალურია, უზრუნველყოფს ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას და კომპიუტერული წიგნიერების განვითარებას. აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ტექნიკის სასწავლო პროცესში გამოყენების მიზანშეწონილობის ფსიქო-პედაგოგიური გამოკვლევები. საჭიროა შექმნას სკოლებში, მეთოდურ ცენტრებში, კვლევით ინსტიტუტებსა და გადამზადების ერთიანი სისტემის მიზანმიმართული კონტროლისა და ეფექტური მუშაობის მყარ საფუძველზე. აუცილებელია დამუშავდეს ამოცანები, რომელიც ორიენტირებულია განმავითარებელი სწავლებაზე, გამოვლინდეს ახალ პირობებში მოსწავლის სასწავლო მოღვაწეობის ფორმირების თავისებურებები და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები, დამუშავდეს ამოცანებზე მუშაობის ეფექტური თვითკონტროლისა და ინდივიდუალური ვარჯიშის მეთოდოლოგია, ჩამოყალიბდეს პერსონალური კომპიუტერის ეფექტურად გამოყენების მეთოდური პირობები, დაწყებითი მათემატიკის სწავლების პროცესში, დამუშავდეს ამოცანების კომპიუტერული რეალიზების სცენარები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმაციული კულტურის ფორმირებას და კომპიუტერულ ტექნიკასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და კომპიუტერულ წიგნიერებას.

განმავითარებელი სწავლების ახალ საფეხურზე აყვანა და პრაქტიკაში მისი ეფექტური განხორციელება შეიძლება უზრუნველყოს თანამედროვე პერსონალურმა კომპიუტერმა, როგორც სწავლების ერთ-ერთმა დიდაქტიკურმა საშუალებამ, ეს პროცესი თავისთავად არ წარმართება, არამედ, საჭიროა დავამუშავოთ სასწავლო პროცესის ხელშეწყობი თეორიული საფუძვლები. შევქმნათ სახელმძღვანელოების შესაბამისი ელექტრონული ვერსიები და ავავთ სწავლების ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს განმავითარებელი სწავლების პროცესში ჩაერთოს მისთვის მისაღებ და მისაწვდომ დონეზე. დაწყებითი მათემატიკის სწავლებაში ასეთი მიდგომის გავრცელება თავისთავად უყენებს მოსწავლეს ახალ მოთხოვნებს. შესაბამისად, მეცნიერულ დონეზე უნდა დამუშავდეს ახალი ტექნოლოგიების მოდელი, ჩამოვთვალოთ ის ზოგიერთი თავისებურებებიც რაც ახასიათებს ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, კერძოდ კი სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებს. ელექტრონული სახელმძღვანელო მოსწავლეს უვითარებს დიფერენცირებული მიდგომის განხორციელების ფორმებს, მოსწავლეს რთავს შემოქმედებაში. ასეთ სახელმძღვანელოებში ყველაზე კარგადაა თავმოყრილი ისეთი ცნებები, როგორცაა ალგორითმები და მისი დამუშავება, ბრძანებები, გადაწყვეტილების მიღება და ა.შ.

როდესაც ლაპარაკია ელექტრონული სახელმძღვანელოების და მათ მსგავს სისტემებზე, აუცილებელია ხაზი გაესვას იმ მახასიათებლებს, რომელთაც ისინი მკვეთრად განსხვავდებიან არსებული ტრადიციული ფორმებისაგან და ეს განსხვავება სწორედ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების თავისებურებების შინაარსში დევს, სწორედ ამ სიტუაციაში ყალიბდება სწავლების ორგანიზაციის მეტად საინტერესო ფორმა, იწყება ამოცანაზე მუშაობის განსაკუთრებული მიდგომების ძიება, დაკავშირებული ბავშვის თვითგანვითარებასთან, ამოცანის ახალი სცენარის შედგენასთან, რაც პედაგოგის შესაძლებლობების ზღვარში არის მოქცეული.

მათემატიკის განმავითარებელი სწავლებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება. გამოვიყენოთ ტერმინი - `კომპიუტერული მათემატიკა`, კომპიუტერის გამოყენება მათემატიკის სწავლებაში ანუ კომპიუტერული მათემატიკა` ეს არის ერთი მხრივ, ვირტუალური საშუალება მოსწავლის ევრისტიკული აზროვნების განვითარებისათვის, მეორე მხრივ კი თავისი ალგორითმული ხასიათით წარმოადგენს მოსწავლის ინტელექტუალური აზროვნების და ინდივიდუალური ქმედების ჩამოყალიბებას.

პიროვნებაზე ორიენტირებული განათლებაზე გადასვლა და ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენება, დიდწილად და მოკიდებული ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების, კერძოდ კი კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებისა და საგანმანათლებლო პროცესში მათ დანერგვაზე.

განათლების ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც განმავითარებელი სწავლების განხორციელების თანამედროვე საშუალება, აფართოებს სასწავლო ინფორმაციის წარმოდგენის სპექტრს (ანიმაცია, მულტიპლიკაცია, ფერადი გამა, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიმედია და ა.შ.), ამლიერებს წარმოდგენილი მასალის თვალსაჩინო აღქმის საშუალებებს, აახლოვებს მიმდინარე პროცესს რეალობასთან, იძლევა საშუალებას თვალსაჩინოდ ასახოს მოსწავლის მოქმედების შედეგი, განავითარებს მხედველობითი აღქმის ჩვევებს, ამაღლებს ტექნოკრატიულ დონეს და კომუნიკაბელურ ჩვევებს, ამ დროს მასწავლებლის პროფესიული ვექტორი თითქმის იცვლება, ტრადიციული სწავლებიდან, ახალ სისტემაზე - „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ გამოყენებით სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მასწავლებელი აღარ ითვლება უბრალო ტრივიალურ გადამცემად, არამედ ის უკვე წარმოადგენს ახალი ტიპის ორგანიზატორს, მოსწავლესთან ერთად ეძებს და აღმოაჩენს მოქმედების ახალ ხერხებს.

ახალი ინფორმაციული, კომპიუტერული სწავლების ტექნოლოგიები დიდ როლს თამაშობს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის მუდმივი კავშირის შენარჩუნებაში. კომპიუტერის გამოყენება საუკეთესო საშუალებაა მიკრო და მაკრო ანალიზისათვის, რომლის ქვეშაც იგულისხმება, როგორც განზოგადებული, ასევე კონკრეტული (ლოკალური) სიტუაციების განხილვა, უკუ კავშირებისა და მოსწავლის მოქმედების სქემის დადგენა.

საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნები, ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიური პროცესები ქმნის ახალ-ახალ პრობლემებს, აქედან გამომდინარე, საჭიროა, არსებული სისტემის ტრანსფორმაცია, მართვის ახალი ფორმებისა და ტექნოლოგიების, სწავლების მეთოდების ძიება. ეს გზა კი ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე გადის. საჭიროა არსებული პედაგოგიური პრაქტიკული გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების შერწყმა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან. ეს გამოიწვევს საგანმანათლებლო სივრცის ხარისხობრივ ცვლილებებს. ზედაპირზე ამოტივტივებს სწავლების ახალი ტექნოლოგიების ნაირსახეობას. ინტერნეტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლების პროცესში აქვს მრავალაწახნაგოვანი ფენომენური ეფექტი და გვაძლევს უდიდეს შესაძლებლობას სხვადასხვა საგანმანათლებლო ამოცანის გადაწყვეტისათვის, მათ შორის, განმავითარებელი სწავლების განხორციელებისათვის. სწავლების ასეთმა ფორმამ და შესაბამისი ტექნოლოგიების არსებობამ, ინტერნეტ-განათლების სახელწოდება დაიმკვიდრა.

შეიძლება, ვთქვათ, რომ კომპიუტერი და ინტერნეტი აღიქმება, როგორც განათლების აუცილებელი ატრიბუტი და იგი განმავითარებელი სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია. განმავითარებელი სწავლების ინტერნეტ-ტექნოლოგიები ვირტუალური სწავლების პრინციპებს ეყრდნობა და შეიძლება მას განათლების მიღების ვირტუალური მეთოდი ვუწოდოთ. ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ რომ მოთხოვნები ვირტუალურ მასწავლებელზე გამომდინარეობს ტრადიციული მოთხოვნილებიდან, რომელსაც ვუყენებთ მასწავლებელს და მისგან მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური შესრულებით განსხვავდება. რაც შეეხება ფსიქოპედაგოგიკურ პრობლემებს, ვირტუალური სწავლებისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და იგი ჯერჯერობით სათანადო დონეზე არ არის შესწავლილი.

მაშასადამე, სწავლების ინფორმაციული ტექნოლოგიები მიზანმიმართულად უზრუნველყოფს განმავითარებელი სწავლების განხორციელებას, წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას სწავლების განმავითარებელი ფუნქციის შესრულების ასპექტში, ფლობს სერიოზულ საშუალებებს სწავლების მეთოდების სრულყოფისათვის, იყენებს ცოდნის შექმნის მეცნიერულად დასაბუთებულ ტექნოლოგიებს, ახდენს არსებით ძვრებს ბავშვის გონებრივი განვითარების ასპექტში და დადებითად მოქმედებს ყველა ფსიქიკური ფუნქციის განვითარებაზე.

ლიტერატურა

1. ჩაჩანიძე გ., ინტერნეტში მუშაობის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2004 წ.
2. Тарасов О.В. Использование информационных технологий для реализации развивающего обучения математике в V классе. <http://www.maro.newmail.ru>. 2003
3. ჩხიკვაძე ი., განმავითარებელი სწავლების სისტემაში დაწყებითი კლასებისათვის ტექსტური ამოცანების შედგენისა და გამოყენების დიდაქტიკური ასპექტები. თბილისი. 2005 წ.
4. ჩაჩანიძე გ., სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში. სტუ-ს საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები „საბუნებისმეტყველო და საინჟინრო დარგების განვითარების ისტორიის საკითხებზე“, თბილისი 15-18, ივნისი 2000

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ინფორმაციული ტექნოლოგიების როლს განმავითარებელი სწავლების პროცესში. ინფორმაციული ტექნოლოგიები თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში უზრუნველყოფს ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას და კომპიუტერული წიგნიერების განვითარებას. სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიურმა გამოყენებამ ახალი პრობლემა წარმოშვა, რამაც დასაბამი მისცა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ტექნიკის სასწავლო პროცესში გამოყენების მიზანშეწონილობის ფსიქოპედაგოგიური გამოკვლევების წარმოებას. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით გაანალიზებულია პედაგოგიური პროცესების მენეჯმენტის დამუშავება დაწყებითი მათემატიკის სწავლების პროცესში და მათი პრაქტიკული განხორციელების ელექტრულ ვერსიებზე ორიენტირებული მოდელი.

Irma Chkhikvadze - Akaki Tsereteli State University

The Aspects of Information Technology as a Means for Developmental Teaching

Summary

The paper dwells on the role of information technology in the process of developmental teaching. Information technology in modern life ensure the shape of the information society and the development of computer skills. The active application of information technology in training process has posed a new challenge that, in turn, had given the reason for conducting psychoeducational studies of the feasibility of using information technology and computer equipment in training process. By using new information technology, there has been analyzed the development educational process management in the process of basic math study, as well as a practical implementation of a model oriented to electronic versions.

ირმა ჩხიკვაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

ამოცანების შედგენისა და მასზე მუშაობის პედაგოგიური ტექნოლოგიები

სასწავლო პროცესში კომპიუტერის გამოყენების ეფექტურობა დამოკიდებულია იმ პროგრამულ პროდუქტზე, რომელიც ანხორციელებს შესასწავლი თემატიკის ვიზუალიზებას. დიდაქტიკური თვალსაზრისით, სასწავლო დანიშნულების პროგრამული პროდუქტის შექმნა შრომატევადი პროცესია. დიდაქტიკური მასალა შედგენილი უნდა იყოს საგნობრივად, კონკრეტული თემატიკის მიხედვით. დიდაქტიკური მასალის ქვეშ იგულისხმება ის ინფორმაციული ნაკადი, რომელიც შეესაბამება საგნის თემატიკის შინაარსს და სწავლების მეთოდოლოგიას. სწავლების ტრადიციულ, დიდაქტიკურ მასალისაგან განსხვავებით, იგი დამატებით უნდა შეიცავდეს კომპიუტერული სავარჯიშოების სისტემას, საცნობარო ინფორმაციის ელექტრონული ვერსიისათვის, ცოდნის ბაზებს (ფრეიმები), რომელიც ელექტრონულ ვერსიაში წარმოდგენილი იქნება ტექსტების, გრაფიკების, ანიმაციის და სხვა სახით, დიდაქტიკურ მასალაში გათვალისწინებული უნდა იყოს სცენარი, რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირს. (მოსწავლე - მასწავლებელი - მოსწავლე).

ჩვენი სტატიის მიზანია გავანალიზოთ და დავასაბუთოთ რაოდენ მნიშვნელოვანია ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნქცია თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში, ამოცანების შედგენა და მისი ჩართვა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დაწყებითი მათემატიკის სწავლების პროცესში. უმრავლეს შემთხვევაში მათემატიკის სასკოლო კურსის სწავლება მიმდინარეობს ყოველგვარი სანახაობრობისა, სიცხადისა და გამოყენებითი ხასიათის გარეშე, რადგან სწავლების თვალსაჩინოება (მექანიკური მოდელები, ცხრილები, პლაკატები, სურათები და ა.შ.) დღესაც მრავლად გამოიყენება არ იძლევა ისეთ ეფექტს, რასაც გვამოწმებს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ტექნიკური (კომპიუტერული) საშუალებები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საგნის შემსწავლელი კომპიუტერული კომპლექსი უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისაგან (რეჟიმები): 1) სწავლების შინაარსისა და ფორმის რელიზების კომპიუტერული ვერსია. ეს რეჟიმი უშუალოდ მასწავლებლებისათვისაა განკუთვნილი და იყენებს გაკვეთილზე, ახალი მასალის შესწავლის პროცესში ან მასალის გამეორებისათვის.

2) დამოუკიდებელი მუშაობის რეალიზების კომპიუტერული ვერსია ანუ ვარჯიშის რეჟიმი, რომლის ძირითადი სახეა საწვრთნელები, ელექტრონული სახელმძღვანელოები და სხვა. ამ რეჟიმს იყენებს მოსწავლე დამოუკიდებელი მუშაობისათვის, როცა და სადაც მოესურვება.

3) შეფასების ავტომატიზებული (კომპიუტერული) რეალიზების რეჟიმი, რომლის დანიშნულება შეიძლება იყოს ორი სახის. პირველი, არაოფიციალური, როცა მოსწავლე თავის ინტერესიდან გამომდინარე, ჩართავს აღნიშნულ რეჟიმს და შეამოწმებს თავის მომზადების დონეს. კომპიუტერი მოსწავლეს ამ დროს, წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით მიაწოდებს კომპიუტერის ოპერატიული მეხსიერების მონაცემთა ბაზაში არსებულ სავარჯიშოთა სისტემიდან განსაზღვრული რაოდენობის მაგალითს და ამოხსნით მიღებულ შედეგს შეაფასებს ქულებით, ან ცოდნის შეფასების მოქმედი სისტემის მიხედვით. ამ რეჟიმში მოსწავლეს აქვს საშუალება შეამოწმოს თავისი ცოდნის დონე, მოსწავლეს შეუძლია დაუბრუნდეს ვარჯიშის რეჟიმს. შეფასების მეორე სახე არის ოფიციალური, როცა ამ რეჟიმს ატარებს მასწავლებელი. კომპიუტერის მიერ გამოტანილი მოსწავლის ცოდნის დონის შეფასება ავტომატურად ფიქსირდება ელექტრონულ ჟურნალში და იგი არის საბოლოო, ანუ მის გადასწორებას ვერავინ შეძლებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ელექტრონული ჟურნალიდან, ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამოიბეჭდოს კლასის სია ნიშნებითურთ და გადაეცეს მსურველს, როგორც მოსწავლეთა შეფასების ოფიციალური მონაცემები.


კომპიუტერული დავალების შექმნისას, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს მოსწავლის მოქმედების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორზე გამოტანილ გრაფიკულ გამოსახულებაზე რთული ოპერაციაა ჩასატარებელი, რომელსაც მოსწავლე ვერ გაუმკლავდება, ასეთი პროგრამული პროდუქტი უსარგებლოა. კონკრეტული ამოცანისათვის პროგრამული პროდუქტის შექმნის ტექნოლოგია მიმართული უნდა იყოს მარტივი საშემსრულებლო პროცესისკენ.

განვიხილოთ ამოცანა:

ადამიანის მიერ წყლის მოხმარების (დაღვევის) სადღეღამისო ნორმა არის 30 გრამი მისი წონის ყოველ ერთ კილოგრამზე. რამდენი ლიტრი (1 ლ = 1000 გრ) წყალია საჭირო დღე-ღამეში ადამიანისათვის, რომელიც იწონის m კგ-ს?

ამოცანის პირობისა და ამონახნის მიხედვით ვადგენთ ცხრილს, მიღებული ცხრილის მიხედვით შევადგენთ ადამიანის წონასა და მოხმარებული წყალს შორის დამოკიდებულების გრაფიკს საკოორდინატო სისტემის მიხედვით.


ადამიანის წონა - m კგ	45	48	50	56	59	62,5	63,2
წყლის სადღეღამისო ნორმა - X ლ	1,35	1,44	1,5	1,68	1,77	1,875	1,896



ნახ. 1

განვიხილოთ ამ ამოცანის კომპიუტერული რეალიზების ფრაგმენტები.

პროგრამის საერთო სახე წარმოადგენს Windows-ს გარშემო მომუშავე პროგრამას - „ფანჯრის სახით“.





მოსწავლე ირჩევს მისთვის სასურველი „მუშაობის რეჟიმს“.

სწავლების, ვარჯიშის, შეფასების.

„სასწავლო თემატიკის“ - ჩანაწერის ქვეშ მოთავსებულია ელექტრონული დილაკი: „აირჩიე“, დაწკაპუნების შემდეგ ეკრანზე გამოდის „ქვე მენიუ - ფანჯარა“, სადაც მოცემულია შესასწავლო თემატიკის ჩამონათვალი:





- №1. პროცენტები**
№2. პროპორციები
№3. დიაგრამები
№4. ცხრილები
№5. ბრუნვები

ავირჩიოთ თემა, ვთქვათ „პროცენტები“, ეკრანზე გამოჩნდება თემატიკის შესაბამისი ამოცანის ტექსტი.



ვარჯიზის რეჟიმში, თუ პასუხი შეცდომით იქნება მითითებული შესაბამისი უჯრა დაიწყებს ციმციმს, ხოლო, თუ სწორია, გამოსცემს მუსიკალურ ბგერას (ან ათი წამის განმავლობაში დაიწერება: პასუხი სწორია) და პროგრამა ავტომატურად გადავა (ბ) პირობის შესრულებაზე.

მოსწავლემ ფორმულა უნდა ჩაწეროს სწორად - $x = 0,03 * m$, ან $X = m * 0,03$ სახით, ფორმულაში უნდა გამოიყენოთ გამრავლების სიმბოლო - ვარსკვლავი, "*" და ეს პროცესი მიმდინარეობს შემდეგნაირად:



ვარჯიზის რეჟიმის დროს კომპიუტერი ავტომატურად ეხმარება უჯრაში ჩაწერილი რიცხვის სისწორის დადგენაში. არასწორი რიცხვის შეტანის შემთხვევაში უჯრა ციმციმს იწყებს, და თუ მაინც ვერ მიიღებს სწორ რიცხვს, მაშინ მიმართავს „კონსულტაცია-დახმარებას“, ამის შემდეგ როცა ცხრილი აგებულია მოსწავლე ააგებს გრაფიკს კომპიუტერის დახმარებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენება აღნიშნული თემის (და არა მარტო აღნიშნულის) შესწავლისას უზრუნველყოფს: შესასწავლი მასალის თვალსაჩინოებას, გაკვეთილის ტემპის დაჩქარებას, ახსნისა და გადაცემის მეთოდის გაუმჯობესებას, სწავლების თანმიმდევრობას, რაც გამოწვეულია ელექტრონული თვალსაჩინოების გამოყენებით და ნებისმიერ მომენტში განვლილ მასალაზე მიბრუნებით.

მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერი მყარად შემოვიდა საგანმანათლებლო ცხოვრებაში, იგი წარმოადგენს სწავლების პროცესის აქტივიზების ერთ-ერთ დამატებით საშუალებას და არ უარყოფს არც სწავლების როლს სწავლების პროცესში და არც სწავლების ტრადიციულ სწავლებას - წიგნს და სახელმძღვანელოს. გარდა ამისა ვირტუალური თვალსაჩინო სახელმძღვანელო კომპიუტერის მეხსიერებაში ადვილად ინახება და სწრაფად იძებნება, ადვილია მოსწავლისათვის ინდივიდუალური მუშაობის ჩატარებაც, მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობა კომპიუტერის გავლით იძენს ბუნებრივ ფორმას.

ლიტერატურა

1. ჩაჩანიძე გ., ჩხიკვაძე ი. ტექსტური ამოცანების შედგენისა და მასზე მუშაობის კომპიუტერული რეალიზების დიდაქტიკა, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტი" №2(22), თბილისი, 2005 წ.
2. ნურკი ე., ტელგმა ა. მათემატიკა, სახელმძღვანელო საუმალო სკოლის მე-6 კლასისათვის, მეორე გამოცემა, თბილისი., განათლება, 1998.
3. Панова Э.В. Использование компьютерных технологий на уроках математики. <http://festira.1september.ru/2003-2004>.

რეზიუმე

სტატიაში განხილული იყო კომპიუტერის როლი მათემატიკის სწავლების პროცესში, ამოცანების შედგენა და კომპიუტერული რეალიზების დიდაქტიკა, მოყვანილია კომპიუტერული სწავლების დიდაქტიკური და ტექნიკური შესაძლებლობები, ამ შესაძლებლობების საილუსტრაციოდ მოყვანილია კომპიუტერული პროგრამების მაგალითები. ნაჩვენებია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების, კერძოდ კი პერსონალური კომპიუტერის სასწავლო პროცესში ჩართვის მეთოდოლოგია. ეს მეთოდოლოგია ორიენტირებულია განმავითარებელ სწავლებაზე, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერთან, როგორც მოსწავლისათვის სწავლების უნიკალურ საშუალებასთან ურთიერთობა, რომელიც ყველანაირად აკმაყოფილებს მოსწავლის ნებისმიერ მოთხოვნას.

Irma Chkhikvadze - Akaki Tsereteli State University

Teaching Technologies of Constructing Problems and Working Around Them

Summary

The paper considers the role of a computer in the process in the process of mathematics studies, construction of problems and didactics of computer assisted realization. The paper also describes the didactic and technical capabilities, and to illustrate these capabilities, there have been given the examples of computer programs. The paper also dwells on the methodology for using information technology, particularly for involving the personal computer in training process. This methodology is oriented towards developmental training, which provides relation with a computer, as a unique opportunity for the pupil, which meets any demand of the pupil in all respects.

ქეთევან შვანგირაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

მკაცრად კლებადი ფუნქციის შესახებ

ვთქვათ შემთხვევითი სიდიდე X ღებულობს მნიშვნელობებს $\{x\}$ სიმრავლეზე და ამ $\{x\}$ სიმრავლეზე განსაზღვრულია $y = f(x)$ ფუნქცია.


შემთხვევით Y სიდიდეს ეწოდება შემთხვევითი X (არგუმენტის) სიდიდის ფუნქცია, თუ X -ის ყველა შესაძლო მნიშვნელობას რმელიმე $y = f(x)$ წესის მიხედვით შეესაბამება Y -ის განსაზღვრული მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში Y ფუნქციას X -დან აღნიშნავენ ანალოგიური $Y = f(x)$ სიმბოლოთი.

ვაჩვენოთ, როგორც ვიპოვოთ Y ფუნქციის ალბათური განაწილების კანონი, თუ ცნობილია X არგუმენტის განაწილება.

შევჩერდეთ შემთხვევითი სიდიდის უწყვეტ ფუნქციაზე.

ვთქვათ, $y = f(x)$ ფუნქცია უწყვეტად წარმოებადია $\{x\}$ სიმრავლეზე. დავამყაროთ კავშირი X შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკრივესა და $Y = f(X)$ შორის. აღვნიშნოთ პირველი მათგანი $\varphi(x)$ სიმბოლოთი და მეორე $\psi(y)$ -ით.

ვთქვათ ფუნქცია $y = f(x)$ მკაცრად კლებადია (a, b) შუალედში და მისი მნიშვნელობათა სიმრავლეა (d, c) . $y = f(x)$ ფუნქცია უწყვეტად დიფერენცირებადია.



x ცვლადს მივცეთ ნაზრდი $\Delta x > 0$, მაშინ ფუნქცია $y = f(x)$ მიიღებს ნაზრდს $\Delta y < 0$. ურთიერთგალსახა ასახვის ძალით X და Y შემთხვევითი სიდიდის მოხვედრის ალბათობა შესაბამის შუალედში ერთნაირია:

$$P(x \leq X \leq x + \Delta x) = P(y + \Delta y \leq Y \leq y) \quad (1)$$

ცნობილია, რომ

$$P(x \leq X \leq x + \Delta x) = \int_x^{x+\Delta x} \varphi(x) dx$$

განსაზღვრული ინტეგრალის საშუალო მნიშვნელობის თეორემის ძალით გვაქვს:

$$P(x \leq X \leq x + \Delta x) = \varphi(\xi) \Delta x \quad (2)$$

სადაც $x \leq \xi \leq x + \Delta x$

ანალოგიურად,

$$P(y + \Delta y \leq Y \leq y) = \int_{y+\Delta y}^y \psi(y) dy = - \int_y^{y+\Delta y} \psi(y) dy = -\psi(\eta) \Delta y \quad (3)$$

სადაც $y + \Delta y \leq \eta \leq y$

თუ გავითვალისწინებთ (2) და (3) ტოლობებს (1)-ში მივიღებთ:

$$\varphi(\xi)\Delta x = -\psi(\eta)\Delta y$$

აქედან

$$\psi(\eta) = -\varphi(\xi) \frac{\Delta x}{\Delta y} \quad (4)$$

რადგან $y = f(x)$ ფუნქცია მკაცრად კლებადია და უწყვეტად დიფერენცირებადი, ამიტომ მას გააჩნია შექცევადი ფუნქცია $x = g(y)$ უწყვეტი წარმოებულთ

$$x'_y = g'(y) \leq 0$$

(4) ტოლობაში გადავიდეთ ზღვარზე, როცა $\Delta x \rightarrow 0$, მაშინ $y = f(x)$ ფუნქციის უწყვეტობის გამო $\Delta y \rightarrow 0$, ხოლო (2) და (3) ფორმულების ძალით $\xi \rightarrow x$ და $\eta \rightarrow y$.

აქედან გამომდინარეობს, რომ

$$\psi(y) = -\varphi(x)x'_y \quad (5)$$

ან

$$\psi(y)dy = -\varphi(x)dx \quad (6)$$

(5) ტოლობა შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$\psi(y)dy = -\varphi[g(y)]g'(y) \quad (7)$$

ცნობილია, რომ თუ ფუნქცია $y = f(x)$ მკაცრად კლებადია, მაშინ მისი შექცევადი ფუნქციის წარმოებულთ $g'(y) \leq 0$, ასევე $\psi(y) \geq 0$ და (7) ტოლობა შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$\psi(y) = \varphi[g(y)]|g'(y)| \quad (8)$$

თუ $y = f(x)$ ფუნქცია ნაწილ-ნაწილ მკაცრად კლებადია შემთხვევითი X სიდიდის შესაძლო მნიშვნელობების შუალედში, მაშინ ეს შუალედი შეიძლება დავყოთ n შუალედებად, რომელთაგან თითოეულში ფუნქცია $y = f(x)$ მკაცრად კლებადია და (8) ფორმულის მიხედვით შესაძლებელია სიმკვრივის $\psi_i (i = 1, 2, \dots, n)$ პოვნა, შესაბამისად, თითოეულ შუალედში.

ლიტერატურა

1. Лузин Н.Н. Теория функции действительного переменного. М., 1988.
2. Лихометов И.И. Сб. научнло-методических статей по математике. 1976.

რეზიუმე

გამოყვანილია შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქციის სიმკვრივის ფორმულა.

ნაჩვენებია, რომ თუ ფუნქცია $y = f(x)$ მკაცრად კლებადია, მაშინ შექცევადი ფუნქციის $g'(y) \leq 0$ მსგავსად $\psi(y) \geq 0$ და სამართლიანია ტოლობა $\psi(y) = \varphi[g(y)]|g'(y)|$.

დადგენილია კავშირი $\psi(x)$ და $\varphi(y)$ ალბათობების განაწილების სიმკვრივეებს შორის და მიღებული ტოლობა სამართლიანია X და Y შემთხვევითი სიდიდეების შესაძლო მნიშვნელობების შუალედებისათვის, ამ შუალედის გარეთ $\varphi(x) = 0$ და $\psi(y) = 0$.

Ketevan Shvangiradze - Akaki Tsereteli State University

Diminishing function of the accidental value

Summary

Here is given a formula of the accidental value's function of the closeness.

Is shown that if function $y = f(x)$ is strictly diminishing than reversidle function $g'(y) \leq 0$, like $\psi(y) \geq 0$ and parity $\psi(y) = \varphi[g(y)]|g'(y)|$ is equitable in both conditions.

Here is determined the union $\psi(x)$ and $\varphi(y)$ between the devision of the relativity of closeness. Parity $\psi(y) = \varphi[g(y)]|g'(y)|$ is fair X and Y for the accidental average's possible meaning for the distances, out of these distances $\varphi(x) = 0$ и $\psi(y) = 0$.

ქეთევან შვანგირაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის მათემატიკის კურსში საქმიანი თამაშების გამოყენება

მიმდინარე გლობალური დემოკრატიზაციის ეპოქამ დღის წესრიგში დააყენა უმაღლეს სკოლაში სწავლების ახალი ამოცანები.

ცხადია, სწავლების პროცესი უმაღლეს სკოლაში წარმოადგენს სისტემას, რომელშიც ხდება ერთდროული ქმედება სტუდენტების და პედაგოგების. სტუდენტთან თითოეულს აქვს მომზადების სხვადასხვა დონე, ცხოვრებისეული გამოცდილება, ხასიათის ინდივიდუალური თვისებები და ტემპერამენტი, სხვადასხვა ეკონომიკური შესაძლებლობა, საყოფაცხოვრებო პირობები. ეს განსხვავებები თავის კვალს ტოვებს სტუდენტური ჯგუფის წევრებზე.

უმაღლესი სასწავლებლის პირველკურსელი სტუდენტი ისევ სასკოლო პედაგოგიური გავლენის ქვეშ იმყოფება, რომლისგანაც განთავისუფლება თანდათან უნდა მოხდეს, რაც უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგს ახალი ამოცანების წინაშე აყენებს. პედაგოგიურმა საქმიანობამ უნდა მოახდინოს სწავლების ინტენსიურობის გაზრდა.

სწავლების ინტენსიურობა ნიშნავს სწავლების ხანგრძლივობის შეუცვლელად სტუდენტთათვის მზარდი მოცულობის ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობის მიხედვით. ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს სასწავლო შემეცნებითი მოღვაწეობის უფრო სრულყოფილ, მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდების დანერგვას, რაც მობილიზებას გაუკეთებს სტუდენტთა შემოქმედებით უნარს და შესაძლებლობებს. ინტენსიური სწავლების ცნება დაერთვის სასწავლო შემოქმედების აქტივიზაციის ცნებას, რაშიც იგულისხმება მასწავლებლის მიზანმიმართული საქმიანობა სწავლების ისეთი ფორმების, მეთოდების, საშუალებებისა და ხერხების შემუშავებასა და გამოყენებაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინტერესის, შემეცნებითი პროცესის აქტიურობის ამაღლებას, ცოდნის ათვისების პროცესში სტუდენტის შემოქმედებით აქტივობას, უნარ-ჩვევების ფორმირებას და მათ გამოყენებას პრაქტიკაში.

ინტენსიურ სწავლებას ახასიათებს : აქტივიზაცია, რომელიც საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს მინიმალურად აუცილებელი დრო მაქსიმალური სასწავლო შედეგის მისაღწევად; სასწავლო მასალის მაქსიმალური მოცულობის ათვისება შესაბამისი ორგანიზებისას; სტუდენტის პიროვნების პოტენციური შესაძლებლობების აქტივიზაცია სასწავლო ჯგუფში განსაკუთრებული ტიპის ურთიერთობების პირობებში მასზე მასწავლებლის პიროვნების შემოქმედებითი ზემოქმედებით; აუდიტორიაში სასურველი ფსიქოლოგიური „მიკროკლიმატი“ შექმნა დამყარებული სასწავლო კოლექტივში ლექტორსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობის ატმოსფეროზე.

ინტენსიური სწავლების დროს სტუდენტთა კოლექტივში არსებული ურთიერთგანწყობა შენარჩუნებულია და ვითარდება მეცადინეობის პროცესში. ჯგუფის წევრები საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ ერთმანეთს. მასთან, ერთობლივი მუშაობის ბოლოს ურთიერთშეფასების დონე იზრდება. სასწავლო ჯგუფში შექმნილი ურთიერთობის სისტემა სასურველია იძლეოდეს საშუალებას არა მხოლოდ ჯგუფში პიროვნების საუკეთესო თვისებების გამოსავლენად, არამედ მასწავლებელშიც საუკეთესო თვისებების განვითარებისათვის. ამასთან, საინტერესოა, რომ არა მარტო სტუდენტს უზრუნველყოფს სურვილი იყოს ჯგუფში საუკეთესო, არამედ ჯგუფიც მას ასეთად აღიქვამს. ჯგუფი თითქოს აკუმულირებას უკეთებს საუკეთესო თვისებებს ადამიანში და ამ მაღალ შეფასებას უზრუნველყოფს კოლექტივის თითოეულ წევრს გამრავლებული სახით. ეს საშუალებას იძლევა თითოეული სტუდენტის პოტენციური შესაძლებლობების გახსნისა და აქტუალიზაციისათვის.

ინტენსიური სწავლებისას სასწავლო პროცესის ორგანიზების მაქსიმალური ეფექტურობა მიიღწევა შემდეგი ორი ძირითადი ამოცანის გადაჭრით: 1) პიროვნებისა და კოლექტივის ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედებების უზრუნველყოფით; 2) თითოეული სტუდენტის პოტენციური შესაძლებლობების ოპტიმალური რეალიზებით.

დღეისათვის ჯგუფური შემეცნებითი მოღვაწეობის განსაკუთრებულ სახედ მიჩნეულია სასწავლო საქმიანი თამაშები.

საქმიანი თამაშები უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესში შედარებით ახალი მოვლენაა, თუმცა მისი სათავეები შეინიშნებ ჯე რკიდევ ძველი ხალხების მაგიურ ადათებში. საქმიანი თამაშის უშუალო

წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს სამხედრო თამაში, რომელიც ჩაისახა მე-17 საუკუნეში. პირველი საქმიანი თამაში, რომელმაც მიიღო ორგანიზაციულ-საწარმოო გამოცდის სახელწოდება, დამუშავდა 1932 წელს ქ. პეტერბურგში მ.მ. მირშტეინის მიერ. რიგი მიზეზების გამო, საქმიანმა თამაშმა ვერ პოვა სერიოზული განვითარება და გამოყენება, იგი მხოლოდ 1957 წელს, აღორძინდა აშშ-ში. დღეისათვის საქმიანი თამაშები აშშ-სა და დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მრეწველობის სპეციალისტების მოსამზადებელი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემადგენელი ნაწილი. ასევე ფართოდ გამოიყენება იგი აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი სკოლების სასწავლო პროცესში. გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს მეთოდი არსებით გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების მქონე თანამედროვე სპეციალისტისათვის საჭირო თვისებების ფორმირებაზე.

საქმიანი თამაშები პოულობს ფართო გამოყენებას განსაკუთრებით ეკონომიკური პროფილის სასწავლო პროცესებში. ისინი ძირითადად გამოიყენებიან ეკონომიკურ დისციპლინებში სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის. მრავალი იმიტაციური თამაშის რამდენადმე მდგრადი თეორია ყველა სპეციალობის სტუდენტათვის არ არსებობს, ამიტომ მათ შესაქმნელად იღვწიან ინდივიდუალური ავტორები. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც გადაჭრილი უნდა იქნეს მათი დამუშავების პროცესში: თამაშის კონცეპტუალური მოდელის ფორმირება, ინფორმაციული და ტექნიკური (მათემატიკური) უზრუნველყოფა, აგრეთვე დიდაქტიკური და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინება.

საქმიანი თამაში ეს არის ორი ან მეტი ადამიანის ერთობლივი მუშაობა იმიტაციურ მოდელზე. თამაში იძლევა მონაწილეთა ურთიერთობის საშუალებას, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ რამდენიმე სუბიექტის დიალოგიური ურთიერთობის დროს.

საქმიანი თამაში შეიძლება ჩატარდეს პრაქტიკულ მეცადინეობაზე, სალექციო მასალის გადაცემის წინ, მის შემდეგ ან მთელი სასწავლო პროცესი ორგანიზებული იქნეს საქმიანი თამაშის საფუძველზე. კარგად ორგანიზებული და მომზადებული თამაში წარმოადგენს „სკოლას“ კოლექტიური ურთიერთობისათვის. მისი მონაწილეები წარმოადგენენ ადამიანების არა უბრალო ჯგუფს, რომლებიც იმეორებენ თავიანთი რეალური პროტოტიპების ქმედებებს, არამედ ქმნის კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმს, რომელსაც აქვს ყველა თვისება, დამახასიათებელი რეალურ საწარმოში მომუშავეთათვის. თითოეული მისი მონაწილე არაა ჩაკეტილი თავის თავში მეცადინეობაზე, არამედ მის აქტიურობას აქვს სოციალური მნიშვნელობა, მასზე დამოკიდებული სხვა მონაწილეთა მოქმედების შედეგები.

საქმიანი თამაშის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შექმნილი პრობლემური სიტუაციის და სტუდენტთა გუნდების შეჯიბრის საფუძველზე გააქტიურდეს მონაწილეთა აზროვნება, გარდაიქმნას სწავლების მთელი პროცესი აქტიური კვლევითი მოვარჯობის და დამოუკიდებელი აღმოჩენების ძიების პროცესად.

ჩვენი აზრით, საქმიანი თამაშის მოდელის გამოყენებას მათემატიკის კურსში ფართო პერსპექტივა აქვს. იგი შეგვიძლია გამოვიყენოთ:

1. საინჟინრო ამოცანის გადასაწყვეტად უმაღლესი მათემატიკის პროგრამული საკითხების გამოყენებით.

2. თვით მათემატიკის ისეთი ამოცანების ამოსახსნელად, რომლებიც მოითხოვს ეტაპობრივი სამუშაოების შესრულებას. აღნიშნულ კურსში საქმიანი თამაშის გამოყენება და იმიტაცია შესაძლებელია ჩატარდეს ქვეჯგუფებზე როლების განაწილებით ან ორი ქვეჯგუფის შეჯიბრებითი საქმიანი თამაშის ფორმა.

შეჯიბრებითი საქმიანი თამაშის ჩასატარებლად ჯგუფი იყიფა ორ ქვეჯგუფად. ხდება კაპიტნების და მათი ასისტენტების შერჩევა. კაპიტნები ადევნებენ თვალყურს გუნდებში წესრიგს, დისციპლინას და თვითონაც მონაწილეობენ თამაშში, ასისტენტები საჭიროების შემთხვევაში იძლევიან კონსულტაციებს, ასევე დასაშვებია კონსულტაციები ერთი გუნდის წევრებს შორის. ასისტენტებთან მუშაობა ძალზე ეფექტურია, იგი საშუალებას იძლევა მეცადინეობაზე ორგანიზებული იქნას ინდივიდუალური მიდგომა მონაწილეებთან. ამის გარდა, ასისტენტები ცდილობენ, რომ მათმა სამუშაომ მასწავლებლისა და კაპიტნის თანამემწის როლში გუნდს მოუტანოს წარმატება. ამავე დროს, ასისტენტები არ თავისუფლდებიან კითხვებზე პასუხებისა და ჯგუფის საერთო სამუშაოდან.

ასეთი ასაქმიანი თამაშების ჩატარებისას დაცული უნდა იქნეს, თამაშის შემდეგი წესები:

1. სწორი პასუხებისათვის გუნდს ერიცხება ქულები, პასუხის დროს დაშვებულ შეცდომას, არასწორ პასუხს, დისციპლინის დარღვევისას გუნდი მიჰყავს საჯარო ქულებამდე, ესეიგი გუნდის ანგარიშიდან გარკვეული რაოდენობის ქულები მოიხსნება.

2. გუნდის თითოეულ წევრს შეუძლია უპასუხოს ხელახლა, მხოლოდ, იმის შემდეგ, როცა უპასუხებს გუნდის ყველა წევრი. ეს გამორიცხავს შემთხვევას, როცა ზოგიერთი მონაწილე გამოუკითხავი რჩება.

3. კითხვებს და დავალებებს იძლევა მასწავლებელი. შეჯიბრების ანგარიში იწერება დაფაზე.

4. საერთო დავალების გაცემის შემდეგ ქვეჯგუფებს შიგა კონსულტაციების ჩატარების ნება ეძლევათ.

5. მასწავლებლის მითითებით ყველა აუცილებელი ჩანაწერი შეაქვთ რვეულში.

6. სამუშაოს გარკვეულ ეტაპზე თვიდან ერთი ქვეჯგუფი ითლება "გზის გამკვალავად". მეორე გუნდის მოღვაწეობა მდგომარეობს იმაში, რომ ყურადღებით ადევნებს თვალს პასუხის სისწორეს, მასწავლებლის მითითებით რვეულში ჩანაწერების შეტანას, ხოლო მასალის რაღაც ნაწილის შესწავლის შემდეგ, მასწავლებელს უპასუხებს კითხვებზე, გააკეთოს უკვე ამოხსნილის ანალოგიური დავალება. ამის შემდეგ, ქვეჯგუფები ცვლიან როლებს.

7. მეორე ქვეჯგუფიდან მონაწილეების სწორი, არგუმენტირებული პასუხებით თითოეულს შეუძლია მიიღოს დამატებითი ქულა.

საქმიანი თამაშების არსი მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტებმა სწრაფად და შეცდომების გარეშე უპასუხონ მასწავლებლის კითხვებზე, გაკეთდეს საჭირო ჩანაწერები რვეულეში, თვალყური ადევნონ ამხანაგების პასუხების სისწორეს როგორც თავისი, ისე მოწინააღმდეგის გუნდიდან, ამოხსნან მაგალითები და ამოცანები დაფასთან, ჩაუტარონ კონსულტაცია მერხის მეზობელს ან საჭიროების შემთხვევაში მიიღოს კონსულტაცია არ დააღვიონ დისციპლინა, იყვნენ ყურადღებით და ჩაერთონ აქტივობებში.

თამაშის მსვლელობისას თითოეულმა მონაწილემ უნდა მოახდინოს მთელი თავისი ცოდნის, გამოცდილების და წარმოსახვის მაქსიმალური მობილიზება. განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ აქ საქმე არაა დაყვანილი პროგრამული მასალის მხოლოდ მექანიკურ გამოყენებამდე, თამაშის პროცესში გამომუშავდება სისტემურ პროცედურული აზროვნების უნარი, იღვიმებს მისწრაფება ახალი იდეების ძიებისაკენ, ეს კი უკვე ნაბიჯია შემოქმედებისაკენ. რეალიზდება კოლექტიური თანამშრომლობის იდეა და აღზრდა კოლექტივის საშუალებით.

ლიტერატურა

1. Коваленко В.Г. Дидактические игры на уроках математики. М. 1990.
2. Петровский А.В. Основы педагогики и психологии высшей школы. М. 1986.

რეზიუმე

აღნიშნულია, რომ საქმიანი თამაშის მოდელის გამოყენებას მათემატიკის კურსში ფართო პერსპექტივა აქვს.

შემოთავაზებულია, რომ საქმიანი თამაშის მოდელი საინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისათვის საშუალებას გვაძლევს უმაღლეს ტექნიკურ სკოლაში ამაღლდეს სტუდენტთა მათემატიკური მომზადების დონე და სახალისო გახდეს ამ საგნის სწავლების პროცესი.

Katevan Shvangiradze – Akaki Tsereteli State University, Associate Professor

The Business play usage in the math course for the High school students

Summary

It is pointed out the usage of the business play's model in the math's course has big prospects. The University math's program question is considered to be possibly used in processing the optimal variant in order to solve the technical problems and to realize them in productive imitation. The business play gives a creation of productive situations, a player must find a right direction of an action during their run and in the imitative production's play according to real case to solve problem optimally. In the University engineering school the usage of the business plays' model has a social, psychological, and pedagogical principles, which is the method of intensive teaching and is built up on the student's collective work's background. It is argued that the teaching playing form is one of the active useful facts for student's intellectual degree's development. One reason of pointed teaching form's implant in the university math's course for subject's teaching with playing form the main problem is math's guarantee.

ნათია ზრეგაძე - სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის #2 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის უფროსი მასწავლებელი

დიფერენცირებული ელემენტებით მრავალკუთხედის პერიმეტრის გამოთვლა დაწყებით კლასებში

მათემატიკის სწავლების პროცესში ყოველი მოსწავლის წინაშე ყოველდღიურად დგება ახალი გამოწვევები, რომელთა საპასუხოდ მათ კოგნიტური მზაობა სჭირდება სწორედ ეს მზაობა უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ დავშენოთ ახალი ცოდნა, რათა ეს ცოდნა შემდეგ საბაზისო აღმოჩნდეს ახალი ცოდნის დასაშენებლად, ამგვარ მუშაობით მოსწავლის მოტივაციაც მაღალი იქნება, რადგან ასეთი სახის სავარჯიშოები, სადაც მათი მზაობა არის გათვალისწინებული უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც აუცილებლად აისახება სწავლა-სწავლები მაღალ ხარისხზე.

მათემატიკის სწავლების ნებისმიერ ეტაპზე სავარჯიშოთა სისტემა, სწავლების აუცილებელი საშუალებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის სათანადო დაუფლება, მათი ყოველმხრივი აღზრდა და განვითარება. მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად შედგენლ სავარჯიშოებზე ბევრადაა დამოკიდებული მათემატიკის სწავლების ეფექტი და სწავლების შემდგომი საფეხურისთვის დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პრაქტიული მომზადება და შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარი.

სასწავლო სახელმძღვანელოებში დიდი ადგილი ეთმობა გეომეტრიული მასალის შესწავლას. ამ მიზნით საინტერესოა რა როლი შეიძლება შეასრულოს კონსტრუქტივისტული სწავლების ელემენტების გამოყენებამ გეომეტრიაში.

ცნობილია რომ კონსტრუქტივისტული სწავლების კომპონენტების გამოყენებას გეომეტრიაში შეუძლია მოსწავლეებში განავითაროს: ლოგიურ, ინტუიტური, ზოგადი, ვერბალური და სივრცითი უნარები. ისინი ვითარდებიან სხვადასხვა ამოცანის ამონის, კონსტრუირების და დეკონსტრუირების პროცესში.

განვიხილოთ ერთ-ერთი გაკვეთილი დიფერენცირების ელემენტებით მეოთხე კლასში.

დიფერენცირებული სწავლების მიზანია:

- ✚ მოსწავლეთა უნიკალური უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა და სასწავლო პროცესის დაგეგმვა თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებების, უნარების და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- ✚ მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით საუკეთესო შედეგის მიღწევა.

თემა: მრავალკუთხედის პერიმეტრის გამოთვლა.

გაკვეთილის ძირითადი მიზანია მრავალკუთხედის პერიმეტრის გამოთვლა.

სწავლის შედეგი:

ც ოდნა- მოსწავლეები შეძლებენ მრავალკუთხედის პერიმეტრის გამოთვლას. მრავალკუთხედის თვისებების გამოყენებას პერიმეტრის გამოთვლასთან. ცოდნას დაავსებენ ცხვრებასთან.

უ ნარი-მოსწავლეებს უვითარდებათ ახალი სასწავლო მასალის მონათესავე თემებთან დაკავშირება, ნატურალურ რიცხვებზე მოქმედების შესრულების და გაზომვითი სამუშაოების ჩატარების უნარი.

დ ამოკიდებულება-მოსწავლეები შეძლებენ მრავალკუთხედის პერიმეტრის კერძო შემთხვევის გამოთვლას და გაუჩნდებათ სურვილი გამოთვალონ საკლასო ოთახის, სკოლის ეზოს გარკვეული ნაწილის პერიმეტრი.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი

მათ. IV.10. მოსწავლეს შეუძლია საგანთა და ფიგურათა ზომებისა და ობიექტთა შორის მანძილების პოვნა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახდენს ორ ობიექტს შორის მანძილის შეფასებას შესაბამის სტანდარტულ ერთეულში, ზომავს მას და ამოწმებს თავის ვარაუდს;

- ზომავს და ითვლის ტეხილის სიგრძეს, მრავალკუთხედის პერიმეტრს და აფიქსირებს შედეგს შესაფერის სტანდარტულ ერთეულში;

მათ. IV.2. მოსწავლეს შეუძლია ნატურალურ რიცხვებზე სხვადასხვა ხერხით შეკრება-გამოკლების მოქმედებების შესრულება და მოქმედებათა შედეგის შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასრულებს შეკრება-გამოკლებას სხვადასხვა ხერხის (შეფასება, ზეპირი ანგარიში, წერითი ალგორითმები) გამოყენებით; კონკრეტული მაგალითისათვის ირჩევს მათგან უფრო ხელსაყრელს;

საკურო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:

რიცხვების შეკრება. მოცემულ რიცხვზე-ით მეტი, -ით ნაკლები, -ჯერ მეტი, -ჯერ ნაკლები რიცხვების შეკრება. ტეხილი, ტეხილის სიგრძე სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებიდან მრავალკუთხედების დასახელება. მრავალკუთხედების (ტოლგვერდა სამკუთხედის, კვადრატის, მართკუთხედის თვისებები). სახაზავის გამოყენება და სიგრძის გაზომვა. ზომის სხვადასხვა ერთეულების ერთმანეთში გადაყვანა.

მოსწავლეთა დაჯგუფების ფორმები:

I ფაზა: „წინასწარ“- მთელი კლასი

II ფაზა: „ განმავლობაში“- ჯგუფური

III ფაზა: „შემდგომ“- ჯგუფური -ინდივიდუალური

დაჯგუფების კრიტერიუმები: ჰომოგენური ჯგუფები

სასწავლო რესურსი: წიგნი, ცარცი, ბუკი, დაფა, თვალსაჩინოება, სახაზავი, ფანქარი, დიდი ზომის ფურცლები, მარკერები

გაკვეთილის ეტაპები:

I ფაზა- წინასწარ

მოსწავლეებს ვაცნობ გაკვეთილის თემას და მიზანს. მათთან ერთად შევიმუშავებ შეფასების სქემას, რომლის საშუალებითაც შეფასდება მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობისას. გაკვეთილზე დაგვირდება ორი შეფასების სქემა. სქემა №1 სადაც შეფასდება ფასილიტატორი(კრიტიკული და კონსტრუქციული მეგობარი, რომელიც დაეხმარება ბუნდოვანი საკითხის გააზრებაში), სქემა №2 სადაც მოცემულია მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში. იხილეთ დანართი. **აქტივობა 1.** მოსწავლეთა გახალისების და განმავითარებელი შეფასების მიზნით ვატარებ თამაშს „მოხტუნავე რიცხვები“ (შესაბამისად ადაპტირებულს). მოსწავლეებს წინასწარ ეძლევა ერთი „მისი“ რიცხვი. სვამს კითხვებს, მაგალითად:

- o რამდენი გვერდი აქვს მართკუთხედს?
- o რამდენი გვერდი აქვს სამკუთხედს?
- o რამდენი გვერდი აქვს ოთკუთხედს?
- o რამდენი წვერო აქვს წრეს?
- o რამდენი გვერდი აქვს კვადრატს?
- o რამდენი მდგენი აქვს ხუთკუთხედს?

ფეხზე უნდა წამოხტეს ის მოსწავლე, ვისი რიცხვიცაა შეკითხვის პასუხი და ხმამაღლა დაასახელოს თავისი რიცხვი.

აქტივობა 2. მოსწავლეებს ვაჩვენებ დაფაზე სამ ფერად პლაკატს, სადაც მოცემულია 3 სხვადასხვა ამოცანა და ვთავაზობ შეასრულონ ამოცანა ინდივიდუალურად. **იხ დანართი 3.**

აქტივობა 3. მოსწავლეებს დარგებული აქვთ ფერადი ბარათები ვარდისფერი, იისფერი და ლურჯი. ხმამაღლა ვაკითხებ ამოცანის ამოხსნას სამ სხვადასხვა მოსწავლეს და ვისაც აქვს სწორი პასუხი აგროვებს იისფერ ბარათს. შესრულებული დავალების შესაბამისად მოსწავლეებს ვანაწილებ სხვადასხვა ჯგუფში.

II ფაზა-განმავლობაში

აქტივობების მიზანია მოსწავლეებმა მოახერხონ ახალი ცოდნის კონსტრუირება. აქტივობების შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ და ჩამოაყალიბებენ იმას, რაც, არსებითად, უკვე იციან პრაქტიკულ დონეზე; ეს ხდება როგორც მთელ კლასთან ერთობლივი ინტერაქციით, ისე ჯგუფური მუშაობით; ვსვამ კითხვებს განხილულ ამოცანებში, რომელი ფიურები იყო მოცემული? რა გამოვალეთ ყველა ამოცანაში? ვაცნობ ტერმინს „პერიმეტრი“ და მოსწავლეებთან ერთად განვსაზღვრავთ მას. ამის შემდეგ ვაძლევ სამუშაოებს ჯგუფებში შესასრულებლად.

I შრე: მოსწავლეები, რომელთა შედეგი მოლოდინზე დაბალია

- გამოთვალონ სამკუთხედის პერიმეტრი, რომლის გვერდებია 7 სმ, 8სმ, 12სმ.
- გამოთვალეთ თქვენი სახელმძღვანელოს წიგნის პერიმეტრი.

II შრე: მოსწავლეები, რომელთა შედეგი მოლოდინის შესაბამისია

- ❖ იპოვეთ ხუთკუთხედის პერიმეტრი, რომლის გვერდებია 13 დმ, 22დმ, 12დმ, 43დმ, 11დმ.
- ❖ გამოთქვით ვარადი რამდენი სანტიმეტრია სასკოლო მერხის ზედაპირის პერიმეტრი, შემდეგ გაზომეთ და შეადარეთ თქვენს ვარაუდს.

III შრე: მოსწავლეები, რომელთა შედეგი მოლოდინზე მაღალია

- ❖ ხუთკუთხედის სამი გვერდი 17-17 მეტრია, დანარჩენი 18-18 მეტრი.გამოთვალეთ პერიმეტრი?
- ❖ ხუთკუთხედის სამი გვერდი 5-5 მეტრია, მისი პერიმეტრი 29 მეტრია. იპოვეთ დანარჩენი ორი გვერდი , თუ ისინი ტოლია.

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, ძირითადად ვმუშაობ დაბალი მზაობის ჯგუფთან ერთად. სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი აკეთებს პრეზენტაციას დავასთან. სხვები ყურადღებით უსმენენ, რათა დაუსვან შეკითხვები და შეაფასონ გაკვეთილის ბოლოს თანატოლთა და საკუთარი ნამუშევარი შეთანხმებული რუბრიკის მიხედვით.

III ფაზა-შემდგომ

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად, რათა გავარჯიშდნენ მრავალკუთხედის პერიმეტრს გამოთვლაში და გამოიმუშაონ გამოთვლის სტრატეგიები.

I შრე: მოსწავლეები, რომელთა შედეგი მოლოდინზე დაბალია

დაჩი A პუნქტიდან ჩავიდა B პუნქტში C -ს გავლით, უკან A პუნქტში დაბრუნდა D-ს გავლით.

უპასუხეთ კითხვებს:

- რამდენი მეტრი გაიარა დაჩი A პუნქტიდან B- ში ჩასასვლელად?
- რამდენი მეტრი გაიარა დაჩი B პუნქტიდან A- ში დასაბრუნებლად?
- რამდენი მეტრი გაიარა ლიამ სულ?
- თქვენ რომელ გზას აირჩევდით A დან B- ში ჩასასვლელად და უკან დასაბრუნებლად?

II შრე: მოსწავლეები, რომელთა შედეგი მოლოდინის შესაბამისია

- მართკუთხედის ფორმის ნაკვეთის სიგრძე 80 მ-ია, რაც 25 მ-ით მეტია სიგანეზე. გამოთვალეთ ამ მართკუთხედის პერიმეტრი.
- სამკუთხედის თითოეული გვერდი 11 სმ-ია. იპოვეთ პერიმეტრი.

თითოეულ შემთხვევაში ამოცანა ამოხსენი 2 ხერხით . გააკეთე დასკვნა.

III შრე: მოსწავლეები, რომელთა შედეგი მოლოდინზე მაღალია

- ✓ ABC სამკუთხედის პერიმეტრია 23 სმ. $AB+BC= 17$ სმ.იპოვეთ AC გვერდის სიგრძე.
- ✓ მართკუთხედს რომლის სიგრძე 22 მ. ხოლო სიგანე 10 -ით ნაკლებია სიგრძეზე, აკაკიმ სამჯერ შემოურბინა. რამდენი მეტრი გაიარა მან?

მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს.

ვურიგებ ინდივიდუალურად გასასვლელ ბარათებს სადაც მოცემული მაქვს ამოცანა ტესტის სახით მოსწავლემ უნდა შემოხაზოს სწორი პასუხი.

გაკვეთილის ბოლოს ვაჯამებთ გაკვეთილს , მოსწავლეები აკეთებენ საკუთარ და ურთიერთშეფასებას შემუშავებული რუბრიკის მიხედვით.

ლიტერატურა

1. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე. 2015 წელი.
2. სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული. თბილისი 2015წ.
3. <http://tpdc.ge/essentials/>
4. Black, P., & Wiliam, D. (1998).
5. Tomlinson, C. A. (2000). Differentiation of instruction in the elementary grades. Champaign, IL: Clearinghouse on Elementary and Early Childhood Education
6. სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები. ქუთაისი 2016წ

რეზიუმე

დიფერენცირებული სწავლება ეს არის სასწავლო პროცესის იმგვარი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებზე და შესაძლებლობებზე.მათემატიკის სწავლის პროცესში ყოველი მოსწავლის წინაშე ყოველდღიურად დგება ახალი გამოწვევები, რომელთა საპასუხოდ მას კოგნიტური მზაობა სჭირდება. სწორედ ეს მზაობა უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ დავაშენოთ ახალი ცოდნა და ეს ცოდნა შემდეგ საბაზისო აღმოჩნდეს მომავალი ცოდნის დასაშენებლად.

დიფერენცირებული სწავლებისას მოსწავლეთა მოტივაციაც მაღალია რადგან დავალებები, სადაც მათი მზაობა არის გათვალისწინებული უზრუნველ-ყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც აუცილებლად აისახება სწავლა- სწავლების ხარისხზე.

Natia Bregadze -Primary school teacher

Distinctive studying elements in private grades mathematics

Resume

The process of studying mathematics sets multiply of challenge. To overcome it the pupils need strong mental ability. Readiness of their mental ability helps us to build up the new malls and to use it as the strong basement. According to the National studying plan. Distinctive studying is the only way to take consideration every pupils needs, ability and skills.

This method will help to rise motivation among pupils. The lesson where every Students interest and ability is involved is really attractive, active and Useful for studying and teaching quality.

ნანა ონიანი-სალინაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი.

ეფექტური სწავლება მარტივი ტექნოლოგიებით

ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული კომპეტენციების სტანდარტი შეიქმნა ჩვენი ქვეყნის, საზოგადოების და თანამედროვე ეპოქის საჭიროებებიდან გამომდინარე. იგი ეფუძნება სასწავლო პროცესში ისტ-ს ადგილისა და მისი გამოყენების შესახებ თანამედროვე და საყოველთაოდ გაზიარებულ შეხედულებებს, აგრეთვე იმ საუკეთესო გამოცდილებას, რომელიც არსებობს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ამ დოკუმენტით განზასღვრულმა მოთხოვნებმა უნდა უზრუნველყოს, არა მარტო ისტ-ს ეროვნული სასწავლო გეგმის რეალიზაცია, არამედ ხელი უნდა შეუწყოს საგნობრივი ეროვნული სასწავლო გეგმის სრულყოფილ რეალიზაციას, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

მზარდი კომპლექსურობის მქონე, ინფორმაციით გაჯერებულ და ცოდნაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში წარმატებულად ცხოვრების, სწავლისა და შრომისათვის, მოსწავლეებს და მასწავლებლებს უნდა შეეძლოთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება, რაც ამ პროცესის მონაწილეებს საშუალებას აძლევს:

- ✓ გახდნენ ისტ-ს კომპეტენტური მომხმარებლები;
- ✓ განვიტარონ ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და შეფასების უნარები;
- ✓ შეძლონ პრობლემების გადაჭრა და სწორი გადაწყვეტილების მიღება;
- ✓ უკეთ გამოიმუშაონ კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარი;
- ✓ შეძლონ საკუთარი პროდუქტის შექმნა და გამოქვეყნება.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მაღალი ტემპი, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სასწავლო პროცესს. ჩნდება კითხვები, როგორ უნდა შეიქმნას სასწავლო პროცესში ტექნოლოგიური საშუალებების ისეთი მოდელები, რომლების დროს გაუძლებს და ახალი ტექნოლოგიების მორიგ ტალღასთან ერთად არ მოძველდება. ხშირად, თვით ტექნოლოგია გვთავაზობს აქამდე უცნობ შესაძლებლობებს ცოდნის გაღრმავებისა და თანამშრომლობისთვის. განათლების სისტემებში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის სახვადასხვა მიდგომა არსებობს, თუმცა ყველას აქვს გაცნობიერებული ამ ინიციატივის მნიშვნელობა.


საქართველოში პირველკლასელთათვის ნეთბუკების დარიგება ამ მიმართულებით გადადგმული თამამი და ინოვაციური ნაბიჯია. მნიშვნელოვანი საკითხი განათლების ხარისხის გაზრდაა ტექნოლოგიების გამოყენებით. ხშირად მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობაში განხორციელებულ ძვირადღირებულ ინვესტიციას შესაბამისი შედეგი არ მოაქვს. ამ სფეროში გადაწყვეტი როლი უკავია მასწავლებლის მომზადება-მზაობას, ეფექტიანდ გამოიყენოს ტექნოლოგია. პედაგოგი შეიძლება სრულყოფილად ვერ ერკვეოდეს მოწყობილობისა თუ პროგრამის ყველა დეტალში, მაგრამ საფუძვლიანად უნდა ფლობდეს მოხმარების საბაზო უნარებს, სასწავლო პროცესში გამოყენების მეთოდებს. მასწავლებელს უნდა შეეძლოს, დაინახოს და განსაზღვროს გამოსაყენებელი ტექნოლოგიის ადგილი გაკვეთილის გეგმაში და მისი კავშირი სასწავლო გეგმასთან თუ, სასწავლო მიზნებთან. ახლებურ გარემოში თანამედროვე მიდგომების გამოყენებაც გარდაუვალია.

გაკვეთილის ორგანიზების ძირითადი საფეხურებია: გაკვეთილის დაგეგმვა, გაკვეთილის მომზადება, გაკვეთილის წარმართვა და შეფასება. თითოეულ საფეხურზე აქტუალურია ისტ-ს საშუალებების ეფექტური გამოყენება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა რთული და მნიშვნელოვანი საქმეა. განსაკუთრებით მაშინ, როცა სკოლა მოსწავლეთა აქტიურ სწავლაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე, შემოქმედებითობასა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზეა ორიენტირებული. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს: კონკრეტულად რისი გაკეთება მოეთხოვებათ მოსწავლეებს, რა როლი უნდა შეასრულოს თავად მასწავლებელმა ამ პროცესში, რა ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები და გამოცდილება აქვთ მოსწავლეებს, როგორ იქნება გამოყენებული სასწავლო რესურსები, მათ შორის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. გაკვეთილი ერთგვარი პროექტია, რომელსაც გააჩნია სამიზნე ჯგუფი, მოსწავლეების სახით, სასწავლო მიზანი, მისაღწევი შედეგები, ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები, შინაარსობრივი და ტექნიკური რესურსები, განსაზღვრული დრო და ა. შ. დაგეგმვა გაკვეთილის ყველა ამ ელემენტს შორის რაციონალური კავშირის დამყარებას და ერთიან სტრუქტურაში


მოქცევას გულისხმობს. გაკვეთილის მომზადების ეტაპზე ხორციელდება იმ თვალსაჩინოებებისა და სხვა სასწავლო მასალების მომზადება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობასა და წარმატებული შედეგების მიღწევას. მასწავლებელს, შესაძლოა, ისეთი რესურსების მომზადება მოუხდეს, როგორცაა: საპრეზენტაციო ფაილი ტექსტებითა და სურათებით, დიაგრამები, აუდიო ან ვიდეოფაილები, ნაბეჭდი მასალები: ტექსტები, ფოტოები, ილუსტრაციები და სხვ., შეფასებისთვის საჭირო მასალები: ტესტები, კითხვარები, რუბრიკები და სხვ., რესურსი, რომლის მომზადებისთვისაც საჭიროა ისტ-ის გამოყენება.[4]

ეროვნული სასწავლო გეგმა გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს მასწავლებელს გაკვეთილის თემატიკის და შინაარსის შერჩევაში. აუცილებელია შევთავაზოთ მათ სწავლების ინოვაციური მეთოდები, სასწავლო პროექტები, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

დაწყებით კლასებში პედაგოგები იყენებენ გაკვეთილის მართვის პროგრამას (Mythware-ის Intel(R) Learning Series Classroom Management), სადაც მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებიც აქტიურად არიან ჩართულნი. პროგრამას აქვს ფუნქციათა მოქნილი სისტემა. ღილაკით- ფაილის გავრცელება, მასწავლებელი აგზავნის მოსწავლეთა კომპიუტერებში გაკვეთილისთვის საჭირო მასალებს. შეგვიძლია ამ ღილაკს, დამატებით შევუთავსოთ სხვა ფუნქციაც- ტესტური გამოკითხვა, რითაც მასწავლებელი შეძლებს მრავალმხრივი დატვირთვა მისცეს ამ ამოცანას. ის პარალელურად მოსწავლეებს შეასწავლის ტექსტურ რედაქტორში მუშაობის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს- პედაგოგი, თითოეულ მოსწავლეს გაუგზავნის ტექსტურ რედაქტორში წინასწარ მომზადებული ტესტს (ან გაკვეთილისთვის საჭირო შესაბამისი მასალას) (სურ.1).



სურ.1



სურ.2

მოსწავლეები იწყებენ დამოუკიდებლად მასალის გაცნობას, შესაბამისად რეაგირებენ და შესრულებულ დავალებას მასწავლებელს უბრუნებენ (სურ.2). ღილაკით-ფაილების კრებული, მასწავლებელი შეძლებს მათ შეფასებას.

ერთი შეხედვით, მარტივი ამოცანის შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ დამატებითი კომპიუტერული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გამოყენება. მათ უნდა შეძლონ საოფისე პროგრამა Word-ში შექმნილი ფაილის გახსნა, რედაქტირება, სახელის გადარქმევა და რედაქტირებული დოკუმენტის გადაგზავნა მასწავლებლის კომპიუტერში, რაც შეგვიძლია მათ მარტივად, პრაქტიკულად ვასწავლოთ. გაკვეთილზე ამ ფუნქციის სისტემატური გამოყენებით, მოსწავლეებს უვითარდებათ ისტ-ს გამოყენების უნარ-ჩვევების და ეძლევათ დამატებითი ცოდნის მიღების საშუალება.

ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილის დასაგეგმად, მნიშვნელოვანია, შეირჩეს კომპიუტერული პროგრამა (საოფისე, მულტიმედია და ა.შ.), რომელიც ხელს შეუწყობს (და არ შეაფერხებს) სწავლებას საკლასო ოთახში. გასათვალისწინებელია, ხელმისაწვდომია თუ არა კომპიუტერული პროგრამა მოსწავლეებისათვის, რათა მათ შეძლონ ფაქტების მოგროვება, ინფორმაციის წყაროს შეფასება და ორგანიზება, ცოდნის გამოყენება.

ლიტერატურა

- [1] ეფექტური სწავლების ტექნოლოგიები და სტრატეგიები. ნ. მაჭარაშვილი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012წ.
- [2] საგნობრივი პროგრამა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმა 2016წ.
- [3] ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2016-2017წ.
- [4] ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2010წ.
- [5] Красильникова, В.А. Информационные и коммуникационные технологии в образовании: учебное пособие/ В.А. Красильникова. - М.: Дом педагогики, 2011.
- [6] Федеральный портал "Информационные и телекоммуникационные технологии в образовании"
<http://www.informika.ru>
- [7] <http://www.tpdс.ge>

რეზიუმე

სასწავლო პროცესში ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა მასწავლებლისაგან გარკვეულ ენთუზიაზმს და თვითგანვითარებაზე ზრუნვას მოითხოვს. ინტერნეტი და ტექნოლოგიები გზას უხსნის მას იმისაკენ, რომ სწავლება შემოქმედებით პროცესად გადააქციოს. ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას საგნის სწავლების მიმართ, რადგან მოსწავლეები თვითონ ეძებენ, ქმნიან სხვადასხვა მრავალფეროვან მასალას. ცხადია, ასეთ პროცესში სრულად ჩართული მოსწავლე უკეთ გაართმევს თავს სასწავლო ამოცანებს.

Nana Oniani-Saginadze - Akaki Tsereteli State University

“Effective study with the help of simple technologies”

Abstract

Use of technologies in the learning procedures demands teacher's certain enthusiasm and their selfdevelopment. Internet and technologies help them to conduct creative lessons, make a learning procedure more interesting. It is clear, that IST increases motivation of pupils. They will have an opportunity to find and create items themselves. Pupil equipped with such technologies can easily copy with exercises.

მზია მამასახლისი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სხეულის მოცულობის გაზომვის ისტორიიდან

სივრცითი აზროვნების ფორმირებას უდიდესი როლი ენიჭება მოსწავლეებში, ამიტომ სწავლების პროცესში საინტერესოა ცნობები მათემატიკის ისტორიიდან ისეთ საკითხებზე რომელიც ეხება სივრცით სხეულებს და მათი მახასიათებელი თვისებების შესწავლას. ასეთ თემებს ანტიკური ხანის არაერთმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი შრომები, ისინი განიხილავდნენ გეომეტრიულ ამოცანებს, რომლებსაც კავშირი ქონდათ ადამიანთა ყოფასთან და პრაქტიკულ ხასიათთან.

ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ ადამიანებს გაუჩნდათ სურვილი ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოხსნისას დაგროვილი პრაქტიკული ცოდნა. ისინი ცდილობდნენ აეხსნათ სხვადასხვა ამოცანაში მოცემული სიდიდეების მახასიათებლები და მოეძებნათ მათი დამტკიცების გზები. მოცემული ფაქტები დაედო საფუძვლად გეომეტრიის როგორც მეცნიერების განვითარებას. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე VI-V საუკუნეში გეომეტრიის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო ძველ საბერძნეთში, რამაც გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა და შესაბამისად განვითარება დაიწყო გეომეტრიამ როგორც მეცნიერებამ.

ძველეგვიპტურ პირველ პაპირუსებში და ბაბილონურ ლურსმულ დამწერლობაში გვხვდება წაკვეთილი პირამიდის მოცულობის განსაზღვრის მაგალითები. პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის მოცულობის განსაზღვრა მოახდინა არქიმედემ. მან მოძებნა საერთო მეთოდი ნებისმიერი ფართობისა და მოცულობის გამოსათვლელად. შემდგომ არქიმედეს იდეები დაედო საფუძვლად ინტეგრალურ გამოთვლებს. არქიმედემ თითქმის ნებისმიერი სხეულისათვის საკუთარი მეთოდით მოახდინა გამოთვალა ფართობი და მოცულობა. არქიმედემ დაადგინა რომ სფეროს მოცულობა შეადგენს მასზე შემოხაზული ცილინდრის $2/3$ -ს.

გამოჩენილ ბერძენ სწავლულებში ასევე შეიძლება გამოვყოთ დემოკრიტე, რომელიც მოღვაწეობდა ჩვენს წელთა აღრიცხვამდე V-IV საუკუნეში, მან დაამუშავა მოცულობის გამოსათვლელი თეორიები, რომლის მიხედვითაც მოცულობა არის გეომეტრიული სხეულის ტევადობა, ე.ი. სამყაროს ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია ერთი ან რამდენიმე ჩაკეტილი სიბრტყით. მოცულობის გაზომვის პროცედურა არის ფართობის გამოთვლის პროცედურის ანალოგიური, მოცულობა იზომება კუბური ერთეულებით და ის გამოისახება დადებითი რიცხვით, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი საზომი ერთეული მოთავსდება მოცემული მოცულობის სხეულში.

ისტორიულად მოცულობების განსაზღვრა ხდებოდა ხეოფსის პირამიდების მაგალითებზე. არქიმედემ ჯერ კიდევ ჩვ.წ. აღ. V საუკუნეში დაადგინა, რომ პირამიდის მოცულობა არის იმავე ფუძისა და იმავე სიმაღლის პრიზმის მოცულობის $1/3$.

კუბის ფორმის მარცვლეულის შესანახი ჭურჭლის მოცულობას ძველი ეგვიპტელები, ბაბილონელები და ჩინელები გამოთვლიდნენ ფუძის ფართობისა და სიმაღლის გამრავლების გზით. მოგვიანებით როდესაც გეომეტრია განვითარდა როგორც მეცნიერება მრავალწახნაგას მოცულობის გამოსათვლელად შემუშავებული იქნა საერთო მიდგომა. კერძოდ ევკლიდემ შემოიღო ტერმინები: „მოცულობა“ და „კუბი“. მან ტერმინი „კუბი“ წარმოგვიდგინა როგორც კუბის მოცულობა. ევკლიდემ შრომებში „საწყისები“ ჩამოაყალიბა რამდენიმე საინტერესო თეორემა, რომელიც ეხებოდა სივრცით ფიგურებს და მათ მოცულობებს.


თეორემა1. პარალელებიპედეტი ერთნაირი სიმაღლეებითა და ტოლდანი ფუძეებით არიან ერთმანეთის ტოლდანი.

თეორემა2. ერთი და იგივე სიმაღლის მქონე ორი პარალელებიპედის მოცულობები ისეთივე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან როგორც მათი ფუძის ფართობები.

თეორემა3. ტოლდიდ პარალელებიპედეტში ფუძის ფართობები სიმაღლის უკუპროპორციულია


მოცულობების გამოთვლა და სწორად გაანგარიშებები დაედო საფუძვლად ხელოვნებისა და კულტურის მრავალი უძველესი ძეგლის შექმნას. ძველეგვიპტურ და ძველბაბილონურ არქიტექტურაში მრავლად გვხვდება სივრცითი ფიგურები, რომელთა აგება დამოკიდებული იყო მოცულობის გამოთვლაზე. ასეთი ამოცანების გადაწყვეტა საფუძვლად დაედო სასახლეებისა და სხვადასხვა სახის მონუმენტური ნაგებობების აგებას.

თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი შესაბამისი ნახაზებით. ვიცით რომ მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობა გამოითვლება ფორმულით $V = S \cdot H$ სადაც $S = a \cdot b$ რომელიც არის ფუძის ფართობი, ხოლო H სიმაღლე.




ნახ. 1

განვიხილოთ მართი სამკუთხა პრიზმა (ნახ.1) ის ადვილად შეიძლება გრდავექმნათ მართკუთხა პარალელებიპეტად (ნახ.2) რომლის მოცულობა იქნება V , ხოლო ფუძის ფართობი S . პარალელებიპედის სიმაღლე იქნება იგივე H რაც პრიზმის შემთხვევაში.



ნახ.2

აქედან გამომდინარე მართი სამკუთხა პრიზმის მოცულობა გამოითვლება ფორმულით $V = S \cdot H$ რადგან ნებისმიერი მართი პრიზმა შეიძლება დავეყოთ სამკუთხა პრიზმებად, სადაც მოქმედებს იგივე ფორმულა რაც პირველ შემთხვევაში. (ნახ. 3.)



ნახ.3

რამდენადაც მათემატიკის სწავლების პროცესში საკმაოდ რთულია გეომეტრიული ამოცენების გააზრება და ამოხსნა, ამიტომ მიზანშეწონილია მოსწავლეებს გავაცნოთ ისტორიული ფაქტები და პირველდაწყებითი წარმოდგენები ისეთ საკითხებზე რომელიც ეხება გეომეტრიულ აგებებს, ფართობებისა და მოცულობების გამოთვლებს. ისტორილი ფაქტების კარგად გააზრება გაადვილებს მოსწავლეებისათვის ცოდნის მიღების შესაძლებლობას სწავლების მომდევნო საფეხურებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვებ- გვერდი: www.Google.com
2. მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელოები

Mzia Mamasakhlisi - Akaki Tsereteli State University

Body circumference measurement history

Summary

Formation of spatial thinking play the greatest role in students, so in the process of teaching we are interesting in statements from the history of mathematics that deals with issues of spatial bodies and their characteristic features.

Historical facts prove that people wanted share the practical knowledge that they gain form the solution of different types of tasks. They tried to explain the characteristics of the different given task and seek their approval ways.

In the ancient Egyptian papyrus and Babylonian cuneiform script we found the examples to determine the circumference of truncated pyramid. Archimedes determine the circumference of a prism, pyramid, cylinder and cone. He found the common method of calculate any area and circumference. Further Archimedes ideas become as the basis of integral calculus. Archimedes used his own methods to calculate area and circumference of any body.

For the visual effect, we consider some examples with the right examples and make appropriate conclusions.

ლალი ქობულაძე - ქუთაისის მე-40 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი
ნოდარ გაგარეიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო ბლოგების როლი ციფრული წიგნიერების განვითარებაში

1980 წლის შემდეგ დაბადებულ ბავშვებს ლიტერატურაში ციფრული ეპოქის აბორიგენებად მოიხსენიებენ. ბავშვები ადრეული ასაკიდანვე იწყებენ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, ამიტომ აღარ გვიკვირს, რომ ჩვენი მოსწავლეები და სტუდენტები ჩვენზე მოხერხებულად პოულობენ Power point-ის პრეზენტაციისთვის მახვილგონივრულ ილუსტრაციას ან ფოტოებს, Photoshop-ით ამუშავებენ და მათგან კალენდარს აწყობენ. თანამედროვე ეპოქის გამოწვევები ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც 9 გამჭოლ კომპეტენციას შორის ციფრულ (კომპიუტერულ) წიგნიერებასაც მოიაზრებს, რაც ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარს გულისხმობს.

ამის კვალობაზე დიდ მნიშვნელობას იძენს მოზარდებისთვის ციფრული კომპეტენციებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება, მაგრამ, ამასთანავე, არც თავად ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის ხარისხის საკითხი კარგავს აქტუალობას.

ახლა კონკრეტულად ვისაუბროთ იმაზე, თუ რა არის ციფრული წიგნიერება. ციფრული წიგნიერება არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანად და მიზნობრივად, საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების დაცვით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა ინფორმაციის მოპოვების, კვლევის, ორგანიზების, შეფასებისა და შექმნის გზით.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში საგნების სწავლება მათ შორის ინტეგრაციით არის მოაზრებული. თუ თითოეული საგანი მოსწავლეებს სპეციფიკურ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებას უვითარებს, ინტეგრაციის დანიშნულება იმ ზოგადი უნარების გამოკვეთაა, რომლებიც ამ საგნებს ერთმანეთთან აახლოვებს. ინფორმაციულ-საკონიშუკაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებში ინტეგრაცია მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის შემდეგი ზოგადი უნარებისა და აზროვნების ტიპების განვითარებას:

- გაგება ისტ-ის საშუალებების და მათი ფუნქციონირების შესახებ ფაქტების, ცნებებისა და იდეების ცოდნა, მათი დანიშნულების ინტერპრეტირება და ერთმანეთთან შედარება
- კომუნიკაცია ისტ-ის საშუალებების გამოყენება ინფორმაციის მიღების, მოპოვებისა და გაცვლა/გაზიარების მიზნით
- ანალიტიკური აზროვნება ისტ-ის საშუალებათა შეფასება, უკვე მოცემულ ან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მათ შორის კანონზომიერებების დადგენა, შემადგენელი კომპონენტების ამოცნობა, ფრაგმენტების ორგანიზება
- სინთეზური აზროვნება ისტ-ის საშუალებებით ინფორმაციის დიდი მოცულობიდან საჭირო ფრაგმენტების ამორჩევა და მათი ერთმანეთთან მიზნობრივი დაკავშირება
- შემოქმედებითი აზროვნება ისტ-ის საშუალებების გამოყენებით რეალობიდან მომდინარე პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზების პოვნა, ახალი კითხვების დასმა და მათზე პასუხების მოძიება
- კრიტიკული აზროვნება უკვე მოცემული, ან მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შეფასება შინაარსის, დანიშნულების, ხარისხისა და სანდოობის მიხედვით, ისტ-ის ზოგადი უნარების სტანდარტის ორგანიზება სასწავლო დისციპლინებში/

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, რადგან მოსწავლეებში ამდენად მნიშვნელოვანია ციფრული წიგნიერების განვითარება და პედაგოგები უფრო მაღალი მზაობით უნდა შევიდნენ გაკვეთილზე, ისტ-ის კომპეტენციის მიმართულებით შევქმენი საგანმანათლებლო ბლოგი: „ლალის ბლოგი“ <http://kbuladze.blogspot.com/>, სადაც განთავსებული მაქვს სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები, როგორც პედაგოგებისთვის, ასევე მშობლებისა და მოსწავლეებისთვის, რადგან სკოლა, ოჯახი და საზოგადოება ერთი მთლიანი ორგანიზმია.

ჩემი ბლოგი საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ნახონ, თუ როგორ იწერება: სილაბუსები, საგაკვეთილო გეგმები, სადამრიგებლო პროგრამები, სოციალური თუ საგნობრივი პროექტები; როგორ იქმნება ელექტრონული წიგნები, ტესტები და დამხმარე მეთოდური ლიტერატურა. მასწავლებლებს

შეუძლიათ ბლოგზე განთავსებული რესურსები თვითონაც გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესში და ამით აამაღლონ სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხი. ასევე ბლოგზე განთავსებული რესურსები უბიძგებს მათ თავადაც შექმნან სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი ან მოდიფიცირება გაუწიონ უკვე არსებულ რესურსებს და მოარგონ ისინი თავიანთი კლასის საჭიროებას. ამით ხდება მათი პროფესიული ზრდა. მკვიდრდება კოლეგებს შორის თანამშრომლობითი გარემო. მათ მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსები კი საშუალებას აძლევს პედაგოგს კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების სქემაში დაიგროვონ კრედიტ ქულები, რასაც საბოლოოდ მათი პოზიციური წინსვლა მოჰყვება. პედაგოგებში განვითარდება ხუთი მიმართულების მისაღწევი შედეგები:

1. სოციალური, ეთიკური და უსაფრთხოების ნორმების დაცვა და ისტ-ის პასუხისმგებლობით.
2. გამოყენება-ციფრული მოქალაქეობა.
3. ისტ-ის ეფექტიანი გამოყენება.
4. ახალი პროდუქტის შექმნა.
5. კომუნიკაცია და კოლაბორაცია.
6. ინფორმაციის მოძიება და კვლევა.

მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ საშუალება დინამიკაში დააკვირდნენ საკუთარ/საკუთარი შვილების| წარმატებებს და ნათლად ნახონ, თუ რა აქტოვობებში იყო ჩართული მთელი წლის განმავლობაში, რა მიღწევები და ჯილდოები მოიპოვა. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მშობლებს უფრო ჩართულები იყვნენ სასკოლო ცხოვრებაში და მეტი იცოდნენ თავიანთი შვილების წარმატებების შესახებ. თავის მხრივ, მოსწავლეებსაც უმაღლდებთ მოტივაცია და მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე. მოსწავლეებში ვითარდება შემდეგი უნარ-ჩვევები: სოციალური, ეთიკური და უსაფრთხოების ნორმების დაცვა და ისტ-ის პასუხისმგებლობით გამოყენება - ციფრული მოქალაქეობა აღიარებს, როდესაც იყენებს სხვის შექმნილ ციფრულ ნამუშევარს/პროდუქტს და ასახელებს წყაროს აყალიბებს ციფრული ინფორმაციის უსაფრთხოდ გამოყენების წესებს მასწავლებლის დახმარებით და ახდენს შესაბამისი სოციალური ნორმების ცოდნის დემონსტრირებას სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისას აღნობიერებს ისტ-ის გავლენას საზოგადოებაზე იყენებს ისტ-ს ცოდნის გაღრმავებისა და სიახლეების მოძიების მიზნით იყენებს ისტ-ს კომუნიკაციის მიზნით იაზრებს ისტ-ის გამოყენების შესაძლებლობებს საყოფაცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტისას რეალურ დროში აკვირდება სხვადასხვა მოვლენას, შეიცნობს სამყაროს ვირტუალური ტურების საშუალებით მუშაობს კოლაბორაციულად, უზიარებს/ცვლის ინფორმაციას ავრცელებს საკუთარ ციფრულ მასალას, სხვების მიერ განხილვისა და უკუკავშირის მიღების მიზნით, იყენებს უკუგების შედეგს პროდუქტის გასაუმჯობესებლად ყოველივე ამასთან ერთად ინფორმაციის ანალიზში დიდ როლს ასრულებს მანამდე არსებული გამოცდილება და ცოდნა, ვინაიდან ადამიანი, რომელსაც უკვე აქვს ინფორმაციის დამუშავების გამოცდილება, ახალბედასგან განსხვავებით, ყოველგვარ ინფორმაციას სარწმუნოდ არ მიიჩნევს.

„ციფრული ეპოქის ბავშვების“ ავტორთა აზრით, წყაროს შერჩევისას მოზარდები ყურადღებას აქცევენ საიტის დიზაინს, მის პოპულარობას, იმას, რამდენად ვრცელადაა წარმოდგენილი ინფორმაცია. ზოგი აღნიშნავს, რომ სანდოდ მიაჩნია საიტები, სადაც ინფორმაციას ხშირად აახლებენ და სადაც შესაძლებელია განახლების თარიღის ნახვა.

ბუნებრივია, ინფორმაციის ხარისხის შეფასება თანდაყოლილი უნარი არ არის. ადამიანები, რომლებიც მეტ დროს უთმობენ სხვადასხვა საიტზე ინფორმაციის ძიებას, ბუნებრივია, მეტად იწაფებიან. მაგალითად, ერთი სტუდენტი ამბობს, რომ ყოველგვარ ინფორმაციას ამოწმებს, ეცნობა სხვადასხვა წყაროს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვს დასკვნა ან იქმნის წარმოდგენას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ის ვიკიპედიის გამოყენების საკუთარ წესსაც გვაცნობს: „სტატია, სადაც ბევრი ციტატაა მოყვანილი და ავტორებიც მითითებულია, ჩემს ნდობას იმსახურებს. სტატიის გაცნობისას შევდივარ მისი განახლების ისტორიაში, ვნახულობ, ვის მიერაა რედაქტირებული... თუ რედაქტორებიც დასახელებულია, მაშ, ეს სანდო სტატია ყოფილა“.

უდავოა, რომ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პედაგოგებსაც. უნდა ვიზრუნოთ ციფრული და მულტიმედიაური კომპეტენციების განვითარებაზე, მივაწოდოთ მოსწავლეებს ინფორმაციის სანდოობის შემოწმების ინსტრუქციები (ან სანამ ვებგვერდს მივუთითებდეთ, დავფიქრდეთ იმაზე, ვისი შექმნილია იგი, სანდოა თუ არა ავტორთა ჯგუფი, დაშვებულია თუ არა მასალაში გრამატიკული და

ორთოგრაფიული შეცდომები, შესაძლებელია თუ არა ავტორებთან დაკავშირება, ხომ არ გვხდება შინაარსის თვალსაზრისით საეჭვო ინფორმაცია, რომლის გადამოწმებაც სხვა წყაროებში ვერ ხერხდება, გასაგებია თუ არა გამოყენებული ლექსიკა, შეუძლია თუ არა მოსწავლეს მისი გაგება/დამუშავება, კარგად ჩანს თუ არა სურათები და ხელს უწყობს თუ არა ისინი ინფორმაციის აღქმას. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის კოგნიტიური შესაძლებლობები, ინტერესები, ცოდნა. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია კრიტიკული აზროვნება, რომელიც აუცილებელია როგორც ციფრულ, ისე რეალურ სამყაროში გზის გასაკვლევადა. თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ძალზე დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ვებგვერდების შემქმნელებსაც – მათ უნდა უზრუნველყონ მომხმარებელი სანდო და ღირებული ინფორმაციით და ღია, ინტერნეტსივრცეში არც ბავშვების ფაქტორი დაივიწყონ.

აქედან გამომდინარე, ციფრული თაობის აზორიგენები გამოცდილებასთან ერთად მასალის შეფასების უნარებსაც იძენენ, მაგრამ ეს პრობლემას მთლიანად ვერ აგვარებს. ამიტომაც პედაგოგების მიერ შექმნილი საგანმანათლებლო ბლოგები გარანტიაა იმისა, რომ მოსწავლემ ძალიან მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული და დაზუსტებული ინფორმაცია. სადაც ფაქტობრივი უზუსტობები და არასწორი ინფორმაცია გამორიცხულია.

- ბლოგის აღწერილობა:
- კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა: სადამრიგებლო საადმინისტრაციული პროგრამები.
- თემატური გეგმები და სილაბუსები სხვადასხვა კლასებისათვის.
- სამოდელო გაკვეთილების ვიდეო კოლაჟები/ გაკვეთილის გეგმები.
- პროექტები.
- ინოვაციური მეთოდები.
- „ისტ“ -ის გამოყენებით დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილები.
- სტაჟიორთან მუშაობის სამოქმედო გეგმები.
- საგანმანათლებლო კვლევები.
- კონფერენცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016წწ.
2. <http://ncp.ge/ge/curriculum/competencies/digital-literacy>
3. Палффи, Д., Гассер, У, (2011). Дети цифровой эры. ЭКСМО
4. ინტერნეტ გაზეთი მასწავლებელი <http://mastsavlebeli.ge/>
5. <http://kobuladze.blogspot.com>

რეზიუმე:

თემაში: „საგანმანათლებლო ბლოგების როლი ციფრული წიგნიერების განვითარებაში“ მოცემულია თუ რამდენად მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნის მოსწავლეებში გამჭოლი კომპეტენცია - ციფრული წიგნიერების განვითარება. რა პასუხისმგებლობა ეკისრება ამ მიმართულებით პედაგოგს და როგორ ეხმარება თვით მასწავლებლებს საგანმანათლებლო ბლოგები პედაგოგიურ ზრდასა და კარიერულ წინსვლაში. ასევე, როგორ ეფექტურად მოქმედებს საგანმანათლებლო ბლოგები სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. როგორ აღუძრავს მოსწავლეებს მოტივაციას ციფრული რესურსები. საუბარია იმ უნარ-ჩვევებზე, რომლებიც უვითარდება ადამიანს, როდესაც სისტემატურად იყენებს საგანმანათლებლო ბლოგებს. მოცემულია „ლალის ბლოგის“ მაგალითზე, თუ როგორ უნდა შექმნა საგანმანათლებლო ბლოგი და გამოიყენო მიზნობრივად იქ მოცემული რესურსი.

Summary

The thesis "Role of Educational Blogs in Development of Digital Literacy " describes the importance of The incisive competence, development of the digital literacy within the pupils of the 21st century, the responsibility of the teacher and the ways educational blogs assist the teachers themselves in pedagogical growth and career advancement. Also, it demonstrates the efficiency of educational blogs in the improvement of teaching and learning quality and the way digital resources inspire the motivation of the pupils.

It refers the skills that people develop while systematical usage of the educational blogs.

On the example of "Lali's blog" it demonstrates the possibility of the creation of the educational blog and the ways of purposeful application of the resources, offered there.

ანა ძიმისტარიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასწავლებელი

ახალი ტექნოლოგიები თანამედროვე განათლების სისტემაში

ცხადია, ადამიანის თვალსაწიერსა და ინტერესს საზღვარი არ გააჩნია, რისი დემონსტრირებაც თანამედროვე ცხოვრებაში არაერთი საშუალებით ხდება. უპირველეს ყოვლისა ესაა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შესაძლებლობა, რისი გაკეთებაც დედამიწის ნებისმიერ წერტილში, იმაზე და მოკიდებული, თუ რამდენად კარგია წვდომა ტექნიკურ საშუალებებზე.

სწორედ, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ შვედეთში, სადაც ინტერნეტით სარგებლობა მოსახლეობის 98%-ს შეუძლია, ინფორმირებულობის დონე იმაზე გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში ან სხვა განვითარების დაბალ საფეხურებზე მდგომ სახელმწიფოში. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ამ ყველაფრის გარეშე შეუძლებელია პროგრესის მიღწევა, როგორც სახელმწიფო, ისე ნებისმიერ საზოგადოებრივ საქმიანობაში, მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვა, რაც თავის მხრივ გაზრდის ინფორმაციული საზოგადოების წილს და მათი საშუალებით მოხდება ქვეყნის ინტეგრირება მსოფლიოს ინფორმაციულ სივრცეში. დღეს ასევე წარმოდგენილია სასწავლო პროცესი, რომელიც მიმდინარეობს საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების გარეშე ან ჩვენთვის ყველასთვის ნაცნობი "PR", ჩამონათვალი ნამდვილად შორს წაგვიყვანს. მოკლეთ, კომპიუტერი და ინტერნეტი, რომ არაჩვეულებრივი გამოგონებაა ამაზე არავინ დაობს, მაგრამ მეორე მხრივ საინტერესოა რამდენად სწორად ხდება მისი გამოყენება ცნობიერების დონის ასამაღლებლად, პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად და ზუსტი ინფორმაციის გასავრცელებლად.

თანამედროვე განათლების სფეროში სწავლა-სწავლება განიხილება როგორც პროცესი, რომლის დროსაც უბრალოდ ცოდნის გადაცემა კი არ ხდება, არამედ ცოდნა კონსტრუირდება თავად მოსწავლის მიერ სოციალური გარემოს ხელშეწყობით. როგორ გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად?

დღეს ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე სრულიად განსხვავებულ მოსაზრებებს მოისმენთ, ის კი ყველას ავიწყდება, რომ მსოფლიო პატარაა, ხოლო ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან.

მონდომების შედეგს სწრაფად ვერ დავინახავთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ადრე თუ გვიან მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. 2001 წელს მარკ პრენსკიმ შემოიღო ტერმინი „ციფრული აბორიგენი“ იმ ადამიანების დასახასიათებლად, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ მას შემდეგ, რაც ციფრულმა ტექნოლოგიებმა მყარად მოიკიდა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში. ისინი ინტერნეტს, მობილურ კავშირს, პერსონალურ კომპიუტერს, ნოუტბუქს ადიქვამენ როგორც ჩვეულებრივსა და აუცილებელს, მათთვის წარმოდგენილია ცხოვრება ამ ტექნოლოგიების გარეშე.

დღეს ყველა აღნიშნავს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ცვლილებების შეტანა საჭიროა. დროსთან ერთად იცვლება თაობებიც და მათი მოთხოვნილებებიც, ამიტომ აუცილებელი ხდება სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების გამომუშავებას. რა თქმა უნდა, საკლასო ოთახში გამოუყენებელი ტექნოლოგიების არსებობით ვერაფერს შევცვლით; სასურველი შედეგი რომ მივიღოთ, საჭიროა, მასწავლებელი აქტიურად იყენებდეს მათ მოწაფეებისთვის შემოქმედებითობის, თანამშრომლობის, რეალურ ცხოვრებაში პრობლემების მოგვარების, თვითრეგულირების, კრიტიკული აზროვნებისა და სხვა უნარების განსავითარებლად.

თუმცა მასწავლებლის მონდომება არ არის საკმარისი. პედაგოგები სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების დანერგვისას უფრო მოტივირებულნი და თავდაჯერებულნი არიან, როდესაც ხელმძღვანელობის მხარდაჭერას გრძნობენ. ისტ-ის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ინოვაციური სწავლებისას, ამასთან, პედაგოგს უნდა შეეძლოს ტექნოლოგიების სწორად და ეფექტურად გამოყენება. რა შეგვიძლია გავაკეთოთ სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების დასაწინააღმდეგებლად? ბევრი რამ, მაგალითად:

- 1) დავეუფლოთ ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებასა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას. ამის წყალობით შევძლებთ, აქტიურად გამოვიყენოთ ხელმისაწვდომი დამხმარე რესურსები და ისტ ტექნოლოგიები გაკვეთილებზე.
- 2) რეგულარულად გამოვიყენოთ ისტ. ეს ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვაში დაგვეხმარება.
- 3) არ აქვს მნიშვნელობა, რომელ საგანს ასწავლით – სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ყველას შეუძლია.

ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ)-ის მეშვეობით სწავლება ხდება:

- აქტუალური;
- ხელმისაწვდომი და საინტერესო;
- რეალურ ცხოვრებასთან დაახლოებული.

ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტექნოლოგიების გამოყენება:

- ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას;
- აძლევს მოსწავლეს პროცესებისა და მოვლენების მოდელირების საშუალებას, ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას;
- აჩვენებს სწავლასა და თანამშრომლობას;
- იძლევა სწავლის საშუალებას ინფორმაციის შესწავლა-ანალიზის გზით.

რატომ არის საჭირო სწავლებაში ტექნოლოგიების ინტეგრირება

მოსწავლეზე ორიენტირებული	თვითრეგულირება	პრობლემების მოგვარება	პრაქტიკული ფასეულობები	რაციონალურობა	აქტუალურობა
მხარდაჭერა	თვითშეფასება	ისტ-ის გამოყენება	ინოვაციურობა	მიღწევადი მიზანი	პროექტული მიდგომა
ერთობლივი მუშაობა	პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლება	ჩაღრმავება	კულტურული თავისებურებების გათვალისწინება	რესურსების ხელმისაწვდომობა	კვლევა
ცოდნის ფორმირება	აქტიურისწავლება	საგანთაშორისი კავშირი	ხალისითსწავლა	მართვადობა	ციფრული შედეგები

ცხრილში მოყვანილია ტექნოლოგიებით სწავლების ზოგიერთი ასპექტი ტექნოლოგიების გამოყენებით მკვიდრდება სწავლების ახალი ფორმები:

- ბლოგები;
 - ტექსტური შეტყობინებები;
 - ელექტრონული წერილები;
 - ფორუმები;
 - ვიდეო კონფერენციები;
 - სოციალური ქსელები;
 - ინტერაქტიული და სამაუწყებლო პლატფორმები;
- მასწავლებელი აღარ არის ცოდნის ერთადერთი წყარო.

განსხვავება ტრადიციული გაკვეთილისგან

	ტრადიციული გაკვეთილი	ისტ-ით გამდიდრებული
მასწავლებლის როლი	მასწავლებელი – ცოდნის ერთადერთი წყარო	მასწავლებელი მეგზურია ცოდნის დაუფლების გზაზე
სწავლების ტენდენციები	ინდივიდუალიზმი ცოდნის მიღება მასწავლებლისგან კონკურენცია – ყველა ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე	თანამშრომლობა პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება, ექსპერიმენტები და კვლევები ურთიერთდახმარება
აქტივობის სახეობა	აქტივობებს ადგენს და ანაწილებს პედაგოგი ინსტრუქციას აძლევს მთელ კლასს მოსწავლეებს არ აქვთ მოქმედების თავისუფლება სწავლების ტემპი განისაზღვრება პროგრამით	აქტივობებს თავად მოსწავლეები ირჩევენ, სწავლება პროგრამის ჩარჩოებით არ იზღუდება ჯგუფური მუშაობა სხვადასხვა სახის აქტივობა სწავლების ტემპს თავად მოსწავლეები არჩევენ
პროცესი	თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირის არარსებობა	პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზების ძიება თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა
შეფასება	მასწავლებლის კონტროლით	მოსწავლეთა შეფასება

ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად:

სასწავლო პროცესში ერთვება უფრო მეტი მოსწავლე; სწავლების პროცესი სცდება საკლასო ოთახს, მოსწავლეები იმაღლებენ ტექნიკურ ცოდნას; სწავლების პროცესი უფრო მართვადი ხდება; სწავლების ტრადიციულ გარემოს ენაცვლება ციფრული გარემო; სწავლება ხდება უფრო ინტერაქტიული; მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სწავლების პროცესში, ატარებენ კვლევებს და თავად ირჩევენ სწავლების ფორმას.

ამრიგად ინოვაციური მეთოდების დასაწარმოებლად სასწავლო პროცესში ბევრი რამ შეგვიძლია გავაკეთოთ: დავუფულოთ ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებასა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას. ამის წყალობით შევძლებთ, აქტიურად გამოვიყენოთ ხელმისაწვდომი დამხმარე რესურსები და ისტ ტექნოლოგიები გაკვეთილებზე. ყოველივე ზემოთ თქმული გვიჩვენებს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რომელ საგანს ასწავლით – სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ყველას შეუძლია.

ზოგადად, ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილების საშუალებით მრავალი პრობლემის მოგვარება შესაძლებელი, ოღონდ მასწავლებელი ამისთვის კარგად უნდა იყოს მომზადებული და სკოლის ტექნიკური აღჭურვილობაც ხელს უწყობდეს. სხვანაირად ვერ მივაღწევთ მიზანს. ისტ-ტექნოლოგიები შეიძლება გამოვიყენოთ დისტანციური სწავლებისას, სხვადასხვა ინტელექტის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას, გლობალური სწავლებისას, პროექტებით სწავლებისას

ლიტერატურა

1. <http://informatika.ru/>
2. <http://www.bestreferat.ru/referat-category-53-1.html>
3. <https://www.hse.ru/education/>

რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეძღვნება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში. უდაოა, რომ დროსთან ერთად იცვლება თაობებიც და მათი მოთხოვნილებებიც, ამიტომ აუცილებელი ხდება სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების გამომუშავებას.

Resume

The article is devoted to the usage of new technology in teaching and learning process. Undoubtedly, generations and their needs are changing over time and implementation of innovative teaching methods becomes a necessity, that will help students develop 21st century skills.

ნოდარ მარდალაიშვილი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება უწყვეტი გარემოს მექანიკის სწავლების პროცესში

თანამედროვე განათლების განვითარებისთვის აუცილებელია კომპიუტერული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება. დღეისათვის კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა იძლევა სწავლების პროცესში მისი გამოყენების დიდ შესაძლებლობას. სიმბოლური გამოთვლის თანამედროვე კომპიუტერული საშუალებები ძირფესვიანად ცვლიან როგორც სწავლების, ასევე ტრადიციული ამოცანების ამოხსნის იდეოლოგიას. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების სიახლე მდგომარეობს ახალი სიმბოლური ამოხსნის გამოყენებაში, ხოლო მეთოდის ათვისება სტუდენტს (მაგისტრანტს, დოქტორანტს) საშუალებას აძლევს ყურადღება გაამახვილოს არა მათემატიკურ გამოთვლაზე, რომელსაც დიდძალი დრო მიაქვს, არამედ ამოცანის მექანიკურ არსზე. კომპიუტერის გამოყენების ეფექტურობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო სრულყოფილია მისი მათემატიკური მოდელი. ამავე დროს რაიმე პროცესის გამოთვლისას კომპიუტერის გამოყენება ხშირად იძლევა სერიოზულ სტიმულს ახალი მოდელების შესაქმნელად.

დღეისათვის დამუშავებულია მრავალი სისტემა და პაკეტი, რომლებიც ორიენტირებულია როგორც სამეცნიერო კვლევებისათვის, ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებისათვის. ასეთებია: Maple, MathCAD, Matlab, Mathematica და სხვა. მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა ძირითად კონცეფციებში, ამოცანების ამოხსნის მეთოდებში. მაგრამ მათი მთავარი მიზანია გაათვისუფლოს სტუდენტი, ინჟინერი, მკვლევარი ინტეგრალის გამოთვლის, ფუნქციის ზღვრების და წარმოებულის გამოთვლის, ფუნქციის გრაფიკის აგების და სხვა ელემენტარული, მაგრამ შრომატევადი არამნიშვნელოვანი გამოთვლებისაგან. ჩვეულებრივ, ასეთ კერძო და არამნიშვნელოვან საკითხებს მიაქვს დიდძალი დრო კონკრეტული ამოცანების კვლევის პროცესში.

თანამედროვე ინჟინრებისა და სამეცნიერო-ტექნიკური მუშაკებისათვის MathCAD არის სხვადასხვა მათემატიკური სისტემებიდან მოდელირების ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი [1]. MathCAD-ი მოქნილი მათემატიკური სისტემაა, რომლის გამოყენება შეუძლია ყველა მსურველს-სკოლის მოსწავლეს, სტუდენტს, მაგისტრანტს, დოქტორანტს, მეცნიერ-მუშაკებს, რომლებიც აქტიურად იყენებენ თავიანთ საქმეში მათემატიკურ მეთოდებს. MathCAD-ი საშუალებას აძლევს მომხმარებელს გააკეთოს სუფთა და გამოყენებითი მათემატიკის ფუნქციების ანალიზური და გრაფიკული ილუსტრაციები. პაკეტი უზრუნველყოფს გამოთვლებს ნებისმიერი სიზუსტით, ორ და სამ-განზომილებიანი გრაფიკების აგებას, მათ ანიმაციებს და სხვა.

უწყვეტი გარემოს მექანიკის ტრადიციული კურსები იყენებენ მათემატიკური ანალიზის კარგად დამუშავებულ მეთოდებს. მექანიკის სწავლებისადმი თანამედროვე მიდგომა ითვალისწინებს, აგრეთვე, კომპიუტერული ტექნოლოგიების სიმბოლური მეთოდების გამოყენებას, ისეთებისა, რომლების გამოიყენება, მაგალითად, MathCAD-ში.

ამ ნაშრომში განხილულია უწყვეტი გარემოს მექანიკის კურსის პრაქტიკულ მეცადინეობებზე კომპიუტერის გამოყენების მეთოდები, კერძოდ, მათემატიკური სისტემა MathCAD-ის გამოყენებით ამოცანების ამოხსნის მეთოდები.

უწყვეტი გარემოს მექანიკის კურსი იწყება ტენზორული აღრიცხვის ელემენტების შესწავლით. პრაქტიკულ მეცადინეობებზე განიხილება სხვადასხვა სახის მოქმედებები ტენზორებზე: ტენზორების შეკრება-გამოკლება, გამრავლება, ახარისხება, ტენზორების დაქვეითება და სხვა. მნიშვნელოვანია საკუთარი მნიშვნელობების და საკუთარი ვექტორების გამოთვლა სხვადასხვა რანგის ტენზორებისათვის. ჩვენ ვისაუბრებთ მესამე რანგის ტენზორებზე, მაგრამ ყველა განხილული თვისება მარტივად ვრცელდება უფრო მაღალი რანგის ტენზორებზე. MathCAD-ში ტენზორის საკუთარი მნიშვნელობების ვექტორის გამოსათვლელად გამოიყენება ფუნქცია $eigenvals(A)$. მაგალითისათვის განვიხილოთ B ტენზორი [2]

$$B = \begin{pmatrix} 1 & 0 & -1 \\ 0 & 3 & 0 \\ -1 & 0 & -2 \end{pmatrix}$$

და გამოვთვალოთ საკუთარი მნიშვნელობები MathCAD-ის გამოყენებით:

$$\text{eigenvals}(B) = \begin{pmatrix} 1.303 \\ -2.303 \\ 3 \end{pmatrix}$$

ჰამილტონ-კელის თეორემის გამოყენებით გამოვთვალოთ, მაგალითად, B^4 . B ტენზორის მახასიათებელ განტოლებას აქვს სახე:

$$\begin{vmatrix} 1-\lambda & 0 & -1 \\ 0 & 3-\lambda & 0 \\ -1 & 0 & -2-\lambda \end{vmatrix} = \lambda^3 + 2\lambda^2 + 6\lambda - 9 = 0$$

ჰამილტონ-კელის თეორემის თანახმად ტენზორი აკმაყოფილებს თავის მახასიათებელ განტოლებას, ამიტომ $B^3 + 2B^2 + 6B - 9I = 0$, სადაც I ერთეულოვანი ტენზორია. თუ ამ ტოლობის ორივე მხარეს გავამრავლებთ B ტენზორზე, მივიღებთ:

$B^4 = 2B^3 + 6B^2 - 9B$. ამ გამოსახულებას MathCAD-ი ადვილად გამოთვლის:

$$2B^3 + 6B^2 - 9B = \begin{pmatrix} 5 & 0 & 7 \\ 0 & 81 & 0 \\ 7 & 0 & 26 \end{pmatrix}$$

ამ შედეგის შემოწმება MathCAD-ში შესაძლებელია უშუალო ახარისხებით:

$$B^4 = \begin{pmatrix} 5 & 0 & 7 \\ 0 & 81 & 0 \\ 7 & 0 & 26 \end{pmatrix}$$

ფუნქცია $\text{eigenvecs}(B)$ განსაზღვრავს B ტენზორის საკუთარი ვექტორების სპექტრს. გამოთვლის შედეგად მიიღება მატრიცა, რომლის თითოეული სვეტი წარმოადგენს ერთ-ერთი საკუთარი მნიშვნელობის ნორმირებულ საკუთარ ვექტორს:

$$\text{eigenvecs}(B) = \begin{pmatrix} 0.957 & 0.29 & 0 \\ 0 & 0 & 1 \\ -0.29 & 0.957 & 0 \end{pmatrix}$$

უწყვეტი გარემოს მექანიკის კურსიდან ცნობილია, რომ დეფორმაციის და ძაბვის ტენზორები მესამე რანგის ტენზორებია. ამიტომ დეფორმაციის და ძაბვის ტენზორების საკუთარი მნიშვნელობების და საკუთარი ვექტორების გამოსათვლელად ზემოთ აღწერილი მეთოდები უცვლელად გამოიყენება.

ნებისმიერ კვლევაში გამოთვლების გარდა მიღებული შედეგების ვიზუალიზაციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ მიზნით გამოიყენება გრაფიკები, დიაგრამები და ა. შ. მსგავსი ამოცანების ამოხსნა საკმაოდ ეფექტურად სრულდება MathCAD-ში [1]. მოცემულ წერტილში სამგანზომილებიანი დაძაბული მდგომარეობის მოსახერხებელ ორგანზომილებიან გრაფულ წარმოდგენას გვადლევს წრიული დიაგრამები, რომლებიც მორის დიაგრამების სახელითაა ცნობილი. წრიული დიაგრამების აგების დროს იგულისხმება, რომ მთავარი მიმართულებები განსხვავებულია და $\sigma_I > \sigma_{II} > \sigma_{III}$. განვიხილოთ ერთი კომპლექსური ამოცანა, რომელშიც შედის საკუთარი მნიშვნელობების და საკუთარი რიცხვების პოვნა და წრიული დიაგრამების აგება. მათ განმარტებებს აქ არ მოვიყვანთ, რადგან დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მათი ნახვა უწყვეტი გარემოს მექანიკის ნებისმიერ კურსში (ერთ-ერთი მოცემულია ლიტერატურის ჩამონათვალში).

ამოცანა: უწყვეტი გარემოს რაიმე P წერტილში მოცემულია ძაბვის ტენზორი:

$$\Sigma = \begin{pmatrix} 7 & -5 & 0 \\ -5 & 3 & 1 \\ 0 & 1 & 2 \end{pmatrix}$$

ვიპოვოთ მთავარი ძაბვების მნიშვნელობები და ავაგოთ დაძაბული მდგომარეობის წრიული დიაგრამები. დასმული ამოცანა საკმაოდ ეფექტურად იხსნება MathCAD-ში:


$$\Sigma := \begin{pmatrix} 7 & -5 & 0 \\ -5 & 3 & 1 \\ 0 & 1 & 2 \end{pmatrix} \quad \lambda := \text{eigenvals}(\Sigma) \quad \lambda^T = (10.423 \ -0.647 \ 2.224) \quad \lambda_{\text{sort}} := \text{sort}(\lambda)$$

$$\lambda_{\text{sort}}^T = (-0.647 \ 2.224 \ 10.423) \quad \sigma_1 := \lambda_{\text{sort}_2} \quad \sigma_1 = 10.423$$

$$\sigma_2 := \lambda_{\text{sort}_1} \quad \sigma_2 = 2.224 \quad \sigma_3 := \lambda_{\text{sort}_0} \quad \sigma_3 = -0.647 \quad \sigma(\tau, \tau_0, R) := \sqrt{R^2 - (\tau - \tau_0)^2}$$

$$R_1 := \frac{\sigma_1 - \sigma_2}{2} \quad \tau_{01} := \frac{\sigma_1 + \sigma_2}{2} \quad R_2 := \frac{\sigma_2 - \sigma_3}{2} \quad \tau_{02} := \frac{\sigma_2 + \sigma_3}{2} \quad R_3 := \frac{\sigma_1 - \sigma_3}{2}$$

$$\tau_{03} := \frac{\sigma_1 + \sigma_3}{2} \quad \tau_0 := \max(|\sigma_1|, |\sigma_2|, |\sigma_3|) \quad N := 100 \quad \tau := -\tau_0, -\tau_0 + \frac{2\tau_0}{N} \dots \tau_0$$



უწყვეტი გარემოს მექანიკის მოდელების აგებისას მნიშვნელოვანია იზოტროპული, გიროტროპული, ორთოტროპული და ტრანსვერსალურ-იზოტროპული წრფივად დამოუკიდებელი ტენზორების აგების მეთოდის შემუშავება. როგორც [3] ნაშრომშია ნაჩვენები მოცემული რანგის წრფივად დამოუკიდებელი ტენზორების რიცხვი გამოითვლება ფორმულით :

$$k = \sum_{m=1}^N \chi^n(g_m)$$

სადაც N -ჯგუფის რიცხია (ჯგუფის მატრიცული წარმოდგენისას მატრიცების რიცხვი), g_m , $m = \overline{1, n}$ - სიმეტრიის ჯგუფის მატრიცებია, n -ტენზორის რანგია. კერძო შემთხვევაში, ტრანსვერსალურ-იზოტროპული და ორგანზომილებიანი გიროტროპული n -ური რანგის წრფივად დამოუკიდებელი ტენზორების რიცხვი გამოითვლება ფორმულით

$$k = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} \chi^n(g_\varphi) d\varphi$$

სადაც g_φ - გარდაქმნის ჯგუფის მატრიცაა.

მეორე რანგის გიროტროპული ტენზორისათვის

$\chi(g_\varphi) = 2\cos\varphi$ და ის ღებულობს სახეს:

$$k = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} (2\cos\varphi)^2 d\varphi$$

რომლის გამოთვლა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. მაგრამ უფრო მაღალი რანგის ტენზორის შემთხვევაში სასურველია MathCAD-ის გამოყენება. მაგალითად, მერვე რანგის ტენზორისათვის

$$k := \frac{1}{2\pi} \cdot \int_0^{2\pi} (2 \cos(\phi))^8 d\phi \rightarrow 7C$$

ტრანსვერსალურ-იზოტროპული ტენზორისათვის $\chi(g_\varphi) = 1 + 2\cos\varphi$ და მეექვსე რანგის წრფივად დამოუკიდებელი ტენზორების რიცხვი

$$k := \frac{1}{2\pi} \cdot \int_0^{2\pi} (1 + 2 \cos(\phi))^6 d\phi \rightarrow 14I$$

ცხადია, ერთ ნაშრომში შეუძლებელია უწყვეტი გარემოს მექანიკის კურსის პრაქტიკულ მეცადინეობებზე MathCAD-ის გამოყენების ყველა შესაძლებლობის ჩვენება. მაგრამ აქ განხილული მაგალითებით ნათლად ჩანს MathCAD-ის გამოყენების ეფექტურობა და სილამაზე.

ლიტერატურა

1. 1.Макаров У. Инженерные расчеты в MathCAD 15. Изд-во «Питер».-2015.-400с.
2. Мейз Дж. Теория и задачи механики сплошних сред. Изд-во «Мир».-1974.-318с.
3. Никабадзе М.У. О некоторых вопросах тензорного исчисления с приложениями к механике. Современная математика.Функциональные направления. Том 55(2015).
4. с.3-194

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია უწყვეტი გარემოს მექანიკის კურსის პრაქტიკულ მეცადინეობებზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდები, კერძოდ, მათემატიკური სისტემა MathCAD-ის გამოყენებით უწყვეტი გარემოს მექანიკის ამოცანების ამოხსნის მეთოდები. ზოგიერთი კონკრეტული ამოცანის ამოხსნით ნაჩვენებია MathCAD-ის გამოყენებით მათი ამოხსნის ეფექტურობა.

NodarMardaleishvili – AkakiTsereteliStateUniversity, Cand. sc. (Physics and Mathematics), Associate Professor

The Use of Modern Computer Technologies in the Process of Studying Continuous Continuum Mechanics Summary

The paper dwells on the use of computer technologies in the practical training courses in Continuum Mechanics, in particular, the methods for solving the problems of continuum mechanics by using the mathematical MathCAD package. On the example of particular problems, there has been demonstrated the effectiveness of solving the problems by usingthe mathematical MathCAD package.

მერი ობოლაძე - ნ. ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დაწყებითი საფეხურის უფროსი მასწავლებელი

მათემატიკის გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლების ხერხები და მეთოდები

როგორც ცნობილია, სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა აზროვნება ხატოვანია. მათი ძირითადი აღქმის უნარი ვიზუალურია. ამიტომაც არის რომ დაწყებით კლასებში დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების ეფექტურობის ამაღლების სხვადასხვა ფორმისა და ხერხის გამოყენებას ყველა საგანში, მათ შორის მათემატიკაში.

მათემატიკა სწავლობას საგნებს, არა მისი თვისებებით, არამედ მათ ფორმებსა და რაოდენობით თანაფარდობას. აქედან გამომდინარე, მათემატიკაში გამოყენებული საგნები წარმოადგენენ სიმრავლის უბრალო ელემენტებს, რაზედაც შეიძლება ვაწარმოთ რაიმე მათემატიკური ოპერაცია ან შევისწავლოთ მათი ფორმა და სიდიდე. გამომდინარე აქედან, სწავლების ეფექტურობის ამაღლების საქმეში ერთ-ერთ ფორმად თვალსაჩინოებას მივიჩნევ, რამეთუ თვალსაჩინოება არის ერთ-ერთი ის ძირითადი საშუალება, რომელიც გვეხმარება, გაკვეთილზე დასახული მიზნის მიღწევაში, მასალის უკეთ ათვისებაში და თვით გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლებაში. მათემატიკაში თვალსაჩინოებისათვის გამოგვადგება არამარტო საგნები, არამედ მათი მოდელები, ნახატები, სქემები და სხვა.

თვალსაჩინოება რომ უფრო ეფექტური იქნეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ზოგად მოთხოვნებს: 1) შესაბამისობა პროგრამასთან. 2) მეცნიერული შინაარსი. 3) სიდიდით ისეთი, რომ ბავშვები კარგად ხედავდნენ ადგილიდან.

მათემატიკის გაკვეთილი განსხვავდება სხვა საგნის გაკვეთილებისაგან, რაც გამოწვეულია თვით მათემატიკის თავისებურებებით. მათემატიკის დაწყებითი კურსი, გარდა არითმეტიკის მასალისა, შეიცავს ალგებრისა და გეომეტრიის ელემენტებს. თითქმის ყოველ გაკვეთილზე გვიხდება სამივე სახის მასალაზე მუშაობა, რაც გავლენას ახდენს მათემატიკის გაკვეთილის აგებასა და ჩატარებაზე.

ასევე გვიხდება თეორიული და პრაქტიკული საკითხების განხილვა ერთმანეთთან კავშირში, რის შედეგადაც ყოველ გაკვეთილზე ცოდნის შეთვისებასთან ერთად ხდება გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მათემატიკის გაკვეთილი სხვა დისციპლინათა გაკვეთილებისაგან განსხვავდება მისი აბსტრაქტულობა, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოითხოვს სწავლების აქტიური მეთოდებისა და განსაკუთრებით, თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენებას.

გაკვეთილის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის არ კმარა, დაყო გაკვეთილი მის შემადგენელ ნაწილებად და კარგად გაიაზრო თითოეული ნაწილის დიდაქტიკური ამოცანა.

თვალსაჩინოება, რომელსაც ხშირად ვიყენებთ ხოლმე გაკვეთილებზე, მიზნისა და გამოყენების ხერხის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: სადემონსტრაციო (საკლასო საანგარიშე, არითმეტიკული ყუთი, ცხრილები, პოსტრები და სხვა.) და ლაბორატორიული (სხვადასხვა ფერის ჩხირები, ასანთის ღერები, ფულის მონეტები, გეომეტრიული ფიგურები და სხვა.).

თვალსაჩინოება გაკვეთილზე შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც დამოუკიდებელი მუშაობის დროს, ასევე ახალი მასალის განმტკიცებისას და გავლილი მასალის გამეორებისას. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მასალის საფუძვლიან შესწავლას და დამოუკიდებელ უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამავე დროს მასწავლებელს აზოგინებს დროის ბიუჯეტს, რომელსაც ახმარს ინდივიდუალური თვალსაჩინო მასალის შექმნას.

თვალსაჩინოების გვერდით მათემატიკის გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დიდაქტიკური თამაშების ჩატარებას, აგრეთვე თავშესაქცევი და სახალისო მათემატიკის ელემენტების გამოყენებას. ყველაფერი ეს იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ კლასში ვატარებთ გაკვეთილს, ან რა მასალა გვაქვს ასახსნელი.

ეფექტური შედეგებით ხასიათდება გაკვეთილზე ტესტების გამოყენება. იგი ბავშვთა დიდ ინტერესსაც იწვევს. ტესტების გამოყენება პატარებს დიდად ახარებთ გაკვეთილის ნებისმიერ დროს. იგი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლებისთვის.


მაგ: 1) 16-ის მომდევნო რიცხვი მეტია თუ ნაკლებია 16-ზე (მეტია, ნაკლებია, ტოლია). და ა. შ.

ახლა კი განვიხილავ რამდენიმე იმ დიდაქტიკური თვალსაჩინო მასალის, თამაშისა და სახალისო მათემატიკის მაგალითებს, რასაც ხშირად ვიყენებთ გაკვეთილზე ეფექტურობის ამაღლებისთვის.

თვალსაჩინო მასალა ბარათების სახით.



რომელი რიცხვებით შეიძლება მიიღო 15, 14, 16, 18, 19, 20?




რამდენი ათეული და რამდენი ერთეულია?

თამაში: "მათემატიკა სიბნელეში"

ჩავიფიქრე რიცხვი გავადიდე ოთხით მივიღე 10. რა რიცხვი ჩავიფიქრე?


თამაში: "შეგვრათ წრე"



ბავშვებს ასევე ძალიან უყვართ და მოსწონთ **ლოგიკური ამოცანები**, რომელთაც თითქმის ყველა გაკვეთილზე ვიყენებ.

მაგ: ირაკლი უფრო მაღალია, ვიდრე დათო, ხოლო დათო-უფრო დაბალი ვიდრე ლევანი. ვინაა ყველაზე დაბალი?

სახალისო გეომეტრია (ვარჯიში ყურადღებიანობას ად ადაკვირვებულობაზე)



რამდენი სამკუთხედი? (16) რამდენი ოთხკუთხედი? (9)

ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობას ვანიჭებ ტექნოლოგიების გამოყენებას. როგორც კომპიუტერი და პროექტორი. წინასწარ ვამზადებ სლაიდშოუს სადაც მასალის შესაფერისი დავალებებია მოცემული, რომელსაც ბავშვებმა პასუხი უნდა გასცენ ზეპირად. სავარჯისოები თანდათან იცვლება, ამას განაპირობებს გაცემული პასუხები.

მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა ალბათ ძალიან შორს წაგვიყვანს. თანაც აღსანიშნავია ისიც, რომ გაკვეთილზე შეიძლება მხოლოდ ორი ან სამი მათგანის გამოყენება. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვაღწევთ დასახულ მიზანს.

მაგალითისთვის განვიხილავ ჩემს მიერ ჩატარებულ ერთ გაკვეთილს

თემა: თანაბარი გაცოფა III კლასი . დრო: 45 წუთი 1 გაკვეთილი

გაკვეთილის ძირითადი მიზანი: მოსწავლემ შეისწავლოს ახალი მოქმედება გაცოფა.

სწავლის შედეგები: მოსწავლეები შეძლებენ გაცოფის მოქმედების შესრულებას თვალსაჩინოების გამოყენებით, დაადგენენ, რომ გაცოფის დროს მოცემული სიმრავლე სასურველია დაიშალოს ტოლი რაოდენობის ელემენტებიან ქვესიმრავლეებად.

სწავლების დიფერენცირება მზაობის მიხედვით.

აქტივობა 1. დავითვალთ ბიჯით.(რაშიც მონაწილეობას იღებს მთელი კლასი)
დმითვალთ 10-დან 15-ის ბიჯით ზევით.დამისახელეთ რიცხვები, რომლებიც 8-ზე გამრავლებით მიიღება. დამისახელეთ ორნიშნა რიცხვები, რომლებიც მთავრდება ციფრი 9-ით. დ.ა.შ.

აქტივობა 2. საშინაო დავალების გამოკითხვა (მთელი კლასი)
დაფაზე გაკრული მაქვს ფორმატის ქაღალდი, რომელზედაც დაწერილია საშინაო დავალება. გამომყავს მოსწავლეები რიგ-რიგობით და ვასრულებთ დავალებას დაფასთან, თან ვამოწმებთ „დიახ“ და „არა“ ბარათებით, რამდენად სწორად შევასრულეთ სახლში.

აქტივობა 3. წყვილებში მუშაობა.
დავურიგებ ბარათებს, რომელზედაც შესასრულებელი დავალებაა მოცემული. ნახატის მიხედვით უნდა უპასუხონ კითხვებს.

აქტივობა 4. ჯგუფებში მუშაობა.
Iჯგ ___ ჩხირები დაყავით 8 საგნისაგან შემდგარ გროვებად და შეკარით.
IIჯგ ___ დახატეთ 24 კვადრატით. გამოყავით გროვები, რომლებშიც 3-3 კვადრატი იქნება და გააფერადეთ.
IIIჯგ ___ მძივებით ააწყვეთ 2 ყელსაბამი ისე, რომ თითოეულში თანაბარი რაოდენობის მძივი იყოს.
შემდეგ ჯგუფიდან თითო გააკეთებს ნამუშევრის პრეზენტაციას. (ისაუბრებენ როგორ შეასრულეს დავალება და თითოეულ შემთხვევაში რამდენი გროვა მიიღეს, რამდენი საგანი იყო თითოეულ გროვაში და რა დასკვნა გააკეთეს)

აქტივობა 5. ვმუშაობ სახელმძღვანელოში.(მთელი კლასი)

აქტივობა 6. ინდივიდუალური მუშაობა:
მოსწავლეებს ვურიგებ განსხვავებული ფერის ბარათებს, რომელზედაც მოსწავლეთა მზაობის მიხედვითაა შედგენილი ამოცანები. ამოხსილ ამოცანებს განვიხილავთ დაფასთან.
შევაჯამებთ გაკვეთილს წინასწარ მომზადებული სლაიდიშოუს დახმარებით.
მსგავსი აქტივობების გამოყენება ხელს უწყობს გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლებას. ამავდროულად საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი არ იყოს მოსაწყენი.

ლიტერატურა

1. თ.ჯაფარიძე /დაწყებითი სწავლების მეთოდის ლაბორატორიის მეთოდისტი/
2. ა.წერეთლის/მათემატიკის დაწყებითი სწავლების მეთოდოლოგია/
3. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი <http://ncp.ge/ge/dictionary>

რეზიუმე

დაწყებით კლასებში სწავლების გაუმჯობესებისა და სწავლების პროცესში მოსწავლეთა აქტივობის, დამკვირვებლობის, შრომისმოყვარეობის ამაღლების მიზნით, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სწავლების აქტიური ხერხები და მეთოდები, თვალსაჩინო დიდიქტიკური მასალები და სწავლების ტექნიკური საშუალებები.ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი იძლევა იმის საშუალებას, რომ მრავალფეროვანი სახით იქნას ჩატარებული ყოველგვარი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. განაწყობს მოსწავლეები მეცადინეობისათვის და შექმნას ფსიქოლოგიური კლიმატი სწავლისათვის.

Meri Oboladze - The best certified teacher.

Resume

In order to raise diligence of the primary school children and getting them involved in the improved teaching process, various effective teaching strategies should be widely used by means of visual aids and technical support. All the above mentioned give the opportunity to make the teaching process diverse. It focuses on getting the students actively involved in the learning process and helps to create psychologically approved learning atmosphere.

ირინე ყურაშვილი-ქუთაისის მე-40 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

ინტეგრირებული გაკვეთილი მათემატიკასა და ისტორიაში - „დავით აღმაშენებელი“

აღნიშნულ პროექტ-გაკვეთილში ინტეგრირებულია ორი საგანი:მათემატიკა და ისტორია, რომლის მიზანიც მოსწავლეთა ჩართულობის, აქტიური მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის განვითარებაა.

პროექტზე მუშაობის დრო -7- 10 დღე, მოიცავდა დაგეგმვას, კვლევას,პრაქტიკულ აქტივობებს, თვალსაჩინოების დამზადებას, ვიდეო და ფოტო სლაიდების შექმნას.

მოცემული დავალებები მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით საკუთარი ძალებით და მოქმედებით განახორციელეს. ისინი გაეცნენ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მეფე-ხელმწიფის „დავით აღმაშენებლის“ ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს. ამ სახელოვანი გვირგვინოსნის მოღვაწეობის შედეგებს საქართველოსთვის. ისტორიული თხრობა შერწყმულია მათემატიკურ გამოთვლებთან, რამაც ხელი შეუწყო ამ საგანთა ინტეგრირებას თამაშის გზით.

პროექტის პირველ ეტაპზე მოსწავლეები გაეცნენ დავით აღმაშენებლის ისტორიას მითითებული ლიტერატურისა და ინტერნეტ- საიტების საშუალებით. გაეცნენ მასალებს და შეისწავლეს ისინი. შემდეგ მოხდა ვიდეო სლაიდების მოძიება და ფოტო სლაიდების შექმნა powerpoint-ის პროგრამით. შემდეგი ეტაპი მოიცავდა ბუკლეტი-წიგნის დამზადებას, რომელიც გამოყენებული იყო პროექტ-გაკვეთილის მსვლელობის დროს.

გაკვეთილის დასაწყისში ისტორიის მასწავლებლის დავალებით მოსწავლეებმა შეავსეს კროსვორდი, სადაც დასმული კითხვების მიხედვით ასახელებდნენ ქართველ მეფეებს და დედოფლებს მათი ღვაწლის მიხედვით: 1)მეფე, რომელსაც ქართველმა ხალხმა ზედსახელად „ბრწყინვალე“უწოდა (გიორგი). 2) ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული ქართველი დედოფალი, რომელიც აწამეს ირანის კარზე (ქეთევანი). 3) მეფე, რომლის ნეშტი რამდენიმე წლის წინ ჩამოასვენეს გელათში (სოლომონი). 4)მეფე, რომელმაც ქართულ ენაზე დაფუძნებით შექმნა მწიგნობრობა ქართული (ფარნავაზი) . 5) მეფე, რომელსაც ქართველმა ხალხმა ზედსახელად აღმაშენებელი“ უწოდა (დავითი). 6) პირველი ქართველი მეფე ქალი(თამარი). პროექტის წარმატებით განხორციელებას ხელი შეუწყო მოსწავლეებისთვის წინასწარ მიცემულმა დავალებებმა, მოეძიებინათ ინტერნეტ-მასალები დავით აღმაშენებელზე, გაცნობოდნენ მასწავლებლის მითითებულ საკითხავ მასალას. ამის საფუძველზე მოსწავლეებმა მოიძიეს, შეისწავლეს და დაამუშავეს სრულყოფილი მასალა დავითის მიერ გადახდილი ბრძოლების, ამ ბრძოლებში მისი თავდადების შესახებ. მასწავლებელმა ისტ-ის გამოყენებით მოსწავლეებს აჩვენა ვიდეო-მასალა დიდგორის ბრძოლის შესახებ, ასევე ვიდეო- მასალა მეფე-დავითზე.

კლასი დაიყო 3 ჯგუფად.ყველა ჯგუფისთვის შესასრულებელი მასალა ერთიდაიგივე იყო.მათ მოუხდათ 8 ამოცანის ამოხსნა,რომელთა შინაარსი დავითის ისტორიის და მისი მოღვაწეობის ფაქტებს ეფუძნებოდა, ხოლო ამოხსნა ემყარებოდა მათემატიკურ გამოთვლებს ამოცანები ეხებოდა დავითის დაბადების, გამეფების, მნიშვნელოვანი გადახდილი ბრძოლების (ერწუხის, სამშვილდის ალების, გიშის, დიდგორის და თბილისის) ყივჩაღთა ჩამოსახლების, გარდაცვალების თარიღების გამოთვლას, რომელთა ამოხსნა მოსწავლეებისაგან ითხოვდა მარტივი მათემატიკური გამოთვლების გამოყენებას,საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის,განტოლების შედგენისა და მისი ამოხსნის,რიცხვის რომაული ციფრებით ჩაწერის ცოდნას.

ამოცანები შემდეგი შინაარსისაა:

ამოცანა 1: იპოვეთ დავით აღმაშენებლის დაბადების წელი, თუ იგი ისეთი ოთხნიშნა რიცხვია, რომელშიც ერთეულისა და ათეულის ჯამი 10-ის ტოლია, ათეულების რიცხვი 4-ით მეტია ერთეულების რიცხვზე და ათასეულების და ასეულის ადგილი უჭირავს უმცირეს ორნიშნა რიცხვს.პასუხი გამოსახეთ რომაული ციფრებით.

ამოცანა 2: იპოვეთ რომელ წელს გადმოსახლა დ.აღმაშენებელმა ყივჩაღები საქართველოში,რამდენი ოჯახი გადმოსახლა და სულ რამდენი სულისაგან შედგებოდა ეს ოჯახი, თუ გადმოსახლების თარიღის 2-ზე გაყოფით მიიღება 559, ოჯახების რიცხვის მისაღებად 200 უნდა ავიყვანოთ კვადრატში, სულადობის მისაღებად კი ოჯახთა რიცხვი გაადიდო 5-ჯერ.

ამოცანა3: რომელ წელს მოხდა დიდგორის ბრძოლა, თუ იგი 8 191 321-ში იმ სამი ციფრის ამოშლით მიიღება, რომელთა ჯამი 20-ის ტოლია. პასუხი გამოსახეთ რომაული ციფრებით

ამოცანა4: იპოვეთ აღმაშენებლის გარდაცვალების წელი, ამ წლის 21-ზე გაყოფისას მიიღება 52 (გარდაცვალების ასაკი) და ნაშთი 33

თითოეული ამოცანის ამოხსნის შემდეგ ისტორიის მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებდა ამოცანაში აღნიშნულ ისტორიულ ფაქტებზე, მცირე საუბრები შევსებული იყო სლაიდებისა და ვიდეო-მასალის ჩვენებით. ასე მაგალითად, ისტორიის მასწავლებელმა ნინო ბანცაძემ პირველი ამოცანის ამოხსნის შემდეგ მოსწავლეებს მოუთხრო, რომ მსოფლიო ისტორიაში არაერთი მეფეა ცნობილი, რომლისთვისაც სხვადასხვა წოდება მიეცათ. აღმაშენებელი-ეს წოდება საქართველოს ისტორიაში ერთადერთს, მეფე დავით IV-ს ხვდა, რატომ? ამ კითხვაზე პასუხს სცემს ვახუშტი ბაგრატიონი: „ხოლო მეფესა დავითს ამისათვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულად ოხერი, ამან განავსნა და აღაშენნა, რომელ აღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მშენებელი“.

პროექტ-გაკვეთილისთვის შეექმენით რესურსი, ყველა ამოცანა შესაბამისი ინფორმაციით და ფოტო-მასალით ავკინძეთ თაბახის ფურცლებზე. შეიქმნა კონკრეტული პროექტ-გაკვეთილისთვის ე.წ. წიგნი. წიგნში თავმოყრილი მასალა ნაჩვენებია იყო პროექტორით უკეთესი თვალსაჩინოებისთვის.

პროექტ-გაკვეთილის შედეგად მივიღეთ ის, რომ მოსწავლე მსჯელობს ათობითი პოზიციური სისტემის უპირატესობაზე სხვა სისტემებთან შედარებით, ასახელებს ყველა პოზიციის (თანრიგის) მნიშვნელობას, იყენებს შექმნილ ცოდნას ამოცანების ამოხსნისას, ადგენს ტექსტური ამოცანის სიტყვიერი აღწერის მიხედვით შესაბამის რიცხვით გამოსახულებას, პოულობს რიცხვით გამოსახულების მნიშვნელობას რიცხვებზე მოქმედებათა თვისებების გამოყენებით, ადგენს რეალური ვითარების ან მისი სიტყვიერი აღწერის შესაბამის ტოლობას ან განტოლებას. ასახელებს მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს, ჩამოთვლის სხვადასხვა დროს მოღვაწე ისტორიულ პირებს, განსაზღვრავს მათ როლს მმართველობით სტრუქტურაში. მსჯელობს პიროვნების მოღვაწეობაზე საშინაო-პოლიტიკურ და თავდაცვით სფეროში. შეძლებს დასკვნების გამოტანას, ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას, გაუღვიძებს მათ სამშობლოს სიყვარულის, ვაჟკაცობის, თავდადების და სხვა სათნოებათა მიმართ პატივისცემის გრძნობას.

ინტეგრირებული გაკვეთილით სწავლება, ასევე სწავლებაში ისტ-ის გამოყენება, თამაშზე დაფუძნებული სწავლება, მათემატიკის სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და შესაბამისად სწავლის ხარისხს. მოსწავლეს აძლევს საშუალებას გამოავლინოს მისი უნარები, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფის ფარგლებში, მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი და დაინახოს მათემატიკის მნიშვნელოვნება და მისი შინაარსობრივად სწავლის საჭიროება. უვითარებს მსჯელობის, პრეზენტაციის, შემოქმედებითობის და ანალიზის უნარს, უვითარებს ინფორმაციის აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარს. ზრდის მათ მოტივაციას, ერთსა და იმავე საკითხს სხვადასხვა საგანი სხვადასხვა კუთხით ხსნის, რაც ადვილად გასაგები და დასანახი ხდება და რაც ამ საკითხის სიღრმისეულ ცოდნას იწვევს, უვითარებს შეფასების და თვითშეფასების უნარს.

ლიტერატურა

- 1) "ალგებრა და საქართველოს მატიაზე"- გურამ ჩაჩანიძე
- 2) "ქუთაისი და ქართველი მეფეები"- ზურაბ ხმელიძე
- 3) "დიდი ქართველები"- ტ. ზოზრაშვილი
- 4) "წიგნი მოწამეთა"- ლ. სანიკიძე
- 5) "საქართველოს ვიდეო ენციკლოპედია"
- 6) www.google.ge
www.lemil.net
www.literatura.ge

რეზიუმე

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში საგანთა ინტეგრირება, გაკვეთილზე ისტ-ის გამოყენება, თამაშზე დაფუძნებული სწავლება სასწავლო პროცესს მდიდარს და საინტერესოს ხდის, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და შესაბამისად სწავლის ხარისხს.

ჩემს თემაში აღწერილი მაქვს, თუ როგორ არის შერწყმული საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მეფე-ხელმწიფის „დავით აღმაშენებლის“ ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალების ისტორიული თხრობა მათემატიკურ გამოთვლებთან.

Resume

In secondary school teaching process integration of subjects, using computer technologies and studying by playing enrich teaching process and makes it much more interesting, they increase student's motivation and results are more productive.

In my report mention the integration of Georgian King David Aghmashenebeli's important life details to mathematical calculations.


ქეთევან რუხაძე - სსიპ ქალაქ ქუთაისის N40 საჯარო სკოლა, უფროსი მასწავლებელი

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

პრობლემური სწავლების დროს მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო მასალის პირობებს, ამ პრობლემის გადაჭრის გზებს აღნიშნული საგნის ფარგლებში და ახორციელებენ შედეგების კონტროლს ყოველ ბიჯზე,რის შედეგადაც იზრდება საგნისადმი ინტერესი და ხდება განვითარება, ერთიან მსოფლმხედველობის განვითარება.

განვიხილოთ ასეთი პრობლემური სიტუაცია VIII კლასში თემის სამკუთხედის ფართობის სწავლების დროს. ვთქვათ ჩვენ მოგვმართა სარეკლამო კომპანიამ რომელსაც სურს თავისი რეკლამა განათავსოს სამკუთხედის ფორმის ბანერზე. კომპანიას სურს გაარკვიოს შეუძლია თუ არა ფირმას მასალის ეკონომიის გაკეთება და რა პირობებში?

მასალის ეკონომიურობა ცხადია დამოკიდებულია ბანერის სიდიდეზე, კერძოდ სამკუთხედის ფართობზე. ხოლო სამკუთხედის ფართობი კი დამოკიდებულია სამკუთხედის ფუძის სიდიდესა და ამ ფუძეზე დაშვებულ სიმაღლეზე. ჩამოვყალიბოთ ეს პრობლემა გეომეტრიულად.



(ნახაზი 1)

მოსწავლეებს უსვამ კითხვებს; დაუშვათ, რომ სამკუთხედის A და C წერტილების მდებარეობა ფიქსირებულია. ხოლო B წერტილის მდებარეობა კი იცვლება. რა ემართება სამკუთხედს? რა შეიძლება ითქვას სამკუთხედის ფართობის შესახებ? ამისათვის განიხილავენ სამკუთხედის ისეთ მდებარეობას, როგორც ნახაზზეა (ნახაზი 1) და შევთავაზებ განიხილონ შემთხვევა, როცა ABC სამკუთხედის A და C წერტილები მდებარეობენ a წრფეზე. ხოლო B წერტილი b წრფეზე, ამასთან a პარალელურია b-სი. განვსაზღვროთ როგორ იცვლება სამკუთხედის ფართობი ფუძისა და სიმაღლის ცვლილებასთან დაკავშირებით. B წერტილის ცვლილებით შეიძლება შეიცვალოს სამკუთხედის ფორმა, გახდეს მართკუთხა, მახვილკუთხა ან ბლაგვკუთხა. მაგრამ სამკუთხედის ფართობი არ შეიცვლება, რადგან ფუძე და სიმაღლე უცვლელი რჩება. ეხლა ვთქვათ C წერტილი იცვლის მდებარეობას, ხოლო B და A ფიქსირებული წერტილებია. როგორ შეიძლება შეიცვალოს C წერტილის მდებარეობა?

მოსწავლეები პასუხობენ, რომ C წერტილი შეიძლება გადაადგილდეს b წრფის გასწვრივ როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ.

რა დაემართება სამკუთხედის ფართობს, თუ C წერტილი გადაადგილდება მარჯვნივ?

პასუხი: სამკუთხედის ფართობი გაიზრდება.

დახარჯული მასალა ?

პასუხი: ისიც გაიზრდება.

ეხლა რა დაემართება სამკუთხედის ფართობს, თუ C წერტილი გადაადგილდება მარცხნივ?

ფართობი შემცირდება.

მასალის დანახარჯი?

ისიც შემცირდება.

მაშასადამე ჩამოვყალიბებთ ჰიპოთეზა, მაგრამ მანამდე კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ რა მოცემულობა გვექონდა:

-უნდა დაგვეზღვროს სამკუთხედის ფორმის ბანერი. სამკუთხედის წვეროები უნდა დაფიქსირდეს პარალელურ გასაჭიმებზე, რომელთა შორის დაშორებაც ფიქსირებულია და არ ამისათვის რა მოგვეთხოვება? -უნდა დავამზადოთ ისეთი ფორმის ბანერი, რომ მასალის მოხმარება შევამციროთ. რა


პირობები გვაქვს მოთხოვნების შესასრულებლად? - B და C წერტილების მდებარეობა შეიძლება ვცვალოთ, ხოლო A წერტილის მდებარეობა ფიქსირებულია.

ეხლა კი ჩამოვყალიბოთ თვითონ ჰიპოთეზა: 1) თუ შევცვლით B წერტილის მდებარეობას სამკუთხედის ფართობი არ იცვლება, შესაბამისად მასალის ხარჯვის შემცირება არ გამოგვივა.

2) თუ გადავადგილებთ C წერტილს b წრფის გასწვრივ სამკუთხედის ფართობი გაიზრდება შესაბამისად მოხმარებული მასალაც გაიზრდება.

3) თუ გადავადგილებთ C წერტილს b წრფის გასწვრივ მარცხნივ სამკუთხედის ფართობი მცირდება, შესაბამისად მასალის მოხმარებაც შემცირდება.

დავასაბუთოთ ეს ჰიპოთეზა. პირველად დავასაბუთოთ a წრფის გასწვრივ B წერტილის ცვლილების შემთხვევა, ამისათვის განვიხილოთ მართკუთხა მახვილკუთხა და ბლაგვკუთხა სამკუთხედები. - მოსწავლეები წინასწარ გამზადებულ სქემაზე ხაზავენ ასეთ სამკუთხედებზე?



-რას იტყვით ასეთი სამკუთხედების სიმაღლის შესახებ? ამ სამკუთხედების სიმაღლეები ტოლია: $BH = B_1A = B_2H_2$.

რატომ? - პარალელურ წრფეებს შორის მანძილები ტოლია.

-რას იტყვით ამ სამკუთხედების ფუძეებზე?

-ისინიც ტოლია. რადგან მათ საერთო AC ფუძე აქვთ.

რას უდრის სამკუთხედის ფართობი? $S = 1/2 ah$.

-გავვლეთ თქვენს მიერ აგებული სამკუთხედების სიმაღლეები. რას ეწოდება სამკუთხედის სიმაღლე? - სიმაღლე ეწოდება სამკუთხედის წვეროდან მოპირდაპირე გვერდის შემცველი წრფის მიმართ გავლებულ მართობს. რა შეგიძლიათ თქვათ მართკუთხა სამკუთხედის მახვილი კუთხეების წვეროდან გავლებულ სიმაღლეებზე? მახვილი კუთხეების წვეროდან გავლებული სიმაღლეები ემთხვევა სამკუთხედის კათეტებს.

-რას უდრის მართკუთხა სამკუთხედის ფართობი?

-კათეტების ნამრავლის ნახევარს.

-რა შეგიძლიათ თქვათ ბლაგვკუთხა სამკუთხედში მახვილი კუთხის წვეროდან გავლებულ სიმაღლეზე?

-ისინი გაივლიან მოპირდაპირე გვერდის შემცველი წრფის მიმართ და მდებარეობენ სამკუთხედის გარეთ.

$BH = AB_1 = B_2H_2$. რადგან პარალელურ წრფეებს შორის მანძილები ტოლია. ე.ი

$S_{ABC} = S_{AB_1C} = S_{AB_2C}$. . მაშასადამე რა დასკვნის გაკეთება შეიძლება?

-B წერტილის მდებარეობის ცვლილებით სამკუთხედის ფართობი არ იცვლება და შესაბამისად დასახარჯი მასალაც არ შემცირდება.


მეორე ჰიპოთეზის დასაბუთება. გადავადგილოთ B წერტილი b წრფის გასწვრივ მარჯვნივ და ვნახოთ რა მოუვა სამკუთხედის ფართობს.

-C წერტილის მარჯვნივ გადაადგილების დროს რა ემართება AC ფუძეს?

-AC ფუძე იზრდება.


-სიმაღლეს?

-სიმაღლე არ იცვლება,რადგან B წერტილი ფიქსირებულია.



წრფის გასწვრივ C წერტილის მარჯვნივ გადაადგილებისას სამკუთხედის ფართობი იზრდება.

ეხლა განვიხილოთ მესამე შემთხვევა,როცა წერტილ გადაადგილდება b წრფის გასწვრივ მარცხნივ და გავარკვიოთ რა ემართება ABC სამკუთხედის ფართობს?



C წერტილის მარცხნივ გადაადგილებისას ფუძე მცირდება,ხოლო სამკუთხედის სიმაღლე უცვლელი რჩება ,რადგან BH სიმაღლე საერთო აქვთ,რადგან B ფიქსირებული წერტილია.

$$S_{ABC} = 1/2 AC \cdot BH \quad S_{ABC1} = 1/2 AC1 \cdot BH \quad S_{ABC2} = 1/2 AC2 \cdot BH \quad AC2 < AC1 < AC \text{ შესაბამისად}$$

$$S_{ABC2} < S_{ABC1} < S_{ABC}$$

მაშასადამე რა შეიძლება ვთქვათ ABC სამკუთხედის ფართობის შესახებ? C წერტილის გადაადგილებისას b წრფის გასწვრივ სამკუთხედის ფართობი მცირდება.განვაზოგადოთ მიღებული კვლევის შედეგები. –B წერტილის გადაადგილებით a წრფის გასწვრივ სამკუთხედის ფართობი ან იზრდება ან მცირდება შესაბამისად ბანერის დამზადებაზე მასალის ეკონომია შესაძლებელია.

საშინაო დავალება,თუ სამკუთხედების სიმაღლეები ტოლია,მაშინ რისი ტოლი იქნება ამ სამკუთხედების ფართობების შეფარდება?და პირიქით თუ სამკუთხედის ფუძეები ტოლია რა დამოკიდებულება არსებობს ამ სამკუთხედების ფართობების შეფარდებისას?.

ფუძე	სიმაღლე	S ₁	S ₂	S ₁ / S ₂	a ₁ / a ₂
8 სმ	6 სმ				
15 დმ	6 სმ				

ფუბე	სიმაღლე	S1	S2	S1/S2	H1/H2
8სმ	6 სმ				
8 სმ	6 დმ				

Teaching based on problem Resume

The topic is about teaching based on problem in 7-th grade during the learning process of triangle area.

The group is given a question that describes problematical real life situation from which they should select the problem and give it mathematical meaning. They should suppose the ways of solution. After that with the help of teacher they should prove whether the hypothesis is true or false.

Teaching this way develop critical thinking and logical discussion skills in children.

ინგა ხუჯაძე - სსიპ ბადრი ბასილაძის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

მოტივაციის ამაღლების შესაძლებლობა მათემატიკის გაკვეთილებზე

მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრება, ასევე სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასწავლებლის ქმედებებზე. თანამედროვე პედაგოგიკით სწავლა-სწავლების მთელი პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რომლის პროდუქტიულობაზეც (რამდენად აქტიურია ან პასიურია იგი) უდავოდ ახდენს გავლენას მოსწავლესა და მასწავლებელს შორის არსებული თანამშრომლობა (პედაგოგის დროული უკუკავშირი).

შემოქმედებითი, აქტიური პროცესების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მასწავლებლის კეთილგანწყობა და მხარდაჭერა. მათემატიკის გაკვეთილებზე მუდმივად გვიწევს ზრუნვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსწავლეთა არასასურველი ქცევა. აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი. 1. მათემატიკის შესწავლა რამდენადაც რთულად ეჩვენებათ მოსწავლეებს, იმდენად ნაკლებ ინტერესს იჩენენ მისადმი, 2. გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის თანახმად, ადამიანის ინტელექტი ანუ ზოგადი გონიერება ვერ გაიზომება ერთი საზომით. ადამიანები განსხვავებულად იღებენ და ინახავენ ერთსა და იმავე ინფორმაციას. მოსწავლეთა უმრავლესობას შეიძლება არც ჰქონდეს განვითარებული მათემატიკურ-ლოგიკური ინტელექტი. ცხადია მათემატიკის გაკვეთილებზე ხშირად იმედგაცრუების სიტუაციებიც არის, ამიტომაც ისმის შეკითხვა: როგორ მოვიქცეთ, რომ მათემატიკის სწავლება საინტერესო გახდეს? როგორ მოვახერხოთ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება მათემატიკის გაკვეთილებზე?

ბევრი წაგვიკითხავს, რომ ადამიანის ქცევა რთული ფენომენია და გარეგნულად ერთი და იგივე ქცევას შეიძლება განსხვავებული მოტივაცია ედოს საფუძვლად, რომ მოტივაცია ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც აღძრავს ქცევას, გარკვეული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ფსიქოლოგების აზრით მოტივაცია შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანი, მაგრამ არსებითი განსხვავება ადამიანის ქცევის წარმართველ მიზეზებშია. მასლოუ, რომელმაც შექმნა მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელი, განასხვავებს თანდაყოლილ და შეძენილ მოთხოვნილებებს (სოციალური მოთხოვნები ადამიანის განვითარებასთან ერთად ყალიბდება).

მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა გვეხმარება დავადგინოთ რომელ საფეხურზეა მოსწავლე, რა მოტივები შეიძლება ედოს ასაკიდან გამომდინარე სწავლას, მაგრამ სულ სხვაა პრაქტიკულად ამ ცოდნის გამოყენება და მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვის ხელშეწყობა მასწავლებლის მხრიდან. გადაწყვეტიტე მეკვლია ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა: მიმდინარე სასწავლო წელს სისტემატურად ვაკვირდებოდი ორ კლასს-მეშვიდე და მეთათე კლასს. კიდევ ერთხელ ყურადღებით გავეცანი ფსიქოლოგების დასკვნებს ასაკობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებით. მეორე საფეხურის მოსწავლეებისათვის დამახასიათებელია თანატოლებთან ურთიერთობის მზარდი სურვილი, ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის_ სწრაფვა პასუხისმგებლობისა და აღიარებისაკენ. თუ VII კლასელებთან გამოვიყენებთ კონკრეტული ქმედებებისათვის დადებით შეფასებებს, X კლასელებს შეიძლება მივანდოთ გადაწყვეტილებების მიღება. მათ შეიძლება თავად შეთანხმდნენ რა თანმიმდევრობით და როგორი ფორმით იმუშავენ.

დღეს მოქმედი სასკოლო მათემატიკის სახელმძღვანელოებში ყოველი ახალი საკითხის შესწავლა პრაქტიკული და გამოყენებითი ასპექტების გაძლიერებით მიმდინარეობს. პრაქტიკული შინაარსის საკითხის მათემატიკური ფორმულირება და ჩამოყალიბებული ამოცანის ამოხსნის მიერ პროცესი მოსწავლეთა მოტივირებას და სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურ ჩართვას ნაწილობრივ უწყობს ხელს, მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი ვერ იქნება.

თითოეული მათემატიკური ამოცანის ამოხსნა მოსწავლისათვის გარკვეული აღმოჩენაა. შეიძლება თუ არა ბავშვს მათემატიკის გაკვეთილზე მივცეთ სტიმული, რომელიც მას რაღაცის აღმოჩენისკენ უბიძგებს? (ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება-შინაგანი მოტივაცია), მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის ხომ არ არის უფრო მნიშვნელოვანი რაიმე ჯილდოს დაწესება? (გარეგანი მოტივაცია).

მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და მიმდინარე სასწავლო წელს ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა მამლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას:

❖ მოტივაციის ორივე ფორმა ერთნაირად მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების საქმეში წარმატებების მიღწევისათვის.

❖ გაკვეთილებზე სიტუაციური ინტერესის აღძვრა და შენარჩუნება კიდევ უფრო ეფექტურია

შეიძლება ერთნაირი ხარისხით არა, მაგრამ მათემატიკა ყველას სჭირდება და ამიტომ ის ყველა მოსწავლემ უნდა ისწავლოს. აქედან გამომდინარე მათემატიკის გაკვეთილებზე „მუხლჩაუხრელი“, შემოქმედებითი მუშაობაა საჭირო. ვიყენებ მოტივაციის ამალღების ხელშემწყობ სტრატეგიებს:

- დავალების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა.
- გარკვეულ შემთხვევაში არჩევანის უფლების მინიჭება.
- აზრის თამამად გამოხატვის შესაძლებლობა.
- სიტყვიერი შექება.
- შეჯიბრების მოწყობა

კარგი პიროვნული ურთიერთობების დროს იქმნება კომფორტული, ჯანსაღი გარემო და სწავლა გარკვეულწილად სასიამოვნო პროცესად იქცევა. მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს მაღალი კოგნიტური შესაძლებლობები, მაგრამ არ ჰქონდეს სწავლის მოტივაცია. შეიძლება არ ჰქონდეს მაღალი შესაძლებლობები, მაგრამ თუ პირადი ურთიერთობებით დავარწმუნებთ, რომ „შეუძლია“, მოსწავლე სწავლობს დიდი მონდომებით. თამამის ტიპის აქტივობების გამოყენებით მოტივაცია ერთი-ორად იზრდება. ყოველ გაკვეთილზე სიტუაციურად ვიყენებ სახალისო აქტივობებს. ზოგჯერ თითქოს უმნიშვნელო სიახლეც კი აღძრავს მოსწავლეთა ინტერესს. ერთ-ერთ გაკვეთილზე გამოყენებული „გამოსამახებელი ჩხირები“ არ შევიტანე მეორე დღეს. მოსწავლეებმა დაუყოვნებლივ იკითხეს: რატომ არ მოიტანეთ? ეს ფაქტი ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად ჩავთვალე იმ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში, რასაც მომავალი თაობის სწავლა-აღზრდა ჰქვია. სიხალისესთან ერთად მივალწიე, რომ ჩემს მოსწავლეებს აქვთ სამართლიანობის განცდა, არიან მოლოდინის რეჟიმში და იჩენენ მაქსიმალურ ყურადღებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია ამა თუ იმ საკითხზე ფოკუსირებისათვის.

X კლასში, ერთ-ერთ გაკვეთილზე დავაკავშირე მათემატიკა ისტორიასთან. თვით მოსწავლეებიდან წამოვიდა ინიციატივა, რომ იმუშავებდნენ პროექტზე: „მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები“ თავად მოსწავლეებმა გაანაწილეს დავალებები. შუალედური შეხვედრების დროს კი გამოთქვეს სურვილი, რომ შემდეგში მათემატიკას დააკავშირებდნენ ლიტერატურასთან. ეს ჩემს გამარჯვებულ ჩავთვალე.

პრობლემის სწორად დანახვა და სიტუაციურად ინტერესის აღძვრა სტიმულის მიმცემია მოსწავლეებისათვის. სტიმული ზრდის მოტივაციას და შესაბამისად იზრდება მათემატიკის შესწავლის სურვილი.

ლიტერატურა

1. მანანა მელიქიშვილი-მოტივაცია-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი-2013
2. სწავლება და შეფასება(დამხმარე სახელმძღვანელო)-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი-2008
3. პროფესიული უნარები(დამხმარე სახელმძღვანელო)- გამოცდების ეროვნული ცენტრი-2008

რეზიუმე

წარმოდგენილი სტატია წარმოაჩენს საკუთარი პედაგოგიური კვლევის მიმდინარეობასა და შედეგებს. აქ წარმოდგენილი დასკვნები ერთგვარი რეკომენდაციებია მათემატიკის მასწავლებლებისათვის და იძლევა ალტერნატიული ვარიანტებიდან ყველაზე ეფექტურის შერჩევის საშუალებას.

ოსწავლის აქტიური ჩაბმა სასწავლო პროცესში მოტივაციის ამალღების შემთხვევაში ხდება. სტატიის ღირებულებაც სწორედ იმის დადასტურებაა, რომ კონკრეტული სიტუაციის მიხედვით სასურველია ორიგინალური ხერხების მოფიქრება და აქტივობების გამრავალფეროვნება.

თინათინი სვანაძე - იოსებ ოცხელის სახ. ქუთაისის №2 საჯარო სკოლა

ისტ-ის გამოყენება მათემატიკის სწავლების დროს - „ორწახნაგა კუთხე“
 (გეომეტრია XI კლასი)

შესავალი

ცნობილია, რომ გეომეტრიის წარმოშობა ისტორიულად გაზომვებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, როგორც მეცნიერების ყველა სხვა სფერო, დროთა განმავლობაში ისიც გასცდა პრაქტიკული გამოყენების ფარგლებს და გადაიქცა საქმიანობად, რომელშიც მნიშვნელოვანია კვლევა-ძიება და ადამიანის კოგნიტიური უნარების განვითარება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გეომეტრიის სასკოლო კურსის ძირითადი მიზანია არა მხოლოდ პრაქტიკულ გაანგარიშებათა ხერხების ათვისება (რაც თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანია), არამედ სივრცის სტრუქტურის შესწავლა და მისი აღქმის, წარმოსახვის უნარების განვითარება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი აკისრია სტერეომეტრიას ("სივრცულ გეომეტრიას"). ყველა მასწავლებელმა იცის, რომ სტერეომეტრიული ამოცანის ამოხსნის სხვადასხვა საფეხურზე საჭიროა:

- გეომეტრიული ობიექტის წარმოსახვა და რომელიმე ფორმით გამოსახვა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს წარმოსახვისა და სივრცის აღქმის უნარის განვითარებას;
- ობიექტის ინტერპრეტაცია და მისი დაშლა სიბრტყულ ან სხვა დაბალგანზომილებიან ელემენტებად;
- მიღებული მასალის ანალიზი და ამოცანის ფორმულირება ალგებრულ ენაზე.
- ამოხსნა და შედეგების გეომეტრიული ინტერპრეტაცია.

გეომეტრიის სასკოლო კურსი, ტრადიციისამებრ, გაზომვებზე, ე.ი. გეომეტრიული ობიექტების მეტრული თვისებების დადგენაზეა ორიენტირებული.

ამჯერად მსურს, ყურადღება მივაქციო გეომეტრიული ობიექტების ისეთი მახასიათებლების შესწავლას, რომლებიც არ არის დაკავშირებული მის მეტრულ თვისებებთან. ასეთია ორწახნაგა კუთხის აგება. შემოგთავაზებთ ერთ გაკვეთილს, რომელიც აგებულია PowerPoint -ში ჩემს მიერ შექმნილი რესურსის მიხედვით.

მიზანი:

XI.10 მოსწავლეს შეუძლია სივრცული ფიგურის კვეთებისა და გეგმილების გამოყენება სივრცული ფიგურის შესასწავლად.




შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- პოულობს ფიგურის გეგმილს მითითებული პარალელური დაგეგმილებისას;
- მსჯელობს ფიგურის შესაძლო ფორმაზე მისი ანასახის მიხედვით პარალელური დაგეგმილებისას;


გაკვეთილის ფორმა – პრაქტიკული გაკვეთილი

კლასის ორგანიზება: ჯგუფური, ინდივიდუალური.


გაკვეთილს ვიწყებ წინარე ცოდნის გააქტიურებით. ვსვამ შეკითხვებს და მოსწავლეები ჯგუფებში ხსნიან ამოცანებს.




B წერტილიდან სიბრტყისადმი გაეღებულია ორი დახრილი, რომლებიც გვერდობიდან ადგენს 30° -იან კუთხეს. დახრილებს შორის კუთხე 90° -ია. იპოვეთ დახრილის ფუძეებს შორის მანძილი, თუ B წერტილიდან სიბრტყემდე მანძილი $\sqrt{6}$.



B წერტილიდან სიბრტყისადმი გაეღებულია ორი დახრილი, ერთის სიგრძეა 12სმ, ხოლო მეორისა $8\sqrt{6}$. მათი გვერდობი იქ შეეჯარდება ერთმანეთს, როგორც 2:3. იპოვეთ მანძილი B წერტილიდან სიბრტყემდე.




ABC სამკუთხედის A წერტილიდან აღმართულია ამსიბრტყისადმი AM მართობი. C კუთხე 30° , იპოვეთ მანძილი: 1) A წერტილიდან BC წრფემდე; 2) M წერტილიდან BC წრფემდე, თუ AC = 12 სმ, ხოლო AM = $2\sqrt{3}$ სმ.




შემდეგ ვახდენ ცოდნის კონსტრუირებას.

პლანიმეტრია	სტერეომეტრია
კუთხე?	
	ორწახნაგა კუთხე

ორწახნაგა კუთხე წარმოადგენს, კუთხეს რომელიც მიიღება ორი სიბრტყის გადაკვეთისას.



ABNM ორწახნაგა კუთხე, სადაც BN - წიბოა, ხოლო A და M მდებარეობს ორწახნაგა კუთხის წახნაგებზე.



SFX - ხაზოვანი კუთხე

ვაკეთებ ორწახნაგა კუთხის აგების ალგორითმის დემონსტრირებას.

ხაზოვანი კუთხის აგების ალგორითმი.
 POK - PDEK ორწახნაგა კუთხის ხაზოვანი კუთხეა.


ორწახნაგა კუთხის გრადუსული ზომა მისი ხაზოვანი კუთხის გრადუსული ზომის ტოლია.

ვევლი ხაზოვანი კუთხე ტოლია.


OA და O₁A₁ - თანამიმართულია
 OB და O₁B₁ - თანამიმართულია

კუთხეები AOB და A₁O₁B₁ ტოლია.


მოსწავლეები თვითონ აკეთებენ დასკვნას როგორი შეიძლება იყოს ორწახნაგა კუთხე.



მოსწავლეები აგებენ ორწახნაგა კუთხეებს ჯგუფებში, ამოხსნის სისწორეს ამოწმებენ პეზენტაციის საშუალებით.



მოსწავლეები დამოუკიდებლად ხსნიან ამოცანებს, ნახაზის აგების სისწორეს ამოწმებენ პრეზენტაციის საშუალებით.



დასკვნა : ისტ-ის გამოყენებით უფრო ეფექტურია გეომეტრიის სწავლება, მოსწავლეებისთვის უფრო მეტად თვალსაჩინოა, ამ დროს ისინი აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში.

რესურსები: კომპიუტერი, პროექტორი; მრავალწახნაგების მოდელები; პრეზენტაცია Microsoft PowerPoint; რეგული, სამუშაო ბარათები Microsoft Excel.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მათემატიკა 11 კლასი – გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია, ლ.ქურჩიშვილი.
2. მათემატიკა 11 კლასი – ნ.ჯაფარიძე, მ. წილოსანი, ნ.წულაია.
3. ფიგურების თვისებრივი მახასიათებლების კვლევა – ზ.გიუნაშვილი

მაგდანა ჯიქია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის დოქტორი ასოცირებული პროფესორი

ცილის ქიმიკა - უმაღლეს სასწავლებელში

ბოლო წლების განმავლობაში ბიოლოგიური ქიმიის საფუძველზე - ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკისა და კიბერნეტიკის განვითარების შედეგად, სავსებით კანონზომიერად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი - ცილის ქიმიკა - განსაკუთრებული სისწრაფით განვითარდა, ამიტომ ჩვენს მიზანს შეადგენს სტუდენტებისათვის ცილების ქიმიის თანამედროვე მდგომარეობის მარტივად და სხარტად, მაგრამ სასურველი სისრულით გადმოცემა. წამიერად მზარდი ზღვა სამეცნიერო ინფორმაცია მოითხოვს, მინიმალურად შეკუმშულ დროში, სტუდენტებს მივცეთ მაქსიმალურად სასარგებლო ინფორმაცია. ლექცია ამ მიზნით ცოდნის შეძენის ყველაზე ეკონომიური, პირდაპირი და ყველაზე მოკლე გზაა, სასწავლო პროცესის ყველაზე მოქმედი სახეა.

ბიოქიმიკა სიცოცხლის ქიმიკას ნიშნავს, სიცოცხლე კი ყველაზე მაღალორგანიზებული, სრულყოფილი, რთული, მრავალწახნაგოვანი და უდიდესი საიდუმლოებით მოცული მოვლენაა სამყაროში. ცოცხალი ორგანიზმი წარმოდგენილია მაღალი სამეცნიერო ტექნიკით აღჭურვილი, უმკაცრესი დისციპლინის მაღალორგანიზებული უზარმაზარი ქიმიური ლაბორატორიაა, სადაც წამის მესად ნაწილში მიმდინარეობს უამრავი სასიცოცხლო პროცესი, რომლებიც კოორდინირებული და დაპროგრამებულია დროსა და სივრცეში და, რომლებიც, ერთი მთლიანი ქიმიური ურთიერთქმედების სპეციფიკურ-კვანტურ-მექანიკურ ცვლას ექვემდებარება. ეს ცვლა განპირობებულია ატომის მთელი სტრუქტურითა და არა მხოლოდ ელექტრონების ინდივიდუალური თვისებებით.

„სიცოცხლე არის ცილოვან სხეულთა არსებობის წესი. ყველაგან, სადაც ვხვდებით სიცოცხლეს, ჩვენ ვთვლით, რომ ის დაკავშირებულია რომელიღაც ცილოვან სხეულთან და ყველაგან სადაც ვხვდებით რომელიმე ცილოვან სხეულს, რომელიც დაშლის პროცესში არ არის - გამონაკლისის გარეშე ვხვდებით სიცოცხლის მოვლენებს“ - ენგელსი. თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ ენგელსის განმარტებაში ასეთი კორექტივის შეტანა მოგვიხდება: სიცოცხლე არის ნუკლეინის მჟავების და ცილებისაგან შემდგარი ზემოლეკულური სისტემის არსებობის წესი, ეს წესი მდგომარეობს სისტემის ყველა ნაწილის თვითგანახლებაში, თვითგანახლება კი განაპირობებს ანტიენტროპიული მდგომარეობის შენარჩუნებას და განვითარებას გარემო არეში მყოფი ნივთიერებების ენტროპიის გაზრდის ხარჯზე (სისაკიანი). [1]

კვანტური მექანიკის თვალსაზრისით სიცოცხლე არის ატომების კვანტური ხასიათის დინამიკური რეალიზაციის ფორმა.

მოლეკულური ბიოლოგიის თანახმად სიცოცხლე წარმოგვიდგება, როგორც მაკრომოლეკულური იერარქიული ორგანიზაცია, რომელიც ხასიათდება რეპლიკაციით, მეტაბოლიტური ციკლორობითა და ენერგეტიკული პროცესების რეგულაციით. ამასთან ერთად, სიცოცხლის მოვლენებში დიდია ნუკლეინის მჟავების როლი.

კიბერნეტიკა სიცოცხლის მოვლენების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინფორმაციის გამომუშავებას და გადაცემას, რომელიც ახასიათებს სიცოცხლეს, როგორც ნივთიერებათა ზემდგურად მდგომარეობას, რომელიც იყენებს შენახულ ინფორმაციის გამომუშავების რეაქციებისათვის, რომელშიაც კოდირებულია ცალკეული მოლეკულის მდგომარეობა.

თერმოდინამიკის თვალსაზრისით ცოცხალი ორგანიზმის არსებით თვისებას წარმოადგენს მყარი თერმოდინამიკური წონასწორობა და უნარი შეინარჩუნოს ეს წონასწორობა გარკვეულ დონეზე, მაშინ როცა არაცოცხალი სისტემა მიისწრაფვის უწყსრიგობისკენ.

თანამედროვე გენეტიკისათვის სიცოცხლე დედამიწაზე წარმოადგენს დნმ-ს, რნმ-ს და ცილების ინტეგრალურ არსებობას, რომელიც ინდივიდუალიზირებულია სახეობრივი და პირადი სტრუქტურულ-ბიოქიმიური თვითრეგულირებული ღია სისტემის სახით ისტორიულად განვითარებული გენეტიკური ინფორმაციების ფორმათა თვითწარმოქმნის თვისებით. [2, 3]

ამრიგად, სიცოცხლის განმარტება, როგორც მატერიის მოძრაობის განსაკუთრებული, თვისებრივად განსხვავებული ბიოლოგიური ფორმისა, კიდევ იხვეწება და სრულყოფილი ხდება.

ბიოქიმიის კურსის შესწავლისას ძირითად საკითხებს ცილებისა და ფერმენტების შესწავლა წარმოადგენს. [4]

შესავალ ნაწილში ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ეს დისციპლინა შეისწავლის გარემო სამყაროს თვისებით მრავალფეროვნებასა და ამოუწურაობას, რითაც საუკეთესად დასტურდება სამყაროს მატერიალობა და მისი ერთიანობა.

ბიოქიმიის, როგორც მეცნიერების, განვითარება უწყვეტი მოძრაობის-ცვალებადობისა და განახლების, დაბალიდან მაღლისაკენ მოძრაობის პროცესია, რომ ეს მოძრაობა არის არა წრიული, არამედ აღმავალი ხაზით მავალი.

სწავლების სრულყოფის ამოცანა ორ პრობლემას ითვალისწინებს: სასწავლო საკითხის შინაარსის განსაზღვრასა და სწავლების ახალი მეთოდების ძიებას. მასალის შესწავლისას მნიშვნელოვანია არა ფაქტების დიდი რაოდენობა, არამედ მოვლენების თანმიმდევრულად გადაცემა, მათი ურთიერთკავშირის, ურთიერთდამოკიდებულების, მიზეზისა და შედეგის დადგენა.

მასალა ცილების შესახებ ოპტიმალურად უახლოვდება კურსის დაწყების თეორიულ საკითხებს, რაც განაპირობებს მომდევნო მასალის შესწავლას მაღალ თეორიულ დონეზე. ცოდნის მთელი სისტემა ამ საკითხში ვითარდება ქიმიური აღნაგობის თეორიის საფუძველზე და ერთდროულად ხორციელდება გადასვლა ქიმიური აღნაგობის განხილვიდან მათი სივრცითი და ელექტრონული აღნაგობის განხილვაზე. ცილების შესწავლისას წარმოიქმნება იდეა ცილოვან ნივთიერებათა მრავალფეროვნების შესახებ. მასალა ცილების შესახებ უდიდეს შესაძლებლობებს იძლევა სტუდენტებში მატერიალისტური მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის, ქიმიური ურთიერთქმედების არსის სწორი და ღრმა გაგებისათვის, მოლეკულების შინაგანი აგებულების შეცნობისა და მათი სინთეზის შესაძლებლობის შესახებ. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანია ვუჩვენოთ სტუდენტებს ცილოვან ნივთიერებათა სინთეზის საშუალებები, რითაც ნათელი ხდება მეცნიერების როლი საზოგადოების მატერიალური ცხოვრების გარდაქმნისა და გაუმჯობესების საქმეში, სამყაროს შეცნობის შესაძლებლობაში.

ცილების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს მასალის თანმიმდევრულად მიწოდებას, რაც განაპირობებს სტუდენტების მიერ მის თანდათან შეთვისებას, თანაზომიერად ახალი მასალის შეტანასა და განვლილის სისტემატურ განზოგადობას.

ცილების შესწავლა ამინომჟავებით იწყება, მათი აღნაგობისა და ორმაგი ფუნქციის წარმოდგენით, იზომერით, ნომენკლატურითა და კლასიფიკაციის გაცნობით, მათი ქიმიური თვისებებითა და უმნიშვნელოვანესი პეპტიდური ბმების წარმოქმნის მექანიზმებით, განსაკუთრებით, პეპტიდურ ბმების თავისებურებებისა და უნივერსალობის (-C=O-N- კავშირი), ამინო და კარბოქსილის ჯგუფების როლის აღნიშვნით. სასურველია ასევე ცდების ჩატარება ამინომჟავებზე - ინდიკატორებზე ნეიტრალური რეაქციების ახსნა ბიპოლარული იონის (შინაგანი მარილი) წარმოქმნით, ასევე ეთერიფიკაციის, მარილწარმოქმნის, მჟავებთან და ტუტეებთან ან (ამფოტერობა) ურთიერთქმედების ჩვენებით. აქ აუცილებელია სტუდენტების ყურადღება მივაქციოთ არაორგანულ ამფოტერულ ნივთიერებებსა და ამინომჟავების, როგორც ორგანული ამფოტერული ნივთიერებების მსგავსება-განსხვავებაზე, რომ ამინომჟავების ბიფუნქციური მონომერებია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიპეპტიდების (ცილების) სინთეზში. ამინომჟავების განხილვამდე სტუდენტებს გასამეორებლად ეძლევათ ორგანული ქიმიიდან ამინები, რომლებიც ძლიერი ორგანული ფუძეებია, რაც განპირობებულია მოლეკულაში ამინო ჯგუფის შემცველობით და, ასევე, კარბონმჟავები, რომელთა მჟავური თვისებები განპირობებულია კარბოქსილის ჯგუფის შემცველობით. ძირითადი განმასხვავებელი ამინომჟავებისა არაორგანულ ამფოტერულ ნივთიერებათაგან მათი ერთმანეთთან ურთიერთქმედების უნარია, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება ცილები. ამ მასალით კი დასტურდება, რომ განვითარება იმ რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებათა დიალექტიკაა, რომლის წყაროსაც თვით საგანში არსებული წინააღმდეგობები შეადგენს. ამინომჟავებისა და ცილების ამფოტერობა განპირობებულია მათ მოლეკულაში ერთდროულად ორი სხვადასხვა ფუნქციონალური ჯგუფის (-NH₂ და -COOH) არსებობით, რომ განვითარების მიზეზი წინააღმდეგობათა ბრძოლა და ერთიანობაა. შინაგანი წინააღმდეგობა აქ მჟავე და ფუძე თვისებებშია, დადებით და უარყოფით მუხტებშია, ჰიდროფობურ და ჰიდროფილურ ჯგუფებშია. ამინომჟავების ურთიერთქმედების შედეგად პეპტიდების წარმოქმნა წინააღმდეგობათა ბრძოლისა და ერთიანობის კანონის საუკეთესო მაგალითია. -NH₂ და -COOH დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვისებებს ანიჭებს ამინომჟავებსა და ცილებს, ამავე დროს მათი მოქმედება ერთდროულად და დიალექტიკურ ერთიანობაშია. ამინომჟავების ურთიერთქმედებით ცილების წარმოქმნის პროცესი - ამინომჟავების (დაბალმოლეკულური ნივთიერებების პოლიკონდენსაცია) - ამინო და კარბოქსილის ჯგუფების ურთიერთქმედებით ცილები

წარმოიქმნება, რაც ბუნების უნივერსალური კანონის - რაოდენობის თვისებრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონის - დიალექტიკის I კანონის ჭეშმარიტი დადასტურებაა.

ამინომყავების შემდეგ ვიხილავ ორგანიზმში ცილების მრავალფეროვან ფუნქციებს: პლასტიკურს (უჯრედის ორგანოიდების საშენი მასალა), კატალიზურს (ფერმენტაციული), ჰორმონალურს, რეცეპტორულს, დამცველობითს (იმუნური), საყრდენს, სასიცოცხლო პროცესების რეგულატორის, ტრანსპორტულს, ტოქსიკურს და სხვ. ვიხილავთ ცილების I-II-III-IV სტრუქტურებს და ავლნიშნავთ, რომ ნებისმიერი ბიომოლეკულის სივრცით ორგანიზაციას საფუძვლად უდევს თერმოდინამიკის კანონები, რომლებიც დადგენილია ფიზიკური და ქიმიური პროცესებისათვის. ინფორმაცია, რომელსაც ღებულობს ესა თუ ის სტრუქტურა, თერმოდინამიკის კანონებს ემორჩილება, ე. ი. ენერგეტიკულად ხელსაყრელია, ხასიათდება მინიმალური თავისუფალი ენერგიით, მოლეკულების თავისუფალი მოძრაობის ზღვრები ამ დროს მცირდება, ანუ ენტროპია (მოუწესრიგებელი მოძრაობის ხარისხი) კლებულობს.

თერმოდინამიკის II კანონიდან გამომდინარე, სპონტანურად მიმდინარე თავისუფალი ენერგიის შემცირებას ყოველთვის თან ახლავს ენტროპიის გაზრდა.

ამრიგად, ამინომყავათა თანმიმდევრობაში ჩაწერილი ინფორმაციის საფუძველზე ხდება პოლიპეპტიდური ჯაჭვის ჩაწყობა იმ ერთადერთი ხერხით, რომელიც შეესაბამება მთელი სისტემის თავისუფალი ენერგიის მინიმუმსა და ენტროპიის მაქსიმუმს.

სტუდენტებს ხაზგასმით ავლნიშნავთ, რომ ცილის ფუნქცია დაკავშირებულია მისი მესამეული სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან (აქ მუდავნდება საგანთა და მოვლენათა ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა).

ხაზგასმით ავლნიშნავთ ცილების მიკრობიოლოგიური სინთეზის, შესაბამისი ქარხნების, მომავალში ადამიანისათვის ცილოვანი, ხელოვნური და სინთეზური საკვების მიღების პრაქტიკულად გადაჭრის გზებისა და მიკრობიოლოგიური მრეწველობის შესახებ.

ამრიგად, საგნებისა და მოვლენების ურთიერთდაკავშირებით სტუდენტები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ: ბუნება (მატერია) არსებობს ობიექტურად ჩვენგან დამოუკიდებლად; მატერიალური სამყარო განუწყვეტლივ მოძრაობაშია და ვითარდება; საგნებსა და მოვლენებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა; ბუნებაში მიმდინარე ყოველგვარი ცვლილება წარმოადგენს რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრიობაში გადასვლას.

ლიტერატურა

1. ე. რაფავა - ცილის ქიმია. თბილისი. 1982.
2. ე. ყიფიანი, მ. ჯიქია - როგორ ვიცხოვროთ დიდხანს და ჯანსაღად. ქუთაისი. 2010.
3. მ. ჯიქია, ე. ყიფიანი - სიბერემდე ჯანმრთელობა და ხალისი. ქუთაისი. 2010.
4. ა. ბოლქვაძე - ბიოქიმია. თბილისი. 1999.

რეზიუმე

წამიერად მზარდი ზღვა სამეცნიერო ინფორმაცია მოითხოვს, მინიმალურად შეკუმშულ დროში, სტუდენტებს მივცეთ მაქსიმალურად სასარგებლო ინფორმაცია. ლექცია ამ მიზნით ცოდნის შექმნის ყველაზე ეკონომიური, პირდაპირი და ყველაზე მოკლე გზაა, სასწავლო პროცესის ყველაზე მოქმედი სახეა. სწავლების სრულყოფის ამოცანა ორ პრობლემას ითვალისწინებს: სასწავლო საკითხის შინაარსის განსაზღვრასა და სწავლების ახალი მეთოდების ძიებას.

ცილის ქიმის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს მასალის თანმიმდევრულად მიწოდებას, რაც განაპირობებს სტუდენტების მიერ მის თანდათან შეთვისებას, თანაზომიერად ახალი მასალის შეტანასა და განვლილის სისტემატურ განზოგადობას.

Magdana Jikia - Akaki Tsereteli State University, Doctor of Medicine, Associate Professor

Teaching Protein Chemistry at University

Abstract

Rapidly growing scientific works requires providing the students with as much useful information as possible in a very short time. From this point a lecture is the most economical, direct and the shortest way of gaining knowledge. Also it is the most active way of studying process. Improving studying process involves two main problems: defining studying contents and searching new teaching methods.

Sequential providing of materials is very important in teaching Protein chemistry. This gives the students opportunity to study it step-by-step and also it involves commensurately giving the new material to the students and generalizing the old one.

ბაკურ ონიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მეხსიერება და ტვინის განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება

სწავლების მეთოდთა როლი მეხსიერებასთან დაკავშირებული ანალიზატორული სისტემების გააქტივებაში და მეხსიერების სხვადასხვა ფორმის რეალიზაციის ხელშეწყობაში მდგომარეობს. სულ უფრო აქტუალური ხდება სწავლების დაგეგმვა ტვინის განვითარების გათვალისწინებით, მასზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას: ბავშვის გონებრივი აქსელერაცია, სოციალურ გარემოში მომხდარი ცვლილებები, გაზრდილი გონებრივი დატვირთვა, კოგნიტური და ფიზიკური განვითარება და სხვა. სწავლების დაგეგმვაში აუცილებლად გასათვალისწინებელი კომპონენტია ტვინის ასაკობრივი თავისებურებები და სწავლება უნდა მოერგოს ამ თავისებურებებს. ტვინის ფუნქციაზე დაფუძნებული სწავლება ახალი მიმართულებაა პედაგოგიკაში და სწავლების ახლებური გააზრების თვალსაზრისით ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს.

მეხსიერება თავის ტვინის ფუნქციაა. ის ინახავს განცდილს და წარსულს. მეხსიერება რთული ფსიქოფიზიოლოგიური ფენომენია. ბოლო დროს სულ უფრო მეტი მეცნიერი განიხილავს მას, როგორც უპირატესად ფიზიოლოგიურ კატეგორიას. მეხსიერების საფუძვლები სრულად არ არის შესწავლილი. ვიცით, რომ დასწავლა-დამახსოვრების დროს გრძნობათა ორგანოების სხვადასხვა სისტემების საშუალებით (მაგ. მხედველობის, სმენის, ყნოსვის და სხვა) თავის ტვინის შესაბამის ცენტრებში შედის ინფორმაცია სუნის, გემოს, ფერის და სხვა მახასიათებლების შესახებ, რაც ამ ცენტრებში იწვევს ნეირონების ერთდროულ აგზნებას. ნეირონებით ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი ცენტრებისგან იქმნება წრედი. ცნობილია, რომ ამ ნეირონებს შორის ერთ-ერთი მედიატორია გლუტამინის მჟავა, რომელიც ნეირონებს ააგზნებს დიდი ხნით. ეს მიიღწევა ძლიერი შთაბეჭდილებით. ინფორმაციის აღსადგენად საკმარისია ამ წრედის ერთ-ერთი ნეირონის აგზნება, რომელიც ჩართავს მთელ წრედს და ინფორმაცია აღდგება [1]. მეხსიერება 3 ფაზისგან შედგება: აღბეჭდვა (კოდირება), შენახვა და აღდგენა. მეხსიერება იწყება ნერვულ სისტემაში ინფორმაციის შესვლით. აღბეჭდვის დროს ხდება ცნს-ში შემოსული ინფორმაციის გარკვეული კოდირება და მნემურ სისტემაში შეტანა. შემდეგ ხდება უკვე აღბეჭდილი ინფორმაციის შენახვა ტვინის შესაბამის ცენტრებში. ბოლო ეტაპია აღდგენა. ამ დროს ხდება შენახული ინფორმაციის გახსენება. არსებობს აღდგენის უნებლიე და განზრახვითი ფორმები, ცნობიერებაში აზრის სპონტანურ ამოსვლას პერსევერაცია ეწოდება. განასხვავებენ სენსორულ, ხანმოკლე და ხანგრძლივ მეხსიერებას. დასწავლისათვის ინფორმაცია ხანგრძლივ მეხსიერებაში უნდა გადავიდეს [2].

მეხსიერების სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს. განასხვავებენ პროცედურულ და დეკლარაციულ (ეპიზოდურ) მეხსიერებას. პროცედურული მეხსიერება განაპირობებს რეფლექსების და უნარ-ჩვევების შექმნას. დეკლარაციული მეხსიერებით კი ხორციელდება სახელების, აზრების, სცენარების, ეპიზოდების დამახსოვრება. აკად. ივანე ბერიტაშვილმა უმაღლეს ხერხემლიანებში გამოყო ხატისმიერი მეხსიერება. ხატისმიერი და დეკლარაციული მეხსიერება ერთი და იგივეა. მეხსიერების სხვადასხვა სახეს განსხვავებული ბიოქიმიური მექანიზმები აქვს და ტვინის სხვადასხვა სტრუქტურის მოქმედება უღვევს საფუძვლად [3].

ტულვინგის მიხედვით განასხვავებენ სემანტიკურ და ეპიზოდურ მეხსიერებას. ეპიზოდური მეხსიერება მოიცავს ადამიანის პერსონალურ გამოცდილებას, მასში შენახულია პირადი შთაბეჭდილებებით გამდიდრებული ცხოვრების ეპიზოდები. ეპიზოდურ მეხსიერებას ავტობიოგრაფიულსაც უწოდებენ. სემანტიკური მეხსიერება კი ინახავს სიტყვებს, წესებს, ადამიანის ცოდნას. ეპიზოდურ მეხსიერებაში ინფორმაცია ხშირად იკარგება, მის აღსადგენად გამოიყენება ინფორმაცია სემანტიკური მეხსიერებიდან [2].

განასხვავებენ სმენით, მხედველობით, კან-კუნთოვან დასწავლას. საბოლოოდ არ არის გარკვეული, სადაა ტვინში განლაგებული მეხსიერება. ვარაუდობენ, რომ მეხსიერების ელემენტები არის რუხ ნივთიერებაში. ერთი ცნების შესახებ ინფორმაცია შეიძლება ჩაიწეროს მეხსიერების გარკვეულ უბნებზე.

ცნობილია, რომ სივრცითი მეხსიერება დაკავშირებულია ჰიპოკამპთან.

მეხსიერების ნეიროფიზიოლოგიური და ბიოქიმიური საფუძვლების გათვალისწინებით სულ უფრო აქტუალური ხდება ტვინის განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება, რომლის მიზანია ტვინის შესაძლებლობების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა სწავლებაში. თანამედროვე სწავლების

ტექნოლოგიები ითვალისწინებს ნეიროპედაგოგიკის მოთხოვნებს, რომელიც არის ახალი სწრაფად განვითარებადი მიმართულება პედაგოგიკაში.

ბოლო მონაცემებით ბავშვის ტვინი ყველაზე სწრაფად ვითარდება დაბადებიდან პირველი 2000 დღის განმავლობაში, ამიტომ ამ ასაკში სწორი განვითარება ქმნის საფუძვლებს შემდგომი განვითარებისათვის და შეიძლება მოგვცეს 25%—იანი ცვლილება გონებრივ განვითარებაში [4].

დადგენილია, რომ 3—დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების ტვინში დიდი ცვლილებები ხდება. სწრაფად იზრდება ტვინის წინა, ფრონტალური ნაწილი, რომელიც აკონტროლებს ყურადღების კონცენტრაციას და მოქმედების დაგეგმვის უნარებს. 6 წლიდან სწრაფად პროგრესირებს მეტყველების უნარების და სივრცითი ორიენტაციის მაკონტროლებელი ნაწილები ტვინში, აგრეთვე მოტორიკის მაკონტროლებელი ცენტრები. შესაბამისად 5 წლის ბავშვის არსაკმარის მზაობას სწავლის დასაწყებად კონკრეტული ფიზიოლოგიური საფუძვლები აქვს.

ნეიროპედაგოგიკა ტვინის განვითარებაზე დაფუძნებულ სწავლებაში ემყარება ნეირო-ფიზიოლოგიის, ნევროლოგიის, ენდოკრინოლოგიის, ფსიქოლოგიის და სხვა მეცნიერებების მიღწევებს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ ნეიროპედაგოგიკის რამდენიმე პრინციპზე. მაგ: ნეიროპედაგოგიკა დიდ როლს ანიჭებს ემოციებს სწავლებაში. ემოცია ხელს უწყობს ტვინის პროდუქტიულობას, სწავლას და მეხსიერების გაუმჯობესებას, შესაბამისად სწავლის პროცესში დადებითი ემოციების გენერაცია ხელს ეწყობს სწავლას. ტვინი ხანგრძლივად ინახავს მოვლენებს, რომლებიც ემოციებს აღძრავენ. დადებით ემოციას ორგანიზმში წარმოქმნის სიამოვნების ჰორმონები: მორფინები, კანაბინოიდები, ოპიოიდები, რომლებიც ჩვენს ორგანიზმში წარმოქმნილი ნარკოტიკებია. ეს ნივთიერებები განაპირობებს სინაპსური კავშირების ეფექტურობას და ხელს უწყობს ინფორმაციის მეხსიერებაში შენახვას. ზოგიერთი ჰორმონი მედიატორი თრგუნავს ხანგრძლივ მეხსიერებაში ინფორმაციის გადასვლას. ტვინის ცენტრი ამიგდალა, რომელიც მართავს ემოციებს, შიშის და ძლევარების დროს ბლოკავს ინფორმაციას [4], შესაბამისად დიდ მნიშვნელობას იძენს უსაფრთხო გარემო, რადგან მოსწავლისათვის სტრესის წყარო შეიძლება იყოს ბევრი რამ. ტვინის განვითარება ფერხდება ზეწოლის, მუქარის, იძულების პირობებში და სტიმულირდება თავისუფლების პირობებში. შესაბამისად ბევრი „მკაცრი“ მასწავლებელი საკუთარი მიდგომებით ხელს არ უწყობს განვითარებას.

დაზეპირების სისტემით მეხსიერების საცავებში შესული ცოდნა არამდგრადია. ის მეხსიერებაში უსისტემოდ და ქაოსურად განლაგდება. ამასთან დაზეპირება უფრო ხელოვნური და შრომატევადია. ადამიანი უკეთ იგებს და იმახსოვრებს, როცა ცოდნა შედის ვიზუალურ-სივრცითი მეხსიერების სისტემაში.

ტვინის განვითარებაზე დაფუძნებული სწავლების მიხედვით ეფექტურ მეთოდად ითვლება ინფორმაციის დანაწევრება. ცნობილია, რომ ბავშვის ყურადღების კონცენტრაციის ხანგრძლივობა ტვინის განვითარებაზე დამოკიდებული და ასაკის მატებასთან ერთად იზრდება უწყვეტი პრეზენტაციის ხანგრძლივობა. არასათანადო დატვირთვა უარყოფითად მოქმედებს ტვინის განვითარებაზე. არასასურველია, როგორც ზედმეტი, ასევე არასაკმარისი დატვირთვა. ახალი ცოდნის გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს წინარე ცოდნა გამოცდილებას. ამიტომ არსებული ცოდნის გახსენება ტვინზე დაფუძნებულ სწავლებაში მნიშვნელოვანია.

დასწავლა—დამახსოვრება ენერგოტევადი ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების ერთობლიობაა, ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს ჯანსაღი კვება, ჰიგიენა და ბავშვის ჯანმრთელობა.

ჯონ დანლოვსკის და თანაავტორების მიერ შედგენილი მეთოდების რეიტინგში ნაკლებეფექტურია ფსიქიური მეთოდები, მნემოტექნიკა, უფრო ეფექტურია ე.წ. დაყოფითი და პრაქტიკული მეთოდები [4]. დაყოფითი მეთოდის მიხედვით ხდება შესასწავლი მასალის დაყოფა და მისი დასწავლა ნაწილებად. რაც ეთანხმება ტვინის განვითარებაზე დაფუძნებულ სწავლების ერთ-ერთ ზემოთნახსენებ პრინციპს. ასეთ ნაწილებად დაყოფილი ინფორმაცია ძირითადად ხანგრძლივ მეხსიერებაში გადადის, განსხვავებით ერთბაშად მიღებული დიდი ინფორმაციისაგან.

დასწავლის ნერვულმოლეკულური, ბიოქიმიური საფუძვლების გათვალისწინებით ტვინის განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება სულ უფრო აქტუალური ხდება და ახალ შესაძლებლობებს ქმნის სწავლების ტექნოლოგიებში. გარდა იმისა, რომ ტვინის განვითარების გათვალისწინების გარეშე სწავლების დაგეგმვა სერიოზულ პრობლემებს უქმნის პედაგოგს სწავლებაში, ის შეიძლება იოლად გახდეს ფსიქიკური, კოგნიტური და სხვა სახის განვითარების დისჰარმონიის მიზეზი. ტვინი გარკვეული კანონზომიერებით ვითარდება და ქმნის საფუძვლებს ახალი უნარების გაჩენისათვის. დასწავლასთან და

მეხსიერებასთან დაკავშირებულ ტვინის სტრუქტურებს ასაკობრივი განვითარება ახასიათებთ. ამის გათვალისწინების გარეშე ტვინის განმავითარებელი და ტვინზე დაფუძნებული სწავლება შედეგიანი ვერ იქნება.

ლიტერატურა

1. ონიანი ბ., სწავლების მეთოდები და მეხსიერება, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ 3(56). თბილისი 2016
2. წერეთელი მ., აღქმა, ყურადღება, მეხსიერება. თსუ სალექციო კურსი
3. ნანეიშვილი თ., ქცევის ფსიქოფიზიოლოგია, თბ. 2003
4. ნეფარიძე თ., ნეიროპედაგოგიკა, სწავლების არსებული მეთოდების ვალიდაცია და ახალი მიდგომების დანერგვის პერსპექტივები. 2014 წ.
5. <http://ubr.ua>

რეზიუმე

სწავლების დაგეგმვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ტვინის განვითარების თავისებურებები. სწავლება უნდა მოერგოს ამ თავისებურებებს. მეხსიერება ტვინის ფუნქციაა, მისი სხვადასხვა ფორმის რეალიზებას უზრუნველყოფს თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურა, ნეიროფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მექანიზმები ტვინში. ნეიროპედაგოგიკა ახალი, სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა. მისი განვითარების კვალობაზე ხდება დღემდე არსებული მიდგომების კორექტირება სწავლების ტექნოლოგიებში თავის ტვინის განვითარების მეტად გათვალისწინების მიმართულებით.

Bakur Oniani - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Training Based on Memory Improvement and Brain Development

Summary

When planning the training process, it is necessary to take into consideration the brain development peculiarities. Training process must be adapted to these peculiarities. Memory is a brain function, and its various forms are realized by various brain structures, particularly by the neuro-physiological and biochemical mechanisms of brain. Educational neuroscience is a new, rapidly-developing field. As it progresses, the existing approaches in training technologies, are being corrected by giving further consideration to brain development.

ბაკურ ონიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ბიოლოგიურ ცნებათა განვითარება ბუნებისმცოდნეობის სწავლების დროს

ბუნებისმცოდნეობის კურსი მოიცავს 4 საბუნებისმეტყველო დისციპლინის საფუძვლებს. კურსი საკმაოდ დატვირთულია შესაბამისი ცნებებით. ამ კურსის სწავლებისას სირთულეს წარმოადგენს ცნებების სწორად კონსტრუირება და განვითარება. ამ სირთულეთა დაძლევაში დიდი როლის შესრულება შეუძლია სწორად დაგეგმილ სწავლის სტრატეგიებს. ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოები წარმოადგენს საბუნებისმეტყველო ცნებების გაცნობის, ბუნებრივ მოვლენათა ურთიერთკავშირის სწავლების მცდელობას. ბუნების მოვლენათა რთული ურთიერთკავშირების დანახვა, ცნებათა სწორი გაგება-გააზრება შეუძლებელია ცნებათა შინაარსის სწორი მეთოდური და სისტემური განვითარების გარეშე. მასწავლებელი ბავშვის ასაკის, კოგნიტური განვითარების, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ბავშვის განვითარების სხვა ასპექტების გათვალისწინებით, თანმიმდევრულად აღრმავებს ცოდნას ცნების შესახებ. შევსება უნდა ხდებოდეს ბავშვებისათვის გასაგები ფორმით და შინაარსით, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია.

ცნებათა კონსტრუირების გზაზე მნიშვნელოვანია დაცული იქნეს მიმართულება: ნაცნობიდან უცნობისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ. ცნების განვითარებისათვის განკუთვნილი სტრატეგიის თუ მეთოდის რაობას განაპირობებს ბიოლოგიური ცნების სპეციფიკა. ასეთი ცნებები მრავალგვარია: მარტივი, რთული, სპეციალური, ზოგადბიოლოგიური და სხვა. მისი მნიშვნელობის სწორი გაგება რთულ ბუნებრივ პროცესებში საკმაოდ რთულია. ცნების სრულყოფის ნაცადი ხერხია შედარება. ბუნებისმცოდნეობის დაწყებითი კლასების კურსი მოიცავს სწავლებას მცენარეთა და ცხოველთა ორგანოებზე და ორგანოთა სისტემებზე. ამ თემების სწავლების დროს ხშირად გამოყენებული შედარება. ზოგადად ავლწეროთ ამ სწავლებაში გამოყენებული ზოგიერთი ორგანიზმის ნერვული სისტემების განხილვა და შედარება. მაგ. ჭიკაძის ნერვული სისტემა წარმოდგენილია ერთმანეთთან ნერვული ძაგებით დაკავშირებული ნერვული კვანძებისაგან. განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ტარაკანას ნერვული სისტემა წარმოადგენს ნერვულ ძეგვს. თევზებში ნერვული სისტემა წარმოდგენილია თავის ტვინის, ზურგის ტვინის და მათგან გამოსული ნერვებით. სხვადასხვა ტიპის ნერვული სისტემის განხილვა შედარებით ბავშვს წარმოდგენას ვუქმნით ნერვული სისტემის განვითარებაზე [1].

სუნთქვის ოპტიმალური სწავლების მისაღწევად უნდა მოვახდინოთ წყალში ლაყუჩებით მსუნთქავი ცხოველების და ხმელეთის ბინადარი ორგანიზმების სუნთქვის სისტემათა განხილვა და შედარება. ცალ-ცალკე უნდა გავაცნოთ კანით მსუნთქავი, ტრაქეებით მსუნთქავი (მწერები), ამფიბიების და ფილტვებით მსუნთქავი ორგანიზმების სუნთქვის სისტემები. შედეგად ბავშვებს უვითარდებათ ცოდნა სუნთქვაზე, სუნთქვის სისტემის ევოლუციაზე და გარემოსთან შეგუებაზე. შედარება კარგი სტრატეგიაა ორგანოთა სხვა სისტემების შესწავლისას. მაგ. ცნება სისხლის მიმოქცევის შესწავლის დროს მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა განიხილოს და შეადაროს ჭიკაძის, თევზის, ამფიბიის და ძუძუმწოვრის სისხლის მიმოქცევის სისტემა. ეს წარმოდგენას უქმნის სისხლის მიმოქცევის ევოლუციაზე და განამტკიცებს აღნიშნულ ცნებას.

ბიოლოგიური ცნების განვითარებისათვის კარგია აგებულების და ფუნქციის დაკავშირება. მაგ. მცენარეთა და ცხოველთა ანატომიის ცნებების სწავლების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ორგანოთა ფორმის და ფუნქციების დაკავშირებაზე. მაგ. ხეებზე მცოცავი, წყალში მცურავი და ხმელეთზე მორბენალი/მსხდომარე ცხოველების კიდურების აგებულების თავისებურებები დაფუძვნილი მათ ფუნქციებს. რატომაც კენჭურუს უკანა კიდურები უფრო გრძელი და ძლიერი წინა კიდურებთან შედარებით. ან ხეებზე ბინადარ მაიმუნების უმეტესობას რატომ აქვს გრძელი და ძლიერი წინა კიდურები. ან სულაც ფრინველების სუნთქვის შესწავლისას მათი სუნთქვის თავისებურება (ორმაგი სუნთქვა) დაფუძვნილი მათ ჰაერში ფრენას. მსგავსი დაკავშირებით მიიღწევა ცნების უკეთ გაგება. ცნების განვითარებას ხელს უწყობს ცნების შესახებ ბევრი ანალოგიის მოყვანა, ასევე ისეთი სავარჯიშოები, რომელთა შესრულება მოითხოვს ცნებების დაკავშირებას ერთმანეთთან. კარგია ისეთი ილუსტრაციები, სადაც ასახულია ცნების დამახასიათებელი თვისებები. როგორც თანაფარდობითი, ასევე განმსაზღვრელი. სასურველია სადისკუსიო მასალები, რადგან ცნების კონსტრუირებას ხელი ეწყობა, თუ

მას სხვასთან ერთად განიხილავენ. კარგია მარტივი ექსპერიმენტები, რაც ცნების თვისებების აღმოჩენაში ეხმარება ბავშვებს. ბიოლოგიურ ცნებათა უკეთ შესწავლისათვის სასურველია ისეთი დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს ბუნებასთან ურთიერთობას, ბუნების მოვლენებზე დაკვირვებას [2]. ცნების სრულყოფას ხელს უწყობს ცნების ბევრი მაგალითის მოყვანა. მაგ. მცენარეთა და ცხოველთა სისტემატიკური ჯგუფების გაცნობისას რაც შეიძლება მეტი მაგალითი მოვიყვანოთ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროდან.

ცნების სწავლის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემულ ცნებასთან დაკავშირებით წინარე ცოდნას. ასეთ შემთხვევებში ცნების სრულყოფის ეფექტური სტრატეგიაა ცოდნის გახსენება. უკეთეს შემთხვევაში მოსწავლეები თვითონ იხსენებენ ან მასწავლებელი ეხმარება არსებული ცოდნის ახალ ცნებებთან დაკავშირებაში შესაბამისი შეკითხვების დასმით. შეიძლება საჭირო გახდეს მონათესავე დისციპლინებში ნასწავლი მასალის გამეორება. მაგ. ანატომიის კურსით გათვალისწინებული სისხლის მიმოქცევის სისტემის შესწავლის დაწყებამდე მასწავლებელმა შეიძლება გაახსენოს ხერხემლიანი ცხოველების სისხლის მიმოქცევის აგებულება, რითაც ხელი შეეწყობა არსებული ცოდნის გააქტიურებას და ცნების შევსებას. მიზანი უკეთ მიიღწევა, როდესაც მასწავლებელი წინასწარ გეგმავს და აფასებს თუ კონკრეტულად რისი გახსენება შეუწყობს ხელს სწავლას. ხშირად მოსწავლეებს ახალმსწავლილი ცნება განსხვავებულად ესმით, ზედმეტად განაზოგადებენ ან აკონკრეტებენ მას. ამის მიზეზი ძირითადად ის არის, რომ ცოდნის კონსტრუირებისას მოსწავლეებს განსხვავებული ცოდნა/გამოცდილება გააჩნიათ მის შესახებ. ასეთ შემთხვევებში მოსწავლეთა არსებული ცოდნის შესაფასებლად გამართლებულად მიგვაჩნია მასწავლებელმა მოაწიოს დისკუსია და შემდეგ მიმართოს გარკვეულ აქტივობებს ჯერ მოსწავლეებში ცოდნის რამდენადმე გასათანაბრებლად, ხოლო შემდეგ ცნების განვითარებისათვის. მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს მკაფიო და გასაგები, რათა თავიდან ავიცილოთ ბუნდოვანება ცნების შესახებ.

ბიოლოგიური ცნებების და საერთოდ ნატურალისტური ინტელექტის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიაა ექსკურსია. სწავლის სტრატეგია გულისხმობს გარკვეული ხერხების გამოყენებას უკეთ გაგება-დამახსოვრების მიზნით. ექსკურსიის დროს ბავშვები ფლორის და ფაუნის წარმომადგენლებს ეცნობიან ბუნებრივ გარემოში. მათ მიმართ უძლიერდებათ სიყვარული და ემპათია. ექსკურსია ხელს უწყობს ესთეტიკურ აღზრდას, ცნებათა ურთიერთმიმართების გააზრებას, ჯანმრთელობას. ექსკურსიის მიზნის მისაღწევად სწორად უნდა შეირჩეს წელიწადის დრო, ადგილი, ამინდი, სასწავლო აქტივობები და სხვა.

ბუნებისმცოდნეობაში ცნებების სწავლება მნიშვნელოვნად ეყრდნობა პრაქტიკულ მეცადინეობებს. პრაქტიკული მუშაობა ხელს უწყობს აღმოჩენით სწავლას კეთებით, ავითარებს ცნებებს, პრობლემათა გადაჭრის უნარებს და ხელს უწყობს დამახსოვრებას [3].

ლაბორატორიული მუშაობის დროს სწავლების პროცესში ჩართულია სმენის, მხედველობის, შეხების და სხვა ორგანოთა სისტემები, რომელთა საშუალებით თავის ტვინის შესაბამის ცენტრებში ერთდროულად შედის ინფორმაცია ფერის, გარემოს, ფორმის და ცნების სხვა თვისებების შესახებ. ლაბორატორიული მუშაობა ხელს უწყობს ცნების შესახებ უფრო სრული და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. ეს ხელს უწყობს უკეთ დასწავლა-დამახსოვრებას, თეორიული, აბსტრაქტული ცოდნის დაკონკრეტებას. უფრო იხვეწება ცნების პროტოტიპი ბავშვის გონებაში. მოსწავლეს უადვილდება ბიოლოგიური ცნებების და ბუნების მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება.

ცნების შესწავლას ხელს უწყობს ინფორმაციის ორგანიზება მონახაზების ან ცნებათა რუკების სახით, აგრეთვე მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა, გაგება-გააზრების შემოწმება და სწავლის სხვა სტრატეგიები. ბავშვებს უნდა მივცეთ მარტივი ექსპერიმენტების ჩატარების და ბუნების კვლევის შესაძლებლობა, გამართონ დისკუსიები მათ შედეგებზე, რეკომენდებულ სტრატეგიათა გამოყენება წაადგება ცნებათა სრულყოფას ბუნებისმცოდნეობის სწავლების დროს.

ლიტერატურა

1. მდინარაძე ლ., ღარიბაშვილი მ., ბიოლოგიის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი 1974.
2. ჯანაშია ნ., კონსტრუქტივიზმი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი 2009.
3. ონიანი ბ., ლაბორატორიული მუშაობა და მისი მნიშვნელობა ბუნებისმცოდნეობის სწავლებაში, აწესპედაგოგიური ფაკულტეტი VI საერთაშორისო კონფერენციის შრომები, ქუთაისი 2015.

რეზიუმე

ბიოლოგიურ ცნებათა სრულყოფილი ცოდნა მიიღწევა ცნებათა შინაარსის სწორი მეთოდური და სისტემური განვითარებით. ცნებათა განვითარებისათვის შედეგიანი სტრატეგიებია შედარება, აგებულების და ფუნქციის დაკავშირება მაგალითების და ანალოგიების მოყვანა, ცოდნის შემოწმება, ექსპერიმენტები, დაკვირვება და ა.შ. ბუნებისმცოდნეობის სწავლებაში მრავალმხრივ სასარგებლოა ექსკურსიები, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, რაც ხელს უწყობს აღმოჩენით და კეთებით სწავლას, დამახსოვრებას.

Bakur Oniani - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

The development of Biological Concepts in Nature Studies

The overall knowledge and a good understanding of biological concepts can be achieved due to methodical and systematic development of concepts. For this purpose there are effective strategies such as comparison, structural and functional connections, giving examples and analogies, checking knowledge, doing experiments, making observations etc. Excursions, practical and laboratory work seem to be of great significance in the process of nature studies and helps to improve learning and memorization process while discovering and doing practical work.

ბროლისა წულაია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ბუნებისმეტყველების გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლა იწყება პირველივე კლასიდან. საგანი ბუნებისმეტყველება ინტეგრირებულია და აერთიანებს ცოდნას გეოგრაფიის, ასტრონომიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სამოქალაქო განათლების სფეროებიდან.

საბუნებისმეტყველო დისციპლინები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ სამყაროს ადეკვატურად აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. სამოქალაქო განათლება უვითარებს მოსწავლეს გარემოსადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას და მასზე პასუხისმგებლობის გრძნობას.

დაწყებითი სწავლების ასაკში ბავშვს ე.წ. შემეცნებითი ემოციები გაკვირვება, გაცემა, ცნობისმოყვარეობა ამოძრავებთ. ბავშვისთვის ახალ, უცნობ რეალობასთან შეხვედრისას აღმოცენებული ეს ემოციები სტიმულს აძლევს შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარებას, აყალიბებს ბავშვის ინდივიდუალურ დამოკიდებულებას რეალური სამყაროს ობიექტებისა და მოვლენების მიმართ, ხელს უწყობს ბავშვებში შემოქმედების განვითარებას.

დაწყებით კლასებში ბავშვები ბუნების ობიექტებზე დაკვირვებით უფრო ინტერესდებიან ვიდრე წიგნებში ამოკითხვით, თუმცა მოსწავლემ, ბუნებაზე დაკვირვების დროს აღმოცენებულ კითხვებზე პასუხი წიგნებშიც უნდა მოიძიოს. ამგვარად, დაგეგმილი საქმიანობა ანალიტიკური აზროვნებისაკენ წახალისებს მას. მარტივი ექსპერიმენტის დაგეგმვით კი ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლისათვის სასარგებლო ჩვევებს შეიძენს.

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მოითხოვს სწავლა-სწავლების შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვას:

1. ცოდნის კონსტრუირება.
2. გადრმავებული სწავლება
3. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა.
4. მოტივაციის ამაღლება
5. მოსწავლის ჩართულობა
6. ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება.
7. ასაკობრივი თვისებების გათვალისწინება.

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩართული. მართალია, მასწავლებელმა უნდა მართოს სწავლა-სწავლების პროცესი, მაგრამ მოსწავლესაც უნდა დაუტოვოს დამოუკიდებლად დაფიქრების, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით ახალი საკითხების აღმოცენისა და დამუშავების საშუალება. ამგვარი აქტიურობით ის უკეთესად გაიაზრებს და შე-ითვისებს ახალშეძენილ ცოდნას

სწავლა უნდა მიმდინარეობდეს მშვიდ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას ენიჭება, სადაც მოსწავლე დაფასებული, აღიარებული და პასუხისმგებელია საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

ბუნების გაკვეთილის დაგეგმვისას, დაწყებით კლასებში უნდა გავითვალისწინოთ სამი ძირითადი პირობა:

1. მოსწავლეებს უნდა მივსცეთ მეცნიარებზე, ცხოველებზე, მინერალებზე, ბუნებრივ მოვლენებზე ცოცხლად დაკვირვების საშუალება, ახლო და თანმიმდევრული დაკვირვება, მაგ. რომელიმე ცხოველის სახეობაზე უვითარებს ბავშვს მოთმინების უნარს, კულტივირებას უკეთებს გონებრივი ეკვილიბრიუმის, სიმშვიდის ჩვევას და ყურადღების კონცენტრაციის უნარს.
2. დაკვირვების პროცესი უნდა წარმართოს მასწავლებელმა.
3. მასწავლებელმა გაკვეთილი უნდა მოამზადოს კითხვების ფორმით და ეს კითხვები თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა რთულდებოდეს.

თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგია უამრავი ეფექტური სტრატეგიის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს.

სწავლების სტრატეგიებით მრავალფეროვნება გულისხმობს იმას, რომ იხვეწება მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის ცოდნის, უნარისა და ჩვევების გადაცემის ხერხები.

მოსწავლეებზე ორიენტირებულ კლასში მასწავლებელმა სწავლა-სწავლების პროცესი იმგვარად უნდა წარმართოს, რომ მოსწავლე სწავლის სუბიექტად იქცეს და სასწავლო ამოცანის გაანალიზება, მიზნების დასახვა, სამუშაოს დაგეგმვა და შეფა-სება თანდათანობით მოსწავლის ხელში გადავიდეს.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მიზანი უნდა იყოს ფორმულირებული მოსწავლის პოზიციიდან.

მაგ. საგანი ბუნებისმეტყველება

თემა: მცენარეები

მიზანი: მოსწავლე ჩამოთვლის მცენარეებს, მოახდენს მათ კლასიფიკაციას, დაასა-ბუთებს საკუთარ მოსაზრებას, ჩამოთვლის, რა ღონისძიებები არის საჭირო კონკრეტული მცენარის მოვლისათვის.

მიზნების ფორმულირებისას გაკვეთილზე დიდ დახმარებას გაგვიწევს ბლუმის კოგნიტური მიზნების ტაქსონომია.

სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა არის გაკვეთილი და ბუნებრივია, ახალი მიდგომების შესაბამისი ცვლილებებიც უპირველესად გაკვეთილში უნდა აისახოს. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გან-ხორციელება მოითხოვს მასწავლებლის მაღალ პროფესიონალიზმს, იგი უნდა ფლობდეს არა მარტო სწავლების, არამედ სწავლის მრავალფეროვან სტრატეგიებს.

ძველი საგნობრივი სასწავლო პოგრამებისაგან განსხვავებით ახალ საგნობრივ პროგრამაში აღწერილია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოველი მოსწავლე თითოეული კლასის დასრულების შემდეგ. ეს მოთხოვნები შედეგებისა და ინდიკატორების სახითაა ჩამოყალიბებული.

შედეგი გვიჩვენებს თუ რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს მოცემული კლასის დასრულების შემდეგ.

ინდიკატორი ორიენტირებულია უნარ-ჩვევებზე და ჩამოყალიბებულია აქტი-ვობის ენაზე. ანუ გვიჩვენებს, თუ რა დავალებები უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა შედეგზე გასასვლელად და ან როგორ შეიძლება შედეგის შესაბამისი მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირება, შეფასება.

სასურველია რომ მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისშივე ყურადღებით გაეცნოს მოსწავლის წიგნს და გაანალიზოს, თუ რომელი პარაგრაფი სტანდარტის რომელ შედეგსა და ინდიკატორზე გადის, ეს გაუადვილებს მას ყოველდღიურად დიდი ძალისხმევის გარეშე განსაზღვროს გაკვეთილის სასწავლო მიზანი.

მაგ. მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების სტანდარტი

ინდიკატორი: ახდენს ორგანიზმების კლასიფიცირებას რამდენიმე ნიშან-თვისებების მიხედვით და განმარტავს კლასიფიცირების პრინციპს.

სასწავლო მიზანი: რამდენიმე ნიშან-თვისებების მიხედვით მცენარეთა კლასიფიცირების, მონაცემების სხვადასხვა საშუალებით წარმოდგენის, დაკვირვებისა და აღწერის უნარ-ჩვევების განვითარება.

სასწავლო აქტივობა: 1. ვარაუდის გამოთქმა: რა ნიშან-თვისებების მიხედვით შეიძლება მცენარეების დაჯგუფება?

ინტერაქტიური მინილექცია: მცენარეთა კლასიფიკაცია. ლექციის კითხვები. რას დაარქმევდი მცენარეთა ჯგუფებს გამრავლების საშუალებების მიხედვით? რამდენ ჯგუფად დაყოფდით მცენარეებს გამტარი ქსოვილების არსებობის მიხედვით? რა სახელწოდებებს მისცემ?

4. მცენარეთა ძირითადი ჯგუფების ამსახველ სურათებზე დაკვირვება და რომელიმე ორი ჯგუფის შედარება. მონაცემების წარმოდგენა სქემის ან ცხრილის სახით და პრეზენტაციები.

5. სკოლის ეზოში არსებული მცენარეების კლასიფიცირებისათვის კრიტერი-უმების შემუშავება

6. სავლე სამუშაო: სკოლის ეზოში არსებული მცენარეების კლასიფიკაცია.

მოსწავლეთა ორგანიზება:

1. ჯგუფური მუშაობა.
2. დროის განაწილება.
3. რესურსები.
4. შეფასება.

მასწავლებელმა ჯგუფები შეიძლება შექმნას სხვადასხვა მიზნით.

- ექსპერიმენტის ჩასატარებლად,
- ანგარიშის ან პროექტის დასაწერად.
- პროექტის განსახორციელებლად.
- როლური თამაშებისთვის.
- სიმულაციებისთვის.

მოსწავლეთა მიერ ჩატარებული ცდების, დაკვირვებისა და ლიტერატურული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით მოსწავლეებს ვთავაზობთ, თავად გადაჭრან პრობლემა, მოახდინონ შედეგების ფორმულირება და გამოიტანონ დასკვნები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერება ცოცხალი საგანია, რომელიც ბევრ სააზროვნო ჩვევას მოითხოვს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე მას შემოქმედებითად მიუდგეს. რაც უფრო ადრე იწყებს მოსწავლე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაცნობას, მით უკეთ უვითარდება სწორი დამოკიდებულება ბუნებისადმი, მით უკეთ ამუშავდება მისი მხედველობითი, სმენითი შეგრძნებები და დამოუკიდებელი აზროვნება, დაკვირვების უნარის სიზუსტე. საკუთარი ხელით კეთების სურვილი და შესაძლებლობა, აზრისა და შეხედულების გამოხატვის, დაკვირვებისა და კვლევის სისტემის შექმნის, შედარებისა და დედუქციური სამუშაოს შესრულების უნარი. ამიტომ, სასურველია, ბავშვები იყვნენ არა ინფორმაციის პასიური შემქმნელები, არამედ ცოდნის დამოუკიდებელი მაძიებლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავსკვნათ, რომ ახალი ცოდნის ათვისება უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების შექმნას და მეცნიერული აზროვნების განვითარებას მოცემული მასალის ღრმა ლოგიკური ანალიზის საფუძველზე.

ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 სასწავლო წლისთვის.
2. მანანა ბოჭორიშვილი, ინტერაქტიური მეთოდები. თბ.2015.
3. მანანა სეხნიაშვილი, გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები. თბ.2008.

რეზიუმე

ახალი ცოდნის ათვისება უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების შექმნას და მეცნიერული აზროვნების განვითარებას მოცემული მასალის ღრმა ლოგიკური ანალიზის საფუძველზე. საბუნებისმეტყველო დისციპლინები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ სამყაროს ადეკვატურად აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. ბუნებისმეტყველებაში მოსწავლეთა მიერ ჩატარებული ცდების, დაკვირვებისა და ლიტერატურული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით მოსწავლეებს ვთავაზობთ, თავად გადაჭრან პრობლემა, მოახდინონ შედეგების ფორმულირება და გამოიტანონ დასკვნები. ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

Brolisa Tsulaia - Associate Professor of Sokhumi State University

Natural Science lessons planning and the general principles

New knowledge assimilation must be based on an independent work ability and practice, scientific capacity of thought, development which is based on deep logical analysis. Those disciplines help our pupils in the world perception sufficiently. This subject gives an opportunity to analyze on the base of experiments' observation and literary facts and making decisions on the given problems.

The basic principle of National Educational programme considers the results to the most important things, pupils must take an effective, functional dynamic knowledge.

Our pupils prefer Nature Science studying not only by reading books. Reading books is important if any questions occur. Planned working will encourage them in analytical thinking. Those simple experiments which are planned beforehand will teach pupils (in) Nature Science studying deeper.

დემურ თედორაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მეკლუდ ვერულაშვილი – ანდრია რაზმაძის სახ. ქუთაისის 41-ე ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, უფროსი მასწავლებელი

ნინო გვენტაძე – სოფ. დღნორისის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) საჯარო სკოლა, უფროსი მასწავლებელი

ქვის-მეთოდის გამოყენება ფიზიკის გაკვეთილებზე

ქვის მეთოდი (ინგლისური Casemethod, ქვის მეთოდი, ქვის სტადი, case-study, კონკრეტული სიტუაციების მეთოდი) წარმოადგენს სწავლების ტექნოლოგიას, რომელშიც გამოყენებულია რეალური სიტუაციების აღწერა. ქვის (ინგლ. «case» – შემთხვევა, სიტუაცია) არის სიტუაციის ან კონკრეტული შემთხვევის გარჩევა, საქმიანი თამაში. მოსწავლეებმა უნდა მოახდინონ სიტუაციის ანალიზი, გაიაზრონ პრობლემის არსი, წამოაყენონ პრობლემის გადაჭრის შესაძლებელი ხერხები და ამოარჩიონ მათ შორის საუკეთესო. ქვის-მეთოდი წარმოიშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში. 1910 წელს ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის დეკანის რჩევით მასწავლებლებმა ტრადიციული გაკვეთილების გარდა სასწავლო პროცესში შემოიღეს დამატებითი გაკვეთილები, რომელსაც ატარებდნენ სტუდენტებთან დისკუსიის ფორმით. რუსეთში ქვის მეთოდი პირველად გამოიყენეს 70-ან წლებში ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად ქვის-მეთოდს ფართოდ იყენებენ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. საქართველოში ეს ტექნოლოგია საკმაოდ ახალგაზრდაა.

ქვის მეთოდი ეფუძნება რეალურ ფაქტობრივ მასალას ან მიახლოებულია რეალურ სიტუაციასთან. მეთოდი შეიცავს ერთდროულად როლურ თამაშებს, პროექტების მეთოდსა და სიტუაციურ ანალიზს. ქვის-ტექნოლოგიის გამოყენების დროს მოსწავლე არ იმეორებს მასწავლებლის მიერ ნათქვამს, არ ყვება დაზუთხულ პარაგრაფს, ის დაკავებულია კონკრეტული სიტუაციის ანალიზით, რომელიც მოითხოვს შეძენილი ცოდნის გააქტიურებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. ამ მეთოდის ამოცანაა თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა დამოუკიდებელ მუშაობაში დასმული პრობლემის ან ამოცანის ამოსახსნელად.

ქვის-მეთოდის უპირატესობები მდგომარეობს შემდეგში:

1. მეთოდი განკუთვნილია ისეთი სიტუაციებისათვის, როდესაც დასმულ კითხვაზე არ მოიპოვება ერთმნიშვნელოვანი პასუხი, ადგილი აქვს რამდენიმე პასუხს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჭეშმარიტების ხარისხის მიხედვით.
2. სწავლების აქცენტი გადატანილია არა მზა ცოდნის შეძენაზე, არამედ მის გამომუშავებაზე.
3. მეთოდის გამოყენების შედეგად მოსწავლეები შეიძენენ არა მხოლოდ ცოდნას, არამედ მოქმედების ხერხებს.
4. სიტუაციური ანალიზის მეთოდის დადებითი მხარე იმაშია, რომ ის ხელს უწყობს მოსწავლეთა ღირებულებების სისტემის განვითარებას, პროფესიული პოზიციების ჩამოყალიბებას, ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვებას.
5. ქვის-მეთოდს ძალუმს წარმატებულად გადალახოს ტრადიციული სწავლების კლასიკური ნაკლოვანება, რომელიც დაკავშირებულია მასალის „მშრალად“, უემოციოდ მიწოდებასთან. ამ მეთოდში ემოციები, შემოქმედებითი კონკურენცია იმდენად ბევრია, რომ ქვისის განხილვის კარგი ორგანიზების დროს მოგვაგონებს თეატრალურ სპექტაკლს.

მეთოდის ტექნოლოგია მდგომარეობს შემდეგში: გარკვეული წესების მიხედვით მუშავდება რეალურ ცხოვრებაში მომხდარი, კონკრეტული სიტუაციის მოდელი და აისახება ჩამოსაყალიბებელი კომპეტენციების კომპლექსი.

ქვის-მეთოდი წარმოადგენს რეალურ სიტუაციებზე დაფუძნებულ აქტიური სწავლების მეთოდს. მისი არსი მდგომარეობს სწავლების დროს კონკრეტული სასწავლო სიტუაციების გამოყენებაში, რაც მოსწავლეებს ასწავლის პრობლემის ჩამოყალიბებას და მისი ამოხსნის ვარიანტების ძიებას. ტექნოლოგიის მიზანია თითოეულ მოსწავლეს დაეხმაროს ცოდნის ათვისების საკუთარი უნიკალური გზის განსაზღვრაში. ამრიგად, მთავარი აქცენტი კეთდება მოსწავლის თვითგანათლებაზე, რაც შეესაბამება განათლების მიმართ წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

ქეისის შემადგენელი ნაწილებია: 1) პრობლემა, რომლის გადასაწყვეტად ის იქმნება და ამოიხსნება; 2) პრობლემის გასაშუქებელი ინფორმაცია ან ანალიზისთვის განკუთვნილი რაღაც მონაცემები; 3) ტექსტისთვის განკუთვნილი დავალებები; 4) შედეგების გასაუმჯობესებელი დავალებები.

ქეის-მეთოდი ყველაზე წარმატებულად გამოიყენება ჯგუფებში მუშაობის დროს, აგრეთვე შესაძლებელია მინი-ჯგუფებისა და ტრენინგების ვარიანტები. ქეისზე მუშაობის დრო დამოკიდებულია მის სირთულეზე.

ქეისთან მუშაობის დროს გამოყოფენ მასწავლებლის ქცევის 3 შესაძლებელ სტრატეგიას:

- 1) მასწავლებელი აწვდის პასუხებს დამატებითი კითხვების ან ინფორმაციის სახით;
- 2) გარკვეულ პირობებში მასწავლებელი თავად იძლევა პასუხს;
- 3) მასწავლებელი ინარჩუნებს დუმის, სანამ მოსწავლეები მუშაობენ პრობლემაზე.

ქეის-ტექნოლოგია მოიცავს 2 ეტაპს: მოსამზადებელსა და ჩატარების ეტაპს.

პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ქეისის მომზადება. აქ ყალიბდება დავალება, იწერება სასწავლო სიტუაცია, ან ამოირჩევა რეალური სიტუაცია, რომელიც ოდნავ გამარტივდება მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით. შემდეგ განსაზღვრავენ კითხვებს, რომელზეც მოსწავლეებს მოუწევთ პასუხის გაცემა მოცემული მასალის ანალიზის შემდეგ.

მეორე ეტაპი მოიცავს მოსწავლეთა მუშაობას ქეისზე.

გაკვეთილზე ქეისების ამოხსნა მიზანშეწონილია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. სიუჟეტის გაცნობა.
2. პრობლემის დასმა – ჯგუფური დისკუსიის დროს სიუჟეტში შეუსაბამობის აღმოჩენა, მისი „უცნაურობის“ განსაზღვრა.
3. პრობლემის ფორმულირება და მისი საუკეთესო განსაზღვრებების ამორჩევა (ფრონტალური გონებრივი იერიში, შემდგომი დისკუსიით).
4. პრობლემურ კითხვაზე ჰიპოთეტური პასუხების გაცემა (გონებრივი იერიში მცირე ჯგუფების ფარგლებში).
5. ჯგუფური მუშაობა, რომელიც მოიცავს ჰიპოთეზების შემოწმებას სიუჟეტის ინფორმაციაზე და სხვა ხელმისაწვდომ წყაროებზე დაყრდნობით. აუცილებელია მოსწავლეებს მივაწოდოთ ნებისმიერი ლიტერატურის, სახელმძღვანელოს, ცნობარის გამოყენების საშუალება.

6. გადაწყვეტილების პრეზენტაცია.

7. ქეისის ამოხსნისთვის გამოყენებული გზის რეფლექსია.

ქეისების გამოყენება სწავლების პროცესში მოითხოვს მოსწავლეთა მომზადების მაღალ დონეს, დამოუკიდებელი მუშაობის ჩამოყალიბებულ ჩვევებს, ტექსტთან მუშაობის, საკომუნიკაციო და პრობლემური საკითხების ამოხსნის უნარებს. მოსწავლეთა არასაკმარისი მომზადება, მათი მოტივაციის განუვითარებლობა შეიძლება გახდეს ქეისის ზედაპირული ამოხსნის მიზეზი.

განვიხილოთ ქეის-მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა ფიზიკის გაკვეთილზე.

ფიზიკის (და სხვა ზუსტი მეცნიერების) ამოცანის ამოხსნა უნდა შეიცავდეს მკაფიო ალგორითმს და ერთმნიშვნელოვან პასუხს. აქედან გამომდინარე, მოცემული მეთოდის გამოყენება ფიზიკის (და ზუსტი საგნების ციკლის) გაკვეთილებზე გარკვეულწილად შეზღუდულია. ქეის-მეთოდის ღირებულებას ფიზიკის გაკვეთილებზე განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

- ეს მეთოდი არ გულისხმობს მზა ცოდნის შექმნას, ის სწავლების პროცესის სუბიექტებს უბიძგებს თანამშრომლობისკენ;
- ხელს უწყობს სიტუაციის ანალიზის, ალტერნატივების შეფასების, ოპტიმალური ვარიანტის არჩევისა და მისი განხორციელების გეგმის შედგენის უნარის განვითარებას.
- მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავად მისცეს შეფასება განსახილველ საკითხს, მოახდინოს საკუთარი მოსაზრების არგუმენტირება.

ფიზიკის გაკვეთილებზე სასწავლო სიტუაციის არჩევის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქეისში შემოთავაზებული ამოცანა უნდა შეესაბამებოდეს ფიზიკის სასწავლო კურსს (ეროვნულ სტანდარტს) და აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობას: ეს უნდა იყოს თანამედროვე აქტუალური პრობლემა, რომლის ამოხსნა დაკავშირებულია ძირითადად ფიზიკური კანონების ცოდნასთან და მნიშვნელოვანი იქნება მომავლისათვის. ქეის-მეთოდის არჩევას უნდა კარნახობდეს სასწავლო მიზნები და ამოცანები, სასწავლო ჯგუფის თავისებურება, მოსწავლეთა ინტერესები და მოთხოვნები, მათი კომპეტენციის დონე და სხვა ფაქტორი.

სიტუაციის ანალიზის დროს მასწავლებლის მიერ დასმული საკვანძო კითხვებია: „რა გააკეთეთ?“, „როგორ მოქმედება იქნება სწორი?“, „რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთ?“, „როგორ გადაწყვეტთ ამ პრობლემას?“, „რისი გაკეთება შეგვეძლო?“, „რაში მგომარეობს პრობლემა?“, „როგორ შეიძლება მიუდგეთ პრობლემას?“, „რა შეიძლება მოხდეს და რას გამოიწვევს, თუ...?“

კითხვებზე პასუხების გაცემის დროს წარმოიშევა დისკუსია, კამათში კი იზადება ჭეშმარიტება. ქეის-სტადის ტექნოლოგია მთავარ აქცენტს აკეთებს დამოუკიდებელ აზროვნებაზე, ავითარებს აუდიტორიისათვის საკუთარი აზრების მიწოდების უნარს, ასწავლის, თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ ოპონენტების კონსტრუქციულ კრიტიკას.

მოვიყვანოთ 7-8 კლასებში ფიზიკის გაკვეთილებზე გამოყენებული ქეისების მაგალითები.

თემა „რა შექმნა ადამიანმა ფიზიკის მეშვეობით?“

ქეისი:

ერთხელ „თბილისი – ქუთაისის“ მატარებლის ვაგონში ერთმანეთისთვის სრულიად უცნობ ადამიანებს შორის შედგა ასეთი საუბარი ფიზიკის მეცნიერების შესახებ.

ახალგაზრდა ქალიშვილმა ელენემ მოყვა, რომ ის არის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი და მომავალი ფიზიკის მასწავლებელი.

– რატომ აირჩიეთ ეს სპეციალობა? ის ხომ ძალიან რთულია, – შეეკითხა ქალბატონი ეკატერინე, რომელიც მრავალი წელი ეკონომისტად მუშაობდა.

– ფიზიკა ხომ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი მეცნიერებაა! ფიზიკა ყველგან არის, რაც ჩვენს გარშემოა – ყოფა-ცხოვრებაში, ბუნებაში. ფიზიკა ჩვენს ირგვლივია!

– სავსებით გეთანხმებით! – ჩაერთო საუბარში ექიმი ვახტანგი, – თანამედროვე მედიცინას ფიზიკის მიღწევების გარეშე ხელ-ფეხი შეკრული ექნება, ამჟამად სამედიცინო დიაგნოსტიკა ფიზიკის მიღწევებს ეფუძნება, ფიზიკის მეშვეობით არნახულ შედეგებს მიღწია ქირურგიამ და თერაპიამ!

– სწორია! – თქვა მემვიდევკლასელმა გოგომ, – ინტერნეტში წამიკითხავს, რომ ახლა სიბრმავეც განიკურნება, დაბადებიდან ბრმა ადამიანებსაც უბრუნებენ მხედველობას. თვალის გუგამში ჩანერგილ ვიდეოკამერას ლაზერით უერთებენ ნერვულ დაბოლოებებს, ის გადასცემს ვიდეოსიგნალს ადამიანის ტვინს და იქ ჩნდება გამოსახულება. წარმოგიდგენიათ?!

– დიახაც! – სიხარულით თქვა ელენემ, – აი ასეთ შესანიშნავ მეცნიერებას ვსწავლობ!

– ეშმაკის მოგონილია ეს ყველაერი! – დარწმუნებით თქვა ბერიკაცმა, – არ შეიძლება ბუნების ქმნილების ხელყოფა! არ შეიძლება! ამას სასტიკად ვეწინააღმდეგები! ფიზიკა სულაც არ გვჭირდება!

კითხვები ქეისისთვის:

1. აირჩიეთ ფიზიკის „მომხრეების“ ან „მოწინააღმდეგების“ პოზიცია და მოიფიქრეთ ქეისის გაგრძელება. დაასაბუთეთ თქენი თვალსაზრისი.

2. შეიძლება თუ არა ახალი ცოდნის შეძენა მოცემული ქეისიდან? ყველა ფაქტი იყო მეცნიერული?

3. ქეისის გაცნობის შემდეგ გაგიჩნდათ კითხვები? გინდათ იპოვოთ პასუხები ამ კითხვებზე?

4. ქეისზე დაყრდნობით დასვით ამოცანები მომდევნო გაკვეთილისთვის.

თემა „ნივთიერების შემადგენლობა. მოლეკულების ურთიერთქმედება“

ქეისი:

გიორგის მამა ბატონი ავთანდილი პროფესიით ინჟინერია. ერთხელ დილით, როცა ისინი ჩაის სვამდნენ, გიორგიმ პირამდე აივსო ჩაის ჭიქა. მამამ უთხრა:

– მოაკელი მდულარე, თორემ გადმოგექცევა, როცა შაქარს კოვზით მოურევ.

– რა თქმა უნდა, მოვაკლებ, თორემ შაქრის ადგილიც არ არის, – დაეთანხმა მამას გიორგი.

– შაქრის ადგილი კი იქნება! მაგრამ მორევა გაგიჭირდება.

– როგორ თუ იქნება?! ჭიქა ხომ უკვე პირამდე სავსეა! – გაუკვირდა გიორგის.

მამამ აიღო კოვზი და ფრთხილად ჩაყარა შაქრით სავსე კოვზი ჩაიში. წყალი ჭიქიდან არ გადმოიღვარა.

– ეს როგორ მოხდა? – წამოიძახა გიორგიმ.

– საღამომდე იფიქრე, რატომ მოხდა ასე, საღამოს კი ერთად ვიმსჯელოთ, დასახმარებლად კი ფიზიკას მოუხმობთ, – საიდუმლოებით სავსე ხმით უთხრა მამამ.

კითხვები ქეისისთვის:

1. შეგინიშნავთ თუ არა ასეთი მოვლენა ცხოვრებაში?

2. რატომ არ გადმოიღვარა წყალი ჭიქიდან, როცა მასში შაქარი ჩაამატეს?

3. უსაფრთხოების რა ზომები უნდა გახსოვდეთ, როცა ცხელ ჩაის ისხამთ?

დახმარებისთვის მიმართეთ სახელმძღვანელოს პარაგრაფებს.

თემა „დიფუზია“

ქეისი:

დედამ თავის ქალიშვილს ნანას თხოვა გარეცხილი თეთრეული ჩამოეკიდა გარეთ. ნანამაც გარეცხა თავისი ფერადი ტანსაცმელი და თეთრეულთან ერთად მოათავსა ტაშტში, გარეთ რომ გაეტანა ბაწარზე ჩამოსაკიდებლად. ამ დროს ნანას დაურეკა მისმა თანაკლასელმა. ნანამ მიატოვა სარეცხი და მობილური ტელეფონით დაიწყო საუბარი. მეგობრებს ბევრი სალაპარაკო ჰქონდათ. როდესაც ნანა დაემშვიდობა თანაკლასელს, გაახსენდა, რომ სარეცხი ჰქონდა ჩამოსაკიდებელი.

ნანას დიდი უსიამოვნება ელოდებოდა. გარეცხილმა თეთრეულმა ფერი იცვალა.

– ეს რატომ მოხდა? – სინანულით თქვა ნანამ.

კითხვები ქეისისთვის:

1. ასეთი რამ თუ დაგმართნიათ ცხოვრებაში?
2. რატომ იცვალა ფერი თეთრეულმა?
3. რატომ უნდა გაირეცხოს ფერადი და თეთრი სარეცხი ცალ-ცალკე?

თემა „გამტარის წინაღობა“

ქეისი:

გაბრიელმა და ბექამ გადაწყვიტეს დაემზადებინათ რეზისტორი ფიზიკის გაკვეთილებზე გამოსაყენებლად. გაბრიელმა აიღო სპილენძის, ხოლო ბექამ რკინის მავთული.

– არ უნდა აგელო რკინის მავთული, გამტარი უნდა დამზადდეს სპილენძის მავთულისგან, ის უკეთესია! – თქვა გაბრიელმა.

– არაფერიც, – სპილენძის მავთული არ ივარგებს, წინაღობა ძალზე მცირე ექნება, – შეეპასუხა ბექა.

– ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მავთულს აიღებ! – ჩაიცინა გაბრიელმა. – ჩემი მაინც უკეთესია.

კითხვები ქეისისთვის:

1. ვინ არის მართალი მეგობრებს შორის?
2. როგორი მახასიათებლები უნდა გააჩნდეს მავთულს რეზისტორის დასამზადებლად?
3. როგორ გამოვიანგარიშოთ ჩვეულებრივი მავთულისგან დამზადებული რეზისტორის წინაღობა?
4. როგორ შევამოწმოთ თქვენი პასუხის სისწორე?

თემა „მიმდევრობითი და პარალელური შეერთება“

ქეისი:

ფიზიკის მასწავლებელმა შესთავაზა მოსწავლეებს სასწავლო პროექტის შესრულება დასასვენებელ ბანაკში საზაფხულო მოედნის შუქმუხიკით გასაფორმებლად. ამ პროექტის ერთ-ერთი პირობა ელექტროენერჯის ეკონომიური გამოყენება იყო.

– ელექტროენერჯის ეკონომიის მიზნით უნდა შევქმნათ ისეთი ელექტროწრედი, რომ ელექტრული დენის მუშაობა იყოს მინიმალური, – მსჯელობდნენ ბავშვები.

– ყველა ნათურა უნდა შევაერთოთ მიმდევრობით. დენის ძალა წრედში მცირე იქნება, დახარჯული ენერჯია კი – მინიმალური. მაგრამ ერთი ნათურაც რომ გადაიწვას, ყველა დანარჩენიც ჩაქრება, – თქვა გივიმ.

– ასეთი წრედი არ გამოგვადგება. ნათურები უნდა შევაერთოთ პარალელურად, ასეთ შემთხვევაში, ერთი ნათურა თუ გადაიწვება, ყველა დანარჩენი იმუშავებს, – თქვა კონსტანტინემ.

– მიმდევრობით შეერთებასთან ერთად პარალელურიც რომ გამოვიყენოთ, რა მოხდება? – ჩაფიქრიანდა ფრიდონი.

– ამაზე უნდა ვიფიქროთ! – უპასუხეს მეგობრებმა.

კითხვები ქეისისთვის:

1. როგორ წრედს გამოვიყენებდით? რატომ?
2. რა წესები უნდა გვახსოვდეს ელექტროხელსაწყოების ექსპლუატაციის დროს?
3. მოიფიქრეთ ელექტროხელსაწყოების უსაფრთხო გამოყენების წესები. განიხილეთ ისინი ჯგუფში.

ფიზიკის გაკვეთილებზე ქეის-მეთოდის გამოყენება მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეძენილი ცოდნა გამოიყენოს არა მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული აბსტრაქტული ამოცანების ამოხსნის დროს, არამედ რეალური ცხოვრებისეული პრობლემის გარჩევისას, რაც, ზოგადად, მას სწავლების დამთავრების შემდეგ მოუწევს. ქეისების განხილვა ხელს უწყობს ცოდნის აქტიურ შეძენასა და პრაქტიკული

ინფორმაციის გარკვეული მარაგის დაგროვებას, რაც ცხოვრებაში შეიძლება აღმოჩნდეს უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე თეორიული ცოდნა. ქეისებზე მუშაობის დროს ვითარდება ანალიტიკური, შემოქმედებითი და საკომუნიკაციო უნარები, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში.

ლიტერატურა

1. Кларк Бертон Р. Поддержание изменений в университетах: преимущество кейс-стади и концепций / пер. с англ. Е. Степкиной. – М. : Изд. дом Высш. шк. экономики, 2011.
2. Полат, Е. С. Современные педагогические и информационные технологии в системе образования . М.: Academia, 2008.
3. Беляева, Е. И. Образовательные технологии: кейс-технология // Химия в школе. – 2010. – № 6.
4. Беляева, М. В. Применение кейс-технологии на уроках географии // География в школе. – 2011. – № 4.
5. Бурмистрова, Н. А. Использование анализа конкретных ситуаций в рамках учебной дисциплины "Математика" в экономическом вузе // Высшее образование сегодня. – 2011. – № 2.
6. Крысанова, О. А. Ситуационный подход к формированию профессиональной компетентности будущего учителя физики в инновационной деятельности // Вестник Томского государственного педагогического университета. – 2010. – № 1.
7. Курлаева, А. М. Кейс-технологии, или творческое проектирование при обучении биологии // Биология. – 2010. – № 22.
8. კაპანაძე ნინო. სიტუაციის ანალიზის მეთოდი (Case-study) და მისი უპირატესობანი. <http://mastsavlebeli.ge/?p=10419>
9. ბოჭორიშვილი მანანა. ქეისებით სწავლება. http://mastsavlebeli.ge/index1.php?action=page&p_id=19&id=137
10. Сидоров С.В., Басаргина О.О. Кейс-технология как средство развития познавательных интересов обучающихся // Инновации и современные технологии в системе образования: мат-лы III междунар. науч.-практ. конф. 20-21 февраля 2013 г. – Praha: Vědecko vydavatelské centrum "Sociosféra-CZ", 2013. <http://si-sv.com/publ/1/14-1-0-162>

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში განხილულია ქეისების მეთოდი – სწავლების ტექნოლოგია, რომელშიც გამოყენებულია რეალური სიტუაციების აღწერა. ფიზიკის გაკვეთილებზე ქეის-მეთოდის გამოყენება მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეძენილი ცოდნა გამოიყენოს არა მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული აბსტრაქტული ამოცანების ამოხსნის დროს, არამედ რეალური ცხოვრებისეული პრობლემის გარჩევასა. სტატიაში მოყვანილია 7–8 კლასებში ფიზიკის გაკვეთილებზე გამოყენებული ქეისების მაგალითები.

Demur Tedoradze – Akaki Tsereteli State University, PhD, Associate Professor

Mevlud Verulashvili – Kutaisi A. Razmadze Public School №41, Head Teacher

Nino Gvenetadze – Dgnorisi Public School, Head Teacher

The Use of the Casemethod at the Lessons of Physics

Abstract

In this paper we consider the case-study method – the technology of learning based on real situations. The essence of the method is to select from the set of alternative options the most expedient solution and develop a practical model for its implementation. The use of this technology in physics lessons contributes to the fact that students will be able to use the acquired knowledge not only when solving abstract tasks from the textbook, but to consider real life problems that they will have to solve after graduation. The article gives examples of cases used in physics lessons in the 7–8 classes.

ნანა კილაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სინათლის, როგორც ეკოლოგიური ფაქტორის შესწავლის მეთოდები

თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემები უდიდესი გამოწვევების წინაშე გვაყენებს, იგი აისახება თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროში. დღეს ეკოლოგიის უმთავრეს ამოცანებს შორის ერთ-ერთი უპირატესია ისეთი მეთოდების შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ გარემო, ამიტომ ეკოლოგია ლოკალური პრობლემებიდან გადადის გლობალურ პრობლემათა შესწავლასა და გადაწყვეტაზე (1).

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაქართველო ღირებულების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებებს და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობის გაცნობაში (2).

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოსწავლემ უნდა შეძლოს: საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა, ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტური გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება, იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე. საკუთარი შესაძლებლობების და ინტერესების განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება. კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან. ამავე დროს იყოს კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქე.

21-ე საუკუნე სხვადასხვა ინფორმაციის მიღების ხანაა, ამიტომ სწავლებაში ჩნდება მრავალფეროვანი მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ეფექტურობას. სწავლების ხარისხი დამოკიდებულია მოსწავლისათვის მიწოდებული მასალის შინაარსზე. საჯარო სკოლების IX და XI კლასების ბიოლოგიის სახელმძღვანელოებში მოსწავლეს მიეწოდება მასალა სინათლეზე, როგორც ეკოლოგიურ ფაქტორზე(3) უმჯობესია ამ თემის უკეთ გაანალიზებისათვის მივაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია. სინათლე სხვა აბიოტურ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. იგი მზის სხივური ენერჯის წყაროა. სინათლე გავლენას ახდენს ფოტოსინთეზზე, ტრანსპირაციაზე, მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებზე. მოსწავლეებმა უკეთ გაანალიზებისათვის უნდა განსაზღვროს გაკვეთილის ფორმა, უნდა მოხდეს მოსწავლის ჩართულობა გაკვეთილის მსვლელობაში პრაქტიკული მუშაბის პროცესში.

სპექტრის სხვადასხვა ფერის სხივების გავლენა ფოტოსინთეზზე.

მასალა და მოწყობილობა: 1. ელოდია, 2. 1%-იანი კალიუმის ქრომიდის ხსნარი, 3. 4%-იანი შაბიამნის ხსნარი, 4. ამიაკი, 5. გამოხდილი წყალი, 6. ქილები, 7. წამწამი, 8. სინჯარები, 9. მაკრატრლი, 10. 500 მლ-იანი კოლბა.

საკითხის გაცნობისათვის იღებენ ერთნაირი მოცულობის და ფორმის სამ ქილას, შიგნით ასხამენ ქიმიურ ხსნარებს, რომლებიც ასრულებენ ფერადი ევრანის დანიშნულებას. ასეთი ხსნარებია: 1%-იანი ქრომიანი კალიუმის ხსნარი, რომელიც შთანთქავს სპექტრის ლურჯ-ისფერ სხივებს და ატარებს წითელს. 2. 4%-იანი შაბიამნის ამიაკური ხსნარს, რომელიც შთანთქავს სპექტრის წითელი სხივების ნახევარს და ატარებს ლურჯ-ისფერს, შაბიამნის ამიაკურ ხსნარს ამზადებენ შემდეგი წესით: იღებენ CuSO_4 -ის 4%-იან ხსნარს, უმატებენ ამიაკს ვიდრე დასაწყისში წარმოშობილი ნალექი არ გაიხსნება და ხსნარი არ მიიღებს კრიალა ლურჯისფერს.

მესამე ქილაში ასხამენ სუფთა წყალს (უფერული ეკრანი). ქილებში საცობის საშუალებით ამაგრებენ სინჯარებს. ქილები და მასში ჩასადგმელი სინჯარები ისე უნდა შეირჩეს, რომ ქილების კედლებსა და მასში ჩადგმულ სინჯარის კედლებს შორის მანძილი იქნეს 1,5სმ. სინჯარებში შეაქვთ ელოდეას ტოტი, რომელიც აწარმოებს ფოტოსინთეზს. როცა ტოტის გადანაჭერი ღეროდან ბუშტების გამოყოფა დროის მონაკვეთში ერთნაირი ინტენსივობით დაიწყება, აწარმოებენ გამოყოფილი ბუშტების დათვლას.

სამუშაოს მსვლელობა: ელოდიას ტოტიან სინჯარას ჩაუშვებენ ქილაში, რომელშიც სუფთა წყალია, შემდეგ გადააქვთ ქრომიანი კალიუმის ხსნარში (წითელი ეკრანი). ხოლო შემდეგ გადააქვთ იმ ქილაში რომელშიც შაბიამნის 4%-იანი ხსნარია (ლურჯი ეკრანი) თითოეულ ხსნარში ბუშტებს ითვლიან ერთი წუთის განმავლობაში და მას იმეორებენ 5-6 ჯერ, შემდეგ გამოჰყავთ საშუალო და ადარებენ ერთმანეთს.

ყოველ ხსნარში ცდა ერთი და იმავე ელოდეას ტოტით წარმოებს, რადგან სხვადასხვა ტოტის გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია თავი იჩინოს ინდივიდუალურმა თავისებურებებმა და დაგილი ექნეს გამოყოფილი ბუშტების სხვაობას, რაც დიდ ცდომილებასთან იქნება დაკავშირებული. დაკვირვებიდან დგინდება, რომ ბუშტების დიდი რაოდენობით გამოყოფას ადგილი ექნება თეთრ და წითელ სხივებში, ხოლო ლურჯ ფერში გამოყოფილი ჟანგბადის ბუშტულების რაოდენობა უმნიშვნელო იქნება, რაც მიგვანიშნებს, რომ ფოტოსინთეზი უფრო ინტენსიურად თეთრ და წითელ სხივებში მიმდინარეობს.

სინათლის გავლენა ყინვაგამძლეობაზე

მასალა მოწყობილობა: 1. ქოთნები ან ხის ყუთები, 2. ხორბლის თესლი. 3. თეთრი ქსოვილი, 4. მაცივარი.

მუშაობის მსვლელობა: ქოთნებში ან ხის ყუთებში თესენ ხორბალს, როცა აღმონაცენი გაიკეთებს 4-5 ფოთოლს მათ დაყოფენ სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფის მცენარეები უნდა იზრდებოდეს სინათლეზე, მეორე ჯგუფის მცენარეები _ სიბნელეში, მესამე კი თეთრი ქსოვილისაგან გაკეთებულ საფარქვეშ.

ცდის ყველა ვარიანტისათვის ტემპერატურა უნდა იყოს 5-6^o. ასეთ პირობებში მცენარეს ამყოფებენ 15 დღე-ღამის განმავლობაში, რის შემდეგ გადააქვთ მაცივარში, სადაც ტემპერატურა -11^o უნდა იყოს. ორი სამი დღის შემდეგ ისინი გამოაქვთ მაცივრიდან და ათავსებენ ნათელ, დადებითი ტემპერატურის პირობებში და აკვირდებიან მათ ზრდას. ცდის შედეგები დაგვარწმუნებს, რომ სინათლეში გაზრდილი მცენარეები სიცოცხლის უნარიანი იქნება და ზრდას გააგრძელებს, ხოლო სიბნელეში გაზრდილი კი სიცოცხლეს მოკლებული.

ლიტერატურა

1. გ. ქაჯაია „ეკოლოგია და დღევანდელიობა“ თბილისი 2015.
2. WWW. NACE . GE. განათლების რეფორმების მასალები.
3. ნ. ზაალიშვილი, ნ. იობაშვილი ბიოლოგია XI კლასი 2013.

რეზიუმე

თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემები უდიდესი გამოწვევების წინაშე გვაყენებს, იგი აისახება ცხოვრების ყველა სფეროზე. დღეს ეკოლოგიის ამოცანებს შორის ერთ-ერთი უპირველესია ისეთი მეთოდების შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ გარემო, ამიტომ ეკოლოგია ლოკალური პრობლემებიდან გადადის გლობალურ პრობლემათა გადაწყვეტაზე. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი, კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფთან. სკოლაში სინათლის, როგორც ერთ-ერთი აბიოტური ეკოლოგიური ფაქტორის სწავლებით გათვალისწინებული საკითხების უკეთ გაგება-გააზრების მიზნით შემოტანილი იქნა დამატებითი მასალა, სინათლის სპექტრის სხვსდასხვა ფერის სხივების გავლენა ფოტოსინთეზზე, ასევე სინათლის გავლენა ყინვაგამძლეობაზე. სწავლებაში ჩნდება მოსწავლეზე ორიენტირებული მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურობას.

Nana kiladze - Akaki Steate University, Doctor of biology Associated Professor

Learning Methods of Light, as an Eco logical Factor

ABSTRACT

Modern ecological factors face us against the biggest challenge; it affects every aspect of life. Nowadays, among ecological aims, one of the most essential is the development of such methods, which will allow us to maintain and improve the environment, therefore, ecology moves from local problems to global ones. Based on the experience received in Georgian General Education system An adolescent should be able to be aware of his/her own responsibility, protecting and maintaining the natural environmental conditions, gaining the information, obtaining processing and analyzing the information, communicating with individuals and groups. In order to teach the light at school as one of the abiotic ecological factors, understand and and analyze its issues, additional material have been introduced, influence of different colors of rays of light spectrum on photosynthesis and the influence of light on frost-resistance. During the teaching process, various methods oriented on students raise and they provide the effectiveness of the learning process.

ნინო მანგალაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიოლოგიის დოქტორი ასოც. პროფესორი

მცენარეთა მინერალური კვების სწავლება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით (წყლის კულტურები)

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განათლების სისტემის წინაშე დადგა ამოცანა, რომ თითოეული ადამიანი უზრუნველყოს ისეთი ცოდნით და უნარ-ჩვევებით, რომლებიც დაეხმარება მას არჩევანის გაკეთებაში, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, პრობლემის გადაჭრაში და მუდმივად ცვალებად კონკურენტულ გარემოსთან შეგუებულობაში(1).

ქვეყნის ტრადიციებს ორგანულად შეერწყა სწავლების ახალი მეთოდები, რომლებიც ამჟამად საყოველთაოდ არის აღიარებული და გავრცელებული. ახალი მეთოდები დასავლეთ ევროპის ქვეყნების ბევრ სკოლაში დაინერგა, რომლის მიხედვით მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობის პროცესში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს, ნათლად ხედავდეს საკუთარი კვლევების და ექსპერიმენტის დანიშნულებას, სწავლების პროცესში მოსწავლე მკვლევარის მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ.

აქტიური სწავლების მეთოდები უნდა ეთანხმებოდეს მოსაზრებას:

მოვისმინე - დამავიწყდა,

დავინახე - დამამახსოვრდა

ცდა ჩავატარე - გავერკვიე.

პედაგოგმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის ფორმა დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს მის შესასრულებლად საჭირო დრო, მოიძიოს საჭირო რესურსები, შეარჩიოს მოსწავლეთა ორგანიზების მოსახერხებელი ფორმები და შეფასების კრიტერიუმები. დაგეგმოს გაკვეთილის შინაარსობრივი სტრუქტურა(3).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია გრძელვადიანი ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება მცენარის მინერალური კვების შესასწავლად, ამ მიზნით ბიოლოგიის კაბინეტში შესაძლებელია წყლია კულტურების დაყენება. მცენარეს ზრდიან სპეციალური ჭურჭელში, რომელშიც მოთავსებულია სრული და ზოგიერთი ელემენტის გამოკლებით დამზადებული საკვები ხსნარი. წყლის კულტურების მეთოდი საშუალებას იძლევა მთელი ცდის განმავლობაში თვალ-ყური ვადევნოთ არა მარტო მთლიანი მცენარის განვითარებას, არამედ ცალკე ფესვთა სისტემის განვითარებას და მცენარისათვის სხვადასხვა ელემენტის მნიშვნელობას.

სამუშაო უნდა წარიმართოს შემდეგი გეგმით: 1. მოსამზადებელი სამუშაო, 2. ცდის დაყენება, 3. კულტურებზე დაკვირვება და მოვლა, 4. ცდის ლიკვიდაცია.

მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს მომზადებული საჭირო მასალები და რეაქტივები, ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ბიოლოგიის კაბინეტში პეტრის ჯამებზე თესავს რომელიმე მცენარის (სიმინდი, ხორბალი, ან პომიდორი და სხვა) თესლებს ფილტრის ქაღალდის ან ბამბის გამოყენებით, თესლების გაღვივება შეიძლება ონკანის წყლით. როცა ორლებნიან მცენარეთა აღმონაცენები გაიკეთებენ პირველ ორ ფოთოლს, ხოლო ერთლებნიანებს გაუვითარდებათ მესამე ფოთოლი, გადაირჩევა ძლიერი აღმონაცენები წყლის კულტურებისათვის. შემდეგ, მასწავლებელი პრაქტიკულ მეცადინეობაზე მოსწავლეებთან ერთად ამზადებს ჭურჭლებს და საკვებ ხსნარებს წყლის კულტურებისათვის.

მასალა მოწყობილობები: 1. მინის ჭურჭლები 1-3 ლ.-იანი სახურაბევით, 2. მკვრივი ქაღალდი ჭურჭლების შესახვევად 3. ქიმიურად სუფთა მარილები საკვები ხსნარების დასამზადებლად, 4. სასწორი, 5. ერთ ლიტრიანი საზომი კოლბები. 6. პულველიზატორი, 7. ღივები.

წყლის კულტურებისათვის გამოიყენება უბრალო მინის ქილები, რომლებსაც მჭიდროდ უნდა მოერგოს თავსახური, თავსახურზე კეთდება სამი ხვრელი, პირველი ცენტრში მცენარისათვის, მეორე - მინის მილისათვის, რომელიც გამოიყენება საკვები ხსნარის გასანიაველად (პულველიზატორით ჰაერის ჩასაბერად). მესამე - ხის ჯოხისათვის, რომელზეც მიემარება მცენარე. ქილას მჭიდროდ ეხვევა შავი ფერის ქაღალდი, რომელიც ხელს შეუშლის ხსნარში წყალმცენარეების განვითარებას, შავ ქაღალდს კი გარედან ეხვევა თეთრი ქაღალდი, სითბური სხივების ასარეკლად. ქილის შალითის დასამზადებლად იღებენ ქილის გარშემოწირერილობაზე ცოტა დიდი ზომის ქაღალდებს, ისინი ოდნავ უნდა აღემატებოდნენ ქილის სიმაღლესაც, . შავ და თეთრ ქაღალდებს ერთმანეთზე აწებებენ, ქაღალდისაგან

ამზადებენ ცილინდრს, მის გვერდებს ერთმანეთთან აწებებენ და შიგ ათავსავენ ქილას, ქილის თავთან ქალაღდს, გადაკეცავენ და გარშემო მჭიდროდ ახვევან თასმას, (ან ზონარს). ქილის შალითა შეიძლება დამზადდეს შავი და თეთრი ქსოვილისაგან. ჭურჭლენის დამზადების შემდეგ მზადდება საკვები ხსნარები. საკვები ხსნარის რეცეპტები ბევრნაირია, გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს.

კნოპის სრული ხსნარი	რაოდენობა 1ლ წყალში გრამობით	აზოტგამოკლებული ხსნარი	ფოსფორგამოკლებული ხსნარი	კალიუმგამოკლებული ხსნარი	გოგირდგამოკლებული ხსნარი	Ca გამოკლებული ხსნარი
Ca(NO ₃) ₂	1,0	CaSO ₄ .2HO	Ca(NO ₃) ₂	Ca(NO ₃) ₂	Ca(NO ₃) ₂	NaNO ₃
KH ₂ PO ₄	0,25	KH ₂ PO ₄	KCL	Na ₂ HPO ₄ .2H ₂ O	KH ₂ PO ₄	KH ₂ PO ₄
MgSO ₄ .7H ₂ O	0,25	MgSO ₄ .7H ₂ O	MgSO ₄ .7H ₂ O	NaCL	MgCL ₂ .6HO	MgSO ₄ .7H ₂ O
KCL	0,125	KCL	H ₃ BO ₃	MgSO ₄ .7H ₂ O	KCL	KCL
H ₃ BO ₃	0,003	H ₃ BO ₃	MgSO ₄	H ₃ BO ₃	H ₃ BO ₃	H ₃ BO ₃
MgSO ₄	0,003	MgSO ₄	FeCL ₂ .6HO	MgSO ₄	FeCL ₂ .6NO.	MgSO ₄
FeCL ₂ .6H ₂ O	1 წვეთი	FeCL ₂ .6HO		FeCL ₂ .6HO		FeCL ₂ .6H ₂ O

საკვები ხსნარების დამზადების შემდეგ აღმონაცენები გადააქვთ ჭურჭლებში და აკვირდებიან მცენარის განვითარებას. ცდის შედეგები უნდა აღირიცხოს შემდეგი სქემის მიხედვით:

ფარგანტები	საკვები ხსნარის შედგენილობა	მცენარის სიმაღლე	ფესვების სიგრძე	მცენარის გარეგნული შესახედაობა
1	სრული საკვები ხსნარი			
2	ხსნარი N გამოკლებით			
3	ხსნარი P გამოკლებით			
4	ხსნარი S გამოკლებით			
5	ხსნარი K გამოკლებით			
6	ხსნარი Ca გამოკლებით			

ლიტერატურა

1. WWW. NACE . GE განათლების რეფორმის მასალები.
2. რ. ახვლედიანი, ი რევიშვილი - ბიოლოგიის მასწავლებლის წიგნი - თბ. 2015
3. რ. ქანთარია, ლ. ჩიჩუა, გ. ანდრონიკაშვილი, მ. გალიაშვილი - მოსავლის წიგნი - „მეცნიერება“
4. კობახიძე -, „მცენარეთა ფიზიოლოგიის პრაქტიკუმი“ - -თბ. 1980

რეზიუმე

სწავლების თანამედროვე მეთოდები დასავლეთ ევროპის ქვეყნების ბევრ სკოლაში დაინერგა, რომლის მიხედვით მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობის პროცესში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს, ნათლად ხედავდეს საკუთარი კვლევების და ექსპერიმენტის დანიშნულებას, სწავლების პროცესში მოსწავლე მკვლევარის მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ.

აქტიური სწავლების მეთოდები უნდა ეთანხმებოდეს მოსაზრებას:

მოვისმინე - დამავიწყდა,

დავინახე - დამამახსოვრდა,

ცდა ჩავატარე - გავერკვიე.

პედაგოგმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის ფორმა დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს მის შესასრულებლად საჭირო დრო, მოიძიოს რესურსები, შეარჩიოს მოსწავლეთა ორგანიზების მოსახერხებელი ფორმები და შეფასების კრიტერიუმები. დაგეგმოს გაკვეთილის შინაარსობრივი სტრუქტურა.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ექსპერიმენტზე, რაც დაეხმარება მოსწავლეებს თეორიული ცოდნის განმტკიცებაში.

Nino Mangaladze – Akaki Steate University, Doctor of biology Associated Professor

The study of plant mineral nutrition with the rep of modern

Abstract

The new methods of active teaching were introduced in many school of west European countries, according to which a pupil must be active involved in the process of the lesson, teaching agree to the following: I attended the lessons – I forget(I don t remember anything about it), I saw – I remember, I mode on experiment – I learned.

A teacher must define the aims of the lesson, choose the form of the lesson, plan the activities and determine the time, set resources, get students organize by choosing appropriate forms an assessment criteria, plan the structure of the lesson in order to reach the goal.

ნატო ჩხარტიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი.

როგორ ვასწავლოთ ფოტოსინთეზი საჯარო სკოლის ბიოლოგიის კურსში

განათლების რეფორმის მიზანია, მოსწავლის აღჭურვა იმ ცოდნით და უნარ-ჩვევებით, რომელიც მას საშუალებას მისცემს, ალღო აუღლოს კაცობრიობის სწრაფ პროგრესს, გამოიყენოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. ამ მიზნის მისაღწევად დღის წესრიგში დადგა ყველა ტიპის სკოლაში აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება. ამიტომ არის, რომ სწავლების თანამედროვე, აქტიური მეთოდები სწავლაზეა ორიენტირებული. იგი გამორიცხავს მასწავლებლის ჰეგემონიას გაკვეთილზე, მოსწავლე კი არ არის მხოლოდ მსმენელი, იგი გაკვეთილის მსვლელობის აქტიური მონაწილეა. ინტერაქტიული გაკვეთილის ძირითადი პრინციპია პარტნიორობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. პარტნიორი მასწავლებელი გაკვეთილზე აქტიური ტიპის ლიდერია; იგი ეხმარება

ბიოლოგია, როგორც სასწავლო დისციპლინა, კარგ მასალას იძლევა ინტერაქტიული სწავლებისათვის. ბიოლოგიის მასწავლებელმა მიზნად უნდა დაისახოს, რომ მოსწავლეებს მისცეს არამარტო ცოდნა ორგანული სამყაროს კანონზომიერების შესახებ, არამედ მათ უნდა გამოუმუშაოს გარემოს კვლევისა და შესწავლის სურვილი, უნარ-ჩვევები, რომლის საშუალებით მათ შეეძლებათ ცოდნის წარმატებით გამოყენება. სწავლების პროცესში მასწავლებელმა მოსწავლე მკვლევარის როლში უნდა ჩააყენოს.

ინტერაქტიული გაკვეთილის ჩატარება მასწავლებლისგან მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს. იგი უნდა იყოს არამარტო თავისი საგნის ღრმადმცოდნე, არამედ უნდა ფლობდეს „აქტიური სწავლების“ ახალ მეთოდებს, სტრატეგიებს. მან გაკვეთილზე უნდა შექმნას განწყობა, რაც ხელს შეუწყობს ახალი მასალის ათვისებას. განწყობის შექმნას. პროვოცირება ეწოდება. მასწავლებელი პროვოცირებას ახდენს მაპროვოცირებელი კითხვების საშუალებით. პროვოცირების მიზანია, წინა გაკვეთილებზე მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის გამოყენება ახალი მასალის ახსნის დროს. მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეთა გონებაში უკვე არსებობს და დაუკავშიროს ახალ მასალას. ეს გამოიწვევს ცოდნის გამთლიანებას, კლასის მაქსიმალურად ჩაბმას გაკვეთილის მსვლელობაში და მოსწავლეთა აზროვნების გააქტიურებას, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ე.წ. „გონებრივ იერიშს“. „გონებრივი იერიში“ არის სწავლების მეთოდი, რომლის დროს მასწავლებელი გაკვეთილზე ახალი მასალის ახსნის დაწყების წინ, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განსაზღვრულ დროში გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ასახსნელი მასალის ირგვლივ. მასწავლებელი ხელმძღვანელობს პრინციპით „ყველა აზრი მისაღებია“. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის გადაწყვეტაში კლასის ერთობლივ მონაწილეობას და ინდივიდუალური აქტივობის ამაღლებას.


ბიოლოგიის გაკვეთილებზე მასწავლებელმა ხშირად უნდა გამოიყენოს სწავლების მეთოდი რომელსაც „ვენის დიაგრამა“ ეწოდება. „ვენის დიაგრამა“ შედგება ორი ერთმანეთზე გადაჯაჭვული წრისაგან, რომლის შუაგულში სივრცეა. ვენის დიაგრამას იყენებენ ურთიერთსაწინააღმდეგო საგნების ან მოვლენების ერთმანეთთან შედარებისთვის. მათ შორის არსებული მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენის მიზნით.

ბიოლოგიაში ერთ-ერთი აქტუალური და ამავე დროს პრობლემური საკითხია ფოტოსინთეზი. ფოტოსინთეზი არის პროცესი, რომლის დროს მწვანე მცენარეები ახდენენ მზის ენერჯის ხარჯზე არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანული ნივთიერებების წარმოქმნას. ფოტოსინთეზის სწორად სწავლების მიზანია არამარტო ის, რომ მოსწავლე ღრმად ჩაწვდეს ამ პლანეტარული მნიშვნელობის პროცესის არსს, არამედ მას აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. მოსწავლისათვის გასაგები უნდა გავხადოთ მწვანე მცენარის როლი, რომ იგი არის დედამიწაზე სიცოცხლის წყარო; რომ ფოტოსინთეზის პროცესში მწვანე მცენარე არაორგანული ნივთიერებებიდან (CO₂ და H₂O) წარმოქმნის ორგანულ ნივთიერებებს, რომელსაც საკვებად იყენებს არამარტო თვითონ მცენარე, არამედ ორგანული (ცოცხალი) სამყაროს ყველა სხვა წარმომადგენელი. ფოტოსინთეზის მნიშვნელობა მხოლოდ ორგანული ნივთიერების წარმოქმნით არ შემოიფარგლება; ამ პროცესის შედეგად მცენარე გამოჰყოფს ჟანგბადს, ამიტომ არის, რომ ჟანგბადის განუწყვეტელი ხარჯვის მიუხედავად (მისი შემცველობა ატმოსფეროში დაახლოებით უცვლელია (21%), ფოტოსინთეზი არეგულირებს ჰაერში აგრეთვე ნახშირორჟანგის შემცველობასაც და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მწვანე მცენარე არის დამაკავშირებელი რგოლი მზესა და დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ცოცხალ ორგანიზმებს შორის, შთანთქავს რა მზის, ენერჯიას, ეს ენერჯია ხმარდება მცენარეში მიმდინარე ურთულეს გარდაქმნებს, ნაწილი კი მარაგის სახით ინახება

ფოტოსინთეზის პროდუქტებში (ორგანული ნივთიერებები) და უკან გამოიყოფა ამ ნივთიერებების დაშლის დროს. ორგანული ნივთიერებები კი იშლებიან ორგანიზმებში სუნთქვის დროს და ამ პროცესის შედეგად განთავისუფლებული ენერგიის ხარჯზე ცოცხალი ორგანიზმები იზრდებიან, ვითარდებიან, მოძრაობენ, ასრულებენ ყოველგვარ მოქმედებას. იგივე ენერგია თავისუფლდება , როცა რუმელში იწვის შეშა, ნავთი, ქვანახშირი, ტორფი, გაზი. ჩამოთვლილი მცენარეული წარმოშობის სათბობია და მათში დაგროვილია ის ენერგია, რომელიც ერთ დროს მცენარეებმა შთანთქეს ფოტოსინთეზის დროს. თუ ეს საკითხები სკოლის მერხიდან ნაცნობი იქნება პიროვნებისთვის ის უდიერად არ მოეპყრობა მცენარეს, არ დააზიანებს მას, ხის ქერქზე არ გააკეთებს ათასგვარ წარწერებს, ექსკურსიაზე ყოფნის დროს არ დაამტვრევს (უდიერად) ხის ტოტებს, არ შეკრავს უზარმაზარ თაიგულებს მინდვრის მცენარეებისგან, არ მოახდენს უკანონოდ ხეების ჭრას, გაუფრთხილდება ტყეს ჩვენ ეროვნულ სიმდიდრეს და წელიწადში ერთჯერ მაინც დარგავს მცენარეს და მოუვლის მას.

ფოტოსინთეზს სკოლის ბიოლოგიის კურსში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ეს საკითხი სხვადასხვა სირთულით ისწავლება I X, და X კლასებში. ჩვენი აზრით ძალზე საინტერესოდ არის მასალა შერჩეული I X კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელოში, რომლის ავტორებია ნ. ზაალიშვილი და ნ. იოსებაშვილი, იგი საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაკვეთილი თემაზე „ფოტოსინთეზი“ ჩაატაროს „აქტიური სწავლების მეთოდის“ გამოყენებით.

ახალი მასალის ახსნის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა მოახდინოს პროვოცირება (განწყობის შესაქმნელად მაპროვოცირებელი კითხვები ისე უნდა იყოს შერჩეული კლასმა გაიხსენოს ,რომ კვების ტიპის მიხედვით ცოცხალი ორგანიზმები ორ ჯგუფად იყოფიან: ავტოტროფები და ჰეტეროტროფებად; რომ ავტოტროფული კვების უნივერსალური გზაა ფოტოსინთეზი, რომ ფოტოსინთეზს ახდენენ მწვანე მცენარეები და ზოგიერთი ფერადი ბაქტერია. მასწავლებლის მოთხოვნით კლასმა ისიც უნდა გაიხსენოს, რომ სუნთქვის პროცესში მცენარის უჯრედში ხდება გლუკოზის მოლეკულების დაშლა წყლად და ნახშირორჟანგად, რომ ამ პროცესს თან ახლავს ენერგიის განთავისუფლება. პროვოციების შემდეგ მასწავლებელმა კლასის წინაშე უნდა დააყენოს პრობლემური კითხვა-ახალი ტერმინოლოგიით გამოიყენოს ღია შეკითხვა რომელი პროცესის შედეგად წარმოიქმნება გლუკოზა, ან რომელი ენერგიის განთავისუფლებას აქვს ადგილი სუნთქვის დროს. პირველი კითხვის საპასუხოდ მასწავლებელმა უნდა განმარტოს რა არის ფოტოსინთეზი და დაფაზე დაწეროს ამ პროცესის შეჯამებული განტოლება:



კლასისთვის გასაგები ხდება, რომ გლუკოზა წარმოიქმნება მწვანე მცენარის მიერ არაორგანული ნივთიერებებიდან მზის ენერგიის ხარჯზე. სწორედ ეს ორგანული ნივთიერება იშლება ორგანიზმში სუნთქვის დროს ნახშირორჟანგად და წყლად და თავისუფლდება ის ენერგია, რომელიც ამ მცენარემ ფოტოსინთეზის დროს შთანთქა. ამრიგად, ფოტოსინთეზი და სუნთქვა ერთმანეთის შებრუნებელი პროცესებია; თუ ეს ასეა, აგრძელებს მასწავლებელი, რომელი პროცესის ამსახველ ტოლობას მივიღებთ ფოტოსინთეზის განტოლებაში ისარს მარცხნივ თუ შევაბრუნებთ? ამ კითხვას კლასი ადვილად სცემს პასუხს. შემდეგ მასწავლებელი იწყებს ახალი მასალის ახსნას (სიღრმისეული წვდომა) ის მოუთხრობს კლასს ფოტოსინთეზის პროცესში ქლოროფილის როლის შესახებ, რომ ქლოროფილი არის ის ნივთიერება რომელიც ახდენს მზის სხივების შთანთქმასა და შთანთქმული ენერგიის ხარჯზე მიმდინარეობს ის ურთულესი გარდაქმნები, რომელსაც ადგილი აქვს ფოტოსინთეზის პროცესში. მასწავლებლის მიერ დასმული კითხვებით კლასი იხსენებს რომ ქლოროფილი არის მწვანე პრიგმენტი, რომ იგი მოთავსებულია ქლოროპლასტებში, კერძოდ-ქლოროპლასტების გრანებში. მასწავლებელმა უნდა გააგრძელოს დიალოგი კლასთან და აიძულოს მოსწავლეები გაიხსენონ ქლოროპლასტების მემბრანული აგებულება.

შემდეგ მასწავლებელი უნდა მოუბრუნდეს ფოტოსინთეზის შეჯამებულ განტოლებას და აღნიშნოს რომ ეს განტოლება ოდნავადაც ვერ გამოხატავს ფოტოსინთეზის პროცესის სირთულეს, რომ ამ პროცესში მეტად მნიშვნელოვან გარდაქმნებს აქვს ადგილი. მან ყურადღება უნდა გაამახვილოს წყლის ფოტოლიზზე, რომელსაც ფოტოსინთეზის დროს აქვს ადგილი. მასწავლებელი მოითხოვს კლასმა განმარტოს რას ნიშნავს ტერმინი ფოტოლიზი („ფოტო“ :სინათლე „ლიზისი“-დაშლა), ხოლო თვითონ უნდა აუხსნას კლასს რომ ფოტოსინთეზის პროცესში მზის ენერგიის ხარჯზე, რომელიც შთანთქა ქლოროფილმა, ადგილი აქვს წყლის მოლეკულის დაშლას წყალბადად და ჟანგბადად. წყალბადი ფერმენტების საშუალებით უერთდება ნახშირორჟანგის მოლეკულას და გლუკოზა წარმოიქმნება, ხოლო

ჟანგბადს მცენარე ატმოსფეროში გამოჰყოფს. ამრიგად წყალი არის ატმოსფეროში არსებული ჟანგბადის წყარო.

ახალი მასალის ახსნის დასასრულს, მასწავლებელი აღნიშნავს, რომ გლუკოზა არის გამოსავალი მასალა, რომელიც სხვადასხვა სახის ორგანულ ნივთიერებად (საქაროზა, სახამებელი, ცელულოზა, ცილები, ლიპიდები, ქლოროფილი) გარდაიქმნება.

გაკვეთილის დასკვნით ნაწილში რომელსაც გააზრება ეწოდება, მასწავლებელმა უნდა გაიგოს როგორ აითვისა ახალი მასალა კლასმა ეს გასაგები გახდეს კითხვებით, ტესტებით. მასწავლებელმა შეიძლება დასვას ასეთი კითხვები:

1. რომელი მარტივი ნივთიერებებიდან წარმოიქმნება გლუკოზა?
2. რომელი ნივთიერება განიცდის ფოტოსინთეზის პროცესში ფოტოლიზს?
3. ტერმინი ფოტოსინთეზი რომელი ნაწილი მიუთითებს სინათლის მონაწილეობაზე?
4. მცენარის რომელ ორგანოში მიმდინარეობს ფოტოსინთეზი?
5. რის საშუალებით ხდება ფოტოსინთეზის დროს ნახშირორჟანგის შესვლა მცენარეში და ჟანგბადის გამოყოფა?

გააზრების შემდეგ მასწავლებელმა კლასს უნდა მისცეს საშინაო დავალება.

ლიტერატურა

1. ზაალიშვილი ნ; იოსებაშვილი ნ. ბიოლოგია IX კლასი. 2012 წ.
2. ბასილაძე ი; ჭოხონელიძე ნ; კოსტავა ნ. სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება. 2005 წ.
3. გოხელაშვილი რ; ლალიძე ნ. ბუნებისმეტყველება 7, მასწავლებლის წიგნი, 2006 წ.
4. ბესელია ნ; მეიფარიანი თ; მიქიაშვილი ლ; ჯალაღონია ლ. სკოლიდან სამოქალაქო საზოგადოებისაკენ, მასალები ინტერაქტიული სწავლებისათვის. (სამოდულო გაკვეთილები) 2007წ.

რეზიუმე

ბიოლოგია, როგორც სასწავლო დისციპლინა, კარგ მასალას იძლევა ინტერაქტიული სწავლებისათვის. ბიოლოგიაში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ფოტოსინთეზი რომელიც მასწავლებელმა შეიძლება განიხილოს „აქტიური სწავლების“ მეთოდის გამოყენებით. მასწავლებელმა თითოეული მოსწავლისათვის გასაგები უნდა გახადოს ფოტოსინთეზის არსი, რომ ფოტოსინთეზი არის პროცესი რომლის დროს მწვანე მცენარეები ახდენენ მზის ენერჯის ხარჯზე არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანული ნივთიერებების წარმოქმნას. მწვანე მცენარე არის სიცოცხლის წყარო დედამიწაზე, რომელიც ფოტოსინთეზის შედეგად შთანთქავს ნახშირორჟანგს და გამოყოფს ჟანგბადს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის არის დამაკავშირებელი რგოლი მზესა და დედამიწაზე მცხოვრებს ყველა ცოცხალ ორგანიზმს შორის. შთანთქავს რა მზის ენერჯას, ეს ენერჯია ხმარდება მცენარეში მიმდინარე ურთულეს გარდაქმნებს, ნაწილი კი მარაგის სახით ინახება ფოტოსინთეზის პროდუქტებში.

Resume

Biology, as an educational discipline, gives a good material for interactive teaching. Photosynthesis in one of the most active matter in biology, which should be considered by the teacher with use of the “active teaching” methodology. The teacher should explicit the essence of photosynthese for each pupil, that photosynthese is a process, when green plants make organic substance from inorganic substance by means of solar energy. Green plant is life resource, as a result of photosynthese process it engulfs CO₂ and educes oxygen, and the most important it is connecting circle among the sun and all living creatures-engulfed solar energy, gives a stimulus to hanging process in plant, other part is preserved in products of photosynthese.

ხათუნა კაპანაძე - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლა, ბიოლოგიის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი

არაფორმალურ განათლება და მოსწავლეთა თვითშეფასება

სკოლაში გამოყენებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწეულ დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში და აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა. [1]

შეფასების გამოყენება აუცილებელია არაფორმალურ განათლებაშიც. სკოლაში ეკოკლუბის მუშაობა - მოსწავლეთა არაფორმალური განათლების ერთ-ერთი წარმატებული მეთოდია. არაფორმალური განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება, რომლის დროსაც პიროვნებას არსებული რესურსებისა და ყოველდღიური გამოცდილების შედეგად უყალიბდება დამოკიდებულებები, ფასეულობები, უნარ-ჩვევები და ცოდნა. იგი არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ისახავს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას. [2]

კლუბური მუშაობა საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად ჩავრთოთ მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობებში, დაგვემოთხა და განვახორციელოთ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, გავითვალისწინოთ მოსწავლეთა არსებული ცოდნა და განვუვითაროთ უნარ-ჩვევები მათი პროგრესისათვის სწორად შერჩეული სტრატეგიებით. არაფორმალური განათლების არეალში ძირითადად ვიყენებ მოსწავლეთა შეფასებისა და თვითშეფასების ფორმებს, რომელიც მეხმარება მასწავლებლისა და მოსწავლეთა საჭიროებების დადგენაში. ამ თვალსაზრისით ჩემს პრაქტიკაში აქტუალურია მოსწავლეთა შეფასებისა და თვითშეფასების შედეგების გაანალიზება მათი მოტივაციის გაზრდის და აქტიური თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის.

გელათის საჯარო სკოლაში 6 წელია ფუნქციონირებს ეკოკლუბი „ევრიკა“, რომლის პორტფოლიოში დღეს უკვე რამდენიმე წარმატებულ პროექტზე მუშაობის ამსახველი მასალაა, მათ შორის 2015-2016 სასწავლო წელში განხორციელებული სამი საერთაშორისო : ტრანსევროპული პროექტი ELENA, გოეთეს ინსტიტუტის საერთაშორისო ინტეგრირებული პროექტი Vernetzt Fur Nachhaltigkeit, პროექტი ENO – Enviroment Onlin -2002 წელს რომ დე ჟანეიროში გამართული გაეროს კლიმატის გლობალური ცვლილებების წინააღმდეგ დაგეგმილი სამიტის გამოძახილი, სადაც მსოფლიოს 10.000-ზე მეტი სკოლაა ჩართული.

ეკოკლუბში ტრადიციულ სასწავლო წლის დასაწყისში განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა, სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეთა თანამშრომლობა, დავალებების დელეგირება, წლის მანძილზე განხორციელებული პროექტების ერთობლივი პრეზენტაცია სასწავლო წლის ბოლოს, მოსწავლეების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება და თვითშეფასება. ეკოკლუბის წევრები აქტიურად მონაწილეობენ პრობლემის იდენტიფიცირებაში, ვარაუდის (ჰიპოთეზის) გამოთქმასა და დასკვნების გამოტანაში. კეთდება უკუკავშირი / შეჯამება პროექტების განხორციელების დასკვნით ეტაპზე ვაკვირდები მოსწავლეთა უნარების განვითარებას.

სასწავლო წლის ბოლოს, მოსწავლეთა საჭიროებების შესწავლის მიზნით ეკოკლუბის წევრებმა შეავსეს ანონიმური ანკეტები სადაც მიუთითეს : კლასი, სქესი, ასაკი, რამდენი ხანია რაც ეკოკლუბის წევრია , რატომ გაუჩნდა გაწევრიანების სურვილი , ეკოკლუბის განხორციელებულ რომელ პროექტში მიიღო მონაწილეობა, რა გააკეთა კონკრეტულად , რა იყო მისთვის განსაკუთრებით საინტერესო და რატომ, ვისთან ითანამშრომლა, როგორ შეაფასებდა პარტნიორის თანამშრომლობას, როგორ შეაფასებდა საკუთარ წვლილს პროექტის წარმატებაში, რა თვისებები გააუმჯობესა ეკოკლუბში მუშაობით, რა იყო გასაუმჯობესებელი ეკოკლუბის მუშაობაში, როგორია ხელმძღვანელის როლი კლუბის მუშაობაში. აღნიშნული ანკეტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი :

- ეკოკლუბის პროექტებში ჩართვის სურვილი აქტიურია საბაზო საფეხურის მოსწავლეებში (VII-IX კლასი) – „ჩვენ უკვე ვიცით როგორ ვიმუშაოთ...“
- ფრთხილი და დამკვირვებლის პოზიცია აქვთ დაწყებით საფეხურის მოსწავლეებს (V-VI) – „ჩვენ თუ შევძლებთ რამე გავაკეთოთ, როგორც სხვები მუშაობენ...“

ეკოკლუბის წევრთა (57 მოსწავლე) თვითშეფასების საერთო სურათი ასეთია :

- „ვიყავი აქტიური მონაწილე“ - 31 მოსწავლე
- „შემძლო მეტი გამეკეთებინა“ - 5 მოსწავლე
- „არ ჩავთვალე საჭიროდ მეტი, უჩემოდაც გაართვეს თავი“ - 8 მოსწავლე
- „კარგად არ გამომდიოდა, აღარ გავაგრძელე“ - 3 მოსწავლე
- „შემეშინდა რამე არ გამეფუჭებინა“ - 10 მოსწავლე

საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა : პროექტი ELENA – 43 მოსწავლე, პროექტი Vernetzt Fur Nachhaltigkeit – 29 მოსწავლე, პროექტი ENO – 61 (პროექტში ჩართო I-IV კლასის მოსწავლეებიც)

მოსწავლეები მონაწილეობდნენ შემდეგ აქტივობებში :

- ბუნებასა და ცოცხალ ორგანიზმებზე დაკვირვება - 27 მოსწავლე
- ციფრული / მზის მიკროსკოპით კურსების ტბიდან აღებული ბიოლოგიური მასალის შესწავლა - 18 მოსწავლე
- პროექტზე მუშაობის დეტალების ციფრული რესურსების შექმნა - 12 მოსწავლე
- ინფორმაციის მოძიება ინტერნეტის დახმარებით - 9 მოსწავლე
- ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობა - 9
- მარტივი ექსპერიმენტების ორგანიზება / ჩატარება - 22 მოსწავლე
- ხეების დარგვა და ნარგავების მორწყვა - 25 მოსწავლე
- კვლევის სტატისტიკის მოპოვება / დამუშავება - 35 / 6 მოსწავლე
- საინფორმაციო ბუკლეტების შექმნა / დარიგება - 7 / 12 მოსწავლე
- კედლის გაზეთების შექმნა - 10 მოსწავლე
- სკოლის გარემოს დასუფთავება - 33 მოსწავლე
- პრეზენტაციის მომზადება და განხორციელება - 7 მოსწავლე

მოსწავლეთა ეკოკლუბის წევრად გახდომის მოტივაცია : უფრო მეტ აქტივობებში მიიღოს მონაწილეობა, ძალიან საინტერესოა, ბევრ რამეს იგებს, ძალიან სახალისოა, ახალ აღმოჩენებს აკეთებს, „დადიან უამრავ ადგილებში“, უყვარს ბუნებასთან სიახლოვე, ეკოკლუბის წევრები იზიარებენ მის შეხედულებებს.

როგორ შეაფასეს თანამშრომლობითი მუშაობა : კარგი თანამშრომლობა გამოუვიდათ, ვისაც ხატვა ეხერხებოდა, ის ხატავდა, ვინც ლამაზად წერდა - ტექსტები გადაიტანა კედლის გაზეთში, სხვა კლასის მოსწავლესთან ერთად დარგო ხეები, ყველამ გაიხარა, ჰქონდათ განსხვავებული აზრები, მაგრამ არ უჩხუბიათ. ყველა ერთად რომ მუშაობდა, უფრო კარგი გამოვიდა. პატარებმაც ძალიან მოინდომეს... ყველას შეუძლია იყოს ეკოკლუბის წევრი / კარგი გააკეთოს ბუნებისთვის. ერთმანეთს ეხმარებოდნენ და მეტი შეძლეს, ვიდრე მარტო მოახერხებდნენ. უფრო მეტად დაუშეგობრდნენ ერთმანეთს, ვიდრე აქამდე იყო.

როგორ შეაფასებდა საკუთარ წვლილს პროექტის წარმატებაში

- ყველამ რაღაც გავაკეთეთ საერთო წარმატებისთვის
- მე რაც შევძელი, ეს პროექტისთვის საჭირო იყო
- ჩემი აზრით კარგად ვიმუშავე
- სხვა ადამიანებისგან მესმოდა, რომ რაც გავაკეთა, ეს ძალიან კარგია
- შექება დავიმსახურე ოჯახში და სხვა ადამიანებისგანაც
- მითხრეს, რომ სამაგალითონი ვართ
- მიხარია, რომ მიღწეულ წარმატებაში ჩემი წვლილიცაა
- პატარა ასაკის მოსწავლეების დავაინტერესე
- დასვენებაზე, პატარებს ავუხსენი, როგორ გახდნენ ეკოკლუბის წევრი და დაეხმარონ ბუნებას
- მასწავლებელმა მითხრა, რომ კარგად გამომივიდა რაც გააკეთა

რა თვისებები გააუმჯობესა ეკოკლუბში მუშაობით : შევიძინე პროექტებზე მუშაობის გამოცდილება და ვისწავლე : საჯარო ბიბლიოთეკაში ლიტერატურის მოძიება და დამუშავება, პრეზენტაციის მომზადება, კედლის გაზეთისათვის შაბლონიდან ნახატის გადატანა, პოსტერის სწორად შექმნა, დროის ლიმიტის დაცვა პრეზენტაციისთვის, პრეზენტაციისთვის ტექსტური

ინფორმაციის დადების ოპტიმალური რაოდენობა, მიხვდა, რამდენი უნდა იშრომოს, რომ საქმე კარგად გამოუვიდეს, დაკვირვებისას გაკეთებული ჩანაწერების შეინახვა - გაანალიზება.

პროექტზე მუშაობამ მიმახვედრა : დასკვნების ჩამოყალიბებისათვის ბევრ რამეზე უნდა დავფიქრდე, რატომ გრძელდება პროექტზე მუშაობა დიდხანს, სხვასაც უნდა ჰკითხოვ აზრი, გახდენ უფრო ორგანიზებული, უნდა მოვუსმინო და პატივი ვცე სხვის აზრს, თუნდაც მიუღებელს

პროექტზე მუშაობით : გავიგეთ ერთმანეთის ფასი, ვითანამშრომლე იმ მოსწავლეებთან, ვისთანაც ადრე ასე ახლოს არ ვიყავი, გავხდი უფრო ორგანიზებული, აღარ ვნერვიულობთ აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის გაკეთებისას

რა იყო მათი აზრით გასაუმჯობესებელი ეკოკლუბის მუშაობაში : ჩვენს სკოლაში I - IV კლასის მოსწავლეებსაც ვასწავლოთ ეკოკლუბში მუშაობა, მშობლებმაც მიიღონ მონაწილეობა ეკოკლუბის აქტივობებში, სკოლას სჭირდება კარგად შემოღობილი ეზო ნარგავების დასაცავად

რა გავითვალისწინოთ მომავალი წლიდან ეკოკლუბის მუშაობაში : ეკოკლუბში მთელის სკოლა იყოს ჩართული, სასურველია კიდევ უფრო მეტ ღონისძიებაში მონაწილეობა, სხვა სკოლის მოსწავლეებს გაუზიარონ გამოცდილება, შესთავაზონ კლუბის შექმნაში დახმარება, იმეგობრონ და ერთობლივი ღონისძიებები დაგეგმონ

როგორია ხელმძღვანელის როლი კლუბის მუშაობაში : უზიარებს საკუთარ გამოცდილებას, ეხმარება მათ მუშაობაში, ასწავლის რა როგორ გააკეთონ, ყველა მოსწავლეს აძლევს საშუალებას მიიღოს მონაწილეობა შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობს მოსწავლეებს კიდევ უფრო შეაყვაროს ჩვენი ფლორა და ფაუნა, გააცნო თავისი მეგობრები, რომლებმაც პროექტში დიდი დახმარება გაუწიეს, მისცა ახალი ადამიანების გაცნობის საშუალება, ცდილობს მეტი განათლება მივიღოთ.

ამ და სხვა საკითხების გაცნობა ანკეტების შესწავლის შემდეგ, საშუალებას მაძლევს მოსწავლეთა ნააზრევი გავითვალისწინო მათთან მომავალი მუშაობის დაგეგმვაში. ეკოკლუბის წლიური მუშაობის შემაჯამებელ პრეზენტაციაზე ტრადიციულია სტუმრების მოწვევა და წინასწარ ცნობილ ნომინაციებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება სამახსოვრო საჩუქრებით. კენ რობინსონი ამბობს: „ბავშვები დაჯილდოებულნი არიან ახლის შესწავლის ბუნებრივი ნიჭით, ამიტომ პედაგოგის როლია გაუღვივოს მოსწავლეებს ინიციატივა, ცნობისმოყვარეობა და შემდეგ უკან გადგეს“. [3] სწორედ ამაში მეხმარება არაფორმალურ განათლებაში მოსწავლეთა თვითშეფასების გამოყენება. ჩემს პრაქტიკაში, პედაგოგად მუშაობის 25 წლიან მიჯნაზე ეკოკლუბი დღევანდელი სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის - საბუნებისმეტყველო საგნებით მოსწავლეთა დაინტერესების მთავარ მოტივატორად გადაიქცა.

ლიტერატურა :

1. ეროვნული სასწავლო გეგმა <http://ncp.ge/ge/curriculum/general-part/general-part/chapter-iv-student-assessment-system>
2. [არაფორმალური განათლება - Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი](#)
3. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=309
4. [file:///C:/Users/megabite/Downloads/2391%20\(1\).pdf](file:///C:/Users/megabite/Downloads/2391%20(1).pdf) არაფორმალური და ინფორმალური განათლების როლი უწყვეტი განათლების ცხოვრების ციკლში

რეზიუმე

ავტორი სტატიაში განიხილავს საკუთარ პროფესიულ გამოცდილებას არაფორმალურ განათლებაში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე თვითშეფასების სტრატეგიის გამოყენების პოზიტიური გავლენის შესახებ.

Abstract

In this statja the author considers own profesionaljny opit on application of strategy of a self-assessment of pupils in neformaljnny training and increase of motivation of pupils. Rassmotrivayet various example of positive influence of this strategy.

ნინო ბენდელიანი - სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული სქემაში ჩართული მასწავლებელი

სასწავლო პროექტი -ოცდამეერთე საუკუნის ეკოლოგიური პრობლემის მოგვარების პროდუქტიული მეთოდი

ოცდამეერთე საუკუნეში მომეტებულად იჩინა თავი ეკოლოგიურმა პრობლემებმა, რადგან ადამიანთა კეთილდღეობა და მათი მომავალი დიდად არის დამოკიდებული ბუნებაზე, ამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის ჰარმონიული დამოკიდებულება გარემოსადმი. არსებული პრობლემის მოგვარების ეფექტური გზების მოსაძიებლად მოსწავლეებთან ერთად დავგეგმე სასწავლო პროექტი,იმდენად რამდენადაც მუშაობის დროს რეალური პრობლემის გადაჭრისას აღსაზრდელები შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ პრაქტიკაში.

პროექტით სწავლების მეთოდი იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხისმგებლობას, ის საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა დაწესებულებების სასწავლო პროცესში ჩართვის გამოც.

მოსწავლეებმა მიზნად დაისახეს ეპოვათ სიღრმისეული კავშირი ვაჟას შემოქმედებასა და თანამედროვე ეპოქის აქტუალურ პრობლემას შორის.

პროექტის მთავარი იდეა იყო, გარემოზე ანთროპოგენული ფაქტორების დადებითი და უარყოფითი ზემოქმედების განხილვა, ვაჟას გამომახილი ბუნებაზე.

პროექტის აქტუალობა: ამ პროექტზე მუშაობით მოსწავლეები გააცნობიერებენ თუ რა დიდ საფრთხეს უქმნის დაბინძურებული გარემო ადამიანის ჯამრთელობას, ისინი ნათლად დაინახავენ ვაჟა ფშაველას შემოქმედების მთავარ მამოძრავებელ ძალას.

პროექტის მიზანია იმ ღონისძიებების ჩატარება, რაც გარემოზე ანთროპოგენურ ზემოქმედებას შეამცირებს, გაააქტიურებს ადამიანის მიზანმიმართულ, გონივრულ მოქმედებას ბუნების მთლიანობის შენარჩუნებისათვის.

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს რომ ჰქონოდათ ფართო საინფორმაციო სივრცე,ვურჩიე ეთანამშრომლათ ბიბლიოთეკასთან. ახალმა გარემომ მათზე დადებითი გავლენა მოახდინა, ისინი ხალისით ასრულებდნენ სამუშაოს, მაშინაც კი, როცა დავალების შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვდა.

აღსაზრდელებმა ეკოლოგიურ პრობლემასთან ბრძოლის პირველ აქტივობად მიიჩნიეს მცენარეების დარგვა. მარადმწვანე ხეების დარგვის დროს, შრომას შეუჩვეველნი, მიხვდნენ შრომის ფასს. მუშაობის პროცესში მათ გამოუმუშავდათ გარემოს მიმართ მზრუნველობისა და სიყვარულის უნარი.

მეორე აქტივობა: აქცია „მწვანე ყუთი“. აღსაზრდელებმა შეაგროვეს მაკულატურა მეორადი გადამუშავებისთვის, ჩააბარეს სპეციალურ პუნქტში, აღებული თანხით შეიძინეს სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის საჭირო ნივთები, მათთან ერთად მოაწვევს დაუფიწყარი საღამო.

მესამე აქტივობა: აქცია-„ეკოლოგიური კვალი“.

მოსწავლეებმა გაასუფთავეს ნარჩენებისაგან სკოლის მიმდებარე ტერიტორია. შრომის პროცესში გაითვალისწინეს უსაფრთხოებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი დარიგებები. მრავალფეროვანი სამუშაოების შესრულებით დაგროვილი ცოდნა და მოძიებული ინფორმაცია გაუზიარეს უმცროსი კლასის მოსწავლეებს, მინი ლექციის სახით, თემაზე: „ადამიანის უარყოფითი ზემოქმედება ეკოსისტემაზე“.

მეოთხე აქტივობა:პრეზენტაცია.

აღსაზრდელებს უკეთ რომ გაეაზრებინათ, რა უნდა აკეთონ ჯანსაღ გარემოში ცხოვრებისთვის კლასი დავყავი სამ ჯგუფად:

პირველ ჯგუფს უნდა მოემია მასალები ქართული მიწისა და ბუნების შესახებ, ესარგებლათ ინტერნეტით, ამოეწერათ გამონათქვამები „სიბრძნის საუნჯიდან“, შეედგინათ ასოციაციური რუკა, გაეკეთებინა პრეზენტაცია.

მეორე ჯგუფი-მასალები ვაჟა ფშაველას შემოქმედებიდან ბუნებისა და მიწის მიმართ ადამიანის დამოკიდებულების შესახებ.

მესამე ჯგუფი-ინფორმაცია ნაცნობ ფრინველებზე და ცხოველებზე.

დათქმულ დღეს ყველა ჯგუფმა წარმოადგინა პრეზენტაცია: „საქართველოს ბუნებას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება“

პროექტის დასასრულს მოსწავლეებმა ჩაატარეს მათ მიერ მოძიებული მასალებისა და სლაიდების საშუალებით კონფერენცია, შექმნეს ფოტო კოლაჟი .

შედეგი:

სასწავლო პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოიყენეს პრაქტიკაში. მათი მოტივაცია ამაღლდა, გაიზარდა პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის, კომუნიკაციის, ახალი რესურსების შექმნის უნარი, რაც მათ გამოადგებათ ტექსტების , ვიდეოების, ფოტოების, რეპორტაჟების, ვებგვერდების და სხვათა მოსამზადებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა.
2. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2005წ.
3. დიმიტრი ბენაშვილი ვაჟა-ფშაველა, თბ. 1985წ
4. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ოთხ ტომად, გამომცემლობა „პალიტრა“ 2011წ.
5. ინტერაქტიული სწავლა-სწავლება, გამომცემლობა „მერანი“ 2012წ.
6. აბანდურა „სოციალური სწავლების თეორია“ 1981წ.
7. მოზარდის განვითარების კარნეგის საბჭო 1995 „მოზარდის მომზადება 21-ე საუკუნისათვის“ ნიუ-იორკი.

რეზიუმე

თემაში განხილულია ოცდამეერთე საუკუნეში არსებული ეკოლოგიური პრობლემა. სასწავლო პროექტის იდეა იყო არსებული პრობლემის გააზრება, განსაზღვრა, იდენტიფიცირება, რომლის აღქმა, გათავისება ისე კარგად ვერ იქნებოდა შესაძლებელი მეექვსე კლასელი მოსწავლეებისთვის, როგორც მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაციის, კატეგორიზაციის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, პრობლემის გზების გადაჭრის, ძიების დროს. აღსაზრდელებში პრობლემის გააზრებას ხელი შეუწყო კეთებით სწავლებამ.

სასწავლო პროექტით სწავლების დროს მოსწავლეებმა შეიძინეს მნიშვნელოვანი გამოცდილება. მათ გაუჩნდათ დედაბუნებისადმი მეტი სიყვარული, მზრუნველობის სურვილი. აღსაზრდელებმა მიზნად დაისახეს გაუფრთხილდნენ, გაალამაზონ, დაიცვან ბუნება განადგურებისა და დაბინძურებისაგან.

Нино Бенделиани - Кутаисская физико-математическая публичная школа №41 имени Андрея Размадзе

Учебный проект в экологических проблем продуктивного метода двадцать первого века Резюме

В теме рассмотрена экологическая проблема, существующая в 21 веке, Идея учебного проекта состояла в определении, идентификации, анализе, поставленной проблемы, понимание которой не было бы полным для шестиклассников как так в процессе классификации полученной информации, распределения по категориям, применения теоретического знания на практике, решения проблемных ситуаций в процессе исследования.

В ходе работы над учебным проектом учащиеся овладели значительным опытом.

У них в большей степени появились любовь к природе, чувство её защиты.

Ребята поставили перед собой цель охранять природу от загрязнения.

ნათია ჯანჯღავა-ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ გერმანული ენის პედაგოგი.

თამარ ჭეიშვილი- ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ ბუნებისმეტყველებისა და ბიოლოგიის პედაგოგი, ხარისხის კოორდინატორი, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ზოოლოგიის მუზეუმის სპეციალისტი

სასწავლო პროექტზე მუშაობის სტრატეგიები „ჯანსაღი კვება“

სასწავლო პროექტის დროს ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და საკომუნიკაციო უნარები. პროექტზე მუშაობისას შეძენილ უნარ-ჩვევებს მოსწავლეები იყენებენ პრაქტიკაში; პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას, ისინი ხალისით მუშაობენ, რაც არ უნდა რთული იყოს დასახული მიზანი. ერთად ეძებენ გზებს, რომელიც ყველა სირთულეს ერთად გადააღაზინებს, როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებს;

სასურველია, რომ პროექტები დავგეგმოთ სხვადასხვა საგნის პედაგოგებთან ერთად.

ჩვენ (ბიოლოგიის და გერმანული ენის მასწავლებლებმა: თამარ ჭეიშვილი, ნათია ჯანჯღავა) მეცხრე კლასში პროექტის ჩასატარებლად შევარჩიეთ თემა- „ჯანსაღი კვება“.

პროექტის ჩატარება მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

მოსწავლეები გაეცნენ გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ერთ-ერთი პრობლემა გახლავთ ჯანსაღი კვება.

თემისა და მიზნის სწორად შერჩევა :

-ჭარბ წონიანი ბავშვების რიცხვთა სიჭარბე, როგორც აქტიუალური პრობლემატიკა.

-მათ უნდა გამოავლინონ ადამიანის საკვებ პროდუქტებში შემავალი მნიშვნლოვანი ნივთიერებები, განსაზღვრონ დიეტური კვების მნიშვნელობა.

-ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესება.

პროექტის ჩასატარებლად საჭირო აქტივობების შერჩევა, რესურსების მობილიზება.

წინასწარ გავანალიზეთ და ეტაპობრივად დავგეგმეთ პროექტი. მოსწავლეები ინტერესით მოეკიდნენ შეთვალვებულ დავალებებს. მიზანი უნდა შეესაბამებოდეს ამოცანებს, უნდა იყოს ნათელი, მიღწევადი.

მოსწავლემ უნდა ისწავლოს მთავარი პრობლემის დანახვა

ნებისმიერ საკითხში,

ძირითადი პრობლემის გამოყოფა და მისეული ხედვით ამ

პრობლემის მოგვარება;

რამდენად მიღწევადია ეს პროცესი?

პროექტით სწავლებამ უნდა აამაღლოს მოსწავლეთა მოტივირება და გაზარდოს მათი პასუხისმგებლობა. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, როდესაც მათი შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯანსაღ საკვებს უწოდებენ იმ საკვებს, რომლებიც ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კომპონენტებს შეიცავენ. მაგ: თაფლი, ვაშლი, ლიმონი, მაწონი და სხვა მსგავსი ტიპის საკვები.

ჯანსაღი საკვები ასოცირებულია ნორმალურ წონასთან. ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ მუდმივად ზომიერად ჯანსაღი საკვები მიიღონ გამოირჩევიან ნორმალური წონით და მათ შორის ჭარბი წონის ან სიმსუქნის გავრცელება შეზღუდულია.

კვების ყოველდღიური რაციონი ხშირად სავსეა უკიდურესობებით: ძალიან ტკბილი, ძალიან ცხიმოვანი, ძალიან ბევრი ცილები, კვების არასწორი რეჟიმი და ა.შ.

ჭარბ წონასთან ერთად ბავშვებს და მოზარდებს აწუხებთ მაღალი წნევა, სისხლში ცხიმისა და შაქრის დონის მატება.

ჩვენი ვიზუალური დაკვირვებით სკოლაში მომრავლდა ჭარბწონიანი ბავშვების რიცხვი. ზოგი მათგანი რამოდენიმეჯერ სტუმრობს ბუფეტს დღის განმავლობაში. ამან გამოიწვია ჩვენი დაინტერესება ჯანსაღი კვების მიმართ, თუ რას მიირთმევდნენ დღის განმავლობაში ბავშვები.

ჩვენი აზრით, ზოგადად ეს განპირობებულია ბაზარზე არაჯასადი საკვების სიმრავლითაც. თუმცა ეს საკვები, ამავე დროს, ბავშვებისთვის სავსებით გემრიელია. ასეთი პროდუქტები ნებისმიერი სკოლის ბუფეტში იყიდება, მათ შორის ჩვენი სკოლის ბუფეტშიც არ არის გამონაკლისი.

ბევრი დაავადება მოსწავლეებს სწორედ არასწორი კვების გამო უფითარდებათ. ჯანსაღი კვება უკიდურესად მნიშვნელოვანია ჩვენი ორგანიზმის და გონების განვითარებისათვის. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაცია - „ჯანსაღი და უსაფრთხო კვება სკოლაში“.

დოკუმენტი წარმოადგენს მეთოდურ რეკომენდაციას და ორიენტირებულია სკოლაში ბავშვთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილი კვების სტანდარტების დანერგვისაკენ. ჩვენ გავაცანით ამ დოკუმენტს და გავაცანით მოსწავლეებსაც მნიშვნელოვანი ადგილები.

ამის შემდეგ პირველ რიგში ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის, რათა გაგვეგო ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია ჯანსაღი კვების შესახებ და თუ ჰქონდათ, რა რჩევებს მისცემდნენ ჭარბწონიან ადამიანებს.

ასევე ვთხოვეთ თავიანთი კვების რაციონის შესახებ ესაუბრათ.

კითხვარი ჯანსაღი კვების შესახებ დემოგრაფიული მონაცემები

- 1.ქვეყანა
- 2.ქალაქი
- 3.სკოლა
- 4.სახელი და გვარი
- 5.დღვანდელი თარიღი
- 6.თქვენი სქესი
- 7.თქვენი წონა
- 8.თქვენი სიმაღლე

კითხვები საკვების შესახებ

ბოლო 12 თვის განმავლობაში საშუალოდ რა სიხშირით იღებდით და იღებთ ქვემოთ ჩამოთვლილ საკვებსა და სასმელს?

საკვები და სასმელი	არასოდეს იშვიათად	ან	კვირაში 1-2 -ჯერ	კვირაში 3-ჯერ	ან
ხორცი (საქონლის,დორის,ხბოს)					
ხორცი (თევზის)					
ხილი					
ბოსტნეული (მწვანე და ძირხვენები)					
პარკოსნები (ბარდა,ლობიო,ოსპი)					
ხორბლეული (პურის ჩათვლით)					

მაკარონი			
ბრინჯი			
კარაქი			
მარგარინი			
თხილგული			
კარტოფილი			
რძე			
რძის პროდუქტები			
კვერცხი			
სწრაფი კვების პროდუქტები (მაგ. ბურგერები)			
მაწონი (სახლის)			
მაწონი (ქარხნული)			
იოგურტი			
ხაჭო			
ტკბილი სასმელები გაზიანი			

კითხვები კვებითი ალერგიის შესახებ

- გქონიათ თუ არა ოდესმე ალერგია საკვებზე?
 - კი
 - არა
- თუ კი, გთხოვთ მიუთითოთ საკვები, რომელზეც თქვენ გქონიათ ექიმის მიერ დადგენილი ალერგია

კითხვები საკუთარი რაციონის შესახებ

გსმენიათ თუ არა რამე „ჯანსაღი კვების“ შესახებ?

ფიქრობთ თუ არა, რომ იკვებებით ჯანსაღად ?

რა ცვლილებას შეიტანდით თქვენს ყოველდღიურ რაციონში?

რა კერძებს დაამატებდით თქვენს ყოველკვირეულ რაციონს?

რა ცვლილებებს შეიტანდით სკოლის ბუფეტის მენიუში?

გამოკითხვის გარდა, ბუფეტში ჩავატარეთ **ექსპერიმენტი** ერთ-ერთ დასვენებაზე. მაგიდაზე მოვათავსეთ ერთ ჯამზე მწვანე ვაშლი და მეორეზე შოკოლადი. მოვუწოდეთ ბავშვებს გაეკეთებინათ თავიანთი არჩევანი. მით უმეტეს, რომ პროდუქტები უფასო იყო. ჩვენდა გასაკვირად ვაშლი უფრო ადრე გათავდა, ვიდრე შოკოლადი. ამის ნიადაგზე, ბუფეტის მენეჯერს მივმართეთ თხოვნით ბუფეტის რაციონში შეეტანათ ვაშლი და მწვანე სალათის ფურცლები. ეს ორი პროდუქტი ხელმისაწვდომია ყველასათვის და ამავდროულად ვიტამინებითაა გაჯერებული. საქართველოში ისეთი კლიმატია, მთელი წლის განმავლობაში ხელმისაწვდომია ამ პროდუქტის შემენა.

ჩვენი წინადადება მიიღეს და ბუფეტის რაციონში შეტანილ იქნა ვაშლი და სალათის ფურცლები.

ასევე რჩევები მივიღეთ სკოლის ექთნისგან. **პრევენტივის** საშუალებით დამსწრე საზოგადოებას მოსწავლეებმა წარუდგინეს ჩატარებული აქტივობები და ისაუბრეს ჯასალ კვებაზე, რათა აემალლებინათ მათში ცნობიერება ჯანსაღი კვების შესახებ. ამის შემდეგ გაიმართა დისკუსია.

მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შევქმენით დიაგრამა. სტატისტიკური დამუშავების შედეგად შედეგები დიაგრამის სახით გამოვსახეთ. ჩავატარეთ მინი **დისკუსია** გამოკითხვის შედეგებზე და **დიაგრამის** მონაცემებზე. დისკუსიის დროს გონებრივი იერიშის მეშვეობით გავაკეთეთ იმ ცხიმეულისა და ტკბილეულის სია, რომელიც კვებითი პირამიდის ზედა წვეროზეა მოცემული. ასევე დასახელებული იქნა ჯანსაღი კვების პროდუქტები.

პრეზენტაციის შემდგომ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეთა მშობლებმა, რომელთაც სამედიცინო განათლება აქვთ- ბევრი მათგანი ექიმი. თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე ბავშვებს სასარგებლო რჩევები მისცეს.

მოსწავლეთა უმეტესობამ კი იციან ჯანსაღი კვების შესახებ და თუ რა უნდა მიირთვან, მაგრამ უპირატესობას სწრაფი კვების პროდუქტებს, შოკოლადებს და გაზიან სასმელებს ანიჭებენ.

ამის ნიადაგზე სკოლის ბუფეტში მოსწავლეებმა გააკრეს თავიანთი ხელით შექმნილი პლაკატები, რომლის საშუალებით მიუთითებდნენ თანატოლებს, რა პროდუქტი უნდა მიეღოთ, რა არის სასარგებლო და საზიანო მათი ჯანმრთელობისთვის.

ჩვენ ვფიქრობთ, ამ პრობლემის გადაჭრით შემცირდება ჭარბწონიან ბავშვების რიცხვი. აქედან გამომდინარე ჭარბწონასთან დაკავშირებული პრობლემები. ამის შედეგად ბევრმა გადაწყვიტა თავისი წონისთვის ყურადღება მიექცია ჯანსაღი კვების საშუალებით.

ყოველივე ამას დადებითად შეხვდა სკოლის ადმინისტრაცია და მშობლები.

სკოლის ბუფეტის რაციონში შეტანილი იქნა ვაშლი და სალათი.

დავურიგეთ **საინფორმაციო ფურცლები** ჩვენს სკოლელებს-განსაკუთრებით ჭარბწონიანებს.

სკოლის ორმა მოსწავლემ სურვილი გამოთქვა **თეატრალიზებურად** გამოეხატათ ცხიმიანი საკვების მავნებლობა და ჩვენ მათ შეეთავაზეთ ჯანსაღი საკვებისთვის უპირატესობის მინიჭება. ნაკლები ნამცხვრები, ნაკლები ფუნთუშები, რადგან მათში დიდი რაოდენობით შაქარი არის!

ვფიქრობთ, პროექტი საინტერესოდ წარიმართა. მოსწავლეებმა შეძლეს გამოეკვეთათ არსებული პრობლემატიკა და ემსჯელათ ამ საკითხის ირგვლივ. ყოველივე ამის შედეგად, გაიზარდა მოსწავლეთ მოტივაცია, მათი სურვილია კიდევ ჩატარდეს ასეთ საინტერესო გაკვეთლები და მომზადდეს პროექტები.

ლიტერატურა:

1. მ. ბოჭორიშვილი; როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი - გზამკვლევი მასწავლებლებს; http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=174
2. მ. ბოჭორიშვილი - ტრანსფერული ცოდნის შექმნის პროცედურები და შესაბამისი მეთოდური ინსტრუმენტები; <http://mastsavlebeli.ge/?action=news&lang=geo&npid=730>
3. ს. ლობჯანიძე; როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტგაკვეთილი ;
4. **ჯანსაღი და უსაფრთხო კვება სკოლაში (გაიდლაინი)** – <http://www.moh.gov.ge/files//2015/Failebi/29.10.15-1.pdf>
5. **ჯანსაღი კვების სწავლება დაწყებით სკოლებში ტ 1: ქრესტომათია-2008 წ.**

რეზიუმე

სასწავლო პროექტის დროს ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და საკომუნიკაციო უნარები. პროექტზე მუშაობისას შეძენილ უნარ-ჩვევებს მოსწავლეები იყენებენ პრაქტიკაში; პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას, ისინი ხალისით მუშაობენ, რაც არ უნდა რთული იყოს დასახული მიზანი.

საკვანძო სიტყვები: პროექტი, კვლევა, მოტივაცია.

ნათია Джанджгава-Грузино-американская школа «Прогресс» Преподаватель немецкого языка.

Тамар Чеишвили - Грузино-американская школа „Прогресс,, - Преподаватель биологии, Координатор управления качеством естественных наук.Специалист музея зоологии им.Г.Кокочашвили.- Государственный университет А.Церетели г.Кутаиси

Резюме

Во время подготовки проекта развиваются научно-исследовательские, творческие, и коммуникационные навыки. Навыки работы проекта учащиеся используют на практике; Проектное обучение повышает мотивацию учеников, они готовы работать, каким бы трудным не была установленная цель.

Ключевые слова: проекты, исследования, мотивация.

ეკატერინე ჯოხაძე - სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითის საჯარო სკოლა, ბიოლოგიის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი

ინტეგრირებული გაკვეთილის მნიშვნელობა ადამიანის ანატომიის სწავლების საკითხში

ინტეგრირებული გაკვეთილი, ინტეგრირებული სწავლება, განათლების სპეციალისტები ხშირად საუბრობენ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ერთი სასწავლო დისციპლინის შიგნით არსებულ ინტეგრაციაზე რის გამოც დღეს ძალზე აქტუალურია ინტეგრირებული გაკვეთილის თემა. ბუნებისმეტყველების სწავლებისას ყურადღების გამახვილება განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, კვლევა -ძიების უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის გამოყენებაზე არის როგორც თანამედროვე პედაგოგიკის ისე ქართული კლასიკური დიდაქტიკის მოთხოვნა

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისა და აკატარების ეტაპებია:

1	თემის შერჩევა
2	კოლეგებთან ერთად /ან დამოუკიდებლად გაკვეთილის დაგეგმვა
3	გაკვეთილის ცასატარებლად საჭირო რესურსების მოზილიზება და კლასის მომზადება
4	გაკვეთილის ჩატარება
5	ჩატარებული გაკვეთილის შედეგების ანალიზი

როგორ შევარჩიოთ თემა ინტეგრირებული გაკვეთილისათვის, პედაგოგები ხშირად აღნიშნავენ, რომ ძნელია ისეთი თემების პოვნა, რომლებიც ერთი და იგივე საკითხის მრავალმხრივ შესწავლას შეუწყობს ხელს, ამიტომ პრაქტიკაში ინტეგრირებული გაკვეთილები ხშირად არ ტარდება. სემინარზე,კათედრის შეხვედრებსა და კონფერენციებზე კოლეგებთან თანამშრომლობა აიოლებს ისეთი თემების შერჩევას, რომლებზეც ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება შეიძლება.

ადამიანის ანატომია ბიოლოგიის ნაწილია, რომლის საგანია ადამიანის ორგანიზმის ფორმის და აგებულების, წარმოშობის და განვითარების შესწავლა. ადამიანის ანატომია სამედიცინო და ბიოლოგიური განათლების სისტემაში ერთ-ერთი ფუნდამენტური დისციპლინაა და მჭიდრო კავშირშია ისეთ დისციპლინებთან, როგორცაა ანთროპოლოგია და ადამიანის ფიზიოლოგია, შედარებითი ანატომია, პათანატომია, პლასტიკური ანატომია, რენტგენოანატომია, დინამიკური ანატომია, გენეტიკა. ცოცხალი ორგანიზმების ანატომიისაგან ადამიანის ანატომიის გამოყოფა განპირობებულია: მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიეთებელი ანატომიური ნიშნებით, აზროვნებით, ცნობიერებისა და დანაწევრებული მეტყველების უნარით.

საგაკვეთილო პროცესში საგანთშორისი ინტეგრაციის დაგეგმვის I ეტაპზე შესაძლებელია ჯერ შერჩეს თემატიკა და ამ თემატიკის გარშემო მოხდეს გუნდის შემოკრება, ან პირიქით მასწავლებლების გუნდმა გადაწყვიტოს ინტეგრირებული გაკვეთილის განხორციელება და ამ მიზნით შეარჩიოს ყველასათვის საინტერესო თემატიკა.

მაგალითად:

ვარიანტი 1.

VIII კლასის ბიოლოგიის მასწავლებელს, ესგ მიხედვით დაგეგმილია აქვს მუშაობა ენდოკრინული სისტემის თემატიკიდან ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციისა და მასთან დაკავსირებული პათოლოგი შესახებ. ეს საკითხი უფრო კარგად დამუშავდება ინტერდისციპლინარული განხილვით, გეოგრაფიასა და ქიმიასთან ინტეგრაციის შემთხვევაში. ამ იდეით იგი მიმართავს იგივე კლასთან მომუშავე გეოგრაფიისა და ქიმიის მასწავლებლებს. მათგან თანხმობის შემთხვევაში ისინი ჯგუფურად იწყებენ ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვას.

ვარიანტი 2.

VIII კლასის მასწავლებლები გადაწყვიტენ დაგეგმონ და განახორციელონ ინტეგრირებული გაკვეთილები, რადგან თვლიან რომ ინტერდისციპლინარული მიდგომა ეფექტურია და უფრო ნაყოფიერი, ვიდრე მასალის განკერძოებული ათვისება. ამ მიზნით ისინი არჩევენ გამჭოლ თემატიკას, რომელიც საერთოა ჯგუფის ყველა წევრი მასწავლებლისათვის.რადგან ამ სტატიის შინაარსია ინტეგრირებული გაკვეთილების როლი ადამიანის ანატომიის სწავლების საკითხში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კი ბიოლოგიის ამ დარგს საბაზო საფეხურზე მერვე კლასის

მოსწავლეები სწავლობენ თემატიკას ისევე საგნის შინაარსობრივი კურსიდან დავასახელებ, გამომყოფ ორგანოთა სისტემა. თირკმელი და მისი ფუნქციური მექანიზმის ფიზიკურ ქიმიური ასპექტი. ამ საკითხის შესწავლისა უმჯობესია მუშაობა ამავე კლასის ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებთან ერთად ვარიანტი 3.

VIII კლასის ბიოლოგიის მასწავლებელს, ესე მიხედვით დაგეგმილია აქვს მუშაობა საყრდენ მამოძრავებელი სისტემის თემატიკიდან კუნთოვანი ქსოვილი, კუნთების ფუნქციონირება და კუნთების განვითარების ინტენსივობის დამოკიდებულება ფიზიკურ დატვირთვას, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშზე, აღნიშნული ფაქტორი რამდენად განსაზღვრავს ტანადობის დარღვევის ან მისი გამოსწორების მიზეზს. ეს საკითხი უფრო კარგად დამუშავდება ინტერდისციპლინარული განხილვით, სპორტისა და ბიოლოგიის ბიოლოგიის ინტეგრაციის შემთხვევაში. ამ იდეით იგი მიმართავს იგივე კლასთან მომუშავე სპორტის მასწავლებლებს. მისი თანხმობის შემთხვევაში ისინი ჯგუფურად იწყებენ ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვას.

ვარიანტი 4.

VIII კლასის მასწავლებლები გადაწყვეტენ დაგეგმონ და განახორციელონ ინტეგრირებული გაკვეთილები, რადგან თვლიან რომ ინტერდისციპლინარული მიდგომა ეფექტურია და უფრო ნაყოფიერი, ვიდრე მასალის განკერძოებული ათვისება. ამ მიზნით ისინი არჩევენ გამჭოლ თემატიკას, რომელიც საერთოა ჯგუფის ყველა წევრი მასწავლებლისათვის. რადგან ამ სტატიის შინაარსია ინტეგრირებული გაკვეთილების როლი ადამიანის ანატომიის სწავლების საკითხში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კი ბიოლოგიის ამ დარგს საბაზო საფეხურზე მერვე კლასის მოსწავლეები სწავლობენ თემატიკას ისევე საგნის შინაარსობრივი კურსიდან დავასახელებ, ნერვული სისტემა, გრძნობათა ორგანოები. ამ საკითხის შესწავლისა უმჯობესია მუშაობა ამავე კლასის ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლებთან ერთად

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვის ეტაპი თავისთავად მოიცავს პედაგოგთა თანამშრომლობას, საკითხის ერთობლივ სწავლებას, რაც სწავლის პროცესში მოსწავლეთათვისაც მიღწევებისა და აკადემიური წარმატების გაუმჯობესებაშიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

საგაკვეთილო ორგანიზების სამი ძირითადი მოდელიდან ინტეგრირებულ გაკვეთილს ადამიანის ანატომიაში კონკრეტული საკითხების შესწავლის პროცესში, ვფიქრობ ყველაზე მეტად შეეფერება ჯგუფური მუშაობა და ჯიგსოუს ტექნიკის გამოყენება. ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობა უდავოა თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე განათლების მიზანი არა მხოლოდ ცოდნის, ფაქტობრივი ინფორმაციის დაგროვებაა, არამედ მიღებული ინფორმაციის ანალიზის, კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებაც. კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებისათვის კი მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, იაზროვნონ, ილაპარაკონ და ჰყავდეთ მსმენელი. ამისთვის არ არის საკმარისი საუბარი მხოლოდ მასწავლებელთან და მით უფრო, მხოლოდ მასწავლებლის საუბრის მოსმენა. მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნება ყალიბდება მხოლოდ ისეთ სასწავლო გარემოში, სადაც ხშირია ინტენსიური სტრუქტურირებული ურთიერთობა მოსწავლეთა შორის. სწორედ ამ მიზანს ისახავს ჯგუფური მუშაობა.

თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი -ჯიგსოუს ტექნიკა, რომელიც განავითარებს და პრაქტიკაში გამოსცადეს არონსონმა და მისმა სტუდენტებმა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში. არონსონის მიხედვით ჯიგსოუს ტექნიკა ხუთი ფაზისაგან შედგება:

1	ცალკეული თემის /თემის ნაწილების დამუშავება ჯგუფების შიგნით
2	თემის ნაწილების გადრმავევა ექსპერტთა ჯგუფებში
3	თემის ნაწილების გადაცემა ძირითად ჯგუფებში
4	თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება
5	შეფასება

მეთოდის გამოყენება ეფექტიანად შეიძლება დაინერგოს ახალი თემის განხილვისა და შესწავლის პროცესში. ამ დროს მასწავლებელს სწრაფად შეუძლია გაიგოს რა ცოდნას ფლობენ მოსწავლეები განსახილველი თემის ირგვლივ და რა დამოკიდებულებები აქვთ საკითხის მიმართ რაც მასწავლებელს ეხმარება გაკვეთილის სწორად აგებაში. მეთოდი ასევე ეფექტიანია, როდესაც ერთმნიშვნელოვანი პასუხი საკვლევ თემასთან და პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით არ არსებობს.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკით მიღებული გამოცდილების საფუძველზე მსურს გაგიზიაროთ მოსაზრება, რომ ბიოლოგიის, როგორც ცოცხალი სამყაროს შემსწავლელი მეცნიერების, ცოცხალი ორგანიზმების თუ სიცოცხლისათვის დამახასიათებელი რთული და მრავალმხრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენს ნებისმიერი საკითხის შესწავლის პროცესში ტრანსფერული უნარების განვითარებაზე ზრუნვა, რომელიც მიღწევადი მიზნების დასახვისა და კარგად დაგეგმილი საგაკვეთილო აქტივობების შესაბამისი მეთოდების გამოყენების საშუალებით, ხელს უწყობს მოსწავლეს ჩამოყალიბდეს აქტიურ შემეცნებლად. განსაკუთრებით, ამ შემთხვევაში გამოვყოფ ადამიანის ანატომიას, რადგან თვითონ დისციპლინა საჭიროებს, საფუძვლიანი განათლების მიღების პროცესში, ვემბოთ კავშირი არა მარტო ისეთ მონათესავე დისციპლინებთან როგორცაა ქიმია და ფიზიკა, არამედ ისეთი როგორცაა: მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, სპორტი და სხვა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ განათლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას, როგორც ბავშვის მომავალი აკადემიური პიროვნული და სოციალური ფორმირებისათვის ისე საზოგადოების განვითარებისათვის.

ლიტერატურა

1. მანანა რატანი, მანანა სეხნიაშვილი, მაია ბლიაძე "მასწავლებლის წიგნი გამჭოლი კომპეტენციები" მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2015;
2. გიორგი გახელაძე, ნინო ელბაქიძე, მაია ინასარიძე "მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გზამკვლევი" მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2014
3. ნინო ნიჟარაძე, ქესი მაკლინი, ტერეზა ბოლი, "სასწავლო და პროფესიული გარემო" მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2008
4. მანანა ბოჭორიშვილი, მაია ინასარიძე "სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება" მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2014 წელი
5. www.pedagogika.ge
6. ე.ს.გ.2011-2016

რეზიუმე

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ადამიანის ანატომის სწავლების მიზანია არა მარტო შევასწავლოთ მოსწავლეებს ამა თუ იმ ორგანოს აგებულება და ფუნქცია არამედ განვუვითაროთ მას ინტელექტუალური, კრიტიკული, შემოქმედებითი და ლოგიკური აზროვნების უნარი.

ნაშრომში განხილულია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, თანამშრომლობითი სწავლების მეთოდის გამოყენებითა და ჯიგსოუს ტექნიკური პრინციპების დაუფლებით, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფარგლებში, პოზიტიური, ორგანიზებული და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნა

Ekaterine Jokhadze - the certificated teacher of Biology, involved in scheme of public school in the LEPL. Tskaltubo municipality, village Opshkviti

The meaning of intergated lesson in the matter of teaching humans anatomy.

Annotation

The aim of learning human anatomy at secondary schools is not only study body structure and function to pupils, but develop them intellectual, critical, creative, logical thinking skills.

This article is about how to give an integrated lesson by using cooperative learning technique and Jigsaw`s technique principals mastering, limits of learning oriented on the pupil, and how to create learning environment based on positive, organized and cooperative relationships.

Sophio Moralishvili - Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Modern Technologies in Teaching Analytical Reading

Introduction

The aim of the paper is to show problems related to the teaching of reading skill. It also represents an attempt to integrate modern communicative technologies in teaching analytical reading as an additional motivator for students. As an experiment I decided using blogs in teaching analytical reading with upper-intermediate students.

In day-to-day classroom a growing number of young learners of English are becoming more adept with digital technologies, and digital media such as blogs are becoming more relevant in language education as a whole. Thus, there is a need for a discussion on how to successfully integrate digital technologies into English language teaching. As we have recently seen, the shift from the paper-based to the digital classroom brings about a whole range of opportunities and challenges for learners and teachers, along with many changes to the roles, relations and dynamics within the classroom community. Importantly while a gap is visible between the old and the new, it is one that can be bridged and we need to think what innovations to bring in our classes.

Reading Skill

Of all the four skills of language acquisition, reading appears to be the most important channel for English language learners to learn the language and communicate with an English language society both in academic and non-academic contexts. In non-formal educational system and self-study situation, reading plays a critical role for learners' life-long learning and its efficient use will enhance learners' progress and achievement (Anderson, 1999). Also, in all academic fields, in order for the students to gain access to more knowledge and explore areas of science and technology, they do need to know how to read in English. Undoubtedly, reading is the most essential skill for people who learn English as a second or foreign language in the academic setting. Strevens (1977) also highlights the importance of reading by viewing. As he states it is important due to two reasons. 1) Reading provides an opportunity for the learners to be exposed to a great quantity of language use; 2) It offers the safest way for learners to continue their educational task. In countries where English is not widely spoken- reading seems to be the most attainable language skill for students (Dubin, 1982). In such contexts, since English is a nonofficial language which is rarely spoken in social communities, and there are not many native speakers of the language, and also English multimedia is not as prevalent as those in ESL contexts, reading becomes the main tool for foreign language learning through which learners step the paths of language learning endeavor by being provided with huge amounts of language input. Thus, the importance of research and studies on reading skill became crucial in Georgia as well.

During reading, some amateur readers face some difficulties that hinder their understanding and consequently block further progress. To name a few of the major weak points for such unsuccessful readers, we can refer to the inability in keeping attention on their progress when going through the text, and dealing with problems when it becomes difficult to make sense of the passage. Such learners are not so adept in exploiting reading techniques that boost comprehension, and carrying out a reading activity seems too complicated and challenging for them. Also, they often select ineffective and inefficient strategies with little strategic intent (Wood, Motz, & Willoughby, 1998). So, it seems that the main problem with reading difficulties of the students is their lack of strategic knowledge or even in case of being aware of some strategies, they do not know when and how to use them.

Therefore, the problem could be overcome by consciousness-raising activities over reading strategies. The purposeful, cognitive practices that readers apply while reading to get a better comprehension of the text and also adopting appropriate techniques to keep information in mind are defined as reading strategies. Being a skilled reader necessitates being aware of reading strategies and monitoring the process of reading comprehension.

In any case, we have put much emphasize on reading strategies to gain improvement in this skill. However, we have not found the universal key to success.

Many writers have classified reading components. Actually, there are different definitions of reading, most teachers agree that the reading process involves; (1) letters and word recognition, (2) comprehension of the texts, and (3) the comprehension integration from the new texts to the readers own knowledge or comprehension to

create other new information (Hamra & Syatriana, 2010). The purpose of reading is students interact with the printed materials to get appropriate meaning (Ling, 2012). In this case, the readers have to observe, interpret, and evaluate the printed pages. The process of getting meaning may be different among readers because of the previous knowledge and the purpose of reading the texts. A prose of reading involving observation, prediction, interpretation, and evaluation happens quickly in the readers' mind to get meaning. The reading duration is not very important, but the most important aspect is the active participation of the readers in getting meaning from the text.

Reading for comprehension involves the relationship between meaning and word symbol, the choice of appropriate meaning based on the context, the organization of meaning, and the ability to give arguments and catch ideas. The comprehension depends on the basic cognitive knowledge, previous knowledge, vocabulary command, knowledge of concepts, and language knowledge (Syatriana & Hamra, 2010). Many scholars stated that comprehension had three levels: (1) literal comprehension (reading on the lines), (2) inferential comprehension (reading between the lines), (3) critical comprehension (reading beyond the lines). Others added one more reading level: creative comprehension that is the ability to apply information and respond emotionally.

In the literal level of comprehension, the readers are expected to express the core message of the text; Some skills that are necessary for this level include following directions, remembering facts, recognizing the main ideas, and knowing the organization of the texts. In the inferential level, readers are expected to integrate information and draw conclusion or inference, and they need to know not only what the writers write but also what they mean. In the critical comprehension the readers are expected to use the current information to create new information or ideas. Readers are reading beyond the lines to find the possible new information.

Reading Lectures

Reading lecturers who are in charge of improving the reading comprehension of the students need to know the nature of reading, reading process, and reading strategies. The reading lecturers should transfer this knowledge to the students in order to help them read texts. They play an important part in the teaching and learning process, and without them teaching and learning processes do not occur.

Students are interested and motivated to read because of the interesting and the motivating teaching and learning process; on the other hand, the lack of interest and motivation of students to read, because teachers do not give students opportunity to help and support one to each other. Learning support can be from students' friend or from the learning team. Teachers should support or maintain the students' awareness to participate in reading by preparing different types of appropriate reading strategies. Group work may happen at home, school, or in the work place; it is part of our daily life (Smit, 2004). Teachers at school arrange their students to work in group; they expect them to learn in group setting for solving learning problem and obtaining the learning objectives.

Reading Students

Being a good reader takes time; it needs a good learning process with a number of exercises and a lot of time. Communicating through texts involves a process of thinking in a short time where the readers have to evaluate, interpret, predict, and conclude. Atkinson (1985) classified readers into three categories: (1) independent readers, (2) dependent readers, (3) frustrated readers. The independent readers can answer comprehension questions correctly between 80% to 100%. The dependent readers can answer comprehension questions correctly between 60% to 79%. The frustrated readers only answer comprehension questions correctly below 60%.

What is Blog?

An Internet-based weblog, also known as a blog, is essentially a homepage managed by a writer. McIntosh (2005) expands this definition in the following way: Historically, a weblog, or 'blog' for short, is recognised by its regularly updated, time and date stamped posts, running down the computer screen in chronologically reverse order (i.e. the most recent post comes first). Crucially, there is an 'Add Comment' feature so that readers of posts can leave their opinions, questions or thoughts. Finally, there is a writing style element: blogs are written by one individual who gives his or her thoughts in a generally relaxed, 'spoken' style.

According to Williams & Jacobs (2004), "...Blogs' have evolved along similar lines to other forms of human communication in that they are a product of convenience rather than design". Others connect blogging with journal writing, stating that "like a journal, a blog can be a continually updated resource that grows over time with the accumulation of writing and other content. This archived information is accessed using a simple calendar that highlights the dates on which entries were made". These and various other researchers have also recognized

blogging as “a set of... phenomena” that has, since its inception as a manner of producing anything from online diaries to academic and reflective journals, emerged to have the capacity to “engage people in collaborative activity, knowledge sharing, reflection and debate”.

Analytical reading course

I conducted a little experiment with my class. I divided Analytical Reading course of three stages. In the first stage, the students had to read individually the required instructional reading materials, which were prepared by me. In my class I use the book by Sybil Marcus “A World of Fiction, Twenty Timeless Short Stories”. In the classroom students of different achievements from low to high answered the comprehension questions and discussed and shared orally the ideas of the read materials. Thus, there was a discussions in the first stage. The main purpose of selected reading materials is to increase reading participation and the global knowledge of the students. In the second stage, every student was supposed to read the related material selected by them or proposed by me. Then at class they shared the ideas, concepts, or experiences. In the third stage, all students were asked to present their work and reactions to readings in Blog created by the teacher. In my opinion, Blog facilitates discussions to help students develop their insights related to the discussing topics. It is the attractive place to reinforce students to participate in the discussion.

Students were asked to write their comments on the topic relate to husbands, wives and lovers. I created a blog with the name “Adultery” which included four stories: "Can-can" by Arturo Vivante; "The Story of an Hour" by Kate Chopin; "The Kugelmass Episode" by Woody Allan; "The Legacy" by Virginia Woolf. Students wrote comments about: “how adultery is viewed in our culture”, “the honest communication between couples”, “Marriage is a bad bargain...”, “stigma attached to divorce”...

Outcomes

Thus, reading lecturers have to understand the nature of reading teaching, methods of teaching reading, learning and teaching theories, language theories, and the pedagogical aspects of teaching and learning. They need to motivate their students in many ways.

In my attempt to improve the learning outcome of students I decided to use blogs while teaching analytical reading. As a result, students better interpreted and evaluated the material; they became better in observation, prediction, interpretation, and evaluation. They actively participated in class discussions and with great enthusiasm wrote their comments on the blog. In overall, there was a significant increase in students’ critical comprehension and creative comprehension.

References:

1. Anderson, N.J. (1999). Exploring Second Language Reading: Issues and Strategies. Boston: Heinle & Heinle Publishers.
2. Heinle & Heinle Publishers.
3. Atkinson, R. H., & Longman, D. G. (1985). Reading enhancement and development. NY: West Publishing Company.
4. Dubin, F. (1982). What every EFL teacher should know about reading. English Teaching Forum, 20, 14-16.
5. Hamra, A., & Syatriana, E. (2010) A model of teaching reading comprehension for junior and senior high school, Makassar: Makassar State University Press.
6. Ling, P. (2012). The “whole language” theory and its application to the teaching of English reading. English Language Teaching, 5(3), 147-152.
7. McIntosh, E. (2005). From learning logs to learning blogs. Scottish Centre for Information on Language Teaching and Research. Retrieved on September 29, 2007, from <http://www.scilt.stir.ac.uk/SLR/Current%20Issue/SLR13%20McIntosh.pdf>
8. Smit, B. (2004). Group work. In I. Eloff, & L. Ebersohn (Eds), Keys to Educational Psychology. Cape Town: UTC Press.
9. Strevens, P. (1977). New Orientations in the Teaching of English. London: Oxford University Press.
10. Williams, J., & Jacobs, J. (2004). Exploring the use of blogs as learning spaces in the higher education sector. Australian Journal of Educational Technology, 20(2), 232-247. Retrieved on September 25, 2007, from <http://www.jeremywilliams.net/AJETpaper.pdf>;
11. Wood, E., Motz, M., & Willoughby, T. (1998). Examining students' retrospective memories of strategy development. Journal of Educational Psychology, 90(4), 1-7.

Resume

Of all the four skills of language acquisition, reading appears to be the most important channel for English language learners to learn the language and communicate with an English language society both in academic and non-academic contexts. In modern classroom, the shift from the paper-based to the digital brings a whole range of opportunities and challenges for learners and educators, and digital media such as blogs are becoming more relevant in language education as a whole. The article discusses how to successfully integrate blogs while teaching analytical reading as an additional motivator for students. As an experiment I decided using blogs in teaching analytical reading with upper-intermediate students. I divided Analytical Reading course of three stages. In the first stage, the students read individually the required reading materials. In the second stage, every student shared the ideas, concepts, or experiences. In the third stage, all students were asked to present their work and reactions to readings in Blog created by me. Students were highly motivated and even those with low achievements tried being a blogger.

სოფიო მორალიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ტექნოლოგიები ანალიზური კითხვის სწავლებისას

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თანამედროვე ტექნოლოგიების წარმატებულად ინტეგრირების შესაძლებლობა ანალიზური კითხვის სწავლებისას. როგორც მოგეხსენებათ, ციფრული ტექნოლოგიები ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს როგორც ინგლისური ენის შემსწავლელებს, ასევე პედაგოგებსაც. სტატია გვთავაზობს ბლოგების გამოყენებას ინგლისური ენის ანალიზური კითხვის სწავლებაში სტუდენტთა მოტივაციისა და საკლასო დროის გაზრდის მიზნით.

ექსპერიმენტულ ჯგუფში ანალიზური კითხვა დაეყავი სამ საფეხურად: 1. წაკითხულის გააზრება და განხილვა; 2. დამატებითი მასალის წაკითხვა, კლასში წარდგენა და დისკუსია-მსჯელობები; 3. ბლოგზე საკუთარი კომენტარებისა და მოსაზრებების ატვირთვა. კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტთა მოტივაცია გაიზარდა, წაკითხულის გააზრების უნარი და საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად და გაბედულად გამოხატვის უნარი გაუმჯობესდა.

Ekaterine Topuria - Associate professor of Akaki Tsereteli State University

Estimating the Effectiveness of Self Assessment of a teacher

Introduction

The lust of joining the common European frame of higher education claims new demands for school teachers. They are to bring the new approaches to students with new needed structures and innovations to apt to the existing curriculum.

Teachers' upgrading and qualification rise has been a matter of concern and dispute for decades.

The study of syllabuses has shown that very little is reflected in them connecting the trends of so called “Cultural Dialogue”. Then when the trend is being taught within the common European framework in the curriculum and the student owns certain knowledge and skills in this respect.

The reason of the existing problem appears to be the lowered rank of self effectiveness among students what causes a negative deals towards the reform revealed in the following approach. Like : ‘ I can not do it ‘, ‘It overweighs my efforts’, ‘I can go through without that’, all mentioned approaches are in contrast with the reform.

Procedure/ Methods

Thus a very affective concept for social studies has been self regulation. The psychologist Anthon Bandera mentioned that people usually observe their behavior. They sometimes estimate their behavior in accordance with their own standards and correspondingly they praise or punish themselves. Everyone has experience the sense of self-satisfaction after successful fulfillment of the job. We can also notice when we are not fully in harmony with the demands of the work. The following criteria appear to be the issues of self regulation:

- Individual standards and goals
- Methods for monitoring mental behavior and processes
- The result we claim for self success and failure when we set goals for ourselves and can manage and have skill of self-regulation.

Self-effectiveness is a man's impression on his sub consciousness i.e. with its reflective thinking. It is a complicated mental skill, the process of critical elaboration which comprises analyzing of behavior and thinking, planning and control mechanisms.

Professional approach, self-assurance , inner and outer motivation, usage of modern methods will help to evaluate the rate of self effectiveness.

We have held an experiment to evaluate th self- effectiveness of a teacher.

The aim of the research : detecting the self-effectiveness to encourage the university teacher to raise competence of “cultural dialogue” as a modern approach in teaching.

Research Factors:

The teacher's experience

General interest towards a teacher's professional level

Improving self-effectiveness of teaching/learning process

The time of delivery: December, 2016

Research methods: survey , questions from 1 to 5 points.

The indicator of a teacher's experience

Questions	seldom	sometimes	always
Do you think you have a successful experience	35%	10 %	55%
Do you want colleagues to know your experience?	35%	10%	55%
Have you observed other teachers' participation in your activities?	45%	20%	35%
After sharing your experience do you care of its improvement?	37%	13%	50%
Your experience is directed to concrete direction			

The indicator of a teacher's experience of 'Cultural Dialogue' in teaching/learning process

questions	less	medium	fully
Do you find yourself interested in sharing your experience in 'cultural dialogue'?	0	0	18
Do you find your experience effective for others?		2%	16%
Have you shared the colleague's experience in your work?	2%	7%	9%

Conclusion

The conducted research has shown the final outcomes for estimating the teacher's self-esteem in the second language class for measuring the teacher's role in the language class of a various cultural background students.

A Teacher's Experience Indicator

A teacher's education	Wish to share the personal Experience	Cultural Dialogue Outcomes to Share
Higher	2%	3%
Doctorate	25%	7%
Doctor	37%	8%

The Final Findings of Teaching Drawbacks

	yes	no	partly
Can you make finding for Assumption and solution of the teaching problem?	+		
Feeling of failure	+		
Would you do another work for the same salary?		+	
Can you protect the position in any situation	+		
Are you interested in correcting the remark?	+		
Do you know how to achieve progress in teaching?	+		+

In the development of self-effectiveness the research helped us to find out that university teachers acknowledge teaching and learning process modern approaches , the necessity of needed changes and newly planned approaches in fulfillment of aims in the process of teaching to raise the motivation and make really successful teachers to identify the indicator of their self-effectiveness , competence and plan the ways of achieving their goals in class.

Reference

1. kaWarava i. qarTveli xalxis erovnuli konsolidaciis etapebi. daskvnebi da ganzogadoebani. Tb., 1966.
2. nadiraSvili S. pirovnebis socialuri fsiqologia. Tb., 1975
3. Жинкин Н.И. Речь как проводник информации. – М., 1982.
4. Залевская А.А. Информационный тезаурус человека как база речемыслительной деятельности // Исследование речевого мышления в психолингвистике. – М., 1985.
5. Shweder R.A., Sullivan M.A. Cultural Psychology: Who Needs It? || American Review of Psychology. 1993. Vol. 44.

The Abstract

The aim of the presented paper appears to be the existing problems connected with the design of a modern teaching curriculum. As it is known the lust of joining the common European framework of higher education claims new demands for school as well as university teachers. They are to bring the new approaches to students with new needed structures and innovations to apt to the existing curriculum then when English classes appear to be multinational.

The goal of the research is detecting the self-effectiveness to encourage the university teacher to raise competence of so called “cultural dialogue” as a modern approach in teaching. The estimated research factors are :

The teacher’s experience

General interest towards a teacher’s professional level

Improving self-effectiveness of teaching/learning process

The learning outcomes of the research suggest the possible ways of newly planned approaches in fulfillment of aims in the process of teaching to raise the motivation and make really successful teachers to identify the indicator of their self-effectiveness , competence and plan the ways of achieving their goals in class.

ეკატერინე თოფურია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მასწავლებლის თვითშეფასების კრიტერიუმები ინგლისური ენის მრავალენოვანი აუდიტორიისათვის

რეზიუმე

სტატიის - მასწავლებლის თვითშეფასების კრიტერიუმები საკვლევი თემატიკა ეხება მასწავლებლის თვითშეფასების ამალღებას სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის საქმეში მრავალენოვანი ენის კლასის მეცადინეობისას. ევროპული სასწავლო გეგმის დიზაინი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ქართველ მასწავლებელს. დღესდღეობით არა მხოლოდ არსებული კურიკულუმის განახლების აუცილებლობის საკითხი დგება დღის წესრიგში, არამედ არამედ მასწავლებლის თვითეფექტურობის გაზრდის აუცილებლობის საკითხი ამსთან მრავალენოვანი ენის კლასების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ჩატარებულმა კვლევამ მიგვიყანა კონკრეტულ დასკვნამდე, რაც სტატიის ტუკურად მითითებულ ცხრილებში აისახა და მოგვცა სრული სურათი მასწავლებლის საჭირო კომპეტენციათა ინდიკატორების ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ.

ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომი მნიშვნელოვანი არა მხოლოდ მისი თეორიული არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რადგან ინგლისური ენა , როგორც მეორე უცხოური ენა არა მხოლოდ ერთენოვანი აუდიტორიისათვის არამედ მრავალენოვანი აუდიტორიისათვის ისწავლება.

ინგა კიკვიძე -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

მოტივაციის ამაღლება რუსულის როგორც უცხო ენის გრამატიკის სწავლების პროცესში

სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარ ამოცანას უცხო ენის სწავლების თანამედროვე კონცეფციის ფარგლებში წარმოადგენს არა მარტო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტისათვის, არამედ მისთვის სწავლის უნარის გამომუშავება, მისი მოტივაციის გაზრდა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის მიმართ. თანამედროვე კვლევები ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის სფეროში ადასტურებენ, რომ საქმიანობის ხარისი და მისი შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსწავლის ცნობისმოყვარეობაზე, სტიმულზე, მის მოტივაციაზე. სწორედ მოტივაცია განსაზღვრავს მიზანმიმართულ აქტივობას, საშუალებებისა და ხერხების არჩევას დასახული მიზნის მისაღწევად.

მოტივაციის ამაღლების პრობლემა აქტუალურია რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იგი გრამატიკის სწავლების თვალსაზრისით, რადგან სწორედ გრამატიკის სწავლისას იჩენს თავს ის შიში და „მიუღებლობა“ („გრამატიკა რთულია და არც არის საჭირო - მე ხომ მხოლოდ ლაპარაკის სწავლა მინდა!“), რომელიც გაცნობიერებულად თუ გაუაზრებლად გააჩნია ბევრ სტუდენტს. მეთოდისტთა ნაწილი თვლის, რომ შეიძლება გრამატიკის დეტალურად, ზედმიწევნით სწავლების იგნორირება და ეს არ შეაფერხებს მოსწავლის მიერ საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას - ენის შემსწავლელი ამის გარეშე შეძლებს თავისუფლად საუბარს და მოსაუბრის გაგებას. მეცნიერთა მეორე ნაწილი, პირიქით, თვლის, რომ გრამატიკის ცოდნის გარეშე კომუნიკაცია შეუძლებელია.

გრამატიკის შესწავლის განსაკუთრებული როლი ნებისმიერი უცხო ენის, მათ შორის, რუსულის შესწავლისას იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენს სწორედ იმ საფუძველს, ბაზას, რომლის გარეშე შეუძლებელია უცხო ენის როგორც კომუნიკაციის საშუალების სრულფასოვანი გამოყენება. მშობლიური ენის გრამატიკა „ჩაშენებულია“ ენის მატარებლის ცნობიერებაში და მისი გაცნობიერება მხოლოდ რეფლექსიის დროს ხდება. უცხო ენის სწავლებისას მასწავლებლის წინაშე დგას ურთულესი ამოცანა: მან შესასწავლი ენის გრამატიკული ფორმებისა და წესების სისტემა ავტომატური გამოყენების დონეზე, ანუ არაცნობიერის სფეროში უნდა გაიყვანოს.

რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში გრამატიკა არ გამოიყოფა როგორც სწავლების პროცესის დამოუკიდებელი მიმართულება. მისი შემოტანა ხდება სასწავლო პროცესის სიტუაციურ-თემატური ორგანიზების მეშვეობით, ანუ სამეტყველო პრაქტიკის გზით. მოსწავლის წინაშე დგას გარკვეული აზრის გამოხატვის ამოცანა, ხოლო გრამატიკა წარმოადგენს ამ ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას. ცხადია, ავტომატიზმის გამომუშავება გრამატიკული ფორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით, რასაც მასწავლებელი თანმიმდევრულად და დიდი ძალისხმევით ესწრაფვის, მოსწავლისათვის შეიძლება ერთფეროვანი, უინტერესო და ძალიან მოსაწყენი იყოს, თუ სასწავლო პროცესი არ გამდიდრდა მრავალფეროვანი აქტივობებით, თუ არ მოჰყვა მას სიახლე და შემოქმედებითი სტიმული. მასწავლებლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაზარდოს სტუდენტის მოტივაცია, მოახერხოს, რომ ინტერესი სწავლის პროცესის მიმართ იყოს მუდმივი და მყარი.

კომუნიკაციაზე ორიენტირებული მიდგომის დროს გრამატიკის სწავლება არ გულისხმობს სპეციალური დროის გამოყოფას; მისი განხორციელება ხდება ფუნქციონალურ და სიტუაციურ საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გრამატიკული მოვლენები შეისწავლება არა როგორც „ფორმები“ და „სტრუქტურები“, არამედ როგორც გარკვეული აზრების, მიმართებების, კომუნიკაციური ინტენციების გამოხატვის საშუალებები. შესაბამისად, ენის გრამატიკული მხარის შესწავლისას სწორედ ცოცხალ კომუნიკაციას უნდა მიენიჭოს უპირატესობა; მოსწავლისათვის გრამატიკული ფორმისა თუ წესის ჩვენებას „მოქმედებაში“. თუ უცხო ენის გრამატიკის სწავლების პროცესი შემოიფარგლა მხოლოდ წესის დახეპირებით, კითხვებზე პასუხით და სავარჯიშოების შესრულებით, შემდგომში მოსწავლემ, რომელსაც არ ექნება ამ გრამატიკული „ცოდნის“ პრაქტიკულად გამოყენების უნარი, შეიძლება გააკეთოს დასკვნა, რომ გრამატიკა სულაც არ არის აუცილებელი ენის შესწავლისთვის, რომ მან ტყუილად დაკარგა დრო, ჯობდა საუბარი, აზრების გადმოცემა ესწავლა.

გრამატიკული მასალის ფუნქციონალური შესწავლის და ამ პროცესში მოსწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რომლებიც

მრავალფეროვან, საინტერესოს გახდის მეცადინეობას და უფრო რეალურს - შესასწავლი გრამატიკული ფორმის ათვისება-განმტკიცებას. კერძოდ, ეფექტურია შემდეგი სასწავლო მასალებისა და აქტივობების გამოყენება:

- თვალსაჩინოება, ნახატები, სქემები, ცხრილები, პლაკატები. მაგალითად, შეიძლება ცალკე პლაკატზე დაწეროთ სიტყვები ან ფორმები, რომლებიც თავისებურებით გამოირჩევა, - გამონაკლისები. ასეთი პლაკატი შეგვიძლია შესაბამისი გამოვიყენოთ როგორც გრამატიკული მასალის ახსნის დროს, ასევე გამეორებისთვისაც და შემდგომში მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასასწორებლადაც;
- ლინგვისტური თამაშები. მასწავლებელს შეუძლია, მაგალითად, შეთავაზოს სტუდენტებს სამეტყველო ნიმუშების (მოდელების) სისტემა. თითოეული მოდელი ხასიათდება კონკრეტულობით, მიეწოდება მარტივი წინადადების სახით. ამავდროულად იგი აგებულია აბსტრაქტული განზოგადების საფუძველზე; მოსწავლეს მისი ანალოგიით შეუძლია ააგოს რამდენიმე ფრაზა. ასეთი სამუშაო კარგად უწყობს ხელს გრამატიკული მასალის ავტომატიზაციას. სამეტყველო მოდელებზე მუშაობა შედეგიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი დამუშავების პროცესში და მის შემდგომ სტუდენტს მიეცემა შესაძლებლობა (მიეწოდება სპეციალურად შერჩეული ტექსტები), დაინახოს შესწავლილი ნიმუშები ტექსტში, ამოიცნოს ისინი და გამოიყენოს ტექსტზე მუშაობისას. გრამატიკული მოდელის დემონსტრირებისათვის შერჩეული ტექსტი, სასურველია, იყოს მცირე მოცულობის, გასაგები და ადვილად დასამახსოვრებელი; შეგვიძლია მივმართოთ ანდაზებს, ფრაზეოლოგიზმებს, ამოცანებს, ლექსებს.
- სპეციალურად შერჩეული მცირე ზომის ლექსების ზეპირად სწავლა. ლექსი ან სიმღერა შერჩეულია იმგვარად, რომ მასში მეორდება საჭირო გრამატიკული ფორმა;
- ტექსტზე მუშაობა. უკვე შესწავლილი გრამატიკული ფორმის განმტკიცებისთვის მიზანშეწონილია მუშაობა სპეციალურად შერჩეულ სიუჟეტურ ტექსტზე, რომელშიც შესწავლილი გრამატიკული მოვლენა რამდენჯერმე გვხვდება. ამ სამუშაოს მიზანია სტუდენტთა ყურადღების გადართვა გრამატიკიდან ტექსტის შინაარსზე, მათი ჩართვა ტექსტის პრობლემატიკის განხილვაში (შესწავლილი გრამატიკული ფორმების გამოყენებით) და ამ გზით მუშაობის ახალ დონეზე გადასვლა. ამ დროს გრამატიკული მასალის განმტკიცება სტუდენტებისთვის თითქოს შეუმჩნევლად ხდება;
- პრობლემური დიდაქტიკური ამოცანების გადაწყვეტა. ეს აქტივობა განსაკუთრებით მიზანშეწონილია რთული გრამატიკული მასალის შესწავლისას, როდესაც სტუდენტები, ყურადღების კონცენტრირების შედეგად, იღლებიან და, შესაბამისად, მათ მიერ მასალის აღქმაც სუსტდება. ასეთ სიტუაციაში პრობლემური დიდაქტიკური ამოცანების ჩართვა მასალის განმტკიცების ეტაპზე, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ძალიან ეფექტურია: იცვლება აქტივობის ტიპი, სტუდენტთა ფსიქოლოგიური განწყობა, შეიძლება ჩართული იქნას ფიზიკური აქტივობაც (მაგალითად, მოძრაობის აღმნიშვნელი წინდებულიანი ზმნების შესწავლისას, უშუალოდ მოძრაობის შესრულება: *подойди к столу, отойди от стены, выйди из аудитории, зайди в аудиторию* და ა.შ.), რაც ახალისებს სტუდენტებს, იწვევს მათ ინტერესს და ამალავს მოტივაციას;
- როლური თამაშები. როლური თამაშები შეიძლება განხორციელდეს სასწავლო სიტუაციისა და ბუნებრივი, რეალური სიტუაციის საფუძველზე. რეალურ სიტუაციაში ვგულისხმობთ ისეთი სიტუაციის „გათამაშებას“, სადაც სტუდენტებს ეძლევათ რეალური დავალებები, მაგალითად, ერთ სტუდენტს ეძლევა დავალება, მოამზადოს მონოლოგი, მეორე სტუდენტი ან რამდენიმე მათგანი ვალდებულია შეასრულოს მასწავლებლის როლი - დააფიქსიროს მონოლოგის ავტორის შეცდომები და აუხსნას მას შეცდომების არსი, სხვა სტუდენტებს ევალება შეკითხვების მომზადება და ა.შ. ყველა სტუდენტი გრძნობს თავს სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ. ასეთი აქტივობა უფრო ახლოსაა რეალურ სინამდვილესთან, ვიდრე როლური თამაში, რომელშიც „გამოგონილია“ სიტუაცია, როლებიც და დავალებებიც. ფაქტობრივად, სტუდენტები აღიქვამენ მას არა როგორც როლურ თამაშს, არამედ როგორც რეალურ სასწავლო პროცესს.

ამრიგად, სტუდენტთა მოტივირება გრამატიკის შესწავლისას მიიღწევა სხვადასხვა ტიპის აქტივობების გამოყენებით. მოტივირება აუცილებელია სწავლების ყველა ეტაპზე, რათა მოხდეს სტუდენტის ინტერესის შენარჩუნება უცხო ენის შესწავლისადმი. მოტივირებული საქმიანობა უზრუნველყოფს პიროვნების ემოციურ დამოკიდებულებას საქმისადმი, რის სედეგად ღრმავდება

აზროვნება, ყურადღება, ადვილი ხდება დამახსოვრება და აღქმა, საბოლოო ჯამში კი, სწავლება უფრო ეფექტიანი ხდება.

Резюме

Одной из основных задач учебного процесса в рамках современной концепции преподавания иностранного языка является не только передача информации студентам, но и выработка умения учиться, повышение и мотивации к образовательной деятельности. Проблема повышения мотивации в преподавании иностранного языка особенно актуальна с точки зрения обучения грамматике, поскольку именно при изучении грамматических явлений проявляется тот страх и «неприятие», которые осознанно или неосознанно присутствуют у большинства студентов. В целях функционального изучения грамматики и повышения мотивации студентов преподаватель может использовать различные виды деятельности, благодаря которым занятия становятся более интересными, многообразными, а усвоение изучаемых грамматических форм – реальным. С этой целью целесообразно использование следующих учебных материалов и активностей: рисунки, диаграммы, таблицы, плакаты; лингвистические игры; заучивание специально подобранных стихотворений и песен; работа над текстом; дидактические проблемные задачи; ролевые игры.

Inga Kikvidze – doctor of philology, professor, Akaki Tsereteli State University

Enhancing Motivation in the Process of Teaching Grammar of Russian as a foreign language

Summary

Proceeding from the modern conception of foreign language teaching, one of the major objectives in the process of teaching is not only providing students with information but also developing students' learning ability and enhancing their motivation for educational activities. In the process of teaching Russian as a foreign language the problem of motivation enhancement is especially important in terms of teaching grammar, since in the very process of teaching grammar many students are consciously or unconsciously intimidated and reluctant to learn. In order to ensure the functional study of grammatical materials and to enhance students' motivation teachers can use various types of activities, which will make the learning process more exciting and will lead to a more productive process of the acquisition of grammatical forms. In this respect it is recommended to use the training materials and activities such as: visual aids, pictures, charts, tables, posters; linguistic games; specially selected small poems for learning by heart; working on the text; problematic didactic tasks; role-playing games.

ნელი სიჩინავა – Государственный университет Акакия Церетели, доктор филологии, профессор-ассистент

ПРОБЛЕМА ВЫБОРА СПОСОБА СЕМАНТИЗАЦИИ ЛЕКСИКИ ПРИ ОБУЧЕНИИ РКИ

Под термином «семантизация» в лингводидактике подразумевается первый этап работы над словом. Семантизация – это раскрытие значения слова или фразеологического сочетания, показ особенностей его употребления. Методическая разработка данного вопроса выявила его сложность и многогранность. При выборе той или иной стратегии учебной семантизации лексики необходимо учитывать целый комплекс различных факторов. В выделении и в использовании способов семантизации лексики большую роль играют три вида факторов: *методические* (этап обучения, цель обучения, уровень владения языком; количественный состав аудитории; время, отведенное на активизацию новой лексики; техническая обеспеченность учебного процесса; принадлежность слова к продуктивному или рецептивному минимуму), *психологические* (возраст учащихся, уровень языковых способностей), *лингвистические* (качественные характеристики слова, типологические особенности русского и родного языка учащихся, внутренние особенности слова, его системные свойства, национально-специфические особенности культуры (при семантизации безэквивалентной и фоновой лексики), наличие в слове экстралингвистического плана и т.п.). Выбор способа семантизации слова зависит также от лингвистической и профессиональной компетенции учителя, от того, работают ли учащиеся самостоятельно или под руководством учителя. Главным требованием, предъявляемым к учебной семантизации, является её адекватность. Адекватной называется семантизация, отвечающая статусу слова в данном или однородных контекстах.

Согласно коммуникативному принципу обучения при изучении иностранного языка учащиеся должны не только понять и запомнить новые слова, и но и активно использовать их во всех видах речевой деятельности (чтение, письмо, говорение, аудирование). Овладение новой лексикой происходит не изолировано, а в системе различного рода связей. При формировании лексического навыка происходит становление таких видов связи, как: денотативная (связь лексической единицы с объектом действительности); ситуативная (связь лексической единицы с ситуацией ее употребления); знаковая (связь между лексической единицей и ее эквивалентом в родном языке); сигнификативная (показывает наиболее существенные признаки предмета, составляя содержание понятия, именно этот аспект значения раскрывается в толковых словарях); фоновая (ассоциация национально-культурного характера); структурная (фиксирует место лексемы в языковой системе, демонстрирует синтагматические и парадигматические отношения знаков друг к другу), эмотивная (выражает эмоционально-экспрессивную оценку обозначаемого). Семантизация может быть полной, когда формируется вся система связей, и частичной, когда акцентируется только денотативная, знаковая или ситуативная связь.

По существующей традиции способы семантизации слов делят на две группы: переводные (с использованием родного языка) и беспереvodные (одноязычные).

К переводным способам семантизации относятся: замена слова (словосочетания или оборота) соответствующим эквивалентом родного языка; перевод–толкование (особенно для безэквивалентной, лакунарной и фоновой лексики), при котором учащимся сообщаются сведения о совпадении (или расхождении) в объеме значения; самостоятельное ознакомление со словарем.

Психологической основой применения перевода при обучении неродному языку является то обстоятельство, что второй язык неизбежно усваивается через призму первого, родного, языка. По справедливому утверждению А. А. Леонтьева, «человек не может сразу заговорить на новом языке. Он должен пройти через ступень опосредственного владения иностранным языком, опосредствующим звеном выступает здесь система правил реализации программы, выступающая в родном языке». Речь идет о соотношении в сознании учащихся двух языковых систем и о выработке оптимального их соотношения.

Перевод на родной язык – самый простой и легкий способ раскрытия значения слова, так как не требует со стороны обучающихся особенных мыслительных затрат, экономит время на занятии. В методической литературе нет однозначной оценки данного приема семантизации. В современной лингводидактике наблюдается отказ от абсолютизации перевода как единственного точного и экономного способа выявления

значения слова. Признание этого способа ведущим в ряду других считается неправомерным, потому что за лексической системой родного языка учащихся скрывается несколько иная система понятий и языковых связей. По мысли А.А. Леонтьева, «язык отражает и закрепляет реалии, абстрактные понятия и т.д., отработанные историческим опытом данного народа». Слова родного и изучаемого языка, как правило, не бывают полностью идентичны – они различаются особенностям словоупотребления, грамматическими характеристиками, а также эпидигматическими, парадигматическими и синтагматическими связями. Чрезмерное использование родного языка при обучении русскому языку приводит к интерференции (переносу имеющихся знаний и умений из родного языка в иностранный), а также тормозит процесс мышления на русском языке.

К данному способу целесообразнее обращаться в тех случаях, когда значения лексической единицы трудно или невозможно раскрыть посредством использования других способов семантизации, а так же, когда уровень обученности учеников не является достаточным для их использования. Переводные способы семантизации незаменимы при презентации слов, не входящих в активный лексический минимум и не требующих запоминания. По мере возрастания объема и трудности текстов в ходе домашнего чтения возрастает роль работы с двуязычным словарем. На продвинутом этапе обучения следует прививать навыки самостоятельного пользования двуязычными словарями, смещать акцент с «учить» на «учиться», ведь выяснение значения слова – это естественная операция, которую людям, изучающим иностранный язык, приходится производить постоянно.

В современной лингводидактике предпочтение отдается беспереводным способам учебной семантизации лексики. Под беспереводными способами подразумевают следующие: использование наглядности (предмет, изображение, действие, звук); толкование значения слова на русском языке, перечисление, семантизация с помощью синонимов, антонимов; определение слова на основе контекстуальной догадки, знания фактов; семантизация путем использования грамматических свойств слова, словообразовательного или этимологического анализа. В учебном процессе нередко случаи соединения нескольких способов семантизации, так как полнота раскрытия значений лексической единицы достигает особенной глубины, если приемы семантизации используются на занятии комплексно.

Рассмотрим достоинства и недостатки каждого из перечисленных беспереводных способов семантизации.

I. Наглядный способ требует какого-либо визуального сопровождения (использование слайдов, фотографий, картин, рисунков, диапозитивов, таблиц, предметов). Может быть использована предметная (непосредственная демонстрация предмета); изобразительная (предъявление рисунка, схемы); моторная (предъявление действия и называние его). Эта стратегия применяется для раскрытия значения слов, обозначающих реальные предметы, простые понятия: части человеческого тела, элементы одежды, животные, члены семьи, действия, глаголы движения, виды спорта. К примеру, существительные можно семантизировать путем демонстрации предметов и их изображений: картинка, фотография, репродукция; глаголы – с помощью иллюстративных действий, движений, мимики, пантомимики или рисунка; прилагательные – путем демонстрации разных предметов, различных по цвету, форме, размеру, узору; числительные – на основе картинки с разным числом предметов, а также самих предметов: часов, календаря, таблиц, расписания; наречия – с помощью различных указателей: часов – *рано, поздно, часто*; географических карт – *далеко, близко*; местоположения – *в аудитории, на столе, в столе*; местоимения – с участием в семантизации обучаемых (личных местоимений *он, ты, я* и того, что принадлежит обучающим – притяжательные местоимения *моя, его, свой*); предлоги – путем соотнесения предметов в классе, специальных рисунков (предмет в предмете, на предмете). Наглядный способ не предназначен для семантизации абстрактных понятий и используется преимущественно на начальной ступени обучения, хотя к нему обращаются и позднее, особенно при семантизации безэквивалентной лексики (типа *валенки, изба, матрешка, самовар*).

Как отмечает Е.Н. Соловова, «принцип наглядности является одним из базовых методических принципов обучения любому предмету. Чем больше каналов восприятия задействованы в процессе получения, обработки и применения информации, чем больше ассоциативных связей создается в связи с изучаемым материалом, тем выше вероятность его прочного усвоения». Тем большую значимость приобретает данный принцип в отношении семантизации лакунарных лексических единиц, значения которых зачастую

невозможно понять, не увидев явления/реалии, которые они обозначают. Предметно-изобразительная наглядность включает различного рода национально-культурные объекты, живопись, фотографии, иллюстрации из газет и журналов, коллажи, плакаты, схемы, постеры, а также видеоматериалы и компьютерную графику. Большим подспорьем являются интернет ресурсы, предлагающие широкий выбор современных аутентичных материалов зрительно-изобразительной наглядности.

II. К распространенным беспереводным способам семантизации слов относится толкование значения слова на русском языке; оно может быть: а) кратким (например, определение вида через род: *туфли* – обувь, *береза* – дерево); б) развернутым, дающим описание предмета, явления, действия и т.д. Развернутое толкование может представлять собой словосочетание, предложение, комментарий (небольшой пояснительный текст, с помощью которого отражаются фоновые признаки предмета, явления) или словарную дефиницию. Чаще описание применяют на среднем и продвинутом этапе обучения, т.е., когда накоплен достаточный лексический запас. Неоценимую помощь студентам окажут небольшие по объему лингвострановедческие комментарии, составленные преподавателем. Комментарии могут быть разными по объему и степени подробности. С методической точки зрения это зависит от задач, которые стоят перед преподавателем, особенностей изучаемого лингвокультурного понятия и уровня сформированности социокультурной компетенции студентов.

Разновидностью данного способа семантизации можно считать использование приема перечисления слов, обозначающих часть чего-нибудь, либо видовое или родовое понятие, рекомендовано в тех случаях, когда перечисляемые слова известны учащимся: «мебель – стол, стул, шкаф»; «одежда – пальто, платье, костюм», «головной убор – шапка, платок, берет».

III. При использовании синонимов в качестве приема семантизации слов нужно иметь в виду, что в языке редко встречаются полные синонимы (*здесь – тут*). Как правило, каждый из синонимов имеет определенный оттенок значения, а значит, свою коннотацию и употребление. Часто это связано с историей языка, источниками заимствования слов. Именно здесь открывается прекрасная возможность для формирования как социолингвистической, так и социокультурной компетенции учащихся, вовлечение их в серьезную и увлекательную работу с изучаемым языком в стране лингвистики. Введению синонимов должен быть предпослан комментарий, который указывает на различия слов: а) различия бывают фонетического характера: *издалека* – *издалёка* (в стихах); б) морфологического характера: *достичь* – *достигнуть*; в) полное слово и его аббревиатура – *ГАБТ* – *Государственный Академический Большой театр*; г) русское и иностранное слово: *правописание* – *орфография*; д) стилистические синонимы: *дети* – *детвора*; *ухать* – *отбыть*; е) идеографические синонимы: *село* – *деревня*.

IV. Использование антонимов – прием, актуальный на всех этапах обучения новому языку, нужно помнить, однако, о многозначности и о разной способности антонимов сочетаться со словами: *черствый* (*несвежий*) *хлеб* – *свежий хлеб*, *мясо*, *молоко*, *сметана*; *черствый человек* – *отзывчивый человек*;

V. Семантизация путем использования грамматических свойств слова, словообразовательного анализа особенно эффективен на продвинутом этапе обучения. Раскрытие словообразовательной и морфемной структуры производного слова во многих случаях не только помогает найти ключ к его пониманию, но и формирует у учащихся навык смысловой догадки, способствует развитию языкового чутья и более глубокому пониманию системы русского языка в целом.

Большое влияние на выбор данного способа семантизации имеет словообразовательная структура слова. Для раскрытия значения сложных и производных слов наиболее эффективно используются следующие приемы:

1. Подбор производящей (мотивирующей) основы слова. Этот прием оправдывает себя при семантизации сложных слов (*чернозем*, *книголюб*, *легковерный*); при семантизации синтаксических дериватов (*поиск*, *разрыв*, *робость*); при раскрытии значений многих аффиксально-производных изоморфных слов (*примерный* от *пример*, *овсяный* от *овес*) и слов с модификационными значениями (существительные со значением лица женского пола, мотивированное существительным мужского рода со значением лица: *француженка*, *учительница*, *беглянка*; названия самок животных: *волчица*, *медведица*, *гусыня*; существительные со значением незрелости: *лисенок*, *мышонок*, *цыганенок*; существительные со значением единичности: *изюминка*, *пылинка*, *дождевка*; существительные с субъективно-оценочными значениями: *костюмчик*, *ложечка*, *сестричка*; существительные стилистической модификации:

первоклашка, дождик, селедка и др.). Для изоморфных слов во многих случаях бывает достаточно выделить лишь корень слова, чтобы у учащихся сформировалось правильное представление о значении таких слов, как: *врачевать, насмехаться, примириться, безрукавка, опустевший, словый* и др.

2. Опора на производные слова может быть использована при семантизации некоторых немотивированных слов при условии, что эти производные слова учащимся уже известны, например: немотивированное *питать* можно семантизировать словами *питание, пища; грань (граница), воля (вольный)* и др.

3. Демонстрация словообразовательного типа оказывается эффективным средством для объяснения приставочных глаголов: а) глаголов со значением «интенсивно, полностью, окончательно совершить действие, названное мотивирующим глаголом», образованных при помощи приставки *от-*: *цвести – отцвести, гладить – отгладить, работать – отработать* и др.; б) глаголом со значением «повторно, заново, иногда по-новому, иначе совершить действие, названное мотивирующим глаголом», образованных при помощи приставки *пере-*: *писать – переписать, читать – перечитать, учить – переучить* и др.

4. Рассмотрение слова в системе словообразовательного гнезда, когда преподаватель подводит учащихся к исходному слову гнезда, которое уже знакомо им. Например: *покривившийся (покривиться) – кривиться – кривой; подпиливать – подпилить – пилить – пила* и др.

При работе над текстами учащиеся часто встречаются слова, которые могут быть поняты ими и без словаря, если у них сформированы навыки самостоятельной семантизации. Такие слова принадлежат к потенциальному словарю школьника. Под потенциальным словарем понимаются такие аффиксальные производные, сложные и многозначные слова, конвертированные образования и слова одного корня, которые еще не встречались учащимся, но могут быть поняты при знании основных продуктивных словообразовательных моделей языка.

VI. Использование контекста позволяет учащемуся самому догадаться о значении слова. Для раскрытия значения слова в контексте необходима его подача в окружении известных слов и в знакомых конструкциях. Например, если учащийся знает слова *собака, лаять, кошка*, то в контексте *Собака лает, а кошка мяукает* может вывести значение последнего слова. Значение слова *кибитка* может быть семантизировано через анализ контекста с использованием наводящих вопросов преподавателя: *Мы ехали в кибитке. Лошади бежали быстро и кибитка раскачивалась из стороны в сторону. Из окна кибитки были видны...* (из повести «Капитанская дочка» А.С. Пушкина). – Ехали в чем? – В кибитке. Значит, *кибитка* является обозначением какого-то средства передвижения. – Что говорится о кибитке? – Что она раскачивалась и у нее есть окна. – Почему кибитка раскачивалась? – Кибитка раскачивалась, потому что лошади бежали быстро. – Значит, кибитку приводят в движение лошади. Какое же это средство передвижения? В результате подобного анализа учащиеся легко могут догадаться о значении этого слова.

Беспереvodные способы позволяют использовать зрительный, артикуляционный, акустический каналы восприятия и осмысления информации. Они развивают догадку, увеличивают практику в языке, создают опоры для запоминания (например, формальные опоры на структуру слова, а также опоры на основе сходства или контрастности при использовании синонимов или антонимов), усиливают ассоциативные связи. Вместе с тем беспереvodные способы требуют больше времени, чем переводные, и не всегда обеспечивают точность понимания.

Значение, придаваемое выбору способа семантизации, по мнению некоторых методистов, сильно преувеличено, они склоняются к мысли, что беспереvodное владение словом изучаемого языка в значительной степени зависит от характера закрепления, от речевой практики.

Овладение лексикой ИЯ в плане семантической точности, синонимического богатства, адекватности и умения использования ее в соответствии с задачами коммуникации является неотъемлемой предпосылкой формирования вторичной языковой личности. Под вторичной языковой личностью подразумевается человек, способный к иноязычному общению на межкультурном уровне, то есть к адекватному взаимодействию с представителями других культур. Процесс становления вторичной языковой личности связан не только с овладением обучающимся вербальным кодом изучаемого языка и умением его использовать практически в общении, но и с формированием в его сознании «картины мира», свойственной носителю этого языка как представителю определенного социума. Исходя из этого, обучение ИЯ должно быть направлено на приобщение учащихся к концептуальной системе чужого лингвосоциума. Совершенно

очевидно, что использование разнообразных приемов семантизации слов играет в этом процессе последнюю роль.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Балыхина Т.М. Методика преподавания русского языка как неродного (нового): Учебное пособие для преподавателей и студентов / Т.М. Балыхина. – М.: Издательство Российского университета дружбы народов, 2007. – С. 79.
2. Гальскова Н.Д. Современная методика обучения иностранным языкам: Пособие для учителя. – 2-е изд., перераб. и доп. – М.: АРКТИ, 2003.
3. Основы методики обучения русскому языку в 4–10 классах // Под редакцией Н.З. Бакеевой и З.П. Даунене. – Л.: Просвещение, 1984. – С. 110.
4. Леонтьев А. А. Психолингвистические единицы и порождение речевого высказывания. М.: Наука, 1969. – С. 257.
5. Леонтьев А. А. Язык, речь, речевая деятельность. М.: Просвещение, 1969. – С. 34.
6. Плотникова Г.Н. Лингвометодические основы обучения русскому словообразованию. Изд. 2-е. М.: Книжный дом «Либрком», 2011.
7. Соловова Е.Н. Методика обучения иностранным языкам: Базовый курс лекций. Пособие для студентов пед. вузов и учителей. – М.: Просвещение, 2002. – Сс. 89-93.

ნელი სიჭინავა – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ლექსიკის სემანტიზაციის სახეების არჩევის პრობლემა რუსულის, როგორც უცხოური ენის, სწავლების დროს

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ახალი სიტყვების სემანტიზაციის სხვადასხვა სახეები, როგორცაა თარგმანის, თვალსაჩინოების, განმარტებების, სინონიმების, ანტონიმებისა და კონტექსტის გამოყენება რუსულის, როგორც უცხოური ენის, სწავლების დროს. დახასიათებულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბევრად ეფექტურია კომპლექსური ხერხების გამოყენება, რომელთა არჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ სასწავლო სიტუაციაზე.

Nelly Sitchinava – Akaki Tsereteli State University, Doctor of Philology, Assistant Professor

THE PROBLEM OF CHOOSING WAYS OF VOCABULARY SEMANTIZATION IN TRAINING RUSSIAN AS A FOREIGN LANGUAGE

Abstract

The article provides an overview of ways of new vocabulary semantization in training Russian as a foreign language. It covers the advantages and disadvantages of the translatable and non-translatable methods to explain the meaning of new words. The study suggests that the greatest effect is produced by integrated techniques, the choice of method depends on the particular learning situation.

მარიამ ბაბუხაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენათა ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი

სოფიო ყიფიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი, ასისტენტ პროფესორი

კრიტიკული აზროვნება და მოდალურ ზმნათა სწავლება

დღესდღეობით ინგლისური ენის სწავლების საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია. ენის სწავლების ერთ-ერთი რთული ასპექტია მოდალობა და მისი სწავლება გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მოდალურ ზმნათა სწავლება ხშირად დაბნეულობას იწვევს ინგლისური ენის შემსწავლელთა შორის რადგან განსხვავდებიან ძირითადი ზმნებისაგან და მრავალფეროვანია მათი გამოყენების საშუალება. არსებობს მოდალურ ზმნათა სწავლების სხვადასხვა საშუალება. ენაში მოდალური მნიშვნელობის ხასიათისა და რაოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ლინგვისტების უმრავლესობა აღიარებს მოდალობის რამდენიმე ტიპის არსებობას, რომელიც გამოიხატება მოსაუბრის მიერ გამოთქმული შინაარსის დამოკიდებულებით რეალობასთან, მის ჭეშმარიტებასთან.

მოდალობის პრობლემა ენათმეცნიერებაში ხანგრძლივი კვლევის საგნად იქცა. მისი მრავალმხრივობის გამო სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების წარმომადგენლები (პალმერი, ფონ ვრაიტი, ლაიონზი, ლიჩი და სხვანი) არაერთგვაროვნად განსაზღვრავენ მოდალობის ცნებას. ჩვენი მიზანია გადმოვცეთ ორივე (ქართულ და ინგლისურ) საკვლევ ენას თუ როგორ შესწევს უნარი სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით გადმოსცეს მოდალური ნიუანსი და შეფერილობა. სტატიაში შევეცდებით განვიხილოთ მოდალური ზმნების სწავლების საკითხი კრიტიკული აზროვნების დახმარებით.

კრიტიკული აზროვნების ინტელექტუალური ფესვები, როგორც მისი ეტიმოლოგია აშკარაა, რომ ჯერ კიდევ 2500 წლის წინ სოკრატეს სწავლების პრაქტიკასა და ხედვას უკავშირდება.

რა არის კრიტიკული აზროვნება? – „კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ცნობისმოყვარეობას, გამოკითხვის სტრატეგიების გამოყენებას, შეკითხვების ჩამოყალიბებას და მათზე პასუხის ძიებას. ის მოიცავს ფაქტების არა მხოლოდ დაფიქსირებას, არამედ მათი მიზეზებისა და შედეგების გარკვევას“.

„კრიტიკულ აზროვნებას მივაყვართ გადაწყვეტილებამდე: რა ვირწმუნოთ და რა არა“ (Huitt 1998, 57). კრიტიკული აზროვნება აზროვნების მაღალი დონეა, რომელიც თანდაყოლილი უნარი არ არის და პედაგოგის დახმარებით ვითარდება. კრიტიკული აზროვნება გონებაში ინფორმაციის შესვლასთან ერთად იწყება და ამ ინფორმაციისადმი პიროვნული პოზიციის გამომუშავებით სრულდება. ესაა აზროვნების ფორმა, რომელიც საკითხის სხვადასხვა პრიზმაში დანახვას, ალტერნატივათა აწონვა-დაწონვასა და ანალიზს გულისხმობს. ესაა საკითხისადმი არაერთგვარადი და არაერთგვაროვანი მიდგომა, შეკითხვების გზით პრობლემის არსში ჩაძიება, ფიქრი და განსჯა საშუალებათა შესახებ, რაც ოპტიმალური გადაწყვეტილების წინაპირობაა. კრიტიკულად აზროვნება - ეს დამოუკიდებლად აზროვნებაა. როცა მეცადინეობა კრიტიკული აზროვნების პრინციპებზეა აგებული, თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად ახორციელებს საკუთარი იდეის, შეფასებისა თუ მრწამსის ფორმულირებას.

ბოლო ათწლეულების მანძილზე კრიტიკული აზროვნების განმარტებამ მცირე ცვლილებები განიცადა. ერთ-ერთი მოსაზრებით, კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ფაქტების ანალიზის, იდეების ორგანიზების, შეხედულებების დაცვის, შედარებების გაკეთების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის უნარს. სხვა განმარტების მიხედვით, ეს არის მსჯელობის გზა, რომელიც მოითხოვს პიროვნების შეხედულებების შესაბამისი არგუმენტებით გამყარებას და მისი მოსაზრების სიმტკიცეს, სანამ საწინააღმდეგო შეხედულებას მყარი საფუძველი არ ექნება. მესამე მოსაზრების მიხედვით, კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ლოგიკურ, რეფლექსურ აზროვნებას, რომლის მიზანია, გადაწყვეტილი: რა დავიჯეროთ და რა - არა (Flynn 1989, 69).

აღნიშნული ცნების განმარტება მრავალნაირად შეიძლება, თუმცა ყველა მათგანს ერთი რამ აერთიანებს: რთული საკითხების გადაჭრისთვის ეფექტური გზების მოძებნის საჭიროება. იმ ექსპერტთა აზრით, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებას იკვლევენ, მოსწავლისთვის რომელიმე საკითხზე მუშაობა მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ის ლოგიკური მიზნისკენ არის მიმართული. როცა მოსწავლეს ავალბენ, განიხილონ მიზეზები და წარმოადგინონ საკითხის გადაჭრის გზები, ისინი იწყებენ კრიტიკული აზროვნების საშუალებით პრობლემების იდენტიფიცირებას, გაანალიზებასა და გადაჭრას.

მოსწავლეებს ხშირად უწევთ პრობლემების გადაჭრის უნარზე დაყრდნობა. უკანასკნელ პერიოდში ტექნოლოგიური და ინფორმაციული სფეროს განსაკუთრებული სისწრაფით განვითარება ცხოვრებისა და მუშაობის პირობებს დრამატულად ცვლის. საზოგადოებაში კიდევ უფრო იზრდება ინფორმაციის მოპოვების, გაგების, გაანალიზებისა და გაზიარების საჭიროება. ერთ-ერთი მკვლევარის აზრით, ჩვენს საუკუნეში მუშაობა, ფაქტობრივად, პრობლემების გადაჭრის სინონიმია. ჩვენ უკვე მოგვეთხოვება მრავალმხრივი წიგნიერება, რაც თავისთავად გულისხმობს თვითრეგულაციასა და მონიტორინგს, გაგებასა და ემპათიას, ანალიზსა და შეფასებას, ანუ ყველაფერ იმას, რაც ერთი მთავარი ცნების - აზროვნების გარშემო ტრიალებს.

კრიტიკული აზროვნების განვითარება უწყვეტი პროცესია, რაზედაც ადამიანი დაუსრულებლად ზრუნავს. მასწავლებელი თავად უნდა ცდილობდეს პედაგოგიური ტექნოლოგიების გამდიდრებას კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიებით.

როგორ შეიძლება შევუწყოთ ხელი მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას? ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვან აკადემიურ საგნებში აზროვნების უნარების გადატანა ავტომატურად არ ხდება. კრიტიკული აზროვნების სწავლება ნაკლებად ეფექტურია, როცა ის ცალკე, სხვა საგნებისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკული აზროვნება გაკვეთილზე სასწავლო პროცესში ინტეგრირებულ კომპონენტს წარმოადგენდეს.

მასწავლებელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. აუცილებელია პედაგოგმა ამ მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად შესაბამისი აქტივობები შეარჩიოს. ამ მიზნის მიღწევა შესაძლოა ზედმეტად რთული მოგვეჩვენოს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ის მხოლოდ მცირე ცვლილებას მოითხოვს. მასწავლებლებს შეუძლიათ ყოველდღიურად შექმნან ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, მოახდინონ სამუშაო მასალის იდენტიფიცირება, სხვადასხვა მახასიათებლის ანალიზი, მსგავსებისა და განსხვავებების აღმოჩენა. აგრეთვე, მასწავლებლებს შეუძლიათ დროისა და სივრცის გამოყოფა გონებრივი იერიშისა თუ გეგმების დაწყობისა და შემოწმებისთვის. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელზეც თეორიულ დონეზე არავინ კამათობს, მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარების აუცილებლობაა. კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანია ვასწავლოთ მრავალმხრივ კონტექსტში. იგი უნდა ისწავლებოდეს ნებისმიერ საგანში.

როგორც აღვნიშნეთ, მასწავლებლებს შეუძლიათ ყოველდღიურად შექმნან ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, მოახდინონ სამუშაო მასალის იდენტიფიცირება. სწორედ ამ მიზნით შევეცდებით განვიხილოთ მოდალური ზმნების სწავლების საკითხი კრიტიკული აზროვნების დახმარებით.

შედარებით გაუადვილებათ სტუდენტებს მოდალობის შესწავლა თუ მას კრიტიკულ აზროვნებას მოვარგებთ. მაგალითად, თუ გაკვეთილის თემად ავიყრევთ „სამართალს“. ეს თემა ასევე ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების წახალისებას. კრიტიკული აზროვნების წახალისებაში ვგულისხმობთ საკითხის განხილვის სხვადასხვა საშუალებას და სტუდენტთა ჩართულობას დისკუსიაში, რაც ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. აუცილებელია ვიცოდეთ სტუდენტთა ინტერესის სფერო და განსახილვევი თემის შერჩევა მოხდეს მათი მოტივირების მიზნით. ამ შემთხვევაში შედარებით მარტივი იქნება მოდალურ ზმნათა გამოყენება სხვადასხვა განსახილველი თემის ირგვლივ. მოდალური ზმნები როგორცაა: can, must, may, might, will, would, should ხელს შეუწყობს დისკუსიას სოციალური სამართლიანობის საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად ისეთი თემების ირგვლივ, როგორცაა:

- Citizens must always follow the laws of their country.
- Different kinds of discrimination might be learned in school.
- Women should have the same rights as men.
- People should not own guns.
- Immigration should be strictly controlled.

მაგალითად ერთ-ერთ საკითხს - Women should have the same rights as men – განხილვის დროს სტუდენტებმა მოიყვანეს შემდეგი არგუმენტები მოდალურ ზმნათა გამოყენებით:

As a women I definitely believe that women should have equal rights to men.
They can not perform as well physically, mentally or even emotionally as men.
We can do anything you can.
Girls are strong and independent so girls should be treated with equal respect!

They already have to many rights, we should take some away from them if anything.

Men and women are completely different creatures, how could we ever share equal rights.

Women should have equal rights because they can do everything a man can.

Women can't be victims anymore; they must train themselves to fight, they must teach their daughters to fight

Every woman should know how to defend herself; legally, physically, economically, socially; they must make men know they cannot be taken advantage of.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია საკითხებისა რომელთა შესახებაც შეიძლება

წარიმართოს დისკუსია სტუდენტებს შორის. შესაძლოა დისკუსია მთელმა ჯგუფმა აწარმოოს ან ასევე შეიძლება დავეოთ ისინი პარატა ჯგუფებად. პედაგოგი ორგანიზებას უწევს დებატებს და ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტებს თავად შეარჩიონ თემატიკა მათთვის საინტერესო სადაო საკითხზე.

მოდალური ზმნების შესწავლისა და ამავდროულად კრიტიკული აზროვნების განვითარების სხვა საშუალება შეიძლება იყოს პრობლემის შეფასებასა და გადაჭრაზე დაფუძნებული აქტივობა. ამ შემთხვევაში შესაძლოა სტუდენტებს დავეურიგოთ სხვადასხვა პრობლემის შემცველი ჰენდაუტები და მივცეთ მოსაფიქრებელი დრო საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ სადებატო თემაა: working under pressure (ზეწოლის ქვეშ მუშაობა) - სტუდენტები განიხილავენ შესაძლებლობებს (what the person can do) და გამოთქვამენ ვარაუდს (what the person should do).

An employee should remain calm no matter what happens.

Even though the day may be stressful, keep your mind firmly focused on completing your regular responsibilities. Coffee is a good stimulant, and while it can be a good thing for you in small amounts, too much of it can actually cause you undue stress.

From time to time, your company may need help with a large or complex project. Take on the responsibility willingly.

Then think of additional questions or interruptions, and how you would handle them.

"I've done it before. I can do it again" is the way of this pressure solution.

A compliment from a colleague or friend—can have the same impact.

თითოეული მაგალითის განხილვის შემთხვევაში სტუდენტთა ყურადღებას ვამახვილებთ მოდალურ ზმნებზე და ვაანალიზებთ მათი გამოყენების ყველა შემთხვევას. ნებისმიერი აქტივობის შერჩევის შემთხვევაში აუცილებელი წავახალისოთ სტუდენტები სრულყოფილად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და მონიტორინგი გავუწიოთ მოდალური საშუალებების გამოყენებას.

დასკვნის სახით შეიძლება ვაღიაროთ, რომ კრიტიკული აზროვნება, თავისი ბუნებით, მოითხოვს აზრთა სისტემურ მონიტორინგს. იმ მიზნით, რომ აზროვნება იყოს კრიტიკული მისი გაანალიზება და შეფასება უნდა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: სიცხადე, სიზუსტე, რელევანტურობა, სიღრმისეულობა, თვალთახედვა და ლოგიკურობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკული აზროვნება თავისი ბუნებით მოითხოვს იმის შეცნობას, რომ ყველა მსჯელობა ხდება მოსაზრებათა განხილვის ფარგლებში; ყველა მსჯელობას აქვს მიზანი და ამოცანა, საინფორმაციო ბაზა. აზროვნების თითოეული განზომილება უნდა იქნეს შემოწმებული. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კრიტიკული აზროვნების განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელზეც ადამიანი დაუსრულებლად ზრუნავს.

ლიტერატურა

1. კრავიშვილი მ., უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია, ენა და კულტურა, თბილისი, 2002
2. Carrie Matilda, Ways to Teach Critical Thinking Skills to Children: Knowledge, Comprehension and Application, <http://voices.yahoo.com/ways-teach-critical-thinking-skills-children-5609022.html>
3. Flynn, L. (1989). Developing critical reading skills through cooperative problem solving. *The Reading Teacher*, 42(9), 1989
4. Huitt, W. (1998). Critical thinking: An overview. *Educational Psychology Interactive*. Valdosta, GA: Valdosta State University. Retrieved May 2011 from <http://www.edpsycinteractive.org/topics/cogsys/critthnk.html>.
5. Palmer F. R. *Modality and the English modals*. London - New York, 1976

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კრიტიკული აზროვნების როლი მოდალურ ზმნათა სწავლების პროცესში. კრიტიკული აზროვნებისა და მოდალობის ინტეგრაცია ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ენის სწავლების პროცესში. სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების უნარჩვევების განვითარება სწავლების მთავარ მიზანს წარმოადგენს და ჩვენს მიერ განხილული ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე ვასკვნით, რომ არსებობს ძლიერი კავშირი კრიტიკულ აზროვნებასა და სწავლებას შორის, და ამ უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი მასწავლებელს მიუძღვის.

Mariam Babukhadia - Akaki Tsereteli State University, Language Center, PhD

Sophio Kipiani - Akaki Tsereteli State University, English Language Department, Assistant Professor

Teaching modal verbs through critical thinking

Abstract

The article deals with the point of critical thinking in the process of teaching modal verbs. The integration of critical thinking and modals seem to be most effective to learners. Many strategies have been developed to help teach students to think critically and to read critically. Based on empirical studies presented in our work is clear that there is strong relationship between critical thinking and teaching and teacher plays an important role in the development of this skill.

ანა ფიფია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელი

ინგა გორგაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინგლისური ენის მასწავლებელი

თარგმანის სწავლების საკითხები და დამხმარე საშუალებები მთარგმნელის მუშაობის პროცესში

თანამედროვე ეტაპზე დიდაქტიკური მასალების დამუშავება წინ უსწრებს თარგმანის თეორიულ დიდაქტიკას, რაც უნდა მიიჩნეოდეს ბუნებრივ მოვლენად და მართლაც, ჩვენ ვიმყოფებით წყვილად წარმოდგენილ კონკრეტულ (ქართულ–ინგლისური, ქართულ–ფრანგული, ქართულ–ესპანური და ა.შ.) გამოცდილების, მასალების დაგროვების სტადიაში. ამგვარად, იქმნება ბაზა, რომელიც მოგვიანებით დაექვემდებარება წყვილად წარმოდგენილი კონკრეტული ენების ფარგლებს გასულ ანალიზს და, როგორც ჩანს შეიქმნება განზოგადებული თეორიული ხასიათის სახელმძღვანელო. თუმცა, დიდაქტიკური პრინციპების პრაქტიკული გამოყენება უნდა გარდაიქმნას სავარჯიშოებად, დავალებად, ტესტებად და სხვა სასწავლო მასალად. ეს კი წარმოდგენილია კონკრეტული ენების გარეშე, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან თარგმნის პროცესში ურთიერთქმედების დონეზე.

შესაბამისად, საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ თარგმანის სწავლების მეთოდოლოგია იმყოფება თავისი განვითარების ჯერ კიდევ სპირალის საწყის ხვეულზე. ამრიგად, ამ სფეროში მოღვაწე სპეციალისტები მრავალ პრობლემას თუ სირთულეებს აწყდებიან, რათა სწავლების პროცესში, რომელიც სწავლებას უფრო საინტერესოსა და, რაც მთავარია, შედეგიანს ხდის, არის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენების დანერგვა.

ლექსიკონები გამოირჩევა მათში შერჩეული სიტყვებითა და მოცულობით, იმისდა მიხედვით თუ როგორ ხდება მასალის ორგანიზება ლექსიკონში, ისინი შეიძლება დაიყოს ერთ, ორ და მრავალენოვან ლექსიკონებად.

სიტყვანისთვის შერჩეული ლექსიკონური მასალის მიხედვით ლექსიკონები შეიძლება იყოს საცნობარო და სასწავლო. ასეთი დაყოფა ეფუძნება ჯერ კიდევ 1935 წელს აკადემიკოს ლ.ვ. შჩერბას მიერ წამოყენებულ იდეას იმის მიხედვით, რომ ლექსიკონგრაფიაში უნდა განვასხვავოთ „აქტიური“ და „პასიური“ ტიპის ლექსიკონები.

საცნობო ლექსიკონები („აქტიური“ ტიპის ლექსიკონები) განკუთვნილია მოცემული უცხო ენის საბაზისო ლექსიკონის აქტიური დაუფლებისათვის სწავლების პროცესში. ისინი იძლევიან აუცილებელ გრამატიკულ ცნობებს და აგრეთვე ცნობებს სიტყვათა შესატყვისობით უნარზე.

როგორც წესი, საცნობარო ლექსიკონების სიტყვათა სტატიები ბევრად ფართოა, ვიდრე სასწავლო ლექსიკონებში, მაგრამ სასწავლო ლექსიკონების სიტყვების სტატიები ბევრად აღმატება საცნობარო ლექსიკონის შესაბამისი სიტყვის სტატიას. პირველში — სიტყვის გრამატიკული ფორმების გარდა მოყვანილია მასთან ყველაზე ხშირად გამოყენებადი შესიტყვებები, იდიომები და ა.შ.

სიტყვები სასწავლო და საცნობარო ლექსიკონებში განთავსებულია ანბანური წესით. ინგლისურ ლექსიკონთა უმრავლესობაში მოცემულია მთავარი სიტყვის ტრანსკრიბცია. ამავდროულად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ლექსიკონი არ მისდევს სიტყვათა ტრანსკრიბირების ერთსა და იმავე სისტემას. მათი უმრავლესობის ტრანსკრიბირება ხორციელდება საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის საფუძველზე (International Phonetic Alphabet). ზოგიერთ ლექსიკონში სიტყვის ტრანსკრიბირებას საფუძველად უდევს სხვა სისტემები.

ერთენოვანი ლექსიკონები. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ეს არის ლექსიკონები, რომლებშიც განმარტებები და განმარტებითი ერთეულები მიეკუთვნება ერთსა და იმავე ენას. ერთენოვანი ლექსიკონის ძირითად ღირსებას მთარგმნელისათვის წარმოადგენს ის, რომ ორენოვანი ლექსიკონისაგან განსხვავებით, ისინი უფრო ზუსტად გადმოსცემენ ცნებებს. ორენოვანი ლექსიკონი იძლევა მხოლოდ სიტყვის ძირითადი და არა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის თარგმანს, რომ არაფერი ვთქვათ იმ მნიშვნელობებზე, რომლებსაც იძენენ სიტყვები ახალ კონტექსტში. ერთენოვანი ლექსიკონები შესაძლებლობას გვაძლევენ ჩავიხედოთ ამა თუ იმ მოვლენების ნომინაციების ენობრივ ლოგიკაში. სხვათა შორის, დამწყები გამოუცდელი მთარგმნელები ხშირად უშვებენ შეცდომას. მაგალითად, იმის გამო, რომ არ იხედებიან ერთენოვან ლექსიკონში და მას ორენოვან ლექსიკონს ამჯობინებენ. გამოცდილი მთარგმნელის პრიორიტეტები კი პირიქით, არის გადანაწილებლი: ორენოვანი ლექსიკონით ის მაშინ

სარგებლობს, თუ სიტყვა დაავიწყდება და „თავიდან ამოუვარდება“ და, როდესაც მას სჭირდება ერთმნიშვნელოვანი სიტყვისა და გამოთქმის (ტერმინების, რეალიების, სახელების) თარგმანი.

ორენოვანი ლექსიკონები არ განმარტავენ სიტყვებს, არამედ ყოველ სიტყვას ანიჭებენ ერთს ან რამოდენიმე ექვივალენტს მეორე ენაზე. ისევე, როგორც ერთენოვანი ლექსიკონები, ისინიც შეიძლება იყოს საცნობარო, სასწავლო ან შერეული ტიპის სიტყვანის შედგენა აქ ხდება ანბანური წესით.

ზემოთ უკვე ნახსენები იყო დარგობრივი ლექსიკონების შესახებ. თუმცა ერთენოვანი ლექსიკონები მთარგმნელისთვის არასაკმარისია, რადგანაც, ამა თუ იმ ტერმინის განმარტების მიცემისას ისინი ვერ ეხმარებიან მას უცხოენოვანი შესატყვისის მოძიებასა და საჭირო ტრანსლატემების წარმოებაში.

განსაკუთრებით სასარგებლოა, ამ აზრის გათვალისწინებით, ორენოვანი სპეციალიზებული ახსნა-განმარტებითი ლექსიკონები, რომლებიც შეიცავენ, როგორც ორენოვანი ლექსიკონის, ასევე ერთენოვანი განმარტებითი ლექსიკონის ფუნქციებს.

თეზაურუსები ძალიან მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული დამხმარე საშუალებაა მთარგმნელისათვის.

თეზაურუსებში სიტყვანის ერთეულები ხშირ შემთხვევაში არ არის განმარტებული (ან არ არის მხოლოდ განმარტება მოცემული), არამედ აღჭურვილია სინონიმებითა და ანტონიმებით. თეზაურუსები, რომლებიც შეიძლება იყოს ერთენოვანი და ორენოვანი, აუცილებელია ტექსტის თარგმნისათვის უცხო ენაზე.

ენციკლოპედიები განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენენ მთარგმნელისათვის, როგორც სხვადასხვაგვარი ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი წყარო. მთარგმნელის საქმიანობა ხორციელდება მეტყველების (parole) დონეზე. ის მუშაობს ტექსტებთან მაშინ, როდესაც ზემოთ აღწერილ ლექსიკონებს შეეხება აქვთ ენასთან (langue). ნაწილობრივ ამ პრობლემას წყვეტენ ენციკლოპედიური ტიპის ლექსიკონები, სადაც ანბანური წესით მოცემულია ცნებები ცოდნის სხვადასხვა სპეციალური სფეროდან, საკუთარი სახელები და ა.შ. რაც არ არის ასახული ზოგადენობრივ ლექსიკონებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენციკლოპედიური ლექსიკონები ასახავენ ენის ყოფიერებას მეტყველების დონეზე.

ლიტერატურა

1. კრავეიშვილი მ., უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია. თბილისი 2002
2. ჩხიკვაძე ზ., ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის სწავლება არაენობრივ ფაკულტეტებზე. თბილისი 2005
3. Ахманова О.С. — Словарь лингвистических терминов. М., 1996
4. Green Y.I., Thinking Through Translation university Press, 2000
5. Miram G., Translation Algorithms. Kyiv, 2008
6. Translation studies reader. Ed. by L. Venuh, Lnd, 2000

რეზიუმე

თარგმანი ვერბალური კომუნიკაციის სახეობაა, რომელიც მოითხოვს სწავლების პროცესში სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას. მთარგმნელობით საქმიანობაში ჩართულ ადამიანს უნდა გააჩნდეს ჩვენს მიერ სტატიაში მოხსენებულ სხვადასხვა მთარგმნელობით საშუალებების გამოყენების უნარი: საცნობარო ლექსიკონი - საბაზისო ლექსიკონის აქტიური დაუფლებისათვის სწავლების პროცესში; ერთენოვანი ლექსიკონი - ზუსტი ცნებების ერთგვარი წყარო; ორენოვანი ლექსიკონი - არ განმარტავს სიტყვებს, არამედ ყოველ სიტყვას ანიჭებს ერთს ან რამოდენიმე ექვივალენტს მეორე ენაზე; ენციკლოპედია — სხვადასხვაგვარი ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი წყარო.

ANA PIPIA — Kutaisi Ak.Tsereteli State University, Education Ph.D., teacher

INGA GORGADZE — Kutaisi Ak.Tsereteli State University, English teacher

METHODS OF TEACHING TRANSLATION AND DIFFERENT USEFUL MEANS OF THE TEACHING PROCESS

Translation is a verbal means of communication which requires application of different techniques and resources in the teaching process. A person involved in this field has to have certain qualifications and skills of using the following translation means: reference dictionary — to study the basic vocabulary during the teaching process; monolingual dictionary — the source of definite concepts; bilingual dictionary — it doesn't give any definitions of the word, it gives each word one or several meanings or equivalents; encyclopedia — a source of different types of information.

Надежда Каджая – Государственный университет Акакия Церетели, доктор филологии, ассоциированный профессор.

Лингвостилистический анализ художественного текста в национальной аудитории вуза

В вузовском преподавании все более значительное место отводится лингвостилистическому анализу художественного текста.

Современный лингвостилистический анализ - это сложная система, изучающая языковые аспекты художественного произведения, раскрывающая значения различных элементов языка, включающая в себя и стилистический анализ с изучением приёмов индивидуально-авторского использования языковых средств. Конечно, существует достаточно вариантов анализа стихотворного произведения. Из них можно выделить: анализ названия, номинации текста; определение темы, тематических полей; лексический комментарий (возможно, отдельных непонятных читателю лексем); анализ синтаксиса, изобразительно-выразительных, индивидуально-авторских средств. В анализ стихотворных произведений входит и изучение метrorитмических, фонетических особенностей текста. Таким образом, лингвостилистический анализ языкового материала художественного текста должен включать: определение и толкование непонятных слов и оборотов; особенной поэтической символики; просторечных и окказиональных лексем, фраз, неологизмов; диалектизмов, профессионализм, арготизмов и терминов (если таковые имеются); индивидуально-авторских новообразований в сфере семантики, словообразования и сочетаемости; устаревших либо ненормативных фонетических, морфологических, синтаксических фактов; изобразительно-выразительных средств (тропов и фигур речи); особенностей, связанных со спецификой жанра и формой художественного произведения (стихотворная форма, поэма - строфа, рифма, ритм, темп,...) и т.д. Изобразительно-выразительные средства; особенности, связанные со спецификой жанра и формой художественного произведения; индивидуально-авторские новообразования на разных уровнях речи и языка, скрытые элементы авторской оценки, миропонимание автора, строй его мыслей, чувств, психологизм произведения – всё это представляет наиболее интересный и богатый материал для исследования.

Художественный текст (в нашем случае его стихотворная форма - поэма) - реальная единица общения, сложное, многослойное образование, объединяющее все сведения о языке, речи автора, их стилистической специфике. Анализ лингвистических единиц текста (фонологических, морфологических, лексических, синтаксических - в их взаимосвязях и отношениях на синхронном уровне языка) объединяют под единым общим названием лингвистический анализ (Мухин, 1976). С другой стороны, стремительно развивающаяся лингвистика текста показывает, что наряду с грамматикой, семантикой текста и другими современными психологическими подходами и аспектами его изучения необходима и стилистика текста, научная дисциплина, изучающая стилевое своеобразие типов и единиц текста и их функционирование. Стилистическая специфика текста зависит от многих моментов: структуры речи произведения (от какого лица ведётся повествование - первого, второго или третьего), от количества участников (монолог, диалог, полилог), от формы выражения принадлежности речи (прямая, косвенная, виды чужой речи), от характера связи самостоятельных частей текста (цепная, параллельная, присоединительная связь), от типа речи или конкретных функций текста (описание, повествование, рассуждение), от функционально - стилевой принадлежности текста (разговорный или книжный, научный, официально-деловой, публицистический, стиль художественной литературы - стихотворная или прозаическая форма), от разновидности изобразительно-выразительных средств (тропы, фигуры речи), от индивидуально-авторской манеры письма, авторского стиля, абзацного членения и других факторов (Солганик, 2000). Исходя из вышеперечисленных задач стилистики текста каждый исследователь конкретного текста намечает круг исследуемых вопросов, определяет композицию работы.

Лингвопоэтический анализ текста – это интерпретация стихотворного произведения с точки зрения набора, отбора и специфики структурирования в нем языковых единиц, а также с точки зрения поэтики. Это анализ поэтической формы, дающий ключ к мотивированной интерпретации смысла стиха. Иными словами, данный вид анализа художественного текста предстает как "анализ и систематизация элементов

языковой организации текста, воплощающих "образ мира" и "образ автора" с позиций определенного эстетического идеала (Болотнова, 2001, с. 48)".

На основании разных классификаций может быть принята следующая схема стилистического анализа художественного текста.

1. Определить, что представляет собой текст композиционно (строфу, фрагмент)?
2. Как разделён текст: на абзацы, равные фрагменту, строфе, меньше строфы?
3. От какого лица написан текст (1-го, 2-го, 3-го)?
4. Выделена ли в тексте авторская речь и выражена ли в ней авторская оценка?
5. В какой форме передана чужая речь (прямая, косвенная, несобственно-прямая)?
6. Как можно охарактеризовать текст по количеству лиц-участников коммуникации (монолог, диалог, полилог)?
7. Определить, к какому по характеру типу речи относится текст (описанию, повествованию, рассуждению)?
8. Какие виды связи можно выявить между частями поэтического текста (присоединительная, параллельная, цепная)?
9. К какой разновидности функционального стиля относится текст (разговорный или книжный, научный, официально-деловой, публицистический, стиль художественной литературы)?
10. Какие изобразительно-выразительные средства употребляет автор в стихотворном тексте (тропы - эпитет, сравнение, метафора, метонимия, синекдоха, гипербола и литота, ирония, аллегория, олицетворение, перифраза; стилистические фигуры речи - параллелизм, анафора, эпифора, антитеза, градация, риторическое обращение, риторический вопрос, эллипсис, умолчание, многосоюзие или полисиндетон, бессоюзие или асиндетон)?
11. Определить каковы особенности текста, связанные с его стихотворной формой (строфа, рифма ритм)?
12. Какие особенности текста связаны с индивидуально-авторским стилем (употребление архаизмов, неологизмов, просторечных слов, окказионализмов, авторских новообразований)?

В национальной аудитории вуза наиболее продуктивным представляется метод поуровневого анализа текста, который является научно-методической основой работы. Этап планирования работы группы должен взять на себя преподаватель. Суть метода – работа в команде, поиск, отбор и обобщение информации. Необходимо разделить курс на исследовательские группы оптимально возможного состава. Целостность художественного текста, обилие межуровневых связей обеспечивает активное взаимодействие групп. Работу следует проводить по схеме:

I. Этап планирования:

- а) деление курса на группы и определение общей цели работы каждой группы (анализ идейно-тематического, структурно-композиционного и лингвостилистического уровней текста);
- б) предоставление каждой группе списка задач (например, для структурно-композиционного уровня – определение своеобразия событийно-персонажной, пространственно-временной, сюжетно-композиционной, субъектно-речевой организации текста).

II. Аналитический этап:

- а) распределение задач между членами групп;
- б) поиск материала (определение эстетически значимых элементов текста);
- в) обработка информации (квалификация эстетически значимых элементов текста).

III. Этап обобщения информации:

- а) систематизация полученных данных;
- б) корректировка результатов внутри группы и в межгрупповом общении;
- в) формулирование (презентация) доклада группы и содокладов по индивидуальным заданиям, .

IV. Этап представления результатов:

- а) озвучивание (презентация) групповых и индивидуальных докладов;
- б) объединение докладов участников групп: итоговой записью (презентацией) в идеале должен стать комплексный анализ текста.

Следующий этап - обозначение системы примерных заданий для групп.

Группа 1. Определение идейно-тематического уровня: тем (проблем) и определяющих их словесных рядов.

Группа 2. Определение структуры и композиции текста. Определение субъектно-речевой структуры. Прежде всего обозначение близости повествователя к биографическому автору; здесь логично заострить внимание группы на том, что даже автор-повествователь – это только образ, отдалённый от реального человека, так что неоправданными будут заявления такого рода: «Автор говорит...», «Автор помнит...». Далее, при наличии в тексте традиционного повествователя от первого лица можно рассмотреть все его "прототипы".

Группа 3. Исследование лингвостилистического уровня: анализ значимых языковых элементов художественного текста, метафор, которые можно охарактеризовать в рамках когнитивной теории метафоры, обозначая «цели» и «источники» метафоризации. И т. д.

Конкретные задания, предложенные преподавателем, могут не относиться непосредственно к какому-либо из уровней текста, однако ответы на вопросы этих заданий имеют важное значение для интерпретации целого текста. Последовательность изложения результатов работы над художественным текстом, представленных группами, может быть условна – она ориентирована на систему задач анализа. Общий итоговый анализ неизбежно будет иметь другую структуру, связанную с общей структурой художественного произведения и спецификой предложенного текста.

Итак, главная задача, которую мы ставим перед собой при исследовании поэмы Владимира Маяковского "Про это", - дать по возможности полный лингвостилистический анализ, стилистико-психологическое представление о стихотворном авторском тексте Маяковского, его особенностях, устройстве, переданном языковыми, грамматическими и стилистическими средствами.

В композиционно-синтаксическом плане текст "Про это" представляет собой цельное художественное произведение стихотворной формы, поэму и состоит из пролога, двух частей, заключения. Первая часть "Баллада Редингской тюрьмы" делится на 11 глав, вторая "Ночь под Рождество" - на 23. Заключение, полужуравельное "Прошение на имя....." содержит символические главы - обращения, просьбы: "Вера", "Надежда", "Любовь". И если в основной части присутствует так называемый лирический герой, несущий в себе реальные черты автора (о чём несомненно говорят многие детали поэмы), мятущийся, страдающий, мучимый неудовлетворённой любовью, то в прологе и заключении он и автор - одно лицо. Всё действие, описанное в поэме, происходит в сознании лирического героя, как смена его чувственных, образных ассоциаций, а не реально происходящих. Отсюда эта, свойственная литературному стилю поэта и, конечно же, отражающая психологию его характера, гротескность и фантастичность повествования, крутые повороты и экстремальность событий. Всё содержание пронизано скорбью, негодованием поэта, трагическим криком его большой любовью души, но оформляется, несмотря на это, глубоко оптимистичным ораторским тоном автора.

Во вступлении к поэме звучит вопрос - полуназвание "Про что - про это?", как неоспоримое доказательство всеобъемлющей вселенской любви, присутствующей в жизни почти каждого человека. Это поэма - исповедь. Ее источник — убийственная угроза разрыва с любимой. Тема, о которой хотел всё время говорить поэт, была перепета им самим много раз. Он сам уже кружил в ней поэтической белкой и хотел кружиться опять. Речь поэта в начале вступления спокойна, он как бы констатирует привычный жизненный факт. От слова к слову, от строчки к строчке мы видим, как к концу вступления усиливается накал страсти поэта, чувствуем, оболочка лироэпического повествования может быть прорвана естественным, прямым, напористым, так характерным для Маяковского стилем языка: "Эта тема ножом подступила к горлу" (следует обратить внимание на беспредложную форму "ножом," так характерную для стиля поэта, вместо распространённой нормированной предложной "с ножом", Маяковский часто прибегает к приёму опущения предлогов, тем самым замедляя онаречивание существительных с предлогами).

Балладный пересказ о себе и любимой большими словами, глубокой раной отзывается в душе поэта. И если слова болят, то и лад баллад молодеет. "Он" думает и переживает разлуку с любимой, сидя в своём доме у телефона. Одна надежда на телефон. У Маяковского этот центральный, важный предмет олицетворяется, становится живым организмом, посредником раскалённым, дотронулся - волдырь на руке, теле, в душе... Звонок любимой пулей летит по проводам, вызывая землетрясение на Мясницкой, у почтамта. Кухарка - секунданта спокойно снимает телефон и, не торопясь, идёт звать "Её", любимую поэта.

Застыл весь мир в неизвестности, лишь трубка нацелена в мишень-мозг, мишень- сердце. Тонкой струной натянут кабель: неверное движение - лопнет! Затем происходит представляемое, усиливающее трагические ощущения одиночества: исчезновение “тюремных стен”, замена “пространства заключения”, слеза превращается в реку, подушка в льдину-плот, а сам герой в медведя. Далее галлюцинации героя: встречи с прежним собой, человеком из прошлых семи лет; с постояльцем в галифе; с самоубийцей - мальчиком, похожим на Христа, и с другим погибшим (символично) поэтом — Лермонтовым. Поэт не тот почтенный сотрудник "Известий", а медведь, с чувством холодной зыбкости, как на подушке-льдине. Поэт плачет от безысходности, именно так, наверное, плачут медведи. Сравнение со зверем, большим зверем, передаёт абсолютное бессилие перед сложившейся ситуацией сильного физически человека: видеться пока запрещено! В воспоминаниях поэта семилетней давности он был не таким, сейчас у него не получится петушком пролезть в тот счастливый семейный быт. Стальными тросами собственных строк он привязан к мосту над рекой и молит о помощи, но чувствует, что помощь не успеет, её не будет, не от кого... Поэт бежит по ночной Москве — по Петровскому парку, Ходынке, Тверской, Садовой, Пресне. Лирического героя вполне естественно “Тянет инстинктом семейная норка”. Там его всегда ждут: “Родные! Любимые!<...>Тетя! Сестры! Мама!”. Они рады появлению члена семьи на Рождество, но не понимают, зачем поэт зовет их спасти кого-то, стоящего над рекой на мосту. Поэт чувствует, что любовь родных – это просто, как чай и штопка носков. Такая любовь ему не нужна.

Перед нами невольно открывается основная коллизия поэмы, внутреннее противоречие личного и вечного. Через личное, пережитое об общем быте; через поэтическую интерпретацию пережитого о мещанском укладе жизни, протест против него же. Всё это указывает на художественную природу типизации. Через всю поэму красной нитью проходят самоуничужение и самопокаяние. Лирический герой отнюдь не титаническая, а человеческая натура (“Я только стих, я только душа”). Переходя к реальному повествованию, поэт оказывается за дверью, у квартиры любимой. Там то же самое: те же "пирог", пустые разговоры, "вороны-гости", улыбаясь, едят, гремя челюстями, не понимая, что поэт пишет для них. Так же как именитый скоморох, им безразличен некто привязанный над рекой и молящий о помощи. Всё тот же смех и мещанский тустеп. Думая о любимой, поэт боится услышать её голос среди обывательского гама. Кульминация поэмы - всё же услышанный в мещанском хоре "ея невыносимый голос", той, которой он ни разу не изменил, её обходил проклятиями во всех своих стихах, которыми громил обыденщины жуть. Семь лет “стояния на мосту” защитником земной, настоящей, правильной любви (только такой её принимал поэт), могут вылиться в ещё дополнительные двести лет, безрезультатные двести лет: спасения нет ниоткуда! Весь психологизм ситуации в том, что рыцарский характер не позволяет автору бросить даже малейшую тень на образ возлюбленной! Он берёт за всё ответственность на себя, выступая носителем и жертвой затхлого быта, понимая нравственную причину своего конфликта с жизненной ситуацией. Любовь - его сердце, его жизнь, его работа! И если нет её, нет ничего, всё существование поэта ставится под вопрос.

Суть в том, что поэт не приемлет даже саму идею "свободной любви", которую пропагандировала "Она", второй персонаж поэмы и реальное лицо. В этом спор, в этом неразрешимый для поэта конфликт! В конце поэмы в него, стоящего над горой Машук (символично: снова возвращение на Кавказ! И ещё ранее читаем: "С семи холмов, низвергаясь Дарьялом, бросала Терекон праздник Москва."), толпа обывателей стреляет из всех орудий, как в заклятого врага. Строка: “Смотрите - Кавказ кишит Пинкертонами,-“ завуалированное откровение поэта, как много этим он хочет сказать! И после такого заявления поэта ключья развеваются на Кремле! Психологизм жизненных коллизий! Однако, как всегда “после дождя” "...небо по-прежнему лирикой звездится. Глядит в удивленье небесная звезда-..." Ненавидя всякое раболепство, он чистосердечно хочет верить в жизнь, в то, что его, в идеале, воскресят, хотя бы как поэта.

Далее лингвостилистический анализ художественного (поэтического) текста следует по всем намеченным пунктам плана. Изложить его не позволяет формат статьи (полный анализ см.: Адеишвили. Каджая, 2014).

Художественный текст является богатым полем деятельности лингвостилистических исследований. Экспрессия художественного стиля значительно отличается от экспрессии разговорно-бытового, публицистического и других стилей. Художественный текст демонстрирует широкий спектр стилистических средств. И самое главное, чтение и интерпретация художественного текста - это интересный и увлекательный процесс, помогающий студенту насладиться образами и ситуациями,

создаваемыми автором; полнее и глубже понять конкретное произведение, пополнить свой словарный запас лингвостилистическими терминами, получить навыки исследовательской работы над иностранным текстом.

Литература

1. Адеишвили И. Каджая Н. (2014): Зарубежные исследователи XXI века о В. Маяковском. – Кутаиси: Издательство Государственного университета Акакия Церетели. 137 с.
2. Бабенко Л.Г. Васильев И.Е. Казарин Ю.В. (2000): Лингвистический анализ художественного текста. – Екатеринбург.
3. Болотнова Н.С. (2001): Анализ текста. – Томск. С. 48.
4. Маяковский, В.В (1970; 1988): Сочинение в трёх томах. - М.: Издательство "Правда". С. 74 – 76; Сочинения в двух томах. Том второй. Поэмы. Пьесы. Проза. – Москва: Издательство "Правда". С. 174 – 216.
5. Мухин, А.М. (1976): Лингвистический анализ. Теоретические и методологические проблемы. – Ленинград: Издательство "Наука". Ленинградское отделение. С. 187.
6. 9941-455-22-3
7. Солганик, Г.Я. (2000): Стилистика текста. Учебное пособие. Второе издание. – Москва: Издательство "Флинта". С. 3-15.

ნადეჟდა ქაჯაია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მხატვრული ტექსტის ლინგვისტიკის ანალიზი უმალესი სასწავლებლის ეროვნულ აუდიტორიაში

რეზიუმე

მხატვრული ლიტერატურის სტილი იყენებს ეროვნული ენის აბსოლუტურად ყველა სიმდიდრეს, რათა შეასრულოს ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქცია - ასახოს რეალური სინამდვილემთელი მისიმრავალფეროვნებით, ხელოვნების ამ სახეობის ყველა კანონის დაცვით. თანამედროვე ლინგვისტიკის ანალიზი - რთული სისტემაა, რომელიც შეისწავლის მხატვრული ტექსტის ენობრივ ასპექტებს. მხატვრული ასახვის საშუალებები, ჟანრის სპეციფიკასთან და მხატვრული ნაწარმოების ფორმასთან დაკავშირებული თავისებურებანი; ავტორისეული ინდივიდუალური ახალწარმონაქმნები მეტყველებისა და ენის სხვადასხვა დონეებზე, ავტორის შეფასების ფარული ელემენტები, სამყაროს ავტორისეული გაგება, მისი აზრებისა და გრძნობების წყობა - ყოველივე ეს წარმოადგენს კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესო და მდიდარ მასალას. მოცემულ ნაშრომში აღწერილია მხატვრული ტექსტის ლინგვისტიკის ანალიზი უმალესი სასწავლებლის ეროვნულ აუდიტორიაში. მხატვრული ტექსტის კვლევა მიზნად ისახავს უცხო ენის ფლობის უნარ-ჩვევების განვითარებას ცოდნის განსაზღვრულ მოცულობაზე დაყრდნობით; ზოგადგანმანათლებლო თვალსაწიერის გაფართოებას მხარეთმცოდნეობითი და ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის ინფორმაციის მიღების ხარჯზე; კვლევის მასალისადმი კრიტიკული მიდგომის უნარების ჩამოყალიბებას.

Nadezhda Kajaia – Akaki Tsereteli State University, PhD, Associate Professor

Linguistic Analysis of Literary Text in the National Audience of the University

Abstract

The style of fiction enjoys all the richness of the national language for the performance of the public function of literature - the reflection of reality in all diversity in accordance with the laws of this art form. Modern linguistic analysis is a complex system that studies the language aspects of a work of art. Fine-expressive means, features related to the specifics of the genre and the form of the work of art; Individually-authored neoplasms at different levels of speech and language, hidden elements of the author's assessment, the author's worldview, the structure of his thoughts, feelings - all this is the most interesting and rich material for research. In this paper, a linguistic analysis of the artistic text in the national audience of the university is described (on the material of the poem by V. Mayakovsky "About this"). The study of a foreign literary text aims to develop the skills of knowing a foreign language based on a certain amount of knowledge, broadening the general outlook through obtaining information of a linguistic culture and literary nature, forming the skill of a critical approach to the material of the study.

Мзия Костава-Кутаисский университет им. Акакия Церетели, доктор педагогики, преподаватель центра иностранных языков.

ИЗУЧЕНИЕ РУССКОГО ЯЗЫКА НА МАТЕРИАЛЕ СОВРЕМЕННЫХ РЕКЛАМНЫХ ТЕКСТОВ.

На современном этапе функционирования русского языка реклама стала одним из распространенных, динамичных явлений массовой коммуникации. Экстралингвистические, лингвистические, лингвокультурные особенности рекламы позволяют использовать рекламные тексты в качестве аутентичного текстового материала.

Изучение языка современной рекламы способствует повышению уровня практического владения студентами современным русским литературным языком, формирует основные навыки успешной коммуникации в профессиональном, общественном, официально-деловом общении.

Источниками текстового материала могут служить периодические издания (журналы и газеты), материалы радио- и телепередач (объявления, реклама), рекламные каталоги, буклеты и другая печатная продукция рекламного характера, реклама в Интернете.

На первых занятиях студенты-бакалавры узнают, что рекламные тексты отличаются от других (не рекламных) информативной насыщенностью, прагматической направленностью, способами внешнего оформления и определенными признаками содержания. В ходе работы студенты определяют основные виды рекламных текстов в периодических изданиях, знакомятся со структурными (композиционными) особенностями современной печатной рекламы, учатся воспринимать, прежде всего, информативную сторону рекламы. Учащиеся должны уметь находить главные единицы информации: названия товаров и услуг, отличительные свойства рекламных товаров, название организации, каналы связи и др.

Рассматривая рекламные тексты как средство изучения языка и познания культуры, необходимо выделить трудности понимания текстов, а именно: лингвокультурологические (наличие самой разнообразной фоновой информации), собственно лингвистические трудности (неологизмы, разговорный язык, аббревиатуры), слова и словесные комплексы с дополнительным национально-культурным компонентом семантики, риторические и стилистические приемы и т.д.

На занятиях современная реклама исследуется с точки зрения употребления и функционирования языковых средств разных уровней (фонетического, лексического, морфологического и синтаксического), проводится комплексный анализ данных средств языка.

Наблюдения над рекламными текстами показывают, что на фонетическом уровне дополнительным средством создания выразительности рекламного текста является использование звуковых созвучий (аллитерации), ритма и рифмы. Например, Rowenta. Радость в вашем доме (слоган); Spark. Яркий и юркий (реклама автомобиля), Коровы знают точно – сыр Kraft полезный очень! (реклама сыра). Фонетические особенности рекламного текста влияют на восприятие и быстроту запоминания информации иностранными студентами.

Одним из основных лексических средств воздействия рекламы на потенциальных покупателей выступает эмоционально-оценочная лексика. Изучая лексику рекламы, учащиеся выделяют оценочных клише «новый», «надежный», «удобный», «эффективный», «универсальный» и др. Данные слова не имеют экспрессивной окраски, но благодаря своей семантике создают в тексте эффект положительной оценки и этим увеличивают воздействующую силу рекламного обращения.

Можно предположить, что существенную роль в рекламе играет повтор лексических единиц. Как отмечал Ю.М. Скрбнев, «функция повтора как намеренно стилистического средства (в отличие от случайного повторения при неподготовленной речи) всегда является усилительной: повторяемое слово подчеркивается отправителем речи; к понятию, выражаемому этим словом, привлекается особое внимание адресата речи» [3; 139].

Характерной чертой современной рекламы является увеличение количества терминов (иноязычной лексики) и аббревиаций на английском языке (в рекламе косметики: коэнзимы, лептиды, протеины, протектин, олиго-элемент, инкапсулирование, UVA/UVB фильтр). С одной стороны, данное явление обусловлено развитием современных технологий, науки, с другой стороны, чрезмерное употребление незнакомых слов-терминов затрудняет восприятие и понимание рекламы.

При исследовании особенностей употребления в рекламных текстах морфологических средств студенты отмечают, что за каждой частью речи в рекламе закреплены определенные задачи. Высокая частотность употребления имен существительных объясняется их информативной функцией, так как реклама требует наименования множества предметов и явлений. Местоимения выстраивают тип отношений между рекламодателем и покупателем (от доверительных и дружеских до деловых).

Глаголы придают тексту динамичный характер. Реализации воздействующей функции рекламы способствуют формы императива: Создай свой фотоархив на <http://foto.mail.ru/> и покажи друзьям! (реклама Интернетуслуг). Употребление инфинитива в сочетании с обратным порядком слов создает выразительную рекламу: Приобрести, построить, реконструировать, отремонтировать, отделать квартиру, комнату, жилой дом, дачу, садовый домик, гараж, машино-место, а также земельный участок Вы можете, не откладывая, с помощью Кредита на недвижимость (реклама услуг Сбербанка России).

Прилагательные и наречия подчеркивают качества (достоинства) рекламируемого предмета и действий, связанных с объектом рекламы. Например, использование определений, выраженных полной формой качественных прилагательных, способствует созданию яркого, образного рекламного текста: Компактный, яркий, маневренный, экономичный – Spark в городе как рыбка в воде (реклама автомобиля Chevrolet Spark). Сравнительная степень прилагательных и наречий обращает внимание читателей на улучшение качества (результата, вкуса и т.д.) рекламируемого товара (услуги): С помощью специальной подкручивающей щеточки тушь сделает ресницы объемнее на 400 % (реклама туши для ресниц от AVON).

Наиболее ярко проявляются языковые средства на синтаксическом уровне. Многие синтаксические средства отличаются эмоциональностью и экспрессивностью. К таким средствам можно отнести: предложения, различные по цели высказывания (побудительные, вопросительные, повествовательные), случаи употребления неполных и односоставных предложений, ряд явлений порядка слов, использование однородных членов предложения, обособленных оборотов.

В русском языке порядок членов предложения считается свободным. В то же время перестановка слов влечет за собой определенные смысловые и экспрессивные изменения: инвертированный компонент воспринимается как коммуникативно выделенный и, таким образом, в рекламном тексте привлекает внимание читателей.

Например, в рекламе стиральной машины ARDO глаголы в форме инфинитива акцентируют внимание на возможностях бытовой техники (но ведь и другие модели автоматических стиральных машин обладают этими возможностями?): Стирать, полоскать, отбеливать, отжимать – наши машины умеют всё!

Вместе с тем в рекламе складывается специфический синтаксис, например, употребляются парцелированные конструкции, так называемые конструкции «представления», номинативные предложения различного вида: Новая РЕНО Лагуна. Она не летает. Пока. (реклама автомобиля РЕНО Лагуна)

В рекламе используются и выразительные ресурсы пунктуации. Зачастую в рекламных текстах отсутствуют нормативно употребляемые знаки или, наоборот, знаки препинания употребляются ненормативно. В таком случае знаки препинания выполняют сигнальную функцию, т.е. привлекают внимание читателей к содержанию рекламы. Приведем примеры: Это просто и удобно – потому что рядом – мы! (реклама услуг Rambler); Поговорим, о сиянии, которое не меркнет! (реклама губной помады AVON).

В результате наблюдений за языком современной рекламы студенты приходят к выводу, что результативность рекламного текста обеспечивается взаимосвязанностью всех значимых компонентов рекламы: словесного и зрительного рядов, а также лингвостилистическими качествами рекламного текста. Широкая представленность в рекламных текстах всего спектра фактов и единиц русского языка делает их контекстно и коммуникативно завершенными высказываниями, которые можно рассматривать как живую, наглядную, яркую иллюстрацию практически всех разделов русской грамматики.

Литература:

1. Вернадская Ю.С. Основы рекламного текста. Омск: Издательство ОмГТУ, 2004. -182с.
2. Колшанский Г.В. Контекстная семантика М.: «КомКнига», 2005. -98.
3. Кеворков В.В. Слоган. Практическое руководство. М.: «Рип - Холдинг», 2004. -105
4. Кохтев Н.Н. Реклама: искусство слова. Рекомендации для составителей рекламных текстов. – М.: Издательство МГУ, 1997. – 97 с.
5. Морозова И. Слогая слоганы. – М.: РИП-Холдинг, 1998. – 172 с.
6. Скребнев Ю.М. Очерк теории стилистики. – Горький: Издательство ГГПИ, 1975. – 175с.
7. Стернин И.А. Практическая риторика: Учебное пособие для студентов высших учебных заведений. – 5-е изд., испр. и доп. – М.: Академия, 2008. -85с.

მზია კოსტავა-ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის დოქტორი, უცხო ენათა ცენტრის მასწავლებელი.

რუსული ენის შესწავლა თანამედროვე სარეკლამო ტექსტების გამოყენებით რეზიუმე

სტატიაში აღნიშნულია თანამედროვე საგაზეთო სარეკლამო ტექსტების სტილის სწავლების საჭიროება რუსული ენის საკომუნიკაციო დონეზე შესწავლის დროს. სარეკლამო ტექსტისთვის დამახასიათებელი ექსტრალინგვისტური, ლინგვისტური, ლინგვოკულტუროგიული თავისებურებანი, -საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ სარეკლამო ტექსტები ავთენტური ტექსტური მასალის სახით.

თანამედროვე რეკლამის ტექსტის ენობრივი შესწავლა ხელს უწყობს სტუდენტთა რუსული ენის პრაქტიკული ფლობის დონის ამაღლებას.

Mzia Kostava-Akaki Tsereteli State University, Doctor of Pedagogy, the Foreign Language Center teacher.

Studying Russian language using modern advertising texts

Resume

The article mentions the need for a modern newspaper advertising text style of teaching Russian language communication level during the study. Advertising text characteristic extra- linguistic, lingvoculturological features, -Allows us to use advertising texts authentic text materials.

Modern ad text encourages students to study the language of the Russian language practical level of ownership.

Lela Oniani – PHD, Kutaisi Tsereteli State University

Some ways of motivation in teaching and learning EFL/ESL class

What is motivation? Motivation is a process in which the individual's attention and interest are aroused and directed toward definite goals. (Jonalyn M. Shenton- 2015) The importance of motivation is obvious. We need motivation in order to reach our goals. In fact it is one of the most important and driving factor for us reaching our goals. So when that being said it is not hard to imagine how things would be if there was no such thing as motivation. Motivation doesn't have to be positive emotions. Fear can be a very effective motivating factor.

The job of educator is not to blindly teach, but to motivate students to demonstrate behavior that will help them stay motivated and become life-long learners. “The first step in tackling the problem of motivation is that the teachers need to understand and appreciate the role and importance of motivation in any learning. In the context of second language learning” So, why is motivation so important when it comes to education and student learning?

Motivation can be categorized into two types: intrinsic and extrinsic. Intrinsic motivation is a drive that comes from within a person. People are intrinsically motivated when they enjoy doing an activity. Extrinsic motivation is a drive that comes outside a person. People are extrinsically motivate when they want to gain a reward (like prize or a good grade). Extrinsic motivation can also lead to extrinsic motivation.

Motivation moves student toward a particular goal:

Motivation

- Influences on motivation
- Importance of motivation
- Measures that can increase motivation

The role of error

- Error and slips
- Interference and developmental error
- Inter language

Assessment types and tasks

- Purposes of assessment, e.g. diagnostic, placement, achievement, formative, progress, proficiency.
- Methods of assessment, e.g. self, peer, portfolio, informal and formal.
- The design and purpose of a range of assessment tasks and activities.
- When students are motivated they set individual goals for themselves and identify their behavior in order to meet those goals.
- These motivation could end up being the difference between a finding appropriate study time rather than the student staying up late playing video games and cramming for a test in the morning.

It should be mentioned that motivation can be amazing factor when it comes to student performance. Students can make materials for others to use in class: for example, questions about text, word puzzles, mini vocabulary or grammar tests. Teachers have to encourage students to keep vocabulary records and to read at home, or make up their own sentences using new words and phrases.

In my opinion, it is the best way to encourage motivation and plan interesting and varied activities if you ask your student what are they interested in. As the famous proverb says

“ Tell me and I will forget,

Teach me and I will remember,

Involve me and I will learn”. (Benjamin Franklin)

In our research work, result showed that in order to increase intrinsic motivation, the best way teachers should use is to ask students what they are interested in, and then choose material or set goals appropriately. When we encourage intrinsic motivation in the members of our class, we set them up for success even after they leave our classroom.

From our experience, extrinsic motivation level increases, when we assess students with writing tests or giving presentation tasks in order to get marks. It's very essential technique for extrinsic motivation.

“ I believe making learning an enjoyable experience is crucial to maintaining learners' motivation” (Dornei-2001) The key of motivation is when activities are related to students' interests.

Here are some ways of motivating students:

1). Pair work or Group work

One of the successful ways, if the teacher is resourceful and skillful enough, to motivate his/her student to participate in the lesson is to use "pair work, or "group work" appropriately. In fact learners should help each other while working on different types of tasks such as writing dialogues, interviews, drawing pictures, and making comments about them, play roles, etc...

Researchers on Second Language Acquisition have shown that learners have differences in mastering skills. While one student is good in drawing, another can be good at role play and imitation. Besides, some students find it less stressful, if not much comfortable to learn certain rules or usages of language from their pairs and comrades rather than from their teacher. Finally, communicative language teaching requires a sense of community and an environment of trust and mutual confidence which "Pair work" or "Group work" can provide.

2). The seating of the students

The way students are seated in the classroom will often determine the dynamics of the lesson. Indeed, a simple change in the seating pattern can make an incredible difference to group coherence and student satisfaction can be a reason of a real success or failure. We think that horseshoe shape has all the advantages of groups, and none of the disadvantages.

3). Try and maximize eye contact

Both teacher to student and student to student. In full class phases of the lesson, if the person who is speaking doesn't have eye contact with others, then attention is likely to drop. This is the main reason we personally think the horseshoe shape to groups is better.

4). Make sure students are seated at a comfortable distance from each other

Make sure you don't have one student sitting alone or outside the groups. Besides, try to leave a fair empty, but not so much a space because large distances between the students will tend to a "muted" atmosphere, low pace, and less active student participation in the lesson.

5). The Error correction

It's always asked whether we should correct all students' errors, whenever they occur. The reasonable answer is that if we stop at every single error and treat it with no room for errors to take place, this will lead to a gap of communication and students will be too much afraid of making mistakes. Thus, teachers should be aware of when to correct errors and how to do that without any hurt and humiliation. Concerning the ways of how to correct errors, there are several techniques which the teacher, who is seen as the monitor, should choose from them according to the type of error and task where the incorrect form of language occurs.

Among these ways of correction we can state: self correction, peer correction and teacher correction.

5). Give Feedback

Always consider feedback carefully. The right quantity and quality of feedback is important for forging the right relationship with your students.

If you spend much time correcting every error they make, you'll end up estranging your students, They may respect your knowledge, but they won't feel connected to you personally.

It's important to give positive feedback, like compliments and encouragements, as well as criticism. When you have criticism to give, it's better to deliver it along with some positive feedback. That way no student will feel you are picking on them. Teacher should also encourage peer feedback and self-evaluation and make time for all these. It's also great to celebrate achievements on a regular basis. Praise students that did well that day or semester and have their peers give them a round applause, compliments or "snaps" to celebrate!

6. Role Play

This is another technique for motivation and teachers are advised to use the role-play activity in order to motivate their students and help the less motivated learners take part in the lesson. As good examples of that we can state: the hide and guessing game, dramatizing an interview of a customer and shop assistant, doctor and patient conversation, etc....

7. Using realia, flash cards, stories and songs in teaching

Realia and flash cards are considered as important tools in teaching especially a foreign language, since they play the role of a facilitator in teaching new vocabularies such as fruits, vegetables etc... In addition realia is an authentic material that helps the teacher to overcome classroom artificiality. Creating stories with the students is

another way of developing speaking and writing skills. Actually, creating stories is grounded in the students' ability to create a story from their personal experience. In creating stories some issues are revealed such as: a). fluency, b). whether the students have enough language to create the story, and c). accuracy.

Teachers are able to demonstrate techniques of using songs in different ways to teach grammar, vocabulary, pronunciation and community building because the students like songs and they motivate students to learn English language in an interesting way.

8). Using audio visual material: cassette player, video, computer...

We should include a cassette player in a lesson based on listening, while we need to include a computer in any e-lesson. Whereas, we can use the overhead projector in presenting writing drafts for classroom correction or to read.

9). Make class fun

Making class fun is a surefire way to up intrinsic motivation levels. When students are having good time, they'll be more engaged in learning. Their motivation will come from them rather than you. You just have to find the best ways to help your students have a good time while they learn.

10). Using the L1 in the EFL/ESL classroom

Should we or shouldn't we use the students' first language (L1) in the classroom? The main argument against the use of the L1 in language teaching is that students will become dependent on it, and not even try to understand meaning from context and explanation, or express what they want to say within their limited command of the target language. But there are few cases when we resort to student's mother tongue such as-when there is a gap of communication or total misunderstanding, since it can prevent time being wasted on fruitless explanations and instructions, when it could be better spent on language practice. It can be used contrastively to point out problem areas of grammar to encourage students to translate model sentences into their own language in order to compare and contrast the grammar.

Motivating students is a part of every teacher's job. And while honey and vinegar may be great in the kitchen, the best kind of motivation comes from within your students themselves.

To sum up, motivation is one of the most important techniques, helping teachers and students to encourage learning English with various activities and stay motivated.

Literature

1. Dorney,Z. (2001) Motivational Strategies in the language classroom. Cambridge: Cambridge University Press.
2. Jonalyn M. Shenton (2015) the Role of Motivation in the Teaching-Learning Process
3. <http://teachingenglish-alexnoamen.blogspot.com/>
4. www.fluentu.com/english/.../motivating-students-to-learn-english.

Abstract

Article discusses some ways of motivation in teaching and learning EFL/ESL class as one of the most important technique. We need motivation to reach our goals. Motivation is a process in which individual's attention and interest are aroused directed toward definite goals.

Article discusses some ways of intrinsic and extrinsic motivation, how to encourage our students to learn English and increase motivation through texts, audiovisual materials, tasks, class activities, pair or group work, and role play, that should be related to students' interests. Motivating students is a part of every teacher's job and a good example of real success.

მოტივაციის ფორმები ინგლისური ენის სწავლება-შესწავლისათვის რეზიუმე

სტატიაში განხილულია მოტივაცია როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება ინგლისური ენის სწავლება-შესწავლისათვის. ჩვენ გვჭირდება მოტივაცია დასახული მიზნების მისაღწევად. მოტივაცია კი არის პროცესი, სადაც ინდივიდის ყურადღება მიმართულია განსაზღვრული მიზნებისაკენ.

სტატიაში მიზნად ისახავს იმსჯელოს იმ ხერხებზე, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა შინაგანი თუ გარეგანი მოტივაციის გაზრდას. ასეთ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ: ტექსტები, წყვილური და ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, აუდიო-ვიზუალური მასალა, და ყველაფერი რაც შეესაბამება სტუდენტების ინტერესებს. მოტივირებული სტუდენტები კი არის წარმატების საწინდარი, რაც ყველა მასწავლებლის სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილია.

Irma Rusadze - Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Vocabulary Achievement Factors

Learning vocabulary for most of English Language learners is very hard job. They try studying new words with their spelling, pronunciation, synonyms, antonyms, meaning, but they find it difficult, boring and inefficient and think that they have a very bad memory. So teachers should try to use effective techniques to make learning vocabulary easier and more pleasant.(A.Gnoinska)

Teaching vocabulary to English language learners is an important part of learners' language development, as vocabulary is difficult to teach because of its linguistic, semantic and psycho-cognitive aspects. Knowing vocabulary words is a key to a language comprehension, The more words a learner knows, the better he or she communicates. Teachers can teach vocabulary directly or indirectly. Using a variety of effective methods will increase the student's ability to learn new words.

Vocabulary development is one of the most important skills learners need to acquire to become English-proficient. Teachers should know some useful strategies to help learners study vocabulary easier.

Pre-teaching vocabulary is very useful for English Language learners. This will give them the chance to identify words and then be able to place them in context and remember them. Teachers can pre-teach vocabulary by using some of the innovative methods for teaching vocabulary, which give very good and effective results. They are as follows;

1. Teaching vocabulary in an explicit, systematic way

Teachers choose the vocabulary that learners most need to know in order to support their reading development and content area learning. When introducing new vocabulary teachers be sure to provide student-friendly definitions for words important to the task at hand.

2 .Role playing or pantomiming

Using gestures, showing real objects, pointing to pictures, doing quick drawings on the board, provide examples of how it is used, ask learners to repeat the word three or four times.

3.Using colours

Colours have a powerful influence on human health and psycho. Colours affect our behaviour and mood. They may cause physical and emotional disorders. The colour of the walls, curtains or clothes can cause both sympathy and irritation. Colour is very important tool in visual thinking. It generates ideas, increases imagination, makes learners be more creative and improves their memory. It does not matter which colours the teachers use while teaching vocabulary, but they should know how to make a benefit from using them. Learners with their best colours even in their clothes, at home, in the classroom, make them feel good about themselves and about their confidence., as colour often associates with a person's emotions

4.Teaching vocabulary thematically

Teachers organize vocabulary around a common theme, and choose reading materials that reinforce that vocabulary in context.

5.Teaching vocabulary by focusing on word formation

Teaching how to use the prefixes and suffixes help learners expand word knowledge. Their correct usage help them determine the meaning. Breaking the words down into smaller pieces makes unfamiliar words more comprehensible.

6.Capitalize on cognates

Cognates are words in different languages that are derived from the same original word or root. Teachers should teach their learners to make the connection between words that are the same or similar in English and in their primary language. This is an easy way to improve both vocabulary and reading comprehension.

7.Preview

Before reading, pre-teaching essential vocabulary and previewing the content is very useful and productive. Teachers try to look through the book or chapter, look at the pictures and demonstrate how the previewed vocabulary is used in context since vocabulary is learned best through meaningful associations.

8.Teaching vocabulary specific to content

A learner's maximum level of reading comprehension is determined by his or her knowledge of words. Teachers give and teach key words that learners will need to comprehend texts, learn the content in those texts, and pass tests.

The following dimensions of new words are very essential:

- The ability to define a word
- The ability to recognize when to use that word
- Knowledge of its multiple meanings
- The ability to decode and spell that word

9. Giving learners multiple opportunities to work with vocabulary

This includes connecting vocabulary to personal experience, allowing learners to use their primary language to make associations, using cognates, practicing speaking, reading and writing, using artwork to represent words, in addition to techniques such as Total Physical Response (TPR), which allows learners to show what they know by acting it out.

10. Using computers and television, audio books.

Computer and television programmes are proven supplements to helping English Language learners build language and reading skills. We can say that computers are a non-threatening way to help learners work on their own. Audio books also help greatly the learners build up their vocabulary. By hearing and seeing the word in context at the same time, learners easily pick up its meaning and also gain oral fluency.

Thus, besides increasing learners' reading fluency and comprehension, pre-teaching vocabulary to English Language learners gives their confidence a huge boost. When learners know the meanings of key words in their text, they are empowered to read with greater ease. This in turn motivates them to keep learning more vocabulary and, more importantly.

English language learners who struggle with vocabulary can have difficulty comprehending reading materials and class instruction. By explicitly teaching multiple meaning words and technical words, teachers can assist students in developing word wealth and increase their understanding of content material. It is important for teachers to make connections between the learners' prior knowledge and the new vocabulary. Direct instruction of vocabulary includes the use of a variety of strategies, many of which use visual aids for students and present the words in context. There are many effective strategies such as the use of signal words, vocabulary games, By partnering with parents, teachers increase the opportunities for learners to receive the help they need in learning vocabulary.

References:

1. Allen, E. and Valette R.(1972). Modern language classroom techniques. A handbook. New York: Harcourt Brace Jovanovich.
2. Biemiller, A. (2001) . Teaching Vocabulary: Early, direct and sequential. American Educator .Spring 2001 (25) (1) pp.24-28
3. Coady, J. (1997). L2 vocabulary acquisition: A synthesis of the research. Cambridge: Cambridge University Press.
4. Crookes G. and Gass S. (1993): Tasks and Language Learning: Integrating Theory and Practice. Philadelphia: Multilingual Matters.
5. Gnoinska A. (1998) Teaching Vocabulary in Colour.'Forum'vol.36,3. pp.12-15
6. Grabe, W. & Stoller, F. (1997). Reading and vocabulary development in a second language: A case study. In J. Coady & T. Huckin (Eds.), Second language vocabulary acquisition (pp. 98-122). Cambridge: Cambridge University Press
7. Judy B. Gilbert (1984) Clear Speech. Cambridge University Press pp.1
8. Knight, S. (1994). The effects on comprehension and vocabulary acquisition for students of different verbal abilities. The Modern Language Journal, Vol.78, pp. 285-299
9. Spaulding, C. 1992. Motivation in the classroom. New York: McGraw-Hill, Inc.

ირმა რუსაძე

ახალი სიტყვების სწავლების განმსაზღვრელი ფაქტორები რეზიუმე

სტატიაში განხილულია ახალი სიტყვების სწავლების განმსაზღვრელი ფაქტორები, მათი ფორმები და სტრატეგიები. კერძოდ, საუბარია იმ მეტად საჭირო და აუცილებელ მეთოდებზე, რომელთა გამოყენება ძალზედ ეფექტურია ახალი სიტყვების სწავლებაში მეორე უცხო ენის დაუფლებისას.

სტატიაში საუბარია ენის სწავლებისას ამ მეთოდების გამოყენების უპირატესობებსა და მათ დადებით მხარეებზე .ეს სასარგებლო მეთოდები ენის სწავლებისას ხელს უწყობს შემსწავლელებს მარტივად შისწავლონ ახალი სიტყვები და გახდნენ უფრო კრეატიულები და განავითარონ თავიანთი იდეები, მათი საშუალებით უფრო იოლი და სასიამოვნო ხდება ახალი სიტყვების შესწავლა

სხვადასხვა მეთოდების გამოყენება სავარჯიშოებში ზრდის შემსწავლელთა აქტივობას უზრუნველყოფს ყურადღების კონცენტრაციას, რაც ხელს უწყობს მათი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

Izolda Chkhobadze - Doctor of Philological Sciences

The Effect of Teaching Phrasal Verbs

Introduction

The aim of the paper is to study the effect of teaching phrasal verbs as a classroom activity while teaching grammatical patterns. The study tried to answer one main question whether the knowledge of phrasal verbs might enhance higher knowledge of grammatical patterns among Georgian learners of English. To answer the question, 40 English intermediate students participated in the study. They were then divided into two groups of 20 and were randomly assigned to an experimental and a control group. A pretest of English grammatical patterns (sentence word order) was administered to both groups, then, they were taught grammatical patterns for one semester but with different methodologies: the experimental group was taught with “Destination B2” which provides phrasal verbs while teaching different grammatical patterns and with the other group I used “Grammar Way 3”. After fifteen weeks both groups wrote an independent sample test to indicate the groups’ difference. The results showed that the students in the experimental group received higher scores, though not significantly, in grammatical patterns after being treated with 15 lectures of phrasal verbs.

Teaching Grammar Through Phrasal Verbs

In the past few years a lot of works were dedicated to the teaching of grammar to EFL learners. Some methods of teaching such a skill, as it is evident, prescribe deductive and some recommend inductive instruction of grammatical patterns and rules. Some use traditional approaches of teaching grammatical points and some use new and updated approaches of teaching such a basic skill. Saeidi (2004) states that since grammar is considered as a collection of arbitrary rules about static structures in a language, it is often misunderstood in language teaching.

Dickins & Woods (1998) state that, English grammar is chiefly a system of syntax that decides the order and patterns in which words are arranged in sentences, but in many cases all these definitions raise more questions than they answer: what is a sentence? How does position determine meaning? If grammar is concerned only with sentences, does this mean that in any given text there is no grammatical relationships between sentences? To determine what grammar means to us, it is better to look at the relationship between linguistic competence and communicative competence and at what we expect grammar to tell us. The prominent role of grammar, as one of the basic skills of second language learning, is widely recognized by teachers and learners. As a matter of fact, there are kinds of controversy between scholars regarding grammar teaching. Fotos & Ellis (1991) bring up a worth-noticing idea by asserting that a continuing controversy in the field of second language pedagogy is whether grammar should be taught at all.

Some language teachers adopt a “zero position”. They maintain that teaching grammar has only a minimal effect on the acquisition of linguistic competence in a second language. Krashen (1985) believes that acquisition only takes place when learners are exposed to roughly-tuned input which they are able to comprehend and that learning is limited to a few simple portable rules. On the contrary, there are some scholars who argue for grammar teaching. Since grammar is one of the basic foundations of language teaching, there have been different definitions of it by different schools of thought. Many linguists traditionally divided grammar into two different but inter-related areas of study, morphology and syntax. The former is the study of how words are formed out of smaller units and the latter is the study of the way in which phrases and sentences are structured out of words. Others believe, that grammar is a systematic analysis of the structure of language.

Despite the fact that grammar is well represented in EFL, learners of English still find difficult to use the English language communicatively. It is evident that by having a good knowledge of English language grammar system, second language learning would be accelerated as well. According to Campbell (1970), “to learn to speak and understand a foreign language is to acquire native-like competence in that language”. How do we explain native speaker competence? He claims that the best answer to this question seems to be the fact that native speakers possess and utilize a finite number of rules to produce and interpret an infinite number of sentences.

Therefore, in the teaching of English to speakers of other languages it follows that the learner, if he is to acquire a native-speaker competence, must learn the rules of English on all levels. Phrasal verbs are claimed to be one of the most notoriously challenging phenomena of English language instruction. If students desire to achieve native-like proficiency in speech and writing they need climb a hard rock. Despite their rather complicated structure and unpredictable meaning, phrasal verbs are of high relevance to English learners because in this way they could be able to construct meaningful sentences and paragraphs, which makes the writing more effective and comprehensible.

What is a phrasal verb?

A Phrasal Verb is a verb formed from two (sometimes three) parts; a verb and an adverb or preposition. Most are formed from a small number of common verbs (such as get, go, come, put and set) and a small number of adverbs and prepositions (such as away, out, off, up and in)¹.

Phrasal verbs form one of the most common types of multi-word verbs. They consist of a lexical verb and a spatial adverb, and since this combination often brings a new meaning different from those of the verb and the particle, it is usually the hardest part of the English language to be learned by foreign students. These verbs should not be confused with free combinations of verb plus adverb, where the meanings of both their components are maintained. In order to avoid this misunderstanding, Quirk and other scholars present a series of characteristics that may help to distinguish phrasal verbs from free syntactic combinations, but these are exposed below because they change according to whether the phrasal verb is intransitive or transitive.

Phrasal verbs sometimes have meanings that can easily be guessed (such as sit down or look for). But in most cases their meanings are quite different from the meaning of the verb they are formed from: for example hold up can mean 'to cause a delay' or 'to try to rob someone' and has no obvious connection with the idea of 'holding' something.

The two types of multi-word verbs which tend to provoke misunderstandings among students are prepositional verbs without direct object and transitive phrasal verbs. This is due to the fact that the prepositional objects that go with the aforementioned are confused with the direct objects of phrasal verbs, with which they share certain superficial similarities. In addition, it has been my experience that some teachers give to their students lists of what they call "phrasal verbs" that also include prepositional verbs and in my opinion, this increases students' confusion. I understand that learners of English at basic levels do not need an exhaustive presentation of these verbs, but it would be better to name the verbs included in these lists "multi-word verbs".

What is different about phrasal verbs? In one sense, you can say that phrasal verbs are just more words and should be treated as such. However, there are problems also with the grammar. Different phrasal verbs have different grammar. There are five types of phrasal verb. These are:

1. **Intransitive** (with no object):

You're driving too fast - you ought to slow down.

2. **Transitive verbs whose object can come in two positions** - after the verb or after the particle:

I think I'll put my jacket on OR I think I'll put on my jacket.

If the object is a pronoun, however, it must come between the verb and the particle:

I think I'll put it on (NOT I think I'll put on it).

3. **Transitive verbs whose object must come between the verb and the particle:**

Its high-quality designs sets the company apart from its rivals.

4. **Transitive verbs whose object must come after the particle:**

The baby takes after his mother.

Why do you put up with the way he treats you?

5. **Verbs with two objects** - one after the verb, the other after the particle:

They put their success down to good planning.²

¹ Definition from the Macmillan English Dictionary - Language Awareness section

² <http://www.onestopenglish.com/skills/vocabulary/phrasal-verbs/phrasal-verbs-introduction-article/144986.article>

Participants of the study were the intermediate learners of the private university. They were divided in two groups. Both groups were given pre-test with different grammatical patterns, the answers were then collected and scored by me.

It is true that there is not an exclusive rule that establishes how to teach and learn phrasal verbs, but there are certain approaches that can help learners to acquire them and put them into practice. However, as is explained below, these methods do not appear in books and it is the teacher who should develop them in class.

Destination B2: Grammar and Vocabulary (Mann, and Taylore-Knowles)

The book which I used with the experimental group was Destination B2. This book is intended for students preparing to take any examination at B2 level in the Council of Europe’s Common European Framework. This book has twenty-eight units, which alternate grammatical and lexical contents. Each grammar unit uses the vocabulary of the following one as a context for presentation and text based exercises. Likewise, the grammar focus of the units that precede the vocabulary ones is consolidated in the latter. Interestingly, every single vocabulary unit includes a section on phrasal verbs, and this demonstrates the importance of the knowledge of these verbs when studying high levels of English. Moreover, there is a phrasal verbs database at the end of the book which includes definitions and example sentences as additional material (Illustration 14 s a fragment from this section).

set up	start (a business, organisation, etc): <i>You're such a good cook that I think you should set up a restaurant.</i>
settle down	become calm after being upset, etc: <i>When his mum left him at school on the first day, Charlie was quite upset, but he soon settled down and started to enjoy himself.</i>
settle down	stay in one place or get married and live quietly: <i>She spent her twenties travelling round the world and then settled down in a quiet village in Sussex.</i>
show (a)round	take sb on a tour of a place: <i>Let me show you round the garden.</i>
show off	try to attract people's attention and make them admire you (usually used negatively): <i>My sister thinks she's a good singer and she's always showing off when people come to visit.</i>
slow down	decrease speed: <i>The train started to slow down as it approached the station.</i>
speed up	increase speed: <i>I realised that I might not have enough time to finish the exam so I started to speed up.</i>

Phrasal verbs are introduced in a box with brief definitions, so students do not have to guess or think about their meanings, which would be a good exercise (although not in every unit). The activities proposed follow more or less the same pattern throughout the book: choosing the correct answer, completing sentences, circling the correct word, finding the extra word in a line, replacing a word or expression by a phrasal verb, and so on. In my opinion, this system is too practical and systematic, because students work with different contents in the same way and there should be more fun and lighthearted activities. The lack of this type of activities may be due to the fact that, as stated in the introduction, the authors decided to include examples of the exercises found in all main B2 level exams, but they could have considered presenting the contents in a different way instead of using lists of words and expressions with definitions.

I would also like to comment on the fact there are no speaking, listening or writing activities, but just traditional exercises, and that the number of phrasal verbs per unit is excessive (from thirteen to fifteen). Apart from these small details, and the fact that there are no specific allusions to the grammatical behaviour of phrasal verbs, I think the book is suitable for its purpose, which is preparing students for specific level examinations. Thus, authors have made a publication which is centred on the lexical and grammatical contents that will be tested in the exams above mentioned. Notwithstanding, one of the problems with preparing

students for an exam is that the knowledge they acquire tends to be lost soon afterwards, so the teaching ends up being incomplete.

Conclusion

The findings of the article indicate that teaching phrasal verbs could result in a better performance of language learners in a test of grammatical patterns. Consequently, teaching phrasal verbs as an arbitrary rule will slightly redirect teaching grammar towards a dynamic, rational process in which form, meaning and use are interrelated. Moreover, due to the fact that learners have difficulty in ordering of the sentences, more research is needed in this important area to discover how teachers can teach the grammatical points that can be influential and effective in the process of language acquisition. Introducing a small selection of phrasal verbs in each class, focusing more on particles than on verbs, working with a great variety of activities, or encouraging students to use them in grammar class as part of everyday questions, are some of the improvements that can be made to learn phrasal verbs in class.

Reference:

1. Campbell, R.N. (1970). An evaluation and comparison of present methods for teaching English grammar to soeakers of other languages. *TESOL Quartely*,4:1.
2. Dickins, P., & Wood, E.G. (1998). Some criteria for the development of communicative grammar tasks. *TESOL Quarterly*, 22(4): 80-103.
3. Fotos, R. & Ellis, R. (1991). From sentence to discourse: Discourse Grammar and English Language Teaching. *Language Teaching Research*, 3(3).
4. Krashen, S.D. (1985). *The Input Hypothesis: Issues and Implications*. Longman Publications.
5. Quirk Randolph, Sidney Greenbaum, Geoffrey Leech, and Jan Svartvik. *A Comprehensive Grammar of the English Language*. London: Longman, 1985. Print.
6. Mann, Malcom, and Steve Taylore-Knowles. *Destination B2: Grammar and Vocabulary*. Oxford: MacMillan, 2006. Print.
7. Saeidi, M. (2004). *Grammar Instruction: Multiple intelligence-based focus on form approach in an EFL context*. Islamic Azad University, Science and Research Campus.

Resume

In the past few years a lot of works were dedicated to the teaching of grammar to EFL learners. Some methods of teaching such a skill, as it is evident, prescribe deductive and some recommend inductive instruction of grammatical patterns and rules. Some use traditional approaches of teaching grammatical points and some use new and updated approaches of teaching such a basic skill.

The paper presents the results of the study, which was conducted to reveal the effect of teaching phrasal verbs as a classroom activity while teaching grammatical patterns. I tried to answer one main question whether the knowledge of phrasal verbs might enhance higher knowledge of grammatical patterns among Georgian learners of English. The results showed that the students in the experimental group received higher scores, though not significantly, in grammatical patterns after being treated with 15 lectures of phrasal verbs, compared to the other group which was not given phrasal verbs in context.

იზოლდა ჩხობაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ფრაზული ზმნების სწავლების ეფექტიანობა ინგლისური ენის გრამატიკის სწავლებისას რეზიუმე

უკანასკნელი წლების მანძილზე უამრავი შრომა მიეძღვნა ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების სირთულეების დაძლევის მეთოდებისა და აქტივობების ძიებას. ზოგიერთი მეცნიერი ამ უნარის დასაუფლებლად დედუქციურ მეთოდებს გვთავაზობს, სხვები კი ინდუქციურ საშუალებებს ანიჭებენ უპირატესობას გრამატიკული წესებისა და კონსტრუქციების შესასწავლად. ნაწილი სწავლების ტრადიციულ მეთოდებს იყენებს, სხვანი კი თანამედროვე და უახლეს მიდგომებს. მიუხედავად ამისა, ინგლისური ენის გრამატიკის დაუფლება მაინც რთულად მისაღწევ ამოცანად რჩება ენის შემსწავლელთათვის.

სტატიაში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც ჩავატარე, რათა დამედგინა ინგლისური ენის გრამატიკის სწავლებისას ფრაზული ზმნების სწავლების უპირატესობა. შევეცადე პასუხი გამეცა კითხვისათვის და დამედგინა, რომ გრამატიკის სწავლებისას ფრაზული ზმნების თანადროული სწავლება ნამდვილად ზრდის გრამატიკის ცოდნას. კვლევა ჩავატარე ორ ჯგუფში და გამოვიყენე განსხვავებული სახელმძღვანელოები. კვლევის შედეგების მიხედვით ჯგუფმა, რომელიც ინტენსიურად სწავლობდა ფრაზულ ზმნებს უმნიშვნელოდ, თუმცა მაინც უკეთესი შედეგი აჩვენა ტესტირებაში.

Мзия Паркосадзе – Кутаисский госуниверситет им.А.Церетели, доктор педагогических наук, преподаватель Языкового центра

Проблема структурной организации текста при обучении русскому языку как иностранному

При обучении русскому языку как иностранному преподаватель часто сталкивается с таким явлением, когда учащийся, с одной стороны, не умеет правильно с точки зрения порядка слов строить предложение на русском языке и, с другой, – не может логически последовательно связать в единый текст несколько предложений. Это можно объяснить тем, что он, во-первых, не знает основных закономерностей порядка слов, во-вторых, не владеет общими законами построения связного текста и, в-третьих, под влиянием интерференции переносит на русскую почву закономерности словорасположения родного языка.

Отсюда следует вывод, что преподаватель должен научить билингва правильно, логически последовательно строить монологическое высказывание (в устной и письменной форме), познакомить его с основными структурными особенностями построения предложения и текста. Для этого необходимо выделить определённое время для обучения различным способам связи предложений в тексте, а также структурным и смысловым особенностям организации текста.

Эту работу целесообразно проводить одновременно с обучением ответам на вопросы к тексту и с обучением пересказу текста.

Обучая ответам на вопросы к тексту, следует иметь в виду, что вопросно-ответное диалогическое единство с точки зрения смысла и структуры строится, как правило, по следующей схеме: ответ должен содержать часть информации, выясняемой в вопросе. Структурно это выражается так: порядок слов в вопросе служит как бы “зеркальным отражением“ того порядка слов, который наблюдается в ответе, т.е. в вопросительном предложении на первом месте стоят вопросительные слова (*кто, что* и т.д.), местоименные наречия (*где, куда, когда* и др.). В вопросительном предложении/высказывании рема находится вначале, а затем следует тема вопросительного высказывания.

В ответном (повествовательном) предложении порядок следования темы и ремы обычный: тема предшествует реме, поэтому в ответном высказывании, в его начале, повторяются конечные словоформы вопросительного высказывания, а в конце располагается та его часть, которая содержит ответ на вопрос. Например:

- *Когда в Европе появились водяные часы?*
- *В Европе водяные часы появились за 150 лет до нашей эры.*
- *Откуда их вывезли римляне?*
- *Римляне их вывезли из Греции.*

Подобная закономерность структурной и семантической организации вопросно-ответного диалогического единства прослеживается в том случае, если вопрос имеет информативный характер, т.е. если в ответе содержится информация, запрашиваемая в вопросе. Однако можно выделить и такой тип вопроса, при котором в ответе требуется лишь подтвердить или не подтверждать то или иное высказывание.

Работая над вопросами такого типа, следует иметь в виду, что ответ с позиций порядка слов будет строиться иначе, а именно, порядок ответного (повествовательного) высказывания будет повторять порядок слов вопросительного высказывания.

Учитывая вышесказанное, при работе над текстом особое внимание нужно уделять сначала выработке навыков адекватного ответа на поставленный вопрос, а затем – правильного формулирования вопросов к отдельным предложениям.

При обучении пересказу текста познавательного или научно-популярного характера учащиеся должны усвоить, что связность текста аналогичного типа достигается за счёт того, что определённая часть предшествующего высказывания повторяется в последующем высказывании. Преподаватель должен показать, что подобные повторы, с одной стороны, носят довольно разнообразный характер, а с другой, – выражают именно структурную соотнесённость высказываний, их теснейшую синтаксическую связь. Повторы – явление несомненно синтаксическое, так как они имеют значение не сами по себе, а указывают на внутреннюю, глубинную – структурную соотнесённость предложений. Повторы могут получать

различное выражение как с точки зрения смысла, так и с точки зрения структуры, но при соединении высказываний допустимо использовать лишь существующие в языке грамматические структуры и “свобода” их выбора весьма относительна.

Среди наиболее часто встречающихся отметим лексический повтор, синонимический, местоименный и повторы с различными грамматическими трансформациями.

а) Лексический повтор, при котором в тексте последующего высказывания дословно повторяются лексические единицы предшествующего высказывания. Например: *Зелёный камень всегда привлекал к себе своим спокойствием и тихой жизнерадостностью. Именно этим спокойствием и тихой жизнерадостностью можно объяснить то, что после кровавых войн зелёный изумруд обычно входил в моду, а на мировом рынке его цены поднимались в несколько раз.*

б) Местоименный повтор, при котором в последующем высказывании употребляются местоимения (личные, указательные, часто в сочетании с лексическим повтором): *Один из видов солнечных часов дошёл до наших дней. В Москве они сохранились на одном из зданий на Большой Грузинской. Вообще такие часы устанавливали на больших общественных сооружениях.*

в) Синонимический повтор, при котором рематическая часть предшествующего высказывания в теме последующего высказывания представлена синонимами: *Первым делом посетители итальянского города Пиза спешат на площадь Чудес, чтобы запечатлеть в памяти, может быть, не самый красивый, но безусловно самый интересный из памятников – Пизанскую башню. Дело в том, что всемирно известное здание “падает”.*

г) Повторы с различными грамматическими трансформациями, при которых меняется грамматическая форма слова, употребляемого в теме последующего высказывания: *В мире читывается более трёх тысяч живых языков. Каждый живой язык имеет свою историю. Любому языку присущи свои достоинства.*

Необходимо вырабатывать у учащихся умение использовать в речи различные виды повторов, так как только поняв и усвоив смысловую и структурную систему организации текста, он сможет пересказывать текст, строить самостоятельное монологическое высказывание, писать эссе и т.п. Для этого при анализе текста следует обращать особое внимание на его структурную организацию, выявлять различные средства связи, выраженные предложениями, союзами, порядком слов в сочетании с повторами и др.

Предоставив учащемуся/студенту при обучении РКИ систему структурных текстовых ориентиров, можно надеяться, что он сможет правильно строить речь на русском языке.

Использованная литература

1. Гез Н.И. Система упражнений и последовательность развития речевых умений и навыков// Иностр. яз. в шк. 1988, №6.
2. Гельгардт Р.Р. Рассуждение о монологах и диалогах: (к общей теории высказывания) // Сборник докладов и сообщений лингвистического общества, П. Калинин, 1991. Вып. I.
3. Дешериева Ю.Ю. К вопросу о тематико-ситуативных учебных текстах // Русский язык для студентов-иностранцев. М., 1984. Вып.23.
4. Колшанский Г.В. Коммуникативная функция и структура текста. М., 1994.
5. Фоломкина С.К. Зависимость видов упражнений от видов чтения // Методические записки по вопросам преподавания иностранных языков в вузе. М., 1970

Резюме

Одна из проблем при обучении РКИ заключается в том, что учащиеся/студенты не умеют правильно строить предложения на русском языке и логически последовательно связывать их в единый текст. Изучение причин этого явления приводит нас к заключению, что работа над текстом должна обязательно сопровождаться с ознакомлением с различными способами связи предложений в тексте, со структурными и смысловыми особенностями организации текста. Причём такая работа должна проводиться одновременно с обучением ответов на вопросы к познавательному или научно-популярному тексту и с обучением его пересказу.

В статье рассмотрены закономерности структурной и семантической организации связного текста и предложена система работы над ним.

Mzia Parkosadze - Kutaisi Akaki Tsereteli State University, Doctor of pedagogical sciences, teacher in the Language Centre

Problem of structural organization of text with the training Russian as a foreign language

One of the problems with the training of Russian as a foreign language is that the students do not know how to properly build proposals in Russian language and logically consistent to bind them in a single text. Study of the causes of this phenomenon leads us to the conclusion that the work on the text of the must necessarily be accompanied by the familiarity with various ways of proposals in the text with the structural and any faults occurring just benefitted from the text. Moreover, such work should be carried out simultaneously with the training of the replies to the questions of the cognitive or scientific-popular text and the training of its retelling.

The patterns of structural and semantic the courier text and the proposed system of work on them.

ზზია ფარქოსაძე – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ენათა ცენტრის მასწავლებელი

ტექსტის სტრუქტურული ორგანიზაციის პრობლემა რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას

რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების ერთერთი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებს/სტუდენტებს არ შეუძლიათ რუსული წინადადებების სწორად აწყობა და მათი ლოგიკურად და თანმიმდევრულად ერთიან ტექსტად შეკვრა. ამ მოვლენის მიზეზების შესწავლას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ტექსტზე მუშაობას აუცილებლად თან უნდა ახლდეს მასში წინადადებების შეკავშირების სხვადასხვა საშუალებების გაცნობა და აგრეთვე ტექსტის ორგანიზაციის სტრუქტურული და აზრობრივი თავისებურებების გაგება. ამასთან, ასეთი სამუშაო უნდა განხორციელდეს შემეცნებითი თუ სამეცნიერო-პოპულარული ტექსტის კითხვებზე პასუხის სწორად გაცემის და მისი თხრობის შესწავლასთან ერთად.

სტატიაში განხილულია გაბმული ტექსტის სტრუქტურული და სემანტიკური ორგანიზაციის კანონზომიერებანი და შემოთავაზებულია მუშაობის შესაბამისი სისტემა.

ვერა კვანტრე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

მაია კვანტრე - ქუთაისის წმინდა ნინოს №3 საჯარო სკოლის რუსული ენის სერთიფიცირებული მასწავლებელი

მხატვრული ტექსტი რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში

რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს რუსული მხატვრული ნაწარმოებების, როგორც პროზაული, ასევე პოეტური ნაწარმოებების ჩართვას. მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც წარმოადგენს ეროვნული მეტყველების ნამდვილ საუნჯეს, ქართველ სტუდენტებს აცნობს რუსი ხალხის ცხოვრების წესს, ტრადიციებს, რუსეთის ისტორიას [3]. გარდა ამისა, ლიტერატურული ნაწარმოებები „ზრდის მეტყველების კულტურას, ავითარებს ენის შეგრძნებას, სტუდენტების მეტყველებას ხდის უფრო ხატოვანს. პროზაული და პოეტური ტექსტების კითხვა დიდ როლს თამაშობს ლექსიკური მარაგის გაფართოებისა და მათი ფუნქციონალური თავისებურებების აღქმის პროცესში“ [1, გვ.5].

პოეტური და პროზაული ტექსტების გამოყენება რუსულის როგორც უცხო ენის შესწავლისას აქტუალურია როგორც საწყის, ასევე მომდევნო ეტაპზე. მხატვრული ნაწარმოებების შერჩევა ხდება მეთოდური პრინციპების შესაბამისად. უპირველეს ყოვლისა, აუთენტურობის პრინციპების შესაბამისად, რომელზე დაყრდნობა განპირობებულია მხატვრული ნაწარმოების კულტურული დირექციებით და უზრუნველყოფს სტუდენტების კულტუროლოგიური თვალსაწიერის გაფართოებას. სამეტყველო მოღვაწეობის ყველა სახეობის განვითარებისა და ენობრივი (ლექსიკური, ფონეტიკური და გრამატიკული) უნარების ჩამოყალიბებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას მეთოდური დირექციების პრინციპი. დაბოლოს, თემატური პრინციპი გულისხმობს მხატვრული ტექსტების გადარჩევას განსაზღვრულ ლექსიკურ და სასაუბრო თემების მიხედვით. პრაქტიკაში ეს ნიშნავს აუთენტური მხატვრული ტექსტების შერჩევას მათი ენობრივი მასალის გართულებით. მაგალითად, A2 დონეზე ტექსტები არ უნდა იყოს გადატვირთული რთული გრამატიკული, სინტაქსური კონსტრუქციებით. ამიტომ ამ დონის ფარგლებში რეკომენდებულია ოპტიმალურად მცირე პროზაული ნაწარმოებების შესწავლა, მაგალითად, ლ. ნ. ტოლსტოის მოთხრობებისა „Акула“, „Лев и собачка“, „Филипок“ და სხვ.

B1-B2 დონეებზე უნდა ვერიდოთ დაბალი სტილისტური რეგისტრის ლექსიკას, აგრეთვე ნაკლებად გამოყენებად ლექსიკას, რადგანაც ეს აძნელებს ტექსტის აღქმას და ნეგატიურ გავლენას ახდენს სტუდენტების მეტყველების კულტურაზე. მხატვრული ტექსტის ლექსიკური შემადგენლობისადმი მოთხოვნის გამოთქმის მიზნით აუცილებელია ახალი ლექსიკური მარაგის შეფარდება უკვე არსებულ ლექსიკურ მარაგთან, აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნას მათი კონტექსტში ორიენტაციის უნარი, არაექვივალენტური ლექსიკის ცოდნა და ენობრივი მომზადების დონე რუსული მხატვრული ტექსტების ლექსიკის თავისებურებასთან შეფარდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია განისაზღვროს შესასწავლი მხატვრული ტექსტის ლექსიკური შემადგენლობის სფეროში. ასეთი პროზაული ნაწარმოებებია ი. ა. ბუნინის «Молодость», მ.ა. ბულგაკოვის „Полатенце с петухом“, ა. პ. ჩეხოვის «Смерть чиновника», «Толстый и тонкий» ა.პ. პლატონოვის «Юшка» და სხვ.

სწავლების მესამე წელს (B2 დონე) შეიძლება გამოყენებულ იქნას კლასიკური ლიტერატურის უფრო დიდი მოცულობის ტექსტები, მაგრამ მხოლოდ ისინი, რომლებიც შეიძლება გაიყოს ცალკეულ დამოუკიდებელ ფრაგმენტებად, მაგალითად ა.ს.პუმლინის «Повести Белкина» ან მ.ი. ლერმონტოვის «Герой нашего времени» და სხვ.

ტექსტზე მუშაობა მოიცავს რამდენიმე ეტაპს. პირველ ეტაპზე ლექსიკის სემანტიზაციის პროცესი მიმდინარეობს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ „მხატვრული ტექსტი რთულდება როგორც ფორმის, აგრეთვე შინაარსის მიხედვით [1, გვ. 5]. შემდეგ ხდება ტექსტის გრამატიკული კონსტრუქციების დამუშავება. ასეთი მუშაობის შედეგად მხატვრული ტექსტი გასაგები ხდება სტუდენტებისათვის: მათ იციან ყველა გრამატიკული ფორმა, რომელიც ხვდებათ ტექსტში; ლექსიკური ერთეულების მინიმუმ 50% მათი პირდაპირი, გადატანითი და კონტექსტუალური მნიშვნელობით.

მხატვრული ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვის და ანალიზის უნარის დაუფლებისათვის საჭიროა სამეტყველო, ტექსტური, შემოქმედებითი სავარჯიშოები და დავალებები, რომლებიც გადანწილდება

მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე და ყველა ეტაპზე სტუდენტებმა უნდა შეიძინონ განსაზღვრული უნარ-ჩვევები. უშუალოდ მხატვრული ლიტერატურის წაკითხვის გარდა, სტუდენტები უნდა გაეცნონ მოკლე ლიტერატურულ-ბიოგრაფიულ ცნობას ნაწარმოების ავტორის შესახებ, შეასრულონ სხვადასხვა წინატექსტური და ტექსტის შემდგომი დავალებები, რომლებიც შეიცავს ახალი ლექსიკის განმარტებას. აგრეთვე მნიშვნელოვანია ინტონაციაზე მუშაობაც, რომლის მეშვეობით ავტორი გამოკვეთავს ამა თუ იმ აზრს.

მხატვრულ ტექსტზე ასეთი მუშაობის შედეგად გადაიჭრება საკმაოდ რთული ამოცანები, როგორცაა: რუსული ენისა და ლიტერატურისადმი დადებითი ემოციური დამოკიდებულების ფორმირება, სიტყვის შეგრძნებისა და თავისუფლად მეტყველების უნარი.

მხატვრულ ტექსტზე მუშაობის შედეგად ხდება სტუდენტთა ზეპირი მეტყველების დახვეწა და კითხვის უნარის განმტკიცება, ენობრივი, ლიტმოდნობითი და ქვეყანადმცოდნეობითი ცოდნის გაფართოება, აგრეთვე სტუდენტების ესთეტიკური გემოვნების განვითარება.

ლიტერატურა

1. Журавлева Л.С., Зиновьева М.Д. Обучение чтению. М.: Русский язык, 1984. –С. 5.
2. Корнилова Т. В. Роль гуманитарных дисциплин в условиях глобализации учебного процесса [Текст] / Т. В. Корнилова // Педагогический опыт: теория, методика, практика: материалы IV Междунар. науч.–практ. конф. (Чебоксары, 30 окт. 2015 г.) / редкол.: О. Н. Широков [и др.]. – Чебоксары: ЦНС «Интерактив плюс», 2015. – № 3 (4). – ISSN 2412-0529.
3. Лошакова Е. Л. Этнокультурный компонент как составляющая обучения русскому языку как иностранному [Текст] / Е. Л. Лошакова, Л. И. Успенская, О. В. Харитоновна // Образование и наука в современных условиях : материалы V междунар. науч.–практ. конф. (Чебоксары, 09 окт. 2015 г.) / редкол.: О. Н. Широков [и др.]. – Чебоксары: ЦНС «Интерактив плюс», 2015. – № 4 (5). – ISSN 2412-0537.

Вера Квантре - доктор филологии, ассистент-профессор департамента славянской филологии Государственного университета Акакия Церетели

Maia Kvantre – сертифицированный преподаватель русского языка Кутаисской публичной школы №3 им. Святой Нино

Художественный текст в процессе обучения русскому языку как иностранному

Резюме

Статья посвящена анализу роли и методов использования художественного текста как средства обучения русскому языку в иноязычной, в частности, грузинской аудитории. Рассматриваются особенности выбора художественных текстов на разных этапах обучения языку, выделяются те критерии, которые определяют выбор конкретных произведений, а также указываются те проблемы и задачи, решение которых становится возможным с опорой на художественный текст.

Vera Kvantre – Doctor of Philology, Assistant Professor, Department of Slavic Philology, Akaki Tsereteli State University

Maia Kvantre – Certified Russian Language Teacher, Kutaisi St. Nino Public School № 3

Literary Text in the Process of Teaching Russian as a Foreign Language

Abstract

The article analyses the role and methods of a literary text as a tool of teaching Russian language to foreign, particularly Georgian audience. It reviews the characteristics of choosing a literary text at different stages of teaching language, emphasizes criteria that determines the choice of specific text and it also indicates those problems and tasks that can be solved on the basis of literary text.

ნანული მელკაძე – კუთაისის უნივერსიტეტი აკაკი წერეთლის, დეპარტამენტი სლავისტიკის, დოქტორ ფილოლოგიის, ასისტენტი-პროფესორი

К проблеме обучения русской фонетике в грузинской аудитории

При изучении иностранного языка, как правило, возникают ошибки в произношении, связанные с интерференцией родного языка обучающихся. В психолингвистическом плане «фонетическая интерференция есть прежде всего нарушение (искажение) вторичной языковой системы и ее нормы в результате взаимодействия в сознании говорящего фонетических систем и произносительных норм двух, а иногда и более языков, проявляющееся через интерференцию слуховых и произносительных навыков, сформированных на базе данных взаимодействующих систем» [4, 18].

Акцент в русской речи студентов-грузин – результат взаимодействия двух различных языковых систем – системы грузинского и русского языков.

Для исследования природы грузинского акцента в русской речи необходимо сопоставить фонетические системы контактирующих языков и особенности отношений между ними.

Представим сравнительную классификацию гласных в русском и грузинском языках.

подъем	Ряд		
	передний	средний	задний
верхний	ი	ყ	უ
	ო		ჟ
средний	ე		ო
	ქ		ო
нижний		ა	
		ა	

Как видно из таблицы, классификация гласных русского и грузинского языков основывается на одних и тех же трех признаках: ряд, подъем, огубленность. Среди всех гласных фонем грузинского языка не находит соответствия только русская гласная фонема среднего ряда /ы/. Встречающиеся в речи студентов ошибки связаны с её заменой на гласную переднего ряда /и/: *мыло м[и]ло, пыль п[и]ль* и т. п. При этом наблюдается процесс, который У. Вайнрайх определяет как недодифференциацию - недостаточную дифференциацию фонем вторичной фонологической системы, когда две или несколько фонем вторичной системы объединяются в одну фонему первичной фонологической системы: /ы/ и /и/ =/о/. При этом фонемы представляют двуязычные аллофоны, или, пользуясь терминологией У. Вайнраха, конвергентные диафоны.

Однако имеет место и обратная замена фонемы /и/ на /ы/. Дело в том, что грузинский гласный /ო/ характеризуется большей открытостью в сравнении с соответствующим русским звуком, и русский мягкий согласный /и/ иногда произносится твёрдо: *бить б[ы]ть, тихий т[ы]хий* и др. По этой же причине реализуемый после мягких согласных дифтонгоидный гласный [e] заменяется на открытый гласный /ქ/: *н[ე]т, н[ე]тр*.

Аллофоны остальных грузинских гласных достаточно близки к русским. Наблюдаются небольшие различия в произношении. Так, фонемы /ა/ и /ქ/ имеют более переднюю артикуляцию.

Но особенности функционирования гласных в русском языке сильно отличаются от особенностей функционирования гласных в грузинском языке. Широкая вариативность русских гласных не имеет соответствия в грузинском языке. Грузинские гласные не теряют своих дифференциальных признаков, не нейтрализуются. Если говорить о качественной или количественной редукции гласных грузинского языка, то их дистрибуция в слове не ограничена, и, следовательно, редукция гласных (если она и есть) незначительна [3,11].

Соответственно, акцентные нарушения студентов-грузин в области функционирования гласных связаны с отсутствием редукции гласных, оканьем, еканьем: л[э]сник, б[о]леет, к[о]рабль и т. п.

Однако самые важные различия кроются в консонантных системах русского и грузинского языка, поскольку различия касаются дифференциальных признаков.

Представим сравнительную классификацию согласных в русском и грузинском языках.

Способ артикуляции			Место артикуляции										
			губно-		переднеязычные				сре д нея зыч ны й	задне языч ные	ла ри нг ал ь ны й	фар инг аль ны й	
			губ ные	зуб ные	зуб ные	альве одент а льны й	пере д не-нё бные	преа львео ляр ные					поста львео ляр ные
შ უ მ ნ ყ ე	ვ რ ყ ნ ყ ე	звонкие	ბ ბ'		დ დ'					გ გ'			
		глухие	პ პ'		ტ ტ'					კ კ'			
		звонкие	ღ		ღ					ღ			
		глухие аспираты	ფ		ფ					ჟ			
		глухие гортан.	ჰ		ღ					ჰ		ყ	
	შე ლე ვყე	звонкие		ვ ვ'	ზ ზ'		ჯ ჯ'			ი	უ უ'		
		глухие		ფ ფ'	ც ც'		შ შ'			ხ ხ'			
		звонкие		ვ				ფ	ჟ	ღ			
		глухие		(f)				ს	შ	ხ	ჰ		
	აფ ფრ ი კა ყთ	глухие			ც		ჩ'						
		звонкие						ძ	ჯ				
		глухие аспираты						ც	ჩ				
		глухие гортан.						წ	ჭ				
	ს ო ნ ო რ ნ ყ ე	носовые	მ მ'		ნ ნ'								
ბ				ბ									
боковые				ლ ლ'									
					ლ								
дрожящие					რ რ'								
							რ						

На первый взгляд, соотносительные русские и грузинские согласные в произношении незначительно отличаются друг от друга. Рассмотрим некоторые из них.

Губно-зубная щелевая фонема /з/ произносится подобно русскому звуку. Однако у этого согласного звука есть губно-губной аллофон /w/, который преимущественно появляется в заимствованных словах. Грузинские переднеязычные /ღ/ и /ჟ/ более мягкие, поскольку в отличие от русских передненёбных /ш/ и

/ж/ артикулируются при более высоком положении средней части спинки языка и опущенной задней части и являются апикально-альвеолярными. После гласных переднего ряда эти согласные еще больше смягчаются. Соответственно, ошибки в произношении - в реализации недостаточно твердых шипящих согласных: *жир ж[и]р, шил ш[и]л* и т. п.

Более мягкий в грузинском языке и сонант /ლ/. В отличие от подобного согласного в русском языке он артикулируется при вогнутой средней части спинки языка; по способу образования может быть апикальным или даже какуминальным. По этой причине студенты произносят на месте русского /л/ невелиаризованный звук: *плыть п [ли]ть, л[и]жи*.

По месту образования близки русским согласным грузинские заднеязычные. Однако мягкие заднеязычные согласные /к'/ и /г'/ произносятся как недостаточно мягкие, если после них следует фонема /и/: *х[ы]трый, к[ы]слый*. Заднеязычный русский твердый согласный /х/ заменяется увулярным /χ/: *[χ]леб, [χ]имия* и т. п..

Щелевые согласные в грузинском языке образуют оппозицию по звонкости/глухости: *ჰ - (ფ), ზ - ს, ჟ - შ, ლ - ბ* (в русском языке б пар глухих и звонких согласных: *ბ - პ, დ - თ, ვ - ფ, ჯ - შ, გ - კ, ჰ - ც*); оппозиция же взрывных и аффрикатов строится на троичном признаке: различают звонкие, глухие придыхательные и глухие смычно-гортанные звуки: *ბ - ფ - ჰ; დ - თ - ტ; გ - ჟ - ჰ*. Т. е. глухие этой тройки - аспираты: абруптивы составляют двойную оппозицию по признаку придыхательности/непридыхательности и гортанности/негортанности. Соответственно, здесь наблюдаем процесс, обратный недодифференциации, а именно: сверхдифференциацию - избыточную дифференциацию фонем, когда одна фонема вторичной системы отождествляется с двумя (или несколькими) фонемами первичной фонологической системы. В этом случае диафонические взаимоотношения между фонемами становятся дивергентными: *პ = ფ - ჰ; თ = ტ; კ = ჟ - ჰ*.

В количественном отношении в грузинском языке больше свистящих - *ჭ, ს, ძ, ც, წ*, шипящих - *ჟ, შ, ჯ, ზ, ზ*, аффрикатов - *ძ, ც, წ, ჯ, ზ, ზ* и в отличие от русского языка сочетание свистящих и шипящих возможно на стыке морфем.

Звонкие согласные встречаются как в абсолютном начале, так и в исходе слова, а также могут реализовываться перед глухими согласными. Глухие, в свою очередь, могут реализовываться перед звонкими. Т. е. отсутствует столь характерное для русского языка явление ассимиляции и диссимиляции согласных.

Не вызывает затруднений у студентов отсутствующая в грузинском языке фонема /ф/: *фонетика, фабрика*. Но если фонема /ф/ произносится в слове в результате оглушения, то здесь она часто заменяется на звонкий /в/: *о[в]ца, [в]кус* и др.

Однако самое главное отличие - это отсутствие в в грузинском языке оппозиции твердых/мягких согласных (в русском языке 15 пар твердых и мягких согласных: *ბ - ბ', პ - პ', დ - დ', თ - თ', ვ - ვ', ფ - ფ', ჰ - ჰ', ს - ს', ნ - ნ', ლ - ლ', რ - რ', მ - მ', გ - გ', კ - კ', ხ - ხ'*); отсутствуют палатализованные аллофоны. Соответственно, ошибки в произношении связаны с твёрдым произношением согласных: *п[э]сня, вс[э]гда, л[э]т, т[э]пло, вр[э]мя* и др.

Нет в грузинском языке и среднеязычного фрикативного сонанта /j/, поскольку не существует различия по активности средней части спинки языка. Соответственно, ошибки студентов связаны с неразличением сочетаний со звуком [j]: в одних случаях это утрата [j] - вместо съел, объявление - *об[я]вление, с[е]л*, в других - добавление [j]: вместо свёл, бязь - *с[вьё]л, [бья]зь* и др. Особенно трудны для произношения русские прилагательные: белый [*бели*]и[*белих*], высокий [*високи*], красивый [*красиви*] и т. п.

Таким образом, отсутствие в грузинском языке звуков, эквивалентных русским, заставляет студентов во всех ситуациях использовать только наиболее привычные для них фонетические формы, являющиеся, как правило, лишь фонетическими субститутами - аналогами звуков родного языка.

Проведенное сопоставление фонетических систем русского и грузинского языков и анализ типичных фонетических ошибок позволит в дальнейшем разработать систему корректировочных упражнений, направленных на развитие фонологического слуха студентов и устранение акцента в речи.

Использованная литература

1. Вайнрайх У. Одноязычие и многоязычие// Новое в лингвистике. Вып. VI, М, 1972.
2. Вайнрайх У. Языковые контакты. Состояние и проблемы исследования, Киев, 1979.
3. Гамсахурдия Л.К. Сравнительный анализ фонем грузинского и русского языков. Автореф. дис. канд. филол. наук,- М., 1955.
4. Любимова Н. А. Фонетический аспект общения на неродном языке Л., 1988.

Резюме

В статье исследуется один из важнейших типов интерференции – фонетическая интерференция. Доказывается, что акцент в русской речи студентов-грузин является результатом взаимодействия двух различных фонетических систем – системы русского и грузинского языка. Устанавливаются главные отличия фонетических систем – особенности функционирования русских гласных, их широкая вариативность, способность к редукции и нейтрализации, не имеющая соответствия в грузинской вокалической системе; основные характеристики грузинского консонантизма – отсутствие оппозиции по твёрдости/мягкости, палатализованных аллофонов, сонанта [j] .

Проведённый анализ фонетических систем и типичных ошибок позволит разработать систему корректировочных упражнений для предотвращения фонетической интерференции при изучении русского языка.

მელქაძე ნანული – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სლავისტიკის დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

რუსული ფონეტიკის შესწავლის პრობლემისათვის ქართულ აუდიტორიაში რეზიუმე

სტატიაში იკვლევა ინტერფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპი – ფონეტიკური ინტერფერენცია. მტკიცდება, რომ აქცენტი ქართველ სტუდენტთა რუსულ მეტყველებაში არის რეზულტატი ორი განსხვავებული ფონეტიკური სისტემის ურთიერთქმედებისა – რუსული და ქართული ენების სისტემებისა. დგინდება ფონეტიკური სისტემების მთავარი განსხვავებები – რუსული ხმოვნების ფუნქციონირების თავისებურებანი, მათი ფართო ვარიატულობა, რედუქცია და ნეიტრალიზაცია, რაც არ არის დამახასიათებელი ქართული ვოკალიზმისთვის; რუსულთან შედარებით ქართული კონსონანტიზმის ძირითადი განსხვავება – სირბილის/სიმაგრის ოპოზიციის, პალატალიზირებული ალოფონების, სონანტ [j] არარსებობა.

ფონეტიკური სისტემების და ტიპური შეცდომების ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა კორექტირებული დავალებების სისტემის შემუშავებისა ფონეტიკური ინტერფერენციის არიდებისათვის რუსული ენის სწავლებებისას.

Melkadze Nanuli – Akaki Tsereteli State University, Ph. D., assistant-professor of Department of Slavic Philology

Some problems of teaching Russian Phonetics in the Georgian audience

Summary

This article deals with one of the most important types of interference – phonetic interference. It is proved that the accent in the the Russian speech of Georgian students is the result of interaction of two different phonetic systems of the Russian and Georgian languages. The main differences between the phonetic systems are set - the peculiarities of the Russian vowels and their wide variability, the ability of reduction and neutralization that is not characterized for the Georgian vowel system. The main characteristics of the Georgian consonant system is the lack of hardness/softness opposition, palatalizing allophones as well as the lack of the sonant [j] .

The analysis of the phonetic systems and common mistakes gives opportunity to develop a system of revised exercises in order to prevent phonetic interference while learning Russian.

ასმათი დათაშვილი - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლის ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი

წიგნიერების განვითარება (მულტიმედიური ტექსტები) უცხო ენის სწავლების პროცესში

უცხოური ენის ათვისებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ტექსტის სწავლებას. ტექსტის გაგება და შექმნა ენის შესწავლის ის ძირითადი საკვანძო საკითხებია, რომელთა გარეშეც მასწავლებელსა და მოსწავლეს ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევა გაუჭირდება. ტექსტზე მუშაობის დროს ხდება: 1. სამეტყველო უნარ-ჩვევაზე ვარჯიში, 2. ლექსიკური მარაგის გამდიდრება, 3. ენობრივი საშუალებების დაუფლება და გამოყენება, 4. ახალი გრამატიკული ერთეულების გაცნობა, 5. არსებული ცოდნის გააქტიურება.

უცხოური ენის თანამედროვე გაკვეთილზე აუცილებელია, რომ ყველანაირი აქტივობა და, მათ შორის, ტექსტზე მუშაობა მოსწავლეზე ორიენტირებული იყოს. სხვადასხვა ტექსტის დამუშავებისას სისტემატურად ვიყენებ სახელმძღვანელოზე დართულ ფოტოგრაფიულ მედიებსა და ხმოვან საშუალებებს, თუმცა მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ზოგჯერ მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი მაინც დაბალია. ახალი მასალის დამუშავების პროცესში მწირი ლექსიკური მარაგი მოსწავლეს ყველაზე დიდ დაბრკოლებას უქმნის უკეთ გაიგოს და სიღრმისეულად ჩაწვდეს ტექსტის შინაარსს, რადგან მას ხშირად არ გააჩნია აზრის კონსტრუირებისათვის საკმარისი სიტყვათა მარაგი და აკადემიური ცოდნა.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრირებულ ტექსტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა. ისინი ერთდროულად მოიცავენ ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს, უზრუნველყოფენ, როგორც მოტივაციისა და ინტერესის ზრდას, ასევე შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების უნარების განვითარებას.

მულტიმედიური ტექსტის როლი უდაოდ მნიშვნელოვანია ენის სწავლების პროცესში, ვინაიდან ის წარმოადგენს უნივერსალურ რესურსს სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთათვის, ხელს უწყობს მათ მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, უზრუნველყოფს ინფორმაციის სიღრმისეულ წვდომასა და მოტივაციის ზრდას.

2015-2016 სასწავლო წელს მე-4 კლასის სახელმძღვანელოში მოცემულ ზღაპარზე "Jack and the beanstalk" („ჯეკი და ლობიოს ღერო“) მუშაობისას, მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის, ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და არსებული ცოდნის გამოყენების მიზნით მოვიძიეთ და დავამუშავეთ შესაბამისი მულტიმედიური ტექსტი (<https://learnenglishkids.britishcouncil.org/en/short-stories/jack-and-the-beanstalk>). მუშაობის პროცესში გაჩნდა იდეა, დაგვეზადებინა მსგავსი აპლიკაციები და შეგვექმნა ახალი ხმოვანი რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა, როგორც ჩვენი სკოლის, ასევე სხვა სკოლის მოსწავლეებისთვისაც. (მზა რესურსი განვითარდა სოციალურ ქსელში)

განხორციელებული აქტივობების საშუალებით სწავლების პროცესი სახალისოდ და საინტერესოდ წარიმართა, მივალწიეთ გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესაბამის შედეგებს, (სტანდარტთან შესაბამისობა უცხ.დ.IV.5. ილუსტრირებული ტექსტების გაგება და მათში ინფორმაციის მოძიება, უცხ.დ.IV.10. ტექსტების ზეპირად თქმა და ლექსიკური ცოდნის გამოვლენა. უცხ. დ.IV.11. მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა).

მოსწავლეებმა გაიღრმავეს ცოდნა, გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი, განუვითარდათ შემოქმედებითი უნარ-ჩვევები, რაც მთავარია, შექმნეს ილუსტრირებული ციფრული რესურსი.

ლიტერატურა

1. Multimedia: “A Technique in Teaching Process in the Classrooms”
2. ეკა შავერდაშვილი: “ უცხოური ენების სწავლების საფუძვლები”

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მულტიმედიური ტექსტების როლი უცხო ენის სწავლებისას. ავტორი საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის საფუძველზე წარმოადგენს კონკრეტულ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ მულტიმედია ერთ–ერთ ნიშნელოვან დამხმარე რესურსად ინგლისური ენის სწავლების პროცესში.

Asmati Datiashvili – Tkibuli Region Gelati Public School, English Language Teacher

Literacy development (Multimedia texts) in Language learning process

Abstract

This article discusses the role of multimedia in language learning process. The author shares some examples from her teaching experience and represents multimedia as one of the most essential resources in the language learning process.

ეკატერინე გაჩეჩილაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ფრანგულენოვანი რეალიების გადმოცემის რამდენიმე საშუალება

ნებისმიერი ენობრივი სისტემა არის საზოგადოებრივ-ისტორიული პროდუქტი, რომელშიც აისახება ერის ისტორია, კულტურა, სოციალური ურთიერთობები, ტრადიციები. ენა არსებობს და ვითარდება საზოგადოებრივ ცნობიერებაში, იგი არის კულტურის ნაწილი. ამა თუ იმ ერის მატერიალური და სულიერი კულტურის საგნებს, ამ ერისთვის დამახასიათებელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს, ადამიანთა პრაქტიკულ გამოცდილებაში არსებულ საგნებს, ცნებებსა თუ სიტუაციებს აღნიშნავენ რეალიები. „ეს იმ ურთიერთობების ერთობლიობაა, რომლებიც სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ მოვლენებს ლინგვისტურ სტრუქტურებთან აკავშირებენ“. (ვინე, დარბენლე 1958: 259).

რეალიები ფონური ინფორმაციის ნაწილია, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ ისტორიულ ფაქტებს და ინფორმაციას სახელმწიფო მოწყობის, გეოგრაფიული გარემოს თავისებურებების, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნებების შესახებ. (ბარხუდაროვი 1975: 94).

ტერმინის „რეალია“ გვერდით ხშირად გამოიყენება მასთან შინაარსით ახლოს მდგომი სხვა ტერმინებზე, როგორცაა: „ლოკალიზმი“, „ეგზოტიკური ლექსიკა“, „არაეკვივალენტური ლექსიკა“ და ა.შ. ზოგიერთი მკვლევარი (ა.ფეოდოროვი, ე.ვერეშაგინი, ვ.კოსტომაროვი) რეალიებს „არაეკვივალენტურ ლექსიკას“ უწოდებს. „ეს სიტყვები ისეთი ცნებების გამოსახატავად გამოიყენება, რომლებიც არ არსებობს სხვა ენაში და სხვა კულტურაში. ისინი დაკავშირებულია კონკრეტულ კულტურულ ელემენტებთან, რომლებიც ერთ კულტურაში არსებობს და სხვა კულტურაში არ მოიძებნება; ესენია სიტყვები, რომელთა მეორე ენაზე ერთი სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია და რომლებსაც სხვა ენაში ეკვივალენტი არ გააჩნიათ“. (ვერეშაგინი, კოსტომაროვი 1990: 53). რეალიები ნაციონალური და ისტორიული კოლორიტის მატარებელი არიან.

რეალიების გადმოცემისას ორი ძირითადი სირთულე იჩენს თავს: 1. ლექსიკური ვაკუუმი, ანუ სათარგმნ ენაში შესატყვისის (ეკვივალენტის ან ანალოგის) არარსებობა იმის გამო, რომ სათარგმნი ენის მკითხველის სინამდვილეში არ არსებობს რეალიის მიერ აღნიშნული ობიექტი (რეფერენტი); 2. რეალიის საგნობრივ (სემანტიკურ) მნიშვნელობასთან ერთად მისი კოლორიტის გადმოცემის აუცილებლობა. (ვლახოვი, ფლორინი 1986:89).

ფრანგულენოვანი რეალიების გადმოცემის რამდენიმე საშუალება არსებობს:

I. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს „მატერიალური სესხება“. (მასლოვი 1987: 201). ამ შემთხვევაში ხდება უცხოენოვანი ერთეულის არამართო შინაარსის, არამედ მისი მატერიალური ექსპონენტის, მაჩვენებლის სესხება. „მატერიალური სესხება“, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ტრანსლიტერაციასა და ტრანსკრიფციას.

ა. ტრანსლიტერაცია გულისხმობს რეალიების გადმოცემას გრაფიკული ფორმის საშუალებით:

Pierre riait, disait que cela lui rapellait sa jeunesse et entonnait «*La bohéméé – meu*»

პიერი იცინოდა, ამბობდა, რომ ეს მას ახსენებდა ახალგაზრდობას და ღიღინებდა *აზნავურის* „*ბოჰემას*“.

Je crois bien que je la connais! On était à *la communale* ensemble!

მას როგორ არ ვიცნობ?! ჩვენ ერთად დავდიოდით *კომუნალურ სკოლაში*!

ბ. ტრანსკრიფცია გულისხმობს ფონეტიკური ფორმის დახმარებით შესაბამისი რეალიების შემოტანას ტექსტში, სათარგმნი ენის ფონეტიკური საშუალებების ორიგინალთან მაქსიმალური მიახლოების გზით. მაგ. Le croissant – კრუასანი, Le Matignon – მატინიონი (საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია) და ა.შ.

Le Moulin-Rouge est situé sur le boulevard de *Clichy*.

მულენ-რუჟი მდებარეობს *კლიშის* ბულვარზე.

ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია ყველაზე ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა „საქმე ეხება საკუთარ სახელებს, სახელმწიფო უწყებებისა თუ სასწავლო დაწესებულებების დასახელებებს და ა.შ.“. (ტომახინი 1988: 32). წარმატებული ტრანსკრიფციის შემთხვევაში მთარგმნელი ახერხებს როგორც შინაარსის, ასევე რეალიის კოლორიტის გადმოცემას. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეალიების აღმნიშვნელი ტრანსკრიბირებული სიტყვების უზვად გამოყენება თარგმანში არათუ ხელს უწყობს

ნაციონალური კოლორიტის შენარჩუნებას, არამედ, პირიქით, ანადგურებს მას და აიძულებს მკითხველს ყოველ ნაბიჯზე წააწყდეს გამოუსადეგარ ეგზოტიკურ სიტყვებს. უცხო სიტყვების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც ამა თუ იმ რეალიას შესატყვისი არა აქვს სათარგმნ ენაში.

II. *კალკირების მეთოდის* დროს „ვიღებთ უცხოენოვანი ერთეულის მხოლოდ შინაარსსა და სტრუქტურას და არა მის მატერიალურ ექსპონენტს“. (მასლოვი 1987: 202). კალკი საშუალებას იძლევა სათარგმნ ენაში გადავიტანოთ რეალია მისი სემანტიკის მაქსიმალურად შენარჩუნების გზით, თუმცა სემანტიკის შენარჩუნება ყოველთვის არ გულისხმობს კოლორიტის შენარჩუნებას.

La dame a tendu *sa carte bleue* à une vendeuse.

ქალბატონმა გამყიდველს თავისი *საკრედიტო ბარათი* გაუწოდა.

კალკირების მეთოდი საკმაოდ ხშირად გამოიყენება ფრაზეოლოგიზმებთან, როდესაც გვსურს ფრაზეოლოგიური ეკვივალენტის არარსებობის კომპენსირება. (სადიკოვი 1999: 30).

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კონტექსტუალური და ფრაზეოლოგიური კალკა. ფრაზეოლოგიური კალკა - ეს არის „მყარი სიტყვათმეთანხმება, რომელიც ენაში წარმოიშვა უცხოენოვანი ფრაზეოლოგიზმების სიტყვასიტყვითი თარგმანის შედეგად“. (ფენენკო 2006: 267):

Si on lui en donne long comme un doigt il en prend long comme un bras.

პირში თითს თუ ჩაუდებ, ხელს მოგაჭამს.

Ce que femme veut, Dieu le veut....

რაც სურს ქალს, ის სურს ღმერთს....

Avec ce que tu manges, *ce serait de l'argent jeté par les fenêtres.*

რატომ ატან ქარს ფულს - შენ ხომ მაინც არაფერს ჭამ?!
კონტექსტუალურ კალკას „ქმნის კონკრეტული მთარგმნელი კონკრეტულ ტექსტში, კალკირებული ერთეულების მნიშვნელობა გასაგები ხდება ფრაზეოლოგიური ერთეულის შინაგანი ფორმის წყლობით“.

(ფენენკო 2006: 268):
Il ne savait pas si c'était du lard ou du chochon.
მან არ იცოდა საქმის ვითარება.

III. *ნაწილობრივი კალკი* სიტყვების ნაწილობრივი სესხების საშუალებას წარმოადგენს, როდესაც სიტყვა ნაწილობრივ სათარგმნ ენის, ნაწილობრივ კი ორიგინალის ენის ელემენტებისგან შედგება. (ფენენკო 2006:110). ნაწილობრივი კალკები ძირითადად გამოიყენება საკუთარ სახელებთან.

Elle logeait *au septième étage* d'un immeuble *cosssu* qui donnait sur *le Champs-de-Mars* et en ce sens oui, on pouvait dire qu'elle habitait un endroit chic puisque (...) on pouvait apercevoir, c'est exact, le haut de *la Tour Eiffel*.

იგი ცხოვრობდა მდიდრული სახლის *მერვე სართულზე*, რომელიც გადიოდა *მარსის ველზე* და შეიძლება ითქვას, რომ ის, მართლაც, პრესტიჟულ ადგილას ცხოვრობდა, ვინაიდან შეეძლო *ეიფელის კოშკის* დანახვა.

კალკი და ნაწილობრივი კალკი ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ ისინი მაინც „ეგზოტიკურ სიტყვებად“ რჩება, ვინაიდან მათი დენოტატი სათარგმნ ენის მკითხველისთვის უცხოა.

IV. *აღწერითი თარგმანი* გამოიყენება, როდესაც „კალკირება შეუძლებელია ამა თუ იმ მიზეზის გამო“. (სადიკოვი 1999: 37). აღწერითი მეთოდის დროს მნიშვნელოვნად ფართოვდება რეალიების კომპონენტური შემადგენლობა, ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება წინადადებების გრამატიკულ სტრუქტურაში. აღწერითი მეთოდის დროს გარდაუვალია ინფორმაციის გარკვეული ნაწილის დაკარგვა ექსპრესიულობის ხარჯზე, ასევე რეალია კარგავს მისთვის ესოდენ დამახასიათებელ ნაციონალურ კოლორიტს. აღწერითი თარგმანის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ იგი გამორიცხავს ყოველგვარ გაუგებრობასა და ბუნდოვანებას, სწორედ ამიტომ აღწერითი თარგმანი თანამედროვე რეალიების გადმოცემის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა.

Cécile se décida enfin à se rendre dans *un Brico* :
ესილმა როგორც იქნა გადაწყვიტა, წასულიყო *საყოფაცხოვრებო მაღაზიაში*.

Alors ? Qu'est-ce que tu trafiquais là-dedans ? J'ai mon *RER*, moi!

კი მაგრამ, რას აკეთებდი მანდ ამდენ ხანს? ჩემი *მატარებელი* მაღე მოვა!

V. ზოგჯერ არაეკვივალენტური ლექსიკის გადმოცემისას მივმართავთ *ტრანსფორმაციულ თარგმანს*, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მივმართავთ ან წინადადების სინტაქსური სტრუქტურის ან სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილებას, ან ორივეს ერთად. სწორედ ამიტომ რეალიათა გადმოცემის აღნიშნული საშუალება ცნობილია ლექსიკურ-გრამატიკული ტრანსფორმაციის

სახელწოდებით. ტრანსფორმაციული თარგმანის სახეობებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა რეალიების არსებული მნიშვნელობის შემცირება ან გაფართოება და ფუნქციონალური ჩანაცვლება.

მნიშვნელობის შემცირებას ვხვდებით იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოენოვან ერთეულს უფრო ფართო მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე მის შესატყვის ერთეულს ნათარგმნ ტექსტში. მნიშვნელობის შემცირება იშვიათია მხატვრული პროზის და ხშირია პოეზიის თარგმანის დროს, როდესაც ლექსის ზომის შენარჩუნების მიზნით, უგულვებელყოფილია რეალიები, როგორც კონტექსტისთვის ნაკლები მნიშვნელობის მქონე ერთეულები.

უფრო ხშირია მნიშვნელობის გაფართოების (განზოგადება) შემთხვევები, ე.ი. როდესაც უცხოენოვან ერთეულს უფრო ვიწრო მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე მის შესატყვის ერთეულს ნათარგმნ ტექსტში.

Vos vêtements sont pliés sur *la bergère*. თქვენი ტანსაცმელი *სავარძელზეა*.

სადაც *la bergère* არის სავარძლის ნაირსახეობა, ერთგვარი ფართო სავარძელი. (Hachette 2005:98).

Elle s'approchait en essayant d'attraper tout de suite le rythme de *la Carmagnole*.

ის გვიახლოვდებოდა, ცდილობდა რა მაშინვე დაეჭირა *ცეკვის* რიტმი.

სადაც *la Carmagnole* არის XVIII საუკუნის ფრანგული ცეკვა.

არაეკვივალენტური ლექსიკის თარგმანისას ადგილი აქვს ასევე ფუნქციონალურ ჩანაცვლებას, ე.ი. როდესაც ერთი და იგივე საგნობრივი სიტუაცია ეფუძნება განსხვავებულ, თუმცა ურთიერთდაკავშირებულ ნიშნებს. ფუნქციონალურ ჩანაცვლებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვის ლექსიკონში მოცემული შესატყვისებიდან არცერთი არ შეესაბამება მოცემულ კონტექსტს. სათარგმნ სიტყვას შესაძლოა ჰქონდეს შესატყვისი, რომელიც განსხვავდება ლექსიკონში მოცემული შესატყვისისგან; ამ შემთხვევაში ამოსავალია კონტექსტი. ასეთი თარგმანის ნაკლს რეალიის, როგორც ნაციონალური კოლორიტის, ცვლილება წარმოადგენს.

T'as eu ton certificat d'études ? Alors, va lire «Becassine» et tais-toi.

ოთხი კლასი ხო დაამთავრე? ჰოდა, წაიკითხე „თხა და გიგო“ და გაჩუმდი.

უნდა აღინიშნოს, რომ რეალიების გადმოსაცემად გამოყენებული საშუალებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხი მაინც ტრანსკრიფციაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც ინტერნაციონალური, ისე რეგიონალური რეალიების შემთხვევაში.

ასე რომ, რეალიების გადმოცემის საშუალებების არჩევა დამოკიდებულია მთარგმნელის მიზნებზე: შესაძლებელია შევინარჩუნოთ რეალიების ნაციონალური კოლორიტი სემანტიკური მნიშვნელობის უგულვებელყოფის ხარჯზე თუ პირიქით, უპირატესობა მივანიჭოთ სემანტიკურ მნიშვნელობას, არ მივიღებთ რა მხედველობაში რეალიების ნაციონალურ კოლორიტს. ზოგიერთ შემთხვევაში კოლორიტის ჩვენება განმსაზღვრელ ფაქტორს არ წარმოადგენს და შესაძლოა რეალიის აზრობრივი შინაარსი ჩრდილში მოექცეს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რეალიების გამოყენებით მთარგმნელი ყოველთვის როდი ცდილობს მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას ამ რეალიის შინაარსზე. კონოტაციისა და კოლორიტის შენარჩუნება რეალიების გადმოცემისას ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მათი სემანტიკური მნიშვნელობის გამოხატვა. რეალიების სწორად გადმოცემა უმნიშვნელოვანესია ხალხთა და კულტურათა კომუნიკაციის პროცესში, ვინაიდან გლობალიზაციის პირობებში სწორედ ენა და შესაბამისად, მასში მიმდინარე ცვლილებების აღწერის შესაძლებლობა უზრუნველყოფს სხვადასხვა კულტურათა შორის არსებული საზღვრების გადალახვას.

ლიტერატურა:

1. Бархударов Л.С. *Язык и перевод*. Москва: Международные отношения, 1975.
2. Верещагин Е.М., Костомаров В.Г. *Язык и культура: Лингвострановедение в преподавании русского языка как иностранного*. Москва: Русский язык, 1990.
3. Влахов С., Флорин С. *Непереводимое в переводе*. Москва: Высшая школа, 1986.
4. Маслов Ю.С. *Введение в языкознание*. Москва, 1987.
5. Садыкова М.Г. *Социо- и лингвокультурологические проблемы адаптации коннотативных единиц языка в тексте // Проблемы культурной адаптации текста*. Воронеж: Центр “Русская словесность”, 1999.
6. Томахин Г.Д. *Реалии-американизмы*. Москва: Высшая школа, 1988.
7. Фененко Н.А. *Французские реалии в контексте теории языка*. Воронеж, 2006.
8. Archibald J. *La localisation: problématique de la formation*. Montréal: Liuguattech, 2004.
9. Ballard M., Kaladi El-A. *La traduction, contact de langue et de culture*. Arras: Artois. Presses Université, 2005.

რეზიუმე

რეალიები აღნიშნავენ ამა თუ იმ ერის მატერიალური და სულიერი კულტურის საგნებს, ამ ერისთვის დამახასიათებელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს, ადამიანთა პრაქტიკულ გამოცდილებაში არსებულ საგნებს, ცნებებსა თუ სიტუაციებს. ფრანგულენოვანი რეალიების გადმოცემის რამდენიმე საშუალება არსებობს, როგორცაა: „მატერიალური სესხება“, რაც გულისხმობს ტრანსლიტერაციასა და ტრანსკრიფციას; კალკირება და ნაწილობრივი კალკირება, რაც საშუალებას იძლევა სათარგმნ ენაში გადავიტანოთ რეალია მისი სემანტიკის მაქსიმალურად შენარჩუნების გზით; ალწერითი მეთოდი, როდესაც მნიშვნელოვნად ფართოვდება რეალიების კომპონენტური შემადგენლობა; ტრანსფორმაციული თარგმანი, როდესაც ხდება რეალიების არსებული მნიშვნელობის შემცირება ან გაფართოება და ფუნქციონალური ჩანაცვლება. რეალიების გადმოცემის საშუალებების არჩევა დამოკიდებულია მთარგმნელის მიზნებზე. კონოტაციისა და კოლორიტის შენარჩუნება რეალიების გადმოცემისას ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მათი სემანტიკური მნიშვნელობის გამოხატვა.

Ekaterine Gachechiladze – Akaki Tsereteli State University, Ph.D in Philology, Associate Professor

Ways of transfer of the French realities

Abstract

Realities are tools of communication in the dialogue of the modern world cultures. They have no exact equivalents in other languages. There are several ways of transfer of the French realities: “material loan” (transliteration, transcription), calque, loan translation, the transformational translation, the descriptive translation with expansion of component structure. The choice of a certain way of transfer of the French realities depends on a task of the translator.

ნათელა გაბუნია - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლის, ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა „პროგრესის“ რუსული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

მულტიმედია რუსულის გაკვეთილზე

მულტიმედია გვამღევს საშუალებას შევიყვანოთ, დავამუშაოთ, შევინახოთ, გადავცეთ გამოვსახოთ ტექსტი, გრაფიკა, ანიმაცია, გამოსახულებები, ვიდეო მეტყველება და ხმა.

მულტიმედია ძლიერ გავლენას ახდენს მოსწავლეებზე იმიტომ, რომ ისინი სწავლების აქტიური მონაწილეები ხდებიან.

მულტიმედიური გაკვეთილის დანიშნულება :

1. ახალი მასალის შესწავლა
2. ახალი ინფორმაციის წარდგენა
3. მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება
4. განვლილი მასალის განმტკიცება
5. უნარ-ჩვევების დამუშავება
6. ცოდნის სისტემატიზაცია
7. გამეორება
8. მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება

სიმღერების გამოყენება მეხმარება ლექსიკური და ფრაზეოლოგიური მარაგის გამდიდრებაში, სამეტყველო და ლიტერატურული ენის გამყარებაში, წერითი და ზეპირი დიალოგის პროდუცირებაში. სიმღერაში განმეორებითი ფრაზები, მისამღერი ხელს უწყობს სმენის აღქმას და გამეორების უნარ-ჩვევებს, გაგებას და დამახსოვრებას. მაგალითად სიმღერაში „Чунга-Чанга“ – კარგად ვამყარებ ფონეტიკურ მასალას; კარგად არის წარმოდგენილი მახვილები: синий, свод, лето. Песня крокодила Гены – неуклюже, рекой, гармошке .

ასევე თემა Поздравления -შესწავლის დროს კარგად ვიყენებ ლექსიკური მასალის დასამახსოვრებლად მისამღერის სიტყვებს .

თემა Имя числительное -სიმღერა Дважды два-четыре. და სხვა გრამატიკული ფორმების შესწავლისას შედეგიანად ვიყენებ Песня барона Мюнхаузена. Вместе весело шагать.

ამ სიმღერების მისამღერები აგებულია გამეორების ხერხით და მოსწავლეები უკეთესად იმახსოვრებენ რთულ ბგერებს, ფრაზებს, შემდეგ კი მოსწავლეების უმეტეს ნაწილს უჩნდებათ სურვილი მთლიანი სიმღერის ტექსტი ისწავლონ.

დროდადრო მულტიმედიური გაკვეთილების ჩატარებით, მივდივარ იმ დასკვამდე, რომ ასეთი გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები მეტად დაინტერესებული არიან და კარგ შედეგსაც ვიღებთ.

რუსული ენის, როგორც უცხოური ენის (PKI)შესწავლის აუცილებელ ელემენტად იქცა ეს მულტიმედიური რესურსები იმიტომ, რომ ამ ტექნოლოგიების საშუალებით ჩვენი გაკვეთილები უახლოვდება რეალურ, ჩვეულებრივი ცხოვრების პირობებს. რათქმუნდა, ამ ყოველივეს თან სდევს, აითვისონ მოცემული მასალა, ამიტომაც ავთენტური ვიდეომასალა არის განსაკუთრებული ტიპის მასალაც(ვიდეოტექსტი და აუდიოვიზუალური მასალები), რომელიც ავითარებს მხედველობით და სმენით წარმოსახვას.

საჭიროებს მასალის გადარჩევა, რადგან ყველა ვიდეოფილმი ან სიმღერა არ შეესაბამება მასალას. მაგ: ჩემს პრაქტიკაში, კარგად და შედეგიანად ვიყენებ მულტფილმებს და სიმღერებს. ანბანის შესწავლის დროს ხშირად ვიყენებ გადაცემა “Абвгдейка“ ვიდეოროლიკებს. მოსწავლეები სიამოვნებით უსმენენ და შემდეგ უჩნდებათ სიმღერის შესწავლის მოტივაციაც.

მე 10 კლასშიც მასალის შესწავლის დროს ნაჩვენები იყო ვიდეო - ნაწყვეტები, შედეგად მოსწავლეები უფრო მოტივირებულები შეუდგნენ ამ ნაწარმოებების შესწავლას. მაქსიმალურად ვიყენებ ინტერნეტ-რესურსს, რომელიც მამძლევს საშუალებას დამატებითი ინფორმაციის მოპოვების.

მულტიმედიური საშუალებების გამოყენება საშუალებას მამძლევს :

- 1) მივაწოდო მოსწავლეებს მეტად სავსე ინფორმაცია სამეტყველო და გრამატიკულ კონსტრუქციებზე.
- 2) ავამაღლო გაკვეთილის ეფექტურობა, ემოციური მხარე, მოსწავლეების ყურადღების აქტივიზაცია.
- 3) გავაუმჯობესო მოსწავლეებში, რაც ყველაზე მთავარია ამ დროისათვის, სამეტყველო ლექსიკა და დიალოგური მეტყველება.
- 5) გაიზარდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავების ხარისხი.

ლიტერატურა

1. Азимов.Э.Г.Методика применения компьютерных технологий в обучении русскому языку как иностранному.
2. Казимянец Е. 2011.К вопросу об использовании киноматериалов на занятиях по РКИ в рамках диалога культур.

რეზიუმე

ინფორმაციის ეპოქაში თანამედროვე საზოგადოების განვითარება ხდება საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით.

უცხოური ენის სწავლებისას ვიყენებთ სწავლების სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებს, მათ შორის ახალ ტექნოლოგიებს. მულტიმედია, რომელს წარმოადგენს ტექნოლოგიების ნაკრებს, მიმართულია უცხოური ენების მიზანმიმართული სწავლებისთვის.

Natela Gabunia – Tkibuli Region Gelati Public School, Georgian–American School “Progress”, Russian Language teacher

Multimedia at the Russian language lesson

Abstract

Nowadays, modern society is developed by the informational technology. While teaching foreign language we often use different technological recourses. One of them is multimedia, that represents the combination of modern technology and helps us to manage learning and teaching process effectively.

მედეა დარსაველიძე – учительница русского языка, старший преподаватель, Кутаисская физико-математическая публичная школа № 41 имени Андрея Размадзе

Организация урока-исследования в современной школе

Исследовательская деятельность учащихся и урок-исследование – это разные понятия, которые не следует отождествлять. Под исследовательской деятельностью подразумевается процесс, почти не ограниченный временем. Это исследование с заранее неизвестным результатом. Урок-исследование же обычно заключён во временные рамки, в 45 минут. Причём, перед учащимися ставим творческую задачу, решение которой, в подавляющем ряде случаев, известно (но не учащимся). Итог подобного урока – новые знания, которые получены учениками самостоятельно, путём вариантов, версий, применения нужных правил, действий. Такие знания, несомненно, останутся в памяти ребят надолго и прочно, а ценность мыслительного процесса трудно переоценить.

На классическом уроке всегда реализуется стандартная позиционная схема «Учитель» - «Ученик», согласно которой учитель объясняет новый материал, то есть транслирует знания, ученики же и слушают, и не слушают. Обучение в значительной степени строится по формуле: «Усвоение = Понимание + Запоминание».

На уроке-исследовании учитель руководствуется следующей формулой: «Овладение = Усвоение + Применение знаний на практике». На таком уроке каждый ученик вовлечён в процесс добывания новых для него знаний. Меняется и роль педагога, которая состоит в следующем:

- ✓ выявление интересов учащихся в предметном содержании для организации исследовательской деятельности;
- ✓ создание проблемных ситуаций;
- ✓ консультация при работе со структурой исследования;
- ✓ организация группового взаимодействия;
- ✓ консультация по форме представления результатов исследования;
- ✓ организация рефлексии.

Готовы ли наши ученики к подобному нестандартному уроку? Для ответа на этот вопрос в школе мною было проведено небольшое исследование среди учащихся 6-11 классов. Я попыталась выявить степень сформированности их исследовательских знаний и умений. Было проанкетировано 105 учеников. Предложено было оценить себя, то, как они владеют исследовательскими умениями по двухбалльной шкале:

- не владею – 0 баллов;
- владею не в достаточной степени – 1 балл;
- владею в полной мере – 2 балла.

По результатам опроса были сделаны выводы:

1. у учащихся лучше сформированы коммуникативные умения (уровень сформированности 60, 2%), то есть умения слушать и понимать других, однако они не умеют выражать себя;
2. у ребят достаточно хорошо сформированы информационные умения (58, 6%), то есть они умеют находить информацию в различных источниках, умеют структурировать информацию и выделять главное, но затрудняются упорядочивать и представлять её в нужной форме;
3. слабо выработаны мыследеятельные умения (47, 3%), то есть учащиеся не умеют выдвигать гипотезы, им трудно провести самоанализ работы;
4. плохо сформированы презентационные умения (40, 8%), то есть учащиеся затрудняются построить устное сообщение о проделанной работе, им трудно выбрать способ и форму наглядной презентации результатов деятельности.

Отсюда мною были выбраны задачи для проведения плодотворных уроков - исследований :

- формировать общеучебные умения работы с различными источниками информации;
- учить учащихся ораторскому искусству;
- осуществлять рефлексию по любому проведённому мероприятию;

- учить выдвигать гипотезы и устанавливать причинно-следственные связи и т. п.

Считаю целесообразным на уроке-исследовании ставить две задачи: 1. Обучение предмету (дидактическая цель). 2. Обучение исследовательской деятельности (педагогическая цель). Поставленные цели, конечно же, взаимосвязаны и одновременно достигаются в ходе одного и того урока-исследования. Например, чтобы обучить предмету, помогаю учащимся приобрести общенаучные умения (работа с учебником, составление таблиц, оформление наблюдения в письменном виде, формулировка мыслей во внутренней и внешней речи, осуществление самоконтроля, проведение самоанализа). На уроке исследовательского характера стараюсь привить учащимся специальные умения и знания (усвоение фактического материала по предмету и т. д). Немаловажно и то, что в итоге дети также приобретают интеллектуальные умения (умение анализировать, сравнивать, обобщать).

Для получения нужного результата непременно учитываю то, что в структуре урока-исследования обязательны следующие этапы:

- актуализация знаний;
- мотивация;
- создание проблемной ситуации;
- определение темы исследования;
- постановка проблемы исследования;
- формулировка цели исследования;
- выдвижение гипотезы;
- проверка гипотезы (чтение литературы, просмотр учебных фильмов, выполнение лексико-грамматических заданий) ;
- интерпретация полученных данных;
- выводы по результатам исследовательской работы;
- применение новых знаний в учебной деятельности;
- подведение итогов урока;
- домашнее задание.

На уроках- исследования использую эвристические, поисковые методы. Они значительно облегчают и делают более продуктивным процесс добывания учащимися новых знаний:

- ❖ « Бортовой журнал» (Запись того, что детям известно по данной теме, как проходит процесс добывания ими новых знаний);
- ❖ « Корзина идей»(Актуализация опыта и знаний учеников);
- ❖ «ЗУХ» («Знаю- Узнал- Хочу знать»);
- ❖ «Гроздь кластера» (Выделение смысловых единиц материала и его графическое оформление в виде грозди);
- ❖ «Интеллектуальная карта» (Систематизация фактов);
- ❖ «Диаграмма Венна» (Нахождение сходства и различия в фактах);
- ❖ « Написание эссе» (Свободное письмо на заданную тему) и т. д.

Исходя из моего скромного опыта, хотелось бы отметить, что первоначальным этапом готовности учащихся к исследовательской работе являются чувство удивления и желание принять участие в процессе добывания новых знаний. Причём, на всех этапах (6-11 классы) приходится по-разному стимулировать интерес к исследовательскому поиску.

В начальных классах стараюсь помочь детям приобрести простейшие знания, умения и навыки, необходимые для выполнения исследовательской работы. Обучаю их основам самостоятельной деятельности, нестандартного мышления. На данном этапе важно им привить навыки ориентации в материале без помощи учителя, выделения главного, оценивания и постановки вопросов. Не менее важно развивать навыки решения проблемной ситуации, критического мышления. Например, при изучении таких тем, как «Знакомство», « Семья», «Распорядок дня», « Понятие об имени существительном», « Понятие о местоимении» и др., использую определённую ситуацию в форме игр: « Как сказать правильнее?», « Что

лучше?», « Как поступить?», «Попробуем описать», «Догадайся» и т.д. Делаются выводы для последующих диалогов, полилогов и монологов.

В средних классах усложняются тексты, задания к ним, соответственно меняются формы исследовательской работы, увеличивается их объём. Задания приобретают чётко выраженный сопоставительный характер. Например, при изучении таких тем, как « Личность и эпоха», « Русское искусство за рубежом», « Познаём мир», «Причастие», « Деепричастие» и др., использую определённую проблемную ситуацию в форме игр, дебатов, дискуссий, эссе. Делаются выводы для последующего их использования в учебной деятельности.

В старших классах ещё более сложнее становится программный материал. Предлагаются темы: «Мир, в котором мы живём», «Образование», «Экология», « Наша планета», « Страницы истории» и др. На данном этапе учащиеся могут самостоятельно выбирать материал для исследования, анализировать информационные источники, выдвигать гипотезы, делать выводы, готовить доклады, и т. д. Однако помощь учителя всё же необходима. В этот период особенно интересны уроки различных форм: уроки-презентации, уроки- проекты, уроки-диспуты.

По итогам урока-исследования в рабочих тетрадях у учащихся обычно остаются такие записи:

- ✓ Проблема: ...
- ✓ Тема исследования: ...
- ✓ Цель исследования: ...
- ✓ Гипотеза: ...
- ✓ Подтверждение гипотезы: ...
- ✓ Вывод: ...
- ✓ Практическое применение новых знаний: ...
- ✓ Домашнее задание (вопросы для закрепления изученного материала).

Согласитесь, не каждый урок можно сделать уроком исследования. К такому типу урока нужна определённая теоретическая подготовка, которую ученики получают на традиционных учебных занятиях по изучению и первичному закреплению новых знаний и способов деятельности. После этого этапа следует, на мой взгляд, применять уроки-исследования. В таком случае учащиеся смогут проанализировать проблемную ситуацию, используют ранее полученные знания для её успешного решения.

Таким образом, использование элементов проблемных, поисковых, исследовательских, эвристических методов обучения делает процесс обучения более продуктивным. Развитие исследовательских умений и навыков обучающихся на основе различных источников информации, с использованием информационных технологий, компьютерной презентации, помогает нам, преподавателям достичь определённых целей: поднять интерес учащихся к учёбе, мотивировать их на достижение более высоких академических результатов. При этом ребята учатся самостоятельной работе с разными источниками информации, умению отбирать и анализировать материал, оформлять результаты работы в виде схем, таблиц, диаграмм и слайдов. Им становится нетрудно оперировать полученными знаниями. Ученики становятся обладателями развитых познавательных потребностей. Они сравнительно легко и гибко ориентируются в современном информационном пространстве, продуктивно работают, эффективно сотрудничают, адекватно оценивают себя и свои достижения. На уроках – исследованиях активизируются их познавательная деятельность, самостоятельность, нестандартность мышления, столь востребованные в современном мире. Поэтому важно формировать ключевые компетенции учащихся, а делать это, опираясь на технологию исследовательской деятельности на уроке русского языка, как и на других уроках, значительно проще и доступнее.

Использованная литература:

1. Акишина А.А., Каган О.Е. Учимся учить. М., 2012.
2. Выготский Л.С. Собрание сочинений . Т.4, 1982.
3. Дьяченко Н. В. Формы познавательной деятельности учащихся. М., 1986.
4. Шукин А. Н. Методика преподавания русского языка как иностранного. М., 2010.

Резюме

Глобализация предъявляет современному обществу новые требования: каждый человек должен овладеть теми способностями, навыками, знаниями, которые в 21 веке принесут экономический и социальный успех. Критическое и творческое мышление, самостоятельность в принятии решений, инициативность, умение работать в команде – вот неполный перечень нужных качеств любого специалиста. Задачи по формированию подобных навыков возлагаются, в первую очередь, на публичную школу, так как именно в ней закладываются основы развития думающей, самостоятельной личности. Урок – исследование же в этом отношении является весьма эффективным средством. Причём, исследования могут проводиться на любых уроках, в том числе и на уроках русского языка.

მედია დარსაველიძე - რუსული ენის მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა

კვლევის გაკვეთილის ორგანიზება თანამედროვე სკოლაში რეზიუმე

გლობალიზაცია თანამედროვე საზოგადოებას ახალ მოთხოვნებს უყენებს: თითოეული ადამიანი უნდა დაეუფლოს იმ უნარებს და ცოდნას, რომელიც 21-ე საუკუნეში ეკონომიკურ და სოციალურ წარმატებებს მოიტანს. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, დამოუკიდებლობა გადაწყვეტილების მიღების დროს, ინიციატივა, გუნდში მუშაობის შესაძლებლობა - ეს ნებისმიერი სპეციალისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების არასრული ჩამონათვალია. ადამიანებში ამგვარი თვისებების ჩამოყალიბების პასუხისმგებლობა ეკისრება, პირველ რიგში, საჯარო სკოლას, რადგან ზუსტად აქ ეყრება საფუძველი მოაზროვნე, დამოუკიდებელი პიროვნების განვითარების საფუძვლები. ამ მხრივ კვლევის გაკვეთილი არის მეტად ეფექტური საშუალება. კვლევების ჩატარება შესაძლებელია ნებისმიერ გაკვეთილზე, მათ შორის რუსული ენის გაკვეთილებზეც.

Medea Darsavelidze –Russian Language Teacher, Senior Teacher, LEPL Kutaisi Andria Razmadze Public School of Physics and Mathematics №41

Organization of the Research Lesson in Modern School

Abstract

In the process of globalization the modern society is exposed to new requirements: each person has to gain the skills and knowledge, which will lead to economic and social success in 21-st century. Critical and creative thinking, independence in the decision-making process, initiative, and the ability to work in a team – is just a short list of the abilities which every professional is required to develop.

First and foremost, it is up to public schools to take responsibility for providing learners with the abilities mentioned above, since public schools create the basis for the development of an intellectual and independent personality. The research lesson is an immensely efficient opportunity in this respect. Research can be carried out in any lesson, including Russian language classes.

ია ხასაია - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დოქტორანტი, ბსუ-ს მასწავლებელი

კითხვის უნარის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები

“საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება, ამიტომაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ან სამი უცხოური ენის სწავლებას ითვალისწინებს” (ესგ, თბ, 2016:454). ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით უცხოური ენის სწავლების პრიორიტეტული მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს: „პლურილინგვური კომპეტენცია; სამეტყველო უნარები (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) ორ უცხოურ ენაზე; (ესგ, თბ, 2016: 454). ჩვენი მოხსენების მიზანია გავეცნოთ როგორ ხდება მოსწავლეებში კითხვის უნარების ფორმირების განვითარება პირველ კლასში. ამ კომპეტენციის მიღწევა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. ჩვენ განვიხილავთ სწავლების მეთოდებს. დაწყებით კლასებში ინგლისური ენის სწავლებისათვის სკოლათა უმრავლესობა იყენებს სახელმძღვანელოს „English world“. სახელმძღვანელოს მეთოდურად სწორად გამოყენების შემთხვევაში მოსწავლეებს ექმნებათ შესაძლებლობა ისწავლონ ინგლისური ენა სახალისო და საინტერესო აქტივობების საშუალებით. თუმცა პედაგოგთა დამოკიდებულება აღნიშნული სახელმძღვანელოს მიმართ არაერთგვაროვანია. გაგაცნობთ ჩვენი კვლევის შედეგებს. კითხვაზე: სახელმძღვანელო უწყობს თუ არა ხელს დაწყებით კლასებში უცხო ენის დაუფლებას? 26-მა მასწავლებელმა მოგვცა დადებითი პასუხი, 11-მა-უარყოფითი, 33 - კი ფიქრობს, რომ ეს სახელმძღვანელო ნაწილობრივ ეხმარება მოსწავლეებს უცხო ენის დაუფლებაში. ჩემი აზრით, სახელმძღვანელო ეხმარება მოსწავლეებს ენის შესწავლაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ფლობს მოსწავლეებისათვის მისი მიწოდების სწორ მეთოდს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული რეკომენდაციით უცხოური ენის სწავლებას დაწყებით კლასებში ხელს უწყობს ტექსტები თვალსაჩინო მასალის (სურათები, საგნები, ნახატები, ფოტოები და სხვა) და ბგერითი ინდიკატორების (რაიმე ხმაური, მკაფიოდ გამოხატული ინტონაციები და სხვა) თანხლებით. თვალსაჩინოება მოსწავლეს უადვილდებს ტექსტის გაგებას. ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ტექსტის ამომწურავად გაგება. „პირველ, ისევე როგორც მეორე ეტაპზე მოსმენილი ტექსტები გამოიყენება ნიმუშებად ზეპირმეტყველებისათვის, ამიტომ ტექსტები არ უნდა იყოს უცნობი ლექსიკითა და გრამატიკული კონსტრუქციებით გადატვირთული“ (ესგ, 2016: 459). აქედან გამომდინარე დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლება განსხვავებული მეთოდოლოგიით წარმართება. ასევე „მნიშვნელოვანია ნაადრევად არ დავაწყებინოთ მოსწავლეებს სისტემური კითხვა, რამაც შეიძლება სერიოზული შეფერხებები გამოიწვიოს არა მხოლოდ უცხოურ, არამედ მშობლიურ ენაშიც. მოსწავლე ეტაპობრივად უნდა მოვამზადოთ კითხვის სისტემური კურსისათვის. მნიშვნელოვანია, მოსწავლეები ვამუშაოთ, როგორც ჩუმი, ისე ხმამაღალი კითხვის ტექნიკაზე (ესგ, თბ, 2016:459).

ჩემი აზრით, თუკი მასწავლებელი სწორად მიყვება წიგნის ინსტრუქციას, მისთვის საკმაოდ მარტივი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით წლის ბოლოს მისაღწევი შედეგების წარმატებული განხორციელება: მოსწავლემ ამოიცნოს ზეპირ მეტყველებაში შესწავლილი და ხშირად გამოყენებული სიტყვები, შეძლოს წინადადებების გაშიფრვა-წაკითხვა, განასხვავოს მთავრული და არამთავრული ნაბეჭდი ასოები. დაწყებით კლასებში კითხვის გამარტივებული სწავლების რამდენიმე მეთოდი არსებობს: „მულტისენსორული მეთოდი - ასწავლეთ ბავშვს კითხვა მისი სხვადასხვა სენსორული არხების გამოყენებით და დატვირთვით: შეხებით, სმენით და მხედველობით. ასოების დასასწავლად გამოიყენეთ არა მხოლოდ დაბეჭდილი ასოები, არამედ ასოების ფიგურები, რომელსაც მოსწავლე შეხებით დაათვალიერებს და შეიმეცნებს, ვერბალურად დაახასიათებს მის ელემენტებს და თითო შემოავლებს“ (პაჭკორია, 2011:53). „მთლიანობითი მეთოდი - ასწავლეთ ბავშვებს დაწერილი სიტყვების მთლიანი ხატის დამახსოვრება. საგნების, ცხოველების ნახატებს მკაფიოდ მიაწერეთ მათი სახელები. ბავშვები ამ მასალასთან მუშაობის შედეგად იოლად იმახსოვრებენ საგნისა და შესაბამისი სიტყვის ხატს. შემდეგ განაცალკევეთ სიტყვა და სურათი და მიეცით ბავშვს დავალება, დამოუკიდებლად მოუძებნოს საგანს შესაბამისი სიტყვა“ (პაჭკორია, 2011:53).

გაგაცნობთ რამდენიმე აქტივობას, რომელიც მეხმარება ამ მიზნის მიღწევაში:

- ვაწვდი მოსწავლეებს მათთვის ახალ ასო-ბგერებს, მაგ: a, b, c, d, e, f. შემდეგ ვიღებ დასურათებულ ბარათებს, რომლებზეც მოცემულია ამ ასოებით დაწყებული საგნები. ამ ბარათების საშუალებით ვასწავლი, როგორც ასო-ბგერებს, ასევე შესაბამის სიტყვებს. ეს აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას აღიქვან, ახალი ასო-ბგერა არა იზოლირებულად, არამედ ამ ასოთი დაწყებულ სხვა და სხვა სიტყვასთან ერთად, მაგ: a- apple, b- bag, c- cat , d – dog , f- fish და ა.შ.

- მოსწავლეებს ვურიგებ ასოებს არეულად. შემდეგ ვეთამაშები, თითქოს ეს ასოები დამეკარგა და ვეძებ: Where is my letter B? Where is my letter D? მოსწავლეები გამოდიან დაფასთან, ხმამაღლა იმეორებენ ასოს და ეცნობიან კლასს: I am letter B , I am letter D და ა.შ.

- მოსწავლეს ვაძლევ ბარათებს გამოსახულებებით, რომლებზეც სიტყვები შეცდომით არის დაწერილი (ბგერები გამოტოვებული, გადანაცვლებული, გამეორებული ან ჩანაცვლებულია). მოსწავლეს ვვალბებ ინსტრუქციის შესაბამისად, იზოვოს შეცდომები დაწერილ სიტყვებში და გაასწოროს;

- მოსწავლეებს ვყოფ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ვურიგებ ფერად ფურცლებზე დაწერილ ასოებს. ამ ასოებით მოსწავლეები აწყობენ ცალკეულ სიტყვებს. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე სწორად ააწყობს სიტყვებს.

- დაფაზე ჩამოვწერ არეულ ასოებს და ვთხოვ მოსწავლეებს მოცემული ასოებით ააგონ სიტყვები, მაგ: g b a – bag , k b o o – book, s f h i- fish და ა. შ. გამომყავს თითოეული მოსწავლე და ვთხოვ ააგოს სიტყვა. კლასის დანარჩენი მოსწავლეები რვეულებში გადაწერენ დაფაზე სწორად დაწერილ სიტყვებს.

კითხვის უნარ-ჩვევების დაუფლებისათვის ეფექტურად ვიყენებ დიალოგის სწავლების სტრატეგიას. იმისათვის, რომ წავაკითხო მოსწავლეებს დიალოგი, ვსარგებლობ სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციით, რომელშიც შემაქვს ჩემი კორექტივები.

- დასურათებული ბარათების საშუალებით ვაცნობ მოსწავლეებს ახალ სიტყვებს და ბევრჯერ ვამეორებინებ, იმისათვის რომ ბევრჯერ წარმოთქვან, გაიგონონ და უკეთ აღიქვან. ეს მათ ეხმარება შემდეგ უკვე ამ სიტყვების სწორად წარმოთქმაში და წაკითხვაში; მოსწავლეებს ვთხოვ წიგნში მოცემულ სურათზე იზოვონ უკვე ნასწავლი საგნები; შემდეგ მოსწავლეებს ვასმენინებ აუდიო ჩანაწერში მოცემულ იგივე დიალოგს. მოსწავლეები უსმენენ და თითოს აყოლებენ დიალოგის დაწერილ ვერსიას თავიანთ წიგნებში; შემდეგ მოსწავლეები ისევ უსმენენ დიალოგს, თვალს აყოლებენ ტექსტს და ამჯერად ხმამაღლა კითხულობენ მოსასმენთან ერთად; ტექსტის რთულ წინადადებასთან ვჩერდები და ვცდილობ რამდენჯერმე მე თვითონ გავუმეორო ის მოსწავლეებს და მათაც ვთხოვ გაიმეორონ ჩემთან ერთად; მხოლოდ დიალოგის სათანადოდ მოსმენის და აღქმის შემდეგ, ვანაწილებ წყვილებში ან ჯგუფებში როლებს და ვთხოვ მოსწავლეებს დამოუკიდებლად წაკითხონ ის; მას შემდეგ რაც მოსწავლეებს ვაჩვენე, როგორ ხდება დიალოგის მოსმენა, ვაძლევ საშინაო დავალებას ინსტრუქციით - იგივე დიალოგი რამდენჯერმე მოისმინონ და წაკითხონ სახლში. დაწყებითი საფეხურის მეორე დონეზე გადასვლისას შეგვიძლია ვთხოვოთ მოსწავლეებს გადაინაწილონ როლები და საკუთარი სახელების გამოყენებით გაითამაშონ ნასწავლი დიალოგის მიხედვით მსგავსი სიტუაციური დიალოგი. პირველ დონეზე ამის გაკეთება არ არის რეკომენდირებული.

ვინაიდან ჩემთვის საინტერესო იყო დიალოგის სწავლების დროს, რა მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას სხვა მასწავლებლები, კითხვაზე: რა მეთოდს იყენებთ დიალოგის გამოკითხვის დროს? 70 მასწავლებლიდან 32 გვიპასუხა, რომ იცავს ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და დიალოგებს კითხვითი ფორმით წყვილებში ითხოვს მოსწავლეებისაგან. 13 მასწავლებელი ცალკეულ მოსწავლეებს თხოვს ინდივიდუალურად კითხვითი ფორმით ჩააბარონ დიალოგი. ვფიქრობ წყვილებში დიალოგების წაკითხვა ბევრად უკეთესი იქნებოდა, რადგან ასეთი გამოკითხვა უფრო ახალისებს მოსწავლეებს. ამასთან ეს დაეხმარებოდა მასწავლებელს დროის დაზოგვაში, მისცემს შესაძლებლობას უფრო მეტი მოსწავლე გამოიკითხოს გაკვეთილზე. 25 მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ეს დიალოგები ინდივიდუალურად ზეპირი სახით ჩააბარონ. საინტერესოა, როგორ ახერხებენ პირველკლასელი მოსწავლეები ზეპირად ისწავლონ დიალოგები, მაშინ როდესაც მათ არ იციან გამართულად კითხვა. რთული დასაჯერებელია, რომ კლასში რამდენჯერმე მოსმენილილი ტექსტი ეხმარებათ ამაში. კვლევამ ასევე გვიჩვენა რომ, მოსწავლეთა უმეტესობას არა აქვს წვდომა აუდიო მასალაზე. ამ გარემოში, როგორ ახერხებენ მოსწავლეები სახლში დიალოგების დამუშავებას და მათ დაზეპირებას. რამდენად ეფექტურია დიალოგების უბრალოდ დაზეპირება და მათი ინდივიდუალურად ჩაბარება ზეპირი ფორმით?

ტექსტის წაკითხვის სწავლების დროს ვიყენებ შემდეგ სტრატეგიას:

- დასურათებული ბარათების საშუალებით წინასწარ ვასწავლი მოსწავლეებს ტექსტში გამოყენებულ სიტყვებს; შემდეგ ვთხოვ ნასწავლი საგნები იპოვონ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათზე. ვსვამ კითხვებს აღნიშნული საგნების შესახებ, მოსწავლეები ცდილობენ ამ საგნების აღწერას მათი თვისებების, ფორმის, ზომის, ფერების მიხედვით; გავაცნობ და განვიხილავ ტექსტის სათაურს. ჩავურთავ მოსწავლეებს აუდიო ჩანაწერს. მოსწავლეები უსმენენ და პარალელურად კითხულობენ ტექსტს; ამის შემდეგ ვუკითხავ მოსწავლეებს ტექსტის ცალკეულ წინადადებებს. დავუსვამ კითხვებს ამ წინადადების ირგვლივ. შემდეგ ვკითხულობთ მეორე ხაზს და ისევ ვსვამთ კითხვებს, ასე ვკითხულობთ მთლიან ტექსტს. ზოგჯერ ბავშვებიც კითხულობენ ჩემთან ერთად. რთულ წინადადებებს რამდენჯერმე ვიმეორებ; მხოლოდ ტექსტის სათანადოდ დამუშავების შემდეგ, მოსწავლეებს კიდევ ერთხელ ვასმენინებ აუდიო ჩანაწერს და ვაკითხებ ტექსტს. სურვილის შემთხვევაში დამოუკიდებლად კითხულობენ ტექსტის ცალკეულ წინადადებებს, საჭიროების შემთხვევაში ვეხმარები.

კვლევის შედეგად დავადგინე, რომ 4 მასწავლებელი, დაფაზე ჩამოწერს ტექსტში მოცემულ უცხო სიტყვებს, აძლევს ტექსტს დავალებად და გამოიკითხავს მომდევნო გაკვეთილზე; 28 მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს ტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს, მოსწავლეებთან ერთად აღწერს ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, შემდეგ მოსწავლეები უსმენენ ტექსტის აუდიო ჩანაწერს, რის შემდეგაც მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით თვითონ კითხულობენ ტექსტს. მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს საშინაო დავალებად ტექსტს წასაკითხად. 26 მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს ტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს, მოსწავლეებთან ერთად აღწერს ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, შემდეგ ხმამაღლა უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს, შემდეგ კი მოსწავლეები თვითონ კითხულობენ მას. მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს საშინაო დავალებად ტექსტს წასაკითხად. როგორც ვხედავთ 28 მასწავლებელი იყენებს აუდიო ჩანაწერს ტექსტთან მუშაობის დროს, დანარჩენი მასწავლებლები თვითონ უკითხავენ მოსწავლეებს ტექსტს. მე კი მიმაჩნია, რომ აუდიო მასალის გამოყენება ბევრად ეფექტური იქნებოდა. თუკი გვინდა მოსწავლეებს განუვითარდეთ მოსმენის უნარი, აუცილებელია აუდიო მასალის ხშირი გამოყენება.

უცხოური ენის შესწავლა წარმტებით მიმდინარეობს უცხოენოვან გარემოში. მასწავლებლები ხშირად უთარგმნიან მოსწავლეებს ინგლისურ სიტყვებს და წინადადებებს. თუკი ტექსტში გამოყენებულ სიტყვებს წინასწარ გავაცნობთ დასურათებული ბარათების გამოყენებით, რომლებიც შესაძლოა მთელი გაკვეთილის განმავლობაში გამოკრული გვქონდეს დაფაზე, მაშინ მასწავლებელს არ დასჭირდებოდა თარგმანის გამოყენება. ამისათვის სურათზე მითითებაც კი საკმარისი იქნებოდა.

ტექსტთან მუშაობის დროს ხშირად ვიყენებ შემდეგი სახის აქტივობას: ვთხოვ მოსწავლეებს წაიკითხონ ტექსტი და შეავსონ გამოტოვებული სიტყვებით. თან ვიყენებ სურათებს, რომლებიც ეხმარება ბავშვებს გამოტოვებული სიტყვის გამოცნობაში. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ვიყენებ უამრავ სავარჯიშოს (T დიაგრამა, სიტყვების დაწყვილება/დაკავშირება, ვენის დიაგრამა, პაუზებით კითხვა, ტექსტის კითხვა ნიშნითა სისტემით, გონებრივი იერიში, ასოციაციური რუკა და სხვა).

მოსწავლის სახელმძღვანელოებში მოცემული თითქმის ყველა აქტივობა დაკავშირებულია მოსასმენ მასალასთან. ინსტრუქციის მიხედვით მოსწავლეებს სწორედ მოსასმენი აქტივობების საშუალებით ვასწავლით სიმღერების, ლექსების, ტექსტების და დიალოგების კითხვას. სხვა შემთხვევაში ვფიქრობ სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობები კარგავს ეფექტურობას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა-40 მასწავლებელი იყენებს აუდიო მასალას, როდესაც ასწავლის ტექსტებს, დიალოგებს, სიმღერებს, ლექსებს. 17-იყენებს მხოლოდ სიმღერების და ლექსების სწავლების დროს, ხოლო 13 - მხოლოდ ტექსტების და დიალოგების სწავლების დროს.

როგორც ვთქვით, სახელმძღვანელოს ახლავს აუდიო მასალა, რომელშიც ჩაწერილია ყველა ფონემური ბგერა, დიალოგი, საკითხავი ტექსტი, მოსასმენი აქტივობები, სიმღერები, ლექსები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას კლასში გარკვეული მასალის ათვისების შემდეგ განმეორებით მოუსმინონ ამ დავალებებს და დამოუკიდებლად იმეცადინონ სახლში. ეს აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან ხელს უწყობს მოსწავლეებში მოსმენის უნარის განვითარებას. სამწუხაროდ კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ 8% აქვს სახლში სახელმძღვანელოსთვის თანდართული აუდიო მასალა. 10 მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მის კლასში მოსწავლეთა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს აქვს მოსასმენი მასალა სახლში, ხოლო 52 მასწავლებლის თქმით, მათ მოსწავლეებს არა აქვთ წვდომა ამ მასალასთან. რატომ არ შეიძლება ჩაუწეროს აუდიომასალა მოსწავლეებს ბუკებში.

ეროვნული სასწავლო გეგმის და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, სწავლების ნებისმიერ და განსაკუთრებით პირველ ეტაპზე მოსმენას, როგორც უცხოური ენის ათვისების მთავარ საშუალებას, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად. ამ მოთხოვნის საფუძველზე შეგვიძლია გავაცნობიეროთ რამდენად მნიშვნელოვანია მოსასმენი აქტივობების ხშირი გამოყენება, როგორც საკლასო გარემოში, ასევე კლასის გარეთაც. მასწავლებელი კლასში ასწავლის დიალოგებზე, ლექსებზე, ტექსტებზე სწორად მუშაობას. მოსწავლეები კი ზუსტად იგივე მეთოდით შემდეგ სახლში აგრძელებენ აღნიშნულ მასალაზე მუშაობას. კლასში რამდენჯერმე ტექსტის მოსმენის შემდეგ მოსწავლე სახლში უნდა უსმენდეს დავალებად მიცემულ ტექსტს, რომ მომდევნო გაკვეთილზე შეძლოს სწორად წაკითხვა. მოსმენის გარეშე კი ამას მოსწავლე ვერასოდეს ვერ შეძლებს. საქართველოში დაწყებითი კლასის მოსწავლეები არ განიცდიან თანამედროვე ტექნოლოგიების უქონლობას, ვინაიდან მათი უმრავლესობა უზრუნველყოფილია კომპიუტერებით.

ლიტერატურა

1. Liz Hocking, Mary Bowen " English world 1 " , teachers book, 2009, Macmillan
2. Liz Hocking, Mary Bowen " English world 2 " , teachers book, 2009, Macmillan
3. თ.პაჭკორია, თ. ჭინჭარაული, ა. ლაღიძე, მ. ბაგრატიონი „ ინკლუზიური განათლება“ გზამკვლევი მასწავლებელთათვის, ეროვნული სასწავლო განათლებისა და შეფასების ცენტრი, 2011 წელი.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა, თბილისი, 2011-2016 წელი
5. <http://www.mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo>

რეზიუმე

დაწყებით კლასებში უცხოური ენის სწავლებისათვის მასწავლებლები მიმართავენ სხვადასხვა სტრატეგიებს. განსაკუთრებით ეფექტურია თვალსაჩინო მასალის და მოსასმენი აქტივობების გამოყენება. უცხო ენოვანი ტექსტების მოსმენა აუცილებელია სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად. მოხსენების მიზანია გავეცნოთ, როგორ ხდება მოსწავლეებში კითხვის უნარების ფორმირების განვითარება პირველ კლასში.

Ia Khasaia- Batumi Shota Rustaveli State University, faculty of Education, doctoral student and lecturer

Reading skills development strategies

Abstract

In primary schools teachers address to the various strategies for teaching students foreign languages. Particularly effective is using visual materials and listening activities. Listening to foreign texts is necessary to hear correct pronunciation. The goal of the research is to learn about the development of reading skills in the first class.

მერაბ მალრაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ფუნქციონალურ მოთხოვნილებათა ცნების ადგილი სწავლის ფსიქოლოგიურ დახასიათებაში

ადამიანურ მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია მრავალი განსხვავებული პრინციპით შეიძლება განხორციელდეს: ღირებულებითი (დაბალი და მაღალი), რომელობითი (ბიოლოგიური და სოციალური), გენეტიკური (ბიოგენური, ფსიქოგენური და სოციოგენური) და სხვ. მოთხოვნილებათა კლასიფიკაციის ერთ-ერთი ვარიანტია მათი დაჯგუფება სუბსტანციონალურ და ფუნქციონალურ ფორმებად, რომელიც დიმიტრი უზნაძეს ეკუთვნის. სუბსტანციონალური მოთხოვნილება საგნობრივი ინტენციონალობის მქონეა, ფუნქციონალური კი პროცესუალურის. ე.ი. სუბსტანციონალურ მოთხოვნილებას საგნობრივი საჭიროება იწვევს, ფუნქციონალური მოთხოვნილება კი სპონტანტურად აღიძვრის, როგორც საკუთრივ მოცემული სახის აქტივობის შინაგანი ტენდენცია. ამის გამო, სუბსტანციონალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესი (ექსტეროგენური ქცევა) ერთმნიშვნელოვნად ჩაკეტილია მისი დამაკმაყოფილებელი საგნებითა და აქტივობის ფორმებით, ფუნქციონალური მოთხოვნილებით აღძრული (ინტროგენური) ქცევა კი ღია აქტივობის ნებისმიერი ფორმისათვის, რომელიც კი შესაბამისი ფუნქციის აქტივაციას მოითხოვს.

დებულება, რომ ადამიანის საქმიანობას მხოლოდ საგნობრივი საჭიროებანი არ აღძრავს და ადამიანს აქტივობის სპონტანური ტენდენციაც გააჩნია, ფსიქოლოგიისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონეა. იგი გამოდის ფსიქიკის ბუნების გაგების იმ მეთოდოლოგიური ვერსიიდან, რომლის თანახმადაც ფსიქიკას აქვს არა სუბსტანციონალური, არამედ აქტუალურ - პროცესუალური არსებობა. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანის სულიერი ცხოვრება უწყვეტად მიმდინარე პროცესია და, როგორც ასეთი, აქტიურია თავისთავად. გარემო (საგნობრივი სინამდვილე, გარე ობიექტებიდან დაწყებული და საკუთარ ორგანიზმში მიმდინარე პროცესებით დამთავრებული), რომელსაც იგი შეგრძნების ორგანოების გზით სწვდება, მეორეხარისხოვან როლს ასრულებს მისი აქტივობის გაღვივებაში. უფრო ზუსტად: გარკვეულ ვითარებაში გარემოც (მაგ. რაიმე ნივთიერი საჭიროება) იწვევს აქტივობას, მაგრამ ფსიქიკისთვის აქტიურობა, უწყვეტი მიმდინარეობა, თავისთავად დამახასიათებელი, ბუნებრივი მდგომარეობაა. სწორედ აქტივობის მუდმივად ძალის მქონე მოთხოვნილება [6, 33] რომელიც ინდივიდის განვითარების კვალდაკვალ ფუნქციონალურ მოთხოვნილებათა ცალკეულ ნაირსახეობებში დიფერენცირდება, იწვევს თამაშის, შემოქმედების და ინტროგენურ აქტივობათა სხვა ფორმებს.

სწავლა, უზნაძის თანახმად, ინტროგენურ და ექსტეროგენურ ფორმებს შორის გარდამავალი ქცევაა და მის აღძვრა-წარმართვაში ორივე რიგის (ფუნქციონალური და სუბსტანციონალური) მოთხოვნილებები მონაწილეობენ [4]. ამრიგად, ამ კონცეფციის მიხედვით, სასწავლო ქცევის მოტივაციურ სტრუქტურაში შემავალი მოთხოვნილებები სუბსტანციონალურ და ფუნქციონალურ მოთხოვნილებებად შეიძლება დაჯგუფდეს. აქვე საჭიროა დავაზუსტოთ, რომ ქცევასა და მოტივს შორის, როგორც ეს უზნაძემ დაასაბუთა, ფსიქოლოგიურად ერთმნიშვნელოვანი მიმართებაა (ქცევა ფსიქოლოგიურად მოტივს უდრის), ანუ ყოველ ქცევას მხოლოდ ერთი მოტივი აქვს, მაგრამ მის შემადგენლობაში შეიძლება ერთდროულად მრავალი მოთხოვნილება შედიოდეს. ქცევის პოლიმოტივაციის (პოლიმოთხოვნილებისეულობის გაგებით) ეს კონცეფცია დეტალურადაა აღწერილი და გაანალიზებული ირაკლი იმედაძის შრომებში [2] და მასზე ვრცლად აღარ ვჭერდებით.

ბოლო ხანებში, განათლების ფსიქოლოგიაში ფართოდ დამკვიდრდა სწავლის მოტივაციურ ფაქტორთა დაჯგუფება გარეგან და შინაგან მოტივებად, რომლებიც კონკრეტულ სასწავლო ქცევაში ერთდროულად შეიძლება იყონ მოცემულნი. რამდენადაც, იმ მეთოდოლოგიურ სივრცეში, საიდანაც მოტივთა კლასიფიკაციის ეს მოდელი შემოვიდა, მოტივის ცნებაში, ძირითადად, მოთხოვნილება იგულისხმება, ამდენად, სწავლის ქცევაში სხვადასხვა ბუნების მოტივთა (მოთხოვნილებათა) მონაწილეობა მოტივისა და ქცევის ერთიანობის თვალსაზრისთან წინააღმდეგობაში არ მოდის. ამრიგად, განწყობის (ქართულ) ფსიქოლოგიაში სწავლის მოტივები, უფრო ზუსტად, სწავლის მოტივის სტრუქტურაში შემავალი მოთხოვნილებები, ჯგუფდება ფუნქციონალურ და სუბსტანციონალურ მოთხოვნილებებად, თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში კი, შინაგან და გარეგან მოტივებად, რის შინაარსშიც ფაქტიურად ისევ მოთხოვნილებები იგულისხმება. საჭიროა სწავლის მოტივთა (უფრო ზუსტად, სწავლის მოტივის სტრუქტურაში შემავალ მოთხოვნილებათა) კლასიფიკაციის ამ ორი ვერსიის შედარებითი

ანალიზი და იმის გარკვევა, ერთსა და იმავე ფსიქიკურ რეალობაზე მათში საუბარი, თუ სრულიად სხვადასხვაზე. რამდენადაც მოთხოვნილება უეჭველად სუბიექტური (ე. ი. შინაგანი) პროცესია და გარეგან მოტივზე მხოლოდ იმ თვალსაზრისით შეიძლება საუბარი, რომ ამ შემთხვევაში მოთხოვნილების აქტივაციას გარეგანი სტიმულაცია იწვევს, ამდენად, პირველ რიგში, ფუნქციონალური მოთხოვნილებისა და შინაგანი მოტივის ცნებათა მიმართებაა გასარკვევი.

ამ საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ სწავლის შინაგანი მოტივის ცნება ბოლომდე დაზუსტებული არაა (იგივე ითქმის გარეგანი მოტივის ცნებაზე, რასაც ამჯერად არ განვიხილავთ) და მას ყველა ერთნაირი მნიშვნელობით არ იყენებს. ამის გამო, იძულებული ვართ მოცემული ტერმინის მინიმუმ ორ განსხვავებულ მნიშვნელობას გავუწიოთ ანგარიში. აქედან ერთი საბჭოური განმავითარებელი სწავლების სისტემიდან მომდინარეობს, მეორე კი ამერიკული ჰუმანისტური ფსიქოლოგიიდან. პირველი გაგებით, სწავლის შინაგანი მოტივია შემეცნებითი მოთხოვნილება, რასაც ზოგჯერ თეორიულ ინტერესსაც უწოდებენ. განმავითარებელი სწავლების სისტემის თეორეტიკოსები ნამდვილ სწავლად მხოლოდ შესასწავლი მასალისადმი ინტერესზე (შემეცნებითი მოთხოვნილებებზე) აგებულ სასწავლო აქტივობას მიიჩნევენ და კატეგორიულად მოითხოვენ პედაგოგიური პროცესიდან მოტივაციის ყველა სხვა ფორმის გამორიცხვას [7, 382]. ჩვენი აზრით, შეუძლებელია სწავლის მოტივის პოლიმოტივაციური სტრუქტურა მხოლოდ შემეცნებითი მოთხოვნილებებით იყოს შემოსაზღვრული, მაგრამ ამის შესახებ აღნიშნულ მკვლევარებთან პოლემიკაში შესვლა ამ სტატიის მიზანდასახულობას შორდება.

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ამჯერად ის გარემოებაა მნიშვნელოვანი, რომ შემეცნებითი მოთხოვნილება ვერავითარ შემთხვევაში ფუნქციონალური მოთხოვნილების ნაირსახეობად ვერ ჩაითვლება და იგი მკაფიოდ გამოხატული სუბსტანციონალური ინტენციონალობის მქონეა. აქედან გამომდინარე, თუ შემეცნებითი მოთხოვნილებას სწავლის შინაგან მოტივად მივიჩნევთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ სუბსტანციონალობა-ფუნქციონალობის და გარეგანობა-შინაგანობის ნიშნებით სწავლის მოტივთა კლასიფიკაცია სრულიად სხვადასხვა ფსიქოლოგიურ რეალობას გამოხატავს და მათ შორის რაიმე ნათესაობა გამორიცხულია. ყოველგვარი ფუნქციონალური მოთხოვნილება, როცა იგი სწავლის მოტივაციაში მონაწილეობს, ცხადია, შინაგანთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს, მაგრამ სუბსტანციონალურ მოთხოვნილებათა ერთი ნაწილიც, კერძოდ შემეცნებითი ხასიათის მოთხოვნილებათა სპექტრი, თუკი მათ სწავლის შინაგან მოტივებად ჩავთვლით, ამავე კატეგორიაში მოხვდება.

საკითხის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტია შემეცნებითი მოთხოვნილებათა სწავლის გარეგან მოტივებად მიჩნევა, რისი საბუთიც სწორედ მათი საგნობრივი ინტენციონალობაა. სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში [3], სათანადო არგუმენტების საფუძველზე, ნაცადი გვაქვს იმის დასაბუთება, რომ გარეგანი შეიძლება ეწოდოს სწავლის მოტივაციაში ჩართულ ყოველგვარ სუბსტანციონალურ მოთხოვნილებას, მ. შ. შემეცნებითი ხასიათის ნებისმიერ მოთხოვნილებას. ნამდვილად შინაგანია მხოლოდ ფუნქციონალური მოთხოვნილებები, რომელთა შორისაც სწავლასთან ყველაზე არსებითად ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილებაა დაკავშირებული. ეს უკანასკნელი სწავლის ისევე ჰომოგენური მოტივია, როგორც შემეცნებითი ინტერესი. სწორედ მათი ერთობლივი მონაწილეობა აქცევს სწავლას ქცევის განსაკუთრებულ (დამოუკიდებელ) ფორმად, რადგან ერთი მათგანი სუბსტანციონალურია, მეორე კი ფუნქციონალური.

გადავიდეთ სწავლის შინაგანი მოტივების ცნების მეორე მნიშვნელობაზე, რომელიც ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თეორიული პრინციპებიდან გამომდინარეობს. ძირითადად მხედველობაში გვაქვს კარლ როჯერსის და აბრაჰამ მასლოუს თეორიული პოზიცია, რომლის თანახმადაც, ადამიანის სულიერი ცხოვრების და ფსიქიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება. საყურადღებოა, რომ ფსიქიკის ბუნების გაგებაში, ეს მკვლევარები თითქმის ისეთივე მეთოდოლოგიურ პოზიციაზე დგანან, რაზეც ფუნქციონალურ მოთხოვნილებათა ცალკე კლასად გამოყოფაა დამყარებული. მათ მიაჩნიათ, რომ თვითაქტუალიზაცია (თვითგამოვლენა, თვითგანვითარება, თვითრეალიზაცია) ინსტიტუციური ბუნების მქონე სწარაფვაა. იგი არის „მთელ ორგანულ და ადამიანურ ცხოვრებაში ჩართული მისწარაფება გავცელდეს, გაფართოვდეს, გახდეს დამოუკიდებელი, განვითარდეს, ისეთ დონემდე გამოავლინოს და აამოქმედოს ორგანიზმის ყველა შესაძლებლობა, რომ გაძლიერდეს ორგანიზმი ან მე“ [8, 77].

როგორც ვხედავთ, უზნაძის მსგავსად, აქაც ფსიქიკის სუბსტანციონალობის (და მამასადამე, პასივობის) თეზისი გაუქმებულია და ჩანაცვლებულია ფსიქიკის აქტივობის თეზისით. საყურადღებოა, რომ ფსიქიკის აქტიურობის თეორია, რომლის საფუძველზეც დაახლოებით ორი ათწლეულის შემდეგ, ფუნქციონალური ტენდენციის თეორია ჩამოყალიბდა, უზნაძემ ჯერ კიდევ 1909 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში წამოაყენა [5], თვითაქტუალიზაციის თეორია კი დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ განვითარდა. უზნაძემ, როგორც ეს მისთვის საერთოდ დამახასიათებელია, აქაც დიდი მანძილით გაუსწრო დროს და წინასწარ განჭვრიტა მეცნიერული აზრის განვითარების პერსპექტივები. ამასთანავე, როგორც ზურაბ ვახანია არგუმენტირებულად ასაბუთებს, ფუნქციონალური ტენდენციის თეორია გაცილებით ფართოა და უფრო სრულად გამოხატავს ფსიქიკის უწყვეტი მიმდინარეობა-განვითარების ბუნებას, ვიდრე თვითაქტუალიზაციის თეორია [1].

იმ თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომ ადამიანის ფსიქიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა საკუთარ შესაძლებლობათა თავისუფალი რალიზაციაა, კროჯერსმა წამოაყენა თავისუფალი სწავლის იდეა [9]. სწავლა, ამ კონცეფციის მიხედვით, მოსწავლის შემოქმედებითი საქმიანობაა და მის თავისუფალ არჩევანზე უნდა იყოს დამყარებული. მასწავლებელიც თავის დანიშნულებას მოსწავლის შინაგან შესაძლებლობათა თავისუფალი გამოვლენისათვის ხელის შეწყობაში უნდა ხედავდეს და მას მხოლოდ სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრასა და ამ ცოდნამდე მისასვლელი გზების ძიებაში ეხმარებოდეს, რასაც ფასილიტაციას უწოდებს. ფასილიტატორი მასწავლებელისთვის მოსწავლე თავისუფალი ძიების სუბიექტია და არა პედაგოგიური ზემოქმედების პასიური ობიექტი, როგორც ეს ტრადიციული სწავლა-სწავლების მოდელშია წარმოდგენილი. ასეთი თეორიული პოზიცია, სადაც აქცენტი შინაგან ტენდენციათა სპონტანურ აქტივაციაზე კეთდება და სწავლა მათი რეალიზაციის პროცესად განიხილება, ნამდვილად შინაგანი მოტივაციის კონცეფციაა, რასაც, როგორც ვნახეთ, ვერ ვიტყვით განმავითარებელი სწავლების თეორიულ მოდელზე.

აქვე საჭიროა მის ნაკლოვან მხარეზეც მივუთითოთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ სწავლის სრულიად თავისუფალ პროცესად წარმოდგენა, პედაგოგიური პროცესის მეცნიერული მეცნიერული საფუძვლებიდან მოწყვეტისა და ინდეტერმინიზმის საფრთხის შემცველია. შინაგანი მოტივების წამყვანი როლის მიუხედავად, სწავლაში გარეგანი მოტივების მონაწილეობაც სრულიად აუცილებელია, რათა მან მოწესრიგებული და კანონზომიერი პროცესის სახე არ დაკარგოს. როგორც ჩანს, სწავლის ფსიქოლოგიურ ბუნებას მისი ისეთი გაგება უფრო სწორად გამოხატავს, რომლის მიხედვითაც მისი მოტივის სტრუქტურში ისეთი მოთხოვნილებებია გაერთიანებული, რომელთაგან ზოგს საგნობრივი საჭიროება იწვევს (სუბსტანციონალური მოთხოვნილებები), ზოგს კი საკუთრივ სწავლაში ჩართულ ფუნქციათა აქტივაციის ტენდენცია (ფუნქციონალური მოთხოვნილებები). ამ უკანასკნელი სახის მოთხოვნილებებიდან, მოსწავლის საქმიანობაში, ყველაზე მნიშვნელოვან როლს ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილება (ზოგადად, კოგნიტურ პროცესთა აქტივაციის ტენდენცია) ასრულებს.

ამრიგად, დასმული საკითხის თეორიული ანალიზის გზით შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლის შინაგან მოტივთა ცნების შინაარსს სრულყოფილად მხოლოდ ფუნქციონალურ მოთხოვნილებათა ცნება შეესაბამება. ამიტომ, სასწავლო აქტივობა სწავლის დამოუკიდებელ ქცევად (ე. წ. „ნამდვილ სწავლად“), მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ მისი მოტივის პოლიმოთხოვნილებისეულ სტრუქტურაში ფუნქციონალური მოთხოვნილებები იქნება ჩართული.

ლიტერატურა

1. ვახანია ზ., განწყობის თეორია - ჰუმანიტარულ-საბუნებისმეტყველო პარადიგმა, „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, 2016
2. იმედაძე ი., გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში, თბ., 2013
3. მალრაძე მ., სწავლის მოტივთა შინაგან და გარეგან ფორმებად კლასიფიკაციის თეორიული პრობლემები, „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, 2017
4. უზნაძე დ., ქცევის ფორმები ადამიანთან, შრომები, ტ. V, თბ., 1967
5. უზნაძე დ., ბარათაშვილის ლირის მოტივები, შრომები, ტ. IX, თბ., 1986
6. ჩხარტიშვილი შ., აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974
7. Гальперин П. Я., Психология как объективная наука, М., 1996
8. Маслоу А., Самоактуализация, В кн. Психология личности, М., 1994
9. Роджерс К., Фреинберг Д., Свобода учиться, М., 2002

რეზიუმე

კონკრეტული სასწავლო ქცევის მოტივის სტრუქტურაში ერთდროულად მრავალი მოთხოვნილება შეიძლება მონაწილეობდეს. განწყობის (ქართულ) ფსიქოლოგიაში ეს მოთხოვნილებები სუბსტანციონალურ და ფუნქციონალურ ფორმებად ჯგუფდება, თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში კი, გარეგან და შინაგან მოტივებად. სტატიაში, შინაგანი მოტივის და ფუნქციონალური მოთხოვნილების ცნებათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ნაცადია იმის დასაბუთება, რომ სწავლის ნამდვილად შინაგან მოტივებად (მოტივის ცნების იმ გაგებით, რაშიც მოთხოვნილების მიერ ქცევის აღძვრა-წარმართვა იგულისხმება) მხოლოდ ფუნქციონალური მოთხოვნილებები შეიძლება ჩაითვალოს.

Merab Maghradze – Akaki Tsereteli State University, Department of Philosophy and Psychology

Place of functional needs in the psychological characteristic of learning

In the structure of motive of specific learning behavior several needs may be involved at the same time. In the (Georgian) psychology of set these needs are grouped in substantial and functional forms. While in modern psychology of education they are grouped in external and internal motives. The article, based on the comparative analysis of internal motives and functional needs, makes the attempt to justify that only functional needs may be regarded as truly internal motives (in the understanding of motive, which involves initiation/management of behavior by the need) of learning.

მარინე სირბილაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სამეტყველო ქმედება და ენობრივი კომუნიკაციის მოთხოვნილება განწყობის სტრუქტურის დინამიკური მოდელის ჭრილში

კომუნიკაცია ზოგადად და კომუნიკაცია მეტყველების მეშვეობით კაცობრიობის სოციალური ცხოვრების საყრდენია, რომელიც მის ყოველდღიურობას განაპირობებს.

არავერბალურია თუ ვერბალური, კომუნიკაცია ინფორმაციის გადაცემისა და მიღების პროცესს წარმოადგენს, რომელშიც, მინიმუმ, ორი მხარეა ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ, თანამედროვე ფსიქოლოგიის მონაცემებით, ინფორმაციის 65%-მდე ურთიერთობის არავერბალურ საშუალებებზე მოდის, ვერბალური ურთიერთობა ადამიანთა კომუნიკაციის განსაკუთრებულად დამახასიათებელ ფენომენს წარმოადგენს. ვერბალური კომუნიკაცია, რა თქმა უნდა, სამეტყველო ქმედებებით ხორციელდება და მისი ყოველი კონკრეტული აქტი შეიცავს პრაგმატიკულ მიმართულებას ამ აქტში მონაწილე პარტნიორისადმი. იგი გათვლილია რეალური, კონკრეტული ადრესატის ან პოტენციურად არსებულ ადრესატთა კრებითი მოდელის ენობრივ გამოცდილებასა და იმ სათანადო ცოდნის მარაგზე, რომლის ფონზე რეალიზებადი უნდა იყოს მიღებული შეტყობინების გაცნობიერება.

სამეტყველო აქტივობა ფსიქოლინგვისტიკის საგანგებო შესწავლის საგანია და წარმოდგენილია სამეტყველო აქტების თეორიის სახით (ოსტინი, 1955), რომელმაც გადამწყვეტი ბიძგი მისცა თანამედროვე ენათმეცნიერების იმ ნაწილის განვითარებას, რომელსაც პრაგმატიკა ან პრაგმალინგვისტიკა ეწოდება. იგი ორიენტირებულია ენის კომუნიკაციური და პრაგმატიკული ასპექტების სინთეზურ კვლევაზე. მოცემულ თეორიაში სამეტყველო აქტი განიხილება, როგორც ენობრივი ქმედების მოდელი, როგორც კომუნიკაციის თანამედროვე მოდელი, რომელშიც ენობრივი (სამეტყველო – მ.ს.) ქმედება თავისთავად არსებულ რეალობას კი არ წარმოადგენს, არამედ უფრო ფართოდ მოცემული ქმედების კომპონენტს – ინტერსუბიექტური ურთიერთობების გამოხატულების ფორმას.

სამეტყველო აქტივობა შედგება ქვეაქტებისაგან, ენობრივი ოპერაციებისაგან, სადაც ოპერატორები კომუნიკაციის აქტიური მონაწილეები არიან. სამეტყველო აქტის ქვეაქტებია: ლოკუციური. ილოკუციური, პროპოზიციული და პერლოკუციური აქტები (ოსტინი, 1962).

ლოკუციური აქტი – ეს არის მეტყველების აქტი, პირველი ენობრივი ქმედება, რომელიც ახდენს გარკვეული რეფერენტული სიტუაციის ნომინაციას. ის აჩვენებს, რას ვამბობთ და, თავის მხრივ, გულისხმობს სამ საფეხურს: გამონათქვამის მონახაზის გაკეთება, წინადადების შექმნა და კონტექსტუალიზაცია.

ლოკუციური აქტი ეფუძნება ილოკუციურ აქტს – კომუნიკაციის ინტენციის ფორმირების აქტს. ყოველი გამონათქვამი გარკვეული კომუნიკაციური მიზნით წარმოითქმის, არ არსებობს გამონათქვამი ილოკუციური ძალის გარეშე. ეს უკანასკნელი კი შეიძლება მოცემული იყოს როგორც გამონათქვამის ზედაპირზე, ისე მის სიღრმეში.

ენის საშუალებით ვეხებით სამყაროს სხვადასხვა საგანსა და მოვლენას, ვამბობთ რაიმეს მათ შესახებ, გამოვთქვამთ პროპოზიციებს ანუ ეს არის პროპოზიციის (მნიშვნელობის) რეალიზების აქტი, ის შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი.

კონკრეტული მიზნის გარდა, ყველა გამონათქვამის საერთო მიზანს წარმოადგენს მსმენელზე გარკვეული ეფექტის მოხდენა ან მისი გამოწვევა. ეს არის სამეტყველო აქტის მესამე განზომილება – პერლოკუციური აქტი, სადაც სამეტყველო აქტი განიხილება მისი რეალური შედეგების ასპექტში. პერლოკუციური აქტი ორიენტირებულია ადრესატზე და მისი გამოყოფით ოსტინმა ხაზი გაუსვა სამეტყველო აქტის ინტერსუბიექტურობას.

ყველაფერი ეს ერთად შეადგენს სამეტყველო აქტს. რა ფსიქოლოგიური ბუნებისაა სამეტყველო აქტივობა, როგორც გარკვეული სახის აქტივობა და განსაზღვრავს თუ არა მის პროვოცირებასა და მიმდინარეობას ენობრივი კომუნიკაციის მოთხოვნილება?

დავიწყოთ იქიდან, რომ დ. უზნაძის მიხედვით, „მეტყველების პროცესს ყოველთვის წინ უსწრებს რაღაც მდგომარეობა... სუბიექტი, სანამ ლაპარაკს დაიწყებდეს, განიცდის მთლიანობითი ხასიათის გარკვეულ ცვლილებას, რომელიც ვლინდება იმაში, რომ გარკვეული მიმართულებით სამოქმედოდ

განწყობა“ (დ. უზნაძე, 1947, გვ. 174-175). ასევე განწყობის მექანიზმით განპირობებულ აქტივობად განიხილავს იგი ენის შესწავლას.

სამეტყველო აქტივობა დ. უზნაძის მიერ მოცემული განწყობის სტრუქტურის მოდელის, კერძოდ, სტატისტიკური მოდელის მიხედვით, დამოუკიდებელ ქცევად განიხილება, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი განწყობა განსაზღვრავს და მნიშვნელობა არა აქვს სხვა ქცევის მიმდინარეობის პროცესში წარმოშობილ აუცილებლობასთანაა დაკავშირებული თუ უშუალოდ სამეტყველო კომუნიკაციის მოთხოვნილებით არის განპირობებული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თავისთავად ცხადია, სამეტყველო აქტივობა ცალკე ქცევაა, რასაც შესაბამისი განწყობა უდევს საფუძვლად (მაგრამ, სამეტყველო აქტივობა ცალკე ქცევად არ მოიაზრება – მ. ს.). რაც შეეხება პირველ შემთხვევას, ე. ი. როცა ადგილი აქვს ქცევის გარეგანი და შინაგანი გარემოებების ოდნავ ცვლილებასაც კი, ხდება აქტივობის შინაარსის ისეთი ტრანსფორმაცია, რომ იგი ახალი ქცევის სახეს იღებს. ასეთია დ. უზნაძის კლასიფიკაცია – ამოდის მოთხოვნილების, განწყობისა და ქცევის შესატყვისობის პრინციპიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ქცევის ფსიქოლოგიური ბუნება და სახელწოდება მისი აღმძვრელი ერთადერთი მოთხოვნილების თავისებურებითაა განპირობებული ანუ ეყრდნობა მონომოტივირების პრინციპს.

თანამედროვე ქართულ ფსიქოლოგიაში აქტუალურია ქცევით რეალობათა პოლიმოტივაციური სტრუქტურისა და ერთიანი განწყობისეული მექანიზმის შესახებ საუბარი. როგორც ი. იმედაძე აღნიშნავს, პოლიმოტივაციის მოვლენა უადრესად ფართოდ არის გავრცელებული და ტიპურიცაა რთული ადამიანური აქტივობისთვის, რადგან გამომდინარე ქცევის ორგანიზების პრინციპიდან, რაც ძალებისა და დროის ეკონომიას გულისხმობს, პოლიმოტივირებული აქტივობა ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე მონომოტივირებული. ამასთან ერთად, უფრო ნაყოფიერიცაა, უფრო გამძლეა, მდგრადია და ღირებულებითი ასპექტიც გააჩნია – მეტი პიროვნული წონისაა და მეტი ქცევითი კმაყოფილების მომტანია (ი. იმედაძე, 2013).

ქცევის პოლიმოტივაციური სტრუქტურისა და ერთიანი განწყობის მექანიზმი ასახულია განწყობის სტრუქტურის დინამიკურ მოდელში, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩამოაყალიბა შ. ჩხარტიშვილმა. იგი განწყობის მხოლოდ სიტუაციური ფაქტორის ცვალებადობას შეეხ. ხოლო ი. იმედაძეს მიაჩნია, რომ დინამიკური ცვლილებები ხდება აქტივობის პროცესში როგორც სიტუაციის მხრიდან, ისე მოტივაციის მხრიდანაც, რაც არ ნიშნავს მიმდინარე აქტივობის შინაარსისეულ გადახალისებას, ერთი ქცევის შეწყვეტას, ახალი ქცევის დაწყებას და შესაბამის განწყობათა შეცვლას ტრანსფორმაცია ერთიანი განწყობის სტრუქტურაში ხდება და ამაშია დინამიკური მოდელის საკვანძო პრინციპი (ი. იმედაძე, 2013).

მაშ, როგორ გამოიყურება სამეტყველო აქტივობა თავისი ქვეაქტებით განწყობის სტრუქტურის დინამიკურ მოდელში და შესაძლებელია თუ არა ენობრივი კომუნიკაციის მოთხოვნილების ცალკე მოთხოვნილებად აღიარება? თუ სამეტყველო აქტივობას განვიხილავთ როგორც მოქმედებას და არა ქცევას და ეს რეალურად ასეა, ეს ნიშნავს, რომ იგი ნებისმიერ ქცევაშია ჩართული და ენობრივი კომუნიკაციის მოთხოვნილება განსაზღვრავს, რომელიც ისეთივე „მდგენელი“ შეიძლება იყოს მოცემულ ქცევისა, როგორც სხვა რომელიმე მოთხოვნილება. ასეთი მსჯელობის საშუალებას გვაძლევს განწყობის სტრუქტურის დინამიკური მოდელი და ქცევის პოლიმოტივირებულობის შესახებ არსებული თვალსაზრისი. ამისთვის დავიმოწმებ ი. იმედაძეს, რომელიც ფიქრობს, რომ ფაქტობრივად არა არსებობს ადამიანური ქცევის პრაქტიკულად არცერთი ფორმა, სადაც კომუნიკაციის და, შესაბამისად, სამეტყველო აქტივობის განხორციელების საჭიროება არ იდგეს. იგი პრინციპულად პოლიმოტივირებულ ქცევებად მიიჩნევს ისეთი სახის კოლექტიურ ქცევებს, სადაც სხვა ამოცანებთან ერთად ურთიერთობის აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც გულისხმობენ (ი. იმედაძე, 2013).

თუ დავუშვებთ, რომ სამეტყველო აქტივობა ცალკე ქცევაა და არა მოქმედება, სულერთია მას რომელიმე ქცევაში მიმდინარე პროცესის ტრანსფორმაციად განვიხილავთ თუ ცალკე აღებულ, დამოუკიდებელ რეალობად, რასაც, ნაკლებსავარაუდოა, რომ ადგილი ჰქონდეს, მაშინ ვრჩებით განწყობის სტრუქტურის სტატისტიკურ მოდელში, რომლის ამოსავალ დებულებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განწყობისა და ქცევის შესატყვისობის, მონომოტივირების პრინციპი წარმოადგენს.

სამეტყველო აქტივობის დინამიკურ მოდელში მოაზრება საშუალებას გვაძლევს დავუშვათ კომუნიკაციის, კერძოდ, ენობრივი კომუნიკაციის მოთხოვნილების და, შესაბამისად, ენობრივი განწყობის არსებობა და აღარ ვილაპარაკოთ ცოტა ბუნდოვანი ცნების „ენობრივი შეფერილობის“ შესახებ, რომლის

ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ „ადამიანის ქცევაში არასამეტყველო და სამეტყველო მოქმედებები შერწყმულად ვითარდება და ამიტომაც ადამიანის ქცევა ენობრივად შეფერილია... იმის მიხედვით, თუ რა ენის მატარებლადაც აღიქვამს სუბიექტი სიტუაციის მონაწილე ადამიანს, რომელთაც უხდება კონტაქტის დამყარება, ქცევაც ამ ენის შეფერილობას დებულობს (ა. ალხაზიშვილი, 2003, გვ.11)

ასე რომ, სამეტყველო აქტივობა, რომელიც ზემოთ აღნიშნული ქვეაქტივების ერთიანობას წარმოადგენს, თავისი შესაბამისი ენობრივი კომუნიკაციის მოთხოვნილების და, შესაბამისად, ენობრივი განწყობის მიხედვით მიმდინარე აქტივობად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც ამა თუ იმ ქცევის შემადგენელ მნიშვნელოვან ერთეულს წარმოადგენს და იჩენს რა თავს ამ ქცევის ძირითადი განწყობის საჭიროებისამებრ დინამიკურ ცვლილებაში, მის ერთ-ერთ მდგენელს წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ვითარება შეესაბამება თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების დომინანტური კომუნიკაციური პარადიგმის შინაარსსაც, რომლის თანახმად, ენობრივი კომუნიკაციის პროცესი ადამიანური აქტივობის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს და ამდენად, თავის შინაარსისეულ სტრუქტურას იგი იღებს ადამიანურ ქცევათა ფართო კონტექსტიდან (გ. ლეზანიძე, 2004).

ლიტერატურა

1. ალხაზიშვილი ა., სამეტყველო აქტივობა და განწყობა, ფსიქოლოგიის მაცნე, № 1, 2003
2. იმედაძე ი., გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში, თბ., 2013
3. მინდაძე ი., ფსიქოლინგვისტიკა, თბ., 2009
4. ლეზანიძე გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბ., 2004
5. უზნაძე დ., ენის შინაფორმა, კრ. „ფსიქოლოგია“, თბ., 1947
6. Austin J., How to do things with words, London, 1962

რეზიუმე

სტატიაში განწყობის სტრუქტურის დინამიკური მოდელის და ქცევის პოლიმოტივირებულების თვალსაზრისით საფუძველზე ენობრივი კომუნიკაციის მოთხოვნილება განიხილება, როგორც ქცევის ერთ-ერთი მდგენელი მოთხოვნილება, რომელიც ისევე აძლიერებს ამ ქცევის ენერგეტიკას, როგორც სხვა ნებისმიერი. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ სამეტყველო აქტივობაში რეალიზებული ენობრივი კომუნიკაციის მოთხოვნილება ცალკე მოთხოვნილებად განვიხილოთ და აღარ ვილაპარაკოთ ქცევის „ენობრივ შეფერილობაზე“.

Marine Sirbiladze - Associate professor of Akaki Tsereteli Tsereteli State University

Speech activity and the Lingual demand in the dynamic model of set structure

Summary

On the base of dynamic structure of set and polimotivation behaviour standpoint verbal communicative demand is considered to be one of the factor to reinforce the behaviour energetics as well as the others. This gives the opportunity the realized verbal communicative demand in the speech activity be recognized as the separate demand and not speak about “Lingual colour” of behaviour.

მანანა ჩიტეიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სუზანა ლანგერის მეტაფორული სიმბოლიზმი

ამერიკელ მკვლევართა შორის, ესთეტიკურის ლინგვისტური ანალიზის გამორჩეული მკვლევარია სუზანა ლანგერი. მისი კვლევები მარბურგის სკოლის მორიგების მცდელობის ნიშნითაა აგებული. მნიშვნელოვანია ლანგერისეული ხედვა ესთეტიკაში, ფილოსოფიაში, ანალიზურ ფილოსოფიასა და გერმანულ ნეოკანტიანელობაში.

ს. ლანგერმა თავისი ნაშრომი, „ფილოსოფია ახალ შუქზე“, უძღვნა მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკურ ანალიზს. მის მიერ დაფუძნებული თეორია ცნობილია მეტაფორული სიმბოლიზმის სახელით.

ს. ლანგერის თეორიის მიხედვით, ენა არ არის უძრავი, გაყინული მოცემულობა. ესაა უწყვეტი პროცესი, ადამიანური გონის ისეთი ფუნქცია, რომლის საფუძველიც, აზრთა გამოხატვა დანაწევრებულ ბგერათა გამოყენების უნარშია საძიებელი (ლანგერი, თავისი მასწავლებლის, ერნსტ კასირერის მსგავსად, ჰუმბოლდიანელია.) მისთვის არსებითია ენის „ენერგია“ და არა ენის „წარმონაქმნი“. აქედან გამომდინარე ენობრივი პროცესის ჰუმბოლდიტი გამოხატველია არა ცალკეული სიტყვები, არამედ წინადადებები. თუ ენა მოქმედებაა, მისი ნება მხოლოდ თვით ენის პროცესში გამოქვავდება და არა ენის წარმონაქმნთა, მზა ენობრივი ფორმათა კვლევა-ძიებაში.

ენობრივი ცნობიერების გაღვიძებით იწყება ადამიანის პირადი ცხოვრების მთლიანი გარდაქმნა. აქ ხდება გადასვლა წმინდა ემოციური პოზიციების, სამყაროს მიმართ, თეორიულ პოზიციასზე. ენა მნიშვნელოვანია სულიერი და გონებრივი განვითარებისთვის.

წინსვლა ენის განვითარებაში ნიშნავს, სამყაროს შესახებ ჩვენი ცოდნის გამდიდრებას. ენა არ გამოხატავს ყოფიერების ჰუმბოლდიტებას, არამედ მისი ფუნქციაა, საგნის განსაკუთრებული ასპექტით დანახვა და მასზე შეჩერება.

ს. ლანგერთან ენა თავისი ჰუმბოლდიტი ბუნებითაა მეტაფორული. იგი ოპერირებს ნართული ფორმებით, ვინაიდან არ შეუძლია რაიმე გამოთქვას მკაფიოდ. მისგან მითიური ხედვების წარმოშობის მიზეზად ლანგერი ენის მრავალფეროვნებას მიიჩნევს. მაგიურ სიტყვათა მეშვეობით, ადამიანის წინაშე თანდათან ახლებურად წარმოდგენა ენისა და სინამდვილის ურთიერთმიმართება. სიტყვის მაგიური ფუნქცია გზას უთმობს სიტყვის სუბანტიკურ ფუნქციას, ე.ი. სიტყვა ობიექტურ მნიშვნელობათა მატარებლად და სიმბოლოდ გადაიქცა. სიტყვის არსებითი ნიშანი ლოგიკურია. სიტყვის ლოგიკური ფუნქციის შემეცნებით მას ენიჭება უმაღლესი ღირსება.

სამყაროს ობიექტურ სურათს, მის ძირითად და არსებით თვისებებს, ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა, უფრო ზუსტად ადამიანის ენა განსაზღვრავს.

ს. ლანგერის მოსაზრებით, ადამიანები აქტივობის 4 ძირითადი სახეობის- ენა, რიტუალი, მითი, მუსიკა- შესწავლა დაგვიხმარება სიმბოლიზმის ცენტრალური პრობლემების გადაჭრაში, რაც შეეხება ყველა სხვა სახეობას, მათი განხილვა შეიძლება ანალოგიის გზით მოხდეს.

ს. ლანგერის თალსაზრისით, ენაში გვაქვს სიმბოლიზმის თავისუფალი, დასრულებული გამოყენება. ენა კონცეპტუალური აზროვნების არტიკულარული ჩანაწერია. ენის გარაეშე არ გვექნებოდა კომუნიკაცია. განვითარების პრიმიტიულ დონეზე მყოფ ყველა ადამიანს აქვს დანაწევრებული ენა.

ენის წარმოშობის საკითხი უაღრესად რთული და მნიშვნელოვანია და მისი მხოლოდ ლინგვისტიკის მეშვეობით ახსნა, პრობლემებს ვერ გადაჭრის. ენა, ს. ლანგერის მოსაზრებით, უპირველესად წარმოდგენს. რეალობის სიმბოლოურად ხედვის ტენდეციის ვოკალურ აქტუალიზაციას. იგი სიმბოლიზმის უმაღლესი ფორმაა. სიმბოლოთა შექმნის ტენდეციის უძველესი ფორმა არ უნდა ყოფილიყო შემოქმედებითი ხასიათის, ისინი უთუოდ შეადგენენ მარტივ ხატს (სახეს), რომელსაც პირველყოფილი ადამიანი ნებისმიერ მნიშვნელობას აძლევდა. ესთეტიკური მიმზიდველობა, იდუმალი შიში, ალბათ პირველი გამოვლენა იყო ტვინის ფუნქციის, რომელიც ადამიანში თანდათან იქცა რეალიზმის სიმბოლოდ ხედვის ტენდეციად. ფიქრობენ, მისგან წარმოიშვა ცნებითი აზროვნების უნარი, რასაც მეტყველების რღვევა მოჰყვა.

გრძნობათა ასახვა, გადატანა გარემოში ობიექტზე, სიმბოლიზმის პირველი გამოცემაა. ეს პროცესი ადრეულ ეტაპზე მიმდინარეობს.

„მე“- ს ცნება, რომელიც აქტუალურია მეხსიერებისა და საწყისის მნიშვნელობადაა მიჩნეული, სწორედ ჩვენი გრძნობების სიმბოლიზაციის პროცესზეა დამოკიდებული.

ახალი სიტყვა მზადაა იქცეს სახედ, (ხატი, gestalt - ი). არტიკულირებული ბგერა მზადაა იქცეს სიმბოლოდ, როგორც კი ამის საჭიროება გაჩნდება.

ენა შეიძლება წარმოშობილიყო მხოლოდ იმ სახეობის ცხოველებში, რომელთაც მაღალ დონეზე ექნებოდათ განვითარებული სიმბოლოური აზროვნების დამალული ფორმები - სიზმარი, რიტუალი, ე. ი. სადაც სიმბოლიზაციის პროცესი (თუნდაც პრიმიტიული სახის), აქტიურად ვლინდება და არაპრაქტიკულ ხასიათს ატარებდა.

ენის პირველადი მოხმარება უნდა ვეძებოთ ობიექტის სახეების, ფიქსაციისა და ფორმულირების მოთხოვნილებაში. ლანგერის მოსაზრებით, კომუნიკაცია მხოლოდ მეორადი გამოვლენაა. ეს იმის პრაქტიკული გამოყენებაა, რაც უკვე ჩამოყალიბდა უფრო ღრმა ფსიქოლოგიურ დონეზე. სიტყვათა პირველი სიმბოლოური ღირებულება კონოტაციური იყო. მას შემდეგ რაც სიტყვა შეიძენს დენოტაციას, გამოითქმის სიმბოლოურ, ინსტინქტური ფაზიდან, გადაინაცვლებს მოსაზრებად, მოხმარების ფაზაში. დენოტირებული სიტყვა იმწამსვე დაუნათესავდა ცნებას.

ენის სასიცოცხლო პრინციპად ს. ლანგერი მიიჩნევს მეტაფორას. ყველა გამონათქვამი შეიცავს 2 ელემენტს: კონტექსტს (ვერბალურს ან პრაქტიკულს) და სიახლეს. სიახლე არის ის, რასაც მოლაპარაკე ცდილობს ხაზი გაუსვას (აქ იგი იყენებს სიტყვას, რომელიც არსებულია, ან ახლად შექმნილია). იქ, სადაც ზუსტი სიტყვა არ მოგვეპოვება, სიახლის აღსანიშნავად, მოლაპარაკე, ლოგიკური ანალოგიით, იყენებს სხვა დეტონაციის მქონე სიტყვას. კონტექსტი კი მიგვანიშნებს, რომ ეს სიტყვა აქ ნიშნავს რაღაც სხვას, სიმბოლოურად. ეს სიტყვა გამოიყენება მეტაფორულად იმის გამოსახატავად, რის სიმბოლიზაციასაც ახდენს მისი მნიშვნელობა.

მეტაფორაში ძირითადი მნიშვნელობის ხატი გვევლინება სიმბოლოდ, საგნად, რომელსაც საკუთარი სახელი არ გააჩნია. ხშირი ფიგურანტული გამოყენება მის არსს ზოგადს ხდის. ლანგერის აზრით, ყველა ზოგადი სიტყვა ასე წარმოიშვა, რადგან გამონათქვამის კონტექსტი მის არსს გვაგებინებს, მისი გადმოცემა უნდა მოხდეს პირდაპირი და არაგადატანითი სახით. მხოლოდ ასასახი პრედიკაცია შესაძლოა იყოს მეტაფორული. ეს უკანასკნელი ჩვენი აბსტრაქტული ხედვის ყველაზე ნათელი საბუთია (ანუ, ჩვენი გონება ოპერირებს წარმომადგენლობითი სიმბოლოებით. ყველა ახალი იდეა, ან გამოცდილება მეტაფორულ განცდას იწვევს, როგორც კი იგი ჩვეული გახდება, ეს განცდა „უფერულდება“ და ზოგადად გადაიქცევა). მეტაფორა ის ძალაა, რომელიც ძირეულად აქცევს რაციონალურს ინტელექტუალურად. ინტელექტუალური სიტყვით მარაგი იზრდება კონცეპტუალური აზროვნებისა და ცივილიზაციის ზრდასთან ერთად. ტექნიკური პროგრესი ახალი ტერმინოლოგიით ამდიდრებს ენის რეზერვს. უფრო ზუსტდება მნიშვნელობები. მეტყველება იმდენად პრაქტიკულია, რომ ჩვენ გვეჩვენება, თითქოს ენა ლიტერატურული მოთხრობის გამო წარმოიშვა, მეტაფორა კი მოგვიანებით შეიქმნა სპეციალისტად ისეთი კულტურული პროდუქტისთვის, როგორიცაა პოეზია.

ს. ლანგერის მოსაზრებათა საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ ენა თვითონ არ არის სიმბოლო და სიმბოლოთა ერთობლიობა, არამედ მასში არის სიმბოლოებიც და არასიმბოლოურიც, ჩვეულებრივი პირობითი ნიშნებიც. ენა და მისი ელემენტები (სიტყვა და წინადადება) წარმოდგენის საშუალებებია. მათი აღმნიშვნელი გამომთქმელი მეტ-ნაკლებად პირობითი ნიშნებია. სწორედ ამ მეტ- ნაკლები პირობითობის გამო, არც ენა და არც ელემენტები, არ შეიძლება მთლიანად და უპირობოდ ჩაითვალოს სიმბოლოდ. სიტყვათა და შესატყვისთა უმრავლესობას აქვს პირობითი, კონვენციური ნიშნის ხასიათი. ვერც „ვარდი“ ჩაითვლება რეალური ვარდის სიმბოლოდ და ვერც „ახალგაზრდა“ ახალგაზრდობის სიმბოლოდ, მაგრამ ენაში არის ისეთი სიტყვები და შესატყვისები, რომელთაც აქვთ აშკარად სიმბოლოური ხასიათი, მაგ. თუ სიტყვა „სიკვდილი ემოციურად ფაქტობრივად ნეიტრალურია, მამინ სიტყვები: „ჩამადლდება“, ან „გარდაცვალება“, ასეთი აღარაა. მათში ფაქტობრივი ვითარების გარდა, ამ ფაქტის ღირებულებაცაა გამოსახული, ღირებულებითი შინაარსის გამოთქმა-გამოსახვა სიმბოლოს პირობით ნიშნად ჩავთვალოთ, მათ უსათუოდ სიმბოლოური ხასიათი აქვთ.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე კ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებები. ტ V. თბ., 1976
2. თევზაძე გ., XX ს. ფილოსოფიის ისტორია. თბ., 2002
3. XX ს. ბურჟუაზიული ფილოსოფია. თბ., 1970
4. ყანდარელი თ., ამერიკული კრიტიკული რეალიზმის ირაციონალისტური ესთეტიკა. ჟურნალ „ხელოვნება“, N 2, 1983
5. ფედერალისტური წერილები., თბ., 2008
6. Amerikan philosophy in the XX century ed.by Karts P. NY. L 1966
7. Semiotic and Signifies: The Correspondence between C.S. Peirce and Viqtorina Lady Welby, Hardwick, ed., with Cook. 2 nd 2001. O.

რეზიუმე

სუზანა ლანგერის თეორიის მიხედვით, ენა არ არის უძრავი, გაყინული მოცულობა. ესაა უწყვეტი პროცესი, ადამიანური გონის ისეთი ფუნქცია, რომლის საფუძველიც, აზრთა გამოსახატავად, დანაწევრებულ ბგერათა გამოყენების უნარშია საძიებელი. მისი აზრით, ენობრივი პროცესის ჭეშმარიტი გამომხატველია არა ცალკეული სიტყვა, არამედ წინადადება. იმ დროიდან იწყება ადამიანის პირადი ცხოვრების მთლიანი გარდაქმნა, როცა ხდება გადასვლა წმინდა ემოციური პოზიციიდან სამყაროს მიმართ, თეორიულ პოზიციაზე. ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სულიერი და გონებრივი განვითარებისათვის.

ს. ლანგერის მოსაზრებით, ადამიანური აქტივობის ოთხი ძირითადი სახეობის – ენა, რიტუალი, მითი, მუსიკა – შესწავლა დაგვეხმარება სიმბოლიზმის ცენტრალური პრობლემის გადაჭრაში. მას მიაჩნია, რომ ენა და მისი ელემენტები (სიტყვა და წინადადება) სიმბოლოურად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ იმ აზრით, რომ ისინი ენის გარეშე რეალობათა წარმოდგენის საშუალებებია.

Manana Chiteishvili -Akaki Tsereteli State University, Doctor of Philosophy-Science. Associated Professor

S. Langer Metaphoric Symbolism

RESUME

According to Susanne Langer's theory, language is not fixed, frozen entity, it is a continuous process, such function of human thought that's basis, for expressing ideas, must be sought in ability of using dismembered sounds. In her view, language process is not only expressed by individual word, but by sentence. When it happens moving from emotional position to the world, to theoretical position, it begins complete conversion of human's private life. Language has a great importance for spiritual and mental development.

In S. Langer's opinion four main arts of human activity- language, ritual, myth, music-will help to solve a central problem of symbolism. In her view, language and its elements (word and sentence) can be considered as symbolic only in the sense that without language they are means of imagine reality.

ლილი ქორიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - განათლების ფაკულტეტის დოქტორანტი

სასკოლო კურიკულუმის სოციალური და ლიბერალური ბუნება

თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორცაა გარემოს დაბინძურება, ენერჯის ჭარბი გამოყენება, კლიმატური ცვლილებები, გლობალური მობილობა, შიმშილი, მიგრაცია, საერთაშორისო კონფლიქტები, ომები, ტერორიზმი და ა.შ. საჭიროა მომავალი მოქალაქის ძირითადი კომპეტენციების ხელახალი განსაზღვრება და მათი სასკოლო კურიკულუმში ტრანსფორმირება და დანერგვა/განვითარება, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თანამედროვე სამყარო მოითხოვს სასკოლო კურიკულუმის სოციალიზაციას და ლიბერალიზაციას.

სასკოლო კურიკულუმი არის თანმიმდევრული, ორგანიზებული ინსტრუქციებისა და გამოცდილებების ერთობლიობა, რომელიც ემსახურება იმ იდეების, კონცეფციების, პრინციპების, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებას მოსწავლეებში, რასაც მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

კურიკულუმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სირბილს, მოძრაობას, შეჯიბრებას. სწავლულები გამოყოფენ კურიკულუმის შემდეგ სახეობებს:

- ✓ პირდაპირი კურიკულუმი - სავალდებულო საგნები, რომელიც ისწავლება სკოლაში იმ ცოდნისა და უნარების ასათვისებლად, რომელიც განსაზღვრულია სკოლის მისიის მიხედვით.
- ✓ ირიბი კურიკულუმი - გაკვეთილები, რომლებიც გამომდინარეობს სკოლის კულტურიდან, ამ კულტურის ქცევების, დამოკიდებულებებისა და მოლოდინების მიხედვით.
- ✓ ფარული კურიკულუმი - მოიცავს სკოლის ფიზიკურ და ემოციურ გარემოს, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობების კულტურას.
- ✓ არასავალდებულო კურიკულუმი - თემები და საკითხები, რომლებიც ამოღებულია კურიკულუმიდან.
- ✓ დამატებითი აქტივობები - სკოლის მიერ დაფინანსებული დამატებითი აქტივობები, პროგრამები, პროექტები, თეატრალური, სპორტული თუ სხვადასხვა მიმართულების ინტერესთა ჯგუფების კლუბები.

კურიკულუმის სოციალიზაცია და ლიბერალიზაცია ნიშნავს მოსწავლის გათავისუფლებას ვიწრო და შეზღუდული აზროვნებისაგან და ტრადიციების მიჯნაზე ახალი შესაძლებლობებისათვის გზის მიცემას, მისი ტალანტებისა და შესაძლებლობების ჰუმანიზაციას და დემოკრატიზაციას, მისთვის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციების გაცნობას და ამ ტრადიციების გაგრძელების შესახებ თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებისათვის მომზადებას, მოსწავლეებისათვის თანაცხოვრებისა და საერთო სამსახურში ყოფნის სწავლებას.

სოციალური და ლიბერალური კურიკულუმის მთავარი საკითხია აქტიური და დემოკრატი მოქალაქის აღზრდა, შესაბამისად ასეთი კურიკულუმის ძირითადი მიზნებია მოსწავლეებმა გაიგონ და დააფასონ:

- დემოკრატიის ძირითადი პრინციპები;
- მოქალაქის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები და პასუხისმგებლობები;
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, როგორც ადგილობრივ და ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;
- ყველა სახის განსხვავებულობა(კულტურული, რასობრივი, სქესობრივი და რელიგიური), რომელიც არსებობს როგორც ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ, ისე საერთაშორისო კონტექსტში;
- მოხალისე და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქცია და საქმიანობა.
- მედიის როლი პიროვნულ და სოციალურ ცხოვრებაში;

- იცოდნენ საზოგადოებრივი პრობლემები, მიმდინარე მოვლენები ეროვნულ და გლობალურ საზოგადოებაში;
- მონაწილეობის/ჩართულობის ფორმები;
- საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობა;
- დემოკრატიული ღირებულებები და დამოკიდებულებები, როგორცაა სხვისი უფლებების და კეთილდღეობის დაფასება, სოციალური პასუხისმგებლობა, ტოლერანტობა, განსხვავებულობის/მრავალფეროვნების დაფასება, ადამიანთა უფლებებისა და კანონის დაცვა, მშვიდობისა და დემოკრატიის რწმენა.

შეძლონ:

- ღია და კრიტიკული აზროვნება;
- ინფორმაციის მიღება სხვადასხვა წყაროებიდან, მისი კრიტიკული შეფასება, კრიტიკული ფიქრი, გადაწყვეტილებების მიღება კრიტიკულ შეფასებებზე დაყრდნობით პრობლემების გადაჭრა, დიალოგში მონაწილეობის მიღება სხვადასხვა პერსპექტივებიდან გამომდინარე;
- პოლიტიკური მოქმედება, პრობლემების ჯგუფური გადაჭრა, სახალხო საუბარი, პროტესტი, ხმის მიცემა;
- საზოგადოებაში ჩართულობა;
- კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

კურიკულუმის სოციალიზაციისა და ლიბერალიზაციის საჭიროების შესახებ დავა იწყება უძველესი ანტიკური პერიოდიდან, რომლის სათავეებთან დგანან ისეთი უდიდესი სწავლულები, როგორცაა ძველი ბერძენი ფილოსოფოსები პლატონი, არისტოტელე, ქრისტიანული სამყაროს განათლების ფილოსოფოსები წმინდა აუგუსტინი და ჯონ ამოს კომენიუსი და გრძელდება დღესაც.

კურიკულუმის სოციალიზაციისა და ლიბერალიზაციის საკითხების კვლევაში უდიდესი წვლილი შეიტანა ამერიკელმა ფილოსოფოსმა, ფსიქოლოგმა და განათლების სპეციალისტმა ჯონ დიუიმ(1859- 1952 წწ). იგი ამტკიცებს, რომ კარგი მოქალაქეობა უფრო მეტია ვიდრე სრულყოფილი, ქმედითუნარიანი, კვალიფიციური ადამიანი. მოსწავლე არის დემოკრატიული და პროგრესული საზოგადოების წევრი, სწორედ ამიტომ კურიკულუმი მიზნად უნდა ისახავდეს როგორც ლიდერობის, ისე მორჩილების სწავლებას. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ, როგორც თვითმმართველობა, ისე სხვისი მართვაც, ადმინისტრირება, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ალენა. დიუი მიიჩნევს, რომ იმ სამყაროში, რომელიც ყოველდღიურად ვითარდება, შეუძლებელია კურიკულუმი მიზნად ისახავდეს ასწავლოს მოსწავლეებს რომელიმე კონკრეტული ცხოვრების წესი. კურიკულუმმა უნდა აღზარდოს ისეთი მოქალაქე, რომელიც მუდმივი ცვლილებების ფონზე შეძლებს არა მარტო საკუთარი თავის ადაპტირებას არამედ ამ ცვლილებების მართვას და განხორციელებას(ჯ. დიუი, 1909 – „მორალური პრინციპები განათლებაში“, გვ. 11).

დიუის აზრით, სასწავლო კურსის ვალიდობის შეფასების აუცილებელი კრიტერიუმებია სოციალური და დემოკრატიული კრიტერიუმები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი სასწავლო კურსი არ არის შედეგზე ორიენტირებული. ის ამტკიცებს, რომ სასკოლო საგნები ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა თუ ნებისმიერი სხვა საგანი, უნდა ისწავლებიდეს სოციოლოგიური გადასახედიდან. დიუისთან მდინარეები, ტბები, მთები არა ფიზიკური, არამედ სოციალურია, ადამიანთა ურთიერთობების მოდიფიცირებისა და მიმართულების მიცემა. ისტორიას თუ ვასწავლით, როგორც წარსულს, მაშინ მოსწავლეთა მოტივაციაც დაბალი იქნება. „ისტორიის სწავლების ეთიკური ღირებულება მდგომარეობს წარსული ფაქტების შესწავლით ახლანდელის გასაგებად“ - ამბობს დიუი. (ჯ. დიუი, 1909 – „მორალური პრინციპები განათლებაში“, გვ. 57).

დიუის უაზრობად ეჩვენებოდა მოსწავლეებისათვის მათემატიკური განტოლებების სწავლება, ბიზნესისა და საფინანსო ურთიერთობების სწავლების გარეშე. მისი აზრით ციფრების და ფორმულების უბრალო სწავლება ადაბლებს მოტივაციას. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ ამ ციფრების სოციალური დანიშნულება, მათ უნდა ისწავლონ ამ ციფრებისა და ფორმულების ცხოვრებაში გამოყენება.

დიუი თავის ნაშრომში „ბავშვი და კურიკულუმი“ (The child and the curriculum, 1902) აღწერს იმ დიდ სიცარიელეს, რომელიც არსებობს მოსწავლეების პირად ინტერესებსა და კურიკულუმს შორის. „ბავშვი

ცხოვრობს პირადი კავშირების ვიწრო სამყაროში, ის ძნელად გეზულობს იმას, რასაც ვერ ეხება და აშკარად ვერ ხედავს. მისი სამყარო მოიცავს პირად ინტერესებს და არა სახელმწიფო ფაქტებსა და კანონებს. სკოლაში ბავშვს მოწყვეტენ ხოლმე მისთვის ნაცნობ ფიზიკურ გარემოს და გადაჰყავთ ფართო სივრცეში, ზოგჯერ კოსმოსშიც კი - ამბობს დიუი (ჯ. დიუი, 1902 - „ბავშვი და კურიკულუმი“ - გვ 8-10).

დიუი გამოჰყოფს ბავშვსა და კურიკულუმს შორის არსებულ სამ უმთავრეს წინააღმდეგობას:

1. ბავშვის პირადი, ვიწრო სამყარო სივრცესა და დროში გაშლილ უსასრულო სამყაროს წინააღმდეგ;
2. ბავშვის სამყაროს, როგორც ერთი მთელის აღქმა, დანაწევრებული და სპეციალიზირებული კურიკულუმის წინააღმდეგ;
3. ბავშვის ემოციური და პრაქტიკული ცხოვრება ლოგიკური კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის აბსტრაქტული პრინციპის წინააღმდეგ.

კრიტიკული პედაგოგიკის მიმდევარი ბრაზილიელი სწავლული და ფილოსოფოსი პაულო ფრეირი(1921-1997) „ჩაგრულთა პედაგოგიკაში“ ამტკიცებს კურიკულუმის ჰუმანიზაციის აუცილებლობას. მისი აზრით, კურიკულუმის მთავარი მიზანი უნდა იყოს მოსწავლეთა განთავისუფლება მონური და ჩაგრული ცხოვრებისაგან, მათში მაღალი თვითშეფასების განვითარება, დიალოგის, კრიტიკული მსჯელობის და შემოქმედებითი უნარების გამომუშავება, მოსწავლეთა სამყაროსთან და ერთმანეთთან დაკავშირება.

ფრეირის კურიკულუმი მიზნად ისახავს დიალოგის წარმართვას მოსწავლეებთან, რომლის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებია: კრიტიკული აზროვნება, წარმატების მიღწევის იმედი, ნდობა, სიყვარული, მოკრძალება და რწმენა.

ფრეირი მოითხოვს თემატურ სწავლაზე გადასვლას, სადაც თემები არ უნდა იყოს „იზოლირებული, დამოუკიდებელი ან სტატიკური“. ისინი ყოველთვის დიალექტურ კავშირში უნდა იყოს საპირისპირო თემებთან“. თემატური კვლევა „მკვლევარებისგან მოითხოვს აღმოაჩინოს პრობლემების ურთიერთშეღწევადობა, რომელიც აზრობრივ თემებს ერთმანეთთან აკავშირებს(პ. ფრეირი, 2005 – „ჩაგრულთა პედაგოგიკა“, გვ. 72 – 78).

ჩვენ ვეთანხმებით ფრეირს, და მივიჩნევთ, რომ სასკოლო საგნები უნდა გადავაქციოთ სასკოლო თემებად, ანუ მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთად უნდა შეარჩიონ საკვლევი თემა და ეს საკითხი უნდა იკვლიონ, არა მარტო ერთი რომელიმე კუთხით, არამედ ყოველი მხრივ, ყოველ გარემოში, ეპოქალური ცვლილებების ჭრილში.

„მე არ შემიძლია ფიქრი სხვების ნაცვლად ან სხვების გარეშე და არც სხვებს შეუძლიათ ფიქრი ჩემს ნაცვლად“ - ამბობს ფრეირი. დღეს ჩვენ მოსწავლეებს ვაწოდებთ მზა ინფორმაციას, ისინი სწავლობენ თხრობით და წარმოადგენენ. ასეთი მიდგომა ხელს ვერ შეუწყობს თავისუფალი, დემოკრატი მოქალაქის ჩამოყალიბებას. გამოდის, რომ ვიღაცამ იფიქრა მოსწავლის ნაცვლად, მოიძია ინფორმაცია, მიაწოდა და მოსწავლემ უბრალოდ დაიმახსოვრა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მალე დაავიწყდა. ამის სანაცვლოდ „მასწავლებელმა, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლენილ თემატურ სამყაროზე მუშაობს, ეს სამყარო ხელახლა უნდა წარუდგინოს ხალხს, რომლისგანაც თავად მიიღო ის, თანაც ეს წარდგენა ლექციის კი არა, პრობლემის დასმის ხასიათს უნდა ატარებდეს“ (პ. ფრეირი, 2005 – „ჩაგრულთა პედაგოგიკა“, გვ. 80).

თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში შემუშავებული კურიკულუმის რეალურ სამყაროსთან დაკავშირების რეკომენდაციების მიხედვით მნიშვნელოვანია კურიკულუმის საკვლევი საკითხების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა და მათ გამოცდილებებთან დაკავშირება; ისეთი აქტუალური პრობლემების შერჩევა, როგორცაა ჯანმრთელობა, რასიზმი, სიღარიბე და ა.შ; და მოსწავლეთა ჩართვა რეალურ სამყაროში ამ სამყაროს შესაცვლელად. ასევე საჭიროა იმ მეთოდების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს დიალოგის კულტურის, ფიქრის, ფინანსური მართვის, საზოგადოებრივი ურთიერთობების, პოლიტიკურ მმართველობაში აქტიური მონაწილეობის მიღების, საოჯახო ცხოვრების წარმართვის, კულინარიისა და კვების ჰიგიენის, 21-ე საუკუნეში საჭირო ტექნიკის მოხმარებისა და თუ სხვა უნარ-ჩვევების განვითარებას.

ჩვენ დავინტერესდით თუ რას ფიქრობენ მასწავლებლები დღევანდელ სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაზე, ისწავლება თუ არა მათი აზრით სკოლაში ცხოვრება. კითხვაზე: **როგორ ფიქრობთ ჩვენს სკოლებში უვითარდებათ თუ არა მოსწავლეებს პრაქტიკული უნარ ჩვევები, ისწავლება თუ არა ცხოვრება. მოიყვანეთ მაგალითები**, გამოკითხულ მასწავლებელთა 41% მიიჩნევს, რომ სკოლაში მოსწავლეებს უვითარდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ისწავლება ცხოვრება, 18% მიიჩნევს, რომ

სკოლაში ნაწილობრივ ვითარდება პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ნაწილობრივ ისწავლება ცხოვრება, ხოლო 41% მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართულ სკოლებში არ ვითარდება პრაქტიკული უნარ-ჩვევები და არ ისწავლება ცხოვრება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხულ მასწავლებელთაგან 78%-ს ვერ მოჰყავს პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და ცხოვრების სწავლების რეალური მაგალითები, ხოლო 12%-ს მოჰყავს რამოდენიმე მწირი განმარტება.

კვლევა ადასტურებს, რომ საჭიროა სასწავლო პროგრამების, კურსკულუმის შინაარსის, მისი მიზნების, ამოცანების, მოსალოდნელი შედეგების და სწავლების მეთოდებისა და მიდგომების ხელახალი გადახედვა და მისი რეალურ სამყაროსთან, მოსწავლეთა ინტერესებთან და გამოცდილებებთან დაკავშირება, მისი სოციალიზაცია და დემოკრატიზაცია, რადგანაც სწორედ სასწავლო პროგრამის, კურსკულუმის მოსწავლეთა რეალურ სამყაროსთან დაკავშირება არის სასკოლო განათლების წარმატების გარანტი.

ლიტერატურა

1. ფრეიერი, პ. - *ჩაგრულთა პედაგოგია*, თბილისი, 2005.
2. Dewey, J. *Child and Curriculum*, Chicago : University of Chicago Press, 1902.
3. Dewey, J. *Moral Principles in Education*, Houston Mifflin company, Boston, New York and Chicago, 1909
4. Murray Print and Dirk Lange(Eds), *Schools, Curriculum and Civic Education for building Democratic Citizens*, University of Sydney, Australia, Rotterdam, The Netherlands. 2012.
5. Adrian M. Dupuis and Robin L. Gordon, *Philosophy of education in historical perspective*, third edition. 2010.

რეზიუმე

სასკოლო კურიკულუმი არის თანმიმდევრული, ორგანიზებული ინსტრუქციებისა და გამოცდილებების ერთობლიობა, რომელიც ემსახურება იმ იდეების, კონცეფციების, პრინციპების, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებას მოსწავლეებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ განთავისუფლებას მონური და ჩაგრული ცხოვრებისაგან და აქტიურ და დემოკრატიულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ამისათვის კი საჭიროა სასკოლო კურსკულუმის შინაარსის, მისი მიზნების, ამოცანების, მოსალოდნელი შედეგების და სწავლების მეთოდებისა და მიდგომების ხელახალი გადახედვა და მისი რეალურ სამყაროსთან, მოსწავლეთა ინტერესებთან და გამოცდილებებთან დაკავშირება, მისი სოციალიზაცია და დემოკრატიზაცია, რადგანაც სწორედ სასწავლო პროგრამის, კურსკულუმის მოსწავლეთა რეალურ სამყაროსთან დაკავშირება არის სასკოლო განათლების წარმატების გარანტი.

Lili Koridze – Batumi Shota Rustaveli State University – PhD Student

Social and Liberal Nature of School Curriculum

School curriculum is can be defined as the totality of student experiences that occur in the educational process. The main aim of which is to allow the oppressed(students) to regain their sense of humanity, in turn overcoming their condition, the oppressed individual must play a role in their liberation. Rebuilding school curricula around the needs of the modern world, it' s socialization and liberalization guarantees the school success.

იზოლდა ბუხულიევილი - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მიჯაჭვულობის თეორიის ზოგიერთი ასპექტი

„შეიძლება ოჯახი იყოს ბედნიერი, სადაც სუროგატი დედის მიერ დაბადებული ბავშვი იზრდება? ეს პატარა ხომ თავიდანვე გაწირეს უსიყვარულობისათვის, მიუსაფრობისა და მარტოობისათვის. იგი კეთილდღეობაშიც რომ გაიზარდოს, მუცლად ყოფნის პერიოდის ამ სიმძიმეს ვერაფერი შეცვლის და ეს აუცილებლად იჩენს თავს ზრდასრულ ასაკში“.

ილია II კათოლიკოს-პატრიარქი
2014 წლის საშობაო ეპისტოლე [11]

ბავშვის პიროვნებად სწორად ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს სიყვარულის უნარი ასრულებს, რომელიც ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში, მოგვიანებით კი ადამიანებთან ნებისმიერი ურთიერთობის დროს განვითარებასა და სრულყოფას მოითხოვს. სიყვარულის უნარს ჩასახვისა და განვითარების საკუთარი ისტორია აქვს, რომელიც ადამიანის ამქვეყნად მოვლინებასთან ერთად იწყება, ამდენად, აღნიშნული უნარის განვითარებისთვის დედის მიერ გამოვლენილ სიყვარულს, სითბოსა და მზრუნველობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ბავშვს ყველაფერთან ერთად სჭირდება კიდევ „რადაც“, რაც განსაკუთრებით სიყვარულის უნარს განუვითარებს და სამომავლოდ ნებისმიერი სიყვარულის საფუძველი გახდება. ეს გახლავთ ბავშვის დედასთან „მიჯაჭვულობა“, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვის მუცლადყოფნის პერიოდში ჩაისახება და რომლის სწორად ჩამოყალიბებაზეც დამოკიდებულია ბავშვის ფსიქიკის ნორმალური განვითარება. [8, 13]

მიჯაჭვულობის თეორია საფუძველს იღებს მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან, მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, მრავალი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ, მრავალი ბავშვი დაობლდა. ასეთ ადამიანებს შემდგომ ცხოვრებაში სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდათ. ამ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად, ბრიტანელმა ფსიქიატრმა და ფსიქოანალიტიკოსმა ჯონ ბოულბიმ შეიმუშავა მიჯაჭვულობის თეორია. ყველა ადამიანში ქვეცნობიერად დევს მიჯაჭვულობა, რაც შეეხება მის ჩამოყალიბებას, ეს ორმხრივი პროცესია, რომელიც ასაკთან ერთად ფორმირდება. მათი შესწავლა-გაანალიზება ძალზე მნიშვნელოვანია.

ადამიანთა შორის მიჯაჭვულობის გამოვლენა ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან იწყება, ჯონ ბოულბის მიხედვით ბავშვები იმ ინდივიდებს ეჯაჭვებიან, რომლებიც თანმიმდევრულად და სათანადოდ პასუხობენ მათ სიგნალებს. ზრდასრული ადამიანებისგან განსხვავებით, ბავშვის სოციალური ურთიერთობის სფერო შეზღუდულია, მკვლევარ-მეცნიერები აღიარებენ, რომ საუკეთესო ვარიანტი ბავშვისთვის დედასთან მიჯაჭვულობაა. აღნიშნული სინდრომი უფრო ინტენსიურად ვითარდება ჯერ კიდევ ორსულობისას, დედასა და შვილს შორის კავშირის დამყარებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია ორსულობის ბოლო თვეები. ამ პერიოდში ნაყოფი გარკვეულ ფიზიკურ და ინტელექტუალურ დონეს აღწევს. მაგრამ დედასთან შეთვისება ავტომატურად არ ყალიბდება. საჭიროა დრო, სიყვარული და მზრუნველობა მომავალი შვილის მიმართ.

ცნობილი ფრანგი ფსიქოანალიტიკოსი ფრანსუაზ დოლტო თავის წიგნში „ცხოვრებისეული სირთულეები“ აღნიშნავს: „ჩემს შვილებთან ურთიერთობა მათ დაბადებამდე მქონდა. გინეკოლოგმა ფეხმძიმობის მეოთხე თვეზე მითხრა, რომ ბავშვს გული უკვე უძგერსო, ლუქსემბურგის ბაღში ვსეირნობდი და უცებ ვიგრძენი, რომ ჩემს გვერდით საოცრად ახლობელი იყო, მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ არავინ ჩანდა, ვსეირნობდი, მაგრამ ეს გრძნობა არ მტოვებდა. [5, 59]

ეს ეპიზოდი იმის კარგი მაგალითია, თუ რა ურთიერთობას ამყარებს შვილი დედასთან მუცლადყოფნის დროს, ის იქიდანვე ეჯაჭვება დედას და ვითარდება გულწრფელი გრძნობა, რომელსაც დედაშვილობა ჰქვია.

აღსანიშნავია, რომ ქალს ჯერ კიდევ გათხოვებამდე გამოუმუშავდება თავისებური დამოკიდებულება მომავალი შვილისადმი. ბავშვი ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ მასთან დამოკიდებულება კი უკვე აღმოცენებულია. რა თქმა უნდა, მერე შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ საეჭვოა, უკვალოდ გაქრეს.

განსაკუთრებით ასეთი ღრმა ინფორმაცია, რომელიც მუცელში მყოფ ნაყოფშიც კი იწვევს გარკვეულ რეაქციას.

ლევ ტოლსტოის „ანა კარენინას“ ორი გმირის მაგალითზე ჩანს მომავალი ბავშვის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება. კიტი გარემოცულია ქმრისა და შინაურთა ყურადღებითა და სიყვარულით. დოლის ოჯახური საქმეები, ფინანსები აწეწილია, ქმარიც ქარაფმუტულ ცხოვრებას ეწევა.

ავტორი კიტის ფეხმძიმობასა და მოახლოებულ მშობიარობას ასე აღწერს: „კიტი თავს სრულიად მშვიდად და ბედნიერად გრძნობს, ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ მასში მომავლის სიყვარულის ახალი გრძნობა ჩაისახა, გრძნობა ბავშვისადმი, რომელიც ნაწილობრივ მისთვის უკვე ნამდვილ ბავშვად ქცეულიყო და ნეტარებით უგდებდა ყურს ამ გრძნობას“. [6, 60] დოლისთვის კი ფეხმძიმობა ნამდვილ სატანჯველად იქცა.

ასე რომ, ბავშვი ჯერ არ დაბადებულა, მისდამი დამოკიდებულება კი უკვე აღმოცენდა, ის უკვე გახდა მკვეთრი და მნიშვნელოვანი განცდების წყარო, აქედანაც შეიძლება დავადგინოთ, თუ როგორი დამოკიდებულება ექმნებათ მშობლებს შვილებზე, რა დოზით განვითარდება მათ შორის მიჯაჭვულობის გრძნობა.

ხშირია შემთხვევები, რომ ახალდაბადებულ ბავშვს ნევროტული დარღვევები აქვს, ეს იმიტომ ხდება, რომ ჯერ კიდევ დაბადებამდე მან დედის ემოციური უარი გადაიტანა, თუმცა მისთვის ფიზიკური ზიანი არ მიუყენებიათ და დაბადებისთანავე სიხარულით შეხვდნენ და უყვართ კიდევ.

პიერი ძალადობის ნაყოფი იყო. დედას ეს ბავშვი არ უნდოდა. მამაკაცმა, რომელსაც იგი მაშინ ხვდებოდა და მისი ცოლად მოყვანა სურდა, ძალდატანებით შეანარჩუნებინა ბავშვი. ქალი ქორწინებაზე დათანხმდა, თუმცა ქმარიც და მომავალი ბავშვიც შეიძულა და მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მშობიარობის შემდეგ ქმარ-შვილს მიატოვებდა. მთელი ფეხმძიმობა ტირილში გაატარა, სულ ერთი აზრი უტრიალებდა - „არ მინდა ეს ბავშვი და არც მენდომება იმიტომ, რომ იგი შანტაჟის იარაღია“.

ბავშვი გაჩნდა და საოცრება მოხდა, ქალმა დედობით გამოწვეულ ბედნიერებასთან ერთად, ქმრის მიმართ უსაზღვრო სიყვარულიც იგრძნო, ჩვილიც საოცრად შეუყვარდა, მაგრამ ბავშვი კი ხელში აყვანისას ტირილს იწყებდა. როცა ლაპარაკი ისწავლა, დედას მოფერებაზე პასუხობდა: „ნუ მახრჩობ“. რეაქცია არ ჰქონდა, როცა დედა მის უმცროს ძმას ეფერებოდა. იგი ხშირად ეკითხებოდა: „არ გინდა შენც მოგეფერო, როგორც შენს ძამიკოს?“ ბიჭი პასუხობდა: „არა, ეს არ მსიამოვნებს“. ამ შემთხვევაში ნათელია, ბავშვს მუცლადყოფნის ტკივილი ჰქონდა გამოყოლილი. ეს ყველაფერი კი ნეგატიური ფეხმძიმობის შედეგია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დედას იგი დაბადების შემდეგ შეუყვარდა. ფსიქოლოგების აზრით, ბიჭუნას მომავალში შეიძლება ემოციური დარღვევები ჰქონდეს.

ბავშვი დედის მუცლიდანვე გრძნობს მის მიმართ გამოვლენილ ემოციებს, რაც შემდგომში მის ცხოვრებაზე აისახება. თუ დაბადებამდე არ ყალიბდება დედასა და შვილს შორის დადებითი ემოციური კავშირი, შემდგომში რთულია მათ შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარება.

უნდა აღინიშნოს, რომ წლამდე ასაკის ბავშვებში ძირითადად განასხვავებენ მიჯაჭვულობის სამ პერიოდს:

- 0-3 თვემდე, როცა ახალშობილი ავლენს ინტერესს და ეძებს ემოციურ სიახლოვეს ყველა უფროსისადმი, როგორც ნაცნობების, ისე უცნობების მიმართ;
- 3-6 თვემდე, ჩვილი იწყებს ნაცნობებისა და უცნობების გარჩევას. გარემოცვიდან თანდათან გამოარჩევს დედას და ისწრაფვის მასთან კონტაქტისთვის. დედის გამორჩევა დამოკიდებულია იმაზე, რომ პატარა სხვებთან შედარებით დედის ხმას, მის სახეს, ხელებს ანიჭებს უპირატესობას. გამორჩევის პროცესი მით უფრო სწრაფია, თუ დედა ადექვატურად რეაგირებს ბავშვის სიგნალებზე;
- 7-8 თვემდე - ამ დროს უკვე ხდება ბავშვის უახლოეს უფროსებთან მიჯაჭვულობის ფორმირება, აღენიშნება შიში უცხო ადამიანის მიმართ.

მიჯაჭვულობა განსაკუთრებით ძლიერია 1-1,5 წლის ასაკში. შედარებით მცირდება 2,5-3 წლის ასაკისთვის, მაშინ, როცა ბავშვის ქცევაში იკვეთება სხვა ტენდენცია-სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ და თვითდამკვიდრებისკენ, რომელიც დაკავშირებულია თვითშემეცნების განვითარებასთან. [9] ამ პერიოდში დედისაგან ხანგრძლივი დამორება შეიძლება გახდეს ე. წ. ანალიტიკური დეპრესიის მიზეზი და ჩვილი ანელებს განვითარებას და გარემოსთან კონტაქტს კარგავს. [7, 77]

სამწუხაროდ, ზოგჯერ ცხოვრებაში იქმნება ისეთი პირობები, როცა ბავშვები მოკლებულნი არიან კონტაქტის კომფორტს, განსაკუთრებით დედასთან. ადრეულ ბავშვობაში მჭიდრო, თბილი

ურთიერთობის ნაკლებობა გავლენას ახდენს ბავშვის ფიზიკურ განვითარებასა და სიცოცხლის შენარჩუნებაზეც კი. დადებითი ემოციური კონტაქტის გაწყვეტისას ირღვევა მიჯაჭვულობის კავშირი და იწყება დეპრევაცია.

დეპრევაცია - ეს სრულფასოვანი, სოციალური, ემოციური და სენსორული ზემოქმედების დანაკლისია. დეპრევაცია დანაკლისის უკიდურესი ფორმაა. ჩვენ გვანტერესებს ბავშვის განვითარებისთვის არასაკმარისი მშობლიური სიყვარულის შედეგების პრობლემა, რომელიც განიხილება, როგორც ნაწილობრივი დეპრევაცია.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოდურ ტერმინად იქცა „დეპრევაცია“, მაგრამ რა შინაარსს აქსოვენ მასში მედიკოსები და ფსიქოლოგები?

დეპრევაცია, უფრო ლაკონურად განსაზღვრა გამოჩენილმა ინგლისელმა ფსიქოლოგმა ჰებმა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ პრობლემის შესწავლაში, მისი აზრით, „დეპრევაცია“ მდგომარეობაა, რომელიც დაკავშირებულია ბიოლოგიურად სრულფასოვან, მაგრამ ფსიქოლოგიურად არასრულფასოვან გარემოსთან“. [4, 13]

1931 წელს გამოქვეყნდა ინგლისელი მეცნიერის ჯოზეფ ბოულბის წიგნი „დედობრივი ზრუნვა და ფსიქიკური მოშლილობანი“. აქ გამოყენებულია ტერმინი „დედობრივი ზრუნვის მოკლება“, რომელიც ფართოდ გავრცელდა, ბოულბი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მუშაობდა დედებთან არასრულფასოვანი კონტაქტის პირობებში მცხოვრები ბავშვების განვითარების პრობლემაზე.

ბავშვის ხასიათის სწორად ჩამოყალიბებაზე, მისი ჰარმონიული განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედებთან კონტაქტს, დედას ვერავინ შეცვლის, თუნდაც ყველაზე უკეთესი საბავშვო დაწესებულება.

გვინდა შევჩერდეთ მიჯაჭვულობის რღვევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე, ეს გახლავთ სუროგაცია. მშობიარობის შემდეგ ე. წ. „სუროგატი“ დედის მიერ ბავშვის გადაცემა ე. წ. გენეტიკური მშობლებისთვის უგულვებელყოფს იმ ღრმა სულიერ, ფსიქოლოგიურ, ემოციურ, ფიზიოლოგიურ და ბიოლოგიურ სიახლოვეს, რომელიც ორსულობის პერიოდში მყარდება დედასა და შვილს შორის. სუროგაციის დროს უგულვებელყოფილია თანამედროვე მეცნიერების (ფსიქოლოგიის, მედიცინის, ემბრიონოლოგიის და სხვ.) მიერ მოპოვებული მონაცემები ორსულობის დროინდელი, დედაშვილობისა და პრენატალური ბავშვობის კვლევის მიმართულებით. [1, 292]

ეს ტექნოლოგია წინასწარ წირავს ბავშვს ფსიქოლოგიური კრიზისული სიტუაციისთვის. მაგალითად 30 წლის სუროგატმა დედამ თვეებით ადრე დაიწყო საკუთარი თავის დარწმუნება, რომ ბავშვი, რომელიც მის მუცელში განვითარდებოდა, არ უნდა შეჰყვარებოდა: „ვიცი, რომ მერე მომგლეჯენ და არ მინდა გული დამწყდეს. ვთვლი, რომ ეს არის საქმე და სხვა არაფერი. შეგნებული მაქვს, რომ ჩემს მუცელში სხვისი შვილი იზრდება და მე უბრალო ჭურჭელი ვარ“.

ფსიქოლოგთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მსგავსი გულგრილობა არანორმალურია. „დარწმუნებული ვარ, რომ 9 თვის განმავლობაში გრძნობები სუროგატ დედასა და ნაყოფს შორის აუცილებლად ჩნდება და თუკი ჩნდება - მით უარესი“, - აღნიშნავს ერთ-ერთი მკვლევარი. [10]

ბავშვი დედასთან კავშირს მუცლადყოფნის პერიოდში ამყარებს, რეაგირებს დედის ემოციებზე, განიცდის ყველაფერს, რაც დედას აწუხებს, ამიტომ სუროგატი დედის საშვილოსნოში გაზრდილი ბავშვი ყოველთვის გრძნობს, რომ ის არ უყვართ და ეს ზემოქმედებს მის ფსიქიკაზე, უფრო ამწვავებს ბავშვის ფსიქიკურ მდგომარეობას, რაც შეიძლება ახლო მომავალში თუ არა ზრდასრულობაში მაინც გამოვლინდეს.

მაშასადამე, ბავშვის პიროვნების სწორად ჩამოყალიბებისათვის სასურველი და აუცილებელია, თუ დედა-შვილს შორის მიჯაჭვულობა ყოველგვარი დარღვევის გარეშე განვითარდება.

ლიტერატურა

1. არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე), ბიოეთიკა: გენეზისი, არსი, მერმისი, თბ., 2012, გვ. 292-298
2. არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე), სამედიცინო საეკლესიო კალენდარი, თბ., 2010
3. ბუხუღეიშვილი ი., საოჯახო აღზრდის აქტუალური პრობლემები და ძირითადი სტრატეგიები, თბ., 2012
4. ბუიანოვი მ., ბავშვს მშობლიური სიყვარული სჭირდება, თბ., 1987
5. დოლტო ფ., ცხოვრებისეული სირთულეები, თბ., 2005
6. კოლომინსკი ი., საუბარი ფსიქიკის საიდუმლოებებზე, თბ., 1983
7. ნანეიშვილი გ., ოკრიბელაშვილი ნ., სამედიცინო ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2009
8. რიმანი ფ., სიყვარულის უნარი, თბ., 2014
9. დედობა მხოლოდ ცხრა თვე. www.liberali.ge/
10. მიჯაჭვულობის სინდრომი პატარებში. www.janmrteლობაინფო.ge/
11. საქართველოს პატრიარქი სუროგაციის, ოჯახის და ევროკავშირის შესახებ. www.civil.ge/

რეზიუმე

მიჯაჭვულობის თეორია საფუძველს იღებს მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან. მისი ავტორია ცნობილი ფსიქიატრი და ფსიქოანალიტიკოსი ჯონ ბოულბი, რომელმაც აღნიშნულ პრობლემა მრავალი კვლევა მიუძღვნა.

ყველა ადამიანში ქვეცნობიერად დევს მიჯაჭვულობა. რაც შეეხება მის ჩამოყალიბებას, ეს ორმხრივი პროცესია, რომელიც ასაკთან ერთად ფორმირდება. მათი შესწავლა-განალიზება ძალიან მნიშვნელოვანია.

მკვლევარ-მეცნიერები აღიარებენ, რომ ბავშვისათვის საუკეთესო ვარიანტი დედასთან მიჯაჭვულობაა. მით უფრო, რომ აღნიშნული სინდრომი ინტენსიურად ვითარდება ჯერ კიდევ ბავშვის მუცლადყოფნის პერიოდში. თუ დაბადებამდე არ ყალიბდება დედასა და შვილს შორის დადებითი ემოციური კავშირი, შემდგომში რთულია ამ უმნიშვნელოვანესი ურთიერთობის აღდგენა.

ადრეულ ასაკში მიჯაჭვულობის დარღვევა ადამიანს საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ბავშვობაში, არამედ მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში და მის ყოველ მოქმედებაზე აისახება. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ მიჯაჭვულობის დარღვევა იწვევს ფობიებს, შფოთვებს, ფსიქოსომატურ სიმპტომებს და ა. შ.

სტატიაში საუბარია აგრეთვე მიჯაჭვულობის ჩამოყალიბების ხელისშემშლელ ფაქტორებზე - დეპრევიაციასა და სუროგაციაზე.

მაშასადამე, ბავშვის პიროვნების სწორად ჩამოყალიბებისათვის სასურველი და აუცილებელია, თუ დედა-შვილს შორის მიჯაჭვულობა ყოველგვარი დარღვევის გარეშე განვითარდება.

Summary

The Attachment Theory takes its basis from 40th years of 20th century. Its author is famous psychiatrist and psychoanalytic John Bowlby, who dedicated many researches to the mentioned problem.

Attachment is subconsciously in each human, as for its formulation, it is double-sided process, which is formed together with the age. Their study-analysis are very important.

The researchers-scientists confess, that the best variant for child is being attached to mother, taking into consideration that the mentioned syndrome intensively develops during the period of the gestation. Unless the positive emotional connection between mother and baby would not be formulated until the birth of baby, it will be difficult to restore this very important relationship later.

Violation of Attachment in earlier age causes damage to the human not only in the childhood, but also during the whole life of the person and reflects on his/her each action. It is certified scientifically, that the violation of attachment causes the fear, alarm, psychosomatic symptoms and so on.

Also, the factors, obstructive for the formulation of Attachment Theory, are discussed in the article – deprivation and substitution.

So, the development of Attachment between mother and baby without any violation is desirable and necessary for correct formulation of person of child.

რამაზ ხაჭაპურიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის დეპარტამენტის, არქეოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი

ეთნოლოგიური, ათროპოლოგიური და ზეპირსიტყვიერების საკითხების ასახვა ქართულ პედაგოგიკურსა და მეთოდიკურ აზროვნებაში (XIX საუკუნის 60-იანი წლები)

ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიულ მშენებლობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხალხის ერთიან ნებას, ურთიერთთანადგომასა და სულიერებას. ქართველი ხალხის სულიერი მეხსიერება, რომელიც ზეპირსიტყვიერებაშია გამოხატული დაუშრეტელი პატრიოტიზმით, შრომის სიყვარულით, გამირობითა და თავდადებით, და, რაც მეტად საყურადღებოა, თანამედროვე თვალთახედვით ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი პატივისცემითა და სიყვარულით, უაღრესად მნიშვნელოვანია დღესაც. მეორე მხრივ, ხალხის ზეპირსიტყვიერ სიბრძნესა და მრავალსაუკუნოვან ცხოვრების ყოფაში დაუნჯებულ ამ ძველთაძველ საგანძურს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის სწავლებისა და ჰარმონიული აღზრდისათვის. მდიდარი ზეპირსიტყვიერი მასალის შესწავლით ირკვევა, რომ კოლექტიურ შემოქმედს თავდაპირველად კარგად შეუნიშნავს თავისი სულიერების ეს სპეციფიკური მნიშვნელობა და მისი განხორციელებისათვის გარკვეული ხალხური დიდაქტიკური მოთხოვნებიც დაუწყებს.

ქართველ ხალხს როგორც ირკვევა, უძველესი დროიდან სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზეპირსიტყვიერება ჯეროვნად გამოუყენებია მომავალი თაობის აღზრდისათვის, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ მონოგრაფიულად დღემდე არ ყოფილა შესწავლილი ჩვენი სულიერების ამ ძვირფასი საუნჯის სწავლების საკითხი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცნობილი ფოლკლორისტის ქს. სიხარულიძის ერთადერთ მეთოდიკურ ნაშრომს „ფოლკლორის შესწავლა საშუალო სკოლის მე-8 კლასში“, 1941). თუმცა, რასაკვირველია, იყო არაერთი ცდა ამ დარგის ცალკეული საკითხების შესწავლისა ქართულ მეთოდიკურ აზროვნებაში (მ. ჩიქოვანი, ქს. სიხარულიძე, ანტ. ხინთიბიძე, თ. ქურდოვანიძე და სხვ). რამდენადაც ზეპირსიტყვიერების სწავლება სკოლაში და მეთოდიკური რეკომენდაციების ისტორიული გენეზისი სხვადასხვა ფოლკლორისტთა და მეთოდისტთა ნააზრევში შესწავლილია მხოლოდ მწირად და ფრაგმენტულად, ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.

მხატვრულ-ესთეტიკური შემოქმედების სახეებს შორის ზეპირსიტყვიერება თავისი სპეციფიკითა და გენეზისით ყველაზე მასობრივი სულიერებაა. იგი მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც გამჭვირვალედ მოჩანს სხვადასხვა ასაკისა და თაობების მიზნობრივი თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად. ასეთი შთამაგონებელი შრომა კი ვლინდება კოლექტიურობასა და მასობრიობაში, სათქმელის ზეპირი ფორმა განუმეორებელი მხატვრულობითა და ემოციურობით დღესაც დიდ მოწონებას იმსახურებს. ერთი სიტყვით, ეროვნული ქართული ფოლკლორი, ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალებით ძალზე მდიდარი წყაროა ადამიანთა, კერძოდ, მოსწავლეთა შემეცნებითი და აღმზრდელობითი ინტერესების გასავითარებლად და, მამასადამე, მათი მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდისათვის. **ასე რომ, ფოლკლორი, ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალა, ხალხის სპეციფიკური, მიზნობრივი შემოქმედებაა.** მასში, ხალხის საუკუნეობრივი სინამდვილე „პლასტებად და პერიოდებად კი არ არის დალაგებული, – აღნიშნავს პროფ. მ. ჩიქოვანი, – ვთქვათ ლიტერატურისა და ხელოვნების მსგავსად, არამედ იმავდროულად, ერთიმეორის გვერდით განაგრძობს ზეპირ ბრუნვაში არსებობას. ჟანრები და მათი ნიმუშები არა მარტო წარმოქმნის დროით სცილდებიან ერთმანეთს, არამედ შინაარსით, მსოფლგაგებით”.

ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ ზეპირსიტყვიერების სწავლებისას მოსწავლეთა შემეცნებითი იმპულსების გააზრება თავისთავად არის საფუძველი მათში ესთეტიკური გრძნობის წარმოშობა-განვითარებისათვისაც. ზეპირსიტყვიერების შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ შეგნებული XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენს განმანათლებლებს. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ილია ჭავჭავაძისა და მისი გუნდის დაინტერესება ეროვნული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლისა და მისი პრაქტიკულად სასწავლო-საგანმანათლებლო თვალსაზრისით გამოყენების შესახებ.

ხალხური შემოქმედების აღმზრდელობით მნიშვნელობასა და მის დიდ შთამაგონებელ ძალას ილია სხვა წერილებშიც ეხება. როგორც პროფ. ქს. სიხარულიძე შენიშნავს, „უადრესად პატრიოტულ წერილში „ქვათა ღაღადი“, რომელშიც საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობისა და ენის საკითხები მაღალ, მეცნიერულ და პრინციპულ სიმაღლეზეა აყვანილი“.

„შელოცვა“, მართალია, ტერმინოლოგიურად „ლოცვას“ უკავშირდება, მაგრამ აქ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქ საქმე. შელოცვის ტექსტი თხოვნასთან ერთად კარნახსა და მუქარას შეიცავს. ადრესატია ავადმყოფობა, ბოროტი სული, რომელიც ზიანს აყენებს ცოცხალ არსებას და ამის გამო ორგანიზმიდან გამოდევნილი უნდა იქნას. მთავარია მავნებლის გამოცნობა. თუ მისი სახელი მიგნებულია, გამარჯვება უზრუნველყოფილი არის შესაბამისი ტექსტის მეშვეობით, აქედან მომდინარეობს სახელის ხსენების, ლოცვის, ტექსტის მაგიური მნიშვნელობა.

შელოცვა ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი უნარია. იგი სიტყვიერი ფორმულაა, რომელსაც სამისნო დანიშნულება აქვს. დროთა განმავლობაში მასში უამრავი პლასტი დალექილა. ადამიანის ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებით შელოცვებიც მრავალგვარი სახისაა.

საინტერესოა, ილიას ლექსი „ლოცვა“. მან აღნიშნული ლექსით სიცოცხლეშივე შეუნდო თავის მკვლევებს.

**„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
მუხლმოდრეკილი, ღმობიერი ვდგავარ შენ წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხვეო მე ლოცვა წმიდა...
არამედ მსურს მე, განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმნთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“**

ხალხური სიტყვიერების სიბრძნის დიდი დამფასებელი, შემკრები და ქომაგი იყო ილიას თანამოსაყდრე – აკაკი წერეთელი. „როგორც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი, აკაკი ყოველთვის უხვად სარგებლობდა იმ მოწინავე აზრებითა და სიბრძნით, რაც სამყაროს, წუთისოფლის, ბუნებისა და ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობის, ადამიანთა ყოფა-ცხოვრების - შრომისა და გმირობის, სიყვარულისა და სიძულვილის - შესახებ შეუქმნია და შემოუწინა ხალხის კოლექტიურ გენიას...“

აკაკი წერეთელი ზეპირსიტყვიერების შესაკრებად და ამ საუნჯის შესანარჩუნებლად თავის ანდერძში მოითხოვდა: „გვირგვინებით ნუ შემიმკობთ კუბოს. ვისაც გვირგვინის საყიდლად ფული ემეტება, ზეპირსიტყვიერების შეკრების საქმეს შესწიროსო!“

მგოსანს, როგორც ჩანს, აფიქრებდა ის გარემოება, რომ ახალგაზრდობა არ იყო დაინტერესებული ხალხური შემოქმედების შეკრებით, რასაც შესაძლოა მომავალში მისი უკვალოდ დაკარგვა მოჰყოლოდა. „ახალ-დგმას აღარ ეხალისება ეს ძველებური საზეპიროები და მოხუცებულ მამებს საფლავში ჩააქვთ ასეთი ძვირფასი განძი!...“

აკაკი წერეთელი ბავშვობიდანვე დაინტერესებულა ხალხური შემოქმედებით: „ჯერ კიდევ ოთხი წლისაც არ იყო, რომ ზღაპრებს გამალებით უგდებდა ყურს“. „მომავალმა მგოსანმა პოეტობა შინამსახურთა გაშაირებითა და ხალხური მხატვრული შემოქმედების ნიმუშთა გადამუშავებით დაიწყო“ – აღნიშნავს პროფ. მ. ჩიქოვანი ხალხური სიტყვიერებით გატაცებას პოეტი ხანდაზმულობის ჟამსაც იხსენებს: „დაანთებდნენ ბუხარში ცეცხლს...და დაგვსამდნენ ზედ. ირგვლივ შემოგვეხვეოდნენ ბიჭები და მოგვიყვებოდნენ ხოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგვწყინდებოდა, მაშინ გავშაირდებოდით ხოლმე ერთმანეთში ან გამოცანებს ვამბობდით“..20 „გამზრდელის“ ავტორის დიდი სურვილი იყო ხალხი, კერძოდ კი ახალგაზრდობა დაწაფებოდა ჯანსაღ ზეპირსიტყვიერებას, რადგან შეუმჩნევია მას, რომ ზოგიერთი მათ საკითხავად მდარე ხარისხის წიგნებს სთავაზობდა, ამის გამო 1876წ. გაზეთ „დროებაში“ (22 თებერვალი) წერდა: „ხალხმა გამოიღვიძა, იგი სულიერ საზრდოს მოითხოვს, მათში აღიძრა კითხვის სურვილი“.

აკაკი წერეთლის ყურადღების არეალში მოქცეულია სამეურნეო და სამკურნალო შელოცვები. ნადირის შემბორკავი შელოცვის ტექსტსა და მასთან დაკავშირებულ რიტუალს ვეცნობით „შესანიშნავი შემთხვევა ჯანაბეთში“. მწერალი ანიშნავს: „ვინ არ იცის, რომ ამაოდ მორწმუნება ჯანაბეთის ქვეყანაში უკიდურეს ხარისხამდეა მიწეწილი. ყოველ შემთხვევაში, ჭირში თუ ლხინში, სხვადასხვა შელოცვა-გამოლოცვები

აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ხოლმე. მიკვირს როგორ სჯერათ ჯანაბეთლებს ის შელოცვები, მაშინ როდესაც უმეტეს ნაწილს იმათგანში აზრიც არ მოეპოვება რა. მაგ: ავიღოთ „ნადირის პირის შეკვრის“ შელოცვა, როდესაც შინაური პირუტყვი დარჩება ღამე გარეთ, მაშინ მისი პატრონები, რომ ან ქურდმა არ წაიყვანოს და ან ნადირმა არ გააფუჭოს მათი საქონელი, მოიტანებენ ოთხფეხ სკამს, გადააბრუნებენ, შეუკრვენ ოთხივე ფეხებს მაგრად, ერთხედ სავარცხალას მიაკვრენ, მეორეხედ დგინს, მესამეხედ და მეოთხეხედ როდინის ქვას, ქვასანაყს და შულოცვენ შემდეგ.

**„ეკენია, ბეკენია, ბერსა ხატი ხვენებისა,
მეუფეო ჩამოაგდე ხიბორკალი რკინისაო,
ნადირს პირი შეუკარი
და მეკობრესა ხელ-მხარი
ნუ გაუშვებ გზაში, გადააგდე ზღვაში.
გაღმა გავალ მაზრასაო, პურს წავიჭამ, პრასასაო...
მგელი მოდის ველისაო, კბილები აქვს ვერცხლისაო,
თვალეები აქვს ცეცხლისაო, ღმერთო, შეჭკარ და შებორკე,
ძალა მიეც მერცხლისაო!“**

აკაკი დასძენს: „ამ შელოცვის შემდეგ საქონლის პატრონი სრული დარწმუნებულია, რომ მის პირუტყვს ქურდი ან მეკობრე, როგორც შელოცვაშია მოხსენიებული, ვეღარ წაიყვანს და მგელი ან სხვა ნადირი თუ მივიდა, ვერას ავნებს, რადგანაც კბილები შეკრული ექნება და მარტო საცოდავად ზუილის მეტს ვერას მოახერხებს, დილას კი ადრე ახსნიან სკამს და გამოულოცვენ, რადგანაც ჰფიქრობენ, რომ მანამ არ გამოულოცვენ, ზღვაში გემები გაჩერდებიან და დიდი ცოდვა იქნებაო. ამ ლოცვას ისე ენდობიან ჯანაბეთელები, რომ მათი წინააღმდეგ დაჯერება შეუძლებელია! ბევრი მათგანი ფიცით ამტკიცებს, რომ ჩემი თვალით მინახავს პირშეკრული მგელი, რომ გვერდში უდგა ცხვარს და საცოდავად ზუოდაო! ეს კიდევ არაფერი, რომ პირუტყვებზედ ეჯერათ, ახლა მთელი ჯანაბეთი დარწმუნებულია, რომ ამ ლოცვით კაცის პირის შეკვრაც შესაძლებელი ყოფილიყო“.

მწერალს ნადირის შემბორკავი შელოცვა და რიტუალი იმიტომ დასჭირდა, რომ ოლქის სასამართლოს ახალი ადვოკატი გაეკრიტიკებინა, რომელიც, თურმე საგანგებოდ ემზადებოდა პროცესისთვის, მაგრამ „მოულოდნელად შეეკრა კბილები და მოჰყვა ზუილს, არა თუ თავისი ვეღარა თქვა რა, და წერილიც ვეღარ ამოიკითხა. ეს მარცხი ჩვენ როგორც შევიტყვეთ შელოცვის ყოფილიყო“ ასკვნის აკაკი.

აკაკის ისტორიულ დრამაში „კუდურ-ხანუმ“ ნახირ-ფაშა ეკითხება ჯამალ-მოურავს კუდურ-ხანუმის შესახებ: „შელოცვაც იცის? ჯამალ მოურავი პასუხობს: თქვენი გულისთვის, რას არ იზამს ბატონო? რას! ყოველიფერს მოახერხებს მგელს კი არა ეშმაკს შეჭკრავს!“

შელოცვა „მკურნალობის“ ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახე იყო, თითქმის ყოველგვარ ავადმყოფობას თავისი შელოცვა ჰქონდა. უძველესი გაგებით დაავადებას იწვევდა უხილავი ძალა, რომელიც სხეულში დაუკითხავად ჩასახლდებოდა და განკურნება მაშინ მოხდებოდა, როცა ბოროტ სულს აიძულებდნენ მიეტოვებინა ორგანიზმი სიტყვის მაგიური ძალით. რიგით შემლოცველებთან ერთად არსებობდნენ ამ საქმის პროფესიონალები, სახელგანთქმული ოსტატები, რომლებიც ხშირად მკითხაობასა და ექიმბაშობასაც ითავსებდნენ.

აკაკი გადმოგვცემს: „სისხლ არეულ კაცს, რომ ტვინის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდება, მაშინ იმას ბევრი რამ ეჩვენება და ისეთ ნაირად აზოდებს, რომ არც ღვთის იყოს და არც კაცის! ჭირისუფლები ამგვარ სნეულს ხან მკურნალს მოჰგვრიან ხოლმე, რომ უწამლოს, ხან მღვდელს მოუწოდებენ, რომ ზეთი უკურთხოს და შელოცოს „შეშინებულისა“ და ხან მკითხავსაც კი დაუძახებენ ხოლმე, რომ „თვალნაცემის შელოცვინონ!“

კომედია „გაიძვერების“ მთავარ მოქმედ პირს ტუროვს მკითხავი ეუბნება: „მოდის შვილო, აიღე ხელში ლობიოს მარცვლები, სამჯერ უკუღმა მოტრიალდი, თვალეები დახუჭე და დაყარე ჩემს წინ! (ტუროვი ასრულებს მკითხავის სიტყვას) მკითხავი (დასჩერებია აქა-იქ დაბნეულ ლობიოს) უი! დამიდგეს თვალეები, რომ არა გამოდის რა! ჯადო მომეძალა..... აბა, ერთი შევულოცო ახლა მე. შემდეგ საბაროვი მიდის მასთან სამკითხაოდ. მკითხავი მოიტანს ხის ჭურჭელს, დაისხამს წყალს, ირგვლივ წმ. სანთლებს აანთებს, ჩააჩერდება და ულოცავს“.

საკმაო მკითხაობის შემდეგ ეუბნება ხაზაროვს: „ძალა მეკარგება“. მეორედ მოდი, მეორედ, ნაშუადამევს, ახლა კი...მეორედ იყვილა, მესამედ არ დამასწროს.შემდეგ აქრობს სანთლებს, წყალში უყოფს

თავებს. ახლა კი გზა მშვიდობისა! ჯამი პატრონსა, წყალი ცოდვილსა, ნავთი ემშაკს, ცეცხლი შენს სულსა, ალმური კუდიანებსა! (შეასხამს ჯამით წყალს).

ხალხის რწმენით არსებობს თვალისცემა, გაღალვა, რისთვისაც აუცილებელია შელოცვა „თვალნაცემისა“ და „სულთამბრძოლის“ შელოცვა მწერალს გამოყენებული აქვს ზღაპრული მოთხრობა „კუდაბზიკეთში“, იმ მიზნით, რომ სამარცხვინო ბოძზე გააკრას ის ადამიანები, რომლებსაც არჩევნებში გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ პირადი გამორჩენისთვის სურთ და არად აგდებენ ქვეყნის, საზოგადოების ინტერესებს, ურთიერთ ბრძოლა-ჭიდილში კი ქვეყანა თავზე ექცევათ. (როგორ ეხმაურება აკაკი დღევანდელობას, დღესაც ჩვენი ქვეყანა ასეთი პრობლემის წინაშე დგას).

მწერალი აღნიშნავს: „მაშინ კი ჩაფიქრდნენ, (ნაცარქექიები) ჩახვდნენ გონებაში და სთქვეს: ეს რა გვემართება? სწორედ გაღალული ვართ, თვალი გვკრეს და დაგვაჩაჩანაკესო! შემლოცველი უნდა სადმე მოვნახოთო! აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მოიყვანეს ერთი მკითხავი და გამოალოცვინეს „თვალყვისა-თვალნაკრავისა“.

ბებერმა სამჯერ პირჯვარი გამოისახა, სამჯერ თავი გააქნია, სამჯერ თვალეში მიაფურთხა ნაცარქექიებს, სული შეუბერა და მოჰყვა: ნაცარქექია, ქექია.. ეს რომ შეულოცა, თავზე ხატის ნაბადი გადაასხა ნაცარქექიებს, და რადგანაც ნაცარქექიები პირდაღებული შეჰყურებდნენ მკითხავს, წყალ-ნახევარზე მეტი პირში ჩაესხათ..მეტი მოუვიდა და კინაღამ დაიხრჩვენ.. აუვარდათ ხველა, ბებერმა ხელახლა გამოსახა პირჯვარი და „სულთამბრძოლის“ შელოცვა.

„ვისა და ქვეყნის შუამავალი, დედა მარიამ იჯდა სამოთხისა კარსა და ლოცულობდა .მოვიდა წმინდა გიორგი, თაყვანი სცა და მოახსენა: „დედაო ღვთისაო!“ მოვიარე ფეხდაფეხ შენი წილხვედრი, ვნახე დაცემული,დაფარდნილი, სადაც აღარცა ძველი ძველობს და არც რა ახალი!“

ატირდა დედა მარიამ და ცრემლი მისი მარგალიტად ეყრებოდა ქვეყანასა ზედა.მივიდა იესო და შეეკითხა:-„დედაო, რას სტირი და ვის იგლოვ? ცასა და ქვეყანასა?- „ესტირი ჩემ საწილო!- ვგლოვ ჩემ სადედოფლოსა, დღეს დაცემულსა, დავრდომილსა და შენგან დავიწყებულს, ხელაღებულსა!“ არა დედაო ჩემო, მე როგორ დავივიწყებ შენსა სადედოფლოსა? ხელს ვით ავიღებ შენს წილხვედრზედა?.. მხოლოდ გამოვსცდი იოზის განსაცდელითა, რომ უმეტესად გავჰკურნო და ავამაღლო! წყელმცა იყოს ეშმაკი მისდამი შეჩენილი და ფუ! მის ავის თვალთ შემყურესა!..გაიხარა მარიამ, შეწყვიტა ცრემლები და ღიმილი ტკბილი ქვეყნად ნათლად მოჰფინა ამინ!“

როცა კნეინა კვარკვალიტას გული შეუწუხდება, „მკითხავიც მოიყვანეს და ასე ამბობს: ეგ, ბატონო თვალნაკრავიო და თვალნაკრავის შელოცვის მეტი არა უნდა რაო და შელოცა შემდეგი სიტყვებით: „სულო გვამში ჩაუბრუნდი,

**“გულო ჩაჯექ ბუდეშიო
რომ გადააბრუნდ-გადმობრუნდეს
და მიეცეს ნუგეშიო...
ამ სენეულის კარგი თვალთ
დაიწყევლოს მნახელიო!
რა არის ამის წამალი?
შავი ძაღლის ნაღველიო.
შავი ძაღლი,თეთრი ძაღლი
ორივე ძაღლი მამაძაღლი!
სატკივარო , შენს კვერებსა
ამ ავადმყოფს ნუ მიახლი“**

თვალნაკრავი ადამიანი, ხალხის თვალსაზრისით, დაავადებულია, მოთენთილია, ჭამა-სმის მადა არა აქვს, იმიტომ რომ მდგომარეობიდან გამოვიდეს, საჭიროა შელოცვა.მწერალმა კარგად იცის ამ საკითხზე ხალხის რწმენა- წარმოდგენა: „ქალო, რატო მაგრე დაგკარგვიათ მადა? სხვას ხომ არას გააყოლეთ? ეგება მავნე შეგამინათ სადმე ტყეში და თვალნაკრავი ხართ? შეალოცვინეთ!“ ეუბნება წვეულებაზე ერთ-ერთი ქალბატონი ელიკოს.

შელოცვის საშუალებით შესაძლებელია შვილის ყოლა: ფარი-ხანუმი ეუბნება ვების: „მკითხავთან ვიყავი, შენთვის შევალოცვინე და ლოცვა, დაწერილი, თან წამოვიდე, რომ ღმერთმა ამ შოლე-ხანუმის ხელში ერთი კარგი ვაჟი მოგცეს.თუ ბეჭითად გინდა, რომ შელოცვამ გაჭრას, თქვენი მხრით ხელი შეუწყვეთო: ღარიბებს პური დაურიგეთ „ვებირის შვიდი თავის წონაო“.

შელოცვის მთავარი ატრიბუტებია: წყლიანი ჯამი, ხატის ნაბანი, ნახშირი, მარილი, ნავთი, შავტარიანი დანა, სავარცხელი, ქვასანაყი, სკამი, ძაფი, ლობიოს კაკალი, წმინდა სანთლები, შავი ძაღლის ნაღველი და სხვა.

შელოცვა შეიძლება თილისმებზეც: „ვინ არის ეგ ხილონი? ეკითხება მარკუსი ევნიკას .მკურნალია, ის ახლა სამოსახლოშია და თილისმებსა ჰყიდის მოახლეებზე, თან ულოცავს- პასუხობს იგი. - მამ კარგი, ჩვენც ვისარგებლებთ მისი შელოცვებით, დაუმახე აქ იმ ბრძენს „ საუბარში ჩაერთვება პეტრონიუსი.

გულის წადილილის ასრულება, ხალხის შეხედულებით, ორი ვირის გამხმარ თავზე შელოცვითაც შესაძლებელია. ვოდევილში „ ჩვენი ნაცარქექიები“ თათია არწმუნებს მუზამეს, რომ ჟურნალებზე ბევრი ხელისმომწერები რომ ჰყავდეს, ამისთვის შელოცვაა საჭირო: „წადი შვილო, ორი ვირის თავი იშოვნე გამხმარი, ერთმანეთზე მიაკარი, მერე მე მომიტანე, მე შევულოცავ ...

ხალხს ასევე სჯერა, რომ გამოლოცვის შემდეგ საჭიროა ავი, ბოროტი სულის განდევნა,გადალოცვა და თითქმის საითაც გადაულოცავენ, ყოველგვარი უბედურება იქით წავიდოდა.ისე როგორც შელოცვას, გადალოცვასაც ჰქონდა თავისი მაგიური ტექსტი და რიტუალი.“ შენ ის ჩემი შელოცვილი წაიღე და კლდის ძირში სადმე ჩაფალი და გულის წადილიც აგისრულდება“ - განაგრძობს თათია.

გახარებული მუზამე ამბობს: „ვნახეო, რას იზამს გადალოცვა, ეგება , მართლა ვირის თავებმა მიშველონ ვნახოთ ... იმედი კი მაქვს , მჯერა!“

ასევე კუდიანებისა, ეშმაკების, ალების, ავი სულების განდევნა, ხალხის ღრმა რწმენით, როგორც ზემოთმოყვანილმა მაგალითებმა გვიჩვენეს, მიფურთხებით და პირჯვრის გადაწერითაც შეიძლება.

აკაკი წერეთელი, როგორც ხალხის წიაღში მოტრიალე მწერალი შესანიშნავად იცნობს ფოლკლორის ამ ჟანრის და გარკვეული მიზანდასახულობით იყენებს თავის შემოქმედებაში. მაგიური ზეპირსიტყვიერების რკალში შედის დალოცვაც, რომელშიც ისევე როგორც ლოცვაში, ზებუნებრივი ძალისგან წყალობის გამოთხოვნა იგრძნობა, მაგრამ აქ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

„ლოცვა არის გონებითა ღვთისა მიმართ აღვსვლა ანუ თხოვნა ჯეროვანი ღვთისაგან“.ე.ი ამ შემთხვევაში პიროვნება უშუალოდ ღმერთს „მიმართავს“, დალოცვაში კი პიროვნება პიროვნებას უსურვებს ღვთის წყალობის გარდმოვლენას, სიკეთეს უფლის შემწეობით. აქ ზებუნებრივთან მიმართება არაპირდაპირია, იგი შეიძლება არც იხსენიებოდეს თუნდაც ყოველდღიური, ტრადიციული „გამარჯობა“ , მაგრამ აქაც აშკარად შეიმჩნევა ღვთაების გულის მოგების ტენდენცია სიტყვის ან სიტყვიერი ფორმულის მეშვეობით.

დროთა განმავლობაში ამ სიტყვიერმა ფორმულებმა მტკიცედ შეკრული სახე მიიღეს, მოკვეთილ ფრაზეზად და წინადადებებად ჩამოყალიბდნენ.ისინი ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ საუბარში, მტკიცედ არიან ჩაწნული ენის სტრიქონში და ხალხის მეტყველებას მიყურადებელი მწერალი მათ გვერდს ვერ აუვლის, ასეა აკაკი წერეთელთანაც .მის შემოქმედებაში ჩართულია დალოცვის 270-ზე მეტი ნიმუში.ისინი ამდიდრებენ, თავისებურ ელფერს მატებენ გმირთა მეტყველებას.

დალოცვის შესახებ აკაკი ამბობს : „ **ზავშვობაში ერთმა მთიელმა გლეხმა დამლოცა „გაგზარდოს და გაგადიდოს უფალმა ისე ,როგორც მალლიდან დაგორებული თოვლის გუნდა და ან „სოფლის ჭირიო“**

დალოცვის ნიმუშები აკაკის პოემებშიაც შეიმჩნევა და პროზაშიც მაგ: „**ღმერთმა მოგცეთს გამარჯვება! დაგვირგვინდეს თქვენი ძლევა!**“ „**ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ეუზნებოდა აღშფოთებით მოხუცი და რაღაც უცნაური მოწიწებით ყურს უგდებდა ორატორს“.**

„ქრისტემ გაკურთხოს შვილო! სიყვარულიც თქვენა გცოდნიათ და კაცებიც თქვენა ყოფილხართ! „ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ, ჩემო დიდო ხელმწიფეე ბატონო!“ აღნიშნულ მაგალითებში კარგად ჩანს დალოცვის თავდაპირველი ფუნქცია და დანიშნულება- სიტყვის მეოხებით ღვთაების გულის მოგება.

მწერლის შემოქმედებაში მეტწილად ადგილი აქვს ადამიანისგან ადამიანის დალოცვას და ზუნებრივია, იგი უმთავრესად დიალოგებში გამოყენება მაგ: „იმდენი წელიწადი თქვენ გასძელით, რამდენი ყანწი ცხონებულმა თინათინ გამდელმა ჩვენ გვაცინა! ეუზნება მოხუცი ადვოკატს „იმდენი ბედნიერება, მე რამდენი ღამე გამეტებოს შენზე ფიქრით“ მიმართავს მათიკო „ჟინის“ ავტორს.

დალოცვის ობიექტი ზოგჯერ თვით ღმერთია მაგ: „**დაილოცოს ძალთაძალი! დაილოცოს ღმერთო, შენი უცნაური განგება, დიდება შენს სახელს ღმერთო!**“

ხშირად დალოცვა მიმართულია სხვა რომელიმე საგნისადმი. მაგ:

**„გაუმარჯოს ქართველ დედებს!
ვაშა, ვაშა! მძლევალ ჯარსო!**

**დღეგრძელობა ბატონ მეფეს,
ქვეყნის თვალსა და ჯავრსო!**

„გაუმარჯოს თამარ მეფეს, იდიდოს საქ-ო! - გადასძახა ჯარს სარგის მხარგრძელმა და ჯარმაც გაიმეორა „გაუმარჯოს, იდიდოს და გამღერდესო! მრავალჟამიერო! სთქვა გამრეკელმა „

პოეტი ლექსში „თორმეტი ენკენისთვე“, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვნა, სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებს ასე ლოცავს: **„კურთხეულ იყოს ამიერიდან და საუკუნოდ სახსენებელი, ვინც რჯულს და მამულს შესწირა თავი და სისხლით მორწყო კრწანისის ველი !“**

აკაკის შემოქმედებაში გაბნეულ დალოცვას ხშირად აღმზრდელობითი მისია აკისრია. თუ მაგიური ზეპირსიტყვიერების ზოგი ჟანრი, ფუნქციის შევიწროება-მოშლასთან დაკავშირებით თანამედროვე ყოფაში უკანა პლანზე გადავიდა, დალოცვა გაცილებით სიცოცხლისუნარიანია. მან ახალი ესთეტიკური პლასტები შეიძინა, მოერგო ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებას.

ეროვნული ზეპირსიტყვიერების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა სულიერების ისეთი შთამბეჭდავი და უტყუარი წყარო, როგორც ფოლკლორია, ეთნოლოგია და ანთროპოლოგიაა, ოდითგანვე კოლექტიური შემოქმედის – ხალხისგან იქმნებოდა და ხალხშივე ვრცელდებოდა. მართალია, მის შექმნაშიც მონაწილეობდა ინდივიდი, ავტორმთქმელი, მაგრამ საბოლოოდ იგი ხალხის კოლექტიური შემოქმედის ემბაზში იხვეწებოდა, ხალხისავე ინტელექტუალურსა თუ ესთეტიკურს მოთხოვნას აკმაყოფილებდა და ამგვარად წარმოიჩინებოდა გარკვეული ჟანრისა, თუ გვარის სახით, „**რითაც ასე მდიდარია ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება**“, რომელიც კარგად აისახება *ეთნოლოგიურ, ანთროპოლოგიურ და ზეპირსიტყვიერების ქართულ პედაგოგიკურსა და მეთოდიკურ აზროვნებაში*.

ლიტერატურა:

1. ქეთევან ბარბაქაძე, ზეპირსიტყვიერების სწავლების საკითხები ქართულ პედაგოგიკურსა და მეთოდიკურ აზროვნებაში (XIX საუკუნის 60-იანი და XX საუკუნის 50-იანი წლები); დისერტაცია; 2016 წელი;
2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტილოგიის მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალები;
3. აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, თბილისი, 1990 წელი
4. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული **სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) XXV - მასალები; 2015 წელი**

რეზიუმე

საქართველოში, დემოკრატიულ მშენებლობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხალხის ერთიან ნებას, ურთიერთთანადგომასა და სულიერებას. ქართველი ხალხის სულიერი მესხიერება, რომელიც ზეპირსიტყვიერებაშია გამოხატული დაუშრეტელი პატრიოტიზმით, შრომის სიყვარულით, გამირობითა და თავდადებით, და, რაც მეტად საყურადღებოა, თანამედროვე თვალთახედვით ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი პატივისცემითა და სიყვარულით, უაღრესად მნიშვნელოვანია დღესაც.

ეროვნული ზეპირსიტყვიერების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა სულიერების ისეთი შთამბეჭდავი და უტყუარი წყარო, როგორც ფოლკლორია, ეთნოლოგია და ანთროპოლოგიაა, ოდითგანვე კოლექტიური შემოქმედის – ხალხისგან იქმნებოდა და ხალხშივე ვრცელდებოდა. მართალია, მის შექმნაშიც მონაწილეობდა ინდივიდი, ავტორმთქმელი, მაგრამ საბოლოოდ იგი ხალხის კოლექტიური შემოქმედის ემბაზში იხვეწებოდა, ხალხისავე ინტელექტუალურსა თუ ესთეტიკურს მოთხოვნას აკმაყოფილებდა და ამგვარად წარმოჩინდებოდა გარკვეული ჟანრისა, თუ გვარის სახით, „რითაც ასე მდიდარია ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება“., სადაც ჩანს ხალხის სულიერი ცხოვრება.

Ramaz Khatchapuridze - Akaki Tsereteli State University; Assistant Professor of Archaeology of Department of History and Archaeology

Reflection of Ethnological and anthropology folklore in Georgian Education and methodical thinking (XIX century 60yy)

Summary

In successful solution of the Social and national problems connected with the democracy construction in Georgia there is of particular importance is the unified will of the people, mutual support and spirituality. Spiritual memory of the Georgian people, which is expressed in folklore with inexhaustible patriotism, love of labor, heroism and dedication, and, what is most notable, in modern point of view with respect and love with national and universal values, what is extremely important today.

Cognitive and educational significance National folklore, spirituality is an impressive and reliable source, such as folklore, Ethnology and Anthropology, from time immemorial the collective Creator were created and spread by the people and among the people. It is true that the individual is involved in its creation, the author, but finally it was honed in the people's collective creator font. Was satisfied intellectual or aesthetic requirements of people and thus represented as certain genre, whether in the form of a genus." With it is so rich the Georgian Folklore "., Which shows people's spiritual life.

ინეზა გაბელაია - ტყიბულის მუნიციპალიტეტის, ორპირის საჯარო სკოლა
დავით შავიანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იდეოლოგიები, ნოვაციები და ქართული ეთნოკულტურა (ლექსუმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)¹

ნაშრომში განვიხილავთ ქართული საზოგადოებისგან უკვე განცდილ და მოსალოდნელ მოდერნიზაცია-ტრანსფორმაციის პრობლემას სასოფლო-აგარარული, სოციო-კულტურული, ეკონომიკური და სხვა საყოფაცხოვრებო-ყოფითი მაგალითებით.

ცნობილია, რომ მეოცე საუკუნეში „ქართული საზოგადოება ორჯერ დადგა მოდერნიზაციის წინაშე. პირველი ეს იყო საბჭოთა მოდერნიზაცია, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ტრადიციებს და ისინი გადმონაშთად მონათლა. თავსმოხვეული საბჭოთა მოდერნიზაციის შედეგი კი გახლდათ ის, რომ არაერთი ტრადიცია გაუკუღმართდა; მეორე ესაა თანამედროვე მოდერნიზაცია, რომელიც პირველისაგან განსხვავებით, პროგრესულობით ხასიათდება და ევროპული ღირებულების დანერგვას ითვალისწინებს“ (რ. თოფჩიშვილი, ევროპული ღირებულებებისა და ქართული ტრადიციების ურთიერთმიმართების პრობლემა).

თეზისი: პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული მდგრადობის დროს ერი გადაირჩენს „სულის საზრდო“ კულტურულ მემკვიდრეობას. მეტ-ნაკლები, ან მოჩვენებითი სტაბილურობა კი იწვევს ეთნიკურ ნიშანთა გადაგვარება-მივიწყებას. ქართული ეთნოსის აუცილებელი და გარდაუვალი მოდერნიზაციის, პროგრესულ ცვლილებათა მიღების გზაზე ზედმეტი გავლენისაგან დაცვის საფუძველი უცხო იდეოლოგიებისადმი, პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებისადმი შენი, ეროვნულ-ეთნიკურის საფუძველზე გათვლილი მიდგომა-დამოკიდებულებაა.

ეთნოგრაფიული მასალები: „ბაბუაჩემი საბჭოთა ეპოქის ტყვე იყო. უნდა დასჯერებოდა იმას, რასაც სხვა, სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელე ისურვებდა, მისცემდა და პრეტენზიაც არ უნდა გამოეთქვა. გატეხა ბაბუა უსისხლო ბრძოლამ, შენიღბულმა მეგობრობამ, ემინოდა, რომ მისი შვილი-შვილი ვერ შეინარჩუნებდა მყიფე ნიადაგზე დაყენებულ ქართულობას. ერს შეუქმნეს თავისუფლების ილუზია ტყვეობაში. შემდეგ ილუზიაც გაქრა და დაგვრჩა მწარე რეალობა: ჩამორთმეული ქონება, მუდამ ბრძოლის საგანი მშობლიური ენა, შერყენილი რწმენა, შეურაცხყოფილი ქართულეროვნულობა და ბარბაროსულად შერაცხული ტრადიციები, სიზარმაცე, წინწამოწეული -მე. იგივე ხდება ახლა სხვა საშუალებებით. გვათხოვნიან თავისუფლებას და გვავიწყდება, სხვისი უფლება, კანონმორჩილების აუცილებლობა. კანონი კიდევ შენ ეროვნულობას მორგებული უნდა იყოს. განა მნიშვნელობა აქვს რა გზებით დაგაკარგვინებენ, დაკარგავ შენსას?“ (მთხრობელი მ. ლურჯუმელიძე, ნასპერი, ივლისი, 2016); „ადრე სხვანაირი დრო იყო, გვზრდიდნენ ღირსეულებად, ქვეყნის და ერთმანეთის გვერდით მდგომად. დღეს, ქვეყნის და კაცის გაყიდვა, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნვა ჩვეულებრივი ამბავია, შენსას ამჯობინებ, ასაკს და სქესს აღარ არჩევ“ (მთხრობელი, ე. ბენდელიანი, ცაგერი, ივლისი, 2016).

შრომითი თანასწორობის, სამართლიანი დახმარების სურვილით გაჯერებული შეცვლილი და მივიწყებული ქცევის ნორმები: პრობლემად გვესახება გარემო-პირობების შესაბამისი, არსებობის გარანტი, თითქმის გამქრალი მეურნეობა. საქართველოს სხვა და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულისთვის დამახასიათებელი მეურნეობის დარგები; დღეს უკვე გარე ფაქტორებით, თავსმოხვევული იდეოლოგიებით, სხვათა მანამებლობით შეცვლილი ეთნოკულტურული მახასიათებლები, წეს-ჩვეულებები; ფსიქოლოგიურ-ქცევითი განწყობა და ტრადიციული ცხოვრების წესის ინდივიდუალური აღქმა: „სოფლებში ერთმანეთის დახმარება გადავიდა მოდიდან. ნადი ვქენი დღესო, ანუ მოვებმარეთო. ნადად ყოფნა, შეწევნის სურვილი იყო. კაი მეზობელს, ჩვენ ლუკმას ვემახდით ამიტომაც. დღეს რაღაცნაირად

¹ ეთნოგრაფიული მასალები, რომელზე დაყრდნობითაც განვიხილავთ გარდაუვალი და საჭირო მოდერნიზაციისთვის გასათვალისწინებელ, საბჭოთა პერიოდში მიღებულ გამოცდილებას, ჩავიწერეთ ნაკურალეში, აღვში, ღვირიში, უცხერში, ნასპერში, ცხუკუმერსა და ცაგერში

ჩავიკეტეთ. ხელის გაწვდენა რომ გინდოდეს, შიშობ, იქნებ და არ უნდა, ღირსების შელახვად ჩათვალოს?“ (მთხრობელი, ვ. ჩაკვეტაძე. ივლისი 2016).

მიგვაჩნია, რომ საჭიროა ავირჩიოთ განვითარების ბუნებრივი გზა, დავუფლოთ მენტალურ, ეკონომიკურ-ფინანსურ და სხვა შიდა სისტემური პრობლემების მოგვარების ნაციონალურ საფუძველზე (ეთნიკური თვითშეგნებით, ურთიერთობის ეთნოფსიქოლოგიურ თავისებურებებით, ეთნიკური ხასიათით, განურჩევლობის განწყობილებით, ჰუმანური ფასეულობებით გაჯერებული ორიენტაცია-მსოფლადქმა, ერთობის ბუნებრივ-საზოგადოებრივ-სოციალური ფაქტორების, ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობასა და სულიერ კულტურას შორის კავშირგათვალისწინებული - ხაზი ჩვენია) შექმნილ ინსტრუმენტს და არ გავაგრძელოთ საკუთარი ტრადიციების მოშლა. საზოგადოების მოდერნიზება არ უნდა ნიშნავდეს სხვათა, უცხოთა ინტერესის გათვალისწინებით, ნაკარნახევის საფუძველზე ერთეულთა ხელშეწყობით სახეცვლილი ცხოვრების წესის მიღებას.

ეთნოგრაფიული მასალები: „დღეს სახეზეა მდგომარებით, რელიგიური და ზოგადი რწმენით, წესით მცხოვრები კაცის სახეცვლილება, ტრადიციების დაცინვა, შეცვლა-დავიწყების ტენდენცია. ჟღერდება კითხვები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ესა, თუ ის რიტუალი. ხდება უარყოფა წეს-ჩვეულებებისა. მაგალითად: მეკვლეობის წესი; ნაკლებად სწამთ ფეხის დაპწნის რიტუალის; აღარ სრულდება ახალგაზრდა თაობაში სულის გადაბრძანება; მხოლოდ ძველები აცხობენ ხველის ტაბლას; თითქმის არსად საქართველოში აღარაა სათემო-საერო დღესასწაულები“; „ადამიანის გონება მიმართულია მატერიალისკენ, მარტივისკენ; შენი ეროვნულის შეუსაბამოს უცხო და ჩვენგან დამახინჯებულს რატომღაც ევროპულს ვეძახით. მსგავსი და სხვა უამრავი თემა ყოველთვის იყო, არის საქართველოში დაპირისპირების საფუძველი. ტრადიცია უნდა ჩანაცვლოს პროგრესულმა, უცხომ, მაგრამ არ უნდა გახდეს კულტი, ზოგადეროვნულ ფასეულობას უნდა სცე პატივი. დრომ მოიტანაო, მაგრამ დრო ხომ ჩვენ უნდა ვმართოთ? საკუთარ სისუსტეს არავინ აღიარებს, თან ყველა წუწუნებს დაჯერება აღარააო. კომუნისტობამ ის ქნა, რომ აღარ ჰქონდა კაცს, მაგალითად მიცვალებულისთვის წესის აგების, მისი სულისთვის ლოცვის სურვილი. პატიუბდნენ იმას, ვინც დასჭირდებოდათ, როცა მათ ეცალა მაშინ გაასვენებდნენ, დააქორწინებდნენ. ახლა უფრო წესიერების ფარგლებში ჯდება მიცვალებულის დასაფლავების დრო და წესი“ (მთხრობელები: ნ. არჩვაძე, მ. ლურჯუმელიძე, ა. გოლეტიანი, გ. უჩაძე, ნ. ქომეთიანი. ივლისი, 2016).

ჩვენი დამოკიდებულება: ვიზიარებთ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „თაობებს გადაცემული, დაუწერელი კანონის სახით მოქმედი მდგრადი ნორმები და პრინციპები“ უნივერსალურია, ეთნიკური კულტურის განმსაზღვრელია, პიროვნება-საზოგადოებას შორის კონფლიქტის მომწესრიგებელი, თვითმყოფადობის, თვითშეგნების მასაზრდოებელია (რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი, თეორიული ეთნოლოგია, 2010). ჩვენ მიერ დდასტურებული პრობლემის საფუძველად მიგვაჩნია: პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული არასტაბილურობა; ზოგადად რწმენის გარეშე ცხოვრება. რელიგიურ-ყოფითი პრობლემების მოუწესრიგებლობა; შეფუთული, არატრადიციული ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ინდივიდთაგან პიროვნულის საზოგადოებრივისთვის დამჯობინება.

ტრადიციისა და თანამედროვეობის შეუსაბამო მიმართების საკითხი შეილება განიხილო მოდერნიზებული საოჯახო ურთიერთობების მაგალითზე. **ეთნოგრაფიული მასალა:** „გეოგრაფია რასაც იძლეოდა, ყველაფრის მეურნეობა ჰქონდა ლეჩხუმელ კაცს, მაგალითად ჩვენგანვე ჩანაცვლებული პური ნაკლებშრომატევადი სიმინდით. საქონელი დანომრა ნიკიტან და ჩვენც აღარ ვიყენებდით საქონელს. მუშახელი იყო საჭირო დიდი მეურნეობისთვის. გოლეტიანების კუთხეში, სულ რამდენიმე ოჯახში ას თორმეტი ადამიანი იყო. გაუყოფელი ოჯახების საფუძველი შრომა იყო. მოვამეღვეინეთ ყველაფერი და აღარ გახდა საჭირო ერთად ცხოვრება“ (მთხრობელი, ანტ. გოლეტიანი, ნაკურალეში. ივლისი 2016).

დიდი ოჯახის დაშლის მიზეზად მეცნიერებაში აღნიშნული ფაქტორებთან ერთად მიგვაჩნია სამეურნეო-ეკონომიკური, შრომის ურთიერთობების განვითარება, შემოსავლების სხვაგვარად განაწილება, ცხოვრების არატრადიციული წესი, წინააღმდეგობის მარტივად დაძლევის, მიზნის მარტივად მიღწევის სურვილი, მიდგომა, რომ „მარტო ცხოვრება უკეთესია, რაც ცოტა აზრია ის ჯობია. სხვაზე დამოკიდებულება რატომ“?

სახეცვლილი რიტუალური ტრაპეზი. **ეთნოგრაფიული მასალა:** „ჩვენთან იტყვიან, ქორწილში ვიყავი, ქელეხში პური ვჭამეო, ანუ ქელეხად/ღრეობად იქცა ჭირის სუფრაც. იმატა ქართული სუფრისადმი ნი-ჰილიზმმა, რომ იგი არასდროს ყოფილა სიყვარულის და ურთიერთპატივისცემის დასტური, თითქოს

ტრაპეზი არ ამყარებდა ახლო ურთიერთობებს“; „სახეზეა არა გულდიაობა, არამედ უმრავლეს შემთხვევაში პირფერობა“; გახშირდა მიდგომა „სტუმარი მოვიდა მერე რა“; „მასპინძლობას დღეს არ განსაზღვრავს კმაყოფილება იმისა, რომ სტუმრის საშუალებით შენ უფლის ტრაპეზის წევრი ხდები, არამედ მასპინძლისგან იმიჯის შექმნა-შენარჩუნების სურვილი“; „წესად გახდა სადღეგრძელოს არმოსმენა, საკუთარის აზრის თანამოსუფრესთან მოურიდებლად გამოხატვა, ტრაპეზობის წევრთა ასაკის არშეზღუდვა“ (ელ. ბენდელიანი, ივლისი 2016).

ჩვენი აზრით ქართული სუფრა ტრადიციულისგან კომუნისტურ ეპოქაში განსხვავდა. სუფრის ტრადიციული წესების არგათვალისწინება, მისი შინაარსისა და ფორმის შეცვლის ნებითი, თუ უნებლიე სწარაფვა დღესაც სახეზეა.

არასწორად მიმდინარე მოდერნიზაციის პრობლემები ჩანს **ეტიკეტის** საკითხშიც. პრობლემის გამოსწორების მიზნით აუცილებელია ვასწავლოთ ეთნიკური თვითშეგნებით შექმნილი, სიყვარულის ენით გადმოცემული ქცევა-ეტიკეტის შესახებ, რომ იგი ადამიანს უქმნის კარგად ყოფნის მზაობას, რომ ეტიკეტის ცოდნა და მისი დაცვა ნებისმიერი ეთნოსის კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნების ერთი საფუძველია. **ეთნოგრაფიული მასალა:** „საოჯახო-ტრადიციული აღზრდით ნასწავლი მიმართვით რეგულირდებოდა მოწესრიგებული სოციალური ურთიერთობები. გამარჯობით სხვისთვის ზრუნვის უნარს გიზრდიდნენ. დღეს? მოისმენ გაუმარჯოს; ჰელოუ; დავაი და ა.შ. თუმცა პროგრესულობის სურვილი და ნაჩქარევობა საუკუნეებში გამომუშავებულ წესებს ვერ ჩაანაცვლებს. უნდა შეიცვალოს, მაგრამ შენი ეროვნულის შესაბამისით“ (მთხრობელი მ. ფუტყარაძე, ივლისი, 2016).

ვეთანხმებით მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ტრადიციების შეცვლა თითოეული ადამიანის და თუ გინდ ადამიანთა ჯგუფის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული, ცვლილება და გარდატეხა მხოლოდ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სათანადო განვითარების შედეგად ხდება“; რომ გამოგონილ მიუღებელ ტრადიციებთან ბრძოლას აზრი არა აქვს; რომ სოციუმებს შორის ნორმალური, მოწესრიგებული ურთიერთობებისთვის, მახინჯი ნოვაციების სწრაფად გაქრობისთვის აუცილებელია ეთნოლოგიური ცოდნის ფართოდ დანერგვა (რ. თოფჩიშვილი, ევროპული ღირებულებებისა და ქართული ტრადიციების ურთიერთმიმართების პრობლემა, **Error! Hyperlink reference not valid.**), თუმცა ღირებულებების პირდაპირმა დევნამ შედეგი გამოიღო და დღეს საზოგადოებისათვის ბევრი მიუღებელი ჩვევაა სახეზე. თუმცა გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება ფასეულობებით სავსე ნოვაციების უმაღლესი ღირებულების პრინციპზე დაფუძნებული ქართულის რესტავრირება-გადარჩენის საფუძვლად.

დასკვნა: მულტიკულტურალიზმისა და ტოლერანტობის საფუძველდადებული ქართული ეთნოსიკ თავის თანამედროვე ეპოქის პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების შესაბამისად ვითარდებოდა/ვითარდება, ან ჩამორჩებოდა/ჩამორჩება. ქართული ეთნოსის ტრადიცია და კულტურაც თავად საკუთარი სულის გამოძახილია, და მის ფორმირებაზე გავლენას მომავალშიც მოახდენს ისტორია, ეპოქა, გარე სამყაროსთან ნებსითი, თუ უნებლიე ურთიერთობები. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში, განსაკუთრებით მთაში შემონახული ეროვნული ტრადიციები უნდა შეიცვალოს, მივიღოთ ეპოქის მოთხოვნების შესაბამისი ნოვაცია, მაგრამ ისე, რომ პიროვნებათა ფსიქოლოგიის ცვლამ არ უნდა დააზარალოს მათი ეროვნული შინაარსი; ქართველური თვითშეგნებით, ეთნოფსიქოლოგიით განპირობებული ფუნქცია ნორმა-წესები; ქართულეთნიკური კულტურის ნაირსახეობის, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულების ლოკალური მახასიათებლები².

ამ გზაზე მიუღებლად მიგვაჩნია ყოველგვარი უცხოს ბრმად მიმდების როლში ყოფნა შემომთავაზებელთა ხათრი, თუ მინიშნების გათვალისწინება, სხვა და სხვა სახით შემოთავაზებულის საფუძველზე პიროვნული კეთილდღეობის გაუმჯობესების სურვილით გამოწვეული დაინტერესება.

² მაგალითისთვის შეადარე იაპონია და სამხრეთ კორეა. ამ ქვეყნებში ტრადიციის შენარჩუნებას ხელი არ შეუშლია მოდერნიზაციისთვის

ლიტერატურა

1. რ. თოფჩიშვილი, ევროპული ღირებულებებისა და ქართული ტრადიციების ურთიერთმიმართების პრობლემა http://georgie-europe2014.tsu.ge/french_geo/EVROPULI-GIREBULEBEBI-DA-IDENTOBA-geo.pdf
2. რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი, თეორიული ეთნოლოგია, 2010

რეზიუმე

ვერც ერთი ეთნოსი ვერ ახერხებს დაიცვას საკუთარი კულტურა სხვა ეთნოსის კულტურის გავლენისაგან. ერებს შორის საერთო ნიშნების გაჩენის საფუძველი კი უცხო იდეოლოგიები, პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორები და საკუთრივ შენი მიდგომა-დამოკიდებულებაა. მეტნაკლები, ან მოჩვენებითი პოლიტიკური სტაბილურობა და მძიმე ეკონომიკური ფაქტორები იწვევენ ეთნიკური წეს-ჩვეულებების გადაგვარება-მივიწყებას. პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული მდგრადობის დროს ერი გადაირჩენს „სულის საზრდო“ კულტურულ მემკვიდრეობას.

პრობლემად გვესახება: ეთნოკულტურული ურთიერთობების, სოციალური ჯგუფის მსოფლადქმის, აზროვნებასა და ცხოვრების წესში გადმოცემული ფსიქოლოგიურ-ქცევითი განწყობის, ისტორიული მეხსიერებისა და ტრადიციის ინდივიდუალურ-თავისებური აღქმა; გარემო-პირობების შესაბამისი თემის, ქვეყნის არსებობის გარანტი, თითქმის გამქრალი მეურნეობა; სახეცვლილი, მივიწყების პირას მისული ქართული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, რიტუალები...

მულტიკულტურალიზმისა და ტოლერანტობის საფუძველდადებული ქართული ეთნოსი ეპოქის პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების შესაბამისად ვითარდებოდა/ვითარდება, ან ჩამორჩებოდა/ჩამორჩება. ქართული ეთნოსის ტრადიცია-კულტურაზე მომავალშიც გავლენას მოახდენს ისტორია, ეპოქა, გარე სამყაროსთან ნებისითი, თუ უნებლიე ურთიერთობები. გააზრებულად მიღებული ნოვაცია საკუთარი ეროვნული ფასეულობების შენარჩუნების საფუძველად გამოგვადგება მაშინ, როცა ეპოქის მოთხოვნების შესაბამის უცხო ფასეულობა-ღირებულებებს ვაქცევთ ქართულის მოდერნიზების საფუძველად; როცა არ დაზარალებდა ეროვნულ-ქართველური თვითშეგნებით, ეთნოფსიქოლოგიით განპირობებული ნორმა-წესების შინაარსი.

საქართველოს უნდა განვაკითხოთ არა პირადი „მე“-ს და სხვათათვის სიამოვნების მინიჭების, ამასობაში საკუთარს გადარჩენის მიუღებელი ქმედებით, არამედ ქვეყნის, ქართულობის მსახურების იდეით.

Ideologies, innovations and Georgian Ethnic Culture (According to ethnographical materials of Letchkhumi)

No ethnic group is not able to protect their own culture from the influences of other ethnic culture. A ground for Emergence of common marks among the Nations are foreign ideologies, political and economic factors, and your own approach-dependence. More or less, or seeming political stability and severe economic factors cause Ethnic customs degenerate- oblivion. During Political cultural and economic stability nation will survive "soul's food at the proper" cultural heritage.

Problems that we face: Individual-specific perception of Ethno-cultural relations, world perception of social group, psychological and behavioral attitudes, set out in the way of life, historical memory and tradition. Relevant to environment conditions, the guarantee of the country's existence, almost disappeared farm; changed nearly forgotten Georgian traditions, customs, rituals...

The Georgian ethnos based on multi culture and tolerance, was developing/is developing, and was/is behind according to political and economic events of the era. On Georgian ethno tradition culture in the future will affect history, epoch, the outside world will or involuntary relationships. Judiciously taken innovation will help to maintain its own national values when the relevant foreign requirements of the era will be the base of Georgian modernity, when it will not be damaged norm-content rules caused by Georgian national consciousness, by the ethnic psychology.

ელისო კეთილაძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლების ფაკულტეტის, განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი

თამაშის როლი ბავშვის ფსიქოსოციალურ განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესში

თამაში ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის ერთერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია. კალიფორნია დევისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი ლინდა აკრედლო თვლის რომ, თამაში ბავშვს აძლევს საშუალებას შეისწავლოს მის ირგვლის არსებული სამყარო, ჩაატაროს ბავშური ექსპერიმენტები, შეისწავლოს საკუთარი შინაგანი ემოციური სამყარო და განავითაროს სოციალური უნარები.

მოზარდის განვითარების ყველა სტადიაზე სხვა და სხვა უნარების განვითარება საჭირო, შეგრძნების ყველა ორგანოთი მიღებული გამოცდილება, რომელიც განმეორებადია, შემეცნებისა და სწავლის საფუძველს წარმოადგენს და ის ჩვილობიდან იწყება.

თუ პიაჟეს თეორიას დავეყრდნობით სასურველია სასწავლო პროცესში როგორც სასწავლო მასალა ასევე თამაშებიც შერჩეულ იქნეს ბავშვის განვითარების ზედა ზღვარის გათვალისწინებით.

მოვიშველით ერიკ ერიქსონის განვითარების თეორია და ადამიანის განვითარების ასპექტების გათვალისწინებით დავადგინოთ მოზარდის განვითარების ზედა ზღვარი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენ შევძლებთ ვიპოვოთ რა ტიპის თამაში იქნება საგანმანათლებლო, დიდაქტიკური და განმავითარებელი მოზარდისთვის.

ერიკ ერიქსონის თეორიის მიხედვით განვითარების პირველი სტადია განიხილება, როგორც ნდობა-უნდობლობის პერიოდი და ის განისაზღვრება 0-დან 1 წლამდე ასაკით. ამ პერიოდში ჩვილის განვითარებისთვის ერთის მხრივ მნიშვნელოვანია დედობრივი მზრუნველობა და მეორეს მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სათამაშოს შერჩევას, იმისთვის რომ განვითარედეს სმენითი ვექტორი სასურველია შევარჩიოთ მუსიკალური სათამაშოები, რომლებიც სასიამოვნო მელოდიებს გამოსცემს და ჩვილის ყურადღებას იქცევს, მხედველობითი ფუნქციების განვითარებისთვის სასურველია შევარჩიოთ ფერადი სათამაშოები რომლებიც ფერთა დიფერენციაში მიეხმარება ჩვილს რაც ვიზუალური აღქმადობის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია, კინესთეტიური ფუნქციების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სათამაშოების მრავალგვარობა, სასურველია სათამაშოების მასალის სხვა და სხვაგვარობა, მაგ. რეზინის სათამაშოს, ე.წ. პლასტმასის სათამაშოთი ჩანაცვლება ჩვილისთვის ახალი შეგრძნებაა, ჩვენ ალბათ ყველას შეგვინიშნავს, რომ 10-11 თვის ჩვილი ისეთ ნივთებზე იწყებს თამაშს როგორცაა მაგალითად დომინოს ყუთი, თამაშის არსი კი დომინოს კენჭების ყუთში მოთავსება ან ყუთიდან ამოღებაში მდგომარეობს, ამგვარად ვითარდება ჩვილის უხეში და ნატიფი მოტორიკა, ახალ სათამაშოს ჩვილი ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით ეკიდება, რაც ხელს უწყობს კოგნიტური ფუნქციების განვითარებას.

განვითარების შემდგომი (მეორე) სტადია გულისხმობს ერთიდან სამ წლამდე პერიოდს, ერიკ ერიქსონი ამ სტადიას სხვაგვარად ავტონომია-დამოუკიდებლობის სტადიასაც უწოდებდა. ამ პერიოდში ბავშვი სწავლობს სიარულს, გადებს, დახურვას, სროლას, სიარულს და. ა. შ. ამ ასაკში მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ბავშვის ნებისყოფა, განუვითარდეს მოზარდს უხეში და ნატიფი მოტორიკა, შესაბამისად თამაშებიც შერჩეულ უნდა იქნას ამ უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, აღსანიშნავია რომ ეს პერიოდი ხასიათდება ეგოცენტრული თამაშიდან სოციალურ თამაშზე გადასვლის სირთულით. ეგოცენტრული თამაში გულისხმობს მოზარდის სათამაშოზე მიჯაჭვულობას, ის ცდილობს ითამაშოს მარტომ საკუთარი სათამაშოებით, უჭირს საკუთარი სათამაშოების განაწილება თანატოლებისთვის ორ წლამდე ამგვარი თამაში დომინირებს ბავშვის განვითარებაში, განვითარების მომდევნო პერიოდში ის თავად ეძებს სოციალურ ურთიერთობებს, რა დროსაც აქტუალური ხდება სოციალური თამაში, სოციალური თამაში ორიენტირებულია მოზარდის ვერბალურ, კოგნიტურ და ფიზიოლოგიურ განვითარებაზე. სოციალური ურთიერთობებისა და სოციალური თამაშის დახვეწის საუკეთესო საშუალებაა აღსაზრდელობის საბავშვო ბაღის სასწავლო პროცესში ჩართულობა. აქ ბავშვი სწავლობს არა მხოლოდ ახალ გარემოსთან ადაპტირებას, არამედ სოციალურ ურთიერთობებს, სათამაშოების განაწილებას თანატოლებისთვის, ამ ასაკში რეკომენდირებულია თამაშები რომლებიც ორიენტირებულია უხეში და ნატიფი მოტორიკის,

განვითარებისთვის. **განვიხილოთ მოტორული თამაში**, ანუ მოძრავი თამაშები, რომლებიც მიზანმიმართულად ვითარდება, მაგ. გადაგდება, მოქაჩვა, გაღება, დაკეტვა, ფურცლის დაქუცმაცება, დარტყმა, ჭრა, ხატვა. მოტორული თამაშების რიცხვს მიეკუთვნება შინაარსიანი თამაშები სადაც წამყვანი ადგილი მოძრაობას უჭირავს მაგ. დაჭერობანა, დახუჭობანა, წრეში ბურთი და ა. შ. ასეთი ტიპის თამაშები ავითარებენ მსხვილ და ნატიფ მოტორიკას ბავშვის გონება ორიენტირებულია საკუთარი სხეულის შესაძლებლობების გაცნობაზე.

დავუბრუნდეთ ერიქსონის განვითარების თეორიის სტადიებს, მესამე სტადია მოიცავს 3-დან 6 წლამდე ასაკს, ამ პერიოდს ერიქსონი ახასიათებს როგორც ავტონომიურობა-ინიციატივის სურვილის ასაკს. 4 წლიდან ბავშვებს საკუთარი თავის გამოცდის და სხვებთან შედარების სურვილი უჩნდებათ. ეს სწორედ ის ასაკია როდესაც მოზარდი ეგოცენტრული თამაშის ხანას ასრულებს და სოციალურ თამაშს იწყებს. მოძრაობა ადამიანის ერთერთი მთავარი მოთხოვნილებაა, ეს მოთხოვნილება არ უნდა შეიზღუდოს, რადგან ამ დროს ისინი არა მხოლოდ საკუთარ მოტორულ არამედ გონებრივ შესაძლებლობებსაც ავარჯიშებენ, 4-დან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებში რეკომენდირებულია ე.წ. ჯგუფური, კონსტრუქციული რეცეპტული და ექსპრესიული თამაშები.

ჯგუფური თამაშებს მიეკუთვნება ბურთით თამაშები, სამაგიდო (ლოტო, მემო) გამოცანები, თამაში ახვეული თვალებით. სოციალური კომპეტენციები თამაშით ისწავლება და ვარჯიშდება: ბავშვი სწავლობს პატივისცემას, მადლიერებას, თანაგრძნობას.

კონსტრუქციულ თამაშებს განსაკუთრებული მნიშვნელობა 5 წლიდან ენიჭება, ამ თამაშების რიცხვს მიეკუთვნება თამაში ფაზლით, კუბურებით რა დროსაც ვითარდება კონცენტრაცია და შემოქმედებითობა, კანონზომიერების, მიზეზ-შედეგობრიობის აღქმა.

რეცეპტულ და ექსპრესიული თამაშების არსი მდგომარეობს დასურათებული წიგნების დათვალიერებაში, ზღაპრების დახატვაში, მოსმენილი ზღაპრების თხრობით გადმოცემაში, როლურ თამაშებში. ამ თამაშების საორიენტაციო განვითარების სფეროს წარმოადგენს ვერბალური მარაგის გამდიდრება, სამეტყველო კომპეტენციის გაფართოება, ფანტაზიის უნარის გააქტიურება და ფანტაზიის საშუალებით ნაწახისა და გაგონილის გადმოცემა, რაც საერთო ჯამში ხელს უწყობს ბავშვის კოგნიტურ განვითარებას.

ზემოთხამოთვლილ თამაშებს ძირითადად დიდაქტიკური დატვირთვა აქვს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიამოვნების თამაშებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბავშვის განვითარების ზედა ზღვარის გააქტიურებაში.

სიამოვნების თამაშებს მიეკუთვნება ჭიდაობა, „სულელური“ ისტორიების მოგონება, „ჭყუმპალაობა“, სასაცილო სურათების დათვალიერება ან ხატვა, არარეალური სიტყვების ან რითმების მოგონება. ამგვარი თამაშები სოციალურ-ემოციური სფეროს, მეტყველების, მოძრაობის, რეაგირების უნარის განვითარებას უწყობს ხელს, ასევე ხელს უწყობს მოტივაციის აქტივირებას, საერთო ჯამში კი ასეთი თამაშები განვითარების ბევრ სფეროს მოიცავს. რაც ერთი შეხედვით თითქოს არ ჩანს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით მივხვდებით, რომ სწორედ ეს არის ის თამაშები, რომელშიც ბავშვები თავის თავს ავარჯიშებენ და უფრო ხშირად განვითარების ყველა სფეროს მოიცავენ.

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ თამაშებზე და მათ მნიშვნელობაზე სკოლამდელი ასაკის ბავშვის ცხოვრებაში და თითქოს ყურადღების მიღმა დაგვრჩა თამაშის ორგანიზატორი. ვინ შეიძლება იყოს ის? თამაშების ორგანიზება საბავშვო ბაღში ძირითადად აღმზრდელ-მასწავლებლის მიერ ხდება, მისი როლი უმნიშვნელოვანესია ბავშვის განვითარებაში, რადგან მასწავლებელმა უნდა შეძლოს სწორად გაანაწილოს ყურადღება მოზარდებზე, ჩაერთოს და ორგანიზება გაუწიოს თამაშს, აღსაზრდელებს მიეხმაროს თამაშის წესების დაცვაში, კონკურენციის დროს მოტივაციის ამღობვაში, ასწავლოს მათ ურთიერთპატივისცემა, თანადგომა და თანასწორობა, ეს ერთი შეხედვით მარტივი საქმიანობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღმზრდელობა სინამდვილეში დიდ პასუხისმგებლობას, ნებისყოფასა და საქმის უანგარო სიყვარულს მოითხოვს, ამდენად ბავშვის სასკოლო მზაობა მეტწილად დამოკიდებულია აღმზრდელ-მასწავლებლის უნარზე შეყვაროს სწავლა და მოამზადოს ბავშვი სასკოლო სწავლასთან ადაპტირებაში.

ადამიანის განვითარების მეოთხე სტადიას ერიკსონი შრომისმოყვარეობა-არასრულფასოვნებას უწოდებდა, ეს ხანა 6-დან 11 წლამდე ასაკს მოიცავს ანუ პერიოდს, როცა ბავშვი ახდენს ადაპტირებას ახალ სასწავლო გარემოსთან და იწყებს სასკოლო პროგრამის დაუფლებას.

თანამედროვე სასწავლო პროგრამები მდიდარია სახალისო თამაშებით, რომლებიც ეხმარებიან მოზარდს ახალი სასწავლო მასალის ათვისებაში, გარდა ამისა ინტერნეტში თქვენ შეგიძლიათ უამრავი ანიმაციური ფილმი იხილოთ რომელიც ახალისებს ბავშვს მაგ. ანბანის, მარტივი არითმეტიკული სავარჯიშოების შესწავლაში, მსგავსი ტიპის ვიდეო გაკვეთილებს სკოლის პედაგოგებიც ხშირად უჩვენებენ მოსწავლეებს გაკვეთილის მსვლელობისას. როგორც ერთი ერთქსონი აღნიშნავს, შრომისმოყვარეობის განვითარებას ხელს უშლის არასრულფასოვნების განცდა, შესაბამისად განვითარების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მოსწავლემ დაძლიოს არასრულფასოვნების განცდა, რათა ის განვითარების შემდგომ სტადიაზე არასრულფასოვნების კომპლექსად არ ჩამოყალიბდეს. განვიხილოთ თამაშები რომლებიც მოზარდს არასრულფასოვნების განცდის დაძლევაში ეხმარებიან, ამ კატეგორიის თამაშებს მიეკუთვნება ე.წ. გამოცანა თამაშები.

გამოცანა თამაშების არსი მდგომარეობს ზღაპრების გამოცნობაში, პერსონაჟების ამოცნობაში, რითმიან გამოცანებზე სწორი პასუხის გაცემაში. ეს თამაშები გარდა იმისა, რომ ავითარებს კოგნიციისა და მეტყველების უნარს ორიენტირებულია ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე, თითოეული სწორი პასუხი, რომელიც წახალისებული იქნება მასწავლებლის შექებით, მოსწავლეს თავდაჯერებულობას შემატებს, რაც ავტომატურად მიეხმარება ბავშვს არასრულფასოვნების განცდის დაძლევაში.

კვლავ ერთი ერთქსონის თეორიას დავებრუნდეთ და განვიხილოთ განვითარების მეხუთე სტადია რომელიც 12-დან 18 წლამდე ასაკს მოიცავს და რომელსაც ერთქსონი პიროვნების იდენტობა - როლების აღრევა ასე განმარტავდა. ამ სტადიაზე მოზარდი ცდილობს საკუთარ თავში გარკვევას და სვამს კითხვას – ვინ ვარ მე, როგორც შვილი, და, ძმა, მოცუკვავე, სპორტსმენი და ა. შ. განვითარების ამ ეტაპზე ყველაზე ოპტიმალური თამაში რომელიც შეიძლება მოზარდს შესთავაზო არის ე. წ. როლური თამაშები.

როლური თამაში ანუ სიმულაცია არის თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდი, იგი გულისხმობს სიტუაციის ხელოვნურად შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია. როლური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა, ამ დროს მოზარდები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები არიან. მათ საშუალება აქვთ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესსა და მასალის ათვისებას.

სხვა ადამიანის როლის თამაშით ბავშვები შეძლებენ ერთსა და იმავე პრობლემას, რამდენიმე განსხვავებული კუთხით შეხედონ, რაც მათ თვალსაწიერს განუვითარებს. როლი შესაძლოა განსხვავებული იყოს შემსრულებლის ხასიათისგან ან ძალიან ჰგავდეს მას. როლების გაცვლით შესაძლებელი ხდება მოზარდები ერთმანეთის გრძობებსა და ფიქრებს ჩასწვდნენ, რაც მათ გარდა იმისა, რომ ასწავლის ემპათიის, თანაგანცდის, ტოლერანტობის ემოციების ექსპრესიას, უვითარებს კრიტიკულ, შემოქმედებით, აზროვნებას, ეხმარება კომუნიკაციური უნარების განვითარებაში, აძლევს მათ საშუალებას იყვნენ საკუთარი შესაძლებლობების ობიექტური შემფასებელი, გადააფასონ საკუთარი უნარ-ჩვევები, ნაწილობრივ მაინც გასცენ ამ ასაკისთვის ჩვეულ კითხვას „ვინ ვარ“ პასუხი, ამგვარი თამაშები ზოგჯერ მოზარდს პროფესიის არჩევასა და საკუთარი თავის აღმოჩენაში ეხმარება.

ერთი ერთქსონის განვითარების თეორიის შემდგომი სტადიები მეექვსე სტადია (სიახლოვე, ინტიმურობა _სიმარტოვე, იზოლაცია) 18-დან 35 წლამდე ასაკს, მეშვიდე სტადია (ზრუნვა, გენერაციულობა-სტაგნაცია) 35-დან 64 წლამდე ასაკს, ხოლო მე-8 სტადია (ეგოს მთლიანობა-სასოწარკვეთილება) 65 წელს ზემოთ ასაკს მოიცავს, განვითარების ამ ეტაპებზე ადამიანები თანდათანობით შორდებიან თამაშის ასაკს, თუმცა თავისუფალ დროს ზოგჯერ უფროსებიც თამაშობენ მაგალითად ლოტოს ან ჭადრაკს, განსაკუთრებით აქტუალური თანამედროვეობაში კომპიუტერული თამაშებია, ზოგიერთმა შესაძლოა ტენისის კორტებსაც მიაშუროს, თუმცა მეტწილად განვითარების ბოლო სამი სტადიისათვის თამაში არააქტუალური ხდება. ზოგიერთი მკვლევარი თვლიდა, რომ თუ ადამიანმა თამაშის ხანა ვერ ამოწურა მოზარდობის პერიოდში, შესაძლოა მას ეს პერიოდი გაუხანგრძლივდეს, ასეთ ადამიანებს ინფანტილური სინდრომის მქონე ადამიანებად მოიხსენიებენ.

თამაში ბავშვს მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ამზადებს, თამაშის სხვა და სხვა ფორმები სხვა და სხვა ასაკისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ისინი მნიშვნელობას მთელი ცხოვრების განმავლობაში არ კარგვენ. ნებისმიერ ინფორმაციას, უფროსებიც კი უფრო ადვილად იღებენ, როცა ინფორმაციის მიღების პროცესში ყველა გრძობათა ორგანოა ჩართული. თამაშის სხვა და სხვა თეორიები (ფოგელი, პიაჟე, შტერნი, ბიულერი, ლაზარუსი) ხაზს უსვამენ თამაშის გარკვეულ ასპექტებს. მაგ: უფროსის როლის მორგება თამაშისას, ხალისით გარკვეული საქმიანობის კეთება, სტრესისგან

გათავისუფლების საშუალება და გამოუყენებელი ძალების გააქტიურება, თამაში როგორც ცხოვრების სარკე, ყველა ამ თეორიაში არის ჭეშმარიტების მარცვალი თამაშის შესახებ. ყველაზე კარგად თამაშის მნიშვნელობა მარია მონტესორმა აღწერა: დამეხმარე იმაში, რომ გავაკეთო მე თვითონ", იგულისხმება, რომ ბავშვმა თამაშით ყველაფერი შეიძლება შეიმეცნოს, თუ კი მას საკმარისი სივრცე, დრო, შესაბამისი საგნები და საჭირო დახმარება ექნება უფროსის მხრიდან.

დასასრულ გთავაზობთ რამდენიმე წესს რომელიც სასურველია ყველა უფროსმა გაითვალისწინოს:1)ბავშვები თამაშით სწავლობენ , ამიტომ ნუ გააუფასურებთ თამაშის მნიშვნელობას. ისინი თამაშით ისეთ უნარებს ივითარებენ, როგორცაა: შემეცნებითი უნარები, მათემატიკური ანგარიშის უნარი (მაგალითად ისეთი თამაშის დროს როდესაც სუპერმარკეტში სათამაშო ნაყინის ან შოკოლადის ყიდვას ცდილობენ), ფიზიკურ შესაძლებლობებს, მდიდრდება მათი ლექსიკა, სწავლობენ სოციალურ ურთიერთობებს, სწავლობენ წიგნიერების სიყვარულს. 2) თამაში ჯანმრთელობაა. თამაშით ბავშვი ჯანსაღი და ძლიერი იზრდება, მოტორული თამაშები ხელს უშლის სიმსუქნის განვითარებას. 3) თამაში სტრესის შემამცირებელი საშუალებაა, თამაშის დროს ბავშვი ემოციების ექსპრესიას ახერხებს, რაც ამცირებს შფოთვისა და აგრესიის დონეს. 4)თამაში გაცილებით მეტია ვიდრე ჩვენ აღვიქვამთ, რადგან ბავშვები სწავლობენ თამაშით, ეზოში აქტიური თამაში მათი ჯანმრთელობის გარანტია. 5) აუცილებლად გამონახეთ დრო ბავშვის თამაშისთვის ყოველ დღიურად, რადგან თამაში ეხმარება ბავშვს იყოს ორგანიზებული, ჯანმრთელი, კომუნიკაბელური, განუვითარდეს კოგნიტური უნარები. 6) თამაში და სწავლა მეგობრები არიან, ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი მთლიანობა. 7) თამაში ბავშვისთვის არის როგორც მეცნიერისთვის ლაბორატორია სადაც ის ახალ ახალ აღმოჩენებს აკეთებს. 8) თამაში სუფთა ჰაერზე. თამაში სანაპიროზე ქვიშით ან თოვლში ციგურებით არა მხოლოდ ბავშვის ჯანმრთელობის გარანტია, არამედ ამგვარი თამაშები მოზარდის სასიამოვნო მოგონებებში წარუშლელ კვალს ტოვებს. და ბოლოს ნუ დაგავიწყდებათ ერთი უკვე მოძველებული და საკმაოდ ბანალური ფრაზა „ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“. მიეცით ბავშვს უფლება ითამაშოს თავისუფლად და მოახერხოს საკუთარი ფანტაზიის რეალიზება.

ლიტერატურა

1. ერიკ ერიქსონი „განვითარების ფსიქოლოგია“
2. ჟან პიაჟე „კოგნიტური ფსიქოლოგია“
3. დიმიტრი უზნაძე „ზოგადი ფსიქოლოგია“
4. ლინდა აკრედოლო „სწავლა თამაშით“

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბავშვის განვითარების სტადიების შესაბამისად და მისი განვითარების ზედა ზღვარის გათვალისწინებით თამაშები, რომლებიც მოზარდის ფსიქოსოციალურ განვითარებას უწყობს ხელს, საუბარია თამაშის მნიშვნელობაზე, მის შინაარსსა და აუცილებლობაზე, თამაშის როგორც დიდაქტიკური მოვლენის დადებით და უარყოფით მხარეებზე. თამაში ბავშვს აძლევს საშუალებას შეისწავლოს მის ირგვლის არსებული სამყარო, ჩაატაროს ბავშური ექსპერიმენტები, შეისწავლოს საკუთარი შინაგანი ემოციური სამყარო და განავითაროს სოციალური უნარები.

Resume

The article is about meaning of play, games contents, and inevitability of playing and examines the stages of child`s development and foresee of child`s maximum skills, which helps kids for psycho social development. We are talking about a game , content, and the need as a didactic event. We are speaking about game positive and negative sides. The game allows the child to explore the world around him, childish conduct experiments, exploring their inner emotional world and develop social skills.

ირინა მყავანაძე - სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის ისრითის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

თავისუფალი გაკვეთილების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე წელია აქტიურად მიმდინარეობს. იგი მუდმივი ყურადღებისა და აქტიური განხილვის თემაა. მოგეხსენებათ, რომ ამ რეფორმის საყრდენს მასწავლებელი წარმოადგენს, რომელიც თავისი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი საქმიანობით ქვეყანას უზრდის მომავალ თაობას. რეალობა მუდმივად იცვლება და ახალ მოთხოვნებს გვიყენებს, რაც ჩვენგან ახალი პედაგოგიური მიდგომების ათვისებასა და საკუთარ პროფესიულ განათლებაზე მუდმივ ზრუნვას მოითხოვს.

დასამალი არ არის ის ფაქტი, რომ სკოლებში ახალგაზრდა მასწავლებლების ნაკლებობაა. მასწავლებელთა საშუალო ასაკი ხშირ შემთხვევაში სამოც წელს უახლოვდება. ძალიან ნელა, თითქმის ვერ ხერხდება პედაგოგიური კოლექტივის განახლება-გაახალგაზრდავება. ვფიქრობ, ეს მტკივნეული საკითხია და ის, ვინც დღეისათვის ახალგაზრდების აღზრდის საპასუხისმგებლო საქმეს ვემსახურებით, ვსაჭიროებთ უდიდეს ძალისხმევას იმისათვის, რომ გავეცნოთ ახალ მიდგომებს, თეორიებს, რაც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში გამოცდილია და დანერგული. მართალია, ის ბრმად არ უნდა გადმოვიღოთ, მაგრამ არც ის არის კარგი-საერთოდ უარი ვთქვათ სიახლეზე და „რა საჭიროას“ მომიზნებით თავი ავარიდოთ აუცილებელ და მნიშვნელოვან ცვლილებებს.

განათლების დარგის სპეციალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, განათლების განვითარებას ქმედით დახმარებას გაუწევს განათლების ფილოსოფია და ფსიქოლოგია.

მეოცე საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ ყოფილ საბჭოთა კავშირში განათლების ფილოსოფიის მიმართ ინტერესმა იკლო. ტერმინი „განათლების ფილოსოფია“ პირველად გამოიყენეს გერმანიაში, მეცხრამეტე საუკუნეში, ხოლო რუსეთში ვ.როზანოვმა 1899 წელს შემოიტანა იგი და მიუთითა ამ სფეროში კვლევა-ძიების ჩატარების აუცილებლობის შესახებ. ნებისმიერ პედაგოგიურ პრობლემას ფილოსოფიური ძირები აქვს, - პედაგოგიკა ფილოსოფიის წიაღში იშვა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში (პლატონი, არისტოტელე, სოკრატე, დემოკრიტე...) და შემდგომ ეპოქებში (კანტი, ჰეგელი). სწორედ ფილოსოფიური კანონებისა და კანონზომიერებების საფუძველზე მოხერხდა პედაგოგიკის თეორიის აღმოცენება და განვითარება. ამ მიმართულებით გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დაიწყო ნაწილობრივი გააქტიურება, თუმცა გამოქვეყნებულ ნაშრომთა უმრავლესობა დასავლეთში გამოცემული სტატიებისა და წიგნების კრიტიკას ეძღვნებოდა. ეს ტენდენცია თითქოს დღესაც გრძელდება, უნდობლად და კრიტიკულად ვუყურებთ გერმანელი, ამერიკელი თუ სხვა ქვეყნის ფილოსოფოსთა და მეცნიერთა პედაგოგიური კვლევის მეთოდებს.

ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნება აქტიური თანამშრომლობა ფილოსოფოსებსა და პედაგოგებს შორის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების ფილოსოფიური ექსპერტიზა, ამაზე ამერიკელი მეცნიერი დიუი საუბრობს. ვფიქრობ, ასეთი ექსპერტიზა დაგვეხმარება უკეთესი პროგრამები და სახელმძღვანელოები შევთავაზოთ სკოლებს. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მუდმივი ექსპერიმენტი დამაბნეველი და მოსაბუზრებელია, თანაც, თუ ექსპერიმენტის შედეგები არ აისახება რეალურად. მაგალითად, ზოგიერთი ჩვენი სახელმძღვანელო დიდი ხანია დასახვეწია, მაგრამ, რატომღაც ეს საკითხი წინ ვერ მიდის. ვასწალი ქართულ ენასა და ლიტერატურას საშუალო და საბაზო საფეხურზე, ფილოლოგები დიდი ხანია ვმსჯელობთ იმის შესახებ, რომ გრამატიკის საკითხები არასაკმარისად არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში, ეროვნული სასწავლო გეგმა კი ამ თემის საფუძვლიან შესწავლას ითვალისწინებს. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა და გაკვეთილების საერთო წლიური რაოდენობა არ იძლევა საშუალებას სათანადოდ იქნას შესწავლილი ენის საკითხები.

„განათლების ფილოსოფიის“ პრობლემათა კვლევა-ძიების თვალსაზრისით გარკვეული მცდელობები ჰქონდათ მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მოღვაწეებს (ს.დოდაშვილი, ი.ჭავჭავაძე, ი.გოგებაშვილი, ნ.ნიკოლაძე). ხოლო მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში სერიოზული შრომები შექმნეს დ.უზნაძემ, შ.ნუცუბიძემ და სხვებმა, მაგრამ ტოტალურმა სახელმწიფომ საბჭოთა პერიოდში ხელი შეუშალა ამ სფეროს ბუნებრივ განვითარებას.

დღეისათვის ჩვენი ქვეყანა აქტიურადაა ჩართული განათლების, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. დანტერესებულ და მაძიებელ მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ საჭირო ინფორმაციები როგორც ტრენინგების, ისე შესაბამისი ლიტერატურის მეშვეობით. სწრაფად ხელმისაწვდომია ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერი მეცნიერის ნაშრომის მოძიება და გაცნობა, რითაც მეოცე საუკუნის მასწავლებელი არ იყო განზვიადებული. აუცილებელია სხვა ქვეყნის პედაგოგების გამოცდილებები გავიზიაროთ და დავნერგოთ ჩვენს პრაქტიკაში.

სწავლა უნდა აიგოს არა გამზადებული გონებრივი საზრდოს მიწოდებაზე, არამედ შემოქმედებითობაზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კლასგარეშე საქმიანობას. მისასაღებელია განათლების სამინისტროს ინიციატივა სკოლებში „თავისუფალი გაკვეთილების“ ჩატარების შესახებ. ჩვენი სკოლა ოთხივე მიმართულებით (წიგნიერება, ხელოვნება, სპორტი, ინტელექტუალურ-შემეცნებითი) ჩაერთო. მე ვატარებ გაკვეთილებს ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებით. მოსწავლეებს მოსწონთ გაკვეთილები, თავად ირჩევენ თემას, არ ხდება მათი ნიშნით შეფასება და სახლშიც არ ეძლევათ დავალება. ისინი ხალისით და ინტერესით მონაწილეობენ ამ გაკვეთილებში. ეს მეცადინეობები არასაგაკვეთილო პერიოდში მიმდინარეობს. რადგან სკოლა ოთხივე მიმართულებითაა ჩართული და გაკვეთილები სამოცნუთიანია, ამიტომ მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი სამუშაოდ შაბათ დღეს შეიკრიბონ. ახალ ინფორმაციას ძალდატანებისა და სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით ადვილად ითვისებენ და იმახსოვრებენ. მართალია, აქამდე რამდენიმე პროექტზე ვიმუშავე, მაგრამ თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება არ მაქვს. ამიტომ ჩემთვისაც სიახლეა თითოეული გაკვეთილი, ვაკეთებ ჩანაწერებს, ვითვალისწინებ წინა გაკვეთილის შედეგებს. ვთანამშრომლობ ჩემი სკოლის პედაგოგებთან, ასევე ვიღებ რჩევებს მეგობრებიდან, რომლებიც თბილისის სხვადასხვა სკოლაში ასწავლიან და ანალოგიურ გაკვეთილებს ატარებენ.

ზოგიერთი მასწავლებლისათვის და ასევე მშობლისთვისაც მნიშვნელოვანია მოზარდს რაც შეიძლება მეტი დავალება მიეცეს. გვავიწყდება, რომ მეტისმეტად გადატვირთული სასწავლო პროგრამები და დავალებები იწვევს მოსწავლეთა დაბალ თვითშეფასებასა და დათრგუნვას, რის შედეგადაც მოზარდებს გული უცრუდებათ სწავლაზე. სასურველია, დავალებები იყოს კარგად გაგებულ, გააზრებულ მოსწავლის მიერ, ასეთ შემთხვევაში მას არ უძნელდება მისი შესრულება და შედეგიც სასურველი დგება. ამაში თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების დროს უფრო დავრწმუნდი.

მოსწავლისათვის აუცილებელია თვითრეალიზაცია. თუ იგი ვერ ახდენს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას, ნერვიულობს, ღიზიანდება, უქრება სწავლის სურვილი და მოტივაცია, ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა მასწავლებელი მოზარდს უყურადღებოდ ტოვებს ან უხეშად მიმართავს და ხშირად გამოთქვამს მის მიმართ უკმაყოფილებას. ასეთი შემთხვევების შედეგად მოზარდებს უჩნდებათ პროტესტი პედაგოგის მიმართ, კარგავენ ინტერესს საქმისადმი და ეწყებათ შიში, რაც ხშირად გაუგებარია იმ მასწავლებლისათვის, რომელიც „ტრადიციული“ მეთოდებისა და მიდგომების „ერთგულებით“ გამოირჩევიან.

პედაგოგის, ოჯახის, საზოგადოების მთავარი საზრუნავია მოსწავლის პიროვნების ჰარმონიული განვითარება, ჩემი აზრით, სწავლის, აღზრდის საქმეში ფსიქოლოგებმა, ფილოსოფოსებმა და პედაგოგებმა აუცილებელია ინტენსიურად ითანამშრომლონ რადგან, ფსიქოლოგები და ფილოსოფოსები სიღრმისეულად ეცნობიან ადამიანის ბუნებას და საჭირო და აუცილებელ რჩევებს გვთავაზობენ, რომლებიც გასათვალისწინებელია და ეტაპობრივად, თანმიმდევრულად უნდა მოხდეს ახალი და გონივრული მეთოდების დანერგვა სკოლებში.

ლიტერატურა

1. www.google.ge;
2. ნ.ჭყონია-„მრავალმხრივი განათლების შინაარსის თანამედროვე პრობლემები“, 2013 წელი. ბათუმი
3. ა. ასათიანი-„განათლების ფილოსოფიური პრობლემები“

რეზიუმე

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები მუდმივი განსჯის საგანია. განათლება მუდმივ განახლებას მოითხოვს. საბჭოთა პერიოდმა შეაფერხა მსოფლიოში არსებული სამენიერო-პედაგოგიური გამოცდილების გაცნობისა და ჩვენს ქვეყანაში დანერგვის შესაძლებლობა. დღეისათვის ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობა საბჭოთა სკოლაგამოვლილები ვართ, ამიტომ, ჩემი აზრით, აუცილებელია ეტაპობრივად და თანმიმდევრულად გავენოთ მსოფლიოში გამოცდილ და დანერგილ სიახლეებს, მეთოდებს და ჩვენც გამოვიყენოთ ისინი გაკვეთილებზე.

მისასალმებელია განათლების სამინისტროს ინიციატივები, მათ შორის ტრენინგებისა და „თავისუფალი გაკვეთილების“ ჩატარებასთან დაკავშირებით. ეს ხელს უწყობს ახალი მიდგომების დანერგვას სკოლებში. ამ კუთხით ჩვენი სკოლა აქტიურადაა ჩართული.

სასურველი და აუცილებელია ფსიქოლოგთა და პედაგოგთა თანამშრომლობა, რადგან ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები სიღრმისეულად ეცნობიან მოზარდების შინაგან სამყაროს, ასაკობრივ თავისებურებებს. პედაგოგის პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება ძალზე მნიშვნელოვანია და ერთობლივი ძალით უკეთ შეიძლება სასურველი შედეგების მიღწევა, სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დახვეწა, მოზარდი თაობის სურვილების, შესაძლებლობების, საჭიროებების გაგება და მათი დახმარება.

კარგად გააზრებული, გამოცდილი სასწავლო მეთოდები ეტაპობრივად და თანმიმდევრულად უნდა დაინერგოს. სიახლის სიუხვემ არ უნდა გაგვიტაცოს, ზომიერების დაცვა ყველგან აუცილებელია, მით უფრო განათლების სფეროში.

Irina Mzhavanadze - Vani municipality, Isriti Village Public School, senior teacher of Georgian language and literature

On Free Lessons

Summary

Educational reform is a subject of constant debates. Education requires a continuous updating. The Soviet period limited the possibility of learning the world's scientific-educational experience and its adoption in our country. Now, of course, it is possible. We, most school teachers grew up in a Soviet school, and therefore, in my opinion, step-by-step and gradually, we have to become aware of the innovations and methods adopted and used throughout the world, and use them during a class.

The initiatives of the Ministry of Education and Science, including the holding of trainings and "free lessons", are commendable. That facilitates the introduction of new approaches at schools. In this regard, our school is actively involved in these activities.

Cooperation between psychologists and teachers is desirable and necessary, because philosophers and psychologists are reaching deeply into inner world of young people and their age specificities. Practical and theoretical experience of teachers is of high importance, and in joining efforts, we can achieve the better results, improve school curricula and textbooks, understand the desires, abilities and needs of young people and help them.

The well-considered and tested teaching methods must be step-by-step and gradually adopted. We should not get carried away by the abundance of innovations, moderation is always necessary, especially in the field of education.

ხათუნა ბენდელიანი - ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის N 41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის უფროს მასწავლებელი

სწავლების ინდივიდუალური მიდგომები

სწავლება უნდა ეფუძნებოდეს როგორც განვითარების ასაკობრივ კანონზომიერებებს, ასევე ბავშვების ინდივიდუალურ თავისებურებებს. ერთი და იმავე ასაკობრივ ჯგუფში არიან ბავშვები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ბიოლოგიური, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების მახასიათებლებით

დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან მუშაობისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვების შემეცნებითი პროცესების თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია თავის ტვინის ჰემოსფეროების ფუნქციონირების თავისებურებებით. გამოიყოფა თავის ტვინის ჰემოსფეროების ფუნქციონირების სამი ტიპი:

- დომინანტური მარცხენა ჰემისფერო, რომელიც პასუხისმგებელია ლოგიკურ და ვერბალურ აზროვნებაზე, აბსტრაგირებაზე, განზოგადებაზე,
- დომინანტური მარჯვენა ჰემისფერო, რომელიც პასუხისმგებელია თვალსაჩინო-ხატოვან აზროვნებაზე.
- არ არის მკვეთრად გამოხატული რომელიმე ჰემისფეროს დომინირება.

მარჯვენა ჰემისფეროს მომწიფება უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ამიტომ მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ბავშვებთან 9-10 წლის ასაკამდე დომინანტურია მარჯვენა ჰემისფერო. ამ ფაქტის გათვალისწინებით, სწავლებისას არ უნდა მოხდეს მარცხენა ჰემისფეროს გადატვირთვა. ეს მიგვიყვანს ქრონიკულ ინტელექტუალურ სტრესთან. ხშირად ბავშვებში ნევროზის აღმოცენებას განაპირობებს სწავლების პროცესში „მარცხენა ჰემისფეროს“ გადატვირთვა. თუ ბავშვის მეტყველება არ არის გამართული ე.ი დომინანტურია მარჯვენა ჰემისფერო, ამიტომ სწავლების პროცესში მარცხენა ჰემისფეროს გადატვირთვამ შეიძლება გამოიწვიოს მეტყველების დარღვევა. ამიტომ მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე ინტელექტუალური აქტივობების ჩანაცვლება:

- დიდაქტიკური და როლური თამაშებით;
- სიმღერით;
- ხატვით;
- ფიზიკური აქტივობებით.

პედაგოგმა უნდა გავითვალისწინოთ, რომ გოგონებს უკეთ აქვთ გამოხატული ვერბალური უნარები. ბიჭებს კი უკეთ აქვთ განვითარებული სივრცითი აზროვნება. ისინი უკეთ ახერხებენ ძიებით აქტივობას, ახალი იდეების გენერირებას, ხოლო გოგონები ახალ იდეებს სრულყოფილ ფორმას აძლევენ. გოგონები უფრო მალე აღწევენ შრომისუნარიანობის პიკს, ვიდრე ბიჭები (ხშირია გაკვეთილზე მასწავლებელს არ უსმენენ). ბიჭებს უფრო დიდხანს შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება მათთვის საინტერესო საკითხზე, ვიდრე გოგონებს. ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილზე უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ დასმული ამოცანა შესრულდეს სხვადასხვა ხერხებით და საშუალებებით.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვების საკმაოდ დიდი ჯგუფის მემარცხენე ბავშვების თავისებურებებიც:

- არ შეიძლება გადავაჩვიოთ მემარცხენე ბავშვი მარცხენა ხელით წერას, ვინაიდან ეს გამოიწვევს მათ ნევროზოზიტაციას.
- მემარცხენეებს“ უჭირთ მკაცრი დღის რეჟიმის დაცვა.
- მათი სწავლებისას უნდა შემოვიდეს ბევრი ნათელი ფერები, ვიზუალური აღქმა და საირცითი აზროვნება.

- მემარცხენეებისათვის აუცილებელია ინიციატივის გამოვლენა.

მასალის უკეთ გასაგებად, მემარცხენეებს სხვა ბავშვებთან შედარებით, უფრო მეტად ესაჭიროებათ ნახატზე, საგანზე, სქემებზე დაყრდნობა. მათ უჭირთ დიდ ჯგუფებში და მკაცრ რეგლამენტირებულ პირობებში მუშაობა, ისინი უკეთ ასრულებენ ინდივიდუალურ სამუშაოს.

მოსწავლეებთან მასწავლებლის ურთიერთობის სტილი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის პიროვნების თავისებურებებს. საკმაოდ დიდია ისეთი ბავშვების რაოდენობა, ვინც განიცდის სირთულეს თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობაში. აქ შედის როგორც ჰიპერაქტიური, ასევე მორიდებული ბავშვები. ორივე ჯგუფის ბავშვები საჭიროებენ კეთილგანწყობასა და მოთმინებას მასწავლებლის მხრიდან.

ჰიპერაქტიულ ბავშვებთან უნდა გამოვიყენოთ ყურადღებისა და მეხსიერების განმავითარებელი სავარჯიშოები, ხელი შევუწყოთ ადეკვატურ თვითშეფასებას, სასწავლო მოტივაციის და თვითკონტროლის ფორმირებას. განსაკუთრებით ასეთ ბავშვებთან არ შეიძლება ავტორიტარული ურთიერთობის სტილის გამოყენება. შევეცადოთ არ ვიხმაროთ სიტყვები: „არა“, „არ შეიძლება“. ბავშვებთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ნდობას, გაგებას. თხოვნა, ინსტრუქტაჟი, მიმართვა უნდა წარმოვთქვათ მშვიდი ტონით და მრავალჯერ განმეორებით

ჰიპერაქტიურ ბავშვს სჯობს შევებოთ და ისე დავსვათ მის ადგილას, ვიდრე ათჯერ ვუთხრათ „დაჯექი“. საჭიროებენ მეტ მუშაობას ნატიფ მოტორიკაზე, ვინაიდან ამ ასაკში ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებაში მსხვილ მოტორიკას. ჰიპერაქტიური ბავშვისთვის კარგია თიხით, პლასტილინით მუშაობა და ყველა სახის ფიზიკური მუშაობა, მაგრამ არა სპორტი. იმიტომ რომ, მათთვის კარგია ფიზიკური აქტივობა და არა წესებიანი, შეჯიბრის სახის სპორტის სახეობა.

მორიდებულ ბავშვებთან კარგია მასწავლებლის მონაწილეობით ნებისმიერი მოძრავი თამაში. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამას რომ, მორიდებულმა, ნაკლებად აქტიურმა ბავშვმა ყოველთვის არ წააგოს. ამოსთვის მას ტაქტიანად უნდა დავებნაროთ. აღვნიშნოთ მისი წარმატებაც და რაც მთავარია, მორიდებული ბავშვი არ უნდა მოხვდეს წყვილში ძალიან აქტიურ ბავშვთან.

მასწავლებლის ამოცანაა ხელი შეუწყოს მორიდებული ბავშვის მხრიდან ყოველგვარ ინიციატივის გამოვლენას. მნიშვნელოვანია, ბავშვი მოვამზადოთ პასუხისთვის დავდგეთ მის გვერდით, წავაქეზოთ, შევაქოთ, აღვნიშნოთ მისი წარმატება და აქტივობა. თუ მასწავლებელი არ არის დარწმუნებული, რომ ბავშვი სწორ პასუხს გასცემს შეკითხვას, შეარჩიოს პასუხის მიღების რაიმე სხვა ფორმა (წერილობით ან „ყურში“ უთხრას), რათა არ მოხდეს მთელი კლასის წინაშე მისი შეცდომის დემონსტრირება.

ამ თავისებურებათა გათვალისწინებით სწავლების პროცესში უნდა განხორციელდეს მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. შეიძლება გამოვიყენოთ:

- მთელ კლასთან მუშაობა.
- ჯგუფური მუშაობა.
- ინდივიდუალური მუშაობა

მასწავლებლის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სწავლის საწყების პირველი დღეები და კვირები. უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი ბავშვის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა უყურადღებობა, მოუსვენრობა, ყურადღების გადახრადობა, იმპულსურობა არის ამ ასაკის ბავშვის ფსიქიკის ასაკობრივი თავისებურებები. ამიტომ მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით სკოლისადმი ადაპტაციის პერიოდში) არ მივცათ მოსწავლეებს მკაცრი შენიშვნები და ყურადღება გავამახვილოთ მოსწავლის პოზიტიურ აქტივობებზე:

- აღვნიშნოთ მოსწავლის ყოველი წარმატებული აქტივობა.
- აღვნიშნოთ მისი პიროვნების ძლიერი მხარეები.
- ვუთხრათ მოსწავლეს, რომ გვჯერა მათი.

სწავლებისას მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეს მისი ბუნებრივი ტემპით მუშაობის საშუალება. მივაწოდოთ თავდაპირველად მცირე მოცულობის სასწავლო მასალა და თანდათან გავზარდოთ. შევაფასოთ შესრულებული სამუშაოს ხარისხი და არა ოდენობა. უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული მოსწავლის ფსიქიკური პროცესების (ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება) განვითარების დონე. მასწავლებელი მასალა ისე მიაწოდოს მოსწავლეს, რომ იგი მისაწვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოსწავლეს ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობების აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს. აქცენტი არ უნდა გაკეთდეს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე, აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა.

ლიტერატურა

1. დ. უზნაძე/ ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. თბილისი 2005/
2. განვითარებისა და სწავლის თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრე /2010/
3. ეფექტური კომუნიკაცია - ნ. სუმბაძე, თ. მახარაძე-ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი 2010.

რეზიუმე

ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი. სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ჩართვას აქტივობაში. თუ ახალი აქტივობის მიმართ მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შევუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

Khatuna Bendeliani - The Primary Head Teacher

Resume

The development of the child is possible only in the process of activity. First of all the efficiency of the learning process means the creation of a positive attitude to learning, personality readiness will determine the pupil's involvement in the activity. If we create for pupils' a positive emotional approach to new activity, the result will be definitely positive.

რობერტ გოლეთიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

**ფილოსოფიური პრობლემატიკა არჩილ ჯორჯაძის შემოქმედებაში
(ზოგიერთი ასპექტი)**

ფილოსოფოსი, სოციოლოგი და სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის პირველი გიმნაზიის, რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და შვეიცარიის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული, „ცნობის ფურცლის“ მუდმივი თანამშრომელი და სარედაქციო კოლეგიის იყო არჩილ ჯორჯაძემ, დიდი შრომა გასწია საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დაფუძნებისათვის. ჯორჯაძემ თედო სახოკიამ, მიხაკო წერეთელმა და გიორგი დეკანოზიშვილმა მეოცე საუკუნის დასაწყისში (1903–1905) დაარსეს ჟურნალი „საქართველო“, რომელიც ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა.

ჯორჯაძემ პირველმა აიმაღლა ხმა ევროპაში, რომ საქართველო არ იყო რუსეთის რიგითი პროვინცია და იგი იბრძოდა თავისუფლების მოსაპოვებლად, იბრძოდა ავტონომიისათვის, რასაც უნდა მოჰყოლოდა დამოუკიდებლობა. მან შექმნა „საერთაშორისო ნიადაგის თეორია“, რომელიც მოუწოდებდა ერის ერთიანობისაკენ და უარყოფდა კლასობრივ დაპირისპირებას, იგი ილია ჭავჭავაძეზე იყო სრულად ამოზრდილი და მისი ღვაწლი იტვირთა გასატარებლად.

დიდ ყურადღებას იმსახურებს არჩილ ჯორჯაძის თხზულებები „სამშობლო და მამულიშვილობა“, „მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის“. მან შექმნა ფილოსოფიურ ნაწარმოებები „წერილები ისტორიის წისკვილიდან“, „ინდური ფილოსოფია“, „ტოლსტოის მსოფლმხედველობა“, მათში ავტორი ადამიანის არსებობის, მისი ყოფიერების საზრისის, ბედნიერებისა და ეთიკური საწყისის საკითხებს განიხილავდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების ძველისძველი ტრადიციების გამოცოცხლება და აღორძინება არჩილ ჯორჯაძის სახელთან არის დაკავშირებული. თავისებურება, რომლითაც გამოირჩევა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მასში აისახება, რომ იგი აშკარად გამოირჩევა თანამედროვე პუბლიცისტების და ლიტერატორებისაგან, იგი პროფესიულ დონემდე ფილოსოფიურად განსწავლული პიროვნებაა, რაც არა მხოლოდ ფილოსოფიურ ნაშრომებში ჩანს, არამედ მის ნებისმიერ პუბლიკაციაში ნათლად იგრძნობა. ჯორჯაძე ეძებს პასუხებს ყველა საჭირობო კითხვაზე, რაც ცხოვრებამ დააყენა ჭეშმარიტ მამულიშვილთა წინაშე, რასაც უნდა განესაზღვრა ქართველი კაცის, ქართული ერის, ქართული კულტურის სამომავლო ორიენტირი.

წარმოვაჩინეთ რა მე-19–მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე ქართული ფილოსოფიური აზროვნების დონესა და პოტენციალს, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ იმის მიხედვით, იდგა თუ არა ქართველი ფილოსოფიური აზრი თავისი პრობლემატიკით იმ ეპოქის მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების დონეზე, რამდენადაა მასში განხორციელებული ევროპული ფილოსოფიური აზროვნების პრობლემატიკა და ტენდენციები.

დასაბუთებულია, რომ არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიურ აზროვნებას ძირითადად ორი წყარო ასაზრდოებდა. ეს იყო ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიული ტრადიცია და მისი თანადროული ევროპული ფილოსოფია (იგი არანაკლებ კარგად იყო გარკვეული აღმოსავლურ ფილოსოფიაში). ვფიქრობთ ისიც ყურადღებასსაკცევია, რომ ჯორჯაძე ცდილობს ფილოსოფიური კატეგორიებით იაზროვნოს და ფილოსოფიურად გაანალიზოს საზოგადოებრივი მოვლენების ურთიერთმიმართება. მისმა ფილოსოფიურმა შეხედულებებმა ვერ მიაღწიეს ფილოსოფიურ-თეორიული ცოდნის დონეს, როცა სამყაროს შესახებ ფილოსოფიური ცოდნა რამდენადმე დასრულებულ სისტემურ ხასიათს იღებს, თუმცა ვიდრე მოაზროვნეს სამყაროს შესახებ სისტემური ცოდნა არ ჩამოყალიბებია, საქმე გვაქვს ძიებასთან. მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა თავისი არსით ოპტიმისტურია.

არჩილ ჯორჯაძეს, როგორც ოპტიმისტ პიროვნებას, ფილოსოფიურად უნდა გაეაზრებინა თუ რით დაპირისპირებოდა მის ირგვლივ გამეფებულ ბოროტებას, რა ეკეთებია, რისი იმედით ეკეთებია, ეს კი მისი აზრით თავისუფლება იყო, რადგან სწორედ თავისუფლებაა ის ფუნდამენტურ-არსობრივი საფუძველი, რომლის რეალიზაციითაც შესაძლებელი ხდება ადამიანში სულიერის აღდგენა-განმტკიცება, მაღალი ღირებულებების დამკვიდრება.

ჯორჯაძის აზრით აუცილებლად საჭიროა იმ ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციულობის აღდგენა საქართველოში, რომლითაც ერთ დროს მდიდარი ვიყავით, რასაც მოწყვეტილნი ვართ, იგი

სამართლიანად სვამს კითხვას, მაშინ როდესაც ადრეულ საუკუნეებში გვყავდნენ ეროვნულ ნიადაგზე მდგარი ფილოსოფოსები, რომლებიც მნიშვნელოვანი პრობლემებით იყვნენ დაინტერესებულნი, გვქონდა თუ არა ქართველებს უფლება ხელი აგველო საკაცობრიო ფილოსოფიური პრობლემების კვლევაზე. დასძენს, რომ ქართველმა ნეოპლატონიკოსებმა დიდი გავლენა მოახდინეს საერთოდ „ფილოსოფიური აზრის მსვლელობაზე“, მაშ რატომ გაწყდა კავშირი ჩვენს ძველ კულტურასთან? (2. გვ.–139–141).

არჩილ ჯორჯაძე საქართველოში ფილოსოფიური პრობლემების კვლევის ორგანულად უკავშირებს ქართველთა ეროვნული თვითშეგნების საშვილიშვილო საქმეს, რასაც აძლიერებდა მოწოდებით „წევრი ვართ დიდი საზოგადოებისა“, „არა გვაქვს უფლება მოვწყდეთ მსოფლიო აზროვნების ცხოვრებას“. (2. – გვ.–5). მას კარგად აქვს გათავისებული განყენებული ფილოსოფიური აზროვნების მნიშვნელობა, რაშიდაც ეთანხმება ჰეგელს და თანაც მთლიანად, თუმცა შეგნებული აქვს, რომ ყოველ კულტურაში ფილოსოფია მაშინ ჩნდება, როდესაც მოცემული კულტურა აღწევს სიმაღლეს.

გასააზრებელია არჩილ ჯორჯაძის შემეცნების თეორიის პრიმატი მის ფილოსოფიაში, რაც განპირობებული იყო იმდროინდელი დასავლური ფილოსოფიის აზროვნების ტენდენციებით. პირველრიგში საყურადღებო მომენტია ის, რომ ა.ჯორჯაძის მოღვაწეობის დაწყება (მე-20 ს. დასაწყისი) დაემთხვა ევროპული ფილოსოფიური აზროვნების უმთავრეს საგანს – შემეცნების რაობის ანალიზს, რაზედაც დიდი ზეგავლენა იქონია ჰეგელის პანლოგისტურმა სისტემამ, რამაც გააძლიერა ეჭვი ონტოლოგიურ პრობლემატიკაზე.

ა. ჯორჯაძის მიერ გნოსეოლოგიური პრობლემის დამუშავებისას მკაფიოდ იგრძნობა ი. კანტის გავლენა პიროვნებაზე. იგი მრავალჯერ მიუთითებს კანტის მნიშვნელობაზე შემეცნების თეორიის კარდინალური საკითხების გადაწყვეტისას და გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას: შეუძლია თუ არა შემეცნებელ სუბიექტს იმ ყოფიერების არსებითი განზომილების წვდომა, რომელიც მას არ შეუქმნია და რომელიც მისგან დამოუკიდებლად არსებობს?. როდესაც საგნები შემეცნებელ სუბიექტს ურთიერთმიმართებაში ეძლევა, სად შეიძლება ურთიერთმიმართების წყაროს ძებნა – შესამეცნებელ საგნებში თუ შემეცნებელ სუბიექტში?, მისი მტკიცებით წყარო შემეცნებელ სუბიექტშია საძიებელი და არა თვით საგნებში. არც ჩვენი ცოდნა, არც ამ ცოდნის საგანი არ სცილდება მოვლენათა სამფლობელოს, რომელსაც ჩვენს გონებაში რიგი და წყობა შემოაქვს, რაც ერთმანეთთან დაკავშირებისას ჩვენი გონების მიერ აუცილებელ კანონს ექვემდებარება. „ყოველ მოვლენას ვაკავშირებთ მეორე მოვლენასთან, მეორეს მესამესთან და მთელი მოვლენათა სამყარო ჯაჭვით არის გადაბმული და ეს ერთმანეთთან დამოკიდებულება აუცილებელი დამოკიდებულებაა, რადგან სხვადასხვანაირად ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია მოვლენათა არსებობა“ (2 გვ.124) სხვადასხვა მოვლენათა ერთმანეთთან დაკავშირება ჯორჯაძის აზრით არის მიზეზობრიობა.

ადამიანის გონება ერთმანეთს აკავშირებს საგნად დასახულ მოვლენებს: „იგი ემყარება მიზეზის კანონს და ამ კანონს აქვს აუცილებლობის ხასიათი, ხოლო მიზეზის კანონიც და აუცილებლობაც ობიექტურად კი არ არსებობს, არამედ იგია ის პირობა, ურომლისოდაც საგნის ცოდნა შეუძლებელია“ (2.გვ.–124).

ა.ჯორჯაძის მტკიცებით, მეცნიერება საალბათო ცოდნას იძლევა, მისი კომპეტენცია ისაზღვრება იმ მოვლენათა ცოდნით, რომელიც დროსა და სივრცეში მიმდინარეობს და რომელიც ეკავშირებიან ერთმანეთს მიზეზობრიობის კავშირით. მისი მტკიცებით ფილოსოფიამ რომ პასუხი გასცეს კითხვებს „საიდან“ და „სად“, სად არსებობს სიცოცხლე თუ ბუნება, მან პრინციპულად უნდა შეცვალოს ცოდნის თეორია და დაამტკიცოს, რომ მეცნიერებას საქმე აქვს არა მოვლენებთან, არამედ თვით თავისთავად არსებულ მიმართულებებთან. იგი წერს, რომ „დღემდე შემუშავებულია განსაზღვრული ბუნების თეორია და მან უნდა დაამტკიცოს, რომ მეცნიერებას საქმე აქვს არა მოვლენებთან, არამედ თვით თავისთავად არსებულ მიმართულებებთან, მისი აზრით „დღემდე შემუშავებულია განსაზღვრული ბუნების თეორია შემეცნებისა. ვინც მას არ იყენებს სხვა თეორია უნდა წამოაყენოს, და თუ არ წამოაყენა, თავის მსჯელობას მსოფმხედველობის სახელით ნათლავს, იგი ღალატობს იმ პირობებს, რომელთა წყალობით შესაძლებელია მსჯელობა“ (2.გვ.162).

იმ გნოსეოლოგიურ შეხედულებას, რომლებსაც ჯორჯაძე გვთავაზობს ჩვეულებრივ ემპირისტულად ორიენტირებულ ფილოსოფიას, სახელდობრ, პოზიტივიზმს უკავშირდება. იგი აკრიტიკებს მეტაფიზიკას, თუმცა დასადგენი მას რამდენად პოზიტივისტურად ესმოდა ფაქტი.

ა.ჯორჯაძის გნოსეოლოგიური შეხედულებანი კანტის თეორიული ფილოსოფიის გავლენას ნამდვილად განიცდის, მაგრამ იგი სცილდება კანტის შეხედულებებს და სიცოცხლის ფილოსოფიის

წარმომადგენლებისაკენ იხრება. მის შესახებ არსებობს აზრი, რომ ჯორჯაძე ხან პოზიტივისტად, ხან ნეოკანტიანელად, ხანაც აგნოსტიკოსად მიიჩნევენ რაც არასწორია.

საინტერესოა „მეტაფიზიკის“ და „მეტაფიზიკურს“ ტერმინებისადმი ა.ჯორჯაძის დამოკიდებულება, მეტაფიზიკას ა.ჯორჯაძე ძირითადად პოზიტივისტური აზრით მოიხმარს. ამ ტერმინით იგი ცალმხრივ, მთლიანობის რომელიმე მომენტის გამაბსოლუტურებელ მოძღვრებას გულისხმობს და მას მოიხმარს ჰეგელის მსგავსად, ესე იგი როგორც დიალექტიკის საპირისპიროს. დასტურად გამოდგება მსჯელობა. „ორივე მოძღვრება მეტაფიზიკური მოძღვრებაა, რადგან ერთის საგანი აბსოლუტური სუბიექტივიზმია, ხოლო მეორეს – აბსოლუტური ობიექტივიზმი, პირველი უარყოფს ცხოვრებასა და ბუნებას, მეორე – ადამიანს, თავისი გონებითურთ, ურომლისოდაც არაფერი შეგნება არ ძალგვიძს“. (3. გვ–124).

ჯორჯაძის ნააზრევში დაფიქრებას იმსახურებს სიცოცხლის არსის ფილოსოფიური ანალიზი რაც ბიოლოგიაში გავრცელებულ შეხედულებად იყო დამკვიდრებული მე–20 საუკუნის დასაწყიაში, რასაც იგი კრიტიკულად წარმოადგენს და დასძენს: „ვეროპულ ქიმიურ ლაბორატორიებში ბეჯითი მუშაობა მიდის იმ დარგში, რომელმაც უნდა აღმოაჩინოს და გამოაშკარავოს სიცოცხლის გაჩენის პრობლემა. ცდილობენ ქიმიურად მოამზადონ სადა არსება, რომელსაც ადამიანური ნიშნები ექნება... მეცნიერული თავმდაბლობა და რწმუნება, ვითომ მას არ აინტერესებს ის თუ როგორ ჩნდება სიცოცხლე, არამედ მარტოდენ ფაქტი სიცოცხლისა, ეს რწმუნება მოკლებულია გულწრფელობას“. (2.გვ–143–144).

სიცოცხლის არსისა და საზრისის გარკვევის საქმეში ჯორჯაძის მიერ უარყოფილია სიცოცხლის საბუნებისმეტყველო ახსნის მეთოდი. მეცნიერთა დასკვნებით იგი მიდის იმ წერტილამდე, რომ რაციონალისტური მეთოდებით, ანალიზითა და სინთეზით არ აიხსნება სიცოცხლის რაობა და მისი საზრისი, რომ მასში არის რაღაც ირაციონალური, რომლის რაციონალიზაცია შეუძლებელია. მისი აზრით კითხვაზე, თუ რა არის ადამიანის სიცოცხლის მიზანი, არც მეცნიერებას აღმოაჩნდა პასუხი, არც რელიგიას და არც დღემდე არსებულ ფილოსოფიურ თეორიებს, რომლებიც მეტაფიზიკას მისდევენ, მისი მტკიცებით ამ რეალობამ განაპირობა მსოფლიო სევდის წარმოქმნა, რომელიც იქცა თანამედროვე ფილოსოფიისა და პოეზიის მქონე ძალად.

არჩილ ჯორჯაძე თავის ნააზრევში ძირეულად ანალიზებს ადამიანური ყოფიერების არსს და დასძენს „ტრაგიზმი ადამიანის სიცოცხლის უტყუარი ფაქტია“. სიცოცხლის წყურვილს სიცოცხლე ვერ აკმაყოფილებს, სინამდვილე ღალატობს ადამიანსო. იგი განიხილავს ტრაგიზმის საფუძველს და მისი დახასიათებით ადამიანი სხვა არსებათა მსგავსად უბრალოდ კი არ დგას სიკვდილ–სიცოცხლის მიჯნაზე, არამედ მის ხვედრსაც აცნობიერებს, ამ გაცნობიერებისაც თავისი სპეციფიკა აქვს. ადამიანისათვის უცნობია საიდან მოდის, საით მიემართება.

ადამიანი მართლაც მატერიალურია, მისი აზრით ფიზიკური სინამდვილის ნაწილია, მაგრამ მის ფიზიკურ სინამდვილეზე დაყვანა შეუძლებელია, რადგან მასში ფიზიკურზე დაუყვანადი ელემენტია, კერძოდ „ფსიხიური“, რაც მასთან არ მოიაზრება ფსიქიკურად, არამედ ადამიანი იდეალურია, შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა ფორმას – ფილოსოფიას, რელიგიას, ხელოვნებას მიმართავს და მათ პრინციპებზე აკეთებს აპელირებას.

ირაციონალური საწყისის შესაფასებლად ცალკე სამსჯელოა ა.ჯორჯაძის თვალსაზრისი. იგი გთავაზობს არა აბსოლუტურ კრიტერიუმს, ე.ი. ისეთ კრიტერიუმს რომელიც ამ საწყისს პოზიტიურად დაახასიათებდა, არამედ მხოლოდ ისტორიულ კრიტერიუმს, რაც გულისხმობს აღწეროს ის და განიხილოს თუ როგორ განიცდებოდა ირაციონალური საწყისი ამა თუ იმ ეპოქაში ამა თუ იმ პიროვნების მიერ.

არჩილ ჯორჯაძის აზრით, ადამიანის დგომა სასრულობის საიდუმლოს წინაშე მას არ აქცევს პასიურ არსებად. ამ საიდუმლოს გაცნობიერება და მისით გამოწვეული ტანჯვა ადამიანური ცხოვრების პოზიტიურ ელემენტადაც გვევლინება,

სიცოცხლის ირაციონალური ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ქართველი მოაზროვნე ორიგინალურად და შემოქმედებითად უდგება პრობლემას და მას წყვეტს სიცოცხლის ფილოსოფიის პოზიციიდან, მისი დასკვნები არსებითად ემთხვევა სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენლების ძირითად პრინციპებს. სიცოცხლე არ თავსდება რაიმე ობიექტური კანონზომიერების ფარგლებში, რაღაც საყოველთაოშია. იგი თავისი ბუნებით ინდივიდუალურია. ა. ჯორჯაძე სიცოცხლის ფილოსოფიის დამცველია და მისი მსოფმხედველობის საყრდენი სწორედ ეს არის.

ლიტერატურა

1. ა. ჯორჯაძე - თხუზულებანი, წიგნი მეორე – თბილისი, 1911 წ.
2. ა. ჯორჯაძე - თხუზულებანი, წიგნი მესამე – თბილისი, 1909 წ.
3. ა. ჯორჯაძე - თხუზულებანი, წიგნი მეოთხე – თბილისი, 1911 წ.

რეზიუმე

არჩილ ჯორჯაძემ პირველმა აიმაღლა ხმა ევროპაში, რომ საქართველო არ იყო რუსეთის რიგითი პროვინცია და იგი იბრძოდა თავისუფლების მოსაპოვებლად.

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს არჩილ ჯორჯაძის თხუზულებები, „სამშობლო და მამულიშვილობა“, „მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის“.

არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიურ აზროვნებას ძირითადად ორი წყარო ასაზრდოებს. ეს იყო ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიული ტრადიცია და მისი თანადროული ევროპული ფილოსოფია.